

ტარიელ კვანჭილაშვილი

**მისეილ ჯავახიშვილის
შემოქმედება**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

წიგნი მიზნად ისახავს XX საუკუნის დიდი ქართული მწერლის მ. ქაეახიშვილის შემოქმედების ყოველმხრივ შეაწავლასა და ანალიზს.

მასში განხილულია მწერლის პუბლიცისტური მეგეიდრობაც, რომელიც შექმნილია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში: შესწავლილი და განზოგადებულია მ. ქაეახიშვილის შეხედულებები ლიტერატურაზე, ენასა და ხელოვნებაზე; წაითხული და გააზრებულია მწერლის ყველა თხზულება და შექმნილია მისი ლიტერატურული მოღვაწეობა; გაანალიზებულია მწერლის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი და მხატვრული აზროვნების ხერხები.

წიგნი წარმოადგენს მეორე გამოცემას. იგი დახმარებას გაუწევს როგორც სტუდენტობას, ისე მ. ქაეახიშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

რედაქტორი თ. კ ი კ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ს. ჭ ი ლ ა ი ა

რ. მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

К . 4702170100
M 608 (06) 86



მონილ ჯავახიშვილი (1910 წ.)

მეორე ბაზროცემისათვის

წიგნი „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“ პირველად 1966 წელს გამოსცა გამომცემლობა „განათლება“.

როგორც პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ევარაუდობდით, შემდეგში მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე რამდენიმე სტატია. დისერტაცია და წიგნი დაიწერა.

იმავე წინასიტყვაობაში აღნიშნავდით რომ მწერლის ქალიშვილი ქეთევან ჯავახიშვილი მონღოლებით მუშაობდა სახელოვანი მამის ბიოგრაფიული ნარკვევის დაწერაზე. მან ეს სამუშაო დაასრულა და დაბეჭდა კიდეც* ამიტომ, როგორც მაშინ, ახლაც მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიაზე ჩვენს წიგნში საუბარი არა გვაქვს.

ამ წიგნში დამატებით შეგვაქვს მწერლის რამდენიმე ხელნაწერზე მსჯელობა, რადგან ამ ხელნაწერებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მწერლური კრედიტის შესწავლისათვის, ჩვენ მოგვიანებით მივაკვლიეთ.

ეროვნული და საკაცობრიო პრობლემების საკუთარი თვალით დანახვა და საკუთარი გონებით გადაჭრა; ადამიანის სულისა და გონების ლაბირინთებში საოცარი ძალით გარკვევა და მათი მხატვრული ჩვენება; ლიტერატურული ტიპების ძერწვის უზადო ხელოვნება; საქართველოს საზოგა-

დობრივი ცხოვრების მრავალი მხარის მძაფრი და აქტიური პოზიციიდან გაშუქება; მშრომელი ხალხის ტკივილებისა და განცდების გულთან მიტანა; ქართული ენის შესაძლებლობათა სწორუპოვარი წარმოჩენა და მისი შემდგომი განვითარება; პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, პროგრესის ქადაგება — აი მ. ჯავახიშვილის შემოქმედების დამახასიათებელი მხარეები.

ამიტომ იგი აღიარებულია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლად.

5 თებერვალი, 1984 წ.

ავტორის პან

ყოველი დიდი მწერლის მემკვიდრეობის მთლიანი შესწავლა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. განსახილველ საკითხთა რიცხვი და მრავალფეროვნება ნაშრომს ზრდის და ტვირთავს ამის თავიდან აცილების მიზნით ავტორი ზოგ მათგანს უფრო ღრმად და დაწვრილებით განიხილავს, ზოგს კი, მისდაუნებურად, — მოკლედ და ზერელედ. ეს გარემოება თავის დაღს აკლავს ნაშრომის ღირსებას. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენს ნაშრომშიაც. რომელიც მიზნად ისახავს XX საუკუნის დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედების მთლიან განხილვას.

თავდაპირველად, როცა ამ ათიორდე წლის წინათ ხელი მოგვიდეთ მ. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლას, ჩვენ ვფიქრობდით, ნაშრომში მოცემული ყოფილიყო მწერლის ცხოვრების გზაც. საკითხსა და ზოგიერთ გარემოებაში ღრმად ჩახედვამ შემდგომში დაგვარწმუნა, რომ ასეთი გადაწყვეტილება შეცვლას მოითხოვდა შემდეგი მიზეზების გამო: მ. ჭავჭავაძის საკუთარი ხელით აქვს დაწერილი ავტობიოგრაფია, რომელიც მეტ-ნაკლები ცვლილებით თავის წიგნებში შეიტანეს ქართველმა მკვლევრებმა, რომლებმაც ნაშრომები მიუძღვნეს მ. ჭავჭავაძის. აღნიშნულ ავტობიოგრაფიაში სწორადაა მოცემული მწერლის ცხოვრების ძირითადი მომენტები და მათი განმეორება ჩვენს ნაშრომს არაფერს შემატებდა.

არანაკლებ ანგარიშგასაწევად მივიჩინეთ ის გარემოებაც, რომ მწერლის ცხოვრების შესწავლაზე მუშაობს მისი ქალიშვილი ქეთევან ჭავჭავაძი, რომელიც ახლო მომავალში დაასრულებს თავის ნაშრომს. ჩვენს მორალურ მოვალეობად მივიჩინეთ, პირველობა ამ საქმეში მისთვის დაგვეთმო.

აღნიშნულის გამო ამ ნაშრომში არ შევიტანეთ მონაკვეთი, რომელიც მწერლის ცხოვრებას შეეხება.

ნაშრომის დასრულების შემდეგ ჩვენთვის კიდევ უფრო ნათე-

ლი გახდა, რომ მწერლის მთელი შემოქმედების ერთად განხილვაც, თუნდაც ცხოვრების გარეშეც, არ არის მთლად გამართლებული. ასეთი შრომა, რამდენიც არ უნდა ეცადოს ავტორი, დაზღვეული ვერ დარჩება აღწერილობითი ხარვეზისაგან. გაცილებით სჯობია, ყოველი მწერლის შესახებ ნაშრომები იწერებოდეს პრობლემების მიხედვით. მ. ჭავჭავიძეზე, მაგალითად, შეიძლება დაწერილიყო ღრმად გააზრებული და დასაბუთებული ცალკეული ნაშრომები შემდეგ პრობლემებზე: მ. ჭავჭავიძის მოთხრობა, მ. ჭავჭავიძის ისტორიული რომანი, ტიპი და სასიათი მ. ჭავჭავიძის შემოქმედებაში, მ. ჭავჭავიძის ენა, მხატვრული აზროვნების ხერხები მ. ჭავჭავიძის შემოქმედებაში და ა. შ. ეჭვი არ გვეპარება, რომ მომავალში ამ დიდ მწერალზე ნაშრომთა ასეთი სერია შეიქმნება და კარგი იქნება.

მიუხედავად ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შემოქმედების მთლიან განხილვასაც აქვს თავისი ღირსება. მართო ის რად ღირს, რომ ასეთი ნაშრომი მკითხველს მთლიანობაში წარუდგენს მწერალს, დაანახებებს მის მთლიან სახეს. ამისი შევნება გვაძხვევებს, როცა ჩვენი ნაშრომი საჯაროდ გამოგვაქვს.

რამდენიმე სიტყვა ამ ნაშრომზე მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

როცა მ. ჭავჭავიძის შემოქმედების შესწავლას მოვიკიდეთ ხელი, ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო მწერლის ექვსტომეულის გამოცემა, რაც 1964 წლის ბოლოს დამთავრდა. ამიტომ იძულებული ვიყავით ძველ გამოცემებსა და ქურნალ-გაზეთებში პირველად დაბეჭდილ მასალებზე გვემუშავა. მხატვრულ ნაწარმოებთა შონა-მოპოვება თუ დიდად საძნელო არ იყო, სამაგიეროდ იგივე არ ითქმის პუბლიცისტურ წერილებზე, რადგან მათი წაკითხვა მხოლოდ პერიოდულ ორგანოებში შეიძლებოდა. ასეთ ორგანოთა რიცხვი კი საკმაოდ დიდია — დაწყებული 1903 წლიდან, როცა მ. ჭავჭავიძე იწყებს წერას, და თვით ჩვენს დღეებამდე. ამ დროის განმავლობაში საქართველოში გამოდიოდა ან გამოდის მრავალი ქურნალი და გაზეთი, რომლებშიც მ. ჭავჭავიძე ან თვითონ აქვეყნებდა რაიმეს, ან მასზე წერდნენ სხვები. ყოველივე ამისი ძებნა, ჩხრეკა და კითხვა მოითხოვდა დიდ დროსა და გარჯას. ცხადია, ჩვენი მდგომარეობა შედარებით გაადვილდებოდა, უკანასკნელი გამოცემის VI ტომი ხელთ რომ გვქონოდა მაშინ, როცა შევსწავლიდით მ. ჭავჭავიძის პუბლიცისტიკას ან შეხედულებებს ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და ენაზე.

დიდი ღრო დასჭირდა აგრეთვე მ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი ქართული ლიტერატურული კრიტიკის დამოკიდებულების შესწავლას, რადგან მასაც სჭირდებოდა პერიოდულ ორგანოებში ძებნა და ჩხრეკა.

ნაშრომში ვერ განვიხილეთ მწერლის ორიოდ წერილი, რომლებშიც გამოთქმულია მისი ლიტერატურული შეხედულებები. ამისი მიზეზი ისაა, რომ აღნიშნული წერილები პრესაში არ გამოქვეყნებულა, ისინი დაცული იყო მწერლის საოჯახო არქივში, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ვერ გახდა. ეს წერილები შეტანილია ახლახან გამოცემულ VI ტომში. მაგრამ, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ ამ წერილებში ისეთი ახალი არაფერია, რაც მწერალს ძირითადად მაინც სხვაგან არ ეთქვას. ამიტომ ჩვენი ნაშრომის შესაბამის თავში ეს შეხედულებები განხილული და შეფასებულია სხვა წერილების შესახებ მსჯელობის საფუძველზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენს ნაშრომში აგრეთვე არაფერია ნათქვამი მკვლევართა და კრიტიკოსთა ისეთ წიგნებსა და ლიტერატურულ წერილებზე, რომლებიც წინამდებარე ნაშრომის ან მისი შესაბამისი თავების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა. იმედია. ამაზე არ გვისაყვედურებენ.

ნაშრომში ცალკე თავებად გვაქვს გამოყოფილი მწერლის მეტადიდი პუბლიცისტიკა, შეხედულებები ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და ენაზე, აგრეთვე ქართული კრიტიკის დამოკიდებულება მ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. ეგებ ვინმეს ზედმეტად მოეჩვენოს ამ საკითხებისადმი ესოდენი ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ამ საკითხების განხილვას მრავალი თვალსაზრისით აქვს პრინციპული მნიშვნელობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს საკითხები თითქმის არავის განუხილავს, დასახელებული თავების მნიშვნელობა კიდევ უფრო გასაგები გახდება.

მხატვრული ნაწარმოებების განხილვა-შეფასებისას ნაშრომში მკითხველს შეხვდება მთელი რიგი საკითხების ახლებური დაყენება და გადაწყვეტა. ცხადია, ეს სიახლე არ მომდინარეობს ავტორის ახლებული გატაცებიდან — ვინდა თუ არა, ახალი ითქვასო. ეს გამომდინარეობს ნაწარმოებთა ახლებური წაკითხვიდან, რაც რიგ შემთხვევებში სხვა ავტორებისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს იწვევს. ჩვენი ღრმა რწმენით, განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმა არ ნიშნავს ერთი ავტორის დაპირისპირებას მეორესთან. ავტორებს შორის შესაძლოა მეგობრული, სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა იყოს, მაგრამ ზოგ საკითხში მათი აზრები ერთმანეთს სცილდებოდეს. ეს ბუნებრივია. სჯობს წარსულს გავატანოთ

ის არაჯანსაღი პრაქტიკა, როცა განსხვავებული აზრების გამო ავტორები ერთმანეთს პირადი მტრები ხდებოდნენ.

ერთნაირი დოზით არ გვაქვს განხილული ყველა ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი მხარე და მხატვრული თავისებურებანი. ამ საკითხებისადმი ჩვენი დამოკიდებულება დაახლოებით შემდეგნაირია: რომელი ნაწარმოების იდეის გაგებაც სპეციალისტებში მეტ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და ჩვენც განსხვავებული თვალსაზრისი გვქონდა, მათი განხილვისას მეტი ადგილი დაეთმეთ იდეურ ანალიზს, რათა უფრო სრულად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი თვალსაზრისი. ასეთებს მივაკუთვნეთ, მაგალითად, „კვაკვი კვაქანტირაძე“. „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“ და „დამპატიყე“, რომლებშიც ჩვენი აზრით, ასახულია დიდი საზოგადოებრივი ძვრები, რასაც ჩვენს სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. რიგი ნაწარმოების განხილვისას კი თითქმის თანაბარი ყურადღება დავუთმეთ იდეურსა და მხატვრულ ანალიზს. ეს განსაკუთრებით ითქმის „არსენა მარაბდელზე“, რომლის შესახებ ჩვენს ნაშრომში მხატვრული ანალიზი მგონი კიდევ ჭარბობს იდეურ-შინაარსობრივისას. ეს ნაწილობრივ „ქალის ტვირთსაც“ შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ თავებში ან ცალკეული ნაწარმოებების განხილვისას მათს მხატვრულ თავისებურებებზეც გვაქვს საუბარი, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ საგანგებო თავი გამოგვეყო მწერლის მხატვრული აზროვნების ხერხებზე. სტილსა და ენაზე მსჯელობისათვის.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი ინტერესი ადრეც დიდი იყო. იგი თანდათან უფრო გაიზარდა. ამან თავისი გამოხატულება პოვა იმ მრავალრიცხოვან წერილებსა და გამოკვლევებში, რომლებსაც ქართველი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნენი უძღვნებდნენ მწერალს. ჩვენი ნაშრომიც ერთ-ერთი ცდაა დიდი მწერლის შემკვიდრების შესწავლის საქმეში.

ტარიელ კვანჭილაშვილი

მ. ჭავჭავაძის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

მიხეილ ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. თუ ზოგი მწერალი ნელა, ჩუმად და უხმაურად მიიკვლევს გზას მკითხველი საზოგადოებისაკენ, მ. ჭავჭავაძისადმი ინტერესი საზოგადოებამ მისი მოღვაწეობის დაწყების პირველსავე წელს (1903 წ.) გამოამყვანა. ამ დროიდან მოყოლებული შემდეგში მწერლისადმი ინტერესი თანდათან იზრდება და ამის კვალობაზე ლიტერატურული კრიტიკაც მას მეტ ადგილს უთმობს.

პირველი გამოხმაურება ხვდა არა მ. ჭავჭავაძის მხატვრულ პროზას, არამედ მის პუბლიცისტურ წერილებს. განსაკუთრებული ხმაური ჩვენს პრესაში გამოიწვია მ. ჭავჭავაძის ერთმა ვრცელმა სტატიამ, რომელსაც „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ ეწოდება (დაიბეჭდა „ცნობის ფურცელში“ 1903 წ. 4,5, 28 ნომბრის ნომრებში ორ-ორ სარდაფად).

ამ სტატიაში ავტორი აყენებდა რამდენიმე რადიკალურ მოსაზრებას, რომლებიც უპირისპირდებოდა მანამდე არსებულ შეხედულებებს. ეს მოსაზრებები შეკუმშულად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ჩვენს დრამატურგიაში არ არის ასახული თანამედროვეობა. შეიძლება გატაცება წარსულის იდეალიზაციით — საჭიროა თანამედროვე ცხოვრებამ სათანადო ადგილი დაიკავოს ჩვენს პიესებში;

ქართული დრამატურგია სუსტია, თითქმის პრიმიტიულია, გარდა იშვიათი გამონაკლისისა — საჭიროა პიესების ხარისხის გაუმჯობესება; მხოლოდ ნაციონალური დრამატურგია არ იკმარებს, საჭიროა კლასიკოსების თარგმნაც უცხო ენებიდან.

დროა თავი დავანებოთ მხოლოდ მეფეებისა და სარდლების ცხოვრების ჩვენებას, საჭიროა ვაჩვენოთ ხალხი, ვინც ისტორიას ქმნის.

ეს მოსაზრებები ავტორს გამოთქმული აქვს ზემოთ დასახელებულ დიდ სტატიაში, რომელმაც რამდენიმე სარდაფი დაიკავა. რა-

საკვირველია, მ. ჭავჭავაძის შემტევი და პოლემიკური ტონის გამო ზოგი რამ საკმაოდ თამამად აქვს ნათქვამი, მაგრამ მაინც ძირითადი დებულებები მხოლოდ ესაა, რაც ჩვენ ჩამოვყალიბეთ.

მიუხედავად ამისა, იმ სიახლისა და გაბედულების. ნოვატორობის გამო, რომელიც აღნიშნულ სტატიას ახასიათებს, ბევრი პატივცემული მოღვაწე განაწყენებულა და პრესაში გამოსულა საკუთარი მოსაზრებებით. ეს ფაქტი ძალზე საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ამ პოლემიკაში ჩაბმულან ისეთი დიდი პიროვნებებიც. როგორც არიან აკაკი წერეთელი, ნიკო ხიზანიშვილი და სხვები.

სანამ ამ პოლემიკას განვიხილავდეთ. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი. რომ პირველი შემფასებელი მ. ჭავჭავაძის ნაწერისა იგივე გაზეთია („ცნობის ფურცელი“), რომელმაც პირველად დაბეჭდა მ. ჭავჭავაძის. ეს შეფასება აგრეთვე წინ უსწრებს დასახელებულ პოლემიკას.

საქმე ასე იყო.

1903 წლის 12 ნოემბერს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა გან-ის (გიორგი ლასხიშვილის ფსევდონიმია) წერილი „შინ და გარეთ“. ამ წერილში ავტორი მიესალმება „კვალის“ აღორძინებას. აღნიშნავს, რომ ბევრი რამ საერთო აქვს „ცნობის ფურცელსა“ და „კვალს“, მაგრამ არის აზრთა სხვადასხვაობაც.

მაგალითად, „კვალის“ „შინაური მიმომხილველი“ ეხება ქართული თეატრის საკითხსაც და წერს: „არის ნაწილი და ძალიან დიდი ნაწილი ქართველობისა, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც „სამშობლოს“ და ქართული ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით ცოცხლობს, ამით საზრდობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას გველივით ეზიზღება, წარსული კირივით ეჭაერება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავლისაკენ...“ განი ეთანხმება ავტორს, რომ ჩვენი თეატრის რეპერტუარი მოძველდა, რომ ის ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რომ გაცვეთილი პატრიოტობაც არ ვარგა, მაგრამ რა შუაშია წარსულისა და აწმყო, ყველაფრის ხელაღებითი უარყოფა და შეძულება.

შემდეგ განი წერს: „ამის შესახებ ჩვენ გაზეთში ბოლო ხანებშიც ბევრი რამ ითქვა, გავახსენებთ თუნდ „თავისუფალი მონა“ პრინციპულ წერილებს. რომელშიც იგივე აზრი ნათლად და მედგრად იყო გატარებული“. (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

თუ გავიხსენებთ, რომ „თავისუფალი მონა“ იგივე მიხეილ ჭავჭავაძის იდეალია, ხოლო „ცნობის ფურცელში“ თეატრის შესახებ სწორედ

მისი „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ იბეჭდებოდა ნომრიდან ნომერში, მაშინ აღვილად დაერწმუნდებით, რომ ეს შეფასება — „პრინციპული წერილები“, „ნათელი აზრი“, „მედგარი ტონი“ — სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის მისამართით არის ნათქვამი.

სწორედ ეს გახლავთ საერთოდ პირველი სიტყვა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებზე, მისი პირველი შეფასება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ წერილს აგრეთვე გამოეხმაურო ორი ცნობილი მოღვაწე. ეს მოხდა გაზეთ „ივერიაში“.

1903 წლის 18 ნოემბრის ნომერში გაზეთი „ივერია“ ათავსებს Plebs-ის (ნ. ხიზანიშვილის ფსევდონიმია) ორსართავიან წერილს, რომელსაც ეწოდება „ჩვენი თეატრალური კრიტიკა (ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები)“. ამ წერილში ლაპარაკია თეატრალური კრიტიკის ჩამორჩენილობისა და უსუსურობის შესახებ. იმდენად სუსტი და უსაფუძვლოა ეს კრიტიკა, რომ მას არც რეჟისორი, არც მსახიობები ანგარიშს არ უწევენ და ვერც გაუწევენ.

წერილის ავტორი გაბრაზებულია თეატრალურ კრიტიკოსებზე და ძალზე მწვავე პოლემიკას უმართავს მათ. მას მიზანში ამოუღია სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის „ჩვენ და ჩვენი თეატრი“, თავს ესხმის მას და არასწორ დასკვნებსაც აკეთებს იმის გამო, რომ ცალმხრივად წაუკითხავს და გაუგია მ. ჯავახიშვილის სტატია. Plebs-ის წერილს ახასიათებს საერთოდ უხეში ტონი და მიკერძოებული მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ Plebs-ი არ ასახელებს მ. ჯავახიშვილს, მას მხოლოდ ცალკეული ფრაზები და ადგილები მოაქვს მ. ჯავახიშვილის წერილიდან და იძლევა მათ თავისებურ ინტერპრეტაციას. ეს ფრაზები რომ არა, ვერც კი მიეხვდებოდით, თუ ვის ეკამათება ასე მწარედ ჩვენი კრიტიკოსი.

ნ. ხიზანიშვილის გაცხარების საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიტანოთ ერთი ადგილი მისი წერილიდან:

„ჩვენი თავზეხელაღებული ხელოვნური კრიტიკა იმ ზომამდე გაკადნიერდა, რომ მთლად ჩვარში გაახვია ქართული ისტორიული დრამატურგია. „საქართველოს გაუშარჯოს“ მეტი ისტორიულ დრამასა თუ ტრაგედიაში სხვა არაფერი არა ჰყრია რაო, ასეთი მსჯავრი ცალიერის უმეტერების ნაყოფია...“

როგორც დავინახეთ, ნ. ხიზანიშვილი გულუხვია საგინებელი სიტყვების ხარჯვაში. მისთვის „თავზეხელაღებული“, „კადნიერი“, „უმეტარი“ და სხვა მისთანანი ადვილად სახმარია. იმას კი ველარ გრძნობს, რომ ამავე სიტყვებმა მათი ავტორი შეიძლება ჩააყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნ. ხიზანიშვილი ხშირად სწორ, გამართულ მოსაზრებებზეც გამოთქვამს, რომელნიც დღესაც გასაზიარებელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ისეთი მოსაზრებებია, რომლებიც მ. ჯავახიშვილსაც აქვს გამოთქმული თავის სტატიასში. ასე რომ, ნ. ხიზანიშვილი ღია კარებს ამტკრევს.

მაგალითად, ნ. ხიზანიშვილი წერს: „დროთა ბრუნვის გამო ჩვენი ისტორიული კათედრა გაუქმდა და დარჩა მხოლოდ თეატრი, სადაც ისტორიამ თავი შეაფარა. მაგრამ უკეთურობა და უკულმართობა აქაც არ ასვენებს ჩვენს წარსულს და საზოგადოებას ზუღერმანსა და იბსენზე უთითებს, თითქოს ხსნა და შველა ევროპულ თხზულებათა გადმოღებაში—ლა იყვეს. ვინ ამბობს, რომ უცხოელ დრამატურგების თარგმნა საქირო და სასარგებლო არ იყვეს, მაგრამ შინაურ ისტორიულ დრამას თუ ტრაგედიას, მეტადრე აწინდელს ჩვენს მდგომარეობაში, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ქართული თეატრი მარტო ხელოვნების ტაძარი როდი უნდა იყვეს, არა — იგი ეროვნულ სკოლადაც უნდა გადაიქცეს“...

ხიზანიშვილი სავსებით სწორად მოითხოვს, რომ საუკეთესო ევროპული პიესებიც უნდა ითარგმნებოდეს, მაგრამ ჩვენი ისტორიისა და ცხოვრებიდან აღებულ თეატრალურ ნაწარმოებებს მაინც უმთავრესი ადგილი უნდა ექიროს.

თავის წერილში მ. ჯავახიშვილიც ამავე აზრებს ავითარებს; ისიც მოითხოვს მხოლოდ საუკეთესოს თარგმნას, იგი თავის წერილს ეპიგრაჟადაც კი წარუმიძღვარებს, რომ ისტორიული კათედრა გაუქმდა და დარჩა მხოლოდ თეატრი, რომელსაც ისტორიამ თავი შეაფარა. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მ. ჯავახიშვილი წინააღმდეგია ყოველთვის ტიკინა მეფეებისა და მხედართმთავრების გამოყვანისა თეატრის სცენაზე, ისტორიის ყალბი წარმოდგენისა, ნამდვილი ცხოვრების დამახინჯებულად ჩვენებისა. მ. ჯავახიშვილი წინააღმდეგია უნიჭო და პრიმიტიული პიესებისა. იგი კი არ გამორიცხავს ეროვნულ რეპერტუარს, არამედ მოითხოვს მის გაუმჯობესებას, აგრეთვე მის შევსებას ნათარგმნი პიესებით.

ასე რომ, დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ხიზანიშვილისა და ჯავახიშვილის აზრთა დამთხვევას, ერთნაირობას. მით უფრო გაუგებარი და საოცარია ხიზანიშვილის გაბრაზება და გაგულისება.

როგორც ჩანს, ნ. ხიზანიშვილი ძველის ტყვეობაში აღმოჩნდა; ახალი სიო მას არ ეამა და კონსერვატორულ პოზიციაზე დადგა. ამით უნდა ავხსნათ, რომ იგი ასე გულისწყრომით წერს: „...ახალი აზრები, ახალი მიმართულება“... „მაინც ქართული თეატრალური კრიტიკა

დიდად ეარშიყება ახალ აზრს, ახალ მიმართულებას.. სამწუხაროდ, ყოველივე ძველსა და წარსულს პატივი აყრილი აქვს. მაგრამ ევროპაში აგრე როდია. ძველსაც და ახალსაც თანასწორად ეკიდებიან და ეს იმიტომ, რომ ძველი მხოლოდ ხნითა და ჟამით არის ძველი და არა ბუნებითა და აზრით. აბა, რა ძველი ეთქმის მოლიერსა და ბომარშეს? ჩვენ კაბუჯ რეცენზენტებს კი ჰგონიათ, რომ ახალ აზრს და ახალ მიმართულებას მხოლოდ თანამედროვე დრამატურგნი მისდევენ და აბრამის წიაღისა შინა მყოფნი და აწინდელი კლაროსანნი ძველის მოძღვარნი არიან!.. ამის შემდეგ აღექ და ელაპარაკე ახლად შეღერებულ კრიტიკოსებს!..“

„აწინდელი კლაროსანნი“ ძველის მოძღვარნი რომ არ ყოფილიყვნენ, ხოლო ნ. ხიზანიშვილი მათ რიცხვს რომ არ ეკუთვნოდეს, მაშინ მისი პაექრობა მ. ჯავახიშვილთან საფუძველგამოცლილი იქნებოდა, მაშინ იგი ასე არ ვაბრაზდებოდა „ჩვენ და ჩვენი თეატრის“ გამო.

როგორც დავინახეთ, ნ. ხიზანიშვილი პირველი კრიტიკოსია. რომელმაც მ. ჯავახიშვილზე სპეციალური წერილი დაწერა. ისიც დავინახეთ, რომ ამ წერილის ავტორი მ. ჯავახიშვილს შექების ტაშს არ უკრავს.

სულ ორი დღის შემდეგ, 1903 წლის 20 ნოემბერს იმავე გაზეთ „ივერიაში“, სადაც ნ. ხიზანიშვილის ზემოთ განხილული წერილი დაიბეჭდა, ვრცელი წერილით გამოდის აკაკი. მისი წერილის სათაურშივე ჩანს ავტორის აზრი და პოზიცია. აკაკიმ თავის წერილს „მწარე ფიქრები“ უწოდა და, მართლაც, ეს მწარე გემო წერილს თავიდან ბოლომდე გასდევს.

აკაკის წერილისათვის დამახასიათებელია მოხდენილი, სხარტი და ხალისიანი სტილი. ავტორი იყენებს ბერძნულ მითოლოგიასაც, ქართულ ფოლკლორსაც, საკუთარ იუმორსაც და ამით დიდ ეფექტს აღწევს.

აკაკი ერთიმეორეს უპირისპირებს ორი ერის ინტელიგენციის ხასიათს. სომეხთა ინტელიგენცია ყველაფერ სომხურს — წარსულსაც და დღევანდელსაც — აქებს და აღიღებსო, ისეთსაც მიაწერს თავის ერს, რაც არ ჰგონიათ, და ამით კარგ სამსახურს უწევს სომხობასო. ეს მოსწონს აკაკის. სამაგიეროდ, ავტორი განაწყენებულია ქართველ ინტელიგენციაზე, რომელიც ჩვენს წარსულს, ჩვენს დღევანდელობას ნიღღისტურად უყურებს და რწმენადაკარგულად მოჩანს.

ქართველი ინტელიგენციის დასახასიათებლად აკაკი იშველიებს ქართულ ზღაპარს „ღორმუცელა“, რომლის მოკლე შინაარსს იქვე

გადმოსცემს: ერთმა დედინაცვალმა თავის გერს იმდენი ეძახა ღორ-მუცელა ხარო, რომ გერი მიეჩვია ამ აზრს და თავი მოუხარა უსამართლობას; არა თუ დაიჭერა, მართლა ღორმუცელა ვარო, არამედ ღორად წარმოიდგინა თავი, დაოთხდა და დაიწყო ხარხატი. შემდეგ აკაკი განმარტავს ზღაპრის აზრს და ამბობს: ეს ზღაპარი იმის იგავია, რომ, თუ კაცმა გული გაიტეხა და თავზე ხელი აიღო, დალუპვა მოეღოს.

ჩვენი პოეტი წინააღმდეგია გულის გატეხისა. იგი წერს: „არ ვიცი კი ვინ დედინაცვალმა შეგვაშინა, მაგრამ იმ ობლისა არ იყოს, მეტად გულგატეხილები ვართ და აღარაფერი ჩვენი აღარა გვწამს რა“...

აკაკის წერილის მთავარი აზრი მაინც სხვავა. აქ პოეტი იმავე პოზიციასზე დგას, რომელზეც ნ. ხიზანიშვილი. მასაც ძველის უარყოფა მწარედ განუცდია, მასაც არ მოსწონს ახლების ხელაღებული მსჯელობა. „...რაც კი ძველთაგან სასიქადულო და დღესაც კიდევ სახმარგამოსადეგი დაგვრჩენია, ყველაფერს ზურგს ვაქცევთ, აწმყოს ზიზლით გვერდს ვუვლით და გადარჩულებულ მომავალს ვუმზადებთ ქვეყანას ხან ფარისევლობითა და ხან ჰეროსტრატის მოსაზრებანიტ, რომ თვალახვეული ბრბო ჩვენზე ავალაპარაკოთ.“ შემდეგ აკაკი მწარედ დასძინს ცნობილ ანდაზას, რომ „მამის სული გაუშვა და მამინაცვლისას იხსენიებსო“.

საკმაო სარკაზმით არის დახასიათებული აკაკის მიერ საზოგადოების გატაცება უცხო ახლითა და უარყოფა. საკუთარი ძველისა. ავტორი ამ უკიდურესობის წინააღმდეგია. ამიტომ იგონებს ერთ შემთხვევას: „ერთი დედა შვილს თამარს არქმევდა და ქმარმა თავი კინაღამ მოიკლა, რას მიშვრები! ...მლუპავ?! რა ღროს თამარობააო... ტატიანა დავარქვათო“. ამ მოგონებაში, რასაკვირველია, ავტორმა ბევრი თქვა.

ამ საერთო განწყობილებების მხილებისა და დაგმობის შემდეგ აკაკი საკუთრივ თეატრის საკითხებს ეხება და სწორედ აქ გამოთქვამს მ. ჭავჭავაძის საპასუხო მოსაზრებებს ისევ და ისევ „ჩვენ და ჩვენი თეატრის“ გამო.

„თეატრი რა არის, თეატრი? შედარებით დღევანდელ საჭიროებასთან მცირე რამ და იმასაც კვალში უდგან. თუ გულწრფელად აღიარე შენი აზრი და სთქვი, რომ ქართულ სცენაზე უპირატესობა ქართულ რეპერტუარს ჰქონდეს და არა ნათარგმნებსო, მხოლოდ ის უნდა იქნეს წარმოდგენილი, რაც ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას მიუდგება და რაიმეს ეტყვის ქართველის გრძნობა-გონებასაო, ატყდებიან: „თანახმა არა ვართო თანახმა! ქართველებს არაფერი არა გვაქვს

რა და. რაცა გვაქვს, ყველაფერი უხიჯოდა და უაზროდ დაწერილია და ამიტომაც უნდა უარყოფოთ და სხე“

ჩვენი მგოსანი აქ სრულიად სწორად მსჯელობს. მართლაც, დღეს რა სადავო უნდა იყოს, რომ უპირატესობა ეროვნულ რებერტუარს უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ის უნდა იქნეს წარმოდგენილი, „რაც ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას მიუდგება და რაიმეს ეტყვის ქართველის გრძნობა-გონებას“. 1903 წელს კი ამ საკითხზე, რებერტუარისა და საერთოდ თეატრის საკითხზე ცხარე დავა ყოფილა.

აკაქის ამ სწორ მსჯელობას მოსდევს აღშფოთება და გაკვირვება: „ჰფიქრობ და გიკვირს: რა ამბავია ამგვარი უდიერება და სხვისი ნათქვამის გადაუქუღმართება? ნათელი აზრი რომ ვერ გაუგიათ, ენის უტოლდინარობის ბრალია თუ გონების სიმძიმის? თუ სხვა რამ საეშმაყო ოინია? ასე თუ ისე, ეს ორივე სამწუხარო მოვლენაა და წაყრუება არ ვარგა!“

საფუძველმოკლებული როდია ასეთი გაკვირვება და გაოცება, მაგრამ რა შუაში იყო აქ მ. ჯავახიშვილი? მის წერილში განა იყო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ნათარგმნი პიესები გვქირადება, ან ისეთი რამ წარმოვადგინოთ, რომელიც ქართველის გულსა და გონებას რაიმეს არ მისცემს? არა, რასაკვირველია მ. ჯავახიშვილი მოითხოვდა ახალს, ახალ სიის და ამ მოთხოვნამ ძველი თაობის წარმომადგენლები ერთგვარად გაანაწყენა. ამის საფუძველზე, როგორც ნ. ხიზანიშვილმა, ისე აკაკიმაც მ. ჯავახიშვილს მთავარი დებულებები ცალმხრივად, არაობიექტურად წაიკითხეს და ასეთი წყენითა და თითქმის ლანძღვით შეხედნენ ჰაბუჯ კრიტიკოსს (მ. ჯავახიშვილი მაშინ სულ 23 წლისა იყო).

მ. ჯავახიშვილი წერდა: ქართულ პიესაში ყველა ამაღლებული, ციური ენით ლაპარაკობს, მხოლოდ „საქართველოს გაუმარჯოს“ ყვირიან, ზარბაზნების გრიალით მაყურებელს ყურებს უხეთქენ, გმირად მუდამ მეფეები გამოდიან და ბოლოს იმარჯვებენ. უცხოელთა პიესებში კი უბრალო მომაცვდავნიც გამოყავთ — ვაქრები, მოხელეები, მუშები და მაინც ცხოვრებას უკეთესად გვიჩვენებენ. ქართულ პიესებში მოქმედნი პირნი ყოველთვის და ყველგან კმაყოფილნი არიან, გარდა პოლიტიკური მდგომარეობისა. და სწორედ ასეთი მსჯელობის შემდეგ ავტორი აყენებს ახალ კითხვას „გარნა ამ აზრისა (პოლიტიკისა — ტ. კ.) ჩვენს მამაპაპათ არასდროს არარა აწუხებდათ, ისინი ბედნიერნი იყვნენ, როცა მემამულე ძალღზე დაბლა აყენებდა, ტკივილი, უსამართლობა და არაგვარი ტანჯვა იმათ არ იცოდნენ?“

ეს მწვავე კითხვაა. აქ ისტორიისადმი, წარსულისადმი კლასობრივი მიდგომის მოთხოვნაა, წარსულში სოციალური უსამართლობის შემჩნევისა და მის საფუძველზე საზოგადოების მართალი ჩვენების მოთხოვნაა. სწორედ ეს ვერ გაიგეს, ანდა გაიგეს და არ ესიამოვნათ მიხეილ ჭავჭავიძელის კრიტიკოსებს.

მ. ჭავჭავიძელი თავის წერილში განაგრძობდა მსჯელობას და ეხებოდა ჩვენი დრამატურგიის ერთ ნიშანდობლივ თვისებას, რომლის გამოც თითქმის ყველა პიესას შტამპის დაღი აჩნდა. — ეს იყო მოქმედ პირთა ცალმხრივი ჩვენება. მათში თავადი ყოველთვის მფლანგველია, სომეხი ვაჭარი — კრიჟანგი, კინტო — უდარდელი. გლეხი — გაუთლელი და ა. შ.

ამის შენიშვნის შემდეგ მ. ჭავჭავიძელი კითხულობდა: „აქვეს თუ არა ამ ხალხს მეორე, შინაგანი ცხოვრება: ცოცხალი სული, გარეგნული თვისებების გარდა დარდი, ვარამი; ცოტად თუ ბევრად რთული ხასიათი და სულიერი მოძრაობა? რასაკვირველია, აქვთ და სწორედ ეს „აქვთ“ დარჩა ჩვენს დრამატურგიულ ლიტერატურაში ხელუხლებელი და გაუსიონჯავი“. ამ ხარვეზების შენიშვნა მაშინდელ ისტორიულ დრამატურგიაში, რასაკვირველია, გაბედული ნაბიჯიც იყო და გაზრდილი გემოვნების გამოხატულებაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ჭავჭავიძელი აქაცის „პატარა კახსაც“ ძველი პიესების რიცხვში ათავსებდა. ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ. რომ ოლიმპოს მწვერვალზე მდგომი აქაცია ჭაბუკ მ. ჭავჭავიძელს მხოლოდ იმის გამო გაუბრაზდა თავის წერილში, რომ მისი პიესაც დაწუნებულთა რიცხვში აღმოჩნდა. აქ უფრო რთულად არის საქმე. ამაზე პასუხს მ. ჭავჭავიძელის წერილის ერთი ადგილი საკმაოდ მოხდენილად იძლევა, სადაც მაშინდელი საზოგადოება ახალგაზრდა ავტორს ორ მოპირდაპირე ნაწილად გაყოფილი აქვეს წარმოდგენილი. მაშინ, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი იცავს ისტორიულ პიესებს, „ეთაყვანება გ., რ. და დ. ერისთავებს, ანტონოვს, ცაგარელს. ორბელიანს, შარვაშიძეს, „საზოგადოების მეორე ნაწილი კითხოულობს ახალ პიესას, ახალ სიტყვას, ახალ გამაცოცხლებელ აზრებს და მიმართულეებს“.

აი, რა არის მთავარი: „ახალი ჰაერი, ახალი აზრები, ახალი მიმართულება!“ ამას მოითხოვს მ. ჭავჭავიძელი. სწორედ ეს მიგვაჩინა ძველი თაობის ორი პატივცემული მოღვაწის ესოდენი გულისწყრომის საფუძველად და არა პირადი წყენა.

ასეთია პირველი გამოხმაურებები, რომელიც მ. ჭავჭავაძის ნაწერებს ერგო წილად. როგორც დავინახეთ, კრიტიკამ პირველი ყურადღება მ. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილს მიაქცია. მსჯელობის საგანი გახდა „ჩვენ და ჩვენი თეატრი“. თუ გ. ლასხივილი მას უწოდებდა პრინციპულს, რომელშიც აზრი ნათლად და მედგრად იყო გამოხატული, სამაგიეროდ ნ. ხიზანივილი და აკაკი წერეთელმა ყუმბარები დაუშინეს ამ წერილის ძირითად დებულებებს.

• • •

სრულიად სხვაგვარი, აღფრთოვანებული და აღტაცებული შეფასება ხვდა წილად მ. ჭავჭავაძის პირველსავე მოთხრობას — „ჩანჩურას“.

მ. ჭავჭავაძის მხატვრული პროზის პირველი რეცენზენტია ზანგი (გრიგოლ რცხილაძე), რომელმაც გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1904 წ. 1 იანვრის ნომერში დაიწყო და შემდეგში რამდენიმე ნომერში გაკრძელებების სახით დაბეჭდა მიმოხილვა 1903 წლის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა. ამ მიმოხილვაში გარჩეულია შ. არაგვისპირელის, ვ. ბარნოვის, დუტუ მეგრელის, ნ. ნაკაშიძისა და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც 1903 წელს გამოქვეყნდა. მიმოხილვის ბოლო ორი სარდაფი მთლიანად მიეძღვნა „ჩანჩურას“ გარჩევა-შეფასებას.

„იშვიათი შემთხვევაა, რომ ახალგაზრდა მწერალმა ისეთის მოხედნილის და ძლიერის ნაწარმოებით დაიწყოს მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, როგორც ბ-ნ ადამაშვილს „ჩანჩურა“. ეს სადებიუტოდ დაწერილი მოთხრობა, ჩვენის ფიქრით, დიდად საინტერესოა და უტყუარად მოწმობს იმის ავტორის მხატვრულობითს ნიჭს და ლოლიკური სისასტიკით მოქმედს ფანტაზიას...“¹ — ასეთია რეცენზენტის პირველი სიტყვები ჩვენს მწერალზე.

„ჩანჩურას“ განხილვისას კრიტიკოსი გამოყოფს ნაწარმოების იდეას და აცხადებს, რომ მწერალი მოთხრობაში ითხოვს ადამიანის ღირსების პატივისცემას. ებრძვის საზოგადოებრივი ზნეობის გულქვაობას და სასტიკად სჯის ყველას, ვინც კი პიროვნებას ლახავს.

კრიტიკოსი გამსჭვალულია ჩანჩურასადმი პატივისცემითა და თანაგრძნობით და ხაზს უსვამს, რომ ავტორმაც ეს გამოხატა თავისი მშვენიერი მოთხრობით. „რამდენადაც უნდა ბედშავი და დაცემული იყოს ადამიანი, ის მაინც ადამიანია, იმას მაინც ისე უნდა მოვეპყროთ

¹ „ცნობის ფურცელი“, № 2401, 1904 წ. 6 თებერვალი.

როგორც აღამიანს — ეს არის ძირითადი მოთხოვნა ზნეობისა და ამასვე ქადაგებს ბ-ნი აღამაშვილი“, — წერს გრ. რცხილაძე.

მიმოხილვის ავტორი „ჩანჩუკას“ ისე აღუფრთოვანებია, მას ეს ნაწარმოები ისე მოსწონებია, რომ იგი მიაჩნია თავდებად იმისა, რომ ავტორი კვლავ უფრო საუკეთესო ნაწარმოებებს დაგვიწერსო. „სიამოვნებით აღვნიშნავთ“, — წერს გრ. რცხილაძე, — „რომ ბ-ნმა აღამაშვილმა პირველს მოთხრობაშივე თვალსაჩინოდ ძლიერი და უხვი ფანტაზიის ძალა გამოიჩინა. „ჩანჩუკას“ ავტორის ნიჭის ეს თვისება, ჩვენის ფიქრით, მტკიცე თავდებია იმისა, რომ ეს მოთხრობა მხოლოდ პირველი ცდა არის, რომელსაც მეორე და მესამე უფრო ძლიერი და უფრო საგულისხმო უნდა მოჰყვეს“.

მიმოხილვაში განხილულია არა მხოლოდ „ჩანჩუკას“ შინაარსობლივ-იდუური მხარე, არამედ მხატვრული თავისებურებაც. იგი აღარებს მ. ჭავჭავიძელსა და სხვა ახალგაზრდა შემოქმედთ და აქეთებს ასეთ დასკვნებს: „საყურადღებოა, რომ ბ-ნი აღამაშვილი იმ თვალთ არ უყურებს სინამდვილის მნიშვნელობას ხელოვნებისათვის, როგორც სხვა ახალგაზრდა მწერლები... მარტოოდენ სინამდვილის ფოტოგრაფიულად ქაღალდზე გადაღება ხელოვნება არ არის, ეს, თუ გნებავთ, ხელობაა და არა ხელოვნება... მწერალი მხოლოდ მაშინ ტოვებს ღრმა კვალს ჩვენს გულში, როდესაც იმისი კალამი გულთამხილაობას იჩენს და იმ საგნებზე გვესაუბრება, რომლებიც საფუძვლად აქვთ ან უნდა ჰქონდეთ ჩვენს დამოკიდებულებას სინამდვილესთან“. ზანგხ მ. ჭავჭავიძელი სწორედ ასეთ ხელოვანად მიაჩნია და ამიტომაც მის „ჩანჩუკას“ ასე აღფრთოვანებით ეგებება.

გრ. რცხილაძე მომდევნო წელს, 1905 წელს, კვლავ აქეთებს გასული წლის, 1904 წლის, ქართული მწერლობის მიმოხილვას (იხ. „ცნ. ფურცელი“ № 2728, 1905 წლის 11 იანვარი), რომელშიც იმედგაცრუებით წერს, რომ 1904 წელს ქართულ მწერლობაში საყურადღებო არაფერი შექმნილაო.

ბედნიერ გამონაკლისად მას მიაჩნია მ. ჭავჭავიძელი. „ერთადერთი ბელეტრისტი, რომელზედაც ღირს მკითხველის ყურადღება შეგაჩეროთ, ბ-ნი აღამაშვილია“, — წერს მიმოხილველი .

შემდეგ კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მ. ჭავჭავიძელმა თავისი კალმის პირველსავე ცდით დაგვიმტკიცა თავისი ძლიერი ფანტაზია და ნიჭი. მისი ორი ახალი ეტიუდი — „უპატრონო“ და „მეჩქმე გაბო“ ამასვე მოწმობსო. მიუხედავად იმისა, რომ აღამაშვილი ჯერ ახალგაზრდა მწერალია, მისი კალამი მაინც იმდენს ძლიერებას იჩენს, რომ მისი ნაწერები თავიდანვე იპყრობენ მკითხველის ყურადღებას და თანდათან უფრო აძლიერებენ შთაბეჭდილებასო.

ეს გარემოება კრიტიკოსს მიაჩნია მ. ჭავჭავაძის სტილისა და მანერის თავისებურებად.

მიმომხილველი განიხილავს „უპატრონოსა“ და „მეჩექმე გაბოს“ და ასკვნის, რომ „ჩანჩურას“ მსგავსად, ეს ნაწარმოებნიც „იმ აზრზეა აშენებული, რომ, მიუხედავად მრავალ დამჩრდილავ გარემოებისა, ადამიანის პიროვნება და ღირსება ყველგან და ყოველთვის ადამიანების პატივისცემას, თანაგრძნობას და სიყვარულს უნდა გვიღვიძებდნენ გულში. ბ-ნის ადამაშვილის გმირები დაბეჩავებული, უბედური. უნიჭო, თითქმის უვინო და ზნეობით დევარდნილი ადამიანები არიან. პირველის შეხედვით, კაცს ეგონება არავითარი თანაგრძნობა და სიყვარული ამ ნაძირალა ადამიანებისადმი საფიქრებელი არ არისო... მაგრამ ბელეტრისტის კალამი სწორედ აქ იჩენს თავის ძალას, სწორედ აქ იწყებს ზნეობის ქადაგებას, თანდათან არღვევს ყალბს წარმოდგენებს და დასასრულ მკითხველი თვალნათლად ხედავს თავის შეცდომას, თავის გრძნობის უკულმართობას და უსამართლობას“.

ზანგი სწორად ხსნის გაბოს ხასიათს, მის გახრწნილებას და გადაგვარებას, მეძვე ქალებში მთელი ქონებისა და ადამიანობის გაფლანგვას, შემდეგში კი იმავე მეძვეების მიერ კარების მოხურვას გაბოს ცხვირის წინ და ამ ერთადერთი გასართობისა და სასურველი ადგილის დაკარგვას. მეჩექმე გაბო გრ. რცხილაძეს წარმოდგენილი ჰყავს, როგორც უზნეო და დაცემული ადამიანი, მაგრამ ხედავს იმ სიბრალულსაც, რომელსაც ავტორი აღვიძებს მკითხველში ამ „ფსიქერზე“ მოქცეული ადამიანისადმი. „...გაბო იმდენად უზნეო, გარყვნილი და დაცემული პიროვნებაა, რომ არ შეიძლება არ შეგდაგდეთ, არ შეგეზიზლოთ. ამისდა მიუხედავად ბ-ნი ადამაშვილი ორივეს, ჩანჩურასაც და გაბოსაც, მაინც ადამიანებად, თანაგრძნობის ღირს ადამიანებად სთვლის და სასტიკად თხოულობს მკითხველისაგან, რომ დაცემულ ხალხს ზურგი არ შევაქციოთ და სიყვარულით მოვეკიდოთ“.

ეს აზრი თავიდან ბოლომდე გასდევს გრ. რცხილაძის იმ მიმოხილვას და სრულიად სამართლიანადაც. ჩვენ აქ ვხედავთ, თუ რამდენად სწორად და ღირსეულად შეაფასა გრ. რცხილაძემ ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოებები, რა სწორი მსჯავრი გამოუტანა მათ.

„ადამიანის პატივისცემა, სიყვარული და თანაგრძნობა — აი რა შეადგენს „მეჩექმე გაბოს“ დედა აზრს“, — ამ სიტყვებით ამთავრებს ზანგი თავის მიმოხილვას და იქვე დასძენს, რომ სამივე ნაწარმოები — „ჩანჩურა“, „უპატრონო“ და „მეჩექმე გაბო“ — ამ იდეაზეა აგებული.

ეს შეფასება ჩვენ სრულიად მართებულად მიგვაჩნია. 19

ახალგაზრდა მიხეილ ჭავჭავიძის მოთხრობები შესანიშნავად განიხილა და შეაფასა ცნობილმა ქართველმა ლიტერატურის კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ.

1908 წლის № 3 „ფასკუნჯი“ (მაშინ ჯერ კიდევ გაზეთად გამოდიოდა, შემდეგ კი ჟურნალად გადაკეთდა) გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის კრიტიკული წერილი — „ცხოვრება და ხელოვნება“, რომელშიც განხილულია „ჩანჩუკა“, „უპატრონო“, „მეჩექმე გაბო“, „თავდავიწყება“. წერილის სათაურიდანვეა გაკეთებული შენიშვნა, რომ ეს მოთხრობები იქნება განხილული, იქვე მითითებულია, თუ რომელი მათგანი სად დაიბეჭდა.

კრიტიკოსი კატეგორიულად აცხადებს, რომ „იმ მწერალთა შორის, რომელთაც რევოლუციის ეპოქაში იჩინეს თავი, ყველაზედ უფრო დიდის ყურადღების ღირსია ადამაშვილი. რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრობისა და თავისებური მანერა წერისა“¹ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

კიტა აბაშიძეს მიაჩნია, რომ ამ მანერის თავისებურება მდგომარეობს რომანტიზმისა და ნატურალიზმის შერწყმაში. როგორც ის წერს. — „ამ მანერაში ნატურალიზმი და რომანტიზმია შედუღებული“. ჩვენ ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნატურალიზმი კიტას ესმოდეს ისე, როგორც ჩვენ ამ სიტყვით გამოხატული ლიტერატურული მიმართულება გვესმის. არა, რასაკვირველია. აქ ნაგულისხმევია რეალურისა და რომანტიულის შერწყმა. რეალური იმდენად, რამდენადაც მ. ჭავჭავიძის მოთხრობების ამბავი, სიუჟეტი ცხოვრებიდან არის აღებული, ყველა მისი მოთხრობის გმირი ცხოვრებაში შეხვედრილი და დანახულია; რომანტიული კი იმდენად, რამდენადაც მ. ჭავჭავიძელმა თავისი გმირები აამალა ადამიანის თვალში და, მიუხედავად მათი დაცემულობისა, მკითხველს მათში ადამიანი დანახა, მათდამი თანაგრძნობა და პატივისცემა მოსთხოვა.

ასე რომ არ იყოს, კიტა აბაშიძე ამ თავის წერილში „მეჩექმე გაბოს“ გამო არ დაწერდა: „...ისეთის სინამდვილით არის სულიერად დაცემულისა და დაღუპულის, გაპირუტყვებულის ადამიანის „გაბო მეჩექმის“ სურათი აღწერილი და თანაც ამ უძლურ კაცში რაღაც არის, რომელიც ადამიანს გაგრძნობინებთ და ამისათვის ნაზი იუმორით შეზავებულ სიბრაალულს იწვევს თქვენში“.

¹ „ფასკუნჯი“ № 3, 1908 წ.

კიტა აბაშიძე კარგად ხედავს, რომ მიხეილ ჭავჭავაძის თავისი მოთხოვნებით მსჯავრის სღებს მის თანამედროვე ცხოვრებას. თუ მისი გმირები ისეთ დღეში არიან ჩავარდნილი, ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ბრალია. ამ დასკვნას კრიტიკოსი აკეთებს „თავდავიწყების“ საფუძვლიანი განხილვის შედეგად. ის წერს: „ეს იმ სიყალბის ბრალია, რომელზედაც აღშენებულია დღევანდელი საზოგადოება“

იქვე კრიტიკოსი ხაზს უსვამს მწერლის მხატვრულ ნიჭს და ამბობს, ეს მხილება საზოგადოებრივი მანკიერებისა მიღწეულია არა აშკარა განცხადებით. არამედ ხელოვნების გამოყენებით, მკითხველი თავისთავად მიდის ამ დასკვნამდეო. კიტა აბაშიძე წერს, რომ „ყოველივე ამას მხოლოდ ხელოვნების მეშვეობით გაგრძნობინებო ავტორი ისე, რომ ერთ სიტყვასაც არ წარმოისროლებს საზოგადოების მიერ აღიარებულ მახინჯ პრინციპების შესახებ, არამედ თავისთავად ნათელს ჰქმნის მას“. ეს შეფასება სხვა არაფერია, თუ არა მიხეილ ჭავჭავაძის მხატვრული ნიჭის აღიარება, მისი მაღალი შეფასება.

კიტა აბაშიძეს „თავდავიწყება“ მიაჩნია საყურადღებო ნაწარმოებად, ქართულ ლიტერატურაში თითქმის ერთადერთ ნიმუშად გრძნობათა გამო თავდავიწყების გამომხატველ ნაწარმოებათა შორის. დიდი გატაცებითა და სიყვარულით განიხილავს კრიტიკოსი ამ მოთხოვნას და მაღალ შეფასებას აძლევს მწერალს. იგი თავს ვერ იკავებს აღფრთოვანებული ტონისაგან და აცხადებს: „დამეკრწმუნეთ, რომ ეს მოთხოვნაც ადამაშვილის ნიჭიერებისა და გრძნობიერების უქვევლი საბუთია“.

იმის დასამტკიცებლად, რომ მ. ჭავჭავაძის ძალზე ცოცხლად. პლასტიკურად, მიმზიდველად და ოსტატურად გვიჩვენებს ადამიანების ბუნებას, კერძოდ შეყვარებულთა გატაცებას ყველა ნიუანსით, კიტა აბაშიძეს მოყავს საკმაოდ ვრცელი ამონაწერები. მაგალითად, ვრცელი ამონაწერი ქალ-ვაჟის პირველი დაახლოვებისა: ეკა პერანგისამარა გარბის მინდორში, ვენახებში, ყანაში და ბოლოს ბუჩქებში... მას მისდევს სტუდენტი ვაჟი, რა გატაცება და თავდავიწყებაა ამ ურთიერთლტოლვაში და რა ოსტატურადაა გახსნილი ეს ეპიზოდი... კრიტიკოსს არანაკლებ მოსწონს თავდავიწყებიდან გამორკვევის, გამობრუნების განცდა: როცა ეკა და სტუდენტი წამოდგნენ და ერთმანეთს თვალს ველარ უსწორებდნენ, ორივენი მოიკუნტნენ, თითქოს დაპატარავდნენ, ფრთხილად შევიდნენ ყანაში უკან წამოსასვლელად, მაგრამ ყანა თითქოს დადაბლდა, გზაც გაგრძელდა, ქურღებივით მოიპარებოდნენ, აქეთ-იქით თვალს აცეცებდნენ და

ბუჩქებსა და ყოველ საგანს ზვერავენ. ამ ამონაწერს მოსდევს კრიტიკოსის შეძახილი: „აბა თუ არ გიღვიძებთ ეს სურათი ადამისა და ევას სამოთხიდან ლტოლვას, და თუ ისეთივე ღრმა შთაბეჭდილებას არ ახდენს, როგორც რომელიმე მშვენიერი მხატვრობა...“ და შემდეგ „... ეს მოთხრობა „თავდავიწყებისა“ დიდის ვნებით აღსავსე სტილით არის დაწერილი და ახალი საგანი „სქესის პრობლემებისა“ აქაც აღძრულია, ისე როგორც ცხოვრებაშია, ისე როგორც ჩვენს ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო. მთელი მოთხრობა ვნებათა ღელვის ძლიერის ძალის გავლენის ქვეშაა დაწერილი“.

სამწუხაროდ. კიტა აბაშიძე „თავდავიწყებაში“ მხოლოდ „სქესის პრობლემას“ უსვამს ხაზს და ვერ ხედავს იმ სოციალურ დაპირისპირებას. რომელიც ამ მოთხრობაშია მხილებული, ვერ ამჩნევს, რომ ევას გაუბედურების მიზეზი მისი სოციალური მდგომარეობაა, ქალბატონისა და მისი სტუდენტი ვაჟის შინამოსამსახურეობაში რომ მდგომარეობს. კრიტიკოსი არ აღრმავებს ამ საკითხზე მსჯელობას და ამიტომ აგებს კიდევც.

კიტა აბაშიძე ამ მოთხრობის განხილვისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ, თუ ხელოვნების ნაწარმოებს ძლიერი ვნებათა ღელვა არ ახასიათებს, იგი მკვდარია. ამ დებულების საილუსტრაციოდ კრიტიკოსი ასახელებს „ვეფხისტყაოსანს“ და ამბობს, რომ ეს ნაწარმოები იმითაცაა ქართული ლიტერატურის დიდება, რომ მასში „ვნებათა სხვადასხვა მხარის ძლიერი და შეუღარებელი ანალიზია, სიკოცხლის დამშვენებულ გრძნობათა გალობა და კვნესა“.

ასეთი პარალელი, რასაკვირველია, გამოწვეული იყო მ. ჯავახიშვილის მაღალი შეფასებით. ამასთან დაკავშირებით კიტა აბაშიძე ასახელებს ისეთ დიდ მწერლებს, როგორებიც არიან ბარათაშვილი, ორბელიანი, ქავჭავაძეები, ავაკი, ყაზბეგი. მიუთითებს მათ ნაწერებზე და მიმართავს მკითხველს: „აბა ნახეთ, გრძნობათა ძალა, ვნებათა ღელვა როგორ ჩქეფს“ ყოველ მათ ნაწარმოებშიო“.

და თუ „ელგუჯა“ და „მოძღვარი“ კიტა აბაშიძეს მიაჩნია ისეთ ნაწარმოებებად, რომლებიც „უსაზღვროდ მომხიბლავი ძეგლია გრძნობათა მოძრაობისა, მღელვარე ვნებათა ძალისა და ამიტომაცაა, რომ საუკუნო და სამარადისო აღტაცების საგანი იქნება ყოველის ქართველისათვის, რომელსაც პოეზიისა და ხელოვნებისათვის გულისხური არ ექნება დახშული, ხოლო ამ ნაწარმოებებს იხსენიებს მ. ჯავახიშვილის „თავდავიწყების“ გვერდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელიც ასეთი, ღირსების ნაწარმოებად მიაჩნია.

როგორც ვხედავთ, კიტა აბაშიძე ძალზე მაღალ და ამავე დროს

დამსახურებულ შეფასებას აძლევს მ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

აღნიშვნის დროს იხილეს, რომ კიტა აბაშიძემ თავის „ეტიუდებში“ ჯერ კიდევ 1911 წელს მოიხსენია და თავისებური აზრი გამოთქვა მ. ჭავჭავაძის მოთხოვნებზე. ის წერდა:

„ჩვენს პროზაში ცხოვრების სიხარულით შეფერადებული სურათები ჩნდებიან, სიცოცხლის განმაცისკროვნებლის გრძობებით თავდავიწყებული გატაცება ემჩნევა ზოგიერთ ნაწერს, რაიც სულ ახალი მოვლენაა ჩვენი პროზისათვის (ადამაშვილი, მალაქიაშვილი). თუ დაუკვირდებით ამ ახალს ლიტერატურას, ნახავთ, რომ ევროპის ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს გამეფებული წარმართული სული, ესთეტიზმი და ეროტიზმი არ დარჩენილა შეუმჩნეველი ჩვენის მწერლობისათვის“¹.

ამ ამონაწერის პირველი ნახევარი თითქმის განსხვავებულია მისი მეორე ნახევრისაგან, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ კრიტიკოსის წერის სტილი და ლექსიკის თავისებურება, მაშინ ამონაწერის პირველი ნახევარი ძირითად აზრად გამოჩნდება. აქ კი ახალი მოვლენაა შემჩნეული ჩვენს მაშინდელ მწერლობაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პროზაში „ცხოვრების სიხარულით შეფერადებული სურათები ჩნდებიან“... ეს განსაზღვრა სავსებით იგივეა, რაც „ფსაქუნჯში“ მოცემული შეფასება მ. ჭავჭავაძის „თავდავიწყებისა“ და სხვა მოთხოვნებისა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მ. ჭავჭავაძის სახელი და მისი აღრინდელი მოთხოვნები თავის წიგნში მოიხსენია ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პროფ. ალ. ხახანაშვილმა. სახელგანთქმული მეცნიერი წერდა: „შიო ქუჩუკაშვილის დროსვე გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ... მ. ადამაშვილი („ჩანჩურა“, „ხარაზი გაბო“, „კურკას ქორწილი“)..., რომელთა მოღვაწეობა ეკუთვნის უფრო XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისს“².

მართალია, აქ მ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვა არ არის, მაგრამ თვით მისი დასახელების ფაქტი ცნობილი მეცნიერის წიგნში, თანაც მწერლის პირველი ნაბიჯებისთანავე, უდავოდ საყურადღებოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ის დასკვნა შეიძლება გავაკე-

¹ კიტა აბაშიძე, ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. ტ. I, ქუთაისი, 1911 წ., გვ. XII.

² ალ. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“, იბ. 322-ე გვერდის სქოლიო.

თით, რომ ლიტერატურულმა კრიტიკამ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო მიხეილ ჭავჭავიძისადრინდელ მხატვრულ პროზას. მისი მოთხრობები, რომლებიც პირველი რევოლუციის პერიოდში გამოქვეყნდა, მიჩნეული იყო მაღალმხატვრულ, ოსტატურად დაწერილ ნაწარმოებებად, რომლებშიც გამოქვეყნდა მწერლის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი, აგრეთვე ახალგაზრდა ავტორის მაღალი ნიჭი. ზოგი კრიტიკოსი ამ მოთხრობებში ხედავდა იმის საფუძველს. რომ მომავალში მათი ავტორი გაცილებით დიდ და საინტერესო ტილოებს შექმნიდა. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს კრიტიკოსები არ ცდებოდნენ.

ცნობილია, რომ მომდევნო პერიოდში. ვიდრე 1923 წლამდე. მ. ჭავჭავიძის მხატვრული ღირებულებისა აღარაფერი შეუქმნიდა. იგი გაიტაცა პუბლიცისტურმა, საგაზეთო პრაქტიკულმა მოღვაწეობამ. ამიტომ ლიტერატურულ კრიტიკაშიც მ. ჭავჭავიძის შესახებ აღარაფერი გვხვდება. სამაგიეროდ, როგორც კი გამოჩნდა „მკვდრეთით აღმდგარი“ მწერლის ახალი ნაწარმოებები, ლიტერატურული კრიტიკა მას მალე გამოეხმაურა და თავი იჩინა სხვადასხვა ნაწარმოების სხვადასხვაგვარმა შეფასებამ. ამიტომ ეს პერიოდი ცალკე განხილვის საგანია.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მ. ჭავჭავიძის შემოქმედების გაშუქების მეორე პერიოდი იწყება 1924 წლიდან და მთავრდება 1937 წელს.

ცნობილია, რომ 1924 წელს გამოვიდა მ. ჭავჭავიძის მოთხრობების I ტომი. ამ წიგნში შევიდა 8 მოთხრობა, მათ შორის შვიდი ადრე დაწერილი და ერთიც ახალი („ტყის კაცი“). ტომს წამძღვარებული ჰქონდა ივ. გომართელის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც განხილული იყო მწერლის მოთხრობები.

ივ. გომართელი მ. ჭავჭავიძის მოთხრობებს მიიჩნევს ჰუმარტი ხელოვნების ნიმუშებად. იგი აცხადებს, რომ ჰუმარტი ხელოვნება არის მხოლოდ იქ, სადაც გაერთიანებულია ფანტაზია, თავისებური სტილი, მანერა წერისა, სიმკვეთრე გამოსახვისა, სიცოცხლე ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებაში და სხვ.

„მ. ჭავჭავიძელ-აღამაშვილის პირველი ტომი დადალულია შემოქმედების უტყუარი ნიჭით“, — აცხადებს ივ. გომართელი.

კრიტიკოსი საკმაოდ მარტივად წარმოადგენს მწერლად გადაქცევის პროცესს, როცა აცხადებს, რომ „ბელეტრისტი“ გამოვიდა

სამწერლო ასპარეზზე ოცი წლის წინათ. დაწვა ერთ ღამეს უბრალო ადამიანად და ადგა მეორე დღეს უკვე სახელმწიფოვეტილ მწერლად". ცხადია, ასე არ ხდება, მაგრამ არის ამ განცხადებაში რაღაც ისეთი. რომელიც მ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიას შეეხება. გავიხსენოთ „ჩანჩურას“ დაწერის ისტორია, რომელიც, როგორც თვითონ მწერალი ამბობს, ერთ ღამეშია დაწერილი.

გომართელი აღნიშნავს მ. ჭავჭავაძის მწერლურ ბიოგრაფიაში მღუმარების ხანგრძლივობას და სინანულს გამოთქვამს ამის გამო სამაგიეროდ ახლა გახარებულა, რომ კვლავ დაუბრუნდა მწერლობას. „მ. ადამაშვილი მეტეორივით მოველინა ხელოვნების ცას: ელვით გაისრიალა და მიიშალა. მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ბელეტრისტი სდუმდა და დღეს ისევ ამეტყველდა, ისევ გააშუქა ჩვენი ხელოვნების ცა „კვაჭი კვაჭანტირაძეთი“ და სხვ.“¹

საკუთრივ „კვაჭი კვაჭანტირაძის“ შესახებ ივ. გომართელი მხოლოდ გაკვრით აცხადებს, რომ იგი ღირს იმად, რომ ბელეტრისტის ხანგრძლივი დუმილი გაამართლოს და გამოისყიდოს. ეს ტიპი საკმაოდ მომწიფებული იყო ჩვენს ცხოვრებაშიო, იგი თავის მხატვარს ეძებდა, სანამ არ ნახა მ. ადამაშვილიო.

კრიტიკოსი ერთმანეთს ადარებს „ტყის კაცსა“ და ადრინდელ მოთხრობებს, აკვირდება მათ და სრულიად სამართლიანად აკეთებს დასკვნას, რომ სტილი უფრო დაიხვეწა, წერის მანერა უფრო გამოირკვა, ასახვა გაცხოველდა, შიგ შეიჭრა ბუნება. მსგავსებაც დიდია — ღრმად ჩახედვა უბედური ადამიანის გულში. სიუჟეტის არჩევაში მ. ჭავჭავაძე ივ. გომართელს მიაჩნია თავისებურ, ორიგინალურ მწერლად და ასკვნის, რომ „ის აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ცხოვრების იმ მხარეს, რაც ჩვენს მწერლობაში გაუშუქებელი იყო“.

„ჩანჩურას“ ანალიზის საფუძველზე ივ. გომართელი იმ აზრამდე მიდის, რომ ეს არის გამოკვეთილი, დასრულებული ხასიათი, რომლის უკეთ წარმოდგენა ძნელიცაა. თვით სიტყვა „ჩანჩურაც“ ისეა დაძებნილი, რომ უკეთესი აღარ შეიძლებაო, გაიგონებ ამ სიტყვას და თვალწინ წარმოგიდგება უპატრონო, დაბეჩავებული ადამიანი, რომელიც პირუტყვში გერევა.

ადრინდელი კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, ივ. გომართელი ამ მოთხრობის განხილვისას ცალკე გამოყოფს „ბრბოს ფსიქოლოგიის“ საკითხს და აცხადებს, რომ „დამოკიდებულება ბრბოსი ჩან-

¹ მიხეილ ჭავჭავაძე — ადამაშვილი; მოთხრობები, ტ. I, ტფილისი, 1924 წ., ივანე გომართელის კრიტიკული წერილი:

ჩურასადმი იშვიათის მიღწევით აქვს ავტორს ასახული და იმისი ძლიერება მოსჩანს უსახო ბრბოს ფსიქოლოგიის საუცხოო და იშვიათ გაშუქებაში“. კრიტიკოსს ბრბოს თავისებურებად ის მიაჩნია. რომ თითქოს მას სწყურია სანახაობა და სანახაობით დამთვრალი ბრბო შეუბრალებელი, სასტიკი და უღმობელია, მკაცრი, გულცივი და გულქვაა.

ივ. გომართელი თავის შსჯელობაში საკმაოდ შორს მიდის თავისი წინამორბედი კრიტიკოსებისაგან და „ჩანჩურას“ განიხილავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კუთხით. იგი სამართლიანად აცხადებს: „თქვენში თანდათან იზრდება ზიზლი ისეთი ცხოვრებისადმი, სადაც ერთის მხრით უსახო ჩანჩურა იტანჯება, მეორეს მხრივ ბრბო ერთობა მისი ტანჯვით და გებადებათ წყურვილი ახალი, განწმენდილი და ამაღლებული ცხოვრებისა“.

„უპატრონო“ კრიტიკოსს მიაჩნია „ჩანჩურას“ მსგავს ნაწარმოებად, რადგან აქაც გამოყვანილია საბრალო, უბედური ადამიანი, რომელიც გასართობი ნივთია მეორისათვის. ამ მოთხრობის „სულისკვეთება გასაოცარის სიციხადით არის გადაშლილი და ბევრი ადგილი ჟრუანტელის მომგვრელია თავისი სიძლიერით“ — წერს ივ. გომართელი. აქაც ხაზგასმულია, რომ მწერალი აღძრავს მკითხველში დაჩაგრულისადმი თანაგრძნობას. ნაწარმოების აზრი გახსნილია ისევ და ისევ გარემო პირობებთან კავშირში და მხილებულია ცხოვრება, რომელიც უპატრონოებს წარმოშობდა.

კიტა აბაშიძის მსგავსად, ივ. გომართელი მაღალ შეფასებას აძლევს „თავდავიწყებას“. იგი მიაჩნია ჭეშმარიტი სიყვარულის საუცხოო სურათად. აქვე სწორადაა გაგებელი, რომ ამ სიყვარულს წინ აღუდგება ცხოვრების სიმკაცრე და უხეშობა, რომელიც საზოგადოებას წესებისა და მორალის სახით ახასიათებს. ამიტომ წერს კრიტიკოსი, რომ „წმინდა, გატაცებული, ამოხეთქილი სიყვარული დაეჯახება ცხოვრების სინამდვილეს თავისი უხეში წყობილებით, ყალბი შეხედულებებით“. გულისტკივილით შენიშნავს კრიტიკოსი იმ ფაქტს, რომ სიყვარული მარცხდება და უხეში სინამდვილე იმარჯვებს.

კრიტიკოსი არ ზოგავს ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას სადაც ასეთი სისაძაგლეები ხდება, სადაც მრავალი ადამიანი უბედური და გათელილია, როგორც მ. ჯავახიშვილის მოთხრობების გმირები არიან.

ასეთივე ასპექტში აქვს განხილული ივანე გომართელს „მეჩქმე გაბო“. ამ მოთხრობის გმირიც ჩანჩურასავით და ეკასავით ცხოვრებისაგან გარიყული და საბრალო ადამიანია.

„კურკას ქორწილზე“ ივ. გომართელი აღტაცებით წერს: „რამდენი სიმართლე, რამდენი სინამდვილე, რამდენი უბრალოება და მხატვრული ზომიერება!“ კურკაც ჩანჩუკრას მსგავს სახელ მიაჩნია, მას სისხლად და ხორცად, პატარა კაცუნად, ბეჩავად, უნებო, ყოველად გლახა, საცოდავ არსებად. მაგრამ შენიშნული აქვს ისიც, რომ კურკას გულში ბოროტება არ არის და ამით ის ბევრ ადამიანზე მალლა დგას. კურკაც, ჩანჩუკრას მსგავსად, ივ. გომართელის გაგებით, ბრბოს გასართობი საგანია, რომელიც ლაჩრულად და თვინიერად იტანს ყოველივეს.

კრიტიკოსი კურკაში ხედავს შედარებით რთულ ხასიათს, რომელიც მაშოს გაცნობისა და მასთან დაახლოების შემდეგ იჩენს თავს, როცა კურკა ტანსაცმელს გამოიცვლის, წელში გაშლილი გაივლის ქუჩაში და ამას ქუჩის ბიჭები, მისი უბნელებიც შენიშნავენ. შეყვარებული კურკა შეცვლილია გარეგნულადაც და ხასიათითაც. ყოველივე ეს კრიტიკოსს მახვილი თვალით შეუნიშნავს და მწერლის ოსტატობაც სათანადოდ აქვს შეფასებული.

მაგრამ კურკას ბედნიერება ხანგრძლივი როდია. მაშო მას ლატობს, მერე სტოვებს კიდევ. აქ კვლავ იჩენს თავს კურკას საცოდაობა. დაგლახავებული კურკა, იმის შიშით, რომ კვლავ მარტო არ დარჩეს, მაშოს ფეხებში უვარდება და მათხოვრულად ევედრება დარჩენას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსს, როცა ამ სცენის მინიშნების შემდეგ აკეთებს დასკვნას, თითქოს ჩვენში ამის გამო ილვიძებდეს სიბრალოე უბედური. ადამიანისადმი, უფრო მეტიც — ერთგვარი თანაგრძნობა და პატივისცემა აკი არ შეიძლება ასე წამხლარამა და დალაჩრებულმა კაცუნამ, რომელიც მოლაღატე მაშოს ფეხებში ჩავარდნილა ხვეწნით, ადამიანში თანაგრძნობა, მით უმეტეს პატივისცემა აღძრას.

ივ. გომართელს კურკას დაბეჩავეებისა და წახდენის მიზეზად ისევ საზოგადოებრივი ცხოვრება აქვს დასახელებული და, რასაკვირველია, სრულიად სამართლიანად.

„ბრბოს ფსიქოლოგიის“ ოსტატურ ჩვენებად ივანე გომართელს მ. ჭავჭავაძის „ეშმაკის ქვა“ მიაჩნია. მოთხრობის განხილვის შედეგად კრიტიკოსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხალხის ნება გადაედება კერძო პიროვნებას, იგი ემორჩილება მის ნებას და მოქმედებს მასავით. აქ მოაქვს სოფიოს მაგალითი, როცა ეს „სოფლის ანგელოსი“ მიიჩქარის თითქოს დამნაშავეის გადასარჩენად, მაგრამ აღგილზე რომ მივა, თვითონაც ქვას აიღებს ხელში და სხვებთან ერთად ჩაქოლავს ავაზაკს.

„ტუის კაცი“ ივ. გომართელს განხილული აქვს, როგორც ყველა დანარჩენი მოთხრობისაგან განსხვავებული სიუჟეტურად და მანერითაც. მწერლის ნიჭს. ზომიერებას, ბუნებრივობას ხაზს უსვამს კრიტიკოსი და მიაჩნია, რომ აქ ავტორი ფლობერის სკოლას ეკუთვნის.

ხაზგასმით არის აღნიშნული ამ მოთხრობის ის თავისებურება. რომ ავტორს ახასიათებს დინჯი, ობიექტური და მიუყვარძობელი მსჯელობა: „თქვენს წინაშე არის ცხოვრების სურათები, სინამდვილე. სიმართლე. როცა ვერც ერთ სიტყვაში, ვერც ერთ სტრიქონში თვითონ ავტორს ვერ დაინახავთ“. კრიტიკოსს მოსწონს აგრეთვე ისიც. რომ ავტორის თვისებაა მოკლე თქმა და ამავე დროს სრულიად ამოწურვა სიუჟეტისა.

მ. ჭავჭავიძის სტილის თავისებურებად ივ. გომართელს მიაჩნია აგრეთვე ოუმორი, რომელიც მეტ სისხარტეს და მიმზიდველობას აძლევს ამ მწერლის მოთხრობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიგნება მანამდელ კრიტიკოსებს არ ჰქონია და ივ. გომართელის დაკვირვებისა და ფხიზელი თვალის შესახებ მიუთითებს.

მწერლის დიდ მხატვრულ ღირსებებში ჩაქსოვილი ზნეობრივი მნიშვნელობა მ. ჭავჭავიძის შემოქმედებას კიდევ უფრო ამაღლებს და ასრულფასოვნებს, — დასძენს ივ. გომართელი.

ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ივ. გომართელმა სწორად და საფუძვლიანად განიხილა მ. ჭავჭავიძის მოთხრობების პირველი წიგნი. მან შეამჩნია არა მარტო შინაარსობრივ-იდეური ღირებულება ამ მოთხრობებისა, არამედ მხატვრული ღირსებაც, სპეციფიკური თვისებები, რომლებიც სწორედ მის. ჭავჭავიძის მოთხრობებს ახასიათებს. ეს დასკვნები გაკეთებულია მახვილი და ფხიზელი თვალის წყალობით, რომელიც აღმოაჩინდა ივ. გომართელს, როგორც კრიტიკოსს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა ბევრი რამ ისეთი შეამჩნია და შეათასა მ. ჭავჭავიძის მოთხრობებში, რაც შეუძინეველი დარჩა ამ მწერლის ადრინდელ კრიტიკოსებს.

ზემოაღნიშნული მოთხრობების I ტომს იმავე 1924 წელს გამოეხმაურა კიდევ ორი კრიტიკოსი. ერთმა მათგანმა თავისი ბიბლიოგრაფია გამოაქვეყნა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1924 წ. № II), ხოლო მეორემ ჟურნალ „მნათობში“ (1924 წ. № 3). პირველის ავტორი იყო ი. წინამძღვრიშვილი, მეორისა კი — ი. ი. (იოსებ იმედაშვილი).

ი. წინამძღვრიშვილი სიხარულით ხვდება მ. ჭავჭავიძის წიგნის გამოსვლას და აღტაცებით აცხადებს: „ძლივს ყინული გალხვა. ქართული წიგნის ბაზარს თანდათან ემატება მხატვრული ნაწარმო-

ებნი. ერთი ასეთი კრებულთაგანია „კვაქი კვაჭანტირაძის“ უბადლო შემქმნელის მ. ჯავახიშვილი-აღამაშვილის მოთხრობები“. ბიბლიოგრაფია მოკლეა, მაგრამ საკმაოდ სხარტად არის მასში აღნიშნული, რომ წიგნში მოთავსებული ყველა მოთხრობა მკითხველს სიამეს ანიჭებს თავისი უბრალოება-სიმარტივეთ და ცხოველი სურათებით. ბიბლიოგრაფიის ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „აქ გადაშლილია ბედკრულ, დავიწყებულ აღამიანთა სულის ვითარება, ყოფაცხოვრება, ჩვენი ცხოვრების სინამდვილე — ისეთი ლაზათიანი ენით, გულწრფელი გრძნობით, რომ ჩვენს სიტყვამრავალ, ხოლო გრძნობაგამოფიტულ მწიგნობრულ ხანაში მისი წაკითხვით სიამით ამოისუნთქავთ“.

არანაკლები ქებით არის გამსჭვალული იოსებ იმედაშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. ისიც სიხარულით აღნიშნავს, რომ დამთავრდა ოცწლიანი დუმილი მიხ. ჯავახიშვილისა. აღრინდელი კრიტიკაც სიხარულით შეხვდა მის მოთხრობებს და ახლანდელიც, რადგან „მწერალი იშვიათის დაკვირვებითა შლიდა ახალი ცხოვრების სურათებს, ახალ ტიპებს... მის მოთხრობებში იყო სიუჟეტის სიახლე და სტილი თავისებური“, აქვე ხაზგასმულია. რომ დღესაც მიხ. ჯავახიშვილის ყოველი მოთხრობა იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. ავტორი თავის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას ამთავრებს არაორაზროვანი დასკვნით, „რომ რეალისტური სკოლის ბელეტრისტთა შორის მიხ. აღამაშვილი ყველაზე უფრო თვალხილულია“. ეს ძალზე მაღალი და ღირსეული შეფასება იყო.

ასეთი აღფრთოვანებით, მოწონებითა და ქებით შეხვდა ლიტერატურული კრიტიკა მიხეილ ჯავახიშვილის დაბრუნებას სამწერლო ისპარეზზე, რაც 1923 წელს მოხდა. სულ მალე, 1924 წელს მწერალი კვლავ მოექცა ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში და მისი შემოქმედებისადმი ყურადღება თანდათან მატულობს.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას 1924 წელს გამოეხმაურა აგრეთვე უურნალი „დროშა“, რომელმაც თავის ფურცლებზე დაბეჭდა ბიბლიოგრაფიული შენიშვნებიც და კრიტიკული წერილიც.

ბიბლიოგრაფიის ავტორი (ვ. გ.) ეხება მ. ჯავახიშვილის მოთხრობების წიგნს და წინასწარ ერთგვარ შესავალს აკეთებს მწერლობის თანამედროვე სტილზე, რევოლუციურ სტილზე. ამის წარმომადგენლებად მას რუსეთში მიაჩნია ი. ერენბურგი, ანდრეი ბელი, პილნიაკი. აქამდე ლექსი იყო გაბატონებული ფორმა, ახლა კი პროზა მკვიდრდება. ამის შემდეგ იგი იმედს გამოთქვამს, რომ „მ. აღამაშვილი არის პირველი მერცხალი იმ გაზაფხულის, რომელიც მოგვევლინება აყვავებული პროზის სახით“.

ბიბლიოგრაფიის ავტორს მიაჩნია, რომ „ვინც ერთხელ წაიკითხავს „ჩანჩუქას“, „კურკას ქორწილს“, „მეჩექმე გაბოს“, „უპატრონოს“, მას არასოდეს არ დაავიწყდება ეს ტიპები. ამ მოთხრობების დადებით მხარეს შეადგენს საკვირველი მთლიანობა და ორიგინალობა. დასასრულ, ავტორი ასკვნის, რომ „მ. ადამაშვილი რეალისტია. ამ შკოლას ის არც შემდეგში უღალატებს... მ. ადამაშვილი ყველაზე უფრო თანამედროვეა ქართველ მწერალთა შორის...“

ასეთი შეფასება მისცა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას ეურნალ „დროშის“ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორმა¹. ეს შეფასება არა მარტო დადებითი და სამართლიანია, არამედ პროფესიონალურად დაწერილიც. ამიტომ ანგარიშგასაწვეია.

ამავე ეურნალის იმავე წლის № 24-ში გამოქვეყნდა ალი არსენიშვილის „ქართული პროზის ანნალები“, რომელშიც განხილულია ქართველი მწერლების — ნიკო ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, დ. შენგელაიას, ლ. ქიაჩელის, არჩ. ჯაჭანაშვილის, კ. გამსახურდიას, პ. იაშვილის, ს. კლდიაშვილის შემოქმედება.

ეკრძოდ, მ. ჯავახიშვილის შესახებ ა. არსენიშვილი წერს, რომ თითქმის ნ. ლორთქიფანიძის დროის დებიუტანტია. მწერლის შესახებ მსჯელობის დასაწყისშივე ა. არსენიშვილი უცნაურ და ბუნდოვან აზრს ავითარებს: „მისი პირველი ტომის თვალის გადავლება თითქმის გიმკვიდრებთ იმ აზრს, რომ რომანტიული გმირები იმ კარგ ბედურებზე შემსხდარან და წასულან და მათი ადგილი მეღუქნეებს დაუჭერიათ“. მართლაც, უცნაურია; ჯერ ერთი, მ. ჯავახიშვილს მეღუქნეები არ ჰყავს გამოყვანილი თავის მოთხრობაში, მეორეც „რომანტიული გმირებს“ წასვლა მწერლის მიზეზით კი არ მოხდა, არამედ შეცვლილი გარემოთი, ცხოვრების პირობების შეცვლით. აქ ძალაუფლებურად გაახსენდება კაცს ის უსაფუძვლო საყვედური, რომელიც კიტა აბაშიძემ გამოთქვა დ. კლდიაშვილისა და ე. ნინოშვილის შემოქმედების შესახებ და რომელზეც ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხი გასცა ალ. წულუკიძემ თავის წერილში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“. ალი არსენიშვილისათვის ეს პასუხი ზედგამოჭრილად მიგვაჩნია.

მცდარი ლებულების გვერდით წერილის ავტორი იძლევა ბევრ სწორ შეხედულებას მ. ჯავახიშვილის მოთხრობებზე. მაგ. „თავდავიწყება“ მიაჩნია ნამდვილ შედეგად, მხატვრის გამარჯვებად. „იგი ქართული ბელეტრისტიკის იშვიათ ქმნილებად უნდა ჩაითვალოს“, — აცხადებს კრიტიკოსი. „რა კეთილშობილი, გამოზოგვილი, ძუნწი

¹ ეურნალი „დროშა“, № 16—17, 1924 წ.

სტილია“ — აღტაცებაში მოდის წერილის ავტორი. აღსანიშნავია, რომ ალი არსენიშვილიც, მსგავსად კიტა აბაშიძისა, „თავდავიწყებას“ განსაკუთრებით აფასებს. მასაც თითქმის იგივე ადგილები მოწონს, რაც კიტას: „ინსტინქტის მოვარდნა, გამხეცებულ ვაჟის მიერ მარად-ქალწულის დადევნება, სქესის ტრიუმფი, თავდავიწყება და მისგან გამოღვიძება — ყველაფერი ეს ისე ლაპიდალურად, მძლავრად გატენილია და მოწმობს, რომ ადამაშვილს აქვს კემშარითად მაღლი მხატვრისა“.

„ტყის კაცი“ ალი არსენიშვილს სულ სხვაგვარ, ძალზე მშვენიერ ნაწარმოებად მიაჩნია. იგი შენიშნავს, რომ ავტორი საკვირველი ძალით შეგიყვანთ შიგ უღრან ტყეში, სადაც ტყისმცველ პავლესთან ერთად თქვენც გიკაუდებათ ხელები, ხარბად სუნთქავთ ტყის ჰაერს. აქ უშუალოდაა ნაჩვენები ბუნება და ადამიანი. მართალია პავლეს სულისკვეთება!

ალი არსენიშვილი ეხება „კვაჭი კვაჭანტირაძესაც“ და შენიშნავს, რომ მწერალი ტყიდან ისევ „ცოდვილ ქალაქს“ უბრუნდება და ქმნის „უსათუოდ ყველაზე უფრო ბედნიერად დაქერილ ტიპს კვაჭანტირაძეს“, კრიტიკოსი აცხადებს, რომ, თუ მ. ჭავჭავიშვილს არ უწერია მარტო ცალკე ტიპებით შემოფარგვლა და მოგვცემს ქართული სინამდვილის „ადამიანურ კომედიას“, კვაჭი ქართველი ფიგარო შეიქმნებაო. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ კვაჭოს პროტოტიპებით სავსეა სინამდვილე. ამავე დროს კვაჭი ენათესავება ერემია წარბასაო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ალი არსენიშვილი, თუმცა გამოთქვამს ცოტაოდენ ბუნდოვან და გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ აზრს, მაგრამ მაინც ძირითადად სწორად აფასებს მ. ჭავჭავიშვილის ნიჭს, დიდი მოწიწებით ეგებება მისი მოთხრობების დიდ ნაწილს.

ამიერიდან მიხ. ჭავჭავიშვილის შესახებ წერას იწყებს მრავალი პიროვნება — ლიტერატორი და არალიტერატორი, მათი პოზიციები ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება კიდევ, მაგრამ ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მიხ. ჭავჭავიშვილისადმი დიდ ინტერესს.

მარტო 1925 წელს მიხ. ჭავჭავიშვილის შესახებ ქართულ პერიოდულში გამოქვეყნდა ექვსი კრიტიკული წერილი. ეს რიცხვი ცოტა როდია მწერლის შემოქმედების შესახებ წერენ: შხეფელი (მ. კინწურაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, ი. იმედაშვილი, ივ. გომართელი ქ. რაჭველიშვილი და სხვ. ეს ავტორები თავიანთ შეხედულებებს ბეჭდავენ ისეთ ორგანოებში, როგორცაა: „მნათობი“, „თეატრი და ცხოვრება“, „წიგნის მეგობარი“, „ახალი კავკასიონი“, „ახალი გზა

ჩვენ ყველა მათგანს დაწვრილებით ვერ განვიხილავთ, შევეხებით მხოლოდ უმთავოეს დებულებებს, რომლებიც თვითნაყოფი მათგანისათვის არის დამახასიათებელი.

შხეფელი (მ. კინწურაშვილი — იასამანი) მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას 1925 წელს ორჯერ გამოეხმაურა. ჯერ „წიგნის მეგობარში“ (№ 1—2, გვ. 154) და მერე — „მნათობში“ (№ 4 (12), გვ. 249). კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მ. ჯავახიშვილის I ტომის გამოსვლა დიდი ლიტერატურული მოვლენაა. ავტორი მოითხოვს, რომ ეს წიგნი ყველამ წაიკითხოს, რადგან იგი დიდ საზოგადოებას მოუტანს ყველას.

მეორე წერილში კინწურაშვილი განიხილავს მწერლის გზას — მოთხრობათა პირველი ტომი — „ჯაყოს ხიზნები“ — „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და მოსწონს ეს ნაყოფიერება, რაც ჩვენში იშვიათიაო. მ. ჯავახიშვილის ნიჭზე მკითხველ საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობსო, აცხადებს კრიტიკოსი (ჩვენ შემდეგში დავინახავთ. რომ არსებობს არა ორი, არამედ მრავალი აზრიც). ამის დასამტკიცებლად დასახელებულია „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“. რეცენზენტი აცხადებს, რომ „...ამიერიდან კვაჭი კვაჭანტირაძე ხტარცმესხმული ივლის ჩვენს სინამდვილეში, როგორც მთლიანი ტიპი, აშორდას ნათელული და ორეული...“ უანრობრივადაც ეს რომანი კრიტიკოსს გამოყრფილი აქვს როგორც ავანტიურისტული რომანი და ამ მხრივ მნიშვნელოვანი შენაძენი ქართული მწერლობისათვის: „რომლის. უანრი თავისებურია. ავანტიურისტული რომანები ქართულს ლიტერატურაში ჩვენ მცირე გვეგულება. მათში მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ შეიძლება პირველად ჩაითვალოს თავისი საერთო ლიტერატურული ღირსებით და საზოგადოებრივი მნიშვნელობით.

ასე გამოიყურება ეს ორი რეცენზია თუ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელშიც ახალი მხოლოდ ისაა, რომ „კვაჭის“ შესახებაც გამოთქმულია შეხედულება.

„ახალი კავკასიონი“ 1925 წელს (№ 1—2, გვ. 132—133) ბექდავს ქ. რაჭველიშვილის ბიბლიოგრაფიას, რომელშიც განხილულია მ. ჯავახიშვილის მოთხრობების I ტომი. შეფასება აქაც დადებითია, ქება და დიდება უსაზღვრო. „მ. ადამაშვილს აქვს შეუდარებელი ნიჭი „დანახვისა“ და ამ „ნახულის“ შესანიშნავი რელიეფობით ცხადყოფისა“.

კრიტიკოსი მ. ჯავახიშვილს ადარებს ნ. ლორთქიფანიძეს და მათი სტილისათვის დამახასიათებელ განმასხვავებელ თვისებებზე მიუთითებს: „მის (მ. ჯავახიშვილის) შემოქმედებაში არ არის ის

ლირიზში, კეთილშობილი მელანქოლია, რითაც ასე უხვად არის დატვირთული ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება. გრძობების სიტყვად ქცევის საშუალებით როდი ანათებს იგი სინამდვილეს, პირიქით, იგი თითქმის ამ სინამდვილის წინაშე სდგას გულდამშვიდებით, თითქოს ეს სინამდვილე უკარანხებს მას სიტყვას და ფერადებს. ამიტომ არის მასში უაღრესი ბუნებრიობა“. ეს საკმაოდ მოხდენილი შედარება და მის საფუძველზე მიღებული დასკვნაა.

ქ. რაჭველიშვილი სწორად შენიშნავს, რომ, მ. ჭავჭავაძის მოთხრობების მიხედვით, მკაცრი და შეუბრალებელია ცხოვრება, ადამიანიც ამიტომ მკაცრი და შეუბრალებელია. აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ მოთხრობების თითქმის ყველა გმირი იღუპება, მოთხრობები უბედურებით მთავრდება.

მწერლის გმირები ქალაქის „ფსკერს“ წარმოადგენენ, გორკის მოთხრობების გმირების მსგავსად, მაგრამ არის მათ შორის დიდი განსხვავებაც, აღნიშნავს კრიტიკოსი. ამ განსხვავებას იგი ხედავს შემდეგში: „გორკის ტაბები ფსკერზე ზემოდან ჩაცვივებულან, დაცვივებულან, ჩვენი ავტორის გმირები კი ამ ფსკერზე არიან დაბადებული, აღზრდილნი. გორკის გმირებს წარსულის მოგონება აცხოვრებს, მ. ადამაშვილის გმირების წარსული ისეთივე უნუგეშოა, რთგორიც აწმყო“.

ამ მსჯელობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენიოთ მ. ჭავჭავაძის ერთი აღიარება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გორკისთან მქონდა. შემოქმედებითი ნათესაობაო.

„მეჩქმე გაბო“ ქ. რაჭველიშვილს შედარებული აქვს კუპრინის „ჩაბა“-სთან. დასძენს, რომ ამაზე ადრეა დაწერილი ჭავჭავაძის მოთხრობა და შემდეგ წერს: „მოუხედავად ფრიად დიდი ნიქისა, კუპრინი მაინც ვერ ასცდა რეზონანორობას. მ. ადამაშვილის მოთხრობაში მსკავსი არა არის რა. ავტორი არც აქ ლალატობს თავის მანერას და შესანიშნავის ობიექტივობით გვისატავს გაბოს, მის „წიწილებს“ და „ქუქულებს“.

ეს შენიშვნები ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაკვირვებულ და მოხდენილ აზრებად, რომელიც განათლებულ, ალღოიან კრიტიკოსს ეკუთვნის.

ბესარიონ ულენტი 1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 2) ათავსებს გასული წლის ქართული ლიტერატურის მიმოხილვას — „1924 წელი ქართულ ლიტერატურაში“. აქ განხილულია რამდენიმე ქართველი მწერლის შემოქმედება, მათ შორის მ. ჭავჭავაძისაც.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ 15 წლის ღუმლის შემდეგ ქართულ მწერლობას დაუბრუნდა მიხეილ ჭავჭავაძის-ადამაშვილი. ლიტე-

რატურაში ასეთი რამ ხდება ხოლმე, მაგალითია ვიქტორ ჰიუგო. ჩვენი მწერლის დაბრუნება სიამოვნებით იყო აღნიშნული: „მან უეცრად შექმნა ფართო მკითხველის აუდიტორია და მოიპოვა საერთო სიმპათია“.

ამ ფაქტის კონსტატაციის შემდეგ ბ. ჟღენტი იხილავს ორ ნაწარმოებს — „კვაჭი კვაჭანტირაძის“ და „ჯაყოს ხიზნებს“, რომლებიც 1924 წ. დაიბეჭდა „მნათობის“ ფურცლებზე. ეს ორივე ნაწარმოები კრიტიკოსს მიაჩნია „სეზონის მოვლენად“. მიუხედავად ამისა. შიომხილველი აკეთებს კრიტიკულ შენიშვნებს. უპირველესად ეს შენიშვნა შეეხება „კვაჭი კვაჭანტირაძის“ სტილს. ბ. ჟღენტი მოითხოვს რიტყვის ეკონომიურობას, ტელეგრაფის სტილს. ეს სტილი მიაჩნია თანამედროვე მწერლობის „შესაფერისად“. „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ კი სიტყვა აღებულია ამ პრინციპის გარეშე“, — წერს კრიტიკოსი. შემდეგ მოაქვს ამონაწერები რომანიდან, რათა დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. ამონაწერების შემდეგ ბესო ჟღენტი ასკვნის, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დატვირთულია აღწერილობითი ლაფსუსით, რომ ამ ნაწარმოებში ხშირია „წვიმა, რომელიც შეიძლებოდა არც მოსულიყო“.

საყურადღებოა, რომ კრიტიკოსი „კვაჭის“ უნარს განსაზღვრავს როგორც ავანტურისტულ რომანს და აცხადებს, ასეთი უნარის ლიტერატურას ჰყავს მძლავრი კონკურენტი კინოს სახით, რადგან აქ უმთავრესი მოქმედებააო. ამიტომ მას ასეთი უნარის პერსპექტივა პრობლემატურად მიაჩნია. ამას მოსდევს ისეთი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება წინა მსჯელობაში გამოთქმულ შენიშვნას. ზემოთ კრიტიკოსი მოითხოვდა „ტელეგრაფის სტილს“ (ეს კი დინამიკას, მოქმედებას გულისხმობს უეჭველად), ახლა კი აყენებს მოთხოვნას, რომ დინამიკა კინოს ხვედრია, რომანმა თავისი ფორმა უნდა მოძებნოს და მხოლოდ ასე შეძლებს რომანი შეუცვლელი დარჩეს სხვა რომელიმე ხელოვნების მიერ: „თანამედროვე რომანი უნდა შეჩერდეს ისეთ ფორმაზე, რომელიც საუკუნით დაეყრდნობა სიტყვას, და ამრიგად შეუცვლელი იქნება სხვა რომელიმე ხელოვნებისაგან“. თუ არ ვცდებით, სწორედ წინააღმდეგობაა კრიტიკოსის მსჯელობაში.

ბ. ჟღენტი აღნიშნავს აგრეთვე სიუჟეტურ ნაკლს. რომ იგი ხშირად ლეგენდარულ და ანეგდოტურ ფაქტებზე ემყარება, გარდა ამისა ხშირად მეორდება ერთი და იგივე „მოგონილი ინტრიგა“, რაც ფაბულურ მონოტონურობას ჰქმნის. ამავე ნაკლს კრიტიკოსი შენიშნავს „ტარზანსაც“.

ბოლოს მაინც რომანი შეფასებულია დადებითად და განცხა-

დებულება, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ლიტერატურის სინამდვილეში“.

გაცილებით მაღალ, უშენიშვნო შეფასებას აძლევს ბესარიონ ჟღენტი მ. ჯავახიშვილის მეორე რომანს „ჯაყოს ხიზნებს“, იგი მი-აჩნია „დღეფქტებისაგან სავსებით დაწმენდილად“. ეს ნაწარმოები ემყარება სავსებით რეალურ სიუჟეტს, მასში წარმოდგენილია სა-ქართველოს ცხოვრების უკანასკნელი წლები, ამ პერიოდს ჯერ არა-ვინ შეხებია, ხოლო მ. ჯავახიშვილის მიერ კარგადაა გამოყენე-ბულიო.

თეიმურაზ ხევისთავის, როგორც ტიპის, ხასიათის გახსნისას კრიტიკოსი წერს: „გარდამავალი (ე. ი. „წარმავალი“ — ტ. კ.) წოდე-ბის უკანასკნელი თაობა, რევოლუციური იდეებით გატაცებული, მაგრამ დამფრთხალი და განადგურებული რევოლუციურ პრაქტიკის მიერ, მთელი თავისი კუროზული ყოფა-ცხოვრებით, საკმაოდ გარ-კვეული შტრიხებითაა მოცემული თეიმურაზ ხევისთავის პერსო-ნაში“.

კრიტიკოსს ჯაყო მიაჩნია ტიპიურად, მას ახასიათებს როგორც ყოველივე იდეების გარეშე მდგარ, ტლანქ და უხეშ არსებად, რო-მელიც სარგებლობს შემთხვევით და კარგად იყენებს გარდამავალ პერიოდს. ასეთი ადამიანები ხშირად გვხვდებოდა თანამედროვეობაში. დასძენს ბ. ჟღენტი, მაგრამ იქვე სწორადაა შენიშნული „ასეთი“ შემთხვევითი ჰეგემონების „წუთიერება და უნიადგობა საზოგა-დობრივი ცხოვრების ზედაპირზე“. „ჯაყოს ხიზნებს“ ბ. ჟღენტი გაცილებით მაღლა აყენებს სტილითაც და საერთოდაც, ვიდრე „კვაჭი კვაჭანტირაძეს“. ჩვენი ფიქრით, ამ დასკვნაში კრიტიკოსი სრულიად შართალია.

საყურადღებოა ბ. ჟღენტის მსჯელობის ბოლო სტრიქონები ჩვე-ნი მწერლის შესახებ: „ამ ნაწარმოებით (იგულისხმება „ჯაყოს ხიზ-ნები“ — ტ. კ.) ჯავახიშვილი-ადამაშვილი დამკვიდრდა როგორც ერ-თი ძლიერი, რეალისტურ შკოლის ბელეტრისტი. ამ მხრით მას ეხლა საქართველოში მეტოქე არა ჰყავს“.

იოსებ იმედაშვილს (იოსებ არიმათელი) მიაჩნია, რომ „ჯაყოს ხიზნები“ — ახალი თარიღია (იხ. ჟურნალი, „თეატრი და ცხოვრე-ბა“, 1925 წ., № 11, გვ. 13). ეს რომანი იმის მომასწავებელია, რომ „მწერლობის გაკრიატებული ცა გაშუქდა... სამწერლო აზროვნებას ნათელი ზოლი გაევილა...“

კრიტიკოსს მიაჩნია, რომ „ჩვენი თანადროულობის გასაცნო-ბად, ცხოვრების „სიგრძე-სიგანის“ შესაცნობად, არა მარტო თი-თოეული გმირის, არამედ მთელი ჩვენი ერის ავ-კარგის, ვეების წარ-

მოსადგენად საკმარისია „ჩაყოს ხიზნების“ გადაფურცვლა... ცხადია, აქ საქმე ცოტა გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი, რადგან ვერცერთი რომანი, მათ შორის „ჩაყოს ხიზნებიც“ ვერ იტვირთავს ამდენ რამეს, მაგრამ მინიშნება კი ზუსტია.

შემდეგ კრიტიკოსი ეხება ერთ მტკივნეულ საკითხს — თეიმურაზისა და მარგოს ასე დამდაბლებულად დახატვის ფაქტს. ამის გამო შეიძლება ზოგი გაბრაზდეს კიდეცო, ასეთები არ გვეყვსო და ა. შ. მაგრამ ი. იმედაშვილი ასეთ მკითხველებს სწორ პასუხს თავაზობს: „მაგრამ ნუთუ თეიმურაზი და მარგო იმ უცხო ნიადაგზე არ აღიზარდნენ, რომლებმაც ჩვენი ერის ჩვეული გამტანობა მოადუნა?! და მეორეც: განა ავტორი დადებით მხარეს არ აღგვიწერს?!...“

„ავტორი გვასწავებს არა „გმირთა“ სულის ვითარებაში, არამედ გარიყულთა ყოფა-ცხოვრებაში. ეს არის უუმახვილესი ნესტარი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიურ, საზოგადოებრივ-ფიზიოლოგიურ და ფსიქო-ფილოსოფიურ რაობას — დიდი ხნის წყლულს მიზანში მოხვდა“. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ, რაკი დაძებნილია ავადმყოფობის მიზეზი, მკურნალობაც გაადვილდებაო.

რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ რომანს, ავტორს მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვითო, აცხადებს ი. იმედაშვილი. აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი „ჩაყოს ხიზნებს“ საერთოდ: „აზროვნება ნათელი და გარკვეული, ისტორიული თვალსაზრისი სწორი და თანდროულობის დაკვირვება ნამდვილზე ნამდვილი, აღსრულება მაღალმხატვრული, ენა — მთის მწვერვალიდან მოკამკამე ანკარა წყარო, მზის სხივებით აგვირისტებული...“

კრიტიკოსი აცხადებს, რომ ეს რომანი დარჩება როგორც ჩვენი დროის სწორუპოვარი ძეგლი. მაგრამ ეს არ კმარა, მწერლისაგან კიდეც მეტს მოველითო, ამთავრებს ი. იმედაშვილი.

ივანე გომართელი 1925 წელსაც უყურადღებოდ არ ტოვებს მ. ჭავჭავაძის შემოქმედებას და ჟურნალ „ახალ გზაში“ (№ 16 და № 17) ბეჭდავს კრიტიკულ წერილს — „ჩაყოს ხიზნები და ჩვენი ცხოვრება“.

სათაურიდანვე ჩანს კრიტიკოსის განზრახვა — გვიჩვენოს, თუ რომანი „ჩაყოს ხიზნები“ რამდენად სწორად ასახავს ჩვენს ცხოვრებას. მთელი წერილი საუკეთესო პასუხის გაცემა დასმულ საკითხზე. ივანე გომართელს ზედმიწევნით და ზუსტად, მოსწრებულად გაუაზრებია ეს ნაწარმოები, მასში ნაჩვენები ეპოქა, ტიპების თავგადასავალი, მათი ხასიათებისა და ქცევის გამომწვევი გარემოებანი და ყოველივე ამაზე მოხდენილი და მართალი მსჯავრი გამოუტანია.

ამ წერილში გვხვდება ზოგი ისეთი ადგილი, რომელიც იმდენად

კარგად და პროფესიონალურად მალალ დონეზე დაწერილი, რომ გაგაოცებთ კიდევ. აი თუნდაც ეს ადგილი, რომელიც ექიმ-კრიტიკოსს თავისებურად, მაგრამ ზუსტად გაუზარებია: „მიხ. ჯავახიშვილი არის ანატომი, რომელიც ჰკვეთს ქართველი ერის სხეულს. რადგანაც ეს სხეული განვითარების დუღილშია. ადამაშვილი მტკიცედ, სასტიკად, გაბედულად და შეუბრალებლად სჭრის და აცლის ამ სხეულს ყოველივეს, რაც იმის განვითარებას ხელს უშლის, წინ ეღობება“. მართლაც, განა ხევისთავისა და მარგოს, ნახევრად მხეცი ჯაყოს მაგვარი წყლულების ჩამოშორება ქართულ „ეროვნულ სხეულს“ არ გამოაჯანსაღებდა?! ცხადია, რომ კი.

ივ. გომართელი მეცნიერულად სწორად გაიაზრებს რევოლუციის წინა ეპოქის ძირითად ნიშნებს: რევოლუციამდე ჩვენს ცხოვრებაში გაბატონებული იყო თავადაზნაურობა, ამიტომაც პირველობა მის ინტელიგენციას ეკუთვნოდა. თავადაზნაურობას ესაჭიროებოდა ბურჟუაზიის ჯიბე, ბურჟუაზიას კი უნდოდა ბატონობა, ამიტომ ეს ორი კლასი ერთმანეთში რიგდებოდა — ერთი უნაწილებდა ფულებს, მეორე კი — უფლებებს. ორივე ერთად კბ ფცქვნიდა მუშებს და გლეხებს და ნადავლს იყოფდა. ამის გამო თავადაზნაურული ინტელიგენცია მუდამ ორ სკამზე იჯდა. მისი თავადაზნაურული სულისკვეთება შეზავებული იყო ბურჟუაზიული ოცნებით.

ასეთი ინტელიგენციის წარმომადგენლად ივ. გომართელს მიაჩნია თეიმურაზ ხევისთავი, რომელმაც ბევრი რამ იცის, დიდად განათლებულია, მაგრამ თავისი ვასავლებისა და შემოსავლების საზღვრები კი არ იცის. იგი მოურავისთვის მიუნდვია. თვითონ კი კრებები, სხდომები, წერა, ლაპარაკი აურჩევია ცხოვრების იდეალად.

„ენის კულტურული ქაგილი და ლაყბობის მუნი — აი, რა აბასიათებს უპირველეს ყოვლისა თეიმურაზ ხევისთავს“, — წერს ივ. გომართელი.

თეიმურაზი ოცნებობს მომავალზე, ძმობაზე, ერთობაზე, თავისუფლებაზე. მაგრამ თვითონაც არ ესმის თუ როგორ, ეს მასში გადახარშული კი არ არის. არამედ ინტელიგენტური სამკაულია.

მოხდა რევოლუცია, დაიწერა ძველი ცხოვრება და ამ „გმირს“ ნიადაგი გამოეცალა. ამიერიდან გამოაშკარავდა მთელი მისი უმწეობა და უბადრუკობა. ადამიანის ნაცვლად იგი ჩვენს წინაშე წარმოდგაროგორც კაცუნა, რომელსაც გულის მაგივრად ჩვარი უდევს. რომელსაც არც ნებისყოფა, არც ძალა არ გააჩნია.

როცა თეიმურაზი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, მას დახვდა ძველი ცხოვრების აწყობილი მექანიზმი, იგი მტკიცედ იდგა იმ ცხოვრებაზე, მეტიც — სჭეროდა, რომ თვითონაც მონაწილეობდა

ძველი ცხოვრების მშენებლობაში. როცა ძველი დაინგრა და საჭირო იყო ახალი ცხოვრების შენება, ამ უხერხემლო ინტელიგენტს, ძველ საზოგადო მოღვაწეს, არც გული აღმოაჩნდა, არც საჭირო სიმტკიცე და ნებისყოფა. ახალი ცხოვრებისათვის იგი მოუშზადებელია, გარიყული და ზედმეტი ადამიანია.

თეიმურაზის ტრაგედია ისაა, რომ იგი თვითონაც გრძნობს ყოველივე ამას, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს. თავის დახრჩობით აძირებს ყოველივეს დამთავრებას, მაგრამ აქაც თავს იჩენს მისი სილაჩრე. ძველ ცხოვრებასთან ერთად თეიმურაზისათვის ყველაფერი გათავდა.

„შენა გაიღვიძებდე! გაიგებდე, რომ ზაკონის დრო აღარ არის! წინათ თქვენა წერდებოდეთ ზაკონსა, ეხლა კი მორჩებოდით და ჩაძალდებოდით!“ — მოაქვს ივ. გომართელს თეიმურაზისადმი მიმართული ჭაყოს ეს მკვახე სიტყვები და თან დასძენს, რომ „უკეთესი სიტყვის გამონახვა თეიმურაზის მდგომარეობის გამოსახატავად, მართლაც, შეუძლებელია“.

საინტერესოა ივ. გომართელის წერილის ის ადგილიც, სადაც კრიტიკოსი ერთგვარ პარალელს ავლებს ილია ჭავჭავაძის არჩილსა და მ. ჭავახიშვილის თეიმურაზს შორის. აქ გასახსენებელია არჩილის სიტყვები კუტუბურისა და გიორგისთანა პურის შესახებ, შექმნილისა და გაკეთებულის, დაბლანდულისა და გვირისტით ნაკერის შესახებ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ თეიმურაზიც, ილიას არჩილის მსგავსად, დონდლოა, დუნეა და არა ჩაკირული... განსხვავება ისაა, რომ იგივე განწყობილება მ. ჭავახიშვილის მიერ „ჭაყოს ხიზნებში“ უფრო ვრცლადაა გაშლილი, გაშუქებული, უფრო მკაფიოდაა ნაჩვენები ამ ინტელიგენციის მთელი უმწეობა, უზადრუქობა და კუტუბურობა.

ილია ჭავჭავაძის დროს არჩილებს არსებული წყობილება მაინც უმაგრებდა ნიადაგს და ამიტომ ისე აშკარად არ ჩანდა მათი დონდლობა და ცივისისხლიანობა, თეიმურაზ ხევისთავს კი ფეხქვეშ გამოეცალა ის წყობილება, რომელზეც იგი იდგა და ამიტომ მისი უმწეობა და კუტუბურობა ასე აშკარად გამოჩნდა.

ივანე გომართელი კარგად ხედავს, რომ რომანში ავტორი თეიმურაზს უპირისპირებს ჭაყო ჭივაშვილს, რომელიც უფიცი, გაუნათლებელი, ხეპრე და მოუხეშავია, მაგრამ მტკიცე, ჩაკირული, მთლიანი, ურყევი, მძლავრი, მაგარი, რკინის კუნთებიანი, ენერგიული და ფხიანი. იგი მოქნილიცაა — იცის, როდის რა უნდა აკეთოს, და ამიტომ, საითაც არ უნდა გადაავდოთ, მაინც ფეხზე დადგება. მისი ერთადერთი მიზანია პირადი კეთილდღეობა და, რისი ჩადენაც

არ უნდა დაჰვირდეს, არაფერს დაერიდება, ოღონდ ეს მიზანი შეის-
რულოს.

ის თავის სასარგებლოდ იყენებს ახალ დროს, თეიმურაზის-
მთელ ქონებას ხელში ჩაიგდებს, მის ცოლსაც დაეპატრონება: ჭაყოს
არ გააჩნია არავითარი კეთილშობილება, ზნეობრივი საზომი მის-
თვის არ არსებობს, მხოლოდ პირადულზე ზრუნვაა მისი უმაღლესი
კანონი.

ავტორი სწორად ათქმევინებს თეიმურაზს, თუ ვინ არის ჭაყო,
რას წარმოადგენს იგი. აქ მოცემულია ამომწურავი დახასიათება ამ
დათვისა, ბანჯგვლიანი ოთხფეხისა:

„—ჭაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც-
კი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნა-
ღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუნი ხარ, მისი
წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბაღლინჯო და ტილი“. ამ ადგილს
კრიტიკოსი ხაზს უსვამს და სწორად ხედავს ამ სტრიქონებში ჭაყოს
პორტრეტს, მის არსებას.

ჭაყო გაიძახის: „ებლა მე გწერ კანონებსა შენა! ჭაყო გწერს
კანონსა, ჭაყო! მაშ, მაშა...“ მაგრამ ეს მართალი არ არის, ჭაყო
არავითარ კანონს არ წერს, იგი მიტმასნილია და მას მალე იშორებენ
კიდეც. ჭაყო არაა ახალი ცხოვრების ნამდვილი წარმომადგენელი,
იგი მხოლოდ დიდი ძვრებისათვის დამახასიათებელი სიძნელეების
ანგარებით გამომყენებელია. ჭაყოს პარაპში ხანმოკლეა, რევოლუცია
მას მალე გამოუტანს მართალ სამართალს.

მარგო კრიტიკოსს მიაჩნია თავისი კლასის გარკვეული ნაწილის
ტიპიურ წარმომადგენლად. ისიც, თეიმურაზის მსგავსად, ნიადაგ-
გამოცლილია, გზადაკარგულია, უმწეოდ ქცეულია. მიუხედავად
ამისა ივ. გომართელს მიაჩნია, რომ „ვნებიანი ღმუილი სრულებით
არ იყო საჭირო“.

ივ. გომართელი რომანის ანალიზის შემდეგ აკეთებს საერთო
დასკვნებს იმის შესახებ, რომ თეიმურაზის ფსიქოლოგია რთულია,
ავტორი ოსტატურად გვიხატავს მის საშინელ ტრაგედიას. „ფსიქო-
ლოგიის გაშუქებაში მიხ. ჭავახიშვილი დიდი ხელოვანი და იშვიათი
ოსტატია, ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილისა
ჭერ არვის მოუცია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. „ჭაყოს ხიზ-
ნები“ არის სატირა ჩვენი თავადაზნაურული ინტელიგენციისა, სა-
ტირა უღმობელი, სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ ამავე დროს
მიხ. ჭავახიშვილი მიუღდომელი და სრულიად ობიექტურია“. ასეთია
ის სწორი და კვალიფიციური შეფასება, რომელიც ივ. გომართელმა
მოგვცა მ. ჭავახიშვილის „ჭაყოს ხიზნების“ შესახებ.

1926 წ. გაზეთ „კომუნისტის“ 68-ე ნომერში დაიბეჭდა მამია ორახელაშვილის წერილი „გამარტივება თუ გართულება“. ამ წერილში ავტორი ესება მის. ჭავჭავიძელსა და გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ მწერალმა იხმარა ორი განდევნილი ასო (მ. ჟ) და სხვებთან ერთად „ეს უზარმაზარი წისქვილის ქვები“ ხელახლა შემოაგორა ქართულ ანბანში“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე სიმაღლიდან სადავო აღარ არის ამ ასოების ხმარების ზედმეტობა და კარგა ხანია ეს დავა გადაჭრილია, მაინც საინტერესოდ მოჩანს ის ფაქტი, რომ მ. ჭავჭავიძელმა არა მარტო იხმარა ეს ასოები. არამედ შემდეგში შეეცადა კიდეც ცდილიყო დამტკიცებინა მათი ხმარების გამართლება. ამ მიზნით იმავე წლის № 109 „კომუნისტში“ მწერალი აქვეყნებს მ. ორახელაშვილის საპასუხო წერილს — „არც გამარტივება, არც გართულება“.

ამ წერილში მ. ჭავჭავიძელი ასეთ პოზიციასზე დგას: „ეარწმუნებ წერილის ავტორს, რომ მე უღრმეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ მკითხველის წინაშე, და ვგრძნობდი მაშინაც, როცა ზემოხსენებულ ორ ასოს ვხმარობდი. მიუხედავად ამისა, ან სწორედ ამიტომ. მე და ზოგ სხვასაც ოღონდაც სადისკუსიოდ მიგვაჩნია გასადევნად განწირული ასოების ბედი“. მომდევნო მსჯელობით მ. ჭავჭავიძელი ცდილობს დაამტკიცოს თავისი პოზიცია. თუმცა ამის დამტკიცება ძნელი საქმეა.

ჩვენ არ შეგვიძლია გადამწყვეტი სიტყვა ვთქვათ ენათმეცნიერების სფეროს ამ მნიშვნელოვან საკითხში. მაგრამ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერულად გადაჭრილ და დასაბუთებულ აზრს, რომ ეს ასოები თანამედროვე ქართულისათვის მართლაც ზედმეტია, მეორეც, მიუხედავად მ. ჭავჭავიძელის საინტერესო და გონებაბამხვილი მსჯელობისა, მისი პოზიცია სუბიექტური უფრო არის.

საკმაოდ სწორად და მართებულად გაიგო „თეთრი საყელოს“ იდეა თავის ბიბლიოგრაფიაში ბ. ქლენტმა (ხელს აწერს ბ.) (იხ. „მნათობი“ № 7 (27), 1926 წ., გვ. 255). კრიტიკოსი აცხადებს, რომ „თეთრ საყელოს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია მის. ჭავჭავიძელის შემოქმედებაში. იდეოლოგიურად აქ მეტად საყურადღებო პრობლემაა წამოყენებული: ფსიქოლოგიური ბრძოლა ქალაქურ ცივილიზაციასა და სოფლის მყუდროებას შორის“. აქ გაკეთებულია შედარებები რუსოს და შპენგლერის მოსაზრებებთან, აგრეთვე ქართველ ექსპრესიონისტებთან და შემდეგ გამოტანილია: დასკვნა. რომ „...ამ ბრძოლის დასასრული თეთრი საყელოს გამაჩვენებაა“.

ამ საკითხზე ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ მწერლის ჩანაფიქრი სწორად არის გაგებული — ცივილიზაცია იმარჯვებს პრიმიტიულ ცხოვრებაზე. ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ შემდეგში შევჩერდებით.

„ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ ცხარე კამათი გაიმართა 1927 წელსაც. საინტერესოა ს. ჯანტურიშვილსა და სვ. ყიფიანს შორის გამართული პაექრობა, რომელსაც მკაცრი ტონი და ცოტა უხეშობაც ახასიათებს.

ამ რომანის შესახებ ს. ჯანტურიშვილმა თავისი აზრი გამოთქვა „ახალ გზაში“ (№ 2, 1927 წ.), ხოლო მასზე საპასუხოდ სვ. ყიფიანმა „ქართულ მწერლობაში“ (თებერვლის ნომერია) იმავე წელს დაბეჭდა თავისი „უმსგავსო ბიბლიოგრაფია (პასუხად ს. ჯანტურიშვილს) ამ საპასუხო წერილის განხილვით ცხადი ხდება ჯანტურიშვილის ბიბლიოგრაფიის ძირითადი მოსაზრებაც, ამიტომ ჩვენც საკითხს ამ გზით მივუღებთ.

„წავიკითხე და დავხუტე“ — გეგონებათ ლ. ტოლსტოი გელაპარაკებო. შეძღვე კი მთელ წერილს რომ წაიკითხავთ, ტუჩზე მწარე ღიმილი ავითამაშდებათ. ხელში შეგრჩებათ მხოლოდ სამი სიტყვა: „უმსგავსო“, „უხეში“ და „ბრიყვი“. ასეთი დაუსაბუთებელი გინება და ყვირილი შეჰფერის უმიზეზოდ გაბოროტებულსა და შეურაცხყოფილ ადამიანს და არა „კრიტიკოს“ და „ლიტერატორს“ ჯანტურიშვილს. ამგვარად წამოიწერის უზრდელ სიტყვებს მხოლოდ ის, ვისაც მწარედ უჩხვლიტეს გულში“. ასეთ შეფასებას აძლევს სვ. ყიფიანი ს. ჯანტურიშვილს და, თუმცა თვითონაც საკმაოდ უხეშობს და იგინება, მაგრამ მაინც რომანი სწორად აქვს გაგებული.

სვ. ყიფიანს მიაჩნია, რომ მ. ჯავახიშვილის „ახალი სიტყვა“ ამ რომანში იმალება არა იქ, სადაც „ჯანტურიშვილები ეძებენ“, არამედ სულ სხვაგან: „ჯაყოს ხიზნების“ ახალ სიტყვას შეადგენს არა სექსუალობის საკითხი. ანდა საჭიროება სოფლად სკოლებისა და კოოპერატივების მოწყობისა, არც იმისი მტკიცება. რომ თავად-აზნაურობა დრომოკმული კლასია, არა! მ. ჯავახიშვილი თავის ნიჭს ამ თეზებზე არ დაახურდაცვებდა, აქ ბევრი დრომოკმული საკითხია. მ. ჯავახიშვილის მთავარი სიტყვა გარკვევით გვეუბნება შემდეგა: ფიზიკურად თუ სუსტი ხარ და სულთ თუ მართო ოცნებათა სფეროში დაჰფრინავ, რაც გინდა პატიოსანი და გულით სპეტაკი ადამიანი იყვე, ცოლსაც წაგართმევენ, სახლსაც, კარსაც, ლუქმაპურსაც და ამასთან კისერზე მოგაჯდებიან ისე მაგრად, რომ მუხლებში ჩაიკეცავ და წელში გაილუნება და ამას გიზამს სწორედ „ბანჯგვლიანი, ცხენის კბილებიანი და შუბლგატყეპილი“ მხეცი, ბინძური ჯაყო“.

შემდეგ დასძინს სვ. ყიფიანი, რომ მ. ჭავჭავიძე იღობა ეს ახალი სიტყვა შესაძლოა თქვა რამდენადმე მძაფრი შტრიხებით, მაგრამ თქვა გარკვევით და მძლავრად. შეიძლება ეს სიტყვები ყველას გულზე მოგვხვდეს, მაგრამ ამით არ დავკოდლივართ, ამიტომ ეს რომანი ზვენიში მიჩნეულია მწარე, მაგრამ გამკურნავ წამლად, ხოლო, ვინც ამ ნაწარმოებს ზურგში ქვას ესვრის, ის, ალბათ, თეიმურაზ ხევისთავში თავის თავს ხედავს.

ჩვენ დავინახეთ ამ ორი მოპაექრის პოზიციები. თუ ს. ჭანტურიში ხელალებით აგინებს „ჩაყოს ხიზნებს“ და გამოთქვამს უსაფუძვლო და მცდარ მოსაზრებებს, რაც რომანის არაობიექტური და შტრული განხილვის შედეგად მოჩანს, სამაგიეროდ სვ. ყიფიანი მახვილი თვალთ შენიშნავს რომანის ძირითად აზრს და, თუმც მოკლედ, მაგრამ მოსაზრებულად გამოაქვს ის დასკვნა, რომელიც ნაწარმოების პირუთენელი განხილვის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ.

მართლაც, თეიმურაზ ხევისთავისა და მარგოს გადაგვარებაში მ. ჭავჭავიძე იღობა განა დაუნდობლად არ ამხილა ამ კლასის ინტელიგენციის ერთი ნაწილის სრული უსუსურობა და უნიათობა, გადაგვარება და გახრწნა, დილაჩრება და დაჩიავება? ამავე დროს ჩაყო — ეს უხეში და მხეცური ინსტინქტისა და გარეგნობის ნახეკრად აღაშინი, გაუმადლარი და ხარბი, მორალის ნორმებს გარეშე მდგარი არსება განა არ აერთიანებს ტიპურ ნიშნებს იმ ნაძირალებისა და წამგლეჯებისა, რომლებიც ხელს ითბობენ ხოლმე დიდი ძვრებისას და ყველაფერს თავის ეგოიზმსა და გაუმადლარი სურვილების დაკმაყოფილებას უქვემდებარებენ, — „ამღვრეულ წყალში თევზს იჭერენ“?!

ცხადია, სვ. ყიფიანი სწორ პოზიციასზე დგას, თუმც ისიც დაზღვეული არაა იმ უხეშობისაგან, რომელზედაც ს. ჭანტურიში უყიფინებს. თუ გავიხსენებთ, რომ ს. ჭანტურიში მენშევიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო და აღდენად თ. ხევისთავის სულიერი ძმა და მეგობარი, გასაგები გახდება ამ „კრიტიკოსის“ ესოდენ გაცხარების მიზეზი. ძმა ძმას გამოეკომავებოდა...

1928 წელს „მნათობში“ (№ 3) გამოქვეყნდა ალექსი ოჩიაურის თავისებური წერილი „თეთრი საყელო“ და ხევსურეთი“, რომელშიც ავტორი გვიყვება იმის შესახებ, თუ როგორ ავიდა ხევსურეთში და იქ ხევსურებმა კინაღამ გალანძღეს: წაიკითხე „თეთრი საყელო“? ვინ დაწერა? ვინ დაამახინჯა ჩვენი ცხოვრება, ვინ გაგვლანძღა? თუ წაი-

კითხე, რატომ პასუხი არ გაეცით. ოჩიაურიც დაპირებია თავის თანამოძმეთ და აი ამ წერილში პასუხს აძლევს მ. ჭავჭავაძის.

ა. ოჩიაური აღწერს ხევსურთა წესებს ქალის გათხოვებაზე, წაწლობაზე, კაცის კვლაზე და მის საზღაურზე და ა. შ. ყოველივე ამას, ე. ი. ეთნოგრაფის სიზუსტით აღწერილ ადათ-წესებს უდარებს რომანში ასახულს და გამოაქვს თავისი მსჯავრი — ეს სწორად გვიჩვენა მწერალმა, ეს დაამახინჯაო და ამიტომ... „თეთრი საყელო“ ამდენ ნაკლს შეიცავს, რაჟი ცხოვრებას დამახინჯებულად გვიჩვენებსო.

ბუნებრივია, რომ ა. ოჩიაური მცდარ პოზიციაზე დგას. მას არ ესმის მხატვრული პროზის ის ელემენტარული კანონი, რომ მწერალი ფოტოგრაფი არაა, მას შეუძლია გადახვევები გააკეთოს ეთნოგრაფიული სიზუსტიდანაც; მის მთავარ ინტერესს ამ დეტალების ზუსტი ჩვენება კი არ შეადგენს, არამედ მთავარი იდეის სწორი გახსნა და გადაწყვეტა, რომ კონკრეტულად „თეთრი საყელოში“ ხევსურეთი მხოლოდ ფონია, ვაჟიკა, ჭურხა და სხვები გამოგონილი არიან და ა. შ. მ. ჭავჭავაძის ეთნოგრაფიული ნარკვევი რომ დაეწერა, ა. ოჩიაურის შენიშვნები მაშინ ანგარიშგასაწევი იქნებოდა.

Stein-ი თავის ბიბლიოგრაფიაში („მნათობი“ № 5—6, 1928 წ.) განიხილავს იპ. ვართაგავას წიგნს „მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედება“, რომელიც თბილისში გამოიცა 1928 წელს. კრიტიკოსი ლანძღავს იპოლოტე ვართაგავას, მიწასთან ასწორებს მის წიგნს. არ მოსწონს არც მისი მეთოდი, არც ცალკეული დებულებები. ბიბლიოგრაფიის ავტორი გაბრაზებულია იმის გამო, რომ იპ. ვართაგავა უმეტესად აქებს მ. ჭავჭავაძის, მასში ხედავს ბედნიერ გამონაკლისს და იმედს ამყარებს მის მომავალზე.

Stein-ი არც ამ აზრს იზიარებს და დამცირებულად მოიხსენიებს მ. ჭავჭავაძის.

ერთი შეხედვითაც, ერთი გადაკითხვითაც კი ნათელი ხდება Stein-ის მცდარი პოზიცია და მისი ღვარძლიანობა. ჩვენ ამ საკითხზე სპეციალურ მსჯელობას არ შევუდგებით, მაგრამ განვიხილავთ იპ. ვართაგავას ზემოაღნიშნულ წიგნს და ნათელი გახდება ჩვენი თვალსაზრისი Stein-ის მიმართაც.

აღნიშნულ წიგნში¹ იპ. ვართაგავა განიხილავს 1927 წლამდე დაწერილ მიხეილ ჭავჭავაძის თითქმის ყველა ნაწარმოებს, გარ-

¹ ესარგებლობთ 1958 წელს თბილისში გამოცემული წიგნის სპეციალურ ნაწილთ, სადაც მთლიანად შეტანილია 1928 წ. გამოცემული წიგნი. იპ. იპ. ვართაგავა, კრიტიკული წერილები, I, 1958 წ., თბილისი, გვ. 266—309.

და „კვაკი კვაქანტირახისა“. განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობს იგი „ჩაყოს იიზნებსა“ და „თეთრ საყელოს“; აგრეთვე საგანგებოდ მსჯელობს ე. წ. „სქეპის პრობლემის“ შესახებ „ოქროს კბილის“, „პატარა დედაკაცისა“ და „მუსუსის“ მიხედვით.

სადავოა ამ დებულების სისწორე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსი ქართველ მწერალთა ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას მეტი უნარისა და ნიჭის გამოჩენას. ვიდრე მომდევნო წლების მანძილზე, ე. ი. ქართველ მწერლებს არ ემჩნევათ ხოლმე ზრდა, წინავლათ. გამოჩაყლისს წარმოადგენს მ. ჭავჭავიძე, რომელიც დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა თანდათან და განუწყვეტლივ იზრდება, მისი ნიჭი იფურჩქნება — წლიდან წლამდე უკეთეს, დახვეწილ, სრულყოფილ ნაწარმოებებს გვიწერსო. მ. ჭავჭავიძელის მიმართ კრიტიკოსი სწორ პოზიციასზე დგას, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვივით ამ მოსახრების პირველი ნახევრის შესახებ.

განა ილია, აკაკი, ვაჟა, როგორც იპოლიტე ვართაგავას ჰგონია, გამოდგებიან იმის მაგალითად, რომ მათი ნიჭი „ერთს მაშხალასავით სწამოდ, ლამაზად, ფერადოვნად იფეთქებს. გაანათებს, და შექმნის უცბად მაშხალასავით ქრება და იფერფლება“? განა სწორედ ამ გოლიათების ნიჭი და ნაღვაწი დღესაც არ გვინათებს და მომავალშიც არ გაუნათებს თაობებს? ვფიქრობთ, ამას დავა არ სჭირია.

აგრეთვე გაუმართლებლად მიგვაჩნია იმისი ცდა, რომ დაასაბუთოს ამ ზრდისა და განვითარების უქონლობა. თუ ადრე, რევოლუციამდე. ამ ფაქტს იმით ხსნიდნენ, რომ მწერლებს არ ჰქონდათ გასაქმანი, სამოღვაწეო ასპარეზი, რადგან რუსეთის ცარიზმი მაჭლაჭუნასავით აწვა მათ და იძულებულნი იყვნენ სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა საქმიანობის მოეციდათ ხელი, დღეს. როცა ყველა პირობა შექმნილი აქვს ჩვენს მწერლებს, რაღა აფერხებს მათ ზრდასა და წინსვლას, რატომ უცებ აენთებიან და იფერფლებიანო, ამბობს იგი და ამის მიზეზად იპ. ვართაგავა ასახელებს უცნაურ, არამეცნიერულ საბუთს: „მთავარი მიზეზი ასეთი მოვლენისა არის ჩვენი — ქართველების ძირითადი ტემპერამენტის თავისებურება, რომელიც საერთოდ მელაენდება აფექტურ ალგუნებაში“. ცხადია, ამ აზრის გაზიარება ძალზე გაჭირდება. ისტორიის გრძელ გზაზე რა გადაარჩინდა ჩვენს ხალხს, მისი ძირითადი ნიშანი „აფექტური ალგუნება“ რომ ყოფილიყო და არა გონებისა და ფიზიკური ძალების, სულის სიმტკიცისა და გამჭირიანობის, შრომისა და გარჯის, ბრძოლისა და გაჭირვებაში გამძლეობის უნარი!

იპ. ვართაგავას ამ წიგნში ახასიათებს გატაცება პარალელების

დებნით, ოღონდ ისე, რომ არ ასაბუთებს თავის მოსაზრებას. მაგ, „ჩანჩურასა“ და გოგოლის „შინელს“ შორის კრიტიკოსი საერთოს ხედავს მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ნაწარმოებში დაჩაგრული-სადმი თანაგრძნობაა გამოხატული. ეს საბუთი არ კმარა. ასე რომ განვაგრძოთ, რაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში სიყვარულის შესახებ ნაწარმოები დაწერილა, ყველა მათგანი ერთმანეთის მსგავსად უნდა მიგვეჩნია. ეს კი სწორი არ იქნებოდა.

ამ შენიშვნების მოუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსს მ. ჭავჭავიძის ბევრი მოთხრობა მართებულად აქვს განხილული. სწორად არის ახსნილი ნაწარმოებთა ძღეა, მთავარი აზრი. მართებულად არის მინიშნებული მწერლის ბევრი ინდივიდუალური თვისება, რომელთა მეშვეობითაც მ. ჭავჭავიძის შქმნის შესანიშნავ მოთხრობებს. ამ თვალსაზრისით არის განხილული „ჩანჩურა“, „უპატრონო“, „ორი განაჩენი“, „ეშმაკის ქვა“, „ლამბალო და ყაშა“, „პატარა დედაკაცი“, „ხუთის ამბავი“ და სხვ. ამ ნაწარმოებთა განხილვის შედეგად კრიტიკოსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მ. ჭავჭავიძის „ნიჭიერ და დახელოვნებულ ფსიქოლოგად გვევლინება“. იგი აგრეთვე კარგად გვიჩვენებს მასას, მის ფსიქიკას. მწერალს საუცხოოდ ეხერხება აგრეთვე „ეთნოგრაფიული, ისტორიული, სამხედრო, საყოფაცხოვრებო, ზნეობრივ-სარწმუნოებრივი მოვლენების და ელემენტების მხატვრულ მარგალიტებად ჩამოსხმა, მათი ამტყველება“.

ეს დასკვნები, რასაკვირველია, ლოგიკურად გამომდინარეობს ზემოაღნიშნული მოთხრობების ობიექტური ანალიზიდან.

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები მ. ჭავჭავიძის. იპ. ვართაგავას აზრით, არასწორად ჰყავს დახასიათებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ექიპს „ლამბალო და ყაშაში“.

განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იჩენს კრიტიკოსი თეიმურაზ ხევისთავისა და მისი ცოლის მარგოს ჩვენების გამო. ეს უკმაყოფილება და გაბრაზებამდე მისული ტონი, ჩვენი აზრით, იმ გაუგებრობაზეა დამყარებული, რომ ეს ორი პერსონაჟი კრიტიკოსს მიუჩნევია მთელი ქართული ინტელიგენციის გამომხატველებად და დამახასიათებელ წარმომადგენლებად. სინამდვილეში კი თეიმურაზი და მარგო მხოლოდ გარკვეული კლასის, თანაც მისი ერთი ნაწილის წარმომადგენლები არიან და არა მთელი ქართველობისა.

იპ. ვართაგავას თეიმურაზი რომ მთელი ქართველი ინტელიგენციის „ტიპიურ მოვლენად“ მიუჩნევია, ეს ნათლად ჩანს მისი შემდეგი მსჯელობიდან: „მისი თეიმურაზი, როგორც ტიპი, ყალბი და მრუდია. თეიმურაზი ყოვლად შეუძლებელია ვინმემ ჩასთვალოს

ქართველის, კერძოდ ქართველი ინტელიგენციის ტიპიურ წარმომადგენლად“... „...ჩვენი ხალხის განვლილი ცხოვრების სინამდვილე არც უწინ და არც დღეს არ იძლევა საჭირო მასალას თეიმურაზის ტიპის შესაქმნელად“. და შემდეგ გაბრაზებული კრიტიკოსი კატეგორიულად აცხადებს, რომ „თეიმურაზისა და მარგოს, როგორც ტიპების გამართლება შეუძლებელია, რა საზომიც უნდა ვიხმაროთ“.

თეიმურაზისა და მარგოს დაკნინებული და გადაგვარებული ჩვენება იმ. ვართავავას ქართველი ინტელიგენციის შეურაცხყოფად აქვს მიღებული, რადგან იგი ვერ ხედავს, რომ მწერალმა ამ ტიპებით მთელი ქართველი ინტელიგენცია კი არ დაგვიხატა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, თავადანაწარული, უნებისყოფო და დაცემული, დასაღუპად განწირული ნაწილი. და რომ ქართველ ინტელიგენციას ეს „ბრალდება“ მოხსნას, კრიტიკოსი ამ ტიპებს გამოაცხადებს უცხო ტომის ადამიანებად, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ქართველებთანო. მოვუსმინოთ თვით კრიტიკოსს: „თეიმურაზი „სისხლი სისხლთაგანი“ და „ხორცი ხორცთაგანია“ უცხო ტომის, ეგრეთწოდებულ, „ზედმეტი ადამიანებისა“. ევგენი ონეგინი, ჩაცკი, ჩულკატურინი, რუდინი... — აი ვინ არიან თეიმურაზის ნათესავები და მისი ჩიშის ხალხი!“

შემდეგ, მსჯელობს რა რუსული ლიტერატურის ზემოთ ჩამოთვლილ და კიდევ სხვა ტიპებზე და იძლევა მათი ნიშან-თვისებების განმარტებას, აკეთებს დასკვნებს, რომ „ზედმეტი ადამიანები“ დიდი ხანია გადაშენდნენ რუსეთშიც და მათ ადგილი დაუთმეს მთლიანი ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს. ამასთანავე იმ. ვართავავა კატეგორიულად აცხადებს, რომ „ნებით თუ უნებლიეთ მ. ჭავჭავიძე მოუსურვებია თანამედროვე საქართველოში მკვლართით აღადგინოს უკვე დამიწებული და გახრწნილი, უნებისყოფო და უნიათო „ზედმეტი ადამიანები“. თეიმურაზი კრიტიკოსს მიაჩნია ფსიქოლოგიურ-სოციალურ ანაქრონიზმად და ამიტომ იშველიებს ამავე რომანის პერსონაჟის ივანე ნახუცრის სიტყვებს, რომ „თეიმურაზის მოდგმა დიდი ხანია მოკვდა, გვიან ასაფლავებენ“.

სწორედაც რომ გვიან ასაფლავებენ. თეიმურაზები და მარგოები ადრე უნდა დასაფლავებულიყვნენ, რევოლუციის პირველსავე დღეებში, მაგრამ ახლა მაინც საჭირო იყო მათი დასაფლავება და ეს საქმე საბოლოოდ მ. ჭავჭავიძემ იტვირთა თავისი „ჩაყოს ხიზნებით“. იტვირთა და ამით ადამიანები გადაარჩინა გახრწნილების მომწამლავი გავლენისაგან. ეს კეთილშობილური საქმე იყო მწერლის მხრივ. აქ უნდა გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები, რომ მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად

მ. ჭავჭავიძის მიერ ამ თემაზე მუშაობას. მან ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჭანსალი სხეულიდან ჩამოგვამორა წყლული, რომელიც გახრწნიდა და დაღუპვითაც კი ემუქრებოდა ამ სხეულს. აკი ივ. გომართელი შენიშნავდა, რომ რაკი მიკვლეულია დაავადების მიზეზი, მკურნალობაც გაადვილდებაო. მართალია, ნაწარმოებში კრიტიკა დაუნდობელი და მტკივნეულად განსაცდელია, მაგრამ სამართლიანი და აუცილებელია და ამიტომ იგი გვაგონებს მწარე აბის გადაყლაპვას, რომელიც სასიამოვნო არაა, მაგრამ სასარგებლო კი არის.

იპ. ვართაგავას არასწორი მსჯელობა და მცდარი დასკვნები ჩვენ მიგვაჩნია განაწყენებული და შეურაცხყოფილი ადამიანის მიერ ობიექტური მსჯელობის უნარის დაკარგვის შედეგად. აქ შეიძლება იგივეს განმეორება, რაც სვ. ყიფიანმა თქვა ს. ქანტურიშვილის მისამართით.

ასე რომ არ იყოს, ყოვლად წარმოდგენელი იქნებოდა ისეთი პროგნოზის დღე, როგორისაც თავის თავს უფლება მისცა იპ. ვართაგავამ: „რა მოელის ამ მოთხრობას? — კითხულობს კრიტიკოსი და პასუხობს: — აუცილებლად ისეთივე დავიწყება და არქივში ჩაბარება, როგორც ეს მოუვიდა ერთ დროს დიდად პოპულარულ ანტ. ფურცელაძის მოთხრობებს: „მაცი ხვითა“ და „სამი მსხვერპლი“... ეს მოსაზრება რომ მცდარია, ცხოვრებამ დაამტკიცა. „ჯაყოს ხიზნებს“ მკითხველი დღესაც და მომავალშიც ინტერესით წაიკითხავს, როგორც ჩვენი ცხოვრების ერთი პერიოდის პირუთვნელად, რეალისტურად ამსახველ რომანს.

თუ „ჯაყოს ხიზნები“ ასე მცდარად გაიგო იპ. ვართაგავამ, სამაგიეროდ „თეთრი საყელოს“ განხილვისას იგი ბევრ ორიგინალურ და საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს, მაგალითად, თუნდაც ის აზრი, რომ მწერალს, ერთის მხრივ, მოწონს ურყევი და მედგარი სული, ფოლადიანი და რკინასავით მაგარი სხეული ძველი ქართველისა, რომელთა წარმომადგენლები ჭურხასკარში ცხოვრობენ, და მეორეს მხრივ, განათლებული, კულტურული ცხოვრება, რომელიც ქალაქად გვაქვს. ამ ორი საწყისის ჰარმონიულ შეზავებას, შეხამებას ქადაგებს მ. ჭავჭავიძელი, კრიტიკოსის გაგებით. აქ ჩვენ ვხედავთ საკმაოდ საინტერესო გაგებას მ. ჭავჭავიძის ნაწარმოებისა.

ამ მსჯელობის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა, რომელშიც თავს იჩენს „თეთრი საყელოს“ მთავარი აზრის გაგება, აგრეთვე სავსებით მართებულია. აი ეს დასკვნა: „...მწერალი უპირატესობას მაინც ქალაქს, ე. ი. კულტურას, ცივილიზაციას აკუთვნებს, მხოლოდ ერთი აუცილებელი დამატება — მოთხოვნით: კულტურულ ცხოვ-

რებაში უნდა აღდგენილ იქნეს პრიმატი ჯანსაღი სხეულისა და გაუბზარავი სულისა“.

წიგნის დასასრულ ნაწილში იპ. ვართაგავა დადებით შეფასებას აძლევს მწერლის რამდენიმე მოთხრობას და ბოლოს აკეთებს საერთო დასკვნებს მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისა და თვით მწერლის შესახებ. აღნიშნულია, რომ მ. ჯავახიშვილი ნაყოფიერი მწერალია, ყაზბეგზე ნაყოფიერიც კი. ისიც არაა მხედველობიდან გამოტოვებული, რომ ხშირად ნაყოფიერება არ უდრის მწერლის ღირსებას, მაგრამ მ. ჯავახიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შრომის ინტენსივობა უკუპროპორციული არ არის მათი ღირსებისა. ეს კი კრიტიკოსს მიაჩნია იმის საწინდრად, რომ მომავალში მ. ჯავახიშვილი კიდევ უფრო გაიზრდება, მისი ნიჭი უფრო ლაღად გაშლის ფრთებს და მოგვეცემს იმის მაქსიმუმს, რისი მოცემის უნარიც მისთვის ბუნებას მიუცია.

მოკლედ ასეთია იპ. ვართაგავას წიგნში გატარებული ძირითადი მოსაზრებები, რომელთა შესახებ ჩვენი დამოკიდებულება აგრეთვე მოკლედ გამოვთქვით.

1929 წელს „მნათობში“ (№ 1) გამოქვეყნდა პ. ქიქოძის „ანგარიში და კრიტიკა 1928 წლის ლიტერატურული პრობლეტიკის შესახებ“. ეს წერილი ხასიათდება ე. წ. „უზრან განწყობილებით“, უხეშობით და ცილამწვამბლური გამოხდომებით, ლიტერატურის გაგების უნარის უქონლობითა და უვიცობით. ამ წერილში ყველაფერია, გარდა ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც „განჩხრეკაც უნდა იყოს, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“, როგორც ილია იტყვოდა.

პ. ქიქოძე თითქმის ყველა ქართველ მწერალს, განსაკუთრებით „არიფიონში“ გაერთიანებულთ, უწოდებს მემარჯვენეს, ფეოდალურს, მტრულს, კონტრარევოლუციურს და ა. შ. ასეთი ეპითეტები „დაიძსახურეს“ კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, ლ. ქიაჩელმა, ს. შანშიაშვილმა, ტიც. ტაბიძემ და სხვ.

კერძოდ, მიხ. ჯავახიშვილზე საკმაოდ ვრცლად ჩერდება (გვ 122—128) და სალანძღავ სიტყვათა მარაგს მაქსიმალურად იყენებს. „1927 წ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თანდათან მხოლოდ ყოფილ ადამიანთა მწერლად იქცევა. შემდეგმა პრაქტიკამ ჩვენი აზრი საგნებით გაამართლა... მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ იქცევს ყურადღებას, რადგან თავის უმნიშვნელო თემებს შედარებით მნიშვნელოვან იდეებთან ერთად იძლევა. ეს „მნიშვნელოვანი“ იდეა — რეაქციონერია!“ ასეთი ტონით განაგრძობს პ. ქიქოძე და ჩვენი მწერალი მიაჩნია „ყოფილ ადამიანთა დაუქირავებელ ვეჟილად“.

მხოლოდ იდეურ ანალიზს როდი ჯერდება ეს კრიტიკოსი. იგი ცდალობს მხატვრული თვალსაზრისითაც განიხილოს მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებნი და „დაასაბუთოს“, რომ ეს მწერალი უნიჭო და უსუსურია. ამის საილუსტრაციოდ ურიგო არ იქნება მოვიტანოთ ერთი ადგილი ამ წერილიდან: „აღწერებიც სრულებით არ ეხერხება მწერალს, აქ ის მეტად უნიჭოა და ისეთი მღიღარი ბუნების დახასიათებისას, როგორც სამხედრო საქართველოს გზაზე გვხვდება, — ავტორი მხოლოდ სხვისი ლექსებიდან ამოღებული შედარება-აღწერით გვიმასპინძლდება. როგორც იქოლოგი მ. ჯავახიშვილი ხომ სულ უსუსურია. ხელოვნურად თუ მოათრევს რაიმე ბანალურ განცდას, თორემ ამ მხრივ ბუნებრავი მწერალს არაფერი ეხერხება. ამრიგად სრული ტყვილია, თითქოს მ. ჯავახიშვილი კულტურული მწერალია...“

აი ის „მარგალიტები“, რომლებსაც პ. ქიქოძე გულუხვად გვთავაზობს. ძნელია ედავო ასეთ კაცს, რომელსაც თავისთვის ნება მიუცია ასე ეთავხენა.

მიხ. კახიანი 1929 წლის № 7 „მნათობში“ ათავსებს წერილს — „იდეოლოგიური ფრონტი“. ეს არის ნაწყვეტი ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვიდან. ამ გამოსვლაში ავტორი მკაცრი ტონით ლაპარაკობს კერძოდ მიხ. ჯავახიშვილის შესახებ. აქ დასმულია კითხვა — არის თუ არა მწერალი თანამგზავრი და გაცემულია უარყოფითი პასუხი, რომ მ. ჯავახიშვილს „რევოლუციასთან საერთო გზა არ აქვს“. „დამპატიყე“ და „გივი შალური“ აქ განხილულია მხოლოდ იდეური პოზიციიდან და მოცემულია მათი უარყოფითა შეფასება.

ასევე აღსანიშნავია, რომ კახიანი უფრო შორსაც მიდის და სრულიად მცდარად აკეთებს დასკვნას, თითქოს მ. ჯავახიშვილს „არ სურს, რომ ლიტერატურაში შეიქრას „რაზნოჩინელი“, მუშა და გლეხი თავისი შრომის იარაღებით. ის ამბობს, რომ წმინდა ხელოვნებას სადგისთან და ხერხთან საერთო არაფერი ჰქონდეს და სხვ.“ ამ მოსაზრების მცდარობის დასამტკიცებლად დიდი მტკიცება არ დაგვჭირდება. გავიხსენოთ მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები, მათდამი მწერლის თანაგრძნობა და სიმპათია და პასუხიც გაცემული იქნება — კურკა, მეჩექმე გაბო, ტყის კაცი და მრავალი სხვა განაუბრალო ადამიანები, მშრომელები, ხელოსნები და გლეხები არ არიან? განა მწერალი მათდამი სიყვარულს არ ქადაგებს? ასე რომ მიხ. კახიანის დასკვნა გამოდის არა მწერლის შემოქმედების სამართლიანი განხილვიდან, არამედ წინასწარ განზრახული და შემუშავებული ნეგატიური თვალსაზრისიდან. ასეთი რამ კი ჭეშმარიტების დადგენაში ვერასოდეს მოგვეხმარება.

1930 წ. „მნათობში“ (№ 1) ქვეყნდება ბენიტო ბუაჩიძის „ქართული მხატვრული მწერლობა 1929 წ.“ იგი მიმოხილვითი ხასიათის წერილია. სხვა მწერლებთან ერთად მასში განხილულია მ. ჭავჭავიძის შემოქმედებაც. როგორც კი მ. ჭავჭავიძე იწყებს მსჯელობას, კრიტიკოსი პირველივე აბზაცში დასრულებულად გამოხატავს თავის თვალსაზრისს ამ მწერლისადმი, ხოლო შემდგომი ვრცელი მსჯელობა მხოლოდ ამ თვალსაზრისის გამართლებასათვის არის გამიზნული.

„ამაო გამოდგა ის იმედებიც, რომ ვითომცდა მწერალი მიხ ჭავჭავიძელი შესძლებდა ქართული პროზის კრიზისიდან გამოყვანას. მისი ვეებერთელა, ბულვარული „კვაკვი კვაკანტირაძე“ დიდი ხანია საუტილიზაციო ნედლეულად არის ქცეული. მან რამდენიმე ანტი-საბჭოთა მდარე პასკვილის შემდეგ და პარალელურად, — ქართული პროზა გამოთაყვანებულ ობივატელობის სათარეშო გახადა. აქტიური რეაქციონერობა და მეშინური გემოვნება — აი როგორი ტვირთით გადავიდა მწერლის შემოქმედება 1929 წელში“. ესაა ის აბზაცი, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ. კრიტიკოსს აღარ მოსწონს არც მ. ჭავჭავიძის ნაყოფიერება, თუმც თვითონვე აღნიშნავს, რომ მწერალმა გასულ წელს გამოაქვეყნა ორი მოთხრობა და ორი თავი „არსენა მარაბდელიდან“. თითქოს ეს ცოტა იყოს. განსაკუთრებით ივრიში კრიტიკოსს მიაქვს „გივი შადურზე“ და „ფინჯანზე“. თუ „გივი შადური“ ერთგვარად მასალას აძლევდა კრიტიკოსს, რომ მასში აძლენი უარყოფითი დაენახა და კრიტიკის ქარცეცხლი დაეყენებინა თავის წერილში, ამასვე ვერ ვიტყვით „ფინჯანზე“, რომელიც პირიქით, იმით გამოირჩევა, რომ საბჭოთა საქართველოში დააბრუნოს გაქცეული მენშევიკური ინტელიგენცია, რომელსაც საბოლოოდ შეუგნია თავისი პოლიტიკური ბეცობა და ახალ სამშობლოში დაბრუნებისა და მის სასარგებლოდ გარჯის აუცილებლობა. ამ მოთხრობას წმინდა იდეური თვალსაზრისითაც მხოლოდ სასარგებლო და არა საზიანო საქმის გაკეთება შეეძლო.

რაკი „არსენა მარაბდელი“ დაუმთავრებელია, ბ. ბუაჩიძე თავს იკავებს მისი განხილვისაგან, თუმც იქვე სრულიად უბოდიშოდ აცხადებს, რომ „პირველ ნაწილშივე რამდენიმედ უკვე იგრძნობა თავადობის იდეალიზაციის ელემენტები. ეს თუ განვითარდა, მივიღებთ სულ სხვაგვარი იდეების ნაწარმოებს, რაც ჭავჭავიძისაგან მოთვლოდნელი არ იქნება“. თუ არა ღვარძლითა და მტრობით, სხვა რით უნდა. აიხსნას ეს პროვოზი? ჭერ ერთი, სწორედ პირველ თავშია დახატული ზაალ ბარათაშვილი ასე ბრყვი და უხეში, კაცთმოძულე და სისხლის მწოველი თავადი, მის გვერდით არლოვიც, რო-

მელიც აგრეთვე თავადია. მეორეც, რა საჭირო იყო თქმა იმისა, რომ მ. ჯავახიშვილისაგან მოულოდნელი არ იქნებო?

ასეთი „კრიტიკა“, ბუნებრივია, ხელს არ უწყობდა მწერლის შემდგომ მოღვაწეობას.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედების უარყოფითი შეფასება ამ პერიოდში მოცემული აქვთ შ. რადიანს, ბ. ჟღენტს, გ. ნატროშვილს, დ. ბენაშვილს და სხვებს, რომლებიც სპეციალურ წერილებში თუ მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე, იქ წაკითხულ მოხსენებებსა და წარმოთქმულ სიტყვებში თავს ესხმიან მწერალს და ძალზე თავგამოდებით ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მ. ჯავახიშვილი მიუღებელია იდეურადაც, სუსტია მხატვრულადაც. ცხადია, ყოველი მათგანი თავისებურ „ბრალდებას“ აყენებს.

აღნიშნულ მოსაზრებათა დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ გამოვუდგებით, რადგან დასახელებული კრიტიკოსები დღეს თვითონვე საწინააღმდეგოს წერენ.

1929—1936 წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკას რომ ვაკვირდებით, ნათელი ხდება, რომ ამ პერიოდისათვის ძირითადად დამახასიათებელია მწერლის შემოქმედების უარყოფითი შეფასება, მისდამი მტრული დამოკიდებულება კი. ეს ფაქტია, მაგრამ იგი ახსნას მოითხოვს. საოცარია, ზოგი ის კრიტიკოსიც კი, რომელიც აღრე მ. ჯავახიშვილზე საქება რეცენზიებს წერდა, ამ პერიოდში უარყოფით გამოთქმებს არ იშურებს.

რასაკვირველია, ეს რთული კითხვაა, ამ მოვლენის ახსნა კიდევ მოითხოვს დაკვირვებასა და დაფიქრებას, რათა ჩვენც მკლარი დასკვნა არ გამოვიტანოთ ამ საკითხის შეფასებაში, მაგრამ ერთი შთაბეჭდილება კი შეიძლება ახლაც გამოითქვას. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს კრიტიკოსები ვიღაცის მითითებითა და წაქეზებით წერდნენ, ერთმანეთს ისე ეჩიბებოდნენ მ. ჯავახიშვილის შემოქმედების არაობიექტურ და მტრულ შეფასებაში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი გარემოს შესაფერისად და მისი სულისკვეთების შესატყვისად აზროვნებდნენ, წერდნენ, მსჯელობდნენ. სხვანაირად მათ არც შეეძლოთ. ამის გარდა, შეიძლება ზოგიერთი მათგანის ახალგაზრდული, ნაჩქარევი და უმწიფარი დონეც განსაზღვრავდა მათ ტონსა და აზრთა მიმართულებას. ამაში მცირე როლი არ შეასრულა აგრეთვე ლიტერატურულმა დაჯგუფებებმა, რომელთა შორის ცხარე ბრძოლა იყო გამართული.

ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა, სამოციან წლებში, სულ სხვაგვარი ატმოსფეროა ლიტერატურულ ცხოვრებაშიც, იდეოლოგიურ სფეროში საერთოდ, ვიდრე ოცდაათიანი წლების დასაწყისში, და

ამას გათვალისწინება სჭირდება, თუ გვინდა სწორად, მართებულად დავდოთ მსჯავრი ჩვენს მიერ განხილულ კრიტიკოსებს.

ის კრიტიკოსები, რომლებიც 1929—1936 წლებში მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას უარყოფითად აფასებდნენ და მწერლის რეაბილიტაციასაც მოესწრნენ, უკვე აღარ იზიარებენ თავიანთ ადრინდელ მოსაზრებებს. პირიქით; ზოგმა მათგანმა წიგნებში თუ ცალკეულ ნარკვევებსა და წერილებში მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა. ამიტომ ჩვენ მათ არ ვეპაექრებით. მაგრამ. თუ მათი ადრინდელი მოსაზრებები აქ მაინც გავიხსენეთ და მიმოვიხილეთ, ამისი საჭიროება გამოწვეულია საკითხის ისტორიის ინტერესებით, რადგან ყოველ მონოგრაფიაში საკითხის ისტორია პირუთვნელად და ობიექტურად უნდა იყოს წარმოდგენილი.

ეს მოვალეობა რომ არ გვაწვეს, ჩვენ თავს შევიკავებდით ზემოთ გაშლილი მსჯელობისაგან, რადგან იგი დღეისათვის აქტუალური აღარაა, მარტოოდენ ისტორიის კუთვნილებაა.

ბოლო ათეულ წლებში მ. ჯავახიშვილისადმი ინტერესი კვლავ ინტენსიურად იჩენს თავს.

კრიტიკოსმა სერგი ქილაიამ ვრცელი წერილი დაურთო 1955 წ. ცალკე წიგნად გამოცემულ „არსენა მარაბდელს“. ამ წერილში ზომიერად და სწორად არის განხილული როგორც ეს რომანი. ისე გაკვრით, ზოგი რამ სხვაც მწერლის შემოქმედებიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა 1956 წელს გამოსცა ქართული ლიტერატურის ისტორიის მესამე ტომი, რომელშიაც შეტანილია საკმაოდ მოზრდილი ნარკვევი მიხ. ჯავახიშვილზე. მასში გვაწვდიან მოკლე ცნობებს მწერლის ბიოგრაფიაზე და შემოქმედების ასევე მოკლე მიმოხილვას.

1957 წ. „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა შ. რაღიანის წიგნი „მიხეილ ჯავახიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება“. ეს წიგნი დიდი არაა, სულ ორ საავტორო თაბახზე ცოტა მეტია. მასში გადმოცემულია მწერლის ბიოგრაფიული ცნობებიც და მიმოხილულია მისი შემოქმედებაც. წიგნში ნაწარმოებთა მოკლე შინაარსების გადმოცემის გვერდით გაკვრით მოცემულია შეფასებაც, რომელიც დიამეტრალურად საწინააღმდეგოა შ. რაღიანის ადრინდელი თვალსაზრისისა.

1957 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა მ. ჯავახიშვილის მოთხრობების კრებული, რომელსაც წამძღვარებული აქვს პროფ. გ. ჯიბლაძის ნარკვევი მწერლის მოთხრობებისა და ზოგიერთი რომანის შესახებაც. აქ მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის შემოქმედებას და ბევრ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს.

კიდევ უფრო ვრცლად და საფუძვლიანად გ. ჯიბლაძეს მ. ჯავახიშვილის შემოქმედება განხილული აქვს 1959 წელს გამოცემული „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე წიგნში. ამ ნაშრომში პროფ. გ. ჯიბლაძე განიხილავს მ. ჯავახიშვილის მოთხრობებსაც, რომანებსაც და ბევრ ახალ თვალსაზრისს გამოთქვამს. უნდა ითქვას, რომ მანამდე ასე ვრცლად და გულდასმით, თანამედროვე თვალსაზრისით, ღრმად, მეცნიერულად. ობიექტურად მ. ჯავახიშვილის შემოქმედება ჯერ არავის განუხილავს.

თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით პროფ. გ. ჯიბლაძეს ცივილიზაციისადმი მწერლის დამოკიდებულების გაგებაში. რაზეც ჩვენი ნაშრომის სათანადო ადგილზე გვაქვს ლაპარაკი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამით გ. ჯიბლაძის აღნიშნული ნაშრომის ღირსება მცირდება. თვალსაზრისთა სხვადასხვაობა არ გამორიცხავს საერთოდ ნაშრომისადმი დადებით დამოკიდებულებას.

1959 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობამ გამოსცა დიმიტრი ბენაშვილის წიგნი — „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“. ეს წიგნი შედარებით ღიბია — 8 თაბახამდეა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ამ წიგნში მ. ჯავახიშვილის ცხოვრება გადმოცემულია მწერლის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიის მიხედვით, თითქმის უცვლელად. შემოქმედება კი განხილულია გადაბმით და პრობლემების გამოყოფა ჭირსკრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს მ. ჯავახიშვილს.

1959 წელს სერგი ჭილაიამ გამოსცა „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის“ მეორე ნაწილი, რომელშიც რამდენიმე ქართველი მწერლის ცხოვრება-შემოქმედების მიმოხილვის გვერდით მოგვცა მის. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვაც.

მწერლის შემოქმედება ამ წიგნში შეფასებულია თანამედროვე თვალთ, აღიარებულია მისი იდეურ-შინაარსობლივი და მხატვრული ღირებულება, მეტ-ნაკლები დოზით განხილულია თითქმის ყველა მოთხრობა და რომანი და გამოტანილია სავსებით ლოგიკური დასკვნა, რომ მის. ჯავახიშვილი არის ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

სერგი ჭილაია თავის ნარკვევში აყენებს და ასაბუთებს მრავალ

საყურადღებო მოსაზრებას, რომლებიც გამოირჩევა სიახლით, სი-
ცხადით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით.

1959 წ. გამოვიდა ჩვენი წიგნი „ლიტერატურული წერილები“,
რომელშიც მ. ჭავჭავიძისადმი მიძღვნილია ორი წერილი: „არსენა
მარაბდელი“ და „თეთრი საყელოს“ მართებული გაგებისათვის“.
ხოლო 1960 წ. უნივერსიტეტმა გამოსცა ჩვენივე წიგნი „მ. ჭავჭა-
ვიძის აღრინდელი პუბლიცისტიკა“, რომელშიც განხილულია
1903—1906 წლების მწერლის მიერ დაწერილი მებრძოლი ხასია-
თის პუბლიცისტური წერილები. დანართის სახით წიგნში გამოქვეყ-
ნებულია აგრეთვე მწერლის რამდენიმე ისეთი წერილი, რომლებ-
საც, ჩვენი ფიქრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და
აქვს მ. ჭავჭავიძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის იმ პერი-
ოდში.

აღნიშნულის გარდა, შეიძლება დავასახელოთ კ. იმედაშვილის
წერილი „მ. ჭავჭავიძის აღრინდელი მოთხრობები“, რომელიც
დაბეჭდილია ალმანახ „პირველ სხივში“ (1958 წ. № 5—6). ამ წე-
რილში განხილულია მწერლის აღრინდელი მოთხრობები. აღსანიშ-
ნავია, რომ აქ აქცენტი უმთავრესად გადატანილია მწერლის წერის
მანერაზე და სტილურ თვისებებზე, რაც წერილისადმი ინტერესს
აძლიერებს.

მწერლის რეაბილიტაციის შემდეგ ქართულ პრესაში მრავალი
წერილი თუ მასალა გამოქვეყნდა, რომელთა მიმოხილვისაგან ჩვენ
თავს შევიკავებთ, რადგან ეს უცვვე ცოცხალი ლიტერატურული კრი-
ტიკაა და არა ისტორია, ჩვენ კი საკითხის ისტორიას ვთავაზობთ
მკითხველს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ნაშრომის დაბეჭდვამ-
დე კიდევ მრავალი ავტორი გამოეხმაურება მ. ჭავჭავიძის შემოქ-
მედებას. ცხადია, ყველას აღნუსხვას ჩვენ ამჟერად ვერ შევძლებთ.
სხვა დროს კი შეიძლება ესეც გაკეთდეს.

1955 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული ყველა მასალისათვის
დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ყველა მათგანი დადებითად
აფასებს მ. ჭავჭავიძის შემოქმედებას და ერთხმად აღიარებენ,
რომ იგი დიდი მწერალი იყო.

საკითხის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართულ
ლიტერატურულ კრიტიკაში მ. ჭავჭავიძის შემოქმედების განხილ-
ვა-შეფასება შეიძლება სამ ძირითად პერიოდად გავყოთ.

პირველი პერიოდი მოიცავს 1903—1912 წლებს, როცა ლიტე-
რატურული კრიტიკა შეეხო მწერლის აღრინდელ მოთხრობებს და
ძირითადად ქებითა და მოწონებით შეხვდა მწერლის გამოსვლას სა-
მოღვაწეო ასპარეზზე.

მეორე პერიოდი მოიცავს 1923—1936 წლებს, როცა ქართული სალიტერატურო კრიტიკა ინტენსიურ ყურადღებას იჩენს მწერლის ადრინდელი და აღნიშნული პერიოდის შემოქმედებისადმი, რომელიც, როგორც ვიცით, მთავარი და განმსაზღვრელია მ. ჭავჭავაძის მწერლური სახისათვის. ეს პერიოდი შეიძლება ორ ეტაპად გაიყოს: 1923—29 წლები, როცა ლიტ. კრიტიკა უმთავრესად დადებითად აფასებს მწერლის შემოქმედებას, ხედავს მასში ნიჭიერ ბელეტრისტს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ მას, და 1929—36 წლები, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია მწერლის შემოქმედების განქიქება და მიწასთან გასწორება, როცა მ. ჭავჭავაძის თითქმის იდეურ მტრად, ანტისაბჭოთა პოზიციაზე მდგარ შემოქმედად იქნა გამოცხადებული.

მესამე პერიოდი იწყება მწერლის რეაბილიტაციის დღიდან და გრძელდება მას შემდეგ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშანია პოლიტიკურად რეაბილიტირებული მწერლის ლიტერატურული რეაბილიტაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამ პერიოდის ყველა ლიტერატურულ-კრიტიკული მასალა, წერილები იქნება თუ ცალკე წიგნები, თითქმის ერთნაირად აქებს და აღიღებს მ. ჭავჭავაძის. ამათ რიცხვში გვხვდებიან ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებიც ადრე, პეორე პერიოდში. ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ აუგად ეხსენებინათ ეს დიდი მწერალი, რომელსაც შემოქმედებითი მუშაობისაგან დრო უნდა გამოეყო. რათა თავდაცვა ეწარმოებინა მოძალებული შეტევებისაგან.

ჩვენ აქ გამოვიყენეთ ქრონოლოგიის პრინციპი და მისთვის თავიდან ბოლომდე არ გვიღალატია. ამ პრინციპს აქვს ნაკლიც და ღირსებაც, მაგრამ ჩვენ გადამწონად ღირსება გვეჩვენება და ეს არ ჩევანიც ამაზე აღმოცენდა.

ამ პრინციპის ნაკლი ისაა, რომ, რაკი სხვადასხვა ნაწარმოები სხვადასხვა კრიტიკოსმა სხვადასხვა დროს განიხილა, ამიტომ ნაწარმოებშია მათზე მსჯელობა მეორდება ხოლმე. თუმც სხვა ასპექტიდან და პოზიციიდან.

ღირსება კი ის არის, რომ ქრონოლოგიის პრინციპზე ნაწარმოის აგება მთლიან და თანმიმდევრულ წარმოდგენას გვაძლევს დასმულ საკითხზე. თანაც ხელშესახები ხდება ევოლუცია, რომელსაც ამ საკითხის შეტყობა განიცდიდა დროის ცვლასთან ერთად.

ერთი რამ კიდევ.

როცა ჩვენ სხვადასხვა კრიტიკოსის მოსაზრებებს განვიხილავდით, იქვე ჩვენს დამოკიდებულებას ვამჟღავნებდით ამ მოსაზრებისადმი. ზოგჯერ ეს ჩვენი დამოკიდებულება და თვალსაზრისი შედარებით გავრცობილი იყო, ზოგჯერ კი მოკლე. არც ერთი მოსაზრება კი არ დაგვიტოვებია ჩვენი პოზიციის გაუმჟღავნებლად. თვითონაც ეგრძნობთ, რომ ამ ჩვენს მოსაზრებებს სჭირდებოდა საფუძვლიანი დამტკიცება და დასაბუთება. მაგრამ. თუ აქ შედარებით ვიძუნწეთ იმით შეიძლება გავამართლოთ. რომ ეს საქმე შესრულდება მონოგრაფიის სხვა ნაწილში, სადაც განხილული იქნება მ. ჭავჭავაძის თხზულებები. ასე რომ, ეს ნაწილები ერთმანეთს შეავსებს.

მიხეილ ჭავჭავიძის მემორალი პუბლიცისტიკა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში

მიხეილ ჭავჭავიძის სახელის გაგონებაზე მკითხველთა უმრავლესობას წარმოუდგება „არსენა მარაბდელის“, „ჯაყოს ხიზნების“, „კვაჭის...“, „აბდულას“ და სხვა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოების ავტორი. ამ ნაწარმოებთა დამწერი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს არამარტო ქართველ, რუს და ჩვენი მოძმე ერების მკითხველთა ფართო მასებში, არამედ საზღვარგარეთაც. მ. ჭავჭავიძის აღგილი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებაში განუზომლად დიდია.

ამასთანავე, მკითხველთაგან ცოტამ, ალბათ, მხოლოდ სპეციალისტებმა იციან. რომ მ. ჭავჭავიძელმა დაგვიტოვა პუბლიცისტური შემეკიდრეობა, რომელიც განხეულია 1900-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში. ეს პუბლიცისტური წერილები, რომელთა რიცხვი საგრძნობლად დიდია, გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით, აქტუალობით, ეპოქის მიერ დასმული ცხოვრებისეული საკითხების ცოცხალი გადაჭრით, გაბედულებით, მებრძოლი ტონითა და დაწერის ხარისხით.

ეს წერილები იმდენად საყურადღებოა, რომ მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. მათი იდეურ-შინაარსობლივი ანალიზი, დაწერის თავისებურებათა გამორკვევა ხელს შეუწყობს ამ დიდი მწერლის მთლიან, საფუძვლიან შესწავლას, რაც აუცილებლად საჭიროა და დროულიც.

მ. ჭავჭავიძელი სამწერლო-პუბლიცისტურ ასპარეზზე გამოდის 1903 წელს. პირველად მან შეაღო გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციის კარი და ამ ორჯანოს სასურველი თანამშრომელი გახდა. აქ იბეჭდება მისი „ჩანჩუკა“ და რამდენიმე პუბლიცისტური წერილი. იმავე გაზეთში მწერალი განაგრძობს მოღვაწეობას 1904 წელსაც.

1904, 1905, 1906 წლებში მ. ჭავჭავიძელი თანამშრომლობს

გაზეთებში „შრომა“, „ივერია“ და მის მიერვე დაარსებულ გაზეთ „გლეხში“.

ყველა ამ ორგანოში მწერალმა დაბეჭდა მრავალი წერილი, რომლებიც თემატიკის მიხედვით პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად: წერილები თეატრის შესახებ, წერილები მხატვრობაზე. წერილები ლიტერატურაზე, წერილები უცხოეთზე, წერილები რუსეთზე, წერილები ჯარში არსებული მდგომარეობის შესახებ, წერილები მოსწავლეებზე და სასწავლებლებზე, წერილები გლეხთა ცხოვრებაზე, წერილები მართვა-გამგეობის წესების შესახებ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აშკარად მტრულად მიმართული წერილები, წერილები სოციალური და ეროვნული ჩაგვრის საკითხებზე.

ეს დაყოფა, როგორც ვთქვით, პირობითია, რამდენადაც თითოეული კატეგორიის წერილში ლაპარაკი ძირითადად აღებულ საკითხზეა, ისე კი, ყველა მათგანი გაუღენთილია თვითმპყრობელობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ზიზლით, რაც ყველა წერილს ერთმანეთთან ანათესავებს.

რუსეთის ცხოვრების გამუხუჩებელი წერილები

რუსეთის ცხოვრებას მ. ჯავახიშვილი აშუქებს თავის წერილებში, — რომლებიც გაერთიანებულია სპეციალური სათაურით „რუსეთის ცხოვრებიდან“, აგრეთვე სხვადასხვა წერილშიც, სადაც კონკრეტული საკითხია დასმული (მაგ. ჯარში მომხდარი ამბები, სათათბიროს სხდომების შეფასება პარტიული ბრძოლის თვალსაზრისით და ა. შ.). ამ მეორე კატეგორიის წერილებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ, აქ კი მხოლოდ პირველი კატეგორიის მასალებზე გვექნება საუბარი.

„რუსეთის ცხოვრებიდან“ მ. ჯავახიშვილს აუღია რუბრიკად, რომელიც აგრეთვე სათაურის როლს ასრულებს. ასეთი მასალა იბეჭდებოდა 1905 და 1906 წლებში გაზეთ „ივერიაში“. ერთი დაიბეჭდა 1905 წ. 26 თებერვლის ნომერში, დანარჩენები კი 1906 წლის 5 მარტს, 11 და 26 ივნისს, ე. ი. სულ ოთხი წერილია.

ამ წერილებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი ის არის, რომ ავტორი წერილებისათვის არჩევს თვითმპყრობელობის სიველურისა და სისასტიკის მამხილებელ მასალებს. ყველა ეს წერილი შეიცავს პროტესტს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მათში განხილულია ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომელთა ჩვენებითაც ავტორი მკითხველებს შეაძრულებს ბიუროკრატიას და პოლიციურ რე-

ემს, თანაგრძნობას აღძრავს დაჩაგრულისადმი, მათში გამოიმუშავებს ბრძოლის სულისკვეთებას.

პირველ წერილში, რომელიც „ივერიაში“ 1905 წ. 26 თებერვალს დაიბეჭდა, ლაპარაკია კურსკში მომხდარი მხეცობის შესახებ. საქმე ასე მომხდარა: სამი სასწავლებლის მოსწავლეები გამოსულან ქუჩებში და მეოთხე სასწავლებლისაკენ წასულან, რათა იქაური მოსწავლეებიც შეერთებოდნენ მათ. ეს იყო მოსწავლეთა გაფიცვ. პოლიციას, ბოქაულებს და ქალაქის ხელისუფალთ სისხლში ჩაუხრჩვიათ ეს უმწეო ბავშვები. აი, როგორ აღწერს ავტორი ამ საშინელ სურათს: „მოსწავლეებს გარს შემოეხვივნენ პოლიცემისტერი, ბოქაულები, მათი თანაშემწენი, აუარებელი პოლიციელი და ურიცხვი „მოწაფენი სასოფლო დარაჯთა სკოლისა“ (ამისთანა „სკოლა“ გახლავთ კურსკში). პოლიცემისტერი წინ წამოდგა და დაუყვირა:

— Резервы, вперёдъ, сцѣмѣт!

ხმალ-ამოღებულნი პოლიციელნი და „სასოფლო დარაჯთა სკოლის მოწაფენი“ ბოქაულების წინამძღოლობით მოსწავლეებს ეცნენ და „წესრიგის აღდგენა დაიწყეს“.

ერთმა ბოქაულმა დაიყვირა:

— „სცემეთ მარცხნივ. და მარჯვნივ! სცემეთ ყველას! იმათაც სცემეთ...“

მ. ჯავახიშვილი ამ აღმაშფოთებელ ამბავს აღწერს ისეთი ტონითა და კილოთი, რომ მკითხველები უეჭველად შეიძულეებენ პოლიციელებს, მთავრობას, რომლებიც ამ მხეცობას ჩადიან. „თუ პოლიციელის მუშტით მოსწავლე წაიქცეოდა, წაქცეულს მეორე პოლიციელი ეშველებოდა, ჯერ ზეზე ააყენებდა, მერე პირველსავით ცემას დაუწყებდა... ბავშვებს წიხლებით სთელავდნენ, თავს ტროტუარზე და ქუჩის ქვაფენილზე უჩეჩქვამდნენ. ზოგს გული წაუვიდა, ზოგს გონება დაეკარგა, მაგრამ მაინც სცემდნენ, ტროტუარზე თავს უხეთქავდნენ, თმებით ათრევდნენ...“ ბუნებრივია, რომ ამ სტრიქონების წამკითხველი გულგრილი ვერ დარჩება. ავტორსაც სწორედ ეს უნდოდა.

წერილში აღწერილი ამბავი თანდათან უფრო მძაფრ სახეს იღებს, ეს გამძაფრება სულ მატულობს. პოლიციას მოუხსყიდია ბრბო ყასბებისა და მისთანებისა, რომელიც აგრეთვე მოსწავლეებს დაერიცხა, რამდენიმე მოსწავლე მოუკლავთ. თანაც გაიძახოდნენ პოლიციელები: ბავშვებს იმიტომ ვხოცავთ, რომ ხელმწიფე გვიყვარსო ამ ბოლო განცხადებაზე ავტორი ამახვილებს ყურადღებას, რითაც იმას აღწევს, რომ მკითხველმა იფიქროს: ეს საქმე მართო პოლიციელებისა როდია. ამაში მეფის ხელიც ურევიაო.

პოლიციელები და საზოგადოების ერთი ნაძირალა ნაწილი თუ ზეიმობდა ბავშვებზე „გამარჯვებას“, მეორე ნაწილი აღშფოთებული იყო. მ. ჯავახიშვილის წერილში ასეთი ადგილი გვხვდება:

„იმავე საღამოს ქალაქის საბჭოში ერთმა მოხუცმა თქვა: საშინელი და შემადარწუნებელი ამბები ვნახე. მე ვნახე. რომ 10 და 11 წლის ბავშვებს ცხვირპირიდან სისხლს ანთხევინებდნენ, წაქცეულებს ფეხით სთელავდნენ, თმებს აგლეჯდნენ...“

— ბატონებო! -- მიუბრუნდა მოხუცი საზოგადოებას და ისტერიულად დაიწყო ყვირილი: — ბატონებო! ჩემი ერთი შვილი მანჯურიაში სამშობლოსათვის სისხლსა ღვროს. მეორე შვილის სისხლს კი იმავე სამშობლოში პოლიცია ღვროს. ეს საშინელებაა. საშინელება!“

ავტორი ამით მკითხველს უხანის. რომ საზოგადოება ხმას იმაღლებს ამ ძალადობის წინააღმდეგ, ე. ი. თქვენც ანალოგიური ძალადობის წინააღმდეგ ხმა უნდა აიმაღლოთ და ხელი გამოიღოთო. ან მოწოდებას კიდევ უფრო აძლიერებს წერილის ერთი ადგილი: „დაბოცალ და დასახიჩრებულ ბავშვების დედებმა მთელ რუსეთს მოწოდებით მამართეს: „კურსკის ქუჩებში ჩვენი შვილები გალახეს. დასახიჩრეს... ეს საქმე პოლიციამ დამისჯან დააჩრებულმა მაწაწაწალათა ბრბომ ჩაიდინა.“

ყველა, პატარა თუ დიდი, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ გლახა. მოვალეა ამ მოწოდებას... ღრმად ჩაუყვირდეს და კარგად დაფიქრდეს“.

წერილის ავტორი კურსკში მომხდარ ამბებს რომ აღწერს, შეკვდე ანალიზს უკეთებს მას და ასკვნის: „დიად. ორგანიზაციამ. ე. ი. საზოგადოებამ დღეის იქით თვიონონ უნდა იზრუნოს თავის თავზე და თავის თავიც თვითონ უნდა დაიცვას“.

ეს კი აშკარა მოწოდებაა და მუქარაც. ამ წერილის საერთო დანიშნულებაც სწორედ ეს არის. ეს არის მეამბოხური სულსკვეთების წერილი, რომელიც დაწერა ადამიანმა, რომელსაც ეზიზღება მეფის მთავრობა, მისი პოლიცია და ძალადობის ყველა საშუალება. ეზიზღება და ძალას არ ზოგავს ხელი შეუწყოს მის დამხობას. ამ წერილის ავტორი გვევლინება მშრომელთა ქობაგად — რუსი იქნება ეს დაჩაგრული, თუ ქართველი, ავტორი ადამიანისადმი სიყვარულს გმირად უქცევია და მისთვის ამ გრძნობებს ასე გაბედული და სახიფათო სტრიქონები დაუწერინებია.

მეორე წერილში „რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღევანდ-

ლამდის“ („ივერია“, 1906 წ. 5 მარტი) მ. ჭავჭავაძის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს და სათანადო დასკვნებზე აკეთებს.

ავტორი ამხელს 17 ოქტომბრის მანიფესტის სიმუხთლეს და მეფის ხელისუფლების მატყუარულ პოლიტიკას, რასაც აუარება ელექტა და მსხვერპლი მოყვა, გამოთქვამს ზიზღს საქართველოს „დამშვიდების“ სისხლიანი საშუალებების გამო და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველა იმათ, ვინც ეს მოაწყო. მოსკოვის აჯანყებას 1905 წ. დეკემბერში ავტორი განიხილავს როგორც ლოგიკურ დასკვნას, რომელიც შავბნელ რეაქციას უნდა მოყოლოდა. მთელი წერილი გაქვნილია რევოლუციისადმი სიმპათიისა და რეაქციისადმი ზიზღის სულისკვეთებით. ამ სტრიქონების ავტორი გაბედულ რევოლუციონერად მოჩანს.

ამ დებულების საილუსტრაციოდ წერილის რამდენიმე ადგილზე იკმარებს. „პირველი თავი რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობისა დასრულდა 17 ოქტომბერს; მეორე თავი ამავე დღეს დაიწყო. ხოლო როდის დასრულდება, ამის თქმა ძნელია. ცხადია მხოლოდ ის, რომ რუსეთის შინაური მდგომარეობა და მისი ლოლიკა დღეს თუ ხვალ წერტილს დაუსვამს მეორე თავს და გაზაფხულზე მესამე თავსაც დაიწყებს“.

ვინც ამ სტრიქონებს ჩაუყვირდება და ვინც იცის 1905 წლის რევოლუციის ამბები, ადვილად დაინახავს, თუ რა მშვენივრად ერკვევა ავტორი მოვლენების მსვლელობაში, რა სწორად აფასებს ამ ისტორიულ მოვლენებს და რა იმედიანად აცხადებს, რომ გაზაფხულზე მესამე თავი — რევოლუციის აღმავლობა დაიწყებაო. ამას კი რუსეთის მდგომარეობის, სინამდვილის გაანალიზებაზე ამყარებს. ეგებ აქ „გაზაფხული“ სიმბოლური გაგებითაც იყოს ნახმარი.

მ. ჭავჭავაძის უფრო აშკარადაც წერს: „დაწვრილებით აღწერა დეკემბრის ამბებისა — მოსკოვის აჯანყება, საქართველოს „დამშვიდება“ (აღიხანოვმა რომ „ივაჟაკა“ — ტ. კ.), ლატიშების დასჯა და სხვა ათასგვარი და ათას ადგილას მომხდარი სარევოლუციო მოქმედება მეტად მიგვაჩნია; მკითხველებმა ისედაც კარგად იციან წარსული შავი დღეების ისტორია.“

საზოგადოდ დეკემბრის საერთო გაფიცვა და კერძოდ მოსკოვის აჯანყება ლოლიკური დასკვნა იყო იმ შავბნელ რეაქციისა, რომელმაც მანიფესტის გამოცხადების მეორე დღესვე წამოიპყრო თავი. ამ რეაქციამ ჯერ ოქტომბერშივე გადაიხადა სისხლის ქელები და მთელი რუსეთი — არხანგელსკიდან ტფილისამდის და ტომსკიდან ვარშავამდის — სისხლით მორწყო, მაგრამ ესაც არ იკმარა და დეკემბერში

ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა 17 ოქტომბრის მანიფესტის ნაშთი“.

როგორც ვხედავთ, მ. ჯავახიშვილი არ იშურებს სიტყვებს, რომ ქალათების საქმეები შესაფერისად შეამკოს. რეაქციის თარეშს იგი უწოდებს „სისხლის ქელესსაც“, „სისხლით მორწყვას“ და სხვ. ეს წერილი ისეა დაწერილი, რომ კაცი იფიქრებს, ავტორი გამოჩენილი რევოლუციონერია, რომელიც იბრძვის მუშათა კლასის საქმისათვის. დაუკვირდით წერილის ლექსიკას, ტონს, საკითხებისადმი მიდგომას, ავტორის პოზიციას და ამასვე იფიქრებს ყველა. ერთი კი ცხადია, მაშინდელი მკითხველი, ვინც ამ წერილს წაიკითხავდა, სწორ დასკვნებს გააკეთებდა პოლიტიკური სიტუაციის გარკვევაში და შეფასებაში.

ავტორი აფასებს პეტერბურგის მუშათა გაფიცვას, რომელიც დამარცხდა. ამ მარცხს ორი მიზეზით ხსნის: ჯერ ერთი, მუშათა კლასი წინა გაფიცვებით დაღლილი იყო და ამ მეორე გაფიცვის გადატანა აღარ შეეძლო, და მეორეც, კიცხავს ლიბერალურ ელემენტებს, „რომელნიც მანიფესტის გამოცხადებამდის მუშა ხალხს მხარში უდგნენ და მასთან ერთად ებრძოდნენ თვითმპყრობელობას, 17 ოქტომბერს განზე გადგნენ“... პეტერბურგსა და მოსკოვში რევოლუციის მარცხის მიზეზად წერილის ავტორს აგრეთვე მიაჩნია მუშათა კლასში მჭიდრო კავშირისა და მოქმედების ერთი საერთო გეგმის უქონლობა.

ავტორი შემდეგ და შემდეგ უფრო გაბედულად ამხელს და არცხვენს მთავრობას, რომელმაც გაითამაშა სათათბიროს კომედია, ხოლო შემდეგ მთლად შეკვეცა მისი ფუნქციები. „17 ოქტომბრის მანიფესტი გაუქმებული იქნა უბრალო სიტყვით: „დღესაც ისეთივე თვითმპყრობელი ვარ, როგორც დღემდე ვიყავი“. ამ სიტყვებში მ. ჯავახიშვილი აქსოვს უდიდეს აღშფოთებას მეფის ხელისუფლებისადმი.

17 ოქტომბრის მანიფესტით მეფემ წელი რომ გაიმავრა, შემდეგ აღვირახსნილი ძალადობა დააწესა. ეს ფაქტი მ. ჯავახიშვილის მიერ ისევე სწორადაა შეფასებული, როგორც ჩვენ დღეს ვაფასებთ. პირდაპირ განსაცვიფრებელია ავტორის პოლიტიკური ალღო და სიმართლეზე დახმარებული შეფასება მაშინდელი მოვლენებისა. აი წერილის ერთი ადგილი, რომელიც ამ დებულებას ადასტურებს: „ახალ მანიფესტში ნათქვამია, რომ სათათბიროს ევალემა კანონპროექტების განხილვა და სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ სათათბიროს კანონების გამოცემის უფლებაც აქვს. იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ იმ დროს, როცა სათათბირო დათხოვნილი იქნება

„დასასვენებლად“, ძთავრობას ნება აქვს ამა თუ იმ ღონისძიების მიღებისა. ჩვენებურ ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას ნება აქვს უბრალო ბრძანების ფორმით ახალი კანონი გამოსცეს, სამხედრო წესები შემოიღოს და სახალხო ფული ისე მოიხმაროს, როგორც მისი სურვილი იქნება...“ ამაზე უფრო ნათლად, ამაზე უფრო გამჭვირვალედ და გაბედულად ძნელია შევაფასოთ მეფის პოლიტიკური შაქინაციები. ეს მხილება თითქმის ემთხვევა ლენინისეულ და საერთოდ ბოლშევიკურ შეფასებას ამ მოვლენებისა. ეს დიდი ამბავია!

კიდევ უფრო გასაოცარია ამ წერილის დასასრული, რომელშიც აშკარად გამოთქმულია თვითმპყრობელობის გარდუვალი დაღუპვის რწმენა. „და ასე, როგორც ხედავთ, რუსეთის ბიუროკრატია ჭერჭერობით ბატონობს რუსეთის იმპერიაში და, მიუხედავად საკონსტიტუციო „რეჩებისა“, წინანდებურად თვითმპყრობელურად „განაგებს“ სახელმწიფოს.

მაგრამ ეჭვი არ არის, ამ თვითმპყრობელობას მიეცემა დასასრული“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ასეთია ეს რევოლუციური წერილი, რომელიც 25 წლის ახალგაზრდა მ. ჭავჭავიძის კალამს ეკუთვნის.

კიდევ უფრო გაბედული და მამხილებელია მომდევნო წერილი „რუსეთის ცხოვრებიდან“, რომელიც „ივერიის“ მე-15 ნომერში დაიბეჭდა 1906 წ. 11 ივნისს.

„უსამართლობისა, უკანონობისა და ძალმომრეობის კლასიკურ ქვეყანაში — კურთხეულ რუსეთში — ჩვენ ვერაფერი გავგავიკრევებს“, — ამბობს მწერალი და შემდეგ გადავიშლის ძალმომრეობისა და უკანონობის, ჯალათობისა და არაკაცობის მრავალ ფაქტს. რაც იმხანად რუსეთის იმპერიაში ხდებოდა. ავტორი ასახელებს მეფის მინისტრებს, რომლებიც ამ უკანონობას ჩადიან: „ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ უმაგალითო ავანტურა შორეულ აღმოსავლეთში, საკუთარი თვალით ვნახეთ ხალხის პირველი შემშლუნა შარშან 9 იანვარს, სევასტოპოლისა და ოდესის აჯანყება, მოსკოვის ბარიკადები, საქართველოს აოხრება და ბალტიის მხარის აკლება; ჩვენ კარგად გვახსოვს და არასოდეს არ დავივიწყებთ ტრეპოვს, დუბასოვს, ორლოვს, ალიხანოვს, ტიმოფეევს, რენენკამფს, ნეიდგარტსა და დურნოვოს, რომელთა შავი ხროვა ცეცხლის ასობით არის აღბეჭდილი ჩვენს გულში. ამ ხსოვნას ჩვენს მომავალ თაობას გადავცემთ და ისევე ვიამაყებთ 1905—1906 წლებით, როგორც ფრანგები ამაყობენ 1789, 1848 და 1871 წლებით“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

დაუკვირდით ამ სიტყვებს და გაიხსენებთ რევოლუციურ პროკლამაციებს, რომელთა ტონი, ცეცხლი, მგზნებარება და მართლის თქმა ახასიათებს ამ წერილსაც, იგაბედულებაც ხომ იგივეა, პირდაპირობაც ამოწვდილი ზმლისა.

წერილში მიმოხილულია ვინმე ვლადიმიროვის წიგნი, რომელშიც აღნუსხულია მოსკოვისა და ბალტიისპირეთის „დამშვიდების“ ისტორია. მ. ჯავახიშვილი აცხადებს, რომ „ეს კრებული არის საშინელი ისტორია ხალხის ჯვარცმისა, წამებისა და ინკვიზიციისა“. წერილის ავტორს წიგნიდან მოაქვს ნაწყვეტები, რომელნიც ააშკარავენ მეფის ხელისუფლების მხეცობას, თავგასულობას და კაცთმოძულებას. „რიგაში სამი საინკვიზიციო ოთახია, — მოგვითხრობს ავტორი, სამივე ოთახში ბალხს აწამებენ. უფროსები საინკვიზიციო ოთახებში გადიან, უმცროსები კი კაზაკების დახმარებით დამნაშავეს ჩვენებას ართმევენ, სცემენ სასტიკად, სცემენ გულდასმით, სცემენ გაბრაზებით!.. სცემენ მათრახებით, თოფის კონდახებით და რეზინის ჯოხებით...“

მ. ჯავახიშვილს მოაქვს მრავალი ფაქტი, თუ სად რომელმა ჯარის ნაწილმა თუ პოლიციამ ვინ, რამდენი და რა უდანაშაულოდ დასაჯა, აწამა, დახვრიტა და ა. შ. ავტორი არა მარტო თვითონ აღწერს ამ შემადარწუნებელ ფაქტებს, არამედ მოიხველიებს რუსული პრესის ფურცლებსაც, რომელიც აუწყებს საზოგადოების აღშფოთებას ამ საზიზღრობის გამო.

წერილი ისეთი ტონითა და დამაჯერებლობით არის დაწერილი, რომ მისი ყოველი სტრიქონი ყუმბარასავით სკდება, მკითხველს აღაგზნებს და საბრძოლველად განაწყობს ამ ჯალათების წინააღმდეგ. ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს წერილი, ისე როგორც ბევრი სხვა წერილი, რომელიც მ. ჯავახიშვილმა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს დაწერა, საბრძოლო რევოლუციურ პროკლამაციებს არაფრით ჩამოუვარდება.

მ. ჯავახიშვილი ახერხებს აღწერილი ფაქტებით მკითხველთა ზიზღი გამოიწვიოს მთავრობის მიმართ და ასეთად განწყობილ მკითხველს მიაწოდოს თავისი დებულება: „ასეთი გახლავთ რუსეთის მართლმსაჯულება!“ რასაკვირველია, მკითხველი მთელი არსებით ირწმუნებს ამ შეფასებას.

განსაკუთრებით მწვავედ არის მოხსენებული პოლკოვნიკ რიშანის „გმირობა“, რომელიც ჯილდოს ჯილდოზე იღებს ამ საქმეებისათვის. ამ რიშანს იმდენი მხეცობა ჩაუდენია, რომ სხვა ოფიცრებს მისთვის წერილიც გაუგზავნიათ; თავი იმართლე, თორემ სამხედრო მუნდირის ტარების ღირსად ვერ ჩაგთვლით, თავი იმართლეო!

ამის გამო მიხეილ ჯავახიშვილი ამაღელვებლად წერს:

„თავი იმართლე!“ სწორედ რომ ლამაზი და მარილიანი სიტყვაა, მაგრამ რა ფასი აქვს ამ სიტყვას? რა ფასი აქვს დღეს, როცა რიგაში დახვრიტეს ნ უდანაშაულო კაცი, როცა სევასტოპოლში საქმის გარჩევამდის სიკვდილი გადაუწყვეტეს რამდენიმე უდანაშაულო მცირეწლოვანს, როცა ყოველდღე და ყოველ წუთს მთელ რუსეთში ათასი და ათიათასი ასეთი უსამართლობა ხდება, როცა ტრეპოვი, რიშანი, ორლოვი, ნეიდგარდტი, ალიხანოვი და ჩენენკამფი იმდენ ახალ საჩუქრებს იღებენ, რამდენ უსამართლობასაც ჩაიდენენ, რამდენ უდანაშაულოსაც დასჯილიან და დახვრეტავენ? არა! დღეს ასეთ სიტყვას ფასი არა აქვს. არ ვიცი, რას უპასუხებს პოლკოვნიკი რიშანი, ან უპასუხებს თუ არა, ჯაგრამ ის კი ცხადია, რომ ის ახალ საჩუქარს მიიღებს“.

ეს არის რეაქციის მამხილებელი სიტყვები, ეს არის რევოლუციური მოწოდების, საბრძოლო ყიყინის ძალის სიტყვები და სტრიქონები! ცხადია, მათ ბევრ მკითხველს აუღღღეს სისხლი და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბეს.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მძვინვარე რეაქცია რომ მოყვა, ბევრმა ნაძირალამ მოითხო ხელი და გულში ნადები შვებნელ სურვილები გამოამზეურა. ბევრ უბედურებას მოყვა ებრაელთა რბევა-აკლება, რასაც მმართველი წრეები არამცთუ არ კრძალავდნენ, არამედ ხელსაც უწყობდნენ და აღვივებდნენ კიდევ. რუსეთში მომხდარი ამ მხეტობის წინააღმდეგ მ. ჯავახიშვილსაც აუმაღლებია ხმა და „ივერიის“ 1906 წ. 25 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „რუსეთის ცხოვრებიდან“ სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამ კაცთმოძულე რბევა-ჟლეტას.

„პირველად განსვენებულმა პლევემ აღმოაჩინა, რომ ებრაელთა დარბევა საუკეთესო „გრომოოტვოდი“ იქნებაო, და ახლად მოგონილი ხერხი პირველად კიშინიოვში სცადა. ცდამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. კიშინიოვს მოჰყვა გომელი, ოდესა, კიევი, კრემენჩუგი და სხვა ათასი დიდი და პატარა დაბა-ქალაქი. მას აქეთ, ვინ იცის, რამდენი ათასი ებრაელი დაქვრივდა, რამდენი ათასი ბავშვი დაობლდა, რამდენი ათასი დედა ატირდა...“

ასე აღწერს ებრაელთა რბევის სურათებს რუსეთის იმპერიაში და შემდეგ ავტორი თავის დამოკიდებულებას ამჟღავნებს ამ აღმაშფოთებელი ფაქტებისადმი.

ბელოსტოკში კიდევ უფრო საშინელი ჟლეტა მომხდარა. „პატრიოტებს“ ხმა გაუფრცელებიათ, რომ სამი დღის განმავლობაში

ყველას შეუძლია ებრაელების ძარცვაო, არავის არ დასჯიანო და, ვისაც სურს, ყველამ ისარგებლოს ამ შემთხვევითო. მართლაც, ასე მომხდარა: „დასარბევად გამზადებული ბრბო ეცა ებრაელების მალაზიებს და დაუწყო მტვრევა. ხულიგნებს წინ პოლიციელები და სალდათები მიუძღოდნენ და იარაღით უკაფავდნენ გზას გამხეცებულ ბრბოს, რომელიც არაფერს და არავის არ ზოგავდა. თავზარდაცემული ებრაელები სარდაფებსა და სახურავებში იმალებოდნენ. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, „პატრიოტები“, ხულიგნები და ქუჩის ბიჭ-ბუჭები მეძებრებივით ეძებდნენ დამალულებს და იქვე ხოცავდნენ. თუ ვინმე წინააღმდეგობას უწევდა, ჯარი იქვე იყო. „ქრისტეს მოყვარე და მამაცი მხედრობა“ ხულიგნებს შველოდა. სახლებს თოფს უშენდა, ჩაკეტილების თავშესაფრებს იერიშით იღებდა და ყველას, ვისაც კი შიგ მოასწრებდა, უმოწყალოდ და საქმის გამოუძევლად ხოცავდა“.

ამ საზარელი ამბებით აღშფოთებული მ. ჯავახიშვილი განაგრძობს ამაღლევებელ თხრობას: „ოთხი დღის განმავლობაში ქალაქი მძარცველთა ხელში იყო; ოთხი დღის განმავლობაში მეოცე საუკუნის ბარბაროსები, რომელთაც სიმხეცითა და სისასტიკით მონგოლებსა და პირველყოფილ ველურებსაც კი გადააჭარბეს, უმანკო სისხლში დაცურავდნენ და ამ სისხლით მთვრალნი ანადგურებდნენ ყველაფერს, რასაც კი ხელში მოიგდებდნენ. ერთ სახლში ხულიგნებმა ხუთი მამაკაცი და დედაკაცი დაიჭირეს, ყველანი შეჭკრეს, დახოცეს და ზევითა სართულიდან გადმოყარეს. მეორე ალაგას ქალები გააუპატიურეს, მერე მუცლები დაუჭრეს და ისინიც ქუჩაში გადმოყარეს. მესამე სახლში მოხუცი შეკრეს, ზედ დაასხდნენ ცოცხალ ადამიანს, ოთხგოჯიანი ლურსმანი ჩაურჭვეს თვალში და თავი დაანებეს. მეოთხეს მთელი თავი და ცხვირპირი სავსე აქვს ლურსმნებით. მეხუთეს ენა მოჭრეს, მეექვსეს სასქესო ასოები დასჭრეს, მეშვიდეს დიდი კომბალი ჩასჩარეს პირში და დაახრჩეს. ერთი სახლიდან ხულიგანმა ხუთი წლის ბავშვი გამოიყვანა და იქვე სალდათების წინ ყანყრატოში ხელი წაავლო, ზევით ასწია და იმ დრომდის ეჭირა ჰაერში, სანამ ბავშვი არ დაიხრჩო“.

ამ საშინელ, შემადრწუნებელ ფაქტებს რომ აღწერს, მ. ჯავახიშვილი მთავრობას მოსდგება, თავს ესხმის მას, ამხელს მის ველურ ბუნებას, სიცრუეს და ყალთაბანდობას. მთავრობას სამჭერ ოფიციალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობა გამოუქვეყნებია ამ ამბების ირგვლივ. ხან ებრაელებმა ყუმბარა ისროლესო, ხან თოფი, ხან ტყუილი გამოდგაო და ა. შ. ყველაფერი ეს კი წმინდა პროვოკა-

ცია გამოდგა. ავტორი მკაცრად, გაბედულად წერს, „რომ ებრაელთა აკლება ბელოსტოკში წინდაწინვე იყო მომზადებული, გეგმა წინდაწინვე იყო შემუშავებული და აკლების ბრძანებაც წინდაწინვე ჰქონდათ მიღებული შორიდან, პეტერბურგიდან“.

ეს მართლაც დაუჯერებელი ამბავი ზოგს ღღესაც არ სჯერაო, — განაგრძობს ავტორი, — მაგრამ ახლა ყველაფერს ფარდა აეხადაო, ყველაფერი გამოჩნდაო და ყველა დარწმუნდა, რომ პეტერბურგი საიდუმლო ფარდის უკან წერს აკლების ბრძანებას...

წერილის ავტორი იმოწმებს შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ ნამყოფ თავ. ურუსოვს, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროში სიტყვა წარმოთქვა და გამოააშკარავა მთავრობის როლი იმ საზარელ საქმეებში. ურუსოვს უთქვამს, რომ ვერავითარი სამინისტრო ვერ აღადგენს მშვიდობას და წესრიგს, სანამ ვილაყეები თავიანთ ხეპრე ხელებს არ მოაშორებენ სახელმწიფო მანქანას, სანამ ქვეყნის საქმეზე გავლენა ექნებათ ისეთ კაცებს, რომელნიც აღზრდილთ პოლიციელები და ვახშისტრები არიან, რწმენით კი ამოხრებელნი.

მკითხველი ძალაუვნებურად იფიქრებს: თუ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი თანაშემწეც კი ასე აულელებია ებრაელთა რბევის საშინელებას, მაშინ პატროსანი ადამიანები მართლა უნდა აღსდგნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ეს ულეტვა-ხოცვა ჩაიდინაო. ეს არის ძალზე დიდი ზემოქმედების მომხდენი სტრიქონები.

მ. ჭავჭავიძე ილი ასრულებს იმას, რაც ურუსოვმა ვერ დაასრულა და წერს: „იგი გახლავთ სასახლის კამარილია, სასახლის ლაქიები, ჭგუფი იმ რეჟიმის მომხრეთა, რომელიც ასაზრდოვებდა მათ, რომელსაც ისინი მეწველ ფურივით სწველიდნენ და რომელიც უზრუნველყოფდა მათ მუქთამჰამლობას, ხაზინის ძარცვას, ხალხის გაყვლეფას და ქვეყნის სარჩოს გადაადებას როსკიებზე და სათამაშო ქაღალდზე“.

ეს არის გაბედული მხილება, პირდაპირ რაინდული თავდადება ჩაგრულთა ბედისთვის, ეს არის მომავალი დიდი მწერლის კაცთმოყვარული გულის აღმფოთება, რომელსაც საზღვარი არ აქვს. ავტორის გაბედულება და უშიშროება ზოგჯერ პირდაპირ განსაცვიფრებელია. ზოგჯერ იგი პირდაპირ ესხმის მთავრობას, ყოველგვარი მიხვეულ-მოხვეულის გარეშე: „თავ. ურუსოვმა გუშინ დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს სტოლიპინს ხელი დააფარა და განაცხადა, რომ მას ხელები ჯერ გასვრილი არ აქვს სისხლითაო, მაგრამ ამით მან დაფარა მხოლოდ სტოლიპინი და არა საზოგადოდ მთავ-

რობა, რომელიც, მისივე სიტყვით, უმთავრესი ავტორია ხალხის უბედურებისა“.

დაუკვირდით აქ ავტორი აშკარად აცხადებს, რომ ხალხის უბედურების ავტორი მთავრობაა.

ამავე წერილში მ. ჭავჭავაძე ამხელს მეფის მთავრობის მუხანათურ პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში. მართალია, მეფის ხელისუფლება რევოლუციონერებს ყველგან დევნის, მაგრამ არარუს ხალხებს, „ინოროღცებს“ ორმაგადო. მოაქვს საქართველოს აოხრებისა და ბალტიისპირეთის, პოლონეთის აწიოკების ფაქტები და ამით თავის დებულებას ამტკიცებს. უფრო მეტიც, მეფის მთავრობა ლამობს, რომ სხვადასხვა ერები ერთმანეთს გადაჰკიდოს, რათა უკეთ იბატონოსო. ეს შეფასება ძალზე სწორი, მართებული და უტყუარია.

„გამხეცებული თვითმპყრობელობა თავის გადასარჩენად ყოველნაირ იარაღს ხმარობს და ეროვნული სხვადასხვაობა ის მძლავრი ფაქტორია დღევანდელ რევოლუციაში, რომელიც უფრო თვითმპყრობელობას ემსახურება, ვინემ რევოლუციას. შავი ძალები დღესებრაელებს იკლებენ, ხვალ პოლონელებს მიესევნიან, ზეგ ქართველებს, მახეგ სომხებსა და არავინ იცის, როდის მოეღება ბოლო ეროვნულ შუღლსა და მტრობის ესეთ უსინდისო ექსპლოატაციას“

იმ მიზნით, რომ აღაგზნოს მკითხველები, ავტორი მიმართავს მოწოდების სიტყვებს: არ შეიძლება გავიმარჯვოთ, თუ გულგრილად ვუტკერიტ ბელოსტოკის ამბებს და სუსტი კენესით ვკითხულობთ იმ სტრიქონებს, სადაც წერია, რომ ცოცხალ ადამიანებს ლურსმნები ჩაურჭვეს თვალებშიო. მაშ როგორ? ძალაუნებურად იკითხავს მკითხველი. როგორ და, საჭიროა ბრძოლა ამ ველურობის წინააღმდეგ, — ასეთია ლოგიკური დასკვნა.

როგორც დავინახეთ, ამ წერილებში რუსეთის ცხოვრებიდან ისეთი ამბებია აღებული, რომელიც ამხელს თვითმპყრობელობის, მეფის ხელისუფლების — პირსისხლიანი ჯალათის სახეს, მის ველურობას, ძალადობას და ყალბადანდობას. ამ წერილებში ყველგან გაბედულად იგარძნობა ავტორის ზიზღი არსებული წესწყობილებისა და შავბნელი რეაქციის მიმართ. ამავე დროს წერილებს წითელ ზოლად გასდევს დიდი სიყვარული და სიმპათია დაჩაგრულთა და შევიწროებულთა მიმართ, რევოლუციის მიმართ, უფრო მეტიც, ამ წერილების ავტორი მოჩანს შეუპოვარ, გაბედულ, უშიშარ და ანთებულ რევოლუციონერად, რომელიც თავისი მგზნებარე პუბლიცისტიკით ათასების გულებს აანთებს რევოლუციის ხანძრის გასადღევებლად და გასაძლიერებლად...

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული წერილები

1905 წელს მ. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა რამდენიმე ისეთი წერილი, რომლებშიც აშკარადაა გამოხატული ავტორის ზიზღი მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ კატეგორიის წერილების წაკითხვა აშკარად გვიჩვენებს მ. ჭავჭავაძის რევოლუციურ სულისკვეთებას, გაბედულ ბრძოლას თვითმპყრობელობის დამხობისათვის. ეს წერილები ახლოს დგას ზემოთ განხილული ციკლის წერილებთან, იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო აშკარაა ავტორის მებრძოლი პოზიცია.

„იგავებითა და მორჩილებით ადამიანის უფლებათა განცხადების დრო გაქჭრა. მათი აღგილი პირდაპირმა და მართალმა სიტყვამ დაიჭირა.“

შეეზიზლა ყველას ხავსმოკიდებული, სამარცხვინო მორჩილებათუ მოქმედობა, შეეზიზლა მონური დაქვეითება გონებრივად თუ ზნეობრივად და თავის ადამიანურ უფლებათა აღსადგენად „ბნელეთის ძალთ“ ბრძოლა გამოუცხადა...“

ასე წერს მ. ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ წერილში („შეგნებული საქმიანობა“, „ივერია“, 1905 წ. 3 მარტი) და თვითონ ანაღლებს ამ საქმეს, თვითონ იბრძვის აშკარად და პირდაპირ, თვითონ უცხადებს ბრძოლას ბნელეთის ძალებს.

მ. ჭავჭავაძე კარგად ხედავს, რომ ცხოვრება ორად გაიყო. რომ ერთ მხარეს დგას ახალი რწმენით აღფრთოვანებული, მძლავრი, განახლებული, თავისუფლებისა და სიმაღლისათვის მებრძოლი ნაწილი საზოგადოებისა, მეორე მხარეს კი უსამართლობის ბურჯი, ბიუროკრატიული წყობილება, რომელსაც საძირკველი ერყვევა...

ავტორი კარგად ხედავს, რომ მთელ რუსეთში მშრომელი ადამიანები მონებად არიან ქცეულნი, მაგრამ იმასაც კარგად ამჩნევს, რომ განაპირა ხალხების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია, რადგან ბიუროკრატიული მთავრობა მეფისა ცდილობს უფსკრული აღმართოს ხალხებს შორის.

„გაჭირვება და ცხოვრების სიძნელე განაპირა ქვეყნებისა უფრო დიდი და მძიმეა, ვიდრე შიდა რუსეთის ხალხისა, ვინაიდან ბიუროკრატიულმა მთავრობამ და მისმა მოხელეებმა მთელი უფსკრული ამართეს მათ შუა და გარუსების იდეამ ისე დაამორა რუსეთის შუაგული განაპირა ქვეყნებსა, რომ ბიუროკრატიულს ატმოსფეროში გამოჭახრავებულს სახელმწიფო მოღვაწეს ხშირად ვეღარც კი წარმოუდგენია, თუ იგივე სამართლიანი მოთხოვნა რუსისა უცხო ერის წარმომადგენლისათვისაც აუცილებელია, თითქოს ჩვენ კი ადამიან-

ნები არ ვიყოთ, ან იმავე სახელმწიფო კანონებს არ ვემორჩილებოდეთ, ხშირად უფრო მეტის სისასტიკათა და შეუწყნარებლობით. ვიდრე ბუნებით რუსები. ერთი სიტყვით, რაღაც უუფლებო მონებად გვაქციეს, თუ რომ დღევანდელს გარემოებაში მცხოვრებს ყველას ერთად არ დაერქმევა იგივე მონა“.

ამავე დროს მ. ჯავახიშვილი კარგად გრძნობს ერების შეკავშირების აუცილებლობას, რათა საერთო ძალით შეუტეონ საერთო მტერს — თვითმპყრობელობას. ეს აზრი გამომდინარეობს აღნიშნული წერილის შემდეგი ადგილიდან: „...უნდა ვიფიქროთ ყველა ამაზე არა მარტო ჩვენ, ჩვენმა მეზობლებმაც, რომლებთანაც ისტორიითა და დღევანდელი პოლიტიკური ვითარებით დაკავშირებულნი ვართ და იძულებულნიც, მაშასადამე, ერთადა ვწიოთ საერთო უღელი... — ანდა „ერთა შორის თანხმობა და სოლიდარობა კავკასიაში ჩვენი გულის წაღილია...“ — წერს მ. ჯავახიშვილი. ეს წერილი თავდება მოწოდებით, რომ საჭიროა მოქმედება ერთიანი ძალით: „დროა. გონს მოვიდეთ და დღევანდელ დიდმნიშვნელოვანს გარემოებას ყველამ თვალხილულად და ფხიზლად შევხედოთ, მხნედ ვიმოქმედოთ უამისოდ საქმე არ გაკეთდება“.

მ. ჯავახიშვილის რევოლუციური აღტყინება სხვადასხვა მხრივ კპოვებს თავის გამოხატულებას. ერთ-ერთ წერილში, რომელსაც „გონიერი ზომიერება“ ჰქვია („ივერია“, 1905 წ. 3 მარტი), ავტორი დასცინის თავადაზნაურობას, რომელიც ლუპავდა სამშობლოს.

„ასი წლის განმავლობაში ჩვენს თავადაზნაურობას ოთხნაირი უფლება ჰქონდა: უფლება „ჩინ-მენდლების“ ძიღებისა, უფლება მამულების დაგირავებისა, გაკოტრებისა და მთელი ერის უფლების მითვისებისა“

ჩვენ, ე. ი. ხალხი, თავადაზნაურთა არაკებს ყურს ვუგდებდით და ხმას არ ვიღებდითო, — წერს ავტორი. ისინი მოთმინებას და გონიერ ზომიერებას გვიქადაგებდნენ და ჩვენც გაჩუმებულნი ვიყავითო.

„...იმ დროს, როცა ჩვენს ქვეყანაში ბიუროკრატიული თვითნებობა და „ჩინოვნიკური“ ძალმომრეობაა გამეფებული; იმ დროს, როცა ხალხს სულ უბრალო ელემენტარული უფლებებიც კი წაართვეს და ყოველ მის ნაბიჯს დარაჯი დაუყენეს; როცა საზოგადოებრივ ძალას ახშობდნენ, სიცოცხლის ნაპერწკლებს უქრობდნენ, ყოველივე ინიციატივას უსაბობდნენ და საზოგადოებრივი ცხოვრება სამარეს დაამსგავსეს; იმ დროს, როცა ყოველ ჩვენს სურვილს განათლებისა და ხალხის თვითცნობიერების გაღვიძებისადმი პოლიტიკურ დანაშაულად სთვლიან და სამშობლოს მოღალატესავეთ სასტიკად

გვსჯიან — ამ დროს „მოწინავე წოდება“ თვალეზე ხელს იფარებს და გაიძახის:

— საქართველოში სრული მშვიდობიანობა და სიწყნარება, ხალხი კმაყოფილი და მადლიერია და მთელი ქვეყანა ყვავის და მწიფდება“.

ამ წოდების მიერ ნაქადაგებ გონიერ ზომიერებას მ. ჭავჭავაძე-შვილი დასცინის და მას ადარებს ყვავის მიერ პირიდან გაგდებულ ყველის ნაჭერს... მაგრამ ყვავმა პირი არ დაალო და ყველის ნაჭერი არ ჩამოაგდო, — წერს ავტორი.

რევოლუციის აღმავლობის ამ ისტორიულ მომენტში მ. ჭავჭავაძე-შვილი გაბედულად წერს, რომ გზა მხოლოდ ორია: „ან კეთილშობილური და მოქალაქეობრივი გამბედავობა უნდა გამოვიჩინოთ და წინ მხნედ და მედგრად გავწიოთ, ანდა ყურ-მოჭრილ მონის მორჩილება უნდა გამოვიჩინოთ“. ამ ორი გზიდან მ. ჭავჭავაძე-შვილი პირველს ირჩევს და ხალხს მოუწოდებს პირდაპირი გზით სიარული-საკენ.

ხშირად, ძალიან ხშირად მ. ჭავჭავაძე-შვილი თავს ესხმის რუსეთისა და ადგილობრივი შავრაზმული და რეაქციული პრესის ორგანოებს და სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს მათთვის. ზოგ მათგანს კაციქამიას უწოდებს, ზოგს კი რას. აქ უნებლიეთ გაგვახსენდება დიდი ილია, რომელიც თავის პუბლიცისტურ წერილებში ასე გაბედულად ებრძოდა შავრაზმულ პრესას. მართო „კატკოვის პასუხად“ რომ გავიხსენოთ, ესეც კმარა.

წერილში „ყვავების ჩხავილი“ („ივერია“, 1905 წ. 7/IX) მ. ჭავჭავაძე-შვილი სწორედ ასე იქცევა. თვით სათაურიც გამოხატავს ავტორის პოზიციას — რეაქციული პრესის ნაბოდვარი შედარებულია ყვავების ჩხავილთან.

კაციქამია „ნოვოე ვრემია“, რომელსაც ისე უყვარდა „ტუზემცები“, როგორც ძალს ჯობი, გულგრილად აუწყებდა თავის მკათხველებს: კავკასიაში რაღაც ამბები ზღებო, რადიკალურმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია კავკასიის ამბებს და რუსეთის ბიუროკრატის პირდაპირ გამოუცხადა: რასაც დასთეს, იმასვე მოიშვიო, ან — ვინც ქარს დასთესავს, ის გრიგალს მოიშვიო. ახლა კი, როცა ბაქოს ამბებმა რუსეთის ხაზინასაც დაჰკრეს ხელი და რუსეთის მთელი მრეწველობა და კასპიის აღებ-მიცემობა ხიფათში ჩააგდეს, ყვავ-ყორნებმა „ნოვოე ვრემიამ“ და „მოსკ. ვედ.“-მ და საზოგადოდ რუსეთის პატრიოტულმა პრესამ ერთი აყალ-მაყალი ატეხეს: კავკასია აჯანყდა, კავკასიე ხელმეორედ უნდა დავიპყროთ, უნდა გავანადგუროთ, დავიმორჩილოთ და სხვ.“ ამ სტრიქონებს, ვფიქრობ, კომენ-

ტარები არც კი სჭირდება. მთელი წერილი ამ ტონშია დაწერილი — სამარცხვინო ბოძზეა გაკრული რეაქციული პრესა. მისი რეაქციული ბუნების მხილებისათვის ავტორი იშველიებს დემოკრატიულ პრესასაც. მაგალითად, ერთ ადგილზე მ. ჭავჭავიძე წერს: „ნოვოე ვრემის“ დამამშვიდებელ პროგრამას ასე ახასიათებს „სინ ოტენესტვა“: „კუხიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს“. ეს ანდაზა ზედგამოჭრილია ჩვენს შოვინისტებზე. რომელთაც სათავეში „ნოვოე ვრემია“ უდგას“.

მ. ჭავჭავიძე პრესის ასეთ ორგანოებს უწოდებს პოლიციის მსახურებს და დაუნდობლად წერს იმ შხამის შესახებ, რომელსაც ეს გაზეთები ანთხევენ ხალხის მოსაწამლად.

„დასჯა ადმინისტრაციული, დასჯა პოლიციური, დასჯა განკერძოებული და დასჯა საერთო, — ყველა ეს უკვე ნაცადია, ყველა ეს ნაცადია, ყველა ეს კავკასიამ უკვე გაიცნო და თოფებისა და ხმლების გარდა ზარბაზნებიც კი იგემა... მაშ რა შხამია ის ახალი „შხამი“. რომლის ხმარებასაც ურჩევს „ნოვოე ვრემია“ მთავრობას? საჭიროა ეს მის მიერ მოგონილი საშუალება პირდაპირ გამოაცხადოს, რათა ყველამ გავიგოთ და ვიცოდეთ, თუ რამდენად ძსრულებს „ნოვოე ვრემია“ თავის დანიშნულებას განაპირა ქვეყნების პოლიციის მოსამსახურისას“. აქ საკადრისად არის მიზნულა შავრაზმულ-რეაქციული პრესისადმი ისე. როგორც ამას იმსახურებდა იგი. ეს მხილება და კრიტიკა, ეს ბრძოლა კაცობაშია გაზეთების წინააღმდეგ მიმდინარეობს რევოლუციური პოზიციებიდან და, ამდენად, წერილის ავტორი გაბედულ მებრძოლად მოჩანს.

რეაქციის მხილება და რევოლუციის პათოსი კარგად ჩანს მ. ჭავჭავიძის წერილში, რომელსაც სათაურიც მოხდენილად აქვს შერჩეული — „რეაქციის საქმენი საგმირონი“ („ივერია“, 1905 წ. 9 ნომბერი). ამ წერილში ავტორი აღშფოთებას და გულისწყრომას გამოთქვამს იმ მხეცობის გამო, რომელსაც რეაქცია ყოველ ნაბიჯზე სჩადის. საინტერესოა, რომ მ. ჭავჭავიძე, როგორც ერთ-ერთ სხვა წერილშიც, 17 ოქტომბრის მანიფესტს აცხადებს ხალხის მოტყუილებისა და რეაქციის დაწყების მომენტად, შემდეგ კი მკითხველს გადაუშლის რეაქციის მიერ ჩადენილ მხეცობასა და სხვა საშინელ სურათებს.

„რევოლუციონერთა გამარჯვების პირველი დღე — 17 ოქტომბერი — კონტრრევოლუციისა და რეაქციის დაწყების დღე იყო. მოვლო თუ არა მთელ რუსეთს გამარჯვების ამბავი, რეაქციის გველესამაც ხვრელიდან თავი გამოპყო და სისინი დაიწყო... რამდენიმე დღის განმავლობაში მთელ რუსეთში სისხლის ღვარი იდგა. კონტრ-

რევოლუციის გრიგალმა რამდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა და ას ორმოცი მილიონი ადამიანი ანარქიას ჩაუგდო კლანჭებში. სისხლის ღვრა რომ წინააწარე იყო მომზადებული და ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა, ეს თვითონ ვიტყვამაც აღიარა“.

ამ საშინელებათა საილუსტრაციოდ მ. ჭავჭავიძე ასახელებს ერთ კონკრეტულ ფაქტს, რომელიც გამოაჩენს მთავრობისა და მოხელეთა მხეცურ სახეს: „იმ დროს, როცა ხულიგნებმა ჭარის დახმარებით ტომსკში 600 კაცი მოიპწყვიდეს თეატრში, ცეხლი წაუკიდეს და ცოცხლები დაწვეს, გუბერნატორი სტუმრების მასპინძლობაში იყო და, თუმცა იცოდა, რომ იქვე, იმის მახლობლად საშინელი ამბავი ხდებოდა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა და ისე მხიარულობდა, თითქო იმის გვერდით 600 კაცი კი არა, არამედ 600 კონა ფიჩხი დაეწვათ...“

ასეთი შეშხარავი სურათების აღწერით, მთავრობისა და ბიუროკრატიის მხეცური ბუნების გამოაშკარავებამხილებით, რასაკვირველია, მ. ჭავჭავიძე მკითხველებში იწვევდა ზიზღს არსებული წყობილების წინააღმდეგ და მათ გულებში ბრძოლს კოცონს ანთებდა.

ავტორი ყოველ ნაბიჯზე ამხელს სისხლით მოვრალ გუბერნატორებსა და მეფის მოხელეებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ჭალათებს არამცთუ არ სჯიან, პირიქით, აჯილდოებენ და აწინაურებენ კიდეც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მ. ჭავჭავიძე კვეყანაში ამტყდა-ოი ხოცვა-ჟლეტის მოთავედ თვლის არა მარტო ცალკეულ მოხელეებს, არამედ თვით მეფეს, მის მთავრობას, რომელიც აქეზებს თავის ხელქვეითთ და ამ ბოროტებას ჩაადენინებს მათ.

მ. ჭავჭავიძე განუმარტავს მკითხველებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა რევოლუციის იდეალები ვერ განახორციელა, თვითმპყრობელობა არ მოსპობილა, საჭიროა კიდევ მედგარი ბრძოლა ამ მიზნის განსახორციელებლად.

„ვის უნდა დაუჭეროს ხალხმა: ვიტტეს, რომელიც შველას თხოულობს და ირწმუნება, რომ მანიფესტი განხორციელებული იქნებაო, თუ სენატს და სინოდს, რომელნიც ხალხს აფიცებენ და აცხადებენ, რომ თვითმპყრობელობა არ მოსპობილაო? დიად, თვითმპყრობელობა არ მოსპობილა. აბსოლუტიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი — არ ვიცი კატკოვი, თუ სხვა ვილაც — სწერდა, ყოველ პოლიციელს გულში თვითმპყრობელობის ღვთაებრივი ნაპერწყალი აქვს ჩანერგილიო. სრული ჭეშმარიტებაა!“

მას შემდეგ, რაც ჩამოთვლის მეფის მოხელეთა თვითნებობისა და ძალადობის მაგალითებს, მ. ჭავჭავიძე აშკარად აცხადებს,

რომ მანიფესტი არ განხორციელდა, იგი ფეხქვეშ გათელეს, ხალხმა თავი არ უნდა მოიტყუილოს და ბრძოლა განაგრძოსო. „...ამიტომ ნურავინ იფიქრებს, რომ მებრძოლი ხალხი მანიფესტის სიტყვებით უნდა დაკმაყოფილდეს და თავი პოლიტიკურ ძილს მისცეს. ეს უფლებანი ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს ნამდვილად, რომელთა ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქალაქებში არის დაწერილი“.

თამამი, გაბედული, უშიშარი ტონით არის დაწერილი მ. ჯავახიშვილის წერილი „ერთი ათასთაგანი“ („ივერია“, 1905 წ. 17 ნომერი). აქ მხილებულია კავკასიის ხალხთა დამონებისა და დორგუნვისათვის ჩატარებული „ლონისძიებები“ მეფის ხელისუფლებისა, რომელიც არაფერს ერიდებოდა, ყველაზე სამარცხვინო ნაბიჯებსაც კი, ოღონდ გაღვიძებული ხალხისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა და „მოეთვინიერებინა“, „დაემშვიდებინა“ იგი.

„რამდენჯერმე გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ქურდ-ბაცაცებსა და მაროდორებს მფარველობს, მკვლევებსა და ავაზაკებს ხელს აფარებს და ისეთ კადნიერებადმდისაც კი მიდის, რომ მკვლევობას ამართლებს, აქებს, აჯილდოვებს კიდევაც. შორს წასვლა საჭირო არ არის. გაიხსენეთ თუნდ 29 აგვისტოს „ბრძოლის“ მთავარსარდალი გენ. იაკკევიჩი, რომელმაც უფრო დიდი თანამდებობა მიიღო; გაიხსენეთ 22 ოქტომბრის ხოცვა-ჟლეტის ხელმძღვანელი, რომელიც ყოველ წუთს მზად არიან, მძარცველთ ისევ გაუწიონ ხელმძღვანელობა, გაიხსენეთ ბრძანება ნამესტნიკისა, რომელიც საკმეველს უკმევს და ქება-დიდებათ იხსენიებს იმათ, ვინც 22 ოქტომბერს თავგასულ ბრბოს წინ მიუძღოდნენ; გადაათვალიერეთ უკანასკნელ დღეების ქრონიკა და იქიდან გაიგებთ, რომ თითქმის ყოველდღე სალდათები მშვიდობიან ხალხს არბევენ...“

ეს სიტყვები მ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მათში გამოთქმულია ყველა პატიოსანი კაცის გულისნადები, რომელიც ვერ ურიგდება მის თვალწინ ჩადენილ სისაძაგლესა და უსამართლობას და ხმას იმაღლებს მათ წინააღმდეგ.

ამ წერილში სამარცხვინო ბოძზე არიან გაკრულნი კავკასიის ხელისუფალნი, რომელთა თვალწინ მოხდა გოლოვინის პროსპექტზე ხალხის დარბევა, პირველი გიმნაზიის აკლება და მრავალი სხვა აღმაშფოთებელი ძალადობა, რომელიც მშრომელთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამავე წერილში დაუნდობლად არიან მხილებულნი ყველა ისინი ვინც ტაშს უკრავდა მოძალადეებს, ასეთთა შორის დასახე-

ლებულნი არიან სემინარიის რექტორი არქიმანდრიტო ნიკანდრო. „რომელმაც ქართველი სამღვდლოება გაალახვინა და ჯილდოდ ეპისკოპოსობა მიიღო“, მისი შემცვლელი რექტორის პოსტზე — გრიგორი, რომელმაც ჩვენს „საზოგადოებას სახედარი უწოდა“ და „კებაში გამოწყობილი ბიუროკრატი ქ-ნი ზამიატინა“, რომელიც წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის უფროსი იყო.

ამ ზამიატინას ტყავს აძრობს მიხეილ ჭავჭავიძე. იგი წერს: „კებაში გამოწყობილმა ბიუროკრატმა, ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის უფროსმა ქ-ნმა ზამიატინამ ძალიან მოიწონა იუნ-კერთა და კადეტთა ვაჟკაცობა და მამულის სიყვარული, რომელიც 22 ოქტომბერს დაამტკიცეს და მათ დასაჯილდოებლად სასწავლებლის დარაჯებს ბრძანება მისცა: დღეის იქით იუნკრებისა და კადეტების გარდა სასწავლებელში არავინ შემოუშვათ...“

ზამიატინას ამ ბრძანებას კომენტარს უკეთებს მ. ჭავჭავიძე და დაუბრუნებლად წერს, რომ „ჩვენს ისედაც აწიოკებულ ქვეყანას ვოსტორგოვებისა და გოროდცოვების გარდა კაბოსანი წურბელებიც კყოლია“.

საქმე უფრო შორს მიდის. ზამიატინა, როგორც შოვინისტი და მეფის ერთგული, კიდევ უფრო იგესლება: „ამ გაზაფხულს იმავე ზამიატინამ, რომელსაც პედაგოგიისა იმდენივე ესმის, რამდენიც ტრეპოვს ხალხისათვის თავისუფლების საჭიროებისა, პირდაპირ განაცხადა, რომ იმის აზრით წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დარბები და ქართველები არ უნდა მიიღონ“. ამით აღშფოთებული მ. ჭავჭავიძე ქვას ქვაზე აღარ სტოვებს და საკადრისად უმასპინძლდება ამ კაბოსან შაერაზმელსა და რეაქციონერს.

მ. ჭავჭავიძე მოითხოვს საზოგადოების გაწმენდას ზამიატინას მაგვარი კაცობისა ადამიანებისაგან, რომლებიც ამხინებენ და ასახინებენ ახალგაზრდობის სულს და კაცთმოძულე იდეებზე ზრდიან მას.

საინტერესოა მ. ჭავჭავიძის წერილის „ვიტტე და მისი სამინისტროს“ („ივერია“, 1905 წ. 11 ნომბერი) ერთი ადგილი, რომელიც შეიცავს შეფასებას 1904 წ. რუსეთ-იაპონიის ომისა და მის შედეგებს მეფის ხელისუფლებისათვის.

„იქ, შორეულ მანჯურიის მინდვრებში და ცუსიმის სრუტის ტალღებში უღმობელმა აუცილებლობამ სამარე გაუთხარა რუსეთის თვითმპყრობელობას და შიგ მისი დიდება, თავმოქმონე ფლოტი და „ქრისტეს მოყვარული“ ჯარი გაანადგურა. 1904 წ. 26 იანვარს იაპონელების მიერ ნააროლი პირველი ნალმი „ცესარევიჩს“ კი არ მოხვდა, არამედ რუსეთის პოლიტიკურ შენობას, რომელსაც

გვერდი შეუნგრია და გვერდზე გადმოხარა. ბევრი ეცადა ბიუროკრატია შენგრეულ ადგილის ამოშენებას, მაგრამ მარშალმა ოიამამ, აღმირალმა ტოგომ და გენ. კუროკიმ გაბზარულ ტახტს სეტყვასავით დააყარეს „შიმოზა“, იერიში იერიშზე მიიტანეს და ბოლოს, როგორც იყო, კისერი მოუგრინეს. წაქცეულ დევის ბოლოს მოღება რუსეთის მუშა ხალხმა იკისრა...“

ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს ავტორის პოზიციას და იმას, თუ რა სწორად აფასებდა იგი იაპონიასთან მეფის ჭარების დამარცხებას და მის კეთილმყოფელ გავლენას რევოლუციის აღმავლობაზე.

მეფის განუსაზღვრელი უფლებების შეკვეცას, ხალხის რჩეულთა წინაშე მინისტრების პასუხისმგებლობას და ანგარიშგებას მოითხოვს მ. ჭავჭავიძე თავის ერთ წერილში, რომელსაც ეწოდება „მინისტრთა პასუხისმგებლობა“ („ივერია“, 1906 წ. 14 მაისი).

საინტერესოა ამ წერილის ერთი და, მე ვიტყვოდი, მთავარი დებულება, რომელიც სიტყვა-სიტყვით ასეა ჩამოყალიბებული:

„ფართო თავისუფლება, დემოკრატიული კონსტიტუცია, დემოკრატიული კანონები და დემოკრატიული დაწესებულებები შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც ხალხს ძალით მოუპოვებია ყველა ეს და შემდეგშია ცალით დაიცავს და გააფართოვებს თავის უფლებებს“. რა გამოდის? გამოდის ის, რომ ავტორი მოითხოვს ძალით მოიპოვოს ხალხმა ეს უფლებები, ე. ი. მ. ჭავჭავიძე ხალხს მოუწოდებს ძალის გამოყენებისაკენ მეფის განუსაზღვრელი უფლებების დამხობისა და დემოკრატიული კონსტიტუციის, დაწესებულებების, კანონების მოსაპოვებლად. ეს ძალზე საყურადღებო დებულებაა, რომელიც ავტორის სწორ პოზიციაზე მიუთითებს.

8. ჯავახიშვილის ერთი რეპორტაჟი

ჩვენს თანამედროვე პრესაში რეპორტაჟი უფრო და უფრო იკიდებს ფეხს და იგი წამყვან საგაზეთო ჟანრად იქცევა. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება ბოლო ათიოდე წლის მანძილზე. ცოტა უფრო ადრე იგი ან სულ არ გვხვდებოდა, ანდა ძალზე იშვიათად. ვერც იმას ვიტყვით, რომ ახლანდელი ყველა რეპორტაჟი მაღალ დონეზე იდგეს.

რეპორტაჟი საგაზეთო ჟანრთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და მიმზიდველი ჟანრია. მას თითქმის ყველაზე უფრო მეტი უნარი და საშუალება გააჩნია მკითხველს უშუალოდ განაცდევინოს

მომხდარი ფაქტი. ან მოვლენა, შეუქმნას ისეთი განწყობილება, თითქოს მკითხველი თვითონ ესწრებოდა რეპორტაჟში აღწერილი ფაქტისა და მოვლენის მსვლელობას, ისე როგორც ეს ნახა თვით რეპორტიორმა, რომელიც უეჭველად თვითმხილველი უნდა იყოს რეპორტაჟში აღწერილი ამბისა.

რეპორტაჟის ცენტრში დგას ადამიანი თავისი საქმეებითა და განცდებით, ამიტომ მის ჩვენებას დინამიკაში, მისი ნაღვასის შეფასებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღწერილი ფაქტისა თუ მოვლენისადმი რეპორტიორის დამოკიდებულების მოხდენილი გამჟღავნება გამოაჩენს იდეურ მრწამსს, რაც აგრეთვე რეპორტაჟისადმი წაყენებული ერთ-ერთი მოთხოვნილებათაგანია.

იმის გამო, რომ რეპორტაჟი დინამიურია, მას არა მარტო საგაზეთო უნართა შორის ანიკებენ უპირატესობას, არამედ ლიტერატურაშიც კი. თუ გავიხსენებთ, რომ არსებობს ე. წ. ლიტერატურული რეპორტაჟიც, როგორც რეპორტაჟის ერთ-ერთი სახე. დავინახავთ, რომ აქ სიმართლის ელემენტი როგორღაც ურევია. იულიუს ფუჩიკის ცნობილი რეპორტაჟი ამაგრებს ამ მოსაზრების პოზიციას.

არსებობს ერთი მოსაზრებაც, თითქოს ცნობილი მწერლის. სტენდალის ნაწარმოებთა ესოდენი მოწონება და პოპულარობა მსოფლიოს ხალხებში გამოწვეული იყოს მისი რომანების რეპორტაჟული სტილით და რომ სწორედ ასეთი სტილი მისცემს სიცოცხლისუნარიანობას მომავალში დაწერილ რომანებს. ამას ხსნიან ეპოქის დინამიურობით, მოვლენათა სწრაფი განვითარებით ახალ მსოფლიოში, რაც ადამიანთა, ე. ი. მკითხველთა, ფსიქიკაზე ისეთ გავლენას ახდენს, რომ რეპორტაჟული სტილით დაწერილი ნაწარმოები უფრო სახალისოდ იკითხება.

ჩვენ არ ვიკისრებთ ამ მოსაზრების შეფასებას, იგი აღვნიშნეთ მაინც, რადგან არსებობს.

ქართული რეპორტაჟი ფართოდ გავრცელებული სახით ამ ბოლო წლების უურნალ-გაზეთებშიც გვხვდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს. თითქოს აღრე იგი არ გაგვაჩნდა. არსებობს მოსაზრება, რომელიც ქართული რეპორტაჟის სათავეს ეძებს ჩვენი მოგზაურების ჩანაწერებში, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ „მოგზაურობასაც“ მიაკუთვნებენ ე. წ. სამოგზაურო რეპორტაჟთა კატეგორიას. ასეთივე აზრია გამოთქმული ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებზეც“. ეს მოსაზრება შეიძლება სადავო იყოს, ეგებ გაჭირდეს ამის დამტკიცება, მაგრამ საკითხის დაყენება მაინც საინტერესოდ მოჩანს.

სამაგიეროდ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ

მ. ჭავჭავაძის ერთ რეპორტაჟზე, რომელიც დაწერის, თემატიკის, ფაქტის ჩვენების, იდეური გააზრებისა და ყველა კომპონენტის თვალსაზრისით შესანიშნავი და, ეგებ, სანიმუშო რეპორტაჟიცაა იგი დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წლის 5 და 11 მაისის, აგრეთვე 9 ივნისის ნომრებში გაგრძელების სახით. მისი სათაურია „ო რ ი ო დ ე დ ლ ე ა ლ ა ვ ე რ დ ის მ ა დ ა ნ შ ი“.

რეპორტაჟი იწყება ადგილისა და დროის ჩვენებით, შემდეგ კი კვალდაკვალ მისდევს მოქმედების ჩვენებას — სად რა ნახეს, რას განიცდიდნენ ისინი... გზადაგზა რეპორტიორი ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ნანახისადმი, ესარჩლება მუშებს და ამხელს გამდიდრების წყურვილით შეპყრობილ მეპატრონეებს, რომლებიც სხვისი შრომით მდიდრდებიან...

„...მზე ამოვიდა, როცა ჩვენ ალავერდის ქარხნის დირექტორის სახლს მივადექით, მალაროებისა და ქარხნის დათვალიერების ნება მოგვცა, თუმცა კი ჭერ კარგად გამოგვკითხა, სამთომადნო საქმე ხომ არავინ იცითო. ჩვენ, რასაკვირველია, ვუპასუხეთ არავინ არ ვიცითო და ძალიან კარგადაც მოვიქეციით, რადგან „ჩვენც ჩვენი საიდუმლოება გვაქვსო“, აგვიხსნა დირექტორმა“.

გამყოლი გამოუყვეს და მალაროების დათვალიერება დაიწყეს. რეპორტიორი აღწერს მალაროს, მის ხერხელებსა და ბნელ, ცივ გვირაბებს, უპაერობას და ა. შ. აქვე მოხდენილად არის ჩართული ამ მალაროების ისტორია — როგორ ეკუთვნოდა იგი ერეკლე მეფეს, მერე რუსეთთან შეერთების შემდეგ როგორ ჩაუვარდა ხელთ ბერძნებს, ხოლო ესენი როგორ შეცვალეს ფრანგებმა, რომლებიც ახლაც ამუშავებენ ალავერდის მადანს...

ეს ჩართვა ავსებს მკითხველის წარმოდგენას, თანაც ისეა გაკეთებული, რომ სანამ ძირითად სანახავს აგვიწერდეს ავტორი, გამყოლს აამბობინებს ამას, თითქოს პაუზას ავსებს. ასეთი ხერხი ნამდვილად აღწევს მიზანს, რადგან შეუწინებელი ინტერესით იკითხება.

უცებ ასეთი გადასვლაა: „ამ ლაპარაკში ქარხნის ეზოში შევედიო“. შემდეგ კი აგვიწერს ქარხნის ამბებს „იქვე ორ-სამ ალაგას იწვოდა სპილენძის ჭავარის ხროვა, ქარხნის საბოლოოდან და ამ ხროვებიდან ამონადენი ყვითელი და სქელი ბოლი იქაურობას ედებოდა. ყველაფერს ჰქვნიდა, ჰაერს გოგირდის სუნით სწამლავდა და კაცს სუნთქვას უძნელებდა“. გარემოს ასეთი აღწერა რეპორტიორისათვის მთავარი კი არაა, იგი დამხმარე საშუალებაა, რათა მთავარი — აღამიანი გვიჩვენოს, ხოლო ეს აღამიანი გარკვეულ გარემოში მოქმედებს.

შემდეგ ავტორი აღწერს ძნელ, არაადამიანურ შრომას, რომე-

ლიც მაღაროში მომუშავეთ რგებიათ წილად. იგი კონკრეტულ ადამიანებს გვიჩვენებს, გვიხატავს მათ საქმეს ისე, თითქოს ჩვენ თვითონ ვხედავდეთ, თითქოს ჩვენ თვითონ ვესაუბრებოდეთ მათ. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ამონაწერს: „დაბალ თაღს ოთხი-ოდე ხის ბოძი ჰქონდა მიბჯენილი. სველსა და ტალახიან კედლიდან წყალი ჩამოდიოდა და იატაკზე გუბდებოდა. ერთ ბოძზე ჭრაქი ეკიდა და იქაურობას სუსტად ანათებდა. ორი, ტალახით შეგლესილი, ტანისამოსჩამოგლეჯილი, ჰვარტლით შეთხუპნული და ორად მოხრილი მუშა კოჭებამდის წყალში იდგა და თავის მძიმე, აუტანელსა და საშინელ საქმეს აკეთებდა. ერთ მუშას ხელში ეჭირა მოკლე ლომი, რომელიც კლდეზე მიებჯინა; მეორე დიდ, ათგირვანქიან ჩაქუჩსა სცემდა, ყოველ დარტყმას გულიდან ამონაკენეს ოხვრას ატანდა, ყოველ წუთის შემდეგ ჩაქუჩს ძირს უშვებდა და შუბლიდან წურ-წურით ჩამონადენ ოფლს იწმენდავდა“.

შემდეგ აღწერილია, თუ გაოფლილ მუშებს როგორ ესხმოდათ ზემოდან ცივი წყალი, როგორ უბერავდა გვირაბებიდან ძლიერი ქარი და საერთოდ რა არაადამიანურ პირობებში უხდებოდათ ლუკმაპურისათვის ბრძოლა ამ სვეგამწარებულ მუშებს. ესეც არაფერი, საფრთხე მოელოდათ ამ ადამიანებს, რადგან მაღაროებში არ იყო დაცული ელემენტარული წესები უსაფრთხოებისა, რის გამოც ალაგ-ალაგ ხშირად ჩამონგრეევებს ჰქონდა ადგილი.

ყოველივე ეს ისეა აღწერილი, რომ, ერთის მხრივ, იგრძნობა თანაგრძნობა მუშათა კლასის წარმომადგენლებისადმი და, მეორეს მხრივ, საყვედური და პროტესტი მეპატრონეებისადმი.

„მეორე ალაგას მელიას სოროს ოდენა ორმოში ერთი სპარსელი ჩამძვრალიყო და ისეთნაირად მოხრილიყო, რომ იმგვარ მდგომარეობაში მუშაობა შეუძლებლად მიმაჩნდა. მაგრამ სპარსელს თავი და მუხლები ერთად მოეტანა, ფეხები წვივებიანად წყალში ჩაეყო, ჭრაქი ისე ახლო ჰქონდა ჩამოკიდებულნი, რომ ცხვირი თითქოს ეწვოდა.. მხოლოდ ილიის ქვეშიდან შემოგვიბრიალა თვალები და ისევე განაგრძო ჯოჯობეთური საქმე“

ამ ამონაწერიდანაც მკითხველი ცოცხლად დაინახავს იმ მუშას, თითქოს თვითონ უყურებდეს მის ბეჩავ მდგომარეობას, ამავე დროს განიმსჭვალება მისდანი თანაგრძნობით. აღშფოთდება ამ დღეში მისი ჩამგდები ძალების მიმართ. ამასთან, მართლა ვირწმუნებთ. რომ მისი საქმე „ჯოჯობეთური“ იყო.

განაგრძობენ მაღაროების დათვალიერებას და მკითხველიც მათთან ერთად ხედავს ათას ხერულსა და გვირაბს, რომლებსაც ხახა დაუღიათ და შიგ მომუშავეებს სიკვდილით ემუქრებიან. გზადაგზა

ავტორი ისევ მუშებზე აჩერებს ყურადღებას და ჩვენც ვხედავთ. განვიცდით მათი ტანჯული ყოფის აუტანლობას.

ავტორი გამოელაპარაკება მუშებს, ზოგს ქართულად და ზოგს რუსულად, ზოგს აზერბაიჯანულად და ზოგს სპარსულად. ამ საუბრის ხერხით ავტორი თან აცოცხლებს მოყოლას, თანაც ახალ ცნობებს გვაწვდის — სპარსეთში უარესი პირობები ჰქონიათ სპარს მუშებს და აქ საშოვარზე წამოსულანო. ერთ სპარსელს ასეთ რამესაც კი ათქმევინებს: „აი, მე, მაგალითად, თორმეტი წელიწადია რაც აქ ვმუშაობ, მაგრამ კმაყოფილი ვარ. ეგ არის მხოლოდ, წინათ ჩვენს მხარეში ათ სოფელში პირველი მოჭიდავე ვიყავი, ეხლა კი თუშკა 32 წლისა ვარ, მაგრამ ფეხზე ძლივსლა ვდგავარ“. აქ ირონიაც არის და შენიღბული პროტესტიც.

სამაგიეროდ, ავტორი ალაპარაკებს ქართველ მუშებსაც, რომლებიც აღშფოთებას და უკმაყოფილებას არ მალავენ და პირდაპირ აცხადებენ: „დღეში 10—12 საათს ვმუშაობთ, ფეხთ ჩვენ არ გვაცვია, ჭლდი ჩვენ არა გვხურავს, ტანისამოსი არა გვაქვს, მთელი წლის განმავლობაში ერთი გოჯის სისქე ტალახი გვაცხია, ტანს ვერ ვიბანთ. რადგან ამ ოხერ მალაროებში წელიწადში მხოლოდ დღენახევარი გვაქვს დასვენება...“

აქვე აშკარადება სხვადასხვა ერის მუშებს შორის შეუკავშირებლობა, რასაც, როგორც ჩანს, მეპატრონეები განგებ აღვივებდნენ, ეს მათთვის ხელსაყრელი იყო.

რეპორტაჟში აღწერს მთელ სამუშაო დღეს, მადნის ნგრევას. აფეთქებებს, ხვრელებს, დედამიწის დაღრღნილ გულს. ბოლოს გვიჩვენებს მუშების ცხოვრებას სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ. „თუ ყველა არა, დიდი უმეტესობა მაინც ცოცხალ-მკვდრებსა და სულთმობრძავეებს მოგვაგონებდა: ყველა საშინლად გამხდარი, ორად წელში მოხრილი, მთელ ტანში მოშლილი და დაბეჩავებული იყო ლურჯ და ყვითელ ტალახში ამოვლებული ძონძები ვერა ჰფარავდა იმავე ფერის ტალახით შეგლესილ-შეთხუპნულ ტანს“. „...თვალები ღრმად ჩამჭრალი; მოელვარე და ჩასისხლიანებული ჰქონდათ, რის გამო მომუშავე ავადმყოფს ჰგავდა“, მალაროდან გამოსული ადამიანები ასეთად წარმოუდგა რეპორტიორს, როცა ისინი მზის სინათლეზე დაინახა ნათლად.

აქვე აღწერილია მუშების აუტანელი საბინაო პირობები, რომ მათი სადგომები ცხოველებისაზე უარესი იყო. სამუშაოდან „შინ“ მომავალი მუშები „მძიმე და საშინელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, ეს თითქოს საფლავიდან ამოსული ჩონჩხები“. ავტორი აგვიწერს თუ ნახევარი საათის განმავლობაში როგორ დაიძინა ყველა მუშამ,

რადგან ლამის თერთმეტ საათზე ისინი ისევ სამუშაოს უნდა დაბრუნებოდნენ.

რეპორტიორი აგვიწერს სპილენძის გამოდნობის პროცესსაც.

ბოლოს ავტორი აშკარა საყვედურებს გამოთქვამს მეპატრონეების მისამართით. მაგ., იგი წერს: „ყველაზე ძალიან იმან გაგვაკვირვა, რომ იმ ქარხანაში, სადაც რამდენიმე ასი კაცი მუშაობს, იმ ქარხანაში, სადაც შრომის პირობები ასეთია, რომ ყოველივე მუშისათვის ბანაობა აუცილებლად საჭიროა, აბანო არ არის... მით უფრო, რომ ცხელი წყალი სამანქანო განყოფილებაში ყოველთვის აქვს. ეს ცხელი წყალი დღე და ღამე ტყუილუბრალოდ გარედ იღვრება“.

დაბოლოს, აშკარა პროტესტი და აშკარა რევოლუციური განცხადებები მოსდევს რეპორტაჟის დასკვნით ნაწილს: „ა მ ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი — პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ა უ ზ ო მ ო ა (ხაზი ჩემია — ტ. კ.). ქარხნის ადმინისტრაცია მახვილად აღევნებს თვალ-ყურს მუშებს მხოლოდ მაშინ, როცა მუშა მუშაობს და მუშაობს. სხვაფერი მზრუნველობას არ იჩენს“.

აღშფოთებული რეპორტიორი არ ერიდება მხილებას, რომ მთავრობა მეპატრონეების ინტერესებს იცავს, და გაბედულად წერს: „გულში მძიმე შთაბეჭდილება დაგვრჩა. ჩვენ არ გვეგონა, თუ შევხვდებოდით იმ ჯოჯოხეთს, რომელიც მადარობებში ვნახეთ... მშრომელის იმ პირობებში ჩაყენება, რა პირობებშიც ალავერდის ქარხნის მუშები არიან, შეიძლება მხოლოდ ისეთ უღაბნო და უპატრონო ადგილას, სადაც კანონმდებლებიც და მისი აღმსრულებლებიც ქარხნების პატრონებზე არიან“. ამ სიტყვებით მთავრდება ეს რეპორტაჟი. ხელს აწერს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი მ ო ნ ა, რომელიც მ. ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყო იმხანად.

აღნიშნული რეპორტაჟი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ იგი ამ ქანრისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებს ასე მოხდენილად აკმაყოფილებს, არამედ იმითაც, რომ იგი დაწერილია მოწინავე იდეურ-რევოლუციური პოზიციიდან, მასში მოჩანს მოახლოებული პირველი რევოლუციის მაჯისცემა, მოჩანს, რომ ავტორი პროლეტარიატის მხარეზეა, ექომაგება დაჩაგრულ მუშებს და ამხელს ექსპლოატატორებს.

რეპორტაჟში გამოძერწილი სახეების უკან იმალება მომავალი მწერალი, ეს კი ამ ნაწარმოებს მიმზიდველობას მატებს.

ამ რეპორტაჟის წარმატებას უდავოდ შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ავტორი ერთხანს თვითონ მსახურობდა ალავერდის მაღაროებში და კარგად იცნობდა იქაურ ცხოვრებას.

მიგვაჩნია, რომ ამ რეპორტაჟის გაცნობა და მასზე დაკვირვება

სასარგებლო იქნება ჩვენი პრაქტიკოსი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ჩვენს პრესაში ყოველდღიურად გვიჩვენებენ შრომის გმირებს, კომუნისზმის მშენებელ ადამიანებს. ამ რეპორტაჟიდან შეიძლება ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლოთ.

ფელეტონები თუ მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოებები

მწერლის ხელით შედგენილ ბიბლიოგრაფიაში, რომელიც მისმა ქალმშვილმა ქეთევან ჭავჭავიძემ გადმოგვცა, რისთვისაც მას დიდ ძაღლობას მოვახსენებთ, აღნიშნულია ერთი სათაური — „ოჯახი“ და ისიცაა მითითებული, რომ იგი დაიბეჭდა გაზეთ „შრომის“ 32-ე ნომერში 1906 წ. ბიბლიოგრაფიაში მწერლის გვარი არაა მითითებული, რადგან მ. ჭავჭავიძემ აქ მხოლოდ თავისი ნაწერები შეიტანა და იგულისხმება, რომ ყველა აქ აღნიშნული ნაწერი მისია.

აღნიშნული გაზეთის მითითებულ ნომერში ძარბაზ აარის დაბეჭდილი „ოჯახი“, რომელსაც ხელს აწერს „ფხა“. მაშასადამე, მ. ჭავჭავიძე მამინ ამ ფსევდონიმსაც იყენებდა. ეს მით უფრო ზუნებრივად მოჩანს, რომ იმ პერიოდში გამოქვეყნებულ მრავალ პუბლიცისტურ წერილს მ. ჭავჭავიძე ხელს აწერს სხვადასხვა ფსევდონიმით.

ვიდრე გავეცნობოდით, „ოჯახი“ წერილი გვეგონა, რადგან იმხანად მრავალ გაზეთში: „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“, „გლახში“ ამ ავტორის უამრავი წერილი ქვეყნდებოდა ცხოვრებისეულ მრავალ საკითხზე. მასალის წაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვაქვს დრამატულ ნაწარმოებთან.

ეს ნაწარმოები დაბეჭდილია გაზეთის მეოთხე გვერდზე. სარდაფს ზევით რუბრიკით „პატარა ფელეტონი“. რუბრიკა მსხვილი შრიფტითაა აწყობილი, მის ქვეშ კი სათაური „ოჯახი“ — შედარებით წვრილი შრიფტით.

ამ დეტალს მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმიტომ, რომ „ფელეტონი“ იმ ხანებში სარდაფს ეწოდებოდა. ამ რუბრიკის ქვეშ, ე. ი. სარდაფში, ქვეყნდებოდა ლექსებიც, წერილებიც, მოთხრობებიც. ეს „პატარა ფელეტონი“ კი სარდაფს ზევითაა და, მაშასადამე, მას დაკარგული აქვს გაზეთის გვერდში აღვილის შინაარსი, სამაგიეროდ შექმნილი აქვს ახალი შინაარსი — თანამედროვე ფელეტონისა („ოჯახი“ იუმორისტულ-სატირული ხასიათისაა, ოაც დღევანდელ ფელეტონს უეჭველად მოეთხოვება), ოღონდ ფელეტონის

ფორმად მწერალს არჩეული აქვს ღრამატული ენარი (ასეთები ახლაც გვხვდება, ზოგი ფელეტონი სცენარის სახითაც იბეჭდება).

ამ დაკვირვებებს მნიშვნელობა აქვს წმინდა ეურნალისტური თვალსაზრისითაც, რამდენადაც იმხანად მ. ჭავჭავაძის შვილი უფრო ეურნალისტი იყო და ეს ფაქტი ქართული ფელეტონის ისტორიის შესწავლისათვისაც საგულისხმოა.

„ოჯახის“ სათაურის ქვეშ ჩამოთვლილი არიან მოქმედნი პირნი აი, ასე:

პატარა ფელეტონი

ოჯახი

მ ა მ ა, უკიდურესი ნაციონალისტი

დ ე დ ა, უპარტიო

უ ფ რ ო ს ი ვ ა ე ი, სოც. ფედერალისტი

უ ფ რ ო ს ი ქ ა ლ ი, სოც.-დემოკრატი

უ მ ც რ ო ს ი ვ ა ე ი, ანარქისტი

ამას მოსდევს ტექსტი, რომელიც ავტორის რემაკით იწყება: „დილა. ანარქისტი ჩაის სვამს. მეორე ოთახიდან მოისმის ცხარე კამათი სოც.-დემოკრატისა და ფედერალისტისა. შემოდინან სოც.-დემ. და დედა“.

ამის შემდეგ დიალოგებია, ჩვეულებრივად, როგორც ყველა ღრამატულ ნაწარმოებში.

გარდა ამისა, ალაგ-ალაგ კიდევ ჩართულია რემაკები. მაგ., ასეთი: (ჩუმად და გაუბედავად), (ყველანი გაჩერდებიან, შემოდის მამა, დაღონებული და წელმოწყვეტილია), (ჯავრობს), (გადის) და სხვა.

ყველა ეს ატრიბუტი, ცხადია, ღრამატული ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება:

„ოჯახში“ მთავარი ისაა, რომ ოჯახის ყველა წევრი სხვადასხვა პარტიას ეკუთვნის (გარდა დედისა) და პარტიულ ნიადაგზე მათ შორის ყოველთვის ჩხუბი და დავიდარაბაა. ამ შეხლა-შემოხლას ზოგჯერ ძალზე მწვავე ხასიათი აქვს. ამ თვალსაზრისით, ეს ნაწარმოები ცოცხლად ასახავს 1905 წლის პერიოდს, როცა რევოლუციასა და რეაქციას შორის ჭიდილისას საზოგადოებრივი აზრი დაძაბული და დაჭიმული იყო და ყოველივე ეს თვითივე ოჯახში თავისებურად ტყდებოდა.

„ოჯახის“ შინაარსზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს უნდა იყოს პირველი ჩანასახი თუ პირველი ჩანაფიქრი

მწერლისა, რომელიც შემდეგში, მოგვიანებით, ფართოდ აისახა და ფრთავაშლილად გაშუქდა „ქალის ტვირთში“ (გაიხსენეთ ამ რომანში ნაჩვენები ახატნელების ოჯახი, მის წევრთა შორის დაპირისპირება, ჩხუბი პარტიულ ნიადაგზე და ა. შ.).

ეს გარემოება კიდევ უფრო უეჭველს ხდის, რომ „ოჯახი“ მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებია.

კიდევ უფრო აშკარა დრამატულ ნაწარმოებად მოჩანს მეორე — „ბაზარი“, რომელიც იმავე გაზეთ „შრომის“ 55-ე ნომერში გამოქვეყნდა 1906 წელს. ესეც „პატარა ფელეტონის“ რუბრიკის ქვეშ არის გაშვებული, ოღონდ მას უკვე ქვესათაურიც აქვს — „სცენა ერთ მოქმედებად“, ამას მოსდევს „მოქმედნი პირნი“ და შემდეგ მათი ჩამოთვლა.

ამას მოსდევს რემარკები, თუ სად, რა ვითარებაში ხდება მოქმედება, რა ხდება მოქმედების ადგილზე. შემდეგ კი დიალოგებია მოქმედ პირთა შორის და ზოგჯერ ისევე რემარკები.

ყოველივე ეს „ბაზარს“ საესეებით გამოკვეთილ დრამატულ ნაწარმოებად წარმოგვიდგენს. აკი ავტორიც მას უწოდებს „სცენას ერთ მოქმედებად“.

ამ ნაწარმოების შინაარსი ასეთია: ბაზარზე გამოსულან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, ჩამდგარან სავაჭროებში და გაკვივიან თავიანთი პროგრამებისა და დაპირებების შესახებ, „მუშტრებს“ თავისკენ იზიდავენ. მუშტრები კი ხალხია — საზოგადოების სხვადასხვა ფენა.

როგორც „ოჯახი“, ისე „ბაზარი“ თემატურად იმდროისათვის ძალზე აქტუალურია და ეხმაურება საზოგადოებრივ ცხოვრებას. ავტორი ეგებ ყოველთვის მართალი არ იყოს რაიმე საკითხში, მაგრამ ამ ნაწარმოებებს მნიშვნელობა აქვს ისტორიული თვალსაზრისით. მათი შეფასებაც ისტორიული თვალთ უნდა მოხდეს. მთავარი კი ისაა, რომ მათ მნიშვნელობა აქვთ ამ დიდი მწერლის მემკვიდრეობის სრულად წარმოდგენისათვის.

უნდა დავძინოთ, რომ „ბაზარს“ ხელს აწერს არა „ფხა“ (როგორც „ოჯახს“), არამედ „ახალი ფხა“, მაგრამ ეს ვერ ცვლის მდგომარეობას და იგი მიხეილ ჯავახიშვილისეულად რჩება, თუმცა ეს ნაწარმოები ავტორს ზემოთ დასახელებულ ბიბლიოგრაფიაში არ შეუტანია.

ჯერ ერთი, იმდროინდელ პრესაში ბევრი ნაწერია გაბნეული, რომელიც ამ ბიბლიოგრაფიაში არაა შეტანილი, მეორეც, ფსევდონიმების ნაირსახეობანი მიხეილ ჯავახიშვილს სჩვევია. მაგალითად. მისი ფსევდონიმი „დამოუკიდებელი მონა“, ამის პარალელურად

კი გვხვდება „თავისუფალი მონაც“. „ფხა“ და „ახალი ფხა“ ამის ანალოგიურად არის გაკეთებული. მესამე ის არის, რომ ორივე ნაწარმოები („ოჯახი“ და „ბაზარი“) ერთნაირი სტილით, ერთნაირი პრობლემატიკით და დაძაბული კონფლიქტით ხასიათდება.

მთავარი კი ის არის, რომ აქ განხილული ორივე მასალა — „ოჯახიცა“ და „ბაზარიც“ — პუბლიცისტიკის ყველაზე მძაფრი ეანრის ნაწარმოებია. ისინი ფელეტონებია, რომელთაც არქიტექტონიკა ფორმა დრამატული ნაწარმოებისა აქვთ.

ამით ჩვენ იმ დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში იყენებდა მრავალ საგაზეთო ეანრს — სტატიას, კორესპონდენციას, რეპორტაჟს და ფელეტონსაც კი.

წერილები უცხოეთის შესახებ

უცხოეთის ცხოვრებას თავის წერილებში მიხეილ ჯავახიშვილი მრავალმხრივ აშუქებს. მას აინტერესებს სხვადასხვა ქვეყანა, იქაური სოციალური და პოლიტიკური წყობილება, პარტიული ბრძოლა, ქალთა საკითხი, სასამართლო და ა. შ. მაგრამ, თუ დავუკვირდებით ამ თემატურ და გეოგრაფიულ განვრცობას, დავინახავთ, რომ მათ შორის გამაერთიანებელი ხაზი არსებობს. ესაა საკითხების ისეთი შერჩევა, რომ ქართველი მკითხველი დააფიქროს თავის ცხოვრებაზე, შეადარებინოს ეს თავისი ცხოვრება სხვადასხვა სახელმწიფოს ხალხთა ცხოვრებას და არსებული ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ხმა ამოაღებინოს. ასე რომ, უცხოეთის ცხოვრების გაშუქების დროსაც მ. ჯავახიშვილი აქტიურ მიზანს ისახავდა — მკითხველთა გათვითცნობიერების გზით მათი რევოლუციური აღტკინების გამოწვევას.

წერილები უცხოეთის ცხოვრებაზე რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905—1906 წ.წ.) იბეჭდება უმეტესად გაზეთ „ივერიაში“ და ნაწილობრივ გაზეთ „შრომასა“ და „ცნობის ფურცელში“. ორი წლის მანძილზე „ივერიაში“ დაბეჭდილია 14 ასეთი წერილი. „ცნობის ფურცელში“ — 1; ხოლო „შრომაში“ კი 2 წერილია დაბეჭდილი. ზოგ ნომერში ამავე ავტორის ორი წერილი ქვეყნდება.

თემატურად ამ წერილების მრავალფეროვნებაზე წარმოდგენას იძლევა მათი სათაურებიც კი. ესენია: „გერმანიის მუშათა პარტია“, „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“, „პო-

ლონეთისა და ფინლანდიის მაგალითი“, „დედაკაცი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში“, „ეროვნული საკითხი ავსტრიაში“, „სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში“, „სოციალისტური მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ (ყან ლონგესი), „ჩარტისტთა მოძრაობა“ (ს. ბოკჰაიმის თხზულებიდან), „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“, „მიწის მფლობელობა ახალზელანდიაში“, „აგრარული რეფორმები ირლანდიაში“, „მომხმარებელი საზოგადოებები იტალიაში“, „სახელმწიფო ბიუჯეტი ინგლისში“, „თანამედროვე ავსტრია და მისი სახელმწიფოებრივი იდეა“, „ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან“, „დემოკრატიზმი ფინლანდიაში“.

როგორც ვხედავთ, აქ ჭარბობს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების გამშუქებელი თემატიკა. ეს ინტერესი ავტორისა ბუნებრივად მოჩანს რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური ბრძოლა ასე აზვირთებული იყო.

აღსანიშნავია, რომ მ. ჭავჭავაძის ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებს წყაროს, საიდანაც მას მასალა აუღია წერილის დასაწერად. ზოგჯერ კი არ მიუთითებს. ორივე შემთხვევაში წერილები ისეა დაწერილი, თითქოს ავტორი უშუალოდ ყოფილიყოს იმ ქვეყანაში, რომელზეც წერს, და თავისი თვალთ ნანახზე დაეწეროს. საერთოდ ამ წერილებში გამოძველებულია ავტორის მრავალმხრივი ინტერესი და ცოდნა დასმული საკითხებისა. ამ წერილებს იმდროინდელი მკითხველისათვის უეჭველად დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

„გერმანიის მუშათა პარტია“ დაიბეჭდა „ივერიაში“ 1905 წლის 17 ივლისის ნომერში. ამ წერილში ავტორი დიდ შეფასებას აძლევს გერმანიის მუშათა პარტიას. იმოწმებს ამ პარტიის მტრების მოსაზრებებსაც კი, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს მისი მნიშვნელობა. მაგ. მოტანილია „რკინის კანცლერის“ ბისმარკის აზრი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ჩვენ რომ სოციალ-დემოკრატია არ გვყავდეს, გერმანია ვერ დაიკვებინდა იმ მცირე სოციალურ რეფორმებსაც კი, რომელიც მან მოიპოვა“. ე. ი. სოციალ-დემოკრატის წყალობით ყოფილა მოპოვებული გერმანიაში განხორციელებული რეფორმები. საგულისხმოა, რომ მ. ჭავჭავაძის ბისმარკი მიაჩნდა ადამიანად, რომელიც „ერთ და იმავე დროს აფასებდა კიდევ ამ პარტიას და მისი პირველი ქალათიც იყო“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატის როლს კიდევ უფრო მკაფიოდ ახასიათებს მეორე კანცლერის — კაპრიევის სიტყვები: „როცა მთავრობა ამა თუ იმ კანონის გამოცემას აპირებს, თავის თავს ეკითხება. რას იტყვის იმის შესახებ სოციალ-დემოკრატიაო“.

მ. ჭავჭავაძის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიას 1863 წლიდან იწყებს, რადგან მანამდე გერმანიაში შავი რეაქცია იყო გაბატონებული და პარტიული მუშაობა შეუძლებელი იყო. შემდეგ განიხილავს ლასალის, ლიბკნეხტის, ბებელს, ბერშტეინის, კაუცკის და სხვა მოღვაწეთა როლს სოციალ-დემოკრატიის განვითარებაში და იმ დავას, დაჭფუფებებს და ფრაქციებს შორის, რომელიც ამ პარტიაში წარმოებდა მარქსისა და ენგელსის თეორიული საფუძვლების, პარტიის პროგრამის დებულებათა ირგვლივ. წერილის ავტორი აღნიშნავს ამ პარტიის ავტორიტეტისა და როლის განუხრელ ზრდას, რაც თავის გამოხატულებას პოვნებდა რეიხსტაგში არჩეული დეპუტატების რიცხვში, მათთვის მიცემული ხმების რაოდენობაში.

აღსანიშნავია, რომ ავტორს მოაქვს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ პარტიის გავლენის ზრდას. 1890 წ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას მიუღია 1,430,000 ხმა და რეიხსტაგში აურჩევია 35 დეპუტატი; 1893 წ. — 1,800,000 ხმა (35 დეპუტატი), 1898 წ. — 2,100,000 ხმა (58 დეპუტატი), 1903 წელს კი — 3,010,000 ხმა (81 დეპუტატი). ავტორი დასძენს, რომ ასეთ დიდ გამარჯვებას ყველაზე ოპტიმისტებიც კი არ მოელოდნენ.

შემდეგში მ. ჭავჭავაძის ცდილობს ახსნას ასეთი მდგომარეობა. ამ მიზნით იგი მიმართავს შედარების ხერხს. გერმანიის მდგომარეობას ადარებს საფრანგეთისას, ინგლისისა და ამერიკისას, სადაც სოციალ-დემოკრატიის გავლენა შედარებით ნაკლებია. გამარჯვების მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია კი არ დაქუცმაცდა პატარა პარტიებად, არამედ ერთიანი ფრონტით გამოდის.

საინტერესოა, რომ მ. ჭავჭავაძის აღიარებს: გერმანიის სოც.-დემოკრატიას მხარს უჭერს არა მარტო მუშათა კლასი, არამედ მოსახლეობის სხვა ფენებიცო.

მ. ჭავჭავაძის მხედველობიდან არ გამორჩენია გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში არსებული ფრაქციული ბრძოლა, ძირითადი საპროგრამო მოთხოვნები, ერფრუტის პროგრამა, პარტიის წესდების საკითხები, მარქსისტების პლატფორმა, ამ პლატფორმიდან გადახრები და სხვ.

წერილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „გერმანიის მუშათა პარტიის არაჩვეულებრივ ზრდას, საკვირველ მხნეობას და მისდამი ხალხის ნდობას გერმანიის სხვა პარტიები „ეჭვით, შურითა და ტრფიალით“ შესცქერაინ და თანაც ეშინიათ სოციალურ რევოლუციისა, რომელსაც ყოველნაირად ათას ხრიკებით აძნელებენ. უკა-

ნასკნელ ხანებში — უფრო კი 1903 წლის მუშათა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ — დამოკიდებულება ამ პარტიებთან მეტად გამწვავდა და მოსალოდნელია, რომ რეაქციონერთა დასები მკიდროდ შეკავშირდებიან და სოციალ-დემოკრატიასთან საბრძოლველად გავლენ, მაგრამ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში — ამაზე დღეს-დღეობით ლაპარაკიც არ შეიძლება“.

ავტორი წერილში წარმოგვიდგენს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორიას და იმდროინდელ სურათს, ეხება შიდაპარტიულ ბრძოლას, ფრაქციულ დაჯგუფებებს და სხვ., მაგრამ საკუთარ ტენდენციას აშკარად არ ამჟღავნებს, თუ რომელი ჯგუფის მხარეზეა მისი სიმპათია. მას ეს პარტია მთლიანობაში წარმოუდგენია რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად და ამდენად ახარებდა მისი გავლენის ზრდა, მისი წარმატებები. ჩვენი აზრით, ესეც ცოტას არ ნიშნავს 1905 წლისათვის. ერთი კი ცხადია: მ. ჯავახიშვილი კარგად ერკვეოდა პარტიული ბრძოლის საკითხებში და მეტიც, დაინტერესებული იყო ამით.

„დღეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“ დაიბეჭდა „ივერიაში“ 1905 წ. 13 სექტემბერს. ამ წერილის მნიშვნელობა ისაა, რომ მკითხველს აწვდის დაწვრილებით ცნობებს, როგორ იცვლებოდა საფრანგეთში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპები პირველი რესპუბლიკიდან მოყოლებული წერილის დაწერის დრომდე. საკითხი დაწვრილებით, ფაქტებზე დაყრდნობით და ცოდნით არის გარკვეული.

აღსანიშნავია, რომ ამ წერილში არის ზოგიერთი ზოგადი მოსაზრება, რომელიც მკითხველის ყურადღებას იპყრობს. ავტორი წერს, მაგალითად: „ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია შესაძლებელია ყველგან და ყველაფერში: სახელმწიფო წესწყობილებაში, ეკლესიაში, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში, პოლიტიკურ პარტიებში, პროფესიონალურ კავშირებში და სხვ. ძნელია განყენებულად იმის გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი სჯობია; ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რისთვის იხმარება ეს იარაღი. შეიძლება ერთი მათგანი ერთი მიზნისათვის კარგიც იყოს, ზოლო მეორისათვის არ ვარგოდეს“. როგორც ვხედავთ, აქ გამოყენებულია საკითხისადმი დიალექტიკური მიდგომა.

წერილის ბოლოში მწერალი თავს ვერ იკავებს და ამჟღავნებს გულისნადებს, რაც მას აწუხებს და რამაც საფრანგეთის მაგალითზე აალაპარაკა ამ წერილში. მას თავისი ქვეყნის ბედი აინტერესებს და ამიტომ რუსეთის შესახებ წერს: „ადრე თუ გვიან რუსეთიც ამ გზას დაადგება (ლაპარაკია დეცენტრალიზაციაზე — ტ. კ.); უშველ-

ბელი ტერიტორია და მრავალი ეროვნება დეცენტრალიზაციის ბუნებრივ აუცილებლობას შეადგენს. დიფერენციაცია აქაც ისეთივე ისტორიული აუცილებლობაა. როგორც ყველაფერში, და რამდენიც არ უნდა ეცადონ „პატრაოტები“. რეაქციონერები... ცხოვრებას მაინც ვერ შეაჩერებენ. რუსეთის სახელმწიფოს პირობები ისეთია. რომ აქ მხოლოდ დეცენტრალიზაციის საფუძველზე შეიძლება სწავლადსხვა ხალხთა ნორმალური და დაუბრკოლებელი განვითარება...“

ეს წერილი საკმაოდ ვრცელია იგი ერთ-ნახევარ საჩდაფს იკავებს. მასში დასმული კითხვა ორგანულად არის გადაჭკვეული საფრანგეთის ისტორიასთან მე-19 საუკუნის მანძილზე. აქ ლაკონურად დახასიათებულია ზოგი პოლიტიკური პირის (ნაპოლეონი, გიზო, ტიერი და მრავალი სხვა) მოღვაწეობა, მათი დამოკიდებულება ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის საკითხისადმი. ამდენად. წერილში მოხდენილად არის გაცემული პასუხი დასმულ კითხვაზე. ინტერესს უფრო აღვივებს ის გარემოება, რომ საფრანგეთის სინამდვილეს უფარდდება და ეღარება ინგლისისა, ამერიკისა, შვეიცარიისა და სხვა სახელმწიფოების მაგალითი, რაც ანალოგიისათვის სჭირდება ავტორს.

რასაკვირველია, მ. ჭავჭავაძე ამ წერილში ზუსტად ვერ განჭვრეტს რუსეთის მომავალს, მას მაშინ ჭერ კიდევ არ შეეძლო განესაზღვრა, რომ 1917 წელს ოქტომბრის რევოლუცია მოხდებოდა და ეროვნული საკითხი ბოლშევიკების მიერ სულ სხვაგვარად, ახლებურად და სამართლიანად გადაიჭრებოდა, მაგრამ მისი მოსაზრებები იმ პერიოდისათვის მაინც ძალზე მოწინავედ და გაბედულად მოჩანს, რამდენადაც მიმართულია ცარიზმის წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის მაგარი მუშტის წინააღმდეგ.

თავისებურად ეღერს წერილი „პოლონეთისა და ფინლანდიის მაგალითი“. რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1905 წ. 3 ნომბერს. წერილის შესავალში ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს რუსეთის იმპერიაში შემავალი განაპირა ქვეყნების ხალხთა როლს რევოლუციის საქმეში. იმოწმებს ცენტრის პრესასაც, რომელიც ამასვე აღიარებდაო. შემდეგ ავტორი ეხება წერილის მთავარ საკითხს — როგორ მოიპოვა ფინეთმა ავტონომია, პოლონეთს კი ამის საშუალებას არ აძლევენო. ეს წერილი თავიდან ბოლომდე გაყენებულია სიყვარულით და თანაგრძნობით ფინეთისა და პოლონეთის ხალხებისადმი. ზიზლით თვითმპყრობელური პოლიტიკისადმი.

თემატიკით, საკითხის დაწვრილებითი ცოდნით და ავტორის პროგრესული პოზიციით გამოირჩევა აგრეთვე წერილი „დედაყაყი

ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში“, რომელიც 1906 წ. 5 მარტს დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 1).

ამ წერილში განხილულია საკითხის ისტორია, თუ როდის დაიწყო ქალთა მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში; ვინ იყვნენ ამ საქმის წამომწყებნი და განმგარბობნი; ვინ იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის, რა მიმართულება მიიღო ამ მოძრაობამ და რით დაგვირგვინდა იგი. ეს ისტორიული ექსკურსი დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებასთან, რითაც მონათხრობი კიდევ უფრო დამაჯერებელი და რეალისტური ხდება.

წერილის ბოლოში მოტანილია სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ ა. შ. შ.-ში იმეამად რამდენმა ქალმა მოიპოვა სწავლის, არჩევნებში მონაწილეობის, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის უფლება. აქვე ჩამოთვლილია, რომ ქვეყანაში ამდენი და ამდენი ქალია ექიმნი, ამდენი ვეჟილი, მასწავლებელი, დეპუტატი და ა. შ.

ავტორს არ გამოჩენია იმის აღნიშვნა, რომ 1888 წ. ამერიკაში დაარსდა ქალთა ეროვნული ლიგა, „რომელიც მთელი ქვეყნის დედაკაცებს შეერთებისა და თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლას ურჩევს“. ამ ლიგას განზრახული აქვს საერთაშორისო საქალბო კავშირის შექმნა და მასში მთელი მსოფლიოს ქალთა გაერთიანება.

ამ წერილს აქვს როგორც შემეცნებითი, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. ამიტომ 1906 წელს მისი დაბეჭდვა პოპულარულ გაზეთში უდავოდ ხელს შეუწყობდა ქალების რევოლუციური სულისკვეთების ამაღლებას. მით უმეტეს, რომ ამერიკის ქალთა ეს მოძრაობაც ამერიკის რევოლუციასთან კავშირში არის განხილული. ქალთა საკითხი მიხეილ ჭავახიშვილის წერილებში განხილულია პოლიტიკური კუთხით — რამდენად აქტიური ძალა ხდება ქალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რა ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე.

ამ დებულებას მკაფიოდ ადასტურებს მ. ჭავახიშვილის მეორე წერილი ქალთა საკითხზე. ესაა „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1906 წ. 7 მაისს.

წერილში გულდასმით არის განხილული საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ავსტრალიაში იმისათვის, რომ ქალებისათვის საარჩევნო უფლებები მიეცათ, და რა გავლენა მოახდინა ქალების მიერ მოპოვებულმა ამ უფლებამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

მ. ჭავახიშვილი ორივე ამ წერილში აშკარად დგას ქალთა ემან-

სიპაციის მომხრეთა რიგებში და მეტიც, ამ წერილების გამოქვეყნებით თავისი ქვეყნის ქალებსაც მოუწოდებს თავიანთი უფლებების დაცვისაკენ.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ქალთა საკითხით ასეთი დაინტერესება და მისდამი სიმპათია შემდეგში თავს იჩენს ამ მწერლის ისეთ ცნობილ ნაწარმოებში, როგორც არის „ქალის ტვირთი“. აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ის გარემოება, რომ რომანის მთავარი გმირი — ქეთო და მეორე გმირი ქალი — მართა რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობენ, არამედ ისიც, რომ რომანში შეტანილია ზოგი ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია ქალთა საკითხებისადმი სპეციალურად მიძღვნილი კრებები. გაგახსენდებათ, რომ ასეთ კრებაზე ზურაბ გურგენიძე ლაპარაკობს და ქეთო აღფრთოვანებით უსმენს.

მიხეილ ჭავჭავიძის ეროვნულ საკითხს, მის სამართლიან გადაჭრას ყოველთვის გულმხურვალედ და ინტერესით ეკიდებოდა. იგი თავის პუბლიცისტურ წერილებში იბრძვის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ესარჩლება, ექომაგება ჩაგრულ ერებს.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს წერილი — „ეროვნული საკითხი ავსტრიაში“ („ივერია“ № 1, 1906 წ.), რომელიც გაქვნილია ზიზლით ავსტრიაში არსებული ეროვნული ჩაგვრისადმი და სურვილით, რომ გასწორდეს ეს უსამართლობა.

წერილის ავტორი დაწვრილებით, ფაქტებზე დაყრდნობით გვაუწყებს ავსტრიაში დამყარებულ პოლიტიკურ რეჟიმზე და აცხადებს, რომ ამ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მთავარ საკითხს ეროვნული საკითხი შეადგენს. ამის გამოა ხშირად დავა, სისხლის ღვრაცკია გერმანელებსა და ჩეხებს, იტალიელებსა და პოლონელებს, მადიარებსა და რუმინელებს შორისო. საქმე ისაა, რომ ავსტრიის კონსტიტუციის მე-19 მუხლში გათვალისწინებული ყოფილა ეროვნული თანასწორუფლებიანობა, მაგრამ ამ მუხლის შესრულებაზე არავინ ფიქრობს, ამის გამოა გაუთავებელი დავაო.

მ. ჭავჭავიძის სიმპათია მიმართულია სამართლიანობისაკენ. იგი აყალიბებს თავის თვალსაზრისს ეროვნული საკითხის გადაჭრაში და წერს: „ჰუნგრეთში, ავსტრიაში და საზოგადოდ სხვა სახელმწიფოებშიც ძლიერ ერისაგან სუსტ ერების დაჩაგვრას ცოტად თუ ბევრად მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როცა იმ ერებს, რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ, მიეცემა ეთნიურ პრინციპზე დამყარებული ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია; იმ ერებს კი, რომელნიც აქა-იქ არიან გაფანტულნი, მიეცემათ ეროვნული ავტონომია“.

კიდევ უფრო საინტერესოდ მოჩანს მ. ჭავჭავიძის მოსაზრება ეროვნული საკითხის გადაჭრაში, როცა ამას უკავშირებს კლასობ-

რივი ბრძოლის საკითხს. ავტორს ესმის, რომ ეროვნული საკითხის გადაუტრელობა მუშათა კლასის კლასობრივი შეგნების შემწელებელი და დამამუხრუჭებელია. ამიტომ მოითხოვს ეროვნული საკითხის სწორ, სამართლიან და დროულ გადაწყვეტას.

მ. ჭავჭავიძე იწერს: „ყოველ სოციალისტს, რომელიც თავის მოძღვრებას კლასიურ ბრძოლის თეორიაზე ამყარებს, კარგად ესმის, რომ ეროვნული დაჩაგვრა და შევიწროვება ავსტრიაში ფედერაციის მუშა ხალხსაც უღვიძებს ეროვნულ შოვინიზმს, რაც დიდად უშლის ხელს მის კლასობრივ შეგნების განვითარებას, ამიტომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაც იმდენად ებრძვის ეროვნულ დაჩაგვრას, რამდენადაც მუშებში ამ დაჩაგვრის მიერ გამოწვეული ეროვნული შოვინიზმი აბრკოლებს კლასობრივ შეგნების განვითარებას“.

ბოლოს ავტორი ლოზუნგით აყენებს საკითხს, რომ „ავსტრია ხელმეორედ უნდა გამოიჭრას, მისი შინაური საზღვრები უნდა შეიცვალოს. ამ ერებს, რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ, უნდა შეეცეს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ეთნიურ პრინციპებზე დამყარებული, ვისაც არ აქვს, — უნდა მიეცეს ეროვნული ავტონომია. ყოველ ავტონომიურ ოლქში მცირერიცხოვან ერების კულტურულ და ეროვნულ თავისუფლების ხელუხლებლობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს ძირითადი კანონით. ეს არის ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა და გარეშე ამისა ავსტრიაში ეროვნული დევნის მოსასპობი გზა არ არსებობს“.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ, როცა მ. ჭავჭავიძე იწერს ავსტრიაში შემავალი ჩაგრული ერების ბედზე ასე ანთებულად წერდა, ქართველი ერის ბედი ყველაზე მახლობელი იყო მისთვის.

როგორც ჩანს, მ. ჭავჭავიძე იწერს კარგად ესმოდა, რომ მეფისა და კაპიტალისტების ხელისუფლებას მშრომელებმა სხვადასხვა მხრივ. სხვადასხვა გზით უნდა წაგლიჯონ დათმობები და საარსებო პირობების გაუმჯობესება, რომ რევოლუციური ბრძოლების, გაფიცვების და ამგვარი საშუალებების გვერდით ხელიდან არ უნდა გაუშვან ერთი შეხედვით ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორცაა დაზღვევები, რომელსაც გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მ. ჭავჭავიძე იწერს მიუჩნევია მუშათა დაზღვევა, რაც ამსუბუქებს მუშათა მდგომარეობას მათი ავადმყოფობის, ინვალიდობის და მოხუცობის დროს.

იმისათვის, რომ მკითხველებს განუმარტოს დაზღვევის არსი და დანიშნულება, მ. ჭავჭავიძე იწერს წერის „სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში“ (ივერია“ № 2, 1906 წ. 12 მარტი). ამ წი-

რილში გაშუქებულია გერმანიაში მუშათა დაზღვევის ისტორია, მაშინდელი მდგომარეობა და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ნათლად უჩვენებენ მკითხველს, რომ დაზღვევა სასარგებლოა.

მ. ჭავჭავაძის კარგად ესმის, რომ დაზღვევა გერმანიაში მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს, რომ გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა ამ დათმობაზე წასულიყო. ასეთი მსჯელობა, აშკარაა. მიზნად ისახავს, რომ ავტორმა თავის მკითხველებს მიაწოდოს აზრი — თქვენც მოითხოვეთ ამ დათმობაზე წასვლა და აიძულეთ მეფის მთავრობაცო.

„წარსულ საუკუნის მეოთხედიდან წლებში გერმანიის მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა და შეიგნო, რომ მხოლოდ რეპრესიებითა და ძალით სოციალ-დემოკრატებთან ვერას გახდებოდა. საჭირო იყო მუშათა ცხოვრებაში აქტიური ჩარევა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. 1881 წ. 17 ნოემბერს მთავრობამ პირველი ნაბიჯი გადადგა მუშებისაკენ, მას მოჰყვა მეორე, მესამე და მას აქვთ მუშათა შესახებ კანონმდებლობა პროგრესულად ვითარდება. 1883 წ. შემოიღეს სავალდებულო დაზღვევა ავადმყოფობის დროს. 1884 წ. გამოიცა კანონი დაზღვევისა უბედური შემთხვევის დროს და 1889 წ. გამოვიდა უკანასკნელი კანონი დაზღვევისა დაბერების და მუშაობის შეუძლებლობის დროს“.

როგორც ხედავთ, დაზღვევის კანონის შემოღება გერმანიაში ავტორის მიერ ახსნილია მუშათა მოძრაობის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხით მ. ჭავჭავაძის დინტერესებულა. შემდეგში მან ამ საკითხების ცოდნა გამოიყენა, როცა 1909 წ. სხვისი პასპორტით დაბრუნდა უცხოეთიდან, სადაც იგი გაიქცა 1906 წ., როცა გაზ. „გლეხის“ გამო იგი დააპატიმრეს. ამის გამო თავის ავტობიოგრაფიაში მ. ჭავჭავაძის წერს:

„1909 წ. დამლევს სხვისი პასპორტით დაბრუნდი სამშობლოში. ერთმა ჩგუფმა ყურნალი „ერი“ გამოსცა. ყურნალი მალე მოგვისპეს, ხოლო მე დამაპატიმრეს, ერთი წელიწადი მეტეხში მამყოფეს და კავკასიიდან გამაძევეს. როსტოვში დამზღვევი საზოგადოების საოლქო ინსპექტორის ალაგი მომცეს“.

თქვენ ხედავთ, რომ 1906 წ. დაზღვევის საკითხზე მ. ჭავჭავაძის წერილს წერს, ხოლო 1909 წ., ე. ი. სამი წლის შემდეგ იგი დამზღვევ საზოგადოებაში მუშაობს ინსპექტორად. ამაზე ნათქვამი „ზოგი ჭირი მარგებელია“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხების ცოდნა და დაწვრილებითი ცოდნაც მ. ჭავჭავაძის ავრთვე გამოყენებული აქვს ცნობილ

„კვაჭი კვაჭანტირაძეში“, როგორც ამას მკითხველებიც გაიხსენებენ.

მ. ჭავჭავიძის, როგორც დიდი მწერლის მსოფლმხედველობის ევოლუციის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ ერთ წერილს, რომელშიც მკვლევანდება მისი დაინტერესებულობა სოციალისტური მოძრაობის ისტორიით, კერძოდ, ამ მოძრაობის ჩასახვა-განვითარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში. მხედველობაში მაქვს გაზეთ „ივერიაში“ 1906 წ. 30 აპრილს დაბეჭდილი წერილი „სოციალისტური მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

სათაურის ქვეშ ფრჩხილებში ავტორი მიუთითებს, რომ მასალა აულია ჟან ლონგესგან (ჟან ლონგე, როგორც ცნობილია, კ. მარქსის შვილიშვილი იყო, მისი ქალიშვილის — ენის ვაჟი. მრავალი წლის მანძილზე ჟორესთან თანამშრომლობდა. ხან კაუტსკიანელიც იყო, ხან იბრძოდა ანტისაბჭოთა ინტერვენციის წინააღმდეგაც. ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგაც გამოდიოდა), თუმცა არ ასახელებს წყაროს. ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. მთავარი ისაა, რომ მ. ჭავჭავიძე ილი არა მარტო დაინტერესებულია სოციალიზმის საკითხებით, არამედ ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი წერილიც გამოუქვეყნებია. ესეც კიდევ არაფერი, მთავარი მაინც ისაა, რომ წერილში ავტორის დიდი სიმპათია იგრძნობა სოციალიზმისადმი.

ავტორი წერს, რომ ამერიკაში სოციალისტური იდეები ნელი ნაბიჯით მიიკვლევდა გზას. ამ მხრივ ამერიკა თითქმის ყველა ქვეყანას ჩაჰორჩაო. „სამაგიეროდ 1850 წლიდან და უფრო კი 1866 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ ნიუ-იორკსა, ცინცინატსა, ჩიკაგოსა და სხვა ქალაქებშიაც აღმოჩნდნენ თანამედროვე სოციალისტური იდეებით გაშქვალული ჯგუფები, რომელნიც თავის მიზნად ასახელებდნენ მუშათა კლასის ორგანიზაციის საშუალებით საწარმოო იარაღების განსაზოგადოებრივებას“.

ამერიკაში სოციალისტური მოძრაობის ჩამორჩენის მიზეზებს ავტორი ბნინს იმით. რომ ამ ქვეყანაში საამისოდ საჭირო პირობები არ იყო. აქ იყო აუარებელი მესაკუთრე გლეხი, ხოლო მრეწველობა ის იყო იბადებოდა. შემდეგში კი, როცა მრეწველობამ საოცარის ძალით იფეთქა, პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცა კარგი სამუშაო ჭირა მიეღო. ამის გარდა, ეს კლასი სხვადასხვა ელემენტისაგან შედგებოდა. ამიტომ პირველ ხანებში მასში კლასობრივი შეგნების განვითარება ძნელი იყო.

1830 წელს სახელმწიფოს ქონების ნახევარზე მეტი უკვე მხო-

ლოდ 40,000 ოჯახს ეკუთვნოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ქონების ასეთი არათანაბარი განაწილება — ერთი მუჭა მეპატრონეთა გამდიდრება და აურაცხელი პროლეტარის გაღარიბება — ხელს უწყობს კლასობრივი შეგნების ამოღებას, კლასობრივი წინააღმდეგობისა და ბრძოლის განვითარებას.

ამ მიზეზით ხსნის მ. ჯავახიშვილი შემდგომ პერიოდში ამერიკაში სოციალისტური მოძრაობის განვითარებას, პროლეტარიატის გაღვიძებას, კლასობრივი წინააღმდეგობის გაღრმავებას. ამითვე ხსნის, რომ 1881 წლიდან 1901 წლამდე ამერიკაში 14,000 გაფიცვა მოხდა. მათში მონაწილეობა მიუღია 7 მილიონამდე მუშას, ხოლო 1891 წლის ჩიკაგოს გაფიცვას დიდი სახელი აქვსო გაფიცვათა ისტორიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ სოციალისტური მოძრაობის განვითარების კვალდაკვალ იზრდება სოციალისტური პრესაც, და ასახელებს ზოგიერთ ორგანოს. შემდეგ წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ ბოლო არჩევნებში სოციალისტურმა პარტიამ ამერიკაში ნახევარი მილიონი ხმა მიიღო.

ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ამ წერილში და სხვა წერილებშიც, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის პერიოდშია დაწერილი, მ. ჯავახიშვილი სოციალ-დემოკრატის განიხილავს ერთ მთლიანად, ყოველ შემთხვევაში არ გამოყოფს მის შიგნით არსებულ ფრაქციებსა და პარტიებს. თუმცა ცალკეული მოღვაწეების გვარებს იხსენიებს, როცა რაიმე საკითხთან დაკავშირებით სჭირდება ეს. მაგალითად, რამდენჯერმე თავს ესხმის ი. რამიშვილს და ზოგ სხვას. ამაზე ცალკე გვექნება ლაპარაკი.

აქ განხილულ წერილში კი მთავარი, როგორც უკვე ვთქვით, ისაა, რომ მ. ჯავახიშვილი სიმპათიით არის გამსჭვალული მუშათა მოძრაობისადმი და ამ იდეის პროპაგანდას ეწევა.

მ. ჯავახიშვილი თავისი პუბლიცისტური წერილების თემებს გულდასპით და გაკრეველი ნიშნის მიხედვით არჩევს, ეს ისეთი თემებია, რომელთა მგზნებარე გაშუქება ხელს შეუწყობს ხალხის რევოლუციურ აღტყინებას. ავტორი წერს რუსეთზე, უცხოეთზე თუ შინაურ მიმოხილვებს — ყველგან შეიმჩნევა თემატიკის გეგმაზომიერი. შერჩევა და რევოლუციური ტონით მათი განხილვა.

ამ დებულების საილუსტრაციოდ გამოდგება ზემოთ განხილული წერილები და ისინიც, რომლებზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამასვე აღასტურებს მ. ჯავახიშვილის ერთი წერილი, რომელშიაც ძალზე პოპულარულად, ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად განხილულია ინგლისის ჩარტისტული მოძრაობის ისტორია. ამ წერი-

ლის სათაურია „ჩარტისტთა მოძრაობა“. იგი ორ ფელეტონად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1905 წ. 30 აპრილსა და 7 მაისს. ავტორი მიუთითებს, რომ მასალა აუღია ს. ბოკაძის თხზულებიდან. მაგრამ ეწერილი ისე ქართულია, რომ არავითარი კვალი არ რჩება საიდანმისი გადმოღებისა.

ავტორი ძალზე მოკლედ იხილავს ჩარტიზმის წარმოშობის საკითხს, მიზეზებს, ამ მოძრაობის განვითარებას. ტერმინსაც კი განმარტავს, რომ „სიტყვა „ჩარტი“ ნიშნავს ხარტიას, პეტრიციას, რომელშიაც აღნიშნული იყო ინგლისელ მუშათა მოთხოვნები“. შემდეგში ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს მუშათა რევოლუციურ მოძრაობაზე ინგლისში, გაფიცვებზე, პეტრიციებზე, მიტინგებზე, შეიარაღებულ გამოსვლებზე, მთავრობის სისხლიან რეპრესიებზე და ა. შ. ე. ი. ისეთ საკითხებს წამოწევს წინა პლანზე, რომელიც მკითხველს რევოლუციურად განაწყობს. მაგალითად, „...აუარებელი მუშა დარჩა უსაქმოდ, მათ მიემხრო მთელი არმია ომის გათავების გამო დათხოვნილ სალდათებისა და მატროსებისა. გაჭირვებამ, უსაქმობამ და შიმშილმა სწრაფად შექმნა ძლიერი არმია პროლეტარიატისა, რომელიც ისევ პოლიტიკას ეცა და პოლიტიკური რეფორმები მოითხოვდა. მთავრობა ხელს არ იღებდა რეპრესიებზე და ამით ხელს უწყობდა უკმაყოფილების ზრდას, რევოლუციონური მოძრაობის განვითარებას.

ამ წერილში ინგლისის ჩარტისტული მოძრაობა დაკავშირებულია მუშათა ეკონომიურ პირობებთან, რაც მერე პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზრდება. აქვე ხაზგასმულია საფრანგეთის რევოლუციის კეთილმყოფელი ზეგავლენა ინგლისის მშრომელთა მოძრაობაზე, ინგლისის ბურჟუაზიის მოღალატური როლი, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხან პროლეტარიატის მხარეს იყო, ხან კი, როცა საკუთარ ინტერესებს უპირისპირდებოდა ეს მოძრაობა, მუშათა კლასს დალატობდა და არისტოკრატიას ემხრობოდა.

წერილში ამაღელვებელია ის აღვნიშნები, რომლებიც მოგვითხრობენ ათასობით და ასი ათასობით მუშების გამოსვლას კრებებზე, ქუჩებში, მიტინგებზე, იარაღით ხელში ბრძოლას მთავრობისა და ექსპლუატატორების წინააღმდეგ.

„მანქანების გამოგონებამ, მრეწველობის განვითარებამ და კაპიტალისტურმა წარმოებამ სწრაფად შესცვალა ინგლისის ცხოვრება. სახელოსნოები თანამედროვე ფაბრიკებად გადაიქცა, უბრალო დაბები — თანამედროვე უზარმაზარ ქალაქებად; ხალხი შეჭგუფდა. დიდ ქალაქებში შეიკრა; ხელფასმაც აიწია, რის გამო სოფლებიდან აუარებელი ხალხი მოაწყდა ქალაქს, პროლეტარიატის არმია ისევ

სწრაფად იზრდებოდა, როგორც ბურჟუაზიის ძალა. კლასთა წინა-აღმდეგობა და სხვადასხვაობა მათი ინტერესებისა თანდათან აშკარა ხდება. ეს წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ნათლად გამოიხატა 1832 წ. რეფორმის შემდეგ. ბურჟუაზიული პარლამენტი მეორე დღესვე წინ აღუდგა მუშათა მოთხოვნებიებს და სურვილს“, — აი, ერთი ადგილი ამ წერილიდან, რომელშიც ასე გამკვირვალედ არის დახასიათებული საზოგადოების დაპირისპირებულ ძალთა დამოკიდებულება.

დამახასიათებელია ასეთი ადგილი: „მანჩესტერთან მომხდარმა კრებამ, რომელსაც ნახევარ მილიონამდე კაცი დაესწრო, ღაადგინა: თუ პარლამენტმა ჩვენი ხარტია არ შეასრულა, ჩვენ თვითონვე განვახორციელოთ იგი იარაღითო“. ეს ადგილი მკითხველებს მოუწოდებდა — თქვენც ასე მოიქეცით მეფის წინააღმდეგო. აქ იგულისხმება ცნობილი ანდაზის აზრი, — „რძალო შენ გეუბნები, მულო, შენ გაიგონეო“.

წერილს წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ გავლენას ახდენდა ჩარტისტულ მოძრაობაზე. როცა იწყებოდა კრიზისი, რასაც უმუშევრობა და სიღატაკე თან სდევდა, ჩარტისტული მოძრაობა ძლიერდებოდა, ხოლო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისას — პირიქით. მ. ჯავახიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „მუშათა მოძრაობა არის პირდაპირი შედეგი იმ ქვეყნის ეკონომიურ განვითარების, სადაც ეს მოძრაობა არსებობს. ჩარტისტების მძლავრი მოძრაობა აღმოცენებული იყო იმ დროის ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობიდან, მაშასადამე ამ მოძრაობის შესუსტების და მოსპობის მიზეზებიც ამავე ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლას უნდა მივაწეროთ“.

დაბოლოს ავტორი აცხადებს, რომ ჩარტისტული მოძრაობის ნანგრევებზე აღმოცენდა ინგლისის თანამედროვე პროფესიული კავშირები და ტრედ-უნიონიზმი.

მწვავე სოციალური საკითხების გარკვევას ეძღვნება მ. ჯავახიშვილის ისეთი წერილები, როგორიცაა „მიწისმფლობელობა ახალზელანდიაში“ („ივერია“, 1906 წ. 14 მაისი), „აგარაული რეფორმები ირლანდიაში“ („ივერია“, 1906 წ. 11 ივნისი), „მომხმარებელი საზოგადოებები იტალიაში“ („ივერია“, 1906 წ. 23 ივლისი), „სახელმწიფო ბიუჯეტი ინგლისში“ („ივერია“, 1906 წ. 30 ივლისი).

პირველ ორ წერილში მთელი მგზნებარებით და პირდაპირობით მხილებული არიან ინგლისელი კოლონიზატორები და დამპყრობლები, რომლებმაც ახალზელანდიელებსა და ირლანდიელებს ძალით, მოტყუებით და დაშინებით წაართვეს მიწა-წყალი და ადვილობრივი

მკვიდრნი ულუკმაპუროდ დატოვეს. ამასთანავე დიდი პათოსით და სიყვარულით გადმოცემულია ამ მკვიდრთა ხანგრძლივი და გმირული ბრძოლა წართმეული უფლებების მოპოვებისათვის. აღსანიშნავია, რომ წერილების ტონი მგზნებარე და ოპტიმისტურია, ხალხი იმარჯვებს, მოძალადეები მარცხდებიან. ისევ და ისევ უნდა გავიმეოროთ, რომ სხვა ქვეყნებზე წერისას ავტორს თვალწინ ედგა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, რომლის გათვითცნობიერებისა და გაღვიძებისათვის იწერებოდა ეს წერილებიც.

მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დემოკრატიულ, შეღარებით პასიურ საშუალებებს ეხება წერილი „მომხმარებელთა საზოგადოებები იტალიაში“, რომელშიც მოთხრობილია, თუ ამ საზოგადოებებმა, კოოპერაციებმა როგორ გააუმჯობესეს იტალიის ღარიბი მოსახლეობის პირობები და რომ ასეთი საზოგადოებების შექმნა ხელსაყრელია. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ეს საზოგადოებები ძალიან გავრცელდა იტალიაში, მოტანილია ციფრები და ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ საზოგადოებათა წვლილს გაჭირვებულთა დასახმარებლად და ა. შ.:

თუმცა ბიუჯეტის საკითხს ეხება წერილი „სახელმწიფო ბიუჯეტი ინგლისში“, მაგრამ აქაც ავტორი ამუშავებს თავის ზიზღს საერთოდ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ სულისკვეთებით არის დაწერილი სტრიქონები: „ყველა ქვეყნის ისტორიაში არის ისეთი ხანა, როცა მეფე სრული ბატონი ხდება ამ ქვეყნისა, ხოლო წინანდელი თავისუფალი ხალხი გადაიქცევა ხოლმე „ქვეშევრდომად“. მეფის მხრით სახელმწიფოს ასეთ დამორჩილებას უზურპაცია ეწოდება. თუ ხალხი თვითმოქმედებას არ არის შეჩვეული და დიდ ყურადღებას არ აქცევს თვითმმართველობას, უზურპაცია ფართო და ძლიერია ხოლმე და ისტორიაც ამტკიცებს, რომ იგი ვრცელდება იმ დრომდის, სანამ ხალხი არ შეიგნებს თავის მონობას და თავიდან არ მოიშორებს თვითმპყრობელობის უღელს. დასავლეთ ევროპაში ეს შეგნება ყველაზე ადრე მოხდა ინგლისში, მერე საფრანგეთში, ნახევარი საუკუნის შემდეგ გერმანიაში, ავსტრიაში და სხვ.“

ეს ადგილი საინტერესო დასკვნას გვაკეთებინებს: მ. ჭავჭავაძის ხშირად სხვა ქვეყნის შესახებ წერისას მკითხველს შეაპარება ისეთ აზრებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივად საინტერესო, აქტუალურ კითხვებზე იძლევა პასუხს. აქ მოტანილი ციტატი ამ დასკვნას გვაკეთებინებს იმიტომაც, რომ ავტორს ბიუჯეტზე შეეძლო ისე ელაპარაკა, რომ თვითმპყრობელობას საერთოდ არ შეხებოდა. მაგრამ ასე არ სურს ავტორს, ასე ხელსაყრელი არაა მისთვის. მას უნდა მკითხველი ყოველთვის დარაზმოს მეფის ხელი-

სუფლების წინააღმდეგ, რევოლუციის სასარგებლოდ. ეს ძალზე სანაქებო საქციელია.

გარდა ამისა, აქ დაწვრილებით განხილულია ინგლისის კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც ეხება ბიუჯეტის შედგენისა და ხარჯის წესს, პასუხისმგებლობას ხალხის ფულის განაწილებაზე, გამოყენებაზე და მთავრობის ანგარიშგებას პარლამენტის წინაშე. ეს ინგლისური წესები ავტორს შეუდარებია საფრანგეთის, გერმანიის, უნგრეთის, რუსეთის და სხვ. სახელმწიფოებში არსებული წესებისათვის და ასევე, რომ ინგლისის წესი ყველაზე დემოკრატიულია, რადგან მთავრობას უფლება არ აქვს ხალხის ქონების თვითნებური ფლანჯვისა, რადგან აქ ყოველი კაპიკი აღრიცხვაზეა და ყოველმა მოქალაქემ იცის, რაზე იხარჯება იგი. ავტორი იხსენიებს ერთი ინგლისელი მოღვაწის ფრთიან გამოთქმას. რომ „სახელმწიფოს ქონება შუშის კასაში უნდა ინახებოდესო“ და თვითონ დასძენს: „ეს საგვებით განხორციელდა ინგლისში. სადაც ყოველი გროში შემოსავალგასაელისა ყველასათვის დასანახი და ნათელია. ყველას შეუძლიან გაიგოს, რაზე დაიხარჯა თითო აბაზი და მანეთი. ინგლისის ბიუჯეტში დაფარული და მიჩქმალული არაფერია. ამ მხრითაც ინგლისის სახელმწიფოს ფინანსური სისტემა საუკეთესოდ ითვლება მთელ ქვეყანაში“.

პირდაპირ განსაცვიფრებელია მიხეილ ჯავახიშვილის მრავალმხრივი განათლება და საკითხთა ფართო სფეროთი მისი დაინტერესება. ამ მხრივ ზემოთ განხილული ეს წერილიც აღსანიშნავია. ამ წერილში ავტორი ამქლავნებს საფინანსო პოლიტიკაში განსწავლულობას და სხვადასხვა ქვეყანაში ამ პოლიტიკისა და პრაქტიკის ზედმიწევნით ცოდნას. გაოცება მით უფრო დიდია, რომ ეს წერილები დაწერილია მ. ჯავახიშვილის გამგზავრებამდე ევროპაში და იქაური ქვეყნების შესწავლამდე. ეს წერილები დაწერილია ახალგაზრდა კაცის მიერ, რომელსაც ჯერ არც საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული. მაშასადამე, ეს კაცი დაუღალავ თვითგანათლებას ეწეოდა, ბევრს კითხულობდა და ამიტომ მისი თვალი იმ დროინდელ მთელ მსოფლიოს სწვდებოდა.

ძალზე საინტერესოა მ. ჯავახიშვილის ერთი დასაბუთებული და ფაქტობრივ მასალაზე აგებული წერილი „თანამედროვე ავსტრია და მისი სახელმწიფოებრივი იდეა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1906 წლის 9 მარტს.

ავტორი დაინტერესებულია ავსტრიის, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფოს, პოლიტიკური წყობილებითა და მასში მცხოვრები ერების უფლებებით, ამ ერების ენის საკითხით სახელმწიფო-

ში. მ. ჭავჭავაძის მიერ წყვეტის როგორც პროგრესული მოაზროვნე და უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ავტორი სარგებლობს მრავალი ავტორის შეხედულებით, მათ შორის კაუტსის შეხედულებებით იმდროინდელი ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრებისა და მისი მომავალი ბედის შესახებ.

წერილის დაკვირვებულ შესწავლას და გააზრებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ შ. მ. ჭავჭავაძის ავსტრიის საკითხი შეგნებულად, განზრახ აიღო, რადგან იმ იმპერიაზე წერით მკითხველს წინ დაუდგებოდა რუსეთის იმპერია და მისი პოლიტიკური, ეროვნული და სხვა გადაუჭრელი საკითხები. ხშირად წერილში ისე მოხდენილია მსჯელობა, რომ რუსეთის იმპერიის ასოციაციები ძალზე უშუალო და ახლობელია. ასე რომ, იბრძვის რა ამ წერილში ავსტრიაში გაბატონებული ეროვნული ჩაგვრისა და სხვა უსამართლობის წინააღმდეგ. შ. მ. ჭავჭავაძის იბრძვის რუსეთის იმპერიაში არსებული ეროვნული ჩაგვრისა და სხვა მრავალი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს კი ავტორისათვის უფრო მთავარი და მახლობელი იყო.

ჩვენ მოვიტანთ ზოგიერთ ამონაწერს აღნიშნული წერილიდან და მკითხველი უყუყუანოდ გაიზიარებს ჩვენს მოსაზრებებს.

ავსტრიის იმპერიაში ეროვნული საკითხის ირგვლივ შ. მ. ჭავჭავაძის წერს:

„ლაპარაკი არ უნდა, რომ ერთა სოლიდარობის განხორციელება მაღალი და კეთილშობილური იდეაა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ავსტრიის მმართველობა როდისმე ხელმძღვანელობდა ამ იდეით? ან იქნება ერთა სოლიდარობის განხორციელებას ავსტრიის მმართველობა იმით აპირებდა, რომ ის ყოველნაირად ცდილობდა ჩეხების გულიდან ძირ-ფესვიანად აღმოეფხვრა ეროვნულ აღორძინებისადმი მისწრაფება, როცა ჩეხურ ქალაქებს სახელებს უცვლიდა, როცა ჩეხ ბავშვებს ძალით მიეჩვენებოდა გერმანულ სკოლებში და როცა კანონიერად სთვლიდა ყოველნაირ ძალმომრეობას და თვითნებობას, ოღონდ კი ჩეხები როგორმე გერმანელებად ექცია? ან იქნება ერთა სოლიდარობის იდეის განხორციელებას ავსტრიის მმართველობა იმით ცდილობდა, რომ მადიარებს ძალათ სჩრიდა თავში ლათინურ ენას? ან იქნებ ეს იდეა გაიმარჯვებს ეხლა, როცა ყოველ სუსტ სლავიან ერის გადაგვარებას ასეთი სიმხნევით სცდილობს ავსტრია?“

ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორი თავს ესხმის იმპერიის ხელისუფალთ. მმართველობას და ესარჩლება მცირე, დაჩაგრულ ერებს— ჩეხებს, სლავებს. უნგრელებს. რომელთა ძალით გაგერმანელება

ეწადა ავსტრიის იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობის მქონე გერმანელებს.

ამავე წერილში საინტერესოა კიდევ მეორე ადგილი, რომელიც ეხება მრავალეროვან სახელმწიფოში (მაშინდელ ავსტრიაში) ენების ბედს. აქაც ავტორი პროგრესისტად და საკითხის სამართლიანი გადაჭრის მომხრედ გვევლინება. მ. ჭავჭავიძე წერს: „ყოველ სახელმწიფოში ჩვეულებრივად ერთი რომელიმე ენა ან ძალდატანებით, ან მშვიდობიანურ მორიგებით ოფიციალურ ენად ითვლება. ავსტრიას კი დღემდისაც ვერ გადაუწყვეტია ეს საკითხი და ჭერაც ვერ გამოურკვევია, რომელი ენა ირიცხება ოფიციალურ ენად: გერმანული, პოლონური, ჩეხური თუ იტალიური? ფაქტიურად ასეთ ენად ითვლება გერმანული და მმართველობის ცენტრალური ორგანოები ამ ენით სარგებლობენ დანარჩენ დაწესებულებებთან მიწერმოწერის დროს. მაგრამ იურიდიულად ეს არც დასაბუთებულია და არც დაკანონებული. ესეც რომ არ იყო, სწორად ხდება ხოლმე, რომ რომელიმე ჩეხური კომუნალური მმართველობა უკანვე აბრუნებს გერმანულ ენაზე დაწერილ ქალაქს შემდგენის წარწერით: „ჩვენთვის გაუგებარს ენაზე დაწერილი...“ გერმანელებმა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ამოიღეს ხმა და ცდილობენ თავიანთი ენა სახელმწიფო ენად გახადონ და ამ ძალმომრეობას კანონიერი ხასიათი მისცენ“.

კიდევ უფრო მძაფრი ხდება დასმული საკითხი აღნიშნული წერილის შემდეგ ადგილას: „ავსტრია გერმანელების ქვეყანა არ არის და ამიტომ გერმანელების სურვილი იმისა, რომ გერმანული ენა უექველად თავზე მოგვახვიონ, არის მხოლოდ ძალმომრეობა და ჩვენის უფლების გათელვაო, ასეთ პასუხს აძლევენ ხოლმე ჩეხები და სხვა ერები იმ გერმანელებს, რომელთაც უნდათ ავსტრია უექველად გერმანულ ქვეყნად გადაიქცეს“.

ეს ამონაწერები ნათელს ხდიან, თუ რა პროგრესულად, ჭანსადად აზროვნებდა მ. ჭავჭავიძე, როგორი მტერი იყო იგი ეროვნული ჩაგვრისა და როგორ იცავდა მშობლიური ენის ინტერესებს ყველა დაჩაგრული ხალხის სასარგებლოდ.

თავისი პოზიციის გასამტკიცებლად მ. ჭავჭავიძე იშველიებს კონსტიტუციას და მასზე დაყრდნობით ებრძვის ავსტრიის იმპერიაში გაბატონებულ ეროვნულ ჩაგვრას. ავტორი კარგად ხედავს წინააღმდეგობას კონსტიტუციით გათვალისწინებულ იურიდიულ უფლებებსა და ქვეყანაში ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას შორის და ამხელს იმ მაქინაციებს, რომლებსაც გერმანელები მიმართავენ, რათა თავიანთი ბატონობა როგორმე გაამართლონ და „დასაბუთონ“. აი, რას წერს მ. ჭავჭავიძე:

„ავსტრიის კონსტიტუციის მე-19 მუხლში სწერია: „იურიდიულად ავსტრიაში მოსახლე ყველა ერები თანასწორნი არიან და ყოველ მათგანს ნება აქვს განავითაროს თავისი ეროვნული კულტურა და დაიცვას სამშობლოს ენა“. შენიშვნა ამბობს: „სახელმწიფო აღიარებს, რომ იმპერიის ყველა ენას თანასწორი უფლება აქვს სკოლასა, ადმინისტრაციულ მმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. ამაზე ნათლად აზრის გამოთქმა შეუძლებელია, თუმცა გერმანელები კარგა ხანს ცდილობდნენ კონსტიტუციის ამ მუხლის ძალით გერმანულ ენისათვის უპირატესობა მოეპოვათ. ესლა გერმანელებმა ამას თავი დაანებეს და თავიანთ სურვილს იურიდიულად კი არ ასაბუთებენ, არამედ აუცილებლობითა და საჭიროებით. მაგრამ არაგერმანელებს ეს საჭიროება არა სწამთ...“

მართლაც, ამაზე უფრო ნათლად დაწერა ძნელია. ამ სტრიქონების ავტორი ამხელს ძალმომრეობას და მჩაგვრელთა ოინებს, ამავე დროს თვალს უხელს მკითხველებს და შთააგონებს მათ ბრძოლის აუცილებლობას უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ამდენად, ეს წერილი ძალზე საინტერესოდ და დასმული საკითხის სწორად გადაშკრელად მიგვაჩნია.

ისევ ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრებით არის დაინტერესებული მ. ჭავჭავიძევილი მეორე წერილშიც — „ავსტრიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან“, რომელიც უკვე სხვა გაზეთში — „შრომაში“ დაიბეჭდა 1906 წ. 13 აპრილს.

ამ წერილში განხილულია ავსტრიის პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა ქვეყნის ადმინისტრაციული წყობის, მასში მცხოვრები ერების ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვა საკითხებზე. აქაც, როგორც წინა წერილში, მ. ჭავჭავიძევილი ეხება ენის საკითხს, რაც ხშირად გამხდარა ეროვნული კონფლიქტების მიზეზი ავსტრიის იმპერიაში. ავტორი აქაც ისევ პათოსით ლაპარაკობს ერთა თანასწორობისა და მათი მშობლიური ენის უფლებამოსილების შესახებ.

საყურადღებოა მ. ჭავჭავიძევილის კიდევ ერთი წერილი უცხოეთზე. ეს არის „დემოკრატიზმი ფინლანდიაში“. რომელიც გაზეთ „შრომაში“ დაიბეჭდა 1906 წ. 13 ივლისს.

ამ წერილში ავტორი მეორე დღესვე გამოხმაურებია ცნობას ფინეთში ახალი საარჩევნო წესის შემოღების შესახებ. წერილში ლაკონურად წერია: „გუშინ პეტერბურგის დეპუტათა სააგენტომ შემდეგი მეტად საგულისხმო ცნობა გადმოგვცა: თანახმად 7 ივლისის უმაღლესად დამტკიცებულ ფინლანდიის სეიმის წესდებისა, ფინლანდიის სეიმი შედგება ერთი პალატისაგან 200 დეპუტატით. არჩევნები ხდება სამ წელიწადში ერთხელ პირდაპირისა და პროპორ-

ციონალურ არჩევნებით. საარჩევნო უფლება ეკუთვნის ფინლანდიის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა. ქალებსაც უფლება აქვთ არჩეულ იქნენ“.

ამ ცნობას მიხეილ ჭავჭავაძე გუხარბეია. იგი მიაჩნია დემოკრატიზმის გამარჯვებად. ავტორი აღფრთოვანებით წერს: „ჩვენის აზრით, ეს ცნობა მეტად საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანია. დღემდის ფინლანდია თავის პოლიტიკური წყობილებით არ ჩაითვლებოდა დემოკრატიულ ქვეყნად. დღეს კი მან ისე საფუძვლიანად შესცვალა თავისი პოლიტიკური წყობილება, რომ დემოკრატიზმით უცებ გადააქარბა საფრანგეთსაც, ინგლისსაც, შვეიცარიასაც და გვერდში ამოუდგა ახალზელანდიას და ავსტრალიის ფედერაციას“. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს პროპორციული არჩევნების უპირატესობას და შენიშვნაში განმარტავს კიდევ, თუ რას ნიშნავს ეს წესი.

მართალია, იმ ხანად მ. ჭავჭავაძე ცენტრალიზაციის წინააღმდეგი იყო და ამით ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას, რომელიც ცენტრალიზაციის მომხრე იყო, მაგრამ დღევანდელი თვალაზრისით ფინეთის გამოსვლა მეფის თვითმპყრობელური ბრძკვალებიდან მაინც პროგრესულადაა შეფასებული. გავიხსენოთ თუნდაც მაგალითი ეგვიპტისა, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინ თავი გაითავისუფლა ინგლისელი იმპერიალისტებისაგან. ეგვიპტეში თუმცა სოციალისტური რევოლუცია არ მომხდარა და იქ ნაციონალისტები სხედან სათავეში, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტს მაინც პროგრესულად ვაფასებთ და მხარს ვუჭერთ ეროვნულ განთავისუფლებას.

ეს შენიშვნა იმისათვის გავაკეთე, რომ მ. ჭავჭავაძის აღფრთოვანება დამოუკიდებლობისათვის სხვადასხვა ხალხის ბრძოლით შევაფასოთ ფართო მასშტაბით და არა იმდროინდელი ვიწრო პარტიული პოზიციიდან.

ასეთია მ. ჭავჭავაძის წერილების ის წყება, რომელიც უცხოეთის ცხოვრებას ასახავს. მათ გაცნობას და მათზე დაკვირვებას მივუყვართ შემდეგ დასკვნამდე:

მ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური თვალის და კალამი სწვდება დიდ გეოგრაფიულ მასშტაბს. იგი კარგად იცნობს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, ფინეთის, ავსტრალიის, პოლონეთის, ახალზელანდიის, უნგრეთის, შვეიცარიისა და მრავალი სხვა ქვეყნის ისტორიას, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

აღნიშნული ქვეყნების ცხოვრებიდან მ. ჭავჭავაძე იღებს ისეთ საკითხებს, რომლებიც თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი

ცხოვრების თვალსაზრისით იმდროისათვის აქტუალური, საინტერესო და საჭირო იყო.

ყველა დასძული საკითხი ავტორის მიერ გაშუქებულია პროგრესული პოზიციებიდან, რევოლუციის მიერ წამოჭრილი საკითხების შესაბამისად, მკითხველ მასებში რევოლუციური ალტყინების გამოსაწვევად.

ამდენად, მ. ჯავახიშვილი უცხოეთის ცხოვრების გაშუქებისას თავისი პუბლიცისტური წერილებით გვევლინება დაუძინებელ მტრად თვითმპყრობელობისა და მისი ძალადობის ყველა ინსტიტუტის მიმართ და მეგობრად მშრომელი ხალხისა. განუჩრჩველად ეროვნული წარმოშობისა. იგი ჩაგრულთა მოსარჩლე და მათი ბედისათვის მებრძოლი პუბლიცისტი.

მ. ჯავახიშვილი ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ

მთელი მსოფლიოს პატროსან ადამიანთა ფიქრი ახლა ერთი უმთავრესი საკითხისაკენაა მიმართული. ესაა მშვიდობის შენარჩუნება, ომის საშინელების თავიდან აცილება.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო და აქტუალურიც კი არის მ. ჯავახიშვილის ერთი წერილი, რომელიც 1905 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ (2 ნომბერი, № 195). წერილის სათაურია „მილიტარიზმი“. ამ წერილში მართებულადაა ახსნილი მილიტარიზმის წარმოშობის მიზეზები, რომ იგი გაჩნდა გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის ბატონობის დასაცავად, ნაჩვენებია მშრომელთა ხვედრი მილიტარიზმის პირობებში და მითითებულია გზები, რომლითაც შეიძლება თავი დავაღწიოთ მილიტარიზმის საშინელებას.

აღნიშნული კორესპონდენცია დაწერილია დიდი პუბლიცისტური პათოსით.

განსაკუთრებით საინტერესოა წერილის ბოლო ნაწილი, სადაც ლაპარაკია კაპიტალიზმის მოსპობის აუცილებლობაზე, რადგან კაპიტალიზმის თანამგზავრი და მისი პირშემა მილიტარიზმი და ომი.

წერილში სოციალიზმის გამარჯვება გამოცხადებულია მილიტარიზმის მოსპობის ერთადერთ საშუალებად. ეს კი ისეთი დებულებაა, რომელსაც კომენტარი აღარ სჭირდება.

ეს წერილი დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. თუმცა მისი დაწერიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, და დღესაც მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას უწყობს ხელს.

მიხეილ ჯავახიშვილის გაზეთი „გლეხი“

„ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია იმ ღროშაზე, რომელიც ავიღეთ ხელში და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?“ — ამ კითხვებს აყენებს მიხეილ ჯავახიშვილის გაზეთ „გლეხის“ პირველი ნომერი თავის მოწინავეში და იქვე იძლევა პასუხს: გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს; დღე და ღამეს ასწორებს, სისხლის ოფლსა ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მაინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა“.

მაგრამ მოწინავეს აეტორს ეს პასუხი არ აკმაყოფილებს და უფრო ღრმად წვდება საკითხის არსს, უფრო ამომწურავ პასუხს იძლევა. უფრო აღმამფთოთებელ გარემოებებს უსვამს ხაზს, რათა მკითხველს თვალის აუხილოს და გული თანაგრძნობით აუვისოს.

„გლეხი ის ადამიანია, რომელიც მუდამ მშვიდია. შიშველი, წელში მოხრილი, რომელიც პირუტყვებთან ერთად ცხოვრობს აუროლებულ მიწურში და ნახევრად დანგრეულ ქოხში, რომელიც იტანჯება ათასნაირის ავადმყოფობით და შევიწროებით, ვისაც ტანჯვაში სული ხდება და ცრემლი არ ამრება თვალებზე. ვისაც უდროოდ ეხოცება შვილები და ვინც უდროოდ ესალმება თვითონაც წუთის სოფელს“.

მოწინავეში ტონი თანდათან უფრო გარკვეული და გაბედული ხდება, მას ემატება კლასობრივი თვალსაზრისი. მოვლენების ახსნა კლასობრივი დაპირისპირების შუქზე და ნათელი ხდება გლეხის უანჯული ცხოვრების წარმომშობი მიზეზებიც:

„გლეხი ის არის, ვისაც ყველა ატყუილებს, ყველა ძარცვავს, ჩაგრავს, ყვლეფს. და სისხლსა სწოვს; ძარცვავს მემამულე, ატყუილებს ვაჭარი, ჩაგრავს მთავრობა, მისი ოფლითა ცხოვრობს ვერიც და ბერიც“.

შემდეგ გლეხის ბედი განხილულია მუშის ბედთან კავშირში, ნათქვამია, რომ გლეხი ისევეა დაჩაგრული და დაპყრობილი, რო-

გორც ქალაქში მცხოვრები მუშა მექარხნეებისა და მეპატრონეები-საგან, რომ გლეხი და მუშა ძმები არიან და ისინი უნდა შეკავშირდნენ.

გლეხობის გამწარებული ყოფის მძაფრი დახასიათების შემდეგ მოწინავე სტატია სახავს პროგრამას, რომელიც საფუძვლად უხდა დაედოს გლეხთა მოქმედებას, თუ მათ სურთ მოიპოვონ ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, თავისუფლება, მიწა. ეს პროგრამა ძალზე რევოლუციური და გაბედულია, სწორი დებულებების შემცველი და დღევანდელი პოზიციიდანაც მისაღებია იმ ისტორიული ვითარებისათვის, როცა ეს მოწინავე დაიწერა:

„ამისათვის კი საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ შეერთდნენ გლეხები და ქალაქის მუშებთან ერთად გამოვიდნენ საბრძოლველად. უნდა მოითხოვონ სამართალი, უნდა იბრძოლონ ერთობისათვის, რადგან მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ დაამარცხონ მჩაგვრელები და მტარვალეები, ბრძოლით მოიპოვონ კაცური და ბედნიერი ცხოვრება. უნდა შეერთდნენ გლეხები და მედგრად, მზნედ, თავგანწირულად უნდა იბრძოდნენ ყველაზე უწინარეს იმისათვის, რომ მთელი მიწა გადაეცეს მიწის მუშა გლეხებს, რომ მიწით მარტო ის უნდა სარგებლობდეს, ვინც თვითონ მუშაობს. ვინც თვითონ ღვრის მწარე ოფლს. მიწას მოიპოვებს გლეხობა, როდესაც ძირს დასცემს დღევანდელს მთავრობას და ხალხი თვითონვე გაუძღვება თავის ბედ-იღბალს, თვითონვე იქნება თავისი პატრონი და მომვლელი, როდესაც დამყარდება ნამდვილი ხალხური, სრული თავისუფლება“.

კიდევ უფრო შემართებულად უღერს მოწინავეს დასასრულო, რომელშიც პირდაპირ საბრძოლო-რევოლუციური მოწოდებებია გამოთქმული:

„გლეხო, ... კმარა უსამართლობა, ძალმომრეობა და მონობა, რაც დღემდის მოგიტმენია. გაიმართე წელში, ჰკარ ხელი შენს მჩაგვრელებს და მწამებლებს და შესძახე: „კმარა ჩაგვრა და ტანჯვა, მე ადამიანი ვარ და არ მინდა, სხვისი ლუკმა ვიყო, სხვას ვემონო! მე მინდა, რომ ჩემთვის ვიმუშაო, ჩემთვის ვიცხოვრო და ჩემი მარჯვენის და ოფლის ნაყოფი ჩემი იყოს და არა სხვისი! კმარა და ვაი იმას, ვინც გადამიდგება წინ და მოპინდომებს, კვლავ დამჩაგროს და დამიმონოს!“

მაშ გაუმარჯოს ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის!..“

ასე გამოიყურება გაზეთ „გლეხის“ პირველი ნომრის მოწინავე, რომელიც საპროგრამო დანიშნულებისაა და ამიტომ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ გაზეთის მიმართულებაზე, დანიშნულებაზე, მიზნებზე და შინაარსზე.



გაზეთ „გლეხის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს, ხუთშაბათს, ქალაქ თბილისში. იგი იბეჭდებოდა სტამბა „ილე-ალში“.

„გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო მიხეილ ადამაშვილი, შემდგომში ცნობილი და დიდი ქართველი ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი.

გაზეთი ყოველკვირეული ორგანო იყო.

გაზეთი პატარა ფორმატისაა, ფართოფორმატიანი წიგნის ოდენა, 16 გვერდიანია, ორ სვეტიანი. გაზეთს აქვს დახატული (კლიშირებული) სათაური, რომელიც კარგი მხატვრის მიერ ჩანს გაკეთებულ. „გ“ ასოს ქვეშ დახატულია თავთავების ძნა და ნამგალი, რომლის ტარიც „გ“-ს ქვემო წრეში შედის.

ტექსტები უმთავრესად აწყობილია თეთრი კორაჟსით, გვსვდება თეთრი პეტიტიც. სათაურებად და ქვესათაურებად მრავალგვარი შრიფტია ნახმარი, რაც ალამაზებს გაზეთის გვერდებს.

ყოველ პირველ გვერდზე, მოწინავეს მალლა და გაზეთის სათაურის გადამკრეულ ხაზს შორის, პირველი სვეტის თავზე, მიდის ნომრის შინაარსი, რომელიც „ნონპარელით“ არის აწყობილი.

გაზეთის ყოველი ნომერი, როგორც წესი, იწყება მოწინავე სტატიით, როგორც ახლად მიღებული და რაც იმ პერიოდის გაზეთებში ყოველთვის არ იყო, ან თითქმის არ იყო მიღებული (ისინი ხშირად მოწინავეს არამც თუ არ იყენებდნენ, არამედ პირველ გვერდს განცხადებებით ავსებდნენ), მოწინავეები ხელმოუწერელია და იგრძნობა, რომ მიხეილ ჯავახიშვილისაა.

გაზეთში გამოყენებულია მუდმივი განყოფილებები, რომელთაც თავიანთი რუბრიკები აქვთ: ასე, მაგალითად, „ჩვენებური ამბები“, „რუსეთი“, „გლეხის წერილები“, „საუბარი გლეხებთან“, „მუშის წერილი“, „ვინ რითი ცხოვრობს“... და ა. შ.

მე-16 გვერდზე ზოგჯერ გვხვდება განცხადებები. ეს უმეტესად რეკლამაა სხვა ორგანოების გამოსვლის თაობაზე.

„გლეხის“ № 1	გამოვიდა 1906 წ. 22 ივნისს, ხუთშაბათს,
№ 2	28 ივნისი, ხუთშაბათი,
№ 3	5 ივლისი, ხუთშაბათი,
№ 4	13 ივლისი, ხუთშაბათი,
№ 5	20 ივლისი, ხუთშაბათი,
№ 6	27 ივლისი, ხუთშაბათი,
№ 7	3 აგვისტო, ხუთშაბათი.

გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაშიც“ „გლენისა“ მხოლოდ 7 ნომერია ცნობილი.

„გლენი“ გამოვიდა მხოლოდ 7 ნომერი, რადგან ხელისუფლებამ ეს გაზეთი აკრძალა და დახურა, როგორც პოლიტიკურად მტრული მიმართულების ორგანო. ამ მხრივ საინტერესოა იმდროინდელი პრესის ცნობები „გლენის“ დახურვასთან დაკავშირებით.

გაზეთი „შრომა“ თავის 76-ე ნომერში, 1906 წლის 8 (21) ივლისს წერდა: „6 ივლისს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა კვირეული გაზეთი „გლენი“. სტამბის ინსპექტორი მივიდა „იდეალის“ სტამბაში, სადაც გაზეთი „გლენი“ იბეჭდებოდა, და მოითხოვა უკანასკნელი ნომრები. სტამბაში აღმოჩნდა მხოლოდ ოთხი ნომერი. დანარჩენი, რამდენიმე ათასი ცალი გაზეთისა უკვე გაყიდულიყო“.

ეს ცნობა გაშვებულია „შრომის“ მესამე გვერდზე.

მკითხველი იფიქრებს: „გლენის მე-7, ე. ი. ბოლო ნომერი გამოვიდა 1906 წლის 3 აგვისტოს, მაშ 6 ივლისს როგორ დაიკეტებოდაო. ასეთი კითხვის დასმა სრულიად ლოგიკურია საქმე შემდეგშია: გაზეთ „შრომის“ იმავე 76-ე ნომერში, მეოთხე გვერდზე გაშვებულია პატარა შენაშვნა, რომელსაც სათაურად აქვს „წერილი რედაქციის მიმართ“. ხელს აწერს მ. ადამაშვილი. შენიშვნაში წერია:

„ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ თბილისის გენ. გუბერნატორის მიერ დახურული გაზეთის „გლენის“ რედაქცია ყოველ ღონეს მიიღებს და ხელის მომწერლებსა და მკითხველებს ასე თუ ისე დააკმაყოფილებს“.

როგორ შეასრულა რედაქტორ-გამომცემელმა ეს დაპირება მკითხველების მიმართ? რა ღონე იხმარა, რომ დაეკმაყოფილებინა ისინი?

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნებული ახალი ცნობა, რომელიც დაიბეჭდა ამ გაზეთის № 77-ში, 1906 წლის 11 ივლისს

აი, ეს ცნობა:

„გაზეთი „გლენი“. „გლენის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „გლენი“ არ დაუკეტიათ. სტამბაში მოსულა სტამბის ინსპექტორი და უთქვამს მეტრანაპეისათვის, რომ საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „გლენის“ მესამე ნომერი უნდა დავიჭიროთო. მეტრანაპეს ვერ გაუგია საქმის ნამდვილი ვითარება და შეატყობინა რედაქციას, რომ გენერალ-გუბერნატორმა „გლენი“ დაკეტაო. იამრიგად მეტრანაპემ რედაქცია შეცდომაში შეიყვანა და

გამოაცხადებინა. ვითომ მთავრობას გაზეთი დაეკეტოს. 'შემდეგ' ნომერი „გლეხისა“ გამოვა ხუთშაბათს საღამოს ეამზე“.

გაზეთი „შრომა“ შემდგომ (78-ე) ნომერში კვლავ იძლევა განცხადებას: „გლეხი“. ხვალ. ხუთშაბათს გამოვა „გლეხის“ მეოთხე ნომერი“.

მართლაც, მეტრანაპაის მიზეზით. მის მიერ რედაქციის შეცდომაში შეყვანილ „გლეხის“ დაკეტვას „შრომა“ არ გამოაცხადებდა. რედაქცია შეამოწმებდა მეტრანაპაის ზეპირ განცხადებას, წავიდოდა ინსპექტორთან და, როცა საკითხის არსში გაერკვეოდა, მერე გააკეთებდა სათანადო დასკვნებს.

მაშ, როგორ უნდა გავიგოთ „შრომის“ 77-ე ნომერში გამოქვეყნებული განცხადების შინაარსი? ჩვენი ფიქრით, „გლეხს“ მართლა კეტავდნენ, მაგრამ რედაქტორ-გამომცემელმა იზრუნა და მოახერხა გაზეთის არსებობის გახანგრძლივება. აქი 76-ე ნომერში მ. ადამაშვილი ჰპირდებოდა ხელისმომწერლებს და მკითხველებს, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დაგაკმაყოფილოთო. ვფიქრობთ, მწერალმა ეს დაპირება შეასრულა.

რასაკვირველია, ეს არის ჩვენი ვარაუდი, მაგრამ იგი უფრო ლოგიკურია, ვინემ ის, რომ მეტრანაპაემ რედაქციას უთხრა, ინსპექტორი მოვიდა და გაზეთი დაკეტაო, რედაქციამ კი ნაუცბათევადა, საკითხის გაურკვეველად, მაშინვე „შრომაში“ მისცა განცხადება.

დაპირებულ ხუთშაბათს, ე. ი. 1906 წლის 13 ივლისს „გლეხის“ № 4 მართლა გამოვიდა.

საყურადღებოა, რომ „გლეხის“ რედაქცია ამ დღიდან აძლიერებს თავისი იდეების პროპაგანდას და გაზეთ „შრომაში“ 78-ე ნომრიდან მოყოლებული 96-ე ნომრამდე ყოველდღე ათავსებს განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი. განცხადების ტექსტი ასეთია:

„ყოველკვირეული სახალხო გაზეთი „გლეხი“.

„გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს! გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხობის განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საკითხებს და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა. თანაწილობასა და თავისუფლებასზე დამყარებულ ცხოვრებას“.

შემდეგ კი აღნიშნულია ფაქტი, მისამართი და ა. შ.

როგორც ვთქვით, განცხადებაზე ხელს აწერს მ. ადამაშვილი.

ასეთი შინაარსის განცხადების ყოველდღიური გამოქვეყნება მეზობელ გაზეთში მიუთითებს რედაქციის ღონისძიებებზე, რომ გაზეთი მკითხველს გააცნოს, საზოგადოებრივი აზრი გაზეთის სასარგებლოდ გააძლიეროს და ამით გაზეთის არსებობა გაახანგრძლივოს. ასეთი ღონისძიებების წყალობით გაზეთმა „გლეხმა“ სამ აგვისტომდე მაინც იარსება.

მაგრამ მთავრობა „გლეხში“ თავის მტერს ხედავდა და მას დიდხანს ვეღარ მოითმენდა. მართლაც, იგივე გაზეთი „შრომა“ 1906 წლის 6 აგვისტოს თავის მეასე ნომერში, ახალ ამბებში ოფიციალურად იტყობინება:

„გლეხის“ დაკეტვა. თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის დადგენილებით, სახალხო ყოველკვირეული გაზეთი „გლეხი“ შეჩერებულ იქნა საქმის გარჩევამდის. „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელს ბრალს სდებენ 128-ე და 129-ე მუხლის ძალით“.

ამრიგად, „გლეხი“ დაკეტა, ხოლო მისი რედაქტორ-გამომცემელი სასამართლო პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ხოლო 103-ე ნომერში გაზეთი „შრომა“ მეოთხე გვერდზე წერს:

„გლეხი“. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, დახურული გაზეთის „გლეხის“ ხელისმომწერნი და მკითხველნი დაკმაყოფილებულ იქნებიან რედაქციისაგან. ამასთან „გლეხის“ კანტორა სთხოვს თავის აგენტებს, მათზე დარჩენილი ფული წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

იმვე ახალ ამბებში ქვემოთ განცხადებაა, რომ „მოკლე ხანში გამოვა ახალი სახალხო გაზეთი „მ ი წ ა“ გრ. ტატიშვილის რედაქტორობით.

სწორედ ეს გაზეთი „მიწა“ გამოდის „გლეხის“ ნაცვლად.

ამვე აზრს ავითარებს გ. ი. ბაქრაძე თავის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ (იხ. გვ. 21-ე, თბილისი, 1947 წ.).

ასეთია გაზეთი „გლეხი“ ტექნიკური თვალსაზრისით, ასეთია ამ გაზეთის დაარსებისა და დახურვის ისტორია.

• • •

„გლეხის“ პირველი ნომრის მოწინავე, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ, ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ გაზეთის მიმართულებაზე, მაგრამ ერთია რედაქციის დაპირება, ხოლო მეორე — მისი განხორციელება. ამიტომ ჯობს განვიხილოთ გაზეთის შეიდივე ნომ-

რის ძირითადი მასალები. რაა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სა-
კითხზე, თუ რა მიზნებს ემსახურებოდა „გლეხი“, რა ცხოვრებო-
სეულ საკითხებს აყენებდა და როგორ წყვეტდა მათ, როგორი იყო
ამ გაზეთის მიზართულება.

შეიძლება მთელი პირდაპირობით, პასუხისმგებლობით და და-
ბეჭითებით ითქვას, რომ გაზეთ „გლეხის“ მიმართულება რევოლუ-
ციურია, მიმართულია მემამულეებისა და კაპიტალისტების, მეფისა
და ბიუროკრატიული მთავრობის დამხობისაკენ, მუშათა და გლეხთა
ხელისუფლების დამყარებისაკენ, სამართლიანობაზე აგებული ცხოვ-
რების განხორციელებისაკენ.

ყოველი ფრაზა, ყოველი დებულება, რომლებიც ამ გაზეთის
მასალებში გვხვდება, ნათელი ილუსტრაციაა ზემოთ გამოთქმული
დებულებების დასამტკიცებლად. ჩვენ ზოგჯერ გაცხადებულ
კი ვრჩებით იმის გამო, რომ მეფის ხელისუფლების პირობებში, ისეთი
შკაცრი საცენზურო შეზღუდვების დროს, შესაძლებელი ხდებოდა
ასეთი გაზეთის გამოშვება, გაზეთისა, რომელიც, თუმცა ლეგალურად
გამოდიოდა, მაგრამ პირდაპირ და აშკარად, შეუნიღბავად და გაბე-
დულად ამხელდა მეფისა და მემამულეების ხელისუფლების კაცთ-
მოძულეობას, იმას, რომ მუშები და გლეხები გაბატონებული კლასე-
ბის მიერ დამონებულნი, გაყვლეფილნი და მოტყუებულნი არიან,
სულს დაფავეს; მუშები და გლეხები დღენიდაც შრომობენ, მაგრამ
შიშვლით სული ხდებათ, მაშინ როდესაც გაბატონებული კლასების
წარმომადგენლები განცხრობით და ფუფუნებით ცხოვრობენ; მემამ-
ულეები და კაპიტალისტები დაჩაგრულ გლეხებსა და მუშებს უმეც-
რებაში და გაუნათლებლობაში ამყოფებენ, რათა უფრო მეტად მო-
ატყუონ ისინი, რათა უფრო მეტი სისხლი ამოსწოვონ მათ და ამ
გზით ჯიბე გაისქელონ.

ასეთი სწორი, რევოლუციური გაგება და ახსნა მოვლენებისა,
ასეთი სწორი დასკვნების გამოტანა, კლასობრივი დაპირისპირების
პოზიციების ასეთი მარქსისტული გაგება თავიდან ბოლომდე გას-
დევს გაზეთ „გლეხში“ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა მასალას. და
თანაც მათში ზოგადი ფრაზეოლოგია კი არაა, არამედ კონკრეტული
ფაქტების შეფასება და მათი განზოგადება ეპოქის საერთო სულის-
კვეთების შუქზე.

მეტად საყურადღებოა „გლეხის“ პირველ ნომერშივე დაბეჭდი-
ლი ერთი წერილი, რომელსაც ეწოდება „მშრომელნი ხალხნი, შე-
ერთდით!“

ამ წერილში ჯერ გარკვეულია, თუ ვის უწოდებენ მშრომელ
ხალხს, რომ ესაა სოფლის გლეხობა და ქალაქის ქარხანა-ფაბრიკების

მუშები მერე დასმულია საკითხი, თუ ვინ აწუხებს, ვინ ავიწროებ და ჩაგრავს მშრომელ ხალხს. ამაზე გაცემულია პასუხი, რომ მათ შემწუხებელ-მჩაგვრელია მემამულეები, მექარხნე-მეფაბრიკეები ბიუროკრატია, მეფის მთავრობა, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავზე და თავიანთი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ.

წერილში პირდაპირ წერია: „ამნაირი შემწუხებელი, ტყავის გამძრობი ბატონ-პატრონი გლეხობას და ქალაქის მუშებს ჰყავთ ორი: ერთი გახლავთ მუქთახორა მემამულეები და წურბელა მეფაბრიკეები; მეორეა ბიუროკრატული მთავრობა — მეფე-მინისტრები-დან დაწყებული უკანასკნელ პოლიციის სტრაჟნიკამდის“. ამათო. წერია წერილში, თავიანთ ხელში აქვთ ძალაც და კანონიც და როგორც სურთ, ისე ატრიალებენ მილიონობით მშრომელებს. ამიტომ ხდება, რომ: „უთვალავს გლეხკაცობას მიწა არა აქვს, სიმშვილით წყდება რამდენიმე საუკუნეა, მაგრამ იქვე სოფლის გვერდით გადაჭიმულია თვალგადაუწვდენელი მინდორი მემამულისა“.

„ფაბრიკის პატრონი მილიონებს იჩხრიალებს ჯიბეში მუშების წყალობით. მაგრამ, აბა, გაბედონ მუშებმა და სთხოვონ თავიანთ ბატონს, ცოტაოდენი მოგვიმატე, დღევანდელი ხელფასი არა გვყოფნისო, რა პასუხს მიიღებენ? ის მთავრობას შეატყობინებს, მუშები იჭანყდნენო, გულკეთილი მთავრობაც მაშინვე ჯარს გამოუგზავნის და მშიერს მუშებს ტყვიას დაუშენენ. ფაბრიკის პატრონებიც თავის მხრით სამსახურს უწყევნ მათს ერთგულს მთავრობას ფულით, თუ სხვანაირად“.

აქ ნათლად არის გარკვეული, თუ როგორი ურთიერთობაა, ერთი მხრივ, მემამულე-კაპიტალისტებსა და მუშა-გლეხებს შორის, მეორე მხრივ, როგორი ერთგული დამცველი ჰყავთ ექსპლოატატორებს მთავრობისა და მისი ჯარის სახით, როგორ ბანენ ხელს ისინი ერთმანეთს...

ექსპლოატაციის ამ საშინელი სურათების დახატვით როდი კმაყოფილდება წერილის ავტორი. იგი მუშებსა და გლეხებს უჩვენებს მოქმედების გზასაც.

პირველი, რაც ამ დაჩაგრული კლასების წარმომადგენლებმა უნდა გააკეთონ, აცხადებს ავტორი, ესაა მათი შეერთება და შეერთებული ძალით მოქმედება. ავტორი აცხადებს, რომ „შეერთებული ხალხი ყველაფერს გააკეთებს“.

დაქსაქსულად, ცალ-ცალკე ხმის ამოდება, თუნდაც სოფელ-სოფელ, ვერაფერს მოგვიტანსო. ცალ-ცალკე გამოსულთ ცალ-ცალკევე გავსრესენო. გაერთიანებული ძალით იერიშის მიტანას კი ვერ გაუძლებენო. „ი ამიტომაც საჭიროა, მეტისმეტად საჭიროა მშრომელი ხალხის შეერთება“, წერს ავტორი.

წერილში მუშებისა და გლეხების ბრძოლის მიზანი გარკვეულია და ნათლადაცაა ჩამოყალიბებული: „მშრომელ ხალხს სურს მიწა და თავისუფლება! მშრომელ ხალხს სურს, რომ მისი ნაოფლარი მისივე იყოს!“ ეს სტრიქონები გაზეთში ხაზგასმულია და მოწოდება-ლოზუნგის ფუნქციას ასრულებს.

წერილის დასასრულს ავტორი ეუბნება გლეხებს, რომ ქალაქის მუშები შეერთებულნი არიან, ისინი ჰაპანს ერთად ეწევიან. ახლა გლეხობაც უნდა შეერთდეს თვითონ და თავიანთი გაერთიანებული ძალები შეუერთონ მუშათა ძალებს, ხოლო ასე გაერთიანებულნი უფრო მედგრად შეუტევენ მზავრელებს და ამით მოიპოვებენ გამარჯვებას, მიაღწევენ სასურველ მიზანს.

„გლეხებიც უნდა შეერთდნენ, შეკავშირდნენ თავიანთი საქმის გასაკეთებლად.

თუ მიწა და თავისუფლება უნდათ, ხმა უნდა ამოიღონ და მხარი დაუჭირონ თავის მოძმე ქალაქის მუშებს.

გაუმარჯოს შეერთებულ მშრომელ ხალხს!“

ასეთი სიტყვებით მთავრდება ეს წერილი. მას ხელს აწერს გლეხი შვილი, რომელიც ჩვენ მიხ. ჭავჭავიძის ერთ-ერთ ფსევდონიმად მიგვაჩნია.

განხილული წერილი, რა თქმა უნდა, ნათელ წარმოდგენას იძლევა გაზეთ „გლეხის“ მიმართულებაზე.

პირველსავე ნომერში იბეჭდება ერთი მოკლე, მაგრამ ძალზე საყურადღებო მასალა, რომელიც ხელმოუწერლად არის გაშვებული. მისი სათაურია „ახლოვდება განკითხვის დღე“. მასში მიმოხილულია მთელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებსა და კუთხეებში აზვირთებული ხალხის რევოლუციური გამოსვლების კონკრეტული ფაქტები, ჩამოთვლილია ის ადგილები, სადაც ეწყობოდა გაფიცვები. კორესპონდენციაში ხაზგასმულია, რომ გაფიცვები არა მარტო ქალაქად ხდება (ჩამოთვლილია: პეტერბურგი, მოსკოვი, ლოძი, ვილნო, ადესა, სარატოვი, ხარკოვი, რიბინსკი, არხანგელსკი, ჭიათურა, ქუთაისი), არამედ სოფლებშიც, სადაც მოითხოვენ მემამულეთა მიწების დაყოფას სოფლის გლეხობაზე: „გლეხებმა დაჰკარგეს სრულიად მთავრობის იმედი და ახლა მათ ვერავინ ვერ დაამშვიდებს, სანამ არ მოიპოვებენ სრულს თავისუფლებას, სანამ მიწები არ ჩამოერთმევა ხაზინას, ხელმწიფეს და მის ნათესაებს. ეკლესია-მონასტრებს და მემამულეებს და არ გადაეცემა მიწის მუშებს“.

კორესპონდენცია უყურადღებოდ არ ტოვებს მღელვარებას ქარში და არაორაზროვნად წერს:

„ამოძრავდნენ სალდათებიც. დიდი მღელვარებაა და უკმაყოფილება ქარში — პოლტავასა, კურსკსა, კრონშტადსა, ცარსკოე-სელოსა, სევასტოპოლსა, ვორონეჟსა, პეტერბურგსა, ბათუმში და სხვაგან. სალდათებმა დაინახეს, რომ სიმართლე ხალხის მხარეზეა და არა მთავრობისაკენ, სალდათებს აღარ უნდათ თავის ძმების, ხალხის წინააღმდეგ წავიდნენ და აღარ ემორჩილებიან მთავრობას.“

მარტო ამ ფაქტების აღნუსხვით როდი კმაყოფილდება კორესპონდენციის ავტორი, იგი მთავრობის დაბნეულობასაც და მისი ძალუფლების შესუსტებასაც არ ტოვებს უყურადღებოდ და სრულიად აშკარად ამხელს მის მაქინაციებს, მის ცდებს, რომლებიც მიმართულია ხალხის წინააღმდეგ, შერყეული ტახტისა და ხელისუფლების აღსადგენად.

„გზადაბნეულმა მთავრობამ არ იცის, რა ჰქნას, ათასნაირ საშუალებას ხმარობს, რომ ჩააქროს არეულობა, რომ ძირიანად მოსპოს თავისუფლება, რომ ისევ დამონებული ჰყავდეს ხალხი. მაგრამ ფუქია მისი ყოველი ცდა, ვერაფერი ვერ შეაჩერებს გამოღვიძებულ ხალხს, ხალხი შემუხსრავს და დაღეწავს ყველაფერს, რაც კი წინ გადაედობება, ხალხს უნდა თავისუფლება, ხალხს უნდა ადამიანური ცხოვრება.“

ახლოვდება განკითხვის დღე! ახლოვდება ხალხის შურისძიება!“

ნათელია ამ კორესპონდენციის აზრი, დანიშნულება, პოლიტიკური მიმართულება, ამიტომ მას, როგორც იტყვიან, კომენტარები აღარ სჭირდება.

გაზეთის მიმართულებას აშკარად გამოხატავს წერილების სერია. რომელთა საერთო სათაურია „გ ლ ე ხ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი“. ამ სერიის წერილებში სხვადასხვა საკითხია განხილული და ყოველი მათგანი ქვესათაურად არის გამოყენებულნი.

პირველად „გლეხის წერილები“ მეორე ნომერში იბეჭდება. მისი ქვესათაურია „ამხანაგო გლეხებო!“ აქ გლეხთა მდგომარეობის საერთო სურათია აღწერილი. შემდეგ წერილში (№ 3) დახასიათებულია მთავრობა და ქვესათაურად „მთავრობა“ ჰქვია, მესამე წერილში — „სათათბირო და ხალხი“ — განხილულია ეს საკითხი და ა. შ.

ყოველ მათგანს ხელს აწერს ქ ა რ თ ლ ე ლ ი გ ლ ე ხ ი, რომელიც მ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმის განსნა ასე ხერხდება. მ. ჭავჭავაძის 1936 წლის ნოემბერში თავისი ხელით დაუწერია ავტობიოგრაფია. მასში ავტორი მოკლე ცნობებს იძლევა მშობლების, დაბადების, სწავლისა და ცხოვრების კონკრეტულ საკითხებზე. მერე ჩამოთვლის თავის ნაწერებს — მხატვრულს. თარგმანებს, წერილებს და ერთ ადგილზე წერს: „მოთხრობებისა და რომანების გარდა მრავალი წერილი დავწერე, მაგალითად:

„გლეხის წერილები“ („გლეხი“ № 2, 3, 4)...“ ავტობიოგრაფიის ეს ადგილი აშკარას ხდის, რომ „გლეხის წერილების“ ავტორი მიხეილ ჭავჭავიძეა. ხოლო გაზეთ „გლეხში“ ამ წერილებს ხელს აწერს ქართლელი გლეხი ი. მამასაძამე, ქართლელი გლეხი მიხ. ჭავჭავიძელის ფსევდონიმი. აღსანიშნავია, რომ იმავე გაზეთში იმავე ფსევდონიმით ხელმოწერილია სხვა წერილებიც, მაგალითად, „სახელმწიფო სათათბირო“, რომელიც გაზეთის პირველ ნომერში არის გამოქვეყნებული. სხვათა შორის, „გლეხის“ მეოთხე ნომერში „გლეხის წერილებში“ ავტორი თვითონ წერს: „გლეხის“ პირველ ნომერში მე. ვუამბე მკითხველებს მთავრობისა და სათათბიროს ბრძოლის ამბავი“. იმ წერილს კი, როგორც ვთქვით, ქართლელი გლეხი აწერს ხელს. ახლა ექვეგარეშეა, რომ მ. ჭავჭავიძელს ეს ფსევდონიმიც გამოუყენებია.

ეს მსჯელობა იმდენად საყურადღებოა, რომ, ჯერ ერთი, ირკვევა მ. ჭავჭავიძელის ერთ-ერთი უცნობი ფსევდონიმი და, მეორეც, მიუთითებს იმაზე, რომ მ. ჭავჭავიძელი არა მხოლოდ რედაქტორ-გამომცემლის პოზიციიდან აძლევდა ტონსა და მიმართულებას გაზეთ „გლეხს“, არამედ როგორც ავტორიც, რადგან სწორედ მისი წერილები გამოირჩევა პოლიტიკური შემართებით. სიმძაფრით და საკითხების რევოლუციური გადაჭრით. ეს ფაქტი კი ძალზე საყურადღებოა.

„გლეხის წერილების“ განხილვა ასეთ სურათს იძლევა: გაზეთის მეორე ნომერში, როგორც ზემოთ ვთქვით, ამ რუბრიკის ქვეშ კონკრეტული სათაურია — „ამხანაგო გლეხებო!“

წერილის ავტორი პირველ პირში ყვება, რომ ისიც გლეხის შვილია და კარგად იცის გლეხების ცხოვრება, მათი ტანჯვა და ჭაფა. რუსეთში ვსწავლობდი და იქ ყოფნისას რუსი გლეხების ცხოვრებასაც კარგად გავეცანიო, ისინიც ისევე იტანჯებიან, როგორც ქართველი გლეხებიო. „რუსი და ქართველი გლეხები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ორივენი ერთ უღელში არიან შებმული, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან და ყაზახ რუსებისაგან“.

შემდეგ წერილში ავტორი ეხება ენის საკითხს. აქ ხელდავს ავტორი სხვაობას რუს და ქართველ გლეხებს შორის: რუსი გლეხები თავიანთი ენით სარგებლობენ სკოლაში, სასამართლოში და სხვაგან, ქართველები კი იძულებულნი არიან მშობლიური ენის ნაცვლად რუსული შეისწავლონ იძულებით, რადგან სასამართლოში და სხვაგან ქართულს არავენ აღაპარაკებს. „რუსულ სკოლებში, სასამართლოებში და ყველგან სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ, ქართველები კი

მოვალენი არიან რუსული ენა ისწავლონ, თორემ სასამართლოში და სხვაგანაც ქართულად არავინ აღაპარაკებს. რუსის ბავშვი სკოლაში თავის სამშობლო ენაზე სწავლობს, ქართველი ბავშვი კი სამ-ოთხ წელიწადს რუსულ ენაზე თავს იმტკრევს და იტანჯება“.

გლეხისათვის სასარგებლო საქმედ მიაჩნია რუსეთში არსებული ერობები, რომლებიც, თუმც მას სდევნის მეფის ხელისუფლება, მაგრამ მაინც დიდ დახმარებას უწევს რუსეთის გლეხობას. ჩვენთვის ეს კუდმოკვეცილი ერობაც დაიშურა მეფის ხელისუფლებამო, გულისტვიცილით წერს ავტორი. შემდეგ კი აყენებს მწვავე კითხვას: „რათაო? რისთვისაო? ჩვენ რალა დავაშავეთ? წლია და წლის თავზე მთავრობა ხალხს ტყავს აძრობს, იმოდენა ფულს აგროვებს და დღემდის გლეხებისათვის არაფერი არ გაუყეთებია. რათა? იმიტომ, რომ მთავრობას არ უნდა ჩვენი განათლება, არ უნდა, რომ თვალები ავახილოთ, ყურები გამოვიჩიჩქნოთ და ჩვენც ადამიანები გავხდეთ. გლეხკაცობამ რომ თვალები აახილოს და განათლება მიიღოს, ის მაშინვე დაინახავს, რომ იმისი ფული, ნაოფლარი და ნამუშევარი სხვის ჭიბეში მიდის. დაინახავს ამას და იტყვის: რათა და რისთვისაო? იტყვის ამას და აღარ მოინდომებს უღელში შებმას. ვილაც მუქთახორა წურბელებისათვის მუშაობას...“

როგორც ვხედავთ. აქ ნიღაბი ჩამოგლეჯილია მეფის მთავრობის მხეტურის სახიდან და ნაჩვენებია იგი ისეთად, როგორიც იყო, მკაფიოდ არის გამოაშკარავებული ექსპლოატაციის სახე და ექსპლოატატორთა ბუნება.

იქვე ავტორი აყენებს განათლების აუცილებლობას. რათა გლეხობამ შეძლოს გაარკვიოს თავისი ხვედრი და ამაღლებული შეგნებით გაარჩიოს მტერი და მოყვარე.

„ჩვენ, გლეხებმა, განათლება რომ მივიღოთ, თვალები რომ ავახილოთ და ყურები გამოვიჩიჩქნოთ, ერთმანეთს ხელი ხელს მივცემთ, პირს შევკრავთ და ვიტყვიოთ:

კმარა მონობა! გვეყო ამოდენა ტანჯვა და წვალება! გვეყო ამოდენა უსამართლობა და ცარცვა-გლეჯა!..“

ამ მოწოდების კიდევ უფრო განმარტებისა და განმტკიცების შემდეგ ავტორი გულისტვიცილით შენიშნავს, ვაი, რომ ჭერ არც ერთი პირი ვვაქვს, არც ერთობა, არც ძმობა... არც ვაუკაცობა და არც სიამაყეო. „ბარემ ჩვენი ცოლების ლეჩაქები დავიხუროთ და ისე გავიაროთ“.

ბრძოლისაკენ მოწოდება, საამისოდ აღტკინება რომ უფრო ძლიერი გახდეს, ავტორი არ ერიდება შერცხვენას და ამ შემარცხვენილი სიტყვების შემდეგ მოწოდებას კიდევ უფრო მეტი ძალა ემა-

ტება: „დავინახავთ ერთ ან ორ კახაკსა და ქუდმოგლეჩილი გავრბოვართ. დავინახავთ ბოქაულსა და თავვის სორო ათ თუმნად გვიღირს. ვინ არ გინდა რომ თავში არ გვიფაჩუნებდეს...“

მწარედ, ძალზე მწარედ ჩამოთვლის ამ ამოხრებელთა სიას და იყენებს მტივიანულ კითხვას: „მერე ჩვენ სად ვიყავით?“

„წრეულს იანვარში და თებერვალში ყაზახ-რუსებმა მთელი საქართველო აიკლეს, გააოხრეს, გადაბუგეს, გაავერანეს და მიწასთან გაასწორეს. სახლ-კარი დაგვიწვეს, რაც გვებადა, დაგვტაცეს და ცოლებსა და ქალებს ლეჩაქი ახადეს. მერე ჩვენ სად ვიყავით? ჩვენ რას ვაკეთებდით? მხოლოდ თავგებივით სოროებში ვიმალებოდით, კახაკების წინ ვიჩოქებდით და ბოლიშს ვიხდიდით“.

იქვე გამწარებით შესძახებს ავტორი: „სირცხვილი ასეთ ვაჟაკებს! სირცხვილი. იმ ქმრებსა და მამებს, რომელთაც ცოლები და ქალები შეუგინეს და ისინი კი ტყუევში იმალებოდნენ. რა პირით უნდა შეხედოს ასეთმა ქმარმა ან მამამ თავის ცოლსა და ქალს?“

ავტორი იხსენიებს სპარსთა შემოსევებსა და საქართველოს მაშინდელ აწიოკება-აოხრებას, მაგრამ იმასაც არ ტოვებს ყურადღების გარეშე, რომ მაშინ ქართველები მტერს ვაჟაკურად უხვდებოდნენ, ახლა კი თავი შევირცხვინეთ და მივიმალენითო.

ასეთი ძლიერია მოწოდება მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ასეთი შეუირიგებელია ავტორი და ასეთი ვაჟაკურია მისი ხმა.

მომდევნო „გლეხის წერილებში“ („გლეხი“ № 3) ქვესათაურია „მთავრობა“. ეს წერილი ლოგიკური გაგრძელებაა წინა წერილისა. ამას თვით ავტორიც აღნიშნავს პირველივე სტრიქონში: „წინა წერილში მე ვთქვი, რომ მშრომელ გლეხობას ბევრი დამჩაგრელი ჰყავს მეტეი“.

ამ განცხადების შემდეგ ავტორი დაწვრილებით განმარტავს, თუ როგორ ჩაგრავს მთავრობა და მისი ინსტიტუტები მშრომელ მოსახლეობას. აქვე ნაჩვენებია გლეხთა შორის დიფერენციაციის პროცესი, რის შედეგადაც ზოგ მათგანს „ჩიბე გაუსქელებია და თავის მოძმეს სულს უხუთავენ“.

ავტორს პირველი იერიში მიაქვს პოლიციაზე, ბოქაულზე, ჩაფარზე, გუბერნატორზე, მამასახლისზე. იგი აყენებს კითხვას: „რას აკეთებენ, ან ვის ემსახურებიან ეს მუქთახორა ავაზაკები?“ შემდეგ კი ძალზე დამაჯერებლად განმარტავს საკითხს და ამომწურავ პასუხს იძლევა დასმულ კითხვაზე. აშიშვლებს ამ ინსტიტუტთა ნამდვილ სახეს და გვიჩვენებს, რომ ყოველი მათგანი მშრომელი ხალხის მტერია. ისინი წარმოადგენენ ძალადობის იარაღს მთავრობის

ხელში და, როცა დასჭირდება, მთავრობა მათ მოუსხვეს მშრომელ მოსახლეობას, რათა ძალით წაართვას მათი ოფლითა და სისხლით შექმნილი სიმდიდრე და კიდევ უფრო გამდიდრდეს თვითონ 'და დაიცვა მდიდართა ინტერესები.

წერილში მკაფიოდ არის გატარებული ის აზრი, რომ მთავრობა სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველი და მშრომელი გლეხობისა და მუშების მძარცველი. ეს კლასობრივი ბუნება მაშინდელი წყობილებისა წერილში დამტკიცებულია მრავალი მაგალითით. ავტორი ამბობს, რომ მთავრობას ებრალება შეძლებული ხალხი, მემამულე, თავადაზნაურობა, მაგრამ არ ებრალება დაბეჩავებული და გალატაკებული გლეხაკობა. ამიტომ აღსდგნენ გლეხები, აღარ ენდობიან მთავრობას, კარგად გაიგეს, თუ ვისი მეგობარია იგი, და დაიწყეს ბრძოლა, რათა დასცენ, დაამარცხონ მთავრობა და მემამულეები, ხოლო მთელი მიწა გადასცენ მიწის მუშებს.

გაზეთ „გლეხში“ გლეხობისათვის მთელი მიწის გადაცემის საკითხი სხვა წერილებშიც ძალზე მკაცრად დაყენებული. უფრო მეტიც, ეს გაზეთი მოითხოვს არა მხოლოდ მიწის გადაცემას, არამედ თავისუფლებისასაც, რადგან, თავისუფლების გარეშე მიწა არაფერია, მას ისევ წაგვართმევენო.

ეს აზრი ყველაზე უფრო მეტბრძოლად დაყენებულია „გლეხის“ მე-3 ნომერში, რომლის მოწინავეც ასეა დასათაურებული — „თავისუფლება“. ამ წერილში მხილებულია ზოგი გლეხის მოუზადებლობა, რის გამოც იგი ასე ფიქრობს: მიწა თუ ჩაივადე ხელში, მერე აღარაფერი მიჭირსო. მიწა მომეცით და სხვა ყველაფერი თქვენნი იყოსო. ავტორი განმარტავს ამ მოსაზრების მცდარობას და ასკვნის, მართო მიწა არაფერია, თუ თავისუფლებაც არ მოიპოვეთ, რადგან თავისუფლების გარეშე მიწასაც არავინ შეგარჩენსო.

წერილში თავიდან ბოლომდე ის აზრია გატარებული, რომ თავისუფლება დიდი საუნჯეა, მის გარეშე არც ერთ ადამიანს არ შეუძლია კაცური ცხოვრება და ამიტომ მის მოსაპოვებლად უნდა იბრძოლოს ხალხმა. ყოველივე ამ მსჯელობას მოსდევს ერთი დასკვნა: „მიწა არავის საკუთრება არ უნდა იყოს, მიწა თავისუფალი უნდა იყოს. აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს მიწის მუშა გლეხაკობაც. თავისუფალი მიწა — თავისუფალი მუშებისათვის!“

გაზეთში დაბეჭდილი ყველა ძირითადი მასალა, რა რუბრიკითაც არ უნდა მიდიოდეს იგი, ერთი მთავარი აზრით არის განმსჭვალული. ყოველ მათგანში მხილებულია მეფისა და მემამულეების ხე-

ლსუფლების უმსგავსობა, მათი პარპაში და გაუმადლობა, მათ მიერ მშრომელი ხალხის უსაზღვრო შევიწროება, დამონება და აბუჩად აგდება. ამ სურათების დახატვასა და გაბატონებული კლასების აღვირაზნის ნიშნად ჩვენებს მოსდევს აღშფოთებული და ამხედრებული ტონი და მოწოდება მათ წინააღმდეგ ბრძოლისა. მშრომელი ადამიანები — მუშები და გლეხები გაერთიანებული ძალებით უნდა იბრძოდნენ მეფის, მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის დამხობისა და თავისუფლების მოპოვებისათვის. ეს დებულებები თავიდან ბოლომდე გასდევს თითქმის ყველა მასალას, რაც გაზეთ „გლეხშია“ დაბეჭდილი. აქედან, რასაკვირველია. ნათელი ხდება ამ გაზეთის პოლიტიკური მიმართულება.

საინტერესოა, რომ გაზეთი იყენებს ორ მუდმივ განყოფილებას, რომლებშიც მოკლე ქრონიკების სახით მკითხველს გადაუშლის ქვეყნის რევოლუციურ ბრძოლას. ეს განყოფილებებია „ჩვენებური ამბები“ და „რუსეთი“.

„ჩვენებური ამბებში“ ყოველთვის შერჩეულია ისეთი ამბავი, რომელიც მკითხველს ისევ და ისევ რევოლუციურ სულისკვეთებას გადასდებს და ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მაგალითისათვის მოვიტანთ ამ განყოფილებაში შეტანილი მასალების სათაურებს და ნათელი გახდება მათი შინაარსი: „ყუმბარის სროლა“, „პოლიციელების მოკვლა“, „ჭარის აჯანყება“, „სალდათების მიტინგი ბათუმში“, „მორიგება ვერ მოხერხდა“, „გაფიცვა ნოქრებისა ქუთაისში“, „გაფიცვა ჭიათურაში“, „მოთხოვნისა“, „22 ივნისის გაფიცვის გამო“ და ა. შ.

ბუნებრივია, რომ იმხანად ჩვენში სხვა ამბებიც ხდებოდა, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა რევოლუციასთან, მაგრამ გაზეთი ასეთ მასალებს როდი არჩევს, იგი წერს მხოლოდ ისეთზე, რომელიც მოსახლეობის რევოლუციურ აღტკინებას გამოიწვევს და მას ბრძოლაში ჩააბამს მეფის ხელისუფლების დასამხობად.

უდავოა, რომ ასეთი შერჩევა და რევოლუციური ფაქტების პროპაგანდა აგრეთვე განსაზღვრავს გაზეთის მიმართულებას.

ანალოგიურია განყოფილება „რუსეთის“ შინაარსიც. აქ იბეჭდება ასეთი მასალები: „გლეხთა მოძრაობა“, „მუშათა მოძრაობა“, „მოძრაობა ჯარში“.

თვით ეს სათაურებიც ნათელს ხდიან, რომ ყოველ მათგანში

ლაპარაკია „მოდრობაზე“, ხოლო ეს მოძრაობა არსებული წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ასეთია გაზეთ „გლეხის“ მუდმივი განყოფილებები.

გაზეთი არა მხოლოდ პუბლიცისტურ წერილებში გამოხატავდა თავის მიმართულებას, არამედ მხატვრული ლიტერატურის საშუალებითაც. ამიტომ აქობებს ცალკე გამოცვით ეს საკითხი.

• • •

გაზეთი მხატვრულ ლიტერატურას ბეჭდავს ზედმიწევნით შერჩევით. იგი არჩევს მხოლოდ ისეთს, რომელიც მის სახეს, მის მიმართულებას შეეფერება. ეს საკითხი იმდენად მკაცრად დგას გაზეთში, რომ შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს.

„გლეხში“ დაბეჭდილი მხატვრული მასალების ძირითადი ნაწილი გლეხთა მდგომარეობას, გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას ასახავს. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ ამ გაზეთში მხატვრული ნაწარმოებებით იგივეა ნათქვამი, რაც პუბლიცისტური წერილებით, ოლონდ, რასაკვირველია, მხატვრული საშუალებებით.

ამ გაზეთის ერთ-ერთი ძირითადი ავტორია ი. ევდოშვილი. აქ დაიბეჭდა მისი შემდეგი მასალები: ლექსი „გლეხი“, ზღაპარი „და აპა მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ (ორივე ეს მასალა დაიბეჭდა პირველ ნომერში), „ფიქრები“ (ლექსი), „ჩონგურზე“ (ლექსი), „სოფელში“ (ლექსი), „ახალი ციხე“ (თარგმნილი ლექსი). გარდა ი. ევდოშვილის ნაწარმოებებისა, „გლეხში“ დაიბეჭდა შემდეგი მასალა: დ. თომაშვილის ერთი უსათაურო ლექსი („უცხოელები გვეწვიენ...“), უავტოროდ გამოქვეყნებული „სახალხო არაკი“ (თარგმანი), დუტუ მეგრელის ლექსი „ხალხი“, შურის მაძიებლის „ქრისტე ამ ქვეყნად“ (ფანტაზია ტანისა), ახოსპირელის ორი ლექსი -- „გლეხის ჩივილი“ და „გლეხს“, გრ. ცენტერაძის ლექსი „გლეხი“ და გ. შინატეხელის ლექსი „გლეხის ნაამბობი“.

ასეთია გაზეთის შვიდივე ნომერში დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებთა სია. აღსანიშნავია, რომ ზოგ ნომერში რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები ქვეყნდება. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რედაქცია სწორად აფასებდა ლიტერატურის ძალას მასებზე ზეგავლენის მოხდენის საქმეში. იმ კონკრეტულ ეტაპზე კი, როცა რუსეთის პირველი რევოლუცია ასე ბობოქრობდა, ი. ევდოშვილის ლექსების ძალა, მათი საბრძოლო განწყობილება ყველასთვის ცნობილია.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ნაწარმოებს წითელ ზოლად გასდევს

ერთი საერთო აზრი: გლეხის ცხოვრება აუტანელია, გლეხი მოტყუებული და დაჩაგრულია, მან ხმა აიმაღლა უსამართლობის წინააღმდეგ, იგი ბრძოლაში გადაეშვა თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად, მან უკან არ უნდა დაიხიოს, ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რათა მოიპოვოს მიწა და თავისუფლება, ადამიანური ცხოვრება.

ექვეგარეშეა, რომ მხატვრული ნაწარმოებებით ასეთი აზრების ქადაგება სავსებით ეხმატებილება გაზეთის საერთო მიმართულებას და კიდევ უფრო მკაფიოდ გვიხატავს მის მიზნებს.

• • •

ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ამ გაზეთში მოწინავეს ისეთივე ადგილი უკავია, როგორც ჩვენს დღევანდელ პრესაში. ამაზე ყურადღების გამახვილება იმიტომ გვიხდება, რომ იმდროინდელ სხვა გაზეთებში, როგორცაა „ივერია“, „შრომა“. „ცნობის ფურცელი“ და სხვები, მოწინავეს არ ჰქონდა გამოკვეთილი სახე. მათ ადგილას უფრო ხშირად იბეჭდებოდა რეკლამა-განცხადებები, რომლებსაც საერთო არაფერი ჰქონდა გაზეთის ნომრის შინაარსთან.

გაზეთ „გლეხში“ მოწინავე სტატია ნომრის დროშაა, იგი განსაზღვრავს აღებული ნომრის ძირითადი მასალის გეზსა და დანიშნულებას. მოწინავე ხელმოუწერელია და მას უკავია პირველი გვერდი. გაზეთის სათაურის ქვეშ, როგორც დღეს ვხვდებით გაზეთებში.

მთავარი მაინც „გლეხის“ მოწინავეების შინაარსი და მათი დაწერის ხარისხია. ამ მხრივ ბევრია საყურადღებო. შვიდივე ნომერს აქვს შინაარსით ღრმა, მებრძოლი და შემტევი ხასიათის მოწინავეები. ნომრების თანმიმდევრობის მიხედვით ესენია: „გლეხი“, „მიწა“, „თავისუფლება“, „როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე“, „როდის ვიქნებით თავისუფლები“, „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“, „ერთობა“. ესაა შვიდივე ნომრის მოწინავეთა სია. სათაურებიც კი ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს მათ შესახებ. ნიმუშად განვიხილავთ ერთ მათგანს — მე-6 ნომრის მოწინავე სტატიას. რომელიც სრულიად ტიპიურია დანარჩენ მოწინავეთა შორის.

ამ მოწინავეის სათაური შედარებით „უწყინარად“ გამოიყურება. თითქოსდა ის მიზნად ისახავდეს გაარკვიოს საკითხი — „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“. მაგრამ საკმარისია მისი გადაკითხვა და იგრძნობთ, რა ცეცხლი წაეკიდა მემამულურ და კაპიტალისტურ წარმოების წესს.

გლებმა უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა გლების ბედნიერებისათვის. აუცილებლად საჭიროა ერთი ც და მეორე ც, მაგრამ აქ შეჩერება არ შეიძლება, რადგან „ეს ვერ დაიხსნის გლებს ყველანაირ შევიწროებისაგან და მანამდე არ ელირდება ტკბილ და მოსვენებულს ცხოვრებას, სანამ დედა მიწაზე არ დამყარდება ქვემმარტი ერთობა — სოციალიზმი“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

აი, რაში ყოფილა საქმე! მოწინავე აყენებს ლოზუნგს, რომ უნდა ვიბრძოლოთ „ერთობა-სოციალიზმი“ გამარჯვებამდეო. ამის შემდეგ სტატიაში დამაჯერებლად და ნათლად გარკვეულია, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს. გაზეთი აყენებს საკითხს სოციალიზმის გამარჯვებამდე ბრძოლის სასარგებლოდ, რადგან ესმის, რომ, თუ სოფლად გლებები მიიღებენ მიწას და თავისუფლებას, ხოლო ქალაქად ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეები ისევ იპარპაშებენ, სულ ერთია, სოფლის გლებობა ისევე დამაჯერებელი დარჩება და მათ ცხოვრებაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მოხდება. საჭიროა, რომ ქალაქადაც ყველაფერი — საწარმოო იარაღები და საშუალებანი გადავიდეს მუშების ხელში. ამის გარეშე ერთობა-სოციალიზმი ვერ იქნებაო.

მოწინავეში არაორაზროვნად წერია: „მუშა ხალხი (გლებობა და ქალაქის მუშები) გაყვლეფილია იმიტომ, რომ მდიდრებს ხელში ჩაუგდიათ მიწა, მადნები, ქარხანა-ფაბრიკები, ხელში ჩაუგდიათ საწარმოო იარაღები. მანამდე, რომ მოვსპოთ ეს გაყვლეფა, უნდა ჩამოვართვათ მდიდრებს საწარმოო იარაღები და გადავცეთ მუშა ხალხს; რაც კი საწარმოო იარაღია, იქნება ეს მიწა, მადნები, ქარხანა, ფაბრიკა, რკინიგზები თუ სხვა — უნდა იყოს საზოგადო და ყველა მუშა უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა შეეძლოს თავისუფლად მუშაობა და მისი შრომის ნაყოფი უნდა იყოს მთლად მისი“.

ამ აზრს კიდევ უფრო ამახვილებს და სრულიად გაბედულად: თანაც მარქსისტული პოზიციებიდან აკეთებს დასკვნას, რომ „არ უნდა იყვნენ — ერთი მხრივ, მექარხნე-მეფაბრიკეები და მემამულეები, მეორე მხრივ — მუშები, ერთი მხრივ ჩაგრული, მეორე მხრივ — შჩავრელი, არ უნდა იყოს კაცის დაქირავება, არამედ ყველგ უნდა მუშაობდეს, მუშაობა უნდა იყოს საზოგადო“.

მკითხველი დაინახავს, რომ აქ დაყენებულია ცნობილი საკითხი ექსპლოატაციის მოსპობისა და საზოგადოებრივი შრომის წესის შემოღების შესახებ.

საქმე ისაა, რომ მხოლოდ ამ მეექვსე ნომრის მოწინავე როდია ასეთი. ყველა ნომრის მოწინავე სტატიას ასეთი გაბედულება, ეპო-

ქალური საკითხების დასმა და გადაჭრა, სწორი პოზიცია და რევოლუციური სული ახასიათებს. ამით იპყრობს „გლეხის“ მოწინავეები ჩვენს დიდ ყურადღებას.

გარდა თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოწინავეები დაწერილია ოსტატურად, ჟურნალისტის გამოცდილი ზელით. ყოველ მათგანში დასმულია რომელიმე საზოგადოებრივად საინტერესო პრობლემა, წამოყენებულია დასასაბუთებელი დებულება, რომელიც საფუძვლიანი მსჯელობით ამომწურავად მტკიცდება. მოწინავეები იწყება ისე მოხდენილად, რომ მკითხველი თავიდანვე ინტერესით კითხულობს მას, როგორც იტყვიან, ხდება მკითხველის „ჩათრევა“ ეს მოწინავეები იპყრობს მკითხველებს თავისი მახვილი ფრაზებით, შესაფერისად შერჩეული ლექსიკით, არგუმენტაციით და ლოგიკური დასკვნებით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მოწინავე სტატიები დაამშვენებდა ყველა რანგის გაზეთს როგორც თემატიკითა და პრობლემატიკით, ისე სიმახვილით, გაბედულებით, დაწერის ხარისხითა და მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ძალით.

ამ საკითხს ცალკე გამოვეყოფთ სრულიად დამსახურებულად. საქმე ისაა, რომ კორესპონდენცია ამ გაზეთში მრავალმხრივ არის საინტერესო.

პირველ რიგში აღვნიშნავთ იმას, რომ გაზეთს კორესპონდენციები მოსდის საქართველოს ყველა კუთხიდან. ამ საგაზეთო უანრით ერთნაირად სრულად არის ასახული სვანეთის, გურიის, რაჭალეჩხუმის, იმერეთის, აჭარის, აფხაზეთის, ქართლის, ქიზიყის, კახეთის და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ცხოვრება. ეს გარემოება მიუთითებს, ჯერ ერთი, იმაზე, რომ გაზეთს ყველგან ჰქონია გამომული ქსელი და კორესპონდენტთა ასეთი მიზილვით ახერხებდა ამ გეოგრაფიულ განვრცობას, მეორეც, მისი ინტერესები არ შემოფარგლულა მხოლოდ თბილისით და ახლო-მახლო ადგილებით, მას სრულიად-საქართველო აინტერესებდა.

კიდევ მეტი, საქმე ისაა, რომ გაზეთი ძალზე ოპერატიულად და მოხდენილად აშუქებს რუსეთის ამბებსაც. ეს კი ხორციელდება არა მხოლოდ სხვადასხვა გაზეთებიდან ამოკრეფილი მასალების გამოქვეყნებით, დეპეშებითა და ინფორმაციებით, არამედ კორესპონდენციებითაც. ასე რომ, გაზეთ „გლეხში“ კორესპონდენცია ერთ-ერთი წამყვანი უანრია.

გაზეთში ზუსტად და მკაცრად განსაზღვრულია კორესპონდენ-

ციის თემატიკა: შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს რევოლუციურ ალტკინებას და მასების მობილიზებას რევოლუციაში ჩასაბმელად. ამ დებულების დასამტკიცებლად შეიძლებოდა ნებისმიერი კორესპონდენციის განხილვა. ჩვენ ზოგ მათგანზე შევჩერდებით.

ავიღოთ, მაგალითად, შიო ჩიტაძის მკვლელობის ფაქტისადმი მიძღვნილი კორესპონდენცია, რომელიც ძალზე დამახასიათებელია კორესპონდენცია იწყება უბრალოდ, ფაქტის შეტყობინებით: „4 მკათათვეს. საღამოს 8 საათზე ტფილისში კაზაკებმა მხეცურად მოკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე“. მასალა აქ რომ შეწყვეტილიყო. იქნებოდა უბრალო ინფორმაცია, თუმცა ამის თქმაც გაჭირდებოდა, რადგან გამოთქმულია მკვლელობისადმი დამოკიდებულება. რადგან ნახმარია სიტყვა „მხეცურად“ (მოკლეს).

საინტერესოა ამ კორესპონდენციის სტრუქტურა და დაწერის ფორმა ჟურნალისტის თვალსაზრისით. ზემოთ მოყვანილ დასაწყისს მოსდევს მკვლელობის დეტალების შეტყობინება, შემდეგ კი დახასიათებულია მოკლულის პიროვნება და შეფასებულია მისი ღვაწლი. აი, აქ კი კორესპონდენცია მგზნებარედ ესარჩლება რევოლუციას, მის რაინდებს, ბრძოლაში ჩაბმულ მშრომელებს, ამავე დროს თავს ესხმის მოძალადეებს, მეფის ხელისუფლებას, მის ბიუროკრატიულ აპარატს, ძალადობის იარაღებს, კაზაკებს, ოფიცრებს და ა. შ.

შემდეგ გადმოცემულია ხალხის რეაგირება ამ საზიზღარ მკვლელობაზე. თავიანთი წარმომადგენლები გამოუგზავნიან ქართლებს. კახელებს და საქართველოს სხვა კუთხეების წარმომადგენლებს, რათა მონაწილეობა მიეღოთ შიო ჩიტაძის დაკრძალვაში, რაც დიდ დემონსტრაციად გადაქცეულა.

კორესპონდენციას აქვს ლაკონური და მრავლის მთქმელი დასასრული: „ზიზღი და შურისძიება მკვლელებს და საუკუნო ხსოვნა რეაქციის მსხვერპლს, ძვირფას შიო ჩიტაძეს!“ ხელს აწერს ამ ხანა გ ი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო კორესპონდენცია, რომელიც სრულყოფილია ჟანრობრივად. გულში ჩამწვდომია თემატურად, რევოლუციურად აღმაფრთოვანებელია და, როგორც იტყვიან, ყუმბარასავით ვარდება.

გაზეთში მრავალი მასალაა, რომელიც გურიის ამბებს ასახავს. ამ გაზეთში გურიის ამბები, გურულთა აჯანყებები და შემდეგ ალიხანოვის თარეში, ნაჩვენებია სწორი, რევოლუციური პოზიციიდან. გაზეთი დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ეკიდება გურულების საქმეებს, ამავე დროს ზიზღსა და სიძულვილს უცხადებს დამსჯელებსა და ამაოხრებლებს. ეს ზიზღი პასიურად კი არაა გამოთქ-

მული, არამედ მებრძოლი ტონით, მოწოდებით მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგალითად, „ახალი ცხოვრებიდან“ გადმოუბეჭდავთ ერთი კორესპონდენცია, რომლის სათაურია „გენ. ალიხანოვის ანდერძი“. აქ გამოყენებულია ირონია და მწვავე კრიტიკა ამ დესპოტის მიმართ. „გენ. ალიხანოვმა ჩვენში დიდი „სახელი“ გაითქვა იშვიათია თუ იმას ყოველდღე არ ახსენებდნენ არა თუ ჩვენში, არამედ თვალუწვდენელ რუსეთის სხვადასხვა კუთხეებშიაც კი. იმის „სახელი“ ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება. მან ააოხრა და გაანადგურა მთელი გუბერნია, მან აიკლო და ცეცხლსა და მახვილს მისცა მილიონ ხალხის სარჩო-საბაღებელი და სიცოცხლე, მთელ გუბერნიაში მას ერთი ციდა ადგილიც არ დარჩენია, სადაც არ აეტირებიან, და არ შეეძრწუნებიან საბრძოლო მცხოვრებლები“.

ასე უზღავს ამ „რაინდს“ ჩვენი გაზეთი.

საყურადღებოა მე-5 ნომერში გაშვებული „მუშის წერილი“. რომელიც გლეხებისადმი მიმართვის ტონით არის დაწერილი.

საერთოდ ამ გაზეთისათვის დამახასიათებელია მუშებისა და გლეხების შეკავშირების იდეის პროპაგანდა, მაგრამ ეს წერილი ამ მხრივ განსაკუთრებულია. წერილს ხელს აწერს მუშაკოლა გურული. ეს ავტორი გლეხებს მიმართავს, რომ მეც თქვენსავით გაქვრებებაში გაზრდილი ვარო, ყოველი მხრიდან შევიწროებული. ჩვენ ორივე ძმები ვართ, ერთ ტაფაში ვიწვით და ერთნაირად ვიტანჯებით, ერთი გვაქვს მისწრაფებაო; „როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც საჭიროა თავისუფლება, საჭიროა თანასწორობა, საჭიროა ეხლანდელი წესწყობილების მოსაპობა“.

შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ ქალაქელი მუშები როგორ დღედაღამ მუშაობენ, მაგრამ შიმშილს თავი ვერ დააღწიეს ღიპიანი „ხაზინები“ კი ფუფუნებაში არიან და კიდევ უფრო მდიდრდებიან. ლაპარაკობს უსამართლობაზე, ხსნის მის მიზეზებს და სახავს ბრძოლის გზას: მიეცეთ ძმურად ხელი ხელს, შევეკრათ ერთი პირი და გვექნდეს ნამდვილი ერთობა, შევეუტიოთ მტარვალებს. ჩვენი ძალები შევეუერთოთ რუსეთის მებრძოლ მშრომელებს და ერთიანი ძალით დავაღწიოთ თავი მონობას.

„მამ ბრძოლა, ამხანაგებო. ბრძოლა მედგარი!..“

ასეთია ამ კორესპონდენციის ბოლო სტრიქონი, ასეთი მებრძოლი სულით არის დაწერილი იგი.

საინტერესოა ამ კორესპონდენციის ფორმა: მას აქვს უშუალოდის ძალა, რადგან მიმართვის სახითაა დაწერილი, თითქოს ცოცხალი კაცი ელაპარაკებოდეს, ძმურად ესაუბრებოდეს გლეხებს.

ეს კი ემოციურობას აძლიერებს და, მაშასადამე, მიზანში უკეთესად ხვდება.

„გლახში“ (№ 4) გამოქვეყნებულია თვით მ. ჭავჭავაძის (მაღლი) კორესპონდენცია „ჭარი“, რომელიც მილიტარიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს კორესპონდენცია ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თითქოს დღეს იყოს დაწერილი. განსაკვივრებელია ავტორის პოზიციის ასეთი სისწორე, ჭარის, როგორც ძალადობის იარაღის, შეფასება და განიარაღების მოთხოვნა ისევე, თითქოს მ. ჭავჭავაძის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის ტრიბუნლიდან ლაპარაკობდეს ჩვენს სათქმელს...

„ამჟამად თითქმის ყველა სახელმწიფოები თავიდან ფეხებამდის იარაღში სხედან. დიდი სახელმწიფოები ყველაზე მეტ ფულს ჯარზე ხარჯავენ. რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია წელიწადში ათასეკვსას მილიონ მანეთს ანდომებენ ჯარის შენახვას. ამოდენა ფული რომ თოფებისა და ზარბაზნების გაკეთების მაგივრად ხალხის სწავლაზე და განათლებაზე დაეხარჯათ. დღეს ასეთი სიბნელე, გაუნათლებლობა, სიღატაკე და უსამართლობა აღარ იქნებოდა“.

კომენტარები ზედმეტია. მოტანილი ამონაწერი მკაფიოდ მეტყველებს გაზეთის მებრძოლ პოზიციასზე.

მეფის ხელისუფლებამ „გლახში“ დაინახა თავისი დაუძინებელი და საშიში მტერი. ამის გამო დაუწყო მას დევნა და მალე დახურა კიდეც, ხოლო რედაქტორ-გამომცემელი მიხეილ ჭავჭავაძის სასამართლო პასუხისგებაში მისცა, მაგრამ მწერალმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს.

ამრიგად, ეს გაზეთი ერთი მშვენიერი დასაბუთებაა მ. ჭავჭავაძის ადრინდელი ჟურნალისტური მოღვაწეობის პროგრესულობისა, იგი ნათელი ფურცელია მწერლის ბიოგრაფიაში, დამადასტურებელია იმისა, რომ მ. ჭავჭავაძის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში რევოლუციური იდეალებით იყო გატაცებული და თავისი მახვილი კალმით იბრძოდა რევოლუციონერთა რიგებში.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენ განვიხილეთ მ. ჭავჭავაძის არა მთელი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, არამედ მისი ერთი ნაწილი, სახელდობრ 1903—1906 წლებში დაწერილი. ამასთანავე ცნობილია, რომ მწერალს მომდევნო პერიოდშიაც დაწერილი აქვს მრავალი პუბლიცისტური წერილი, პოლემიკური სტატია და კო-

რესპონდენცია. მკითხველს დაეხმება კითხვა, თუ რატომ დავტოვეთ უყურადღებოდ ეს მდიდარი მემკვიდრეობა და აგრეთვე არაფერი ვოქებით პრესის სხვა ორგანოებში მ. ჭავჭავიძის პრაქტიკულ უურნალისტურ მოღვაწეობაზეც.

ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ ვემყარებოდით ზოგიერთ მოსაზრებას, რომლისათვის ანგარიშის გაწევა, ჩვენი ფიქრით, მკითხველსაც არ მოეჩვენება უსაფუძვლო. ჭერ ერთი, ჩვენი ნაშრომის მიზანი არ იყო მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის მთლიანი შესწავლა, რამდენადაც ჩვენ მხატვრული შემოქმედების განხილვას ვისახავდით მიზნად. მეორე, მ. ჭავჭავიძის იმდენად მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა აქვს, რომ მას ცალკე, საგანგებო შესწავლა და დიდი შრომის მიძღვნა სჭირდება. მესამე, 1907 წლიდან მოყოლებული, მწერლის რიგ პუბლიცისტურ ნაწერებში ისეთი საკითხებია წამოჭრილი და ისეთი თვალსაზრისია გატარებული, რომ მათი ღირსეული შეფასებისათვის უმჯობესია მათი დაწერიდან უფრო დიდი დროითი მანძილი გვაშორებდეს.

მაგრამ იქნებ ვინმემ იკითხოს: საერთოდ რატომ შევვხებით მ. ჭავჭავიძის პუბლიცისტიკას, ხომ შეგვეძლო, რაკი მხატვრულ შემოქმედებას განვიხილავდით, პუბლიცისტურზე სულაც არაფერი გვეთქვა? არა, არ შეგვეძლო და აი რატომ. საქმე ისაა, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ეს ადრინდელი პუბლიცისტიკა თავისი შინაარსით, გეზით. შემართებით და რევოლუციური სულისკვეთებით არის ისეთი, რომელიც განსაზღვრავს მწერლის მსოფლმხედველობას და ამის საფუძველზე კვებავს მისი მხატვრული შემოქმედების დიდ ნაწილს თემატურადაც და იდეურადაც, განსაზღვრავს მ. ჭავჭავიძის მხატვრული პროზის მიმართულებასაც. როცა ჩვენ განვიხილავთ მწერლის პირველ მოთხრობებს, ოციან წლებში დაწერილ რომანებს, „არსენა მარაბდელს“, „ქალის ტვირთს“, მაშინ ცხადი გახდება ჩვენი ამ მოსაზრების სისწორე.

ამრიგად, ჩვენ განგებ გამოვყავით მწერლის ადრინდელი პუბლიცისტიკა და განვიხილეთ იგი, რადგან სწორედ ამ პერიოდის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ხასიათი დიდად განსაზღვრავს და კვალს სტოვებს მწერლის მთელ მხატვრულ-მემკვიდრეობაზე.

ამასთანავე გვჭერა, რომ ამ ნარკვევის გაქრობის შემდეგ მკითხველი ახლებურად შეხედავს მ. ჭავჭავიძის ნაღვაწ-ნამოქმედარს.

შეხედულებანი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და ენაზე

მწერლის ლიტერატურული შეხედულებები, პირველ რიგში. მისსავე შემოქმედებით პრაქტიკაში ვლინდება. მაგრამ ზოგჯერ ასე არ ხდება. ლიტერატურის ისტორიაში არის მაგალითები, როცა მწერლის მსოფლმხედველობა, ამასთან ერთად მისი ლიტერატურული შეხედულებები თეორიულად სხვაა და მწერლის შემოქმედებითი პრაქტიკა კი სულ სხვა. ამის მკაფიო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ბალზაკი. გარდა აღნიშნულისა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა მწერალს წერილობით ზოდი გააჩნია თეორიული მოსაზრებები და გამონათქვამები ლიტერატურის საკითხებზე. ზოგი მწერალი ქმნის ნაწარმოებებს და შემდეგ სპეციალისტები იკვლევენ, თუ როგორი ყოფილა მათი ლიტერატურული კონცეფცია თუ მრწამსი.

მიხეილ ჭავჭავიძის ეკუთვნის მწერალთა იმ რიცხვს. რომელთა მიერ დატოვებული მდიდარი მხატვრული შემოქმედება გააზრებისა და გაანალიზების შემდეგ განზოგადების საუკეთესო მასალას იძლევა. მასვე ეკუთვნის რამდენიმე წერილი, რომლებშიც ჩანს მწერლის შეხედულებანი ლიტერატურის რაობის, დანიშნულების, ხასიათისა და არსის შესახებ. ეს წერილები გვეხმარება კიდევ უფრო ღრმად დავეუფლოთ, შევისწავლოთ მ. ჭავჭავიძის შემოქმედება, თანმიმდევრულად ჩამოვაყალიბოთ მწერლის შეხედულებები და ამავე დროს ვისწავლოთ მისგან.

ლიტერატურის ხალხურობა

რეალისტი მწერლისთვის შინაგან მოთხოვნილებას უნდა წარმოადგენდეს წეროს ხალხისათვის და ხალხის ცხოვრებაზე. ეს გუ-

ლისხმობს ცნობილ ხალხურობის პრინციპს, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საფუძველთაგანია.

მ. ჭავჭავაძის არა მარტო თავის შემოქმედებაში ახორციელებს ამ პრინციპს, არამედ ამას მოითხოვს სხვისგანაც

ეს თვალსაზრისი განვითარებულია მწერლის ერთ ვრცელსა და ცნობილ წერილში „ჩვენ და ჩვენი თეატრი“¹, რომელშიაც თეატრის საკითხებია განხილული და, რაკი რეპერტუარს და დრამატურგიასაც ეხება, ამიტომ აქ ლიტერატურული მოსაზრებებიც არის გამოთქმული. მართალია, აღნიშნულ წერილში სხვა საინტერესო საკითხებიცაა დასმული, მაგალითად, თანამედროვეობა და ისტორიული თემა, თარგმანების საკითხი და სხვ., რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ხალხურობის პრინციპიც წერილში გამოკვეთილად დგას და ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ამ საკითხზეც ვიშსჯელოთ.

პირველ ყოვლისა, ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია, რომ მ. ჭავჭავაძის წიგნი ქართულ ისტორიულ დრამატურგიას უკეთინებს, უსაყვედურებს პიესებში მხოლოდ და მხოლოდ მეფეებისა და მხედართმთავრების გამოყენებას და ხალხის ჩვენების უგულვებელყოფას. ასეთი დამოკიდებულება მწერალს უსამართლოდ, უპართებულოდ, წარსული სინამდვილის გაყალბებად მიაჩნია და მოითხოვს ამ მდგომარეობის გამოსწორებას.

დროა, აღნიშნავს მ. ჭავჭავაძის, რომ ხალხმა, რომელიც ისტორიის ნამდვილი შემოქმედია, ჩვენს მწერლობაში კუთვნილი ადგილი დაიკავოს, დროა იგი ვუჩვენოთ იმ სახით, რა სახითაც იყო. მწერალი იშველიებს ედგარ შტიიგერის სიტყვებს, რომ: „პოეზიაში ჩვენ ეხლა მეფეები და გმირები არ გვინდა. საწყალი ლატაკი მუშა ხშირად უფრო საინტერესოა, ვიდრე მეფე და გმირი“.

მ. ჭავჭავაძის განმარტავს კიდევ, თუ რატომაა საჭირო და აუცილებელი ლიტერატურის მიერ ხალხის ცხოვრების ჩვენება. ამას მწერალი მოხდენილი ფორმით აკეთებს: წერილი ისეა აგებული, რომ ავტორს მეგზური „ვირგილიუსი“ დაატარებს და ისტორიულ პიესებს უჩვენებს, იგი ყველგან მეფეებსა და გმირებს, მხედართმთავრებსა და მებრძოლებს ხედავს. ამათგან აიოველნი „ფუყეები“ არიან. მეორენი კი „მანქანებივით მოქმედნი“ და „ბანის ტომრები“... ავტორი „ვირგილიუსს“ სთხოვს ქვევით ჩაიყვანოს და ნამდვილი ცხოვრება აჩვენოს, მაგრამ ამ თხოვნის შესრულების ნაცვლად „ვირგილიუსი“ წყრება და ახალგაზრდა მწერალს ტოვებს.

¹ გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., 4,5 და 28 ნომბრის ნომრები.

მაშინ ავტორი თვითონ ისრულებს წადილს და ნახულობს ყველაფერს, რაც მას სურდა:

„მარტო დავრჩი. -

და რა აევნეთ ჩემი სუსტი ფანტაზიის მკრთალი სანთელი, ნელ-ნელა, ფრთხილად და შიშით უფსკრულში ჩავეშვი. გზა არ იყო, სიბნელე და ათასი გაუვალი ღრე, ხევი და კლდე კი სიარულს მიშლიდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩავედი და... ვნახე ჩვენი წარსული. ვნახე ის დიდებული, მედგარი, მორწმუნე, მხნე, ყოვლისამტანი და წამებული ვარი, რომელმაც თავის ზურგზე ოთხიათასი წელი გადაატარა, ათასი რისხვა ვარამი და კირი მოიგერია და გარეშე და შინაგან მტერთაგან ოთხკედელშუა მომწყვედეულმა ათასჯერ თავი დაიხსნა და თავისი სარწმუნოება, იდეალი, ტანჯვა და ბრძოლისგან დადლილ-დასუსტებული სული მეცხრამეტე საუკუნემდის მიიტანა. ივინი იბრძოდნენ, მაშასადამე შეეძლოთ ბრძოლა, მაშასადამე ებრძოდნენ იმას, რაც მათ მძიმე უღლად აწვა კისერზე. იმ ჭურღმულში ვნახე, რომ იმათაც ისეთივე სული და სისხლი აქვთ, როგორც ჩვენ, მათ შოძრაობასაც ისეთივე მიზეზები აქვთ, მათაც ისეთივე ძალა აღეღებთ, როგორც ჩვენ. ისინი უკეთესი ცხოვრებისავენ მიისწრაფვიან, რაღაც უნდათ, რაღაც უხილავი და ხილული ბორკილის დამტკრევას ცდილობენ და თავისი სულის და გულის ყოველი ატომით ისე ცხოვრობენ, როგორც ჩვენ, როგორც მე. ჩვენსა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფორმაშია. გარეგნულია, უმნიშვნელოა. საძირკველი და ყველაფრის მიზეზთა მიზეზი კი ერთი და იგივეა“.

აქ მ. ჭავჭავიძე ილია აყენებს საკითხს, რომ ლიტერატურაში ცხოვრების ზედაპირული, შელამაზებული და ცალმხრივი ჩვენება კი არაა საჭირო, არამედ ცხოვრების სიღრმეში ჩასვლა, ჩაწვდომა და იქიდან ხალხის ნამდვილი ცხოვრების, მისი ბრძოლისა და შრომის დანახვა.

ამ მოთხოვნილებათა წამოყენება, რასაკვირველია, ახალი არ არის. იგი ცნობილია როგორც გასული საუკუნის რუსი სამოციანელებისათვის, ასევე ქართველი თერგდალეულებისათვისაც. საკმარისია გაეიხსენოთ ილიას ცნობილი წერილი „საქართველოს მოამბეზედ“, რომ ნათელი გახდეს ზემოაღნიშნული დებულების სათავე. სწორედ ესაა ხაზგასასმელი. რომ მიხეილ ჭავჭავიძე ილია ცხრაასიანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდობაშივე იდგა გარკვეულ და ჩამოყალიბებულ პოზიციასზე, ილიას პოზიციასზე, მრავალ საკითხში და ლიტერატურის ხალხურობის საკითხშიაც.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. ჭავჭავიძე ილიას საყვედური

ქართული ისტორიული დრამატურგიის მიმართ — მარტოოდენ მეფეებისა და გმირების ჩვენების გამო. გვაგონებს ილიას ცნობილ ჩვილს „აჩრდილის“ წერისას: ჩვენი ისტორია მხოლოდ მეფეების შესახებ მოგვეთხრობს. მე კი ხალხი მჭირდებაო. ხალხი კი არსად ჩანს და პოემის წერა მიჭირს, ერთ ადგილზე შევჩერდი და წინ ვეღარ მივიწვევო. ეს ანალოგიაც, ვფიქრობთ, ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო მკაფიოს ხდის.

რაკი ილია ვახსენეთ, აქვე ვთქვათ ისიც, რომ ზემოაღნიშნული წერილის გამოქვეყნებიდან ოთხი წლის შემდეგ ილიას მოკვლის გამო დაწერილ წერილში „მოკვლეს პოეტი!“¹ მიხეილ ჭავჭავიძემ მოხდენილად და კეთილშობილურად შეაფასა ილიას ღვაწლი ერის, ხალხის წინაშე. ამ შეფასებაში ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია, თუ ვის და რას უნდა ემსახურებოდეს მწერალი:

„განგმირეს ის გული, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენთვის იწვოდა ღვთაებრივი ცეცხლის ალზე, ჩვენთვის თრთოდა და ჩვენთვის ფეთქავდა.

მოკვლეს პოეტი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავისი კისრით ატარებდა ქართულ ლიტერატურას, რომელმაც შექმნა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული მწერლობა.

მოკვლეს და შარაგზაზე დააგდეს ის ილია, რომელიც 40 წლის განმავლობაში ბატონობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ეროვნულ იდეალს“...

ცხადია, ასეთ შეფასებას ერთი მწერალი ვერ მისცემს მეორის ღვაწლს, თუ თვითონაც ამავე იდეალების მსახური და მიმდევარი არ არის.

„ჩვენ და ჩვენი თეატრიდან“ მოტანილი ამონაწერიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ავტორი ერის ისტორიას, წინაპართა და შთამომავალთა შორის ურთიერთობას განიხილავს ერთიანობაში, განვითარებაში, დიალექტიკურად. იგი ხალხის ტკივილებს, ბრძოლას, მოძრაობას ძველად უკავშირებს ახალ, თანამედროვე ტკივილებსა და ბრძოლას.

მართლაც, კლასობრივ საზოგადოებაში ხალხის ტანჯვის ფორმები იცვლებოდა, თვით ტანჯვა კი უცვლელი რჩებოდა. ტკივილებისა და წუხილის საგანი თუ ფორმა იცვლებოდა, საწუხარი კი ხალხს განუწყვეტლივ არ ელეოდა. საგარეო ურთიერთობაშიც არ იყო მოსვენება, — ხალხი ხან ერთ დამპყრობს ეომებოდა, ხან მეორეს. ბრძოლა კი განუწყვეტლივ მეორდებოდა. ჩვენი საუკუნის

¹ კრებული „ილია ჭავჭავაძის სიყვდილი და დასაფლავება“, ტფილისი, 1907 წ., გვ. 22-ე.

დასაწყისშიც. როცა რუსეთის მეფის ხელისუფლება მაჭლაქუნასავით აწვა ხალხს, ეს ტკივილები და წუხილი ავსებდა მისი მოთმინების ფიალას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს წერილი 1903 წელს დაიწერა, ე. ი. როცა რუსეთის პირველი რევოლუცია ახლოვდებოდა, ხალხი იღვიძებდა. ყოველივე ეს, ცხადია, გავლენას მოახდენდა ახალგაზრდა მწერლის განწყობილება-მსოფლმხედველობაზე და ამ წერილში ხალხის შესახებ ასეთი ლაპარაკი ამიტომ ბუნებრივი და ლოგიკურია.

ამავე გარემოებით ვხსნით იგივე წერილის შემდეგი სტრიქონების აზრსა და შინაარსს. როცა ავტორი წერს, რომ ისტორიულ პიესებში მხოლოდ შემოსეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაა გაშუქებული და „ძირს სპარსეთის“ ძახილით იფარგლებიანო, იქვე იყენებს კითხვას: „გარდა ამ აზრისა, ჩვენს მამა-პაპათ არასდროს არაა აწუხებდათ? ისინი ბედნიერნი იყვნენ მაშინაც კი, როცა მამულისათვის სპარსთ აკვდებოდნენ. როცა მემამულე ძალზე დაბლა აყენებდა? ტკივილი, უსამართლობა და არაგვარი ტანჯვა მათ არ იცოდნენ? უცხოელთა პიესებში კი, იცით რისთვის იბრძვიან? წარმოიდგინეთ, პიროვნების თავისუფლებისათვის, ადამიანთა უფლების დაცვისათვის“. ეს სიტყვები ძალზე ახლოს ეხმიანება მოახლოებული რევოლუციის განწყობილებას, ხალხის ბრძოლას ადამიანური თავისუფლებისათვის, რისი ლოზუნგიც რევოლუციამ წამოაყენა.

წერილში ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა იმას ნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვილმა არა მარტო დაიცვა ლიტერატურის ხალხურობის პრინციპი, არამედ მას ახალი შინაარსიც მისცა, კონკრეტული და დროის შესატყვისი მიმართულება მიუთითა და ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა. ეს კი ისეთი სიახლეა, რომლის შეუმჩნეველობა და დაუფასებლობა არ შეიძლება.

მხოლოდ ცენზურული შეზღუდვებისაგან თავის დაღწევის საშუალებად ვთვლით იმ გარემოებას, რომ წერილში ავტორი უცხოურ ლიტერატურას მოიშველიებს. სინამდვილეში ავტორს თავისი ქვეყნის. თავისი ხალხისა და მისი ლიტერატურის ბედი აღეღებებს.

თანამედროვეობა და წარსული

წოალი „ჩვენ ჩვენი თეატრი“ იმ მხრივაცაა საყურადღებო. რომ მასში მ. ჯავახიშვილი ამეღავენებს თავის დამოკიდებულებას თანამედროვეობისა და წარსულის ასახვისადმი ლიტერატურაში.

ავტორს მიაჩნია, რომ მარტოდენ ისტორიით გატაცება. როგორც ჩვენს დრამატურგიას სჭირს, არ შეიძლება. ისტორიული წარსულის ჩვენების გვერდით სრულიად საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს თანამედროვე ცხოვრების ჩვენებამ. ამის გარეშე ვერც ერთი მწერალი ვერაფერს შექმნის მნიშვნელოვანს.

ზედმიწვევით სწორია მ. ჭავჭავიძის მიდგომა თვით ისტორიული წარსულისადმიც. იგი მარტო იმას კი არ ამბობს, მხოლოდ ისტორიით გატაცებას ნუ მივეცემითო, იმასაც მოითხოვს, რომ, რასაც წარსულიდან ვუჩვენებთ. ისიც ნუ იქნება ცალმხრივი და ზერელე, იყოს ნამდვილი, ღრმა და სწორიო. ჩვენი ისტორია უნდა ვუჩვენოთ როგორც ბრძოლის, მოძრაობის, მოქმედების ისტორია და ნუ შევალამაზებთ გარეგნული სადღესასწაულო ელფერითო. უნდა ვუჩვენოთ ისტორიის შემქმნელი ადამიანები, მათი შინაგანი სამყარო, ტკივილები, იდეალები, სიხარული და ყველა ადამიანური განცდაო. ერთი სიტყვით — ვუჩვენოთ ცოცხალი ადამიანები და არა მანეკენებიო.

მ. ჭავჭავიძელი წარსულის გაშუქებისასაც თანამედროვეობის პოზიციაზე დგას. იგი მშვენივრად გრძნობს, რომ ყოველი მწერალი. რაგინდ შორეულ ეპოქას არ უნდა ასახავდეს თავის ისტორიულ ნაწარმოებში, საჭიროა თანამედროვეობის პოზიციაზე იდგეს.

თანამგზავრობისა და მოკავშირეობის შესახებ გამართულ დისკუსიაზე. რომელიც გაიმართა 1932 წ. თებერვალში, სიტყვით გამოვიდა მ. ჭავჭავიძელი. ამ დისკუსიის სტენოგრაფიულ ანგარიშში, რომელიც „მნათობმა“ დაბეჭდა¹, ვკითხულობთ: „მე ბოლო დროს „არსენაშიც“ კი გამოვიჩინე დღევანდელი ეპოქალობა. მე რომ ეს რომანი ათი-თხუთმეტი წლის წინათ დამეწერა. სულ სხვა რამ გამოვიდოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე დღევანდელი სული მიდგას და იმასაც კი ეპოქალური თვალსაზრისით მივეუდექი. რაც ასი წლის წინათ მოხდა“. ამას ამბობს მ. ჭავჭავიძელი და დარწმუნებული ვართ, ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ფიქრად არავის მოუვა.

თუ რაში მდგომარეობს ეს „დღევანდელი სული“, ამას განმარტავს იმავე გამოსვლის სხვა ადგილი: „ელენტმა მისაყვედურა, რომანი დღევანდელი თვალსაზრისით არ არის გაშუქებულიო (ლაპარაკია „არსენა მარაბდელზე“ — ტ. კ.). გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ამ რომანში ბატონყმობა უფრო მეტის სიმძაფრით არის მოცემუ-

¹ „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 232.

ლი, ვიდრე ნამდვილი იყო. ამ გადაჭარბებით მე მძაფრად გამოვსახე დღევანდელი თვალსაზრისი...“¹ ეს კი იმას ნიშნავს, რომ, რაკი დღეს ისტორიას ვაშუქებთ კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით, მწერალი ჰარბად ხმარობს მუქ საღებავებს ამ ბრძოლის რელიეფური დახატვისათვის.

მართლაც, „არსენა მარაბდელში“ კლასთა ბრძოლა, ბატონებსა და ყმებს შორის დაუნდობელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ზედმიწევნით გამოკვეთილი და დასამახსოვრებელია. მ. ჭავჭავიძის საბჭოთა ეპოქის ადამიანის თვალთ ხედავს წარსულს და ასე ასახავს მას თავის ისტორიულ რომანში.

ამავე დროს მწერალი მოითხოვს, რომ არ შეიძლება ხელაღებით გავათანამედროვოთ წარსული. საჭიროა ისტორიული მიდგომა და სწორად დანახვა ეპოქისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა. მაგალითად, არ შეიძლება საქართველოს ისტორია განვიხილოთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გარეშე. თუ ჩვენს ისტორიას გამოვაცლით ამ ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ მომენტს, ხელშ შეგვრჩება მხოლოდ ჩონჩხი ჩვენი ხალხის წარსულისა.

აღნიშნულ დისკუსიაზე მ. ჭავჭავიძის „ურა“ შემოტყეების მოგერიება უხდებოდა. ზოგი კრიტიკოსი სრულიად მცდარ პოზიციაზე იდგა, როცა აპტიცებდა, „არსენა მარაბდელში“ ნაციონალისტური სულისკვეთებით არის გაყენებული. ამ კრიტიკოსებს მწერალი ასე პასუხობდა: „მე საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ ზოგის თავში ძალიან აირია ერთმანეთში ორი მცნება: ნაციონალური და ნაციონალისტური. გამოაცალეთ წარსულ ეპოქას ნაციონალური ელემენტები და ხელში უბრალო ფაქტების მეტი აღარაფერი აღარ დაგრჩებათ. ის ეპოქა, გაყენებული იყო ეროვნული ბრძოლით, ეროვნული იდეებით და ამიტომ რომანში ეს მომენტები აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები“². რასაკვირველია, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში არ უნდა ვეძებდეთ ინტერნაციონალიზმს დღევანდელი გაგებით. ეს იქნებოდა ანაქრონიზმი და მოვლენათა აღრევა.

მაშ ასე: ერთის მხრივ, მ. ჭავჭავიძის მოითხოვს წარსულის გაშუქებისას მწერალი იდგეს თანამედროვეობის პოზიციაზე და აქედან ხედავდეს და აშუქებდეს მას, ხოლო, მეორეს მხრივ, გვაფრთხილებს, რომ საჭირო არ არის ზედმეტი გადაჭარბება და ისტო-

1. „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 233.

2 იქვე.

რიული წარსულის გაყალბება, არასწორი გაშუქება. წარსულს უნდა ვუდგებოდეთ ისტორიული თვალთახედვით, ოღონდ დღევანდელიობის პოზიციიდან.

ვეფქრობთ, სრულიად სწორი თვალსაზრისია.

აღსანიშნავია. რომ ქართულ ლიტერატურაში საერთოდ შეიძინევა ახეთი დამოკიდებულება წარსულის ანახვისადმი. მე-19 საუკუნის სამოციანელებიც თავიანთ ისტორიულ ნაწარმოებებში („მეფე დიმიტრი თავდადებულო“, „ბაში-აჩუკი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბახტრიონი“ და სხვ.) ჩვენი ქვეყნის წარსულს თანამედროვეის თვალთ უყუარებდნენ და თანამედროვეობისავე. სამსახურში აყენებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გასაღვიძებლად, რაც იმდროინდელი საზოგადოების უპირველესი მოთხოვნოლებათაგანი იყო.

ავილოთ მომდევნო ხანა და მისი წარმომადგენელი ე. ნინოშვილი. განა მან თავის ისტორიულ რომანში („ჯანყი გურიანში“) არ გამოხატა თავისი დროის თვალსაზრისი, ოღონდ ადრინდელ ეპოქაში გადატანილი, განა მან გიორგის თავისი იდეები არ ათქმევინა? ეს ხომ ცნობილი ფაქტია.

საინტერესთა ერთი დეტალი. ზემოაღნიშნულ დისკუსიაზე გამოსვლისას მ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელში“ დღევანდლობასთან წარსულის დაკავშირებაზე შემდეგი განაცხადა: „ტყუილად კი არ ავირჩიე როსტომ ჯორჯიაშვილი. ის ჯორჯიაშვილი ნათესავი იყო ოძელაშვილისა. არსენას ბევრი ნათესავი ჰყავდა, მე კი სწორედ ჯორჯიაშვილი ავირჩიე. რატომ? იმიტომ, რომ როსტომს მოსდევს 1905 წლის გმირი არსენა ჯორჯიაშვილი“. ამ დეტალიდან უკვე ნათლად ჩანს, თუ როგორ ახორციელებდა მწერალი თავის თეორიულ მოსაზრებებს შემოქმედებითს პრაქტიკაში. მართლაც, „არსენა მარაბდელში“ ნაჩვენები გლახთა მოძრაობის დაკავშირება 1905 წლის რევოლუციურ მოვლენებთან როსტომ ჯორჯიაშვილის საშუალებით ძალზე ეფექტურია. მკითხველი მშვენივრად აბამს კავშირს ამ ორ ეპოქას შორის...

ძალზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული მ. ჯავახიშვილის კიდევ ერთ გამოსვლაში. 1932 წლის 12 ივლისს „სალიტერატურო გაზეთმა“ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მწერალთა საგანგებო ყრილობისა, რომელიც მიეძღვნა იმავე წლის 23 აპრილის ცეკას დადგენილებას. ამ დადგენილებით გაუქმდა მწერალთა ასოციაციები და შეიქმნა ერთიანი სამწერლო ორგანიზაცია — საბჭოთა მწერლობის კავშირი. ამ ყრილობაზე მ. ჯავახიშვილიც გამოვიდა. იგი მიესალმა აღნიშნულ დადგენილებას და მოხდენილად

დაახასიათა მისი მნიშვნელობა: „მე პირადად ისე ვიგრძენი, თითქოს დახურულ ოთახში ფანჯარა გააღეს და გრილი სიო შემოვიდა. მაგრამ, ვინც ეს შვება იგრძნო, მას სამჯერ მეტი მოვალეობა ეკისრება“¹. მაშასადამე, მწერალი არა მარტო იმას აღიარებს, რომ ეს დადგენილება შემდგომი მუშაობისათვის მას საუკეთესო პირობებს უქმნის, არამედ ვალდებულებასაც აკისრებს. სწორედ ამ მაღალი შეგნებით იყო გამოწვეული, რომ მ. ჭავჭავიძემ იმავე ტრიბუნლიდან მკაფიოდ დააყენა თანამედროვეობის ასახვის აუცილებლობის საკითხი, რაც ლიტერატურის ისტორიის მაგალითების მოშველიებით დაასაბუთა კიდევ.

აი რას ამბობდა მწერალი: „ვინც თანამედროვე არის, ვინც დღეს ცხოვრობს, მას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს თანამედროვეობა. სერვანტესი, შექსპირი, გოეთე და კიდევ მოავალი დიდი მწერალი დიდნი არიან სწორედ იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თანადროული იყო თავისი ეპოქისათვის, ვისაც ეს თანადროულობა არ ახასიათებს, ის სახელს ვერ მოიხვეჭს...“².

ამ მოსაზრების ლოგიკური გაგრძელება და შემდგომი კონკრეტიზაცია არის მოცემული მ. ჭავჭავიძელის მომდევნო გამოსვლაში. თბილისში ჩატარებული საგანგებო ყრილობის შემდეგ, სულ მალე, ცეკას 23 აპრილის დადგენილებას მიეძღვნა მწერალთა და საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა ქუთაისში. აქ გამოვიდა მიხ. ჭავჭავიძელი და წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია „სალიტერატურო გაზეთში“ (№ 18, 6 აგვისტო. 1932 წ.).

მწერალი აცხადებს: „ჩვენ პროლეტარულ მწერლებთან ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებით საშუალება მოგვეცემა უფრო მეტად დაუუახლოვდეთ დღევანდლობას, ახალი ქვეყნის მშენებელი კლასის იდეოლოგიას“. შემდეგ ორატორი მსმენელებს უცხადებს, შეცდომები არა მარტო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ჰქონდა, არამედ ჩვენცო. პირადად მეო, — აცხადებს მ. ჭავჭავიძელი, — ავტორი ვარ „დამპატიყესი“, „გივი შადურისა“ და სხვ. ისეთი წაწარმოებების, რომლებშიც არასწორადაა გამოსახული რევოლუციონური დღევანდლობის სინამდვილე³. ეს აღიარება არა მარტო იმიტაა საგულისხმომ, რომ ზემოაღნიშნულმა დადგენილებამ გამოიწვია მწერლების გულახდილი და ჩანსალი თვითკრიტიკა, არამედ იმიტაც, რომ საერთოდ მათი შეგნების გარდაქმნაც დაიწყო.

¹ „სალიტერატურო გაზეთი“, № 16, 12 ივლისი, 1932 წ.

² იქვე.

³ „სალიტერატურო გაზეთი“, № 18, 6 აგვისტო, 1932 წ.

ამ გარემოებით უნდა აეხსნათ, რომ იქვე მ. ჭავჭავიძე დაგ-
მო ცნობილი „დისტანციის თეორია“, რომლის მომხრეც, თავისივე
აღიარებით, იგი აღრე ყოფილა. დღეს ეს თეორია მცდარად მიმაჩ-
ნია და მჯერა, რომ თანამედროვე მწერლობა უნდა წერდეს სწო-
რედ თანამედროვე თვალსაზრისით, აქტუალურ თემებზე, — ამბობ-
და მ. ჭავჭავიძე. ყოველივეს, რასაც მწერალი ამბობდა, პრაქტი-
კულადაც ასრულებდა. ეს კი იქიდან ჩანს, რომ მას დაუვლია და
შეუწავლია საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი ქუთაისი,
აღფრთოვანებულა მშენებლობათა და ახალ საქმეთა, წამოწყე-
ბათა გაქანებითა და მასშტაბებით, უშუალოდ მისულა სინამდვი-
ლესთან და უგრძენია ამ მიღწევებზე წერის მოთხოვნილება. სხვა-
ნაირად ვერ გავიგებთ მ. ჭავჭავიძის შემდეგ სიტყვებს „მე გან-
ცვიფრებული და აღფრთოვანებული ვარ იმ მიღწევებით, რომელ-
საც დღეს ქუთაისში გავეცანი. ასეთი უშუალო მისვლა სინამდვი-
ლესთან უსათუოდ მოგვცემს ახალ შემოქმედებითს იმპულსს, ჩვენ
უნდა შევძლოთ ამ მიღწევათა გადატანა მხატვრულ ტილოებზე“¹.
ვფიქრობთ, ამაზე უფრო ნათლად და მკაფიოდ თქმა აღარ შეიძ-
ლება.

ამ მოწოდებისა და აღფრთოვანების შედეგი იყო ისიც, რომ გა-
ზეთის იმავე ნომერში დაიბეჭდა მწერლის ნარკვევი — „ორი დღე
ქუთაისში“², რომელშიც მშვენივრად არის ნაჩვენები ქუთაისი, მისი
ზრდა, მრეწველობა, ელექტრიფიკაცია, ადამიანები, განვითარების
პერსპექტივა და ა. შ. ამ ნარკვევით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება,
რომ მ. ჭავჭავიძე არა მარტო თეორიულად ამტკიცებდა მწერლის
მიერ დღევანდლობის მიღებისა და ასახვის აუცილებლობას, არა-
მედ საქმითაც ახორციელებდა ამ დებულებას.

ამავე ასპექტში უნდა განვიხილოთ მ. ჭავჭავიძის მეორე ნარ-
კვევიც „ორი თვე ჩრდილოეთში“³, რომელშიც მოთხრობილია ქარ-
თველ მწერალთა ერთი ბრიგადის მოგზაურობაზე საბჭოთა კავში-
რის ჩრდილოეთის ქალაქებსა და ოლქებში — მოსკოვში, გორკში,
ლენინგრადში, მინსკში, გომელში, კიევსა და ხარკოვში და იმ მდი-
დარ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მწერალს მიუღია. ყველგან
შენება, ზრდა, წინსვლა, გარდაქმნა — აი მთავარი აზრი ამ ნარკვევი-
სა, მწერალი მდიდარი მასალით დატვირთული დაბრუნებულა სა-
ქართველოში და, ცხადია, მას სათანადოდ გამოიყენებდა მომავალ
მუშაობაში, მაგრამ არ დასცალდა.

1 „სალიტერატურო გაზეთი“, № 18, 6 აგვისტო, 1932 წ.

2 იქვე.

3 „სალიტერატურო გაზეთი“, № 1—3 (57), 10 იანვარი, 1934 წ.

სინამდვილის უშუალო მიღებითა და მისი სიდიადის დანახვით იყო გამოწვეული აგრეთვე ისიც, რომ ოქტომბრის XV წლისთავზე მ. ჭავჭავაძის „სალიტერატურო გაზეთში“ გამოდის წერილით „დიადი ეპოქა“¹, რომელშიც ამაყად და აღფრთოვანებით ლაპარაკობს ჩვენს თანამედროვეობაზე, რომელიც ოქტომბერმა ასეთი დიადი გახადა. ამ წერილში ავტორი ერთმანეთს ადარებს ძველსა და ახალს, რა გვექონდა და რა გვაქვს ახლა, ოქტომბრის XV წლისთავზე, და უჩვეულო წინსვლასა და განვითარებას ხედავს. „რა შესცვალა ოქტომბერმა? უწინდელთან შედარებაც არ შეიძლება“. კერძოდ, ლიტერატურაზე ამბობს: „ლექსი ძირფესვიანად გადახალისდა, ხოლო ნამდვილი რომანი ოქტომბრის შემდეგ გაჩნდა. ენა ლექსიკურად გამდიდრდა, სტილი დაიხვეწა და სრულიად ახალი სამხატვრო ფორმები და ხერხები წარმოიშვა“.

მ. ჭავჭავაძის წამოაყენა ახალი დროის შესატყვისი ახალი ტიპის შექმნის აუცილებლობის მოთხოვნა ჩვენს მწერლობაში. ეს დებულება აღმოცენდა სინამდვილეზე. იგი ცხოვრებამ განაპირობა. ამასთანავე მწერალი აყენებს ახალი ლიტერატურული სტილის შექმნის მოთხოვნას. მას კარგად ესმის, რომ ყველა ეპოქას თავისი სტილი გააჩნდა, საბჭოთა ეპოქამაც თავისი ლიტერატურული სტილი უნდა შეიმუშაოს. იგი უნდა შეესაბამებოდეს სოციალისტური ქვეყნის სინამდვილის ხასიათსა და ბუნებას. აი რას წერს ამ საკითხზე მ. ჭავჭავაძი: „უფრო კონკრეტულად ვიტყვი: დღევანდელმა მწერლობამ ახალი ადამიანის ტიპები უნდა მოხაზოს და ახალი საბჭოთა სტილი უნდა შექმნას. ამ მხრივ უკვე დიდი მანძილი გავიარეთ, მაგრამ უმალეს მწვერვალამდე ჯერ მოზრდილი გზა დაგვრჩა. ფეოდალები და ბურჟუაზია თავიანთ სტილს საუკუნოებით ჰქმნიდნენ, ჩვენ კი მხოლოდ რამდენიმე წელი უნდა დაგვჭირდეს ჩვენი საკუთარი, სოციალისტური ლიტერატურული სტილის შესაქმნელად“².

ამონაწერიდან ნათელი ხდება, თუ როგორ მოთხოვნილებას უყენებდა მ. ჭავჭავაძი მწერლობას თანამედროვეობის ასახვისა, ახალი ტიპის შექმნისა და ახალი, სოციალისტური სტილის შემუშავების საქმეში.

ვალთა ბახტაძისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც საუბარი ეხება „თეთრ საყელოს“, მ. ჭავჭავაძი აღნიშნავს: „ალბათ გაგახსენდებათ: „საყელო“ პროგრამულია მეთქი. მე ვეძებ პროგრამ-

¹ „სალიტერატურო გაზეთი“, № 24, 15 ნოემბერი, 1932 წ.

² გზ. „კომუნისტი“, 28 აპრილი, 1934 წ.

მულ რომანს ან მოთხრობას. ნიმუშს ხეორეალისტური მიმართულებებისა¹ (ხაზგასმა ჩემია — ტ. კ.) — აქედან ცხადი ხდება. რომ მწერალი ახალი სტილის ძიებისა და შექმნის განცხადებით როდი კმაყოფილდებოდა. იგი შემოქმედებითად ეძებდა მას, ცდილობდა გადაეკრა ეს ძნელი და საპატიო ამოცანა, რომელსაც საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ინტერესები მოითხოვდა.

მწერალს განზრახული ჰქონდა დიდი ტრილოგიის შექმნა, რომლის პირველი წიგნი „არსენა მარაბდელი“ იყო, ამას უნდა მოჰყოლოდა 1905 წლის რევოლუციის შემთხვევაში წიგნი (იქნებ ამ ჩანაფიქრის განხორციელება „ქალის ტვირთი“), ხოლო მესამე წიგნი ჩვენს დღევანდელობას უნდა შეხებოდა². ამ განაცხადითაც მხოლოდ ის აზრი გვიმტკიცდება, რომ მწერალი თანამედროვეობის ასახვას არა მარტო მოითხოვდა, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდა.

ჩვენ სხვა ადგილზე გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „კვაკი კვაკანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“ და ზოგი სხვა ნაწარმოებიც მ. ჯავახიშვილმა სწორედ თანამედროვეობის თავისებურ ასახვას მიუძღვნა. ახლა კი გვინდა გავაკეთოთ დასკვნები:

1. მ. ჯავახიშვილი ლიტერატურაში ისტორიული წარსულის ჩვენებისას იმ აზრს ავითარებს. რომ საჭიროა ეს წარსული დღევანდელი თვალთ იქნეს დანახული და გაშუქებული. ამავე დროს წარსულს უნდა ვუდგებოდეთ ისტორიულად, რათა არ გავაყალბოთ იგი, სწორად ვუჩვენოთ ეპოქის სული.

2. ლიტერატურის ასახვის ობიექტი ძირითადად უნდა იყოს თანამედროვეობა, რადგან უამისოდ შეუძლებელია ცხოვრების მართალი ჩვენება, დიდი ლიტერატურის შექმნა. მ. ჯავახიშვილს სწამს, რომ ყოველ ქვეყანაში და ყოველ ეპოქაში დიდი ლიტერატურა იქმნებოდა თანამედროვეობის სწორი და ნიჭიერი ჩვენებით.

3. ამ მოსაზრების შესატყვისად და შემოქმედებაში განახლების მიზნით მწერალი მოითხოვს ახალი ტიპის შექმნას, ახალი ლიტერატურული სტილის შემუშავებას. ყოველივე ეს ჩვენს დიად დღევანდელობას ახლებურად უნდა აშუქებდეს.

მეთოდი და მსოფლმხედველობა

ყოველ მწერალს თავისი გარკვეული მსოფლმხედველობა გააჩნია. ამავე დროს შემოქმედებითი მუშაობა წარმოუდგენელია რო-

¹ „მნათობი“, № 11—12, 1934 წ.

² „მნათობი“, № 1—2, 1937 წ., გვ. 232—335.

მელიმე მეთოდის გარეშე. ეს დებულება ვრცელდება იმათზეც, ვინც თვითონ, შესაძლოა, არ იზიარებს მას.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როდესაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდი საბჭოთა მწერლობის ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი გახდა, ცხარე კამათი მიმდინარეობდა იმაზე, თუ რას წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმი, როგორია მისი არსი და ბუნება. აღნიშვნის ღირსია, რომ ბევრი რამ დაზუსტებული და გარკვეული არ ჰქონდათ არა მარტო იმათ, ვისაც ახლის მიღება ეძნელებოდა, არამედ იმათაც, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ ახალი მეთოდის დასანერგავად.

ამ კამათმა თავი იჩინა შემოქმედებით დისკუსიებზე, პრესის ფურცლებზე და ყველგან, სადაც კი საუბარი ლიტერატურას და ხელოვნებას შეეხებოდა. მიხ. ჭავჭავიძე იმ დროისათვის სახელმწიფო და პოპულარული მწერალი იყო და, ცხადია, ამ საკირობოტო საკითხების გარკვევისას განზე ვერ გადგებოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ სერიოზული და იმდროისათვის საპასუხისმგებლო საქმეში. მას ხშირად უხდებოდა თავის დაცვა კრიტიკოსების თავდასხმებისაგან. მ. ჭავჭავიძე იმ ახერხებდა მკაფიოდ გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი და დამაჯერებლად დაესაბუთებინა იგი.

ამ მხრივ საინტერესოა ზემოაღნიშნული დისკუსიის მასალები თანამგზავრობისა და მოკავშირეობის შესახებ¹. აქ გამოსული სიტყვიდან კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენება, თითქოს მ. ჭავჭავიძე იყო არ იცოდა, რა იყო მეთოდი მწერლობაში. ამ აზრს ბადებს მ. ჭავჭავიძის განცხადება: „მომხსენებელი ხანჯლით რომ დამადგეს და მკითხოს, რა მეთოდით სწერთო, მე დავემგვანებოდი იმ მოწაფეს, რომელიც გაკვეთილში ჩასჭრეს“². მწერალი აგრძელებს მსჯელობას და იხსენიებს ლენინს, როცა იგი ერთმანეთს ადარებდა პუშკინს, ნეკრასოვსა და მაიაკოვსკის. კარგად რომ გავჩხრიკოთ, — ამბობდა მ. ჭავჭავიძე, — პუშკინის მეთოდი უფრო მკრთალია, ვინემ ნეკრასოვისა და მაიაკოვსკისა, მაგრამ პუშკინზე დიდი პოეტი რუსებს არ ჰყოლიათ. როცა დარბაზიდან ორატორს რეპლიკა ესროლეს: „როგორ, პუშკინს არ ჰქონდა მეთოდი?“, მიხ. ჭავჭავიძე უპასუხა: „ჰქონდა, მაგრამ... სიტყვა „მეთოდი“ პუშკინს არ უნდა ჰქონდეს ნახმარი“. დარბაზიდან კვლავ რეპლიკა გაისმის: „შთაგონებით სწერდა, ასე ფიქრობს ჭავჭავიძე“ (იგულისხმება პუშკინი — ტ. კ.). მ. ჭავჭავიძე კი განაგრძობს თავის აზრს და აცხადებს, რომ სიტყვა

¹ „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 233—235.

² „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 232—235.

„მეთოდი“ ხელოვნებაში და მერე ლიტერატურაში შემოვიდა პოლიტიკიდან, მეცნიერებიდან. ამაზე კვლავ რეპლიკა გაისმის: „მეთოდს ჩვენ ვეძახით მსოფლმხედველობას!“ მწერალი განაგრძობს: „თუ ეს ორი მცნება სინონიმია“... რეპლიკის ავტორი აწყვეტინებს და წამოიძახებს: „სინონიმი არ არის“. მ. ჭავჭავიძეილი გაოცებულია და აცხადებს: სასაცილოა, სინონიმი არ არის და ერთი და იგივე კი არისო აქვე დასძენს, რომ მომხსენებელმაც ასევე აღნიშნა — მეთოდი და მსოფლმხედველობა ერთი და იგივეაო.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ვისაც თვითონ უნდა განემარტა და დაეცვა სოციალისტური რეალიზმის საკითხები, იმათაც კი იგი კარგად არ ჰქონდათ გარკვეული. ამ პაექრობამ ცხადყო ჩვენი სიტყვების სიმართლე. მართლაც, მსოფლმხედველობისა და მეთოდის გაიგივება მხოლოდ საკითხის უცოდინარობით შეიძლება აეხსნათ. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა უფრო გვიან. 1956—57 წლებშიც, როცა მოდად გაიხადეს სოციალისტური რეალიზმის რევიზია... (ეს სიტყვამ მოიტანა...).

ზემოთ ნახსენები პაექრობის გაგრძელებას საკითხში გარკვეულობა შეაქვს და ცხადი ხდება, რომ მ. ჭავჭავიძეილი თვით მეთოდის არსის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ ტერმინისა: მას „მეთოდი“ არ მოსწონს, როგორც ტერმინი. ამ აზრს ბადებს მწერლის შემდეგი სიტყვები: „1925 წელს გამოშულ ორტომიან სალიტერატურო ენციკლოპედიაში ჩავიხედე და სიტყვა „მეთოდი“ ვერ ვიპოვე. ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ეს ტერმინი ლიტერატურათმცოდნეობაში სულ მცირე ხნის წინ შემოვიდა“. იქვე უფრო აშკარა ხდება, რომ მწერალი ტერმინის წინააღმდეგია და არა მცნების შინაარსისა: „უწინ ამ სიტყვას თუ მცნებას მწერლობაში თავისი შესატყვისი ჰქონდა: მწერლის კრედიო ან შემოქმედების ფსიქოლოგია“. ამავე დროს ორატორს მიაჩნია, რომ მეთოდი ერთი შემავალი ნაწილია შემოქმედების ფსიქოლოგიისა. ბოლოს იგი „ურიგდება“ „მეთოდის“ შემოსვლას ლიტერატურაში და აცხადებს: მეთოდი არსებობს მეცნიერებაში და სჯობდა ისევ თავის ადგილზე დარჩენილიყო, ხოლო მწერლობაში თუნდაც უწინდელი „კრედიო“ დაგვეტოვებინა, მაგრამ რაკი მას უკვე გამოუცვალეს სახელი, დაე აგრე იყოსო.

ყოველივე ეს შეეხებოდა ტერმინს. ახლა გავარკვიოთ, რა აზრისაა მ. ჭავჭავიძეილი მეთოდის შინაარსზე, მის არსებით მნიშვნელობაზე. დისკუსიაზე მ. ჭავჭავიძეილი უპირისპირდებოდა მომხსენებელს, რომელიც ამტკიცებდა, რომ არსებობს ორი მეთოდი — იდეალისტური და მატერიალისტური, და ამავე დროს იმოწმებდა ანარ

ბერგსონს. რომლის აზრით შემოქმედება განსაკუთრებით ინტუიციის ფუნქციაა. თავის დაპირისპირებას მომხსენებელთან ჩვენი მწერალი ასე აგებს: ჯერ ტერმინი „ინტუიცია“ დაუწუნა და გამოთქვა აზრი, რომ: ქართულად მისი შესატყვისი სულ ცოტა სამი სიტყვა არსებობს — ალოო, გუმანი, გეში. მე „ინტუიციას“ „გუმანი“ მირჩენია“, რადგან ხალხურია და ყველას ესმისო. შემდეგ მ. ჯავახიშვილი უარყოფს იმათ აზრს, ვინც ამტკიცებს, რომ შემოქმედება მხოლოდ გონების ფუნქცია არისო. მას შიანია, რომ არც ერთია სწორი და არც მეორე. რადგან ვინც მარტო გუმანიტ მუშაობს, მას ბოდვის მეტი არაფერი გამოუვა და ვინც მხოლოდ გონებით სწერს, იმის ხელიდან ტრაქტატის მეტი არაფერი გამოვაო. ამ მსჯელობის შემდეგ მ. ჯავახიშვილი აყენებს საკუთარ დებულებას, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით, ძალზე სწორი და მისაღებია: „შემოქმედება მიუგნებელი იდუმალი შეზავებაა გონებისა და გუმანის“. მშვენიერი ფორმულა! მწერალი იქვე დასძენს, რომ მეთოდის შესწავლის გარდა მწერლისათვის კიდევ სხვა რალაცას უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა: ნიქს, დაკვირვების უნარს, ცოდნასა და შრომას. ჩანს, მწერალმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ნიქზე, ცოდნაზე, შრომაზე, რადგან იმხანად, როცა ეს დისკუსია მიმდინარეობდა, ყველა მწერალი როდი იყო ამ თვისებებით დაჯილდოვებული. ზოგს ფონს გასვლა მხოლოდ იდეებით ეწადა — ნიქისა და ცოდნის, შრომის გარეშე. ცხადია, ასეთები მწერლობას ვერ შერჩენენ, მათი გვარები ან დავიწყებას მიეცა ან მიმოხილვებში მოიხსენებიან.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ნიქთან ერთად მოთმინებითს და ბეჯით შრომას მ. ჯავახიშვილი უღიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ასახელებს ილია ჭავჭავაძეს და ამბობს: „...მას გამოუღეველი შრომის უნარი მოეპოვებოდა და უმთავრესად ამ უნარის წყალობით გაავსო მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი“¹. აქედან ორ საინტერესო აზრს ვგებულობთ — მ. ჯავახიშვილის მოსაზრებას შრომის როლზე და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზუსტ შეფასებას.

მ. ჯავახიშვილი იძულებულია დაეთანხმოს თყვდამსხმელ კრიტიკოსებს, რომლებიც უყიყინებდნენ, ღღევანდლობას ჩამორჩიო, მაგრამ იქვე განმარტავდა მიზეზს: პირველია ასაკი (უკვე 52 წლისა ვსრულდებო) და მეორე კი ძველი კულტურით დატვირთულობა, ხოლო „მისი დამსხვრევა არც იმდენად ადვილი საქმეა და შესაძლებელი, არც იმდენად სასარგებლოა ჩემთვის“. როცა დარბაზიდან

¹ „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 234.

კითხეს — რატომ? ორატორმა უპასუხა: იმიტომ, რომ „შესაძლოა მე ერთი ახირებული კაცის ამბავი დამემართოს, რომელმაც თავისი ძველი ტანისამოსი ბუხარში შეაგდო და ახალიც ველარ იწოვა“¹.

ერთი რეპლიკის საპასუხოდ მ. ჭავჭავაძე იქვე განმარტავს თავის აზრს. იგი იღებს ორ მწერალს — ანატოლ ფრანსსა და ილია ჭავჭავაძეს და ადარებს ერთმანეთს. ანატოლ ფრანსმა საბჭოთა ხელისუფლებას მხურვალე წერილი გამოუგზავნა და იმავე დროს საკმეველს უკმევს საფრანგეთის მეფეებს. ეს მწერალი პოლიტიკაში სოციალისტი იყო, ხშირად დადიოდა მათ კრებებზე და იმათ პროგრამასაც იზიარებდა, თავის შემოქმედებაში კი ვერ გასცდა ბერს. ბურჟუას, აქტრისას და ერთი ფურცელიც კი არ უძღვნა გლეხსა და მუშას. ილია ჭავჭავაძე კი, მ. ჭავჭავაძის აზრით, პოლიტიკურად გაცილებით უფრო მარჯვნივ იდგა, ვიდრე ფრანსი, მაგრამ მან შექმნა „კაკო ყაჩალი“, „კაცია ალაფიანი“, „გლახის ნაამბობი“ და ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელზედაც ჩვენი ახალი თაობა იზრდება. ამ დაპირისპირების საფუძველზე მ. ჭავჭავაძე აკეთებს სრულიად სწორ დასკვნას, რომ „შემოქმედის თავში ხშირად ხდება ხოლმე გაორება“. ცხადია, აქაც ვლინდება მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი პრაქტიკის ურთიერთმიმართება.

მაგრამ ეს მსჯელობა მაინც ერთგვარი შესავალია, რათა უფრო სწორად გავიგოთ მ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა და მეთოდის შესახებ მისი თვალსაზრისი.

ჩვენი ფიქრით, მ. ჭავჭავაძის მეთოდის გასაღებს გვაძლევს მისი შემდეგი ორი დებულება: 1. „მე ვცდილობ ძველი მასალა და ახალი იდეოლოგია შევათავსო“ და 2. „მე ბოლო დროს „არსენაშიც“ კი გამოვიჩინე დღევანდელი ეპოქალობა. მე რომ ეს რომანი ათი-ხუთმეტე წლის წინათ დამეწერა, სულ სხვა რამ გამოვიდოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე დღევანდელი სული მიდგას. და იმასაც კი ეპოქალური თვალსაზრისით მივუღებ. რაც ასე წლის წინათ მოხდა“². გავერკვეთ, რა აზრებია გატარებული ამ ორ ამონაწერში, რომლებიც ზემოაღნიშნული დისკუსიის მასალებიდან არის მოტანილი. ორივე ამონაწერი ერთ მთავარ აზრს ეხება და ემსახურება. აქ მთავარი ისაა, რომ მწერალი ძველ მასალასაც კი ახალი იდეოლოგიით ხედავს და ასახავს. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მწერალი სოციალისტური რეალიზმის პოზიციაზე დგას.

¹ „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 234.

² „მნათობი“, № 1—2, 1932 წ., გვ. 232—235.

როცა მწერალი ამბობს: „არსენა“ 10—15 წლის წინათ რომ დამეწერა, სულ სხვანაირი გამოვიდოდაო, ეს ნიშნავს, რომ მაშინ სხვანაირ იდეურ პოზიციაზე ვიდექი, მაშინ ჩემი მსოფლმხედველობა სხვაგვარი იყო და ამიტომ იმ წარსულსაც სხვანაირად გავაშუქებდით. მეორე ადგილას მწერალი აზუსტებს ამ გამონათქვამს და ამბობს, მაგალითად, ბატონყმური ურთიერთობა, დაპირისპირება ბატონებსა და ყმებს შორის რომანში მუქ ფერებში ავსახე და ამით კლასთა შორის ბრძოლა დღევანდელი იდეოლოგიური თვალსაზრისით გავაშუქეო. ეს გამონათქვამი ავსებს და აზუსტებს ზემოთ მოტანილი ამონაწერების აზრს.

„არსენა მარაბდელს“ ჩვენ ცალკე სხვა ადგილას განვიხილავთ, მაგრამ აქ მაინც უნდა ვთქვათ შემდეგი: მწერალმა რომანში არა მარტო კლასთა ბრძოლა გააშუქა დღევანდელი პოზიციიდან. არამედ ერთა ძმობის საკითხიც. სხვადასხვა ერის ჩაგრული კლასების წარმომადგენლები ძმები არიან საერთო მტრის — მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მართლაც, კარპიჩა, მეშთა, ოსტაპი, არსენა და სხვანი — სხვადასხვა ერების შვილები — მწერალმა რომანში დაამოხილა და ერთიან ძალად შეკრა ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად. განა ეს დღევანდელი იდეოლოგიის პირდაპირი შემოქმედებითი განაღდება არ არის ისტორიული წარსულის მხატვრული ასახვის საშუალებით? ცხადია, ასეა!

უფრო მეტიც. იმავე რომანში მ. ჭავჭავიძემ მხატვრული საშუალებებით გვიჩვენა ლენინის ცნობილი დებულების სიმართლე, რომ ყოველ ერში არის ორი ერი — პროგრესული და რეაქციული. აქ მ. ჭავჭავიძელი გვიჩვენებს ზაალისა და არსენას საქართველოს და ამავე დროს მაიორ არლოვისა და კარპიჩას რუსეთს. ეს ფაქტიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მ. ჭავჭავიძელი წარსულს მართლაც დღევანდელი პოზიციიდან აშუქებდა.

თანამედროვეობისადმი მწერლის დამოკიდებულებაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ დაევშუქებთ, რომ მ. ჭავჭავიძელი არა მარტო მოითხოვდა და ასაბუთებდა, მწერალი თავის თანამედროვეობას უნდა ასახედეს, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი სტილი და ახალი ტიპებიო, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდა ამას. ამისი დამადასტურებელია „ჩაყოს ზიზნები“ და სხვ. მწერალი არა თუ არ გაურბოდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, არამედ ირჩევდა ისეთ თემებს, რომლებშიც ყველაზე სადღეისო საკითხები მწვავედ იდგა (მაგ. „დამპატიე“). მართალია, ამ თემების გაშუქებისას ზოგჯერ შეცდომაც არ იყო გამორიცხული, მაგრამ თვით თემები ზედმიწევნით თანამედროვე და სადღეისო იყო.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ვალია ბახტაძისადმი გაგზავნილი წერილი. მასში საუბარი ეხებოდა „თეთრ საყელოს“. ვ. ბახტაძე მ. ჯავახიშვილს უწუნებდა ნაწარმოების თემასაც და იდეასაც: „არც საინტერესო საკითხია დასმული ნაწარმოებში — აბა ვის აინტერესებს ახლა — ტილები თუ რადიო?“ ანდა: „ეს საკითხი უკვე საკითხი არ არის, რადგან იგი უკვე დიდი ხანია გადაჭრილია“. შემდეგ კი მოუწოდებდა მწერალს, რომ არ გადაეხვია რეალიზმის ხაზიდან — ილიას, კლდიაშვილის, ნინოშვილის, თუნდაც „ჯაყოს ხიზნების“ ხაზიდან. საპასუხო წერილში მ. ჯავახიშვილი წერდა, რომ საკითხის ასეთი გამარტივება სწორი არ იქნება: „მე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივისა და კულტურისა“. მწერალი იქვე დასძენს, ეს თემა ჩემი მოგონილი არ არისო. მას შეეხნენ რუსო, ჰამსუნი, კელერმანი და სხვანი. მაგრამ, მათგან განსხვავებით, მე საკითხი საწინააღმდეგოდ გადაეწყვიტეთ: „მე იმით განვსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დაეაბრუნე, ე. ი. კარჩაქეტილობა დაეგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთვნე“. ამაზე ნათელი რაღა შეიძლება იყოს, განა რომანის ფინალიდან მხოლოდ ეს აზრი არ გამომდინარეობს!

მაგრამ ჩვენთვის უფრო ის ადგილია საინტერესო, სადაც მ. ჯავახიშვილი რეალიზმს ეხება. იგი ვ. ბახტაძეს წერს: „თქვენ გგონიათ, თითქოს მე ჯანსაღი რეალიზმისათვის მეღალატოს“, და განმარტავს: „საერთოდ მწერი არ მეგულება, რომ მას საღამე რომანტული იერი არ გადაჰკრავდეს. საკითხავი მხოლოდ ის არის თუ რამდენი აქვს მას რომანტული და რეალისტური დოზა“! (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ხედავთ, რაშია საქმე? მ. ჯავახიშვილი რომანტულისა და რეალისტურის შეზავებაზე, შერწყმაზე ლაპარაკობს. აქ მეღაღუნდება ჩვენი მწერლის შემოქმედებითი მეთოდი, მისი შეხედულება საკუთარ მეთოდზე.

აღრეც აღვნიშნეთ, მაგრამ აქაც საჭიროა აღინიშნოს, რომ იმავე წერილში მ. ჯავახიშვილი წერდა: „მე ვეძებ პროგრამულ რომანს, ნიმუშს ნეორეალისტური მიმართულებისას“. რა არის ეს ნეორეალისტური მიმართულება მ. ჯავახიშვილის გაგებით? ეს არის რომანტულისა და რეალისტურის შეზავება, მათი დოზების საიდუმლოების მიგნება.

¹ „მნათობი“, № 11—12, 1934 წ. ვ. ბახტაძის წერილი და მ. ჯავახიშვილის პასუხი.

ჩვენ ვაკეთებთ იმ დასკვნას, რომ მაშინ მ. ჭავჭავაძის ჯერ კიდევ არ იცნობდა ტერმინს „სოციალისტური რეალიზმი“. ბოლოს და ბოლოს, ეს ტერმინი ხომ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე დამკვიდრდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მ. ჭავჭავაძის სწორად ერკვეოდა ახალი მეთოდის იმ თვისებაში, რომ მასში შეზავებული უნდა იყოს რომანტიკული და რეალისტური და ამ პოზიციიდან უნდა გაშუქდეს თანამედროვეობა, ცხოვრება, ახალი ტიპები. ეს კი სოციალისტური რეალიზმის თავისებურებანია.

ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ და ნათქვამს დავუმატებთ, რომ მ. ჭავჭავაძის კარგად ესმოდა თემისა და ფორმის ურთიერთმიმართება: „თემამ დაბადა ეს განსხვავება“, „თემამ ფორმა მომცა“, ამბობდა იგი, ე. ი. თემა აყენებს ახალი ფორმის ძებნის აუცილებლობას და მწერალიც ეძებს და პოულობს მას — ნეორეალიზმს. ახალ რეალიზმს, ანუ იგივე სოციალისტურ რეალიზმს.

ფორმისა და შინაარსის შესახებ

წერილში „როგორ ვმუშაობ“¹ მ. ჭავჭავაძის მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი მწერლობაში ფორმის შესახებ. იგი თავს ესხმის ფორმალისტებს და სიმბოლისტებს, რომლებმაც სადავო გახადეს ფორმის საკითხი. მწერალი გვეუბნება, რომ „ყველა გენიოსი მწერალი ჯერ სახეს და აზრს ხედავდა და მხოლოდ მერმელა უფარდებდა მას მუსიკალურად გამართულ ფორმას“. ეს იმას ნიშნავს, რომ მ. ჭავჭავაძის აზრს, ე. ი. შინაარსს ანიჭებს პრიორიტეტს, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას. ხელოვანის მოვალეობაა გარკვეულ შინაარსს შესაფერისი ფორმა მოუძებნოს და შეუხამოს.

მ. ჭავჭავაძის აცხადებს, რომ სიმბოლისტებმა, განსაკუთრებით კი ანდრეი ბელიმ და მისმა მიმდევრებმა, დიდი ზიანი მიაყენეს პროზას. მწერალს ისინი მიაჩნია არა „ცხოვრების მხატვარ-ამსახველებად“, არამედ „სიტყვების კომპოზიტორებად“, „მათ მხატვრული სახე მოახლედ დაუყენეს მუსიკალურ ბგერას“. მ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, რომ მათი მარცხის მიზეზიც სწორედ ეს არისო, მათ უნაყოფო ნოვატორობას მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსიდა გაიხსენებსო. ვფიქრობთ, საჭირო არ არის იმისი მტკიცება, რომ ეს სიტყვები სავსებით გამართლდა.

მაგრამ მ. ჭავჭავაძის განა საერთოდ უარყოფს მუსიკალობას,

¹ „მნათობი“, № 10, 1933 წ., გვ. 189—196.

რიტმს პროზაში? არავითარ შემთხვევაში. იგი აცხადებს, რომ „მუსიკალობა ყოველ ხეირიან პროზაში მოიპოვება“, უფრო მეტიც — პუბლიცისტურში და მეცნიერულშიც კი. მას კარგად ესმის, რომ ლექსისებური რიტმი მხოლოდ ლექსისთვის არის სავალდებულო, მაგრამ ამავე დროს, რიტმული პროზით ადვილად დაიწერება მინიატურა, მცირე სურათი, თუნდ მოთხრობაც. „მაგრამ მოსაწყენი ერთფეროვანი რიტმი მონუმენტალურ პროზას ამძიმებს, ჰკრუნჩხავს, ამღვრევს და კითხვას აძნელებს“.

ამ საკითხს მ. ჭავჭავაძის დიფერენცირებულად უდგება, რითაც ავლენს თავის მაღალ გემოვნებას და საკითხის ღრმა ცოდნას. იგი აცხადებს, რიტმს მე საპატიო ადგილს ვაკუთვნებ, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა აქვსო. მას მიაჩნია, რომ პროზის რიტმი უთვალავია, იგი იცვლება სათხრობის აზრის შესატყვისად. „სურათის ხასიათი შესცვალეთ და რიტმიც შეიცვლება“. ამ აზრის საილუსტრაციოდ მწერალს მოაქვს მაგალითები თავისი შემოქმედებიდან: „სულ სხვადასხვანაირი რიტმით არის დაწერილი „ჩანჩურა“ და „ტყის კაცი“, „თავდავიწყება“ და „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“ და „ფინჯანი“. ამა თუ იმ რომანის ცალკე სურათებსაც თავიანთი რიტმი მოეპოვება...“ ჩვენ ამასთან კავშირში ვვგონდება „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც ამა თუ იმ ეპიზოდის შინაარსის შესატყვისად გამოყენებულია სხვადასხვა რიტმი. შოთა რუსთაველს ეს ხერხიც ხომ გენიალურად აქვს გამოყენებული და მ. ჭავჭავაძის მსჯელობაც სწორედ ამას გულისხმობს.

მაგრამ საქმე მარტო რიტმი როდია. ენის სინტაქსი აქ განსაზღვრულ როლს ასრულებს. უფრო სწორად, წინადადებაში სიტყვათა განლაგების ცვლას მოყვება რიტმის ცვლა. და სწორედ ამის გამო მ. ჭავჭავაძის მკაცრად ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც „მუსიკალობით“ გატაცებულია და ამის გამო ლალატობს ჩვენი ენის ბუნებას. მწერალს მოაქვს მრავალი ამონაწერი, რომლებიც ცხადყოფს ფორმალზმით გატაცებას. ჩვენ მხოლოდ ორიოდეს დავასახელებთ: „კაცი მაღალი იყო გაჭავრებული და თავის ცოლს ემუქრებოდა...“ „ვენახში გუშინ შეპარულიყო დათვი...“ და ა. შ. ამ და სხვა მაგალითების მოტანის კვალდაკვალ მ. ჭავჭავაძის ეკამათება ავტორებს იმის გამო, რომ ისინი არც ბუნებრივ მახვილს უწყევნან ანგარიშს, არც აზრს, მათთვის მთავარია „მუსიკალობა“, შემდეგ ასკვნის მწერალი, რომ ეს „მუსიკოსები“ „არა მარტო სახეს, არამედ ელემენტარულ ლოდიკასაც დალატობენ.“

ენაზე მ. ჭავჭავაძის შეხედულებებს ჩვენ ცალკე განვიხი-

ლავთ, აქ თუ შევეხებით გაკვრით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ნაწარმოების ფორმაზე მსჯელობამ მოიტანა.

ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხებს ეხება მ. ჯავახიშვილი აგრეთვე მეორე წერილშიც „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“¹, როცა ერთიმეორეს უდარებს ხალხურ „არსენას“ და თავის რომანს და მათ მსგავსება-განსხვავებაზე ლაპარაკობს.

მწერალს „არსენას ლექსი“ მიაჩნია ხალხური პოეზიის მშვენიერ ნიმუშად, მაგრამ იქვე აცხადებს, რომ ეს საქმეს არ შველის. რადგან ლექსსა და პროზას შორის დიდი მანძილიაო. რაც ლექსის ავტორისთვის სრულიად საქმარისია, იგი არ იკმარებს პროზაული ნაწარმოების ავტორისათვის. ლექსში ერთი ფრაზით იჯერებს მკითხველი, პროზაში კი უნდა უჩვენო და მხატვრულად დაასაბუთო, რათა მკითხველმა დაგიჭეროს ესა თუ ის ამბავი. მაგალითად, ხალხურ ლექსში წერია: „ზალს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება“. ლექსის მიხედვით, მოეწონა და მოიტაცა კიდევ. რომანში კი, ამბობს მწერალი, „მე ამ მოტაცებას სოციალური სარჩულიც გამოვაკერე და არსენას გაჭრის მომზადებას და კვანძების შეკვრას — ერთ დღეში დატრიალებულ ამბებს — რომანის ერთი მესამედი მოვანდომე“. ამ თვალსაზრისით მწერალი სხვა მაგალითებსაც ასახელებს და ხსნის მათ: ფარსადან ბოდბისხვევლის ამბავი, თორმეტი ყაზახის დაფრენის ამბავი, კუპატნელის შეხვედრის ამბავი და ა. შ. ყველა ეს ეპიზოდი ლექსში სხვაგვარადაა, გაკვრით არის და იქ ეს კმარა, რომანში კი მე სულ სხვა გვარად, შეცვლილად და გავრცობილად, დასაბუთებულად მაქვსო.

ლექსში თემაც სხვაგვარადაა გახსნილი — იგი არსენას თავდადასაველს მოსდევს მხოლოდ, მე კი მისი პოლიტიკური არე უნდა მომენახა, მოქმედებანი და ამბები ლოდიკურად გადამება, ზოგი რამე ფაქტებით და ფსიქოლოგიურად დამესაბუთებინა, ამდენად რომანისათვის შინაგანი კომპოზიციური აღნაგობა ამესხაო, — ამბობს მ. ჯავახიშვილი. მრავალი გარემოების გათვალისწინების, მათ შორის ლექსისა და რომანის თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე, მწერალი ისეთ მომენტებს, ეპიზოდებს, პერსონაჟების თავგადასავალსა და საქმეებს გვიყვება რომანში, რომელიც ხალხურ ლექსში სრულიადაც არ არის. ყოველივე ეს იმისათვის დასკირდა ავტორს, რომ შეექმნა სრულიად ახალი მხატვრული ნაწარმოები, რათა პროზად გადაკეთებული იგივე ხალხური ლექსი არ გამოსვლოდა და ამის გამო თავს „კატასტროფა არ დატეხოდა“. რამდენად სწორად მოიქ-

¹ კერ. „დროშა“ № 9, 1933 წ.

ცა მწერალი და როგორი გამარჯვება ხედა წილად, ეს „არსენა მარაბდელის“ მკითხველებმა იციან.

მ. ჭავჭავიძე იმ აზრის არის, რომ თემა იძლევა ფორმას, ე. ი. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას. ვალია ბახტაძის წერილი დაეასახელებოდა ზემოთ. იმავე წერილში მწერალი აკი პირდაპირ აცხადებს, რომ „თემამ ფორმა მომცაო“.

წერილში — „მოპასანი და მისი „ცხოვრება“¹ მ. ჭავჭავიძე ერთმანეთს უპირისპირებს ზოლას ნატურალიზმსა და მისგან განდგომილი მოპასანის რეალიზმს და ამ უკანასკნელის მიღებასა და მოწონებას აღფრთოვანებით აცხადებს. მ. ჭავჭავიძეს მოპასანისა ის მოსწონს, რომ მან ზურგი შეაქცია ზოლას „ფოტოგრაფიულ მეთოდს“ და დაუბრუნდა რეალიზმს, აღიარა ხელოვნება, რომელიც გადმოცემა და გამოხატვაა „ყოველდღიურ და რეალურ მოვლენათა საზოგადო ჯამიდან ამოკრეფილ და შერჩეულ მასალისა“, ე. ი. არა უველაფრის ისე ჩვენება, როგორც არის ბუნებასა და საზოგადოებაში, არა მისი ფოტოგრაფიული ჩვენება. არამედ შერჩევა დამახასიათებელის, ე. ი. ტიპურისა. ეს კი, როგორც ვიცით, რეალიზმია.

მ. ჭავჭავიძე იმ აღფრთოვანებულია მოპასანით. რომელსაც „აქვს არაჩვეულებრივი თვალი, ყური და საუცხოო თვისება დაკვირვებისა, ღვთაებრივი ნიჭი ნანახის გადარჩევისა, მოვლენათა და ამბავთა უსაზღვრო ზღვიდან საჭირო მასალის ამორჩევისა და იმის დალაგებისა, აკინძვისა. შეფარდებისა და შეწონვისა“. ცხადია. ყოველივე ამ თვისებათა მოწონება მ. ჭავჭავიძის მიერ იმაზე მიუთითებს, რომ თვითონაც ამ პოზიციაზე ღვას. ამით გამქვავებული ხდება ჩვენი მწერლის თვალსაზრისი.

მკაფიობითა და სიზუსტით, სისხარტითა და მოხდენილობით გამოირჩევა მ. ჭავჭავიძის ერთი გამონათქვამი, რომელიც ზემოდასახელებულ წერილშია ჩამოყალიბებული: „დღემდის ათასი საზომი და ფორმულა მოუგონიათ ნაწარმოების ფორმის დასაფასებლად, მაგრამ ამ ათასიდან მხოლოდ ერთი საზომია მუდმივი და სწორი: მკაფიობა, მარტივობა და ზომიერება“².

ეს თვისებები — მკაფიობა, მარტივობა და ზომიერება — მ. ჭავჭავიძის მხატვრული პროზის საფუძველს წარმოადგენს. ეს საზომი მისი თეორიისა და შემოქმედებითი პრაქტიკის საფუძველია.

1 „საქართველოს შოამბე“, № 10, 1910 წ.

2 „საქართველოს შოამბე“, № 10, 1910 წ., მ. ჭავჭავიძე — „მოპასანი და მისი ცხოვრება“

ამ საკითხზე მსჯელობა არ შეიძლება დავამთავროთ ისე, რომ არ გავიხსენოთ, თუ რას ფიქრობდა მ. ჭავჭავაძის ხელოვნებისა და ლიტერატურის უმთავრეს თავისებურებაზე. სპეციფიკაზე. ცნობილია ისტორიული დავა ამ საკითხზე. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით მთს განხილვას, რადგან საკითხი დიდი ხანია გადაწყდა მათ სასარგებლოდ, ვინც აღიარებდა, რომ ჩვენება, სახეებით აზროვნება ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი თავისებურებაა. მიხეილ ჭავჭავაძის ხელოვნების რწმენითა და შემოქმედებითი საქმიანობით მიეკუთვნებოდა ამ უკანასკნელთა რიცხვს: იგი კი არ გვიყვებოდა და აგვიწერდა, არამედ გვიხატავდა, გვიჩვენებდა. ამათ შორის კი ძირფესვიანი განსხვავებაა.

დიდი მხატვრის ეს დამახასიათებელი თავისებურება, რაც ასე ხიბლავდა და ხიბლავს მკითხველს, დაფუძნებული იყო მ. ჭავჭავაძის იმ თეორიულ რწმენაზე, რომელიც მას შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: „მან (მწერალმა — ტ. კ.) უნდა გვიჩვენოს და დაგვანახოს, (მწერალი სახეებით აზროვნებს, ხელოვნება შედეგებული ბუნებაა), ხოლო მსჯელობა, აღწერა და საუბარი სხვებს უნდა დაუთმოს“¹ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

მკითხველი აქ დაინახავს ცნობილ მოსაზრებას, რომელიც ჩერნიშევსკის. ილია ჭავჭავაძის და სხვა მრავალთა მშვენიერად ესმოდათ და სწამდათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მ. ჭავჭავაძის ცხრასიანი წლების და, თუ გნებავთ, მომდევნო ხანის მრავალი სხვადასხვა ჯგუფის შემოქმედთაგან განსხვავებით ამ რეალისტურ და გამართულ პოზიციაზე დგას, არ ექცევა მრავალი „იზმის“ გავლენის ქვეშ და შემდეგშიც მუდამ ერთგულია ამ შეხედულებისა. აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თავის შემოქმედებით პრაქტიკაში საუკეთესოდ ახორციელებს ამ მრწამსს. „ხელოვნება შედეგებული ბუნებაა“ — „ტყის კაცის“ ავტორს მართლაც შეეძლო ამის განცხადება!

თარგმანის შესახებ

მ. ჭავჭავაძის არა მხოლოდ თვითონ თარგმნიდა, არამედ გამოთქვამდა მოსაზრებებს, რომ მშობლიური ლიტერატურა ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის პარალელურად უნდა მდიდრდებოდეს მოწინავე და საუკეთესო უცხოური ნაწარმოებების თარგმან-

¹ „მნათობი“, № 10, 1933 წ., მ. ჭავჭავაძის „როგორ ვმუშაობ“.

ბითაც. სხვა ერთა ლიტერატურული მიღწევები ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მშობლიურ ენაზე.

ამ დებულების ცხოვრებაში გატარების მაგალითს მწერალი თვითონვე იძლეოდა. მან თარგმნა მოპასანის, ჩეხოვის, სენკევიჩის და სხვათა ნაწარმოებნი. ჩვენ ახლა არ შევუდგებით ამ თარგმანთა ხარისხის განხილვას, რადგან ეს ცალკე მსჯელობის საგანია, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოპასანის („ლაშაზი მეგობარი“, „25 ფრანკი“, „შკაფი“); ჩეხოვის („გზაში“), სენკევიჩის („პოლონეთის მდგომარეობა“) ისტრატის („ქოჩორა თურინჯი“) თარგმანებით მ. ჯავახიშვილი ქართველ მკითხველს აცნობდა ფრანგული, რუსული, პოლონური და სხვა ხალხების ლიტერატურის ნიმუშებს და ამით ზრდიდა მათი ცოდნის ჰორიზონტს, ახედებდა სხვა ხალხთა ცხოვრებაში, საშუალებას აძლევდა შეედარებინა იგი საკუთარისათვის და ა. შ. ეს კი დიდი საქმე იყო.

ჩვენი მსჯელობის საგანი ახლა სულ სხვაა — თუ რა მოსაზრებები აქვს გამოთქმული მწერალს თარგმანის შესახებ.

პირველად ეს კითხვა მ. ჯავახიშვილმა დააყენა თავის წერილში „ჩვენ და ჩვენი თეატრი“. ამ წერილში მ. ჯავახიშვილი ედავება მოწინააღმდეგეს და ამბობს, რომ მშობლიური ლიტერატურა მთავარია, მაგრამ უნდა ვთარგმნოთ ისეთი სახელოვანი ავტორები, როგორებიც არიან: იბსენი, ჰაუპტმანი, სტრანდბერგი, ნაიდენოვი, ჩეხოვი და სხვები. ჩამოთვლილ ავტორთა ნიჟს დიდ პატივს სცემს ჩვენი მწერალი და უმტკიცებს მოწინააღმდეგეს, რომ მათი თარგმნა ძალზე საჭირო და სასარგებლოა ჩვენთვის. შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, თუ რაში ხედავს მ. ჯავახიშვილი ამ მწერალთა. სიდიადეს. ისინი ცხოვრებას გვიჩვენებენ მართლად, ნამდვილად. გვიჩვენებენ საზოგადოებისათვის მტკივნეულ, საჭირობოროტო საკითხებს წარსულიდანაც და დღევანდელიდან. ისინი ხატავენ ცოცხალ ტიპებს, რომლებსაც ყველაფერი ადამიანური ახასიათებს, ისინი გვიჩვენებენ ადამიანის სულიერ სამყაროს, მის სიღრმესა და სირთულეს — სიყვარულს, სიძულვილს, სიხარულს, ტანჯვას და საერთოდ ადამიანის რთულსა და მრავალმხრივ ფსიქოლოგიას.

უფრო მეტიც, მ. ჯავახიშვილი არა მარტო გამოჩენილი მწერლების თარგმნის მომხრეა, არამედ მას მიაჩნია, რომ ბევრ ჩვენს მწერალს შეუძლია ისწავლოს მათგან, თუ როგორ უნდა გავხსნათ მხატვრულ ნაწარმოებში გმირის სახე; რომელიც სრულყოფილი უნდა იყოს და არა ზერელე, როგორც ზოგჯერ გამოუდით.

მ. ჯავახიშვილს ეკუთვნის თეატრალური დადგმის ერთი რეცენზია, რომელშიაც განხილულია ორლენიევის რუსული დასის მიერ

იბსენის „მოჩვენებების“ წარმოდგენა¹. სპექტაკლის განხილვისა და შეფასების შემდეგ. ავტორი აღნიშნავს, რომ პიესა ქართულად უკვე თარგმნილია და კარგი იქნება მომავალი სეზონიდან იგი წარმოადგინოს ქართულმა დასმაო. ეს მოთხოვნაც იმაზე მიუთითებს, რომ მწერალი თანმიმდევრულად დგას თავის პოზიციაზე — საჭიროა თარგმანებით ვამდიდრებდეთო მშობლიურ ლიტერატურას.

როცა მ. ჯავახიშვილს ეკითხებოდნენ, თუ რა მისცა ოქტომბერში ქართულ კულტურას, იგი სხვა მრავალ მონაპოვართან ერთად მიუთითებდა ჩვენი მწერლობის თარგმანების უჩვეულო გაფართოებას სხვათა ენებზე და ეს დიდ მონაპოვრად მიაჩნდა. იგი წერდა: „დღევანდელი მწერლობის ზოგი ნიმუში იბეჭდება რუსულ, უკრაინულ, თურქულ, სომხურ. გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ და შვედურ ენებზე. აქამდე კი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების გარდა, ევროპულ ენებზე თითქმის არაფერი არ დაბეჭდილა, ხოლო ჩვენი მეზობლების ენებზე იმდენად მცირე რამ დაიბეჭდა, რომ მათი გახსენებაც კი არ ღირს“².

ამ ამონაწევიდან აშკარად ჩანს. თუ როგორ ახარებს მწერალს ეს მონაპოვარი და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თარგმანს.

ორი წლის შემდეგ, 1934 წელს. მ.იხ. ჯავახიშვილი კვლავ გამოთქვამს თავის აზრს თარგმანზე. იგი დასწრებია უკრაინის მწერალთა კლუბში მათი სახელგამის საგამომცემლო გეგმის განხილვას და გამოუთქვამს თავისი შენიშვნები. ამის შესახებ თვით მწერალი წერს: „ის გეგმა წავიკითხე და სიტყვა მოვიტხოვე. მათი დიდი მიღწევა აღვნიშნე (1800 თაბახი) და ერთ გარემოებაზე მივუთითე. სათარგმნელ ნაწილში ჩამოთვლილია რუსული, ბელორუსული და სხვა ეროვნების ავტორები, ხოლო თურქული, სომხური და ქართული ლიტერატურა სულ არ მოჩანს. მარტო აკოპიანი ჩაუწერიათ (3 თაბახი). მაგრამ ერთი მწერალი სომხურ ლიტერატურას ვერ გამოსახავს. სხვა ორატორებმა და თავმჯდომარეებმა აღნიშნეს ჩემი სიმართლე და მომხსენებელმაც დამიდასტურა. რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა ვთარგმნოთ საუკეთესო უკრაინული ნაწარმოებები“³.

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი არ მორიდებია მასპინძლებს და სტუმრად მყოფსაც კი თავი ვერ შეუკავებ-

¹ „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., 2 აპრილი, „თეატრი“.

² „სალიტერატურო გაზეთი“, № 24, 14 ნოემბერი, 1932 წ., მ. ჯავახიშვილი — „ღიადი ეპოქა“.

³ „სალიტერატურო გაზეთი“, № 1—3, 10 იანვარი, 1934 წ., მ. ჯავახიშვილი — „ორი თვე ჩრდილოეთში“.

ზია შენიშვნა არ მიეცა უკრაინელი ამხანაგებისათვის, რათა მათ საგამომცემლო გეგმაში თარგმანების რაოდენობა გაეფართოვებინათ, ეთარგმნათ მოძმე ხალხთა ლიტერატურა, ძათ შორის ქართული. ამავე ამონაწერიდან ისიც ჩანს, რომ მწერალი ცალმხრივი როლია, იგი მოითხოვს ჩვენც ეთარგმნოთ საუკეთესო უკრაინელი მწერლებიო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ჯავახიშვილი არა მარტო სხვათა ენიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ პირუეუ. მაგალითად, „არსენა მარაბდელი“ მწერალმა რუსულად თარგმნა. როცა ამ საკითხს ეხება, მწერალი საინტერესო მოსაზრებებს გვიზიარებს თარგმანის შემოქმედებით მომენტებზე¹. ის ამბობს, რომ ამ თარგმანში არსებითად არაფერი შემიცვლია, მაგრამ ლექსიკა და ორნამენტი საკმაოდ შეიცვალა (ხაზი ჩემია — ტ. კ.). საინტერესოა, რას გულისხმობს მწერალი „ორნამენტი“ ამას იქვე ეგებულობთ, როცა აცხადებს. რომ: „თარგმანი მხოლოდ სარჩულია დედნისა და ბევრი რამე იკარგება, ნამეტან კი ისეთ ავტორს ეკარგება, ვინც ფოლკლორით არის დატვირთული“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.). მართლაც, „არსენა მარაბდელში“ ხომ უხვადაა გამოყენებული ხალხური ანდაზები, სიმღერები, გამოთქმები, რომლებიც ნაწარმოებს ამკობს ორნამენტივით. აი, ამ ორნამენტებს გულისხმობს მ. ჯავახიშვილი. თარგმანის დროს მათი გადატანა სხვა ენაზე ძნელდება და, ცხადია, იკარგება.

ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება თარგმანის ისტორიიდან. მაგალითად, რატომ ჭირს ვაჟას ან გალაკტიონის გადათარგმნა? ცხადია, იმ „ორნამენტებისა“ და პოეტური სამკაულების სიმრავლისა და სიღრმის გამო, რომლებიც მათ ნაწარმოებებს ამკობს.

მ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ თარგმანი შემოქმედებითი პროცესია, ამ დროს ხდება შემოქმედებითი მუშაობაც. ამ დასკვნას ჩვენ იქიდან ვაკეთებთ, რომ ზემოაღნიშნულ წერილშივე „არსენას“ თარგმანზე აცხადებს, რომანმა რუსულად თარგმნის დროს წააგოო, „მაგრამ აქა-იქ მცირედი რამეც მოიგო და მეორე ქართულ გამოცემაში ამ მონაგების გადატანა დამკვირდება“. თუმც აქ კონკრეტულად ლაპარაკია ავტორისეულ თარგმანზე. როცა თვით ავტორი თარგმნის, მაგრამ საერთოდაც შეიძლება იმის აღიარება, რომ თარგმანის დროს შემოქმედებით პროცესთან გვაქვს საქმე.

¹ ურ. „დროშა“, № 9, 1933 წ., მ. ჯავახიშვილი. „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“.

მიხეილ ჭავჭავიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებების დროიდან თარგმანის თეორიამ ჩვენში ძალზე წინ წაიწია, დაიწერა სპეციალური წიგნები (მაგ. გ. გაჩეჩილაძე), პრესაში გამოქვეყნდა მრავალი წერილი თარგმანის თეორიაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, დღევანდელი მდგომარეობის დონიდანაც კი მ. ჭავჭავიძის მოსაზრებები თარგმანის საკითხებზე ზედმიწევნით კვალიფიცირებული და გამართულია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება განაპირობა მ. ჭავჭავიძის მიერ იმ მემკვიდრეობის სათანადო შესწავლამ, რომელიც ჩვენს ერს მოეპოვება დაწყებული ადრინდელი საუკუნეებიდან და გათავებული 39-19 საუკუნის შესანიშნავი თარგმანებით. მარტო ათონელების, საბას, მაჩაბლის ნაღვანის შესწავლა-გააზრება იკმარებდა სწორი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად. ამასი მწერალს ხელს უწყობდა აგრეთვე რუსული და უცხოური ენების მშვენიერი ცოდნა.

შემოქმედების ფსიქოლოგია და წარის ბიქნიკური მხარე

ამ საკითხზე მ. ჭავჭავიძის ზედმიწევნით საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული როგორც საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისე ზოგადად აღიარებულები. ეს მოსაზრებები უმეტესად თავმოყრილია მწერლის ორ წერილში — „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“¹ და „როგორ ვმუშაობ“².

მწერლის ფსიქოლოგია და შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებანი რთული და ფაქიზი საქმეა. აქ არ არსებობს რაიმე დოგმა და დადგენილი კანონი, რადგან იგი ინდივიდუალური, ხშირად მწერლის სუბიექტური თვისებებისა და ხასიათის თავისებურებაზეა დამოკიდებული. ამიტომ მით უფრო საინტერესოა დიდი მწერლის დაკვირების გაცნობა.

როგორ უჩნდება შემოქმედს თემა, რატომ უჩნდება მას მოთხონილება — დაწეროს ესა თუ ის ნაწარმოები? ამ კითხვაზე თავისებურად პასუხობს მ. ჭავჭავიძელი, როცა იგი ეხება საკითხს, თუ რამ აფიქრებინა ხელი მოეკიდა „არსენა მარაბდელისათვის“. ამის მიზეზად მწერალი ასახელებს ორ გარემოებას: 1. ვაჟაკობის კულტსა და ერთგვარ სულიერ კეთილშობილებას, რომელიც ოძე-

¹ ეურნ. „დროშა“, № 9. 1933 წ.

² „მნათობი“, № 10. 1933 წ.

ლაშვილს გააჩნდა და 2. არსენას დროშაზე დაწერილ უდიდეს სოციალურ სიმართლეს — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენს!“

მაგრამ ეს ორივე თვისება ოძელაშვილისა მწერალს ხომ აღრიცქვონდა გაგონილი და გაგებული. ანდა რამდენმა იცოდა ეს ორივე გარემოება, მაგრამ ხომ არ დაუწერიათ არსენას შესახებ? ამ კითხვაზე და შემოქმედის ფსიქოლოგიაზე მ. ჭავჭავიძევილი იძლევა საინტერესო პასუხს.

„ერთი უცნაური მოვლენა არსებობს: შემოქმედი ძალიან ხშირად ხვდება ამა თუ იმ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტიპს, მაგრამ მხატვრის თვალით ვერ ხედავს მას. იცის, რომ იგი არსებობს, მაგრამ იგი ბუნდოვანია, სქემატური. მერმე უცებ თვალს აახელს და ეს ტიპი თუ მოვლენა ნათლად აგესვეტება თვალწინ. ოდესღაც „არსენას ლექსი“ მეც ზეპირად ვიცოდი, მაგრამ თვითონ არსენაც და მისი თილისმური გამარჯვების მიზეზიც ეხლად ამეშოტა თვალწინ და იმ დღიდან ამ თემას ორივე ხელით დავწვდი“.

მაგრამ შემოქმედს ნაწარმოების მარტო დაწყება როდი აწვალელებს. არა ნაკლებ რთულია მეორე პროცესი — ნაწარმოების დამთავრების შემდგომი პროცესი. მ. ჭავჭავიძევილი გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას: „არსენა მარაბდელის“ დედანიც და რუსული თარგმანიც 14—15 თვის წინ დავასრულე, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ, შემოქმედება თავისთავად გრძელდებაო. მწერალს მას შემდეგ კიდევ მრავალი ჩანაწერი გაუკეთებია ლექსიკის, ხალხური ფორმების, მხატვრული სახეების შესახებ. იგი მოსწრებულად ამბობს, ამგვარ მასალას აქამდე მე დავდედი, ახლა კი თვითონ ის დამდეგსო. ესეც არაფერია, ამბობს მ. ჭავჭავიძევილი, გამოცდილებით ვიცი, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადს უნდა მდიოსო. ეს დასკვნა კი მწერალს იქიდან გამოუტანია, რომ „ჯაყოს ხიზნებიცა“ და „თეთრი საყელოც“ დამთავრების შემდეგ დიდხანს არ ასვენებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ჭავჭავიძევილი მშვენიერ შედარებას ხმარობს: „ამ მხრივ ხელოვანი იმ ბერძნულ მითიურ არსებას ჰგავს, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ველარ დააწყნარა“.

შემოქმედების ფსიქოლოგია მ. ჭავჭავიძევილს ძალიან ძნელ რამედ მიაჩნია, რადგან იგი შეუსწავლელია. ხოლო რაც შესწავლილია და რა მოსაზრებებიც არსებობს, ისიც მეტისმეტად ჰრელიცვალებადი და დაუდგარია. კაცმა რომ თქვას, მწერალს მაინცდამაინც არც სურს, რომ შემოქმედების ფსიქოლოგია ზედმიწევნით ვინმემ შეისწავლოს, „ვინაიდან შემოქმედება და სიყვარული თანაბრად გაურბიან მეტაფორებს“.

მაგრამ მ. ჭავჭავაძე იქვე აცხადებს, რომ, რაკი შემოქმედებაც და მისი ფსიქოლოგიაც არსებობს, ვინმესთვის (ალბათ ახალგაზრდა შემოქმედნი ჰყავდა მხედველობაში — ტ. კ.) სასარგებლო იქნება მაინც ჩაიხედოს ამ საქმეში. რატომ სასარგებლო? იმიტომ, რომ გამოიყენოს სხვისი გამოცდილება თავის მუშაობაში.

მწერალი გვიზიარებს თავის აზრს „ჩანჩურას“ დაწერის თაობაზე და ამით თავის შემოქმედებით ფსიქოლოგიას გვიმხელს: „იმ დროს მწერლობაში „საწყალი კაცი“ იკლავებდა და მეც მიმიზიდა. ერთხელ ბაზარში მათხოვარა დავინახე — ჭუჭუა, უბადრუკი. მუნჯი, მასხარა. დიდხანს ვსდიე და ვუთვალთვალე. მერე საღამოს შვიდ საათზე ჩავუქეცი და მეორე დღეს თორმეტ საათზე ავდექი. ასე დაიბადა „ჩანჩურა“. ეს მოთხრობა ორჯერ გადავწერე და „ცნობის ფურცლის“ რედაქციას მივუტანე, რომელმაც ერთი კვირის შემდეგ მწერალთა ოჯახში შემიყვანა“¹.

იმ ჭუჭუა კაცს რომ არ შეხვედროდა, ამ შეხვედრას მ. ჭავჭავაძის შემოქმედებით ფსიქოლოგიაზე კვალი რომ არ დაემჩნია. ალბათ „ჩანჩურაც“ არ დაიწერებოდა. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს. რომ იგი მწერალი არ იქნებოდა. ცნობილია, რომ მ. ჭავჭავაძე აღრეც „წერდა და ხევდა“. იგი შინაგან მოთხოვნილებას განიცდიდა, რომ ეწერა, მაგრამ კონკრეტულმა გარემომ — მათხოვართან შეხვედრამ — მის ფსიქოლოგიას ბიძგი. მისცა და „ჩანჩურა“ დააწერინა.

ასეთივე ბიძგს მოყოლია მ. ჭავჭავაძის რიგი ნაწარმოებებისა, მაგალითად, „ჭაყოს ხიზნები“.

ამაზე თვით მწერალი გვიყვება. მას 30 წლის წინათ ჭავის ხეობაში უცნაური ვინმე შეხვედრია. იგი ბრგე, ბანჯგელიანი, ცბიერი. ხარბი და მოხერხებული ყოფილა. ამ დროიდან 10 წლის შემდეგ ფილო ყაზბეგს ასეთი ანგდოტი უამბნია:

„ნაყმევმა თავის კნენას ძღვენი მოართვა.

— გამარჯობა, ჭაყო!

— კნენას გახლავარ!

— რასა იქმ, როგორა ხარ?

— ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირიმე.

— ცოლშვილი როგორა გყავს?

— სულ კარგად ხართ, გენაცვალე.

— რამდენი შვილი გყავს, ჭაყო?

— თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.

¹ „მნათობი“, № 10, 1933 წ.

— როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?

— მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! — მიუგო ნაყმევმა“.

მწერალი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სამ სიტყვაში უფრო მეტი „მწვავე პილიპილი“ ეყარა.

რა მოყვა ამ ანეგდოტის მოსმენას? ამას ის მოყვა, რომ ცნობიერებაში აღრე ნანახი ჯაველი ოსი გაცოცხლებულა, ამ უწმაწურ ანეგდოტს ჩახლართვია და მწერლის მეხსიერების ერთ-ერთ კუნძულში დაუბუღებია. კიდევ გასულა ათიოდე წელიწადი და „იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გამიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. იი ზოგჯერ რა უცნაურად იზადება ტიპი“, ამბობს მ. ჯავახიშვილი.

ამ კონკრეტული ფაქტიდანაც ვგებულობთ შემოქმედების ფსიქოლოგიის ერთ თავისებურებას — ტიპის გაჩენისა და გაცოცხლების პროცესის თავისებურებას.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება პროტოტიპს მხატვრული ნაწარმოებისათვის. არა ერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ პროტოტიპის ყოლა მწერალს ხელს უწყობს ცოცხალი ტიპის დახატვაში. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ამ საკითხზე. მწერალი წერს: „მოგონილი ტიპი მჭრალი გამოდის, პროტოტიპიდან გადმოცემულს კი მეტი სიცოცხლე ეტყობა“ და საილუსტრაციოდ ასახელებს არსენას. ღვთისავარს, ლაცაბიძეს, რომელთა პროტოტიპებსაც კონკრეტულად მიუთითებს: „არსენას ტიპის ასახვის დროს ჩემი ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე მედგა თვალწინ. ღვთისავარი პაპაჩემი ანდრო ბურნაძეა, ლაცაბიძე თავად მელიქიშვილის მზარეული სანდროა“.

ასევე საინტერესოა მ. ჯავახიშვილის აღიარება, თუ რა იძლევა ნაწარმოების დაწერის პირველ იმპულსს: გაგონილი ამბავი, დაკვეთა, სახე თუ სხვა რამ. მწერალი პასუხობს, რომ ერთიც, მეორეც და მესამეცო. შემდეგ განმარტავს, თუ რომელი ნაწარმოების დაწერის ბიძგი რამ და ვინ მისცა: „თავდავიწყება“ სვ. ყიფიანს უამბონია, „ტყის კაცი“ — პაოლო იაშვილს, „ორი განაჩენი“ — შ. დადიანს, „მართალი აბდულაჰ“ — სანდრო შანშიაშვილს, „თეთრი კურდღელი“ — პროფ. ასათიანს.

მაგრამ განა შემოქმედებისათვის მარტო ეს კმარა? რასაკვირველია, არა! ყველას გადახდენია რალაც, ყველასათვის უამბნიათ ბევრი რამ, მაგრამ ნაწარმოები ყველას როდი დაუწერია. რომ დაწერო „ის თილისმური ქმნილება, რომელიც თვითონაც ფეთქავს, ჯადოსნობს და ჩვენც გვათროლოებს და გვაჯადოებს“, გარდა ცოდნისა, ნანახისა და განცდილისა თუ განაგონისა კიდევ და აუცილებ-

ლად საჭიროა „ერთი ისეთი რამეც (ნიჭი, „რაღაც“), რაც ჭერჭერობით უძლეველია და მიუგნებელი“¹.

ასეთია მ. ჭავჭავაძის მოსაზრებები იმ რთულ საკითხზე, რომელსაც შემოქმედების ფსიქოლოგია ჰქვია.

არანაკლებ ინტერესს იწვევს ჩვენში მეორე საკითხი, რომელსაც პირობითად შემოქმედების ტექნიკა ვუწოდეთ, როგორც თვით მ. ჭავჭავაძი იტყოდა.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ყურადღება გვინდა მივაქციოთ მწერლის მუშაობის დაგეგმვას. ამ საკითხს ყველა მწერალი თავისებურად წყვეტს. ზოგი წინასწარ ადგენს ნაწარმოების გეგმას, ზოგი გზადაგზა; ზოგი დღისით მუშაობს, ზოგიც დამით და ა. შ.

კითხვაზე, — აქვს თუ არა წინასწარი გეგმა — მ. ჭავჭავაძი პასუხობს, ჩემი პასუხი გაგიკვირდებათო. შემდეგ იგი განიხილავს შემოქმედის ორ ტიპს: პირველი წერის დაწყებამდე მთელ რომანს აზრად წერს, ხოლო მეორე კი ისე დაიწყებს წერას, რომ მკაფიოდ ვერ ხედავს სახეს, იდეას, ტიპს. მე ამ მეორე ტიპს ვეკუთვნიო, წერს მწერალი. „რამდენჯერმე მიცდია გეგმის შედგენა, მაგრამ მალე მიღალატნია, დამვიწყებია, დამიხევიო. გეგმა წერის დროს მუშავდება. მას ჩემი გმირები და ფაბულის განვითარების პროცესი ამუშავებენ“². სანამ წერას შევუდგებოდეთ, წერს ავტორი, ბინდებუნდად ვხედავ ამბის ლერძს, შემდეგ კი თანდათან ყველაფერს შუქი ეფინებაო.

ცხადია, ეს პრაქტიკა ყველა შემოქმედისთვის მისაღები ვერ გახდება, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოქმედება ინდივიდუალური პროცესია და ზოგადი კანონების მიყენება მას ვერ მოუხდება. მაგრამ მაინც საინტერესოა როგორ ხსნის, როგორ განმარტავს მ. ჭავჭავაძი გეგმის ნგრევის პროცესს წერისას. ის ამბობს: „გეგმა იმიტომ ინგრევა, რომ იგი მხოლოდ მშრალი გონების ნახელავია, წერის დროს კი „ორნი არიან, ძმანი არიან“. გონება და გუჟმანი ყვეარივით მუშაობენ ხელიხელ ჩაკიდებულნი“³ (ხაზი ჩემია. — ტ. კ.).

ზემოთაც შევნიშნეთ, რომ მ. ჭავჭავაძი მხატვრულ შემოქმედებას ამ ორ საძირკველზე აშენებს — გონებაზე და „გუჟმანზე“, ე. ი. აზრი და გრძნობა ნამდვილი შემოქმედების ანი და ბანია. ყოველი გეგმა განხორციელების პროცესში ზუსტდება და იხვეწება, იცვლება და ივსება. ასევე ესმის მწერალს მხატვრული შემოქმე-

1 „მნათობი“, № 10, 1933 წ., გვ. 190

2 იქვე, გვ. 194.

3 იქვე.

დება და ჩვენ ვფიქრობთ, ეს სრულიად პუნებრივია. იგი გემას კი არ უარყოფს, არამედ გეგმის დოგმად ქცევის წინააღმდეგია.

როცა „არსენა მარაბდელზე“ მუშაობის გამოცდილებას გვიზიარებს, მწერალი წერს: „მასალების შეგროვების დროს თანდათან ვწერდი ფაბულის, სიუჟეტის, ტიპჟისა და კომპოზიციის გეგმას, მაგრამ ეხლაც უწინდელი ამბავი დამემართა: დაწერილი გეგმა გაქპრა და ხელთ ჩონჩხილა შემრჩა... მიუხედავად ამისა, წინდაწინვე ვწერდი ერთი-ორი თავის გეგმას და სამისო მასალასაც წინასწარ ვამზადებდი“.

ასე რომ, მ. ჯავახიშვილი წინასწარ ადგენს ნაწარმოების გეგმას. თუმცა წერის დროს იგი იცვლება, ზუსტდება და ივსება, მაგრამ გეგმა „ჩონჩხის“ მოვალეობას მაინც ასრულებს. ეს კი ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან წერის პროცესში გონებასთან ერთად „გუმანიც“ ებმება მუშაობაში და ამ ორი ძალის ნაყოფი თუ შედეგი, ცხადია, სხვანაირი იქნება.

ზემოაღნიშნულ ორ წერილში მ. ჯავახიშვილი ეხება მუშაობის ტექნიკას თუ ორგანიზაციის სხვა კონკრეტულ-პრაქტიკულ საკითხებსაც.

ამათგან საინტერესოდ მიგვაჩნია მასალების მოპოვების ორგანიზაცია, მასალების მოპოვებაზე მუშაობა. ცხადია, ყველაზე პეტი შრომა და ჯაფა მწერალს „არსენას“ გამო დასჭირდა, რადგან. როგორც თვით მწერალიც ამბობს და ყველაამაც იცის, გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია რომანის დაწერის დროისათვის სრულიად შეუსწავლელი იყო და ამიტომ ბევრი არქივისა და ბიბლიოთეკის ფონდების ქექვა თვით მწერალს მოუხდა. ამით იყო გამოწვეული, რომ 1926 წ. „არსენას“ პირველი თავი გამოქვეყნდა „მნათობში“, მერე შეწყდა მისი ბეჭდვა. „იმიტომ შეეწყვიტე, რომ მოგროვებული მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა“, წერს მ. ჯავახიშვილი.

მ. ჯავახიშვილი იმ აზრისაა, რომ საჭიროა „საკმაოზე მეტი“ მასალის დაგროვება. იგი მას მიაჩნია მოთხრობისა თუ რომანის „ფაქტებზე აშენების მკვიდრ საძირკველად“ „საკმაოზე მეტი“ მასალის დროს მწერალს არჩევანის საშუალება ეძლევა. მწერალი არ ნანობს, რომ „არსენას“ წერისას მრავალი ზედმეტი მასალა დარჩა გამოუყენებელი, თუმცა ამათ მოსაპოვებლად უამრავი ზედმეტი ენერგია დაეხარჯა. მ. ჯავახიშვილი იხსენიებს, რომ 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული 28 ხელთნაწერი ტომი,

რომელიც რუსეთიდან ჩამოიტანეს, პირველად მას წაუყიფთხავს. ამას ემატება ამავე საკითხზე ჩვენს არქივებში დაცული 8—9 ტომი. საქმე ისაა, რომ ამ ტომების გადაკითხვის შემდეგ მწერალს არაფერი გამოუყენებია, გარდა იმისა. რაც მანამდეც სცოდნია. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, გარკვეული კვალი მწერლის გონებაზე უეჭველად დატოვა ამ გადაკითხულმა მასალამ და ეს იგრძნობა „არსენა მარაბდელის“ იმ ადგილებიდან. რომლებიც შეთქმულების გაშუქებას ეხება.

რომანზე მუშაობისათვის მასალის მოგროვებისას მ. ჯავახიშვილი სწავლობდა ისტორიას ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმობას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ლექსიკას, ენის თავისებურებებს, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, პერსონაჟთა ბიოგრაფიას. ეპოქის საერთო სუნთქვას, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ და სხვა ათასგვარ საკითხებს. ყოველივე ამას მ. ჯავახიშვილი ახერხებდა არა მარტო დაბეჭდილი და ხელნაწერი მასალების შესწავლით. არამედ ხშირად სოფლებში სიარულით, ადგილზე საკუთარი თვალთ ნახვით, იქაურ მკვიდრთა გამოკითხვით, ხალხში თაობიდან თაობაში ზეპირად გადაცემული ამბების ჩაწერა-შესწავლითა და ა. შ.

ყველა ამ სამუშაოსათვის მ. ჯავახიშვილს კიდევ ოთხიოდე წელიწადი მოუნდომებია, 1929 წლისთვის „საქმაოზე მეტი“ მასალა დაუგროვებია და „არსენას“ წერაც განუგრძვია. „საწერი მაგიდა და მისი ცხრა უჭრაც მუდამ სავსე იყო საპირო მასალით. აქვე ეწყო რვეულები წარწერით: „ლექსიკა“, „ანდაზები“, „ისტორია“. „ეკონომიკა“ და სხვა; — იგონებს მწერალი.

მ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თვალთ ნანახსა და უშუალოდ განცდილს. ასეთი მასალა ნაწარმოებზე დადებითად მოქმედებს, იგი ცოცხალი გამოდის. მაგალითად, „არსენას“ წერის შესახებ მწერალი ამბობს: „გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალის ასახვაში ძლიერ დამეხმარა ის გარემოება, რომ მე ბორჩალოში დავიბადე, უწინდელი თრიალეთი-საბარათიანო ყრმობაშივე დავიარე“. ეს ის ადგილებია, სადაც „არსენა მარაბდელის“ გმირებს უხდებათ მოქმედება. მკითხველი რომანის გეოგრაფიულ ფონს ისე განიცდის, როგორც მოგზაურის თვალთ ნანახს. ეს კი უშუალო განცდას იწვევს, რაც მწერლის მიერ ამ გარემოს ზედმიწევნით კარგი ცოდნით არის გამოწვეული.

მწერალს მიაჩნია, რომ დაკვირვება და ავტობიოგრაფია განუყრელად არის ერთმანეთში ჩახლართული. „განცდილი და საკუთარი თვალთ ნანახი ისევე არა ჰგავს მოგონილს, როგორც სუ-

ლიერი უსულოს“. ეს დებულება შეიძლება პირდაპირ გამოვაცხადოთ სახელმძღვანელო მითითებად. მ. ჭავჭავაძის მწერლისთვის აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს ბევრის ნახვას, მოგზაურობას. დაკვირვებას, ჩანაწერების კეთებას და შთაბეჭდილებების გამდიდრებას. როცა ყოველივე ამით დაიტვირთება, მწერალი უნდა დაჯდეს და წეროს.

თავისი შემოქმედებითი პრაქტიკიდან მ. ჭავჭავაძის გვიხიარებს გამოცდილებას, რომ საჭიროა დაწერილის მრავალჯგონის გასწორება და გადაწერა. მაგალითად, „არსენას“ 4—5-ჯერ ვასწორებდით, ზოგ ეპიზოდს ხელახლა გადაწერდი ხოლმეო ან იმიტომ, რომ ბევრი რამ იყო შესაცვლელი, ანდა იმიტომ, რომ მე თვითონ მომწონდა ეს ადგილი და მინდოდა უფრო კარგი გამოსულიყო. „არსენა მარაბდელს“ მრავალი სწორება-გადაწერა განუტდიოთუ კორექტურებსაც ჩავთვლით, მწერალს იგი 8—9-ჯერ გაუტარებია თავისი კალმის ქვეშ. ცხადია, ეს უდიდეს შრომას და ენერჯიას მოითხოვდა, მაგრამ შედეგიც ხომ უდიდესია.

კიდევ ერთი დაკვირვება. მ. ჭავჭავაძის იმ აზრისაა, რომ ავტორმა ნაწარმოები უნდა „დაასვენოს“, თვითონაც დაისვენოს და მერე გადაიკითხოს, გადააკეთოს. ეს ოპერაციები უნდა გაგრძელდეს და განმეორდეს, სანამ ნაწარმოები საბოლოოდ არ „დამწიფდება“. მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაუტანო შენი ნაწარმოები მკითხველს. აჩქარება ნაწარმოებზე უარყოფითად მოქმედებს, მის ხარისხს აზარალებს.

მ. ჭავჭავაძის ეს დაკვირვებები, რომლებიც შეეხება შემოქმედების ფსიქოლოგიასა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომენტებს, იმაზე მეტყველებს, რომ მწერალი დაჯილდოებული იყო დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარით და დიდ ერუდიციასთან ერთად შესანიშნავი ლიტერატურული ალლო და გემოვნება ჰქონდა.

დამოკიდებულება კლასიკური მიმკვიდრობისადმი

მ. ჭავჭავაძის მშვენივრად იცნობდა არა მარტო ქართულ მწერლობას, არამედ რუსულსა და ევროპულსაც. უცხოური ენებისა და რუსულის საუკეთესო ცოდნამ, ამ ქვეყნებში გატარებულმა წლებმა ხელი შეუწყო მწერალს. აეთვისებინა ყველაფერი, რაც კი ურადლებს ღირსი იყო. პარიზის უნივერსიტეტში სწავლის დროს კი

მ. ჭავჭავაძის მონდომებით დასწავებია ფრანგულ მწერლობას და შეუყვარებია იგი.

მაგრამ მ. ჭავჭავაძის მშობლიურ ლიტერატურას განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობა. იგი არა მარტო თვითონ სწავლობს ამ მემკვიდრეობას, არამედ ცდილობს სხვა-საც აღუძრას სურვილი მისი შესწავლისა. ამით აიხსნება მწერლის გულისტყვილი, როდესაც აცხადებს: „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენმა ინტელიგენციამ უფრო ნაკლებად იცის, ვინემ ხალხმაო. მოაქვს ერთი მაგალითი, რომ საგურამოში ერთი მეცხვარე და მკედელი ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ პოემის ზეპირად ცოდნაში, განათლებულმა ქართველმა კი ეს გენიალური პოემა ზეპირად რამდენმა არ იცისო!.

საერთოდ საგაბგებო აღნიშვნისა და განხილვის ღირსია მ. ჭავჭავაძის არაჩვეულებრივი ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“. მწერალმა სამი წერილი უძღვნა ამ საკითხს და სხვადასხვანაირი კუთხით განიხილა იგი. ცნობილია, რომ ჩვენი მწერალი არჩეული იყო შოთა რუსთაველის საიუბილეო კომისიის წევრად. აქ იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. საერთოდ 1937 წლის იუბილეს წინა წლები გამოირჩევა „ვეფხისტყაოსნის“ ინტენსიური შესწავლით ამ საქმეში მ. ჭავჭავაძისათვის თავისი წვლილი შეუტანია. სანამ ამ წვლილზე შევჩერდებოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და კვლევა ახლაც გრძელდება, ამით არის გამოწვეული ახალი ავტორიტეტული და კვალიფიციური კომისიის შექმნა საქართველოს მთავრობის მიერ. ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად აქტუალური და საპატიო საქმე იყო და არის ჩვენი ერის უძვირფასესი განძის — „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა-შესწავლა.

ჩანს, ეს მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდა მ. ჭავჭავაძის. პირველად „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ იგი გამოვიდა კონსტანტინე კიკინაძის რედაქციით გამოცემული პოემის რეცენზიით¹ ამ წერილში მწერალი ამჟღავნებს ლიტერატურის თეორიის ზედმიწევნით კარგ ცოდნას. იგი ფაბულის, სიუჟეტის და კომპოზიციის მხრივ განიხილავს, აანალიზებს „ვეფხისტყაოსანს“ და ამ საფუძველზე გამოაქვს დასკვნები. საკითხი შეეხება ნამდვილი ტექსტის დადგენას. ვანსაკუთრებით კი დაბოლოებას. ამ ასპექტში მწერალს მიაჩნია, რომ: 1. „ვეფხისტყაოსანი“ უცნობ-ნაცნობ ავტორებს თავიანთი ჩა-

¹ „მნათობი“, № 9, 1934 წ., გვ. 171.

² „მნათობი“, № 9, 1934 წ., მ. ჭავჭავაძის, „ვეფხისტყაოსანი“ კ. კიკინაძის რედაქციით.

სამატებით და ჩანართებით შეურყვნიათ, 2. არ არის გამორიცხული იმისი შესაძლებლობა, რომ თვით რუსთაველსაც „მრავალჯერ არ შეესწორებინოს თავისი უძვირფასესი პოემა და რამდენიმე ვარიანტი არ გაევერცელებინოს“ და 3. გადამწერთაც ნებისთი თუ უნებლიედ მრავალი შეცდომა შეუტანიათ პოემასი.

ამ სამი გარემოებით ხსნის მ. ჭავჭავაძე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერ ტექსტთა სხვადასხვაობას, მათ შორის განსხვავებულებას. მართლაც რატომ არ შეიძლება, რომ სამივე ეს გარემოება განაპირობებდეს პოემის რედაქციითა სხვადასხვაობას? ცხადია, რუსთაველსა და მისი საკითხში გაცილებით კომპეტენტურნი არიან, მაგრამ არასპეციალისტთაც შეუძლიათ რომელიმე მსჯელობა სარწმუნოდ ან ურწმუნოდ მიიჩნიონ.

შემდეგ მ. ჭავჭავაძე იძლევა პოემის შინაარსობრივ ანალიზს, მასზე დაყრდნობით მსჯელობს სიუჟეტზე, ფაბულაზე, კომპოზიციასზე. განსაკუთრებულ ყურადღებას აჩერებს ტარიელისა და ნესტანის შეხვედრაზე ქაჭეთის ციხის აღებისას. გამოთქვამს აზრს, რომ რუსთაველი თითქოს აქ უნდა შეჩერებულიყო. პოემა აქ უნდა დამთავრებულიყო, რაკი მიზანი მიღწეულია. მაგრამ არა, რუსთაველი აქ არ გაჩერებულა, რადგან მას ვრცელი მოყოლა უყვარს, დაწერილებით, ისე რომ, მკითხველს არ მიანდობს აზრის გაგრძელებას.

მ. ჭავჭავაძის მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სანიმუშო რომანია, რომელიც რამდენიმე კომპოზიციურ მეთოდს, რამდენიმე თემას და პარალელურ მოთხრობას შეიცავს და ყოველ მათგანს საკუთარი სათავე, საკუთარი გეზი და საკუთარი ბოლო აქვს. მწერალი იქვე დასძენს, რომ პოემა თავისი აღნაგობით „გუმბათიან ტაძარსა ჰგავს, გუმბათის როლს ტარიელის მიერ ინდო-ხატაელთა ამბავი ასრულებს“¹.

როცა მ. ჭავჭავაძე ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანზე“ ლაპარაკობს, მიუთითებს, რომ ვახტანგმა პოემას გუმბათი მოაძრო და მის ნაცვლად „ხახვის ოდენა ბოლქვი დაადგა („ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს“) და ყველაფერი დაარღვია — საერთო სტილიც, მხატვრული ალლოც, კომპოზიციის მთლიანობაც, პრაქტიკის გრძნობაც და რომანის ელემენტარული წესიც“². ეს დასკვნა მწერალს გაკეთებული აქვს სათანადო მსჯელობის შედეგად.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირად ქ. ჭიჭინაძეს ტარიელი მიაჩნია და არა ავთანდილი. მ. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება სრულიად

¹ „მნათობი“ № 9, 1934 წ., გვ. 171—191.

² იქვე.

გაუზიარებია. იგი აგრეთვე უდავოდ თვლის, რომ პოემის დედა-ღერძიც ტარიელის თავგადასავალია. „არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ პოემა ავთანდილის ამბავით იწყება. ეს მხოლოდ კომპოზიციური ხერხია და მეტი არაფერი“, აცხადებს მ. ჭავჭავაძე.

მ. ჭავჭავაძე პოემაში კიდევ ერთ ხაზს ხედავს — მამული-შვილობას (ილია ჭავჭავაძის ტერმინი ვიხმართო, ამბობს მწერალი), ე. ი. პატრიოტიზმს.

რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს კ. ჭიჭინაძის მუშაობას. მისი გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნია უფრო სრულად და გამართულად. გამომცემლის მსჯელობა-დასაბუთება მოსწონს, მის მოსაზრებებს იზიარებს და მიაჩნია, რომ კ. ჭიჭინაძემ რუსთველოლოგიის საგანძურში დიდი განძი შეიტანა.

თავს ვიკაევბთ ჩვენი თვალსაზრისის გამოთქმისაგან აქ განვითარებულ დებულებებზე, რადგან ეს სიტყვა რუსთველოლოგებს ეკუთვნის. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ განხილული რეცენზია სანიმუშოა თავისი კომპოზიციით, საკიოხის ირგვლივ ლოგიკური მსჯელობის უნარით, და მახვილი აზროვნებით და საერთო ელფერით.

მ. ჭავჭავაძე ცალკე წერილში შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარის დადგენის საკითხს — რუსთაველი თუ რუსთველი. სწორედ ამ სათაურით დაბეჭდა მან წერილი გაზეთ „კომუნისტში“. ეს არის გამოჩნაურება პროფ. ი. აბულაძის წერილზე. მ. ჭავჭავაძე იქ მხარს უჭერს „რუსთაველს“. მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ჩვენს უდიდეს პოეტს ტრადიციული ბედი ეწვია“ — დანამდვილებით არ ვიცით არც თარიღი მისი დაბადებისა და სიკვდილისა, არც ვინაობა, არც ცხოვრება, არც მისი საფლავი, არც უდავო ტექსტი პოემისა და ისიც კი ვერ გადაგვიწყვეტია, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მისი ფსევდონიმი — რუსთაველი თუ რუსთველი.

ი. აბულაძე „რუსთველს“ ემხრობოდა შემდეგი გარემოებების გამო: 1. თვით პოეტი წერს: „დავჯდე რუსთველმან...“ „მე რუსთველი ხელობითა...“, ე. ი. პოემის ტექსტში „რუსთველი“ გვხვდება. 2. სხვა ავტორებსაც — არჩილს, გურამიშვილს, თეიმურაზს — „რუსთველი“ უწერიათ. მ. ჭავჭავაძე იკამათება ი. აბულაძეს და მიუთითებს, რომ დასახელებული ადგილები ლექსებიდანაა, პოეტური სტრიქონებია, რომელთაც გარკვეული მეტრი გააჩნიათ. ამის

¹ „კომუნისტ“, 26 ოქტომბერი. 1934 წ., მ. ჭავჭავაძე, „რუსთაველი თუ რუსთველი“.

გამო შეიძლებოდა ხმოვნის ჩაყლაპვა. რუსთაველი ვერ დაწერდა. „დაეჭდე რუსთაველმან გავლექსე“ ან სხვა მისთანას, რადგან რვა-მარცვლოვანი ლექსის ნაცვლად ცხრამარცვლოვანს მივიღებდითო და ეს კი პოეტს სამარეს გაუთხრიდაო. მრავალი მაგალითისა და მოსწრებული მსჯელობის საფუძველზე მ. ჭავჭავაძის ასკვნის, რომ „რუსთაველი“ ლექსის მეტრმა შემოიტანა და თუ ორიოდ ალაგას პროზაშია უხმარიათ, ეს ანალოგიას, მიმბაძველობას უნდა მივაწეროთ“.

გარდა ამ საბუთიანობისა და მტკიცებისა, მ. ჭავჭავაძის სხვა მხრივაც უდგება საკითხს: თითქმის ყველა ლიტერატორი და მთელი ხალხი „რუსთაველს“ წერს და ამბობს და ესეც საკმარისია იმისათვის. რომ საკითხი სადავო აღარ გაგვეხადაო.

ამასაც არ სჯერდება მ. ჭავჭავაძის და ანალოგიას მიმართავს. არავინ იტყვის „ციხისთველი“, „ხიდისთველი“ და ა. შ., ე. ი. აქ შეკუმშვა არ ხდება და რაღა „რუსთაველში“ უნდა შეკუმშოთო.

ბოლოს მწერალი ისევ იმ აზრს უბრუნდება, რომ საჭიროა ხელი ავიღოთ ამ დავაზე და „რუსთაველი“ დავტოვოთ.

1962 წლის დასაწყისში „ლიტერატურულმა გაზეთმა“ დაბეჭდა აკად. აკ. შანიძის წერილი, რომელშიაც ისევ ეს საკითხია დასმული. აქ მეცნიერი „რუსთაველს“ ემხრობა და კატეგორიულად აცხადებს, შეკუმშული ფორმა უფრო სწორია და ამიერიდან ეს უნდა ვიხმაროთო.

მაგრამ, მიუხედავად ჩვენი დიდი პატივისცემისა და მოკრძალებისა აკად. ა. შანიძის მიმართ, მაინც უნდა ითქვას, რომ ასეთი კატეგორიული განცხადება მაინცდამაინც დამაჯერებელი და საბოლოოდ გასაზიარებელი ვერ მოჩანს. საქმე ისაა, რომ მიხეილ ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ წერილში მსჯელობა, ლინგვისტური, მეცნიერული მტკიცება და მოსწრებული მიხედვრები ნაკლებ დამაჯერებელი როდია. გარდა ამისა, უნდა გავიხსენოთ, რომ შექმნილია ახალი ავტორიტეტული კომისია, რომელიც პოემის ტექსტთან ერთად, ალბათ, ამ საკითხსაც საბოლოოდ დაადგენს.

მესამე წერილში, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებისათვის¹, მიხეილ ჭავჭავაძის მიზნად ისახავს გაარკვიოს პოემის დაბოლოების საკითხი. სად დაამთავრებდა პოეტი პოემას და რა შეიძლება ეკუთვნოდეს ე. წ. გამგრძელელებს. აღებული საკითხის გარკვევისათვის მწერალი მოიშველიებს ნაწარმოების მხატვრული და შინაარსობრივი ანალიზის ხერხს. პოემის ფაბულის.

¹ „კომუნისტი“, 15 ნოემბერი, 1934 წ.

სიუჟეტისა და კომპოზიციის თავისებურებათა ღრმა გაგებისა და გააზრების საფუძველზე მ. ჯავახიშვილი საკუთარ დასკვნამდე მიდის. უნდა დაეძინოთ, რომ ეს წერილი ერთგვარი განვრცობა და კიდევ უფრო გარკვეულობაა იმ საკითხებისა, რომლებიც მწერალმა დასვა კ. ჭიჭინაძისეული რედაქციის განხილვისას.

მწერალს ექვსგარეშედ მიაჩნია, რომ პოემას „ვიღაც უცნობმა“ მწვალებლებმა მრავალი კორქი დაურთეს“. კ. ჭიჭინაძე ცდებოდა, როცა აცხადებდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ შ. რუსთაველის ვარიანტებიაო. სხვა მრავალ საბუთს შორის კ. ჭიჭინაძემ ის საბუთიც დაასახელა, რომ რუსთაველს ვერ გაუბედავდნენ შესწორებებს და დამატებებს, რადგან პოემა სახარებასავით შეუვალად იყო მიჩნეული. მაგრამ ამ საბუთს არ აღმოაჩნდა შეუვალობის ძალა: თვით სახარებაც ხომ მრავალჯერ გადაუკეთებიათ, მასაც ხომ „უბედავდნენ“ და „შეჰკადრებდნენ“ შესწორებებს.

უფრო საინტერესოა მ. ჯავახიშვილის მიერ ლიტერატურის ისტორიიდან მოტანილი ანალოგიები: „მაგალითად, 1614 წელს „დონ-კიხოტის“ პირველ წიგნს სერვანტესის სიცოცხლეშივე ვიღაც ანონიმმა მეორე ნაწილი დაადევნა და კიდევ გამოსცა“. ამ ფაქტის გამო მწერალი დასძენს: თუ ცოცხალ ავტორს ასე უდიერად მოექცნენ, დიდი ხნის მიცვალებულ რუსთაველს რაღად მოერიდებოდნენო.

მაგრამ მ. ჯავახიშვილი აქაც იზიარებს იმ აზრს, რომ მართო ეს გარემოება არ მოქმედებდა პოემაზე. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თვით რუსთაველიც მრავალჯერ შეასწორებდა და გადააკეთებდა პოემას, ამიტომ მრავალი ვარიანტი გავრცელდებოდაო. აგრეთვე გადამწერლებსაც ნაკლები ცოდვები როდი მიუძღვით.

შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევისა და საკითხში გარკვეულობის შეტანის ყველაზე სარწმუნო ხერხად მწერალს მიაჩნია პოემის „მკვრივი ფაბულის, სიუჟეტის გახსნის ხერხების, კომპოზიციის მთლიანობის და პოემის აღნაგობის“ აღდგენა. სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობისას მ. ჯავახიშვილი იჩენს მახვილგონიერებას, ლიტერატურის თეორიის კანონების საუკეთესო მომარჯვების უნარს და დიდ ცოდნას.

ჩვენ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ ამ შესანიშნავ წერილს, თუმცა იგი რუსთაველოლოგიებისათვის ზედმიწევნით საინტერესოდ მიგვაჩნია. ჩვენ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ეს წერილი მიუთითებს არა მხოლოდ მ. ჯავახიშვილის დიდ ინტერესზე რუსთაველისადმი და მისი პოემისადმი, არამედ ავტორის კვლევის უნარიანობაზე, ლოგიკური აზროვნების უნარზე, ერუდირებაზე და

მახვილგონიერებაზეც, აგრეთვე კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ დიდ ინტერესზე, მშობლიური ლიტერატურისადმი დიდ სიყვარულზე.

ზემოთ, სხვა საკითხებზე მსჯელობისას, ჩვენ დავასახელებთ მ. ჭავჭავაძის წერილი „მოკლეს პოეტი!“¹, რომელიც ილიას მოკვლის გამოა დაწერილი. ამ წერილში მ. ჭავჭავაძის დიდი სიყვარულით აფასებს ილიას მწერლურ და საზოგადოებრივ ღვაწლს, ამასთანავე უსაზღვრო აღშფოთებასა და ზიზღს გამოთქვამს მკვლელების მიმართ. წერილის მთელი სულისკვეთება და დიდი პოეტის იქ ჩამოთვლილი დამსახურებანი იმაზე მიუთითებს, რომ მ. ჭავჭავაძის უსაზღვროდ მაღალ შეფასებას აძლევდა ილიას დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. იგი მიაჩნდა დიდ მწერლად და უღიგეს მამულიშვილად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული აზრის მპყრობელად, ხალხისათვის თავდადებისა და დამსახურის მაგალითად. ამ შეფასებაში ჩანს მ. ჭავჭავაძის დამოკიდებულება კლასიკური მწერლებისადმი, კლასიკოსებისადმი.

მაგრამ მ. ჭავჭავაძის მარტო ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას როდი აფასებდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსულ და ევროპულ მწერლობასაც იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების ღირსად მიგვაჩნია მ. ჭავჭავაძის ორი წერილი — ერთი მიძღვნილია იბსენისადმი, ხოლო მეორე — გი დე მოპასანისადმი. ისინი ცალკე ცალკე განხილვის ღირსია.

წერილში „ჰენრიკ იბსენი“² ახალგაზრდა მწერალი მ. ჭავჭავაძის განიხილავს არა მხოლოდ „ნორვეგიის გენიოსის“ იბსენის შემოქმედებას, არამედ ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და ნათლად გვიჩვენებს დრამის განვითარების სხვადასხვა პერიოდს ძველბერძნულიდან იბსენამდე. ამ დახასიათებაში თავს იჩენს ავტორის განსწავლულობა და ლაკონური მსჯელობის საუკეთესო უნარი.

ავტორს მიაჩნია, რომ ადამიანი მას შემდეგ, რაც მან აზროვნება დაიწყო, მუდამ ეძებდა სიცოცხლის, ბრძოლისა და სიკვდილის ახსნას. პირველყოფილი ადამიანი ამის მიზეზებს პოულობდა ბუნების მოკვლენებში, ხოლო კლასიკური დროის ბერძენი ყველაფერს მიაწერდა ყოვლისშემძლე უხილავ ძალას — ფატუმს (ბედისწერას).

ბერძნული ტრაგედიის არსი იყო ადამიანის ბრძოლა ამ ფატუმთან. ევრიპიდეს, ესქილესა და სოფოკლეს ტრაგედიები სწორედ ამ ბრძოლაზე და ბედისადმი ურჩობაზე არის აღმოცენებული.

¹ კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, ტფილისი, 1907 წ.

² „ივერია“, 1906 წ., № 12, 21 მაისი, მ. ჭავჭავაძის, „ჰენრიკ იბსენი“.

მ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ აღორძინებისა და რეფორმაციის ხანაში დიდებული შექსპირის კალმის მეოხებით ტრაგედიას ფატუმის საძირკველი გამოეცვალა და საამქვეყნო ნიადაგი დაედო. უწინ ფატუმი ზეციდან იძლეოდა ბრძანებებს, ახლა კი ყველაფერს განაგებს ადამიანის სურვილი და მისწრაფება. ამ ფაქტებთან ერთად მოქმედებს ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული სინდისი. შექსპირის გმირებიც იღუპებიან, მაგრამ არა ფატუმისაგან, არამედ თავიანთი სურვილებისა და ვნებათაღელვისაგან. ასეთი ბედი ეწვია ოტელოს, მაკბეტს, ჰამლეტს და რიჩარდებს.

მ. ჯავახიშვილი არც გოეთესა და შილერს ტოვებს ყურადღების გარეშე და ამბობს, რომ მათ ორივემ სცადეს ფატუმის გაცოცხლება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ: „გოეთემ ბუნებისმეტყველებაში შეტოპა და იქ დაიწყო ახალი იდეის ძებნა; ხოლო შილერმა თავის გმირებს უწინდელი ბერძნული ტრაგედიის ქურჭი წამოასხა და ამით დაკმაყოფილდა“.

აქ შეიძლება კაცმა ყველაფერი პირწმინდად არ გაიზიაროს, მაგრამ ერთი კი ცხადია: აქ არის დიდი ლიტერატურული საუბარი და ინტერესების სიფართოვე.

შემდეგში ჩვენი მწერალი ეხება მეცნიერების ზეგავლენას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. მისი აზრით, კანტმა, ლაპლასმა, ლამარკმა და ჰეგელმა მოამზადეს ის საძირკველი, რომელზეც დარვინიზმი აღმოცენდა, ხოლო თავის მხრივ დარვინის მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია ფილოსოფიაზე, იურისპრუდენციაზე, ისტორიაზე და სიტყვაკაზმულ მწერლობაზეც. ამ მოძღვრებას „მიეკედლენ ბალზაკი, ფლობერი და უფრო კი ექსპერიმენტული რომანის შემქმნელი ზოლა“.

მაგრამ მ. ჯავახიშვილი ზოლას ხელოვნებით აღფრთოვანებული როდია. იგი აცხადებს, რომ მის ნაწარმოებებში, სახელდობრ რომანში „ტერეზა რაკენი“, რომელიც შემდეგ დრამად გადააკეთა და „რენე“ უწოდა, „იყო მდებრივ ახსნა შთამომავლობის თეორიისა, მშრალი ქადაგება დარვინიზმისა, ლექციები და დარიგებჲ, მაგრამ ხელოვნება არსად ჩანდა“. რატომ? იმიტომ, რომ მას, „რენეს“ „დრამისა არა ეცხო რა“.

ასეთ მკაცრ კრიტიკოსს — მ. ჯავახიშვილს სულ სხვა აზრი გააჩნია იბსენის შემოქმედებაზე. იგი აცხადებს, რომ, რაც ვერ შეძლო ნატურალისტმა ზოლამ, იგი განახორციელა ნორვეგიის გენიოსმა დრამატურგმა იბსენმა. რითი მიაღწია მან ამ წარმატებას? იმით, რომ „თავი დაანება ზოლასებურ დიალოგებსა და პოპულარიზაციას (იგულისხმება დარვინის იდეების პოპულარიზაცია — ტ. კ.) და სცე-

ნაზე გამოიტანა ის ცხოვრება. რომელსაც იგი ხედავდა თავისი თვალთ“.

ეს შეფასება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ მ. ჭავჭავაძის ხელოვნების ნაწარმოებისაგან მოითხოვდა არა „აღწერას“, არამედ „ჩვენებას“, „დანახვებას“. ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

იბსენის რამდენიმე პიესის დასახელების შემდეგ („საზოგადოების ბურჯები“, „გარეული იხვი“, „ნორა“, „როსმერ კოლმი“ და „ახალგაზრდების კავშირი“) მ. ჭავჭავაძის უარდლებას ამახვილებს „მოჩვენებებზე“ და განიხილავს მას. წერილის ავტორის აზრით, ეს პიესა არ ჩამოუვარდება არც „მეფე ლირს“, არც „მაკბეტს“ და „ჰამლეტს“. ეს კი ძალზე მაღალი შეფასებაა.

„მოჩვენებების“ შინაარსობრივი და მხატვრული ანალიზის შემდეგ ავტორი განიხილავს მეორე პიესას — „ექიმი შტოკმანი“, რომელსაც მ. ჭავჭავაძის „ღირსეულ ჰამლეტს“ უწოდებს. აქვე გაკრით განხილულია „ნორა“ და სხვა პიესები.

ცხადია, ამ წერილს მ. ჭავჭავაძის მკვლევარისათვის დიდი მნიშვნელობა და ფასი აქვს. აქ მარტო იბსენის შემოქმედების შეფასება როდია მოცემული. აქ ჩვენ ვხედავთ მ. ჭავჭავაძის შეხედულებათა მთელ სისტემას, განსაკუთრებით დრამატურგიის სფეროში. კლასიკური ბერძნული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული, შემდეგ ნორვეგიული დრამატურგიის განვითარების ძირითადი პირობები და საფუძვლები აქ მწყობრად და თანმიმდევრულად არის მოცემული. მართალია, ზოგი შეხედულება დღეს მოძველებულად მოჩანს, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, რადგან 1906 წლიდან დღემდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ლიტერატურული შეხედულებებიც. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის არის, რომ მ. ჭავჭავაძის ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ასე კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას და იმ ეპოქის მიღწევათა სიმდიდრედან აფასებდა მას.

ზემოთ, ფორმისა და შინაარსის შესახებ რომ ვლაპარაკობდით, აღვნიშნეთ მ. ჭავჭავაძის შეხედულებები მოპასანის შემოქმედებაზე. ამიტომ აქ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმავე წერილში¹ მ. ჭავჭავაძის საფრანგეთის ამ დიდ მწერალზე სხვა მხრივაც მაღალი აზრისაა და უდიდეს შეფასებას აქლევს მას. იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი მოსაზრებებით და იშველიებს ავტორიტეტებსაც. მაგალითად, წერილში ასეთი ადგილი გვხვდება: „მოპასანმა ღრმა კვალი გაავლო ფრანგულსა და უცხოეთის ლიტერატურას. ზოლა მას უდიდეს პატივსა სცემდა

¹ ე. „საქართველოს მოამბე“, № 10, 1910 წ., მ. ჭავჭავაძის — „მოპასანი და მისი ცხოვრება“.

ტურგენევი იმ დროის უდიდეს მწერლადა სთვლიდა ტოლსტოის შემდეგ... ტოლსტოი მას დიდად აფასებს და ქებით იხსენიებს: „სამართლიანად აღნიშნავს მ. ჭავჭავიძე, რომ მოპასანი დიდი ნოველისტიცაა და დიდი რომანისტიც, თუმც ზოგი მას მხოლოდ ნოველისტად თვლის, ზოგი კი მხოლოდ რომანისტად.“

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში განხილულია მოპასანის ცხოვრების გზა, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებანი, მწერლის ადგილი ფრანგულ და მსოფლიო ლიტერატურაში, მეორე ნაწილში კი განხილულია მოპასანის რომანი „ცხოვრება“.

ფორმალისა და ნატურალის ფინალმდე

სიცოცხლის ბოლო ხანებში მ. ჭავჭავიძელმა დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი, რომლებშიც დასმული და გადაჭრილია მრავალი საკვანძო საკითხი, რომელთაც ლიტერატურული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წერილებში ან ერთგვარად შეჯამებულია ყოველივე ის, რაც ადრინდელ წერილებში ითქვა, ოღონდ უფრო მკაფიოდ, დასრულებულად და ნათლად, ან დასმული და გადაჭრილია. ზოგიერთი ახალი საკითხი.

1936 წლის 20 აპრილის ნომერში გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა მასალები მწერალთა კავშირში გამართული დისკუსიისა, რომელიც ჩატარდა ფორმალისა და ნატურალის ფინალმდე ბრძოლის ნიშნით. სხვა მწერლების გამოსვლათა გვერდით გაზეთი ბეჭდავს მ. ჭავჭავიძელის გამოსვლასაც, რომელიც ასეა დასათაურებული: „ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა და ს ი ს ა და ვ ე“.

პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ფორმალისა და ნატურალის ფინალის შეფასება.

მ. ჭავჭავიძელი გმობს როგორც ფორმალის ფინალს, ისე ნატურალის ფინალს, და მიაჩნია, რომ ისინი „ერთი მედლის ორი მხარეა“. თუმც მათი დასაბამი სხვადასხვანაირია, მაგრამ საბოლოოდ ისინი ლიტერატურაში თანაბრად მავნებელია. რატომ? იმიტომ, რომ „არც ერთ მათგანს მთლიანი მსოფლმხედველობა არ მოეპოვება და ამიტომ, ვინც ებრძვის მათ, ის სინამდვილეში ჩვენი მთლიანი მსოფლმხედველობისათვისაც იბრძვის“.

ორატორი ვდავება იმით, ვინც ნატურალის ფინალს მთავარ საფრთხედ თვლის. აგრეთვე ამხელს იმათი აზრის მცდარობას, ვინც ნატურალის ფინალს მამამთავრად „რეალის ფინალს საუკეთესო მასწავლებლები“: ბალზაკი, მოლიერი, შექსპირი, მოპასანი, რაბლე, გოგოლი გამოაცხადა. ასეთი შეცდომა მწერალს მიუტევებლად მიაჩნია და

დასძენს, რომ ნატურალიზმის მამამთავარი ზოლაა. ამ მსჯელობაში ყველაფერი ისე ნათელი და სწორია, რომ ზედმეტად ვთვლით ჩვენნი მხრივ რაიმე დაეუმატოთ.

„პრავდის“ მოწინავე, რომელიც ზემოაღნიშნული დისკუსიის წინა პერიოდში ამავე საკითხებს მიეძღვნა, მ. ჭავჭავაძის სრულიად სწორად და შეგნებულად გაუგია. იგი ამბობს, რომ „პრავდის“ თვალსაზრისით, ნატურალისტი ის მწერალია, რომელიც მშრალად აღნუსხავს ფაქტებს. ნატურალისტი კი არ შეამჩნევს მასალას, კი არ გარდაქმნის რეალობას, არამედ „ის პროტოკოლს ადგენს და თავის ნაწერში ყველაფერს ყრის, რაც კი უნახავს და გაუგონია“. ნატურალისტი გმირის მტერია, იგი გულგრილი და გულცივია, როგორც უსულო საგანი, მას იდეალი არ გააჩნია. მწერალი მოურიდებლად აცხადებს, რომ ნ ა ტ უ რ ა ლ ი ს ტ ი ხ ე ლ ო ვ ა ნ ი ა რ ა ა, მას არც თვალი უჭრის, არც სიტყვა, არც გრძნობა. ის ხ ე ლ ა დ ე ბ უ ლ ი ხ ა ლ ტ უ რ ი ს ტ ი ა, დაუდევარია და უღარდელი (ხაზი ჩვენია — ტ. კ.).

მ. ჭავჭავაძის გაგებით, ფორმალიზმი გამომდინარეობს თეორიიდან „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მწერალს მიაჩნია, რომ ფორმალიზმი იდეურად მჩატეა, ცარიელია, ამორთულია. იგი „ნათესავი და მემკვიდრეა დეკადანსისა და ფუტურისმისა. ფორმალიზმი და მისი მონათესავე მიმდინარეობანი აღმოცენდა მომავლადევი კაპიტალიზმის ლეშზე, როცა მან, კაპიტალიზმმა, დაკარგა გამართული მსოფლმხედველობა და მის ნაცვლად სასოწარკვეთილება, უიმედობა და ნიჰილიზმი დაეუფლა“. ამ მართებული განსაზღვრისა და სწორი მსჯელობის შემდეგ მწერალი ეხება საკითხს — არის თუ არა ბუნებრივი ჩვენში ფორმალიზმის არსებობა? აქაც პასუხი სრულიად სწორად არის გაცემული: იგი ჩვენში ნაძალადევად არის გადმოტანილიო. იმიტომ ნაძალადევად, რომ საამისო პირობები ჩვენში არ ყოფილა — კაპიტალიზმის განვითარებას იმ საფეხურამდე არ მიუღწევია, როგორც ევროპაში, ე. ი. საფუძველი, ნიადაგი ამ მიმართულებისათვის ჩვენში არ შემზადებულაო.

როგორია ფორმალიზმის სპეციფიკა, რაში მდგომარეობს მისი არსი? მწერალი თვლის, რომ „ფორმალისტს რაღაც აკლია“ და ამის ანაზღაურებას სხვა რამით ცდილობს. ფორმალისტი ფიქრობს, რომ ხ ე ლ ო ვ ე ბ ა ს ა მ ხ ა ტ ე რ ო ხ ე რ ხ ე ბ ი ს ჯ ა მ ი ა და მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი. მ. ჭავჭავაძისი მათი მისამართით აცხადებს და განმარტავს, რომ ხელოვნება სამხატვრო ხერხების ჯამიცაა და კიდევ სხვა რაღაც. რა არის ეს „რაღაც“, რომელიც ფორმალისტს აკლია? პირველ რიგში, „ეს არის იდეა, ღრმა შინაარ-

სი, რომელიც ფაბულით და მისი სიუჟეტური გაშლით გამოიხატება“. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. მწერალი ჩამოთვლის რამდენიმე კომპონენტს, რომლებიც, ერთად აღებული, ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს. ესენია: ნაწარმოების ყველა ნაწილის ორგანული მთლიანობა (აქ იშველებს ბალზაქის ნათქვამს: „მოთხრობა ისარივით პირდაპირ მიზნისაკენ უნდა მიდიოდეს“); მთლიანობა ფორმისა და შინაარსისა. რომელიც მონოლითურს ხდის ნაწარმოებს; გულწრფელობა, უბრალოება და სიმართლე; გამოკვეთილი სტილი ამ სიტყვის ფილოსოფიური და ფილოლოგიური მნიშვნელობით; ხალხური ლიტერატურული ენა (რომელიც ნაწარმოებს მკითხველის გულს მიავწვდის).

ფორმალისტებს აკლიათ ყოველივე ეს. მათ არ გააჩნიათ ძლიერი ფაბულა, შემოქმედებითი ფანტაზია და მთლიანობის გრძნობა. „მათ ნაწარმოებებში ფორმა და შინაარსი ცალ-ცალკე ყრია“.

ასეთია ის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი, რომელიც ჩვენმა დიდმა მწერალმა გამოუტანა ყველა ჯურის ფორმალისტსა და ნატურალისტს. ყოველივე ამის ცოდნა და გამოყენება არ აწყენდათ ისეთ შემოქმედთ, რომლებიც ხელოვნების მთელ აზრს მხოლოდ ფორმაში ხედავენ და ფორმალისტური გატაცებით არიან დაავადებული, აგრეთვე მხატვრულად მდარე ხარისხის ნაწარმოებთა ავტორებს.

განსახილველ წერილშივე მ. ჯავახიშვილი ეხება სხვა საკითხებსაც, მაგალითად, ლიტერატურის ხალხურობას. ის აცხადებს, რომ „ხალხურობა, სინათლე და უბრალოება ერთადერთი გასაღებია ხალხის გულისა“. ეს გასაღები ყველა გენიოსს გააჩნია — ჰომეროსს, რუსთაველს, შექსპირს და ა. შ. გულისტკივილით აღნიშნავს ჩვენი მწერალი. რომ ზოგიერთები ხალხს ზემოდან დასცქერიან. მათი მისამართით მ. ჯავახიშვილი აცხადებს: დაე, ჯერ მათ „ვეფხისტყაოსნის ბაღდას“ და უამრავ ასეთ შედეგს აჯობონ და მერე გადახედონ ხალხს ოლიმპოს მწვერვალდიდან.

ისტორიული რომანის უგულვებელმყოფელთა მისამართით მ. ჯავახიშვილი სამართლიანად ამბობს, რომ საქმე ისტორიულობაში კი არ არის, არამედ იმაში, თუ როგორი თვალით შეხედავს მწერალი თემას. საქმე იდეაა და მიდგომა, „რომელიც ხავსმოდებულ ქვასაც კი ფასსა სდებს და ალაპარაკებს“.

სინამდვილე წიგნზე ასჯერ უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და რთულია, ამიტომ მწიგნობრული ცოდნის გარდა მწერლისათვის მეტად საჭიროა ცხოვრების ცოდნა. საერთოდ კი ცოდნა უდიდესი ძალაა.

მ. ჯავახიშვილი განასხვავებს ორნაირ ენას — მწიგნობრულსა და ხალხურს. ხალხური ენა, მწერლის გაგებით, უფრო ფერადოვანია, ნათელი და მოქნილია. ფორმალისტები უფრო მწიგნობრულ ცოდნასა და მწიგნობრულ ენას იყენებენ, სოციალისტურ რეალიზმს კი პირიქით — ცხოვრების ცოდნა და ლიტერატურულ-ხალხური ენა შეეფერებაო.

მწერალი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ტიპის შექმნის შესახებ. გარდა ლირიკოსისა, ყველა დიდი მწერალი ქმნის ტიპს. მწერლისათვის ტიპის შექმნა ისევე სავალდებულოა, როგორც სიუჟეტი, იდეა და სხვა ამგვარი. ფორმალისტაგან და უხეშ ნატურალისტაგან კი ტიპი არავის შეუქმნიაო. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მათ თემის შერჩევა, მისი განზოგადება და სხვა ამგვარი რამ არ ახასიათებთო.

განხილული წერილი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დასმულ საკითხებზე ზედმიწევნით სწორ, კვალიფიციურ და პროფესიონალურ პასუხებს იძლევა. ყოველივე ეს კი მხოლოდ დიდად განსწავლულ, გამოცდილ და დიდი ნიჭის მწერალს შეეძლო.

მწერლის მიერ მასალის დაუფლება

არანაკლებ საინტერესოა მ. ჯავახიშვილის წერილი, რომელშიც მოცემულია კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ შეფასება. როგორც წინა წერილი, ესეც დისკუსიაზე გამოსვლის მასალაა. გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1936 წ. 17 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა აღნიშნული რომანის განხილვისადმი მიძღვნილი დისკუსიის ვრცელი მასალები. სხვა მწერლების გამოსვლების გვერდით დაბეჭდილია მ. ჯავახიშვილის საკმაოდ დიდი სიტყვის ანგარიში, რომელიც ასეა დასათაურებული: „რომანში მთავარი გმირები ზედმეტმა მასალამ მიჩქმალა“. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოსვლა სცილდება განსახილველი რომანის ინტერესის ფარგლებს და მას ზოგადი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასში გამოთქმული მოსაზრებები საერთოდ დიდი ლიტერატურული მნიშვნელობისაა.

მ. ჯავახიშვილი მიესალმება რომანის გამოსვლას და ჭეროვნად აფასებს ავტორის ღვაწლს: „ამ რომანის გამოსვლა ფრიალ მნიშვნელოვანი ამბავი არის. ქართველი მკითხველი არ ყოფილა შეჩვეული ასე დიდტანიან საინტერესო რომანებს. ამ რომანში ძალიან ბევ-

რი სხვადასხვანაირი მასალა გამოტანილი. დიდად უნდა მივესალ-
მთ კ. გამსახურდიას, რომელმაც ესოდენ ჯაფა გასწია და მშვენიე-
რად დაწერილი რომანი მოგვცა“. მაგრამ ამ საერთო მოწონების
მიუხედავად მ. ჭავჭავიძე ილი თავის კოლეგას აძლევს რამდენიმე
მნიშვნელოვან შენიშვნას, რომელთა გათვალისწინებაც რომანის
მხატვრულ ღირსებას უსათუოდ აამაღლებდა.

ორატორს რომანის ერთ-ერთ ნაკლად მიაჩნია ფაბულის სისუს-
ტე, რაც გამოწვეულია მრავალი დამოუკიდებელი თავის (16) არ-
სებობით. ეს თავები, მ. ჭავჭავიძე ილის აზრით, ბორკავს სიუჟეტის
განვითარებასაც. ამგვარად დაწერილ რომანს სირბილი შეუძლია,
გაფრენა კი ვერა, რადგან ფაბულა რომანისათვის მოტორია, რო-
შელსაც მოძრაობაში მოყავს ნაწარმოები. რომანის კომპოზიცია
დარღვეულად მიაჩნია ორატორს, რადგან ნაწარმოებში ზოგი რამ
ძალიან შემოკლებულია, ზოგან კი ზედმეტი მასალა ჰქარბობს, რაც
რომანს არაფერს მატებს.

ტიპებს რომ ეხება, მ. ჭავჭავიძე ილი აცხადებს, რომ რომანში
მხოლოდ ზოგიერთი ტიპია გამოკვეთილი, მთავარი ტიპები კი ზედ-
მეტმა მასალამ მიჩქმალა. მკითხველი იძულებული ხდება ეს ზედმე-
ტი მასალა მოიცილოს, რათა ეს ტიპები უფრო ნათლად დაინახოს.
ორატორი აქვე დასძენს: „კ. გამსახურდიამაც და მეც, ჩემს რომანში
„არსენა მარაბდელში“ წვაგეთ, რომ მრავალი ზედმეტი მოქმედი
პირი გამოვიყვანეთ, ეს ამძიმებს და ართულებს ნაწარმოების გეგ-
მას“. ეს თვითალიარება ერთგვარ ბოდიშივით უღერს კოლეგის მი-
მართ — არ გეწყინოს, რომ შენიშვნებს გაძლევ, ხედავ, ჩემს თავ-
საც არ ვინდობო. მ. ჭავჭავიძე ილის აზრით, „მთავარის მოტაცების“
გმირების გაცნობა გვარწმუნებს, რომ კ. გამსახურდია „ფრესკების
მაგვარი სახეების მხატვარია“.

მოკამათე თვლის, რომ კ. გამსახურდია პეიზაჟის დიდი ოსტა-
ტია, მაგრამ მასთან პეიზაჟი ზოგჯერ თავისთავადია, იგი არ არის
დაკავშირებული მოქმედებასთან. „ზოგჯერ პეიზაჟი გეოგრაფიაში
გადადის“, ხოლო ზოგი ადგილის გაქიანურებული აღწერილობა
ვნებს სიუჟეტის განვითარებას.

ყველა მწერლისათვის მშვენიერ რჩევას შეიცავს მ. ჭავჭავიძე-
ლის გამოსვლის შემდეგი ადგილი: „წიგნი უხვად არის დატვირთუ-
ლი ისტორიული მასალით, წიგნების ცოდნით, დაკვირვებითაც, მაგ-
რამ ავტორი მფლანგველია, მას არაფერი შურს, თითქოს უკანასკ-
ნელ რომანს წერდეს, თითქოს ეს მასალა სხვა დროს, უფრო შესა-
ფერ ადგილას არ გამოდგებოდეს“. ჩვენ ამ სიტყვებში ვხედავთ ამ-
ხანაგურ დამოკიდებულებას კოლეგისადმი, მის გულწრფელ დაფა-

ნებას გაწეული შოშისათვის. დიდი ცოდნისათვის, მაგრამ აქვე ჩანს ზრუნვა, მგობრული ზრუნვა — მოპოვებული უხვი მასალა ზომიერად გამოვიყენოთ რომანში, რათა არ გადავტვირთოთ იგი და არ ეაზარალოთ მხატვრული ქსოვილი. სამაგიეროდ სხვა დროს, სხვა ნაწარმოებში გამოვიყენოთ იგი, უფრო შესაფერისად. მოხდენილად... თავს ვერ ვიკავებთ არ განვაცხადოთ, რომ ჩვენ გვჯერა — მ. ჭავჭავაძის ასევე იტყოდა „დავით აღმაშენებელზეც“, მწერალს სიცოცხლე რომ დასცლოდა, ხოლო, თუ მისი ავტორი ამ რჩევას გაითვალისწინებდა. ეს დიდებული რომანი კიდევ უფრო ბრწყინვალე გახდებოდა.

„მთვარის მოტაცების“ ენას — სტილსა და სინტაქსს მ. ჭავჭავაძის შვილი სათანადო ყურადღებას აქცევს და აცხადებს, რომ ეს არის „ბიბლიურ-მატიანესებური სტილი“, რაც აძნელებს 750-გვერდიანი რომანის კითხვას. მოკამათეს არც ის მოსწონს, რომ ნაწარმოები ზოგჯერ გადატვირთულია ორნამენტებით. ეს შენიშვნა მოსალოდნელიც იყო, რადგან თვითონ მ. ჭავჭავაძის ყოველთვის სადა სტილის მომხრე იყო. კარგი როდია, რომ მკითხველს ზოგი შედარების თუ სიტყვის გასარკვევად ლექსიკონის მოშველიება დასჭირდება, აცხადებს ორატორი. აქვე გამოთქმულია დებულება, რომელსაც საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ კ. გამსახურდიას მოაქვს ზოგიერთი მივიწყებული სიტყვა, რომელთა გაცოცხლება მისაღებია, სამაგიეროდ მასვე ახასიათებს გაბედული ნეოლოგიზმები. მწერალი აცხადებს: „როდესაც საგნის გამოსახატავად არსებობს ერთი ან ორი სიტყვა, ზედმეტია მესამის სესხება გერმანულიდან ან ფრანგულიდან ამავე ცნების გამოსახატავად“. ვფიქრობთ, აქ სადავო არაფერია.

მწერალი კატეგორიულად აცხადებს, რომ ჩვენში ევროპული ბელეტრისტიკის დამწყები ილია ჭავჭავაძეა და მეტი არავინ. საბა? მის პროზას დღეს ველარ გავყვებით, რადგან იგავ-არაკების უანრი მოკვდა და მის გაცოცხლებას დღეს აღარავინ აპირებსო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლემიკით გატაცებამ ათქმევინა მ. ჭავჭავაძის ასეთი რადიკალური აზრი. თორემ განა საბა მხოლოდ იგავ-არაკები ჰქონდა? მისი „მოგზაურობა ევროპაში“ განა პროზაული ნაწარმოები არ არის? ამ საკითხზე შეიძლება დავა მაშინაც და ახლაც. მწერალი ავითარებს თავის აზრს და კიდევ უფრო შორს მიდის. აცხადებს, რომ ჩვენში „რომანი ფაქტიურად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაჩნდა“. მაგრამ ყველას და ყველაფერს თავი რომ. დავანებოთ, ალ. ყაზბეგს რა ვუთხრათ? ის ხომ გაცილებით ადრე წერდა მშვენიერ რომანებს? თავის დებულებას მ. ჭავჭავაძე-

ლი შემდეგნაირად ხსნის: „ყველაზე მეტად ძნელი იყო რომანის დაწერა, რადგან რომანში ყველაზე ძნელია კომპოზიცია და ტიპის დახატვა, რომელიც სავალდებულო მაინცდამაინც არ არის „ნოველაში“. დაუშვათ, რომ ეს დებულება სწორია, ამით მაინც გასაგებია არ ხდება, თუ რატომ არ შეეძლოთ ჩვენში უფრო ადრე ამ სიძნელის დაძლევა.

მიუხედავად ამ სადავო დებულებისა, მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ეს განხილული წერილიც ფრიად საინტერესო და საყურადღებოა. აქაც საქმე გვაქვს დიდი ერუდიციის, ოსტატობისა და ნიჭის მქონე ავტორთან.

შეხვედრები მ. გორაკისთან

მაქსიმ გორაკისთან ოთხი ' შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს მ. ჭავჭავაძის თავის წერილში, რომელიც „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა 1936 წ. 20 ივნისს. ამ წერილში მხოლოდ შეხვედრებზე როდია ლაპარაკი. აქ არის ფართო და საინტერესო საუბარი ლიტერატურაზე. ამიტომ ეს წერილი მკითხველს ყოველთვის მიიზიდავს.

იხსენიებს რა, იალტაში სწავლისას (1900 — 1901 წ. წ.) მე და ჩემი ამხანაგები ორჯერ შევხვდით გორაკისო, მ. ჭავჭავაძის მოხდენილად გვიხატავს: დიდი მწერლის პორტრეტს. ხოლო, როცა ორიოდ წლის შემდეგ გასცნობია გორაკის ნაწერებს, ხარბად დასწაფებია მათ. საყურადღებოა, როგორ შეფასებას აძლევს მ. ჭავჭავაძის გორაკის შემოქმედებას, რომელიც მას უჩვეულოდ, ძლიერად, ახლად და მიმზიდველად მიუჩნევია. მოვუსმინოთ თვით ჭავჭავაძის: „ყველაფერმა გამაოცა და გამიტაცა: მისმა წერის ძალამ, ახალმა თემამ, ახალმა სამყარომ, ახლანაირმა სახეებმა, წერის დახვეწილობამ, ენის სინათლემ, სისადავემ, გამჭვირვალეობამ, ტიპების ასახვის მანერამ, მისმა ორიგინალობამ და ფილოსოფიამ“¹. ყოველივე ამ შესანიშნავი თვისებებისა და ღირსების აღმოჩენით მოჭადროებული მ. ჭავჭავაძის ამოიძახებს: „ასეთი რამ ჯერ არ წამეკითხა!“ და შემდეგ ისევ იძლევა გორაკის საუკეთესო დახასიათებას — მწერალი ხალხის ფსკერში უძლიერეს ტიპებს პოულობდა, რომელნიც არსებულ 'მორალს და წესწყობილებას, ძირფესვიანად აზანზარებდნენო... ამ პირველი შეხვედრისა და მისი შემოქმედების გაცნობის გამო

¹ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ., 20 ივნისი.

მ. ჭავჭავაძის აცხადებს: „გორკიმ რამდენიმე დღეში დამიპყრო და მის შემდეგ იმისი უდიდესი პატივისმცემელი გავხდი“.

ამ შეფასებაში ჩვენ ვიგებთ არა მარტო გორკის შემოქმედებისადმი ჩვენი მწერლის დამოკიდებულებას, არამედ თვით მ. ჭავჭავაძის ლიტერატურულ მრწამსსაც, მის იდეალებსაც ვეცნობით.

მეორედ მ. ჭავჭავაძის გორკის უცნაურ გარემოში შეხვედრია. გორის ციხიდან დაგორებული მ. გორკი ახალგაზრდა მ. ჭავჭავაძის შემთხვევით გადაურჩენია გადაჩვენისაგან. მადლობის გადახდის შემდეგ გორკი გამოსაუბრებია მხნელ ახალგაზრდას და, როცა შეუტყვია, რომ მას მამულისათვის თავი დაუნებებია და მწერლობისათვის მოუყიდა ხელი, უთქვამს: მწერლობა მეტად მძიმე ხელობაა, ამ ასპარეზზე ათიათასობით გამოსულან და მხოლოდ ათეულები დარჩენილანო. შემდეგ იქვე გაუმხნევებია ახალბედა მწერალი: თუ ნიქსა და შრომის უნარს გამოიჩენთ, დაგაფასებენო. ეს ამონაწერები იმითაა საინტერესო, რომ გვაცნობს, თუ რა პასუხისმგებლობით ეყილებოდა მ. გორკი მწერლის საპატიო პროფესიას, რომელსაც დიდი შრომა და ნიჭი სჭირდება.

ამ ამბიდან 25 წლის შემდეგ, 1928 წელს, როცა მ. გორკი თბილისს ეწვია, უკვე სახელმძღვანელო მწერალი მ. ჭავჭავაძის მას საქართველოს მწერალთა კავშირში შეხვდა და სიტყვითაც მიმართა. გორკი მწერალთა წინაშე გამოსულა და უთქვამს — ვისაც რაგსურთ, შემეკითხეთო. დამსწრეთ მართლაც ბევრი შეკითხვა მიუციათ. როცა გორკი ლიტერატურულ გავლენებზე ლაპარაკობდა. მ. ჭავჭავაძის რეპლიკა მიუწვდენია: „სტენდალმა ტოლსტოიზე ძლიერი გავლენა მოახდინაო“. გორკის სიტყვა „ძლიერი“ უუცხოვებია. მ. ჭავჭავაძის ამის გამო შეუხსენებია, რომ ტოლსტოიმ ისეთივე თვალით დაინახა ბოროდინოს ბრძოლა და პიერ ბეზუხოვროგორც სტენდალმა აღწერა ვატერლოო და თავისი გმირი, რომელსაც ძლიერ ჰგავს პიერიო. ამაზე გორკი მაინც არ დასთანხმებია.

მეოთხედ მ. ჭავჭავაძის გორკის მოსკოვში შეხვედრია მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. დიდ მწერალს სხვებთან ერთად თავის აგარაკზე მ. ჭავჭავაძის მიუწვევია. აქ გამართულა მეგობრული საუბრები ლიტერატურის საკითხებზე. სხვათა შორის, მ. გორკი დაინტერესებულა შემდეგით: რა ადგილი უკავია რუსულ ენას ქართულ სკოლაში, რომელი რუსი მწერალი ითარგმნა ქართულად. ყველაზე მეტად ვინ უყვარს ქართველ მკითხველს. უფროსაინტერესო კი შემდეგია: მ. გორკის ჩვენი მწერლისათვის უკითხავს:

-- უყვართ თუ არა დოსტოევსკი?

— არა, არ უყვართ, — ვუპასუხე მე, — ბნელია, მწვალებელია, სალოსია.

— არც საკიროა, რომ შეიყვარონ, ნურც დაბეჭდავთ. წლეულს რამდენიმე მისმა თაყვანისმცემელმა მოიკლა თავი. ის რა მწერალია ვინც მკითხველს საწამლავს აწოდებს და თავს აკვლევინებს!“

როგორც ამ ამონაწერებიდან დავინახეთ, ორივე დიდ მწერალს დოსტოევსკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონიათ. ერთი მათგანი მას უწოდებს „მწვალებელს, ბნელს, სალოსს“, მეორე კი მკითხველისათვის საწამლავის მიმწოდებლად თვლის. ასეთი მწერალი კი მწერლად არ მიაჩნიათ. ცხადია, ყველა არ იზიარებს დოსტოევსკისადმი ასეთ დამოკიდებულებას და ეს არც სავალდებულოა. ჩვენ ამ საკითხზე საუბარი ამ მიზნით სრულიადაც არ ჩამოგვიგდია, მაგრამ ერთი კი ცხადია: მ. ჭავჭავიძისა და მ. გორკის თვალსაზრისი ამ საკითხზე ერთნაირი ყოფილა და ამ წერილით იგი გამკლავნებული ხდება. ჩვენი ფიქრით, ეს უინტერესო არ უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ მიხ. ჭავჭავიძის ლიტერატურის საკითხებზე მოსაზრებებს გაშთქვამს არა მარტო სათანადო წერილებში, არამედ ზოგიერთ თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც, რომელთა პერსონაჟებსაც ზოგჯერ საკმაოდ ვრცლად ალაპარაკებს ლიტერატურის რაობაზე, მის დანიშნულებაზე და ა. შ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „გივი შადური“ და „ქალის ტვირთი“.

„გივი შადურში“ ქართველი მწერლები ბევრჯერ ხვდებიან გივის, რომელიც მათთან ხშირად სწორედ ლიტერატურაზეც გამოთქვამს თავის მოსაზრებებს. ეს გამონათქვამები ზოგჯერ ვრცელი და საინტერესოა. აქვე გივი ლაპარაკობს ენაზეც. მართალია, შადურის მოსაზრებები არ შეიძლება მ. ჭავჭავიძის მოსაზრებებად მივიჩნიოთ, მაგრამ მათზე დაფიქრება კი ღირს.

„ქალის ტვირთში“ გამოყვანილია პოეტი ელიზბარ შუქურაული, რომელიც სევდითა და უიმედობით არის შეპყრობილი. მისი მოთქმის საგანია საქართველოს წარსული დიდება. დღეს იგი სანუგეშოს ვერაფერს ხედავს. ამ რომანშიც პერსონაჟები დავობენ ენის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ ელიზბარს ყოველთვის უპირისპირდებიან რევოლუციურად განწყობილი ქეთო და ნიკო ახატნელები და საფიქრებელია, რომ ავტორი სწორედ ამათ მხარეზეა.

ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მ. ჭავჭავიძის ლიტერატურული შეხედულებები თანმიმდევრულია, მწერალი ყოველთვის დგას რეალიზმისა და მაღალი ოსტატობის მოთხოვნის პოზიციაზე.

შახელულებანი ხელოვნებაზე

ცხრაასიან წლებში თბილისში მოუწყვიათ სურათების რამდენიმე გამოფენა, რომლებზეც წარმოდგენილი ყოფილა როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთიდან ჩამოსული მხატვრების ნამუშევრები. ამ გამოფენებს მაშინდელი თბილისელების ინტერესი გამოუწვევია, პრესასაც ყურადღება მიუქცევია.

მიხეილ ჭავჭავიძე მხატვრობის დიდი მოყვარული ყოფილა. ალბათ, ამან განაპირობა, რომ იგი პრესაში გამოთქვამს თავის აზრს ყველა გამოფენის შესახებ 1904—1906 წლებში. მწერალი წერს რამდენიმე კვალიფიციურ, საქმიან, მკაცრ რეცენზიას, რომლებიც ქვეყნდება გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

მიხეილ ჭავჭავიძე გვევლინება მომთხოვნ მსაჯულად. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებს მხატვრობასთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს—მსხვილმანსა და წვრილმანს და პირდაპირობით, მკაფიოდ, გამჭვირვალედ აყალიბებს თავის შეხედულებებს. სურათების სიუჟეტები, თემა, ფერების გამოყენება, ფუნჯის ხმარება—ყველაფერი რეცენზენტის მახვილი თვალით არის დანახული და მიმზიდველად დაწერილი. საფიქრებელია, რომ ასეთი მაღალხარისხოვანი რეცენზიები მხატვარს დააფიქრებდა.

პირველი სიტყვა მხატვრობის შესახებ მ. ჭავჭავიძელმა თქვა თავის რეცენზიაში — „კავკასიელ მხატვართა სურათების გამოფენა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წ. 18 იანვარს. აქ განხილულია სამხატვრო მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები.

რეცენზენტს აკმაყოფილებს სურათების რიცხვი. ეს მხატვრების ბეჭითი მუშაობის ნაყოფიაო. სამაგიეროდ მ. ჭავჭავიძე უკმაყოფილოა იმით, რომ „სურათების თითქმის ცხრა მეათედი პეიზაჟია, დანარჩენი, ძალიან მცირე ნაწილის გარდა, სულ უბრალო სურათი — ხატები, პორტრეტები. არა ჩანს არც ყოფა-ცხოვრების სურათები (ქანრი) და არც მხატვრობის სხვა დარგი“.

ამ ამონაწერიდან ერთი დასკვნა გამოდის: მ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი მ ო ი თ ხ ო ვ ს თ ე მ ა ტ უ რ დ ა ქ ა ნ რ ო ბ რ ი ვ მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ა ს მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა შ ი, იგი წინააღმდეგია თემატური და ქანობრივი შეზღუდულობისა, ცალმხრივობისა.

გამოფენის სუსტ მხარედ რეცენზენტს მიაჩნია ის გარემოება, რომ გამოფენილი სურათების უმრავლესობა „ორიოდე სურათის გარდა, ყველა დიდი სურათი კი, ის უბრალო ეტიუდებია, რომელნიც ნამდვილი სურათის ნაწილს შეადგენენ“. მაშასადამე, მ. ჭ ა ვ ა

ხიშვილი მოითხოვს დამთავრებულ, სრულყოფილ მხატვრობას, და არა ნაჩქარევად შესრულებულ ეტიუდებსა და ესკიზებს.

ამ ზოგადი მოსაზრებების შემდეგ მ. ჭავჭავაძის განიხილავს ცალკე ავტორების ნამუშევრებს, ყოფს მათ ჭკუფებად და დამსახურებულად მიუზღავს მათ ავსაც და კარგსაც.

იმის საილუსტრაციოდ, თუ დეტალების რა ზედმიწევნით ცოდნას ამჟღავნებს და რა დიდ მოთხოვნილებას უყენებს ამ დეტალებს მ. ჭავჭავაძის, მოვიტანთ რამოდენიმე ამონაწერს, რათა მკითხველს უფრო სრული წარმოდგენა მივცეთ ამ საკითხზე.

„ავილოთ, მაგალითად, ბაშინჯაგიანის, ზახაროვისა და ზანკოვსკის სურათები. სამივე მხატვარი თავიანთი მიმართულებით მკვიდროდ არიან შეკავშირებულნი. ზანკოვსკი ყოველთვის მთის მწვერვალებს ხატავს და თავის სურათებს ყოველთვის, თუმცა კარგად, მაგრამ მაინც მოწითალო და მკრთალი ლილისფერით ღებავს. ზახაროვის სურათებიც ყოველთვის და ხშირად გადაჭარბებულად წითელია. მაგალითად, ეხლანდელ გამოფენაზე გამოკიდულ სურათის — „ვერის ხიდის“ უკანა ნაწილი — მთები და წინა ნაწილი ერთნაირად და ერთის ფერით არის განათებული. აქ ზახაროვი, უეჭველია, ბუნებასაც დალატობს...“ — „...ბაშინჯაგიანს შეურყეველი, წყნარი წყალი, თვალწარმტაცი, ვარდისფერი ღრუბლები და ლამაზი ნისლით გარემოცული ლამაზი ბუნება უიმედოდ შეჰყვარებია. იმისი დიდი სურათი „გოგჩის ტბა“ იმავე ავტორის წინანდელი სურათის მეორე პანგზე განმეორებაა. ბაშინჯაგიანის „შემოდგომა“ და „ზამთარი“ საიმპრესიონაო, საარაქოა, როცა იგი ბუნებას უჭკერტს, თვლებზე ვარდისფერი სათვალეები აქვს აფარებული. ზანკოვსკი, ზახაროვი და ბაშინჯაგიანი მკვიდროდ იმით არიან დაკავშირებულნი, რომ სამივე ბუნებას აღმერთებენ, აიღვალევენ და ყველგან ისეთს რამეს ეძებენ და ჰხატავენ, რაც კაცის თვალს თავის ნაზი ფერებით ატყუებს, ატკბობს, იტაცებს...“

ასეთი გატაცება რეცენზენტს შესაძლებლად მიაჩნია. მაგრამ, თუ ერთ თემას (მაგ. ბუნებას) მხატვარი მუდმივ თემად გადააქცევს, მას ერთფეროვნების, ცალმხრივობის საფრთხე მოეღისო, ამბობს მ. ჭავჭავაძის. რეცენზენტი იქვე აღნიშნავს, რომ „ბაშინჯაგიანს ჩუმი და წყნარი ღამის ხატვა ძალიან ეხერხება და იმის ნამდვილი დანიშნულება — ღამეა“.

რეცენზენტი მხატვრებს ორ ჭკუფად ყოფს: 1. რომლებიც ფუნჯის ტყვეები, მსახურნი არიან და 2. რომლებიც ბატონობენ ფუნჯზე, თამამად ფლობენ მას. ასეთთა შორის მ. ჭავჭავაძის მ.

თოიძესაც ასახელებს. პირველნი მიაჩნია სალონური ეფექტების მიმდევრებად, მეორენი კი ბუნებისადა კაცის სულიერი განწყობილებების გამომხატველად. მ. ჭავჭავიძის ეს მეორე კატეგორიის მხატვრები ურჩევნია. ამ მეორე კატეგორიის მხატვრებს შორის ჭავჭავიძის შვილი ასახელებს ფოგელს და განიხილავს მის სურათს „სალამო“. „სურათი ცოცხლად, ძლიერად, ფართოდ არის დახატული. შორიდან სრულს ილუზიას ახდენს და სალამოს ნამდვილად „სულიერი მდგომარეობის“ გამომხატველია“. კარგია იმისავე ეტიუდი „გომბორზე“.

როგორც დავინახეთ, მ. ჭავჭავიძის მხატვრისაგან მოითხოვს „სულიერი მდგომარეობის“ გადმოცემას — შეეხება ეს კაცს, თუ ბუნებას. ეს კი ძალზე დიდი მოთხოვნაა. საგულისხმოა, რომ მწერალი შემდეგში სიტყვიერი მასალით დახატულ ბუნებას ასეთად წარმოგვიდგენს. ამ დებულებას ნათლად ადასტურებს მისი მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელშიც ბუნება ნამდვილად გაცოცხლებულია ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ადამიანის სულიერი სამყაროს დახატვაზე, რაც მის ნაწერებში ისე სრულყოფილად არის განხორციელებული.

მ. ჭავჭავიძის დიდ ყურადღებას უთმობს სურათის განათების საკითხს. მაგალითად, მას მოსწონს, რომ თოიძემ გამოასწორა წინანდელი ნაკლი — სურათების გაუნათებლობა: „თოიძემ თავისი წინანდელი უმთავრესი ნაკლი — სურათების გაუნათებლობა სრულიად მოიშორა და ეხლა რამდენიმე ძალიან კარგი სურათი გამოფინა. საუცხოვოდ და ცოცხლად არის დახატული „მწვადი“, „ვაჭარი“-მაგიდასთან“, „ესკიზი „სამქედლო“ და ეტიუდი „კალო“. უკანასკნელი, ჩვენის აზრით, თოიძის სურათების შედევრია“.

ეს ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო: 1. მ. ჭავჭავიძის წინათაც ადევნებდა თვალყურს მხატვართა ნამუშევრებს და გააზრებული, შეფასებული ჰქონდა ისინი. 2. სურათის განათებას დიდ მოთხოვნილებას უყენებს, 3. შედეგად მ. თოიძის ნახატებზე მ. ჭავჭავიძის აზრი, კერძოდ კი აღნიშნულ სურათზე, რომელსაც იგი მაღალ შეფასებას აძლევს, „შედევრსაც“ კი უწოდებს.

ამავე რეცენზიაში მ. ჭავჭავიძის ეხება მრეველიშვილის ნახატებსაც. სახელდობრ, იგი ამბობს, რომ „მრეველიშვილს წინ დიდი ნაბიჯი გადაუდგამს და სამუშაოდ უფრო მრავალფერ წაჰლებსა ხმარობს“ სპეციალისტებისათვის, ალბათ. საინტერესო იქნება ეს მოსაზრება ამ დიდი მხატვრის შესახებ.

მ. ჭავჭავიძის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ქანდაკების

განყოფილება მეტად სუსტი, ღარიბი და უფერულია. გამოფენაზე არც გაბაშვილისა და არც ნიკოლაძის ნაწარმოებები არა ჩანს.

ასეთია მ. ჭავჭავიძის პირველი რეცენზია მხატვრებზე და მასში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულება — მოსაზრებები.

მეორე რეცენზიის სათაურია „სურათების გამოფენა ტფილისში“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წლის 2 ნომერს.

რეცენზენტი აფასებს ქ-ნ კულბერგის დეაწლს, რომელსაც სურათების გამოფენა მოუწყვია ისტორიულ მუზეუმში, მაგრამ იქვე ძალზე მკაცრად გამოთქვამს აზრს, რომ ეს გამოფენა არ ვარგა. ავტორი მოურიღებლად წერს, რომ „გამოფენა არ დაერქმის ორმოციოდე ისეთ სურათის ჩამოკიდვას, რომელთა დიდი უმრავლესობა სულ უბრალო, უშნო და უფერული ეტიუდებია“. ზოგიერთ ავტორს თავიანთი სურათები სულ რომ არ გამოეფინათ, უმჯობესი იქნებოდაო. რეცენზენტი მკვახედ წერს ზოგ მხატვრებზე, რომლებსაც თავიანთ სურათებისათვის წაუწყერიათ: „სურათი ამა და ამ მხატვრისა, ფასი ამდენი და ამდენი, მაგრამ ამ „სურათზე“ უშნოთ და უნიჰოდ დაუქდაბნია ან სამიოდე ბუჩქი და ტლაპო, ან ბაჰბის მინაგვანი ღრუბლები და კუნძების მაგვარი კლდეები და თანაც პატარა ქოხი...“ შემდეგ რეცენზენტი განაგრძობს, ამათ მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებისა იქნებოდაო...

რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ზანკოვსკის სურათებს, რომლებშიც კავკასიის მთები მრავალმხრივად არის ასახული, ახასიათებს ამ სურათების თავისებურებას: „იგივე ვარდისფერ ან ლურჯ ნისლით მოცული კლდეები, იგივე ნათელი, ან ცისფერი, ან თოვლიანი მთები, ან ბურუსში გახვეული, ან უბურუსო კავკასიის ქედი, ათასის მხრიდან დახატული დარიალის ხეობა, იალბუზი, დინ-ტაუ, მყინვარი და სულ მთები და მთები“. ზანკოვსკის ამ ნახატებს მ. ჭავჭავიძელი მაღალ შეფასებას აძლევს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „კალმხროვობა, ყოველთვის ერთი და იგივე თემა და ერთი და იგივე ჰანგი, ბოლოს მაინც მოსაწყენია“.

ზანკოვსკის სურათებიდან რეცენზენტი გამოყოფს ორს: „ბორჯომის ახლოს“ და „ტყეს“. შემდეგ ანალიზს უკეთებს მათ ღირსებას და წერს: „ამ ორ სურათზე ძალიან კარგად არის გადმოცემული ტყის საიდუმლო, მისი ათასი ფეროვნება, ჩრდილი, მზის სხივებით განათებული და ათასნაირად შეღებილი ფოთოლი და დაჩრდილული, ქვებშუა მოჩუხჩუხე წყალი“. მკითხველი შეამჩნევს, რომ რეცენზენტს, რომელიც მაშინ 24 წლის ახალგაზრდა გახლდათ,

კარგად ესმის ფერწერის საილუმოება, და ამავე დროს ნახატის აღქმისა და მასზე გარკვეული მოსაზრების გამოთქმის დახვეწილი გემოვნება და უნარიც აქვს.

რეცენზენტი ეხება ხატვის ტექნიკურ მხარესაც კი და, ჩანს, ამ საქმეშიც ხელი მიუწვდება. მაგალითად, ზანკოვსკის ერთ სურათზე „უშბაზე“ მ. ჭავჭავიძე წერს: „წამლები სქლად არის წასმული, წვრილმანები გამოუტოვებია და სამხატვრო იარაღი, ეტყობა, ფართოდ და გაბედვით უხმარია...“

მ. ჭავჭავიძეილი მალალ შეფასებას აძლევს კოლჩინის სურათებს, მოსწონს ტიპები, მრავალფეროვნება სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ტიპების დახატვაში. განსაკუთრებით გამოყოფს ფართო ტილოს „მრავალყამიერს“. სწორედ ამ სურათის შეფასებისას გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, რომელიც რეალისტური ხელოვნების დედა-აზრია. ტიპისათვის გარეგნობა, ტანსაცმელი, გამომეტყველება შერჩეული უნდა იყოს კონკრეტული დამახასიათებელი ნიშნებით. „მრავალყამიერს“ დიდი ნაკლიც აქვსო, წერს მ. ჭავჭავიძეილი. ჭერ ერთი, კავკასიელი ტიპი არ არის, მეორე, კავკასიურად არ აცვია და მესამე — იმის გამომეტყველება „მრავალყამიერს“ არა ჰგავს“. შემდეგ დასძენს, რომ სურათი არაფერს წააგებდა, თუ არ მოიგებდა, მისთვის ცნობისმოყვარე ესპანელი ქალი რომ დაგერქმიათო, ამასთან ლეჩაქი მოგეშორებინათო.

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ ტიპის შესახებ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებაზე. მას ბევრი საერთო აქვს ცნობილ დებულებასთან, რომ რეალიზმისათვის აუცილებლად დამახასიათებელია ტიპიური ხასიათი ტიპიურ გარემოში.

მ. ჭავჭავიძეილს მოსწონს ბუნებრივი სიმარტივით, ფერების შეწყობითა და საზოგადო ელფერით თვალის მომტაცი სურათები, რომელნიც „რალაც დამაწყნარებელსა და დამამშვიდებელ შთაბეჭდილებას ტოვებს“.

მ. ჭავჭავიძეილი მკაცრი მომთხოვნია, იგი არ ერიდება მხატვრის ავტორიტეტს, როცა მისი გვარი განთქმულია, რეცენზენტი სურათს აფასებს არა ავტორის ვინაობის მიხედვით, არამედ ნაშეუვერის ხარისხის მიხედვით.

ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ადგილს, როცა იგი არ მოერიდა აივანოვსკის ავტორიტეტსაც კი. „გამოფენის გამმართველთ სადღაც უნახავთ ორი სურათი: ერთი რუბისი. მეორე განთქმულ აივანოვსკისა, მაგრამ... ამ სურათების უფერულობასა და უმნიშვნელობას ვერა შევლის იმათ ავტორების განთქმული სახელები“. ასე მკაცრია და მომთხოვნი ჩვენი რეცენზენტი.

საყურადღებო მოსაზრებებს მხატვრების შესახებ გამოთქვამს მ. ჭავჭავიძე თავის ერთ რეცენზიაში „სურათების გამოფენა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წ. 13 ნომერს.

216 სურათიდან, რომლებიც გამოფენაზე გამოუტანიათ, უმრავლესობა პეიზაჟების ამსახველი ყოფილა. ეს გარემოება იწვევს რეცენზენტის გულსწყრომას. კიდევ უფრო უკმაყოფილოა რეცენზენტი იმით, რომ ამ სურათებში განმეორებულია ერთი და იგივე მოსაწყენი ჰანგები.

„უკანასკნელ სამ-ოთხ გამოფენაზე მხოლოდ და მხოლოდ ეტიუდებსა და ესკიზებს ვხედავდით, თითქოს ეს ეტიუდები და ესკიზები ის მოსამზადებელი შრომა და მასალა იყო, რომლის შეერთებითა და შეკვრით დღეს თუ ხვალ მხატვარს ერთი დიდი და მთლიანი სურათი უნდა შეექმნა, მაგრამ... არსადა ჩანს“. მ. ჭავჭავიძე მოცულობით დიდ სურათს ყოველთვის დიდ ტილოს როდი უწოდებს, პირიქით, ზოგ მათგანს დასცინის კიდევ, რადგან განზრახ გაზრდილად მიაჩნია, იგი სულ პატარა ტილოზეც დაეტეოდაო, მხოლოდ ფასის გაზრდისათვის გაუდიდებიათ ნახატიო.

რეცენზენტი კიცხავს ისეთ მხატვარს, რომელიც სურათის სიუჟეტს ბუნებასა და მის საიდუმლოებაში კი არ ეძებს, არამედ ესა თუ ის კუთხე ფოტოგრაფიულად გადმოაქვს და მერე წინდაწინვე განზრახული ფერით ანათებს.

მ. ჭავჭავიძე ადარებს ახლანდელ გამოფენას წინა გამოფენებს და აკვირდება ცალკეული მხატვრების განვითარებას, მათი მიმართულების ცვლას, გამოთქვამს აზრს და ადრე გამოთქმულ ვარაუდების გამართლება-გაცრუებასაც აღნიშნავს.

რეცენზიაში ცალ-ცალკე განხილულია თვითეული მხატვრის ნამუშევრები და შეფასებულია ყოველი სურათი ცალკე, აღნიშნულია მათი ავიც და კარგიც. ყოველივე ეს მსჯელობა პროფესიულად და საგნის ცოდნით არის განვითარებული.

მ. ჭავჭავიძე სურათში თემას მოითხოვს და მასზე საგანგებოდ აჩერებს ყურადღებას, ხოლო თემამდე იღეის გარდატეხა, ტენდენცია და ავტორის მიდგომა აგრეთვე უცილობლად მიაჩნია. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ერთი მხატვრის ნამუშევრის შეფასება, სადაც ასახულია ღარიბთა ცხოვრება. ეს მხატვარია ქალბატონი შულცი. „მისი ტიპები, — წერს მ. ჭავჭავიძე, დაჩაგრულთა და ღარიბთა ცხოვრებიდან არის აღებული“. ამაზე საგანგებოდ შეჩერება მ. ჭავჭავიძის დემოკრატიულ და პროგრესულ კანწყობილებებზე მიუთითებს ამ საუკუნის დასაწყისშივე.

მ. ჭავჭავაძის მიერ სურათების პროფესიული გასინჯვის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ერთი ადგილი ამ რეცენზიაში. სადაც ავტორი განიხილავს ფოგელის სურათებს. „...ფოგელი მხატვრობაში ლირიკოსია. ავტორის ზემოხსენებული თვისებები სავსებით გამოიხატება იმის ეხლანდელ დიუ სურათში — «Сынъ и вѣтеръ». თხელი ნისლი, ნესტიანი ჰაერი და უფრო კი გემები და წყალი საუცხოვოდ, მშვენიერად არის დაახატული. სურათს ის იდუმალი, მიმზიდველი ძალა აქვს, რომელიც კაცს იპყრობს და ისეთს სულიერ მდგომარეობას იწვევს, რომელიც ავტორს ამ სურათის შექმნის დროს ჰქონდა...“ ჩვენი აზრით, ეს ადგილი ხელოვნებათმცოდნის მიერ დაწერილ რეცენზიას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ჩვენი თანამემამულის, მრეველიშვილის ნამუშევრებზე მ. ჭავჭავაძის გულთბილად ლაპარაკობს და აღნიშნავს მის ღირსებასაც და ნაკლსაც. აქაც გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს: „გამოფენაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი ქართველი მხატვარი — ბ-ნი მრეველიშვილი, რომელსაც მხოლოდ ერთი სურათი აქვს — „კალოს კრეფა“ (ალბათ „კალობა“ — ტ. კ.). სურათის აზრი მშვენიერია, მოქმედი პირების სახის გამომეტყველება და პოზაც საუცხოვოა, მაგრამ ბატონმა მრეველიშვილმა თავისი უმთავრესი ნაკლი მაინც ვერ მოიშორა, წამლებს ნაკლებად ხმარობს, სურათი გაუნათებელია და ამის აუცილებელი შედეგი კი ჩრდილების უქონლობაა“. შემდეგ რეცენზენტი რჩევას აძლევს მრეველიშვილს და წერს: „ბ-ნმა მრეველიშვილმა მთელი თავისი ყურადღება ჩრდილებისა და განათებულ ადგილების აღნიშვნას უნდა მიაქციოს, თორემ იმის სურათებს სიცოცხლე და ბუნებრივობა ეკარგებათ“.

რეცენზიის ბოლოს გამოთქმულია მოკლე მოსაზრებები წარმოდგენილ ქანდაკებებზე, რომელთა რიცხვი ძალზე მცირე ყოფილა. გულისტკივილით აცხადებს მ. ჭავჭავაძის, რომ „გამოფენაზე ბ-ნ თოიძისა, გაბაშვილისა და ნიკოლაძის ნაწარმოებები არა ჩანს“ რეცენზიას ხელს აწერს თავის უფალი მონა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ამ რეცენზიაში მიხეილ ჭავჭავაძის გამოთქმული აქვს ძალზე საგულისხმო და საყურადღებო მოსაზრებები როგორც კონკრეტული ავტორებისა და სურათების თაობაზე, ისე მხატვრობის ზოგად საკითხებზე.

მ. ჭავჭავაძის ყველა რეცენზიაში თავგადაღობით ილაშქრებს მხატვრობაში თემატური შეზღუდულობისა და ცალმხრივობის წინააღმდეგ. აგრეთვე ისევ და ისევ იმეორებს მოთხოვნას, რომ

საქიროა არა ეტიუდები და ესკიზები, არამედ ფართო ტილოები, სრულყოფილი სურათები.

მ. ჭავჭავიძევილი დაუნდობელი და მკაცრია იმათ მიმართაც, ვისაც ადრე აქებდა, ვისი ნამუშევრებიც ადრე მოსწონდა, ახლა კი ერთ ადგილზე გაჩერება და წინსვლის უქონლობა ემჩნევა. ამ ფაქტში ვლინდება რეცენზენტის ობიექტურობა და მხოლოდ და მხოლოდ საქმის სიყვარულით დაინტერესება მოსაზრებების გამოთქმის დროს: არა გვარები და მათი ადრინდელი დამსახურება, არამედ საქმეები და საქმეები — აი, რეცენზენტის მთავარი პრინციპი.

ამ მეოთხე რეცენზიაში მ. ჭავჭავიძევილი კიდევ ეხება ბაშინჯაგიანის ნამუშევრებს, რადგან ისინი ისევ გამოუფენიათ, და იძლევა მათ დახასიათებას. ამ მხატვრის შესახებ რეცენზენტი წერს, რომ „იგი მართლაც ნამდვილი რომანტიკოსია პეიზაჟში, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ უწინდელი რომანტიკოსები სენტიმენტალურ პეიზაჟს ზედ აკრავდნენ რომანტიულ ეანრსაც, ბაშინჯაგიანი კი ამგვარ ეანრს ერიდება...“ შემდეგ განაგრძობს: „მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ ეს მხატვარი თავის სფეროში დახელოვნებული მუშაა. მდორე წყალი, ვარდისფერი ღრუბლები და მთვარიანი ღამე მისი ამპლუაა...“

იმის ნიმუშად, თუ როგორ აკვირდება მხატვრების ზრდას დროთა განმავლობაში, გამოგვადგება მ. ჭავჭავიძევილის მსჯელობა ზახაროვის ნამუშევრებზე; „რამდენიმე წლის წინათ ზახაროვი ნამდვილი მონა იყო სამხატვრო იარაღისა და მოთმინებისა. ამ თვისებას მხოლოდ შარშანწინ უღალატა. მეც მაშინვე აღვნიშნე ეს ცვლილება და იმედი გამოვთქვი, რომ ზახაროვი ერთ დროს სავსებით გაითავისუფლებს მეტქი თავს ამ ბატონყმობისაგან. ჩემი მოლოდინი გამართლდა“.

რეცენზიის ბოლოში მ. ჭავჭავიძევილი საგანგებოდ ჩერდება ორი ქართველი მხატვრის ნამუშევრებზე. ამ მსჯელობაში ჩანს დიდი სიყვარული თანამემამულე მხატვრებისადმი და ტონი ისეთია, რომ ისინი წაახალისოს, ურჩიოს, სწორი მიმართულება მისცეს მათ მომავალი შემოქმედებითი მუშაობისას.

გაბაშვილის შესახებ წერს, რომ ეს სამიოდე წელიწადია, მას აღარაფერი გამოუფენია, აღარ ვიცოდით, აკეთებდა რამეს თუ გულხელდაკრეფილი იჯდაო. ახლა სამი პორტრეტი წარმოადგინა „ქართველი ქალი“, „მწუხარე“ და „უცნობის პორტრეტი“. რეცენზენტს უხარია, რომ გაბაშვილი ისევ გამოჩნდა. შემდეგ კი იძლევა ამ სურათების შეფასებას.

„სამივე სურათს რალაც ახალი ჰანგი და ხატვის მანერა ეტყო-

ბა. ის ფართო და გაბედული მოსმა, რომელიც ამ მხატვრის წინა-
ნდელ პორტრეტებს ეტყობოდა, ეხლა აღარა ჩანს. იმის პორტრე-
ტებს ეტყობა წვრილმანი, დინჯი და მხდალი შრომა, რაც სანუგე-
შოს არას მოასწავებს. გარდა ამისა, გაბაშვილი ჩრდილებს რაღაც-
ნაირ მომწვანო ფერებით აღნიშნავს, რის გამო იმის სურათები ისეთ
შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქო დახატული ტიპები დახვესებუ-
ლან, დაქანგებულან და დაობებულანო. მისი სურათი „მწუხარე“,
უფრო მრისხანებასა და ბლევრას ჰგავს, ვიდრე მწუხარებასა და
თავგანწირულ სულისკვეთებას“. ასეთ აზრს ავითარებს რეცენ-
ზენტი ამ ნახატებზე.

შესაძლოა სპეციალისტებმა ეს აზრი არ გაიზიარონ, მაგ-
რამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მისი გამოქვეყნება, რამდენა-
დაც აქ ვლინდება ამ დიდი მწერლის კონკრეტული შეხედუ-
ლებები კონკრეტულ მასალაზე.

თუ ცნობილი გაბაშვილი არ დაინდო და პირუთვნელად გა-
მოთქვა აზრი მის ნამუშევრებზე, თუ მის მიმართ ერთგვარ სიმკაც-
რესაც არ მოერიდა, სამაგიეროდ ძალზე გულთბილად და დაყვავე-
ბით ლაპარაკობს მ. ჭავჭავიძე ახალგაზრდა მხატვარ ბერიძეზე.

„ახალგაზრდა მხატვარი ბერიძე დიდ იმედებს იძლევა. იმის სამ
სურათს № 38, 39 და „პორტრეტს“ ცხადად ეტყობა სამხატვრო
დახელოვნება და შემოქმედებითი ნიჭი. ამ სამ სურათში ძალიან
კარგია „პორტრეტი“, რომელზეც მშვენივრად არის აღბეჭდილი
ტანჯვა, ფიქრი, განვლილი უბედურება და სულიერი ძალა აღნიშნუ
ლი ტიპისა“.

შემდეგ რეცენზენტი რჩევას აძლევს ახალგაზრდა მხატვარს,
რაც ისევ და ისევ საღებავებისა და ფერების ხმარებას შეეხება. ზე-
მოთაც არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ მ. ჭავჭავიძე საღებავისა
და ფერების ხმარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ამი-
ტომ ამაზე ხშირად ამახვილებს ყურადღებას. რეცენზენტი ბერიძე-
საც ურჩევს, რომ „ყველგან ისე სქლად და უხვად იხმაროს წაღლე-
ბი, როგორც ამ პორტრეტზეა ნახმარი და თავიდან აიცილოს ის.
წვრილმანი და გაუბედავი მანერა ხატვისა. რომელიც, სამწუხაროდ,
თითქმის ყველა ახალგაზრდა მხატვარს ემჩნევა.

რეცენზიას ხელს აწერს მ. ა. (მიხეილ ადამაშვილი—ტ. კ.)
ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ოთხი რეცენზია, რომელიც მ. ჭავჭავი-
შვილმა 1904—1905 წლებში გამოაქვეყნა გაზეთ „ცნობის ფურ-
ცელში“. ამ წლების სხვა ჟურნალ-გაზეთებში მისი რაიმე მასალა
მხატვრობაზე აღარ გვხვდება.

აღნიშნული გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ გამძაფრე-

ბულ რევოლუციურ ბრძოლებში მ. ჭავჭავიძე იყო ჩაება როგორც მებრძოლი პუბლიცისტი, რომელიც მწვავე სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის წერილებს წერს და მხატვრობისათვის ველარ იცლის. ეს მით უფრო გასაზიარებელი მოსაზრებაა, რომ ამ პერიოდში მ. ჭავჭავიძე თვითონ აარსებს საკუთარ გაზეთს („გლები“) რომელიც დიდ დროსა და ენერჯიას შთანთქავს.

ზემოთ განხილული რეცენზიებიც წარმოდგენას იძლევა მ. ჭავჭავიძის დიდ დაინტერესებაზე მხატვრობით, ამ დარგში მის დიდ ცოდნაზე და სწორ რეალისტურ პოზიციებზე, პირუთვნელობასა და სიმართლისმოყვარეობაზე.

ასეთია მ. ჭავჭავიძის შეხედულებები მხატვრობაზე რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში.

მ. ჭავჭავიძე თეატრის შესახებაც გამოთქვამდა აზრებს რეცენზიებში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, 1904 წლის 2 აპრილის ნომერში მოთავსებული მისი რეცენზია „თეატრი“.

აქ განხილულია ქართულ თეატრში ორლენიევის რუსული დასის მიერ წარმოდგენილი იბსენის ერთი პიესა — „მოჩვენებანი“. რეცენზიაში ჭერ განხილულია პიესის შინაარსი, ხოლო შემდეგ შეფასებულია იგი. მ. ჭავჭავიძე წერს: „ამ პიესას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მე-19 საუკუნეში ეს პიესა დრამაში მთელს რევოლუციას ახდენს. თუ ძველ საბერძნეთში სოფოკლისა, ესხილისა და ევრიპიდის გმირები მათთვის უჩინარი ბედის, ფატუმის (Moirა) მსხვერპლნი იყვნენ, თუ შექსპირის გმირები თავიანთ ცნებათა დაცვითა და სურვილით მარცხდებოდნენ, ეხლა, ამბობს იბსენი, ამაზე უფრო რეალური, სასტიკი, საშინელი და უსამართლო მიზეზი გვიღებს ბოლოს. ეს არის შთამომავლობით სენი“.

ეს მსჯელობა ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი ამჟღავნებს მ. ჭავჭავიძის დიდ განსწავლულობას მსოფლიო ლიტერატურაში, მის დამოუკიდებელ აზრებს ამ ლიტერატურაზე. ეს ძალზე საყურადღებოა.

რეცენზენტი ეხება სპექტაკლის დიდ გავლენას მაყურებელზე და აცხადებს: „თუ რამდენად დიდსა და ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს ეს პიესა, იქიდან ჩანს, რომ დამსწერ საზოგადოების უმეტესი ნაწილი წარმოდგენის გათაყების შემდეგ ჩიოდა: თავები გეტკივაო“.

მსახიობთა თამაშს რეცენზენტი უყურადღებოდ არ ტოვებს და მასაც სათანადოს მიუზღავს.

მ. ჭავჭავიძის სასურველად მიაჩნია პიესა ითარგმნოს ქართულად და იგი ქართულმა დასმაც განახორციელოს.

• ამ რეცენზიას ხელს აწერს ინიციალებით მ. ა.

საინტერესოა აგრეთვე პატარა შენიშვნა თეატრის საკითხზე რომელიც მ. ჭავჭავიძის გაუკეთებია პირველ ქართულ წარმოდგენაზე ვაჟთა პირველ გიმნაზიაში (დაბეჭდილია გაზეთ. „ივერიაში“ 1905 წ. 28 თებერვალს).

ეს შენიშვნა იწყება მკაფიო პოლიტიკური პოზიციიდან: „წინათ „გონიერი“ პოლიტიკა მოითხოვდა, რომ ტფილისის გიმნაზიაში ქართული წარმოდგენები არ გამართულიყო. ამიტომ სდუმდნენ მასწავლებლებიც და ბევრს კანონიერსა და კეთილშობილურს სურვილს გულშივე იკლავდნენ... ახლა კი დრონი იცვალნენ (არ დაგავიწყდეთ, ეს უკვე 1905 წელია!—ტ. კ.) და გიმნაზიის მთავრობამაც ნება დართო ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის მოსწავლეთ ქართული წარმოდგენა გაემართათ გიმნაზიაში“.

შემდეგ ავტორი იტყობინება, რომ 26 თებერვალს წარმოუდგენიათ ავ. ცაგარელის „ციმბირელი“. სპექტაკლი კარგად ჩატარებულა. ქალებისა და კაცების როლებიც კაცებს შეუსრულებიათ და ძალზე კარგად, ჩამოთვლილია შემსრულებელთა გვარები. „ციმბირელის“ შემდეგ წარმოუდგენიათ ჩეხოვის „იუბალე“.

დამსწრენი დიდად კმაყოფილნი დაშლილან პირველ საათზე.

ასეთია მ. ჭავჭავიძის აღრინდელი შეხედულებები თეატრის შესახებ, რომლებიც მან დასახელებულ რეცენზიებში გამოთქვა.

შახეაღულებანი ენაზე

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, თუნდა გენიოსიც იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“¹. ეს სიტყვები ეკუთვნის მეოცე საუკუნის დიდ ქართველ მწერალს მიხეილ ჭავჭავიძის. ძნელია უფრო ზუსტად, მოხდენილად და სრულყოფილად დაახასიათოს კაცმა მწერლისათვის და საერთოდ ლიტერატურისათვის ენის მნიშვნელობა. როგორც ბალავარის, საძიკველის გარეშე ვერ აშენდება სახლი, ისე ენის გარეშე ვერ შეიქმნება ლიტერატურული ნაწარმოები; როგორც სამი ფეხით ვერ ივლის და მით უმეტეს, ვერ ირბენს ცხენი, ისე ენის გარეშე ვერ იმუშავებს მწერალი. აქ შედარებებიც ზუსტია და საკითხიც გარკვეული.

ასეთი დებულების ავტორს არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა ინტერესი ენისადმი, ენის რაობისა და ბუნების გარკვევასთან დაკავშირებული საკითხებისადმი.

¹ „მნათობი“ № 10, 1933 წ., გვ. 196. მ. ჭავჭავიძელი, „როგორ ვმუშაობ“.

მ. ჭავჭავაძის ეკუთვნის რამდენიმე წერილი, რომლებშიც სპეციალურადაა განხილული ქართული ენის ზოგადი თუ კონკრეტული საკითხები. ამ წერილებში დასმული და ხშირად გადაჭრილია ბევრი საინტერესო და აქტუალური კითხვა, რომელიც ჩვენს მშობლიურ ენას შეეხება.

მაგრამ, სანამ ამ წერილებს განვიხილავდეთ, გვინდა მ. ჭავჭავაძის კიდევ ერთი მშვენიერი გამონათქვამი გავიხსენოთ. ლიტერატურულ ასპარეზზე გამარჯვებაში ენას ერთ მთავარ როლს რომ აკუთვნებს ჩვენი მწერალი, კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან. „ნაპოლეონი ამბობდა: ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერმე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართულიო“¹.

მაგრამ კარგ ქართულს ცოდნა უნდა, ცოდნა კი სწავლის გარეშე როდი შეიძინება. უნდა გიყვარდეს მშობლიური ენა, თორემ მისი შესწავლაც დაგეზარება და გამოყენებაც. მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლის უებარ საშუალებად მ. ჭავჭავაძის მიაჩნია ორი გზა: ერთია ხალხში ცოცხალი მეტყველების გარემოში მოხვედრა, ხოლო მეორე — წიგნი. თვითონაც ორჯერ დავიწყებია ქართული. მაგრამ ორჯერვე მონდომებითა და სიყვარულით შესდგომია მის შესწავლას. მწერალი წერს: „გარემოებამ ორჯერ გამარულა და ისე დაბავიწყა ქართული, რომ საყველპუროდ ძლივსღა მესმოდა“. მაგრამ, როცა გადაუწყვეტია, ხელი მოეკიდა მწერლობისათვის, და უგრძვნია, რომ ამ მიზანს ენის ზედმიწევნით ცოდნის გარეშე ვერ მიაღწევდა, ასე მოქცეულა: ქართულ წიგნს შევეკედლე, ზედიზედ სამი ზაფხული ქართლში გავატარე, მივიწყებულნიც აღვადგინე და ახალიც მრავლად შევიძინე“. წიგნი და ხალხი — აი ორი წყარო, რომელსაც უნდა დაეწაფოს კაცი, თუ სურს დაეუფლოს ენის სიმდიდრეს, მის უხილავ და გრძნულ საიდუმლოებას.

მწერალს უნდა გააჩნდეს ყოველდღიური ენობრივი ულუფა. როგორც საზრდო ზრდისა და განვითარებისა. მაგრამ მ. ჭავჭავაძის წიგნსაც შერჩევით უდგება. რომელი და რანაირი წიგნი გამოდგება ენობრივი მარაგის გამდიდრებისათვის? „ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და კლასიკოსები“, — ასეთია ამ კითხვაზე მ. ჭავჭავაძის პასუხი. ეს კი იმიტომ, რომ ამ კატეგორიის წიგნები ენის მხრივ უფრო საიმედო და სანდოა. მათში უკეთ არის დაცული ენის სიწმინდე, ამავე დროს ისინი მდიდარია ლექსიკურად და გამარ-

¹ „მნათობი“, № 10, 1938 წ., გვ. 196. მ. ჭავჭავაძის, „როგორ ვმუშაობ“.

თულია სინტაქსურად. ამ წიგნებში ენის ბუნებაც სრულად არის გამოვლენილი. სამაგიეროდ ცოტა უნდობლად ეკიდება მწერალი საგაზეთო ქართულს, რადგან იგი „ღარიბია, მოუქნელი... ერთფეროვანი“.

მარტო წიგნი, ანდა ენის წყაროს დასაწათებლად ხალხში გავლა რას გიშველის, თუ მას თან არ ახლავს ყოველდღიური ვარჯიში. სწორედ ასეთ ვარჯიშზე ამახვილებს მწერალი იმათ ყურადღებას, ვისაც გადაუწყვეტია ენის საფუძვლიანი შესწავლა. ვარჯიში მწერალს მიაჩნია გამარჯვების საწინდრად. იგი წერს: „განუწყვეტელი ვარჯიში — აი წინდი ყოველგვარი ხელობის გამარჯვებისა“.

თუმც ნიჭი მწერლისთვის განმსაზღვრელია, ამ მაღლის გარეშე მ. ჭავჭავაძის ვერ წარმოუდგენია მწერალი, მაგრამ ენის ცოდნა მას ნაკლებ ნიჭად როდი მიაჩნია. იგი იმდენად საპასუხისმგებლოდ თვლის მწერლის მიერ ენის დაუფლებას, რომ არაორაზროვნად წერს: „თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის მუდამ აჯობებს ქართულის უცოდინარ ძლიერ ნიჭიერ მწერალს“

ვინც ენაზე ასეთი მაღალი აზრისაა, ცხადია, ის ვერ შეურიგდებოდა რაიმე დამახინჯებას, გულგრილი ვერ დარჩებოდა ენის უგულვებელმყოფელთა მიმართ. სწორედ ამ საკითხს ეხება მიხეილ ჭავჭავაძის წერილი „ისევ ქართული ენის შესახებ“¹. ამ წერილში მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბავშვობიდანვე გვესმის ჩივილი ქართული ენის შერყვნის შესახებ. ეს ძველი ამბავია, ზოგს ამაზე ლაპარაკი მობეზრდა კიდევ, მაგრამ კვლავ უნდა ითქვას ჩვენს ამ ჰირზეო. ჰირად და საზარუნავად კი მწერალი თვლის ქართულ ენას, რომელიც „ფეხზე წამოდგომის და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა“.

დასნეულებას ავტორი იმაში ხედავს, რომ სალიტერატურო ენაში ისე ჰარბად შემოვიდა მრავალი კუთხური სიტყვა, რომ ნაწერის მიხედვით ავტორს გამოიცნობ. ეს კიდევ არაფერი. უარესი ისაა, რომ ენა დანაგვიანდა მრავალი უცხო სიტყვით. ჟურნალ-გაზეთებშიც კი წერენ „ლაფატკა“, „ფლაგი“, „სიროსტი“, „ტუმანი“ და ა. შ. ეს კი მაშინ, როდესაც, ავტორის თქმით, „თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლიან ორი და სამი ქართული დავახვედროთ“

აქ მწერლის ყურადღება ორ გარემოებაზეა გამახვილებული: დიალექტების ჰარბ შემოჭრაზე და უცხო სიტყვებით სალიტერატურო ქართულის დანაგვიანებაზე. ორივე ეს გარემოება, მართლაც, განგაშის ატეხვის ღირსი იყო. დიალექტებიდან კუთხური სიტ-

¹ გაზეთი „ქართული სიტყვა“, 25 მაისი, 1924 წ.

ყვების ქარბი შემოქრა სალიტერატურო ენას, მის კანონებს შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს. მართალია, ენა უნდა მდიდრდებოდეს დიალექტების ხარჯზე, მაგრამ ამას თავისი წესი და ზომიერება აქვს. ამ საკითხზე ამომწურავი პასუხია გაცემული თანამედროვე ქართულის საკანონმდებლო წიგნში — „განმარტებით ლექსიკონში“, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „სალიტერატურო ენა დიალექტებით საზრდობს: განსაკუთრებით ეს ლექსიკას ეხება... მაგრამ დიალექტიზმების შეუზღუდველი შემოქრა სალიტერატურო ენას მთლიან სახეს დაუქარგავად დიალექტები ბევრია, სალიტერატურო ენა — ერთი. სალიტერატურო ენას საკუთარი სახე და გზა აქვს, რაც დიალექტებიდან მომდინარეობს. ამ გზას უნდა შეეფარდოს. შეეგუოს...“¹ ფიქრობთ, საკითხი ნათელია. დიალექტების შეუზღუდველი შემოქრა სალიტერატურო ენაში არ შეიძლება, რადგან იგი მას „საკუთარ სახეს დაუქარგავდა“. სახედაქარგული ენა კი ენობას ვეღარ გასწევს...

რაც შეეხება მეორე გარემოებას — უცხო სიტყვებით ქართულის დანაგვიანებას, ამაზე მწერალი ისე ნათლად და დამაჯერებლად მსჯელობს, საკითხი ისეა გარკვეული, რომ მკითხველსაც გადაეცემა ავტორის აღშფოთების პათოსი.

გულისტკივილით შენიშნავს ავტორი, რომ ენის კანონების ცოდნას ბევრი სავალდებულოდ აღარ მიიჩნევს. ოჯახში, ქუჩაში, დაწესებულებაში — ყოველ ნაბიჯზე ამახინჯებს ქართულს. სასამართლოშიც კი ისეთი სიტყვები გავიგონეო: „ენოტდელი“, „ჩისტკა“, „სოკრაშიჩენი“, „უბორკა“, „ბირჟა ტრუდა“, „სატრუნდნიკი“, „მესტკომი“ და სხვ. ყველა ამ დამახინჯებას და უცხო სიტყვათა კორინტელს მწერალი უწოდებს „ნარევს, გაუგებარსა და გონჯს“ და აღშფოთებულია ენის ასეთი უმოწყალო დანაგვიანებით.

მ. ჯავახიშვილი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ზოგი ქართველი ქართულად აღარ ლაპარაკობს. დაწესებულებაში შეხვალ. დაელაპარაკები ქართულად, მაგრამ „იშვიათად მიიღებ პასუხს ქართულადვე“. ვინ არიან ეს ადამიანები? ესენი ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც ხეირიანად არც ქართული იციან, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული, ან სულ დამუხჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას“. დამახინჯებული ქართულით მოუბარათ არ ინდობს მწერალი და სარკაზმებსაც არ იშურებს მათთვის.

¹ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ტ. I, თბილისი, 1950 წ.

გარდა იმისა, რომ ასეთი „მოქართულები“ წინაპართა შეუ-
რაცხმყოფელნი არიან, ისინი, „ეს ჰიბრიდები“, „ქართულ ენას
უმზადებენ ლათინური ენის ბედს“... „ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი
ხალხის ცოცხალ ენას — მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და
ხმოვანს“. ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ „ქარ-
თული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაშიც მკვდა-
რი ენის მაგალითად დასახელებულია ლათინური ენა. მ. ჯავახი-
შვილს სწორედ ის აშინებს, რომ ქართულსაც ლათინურის ბედი არ
ეწიოს. ენას კი ეს ბედი მაშინ ეწევა, როცა იგი აღარ გამდიდრდება.
რაც მთავარია. ყოველდღიურ ინტენსიურ ხმარებაში აღარ იქნება.

ეს იყო გამაფრთხილებელი მითითება. იგი მკითხველს უდა-
ვოდ ჩააფიქრებდა. აღნიშნული ამონაწერი იმ მხრივაცაა მნიშვნე-
ლოვანი, რომ მასში ჩამოყალიბებულია ქართული ენის მ. ჯავახი-
შვილისეული შეფასება: მას მიაჩნია, რომ ქართული ენა არის
„მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანი“. მშვენიერი დახასიათე-
ბა! ბუნებრივია, ასეთი თვისებებით შემკობილი ენის გამეტება სა-
სიკვდილოდ დიდი დანაშაული და მიუტევებელი ცოდვია!

მაშ როგორ მოვიქცეთ? ამ კითხვაზეც პასუხი გაცემულია
მ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ წერილში. ჩვენს ენას დაღუპვისა-
გან ვერ იხსნის მხოლოდ ქართულად საქმის წარმოება. იმიტომ რომ
ამისი მაგალითი ისტორიაში გვაქვს. „კათოლიკური ეკლესია დღე-
საც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას, მაგრამ
ეს ენა მაინც მკვდარია“. მაშ რა ვიღონოთ? მწერალი იხსენებს ან-
დაზას, რომ თევზი თავიდან იწყებს აყროლებას. ინტელიგენცია
იჩემებს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას, მაგრამ უბე-
დურება ისაა, რომ „გახრწნა და გადაგვარებაშიც (იგულისხმება
ენის მხრივ — ტ. კ.) იმას ეკუთვნის პირველობა“. ამიტომ სხვაზე
აღრე მან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარი თავის განკურნებაზე.

მ. ჯავახიშვილი იმედს როდი კარგავს. ის აცხადებს, რომ საქ-
მეს ეშველება, თუ მონდომება აღმოგვაჩნდება. ავტორი ისევ ის-
ტორიას მიმართავს და იქიდან მოაქვს ანალოგიური მაგალითი:
1905-6 წლებში, სულ ორიოდ წელში ყველა სომეხი თავის დედა-
ენაზე ალაპარაკდაო. იქვე შესძახებს: „ბარაქალა მათ!“ ეს მოწონე-
ბის სიტყვები მთელი გულით არის ნათქვამი. როგორ მოხდა სო-
მეხი ძმების ეს „მოქცევა“? მონდომებით! „ხალხის ნებისყოფამ.
უკვდავების ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა“ გამოიწვია ზღუ-
დეების გადალახვა და სომეხთა ამეტყველება მშობლიურ ენაზე.

წერილის ბოლოში ავტორი ქართველებს მოუწოდებს, რომ
ჩვენც შევიგნოთ საკითხის სერიოზულობა და მივბაძოთ მოძმე

სომხებს. რადგან „არც ჩვენ გვაქვს სხვა გზა, გარდა ასევე ნებისყოფისა, დაინებისა, შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა. ამიტომ ყველამ იზრუნოს ამაზე“.

შესაძლოა დღეს ვინმეს გაუგებრად მოეჩვენოს მ. ჭავჭავაძის ამ წერილის პათოსი, რადგან ახლა ქართული ენა დახვეწილი, შესწავლილი და გამართული გვაქვს, მოგვეპოვება მეცნიერული განმარტებითი ლექსიკონი, შესანიშნავი მეცნიერული შრომები, მონოგრაფიები. ჩვენი ენა გამდიდრდა ახალი ლექსიკით, ცხოვრების განვითარების კვალობაზე და მის შესატყვისად შეიქმნა მრავალი ახალი ტერმინი, ენიდან განიღვენა აუარება უცხო სიტყვა და, რასაკვირველია, დღევანდელი ქართული არ ჰგავს ოციანი წლების ქართულს, როცა აღნიშნული წერილი დაიწერა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ წერილში დასმული ზოგი საკითხი ისევ აქტუალური და საკიბორტოა. ამიტომ ამ წერილს ისევ ცოცხალი მნიშვნელობა აქვს შერჩენილი.

კიდევ უფრო საფუძვლიანად და, ჩვენ ვიტყვით, მეცნიერული სფეროში და გულმოდგინებით არის განხილული ქართული ენის საკითხები მ. ჭავჭავაძის ვრცელ გამოკვლევაში (ჩვენ იგი მიგვაჩნია გამოკვლევად და არა უბრალო წერილად!), რომელიც გაგრძელებების სახით დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1928-29 წლებში. წერილის სათაურია „ახალი სალიტერატურო ქართული-სათვის“!

ამ წერილში გამოქვეყნებულია ავტორის დიდი ზოგადი და ლინგვისტური განსწავლულობა. აქ მსჯელობა ისეა გაშლილი და საკითხები ისეა დასაბუთებული, რომ ავტორი დიდი ენათმეცნიერი ჯეგონებათ. მსჯელობისას მოშველიებულია მრავალი ენის — ქართულის, რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის, იტალიურის მაგალითები და მათ შორის შედარებათა საფუძველზე არის წარმართული კვლევა. აქ გამოყენებულია მრავალი წყარო — ენათმეცნიერთა შრომები, ლექსიკონები, მწერალთა ნაწერები და ა. შ. ყველაფრიდან ჩანს, რომ შრომის დასაწერად ავტორი საფუძვლიანად მომზადდებულა, მას ბევრი უფიქრია და თავისი მოსაზრებები ისე ჩამოუყალიბებია.

წერილში თანმიმდევრობით არის განხილული შემდეგი ძირითადი საკითხები: I ძველი და ახალი, II კუთხური, III ბარბარისმები, IV სინტაქსი, V არქაიზმები და ნეოლოგიზმები, VI დღევან-

დელი ქართული. ამ საკითხების მიხედვით ნაშრომი დაყოფილია ექვს თავად.

მ. ჯავახიშვილი ენას განიხილავს მუდმივ განვითარებაში და სრულყოფაში. როგორც ეს თანამედროვე ენათმეცნიერებას ესმის ავტორი არკვევს ძველისა და ახლის ურთიერთობას. კუთხურისა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულებას, ბარბაროზმების შემოშვება-არშემოშვების საკითხს და ყოველ ამ კითხვაზე სწორ პასუხს იძლევა ისე, როგორც ეს დღეს გვესმის. ავტორი ეხება ქართულ სინტაქსს და ნათლად მიუთითებს მის ბუნებაზე, თავისებურებებზე და სინტაქსური კანონების დაცვის აუცილებლობაზე, აქვე მშვენიერად არის გარკვეული საკითხი, თუ რა ადგილი შეიძლება ეკავოს ცოცხალ სალიტერატურო ენაში არქაიზმებს და როდის არის შესაძლებელი ნეოლოგიზმების შემოტანა და ხმარება.

მთელი წინა მსჯელობა, რაც ნაშრომის პირველ ხუთ თავში წარმართა ავტორმა, ემსახურება მეექვსე თავში დასმულ საკითხს — როგორ უნდა ვუდგებოდეთ და ვეპყრობოდეთ თანამედროვე ქართულს. ეს არის ნაშრომის მთავარი მიზანიც. ავტორი გრძნობს, რომ დღევანდელი ქართული ზრდასა და განვითარებას განიცდის, რადგან თვითონ ცხოვრებაც სწრაფად ვითარდება და ენაც მის შესატყვისად ეძებს შესაფერ ლექსიკას, ტერმინებს. მაგრამ სწრაფ ზრდას შეიძლება ნაკლიც თან ახლდეს, ჩვენი ენის განვითარებასაც ამიტომ გააჩნია ზოგი ნაკლი. ოღონდ ეს ნაკლი ახალ ეპოქას კი არ მოჰყვა, არამედ „ეს სიგონჩე ძველი რეჟიმის შეილია, მისი ნარჩენია“. მწერალი მიუთითებს, რომ ბევრი მოგვიტანა რევოლუციამ და კიდევ უფრო „განუზომელ ასპარეზს გვპირდება მომავალშიც“

მწერალი თანამედროვე ქართულის მთავარ სიგონჩედ იმას მიიჩნევს, რომ „მისი ქართული (იგულისხმება ინტელიგენციისა — ტ. კ.) მოიკრუნჩხა. დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათლობა შერჩა, არც გამჟვირვალება, არც მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხ უ თ ი ს ი ტ ყ ვ ი თ ი თ ქ მ ი ს , ა თ ი ც ძ ლ ი ვ ს ლ ა ჰ ყ ო ფ ნ ი ს“ („ხაზი ჩვენია — ტ. კ.). ცხადია, ამ საყვედურის მიზანი ის არის, რომ შევებრძოლოთ ამ მრავალსიტყვაობას და ვიბრძოლოთ მკაფიოებისა და გამჟვირვალებისათვის, ნათელი მეტყველებისათვის.

ნაშრომში განხილულია აზროვნებისა და ენის ურთიერთმიმართების საკითხი და გაკეთებულია დასკვნა, რომ „ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, მწერალს ენა მიაჩნია აზრის გამოხატვის საშუალებად და, მეორეც, ნათელ აზროვნებას თან ახლავს ნათელი მეტყველება ანდა პირუკუ. ვინც ჩახედულია ენათმეცნიე-

რების დღევანდელ მიღწევებში, მას არ გაუჭირდება ამ დებულების სისწორის გაგება. ავტორი ხატოვნად წერს: „აზრი სიტყვას ეძება და, რომ ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს და მახინჯდება“. ეს სიტყვები ხსნის და განმარტავს ზემოთ წამოყენებულ დებულებას თანამედროვე ქართულის დიდ ბედნიერებად და უპირატესობად მიიჩნევს ავტორი იმ გარემოებას, რომ „ერთის მხრივ, ჩვენი სალიტერატურო და სახალხო ენები ერთი და იგივეა. ხოლო მეორე მხრით, დღევანდელი და იაკობ ხუცესის ქართულიც ბევრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან“. ეს გარემოება, ცხადია, აადვილებს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის საქმეს. გაცილებით ძნელი მდგომარეობა ექმნებათ იმ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს, რომლებსაც თავიანთი ძველი ენიდან თითქმის გადმოთარგმნა სჭირდებათ და ამავე დროს ახლანდელი მათი კუთხური ენებიც ისე მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ უჭირთ ურთიერთგაგება.

გაზეთ „კომუნისტი“ მთელი სარდაფი უკავია მ. ჭავჭავაძის კიდევ ერთ წერილს ენის შესახებ. ესაა „სალიტერატურო ქართულისათვის“¹. წერილის შესავალში მწერალი ეხმაურება მ. გორკის კარგ ინიციატივას იმის შესახებ, რომ ამ დიდმა მწერალმა დღევანდელ რუსულ ენას რამდენიმე წერილი უძღვნა. მ. ჭავჭავაძის მოსწონს, რომ გორკიმ არ დაინდო რუსი მწერლები და მათი ენის სიგონჯე ამხილა, ჭერ მორიდებულად, მაგრამ შემდეგ გაბედულად და დაუნდობლად. მ. გორკის მხცოვანი მწერალი სერაფიმოვიჩი და ახალგაზრდა მწერალი პანფეროვი შეედავენ და ამით კამათი სასარგებლო ლაშქრობად გადაიქცა. გორკი მიმხდურის როლს ასრულებს, ზემოხსენებული მწერლები კი დამხდურისას. მწერალთა უმრავლესობა და პრესა გორკის მხარეზეაო, აღნიშნავს მ. ჭავჭავაძი.

წერილის ავტორი განმარტავს დავის საგანს და მიუთითებს, რომ იგი შემდეგში მდგომარეობს: „ზოგმა მწერალმა ახალ სალიტერატურო რუსულში თავისი კუთხური კილოკავი შეიტანა და სალიტერატურო ლექსიკონი აამღვრია“. ამან ის გამოიწვია, რომ ზოგი მწერლის ენა თვით რუს მკითხველსაც აღარ ესმის. მ. ჭავჭავაძილიც მ. გორკის მხარეზეა და უარყოფითად ეკიდება ენის ყოველგვარ „ამღვრევას“.

ეს მოვლენა მწერალს დაუკავშირებია ქართულთან და ის დას-

¹ „კომუნისტი“, 28 აპრილი, 1934 წ.

ვენა გამოუტანია. რომ ამ მხრივ ქართულში უარესი მდგომარეობა გვაქვს და ჩვენც გვმართებს ხმის ამოდება. ავტორი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ერთ სინტერესო გაჩემოებაზე. ენის შექმნაში დიდ როლს მიაკუთვნებს გაზეთს. იმიტომ, რომ იგი მასობრივია და ყოველდღიურად საკითხავი. მართალია, მწერალს უფრო დამშვიდებით შეუძლია მუშაობა, ვინემ გაზეთის მუშაკს, რომელსაც ყოველთვის ეჩქარება, მაგრამ დაუდევრობა არავის ეპატიება. მაინც მწერალს უფრო მეტი მოეთხოვება, რადგან მას საკმაოდ დრო აქვს და მოვალეა თავისი ნამუშევარი ენის მხრივ უნაკლოდ შეასრულოს.

ამ საერთო მსჯელობის შემდეგ წერილში დიდი ადგილი ეთმობა დამახინჩებული წინადადებების დემონსტრაციას. მ. ჭავჭავაძის ნიმუშად აულია ტიცთან ტაბიძის ნარკვევები და პროზა. ამ ნაწერებიდან ავტორს მოაქვს დამახინჩების აუარება ნიმუში. დავასახელებთ ზოგაერთს. აღსანიშნავია, რომ მ. ჭავჭავაძის მოტანილ ნიმუშს თავის კომენტარს ურთავს ფრჩხილებში. ჩვენც ასევე უცვლელად გადმოვიტანთ, რათა მკითხველი ამ კომენტარსაც გაეცნოს: „განიცილიდა ჩეჩნები... ჩეჩნელები“ (ჩეჩნები განიცილიდნენ); „ვირთავები და ობები“ (ობობები, ობობანი); „ეყოფილიყავით მასთან კავშირში“ (კავშირი გვექონოდა); „ქველი წყლის ტრანსპორტის მუშა“ (ვინ იყო ქველი, წყალ რომ მუშა?); „დაწვდება გზა“ (ვერ გავიგე!); „თხების ყველათ ძოვება“ (ვერც ეს გავიგე!); „დაუარია ყირიმი (დაუვლია): „მისი ყოფნა, რომელიც დაქიმულ სიმივით იყო“ (ყოფნა იყო?); „თავქვე დაეშვა ქალის წინ“ (ეს ნამდვილი თავქვე დაშვებაა ქართულისა, ქალის წინ კი პირქვე დაემხობიან); „თავიდან ფეხებზე დააყენა და ფეხიდან თავზე დააბრუნა“ (ყირამალა დააყენა, დააყირავა. მაგალითად, ამის დამწერმა ქართული ენა ყირაზე დააყენა)...“ მაგალითები ბევრია, ყველას აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საქმე მაგალითების რიცხვი როდია, საქმე პრინციპია. პრინციპში კი მ. ჭავჭავაძის მართალია: არც ასეთი სინტაქსი ვარგა და არც კუთხური მეტყველების ესოდენი სიჭარბე, მით უმეტეს, როცა ამას ავტორის თხოვრებაში ვხვდებით და არა პერსონალურად.

მრავალი მაგალითის მოტანის შემდეგ მ. ჭავჭავაძის სწორ დასკვნას აკეთებს: „ამგვარი ქართულის ავტორები მშრომელ ხალხს თავიანთ სათქმელს ბევრს ვერაფერს გააგებინებენ, ახალი სოციალისტური კულტურის შექმნას ხელს დიდად ვერ შეუწყობენ“. იქვე დასძენს მწერალი: უცოდველი არავინაა, მეც მაქვს შეცდომები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველამ ბრძოლა გამოვეუცხადოთ ენობრივ შეცდომებს.

მშვენიერი მიდგომაა ნაკლოვანებათა მხილების საქმისადმი, როცა მ. ჭავჭავიძევილი შენიშნავს, რომ „შეცდომის მხილება მხოლოდ გულნამცეცას ეწყინება“, მწერალი გვეუბნება, რომ ახლა თვითკრიტიკის ხანაა და ყოვლად შეუძლებელია ამპარტანოზამ და ყოყოჩობამ ვინმეს რამე არგოს. წერილის დასკვნითი სიტყვებია: „ჩვენივე მეოხებით აღრეული ენა ჩვენვე გავცხრილოთ და გავასუფთაოთ“. ამ საქმეში კი, მ. ჭავჭავიძევილის აზრით, პირველი სიტყვა მწერლებს ეკუთვნის.

თავისი ნაკლოვანებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მაგალითს თვითონ მ. ჭავჭავიძევილი იძლევა. ეს მშვენიერად ჩანს შემდეგი ფაქტიდან. ზემოაღნიშნულ წერილს დართული აქვს „მ ი ნ ა წ ე რ ი“, რომელშიც მწერალი გამოეხმაურა აკაკი ჭყონიას. საქმე ის არის, რომ ა. ჭყონიამ იმავე წლის 14 აპრილს „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილი „დავიცვათ ენის სიწმინდე“. ამ წერილში ავტორი მ. ჭავჭავიძევილის ენობრივ შეცდომებსაც აღნიშნავდა. მაგალითად, „არსენა მარაბდელიდან“ მიუთითებდა ასეთ წინადადებას: „ჯორჯიაშილს ახალი ამბებით გამოტენილი ყბები და სულის საფუერით სავსე გული მიჰქონდა“. ამაზე ა. ჭყონია შენიშნავდა: „ყველასათვის და პირველ რიგში თვით მ. ჭავჭავიძევილისთვისაც უდავოა, რომ „ამბავი“ ფიზიკურ სხეულს არ წარმოადგენს და ამიტომ მას არ შეუძლია ყბების გამოტენა. თუ შედარება გადატანითი აზრით არის ნახმარი, უნდა ითქვას, რომ ეს ვერაფერი ალევორიული ხერხია“.

ზემოთ განხილული წერილი („ლიტერატურული ქართულისათვის“) მ. ჭავჭავიძევილმა აკაკი ჭყონიას წერილის გამოქვეყნებიდან 14 დღის შემდეგ დაბეჭდა. ამიტომ მწერალს საჭიროდ ჩაუთვლია მინაწერში მაინც გაეცა პასუხი მისი მისამართით გამოთქმულ შენიშვნაზე. და სწორედ აი აქ მქდავნდება მ. ჭავჭავიძევილის მოთმინებითი დამოკიდებულება კრიტიკისადმი და ის, რომ ჩვენი მწერალი „გულნამცეცა“ როდი ყოფილა. მ. ჭავჭავიძევილი აღნიშნავს: როცა ეს წერილი დასრულებული მქონდა, მაშინ გამოქვეყნდა აკაკი ჭყონიას წერილი. „ავტორის ყველა დებულება უდავოა“, ამიერიდან არავის არ უნდა მოვერიდოთ და ენის დაგონჯებისათვის პასუხი უნდა მოვთხოვოთ. შემდეგ აცხადებს: „უბანკო არც მე ვარ. აკაკი ჭყონია ჩემს „არსენა მარაბდელში“ ორიოდვე შეცდომას ასახელებს (გაცილებით უფრო მეტი მაქვს)“.

მ. ჭავჭავიძევილი იქვე განმარტავს, რომ „ახალი ამბებით გამოტენილი ყბები“ შეიძლება ისევე, როგორც შეიძლება „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“... „ღამე ჩამოწვა...“ „ქორით გატენილი გუდა...“

და დასძენს, რომ „ღამე, ჳორი და სევდა ფიზიკური საგანი არ არის. მიუხედავად ამისა, ამგვარი მხატვრული „დაგონჯება“.. ათასობით არსებობს“. მაგრამ მოავარი ეს კი არ არის, მთავარი ისაა, რომ, თუმც მწერალს ჳყონიას შენიშვნა არ გაუზიარებია და, პირიქით, დაუმტკიცებია, რომ ეს არ არის შეცდომაო, მაინც უღიარებია, რომ მეც მრავალი შეცდომა მაქვს და მეც ნუ დამინდობთ, მიმითითეთო ჩვენი ფიქრით, ეს იმისი მაგალითია, თუ თითოეული ჩვენგანი როგორ უნდა ვაყენებდეთ საზოგადოებრივს, ეროვნულს პირად ინტერესებზე მალა.

არანაკლებ საინტერესო ამბავს ვგებულობთ აკაკი ჳყონიას კიდევ ერთი წერილიდან. რომელსაც „ისეე ენის შესახებ“¹ ეწოდება. აქ მიმოხილულია ენის შესახებ მწერალთა კავშირში გამართული დისპუტი. წერილის ავტორი ორ დიდ მწერალზეც ლაპარაკობს და ედავება მათ. ესენი არიან კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ჳავახიშვილი. ჳყონია მკაცრად აკრიტიკებს კონსტანტინე გამსახურდიას, რომელსაც დისპუტზე წაუკითხავს წერილობითი დეკლარაცია „ქართული ენის გენერალური ხაზი“. ჳყონია გამოთქვამს თავის აღშფოთებას ამ დეკლარაციაში განვითარებული აზრების გამო.

მაგრამ აქ ჩვენ ეს წერილი ვახსენეთ. მ. ჳავახიშვილთან დაკავშირებით, რადაგნ ამჯერად ჩვენ ეს საკითხი გვაინტერესებს. ჳყონია აღნიშნავს, რომ დისპუტზე წამოიჭრა მეორე საგულისხმო საკითხიც — საქართველოს რომელი ეთნოგრაფიული ნაწილის დიალექტი უნდა ჩაითვალოს ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად? სწორედ ამის შესახებ წერილის ავტორი გვაწვდის ცნობას, რომ მწერალ მიხეილ ჳავახიშვილს წამოუყენებია ასეთი დებულება: „ყველა ხალხის სალიტერატურო ენის ფუძედ აღებულია რომელიმე გარკვეული კუთხის დიალექტი. ასევე უნდა იყოს ჩვენშიც აქ დასაბამიდანვე კულტურის ცენტრს წარმოადგენდა ქართლი. ქართლის ენა უნდა გახდეს სალიტერატურო მეტყველების ნამდვილ ფუძედ“

მართალია, ა. ჳყონია არ ეთანხმება მ. ჳავახიშვილს და პაექრობას უმართავს მას, მაგრამ ამას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ იმისიც მადლობელი ვართ, რომ ჳყონიამ მოგვაწოდა მ. ჳავახიშვილის ეს მოსაზრება, რაც ფრიად საინტერესოა. ამონაწერიდან ცხადი ხდება, რომ მ. ჳავახიშვილი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლად მიიჩნევს ქართლურ

¹ „კომუნისტი“, 24 მაისი, 1934 წ.

დიალექტს. ეს კი ენათმეცნიერების მიერ გაზიარებული და მიღებული დებულებაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მწერალი ამ დასკვნამდე მისულა ჯერ კიდევ 1934 წელს, როცა ეს დებულება სადავოდ მიაჩნდათ ზოგიერთებს, მათ შორის ა. ჯყონიასაც.

მ. ჯავახიშვილს იქვე განუმარტავს, რომ ქართლურს იგი ფართო გაგებით ხმარობს. იგი გაბატონებულია კახეთშიც, ბორჩალოში, თვით ქართლში, ფშავ-ხევსურეთში, ჯავახეთში, ზემო იმერეთში და რაჭაშიც კი. ა. ჯყონია გაცხადებული კითხულობს — რაღა დარჩაო! და საკითხი მცდარად მიაჩნია. ჩვენ კი საწინააღმდეგოს ვფიქრობთ. ამ დავას გადაწყვეტილად ჩავთვლით, როგორც კი მოვიტანთ და დავიმოწმებთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთ ადგილს: „ახალ სალიტერატურო ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება — ქართლური და კახური — ასაზრდოებს“¹.

ცხადია, ეს დებულება, მსგავსია მ. ჯავახიშვილის დებულებებისა, იმ განსხვავებით, რომ იქ ზედმეტად მოჩანს რაჭული, ზემო იმერული და ფშავ-ხევსურული. დანარჩენი კი „აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველებაა“. მთავარი კი ის არის რომ მწერალს სწორი პრინციპი მოუმარჯვებია.

მ. ჯავახიშვილი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი იყო. მას ლინგვისტიკაში პრეტენზია არასოდეს ჰქონია, ამიტომ, ბუნებრივია, მას ენის შესახებ სპეციალური გამოკვლევები არც დაუწერია. ჩვენს მიერ განხილული წერილები მაინც იმაზე მიუთითებს, რომ მწერალი დიდად ყოფილა დაანტერესებული ჩვენი მშობლიური ენით — მისი წარსულით, დღევანდელი და ხვალისდელი ბედით. იგი თავგამოდებული მებრძოლი ყოფილა ქართულის სიწმინდის დაცვისა, უცხოური სიტყვების მოძალეებისაგან მისი დაცვისა, დიალექტებიდან სიტყვათა კანონზომიერი შემოტანისა. მ. ჯავახიშვილის მუდმივი საზრუნავი ის ყოფილა, რომ ქართულმა ყოველთვის შეინარჩუნოს სიცოცხლისუნარიანობა და ცხოველმყოფელობა, რადგან ამის უფლება მას საუკუნეების მანძილზე მოუპოვებია: იგი არას „მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანი“.

ქართულ ენას თვალისჩინივით უნდა უფროთხილდებოდეს ყველა მოქალაქე. იგი ყოველდღიურ ხმარებაში უნდა ვითარდებოდეს და მდიდრდებოდეს. ხმალი და ენა ერთმანეთს იმითაც ჰგავს, რომ ორივე ხმარებაში ფხიანდება, უხმარებლად კი ჩლუნვდება და იყანგება... ქართველ მწერლებს ქართულ ენაზე განსაკუთრებული ზრუნვა მართებთ, რადგან „ენა მწერლის ბალავარია“.

დაჩაგრულთა და გარიყულთა ყოფის ასახვა პირველ მოთხრობებში

მოახლოებულმა რევოლუციამ, რომელმაც თავისი ფრთები მძლავრად გაშალა 1905-1906 წლებში, უდიდესი გარდამქმნელი კვალი დააჩნია ადამიანთა შეგნებასა და ფსიქიკას. დაიწყო ღირებულებათა, გადაფასება, ახალი იდეების მომძლავრება და გავრცელება ფართო მასებში. ინტელიგენცია, ცხადია, ვერ ასცდებოდა ამ გარდამქმნებს და აკი მისი საუკეთესო ნაწილი რევოლუციურმა განწყობილებებმა მოიცვა, ჯერ თითქოს გაუბედავად, მორცხვად და მორიდებულად, მაგრამ თანდათან უშიშრად და შემართებით.

მიხეილ ჯავახიშვილი ეკუთვნის ინტელიგენტთა იმ ნაწილს, რომლის წარმომადგენელიც რუსეთის პირველი რევოლუციის იდეათა არა მხოლოდ გამომხატველნი, არამედ ამ იდეათა ცხოვრებაში გატარებისთვის შეუპოვარი მებრძოლებიც არიან. ამ დიდი ქართველი მწერლის ბიოგრაფიის მკოდნე ადამიანი ადვილად გაიხსენებს მისი ცხოვრების ეპიზოდებს, როცა მ. ჯავახიშვილი იდეებობდა მეფის ხელისუფლებისაგან, როგორც პოლიტიკური მტერი, რომელიც ცარიზმის საფუძვლების შერყევაში თავისი ჟურნალისტური თუ მწერლური კალმით აქტიურად მონაწილეობდა. ამ დევნის შედეგი იყო ახალგაზრდა მწერლის გაქცევა საზღვარგარეთ და მეტეხის ციხეში გატარებული წელი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

მოახლოებული რევოლუციის სუნთქვა უკვე იგრძნობოდა, როცა 1903 წელს მ. ჯავახიშვილმა პირველი მოთხრობა დაწერა. ეპოქამ თავისი კვალი დააჩნია მომავალი მწერლის პოლიტიკურ-სოციალურ, ეროვნულ თუ ესთეტიკურ მრწამსს. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის სათავეშივე გამოიკვეთა მ. ჯავახიშვილის დემოკრატიული იდეალები, რაც დაჩაგრულთა და გარიყულთა მიმართ უაღრეს თანაგრძნობაში და მათი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში გამოიხატა. სწორედ ეს იდეალებია საფუძველი იმისა, რომ მწერლის პირველი მოთხრობები, რომლებიც 1903-1908 წლებში დაიწერა,

აღბეჭდილია უაღრესი თანაგრძნობით დაჩაგრულთა მიმართ და მკაცრი მხილებით იმისა, რამაც გამოიწვია ჩაგვრა და უთანასწორობა.

ბუნებრივია, რომ მწერალი, რაკი იგი საზოგადოებრივი ცხოვრების, სინამდვილის ასახვასა და მის გარდაქმნას ისახავდა მიზნად, შემოქმედების მეთოდად რეალიზმს აირჩევდა. ეს ასეც მოხდა. მ. ჭავჭავაძის მათხრობის კი, როცა ბევრი სხვა მწერალი მოდებს ვერ ასცდა და მრავალი „იზმით“ დაავადდა, ყოველთვის რეალიზმის ერთგული რჩებოდა თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში. იგი სხვა შემოქმედთაგანაც მოითხოვდა, რომ უკუეგდოთ ფორმალიზმი, ნატურალიზმი და მათი განშტოებანი, მოემარჯვებინათ რეალიზმი და ისევე რეალიზმი.

თავის მრავალ წერილში, რომლებშიც ლიტერატურული საკითხებია დასმული და განხილული. იგი მკაფიოდ აყალიბებდა იმ აზრს, რომ თუ ოდესმე სადმე რაიმე კარგი შექმნილა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მხოლოდ რეალიზმის წყალობით.

მ. გორკის მსგავსად, მ. ჭავჭავაძის მათხრობის ადრინდელი მოთხრობების გმირებად საზოგადოების ფსკერზე მყოფი ადამიანები აირჩია. მწერალმა დაგვიანახვა ცხოვრებისაგან გარიყული, მისგან განაპირებული, დაბეჩავებული და უბედობაში მყოფი ადამიანების ცხოვრება. მან ჩაგვახედა ამ ადამიანების სულში და დაგვარწმუნა, რომ, ეს ღატაკი, უბინაო, ჩამოკონკილი ადამიანები ზოგჯერ ამორალურნიც კი არიან, მაგრამ მათ მაინც თანაგრძნობით უნდა ვეპყრობოდეთ, რადგან ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართი კანონების მსხვერპლი არიან, თავიანთ სიბეჩავეში მათ ბრალი არ მიუძღვით და სხვა პირობებში ისინი, შესაძლოა, კარგი ადამიანებიც იქნებოდნენ.

ეს აზრები აღედგრება მკითხველს, როცა კითხულობს მოთხრობებს ჩანჩურებისა და კურკების ცხოვრებაზე. თანაგრძნობა და არა ზიზღი, მათ ბედზე დაფიქრება და არა ზურგის შექცევა — აი. ლოგიკური დასკვნა, რომელსაც მკითხველი აკეთებს ამ მოთხრობების წაითხვის შემდეგ. ყველაფრიდან იგრძნობა, რომ მწერალსაც ეს უნდოდა, მისი მიზანიც ეს იყო!

თავის ავტობიოგრაფიაში მ. ჭავჭავაძის აცხადებს: „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანაში (1903-1908 წ.) ერთგვარ გავლენას განვიცდიდი ფლობერის, მოპასანის და გორკისა...“ ჩვენ ამ უკანასკნელის (გორკის) გავლენას. უპირველესად ყოვლისა,

დაზარულთა ბედით დაინტერესებაში, მათი ცხოვრების ჩვენებაში და შეფასებაში ვხედავთ. როგორც გორკი, მ. ჯავახიშვილი „ფსკერის“ აღმამიანებით არის დაინტერესებული, მათდამი თანაგრძნობას ქადაგებს, მათი გარიყვის მიზეზსაც ორივე მწერალი ერთნაირად გვიხატავს.

მ. ჯავახიშვილი მ. გორკის სწორედ იმით მოუხიბლავს და გაოტაცია, რომ „ავტორი ხალხის ფსკერში უძლიერეს ტიპებს პოულობდა; რომელნიც არსებულ მორალს და წესწყობილებას ძირფესვიანად აზანზარებდნენ...“ ამ შეფასებით ჩვენ ვიგებთ არა მარტო გორკის შემოქმედებისადმი ჩვენი მწერლის დამოკიდებულებას არამედ თვით ჯავახიშვილის ლიტერატურულ მრწამსსაც, მის იდეალებსაც ვეცნობით.

ამის გამოა, რომ, თუ შეიძლება მ. ჯავახიშვილზე მ. გორკის გავლენის შესახებ ლაპარაკი, ეს სწორედ მის პირველ მოთხრობებს შეეხება.

მაგრამ აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს გავლენა არავითარ შემთხვევაში ბრმა არ ყოფილა! მ. ჯავახიშვილს, ჯერ ერთი, იმთავითვე გამომქდავენებული აქვს წერის საკუთარი მანერა, და მეორე, რაც მთავარია, მ. ჯავახიშვილის მოთხრობების გმირები ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულნი და გაზრდილნი არიან, გარემოც, რომელშიც მათ უხდებათ ყოფნა თუ მოქმედება, ეროვნულია მათ ირგვლივ მყოფი ადამიანებიც, სიტუაციებიც, ყველაფერი ეროვნულია თავისი კოლორიტითა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით...

ამის გამოა, რომ მ. ჯავახიშვილის პირველი მოთხრობების არც ერთი გმირი არაფრით, ხასიათის აოც ერთი შტრიხითაც კი არ ჰგავს მ. გორკის ე. წ. „ბოსიაკური მოთხრობების“ არც ერთ გმირს.

მ. გორკი თავის აღრინდელ მოთხრობებში „ორი ბოსიაკი“ „ჩელკაში“, „ბატარა მათხოვარი“ და ა. შ. გვიხატავს ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანების ყოფას. მწერალი ამხელს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ წესს, რომელმაც ადამიანთა დიდი ნაწილი დატაკებად და მაწანწალებად აქცია, ლუკმაპურის საშოვნელად რომ დადიან კიდით-კიდემდე, დაექებენ სარჩოს, თავშესაფარს და, მიუხედავად ჭაფისა და შრომისა, ისევ მაწანწალებად რჩებიან. ისინი შრომას არ იზარებენ, აქირავებენ თავიანთ ფიზიკურ ძალას, მცირედითაც კმაყოფილნი იქნებოდნენ, მაგრამ ესეც ძნელი მოსაპოვებელია, დაშუქულთა ამ ბრბოს თანდათან ეკარგება ადამიანის სახე, ზოგი მათგანი ქურდი და არამზადა ხდება, მაგრამ მწერალი მათ ისეთი თანაგრძნობითა და სითბოთი გვიჩვენებს, რომ მკითხველი მათდამი

დიდი სიმპათიით იმსკვალება. გავიხსენოთ თუნდაც მასლოვი („ორი ბოსიაკი“) ან ჩელკაში:

მასლოვი მაწანწალაა. ის შიმშილს ებრძვის. დახეული ტანსაცმლის, ახოვანი და ლამაზი სხეულისა და ფიზიკური ძალის მეტი მას არაფერი გააჩნია. ცოტას იშოვის, მაშინვე შექამს, ხვალისთვის არაფერი რჩება, მაგრამ სულიერი სილამაზე და მშვენიერება მასლოვის დიდი სიმდიდრეა.

გავიხსენოთ ეპიზოდი, როცა მწერალი, მასლოვი და მისი ამხანაგი ყირიმში ერთ გამოქვამულში წვიმას შეათარებენ თავს და იქ კოცონს დაანთებენ, გავიხსენოთ სიმღერა და მასლოვის განწყობილება. რა მშვენიერია, რა მიმზიდველი და საყვარელია ეს ადამიანი, რა ხალასი ადამიანური გრძნობებით არის იგი გამსკვალული. მას ყველაფერი წმინდა, კარგი ადამიანისა აქვს — სურვილებიც, მორალიც, ხასიათიც, მაგრამ ადამიანური ცხოვრების საშუალება წართმევია და სილატაკეს იგი მოხეტიალე მშვიერად უქცევია. ამ კაცის შრომისმოყვარეობა მშვენივრად აქვს ნაჩვენები ავტორს იმ ეპიზოდში, სადაც მასლოვი ხახადაღებულ, გაუმაძღარსა და ხარბ საღეწ მანქანას პირში ძნებსა ჩრის, იქნებ გავაძლო და გავაჩუმოო... რა მშრომელი და მუყაითი, რა ძაღოვანი და ბეჭითია მასლოვი აქ ისე ცოცხლად არის დაწერილი ეს ეპიზოდი, რომ მკითხველი ნათლად ხედავს გამრჯე მასლოვს, შეპყურებს მას და ხარობს მისი შრომით, მაგრამ ენანება კიდევაც ეს სანდომიანი ადამიანი, რომელსაც არაფერი გააჩნია და დღიურად მიჰქირავებია გაბღენძილ მდიდარ კაზაკს. ჩვენ ვრწმუნდებით და გვიპყრობს აზრი: მას რომ მიწა ჰქონოდა, რა პურს მოიყვანდა, რა პატიოსნად და ღირსეულად მოაწყობდა ოჯახს, რა გამრჯე და მოსაწონი გლეხი იქნებოდა ის...

მაწანწალა მასლოვი მწერალმა შეაყვარა მკითხველს, რომელიც მისი მკლავის დაკარგვას, შემდეგ კი სიკვდილს ასე მწვავედ განიცდის. აქ მელავნდება მ. გორკის დიდი ჰუმანიზმი და თანაგრძნობა უსახსროთა და დაჩაგრულთა მიმართ, აქვეა გამელავნებული მწერლის პროტესტი იმ მიზეზებისადმი, რამაც მასლოვები და ჩელკაშები ქუჩაში გამოყარა, რამაც მათ ცხოვრების გზები აურია და დასალუბად განწირა.

ჩელკაში ქურდბაცაცაა. ქურდობა მას ისეთივე სიამოვნებას ჰგვირის, როგორც, ვთქვათ, გასეირნება. მან იცის: მას ყველა მგელივით უყურებს, არავინ შეიბრალებს და დაინდობს, ამიტომ ისიც შეუბრალებელი და დაუნდობელია ქურდობაში — იპარავს, სვამს ისევ იპარავს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩელკაში წუშპეში მოხვედრილა, იგი მაინც ადამიანია, რომლის მიმართაც მკითხველი

თანაგრძნობით იმსკვალება. გავიხსენოთ სცენა, როცა ჩელკაში გლეხის ბიჭს გავრილას საქურდად წაიყვანს და „ოპერაციის“ დამთავრების შემდეგ განიმსკვალება მისდამი გულთბილი გრძნობით — ჩელკაში გულში გადაწვევებს, გავრილას ბევრი ფული მისცეს, რათა ის წავიდეს და თავისი ოცნება აისრულოს — დაუბრუნდეს სახლს, იყიდოს ძროხა, ცხენი და შეძლებულ გლეხად იცხოვროს. მართალია, გავრილა სიხარბეს და სულმდაბლობას გამოიჩინს, რის გამო ისინი წაიჩხუბებიან და ჩელკაში ფულის უკან წართმევას გადაწვევებს, მაგრამ ის უკვე გაღვიძებული ადამიანია, ლატაკ გავრილას მაინც შეიბრალებს და ბევრ ფულსაც მისცემს, თუმცა, კინაღამ, მისი ხელით არ გამოესალმა სიცოცხლეს.

ჩელკაში მკითხველს არ ძულს, რადგან მისი ბრალი არ არის რომ ის ქურდია... მკითხველს ძულდება არა მსხვერპლი — ჩელკაში, არამედ მიზეზი — ცხოვრების იმდროინდელი წესი, საზოგადოებრივი წესწყობილება. რომელმაც ჩელკაში და ათასობით მისნაირი მაწანწალებად და არაარობად აქცია.

გავრილა არ ქურდობს, ის მხოლოდ სამუშაოს საშოვნელად დაეხეტება, შიშითა და ძრწოლვით კანკალებს ქურდობაში უნებლიე მონაწილეობის დროს, რაც მწერალს დიდი დამაჯერებლობით აქვს დახატული, მაგრამ მისი სულიც დაუმახინჯებია ცხოვრებას, სიღუბე-ქირეს... გავრილა თვითონ გამოუტყდა ჩელკაშს, მინდოდა მომეკალი და ეგ ფული მთლად წამეღო. უფრო მეტიც, კვლავ სულმდაბლობას ჩადის, როცა ქურდბაცაცა ჩელკაშს, რომლის საქციელსაც ღვთის შიშით ასე გმობდა სულ ცოტა ხნის წინათ, ფეხქვეშ ჩაუვარდება და თავმოყვარეობადაკარგული ემუდარება, მათხოვარით ეხვეწება, ეგ ფული მე მომეცი, შენ მაინც ტრაქტირში გაფლანგავო. ეს საქციელი გავრილას თვით ჩელკაშის თვალშიც კი საძაგელს ზღის, მის მიმართ ზიზღსა და ანტიპათიას აღუძრავს...

ბუნებით კეთილი, ღვთისმოშიში ახალგაზრდა გავრილა ხარბი და ძუნწია, ფულისათვის ის არ ერიდება უზნეობასაც კი... ვინ აქცია ეს ახალგაზრდა ასეთ სულმდაბალ ქმნილებად? ცხოვრებამ! რაკი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ არიან მდიდრები და მამლარნი და ამავე დროს არიან უჭონელნი და დამშეულნი, რომელთაც არაფერი გააჩნიათ და რომელნიც იძულებულნი არიან იხეტიალონ და მიექირაონ მჭონებელთ, რათა ლუკმაპური იშოვონ. სწორედ ცხოვრების ეს უკუღმართობა ადამიანებს არა მარტო უფლებრივად და ეკონომიურად ავიწროებს, არამედ სულიერად და მორალურადაც ამახინჯებს...

ასეთია მ. გორკის ამ ნაწარმოებთა და მრავალ მის მსგავს

თხზულებათა ლოგიკური დასკვნა და მკითხველიც აშკარად გრძნობს ამას, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება. ამ დასკვნის გამორტანის შემდეგ იბადება ახალი კითხვა, რომელიც ასე აწუხებს ადამიანს და რომელზე პასუხის გაცემაც მთავარზე უმთავრესია...

წინა მსჯელობიდან ერთადერთი სწორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მ. გორკის ადრინდელი ნაწარმოებების მთავარი ნიშანი ისაა, რომ მათში გამოხატულია ცხოვრებისაგან გარიყულთა და დაჩაგრულთა მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობა, ზრუნვა მათ ბედზე, რაც მანამდე სხვა მწერლების ნაწარმოებებში ასე მკაფიოდ, ძლიერად და გაბედულად გამოხატული არ ყოფილა.

მ. ჭავჭავიძის ადრინდელი მოთხრობების გმირებიც „ფსკერის“, საზოგადოების ქვედაფენის წარმომადგენელი არიან, დაჩაგრულნი, უუფლებონი და გარიყულნი...

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ მ. ჭავჭავიძის შემოქმედებაზე მ. გორკის გავლენის შესახებ, ეს „გავლენა“, რომელსაც აჯობებდა დაგვერქმია „თემატური სიახლოვე“, უნდა დავინახოთ მხოლოდ და მხოლოდ მ. გორკისა და მ. ჭავჭავიძის ადრინდელ ნაწარმოებებში და მხოლოდ და მხოლოდ თემატურ, პრობლემატურ მსგავსებაში. საზოგადოებრივი ყოფის ერთნაირ დანახვასა და შეფასებაში, ერთის მიერ რუსეთში, ხოლო მეორეს მიერ — საქართველოში. რაც შეეხება წერის მანერას, ხატვის ხერხებს და სხვა მწერლურ ატრიბუტს, ორივე ეს მწერალი ინდივიდუალურად გამოკვეთილი სხვადასხვა სტილის მწერლები არიან.

რევოლუციური თემატიკა, 1905 წლის რევოლუციის თემა გორკის შემოქმედებაში მკაფიოდ და სრულად აისახა „დედაში“, რომელიც 1907 წელს დაიწერა. ისიც ცნობილია, რომ მკითხველთა უმრავლესობას ამ ნაწარმოების გაცნობის საშუალება გაცილებით მოგვიანებით მიეცა. მათ შორის მ. ჭავჭავიძელიც, საფიქრებელია, ამ რომანს გვიან წაიკითხავდა.

ამავე დროს მ. ჭავჭავიძელმა 1905 წელს დაწერა მშვენიერი მოთხრობა „ჯილდო“, რომელშიც ასე მკაფიოდ და მხატვრული დამაჯერებლობით აისახა რუსეთის პირველი რევოლუციის ამბები საქართველოში. ნაწარმოების ავტორის სიმპათია მთლიანად და სავსებით ქუჩაში საბრძოლველად გამოსული მშრომელების მხარეზეა, იგი ზიზღითაა გამსკვავლული არსებული წყობილებისა და მისი ყველა ინსტიტუტის მიმართ. აქ მშრომელი მასა მებრძოლ ძალადაა შექრული და გაერთიანებული. იგი უტევს პოლიციას და ცარიზმის ყველა ბურჯს... როგორც აღვნიშნეთ, ეს ნაწარმოები 1905 წ. დაიწერა, ე. ი. როცა „დედა“ სრულიადაც არ არსებობდა, იგი ორი წლის შემ-

დღე დაიწერა. რა გამოდის? გამოდის, რომ რეალისტი მწერალი ცხოვრებას კარგად იცნობს და მისგან იღებს თავისი შემოქმედების თემებს ისე, რომ სხვისი გავლენა აქ სრულიად გამორიცხულია. ეს სავალდებულო არც იყო.

„ჩილდოს“ ავტორი თვითონ ტრიალებდა რუსეთის პირველი რევოლუციის გულში და მისი აქტიური მონაწილე იყო. ამიტომ ეს თემა მისთვის არა მარტო ნაცნობი, არამედ მახლობელი გახდა და ნაწარმოებშიც ასე დამაჯერებელი ამიტომაც გამოვიდა.

მეორეს მხრივ, მ. ჭავჭავაძის გვიან „ქალის ტვირთით“ კვლავ უბრუნდება პირველი რევოლუციის თემას. მაშინ კი „დედა“ მისთვის, ცხადია, ნაცნობი იყო. იქნებ ამან ვინმეს აფიქრებინოს, რომ მ. ჭავჭავაძის ამ რომანს გორკის გავლენით წერს? ასეთი ფიქრის საბაბი. მართლაც, არის: აქაც, „დედის“ მსგავსად, რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებია ნაჩვენები, აქაც რევოლუციონერთა შემართებაა დახატული, აქაც ქალს მთავარი ადგილი ეკუთვნის, როგორც „დედაში“. აღსანიშნავია, რომ ორივე რომანის სათაურიდანვე ეს კარგად ჩანს („დედა“ და „ქალის ტვირთი“) — ორივეგან რევოლუციაში ჩაბმული ქალების დაუვიწყარი სახეებია, თუმცა მათი ხასიათები სრულიად განსხვავებულია ისე, როგორც მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ასაკი, მოქმედების ადგილი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ორი რომანი თემატურად და მრავალი ნიშნით ერთმანეთს გავს, მათგან „დედა“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „ქალის ტვირთს“, მაინც უნდა ვთქვათ, რომ აქაც გავლენის საკითხი გამორიცხულია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო ერთი გარემოებაც კმარა ამ დებულების დასამტკიცებლად: „ქალის ტვირთის“ პირველი ჩანასახი, მისი პირველი მონახაზი მ. ჭავჭავაძის მოგვცა თავის მცირე ნაწარმოებში „ოჯახი“, რომელიც ჯერ კიდევ 1906 წელს დაიბეჭდა გაზეთ „შრომის“ 32-ე ნომერში¹.

გავლენის საკითხს ეხება პროფ. გ. ჯიბლაძე თავის წიგნში („კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III, თბილისი, 1959 წ., გვ. 271—272). პატივცემული პროფესორი საკითხს სევამს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მ. ჭავჭავაძის ვანცხადება: „შემოქმედების პირველ პერიოდში „განვიცდიდი ფლობერის, მოპასანიისა და გორკის ერთგვარ გავლენას“. გ. ჯიბლაძე ყურადღებას აქცევს სიტყვა „ერთგვარს“ და კითხვას აყენებს — „ხომ არ გვეხმარება სიტყვა „ერთგვარი“

¹ იხ. ჩვენი წიგნი — მ. ჭავჭავაძის აღრინდელი პუბლიცისტიკა, თბილისი, 1960 წ., გვ. 32—33.

თვით მისი ბუნების (გავლენის—ტ. კ.) გასარკვევად?“ ჩვენი აზრით, საკითხი სრულიად მართებულად არის დასმული. გავლენა, მართლაც, ერთგვარია და არა პირდაპირი.

პროფ. გ. ჯიბლაძე თანმიმდევრულად მსჯელობს ფლობერისა და მოპასანის შესახებ და მერე გორკის გავლენის საკითხს ეხება. იგი წერს: „უფრო ნიშანდობლივი და უშუალო იყო გორკის გავლენა. ვინ არ იგრძნობს სიახლოვეს „მაკარ ჩულდას“, „ჩელკაშის“ ან „ფსკერზე“ სახეებთან? მაგრამ, თუ მიხვილ ჭავახიშვილის მოთხრობების თემატიკა პირველ პერიოდში გორკის შემოქმედებას ენათესავებოდა ბოსიაკების („ჩანჩურა“, „უპატრონო“), ლარიბთა, ლატაკთა, დავრდომილთა და განკიცხულთა ცხოვრების გადმოცემით, ამავე დროს გორკის რევოლუციური რომანტიზმი, მისი მაღალი იდეურობა, ჩანჩურას ავტორს არ ახასითებდა, უფრო ფლობერულსა და მოპასანურ მანერას მისდევდა. გორკის სიადავემ, ჭუმანიზმმა და ჩაგრულთაღმი სიყვარულმა გააღვიძა მისი თანაგრძნობა „ფსკერზე დარჩენილი ადამიანებისადმი“; აღუძრა სიბრალულის გრძნობა და შეაძლებინა გამოეკეთა მათი სახეები“¹.

ჩვენ ვიზიარებთ ამ ამონაწერში გატარებულ აზრს, მაგრამ არ შეგვიძლია ერთი შენიშვნა არ გავაკეთოთ: პროფ. გ. ჯიბლაძე წერს, რომ „ჩანჩურას“ ავტორს არ გააჩნდა გორკის რევოლუციური რომანტიზმი, მისი მაღალი იდეურობა: ამ დებულების გაზიარება გაჭირდება არა მარტო ისეთი მოთხრობის გამო, როგორცაა „ჯილდო“, არამედ თვით „ჩანჩურას“ გამოც. რაკი აქ ლაპარაკია გორკის გავლენაზე მ. ჭავახიშვილის შემოქმედების პირველ პერიოდში, ამ ორ მოთხრობას მხოლოდ ამიტომ ვასახელებთ, რადგან ორივე ისინი პირველ პერიოდს ეკუთვნის, თორემ მოგვიანებით დაწერილ ნაწარმოებთაგან კიდევ მრავალის დასახელება შეგვეძლო, მაგალითად — „ქალის ტვირთი“ და სხვ.

„ჯილდოში“ (1905 წ.), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უდიდესი ძალითა და მგზნებარებით არის მოცემული 1905 წლის რევოლუციის ერთი ეპიზოდი — ქუჩაში მომხდარი შეტაკება დემონსტრანტებსა და მეფის ჯარის ნაწილებს შორის. ეს ეპიზოდი განზოგადებამდეა აყვანილი. მოთხრობა გამსჭვალულია სწორედ რევოლუციური რომანტიზმით, იგი მაღალიდეური და მებრძოლი სულისკვეთებისაა.

ამავე დროს, ერთი შეხედვით „ნეიტრალური“ ნაწარმოები — „ჩანჩურაც“ როდია მოკლებული ზემოაღნიშნულ თვისებებს. იმას

¹ გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III, თბილისი, 1959 წ., გვ. 272.

რომ თავი დავანებოთ, თუ ამ ნაწარმოებით საერთოდ როგორ ამხელს და სამარცხვინო ბოძზე აყრავს ავტორი არსებულ წესწყობილებას, ცხოვრების წესს, რომელმაც უბედურებს შებრალების ნაცვლად ასეთი ცხოვრება განუმზადა, ისიც კმარა, რომ გავიხსენოთ პოლიციელი პეტროვის სახე. ხელისუფალთა წარმომადგენლის ასეთი ბრძუვალი. ყუყუჩად ჩვენება, მისი ასეთი გამახსარავება, როგორც ამ ნაწარმოებშია მოცემული, განა ხაზს არ უსვამს მოთხრობის ავტორის იდეურ პოზიციას? ვფიქრობთ, ეს აშკარაა. ამიტომ გვეჯირს დავეთანხმეთ პატივცემულ პროფესორს ზემოთ მოტანილ მოსაზრებაში. საერთოდ კი, როგორც უკვე ვთქვით, მ. გორკის მ. ჭავჭავიძეში გავლენის საკითხი დასაბეღებელ წიგნში სწორად არის დასმული და გადაჭრილი.

მიხეილ ჭავჭავიძეის პირველ მოთხრობებს ქართული სალიტერატურო კრიტიკა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აფასებდა. რაკი ცალკე თავი მიუუსლვენით საკითხს, თუ როგორი შეფასება პოვა მიხეილ ჭავჭავიძეის შემოქმედებამ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ამიტომ ამაზე აღარ შეეჩერდებით. აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც მწერლის რეაბოლიტაციის შემდეგ გამოითქვა.

ამ მხრივ პირველობა, ქრონოლოგიური თვალსაზრისით. ეკუთვნის პროფ. შალვა რადიანს. რომელმაც 1957 წელს გამოსცა პატარა წიგნი მიხეილ ჭავჭავიძეის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ¹ ამ წიგნში მწერლის პირველი მოთხრობები განხილულია სულ ერთ გვერდზე და ამიტომ, ცხადია, იგი ამომწურავი ვერ იქნება, მაგრამ თვალსაზრისი. რომელიც აქ არის გატარებული, საეუბრით სწორია ავტორი სპარტლიანად აღნიშნავს, რომ მ. ჭავჭავიძეი თავის პირველ მოთხრობებში უმთავრესად ცხოვრების „ფსკერს“ გვიჩვენებს აქ მოჩანან „მკაცრი სინამდვილით დაძაბუნებული ადამიანები“. ამ პირველ მოთხრობებში შ. რადიანი ხედავს „მათი ავტორის დემოკრატიზმსა და პროტესტანტულ სულისკვეთებას“.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნის ავტორი მ. ჭავჭავიძეის პირველ მოთხრობებს იმდენად მცირე ადგილს უთმობს, რომ მათი სათაურების ჩამოთვლისა და ორიოდ განცხადების მეტის თქმა არ ხერხდება. ამიტომ ჩვენც ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

¹ შ. რადიანი, „მიხეილ ჭავჭავიძეის ცხოვრება და მოღვაწეობა“, საბჭოთა მწერალი, 1957 წ.

აღმანახ „პირველი სხივის“ № 5—6 წიგნში კობა იმედაშვილმა გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „მიხეილ ჭავჭავიშვილის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი“¹. თუმც მასში ლაპარაკია საერთოდ მ. ჭავჭავიშვილის შემოქმედების ზოგიერთ თავისებურებაზე, რაც თავისთავად საინტერესოა და რასაც ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნავდით, მაგრამ ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს მწერლის პირველი მოთხრობების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და ამიტომ მათ შესახებ გვინდა ვთქვათ.

კობა იმედაშვილი აქ უმეტესად ლაპარაკობს მწერლის სტილზე, ენაზე, პორტრეტის ხატვაზე, ევროპულ თუ ქართველ მწერლებთან მსგავსებაზე და ა. შ. ყოველივე ეს შეეხება მ. ჭავჭავიშვილის შემოქმედებას საერთოდ. რაც შეეხება მწერლის პირველ მოთხრობებს, ამაზე ავტორი გამოთქვამს ზოგიერთ მოსაზრებას, რომელზეც ყურადღების შეჩერება საჭიროდ მიგვაჩნია.

როცა ჩამოთვლის 1903—1908 წლებში დაწერილ მოთხრობებს. კ. იმედაშვილი აცხადებს: „ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მოთხრობებიც ადამაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა. ეს ერთი მომენტი გარკვეულად აერთიანებს ამ მოთხრობებს“². ნათქვამიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ამ მოთხრობებს რაღაც საერთო აქვთ, ერთ რკალს ქმნიან და ადამაშვილის ხელმოწერაც ერთგვარად ხაზს უსვამს მათ გამოცალკევებას მწერლის დანარჩენი ნაწარმოებებიდან. მოტანილი ციტატის სხვაგვარი გაგება, ფიქრობთ, არც შეიძლება.

ამაზე ყურადღებას იმ გარემოების გამო ვაჩერებთ, რომ კ. იმედაშვილი იმავე წერილის სხვა ადგილზე ხაზგასმით აღნიშნავს — მ. ჭავჭავიშვილის შემოქმედებაში რაიმე პერიოდის გამოყოფა არ შეიძლებაო. ის წერს: „მიხეილ ჭავჭავიშვილის მიმართ კი უნდა შევნიშნოთ, რომ რაიმე მკვეთრად გამოყოფილი პერიოდი მის შემოქმედებაში არ არის“³. ამას რომ ამბობს, თვითონვე გრძნობს, რომ საქმე მთლად ასე არ არის და იძულებულია იმავე სტრიქონში განაგრძოს შემდეგი აზრი: „შეიძლებოდა ყურადღება შეგვეჩერებინა აღრიხედელ, 1903—8 წლებში დაწერილ მოთხრობებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი დაშორება გვაქვს მომდევნო მოთხრობამდე. 1923 წელს დაწერილ „ტყის კაცამდე“. ამის შემდეგ ავტორი გამოთქვამს რამდენიმე მოსაზრებას და ცდილობს დაამტკიცოს წამოყენებული დებულება.

კ. იმედაშვილი მართალია, როცა ედავება ერთ-ერთ კრიტიკოსს.

¹ კ. იმედაშვილი, „მიხეილ ჭავჭავიშვილის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი“, აღმანახი „პირველი სხივი“ № 5—6, 1958 წ., გვ. 576—604.

² დასაბუთებული „პირველი სხივი“, გვ. 579.

³ იქვე, გვ. 595.

თუმცა მას არ ასახელებს. რომ მ. ჭავჭავაძის არასოდეს არ განუცდია დეკლენტური მიმართულების გავლენა, ის ყოველთვის რეალისტი იყო. ეს სრული კემპარიტებაა და სათანადო ადგილზე ჩვენც ცხადვყოფთ ამას, მაგრამ არც იმისი ხელალებით უარყოფა შეიძლება, რომ თემატიკითაც, სახეებითაც, განწყობილებითაც, სტილითაც და, შეიძლება ითქვას, მსოფლმხედველობრივადაც მწერლის აღრინდელი მოთხრობები განსხვავებულია „ტყის კაცის“ შემდეგ დაწერილი ნაწარმოებებისაგან, ეს ბუნებრივიც არის. ჯერ ერთი, აღრინდელ მოთხრობებს რომ წერდა, მ. ჭავჭავაძის სრულიად ახალგაზრდა იყო, ეპოქაც სრულიად არ ჰგავდა 1923 წლის შემდგომ ეპოქას. თვით ავტორი კი სწორედ პირველი მოთხრობების დაწერის შემდგომ გადის ცხოვრების წვრთნას, რაც აქტიურ ქურნალისტურ მოღვაწეობაში, პოლიტიკურ დევნასა და უცხოეთში დიდი ხნით ყოფნაში, განათლების მიღებაში, ევროპის კულტურის საფუძვლიან შეთვისებაში და ა. შ. უნდა დაეინახოთ. ცხადია, ყოველივე ეს დიდ გარდამქმნელ გავლენას მოახდენდა მწერალზე. რაც თავისთავად ცხადია, მის ნაწერებშიც გარდატყდებოდა. ეს ასეც მოხდა. ნაწარმოებთა ანალიზის დროს ამის ნათელყოფასაც ვეცდებით.

სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ კ. იმედაშვილის წერილიდან მოტანილი ორი ამონაწერი (დასახელებული წიგნის 579 და 595 გვერდებიდან) აზრობრივად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს გარემოება კი ერთხელ კიდევ ექვის ჭვეშ აყენებს აღნიშნული ავტორის დასახელებულ მოსაზრებას.

როცა კ. იმედაშვილი „ჩანჩურაზე“ ლაპარაკობს, ფიქრობს, რომ ამ ნაწარმოებში უპირველესია სატირა, რომელიც მოთხრობაშია გამოყენებული. გვინდა შევნიშნოთ, რომ აზრის ასეთი წარმართვა მართებული არ იქნებოდა. სატირა თუ სხვა მანერა, სხვა სტილი თუ ხერხი ყოველ მწერალს მომარჯვებული აქვს იღვის, დედააზრის გარკვეული კუთხით, ტენდენციით გაშუქების მიზნით, ყოველი ხერხი შინაარსის. სათქმელის შესატყვისი ფორმაა და არა საფუძველი. იგი, ეს ფორმა, იდეური ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებაა. ეს დებულება სავსებით და ძალზე აშკარად გამოიყენება მ. ჭავჭავაძის მიერაც. ამიტომ, როცა კ. იმედაშვილი წერს: „უპირველესი, რაც „ჩანჩურაში“ ყურადღებას იქცევს, ეს სატირაა, გვინდა ამას გავუსვათ ხაზი. სატირა, რომელიც დასცინის მეფის ძოხელების შეზღუდულობასა და ქალაქის მეშჩანობის უსულგულობას“¹, საკვირო იქნებოდა მოსაზრების უფრო დაკვირვებული

¹ იქვე, გვ. 579

ჩამოყალიბება. თვით ამ ამონაწერიდანვე ჩანს, რომ მწერალი მეფის მოხელეებს, მეშჩანობას დასცინის, ე. ი. მწერალი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართავს თავის მახვილს, ესაა მთავარი. ხოლო ამ შიზნის მისაღწევად იგი იყენებს სატირას, ბასრ იარაღს და პოლიტიკულ პეტროვსა და მისთანებზე რომ აცინებს მკითხველს, ისინი ყეყეჩებად, გონებაჩლუნგებად რომ გამოჰყავს, ამის უკან იმალება ავტორის მთავარი აზრი. როგორც უკვე ვთქვით, სატირა აქ მთავარის მიღწევის საშუალებაა და არა თვით მთავარი.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა და შეცდომა გვინდა აღვნიშნოთ კ. იმედაშვილის წერილში. ორ მეზობელ გვერდზე ავტორს ერთმანეთის საწინააღმდეგო ისეთი აზრები განუვითარებია, რომ, თუ ლოგიკურად თანმიმდევრები ვიქნებით და აზრს განვაგრძობთ, გამოვა, რომ მ. ჭავჭავიძე ქალაქურ სიბილწეს აძლევს უპირატესობას. ამისი თქმა ავტორს ეგებ არ უნდოდა, მაგრამ ასე კი გამოდის. აი, დაუფიქრებლად ამ ამონაწერებს.

„პირველი სხივის“ დასახელებული წიგნის 582-ე გვერდზე წერილის ავტორი წერს: „*ეუკას გამაუბედურებელი ბატონი ქალაქიდან ჩამოვიდა. ქ ა ლ ა ქ შ ი უ ფ რ ო ბ ე ვ რ ი ს ი ბ ი ლ წ ე ა ვ ი დ რ ე ს ო ფ ე ლ შ ი*. მიხეილ ჭავჭავიძე ქალაქზე წმინდად ყოველთვის სოფელს თვლიდა (თანაც ქალაქის მოწინავეობას ხაზს უსვამდა), ეს, საერთოდ, მთელ მის შემოქმედებაში შეიმჩნევა პირველი მოთხრობიდანვე...“

ზუსტად მომდევნო გვერდზე კი (გვ. 583) კ. იმედაშვილი წერს: „*თეთრ საყულოში*“ მწერალმა თითქოს დასკვნა გაუკეთა თავისი შემოქმედების ერთ საკითხს და ქალაქისა და სოფლის (ცივილიზაციისა და გაუნათლებლობის მატარებლების) ბ რ ძ ო ლ ა შ ი პ ი რ ვ ე ლ ს გ ა ა მ ა რ ჭ ვ ე ბ ი ნ ა“.

ამ ორი ამონაწერიდან შემდეგი ადგილები გვეცემა თვალში: პირველში ლაპარაკია იმაზე, რომ „ქალაქში უფრო ბევრი სიბილწეა, ვიდრე სოფელში“ და მეორეში კი ნათქვამია: მ. ჭავჭავიძე იმედაშვილმა „ქალაქისა და სოფლის ბრძოლაში... პირველს გაამარჯვებინა“. ცხადია, ეს დიდი შეცდომაა. ვიმეორებთ, რომ კ. იმედაშვილს იმის თქმა, მართლაც, ალბათ არ უნდოდა, თითქოს მ. ჭავჭავიძე სიბილწეს ამარჯვებინებდეს.

კ. იმედაშვილის ეს მცდარი აზრი იმის შედეგია, რომ თვით საკითხი მცდარადაა დასმული. ჩვენ არ უნდა ვეძებოთ, თითქოს როდისმე მ. ჭავჭავიძე ერთმანეთს უპირისპირებდეს ქალაქსა და სოფელს, ანდა ქალაქში უფრო მეტ სიბილწეს ხედავდეს, ვიდრე

სოფელში და ა. შ. ასეთი საკითხი მ. ჭავჭავაძისთვის არ არსებობდა და სხვამ იგი არ უნდა მიაწეროს.

განა „უპატრონოში“ ნუცას გამაუბედურებელი ქალაქიდან ჩამოსული ბატონი რომ არის, ამ ფაქტიდან შეიძლება ზემოაღნიშნული აზრის გამოტანა, როგორც კ. იმედაშვილი აკეთებს? განა ნუცა დაბადებიდანვე უბედური არ იყო და ამისი მიზეზი სოფელში მცხოვრები ქალბატონი, ე. ი. სოციალური უთანასწორობა არ მოჩანს ნაწარმოებში? მ. ჭავჭავაძისთვის დასაპირისპირებლად არსად ჩანს ქალაქი თუ სოფელი, მისთვის კეთილიც და ბოროტიც, სიბილწეც და სისპეტაკეც ორივეგან უხვადაა — სოფელშიც და ქალაქადაც. ამაზე ქადაგებს მწერლის მრავალი ნაწარმოები. თუ მაინც რომელიმე მოქმედება ქალაქად ან სოფლად ხდება, ეს იმიტომ, რომ ცხოვრებაშიც ასეა.

რაც შეეხება „თეთრ საყელოს“, აქ, როგორც თვით კ. იმედაშვილს ფრჩხილებში ჩასმულად აქვს წარმოდგენილი, ცივილიზაციისა და ჩამორჩენილობის დაპირისპირებაა, ამ საკითხის ზოგადი და ფართო გაგებით და არა ქალაქისა და სოფლის. ცუცქია თუ ქალაქელი იყო, მოწინავე და ცივილიზებული პერსონა ამიტომ ბრძანდებოდა! დიახ, მ. ჭავჭავაძილმა ცივილიზაციის გამარჯვება იქადაგა ჩამორჩენილობაზე და სიბნელეზე, მაგრამ არა ის, რომ მოწინავეობა მხოლოდ ქალაქისთვისო, ანდა, თუმცა ქალაქში „მეტი სიბილწეა“, მაგრამ მაინც მან გაიმარჯვოსო. საკითხის ასეთი გადაჭრა იქნებოდა არა მარტო შეცდომა, არამედ მწერლისათვის წაყენებული მძიმე ბრალდებაც, რომელსაც არავითარ შემთხვევაში მ. ჭავჭავაძისთვის არ იმსახურებს.

აღნიშნული შენიშვნების გამოთქმა საკითხის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ცხადია, ჩვენ იმავე აზრისა ვართ, რომ განხილული წერილი საინტერესოა, მიუხედავად ზემოთ შენიშნულისა.

მ. ჭავჭავაძის პირველ მოთხრობებს რომ განიხილავს, დიმიტრი ბენაშვილი ზოგადად იმ აზრს ავითარებს, რომ მათში „პატარა და ცხოვრებაში ფუნქციონირებელი“ აღამიანებია დახატული. დ. ბენაშვილი განიხილავს არა ყველა ადრინდელ მოთხრობას, არამედ ოთხ მათგანს: — „ჩანჩუკის“, „უპატრონოს“, „ეკას“ და „ეშმაკის ქვას“.

„ჩანჩუკის“ განხილვის დროს დ. ბენაშვილი ავითარებს ზოგისეთ მოსაზრებას, რომელიც ჩვენ ან ბუნდოვნად, ან სადავოდ მიგვაჩნია, ამიტომ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ. კრიტიკოსი წერს: „...მართლაც, მწერალი შეუძლებელია გულგრილი დარჩენილიყო იმ აღაშინებელადმი, რომლებიც ორმაგად იტანჯებოდ-

ნენ საზოგადოებაში: ერთი მხრით, მათ სტანჯავდა ბუნებრივი სიმბახინჯე, მეორე მხრით, — ადამიანები. ბუნებით დაჩაგრულებს ადამიანის თვალშიაც გაუტყდათ სახელი“¹. აქ საკითხი ისე წარმოგვიდგება, თითქოს საქმე მხოლოდ ჩანჩურების სიმბახინჯეში იყოს და სხვა არაფერი. სხვა საზოგადოებაში, ცხოვრების სხვა წესის დროს ჩანჩურასადმი დამოკიდებულება სხვაგვარი იქნებოდა თუ არა? ადამიანების თვალში ფიზიკური სიმბახინჯის გამო ჩანჩურას სახელი გაუტყდებოდა თუ არა? ვფიქრობთ, რომ არა. მოტანილ ამონაწერში სოციალურ-პოლიტიკური მომენტის გამორიცხვა და მისთვის გვერდის ავლა ჩვენ მიგვაჩნია საკითხის არასწორი გაგების მიზეზად.

დასახელებული წიგნის იმავე გვერდზე „ჩანჩურას“ შინაარსის არასწორ გაგებასაც ვხვდებით. ის წერს: „იმისათვის, რომ მარჩენალთა ყურადღება რაიმესახუროს, ჩანჩურა არაადამიანურ ქცევამდე დადის. თავისი საქციელით ბრბოს ახარხარებს, რათა ერთი ლუკმაპური იშოვოს“. აქაც საქმე ისე წარმოგვიდგება, თითქოს ჩანჩურის განგებ ახარხარებს ბრბოს, რათა ერთი ლუკმა პური იშოვოს. აქ ჩანჩურას, არც მეტი არც ნაკლები, ჯამბაზის როლი აქვს მიწერილი. მოთხრობაში კი არც ერთი მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ ეს ბეჩაფი ადამიანი ვინმეს განგებ ახარხარებდეს. პირიქით, იგი მეტად შეწუხებულია იმით, რომ მასზე იცინიან და ხარხარებენ. ის ყოველთვის ცდილობს შეუშინველი დარჩეს, რათა ზედმეტი ხორხოცი და აყალმყალი თავიდან აიცილოს, მაგრამ არტუშა, ყასბები და სხვანი მას მოსვენებას არ აძლევენ.

„ჩანჩურაზე“ მსჯელობის ერთ ადგილას დ. ბენაშვილი წერს: „მწერლის აზრით, ამაში თვით მაშინდელი საზოგადოებაა დამნაშავე, მისი გულცივობა და უყურადღებობა არის მიზეზი ჩანჩურას ტრაგიკული სიკვდილისა“.

ჯერ ერთი, მოულოდნელია პირველ ამონაწერში განვითარებული აზრის შემდეგ ამ ბოლო ამონაწერში გამოთქმული აზრი, რადგან ისინი ერთმანეთს ვერ ეფარდება. მეორეც, ამ უკანასკნელშიც აზრი ბოლომდე არ არის მიყვანილი: მარტო იმისი თქმა, რომ ჩანჩურას ტრაგედიის მიზეზი მაშინდელი საზოგადოებაა, საზოგადოებაში კი დ. ბენაშვილი ადამიანებს გულისხმობს, აზრს ვერ ამთავრებს. საჭირო იყო თქმულიყო, თუ რამ აქცია საზოგადოება, ადამიანები ასეთებად. ამ კითხვაზე კი პასუხი სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში უნდა ვეძიოთ.

¹ დ. ბენაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 1959 წ., გვ. 17.

ჩვენი მოსაზრების სისწორეს თვით დ. ბენაშვილის მსჯელობა გვიდასტურებს, როცა იგი „უპატრონოს“ განიხილავს. ნუცას უბედურების მიზეზს კრიტიკოსი აქ სწორედ ისე ხსნის, როგორადაც ეს „ჩანჩურაში“ არ არის მოცემული, რის გამოც ჩვენი შენიშვნები გამოვთქვით. დ. ბენაშვილი „უპატრონოს“ გამო სრულიად სამართლიანად წერს:

„მოთხრობის არა მარტო ტექსტში, არამედ უფრო მეტად ქვეტექსტში ჩვენ ვგრძნობთ ავტორის გულისტკივილს. ბუნებრივად იზადება კითხვა: რატომ ილუპებოდნენ უპატრონობით ადამიანები? საზოგადოებას ხომ შეეძლო ეხსნა ისინი მოსალოდნელი უბედურებისაგან? თანაგრძნობა გაეწია, ნუგეში ეცა მათთვის? სამწუხაროდ. საზოგადოებამ საწინააღმდეგო გზა აირჩია... რამ გააგულცივა ასე საზოგადოება?... ამ კითხვის პასუხი, მწერლის აზრით, დროის უკუღმართობაში უნდა ვეძიოთ“...ცხადია, ასეთი ახსნა, სავსებით მართებული და მისაღებია.

„ჩანჩურას“ ყაიდაზეა განხილული მ. ჭავჭავაძის მოთხრობა „კურკას ქორწილი“, ამიტომ ჩვენი შენიშვნები აქაც იგივე რჩება. რაც პირველის გამო. რაც შეეხება „ემშაკის ქვის“ ანალიზს, აქ დ. ბენაშვილი იმეორებს ტრადიციულ აზრს, რომ მასში „ბრბოს ფსიქოლოგიის“ მხატვრული ანალიზია მოცემული.

„ჩანჩურასა“ და „კურკას ქორწილის“ განხილვისას დიმიტრი ბენაშვილი მთავარ აქცენტს პერსონაჟის ფიზიკურ სიმახინჯეზე რომ აკეთებს, ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ კრიტიკოსი მწერალს დეკადენტურ განწყობილებებს მიაწერს მის პირველ მოთხრობებში? თუ კრიტიკოსის სტრიქონების ქვეტექსტი ამას გულისხმობს, ეს იქნებოდა რესტავრაცია იმ ძველი გაგებისა, რომელსაც ზოგიერთები მ. ჭავჭავაძის მიმართ იყენებდნენ ოცდაათიან წლებში, რაც თავისთავად მცდარია და მას დღეს ვერავინ გაიზიარებს. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ დ. ბენაშვილი ნამდვილად ამ აზრს ავითარებს, მაგრამ ეს ეჭვი მაინც გამოვთქვით, რომ ყველაფერი ბოლომდე ხალასი სომართლით იყოს გარკვეული.

მიხეილ ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების საკმაოდ ვრცელ და სრულ დახასიათებას გვაძლევს პროფ. გიორგი ჭიბლაძე თავის წიგნში „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. III. ამ ნაშრომში ბევრი რამ ახლებურად და საინტერესოდ არის გაგებული და ორდენად ლურადაა განხილული მწერლის შემოქმედების თავისებურებანი. კერძოდ, „ჩანჩურას“ ანალიზის შემდეგ ავტორი მართებულად ასევე

ნის: „ესაა ცხოვრება?! — უნებლიედ ჩაგაფიქრებთ მოთხრობა და მისი სოციალური დანიშნულებაც ამაში მდგომარეობს“¹.

ეს დასკვნა, როგორც მკითხველი შენიშნავს, სრულიად არ ემთხვევა დიმიტრი ბენაშვილისას, რომელსაც ზემოთ აღვნიშნავდით.

გიორგი ჯიბლაძე ასეთსავე დასკვნამდე მიდის „უპატრონოს“ განხილვის შემდეგაც. ორივე მოთხრობაში ხედავს ფსკერზე დარჩენილი ადამიანების ტანჯვას, მაშინ როცა მოძალადენი და მჩაგვრელები განცხრომაში არიან.

სამწუხაროდ, კრიტიკოსი მ. ჯავახიშვილის აღრინდელი მოთხრობებიდან მხოლოდ დასახელებულ ორს განიხილავს, რადგან თვითონაც აცხადებს, რომ ყველა ნაწარმოების განხილვას მიზნად არ ისახავს. მწერლის პირველ მოთხრობებზე გ. ჯიბლაძის საერთო აზრი შემდეგია: „სინაპდვილის რეალისტური¹ ასახვა და ჰუმანიზმის ქადაგება — მიხეილ ჯავახიშვილის აღრინდელი მოთხრობების დამახასიათებელი იყო და ეს ნიშნები მის შემოქმედებას ბოლომდე შერჩა“²

ერთი შენიშვნის გამოთქმა კი საჭიროდ მიგვაჩნია. როცა მკვლევარი „ჩანჩურაზე“ ლაპარაკობს, შემდეგს წერს: „ამ ნაწარმოებში ავტორი ასახავს ფსკერზე ჩაძირული ადამიანის ცხოვრებას, მაგრამ ეს არ არის „ყოფილი ადამიანი“, როგორც გორკის შემოქმედებაში გვხვდება. ჩანჩურა ყოფილი ადამიანი კი არ არის. იგი თავიდანვე ფსკერზე დაიბადა, ფსკერზე აღიზარდა და იქვე ატარებს ცხოვრებას“³. ნათქვამის გამო უნდა შევნიშნოთ ორი რამ: ჯერ ერთი, გორკის შემოქმედებაშიც არა მარტო „ყოფილი ადამიანები“ არიან დახატული, არამედ ყოფილის გარეშეც. მაგალითად, რა წარსული ჰქონდა ჩელკაშს, მაკარ ჩუდრას ან მათ მსგავს „ბოსიაკებს“? არავითარი. ამიტომ მათზე იმისი თქმა, რომ ისინი „ყოფილი ადამიანები“ არიან, მართებული არ იქნებოდა. მეორეც, მ. ჯავახიშვილი არაფერს ამბობს ჩანჩურას წარსულზე. არავინ. თვით პოლიციამაც არ იცის, თუ აღრე ვინ იყო ჩანჩურა — სადაური, რა ტომის, საიდან ჩამოვიდა და ა. შ. რაკი ნაწარმოებში ასეა, მაშ ჩვენც საფუძველი არ გვაქვს გადაჭრით ვილაპარაკოთ იმაზე, ჩანჩურა „ყოფილი ადამიანია“ თუ არა. იქნებ იყო კიდევ, ავტორი საჭიროდ არ თვლის იმაზე ყურადღების გამახვილებას და, ჩანს, რომ მწერალი განგებ იქცევა ასე. ამიტომ გ. ჯიბლაძის სიტყვები, რომ

¹ გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, 1959 წ., გვ. 284.

² იქვე

³ იქვე, გვ. 281—282.

ჩანჩუკა „თავიდანვე ფსკერზე დაიბადა, ფსკერზე აღიზარდა...“ ჩვენთვის გაუგებარია. საიდან უნდა იცოდეს მან ეს?

ამ საკითხს არ გამოვედევნებოდით, ალრე სხვა ერთ კრიტიკოს-საც რომ არ ეთქვას, მ. გორკის გმირებისაგან განსხვავებით, რომლებიც „ფსკერზე“ ზემოდან ცვივიან, მიხეილ ჭავახიშვილის ადრინდელი მოთხრობების გმირები თავიდანვე ფსკერზე იბადებიანო. ჩვენ არც ეს განცხადება მიგვაჩნია მართებულად. იგი პირველი შთაბეჭდილების გაზიარებას უფრო ჰკავს, ვიდრე ანგარიშგასაწევ დებულებას.

ავილოთ მეჩქეპე გაბო. განა იგი „ყოფილი ადამიანი“ არაა? მას ჰქონდა სახელოსნო, ფული, ცხოვრება. იგი მხოლოდ მერე დაეშვა ფსკერზე, მერე წავიდა მისი საქმე თავქვევით. ეს ფაქტი ნათლად ჩანს მოთხრობის შინაარსიდან. ამიტომ ზემოაღნიშნული განცხადება ჩვენ საფუძველმოკლებულად მიგვაჩნია. ამაზე ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

სერგი კილაია დიდ ყურადღებას უთმობს მ. ჭავახიშვილის შემოქმედების განხილვას და მრავალ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს. მას მიაჩნია, რომ მწერალი მ. ჭავახიშვილი ადრინდელ მოთხრობებში განიცდიდა ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის გავლენას, მაგრამ იმთავითვე ქართულ მწერლობაში ის შემოვიდა, როგორც „დამოუყიდებელი, ორიგინალური მხატვარი, ქართული სიტყვის ოსტატი“¹.

მკვლევარი ფიქრობს, რომ მ. ჭავახიშვილის პირველი მოთხრობები ფსიქოლოგიურ განწყობილებას გამოხატავდა, სოციალური ხასიათის მოთხრობებშიც კი ტიპის ფსიქოლოგიურ გამოძერწვას უფრო ეთმობოდა ადგილი, ვიდრე სოციალური მოვლენების ახსნასა და განმარტებას².

საკუთრივ „ჩანჩუკას“ რომ განიხილავს, ს. კილაია მოთხრობის მოკლე შინაარსობრივი ანალიზის შემდეგ აკეთებს რამდენიმე დასკვნას. რომელთა გამო აზრის დაზუსტება საჭიროდ მივიჩნით. მკვლევარი წერს: „სუბიექტურად ავტორს თავისი დამოკიდებულება არ შეეაქვს ამ მოთხრობაში, მაგრამ ობიექტურად აღწერილი სურათი ისეთი ძლიერია, რომ იგი თავისთავად იწვევს ზიზღს იმ სისტემის, იმ სოციალური ცხოვრების მიმართ, რომელმაც წარმოშვა ის უბადრუეობა, რის განსახიერებას ჩანჩუკა წარმოადგენს“. ამონაწე-

¹ ს. კილაია, „მეოცე საუკუნის მწერლობა“, ნაწილი მეორე, 1959 წ., გვ. 70.

² იქვე.

რიდან ორი აზრი იპყრობს ჩვენს ყურადღებას: 1. მწერალი თვითონ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს, იგი განზე დგას, ნაწარმოებიდან ობიექტურად გამოდის სასურველი აზრი თუ ტენდენცია. 2. ეს აზრია ზიზღი არსებული წყობილებისადმი, რომელმაც მოთხრობაში დახატული უბადრუკობა წარმოშვა. ჩვენ ორივე ამ აზრს, რომელიც ს. ჭილაიას ეკუთვნის, სავსებით ვიზიარებთ, ოღონდ კრიტიკოსის მომდევნო მსჯელობა იწვევს ჩვენს შენიშვნას. ს. ჭილაია წერს, რომ „მოთხრობას („ჩანჩუკას“) გორკისათვის დამახასიათებელი რევოლუციური რომანტიზმი არ აქვს. აქ არც ის თანაგრძნობაა ქუჩის ხალხის მიმართ, რომელსაც ევდოშვილი და ლომთათიძე გვაძლევენ“. წიგნის იმავე გვერდზე, სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მკვლევარი შემდეგს წერს: „და მაინც მოთხრობაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი გაკილვა და დაცივნა ყეყეჩა პოლიციელებისა. ამ გაკილვაში ნათლად ვლინდება, თუ ვის ხელშია ჩაყარდნილი ადამიანის ბედი. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ რა საზოგადოებრივ და სოციალურ გარემოში დაიბადა და წარმოიშვა ჩანჩუკის ტიპი“¹.

მოტანილ სამ ამონაწერს რომ დავუკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ მათ შორის, თუმცა არა აშკარა, მაგრამ მაინც წინააღმდეგობა არის. მკვლევარი ზემოთ წერდა: „ჩანჩუკაში“ ობიექტურად აღწერილი სურათი იწვევს ზიზღს იმ სისტემის, იმ სოციალური ცხოვრების მიმართ. შემდეგ ნათქვამია, რომ მოთხრობაში არც გორკისებური რევოლუციური რომანტიკაა, არც ევდოშვილისა და ლომთათიძის თანაგრძნობა ქუჩის ხალხის მიმართ; შემდეგ ისევ თითქმის განმეორებულია, რომ მოთხრობაში გვაქვს გაკილვა, დაცივნა პოლიციელებისა და ამის უკან ჩვენ ვხედავთ, რა საზოგადოებაშია მოხვედრილი ადამიანი, მისი ბედი... ამ სამ დებულებას შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა.

წიგნის 72-ე გვერდზე ს. ჭილაია კვლავ წერს: „... „ჩანჩუკაში“ ტიპის უფრო ფსიქოლოგიურ გამოხატეასთან გვაქვს საქმე. ვიდრე იმ სოციალურ გამახვილებასთან, რაც მთელი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისათვის იყო დამახასიათებელი“. ამ განცხადებით მკვლევარი ერთხელ კიდევ მიგვითითებს, რომ მ. ჭავჭავიძე „ჩანჩუკაში“ სოციალურ მომენტს უკანა პლანზე აყენებს.

სად უნდა ვეძებოთ ს. ჭილაიას ამ წინააღმდეგობათა მიზეზი? ვფიქრობთ, იგი მომდინარეობს სხვადასხვა მწერლის წერის მანერისა თუ სტილის გაუთვალისწინებლობიდან.

ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოებისთვის

¹ ს. ჭილაიას დასახელებული წიგნი, გვ. 72.

მით უკეთესია, რაც უფრო შენიღბული იქნება მწერლის ტენდენცია, რომელიც არ უნდა ყვიროდეს, თვალში არ უნდა გვეჩხირობოდეს.

პერიოდი, როცა მ. ჯავახიშვილის პირველი მოთხრობები იწერებოდა, ისეთი იყო, რომ არც შეიძლებოდა ავტორს ინდიფერენტობაში გამოეჩინა სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისადმი. რუსეთის პირველმა რევოლუციამ თითქმის არაფერი დატოვა ისე, რომ მის გონებასა და სულში ძვრები არ მომხდარიყო. როგორც ვიცით, ამ დროისათვის ახალგაზრდა მ. ჯავახიშვილი მრავალ პერიოდულ ორგანოში წერს ცეცხლოვან პუბლიცისტურ წერილებს. ეს წერილები ყველაზე უკეთ მეტყველებენ მის ჯანსაღ განწყობილებებსა და სულისკვეთებაზე.

იმ მრავალ პუბლიცისტურ წერილთან შედარებით, რაც მ. ჯავახიშვილმა თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში შექმნა, ძალზე შიშველი და მოჩანს შევიდოდა პატარა მოთხრობა, რომელიც იმავე ხანებში დასტამბა მწერალმა. ამით ისიც ირკვევა, რომ მწერლის მაშინდელი იდეური მიმართულება და სოციალურ-პოლიტიკური იდეალები დომინანტურად სწორედ პუბლიცისტურ ნაწერებში უნდა ვეძიოთ.

თუ თავის ადრინდელ პუბლიცისტურ წერილებში მ. ჯავახიშვილმა ასე მგზნებარედ გაილაშქრა არსებული წყობილების წინააღმდეგ, იმავე ხანებში დაწერილი მოთხრობებიც იგივე სულისკვეთებითაა გამსჭვალული, რადგან მკითხველს შეაძულა ის საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც ბედკრულთ და ჩაგრულთ თანაგრძობის ნაცვლად, ღუპავს; უფსკრულში ჩეხავს. მწერალმა მოთხრობების მკითხველნი მწარედ დააფიქრა იმაზე, თუ რამდენად არაადამიანურია ის გარემო, რომელშიც მათ უხდებათ ცხოვრება. აქედან ერთი ნაბიჯიდა რჩება არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებამდე. ასე ურთიერთკავშირში და მთლიანობაში უნდა განვიხილავდეთ მ. ჯავახიშვილის ადრინდელ პუბლიცისტურ წერილებსა და ამავე პერიოდის მოთხრობებს მათი იდეური ჩანაფიქრის გააზრებისას.

მართლაც, რა უთხრა მწერალმა მკითხველს „ჩანჩურათი“? მოთხრობას საფუძვლად უდევს ერთი შეხედვით უბრალო ამბავი: ერთი მუნჯი, ჯუჯა კაცი, რომლის წარმოშობა, ვინაობა, სადაურობა, ადგილსამყოფელი, გვარი და სახელი და ა. შ. არაფერი იცის, დადის ბაზარში და მათხოვრობს. მას ყასბები ხორცისა და ფილტვის ნაჭრებს აძლევენ. ამავე დროს ბაზრის უსაქმო და ლაზღანდარა ბრბო თავს ირთობს ჩანჩურასა და არტუშას ძაღლის მურას „ბრძოლებით“.

ერთი ასეთი „შეტაკების“ შემდეგ დამარცხებული ჩანჩურა გაოგნებული ჩავარდება ეტლის ქვეშ და იღუპება. ეს არის და ეს. ეს ამბავი უდევს საფუძვლად ამ მოთხრობას, მაგრამ როგორაა გადმოცემული ეს ამბავი, რა კუთხით დაგვეჩვენებს მწერალი მას, რა გრძობებს აღგვიძრავს ნაპირობი, ვის მიმართ აღგვაშფოთებს, ვის მიმართ განგვაწყობს თანაგრძობით — ესაა მთავარი.

მწერალს თხრობა ისე მიჰყავს, რომ, თუმცა საგანგებო აქცენტირება არსადაა, მაგრამ მოთხრობის დასაწყისიდან დასასრულამდე მკითხველი შეუწინაღებელი და თანაც მზარდი დაძაბულობით მოელის ჩანჩურას თავგადასავლის განვითარებას. მკითხველი ბრაზდება. აღშფოთდება და შემდეგ საბოლოოდ განრისხდება იმ ყასბებზეც. არტუშაზეც, მურაზეც, რომლებმაც ჩანჩურა დალუპეს; მკითხველი ირონიულად იცინის პოლიციელ პეტროვზე და მის ყეყერ ბოქაულზეც, რომლებმაც ვერაფრით ვერ გამოარკვეეს ჩანჩურას ვინაობა. თუმცა ამდენი წლის მანძილზე მათ უბანში ცხოვრობდა; მკითხველი ზიზღს განიცდის პოლიციელი პეტროვის მიმართ იმის გამო, რომ ჩანჩურას ვინაობის გამოარკვევის მაგივრად იგი გადაწყვეტს ქურდი და „სოციალისტი“ მაინც დაიჭიროს, რათა სამსახურიდან არ დაითხოვონ.

საბოლოოდ კი მკითხველს ებადება კითხვები: რამ გახადა ყასბები ასეთი უგულონი? რამ გახადა ბრბო ასეთი გულქვა: რამ გამოაყეყერა პეტროვი და მისი ბოქაული? ვისი წარმომადგენლები არიან ისინი? რატომაა ჩანჩურა უქონელი და უბედური? რამ გააგდო იგი ქუჩაში? რა პირობებში ხდება ყოველივე ეს? და იგი მიდის დასკვნამდე, რომ ყველაფერი ეს არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ბრალია. მერე? როგორი უნდა იყოს აზრის განვითარება? აქ ერთადერთი სწორი პასუხი ის იქნება, რომ მკითხველი გამოკვეთილად მივა დასკვნამდე: რაკი არსებული საზოგადოებრივი წყობილება აღამიანებს ღუპავს, აჩანაგებს, ამდაბლებს, ზოგს კი უსულგულოსა და უკაცურად აქცევს, რაკი ამ პირობებში ხდება ესოდენი სისაძაგლე, მაშ საჭიროა მისი შეცვლა! ეს არის, რისი თქმაც მწერალს სურდა!

ამიტომ არის, რომ ჩვენ მიგვაჩნია: მ. ჯავახიშვილი თავის პირველ მოთხრობებში ზედმიწევნით ამახვილებს სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს, ოღონდ თავისებური მანერით, არა შიშვლად და პირდაპირ.

ბუნებრივად იბადება ინტერესი იმისა, რომ შევხედოთ, მოთხრობებში რა ფორმით, რა საშუალებით ანხორციელებს მ. ჯავა-

ხიშვილი თავის იდეურ ჩანაფიქრს. ამ თვალსაზრისით „ჩანჩუკა“ შემდეგი მსჯელობის საფუძველს იძლევა:

ავტორი ლაკონურად, მაგრამ ამომწურავად ხედავს ტიპს. ეს შეეხება როგორც გარეგნულ პორტრეტს, ისე ხასიათის გამამჟღავნებელ ქცევას, მოქმედებას თუ ლექსიკურ მხარეს. მაგალითად, ჩანჩუკა უფრო სრულად რომ შევიცნოთ, ავტორი სხარტად აგვიწერს მის გარეგნობას: „მას მუშტის ოდენა მელოტი თავი აქვს უწვერულვაშო, დაღმეკილი, ნაოკებიანი და მიწის ფერი პირისახე. პატარა, ლობიოსოდენა, ღრმად ჩამძვრალი, ზოგჯერ ნატირალი, უფრო ხშირად კი მოლიმარე თვალები. მაჯის სისქე, პირისახეზე უფრო შავი და გამხმარი კისერი. საში გოჯის სიგრძე და ყავისფერი ტიტველა ფეხები და ათნაირი ფერის ძონძებისაგან შეკერილი შარვალი, რომელიც იმდენად მოკლეა, რომ ისედაც ჭუჭა ჩანჩუკას მუხლებამდე ძლივსა სწვდება“¹. ამას დაუმატეთ. რომ ჩანჩუკა მუნჯია და პორტრეტიც დასრულებული გამოვა.

მოქმედებაში ჩანჩუკას ხასიათი იმაში ვლინდება, რომ იგი ფილტვის ნაჭრებს იპარავს; 12 წლის არტუშას დაბრიყვებული ყავს; პატარა მურა ძაღლს ვერ ერევა; ყიდვა-გაყიდვა რა არის არ იცის და ამიტომ ჰგონია, რომ ყაბბები ხორცს „არიგებენ“, თანაც უკვირს, რომ მას არ აძლევენ; არ იცის ფული რა არის — ამიტომ სიმონა მეპურემ „უესტის“ ნაჭერში პური რომ მისცა, გაუკვირდა; მისი გონება ვერ გარკვეულა იმაში, თუ რატომ სდევნის პეტროვი და რას მოითხოვენ მისგან და ა. შ.

კიდევ ერთი შტრიხი: მურასთან „ბრძოლაში“ დამარცხებულ ჩანჩუკა ბრბომ შებრალების ნაცვლად კიდევ უფრო აბუჩად აიგდო და თავში ერთიორჯერ ჩაუთაქეს... „ჩანჩუკა ხუთიოდე ნაბიჯზე გადავარდა. მერე ხელმეორედ წამოდგა, თვალებიდან და ტუჩებიდან სისხლისა და ცრემლის ტალახი მოიწმინდა და ყვირილ-ხარხარით და სიმღერით მიშავალი ხალხი რომ დაინახა, თავის სიცოცხლეში პირველად ამოიოხრა ადამიანურად“².

ავიღოთ პოლიციელი პეტროვი, როგორ ხატავს ავტორი მას? მისი გარეგნობა ავტორს არსად აუწერია. იგი მხოლოდ მისი „შინაგანი სამყაროდან“ გვიჩვენა, მაგრამ ისე სრულყოფილად, რომ ამ პოლიციელს ჩვენ თითქოს ვხედავთ კიდევ. ის არის ბრიყვი, გონებაჩლუნგი და სასაცილო: იგი თავს ვერ ართმევს მარტივ მოვა-

¹ მ. ჭავჭავიძე, ტომი 1. მოთხრობები, გვ. 2. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958 წ.

² იქვე, გვ. 11.

ლეობასაც კი, რომ ქუჩაში წესრიგი დაამყაროს, თავიდან მოიცი-
ლოს ეს ჯუჯა ჩანჩუკი და გაიგოს თუნდაც მისი ვინაობა. სხვა ვერა-
ფერი რომ გაუწყვიტა, ჩანჩუკს უსტვენს და სდევნის. პეტროვს
აკვირებული ამოძახილები დასჩემებია და წარა-მარა გაიძახის.
«—Я те покажу! Я-а-а те покажу-у-у!» მურა ძაღლს და პეტ-
როვს მწერალი რამდენჯერმე ერთად მოიხსენიებს და ამითაც მის
ხასიათს უსვამს ხაზს. სანიმუშოდ მოვიტანოთ შემდეგი ადგილები:
„...მისი მეორე და მურაზე უარესი მტერი პოლიციელი პეტროვი
მათრახით დაედევნება დაქაზრიდან გააგდებს“ (გვ. 2) „არც მურა
და არც პეტროვი ისე ძლიერ არ აწუხებენ ჩანჩუკს, როგორც ერ-
თი... ბიჭი—ემპაკი არტუშა“ (გვ. 3). „...კვლდაკვალ მისდევენ არ-
ტუშა, მურა, მისი მხიარული წამუტუნის, ყასბების რახრახი და პეტ-
როვის ქექა: Я те покажу!“ ძაღლი და პეტროვი. ასე ერთად, ერთ
კამპანიანში რამდენჯერმე იხსენიება და ამით მკითხველი სათანადო
გააზრებას ახდენს.

პეტროვს მწერალი აშკარა სასაცილო მდგომარეობაშიც გვი-
ჩვენებს — მხდალს და უსუსურს: „ქუჩის კუთხიდან უცებ პეტრო-
ვი გამოვარდა და იმოღენა ხალხი რომ დაინახა, საჩქაროდ ისევ
ხალხს მიეფარა და ხანგრძლივი, ძლიერი სტვენა ასტენა“ (გვ. 12).
პოლიციელს, რომელიც წესრიგის დამცველად დაუყენებიათ ქუჩა-
ში, შეგროვილი ხალხისა შეეშინდა, მიიძალა და სტვენა ისე ასტენა

კიდევ უფრო გამასხარავებულია პოლიციელი ეპიზოდში ჩან-
ჩუკს გასრესის შემდეგ, სადაც იგი მურას დასდევს დასაჭერად
„ათი წუთის შემდეგ პეტროვი მშვიდობიანობის ნამდვილ დამრ-
ღვეს — მურას დასდევდა. ნამდვილი დამნაშავე პეტროვს გარშემო
ურბენდა, ეთამაშებოდა, მხიარულად ხტოდა და პეტროვის გასაჭაე-
რებლად ზოგჯერ წინ უცუტქდებოდა, „სლუეს“ უკეთებდა. პეტრო-
ვი დამნაშავეს ზანტად დასდევდა, მათრახს უქნევდა და ღიმილით
ემუქრებოდა: — Ну, поймаю же я тебя, поймаю же я тебя!
Тогда берегись! И отдую же я тебя! Вот отдую! თითქოს
ძაღლიც კი აბუჩად იგდებს პეტროვს, არაფრად აგდებს და წინ გა-
მალიზიანებლად უცუტქდება. რას აკეთებს ამ დროს ხალხი? ხალხი
ხარხარებს და პეტროვს მწარედ დასცინის: „ხალხი ისე გულიანად
იცინოდა და თავის საყვარელ ფალავანს (ე. ი. მურას) უფრო და
უფრო აქეზებდა.

— ყოჩაღ, მურა! მალადეც, მურა!

¹ იქვე, გვ. 13.

— უკბინე, უკბინე, მურა! ცხვირში ეცი, ცხვირში მურაც დაბ-
ტოდა, ჰყეფდა და ისევ „სლუქს“ აკეთებდა“.

ასეთ სასაცილო ვითარებაში აყენებს მწერალი პეტროვს და ავი
ხალხი ხარხარებს კიდეც.

არანაკლები ყეყეჩია ბოქაულიც, რომელიც პეტროვს სერიო-
ზული ტონით აძლევს დავალებას, რომ გაიგოს ჩანჩურას ვინაობა
რაკი პეტროვმა ჩანჩურას შესახებ არაფერი იცის, გულმოსული ბო-
ქაული შემდეგს დაადგენს: „უცნობის ტომისა, გვარისა და სარ-
წმუნოების კაცი — „ჩანჩურა“ — გადასახლებულ იქნეს თავის სა-
მშობლოში“. ავტორი ირონიულად განაგრძობს შემდეგს: „მაგრამ,
ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვითონვე გაიგო თავის დადგენილების
უაზრობა, წარწერა წაშალა და ისევ პეტროვს მოუბრუნდა...“
(გვ. 1).

მწარე დაცინვა, მეფის მოხელეთა გამოყვანა ყეყეჩებად და
ბრიყვებად, გონებაშეზღუდულებად და მხდალებად მწერლის იდეუ-
რი ჩანაფიქრის ხორცშესხმის ერთ-ერთი მთავარი ხერხია.

მოთხრობის დასაწყისი და ფინალი ერთნაირია, ორივეგან პეტ-
როვის საგონებელში ჩავარდნაა ნაჩვენები იმის გამო, რომ ჩანჩუ-
რას ვინაობა ვერ გაიგო, ორივეგან გამოყვანილია ბოქაულიც თავი-
სი „ბრძნული“ მითითებებით ხელქვეითისადმი. ეს ხერხი წრესა-
ვით ჰკრავს იმ ძირითად ამბავს, რაც მოთხრობით გადმოგვცა მწე-
რალმა.

მოთხრობის შესავალში ბოქაული პეტროვს დავალებას აძ-
ლევს, გაიგოს ჩანჩურას ვინაობა. ამ დროს „მუნჯი ჩანჩურა იქვე
იდგა და ჰფიქრობდა: „რა ვქნა, ეს სად მომიყვანეს, ან რა უნდათ
ჩემგან“! პეტროვი საგონებელშია ჩავარდნილი, რადგან 23 წელი იმ
უბანში ცხოვრობს და ჩანჩურასი არაფერი იცოდა, არც იმედი ჰქონ-
და, რომ რაიმეს გაიგებდა. მწერალი ირონიულად ჩაურთავს რეპლი-
კას: „აბა საიდან უნდა გაეგო ეს საიდუმლოება პეტროვს, როდესაც
ამისთანა სიბრძნე მხოლოდ ყოვლად ძლიერსა და ყოვლის შცოდნე
პასპორტს უნდა სცოდნოდა, რომელიც ჩანჩურას არ აღმოაჩნდა“.
მაშ რა ქნას პეტროვმა? იგი შეშფოთებით ფიქრობდა: — გამაგდე-
ბენ, უეჭველად გამაგდებენ, ან უარესს უბანში გადამიყვანენ. და ეს
რომ არ მოხდეს, ეს უბედურება თავიდან რომ აიცილოს, იგი მტკი-
ცედ გადაწყვეტს: — რაც უნდა მიყონ, თუნდ მომკლან, სულ ერ-
თია, ამაღამ უეჭველად ერთი ქურდი ან „სიციალისტი“ უნდა დავი-
ჭირო. არ დავიძინებ, ორ ღღე-ღამეს არ დავიძინებ და დავიჭერ“.

მკითხველს არ უჭირს მიხვდეს მწერლის ამ ირონიას, პეტროვს
რომ ათქმევინებს. სოციალისტის დაქვრივობა და უფრო-

სებს ისე ასიამოვნებდა პოლიციელი, რომ ჩანჩურას ვინაობის შეუტყობლობას აპატიებდნენ. აქაც მწერალი მეფის მოხელეთა ბუნებას აშიშვლებს.

მოთხრობის დასასრულს მწერალი მკითხველს კვლავ შეახვედრებს ბოქაულთან და პეტროვთან. ჩანჩურას სიკვდილის მეორე დღეს ბოქაულმა პეტროვი კიდევ დაიბარა და უთხრა:

— გუშინ სააუადმყოფოში ვილაც ჩანჩურა მოკვდა. ამბობენ, ვითომ ის კაცი შენს უბანში ცხოვრობდა, ამიტომ შენი მოვალეობაა დღესვე გაიგო ჩანჩურას ნამდვილი გვარი, სახელი, ხელობა, სარწმუნოება, ტომი და... ცოლიანი იყო თუ უცოლო, ან... დარჩა რამე თუ არა, ისიც გაიგე, საიდან და როდის ჩამოვიდა ის ჩანჩურა ჩვენს ქალაქში და... არც მისი წლოვანება დაგავიწყდეს. ყველაფერი დაწვრილებით დაწერე და დღესვე მომიტანე, წადი“. ეს უკვე ბრძანებაა. პეტროვს აღარც ალაპარაკებენ. ეს ბრძანება წინანდელზე უფრო კონკრეტული და ვრცელია. აქ მწერალი ბოქაულს იმასაც აკითხვინებს, დარჩა ჩანჩურას რამე თუ არაო. რატომ აინტერესებდა ბოქაულს ეს? იქნებ იმიტომ, რომ დარჩენილი ქონება მიეთვისებინა? თუ მკითხველს ეს შეკითხვა გაუჩნდება, ბოქაულის ბუნება კიდევ უფრო გაშიშვლდება.

მაგრამ რა ქნას პეტროვმა, რომელმაც ასეთი მკაცრი ბრძანება მიიღო? იგი ბაზრისაკენ დაღონებული წავა და ფიქრობს:

— ახლა კი ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, თუ ამალამვე ორი ქურდი ან ერთი „სიციალისტი“ არ დავიჭირე. დილაზე ნამდვილად გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ“. ასე შეწუხებულსა და საგონებელში ჩავარდნილს ტოვებს მას მკითხველი მოთხრობის დასასრულს. ამ ბოლო სტრიქონებით მწერალი კიდევ ერთ ახალ მინიშნებას აკეთებს: პოლიციისათვის, მისი წარმომადგენლებისათვის ორი ქურდი და ერთი „სიციალისტი“ თანაბარი ღირებულებისაა. პეტროვი ასეთ ექვივალენტზე ფიქრობს — ორი ქურდი ან ერთი სიციალისტიო.

მოთხრობის ასეთი კომპოზიციური შეკვრა, დასაწყისისა და დასასრულის აზრობრივი დაკავშირება, ბოქაულისა და პეტროვის მწერლის მიერ ორივე ადგილას ასე წარმოდგენა გამიზნული გადაწყვეტილებათა, რათა მთავარი სათქმელი — არსებული წყობილების, მისი მოხელეების ბუნების გაშიშვლება-მხილება — უფრო მკაფიოდ გამოკვეთილად და დასამახსოვრებლად გვითხრას.

„ჩანჩურაში“ მწერალი მრავალ მოხდენილ ხერხს, მხატვრულ საშუალებას იყენებს, რათა შთამბეჭდავად გადმოგვცეს ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრი, რაც, როგორც ზემოთ შევეცადეთ დაგვემ-

ტკიცებინა, არსებული წყობილების მხილება-დაცინვაში, მის წინა-
აღმდეგ მკითხველთა ამხედრებაში მდგომარეობს.

ასე წარმოგვიდგება მ. ჭავჭავაძის კალმის პირველი ნაყოფი.
პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“.

ქრონოლოგიურად „ჩანჩურას“ მოსდევს „მეჩეკე გაბო“, მაგ-
რამ აქ ავტორი სხვა საკითხებს აყენებს. ჩვენი აზრით, ეს მოთხრო-
ბა სხვაგვარი მსჯელობის საფუძველს იძლევა, ამიტომ ჭერ მისგან
თავს შევიკავებთ და „უპატრონოს“ განვიხილავთ.

„უპატრონოში“ მ. ჭავჭავაძის ცხოვრებისგან გარიყული
და დაბეჩავებული, შემდეგ კი მისგანვე გასრესილი დაღუპული ადა-
მიანის ბედზე მოგვითხრობს.

მოთხრობის მთავარი გმირი ნუცა ქალბატონის სახლის კიბის
ქვეშ მიშენებულ ფიცრულში დაბადებულა. დედამისი ბატონს შეუ-
ცდენია და ნუცა ამ ძალადობის ნაყოფია. მშობიარობას გადაყოლი-
ლი ნუცას დედა აღარავის ახსოვს. ასევე არავის ახსოვს თვით ცოც-
ხალი ნუცაც, რომელიც 17 წლის განმავლობაში სრულიად მარტო
ცხოვრობს, ხმის გამცემიც არავინ ყავს, აღამიანურად არავინ არ
ეპყრობა, ალერსი და ტკბილი სიტყვა არავისგან სმენია...

ნუცა ქათმებს, ბატებსა და ინდაურებს მწყეპსავს, უვლის, სა-
ქათმეს ასუფთავებს, ფრინველს კვებავს. თვითონ სამზარეულოში
დღეში ორჯერ შეივლის და თავის მუდმივ და უცვლელ ულუფას
ყველსა და პურის ნატებს აიღებს. მხოლოდ ამით არის დაკავშირე-
ბული ეს საბრალო გოგონა სხვა ადამიანებთან.

იგი ისეა დაბეჩავებული, რომ სხვა შინამოსამსახურეებიც კი
არ ამჩნევენ მის არსებობას, თავის თავზე დაბალ არსებად მიაჩნიათ.
ზოგჯერ გაახსენდებათ, რომ იგი ბუშია, რომ ის „ქათმების მოურა-
გია“...

ერთხელ ქალბატონს გაახსენდა, რომ პირობისამებრ ნუცა 17
წლის ასაკში უნდა გაათხოვოს და მზითვეიც მისცეს. მაგრამ ეს აზ-
რი ქალბატონმაც მალე გადაივიწყა და დარჩა ნუცა თავის სიბე-
ჩავეში.

ბედმა ეს როდი აკმარა უპატრონო და უბედურ გოგონას. ქალ-
ბატონის გარდაცვალების შემდეგ ქალაქიდან მემკვიდრეები ჩამოვი-
დნენ. მათ შორის არის ახალგაზრდა ბატონი, რომელიც ნუცას სი-
ლამაზეს შეამჩნევს და გამოიყენებს. ორი თვის განმავლობაში ნუ-
ცას ბატონი თითქმის ყოველ ღამე თავისთან ამყოფებდა და გათენ-
ბისას თუ უშვებდა, როცა ვნებასა და ეინს დაიცხრობდა...

ბატონი დიდი ხნით უნდა წავიდეს, მაგრამ, სანამ წავა, ნუცას
„უპატრონებს“. უპატრონოს ასეთი პატრონი არგუნა ბედმა. იგი

მკედელ პავლეს მიათხოვეს და მზითევად ფული და მიწის ნაკვეთი გაატანეს. ასე „დაუფასა“ ბატონმა ნუცას ორი თვის სიამოვნება. ნუცა კიდევ უფრო უბედურია. მალე სოფლელები ნუცას ორსულობას შეამჩნევენ, ანგარიშობენ თვეებს დაქორწინების შემდეგ და აშკარა ხდება, რომ ნუცა აღრე ყოფილა ფეხმძიმე...

პავლე, რომელიც დღისით მხოლოდ სამკედლოშია და უროს ურტყამს გრდემლზე, შეიტყობს თავის შერცხვენას და გაბოროტებით სცემს ცოლს. შემადრწუნებელი და ტრაგიზმით აღსავსეა მოთხრობის ის ეპიზოდები, როცა ნუცა მშობიარობს, პავლე ახალშობილს ჰკლავს და ნუცა თავს იხრჩობს...

მწერალმა ნუცა და ჩანჩურა ერთ ბედქვეშ მოაქცია. მართალია, იგი სხვა გარემოშია, მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა, მაგრამ მათ ხვედრს შორის საერთო ძალზე ბევრია.

ნუცა, ჩანჩურას მსგავსად, თითქმის მუნჯია. მან აღამიანებთან დალაპარაკების უნარი დაკარგა. როცა რამეს ეკითხებიან, მხოლოდ „არ ვიცი“ გაიძახის, მას მეობა წართმეული აქვს, საკუთარი აზრი არ გააჩნია, მხოლოდ დედის გრძნობა იღვიძებს მასში და პავლეს უწევს წინააღმდეგობას, რომ პირმშო გადაარჩინოს, თუმცა აქაც უძლურია, ნუცა განწირულია, იგი ტაბიკებიდან ახსნილი აქურებით ჩამოიხრჩობს თავს.

რატომ არის ეს ასე, რატომ იღუპება ნუცა, რატომ არ შეიძლება მისი ცხოვრება სხვაგვარად წარმართულიყო? დედაძინი ბატონის ძალადობის მსხვერპლი გახდა, ნუცაც ბატონების მსუნაგობამ და ძალადობამ, ნამუსგარეცხილობამ დაღუპა. მაშ მიზეზი იმ საზოგადოებრივ წყობილებაში უნდა ვეძებოთ, სადაც არსებობენ ერთის მხრივ უფლებამოსილნი, გაბატონებულნი და მეორეს მხრივ — მათი მორჩილნი, დაჩაგრულნი და უუფლებონი.

სანამ ცხოვრება ასეთი წესითაა მოწყობილი, მანამ იარსებებენ უპატრონონი და უუფლებონი, დაჩაგრულნი და გარიყულნი, რომლებიც დასაღუპავად არიან განწირულნი... ეს არის ერთადერთი სწორი დასკვნა, რომელიც მოთხრობიდან გამოდის.

მკითხველის სიმპათია ნუცას მხარეზეა. არ შეიძლება არ შეგძრათ მისმა უბედურებამ, მისადმი უდიდესი თანაგრძნობითა და სიბრალულით არ განიშსკვალოთ და ამავე დროს არ აღშფოთდეთ მისი დამღუპველი ბატონის მიმართ, რომელმაც ნაღებმოხდილ რქესავეთ სხვას მიაჩეჩა თავისი უნამუსობის მსხვერპლი და ამით არა მარტო ნუცა დაღუპა, არამედ პატიოსანი, გამრჩე, მაგრამ უუფლებო მკედელი პავლეც, რომელიც მოატყუეს, შეურაცხვეს, თავმოყვარეობა შეუღალახს...

პავლეს მსხვერპლია, რადგან იგი სამუდამოდ გაუბედურდა. მისი უბედურება იმით არ თავდება, რომ იგი შეპყრობილი მიყავთ პოლიციაში, მისი უბედურება უფრო დიდი და უძირაა: იგი მკვლელია და მერე ვისი — უმანკო ჩვილი ბავშვისა, რომელიც არაფრის გამგები და უდანაშაულოა, რომელიც გაწამებული დედის საშობან მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ პავლეს ჩაქუჩს მოესწრაფებინა მისთვის წუთიერი სიცოცხლე. პავლე საპყრობილედან კიდევ რომ დაბრუნდეს, თავის უდიდეს ცოდვას და დანაშაულს, ბავშვის მკვლელს რომ მუდამ შეაძრწუნებს და მოსვენებას წაართმევს, ვერსად დაემალება, ვერსად გაექცევა.

მსხვერპლია თვით ჩვილი ბავშვიც... მამამისი გულქვა და უზნეობა მან სიამოვნება მიიღო, ქალწული გოგონა ორი თვე ჯიჯგნა, ამოწოვა რაც წასაღები იყო, დაუკარგა ერთადერთი სიმდიდრე — პატროსნება და სხვას მიაჩენა, გაასალა, როგორც უკვე მობეზრებული ნივთი... მაგრამ ნუცას საშობოში ხომ ბატონის შვილი იზრდება, ეს ხომ კარგად იცის ამ ვაჟბატონმა. მას შეეძლო თვეებიც დაეთვალა და შვილის მოლოდინი ჰქონოდა. მაგრამ ყოველივე ეს ბატონის გონებისა და სულის საზღვრებს გარეთ რჩება. იგი პირუტყვია, მან სიამოვნება მიიღო, უინი მოიკლა და ამას იქით აღარ მიდის მისი ფიქრი. ამ პირუტყვობისა და უგულობის მსხვერპლია ჩვილი არსება, რომლის ნამდვილი მამა ალბათ სადღაც დააპრპაშებს, სხვას აუბედურებს იმ დროს, როდესაც პავლეს ჩაქუჩი მას ჩვილ თავს გაუსრესს...

დასაგმობი და დასანგრევეია ის ცხოვრება, რომელიც ამდენ მსხვერპლს წარმოშობს. თუ ერთ პატარა მოთხრობაში მსხვერპლთა სია ასე გრძელია — იწყება ნუცას დედით, მერე ნუცა, პავლე, ჩვილი — ცხადია, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია...

„უპატრონოს“ დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, 1905 წელს მ. ჯავახიშვილი წერს მშვენიერ მოთხრობას, რომელმაც მაშინვე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ესაა „ეკა“. მოთხრობა ატარებს მთავარი გმირი ქალის სახელწოდებას. ეკაც, ნუცას მსგავსად, ერთ ქალბატონს ყავს შინამოსამსახურედ. ტანლერწამა და მშვენიერი ეკა მსხვერპლი გახდება რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტისა, ქალბატონის ერთადერთი ვაჟისა, რომელიც განებივრებული და გალადებული იყო შეძლებული დედის მიერ

ერთი ღამის თავდავიწყებამ და ბატონიშვილის თავაწყვეტილმა ვნებამ ეკა ქალბატონს სახლიდან გააგდებინა. ბატონიშვილი ლაჩრულად მოიქცა — დედას ვერაფერი შეხედა ეკას დასაცავად. გაუბედურებული ქალი უნუგეზოდ მისჩერებია ვაჟის ფანჯრებს, საი-

დანაც იგი მხდალად იყურება. ურემზე მიგდებულ ფუთაში ეკა მწარედ ჩარგავს თავს და უსასოოდ აქვითინდება.

რა ბედი ეწია ეკას? მოთხრობიდან ვიგებთ, რომ ის არ დალუპულა, როგორც უპატრონო ნუცა. ჩვენ არ ვიცით, რა გადახდა დამცირებულ და ნამუსშელახულ ქალიშვილს, მაგრამ ვიგებთ, რომ იგი გადარჩენილა, მას ბატონიშვილისგან ვაჟიშვილიც შესძენია, კარგად ჩაცმული და მოვლილი ქალია. ჩანს. პატრონმა იცის ეკას ფასი და კარგად უვლისო, ამბობს მწერალი.

მოთხრობის ბოლოს ბატონიშვილიც გამოჩნდება. ათი წლის შემდეგ, როცა ის უკვე სახელმძღვანელო ექიმია, მასთან სამკურნალოდ მიდის ეკა, რომელსაც 10 წლის ბიჭი უდგას გვერდში. ეს არის ეკას შვილი, რომელშიც ბატონიშვილი თავის ბავშვობას ამოიცნობს და თავის შვილად მიიჩნევს. ეს უნებლიე შეხვედრა ექიმში ძველ, მიძინებულ გრძნობებს გააღვიძებს, რომელნიც ყოველთვის აწუხებდა, თუმცა ცოლიც ყავდა და შვილებიც. ეკა დამალავს სიმართლეს და სამუდამოდ გასცილდება ექიმს, რომელსაც ბევრი რამის გაგება ეწადა. ეს გარემოება მას ერთხელ კიდევ აუშლის მწარე ფიქრებს და უპასუხო კითხვებს: „იმ დამეს თითქმის არ დამძინებია. ეკა სამუდამოდ დამეკარგა. არც მიძებნია. ცოლშვილი მყავს, მაგრამ... ვინ იცის, ვინ იყო ჩემი ნამდვილი საბედო?“

ვინ იცის? ვინ მეტყვის? ვინ გამოიცნობს?“

მართალია, ამ მოთხრობაში ბატონიშვილის ძალადობის მსხვერპლი ფიზიკურად არ იღუპება, მაგრამ თვით ძალადობის ფაქტი და საზოგადოების გაბატონებული ფენის მორალი, რომ შეიძლება ქალწულს ნამუსი აპხადო და დაუსჯელად დარჩე. შეგვეძლოს ურემზე დასვა და სახლიდან პანდურით გააგდო, როგორც ეს ქალბატონმა უბოდინოდ ჩაიდინა, ეს უგულობა და ამორალობა მაინც სამარცხვინო ბოძნეა გაკრული.

ინტელიგენტი ბატონიშვილი ნანობს თავის საქციელს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. მას არ გადაუდგამს არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი, რომ ეკას გამოსარჩლებოდა, მის დასაცავად ერთი სიტყვა მაინც წამოსცდენოდა. რატომ? იმიტომ, რომ ეკა და ის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის უსაზღვრო უფსკრული იდო. დედამ ვაჟს „ნამუსი. შეუენახა“ და არასოდეს გაუხსენებია მის მიერ ჩადენილი ავხორცობა. ბატონიშვილი მაღლიერებით აღნიშნავს დედის დიდსულოვნებას.

ეკა კი დასალუპად გაიმეტეს. მას ხელი ჰკრეს და ბედის ანაბარად მიატოვეს, მაგრამ ეკა გადარჩა. შესაძლო იყო, ის ქუჩაში აღმოჩენილიყო, წუმბეში ჩაფლულიყო და სამუდამოდ დაღუპულიყო,

რადგან ამ ქვეყანაზე აღარაფერი გააჩნდა, გარდა ნამუსახდილი სხეულისა... მას არც დედა ჰყავდა, არც ვინმე სხვა, ვისაც შეიძლებოდა მიჰკვლევებოდა... შესაძლო იყო მასაც, ნუცას მსგავსად, სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაემთავრებინა.

ეკა გადარჩა, იგი წარმოსადეგი ქალია და, ჩანს, ოჯახის დიასახლისი, შეილსაც ზრდის. რა მოხდა? რამ გადაარჩინა ეს განწირული ქალი? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ მხოლოდ ერთ გარემოებაში: მოთხრობა დაწერილია 1905 წელს, რევოლუციის ბოლოპერიოდის პერიოდში, როცა დაჩაგრულნი ფეხზე დგებიან და იბრძვიან უკეთესი შერბისისათვის. მწერალი პერსპექტივაში შესაძლებლად დაინახავდა დაჩაგრულის გადარჩენას და ფეხზე დადგომას. ახალი ცხოვრება, რომელიც რევოლუციის გამარჯვებას უნდა მოჰყოლოდა, ხოლო ამისი რწმენა ახალგაზრდა მ. ჭავჭავიძელს უსაზღვრო გააჩნდა, ეკას უსათუოდ იხსნიდა დალუპვისაგან.

ავტორმა ეკა გადაარჩინა, მაგრამ ბატონიშვილი და დედამისი სამარცხვინო ბოძზე გააკრა, ისინი ვერასოდეს ჩამოირეცხავენ იმ ლაქას, რომელიც მათმა საკუთარმა მოქმედებამ მოცხო.

„უპატრონოსა“ და „ეკას“ თითქოს ერთი და იგივე ტრადიციული თემა აქვს — აღვირახსნილი ბატონიშვილები, რომელთაც საზოგადოებრივმა წყობილებამ განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა, ძალადობენ, ნამუსს ხდიან უუფლებო ასულებს, რომელთაც ვერავენ იცავენ ამ შეურაცხყოფისაგან. მართალია, ამ სისაძაგლის ჩვენება არც ქართულ, არც რუსულ თუ ევროპულ ლიტერატურაში იშვიათი არ იყო, მაგრამ მ. ჭავჭავიძელმა იგი დაგვიანახა სრულიად ახლებურად, სრულიად ორიგინალურად და ძლიერად. ამიტომ მწერლის ხელში ეს ძველი თემა ახლად მოჩანს.

„ჩანჩურას“ თემასთან ახლოა მწერლის ერთ-ერთი პირველი მოთხრობათაგანი, რომელსაც „კურკას ქორწილი“ ეწოდება.

მართალია, კურკამ ლაპარაკიც იცის, თითქოს რაღაცასაც აკეთებს, თითქოს ჩალიჩობს და ჩანჩურასავით უტყვი, მუნჯი და დიგლახავებული არაა, მაგრამ მაინც სავალალო და დაბეჩავებულ მდგომარეობაში მოხვედრილი პიროვნებაა.

კურკას ჩანჩურასთან ბევრი რამ აქვს საერთო. ავიღოთ თუნდაც გარეგნობა: „მოკლე და მოგრებილ ფეხებს დიდის გაჭირვებით დაქონდათ კურკას უშველებელი ღიბი, ფეხებამდე ჩამოკიდებული ხელები და დიდი, გოგრისოდენა თავი, რომელსაც სტაფილოს ფერი თმა სწევადათ. მარჯვენა ფეხი გან-განზე გაჭონდა და ისე დადიოდა, თითქოს იმ ფეხით სცელავდაო. ხოლო მოგრებილ ფეხს რომ

მარცხენასაც მიაშველებდა, თავი მარჯვნივ ისე გადმოუგორდებოდა. თითქოს ვილატას გვერდულა სალამს აძლევდაო“.

„ღიღს კაკუჩა ცხვირსა და ბრტყელს ზემო ტუჩს მაგრად ჩაებლუჯათ ჭაგრიანი, წითელი უღვაშები, რომელნიც გაცვეთილი ცოცხებოვით თავდაყირა ეყარნენ გახუნებულ ტუჩებსა და ნიკაპზე“

როგორც ჩანჩურა, ასევე კურკა, ყველას დაბრიყვებული ჰყავს მწერალი კურკას შესახებ წერს: „ვისაც არ ეზარებოდა, თავში ჩაუფაჩუნებდა, ან უკნიდან მიეპარებოდა, კლანჭში სწვდებოდა და ძალღივით დაჰყეფავდა, ან კიდეც სულ უმიზეზოდ შარს მოსდებდა და მისტყეპავდა“. ამას დაუმატეთ, რომ კურკა „მეტისმეტად ტირალი და ლაჩარი იყო“, რომ ის წარამარა მიწაზე გაგორდებოდა და ყვიროდა: „ვაიმე-ე-ე!.. მიშველე-ეთი გარადაო-ო-ო-ი მიშვე-ლ-ე-ეთ“ და ნათელი გახდებდა, რა ახლოს დგას ის ჩანჩურასთან.

მართალია, ჩანჩურა მუნჯი იყო, მას არც ცოლი შეურთავს და არც ხარაზობა შეეძლო, მაგრამ ამ უპირატესობამ კურკას რა ბედნიერება მოუტანა? მართალია, კურკას ეტლის ქვეშ არ ამოხდენია სული, მაგრამ ხეიბარი მათხოვრის ბედი მაინც არ ასცდა.

მოთხრობა ისე თავდება, რომ არც ვიციტ კურკას ნამდვილი სახელი, ისევე როგორც ჩანჩურასი. მწერალი მოთხრობის პირველ სტრიქონებშივე აცხადებს: „ბევრმა არც კი იცოდა კურკაა ნამდვილი სახელი. ერთხელ ვილატამ კურკა დაარქვა და მას აქეთ ეს სახელი შერჩა“. ეს არის და ეს.

ისე როგორც „ჩანჩურაში“, „კურკას ქორწილშიც“ საზოგადოება გულქვაა, უბედურ კურკას არა თუ არ თანაგრძნობს, არამედ კიდეც უფრო უმწარებს ყოფას: ზოგი ძალღივით უყეფს, ზოგი უკანიდან მიპარვით ძირსა სცემს, აბღავლებს...

კურკას ვერაგულად ატყუებს დარჩო, რომელიც არ ჭერდება იმას, რომ ძვირად მიაჭირავა ორიოდე ადლი მიწა რომელშიც კურკამ ფიცრული ჩადგა, იგი მას იძულებულს გახდის მოჭამაგირედ დაუდგეს, მისი ფული თვითონ ჩაიჭიბოს, უბედურს კი გროშები მიუგდოს.

ამასაც არ დასჭერდა გაქნილი დარჩო. მან კურკას ცოლად შეაჩეჩა თავისი ხასა მაშო, რომელიც კურკას მთელი არსებით შეუყვარდა, ისე რომ ნახევრად მუნჯს სიმღერა ამოათქმევინა, უბედურს წუთიერად ბედნიერება მოაჩვენა. მაგრამ მაშო კურკასი არასოდეს გამხდარა.

გაიძვერა და ქვეშქვეშა დარჩო თავის ოჯახში დასტოვებს კურკას და მაშოს, რათა ამ უკანასკნელთან აღვირახსნილი ცხოვრება განაგრძოს.

განწირული და მოტყუებულია კურკაი უსინდისო და მოღალატე მაშო სცემს მას და გაექცევა, დარჩო კი ბინიდან გააგდებს და ყველასგან მოტყუებული და დამცირებული, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი კურკა ისევ ქუჩაში დაეხეტება, ხელგაწვდილი მათხოვრობს, გამვლელთ ემუდარება — გამიკითხეთ, სამი დღეა პირში არაფერი ჩამსვლიაო... ქუჩის ონავრები კი კურკას ისევ აწვალევენ და ამცირებენ. გაწამებული კურკა იძულებულია შველა ითხოვოს და განწირული ხმით იძახის: „—ყარა-ულ!.. გარადოვო-ოი მი-შველეთ! მომკლეს! გარადოვო-ოი“

მოთხრობა დაწერილია 1906 წელს, ე. ი. „ჩანჩურას“ დაწერიდან სამი წლის შემდეგ, მაგრამ მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში არაფერი შეცვლილა. ამ პერიოდში რევოლუციის უკუქცევა დაიწყო, რეაქციამ მხრები გაშალა და მწერალი დარწმუნდა, რომ 1905-ის იდეალებმა ვერ გაიმარჯვა. ჩვენი ფიქრით, მოთხრობის ფინალის უნუგეშო სურათი ამით უნდა ავხსნათ.

სულ სხვადასხვა საკითხებია დასმული მწერლის სამ შემდეგ მოთხრობაში: („მეჩქემე გაბო“, „ჩილდო“ და „ემშაკის ქვა“).

კრიტიკაში მიღებულია აზრი, რომ „მეჩქემე გაბო“ ისეთივე თემას ეხება, როგორც „ჩანჩურა“ ან „კურკას ქორწილი“. ჩვენი ფიქრით, საქმე ასე არაა. აქ საკითხი სულ სხვაგვარად დგას. შევეცდებით ცხადვყოთ ამ მოსაზრების სისწორე.

„მეჩქემე გაბოს“ მთავარი გმირი გაბო ოდესღაც „საზოგადოების ზედაპირზე“ იყო, მას გარკვეული მდგომარეობა ეკავა იმდროინდელ საზოგადოებაში. მწერალი თვითონ გვეუბნება გაბოზე: „პაპაშა მაშინ შეძლებულ კაცად ითვლებოდა: წინათ თვითონ იმ ოთახებში ცხოვრობდა, სადაც შემდეგ მისმა გვრიტებმა და წიწილებმა დაიბუდეს, ქვემო ოთახში კი სახელოსნო ჰქონდა გამართული და ათიოდე ხელოსანს ამუშავებდა. ამის გარდა, ორივე სართულში ექვსიოდე ოთახსაც აქირავებდა.“

რამ დააქვეითა გაბო, რად აღმოჩნდა იგი ფსკერზე? ეს გამოიწვია მისმა გარყვნილებამ. უზომო ლოთობამ, ფულის ფლანგვამ საროსკიპოში, რომლის ლამაზმანებსაც იგი გვრიტებს, წიწილებსა და ჭუჭულებს ეძახის და რომელთაც საკენკივით უყრის კამფეტებს. ფულებს, მთელ ქონებას...

გაბო თორმეტი წლის წინათ ხანუმას საზოგადო სახლში შეხვდა. შეიყვარა, იქიდან გამოიყვანა, თავის სახლში მიიყვანა, თუმც ცოლიცა ჰყავდა და შვილებიც. მალე გაბო ქვედა სახლში გადაბარგდა. ხანუმა მეორე სართულზე დატოვა, ქალები უშოვა და საროსკიპო გაუხსნა. ქირას არ ახდევინებდა, სამაგიეროდ ყოველ ღამეს მათთან

ატარებდა, ყოველთვის რამდენიმე გირვანქა ტკბილეული, მუჟა-მუჟა აბაზიანები, ხან კი ფეხსაცმელი და ლეჩაქიც მიჰქონდა ხოლმე საჩუქრად. ასე გაკოტრდა ვაბო, ასე იქცა ის ხანუმას მევალედ, შემდეგ კი მის მსხვერპლადაც: ხანუმა ვაბოს უჩივლებს და ვალში ყველაფერს აუწერს, წაართმევს, ქუჩაში გააგდებს.

ვაბო მკითხველს არ ებრალება, მისადმი თანაგრძნობა არ იღვიძებს მასში, რადგან იგი გარყვნილი და ბინძური კაცია. ცოლს სცემს, აშიშვლებს, ბავშვებს დაერევა და გარეთ ჰყრის სიცივეში, მათ ყველაფერს აკლებს და თავის „გვრიტებთან“ მიაქვს და ფლანგავს, რასაც კი შოულობს. ამ გარყვნილებამ იგი მორალურად გადააგვარა. ეკონომიურად გააკოტრა, ბოლოს არაფრის მქონე და თავშესაფარს მოკლებულ მაწანწალად აქცია.

ვაბო ამორალური პიროვნებაა, მაგრამ მწერალი თითქოს განგებ სდუმს და არაფერს ამბობს იმაზე; თუ რამ გარყვნა ვაბო. იმ საზოგადოებაში, სადაც ამდენი სიმუხთლე და გაუტანლობაა, სადაც ყველაფერი ძალმომრეობაზეა დამყარებული, სადაც ტყუილი და სარფი ბატონობს, სადაც ერთი ცდილობს მეორის ნაშრომის წაგლეჯა-მითვისებას, არ შეიძლება ადამიანი არ დაიღუპოს. ზოგი იღუპება ფიზიკურად, ზოგი მათხოვრობს, ზოგი ზნეობას კარგავს და მერე თავი ეშვება.

მაგრამ, ჩვენი ფიქრით, ვაბოს დაღუპვას განაპირობებს მორალურ-ზნეობრივი საფუძველიც. ვაბო ოჯახის მოღალატეა. იგი ძარცვავს ოჯახს და ყველაფერი „გვრიტებთან“ მიაქვს. იგი სცემს ცოლსა და შვილებს და ამის შემდეგ არხეინად ერთობა „ქუქულებთან“, იგი ცოლს პარავს სამკაულებს, მიაქვს ვერცხლის ქამარიც, რათა ხანუმას საჩუქარი მიართვას... ყოველივე ამას ვაბო აკეთებს დამშვიდებით, სინდისის ქენჯნის გარეშე, ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია და მის შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ეს საზღვარგადაცილებული უზნეობა კი დასჯის გარეშე არ უნდა გადაჩქეს, და ვაბოც მწარედ ისჯება...

სოციალურმა გარემომ განაპირობა ვაბოს გადაგვარება და უზნეობა, ხოლო ამან თავის მხრივ გამოიწვია მისი დაქვეითება „ფსკერზე“ გადასროლა. მწერალს გამოაქვს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი; ვინც ასე გადაგვარდება, გარყვნილების მორევში ჩაეფლობა, ვინც შებღალავს წმიდათა-წმიდას, როგორც ოჯახი და შვილებია, ის არ შეიძლება ბედნიერი იყოს. მართლაც, ვაბო და „ქიაყელა“, ვაბოს განუყრელი ამფსონი და მეგობარი, ერთი ქეჩის ანაბარა დარჩნენ, მათ მეტი აღარა შერჩათ რა, გარდა წარსულის მოგონებისა და ოხვრა-ვაებისა.

გვებრალებოდეს თუ არა გაბო, რომელიც ცხოვრებამ ასე დასაჯა? შეიძლებოდა შეგვებრალებოდა, ის რომ მხოლოდ ცხოვრების მკაცრი წესებისა და მხეცური კანონების მსხვერპლი ყოფილიყო. მაგრამ არ შეიძლება გვებრალებოდეს გაბო, რომლის უბედურების მიზეზიც ზნედაცემულობა და ამორალობაა. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ ცხოვრების სხვაგვარი წესების დროს გაბო, შესაძლოა, სხვაგვარი ადამიანი ყოფილიყო. ამიტომ მთელი საყვედური და უკმაყოფილება მაინც გაბატონებული წყობილების მისამართით იგზავნება.

ამრიგად, „მეჩქემე გაბოში“ მ. ჯავახიშვილს დაყენებული აქვს ფრიად სერიოზული საკითხი — როგორ ურთიერთობაშია საზოგადოების სოციალური ცხოვრება ზნეობრივთან და ორივე ერთად როგორ განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა ბედს. ცხადია, მოთხრობა გულისხმობს იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ-მორალური ნორმების შეცვლას, რათა ადამიანები აღარ იღუპებოდნენ.

1908 წელს სამშობლოდან უკვე გადახვეწილ, მძვინვარე რეაქციისაგან განრიდებულ მიხეილ ჯავახიშვილს პარიზში დაუწერია ერთი პატარა მოთხრობა, რომელსაც „ემმაკის ქვა“ აქვს სათაურად.

მოთხრობის ოქმას ავტორი თვითონ გვაცნობს პირველივე სტრიქონებში: „ჩვენი საუბარი ათას რამეს გადასწვდა: ქალთა თანასწორობას, 1905 წლის რევოლუციის გრივალებს, მის მომდევნო რეაქციას, გმირობასა და სილაჩრეს, დარსა და მოსავალს, აზიასა და ევროპას და ბოლოს ბრბოს ფსიქოლოგიაზე შეჩერდა“ ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ამ ბოლო ამბავზე, ე. ი. ბრბოს ფსიქოლოგიაზე, ყველა ერთი მოხუცი მემამულე.

მწერალი პირდაპირ გვეუბნება, თუ რა არის მოთხრობის მთავარი საკითხი.

მართლაც, მოთხრობის ამბავი — მთავარი გმირის, სოფიოს თავგადასავალი აშკარას ხდის, რომ საკითხი შეეხება იმას, თუ პიროვნებაზე, მის განწყობილება-ქცევაზე რა ზეგავლენას ახდენს მასა, ადამიანთა კოლექტივი, როგორც ძველად იტყოდნენ, ბრბო, როგორ დაჰყვება ბრბოს ნებას პიროვნების ნება, თუნდაც ცალკე იგი სულ სხვა რწმენისა იყოს.

ასე დაემართა სოფიოს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სოფელში დაბრუნებულა. მალე მას მთელი სოფლის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. თავადის ასული სოფიო ისეთი სათნო, კეთილი, განმკითხველი და მანუგეშებელი ყოფილა, რომ სოფლის

მცხოვრებლებმა მას მეტსახელად ანგელოსი შეარქვეს. ეს სახელი სოფიოს მართლაც შეშვენოდა, რადგან ყველას მრჩეველი, მალამო და ნუგეში იყო.

მაგრამ სოფელში ასეთი უბედურება დატრიალდა. ორი ახალგაზრდა გლეხი ქურდობაში დაიჭირეს. ერთი მათგანი ადრეც აბეზრებდა თავს მეზობლებს. გლეხებს მოთმინების ფიალა აევსო და ქურდების მკაცრად დასჯა განიზრახეს, რადგან სასამართლო მათ ამართლებდა. სოლოსა და დათას ბოროტმოქმედება მართო ქურდობით არ განისაზღვრა. მათ გაძარცვეს და მერე ხანჭლებით აკუწვეს ქვრივი ქალი, რადგან უბედური დედაკაცი დაემუქრა, გიცანიოთ და დამაცადეთ რას გიზამთო. ხალხმა დამნაშავეები შეიპყრო და გადაწყვიტა, განაჩენი თვითონ გამოეტანა ამ ამწიოკებლებისა და სოფლის ხორცმეტებისათვის. სოლო მალე გამოტყდა, მაგრამ დათა ჭიუტი და უტეხი გამოდგა. ხალხი ამან უფრო აღაშფოთა და ჩაქვავება დაუწყო.

დათას დედამ სოფიოსთან მიიღბინა და შეელა სთხოვა. ნააედ-მყოფარმა სოფიომაც არ დააყოვნა და უბედურ დედას შეელა აღუთქვა. ამ მიზნით გამოიქცა იგი შეჭგუფებული ხალხისაკენ, რომელსაც გაეკრპებული დათა მისი ხელით აკუწული დედაკაცის გვამთან დაეჩოქებინა და მოითხოვდა ყველაფერი ეთქვა, მაგრამ ამაოდ. მგლის ლეკვი ხმას არ იღებდა. ამან ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. მაგის ცოცხლად გაშვება არ შეიძლებოდა, გაისმა ერთის შეძახილი. ამას სხვებმაც დაუჭირეს მხარი. მერე ყველას სათქმელი ერთმა წამოიძახა — ჩავაქვაოთო!

„და ხალხმა ერთხმად იგრიალა:

— ჩავაქვაოთ! ჩავაქვაოთ!

და ბრბოს სამართალი — უბრალო და მრისხანე — შადრევა-ნივით ამოვარდა. ბრაზი რისხვას მოაჭდა, ორივემ შურისძიების აღვირი მიუშვა და დეზი წააკრა“.

და როცა შეშინებულმა დათამ საფრთხე მართლა იგრძნო, გაქცევა დააპირა. ხალხსაც ეს უნდოდა: გაგულისებული დაედევნა და ქვების სეტყვა დაუშინა. დათა ჩააქვავეს.

რას აკეთებს ამ დროს სოფლის ბატონი. სოფიოს მამა? ამას ის თვითონ გვიყვება:

„ჩემს უკან კვლავ ისმოდა მუქარა:

— დედას ვუტირებთ, ვინც უკან დაიწევს, დედასა!

ერთმა მოხუცმა ხელში ქვა მომაჩეჩა და მომაძახა:

— დაიჭი, ბატონო, ეხლა შენც ჩვენი ხარ

იმ დროს მართლაც მე იმათი ვიყავი...“

ეს მოთხრობის ერთი დეტალია: ბატონებსა და ყმებს შორის საზღვარიც კი იშლება, როცა ბრბო აზვირთებულია, ერთ სურვილად არის შეკრული. ეს დიდი ძალაა, იგი ყველაფერს სპობს, რაც წინ დაუხვდება და წინააღმდეგობას მოუწოდებს. ბატონსაც გადაედო ბრბოს სურვილი, მანაც ქვა აიღო ხელში და აკი თვითვე აღიარებს, იმ დროს მართლაც იმათი ვიყავიო.

მაგრამ რას შერება სოფიო, რომელიც ნაავადმყოფარი და მიუსუსტებული სახლიდან იმიტომ გამოიქცა, რომ დამნაშავე ეხსნა მკაცრი სასჯელისაგან? საქმეც ესაა. კონტრასტი სწორედ აქ ჩანს მკაფიოდ ერთია, როცა ცალკე ხარ, და მეორეა, როცა ბრბოში მოექცევი და მისი ნება დაგიმორჩილებს. სოფიო, ნაცვლად მოხმარებისა, ხელში ქვას აიღებს და ისიც ესვრის ამ ერთადერთ ქვას. სოფიო ბრბოს გავლენაში მოექცა, მისი სურვილი და ნება გადაედო. მან არათუ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, ბრბოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ და დათან გადასარჩენად ერთი სიტყვაც ვერ თქვა, არამედ ჩაქვავების მონაწილეც კი გახდა.

ეს იყო სოფიოს მთელი არსების, მისი მორალისა და სულის საწინააღმდეგო საქციელი, რომელიც უნებლიეთ იქნა ჩადენილი იმ წამიერი აფეთქების შედეგად, რაც ბრბოს ერთსულოვნებამ და აბოზოქრებულმა ძალამ გამოიწვია, მაგრამ მაინც ჩადენილი საქციელია.

შემდეგ სოფიოს ეს თავისი ხასიათის საწინააღმდეგო მოქმედება ძვირად, ძალიან ძვირად დაუჯდა — ავადმყოფობამ შეუქცია და ათ დღეში სიცოცხლესაც გამოასალმა, რადგან მწარედ განიცადა თავისი მოქმედება, ყველას იმას შესძახოდა, ჩემი ბრალი არაა, მე მხოლოდ ერთი ქვა, მხოლოდ ერთი ქვა ვესროლე, ისიც მე არ მისვრია, ეშმაკმა მასროლინაო.

რა აზრი უნდა გამოვიტანოთ საკითხის ასეთი წარმართვით? ის, რომ პიროვნება ბრბოსთან შედარებით უძლურია, რომ ბრბო ყოვლისშემძლეა? ის, რომ პიროვნება არ უნდა აპყვეს ბრბოს, თორემ სოფიოსავით დაიღუპება? ის, რომ სუსტი პიროვნებაც კი მასებთან შეერთებით ძლიერი ხდება?

ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ჯიბლაძე „ეშმაკის ქვაზე“ შემდეგს წერს: „ეს უკანასკნელი გავლილია კეთილისა და ბოროტის ტრადიციული შეპირისპირების ფონზე, მაგრამ თვით მოთხრობაში ავტორი ორ რამეს გვანიშნებს: ბოროტების დათრგუნვა ადამიანთა შეერთებულ ძალებს, მასას შეუძ-

ლია; მასაში სუსტი პიროვნებად ძლიერი ხდება“¹. ეს აზრი წიგნის მეორე გვერდზე კიდევ უფრო გაღრმავებულია და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიმძლავრეა ატანილი: „შესაძლოა მიხეილ ჯავახიშვილი თავის მოთხრობაში ალეგორიულად გველაპარაკა 1905 წლის რევოლუციის დროინდელი ბრძოლების სიმძიმეზე, როცა მასების შეერთებული ძალა დაეჯახა ბოროტების კედელს და საკმაო სიძლიერით შეარყია იგი, თუმცა კი ვერ დაარღვია, ისევე როგორც დათასა და სოლოს ჩაქოლვით ბოროტება საერთოდ არ მოსპობილა“ თუმცა აქ ვარაუდია გამოთქმული, კითხვაა დასმული, მაგრამ წიგნის ავტორის პოზიცია თითქმის გარკვეულია.

უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. გ. ჯიბლაძის გაგებით დათა და სოლო ორივე ჩაქოლეს (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 295). მოთხრობაში კი ხალხი სოლოს არამც თუ არ ჩაქოლავს, არამედ ათავისუფლებს კიდევ, როგორც ბუნებით კეთილ ახალგაზრდას, რომელიც დათამ შეაცდინა. სოლოს შესახებ მოთხრობაში შემდეგს ვკითხულობთ:

„— მეორედ აღარ გაჰბედო, — ტკბილი ხმით უთხრა ერთმა მოხუცმა, თორემ ხომ იცი...“

— აღარ გაჰბედავს, არა! წაესარჩლენენ აქეთ-იქიდან. ხმა აღარავის ამოუღია, რადგან ყველა გრძნობდა, რომ ხალხმა სოლოს დანაშაული აპატია.

სოლო ხალხში გაერია და მიიძალა“².

ფეიქრობთ, ნათელია: სოლო არავის დაუსჯია, ის გაუშვეს.

გ. ჯიბლაძე კი დასახელებული წიგნის 295-ე გვერდზე ორჯერ წერს: „...და როდესაც ეს ორი მძარცველი ქვემოუბანში, სოფლის განაპირას, მარტოხელა ქვრივს გაძარცვის შემდეგ მოჰკლავენ, მთელი სოფელი მათ ქვეებით ჩაქოლავს“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.). მეორედ კი წერს: „...ისევე როგორც დათასა და სოლოს ჩაქოლვით ბოროტება საერთოდ არ მოსპობილა...“ (ხაზი აქაც ჩემია — ტ. კ.).

ბრბოს ფსიქოლოგია ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „ეშმაკის ქვა“ პარიზში დაიწერა, როცა მ. ჯავახიშვილი ასე ახლოს და ინტენსიურად გაეცნო ევროპის კულტურას და, კერძოდ, მწერლობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკითხის სათავე იქიდან მოდის, ოღონდ მოქმედების ადგილად მშობლიური გარემოა აღებული,

¹ გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, თბილისი, 1959 წ., გვ. 294.

² მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1958 წ., გვ. 105.

მოქმედ პირებადაც ქართველები არიან გამოყვანილი. კაცმა რომ თქვას, ეს საკითხი ჩვენს სინამდვილეშიც შეიძლებოდა დასმულიყო, ისე როგორც სხვაგან.

ჩვენ ზემოთ შევეცადეთ გაგვეაზრებინა „ემშაკის ქვის“ ძირითადი საკითხი. მასა ყოვლისშემძლეა, თუ შოინდომებს, თუ აზვირთდება, ის ყველაფერს შეძლებს, ყველას ჩაითრევს და ყველაფერს წალეკავს. პიროვნებაც მასის ნებას უნდა დაჰყვეს, იყოს იმის ერთგული და ორგანული ნაწილი, თორემ დაიღუპება. მასა, როცა ის აბობოქრდება, ვერ ითმენს რაიმე წინააღმდეგობას, მას სტიქიური ძალების მოზღვავება ახასიათებს...

ჩვენი ფიქრით, ე. წ. ბრბოს ფსიქოლოგია მ. ჯაფარიშვილის აღრინდელ მოთხრობებში სხვაგანაც იყო დასმული. „ჩანჩურასა“ და „კურკას ქორწილში“ ეს საკითხი თუმც მთავარი არაა, მაგრამ თვალსაჩინოდ კი არის ნაჩვენები. ამ მოთხრობებში საზოგადოების ქვედა ფენის წარმომადგენლები ერთად შექგუფულან და ჩანჩურას თუ კურკას საცოდაობაზე ხარხარებენ და მათი წვალებით ერთობიან. აქ ნაჩვენებია ე. წ. ბრბო თავისი ხასიათით, ფსიქოლოგიით. ბრბოს აქ ახასიათებს აზარტული გატაცება სეირის ცქერით. ეს გატაცება ზოგჯერ მას აბრმავებს კიდევ და ართმევს სწორად განსჯის უნარს. მაგალითად, მურას მიერ ჩანჩურას დაკბენა მათში სიცილხარხარს იწვევს, თუმც ნორმალურ ვითარებაში ეს ადამიანები ცალ-ცალკე სიბრაღულით უნდა გამსჭვალულიყვნენ ამ ბეჩავი კაცუნას მიმართ.

ასევეა „კურკას ქორწილშიც“, როცა უცნიდან მიპარული ქუჩის ბიჭები კურკას კანკებში სწვდებიან და ძალღურად შეპყეფენ. შეშინებული კურკა განწირულად ბღაეის... დუქნებიდან გამოსული ქალაქელები კი ხარხარებენ.

ამ მოთხრობებში ბრბო გულგრილია სხვისი გაქირვების მიმართ. მას სეირი იტაცებს, ის ხარხარებს. „ემშაკის ქვაში“ პირიქითაა: სოფლის განაპირას მცხოვრები ქვრივის გაძარცვა და მერე ხანჯლით აკუწვა მთელ სოფელს თანაგრძნობითა და სიბრაღულით განაწყობს დაზარალებულის მიმართ, ეს აღშფოთება ისე გაიზრდება, რომ დათას ჩაქვავენასაც არ მოერიდება ეს მასა, რომლის თვითეული წევრი ცალ-ცალკე უწყინარი გლახია.

ცალ-ცალკე სოფიო, მისი სოფლის სხვა ქალები და კაცები უწყინარნი და სათნონი არიან, ერთად შეზვირთებულნი კი იქცევიან მრისხანე ძალად, რომელსაც ისეთი სისასტიკეც შეუძლია, როგორცაა ცოცხალი ადამიანის ჩაქოლვა...

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მოთხრობა მრავალმხრივი მსჯელობის

მასალას იძლევა. ამით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება მისი სიძლიერე.

მ. ჯავახიშვილის ადრინდელ მოთხრობებში განსაკუთრებული ადგილი მაინც „ჭილოს“ უნდა მივაკუთვნოთ. ეს იმით აიხსნება, რომ მასში საზოგადოებრივად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხის ასახვა გვიჩვენა მწერალმა. მოთხრობა დაიწერა 1905 წელს, როცა მთელი საქართველო რუსეთთან ერთად გახვეული იყო რევოლუციური ბრძოლების ცეცხლში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მწერალმა ეს ისტორიული მოვლენა მაშინვე, როგორც იტყვიან, ცხელ გულზე. ასახა. მოთხრობაში ნაჩვენებია უშუალოდ ნანახი და განცდილი ამბები, რომლის მონაწილეც ავტორი თვითონ იყო. მოთხრობა ისეთი დამაჭერებლობით, გაცოცხლებულად, ხელშესახებად გვიჩვენებს ცხრაას ხუთის რევოლუციურ ამბებს, ქუჩის შეტაკებებს და საერთო განწყობილებას, რომ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისიც იქ იყო.

მოთხრობას საფუძვლად უდევს რევოლუციის ერთი ეპიზოდი. ჯარისკაცებსა და მუშებს შორის ქუჩაში შეტაკება ხდება. ყველაფერიდან ჩანს, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, რომ ეს არის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ეპიზოდი იმ მღელვარებისა. რომლითაც ის ეპოქა იყო მოცული. შეტაკების ეს სცენა ჩვენ თვალწინ აცოცხლებს ლურჯხალათიან მუშებს, რომლებიც ხიშტსა და ტყვიას არ უშინდებოდნენ, რათა ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის ებრძოლათ. მათ გვერდში უდგანან ქალები, ახალგაზრდები. აზვირთებული მასები ძალას გრძნობენ, უტევენ მეფის ხელისუფლების ბურჯებს, უტევენ ჯარსაც კი.

ჯარიც რწმენაშერყეულია. ის უკან დახევას ლამობს, ეშინია თოფი გაისროლოს. ეს გარემოება კი მღელვარე მუშებს კიდევ უფრო მეტ ძალასა და ენერგიას მატებს და ისინი თოფების წართმევას უპირებენ დამფრთხალ ჯარისკაცებს.

ამ საერთო მასობრივი მოქმედების ჩვენებიდან მწერალს მკითხველო გადაჰყავს ცალკე პიროვნებათა ხასიათების ჩვენებაზე. ღრმად ახედებს ამ ადამიანთა სულში, მათ ფსიქიკაში.

შეტაკებისას ერთი ახალგაზრდა მუშა ჯარისკაც გიორგი ჯოხაძეს თოფის წართმევას მოუნდომებს. ისინი იბრძვიან. გიორგი ემუქრება, გესვრიო, მუშა უშიშრად პასუხობს — ვერ გაბედავო. მოხდა ისე, რომ გიორგის ის მუშა შემოაკვდა. აქედან იწყება ჯარისკაც გიორგის სულის აფორიაქება და გარდაქმნა. ოფიცრები მას მადლობას გამოუცხადებენ, ოქროს თუმნიანიაც დააჩილდობენ კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, მაგრამ გიორგი ადგილს ვერ პო-

ულობს. გიორგის აწუხებს ფიქრი, ეს რა მომივიდა; საწყალი მუშა როგორ მოვკალიო. მას მოუშორებლად თვალწინ უდგას სისხლში ამოსვრილი, მოფართხალე და მგმინავე ახალგაზრდა კაცი, რომელსაც დედა საზარელი ხმით დასტირის და ცასა და დედამიწას წყევლით იკლებს. გიორგი გარინდებული და გაოგნებული დაიარება, ის გაურბის ყველას, განმარტოებით ყოფნას ცდილობს.

გიორგის ამხანაგები ზურგს აქცევენ, მოძმის მოკვლას არ უწონებენ. ამ დეტალში ერთხელ კიდევ ჩანს სალდათების შეგნების რევოლუციური გარდაქმნაც. ჩანს, ამაოდ არ ჩაუვლია ბარკადებიდან მუშათა რევოლუციურ მოწოდებებს, რომლებიც ჯარისკაცებს მათ ბანაკში გადასვლისაკენ უხმობდა, რომლებიც მათ შეაგნებინებდა, რომ ისინიც გლეხებისა და მუშების შვილები და ძმები არიან და მათ წინააღმდეგ იარაღი არ უნდა იხმარონ...

გიორგი ჯერ ცდილობს სული იმით დაიმშვიდოს, რომ ნახოს მოკლული მუშის დედა და რაიმეთი ანუგეშოს, იგი მას ჯილდოში მიღებულ ოქროს თუმნიანსაც შეაძლევს. გამწარებული დედა გიორგის წყევლითა და კრულვით გააგდებს თავისი ეზოდან, არც ფულს აიღებს: როგორ გაბედე, ჩემი შვილის სიცოცხლის ფასად ფული როგორ შემაძლიეო.

გიორგი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მისი დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია. რა ქნას? მას აღარ შეუძლია დარჩეს ჯარში და იმ ოფიცრებს, იმ მთავრობას ემსახუროს, რომლებმაც აიძულეს თანამოძმის სისხლით გაესვარა ხელი. ამიტომ იგი გადაწყვეტს ჯარიდან გაიპაროს, თავის სოფელს დაუბრუნდეს და ახალი ცხოვრება დაიწყოს. „მიდიოდა დეზერტირი და თან რალაც სიმღერას ღიღინებდა“. ამ სიტყვებით ამთავრებს მ. ჯავახიშვილი თავის მოხრობას და ეს კი ბევრს გვეუბნება. მკითხველი დარწმუნებულია, რომ გიორგი მეფისა და მისი მოხელეების ერთგული არასოდეს იქნება, იგი თანამოძმეთა მხარეზე იბრძოლებს იმ თოფით. რომელიც ჯარიდან თან წაიყოლა და გზაში გატენა კიდევ. ჩნდება აზრი, რომ ეს გატენილი თოფი უეჭველად გავარდება.

1905 წლის რევოლუციის თემა ქართული მწერლობის ერთ-ერთი აღიარებული თემაა. ამის ნათელსაყოფად თუნდაც ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაც“ იკმარებდა. თვით მიხეილ ჯავახიშვილიც მარტო „ჯილდოთი“ არ კმაყოფილდება და ამავე თემაზე მოგვიანებით წერს ვრცელ რომანს, რომელსაც „ქალის ტვირთი“ უწოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ განხილულ მოთხრობაზე ადრე. 1903-4 წლებში ჩვენი მწერალი აღნიშნულ თემაზე ორ მცირე ფორმის ღრამატული ხასიათის ნაწარმოებსაც წერს. ესენია „ოჯა-

ხი“ და „ბაზარი“. ჩვენ მათ განხილვას აქ არ დავიწყებთ, რადგან მ. ჭავჭავაძის აღრინდელი პუბლიცისტიკის განხილვისას გვექონდა მათ შესახებ ლაპარაკი. მაგრამ თუ ვახსენებთ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა, რა დაინტერესებას იჩენდა მწერალი 1905-ის თემით.

მ. ჭავჭავაძის აღრინდელი მოთხრობების თემატური განხილვის შედეგად შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ.

აღნიშნულ პერიოდში, 1903—1908 წლებში, როცა ეს პირველი მოთხრობები შეიქმნა, მწერალი დაინტერესებული ყოფილა მრავალნაირი თემებით. სოციალური უკუღმართობის მხილება; უმსგავსი საზოგადოებრივი წყობილების შედეგად ადამიანთა გარიყვა, დაჩაგვრა და დაღუპვა; სოციალური და ზნეობრივი კატეგორიების ურთიერთკავშირი, როცა ცუდი წყობილება ზნეობას აქვეითებს და ადამიანების ამორალიზაციას იწვევს; მასისა და პიროვნების ურთიერთობა; ხალხის ამხედრება არსებული წყობილების წინააღმდეგ და 1905 წლის რევოლუციით გატაცება — აი ძირითადად ის თემები და საკითხები, რომლებიც მიხეილ ჭავჭავაძის თავის პირველ მოთხრობებში დააყენა და გადაჭრა.

აღნიშნულ პირველ მოთხრობებს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს მწერლის პროგრესული პოზიცია. ყველაფრიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა მწერალი მიხეილ ჭავჭავაძის დედას დემოკრატიის, პუმანიზმის, პროგრესის, რევოლუციური გარდაქმნის პოზიციაზე. იგი თავისი მოთხრობებით მკითხველებს უჩვენებს, რომ ასეთი ცხოვრება არ ვარგა, საზოგადოება დაიღუპება, თუ არსებული წყობილება არ შეიცვალა, თუ ხალხი რევოლუციის გზას არ დაადგა, როგორც ერთადერთ გზას მისი იდეალების განხორციელებისათვის. „ჩილდო“ ამისი დადასტურებაა.

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მწერალი ხალხის ცხოვრების სიღრმეში ტრიალებს, იგი ხალხთან ერთადაა, მასთან ერთად შრომობს და იბრძვის, მისი ინტერესები ამოძრავებს მასაც, მის მოთხრობებსაც და პუბლიცისტურ წერილებსაც.

განხილული პირველი მოთხრობებიდან იგრძნობა მ. ჭავჭავაძის იდეურ-თემატური ნათესაობა არა მარტო გორაკისთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამედ უფროსი თაობის ისეთ მწერლებთან, როგორც ილია იყო. კიდევ უფრო მეტი სულიერი ნათესაობა და განწყობილება აკავშირებს მას იროდიონ ევდოშვილთან. ეს ბუნებრივიც არის, რადგან, როცა მ. ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა, ი. ევდოშვილის რევოლუციური პოეზია უკვე მქუხარედ გაისმოდა, იგი გავლენას ახდენდა ქართულ საზო-

გადოებრივ ცხოვრებაზე. შემთხვევითი არაა, რომ მ. ჯავახიშვილი 1906 წელს თავის გაზეთ „გლენში“ თითქმის ყოველ ნომერში უთმობს ადგილს ი. ედლოშვილის ნაწარმოებებს. ჩანს, ჩვენი მწერალი დიდად აფასებდა იროდიონს, მოსწონდა იგი და მიაჩნდა ეპოქის ტიპიულების გამომხატველად.

აქ გარჩეული მოთხრობებიდან აშკარა ხდება, რომ მ. ჯავახიშვილი მთელი არსებით თავისი ეპოქის შვილი იყო.

ორი ლექსი და ერთი ეტიუდი

განხილულ მოთხრობებთან ერთად გვინდა ორიოდ სიტყვით ჩვენი მოსაზრებები გამოეთქვათ იმ ნაწარმოებებზეც, რომლებიც მწერალმა იმავე პერიოდში დაწერა და იმხანადვე დაბეჭდა პრესაში. ხოლო მერე ტომებში არ შესულა. ესაა ორი ლექსი: „ოცნების ტალღები“ და „ობლები“, აგრეთვე პატარა მოთხრობა თუ ეტიუდი „შემოდგომის ღამე“. ამ ნაწარმოებებზე მკითხველის ყურადღების გამახვილება იმ მხრივაცაა გამართლებული. რომ, რამდენადაც ვიცით, მათ შესახებ ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ არაფერი თქმულა.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში, 1903 წლის 9 ნოემბრის საკვირაო ნომერში მ. ადამაშვილის ხელის მოწერით დაიბეჭდა საკმაოდ გრძელი ლექსი „ოცნების ტალღები“. ლექსი შედგება 35 სტროფისაგან, ე. ი. სულ 140 სტრიქონია.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის დაბეჭდვა ერთი კვირით წინ უსწრებს „ჩანჩურას“ დაბეჭდვას. ეს მოთხრობა ზუსტად მოჰდევნო კვირას (16 ნოემბერს) დაიბეჭდა.

ლექსი ასე იწყება:

„როს დილის სიო დაიწყებს ჩურჩულს
და ცა მტრედის ფრად შეიღებება.
ტოროლა მაღლა აინაუარდებს
და რომ მომნახავს, მომესალმება;

კრემლივით წმინდა დილის მზის სხივში
ზე ამავალი ორთქლი ტრიალებს,
ყვავილის მკერდსა მიჰკერია ნამი
და ვით ვარსკვლავი მასზე კრიალებს,

როს მთა და ბარი, ბალახი, ჳია
დილისა ნამში ცურავს, ბანაობს
და გაწმენდილი პირის საშრობად
ამომავლის მზის სხივსა ხმარობს;

როცა ყვავილის ტიტველი მკერდი
დილის ცვარს ზანტად ეალერსება,
ჭერ წყნარად სუნთქავს და ტკბილად სთელიმავს,
მხოლოდ დილის სხივს ის ელოდება;

მაშინ ვიღვიძებ, თვით მე სხივი ვარ,
ყვავილი მხოლოდ მე შელოდება,
რომ დამინახავს, ჭერ გამიღიმებს,
მერე ნელ-ნელა გადაიშლება..."

ცხადია, აქ ბევრს ვერაფერს ვიტყვით ლექსის პოეტურ ღირებულებაზე, მაგრამ, თუ ეს ლექსი მაინც დავასახელებთ და ამონაწერიც მოვიტანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგია მ. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა შორის პირველი დაბეჭდილი ნაწარმოები. ამდენად, მისდამი ინტერესი გასაგები უნდა იყოს.

მეორე ლექსი „ობლები“ დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1903 წლის 19 ნოემბრის ნომერში. აქაც ხელს აწერს მ. ადამაშვილი. ლექსი შედგება 24 სტროფისაგან, ე. ი. 96 სტრიქონია. მხატვრული თვალსაზრისით არც ეს ლექსი გამოირჩევა, მაგრამ, სამაგიეროდ მაშინ იმდენი აზრი და ისეთი მემამბოხური სულისკვეთებაა გატარებული, რომ მსჯელობისათვის საკმაო მასალას იძლევა.

ლექსის ავტორი გვიხატავს შუალამეს, ყველაფერი ბნელში შთანთქმულა, მძიმე და ცივი ჰაერი სარკმელში შემოდის, განუწყვეტლივ წვიმს, ფოთლები ცვივა, სიბნელე მეფობს. ფანჯარასთან მიმდგარი ლირიკული გმირი გაჰყურებს ამ შავ ღამეს და სიცივისაგან კანკალებს: „ჩემშიც, გარეთაც, შემოდგომაა: დრო არსებობის გათავებისაო“ — მოთქვამს ავტორი. შემდეგ ლაპარაკია ობოლ წეროზე, რომელიც ლირიკულ გმირს თავს დასტრიალებს.

„იმისი კენესა, ოხვრა, ტირილი
სიჩუმეს არღვევს, ვით გლოვის ზარი,
საწყალი ზაინც ებრძვის სიკვდილსა,
თუმცა იმედი არსითლა არი“.

სამხრეთისაკენ გაფრენილ ამხანაგებს ეს წერო ჩამორჩენია და სამუდამოდ ობლად დარჩენილა. ავტორი კითხულობს: „იქნებ დასუსტდა, იქნებ უტკუომ არ მოიწონა ბრბოს კანონები, ამაყად მათ გზას გადაუხვია და მიატოვა ამხანაგები?“ იქნებ ბრბომ განდევნა თავნება და ურჩი შევილი, რადგან „ბრბო მას იწონებს, ვინც მის კანონებს ეთაყვანება, არის მორჩილი“. ლექსში შემდეგ ლაპარაკია ცალკეული პიროვნებისა და ბრბოს შორის ურთიერთობაზე, რომ ბრბოს მხოლოდ ენამოჭრილები და ყურში ბამბადაცულები მოს-

წონს. ეს ბრბოს უგუნურებააო, ამბობს ავტორი, რადგან კაცი თერთონვე აღგენს ისეთ კანონებს, რომლითაც ხელ-ფეხს თვითონვე იბოჭავსო:

„კაცი თვის ღმერთი, კაცი — ბატონი,
მთელის ქვეყნისა — შეხეთ — რას შერება:
აკეთებს კერპებს და შემდეგ თვითვე
თვისვე ქმნილებას ემორჩილება!“

მაგრამ, თუ კაცი კაცურ უფლებას მოითხოვს და ხმას ამოიღებს, ბრბო მას არ დაუთმობს, ძალით დაიმორჩილებსო.

ავტორი მოთქევამს თავის სისუსტეზე. ამიტომ ვერ გაბედა, რომ ამაყად და მედგრად ესროლა ბრბოსათვის თავისი ზიზღი და მძულვარება, რომ შეუპოვრად წინ დასდგომოდა უგუნურებას და ძალმომრეობას და ამ ბრძოლაში ან გაემარჯვა, ანდა მომკვდარიყო. ლექსი თავდება შემდეგი სტროფით:

„ბრბოში მცხოვრები — ობლად ვიყავი;
ბრბოს გავეცალე — ისევ ობლად ვარ,
წერო კი ისევ ებრძვის სიკვდილსა,
ირგვლივ ნიბნელე. მარტოდ მარტო ვარ!“

რისი თქმა სურდა მ. ჯავახიშვილს ამ ლექსით?

მკითხველი შენიშნავდა, რომ აქ არის შემოდგომის, ბნელი ღამის, ობლობისა და უკმაყოფილების განწყობილება. მაგრამ ამ ლექსში არის სხვა უფრო მნიშვნელოვანი რაშეც, რომელსაც მთავარი ადგილი უკავია: ესაა არსებული საზოგადოებისადმი, (ავტორი მას უწოდებს ბრბოს) ზიზღი და სიძულვილი, პროტესტი მისი კანონების მიმართ, რადგან ეს კანონები ახრჩობს და ანადგურებს პიროვნებას.

მწერალი თავის მდგომარეობას ადარებს გუნდისაგან მოწყვეტილი წეროს მდგომარეობას, იმ წეროსი, რომელიც არ დამორჩილება თავისი გუნდის წესებს, გაურჩებია და გამოჰყოფია მას, თუ გუნდს თვითონ გაუდევნია იგი. ავტორი წუხს, რომ სუსტია და უფრო ძლიერად ვერ უტევს უგუნურ წესებს, რომ ვერ იბრძვის მათ წინააღმდეგ.

ბრძოლის ეს განწყობილება, პროტესტი არსებული საზოგადოებრივი წესების წინააღმდეგ ამ ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს. ეს კი სრულიად ბუნებრივად მოჩანს 1903 წლისათვის, რადგაი ეს წელი იყო პირველი რევოლუციის წინაღვე, როცა მშრომელებსაც და ინტელიგენციასაც უკვე ეუფლებოდა საბრძოლო განწყობილე-

ბა, არსებული წესწყობილებისადმი სიძულვილი და მისი დამხობის სურვილი.

მ. ჯავახიშვილის მეტ ლექსს ჩვენ არ ვიცნობთ.

„ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატების 1903 წლის 14 და 21 დეკემბრის ნომრებში მ. ადამაშვილის ხელმოწერით დაბეჭდილია ეტიუდი „შემოდგომის დამე“.

რაკი დღევანდელი მკითხველისათვის ამ ეტიუდის წაკითხვა ძნელად ხელმისაწვდომია, გამართლებული იქნება, თუ მის მოკლე შინაარსს გადმოვცემთ. თხრობა მიდის პირველ პირში. გვიანი შემოდგომის წვიმიან საღამოს თბილისის ქუჩებში დადის ეს პირი და ხედავს როსკიბ ქალებს, რომლებიც „მუშტრებს“ ეძებენ. ისინი გამვლელ მამაკაცებს ხან გვერდს გაჰკრავენ, ხან უცინიან, ხან წინ აეჭუზებიან. ასევე ექცევიან ჩვენს გმირსაც, მაგრამ მასში გრძობას ვერ აღძრავენ, ჩამოსცილდებიან.

ერთი სახლის შესასვლელთან ეტიუდის გმირმა შეამჩნია თავისი მეზობელი ქალი სოფიო, რომლის ოთახის წინაც იგი ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრჯერ საათობით მდგარა, მაგრამ სოფიოს ყურადღება ვერა და ვერ დაუმსახურებია. მერე სოფიოს დედა გარდაეცვალა. ვაჟი ზაფხულში სოფელში წავიდა. იქიდან რომ დაბრუნდა, შენიშნა, რომ სოფიოსთან უცხო მამაკაცი დადიოდნენ. ეტიუდის გმირი ახლა ხედავს ბნელში მიფარებულ სოფიოს, ხედავს, როგორ ეხვევა მას ვიღაც უცხო მამაკაცი და სადღაც ეწევა. სოფიო იმ მამაკაცს გაუბედავ წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ ბოლოს ნებდება და მიდინ. ჩვენს გმირს გული წყდება, მაგრამ არაფერს მოიმოქმედებს.

გმირი ქუჩაში ხეტიალს განაგრძობს. მას ერთი მამაკაცი აედევნება. ის ჩამოკონკილი და ქუჭყიანია. ერთ ღროს სტუდენტი ვიყავიო, ღამე გამათევინეო. მანვე ჩვენს გმირს მეორე სუბიექტი წარუდგინა, რომელიც მანამდე ბნელში იყო მიშალული. — მასწავლებელიაო, ასე გააცნო პირველმა იგი. ვაჟმა ორივე იცნო: ისინი ადრე ალექსანდრეს ბაღთან უნახავს მთვრალეები, ერთხანეთს სცემდნენ. მაშინ პირუკუ ყოფილა — პირველი მასწავლებელი, მეორე კი სტუდენტი. ეტიუდის გმირმა ისინი სახლში წაიყვანა. გზაში „მეგობრებს ჩხუბი მოუვიდათ. „მასწავლებელმა“ „სტუდენტი“ გალახა, რადგან იგი მას „ბოსიას“ ეძახდა.

გზაში ჩვენს გმირს კიდევ ერთი ქალი აეკიდა: გეთაყვა, უბონაოდ ვარ, ღამე გამათევინე, მავახშმე და მთელ თვეს გემსახურებო. ვაჟმა იგი თავიდან ველარ მოიშორა. ეზოში რომ შევიდნენ, ვაჟმა

დაინახა, რომ სოფლის ოთახში სინათლე ჩაქრა, მაგრამ ის უცხო კაცი გმირმა მაინც დალანდა.

ვაეს ოთახის კარი გაუღო მოსამსახურემ ოსმა ბრინკამ (ეს სახელი „ჩაყოს ხიზნებშიც“ გვხვდება). ბრინკა აბუზღუნდა: ეს ვინ მოათრითო, სად უნდა მოვათავსოთო. გმირმა ბრინკა დაიყოლია. სამივე ავახშმეს. ქალი გმირის ოთახში მოათავსეს, „სტუდენტი“ და „მასწავლებელი“ კი სამზარეულოში. ერთად ყოფნით მოქანცულ ქალსა და გმირს ჩაეძინათ, სამზარეულოდანაც ხვრინვა მოისმა.

ეტიუდის გმირი გააღვიძა ბრაზიანმა ბუზღუნმა: „სტუმრებს“ სამოვარი და ქვაბები მოეპარათ და წასულიყვნენ. ქალი მეორე ოთახიდან ეშმაკურად უღიმოდა და თითს უქნევდა, ბრინკა ბატონის შარვლის ჯიბეში ფულს ეძებდა, მაგრამ იქ აღარაფერი იყო...

ნაწარმოებში გაშიშვლებულია ის საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც ადამიანები ასე არიან დაცემულნი. ცხოვრებას ისინი ქუჩაში გაუყრია, საზოგადოების ფსკერზე მოუქცევია. ქალები სხეულით ვაქრობენ, კაცები მაწანწალობენ და ქურდობენ. ამის მიზეზია ის უკუღმართი პირობები, რომლებშიაც უბრალო ადამიანებს უხდებათ ყოფნა.

ამ ეტიუდში გატარებული აზრი ძალზე ახლოსაა ირ. ევლოშვილის „მატანტალაში“, „განკიცხულში“ და სხვა ნაწარმოებებში გატარებულ აზრთან, რაც აღებულ ეპოქისათვის საერთოდაც დამახასიათებელი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ირ. ევლოშვილის დასახელებული ლექსები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ ეტიუდს. ნაწარმოებში საერთო შეინიშნება აგრეთვე მ. გორკის ე. წ. „ბოსიაკურ მოთხრობებთანაც“. მაწანწალა „სტუდენტი“ და „მასწავლებელი“, რომლებიც ამ ეტიუდში გვხვდებიან, ახლოს დგანან მ. გორკის „ბოსიაკებთან“. ეს არც გასაკვირია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ცხრაასიან წლებში მ. ჯავახიშვილი ახლოს გაეცნო მ. გორკის შემოქმედებას და მოიხიბლა მისი თემატიკით, ცხოვრების პირუთვნელი ჩვენებით, მისი ფილოსოფიით...

განხილული ლექსები და ეტიუდი ერთგვარად შეაფესებს მკითხველის ცოდნას მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე და უფრო სრულ წარმოდგენას მისცემს მასზე.

დიდი საზოგადოებრივი ძვრების თავისებური ასახვა

მ. ჭავჭავაძის მიერ თავისი თვალთ ნანახი და საკუთარი განცდებით აღქმული თანამედროვეობა თავისებურად ასახა რამდენიმე ნაწარმოებში, რომლებშიც მწვავედაა დასმული ეპოქის მიერ წამოჭრილი საკითხები. „კვაკი კვაქანტირაძე“, „ჩაყოს ხიზნები“, „გივი შადური“ და „დამპატიყე“ ამ დებულების წამოყენებისა და დასაბუთების საუკეთესო მასალას იძლევა.

დასახელებულ ნაწარმოებებში ასახულია ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები, რომლებიც ავსებენ მთელ ისტორიულ ეპოქას — 1905 წლის რევოლუციიდან დაწყებულს და ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების დამკვიდრება-განმტკიცებით გათავებულს. ეს ისტორიული ხანა აღსავსეა საზოგადოების გარდამქმნელი დიადი მოვლენებით, რომლებმაც არა მარტო ჩვენი ქვეყნის ცხოვრება შეცვალეს, არამედ მსოფლიოს განვითარებაც ახალი გზით წარმართეს.

ამ დიდ მოვლენებს თან მოჰყვა ისტორიის შეცვლა, რომელშიც მილიონობით პატიოსანმა მშრომელმა აღამიანმა მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ყოველ დიდ და დადებით საქმეს თან ახლავს უარყოფითიც, რომელიც ხელს უშლის და ამუხრუჭებს ახლის, მოწინავეს გამარჯვებას. დიალექტიკის ეს კანონი მ. ჭავჭავაძის დასახელებულ ნაწარმოებებში ასახულ ამბებზეც ვრცელდებოდა. მწერალი აღნიშნულ რომანებსა და მოთხრობებში სწორედ ამ უკანასკნელთ გვიჩვენებს გამოკვეთით, წინა პლანზე. იგი რევოლუციასთან და უდიდეს პროგრესულ ძვრებთან მიტმასნილ და მანკიერ მოვლენებს აშიშვლებს და სამზეოზე გამოყავს. ესაა ზემოაღნიშნული ნაწარმოებების ძირითადი თავისებურება.

წერილში „როგორ ვმუშაობ“¹ მ. ჯავახიშვილი გვიზიარებს თავისი შემოქმედებითი მუშაობის „საიდუმლოებებს“. სხვა საკითხებთან ერთად აქ იგი ეხება პროტოტიპის საკითხსაც და აცხადებს, რომ „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს. თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგა, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა“. შემდეგ ჩერდება თავისი ნაწარმოებების გმირთა პროტოტიპებზე და მათ შორის კვაჭიზეც. ამ უკანასკნელის გამო მწერალი წერს: „კვაჭი მრავალჯერ შემხედრია, ჩემთვისაც გაუკრავს მას კლანჭი. ის ნ ა რ ე ვ ი ტ ი პ ი ა“¹ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ამ ამონაწერიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი მომენტი: პირველი ისაა, რომ ავტორს კვაჭი მრავალჯერ შემხედრია და მისთვის კლანჭიც კი გაუკრავს. მეორე — კვაჭი ნარევი ტიპიაო.

ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული აზრის მიხედვით „კვაჭი კვაჭანტირაძე“ აღიარებულია ე. წ. ავანტიურისტულ-სათავგადასავლო რომანად. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია. რომ ეს არის ისტორიული რომანი, რომელშიც მართლად და რეალისტურად ასახულია სინამდვილე, გარკვეული ისტორიული ეპოქა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი საზოგადოებრივი ძვრები, გარდაქმნები და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ეს ეპოქა იწყება რუსეთის პირველი რევოლუციიდან, როცა ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე კვაჭი პირველ ნაბიჯებს დგამს საკვაჭო საქმეებში. შემდეგ მოდის რუსეთის მეფის ტახტის დამხობისათვის შემზადებული წინაპირობების ჩვენება და თვით ნიკოლოზის დამხობის ისტორიული ფაქტი. ამას მოყვება თებერვლის რევოლუცია, ოქტომბრის რევოლუცია და, ბოლოს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამ ისტორიული ფაქტების მართალი ჩვენების კვალდაკვალ კვაჭი ყველგან მოქმედებს, როგორც მოვლენებთან მიტმასნილი, ყველაფრის თავის სახეიროდ გამოწყენებული გაიძვერა, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ზეღისუფლება ჩამოგლეჯს ნიღაბს, გააშვივლებს მის ვერაგ სახეს და ფეხქვეშ ნიჟდაგს. გამოაღლის. კვაჭი იძულებულია უცხოეთში გაიქცეს და იქ საბოლოოდ ჩაეფლოს გარყვნილების მოჩვენებაში, საიდანაც ამოსვლის პერსპექტივა აღარ არსებობს.

განა რომანში ნაჩვენები კვაჭის ავანტიურა და გაქნილობა უფ-

¹ „მნათობი“, 1933 წ., გვ. 189—196.

რო მეტია, ვიდრე ის უდიდესი ისტორიული მოვლენები, რომლებიც ამავე ნაწარმოებშია დახატული? მაშ რატომ ავანტურისტული უნდა ვუწოდოთ მას და არა ისტორიული?

ამ დებულების დამტკიცებას ჩვენ ქვემოთ შევეცდებით. ახლა კი ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. თვითონ მწერალი რომანის ტექსტში რამდენჯერმე გამოჩნდება, როგორც ნაწარმოების პერსონაჟი. მაგალითად, კვაკი მამას რომ მკვდრად გამოაცხადებს, თვითონ ფეხს რომ დაიზიანებს და ამ კომბინაციებით დაზღვევი ორგანოებიდან თანხების გამოძალვა რომ აქვს განზრახული, რასაც ნაწილობრივ მიაღწევს კიდეც, რომანის ამ თავში „ავადმყოფ“ კვაკისთან მოდის დაზღვევის ინსპექტორი მიხეილ ჯავახიშვილი. მომდევნო ეპიზოდებში იგივე პირი კვაკის კიდეც ხვდება. მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა, ამგვარად, თავის რომანში შემოიყვანა პერსონაჟი მიხეილ ჯავახიშვილი. რითი უნდა ავხსნათ ეს გარემოება? რაზე მიუთითებს ეს ხერხი? ჩვენი ფიქრით, ეს პირველ რიგში მიუთითებს მწერლის განზრახვაზე, რომ მკითხველს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ მისი ნაამბობი ნამდვილი ამბავია.

აღნიშნული ხერხით მწერალი ერთხელ კიდეც ადასტურებს და შემოქმედებითად ანაღლებს თავის სიტყვებს, ზემოთ რომ მოვიტანეთ — „კვაკი მრავალჯერ შემხვედრია. ჩემთვისაც გაუკრავს მას კლანჭიო“. მართლაც, რომანის აღნიშნულ ეპიზოდში კვაკი ხვდება მწერალს. მან თავისი კვაკობით დაზღვევის ინსპექტორი მ. ჯავახიშვილი კინალამ მოატყუა და თანხა გამოსცინცლა. სხვა პირთა მოშველაება დაჭირდა მ. ჯავახიშვილს, რომ კვაკის ოინები ნაწილობრივ მაინც ჩაეფუშა. გავიხსენოთ, რომ ჟულის მიღების შემდეგ „მორჩენილი“ კვაკი ინსპექტორ მ. ჯავახიშვილს „გამტიკინებული“ ხვდება რკინიგზის სადგურში. ინსპექტორისთვის ცხადია კვაკის ოინზაზობა და ამიტომ მრავალმნიშვნელოვნად, მამხილებლად უღიმის თავისი ნაწარმოების გმირს.

მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ დაზღვევის ინსპექტორად ის მართლა მუშაობდა. ეს კი აღნიშნულ ეპიზოდს უფრო ნამდვილს ხდის.

მართო „კვაკი კვაკანტირაძეში“ როდი გამოიყვანა ნაწარმოების პერსონაჟად მ. ჯავახიშვილმა თავისი თავი. ეს ხერხი მას გამოყენებული აქვს „გივი შადურშიც“, მაგრამ ამაზე ამ ნაწარმოების განხილვისას გვექნება საუბარი.

კვაკის რამდენიმე პროტოტიპი სინამდვილეში მართლაც არსებობდა. მათზე დაკვირვებითა და მათი საკვაკო საქმეთა შერწყმით. ერთ პიროვნებაში ამ თვისებათა და მოქმედებათა გაერთიანებით მ.

ჯავახიშვილი ქმნის დასრულებულ ტიპს — კვაჭი კვაჭანტირაძეს. რომელიც, მწერლისავე აღიარებით, „ნ ა რ ე ვ ი ტ ი პ ი ა“¹.

ნიკოლოზ მეორის მეფობის ბოლო წლები აღსავსე იყო მრავალი უკუღმართობით. სამეფო კართან დაახლოებული იყვნენ და მეფე-დედოფალზე ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ სხვადასხვა ჭურის ბინძური, გაქნილი და გაიძვერა ადამიანები. ასეთები იყვნენ ცნობილი გრიშკა რასპუტინი, მოღალატე და მექრთამე სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი და მრავალი სხვა. ძირმომპალ ტახტს ასეთმა ადამიანებმა კიდევ უფრო მოუსწრაფეს არსებობის დღეები.

ამ დროის რუსეთში შემოგზავნილი ან მოსყიდული გამცემლების, ჯაშუშებისა და დივერსანტების შესახებ მოგვითხრობს ერთი წიგნი, რომელშიც ლაპარაკია ზოგიერთ ისეთ ადამიანზეც, რომლებშიც ჩვენ კვაჭის პროტოტიპები შეგვიძლია დავინახოთ. ეს არის დ. სეიდამეტოვისა და ნ. შლიაპნიკოვის წიგნი — «Германо-Австрийская разведка в царской России» (Воениздат, 1939 г. Москва). ამ წიგნში ნაჩვენებია მეფის რუსეთის დიდი მოხელეების, სამხედროებისა და ჟანდარმერიის მონაწილეობა ქვეყნის გამყიდველ შავბნელ საქმეებში. აქვე გამოაშკარავებულია სამხედრო მინისტრის გენერალ სუხომლინოვის ღალატი, ჯაშუშობა, მექრთამეობა. ამ მიზეზთა გამო რუსეთი მოუშზადებელი შეხვდა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. ამას კი შედეგად მოყვა მრავალი მარცხი, მილიონობით ადამიანის მსხვერპლი, აურაცხელი ზარალი...

მრავალრიცხოვან ჯაშუშთა და დივერსანტთა შორის წიგნში მხილებული არიან ვასილ დუმბაძე და თავადი მაჩაბელი, რომლებმაც, საფიქრებელია, წვლილი შეიტანეს როგორც პროტოტიპებმა კვაჭი კვაჭანტირაძის სახის შექმნაში.

რომანში გვხვდება კვაჭის მიერ ერთი დიდი საქმის „გაიპასქნება“. როცა კვაჭი ამერიკაში მიემგზავრება, ჩერდება სტოკჰოლმში. ხვდება გერმანელებს და მათგან საიდუმლო დავალებას იღებს. გერმანელ წარმომადგენლებთან კვაჭი ჯაშუშურ კავშირს ამყარებს, რის საფასურადაც დიდძალ თანხას იღებს. კვაჭი ამერიკაში ისეთ ზარბაზნებსა და საჭურველს ყიდულობს, რომელსაც რუსეთის არმია ვერ იყენებს. ხოლო ამით გერმანიის საქმე კეთდება, რადგან მაშინ გერმანია რუსეთს ეომებოდა. ამ ღალატს კვაჭის მიუხვდებიან, პალუსსაც სთხოვენ, მაგრამ ის თავს იძვრენს...

¹ მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. „როგორ ემუშაობ“, „მნათობი“, № 10, 1933 წ., გვ. 189—196.

„გავიდა ხანი. გრიშკა ისევ ძალაში შედიოდა. კვაჭი სამხედრო მინისტრის სუბომლინოვის ხშირი სტუმარი იყო...“

„მადლობისა და უაღრესი ნდობის ნიშნად ერთხელ სუბომლინოვმა კვაჭს ორი ჭვარი კიდევ ჩააბარა და უთხრა:

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ერთი უდიდესი სახელმწიფო საქმე უნდა დაგვალოთ. თქვენზე მეტს არავის ვენდობი. ამერიკაში უნდა წახვიდეთ და იქაურ ქარხნებს დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ყუმბარები უნდა შეუკეთოთ“.

კვაჭი ცოტა გაინაზა, მაგრამ მალე დათანხმდა. იქვე მჯდომმა რასპუტინმა კვაჭის თითი დაუქნია და თავისი «Мотри у мене» დააყოლა, არსად არაფერი წამოგცდესო, საიდუმლო შეინახეო.

„რამდენიმე დღის შემდეგ დარიგებით, ფულით და დალუქული სქელი პაკეტებით დატვირთული კვაჭი ამერიკაში წავიდა“. სტოკჰოლმის სადგურზე მას დაუხვდა ის გერმანელი გენერალი, რომელთანაც ჯამუშმა იდელსონებმა ევროპიდან რუსეთში დაბრუნებისას კვაჭი დააკავშირეს. რებეკა იდელსონი ხომ მერე კვაჭის „კეთილ სამარიტელში“ „მდივნად მუშაობდა“, ე. ი. ჯამუშურ მუშაობას ეწეოდა. ის გენერალი ამერიკაში მიმავალ კვაჭის სტოკჰოლმის სადგურზე დახვდა და პირდაპირ უთხრა:

„— თქვენ ამერიკაში მიბრძანდებით საიდუმლო დავალებით... ისევ წაიჩურჩულეს. ხანგრძლივი დავა და ვაჭრობა ჰქონდათ. მერმე კვაჭის პაკეტებს გერმანელი კალიგრაფები ჩაუსხდნენ და ისე გადასწერეს, რომ დედანს და ასლს ერთმანეთისაგან ვერავინ გაარჩევდა. მხოლოდ გადაწერილში მცირეოდენი შესწორება შეიტანეს: მათემატიკური რიცხვები ოდნავ შეამცირეს. მეორე დღეს კვაჭის ისევ დალუქული პაკეტები და ერთი ჩეკი ჩააბარეს, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და ბერლინისაკენ მოუსვენს“¹.

რომანის ეს ეპიზოდი ჩვენს მიერ დასახელებულ წიგნში ვ. დუმბაძისა და მაჩაბლის მიერ ჩადენილ ისტორიულ ფაქტად ჩანს. საფიქრებელია, რომ მ. ჯავახიშვილმა თავის დროზე იცოდა ამ პირთა მიერ ჩადენილი ამ ბოროტებათა შესახებ, რაც ასე ოსტატურად გამოიყენა თავისი „ნარევი ტიპის“ დასახატად. ზოგი ნაწარმოების პერსონაჟთა პროტოტიპს მ. ჯავახიშვილი კონკრეტულად უთითებს— მაგალითად, არსენასა და ღვთისავარის პროტოტიპებად ბურნაძეებს ასახელებს. კვაჭის პროტოტიპს ვერ დაასახელებდა, რადგან იგი

¹ მ. ჯავახიშვილი, ტ. 111, 1960 წ., გვ. 255—256. ამის შემდეგ გამოყენებული იქნება მხოლოდ ეს ტომი. შემოკლების მიზნით ქვემოთ მივუთითებთ მხოლოდ გვერდს.

„ნარევი ტიპია“, მასში რამდენიმე რეალური პიროვნების თვისებებია თავმოყრილი.

ხალხში გავრცელებული აზრით, ასეთები უნდა ყოფილიყვნენ სწორედ იმ პერიოდის „მოდერნეები“ სიმონიკა ფხაკაძე, შაითან კაპიტანი (ვაშაკიძე), ვ. ღუმბაძე, თავადი მაჩაბელი, თავადი ანდრონიკაშვილი და სხვები, რომლებიც ნიკოლოზ II-ის კართან ახლოს იდგნენ და ისე დათარეშობდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ.

რაც შეეხება ვ. ღუმბაძესა და მაჩაბელს, მათ შესახებ მითითებულ წიგნში შემდეგს ვკითხულობთ:

«В марте 1915 г. Думбадзе, племянник ялтинского гродначальника, известного смодура и любимца Николая II, вместе с князем Мачабели выехал в Америку по делам, связанным с поставками для военного ведомства. Вскоре Думбадзе вернулся в Петроград и заявил, что он доехал лишь до Стокгольма и ввиду особых обстоятельств решил отменить свою поездку в Америку. При этом он таинственно сообщил своему секретарю Морозову, что, будучи в Швеции, он при посредстве князя Мачабели познакомился с германским послом фон Люцус, которому «втер очки» и убедил его, будто он, Думбадзе, враг России. Тогда фон Люцус пригласил его в сотруники и обещал ему устроить поездку в Берлин. Он воспользовался этим предложением и решил обратиться к военному министру за разрешением отправиться туда, чтобы собрать полезные сведения, а затем сообщить их русскому правительству. При этом Думбадзе просил Морозова составить ему по указанному поводу докладную записку на имя Сухомлинова. Эта записка была составлена и в апреле 1915 года была подана военному министру»¹.

აღნიშნული მოხსენებითი ბარათით ვ. ღუმბაძეს სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი დაურწმუნებია, ხოლო ამ უკანასკნელს იმპერატორის დაჯერება მოუხერხებია ყოველივე იმაში, რაც ბარათში ეწერა. იქ კი მოხერხებულად იყო ჩამოყალიბებული მრავალი ოინი და ხრიკი: თითქოს ღუმბაძეს დაერწმუნებინოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, რომ იგი რუსეთის მოღალატეა, ქართველი ნაციონა-

¹ Д. Сейдаметов и Н. Шляпников, «Германо-Австрийская разведка в Царской России», Воениздат — 1939, Москва, стр. 49 — 51

აღნიშნული წიგნი მოგვაწოდა დოქ. არჩ. ჩხეიძემ, რაზეც დიდ მადლობას უკუიხსენებთ.

ლისტია და ამიტომ მოეპოვებინოს გერმანელთა ნდობა. ამ ნდობის გამო გერმანელებს გაუნდვიათ ღუმბაძისათვის თავიანთი გეგმები, რომ აპირებენ კავკასიელთა აჯანყებას რუსეთის მეფის წინააღმდეგ და, მაშასადამე, რუსეთის ძლიერების შესუსტებას და ა. შ.

ასეთი დახლართული ამბების ქსელი ვ. ღუმბაძეს გამოუყენებია ნიკოლოზ II ნდობის განმტკიცებისათვის: ნახეთ თქვენი რა ერთგული ვარ, როგორ ყველაფერი გაგაგებინეთო. ღუმბაძეს ისიც უთქვამს, რომ კავკასიის აჯანყებისა და საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ შექმნის შემდეგ გერმანელები მას პირდებოდნენ ფინანსთ მინისტრის პოსტს, მაგრამ ღუმბაძეს ესეც არაფრად მიაჩნია, იგი ნიკოლოზის ერთგული ქვეშევრდომია და ა. შ.

ღუმბაძის ამ მაქინაციებმა გასკრა. მან სუხომლინოვისა და მეფის ნდობა დაიმსახურა, თუმც დაზვერვის ორგანოებს ექვის თვალთ შეუხედავთ ღუმბაძის საქმიანობისათვის. ეს ნდობა ვ. ღუმბაძეს ოსტატურად გამოუყენებია თავისი მიზნებისათვის: გერმანელებს მან გადასცა ყველაზე საიდუმლო დოკუმენტი, რომელსაც უღარესად დიდი საპხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ამაში ღუმბაძემ აიღო დიდი თანხა. გარდა ამისა, მას ხელთ ჩაუგდია ჯარის საჭურველით მომარაგების საქმეც და აქედანაც დიდი მოგება დარჩენია, თანაც უვარგისი საჭურველი შეუჩერებია რუსეთისათვის, რითაც მისი ძალები შეასუსტა, ხოლო გერმანელების საქმე გააყეთა. აქედანაც მოგება აუღია ისევ გერმანელებისაგან.

ასეთ ნდობას მოჰყვა ამბების შემდგომი განვითარება:

«27 апреля 1915 г. Сухомлинов представил Николаю II доклад с просьбой разрешить поездку В. Думбадзе в Германию в качестве разведчика. Царь лично дал разрешение на эту поездку, несмотря на протесты разведывательного отделения Генерального штаба.

Летом 1915 г. В. Думбадзе покинул Россию, предварительно получив от Гошкевича (двоюродный брат жены Сухомлинова) копию «Перечня». (ესა ზემოაღნიშნული საიდუმლო დოკუმენტი).

Приехав в Стокгольм, Думбадзе встретил там князя Мачабели, который к этому времени успел уже побывать в Берлине. Сопровождавший его фон Люцюз представил Мачабели как негласного посланника Грузии, убежденного сторонника Германии, родовитого князя...»¹.

¹ Д. Сейдаметов и Н. Шляпников, «Германо-Австрийская разведка в Царской России», 1939 г., стр. 49—51.

სტოკჰოლმში საუბრისა და მოლაპარაკების შემდეგ ისინი მიემგზავრებიან ბერლინში. იქ ორივე ქართველი ჩერდება მდიდრულ სასტუმროში. მათ ბერლინში იღებენ „განსაკუთრებული პატივისცემით“. ბერლინში ჩასვლის პირველივე დღეს სასტუმროში მათ ეწვივნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ციმერმანი, გერმანიის ყოფილი ელჩი რუსეთში გრაფი პურტალესი და გერმანიის იმპერიის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

მეორე დღეს ღუმბაძე და მაჩაბელი მიიღო გენერალური შტაბის უფროსმა. აქ ისაუბრეს სამხედრო საკითხებზე და ა. შ.

«Как опытный шпион, Думбадзе умело разыграл комедию со своей агентурной поездкой в Германию и благополучно доставил германской разведке важнейший и секретнейший документ».

სხვათა შორის, ამ დოკუმენტის არსებობა და მისი შინაარსი მთელ რუსეთის იმპერიაში მხოლოდ სამმა პირმა იცოდა: მეფემ, სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა და გენერალური შტაბის უფროსმა.

გერმანიიდან დაბრუნებულ ღუმბაძეს შეუდგენია ანგარიში. რომელიც რუსეთის ხელისუფალთ წარუდგინა. აქ ზერელედ იყო აღნიშნული მისი მოგზაურობის შესახებ. ამ ანგარიშს ექვის თვალთ შეხედეს და ღუმბაძის ჯამუშობაში დარწმუნდნენ.

მითითებულ წიგნში ისიც ფაქტად არის ცნობილი, რომ ვ. ღუმბაძემ, «на поставках снарядов» заработал «2 млн. рублей.»

როგორც განხილული წიგნიდან ირკვევა, ვ. ღუმბაძე რასპუტინთან და სუხომლინოვთან და აგრეთვე თვით ნიკოლოზ მეორესთან დაახლოებული პირი ყოფილა. ვ. ღუმბაძე საერთოდ მიღებული და საყვარელი ადამიანი ყოფილა იმპერიის მაღალ წრეებში და იქ დიდი ნდობითა და კეთილგანწყობილებით სარგებლობდა. ამ ნდობას ვ. ღუმბაძე მარჯვედ იყენებდა მრავალი ბნელი საქმის მოსაქაზარაკებლად. ნიუ-იორკში წასვლაც და სტოკჰოლმში გერმანიის წარმომადგენელთან შეხვედრაც მისი ერთ-ერთი „ოპერაციაა“. გერმანელებს, რომლებიც მაშინ რუსეთთან საომარ ურთიერთობაში იყვნენ, მან გადასცა ყველაზე საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ყოველგვარი ცნობა: სამხედრო ობიექტები, მათი განლაგება, შეიარაღება, ჯარის რაოდენობა, პოზიციები, სიმაგრეები და ა. შ. ყოველივე ამის გაგება გერმანიას ძალიან უწყობდა ხელს რუსეთის დამარცხებაში. მართლაც, რუსეთის ჯარის მარცხი გერმანელთა წინაშე ბევრად იყო განპირობებული ამ დოკუმენტისა და სხვა მრავლის მოღალატური გაცემით.

ამ ძირგამომთხრელ მუშაობას სუხომლინოვი, მასთან დაკავშირებული მრავალი ჯაშუში და მათ შორის ვ. ღუმბაძეც ეწეოდნენ.

ახეთია ვ. ღუმბაძის როგორც ნამდვილად არსებული, პირის ფიზიონომია და მისი სახე.

კვაჭი კვაქანტირაძე ვ. ღუმბაძეს არა მარტო იმით ჰკავს, რომ რომანში კვაჭიც გერმანელებთან არის დაკავშირებული, კვაჭიც ამერიკიდან უეარგის საჭურველს შემოზიდავს და ა. შ., არამედ სხვა ბევრი რამითაც.

კვაჭიმ რომანის ერთ ადგილას სამხედრო მინისტრისა და რასპუტინის გული მოიგო იმით, რომ მათ შესახებ ქება-დიდებით აღსავსე წიგნები დაწერა. ამ ლაქუცა ნაბიჯმა კვაჭის იმეამად შერყეული მდგომარეობა განამტკიცა, რადგან ორივე გვამი დიდად კმაყოფილი დარჩა კვაჭიყოს ამ „მოღვაწეობით“.

რომანში ამასთან დაკავშირებით შემდეგს ვკითხულობთ: „ერთხელ რასპუტინი და გენერალი სუხომლინოვი კვაჭის კანტორაში ეწვივნენ („კეთილი სამარიტელის“ კანტორაა პეტერბურგში — ტ. კ.) და დიდი ზეიმით, მადლობით, ლოცვა-კურთხევით და ლოშნით ჩააბარეს მეფის წყალობა: კვაჭის ერთი ჯვარი და ერთი მედალი. ხოლო მის ამხანაგებს — თითო ჯვარი.

სწორედ ამ დროს ბესომ ორი დიდი წიგნი შემოიტანა, საუცხოვოდ გამოცემული და უხვად დასურათებული. კვაჭმა ჯერ ცეცხლიანი და ცრემლიანი სიტყვა უთხრა რასპუტინს და სუხომლინოვს და მერმე თითოს თითო წიგნი ჩააბარა. გადატფურცლეს და ერთ მათგანზე წაიკითხეს: „გენერალ სუხომლინოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მეორე წიგნსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „ცხოვრება და მოღვაწეობა წმინდისა მამისა გრიგოლისა“. ორივე წიგნზე გოჯის ოდენა ასოებით იყო დაბეჭდილი: „შედგენილი და გამოცემული მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტ-დის ნაპოლეონ აპოლონის ძის კვაქანტირაძის მიერ“¹.

ცხადია, ორივე გვამი მეტად ნასიამოვნები დარჩა. სუხომლინოვმა კვაჭის ერთხელ კიდევ შეჰფიცა ძმობა, გრიშკა რასპუტინიც მას არ ჩამორჩენია.

ჩვენს მიერ მოხსენიებულ წიგნში («Германо-Австрийская разведка...») ვკითხულობთ, რომ ვ. ღუმბაძესაც 1914 წელს, ომის დაწყების შემდეგ, სუხომლინოვის შესახებ დაუწერია წიგნი, რომელშიც ეს უკანასკნელი ზეცაშია აყვანილი ქებითა და დიდებით. «В 1914 г. после начала войны, он (ღუმბაძე) написал книгу

¹ გვ. 254.

ო სухომლინოვე, которая помогла последнему удержаться на посту военного министра».

როგორც ვხედავთ, ღუმბაძე სუხომლინოვზე ქება-დიდებას წიგნს წერს, რითაც იგი ეხმარება სუხომლინოვს; თავის მხრივ კი სუხომლინოვიც დახმარებას უწევს ღუმბაძეს. ხელმა ხელი დაბანაო, ასე გამოდის.

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან და მსჯელობიდან ცხადი ხდება, რომ ვ. ღუმბაძე არის კვაჭი კვაჭანტირაძის ერთ-ერთი პროტოტიპი. რომანის სათანადო ადგილებისა და ვ. ღუმბაძის „ბიოგრაფიის“ რამდენიმე ეპიზოდის დამთხვევა ამის დასკვნის უფლებას და ურყევ საფუძველს გვაძლევს.

მაგრამ აქვე ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ კვაჭი თავის თავში იტევს სხვა თვისებებსა და უნარსაც, რომლებიც ღუმბაძეს არ გააჩნია. ამიტომ საფიქრებელია, რომ მას სხვა პროტოტიპებიც ყავდა. მწერალმა სინამდვილეში არსებული სხვა პირების ნიშანთვისებებიც აიღო, მიუმატა ღუმბაძისას და ასე შექმნა „ნარევი ტიპი“. რომელიც სრულყოფილად ავლენს საკვაკო საქმეებს. ცნობილია, რომ „კვაჭი“ ჩვენში ზედმეტ სახელად იქცა და მას უწოდებენ ხოლმე მოხერხებულსა და მოქნილს, წამგლეჯსა და მოლაღატე ადამიანს.

მაგრამ ვინ არიან კვაჭის სხვა პროტოტიპები, რომლებიც კვაჭი კვაჭანტირაძის სახეს ავსებენ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ჩვენ ნაწილობრივ მიანიც გვეხმარება ერთი წიგნი, რომელშიც მოგონებების სახით მოთხრობილია რუსეთის მეფის კარზე და მის ირგვლივ მომხდარი ამბები პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, ომის დროს და რევოლუციის პერიოდში. ამ წიგნში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი მეფის პიროვნება, დედოფალი, რასპუტინი, სუხომლინოვი, მათთან დაახლოებული პირნი, მათი უნიათობა, მლიქვნელობა, გამყიდველობა და სხვა „ძნელი საქმეები“. აღნიშნული წიგნიდან ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრიშკა რასპუტინისა და მასთან დაახლოებული თავადის ანდრონიკოვის პიროვნება.

წიგნის ავტორი, რომელიც მალალი წოდების წარმომადგენელია და მაშინ სასახლეში მომხდარი ამბების საქმის კურსში იყო ყოველდღიურად, წერს, რომ მეფის უნიათობის გამო სახელმწიფო საქმეებს ფაქტიურად განაგებდა „ბნელი ძალების“ ტრიუმვირატი: გრიგორი რასპუტინი, რომელიც მეფე-დედოფალზე განუზომელი გავლენით სარგებლობდა და ერთთავად აშინებდა გვირგვინოსან წყვილს, როცა მე აღარ ვიქნები, თქვენი ბოლოც დადგებაო. მეორე პიროვნება იყო დედოფლის ახლო მეგობარი, რასპუტინის მოთა-

ყვანე, მისტიფიკაციების მოტრფიალე, სასახლეში ძალზე მიღებული და ძალა-უფლების მქონე ქალი ანა ვირუბოვა. მესამე კი — შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი, რომელიც რასპუტინმა მეფესა და დედოფალს „ყველაზე სანდო და ერთგულ მსახურად“ დაუხასიათა.

ამ „ტრიუმვირატს“ ავტორი ხატავს ყოვლისშემძლედ, განსაკუთრებით კი გრიშკა რასპუტინს, რომლის კარნახითაც მეფე და დედოფალი ნიშნავდნენ და ათავისუფლებდნენ მინისტრებს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. აღსანიშნავია, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ რასპუტინის „მოღვაწეობის“ ეს მხარე საეგზეით ნათლად და ვრცლად არის ნაჩვენები და ზუსტად ემთხვევა თვითმხილველის ამ მონათხრობს, თუმც ეს წიგნი გაცილებით გვიან დაიწერა — 1963 წელს.

მითითებულ წიგნში რასპუტინის ერთ-ერთ დაახლოებულ პირად აღნიშნულია ქართველი თავადი ანდრონიკოვი, «который числится при Синоде, никакой должности не занимает, но все может и всем приказывает»¹.

ლიუბიმოვი თავის წიგნში ანდრონიკოვის მაქინაციებზე მითითებს და ამბობს, რომ ეს თავადი, მოისყიდის ხოლმე «Правительственный вестник»-ის შიკრიკებს, რომელთაც რედაქციიდან სტამბაში მასალები მიჰქონდათ. ეს შიკრიკები ჯერ ანდრონიკოვთან მივიდოდნენ, გააცნობდნენ დასაბეჭდად გამზადებულ მასალას და მერე მიჰქონდათ ეს მასალა სტამბაში. ანდრონიკოვს აინტერესებდა მხოლოდ დაჯილდოებები და დანიშვნები. ეს პიროვნება მაშინვე ტელეფონით ურეკავდა დაჯილდოებულ თუ დაწინაურებულ ადამიანებს და ულოცავდა: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩემი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა — ხელმწიფემ უკვე ხელი მოაწერა თქვენს დაჯილდოებაზე ან დანიშვნაზეო, ამის შესახებ ხვალ წაიკითხავთ „პრავეტელსტვენნი ვესტნიკშიო“. ისინიც მადლობას უხდიდნენ და მეორე დღეს ანდრონიკოვის მოსაცდელში მადლიერი ადამიანების ტევა აღარ იყო. ეს კი ანდრონიკოვს ბევრს მატებდა. ასე ხდებოდა დიდი ხნის განმავლობაში².

აქ დახატული ანდრონიკოვი, მისი გაქნილობა ძალიან ჰგავს კვაჭის „მოღვაწეობის“ პეტერბურგის პერიოდს, როცა ის რასპუტინის ახლო მეგობარი იყო და როცა ბევრ საქმეს „გაიმასქნებდა“ ხოლმე. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თავადი ანდრო-

¹ Лев Любимов, «На чужбине», Москва, 1963 г., стр. 59.

² იქვე.

ნიკოვი კვაკი კვაპანტირაძის ერთ-ერთი პროტოტიპი უნდა იყოს. სწორედ დუმბაძე და ანდრონიკოვი ერთმანეთს ავსებენ თავიანთი ბნელი საქმეებით, გაქნილობით და ოინბაზობით, იძლევიან „ნარევი ტიპის“ შექმნის მასალას.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ კვაკის ტიპის ხატვისას მწერალს რომელიმე სხვა პროტოტიპიც ჰყავდა მხედველობაში. ასეთად, მაგალითად, ზოგი ასახელებს ვინმე სიმონია ფხაკაძესაც, რომელიც თავის დროზე მეტად ცნობილი ყოფილა თავისი „საქმეებით“.

აქვე შეიძლება დავასახელოთ ვინმე ვაშაყიძე (შაითან კაპიტანი), რომელმაც პირველ მსოფლიო ომში თურქეთის ფრონტზე სასწაულებრივი გამბედაობა გამოიჩინა. მას მხოლოდ ერთი ჯარისკაცი ახლდა, როცა დიდ რისკზე წავიდა და მამაცური მოქმედებით ტყვედ ჩაიგდო თურქთა ასეული ოფიცერიანად და ყველანი ჭუკე-ბივით მიიყვანა რუსთა ჯარის განლაგებაში. ეს გახშიანებული ფაქტი, რომელზეც იმხანად ბევრი დაიწერა, საფუძვლად უნდა ედოს კვაკის იმ „გმირობას“, რომელიც გიორგის ჯვრის მისაღებად გაგზავნილმა კვაკიმ სწორედ თურქეთის ფრონტზე გამოიჩინა. ეჭვგარეშეა, რომ მწერალმა ამ „შაითან კაპიტნის“ მოქმედებაც გამოიყენა „ნარევი ტიპის“ დასახატავად, რათა შეევსო კვაკის „ბიოგრაფია“.

ჩვენს მიერ მოშველიებული წყაროები მწერალს არ შეეძლო გამოეყენებინა, რადგან ესენი გაცილებით გვიან გამოქვეყნდა, ვიდრე „კვაკი“ დაიწერებოდა, და თანაც ამ წიგნების გამოქვეყნებისას მწერალი ცოცხალი აღარ იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მ. ჯავახიშვილი სამეფო კარის ამბებს ზედმიწევნით კარგად იცნობდა იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებიდან, თანაც იცნობდა დაწვრილებით, რადგან მაშინ ის ჟურნალისტი იყო. გარდა ამისა, შესაძლოა, მწერალმა გამოიყენა ზემოდასახელებული ვირუბოვას ბოგონებები, რომელიც 1924 წელს, ე. ი. „კვაკის“ წერის დროს გამოვიდა. ასეა თუ ისე, ნათელია, რომ მ. ჯავახიშვილი ძალზე დაწვრილებით და ახლოს იყო გაცნობილი ნიკოლოზ II-ის, დედოფლის, რასპუტინისა და მათთან დაახლოებულ ადამიანთა საქმიანობას, ანევე ზედმიწევნით იცნობდა იმ პოლიტიკურ ამბებს, რაზეც თავის რომანში წერს.

სხვათა შორის, ლუბიმოვის წიგნში აღწერილია რასპუტინის მოკვლის ფაქტი და მკვლელთა გვარებიცაა დასახელებული. წიგნში ვკითხულობთ:

«Князь Феликс Юсупов, женатый на племяннице царя, двоюродный брат царя — великий князь Дмитрий Павлович

ი პრავი დეპუტატ პურიშკევიჩ ორგანიზოვალს უბიიწვო რასპუტინა, ვ ნადეჟდე სპასტი ტრონ ი სოცნალნიი სტრი, ს კოტორიმი ონი სვიაზივალს სვოი სუდბუ.

იუსოვ ბილ ინიციატორ ი ფიზიკესკი ისპოლნიტელ მ ვსეო დელა. ონი ზამანილ რასპუტინა ვ სვოი დვორეც, რეზიდენციუ «ოსობს იმპერატორსკოი კროვი», კუდა პოლიცია ნე იმელა პრავა პრიკნუტი, ონი უგოშალ ეგო ტამ ოტრავლენნიმი პიროჟნიიმი ი ვინომ, ა კოგდა იად ნე პოდეიწვოვალ, ონი სტრელილ ი უბილ»¹.

როგორც ვხედავთ, მ. ჭავჭავიძის რომანშიც ეს ამბავი სრულიად ასევე არის ნაჩვენები: თავად იუსუპოვის სასახლეში მიიპატივეს რასპუტინი, მოწამლული ნამცხვარი აჭამეს, საწამლავმა არ გასჭრა და მერე ტყვიით დაცხრილეს. რომანშიც მთავარი მოქმედია იუსუპოვი, რადგან მის სასახლეში ხდება ეს ამბავი. იქვე ერთად მოქმედებენ პურიშკევიჩი და კვაკი, რომელიც მწერალმა ამ ეპიზოდის მონაწილე გახადა. ეს გადახრა სინამდვილისაგან, რაც მ. ჭავჭავიძის წიგნში არსებული პიროვნების ისტორიული ამბის მონაწილედ გამოყენებაში გამოიხატა, დასაშვები და ბუნებრივია მხატვრული ნაწარმოებისათვის.

ზემოთ მოტანილ ამონაწერთან რომანის სათანადო ადგილის შედარებით ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით იმაში, რომ მწერალი თავისი ნაწარმოებისათვის მასალას იღებდა ცხოვრებიდან, სინამდვილიდან და მას უმატებდა ან აკლებდა მხოლოდ ისეთ დეტალებს თუ ფაქტებს, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრის განხორციელებისათვის ესაჭიროებოდა. ეს კი შემოქმედის სრული უფლებაა.

„კვაკი კვაკანტირაძეში“ ასახული ამბების — სამეფო კარის, მეფე-დედოფალთან დაახლოებული პირების, პეტერბურგის მაღალი საზოგადოების შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს აგრეთვე გენერალი იგნატიევი, რომელმაც თავის წიგნში მოგონებების სახით ადგიდგინა რუსეთ-იაპონიის ომის, პირველი რევოლუციის, რეაქციის, პირველი მსოფლიო ომის და მომდევნო ხანის დეტალები. როგორც ლუბიმოვის, ასევე იგნატიევის წიგნშიც² ნაჩვენებია ნიკოლოზ მეორის უნიათობა და უუნარობა, რასპუტინის პარპაში, სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის საეკვო საქმიანობა, გენერალურ შტაბში მოკალათებული საეკვო ადამიანების თალღითობა და ა. შ.

აღნიშნულ წიგნში გადმოცემულ ამბავთა საერთო ხასიათი საე-

¹ Лев Любимов, «На чужбине», Москва, 1963 г., стр. 63.

² А. А. Игнатьев, «50 лет в строю», Петрозаводск, 1963 г.

სებით შეესაბამება „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ გადმოცემულ ამბავთა ხასიათს.

ზემოაღნიშნული ორი გარემოება, რომლებზეც ჩვენ ვილაპარაკეთ — კვაჭის პროტოტიპების ნამდვილად არსებობა ცხოვრებაში და ავტორის მონაწილეობა რომანში განვითარებულ ამბებში, რითაც ხაზგასმულია მოთხრობილი ფაქტების ქეშმარიტება, ჩვენ აგრეთვე გვეხმარება იმ დებულების დამტკიცებაში, რომელიც ზემოთ წამოვყენეთ: „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ისტორიული რომანია, მასში გარკვეული ისტორიული ეპოქა სიმართლით არის ნაჩვენები, როგორც ყველა სხვა ისტორიულ რომანებში.

რა თავისებურება გააჩნია საერთოდ ისტორიულ რომანს?

როგორც ცნობილია, ისტორიული რომანის ძირითადი თავისებურება ისაა. რომ იგი გვიხატავს გარკვეულ ისტორიულ ხანას. ამ მიზანს ავტორი აღწევს გმირთა თავგადასავლის ისეთი ჩვენებით. რომ სამოქმედო გარემო, სიტუაციები, მთავარი თუ დამხმარე ამბავი, პერსონაჟთა საქმეები და სხვა მრავალი ატრიბუტი იმ წლებშია ეპოქისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშან-თვისებებს გამოხატავდეს.

ცხადია, ისტორიულ რომანში აუცილებელი არ არის გამოყვანილი იყოს ისტორიულად არსებული პირები, მაგრამ ეს მოთხოვნილება კატეგორიული როდია. მთავარია ისტორიული ეპოქის მართალი ჩვენება ძირითადი ნიშან-თვისებებით. მაგალითად, ეგნ. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ აღიარებულია ისტორიულ რომანად, თუმცა ამ ნაწარმოების არც ერთი გმირი ნამდვილად არ არსებულა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ ვრცელ ისტორიულ მოთხრობაზე, როგორცაა ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, რომელშიც ზოგი პერსონაჟი ისტორიულად არსებული პიროვნებაა, მაგრამ მთავარი გმირი — ბაში-აჩუკი — გამოგონილია ავტორის მიერ. მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლებოდა როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური ლიტერატურიდან.

ჩვენს მიერ დასახელებულ ორივე ისტორიულ ნაწარმოებში მთავარია აღებული ისტორიული მონაკვეთის მაქისცემის მართალი ჩვენება. პირველში აღწერილია 1841 წლის გურულ გლეხთა აჯანყება, რომელიც ავტორმა თავისი ეპოქის თვალთახედვით გააშუქა, ხოლო მეორეში — მე-17 საუკუნის კახეთის ცხოვრება, როცა ხალხს აღსდგა ირანელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ორივე ნაწარმოებში ავტორები ისტორიული ეპოქის მთავარ განმსაზღვრელ მოვლენებს გვიჩვენებენ, მამულისათვის თავდადებული შეილების გმირულ საქმეებს.

„კვაკი კვაქანტირაძეში“ ავტორი გვიჩვენებს მთელ ისტორიულ ეპოქას, რუსეთის იმპერიისა და მისი ნაწილის — საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო ხანის. პირველი იმპერიალისტური ომის, თებერვლის რევოლუციის, ოქტომბრის რევოლუციის, საქართველოში მენშევიკების ბატონობისა და, ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეების პერიოდში. ეს არის საკმაოდ დიდი მონაკვეთის პერიოდი, რომელიც გაშუქებულია დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მონაკვეთის ფაქტებითა და მოვლენებით.

მთავარი ისაა, რომ მ. ჯავახიშვილი ამ დიდი ისტორიული ეპოქის ყოველ ეპიზოდს გვიჩვენებს მართლად, ამჩნევს დამახასიათებელ მოვლენებს, ძირითად, განმსაზღვრელ ამბებს და ამ ფონზე, ამ გარემოში ამოქმედებს თავისი რომანის გმირებს.

რომანში გვხვდება ისტორიულად არსებული პირები: ნიკოლოზ მეორე, დედოფალი, გრიშკა რასპუტინი, სამხედრო მინისტრი სუხოძლინოვი და ა. შ. აქვე მრავლად არიან გამოგონილი გმირებიც: კვაკი, ბესო და სხვები. ამ ისტორიულ და მწერლის ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟთა შორის მკვიდრო ურთიერთობაა და რომანში ისინი ერთნაირად საკირო, აუცილებელ დატვირთვას ეწევიან.

გავყვეთ რომანში მოვლენების განვითარებას და ვნახავთ რა ისტორიულ მოვლენებს. ამბებს გვიშუქებს მწერალი.

გიმნაზიელი კვაკი ქუთაისში იწყებს საქმეების „გაიმასქნებას“ ეს ხდება ცხრაასხუთიან წლებში. ამ პერიოდს ავტორი რომანში ასე გვიხასიათებს: „უკანასკნელ ხანებში ქუთაისს რაღაც ცეცხლი ეკიდებოდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. ხალხი შფოთავდა, ეჩინებოდა. კვაკის ამხანაგები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ჭგუფებს ადგენდნენ და საომრად ემზადებოდნენ“¹.

კვაკი ამ პოლიტიკურ ამბებში არ ერევა, რადგან უჭერებს თავის გაქნილ მამას სილიბისტროს. რომელიც თავის ერთას ასე მიმართავს: „— შვილო, კვაკი! ალბათ შენც იცი, რომე ქვეყანა გედირია და გაგიყდა. უნდა მოსპონ თავად-აზნაურობა. დაანგრიონ მეფის ტახტი და მთავრობა. ლაპარაკობენ: მემამულეს მიწები უნდა ჩამოვართვათ, მდიდარი და ღარიბი გავათანასწოროთ, ძმობა-ერთობა დავამყაროთ, თავისუფლება მოვიპოვოთ. შვილო. ჰკვიტ იყავი! არ დაკარგო აზნაურობა და ქონება, რომელიც დიდი შრომით და ტანჯვით მაქვს შეძენილი. გახსოვდეს, მეფეს და მთავრობას მაგენი ვერ მოერევიან. ნახევარი ციხეში დალპება, ნახევარი ციმბირში გეიყინება. აუ ჰკვა

¹ გვ. 25.

გაქვს და დედ-მამა გიყვარს, ფიცი უნდა მომცე. რომ არათერში ჩაერევი და აზნაურობას არ შეარცხენი!.

ეს ამონაწერი ახასიათებს იმ წლებს, როცა კვაკი პირველ ნაბიჯებს დგამს და გვიჩვენებს, თუ როგორ ესმოდა თავადაზნაურობას რევოლუციის არსი და მისი პერსპექტივა. კვაკი აზნაური იყო და მამის რჩევა დაიჭრა. მან ფიცი მისცა სილიბისტროს და იცავდა მას. მწერალი კვაკის მაშინდელ პოზიციას აღარებს ბებერი თუთიყუშის სიბრძნეს. ის ხარისხზე იჭდა და ქანაობდა, თანაც თილისმურ ფორმულას იმეორებდა: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ...“

კვაკის ბუნების მთავარი თვისება ისაა, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ყოველგვარი გარემოება. ეს ნიშანთვისება ამ პერსონაჟის ხასიათს ბავშვობიდან ბოლომდე გასდევს. და სწორედ ქუთაისშივე, გიმნაზიის წლებშივე. ახალგაზრდა კვაკიკო დგამს თავის პირველ ნაბიჯს. რომანის ამ თავს მწერალი სწორედ ასე უწოდებს: „ამბავი პირველი ნაბიჯისა“. ეს ნაბიჯი კი იმაში მდგომარეობს, რომ თავისსავე ამხანაგს, გიმნაზიელს — ბერძენ კაროპულოს სალორიის ტყეში მუხანათურად შეიტყუებს. წინასწარ გაფრთხილებულ „ყაჩაღებს“ ჩაუგდებს ხელში, თითქოს მასაც მოსდევნენ დასაქვრად, მაგრამ თავს დაიძვრენს და ქალაქში დაბრუნებული „წუხს“, „მოთქვამს“. „თავს იკლავს“, რადგან მეგობარი განსაცდელში დატოვა... სინამდვილეში კი ბერძენი კვაკიმ ფულის გამოძალვის მიზნით გააბა ხათანგში. მალე კობრიანეს მდიდარი მამა დეპეშას მიიღებს, მორიგდებიან და 10 000 მანეთი კვაკისა და მისი გაიძვერა თანამზრახველების ჯიბეში ჩაცურდება. კაროპულოს ოჯახი კი საჩქაროდ უცხოეთში გაემგზავრება.

აგვარად, კვაკიმ თავისი პირველი ნაბიჯი ქუთაისში გადადგა პირველი რევოლუციის პერიოდში. თუმც თვითონ პოლიტიკისა არაფერი ესმისრა, მაგრამ იყენებს მას, როგორც მღვრიე წყალს თევზის დასაქვრად. ყოველი შექმნილი ვითარებით კვაკი თავისი ანგარებითი მიზნების მისაღწევად სარგებლობს. იგი სარფიანად იყენებს ხოლმე შექმნილ საზოგადოებრივ მღელვარებას და თავის საქმეებს აჭახრავს.

გიმნაზიის ბერძნული ენის მასწავლებელი სირადისი მერვეკლასელებს ჩაქრის საფრთხეს უქმნიდა გამოცდაზე. „მას არც ძალთა ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება სწამდა, არც „ზაფხული“ და არც კომიტეტები“. ამიტომ კვაკიმ ასეთ ხერხს მიმართა: სირადისს გაუგზავნა მუქარის წერილი, რომელზეც გამოხატული იყო თავის ქალა, კუბო, ხანჯალი და დამბაჩა. წერილის შინაარსი კი ასეთი

გახლდათ: „მერვე კლასის არც ერთი მოწაფე არ უნდა ჩაიჭრას. თუ თანახმა ხართ, დღეს საღამოს რვა საათზე ბუღვარზე დაგვენახვეთ. თუ არ გამოჩნდით, აიბარგეთ და ქუთაისს გამოეთხოვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გირჩევთ ეხლავე დაიმზადოთ კუბო“. მთავარი ის კი არაა, რომ მასწავლებელი პოლიციაში მიდიოდა და ამის გამო კვაკის ამხანაგებმა ისე „ბრიგვებს“ და იმდენი ურტყეს. სანამ არ დაიძახა: „არავინ არ ჩაიჭრებაო“, არამედ ის, რომ ამ წერილს ხელს აწერდა „ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“. ეს გახლდათ კვაკის სიყალბე, გარემოს თავის სასარგებლოდ გამოყენების უნარი.

კვაკიმ გემო გაუგო იოლად ნაშოვნ ფულებს. ის მიეცა აღვირახსნილ ცხოვრებას, ლოთობას, გარყვნილებას. ამას კი ისევ და ისევ ფულები სჭირდება. კვაკიც ახალ საკბილიებს ეძებს. მისი მსხვერპლი ხდება ვინმე ვოლკოვის ქვრივი, რომელსაც ასეთი წერილი მიუვიდა: „სამ დღეში დაგვიმზადეთ სამი ათასი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლავე შეუკვეთეთ კუბო“. ამ წერილსაც „ამშვენებდა“ კუბო, თავის ქალა, ხანჯალი და დამბაჩა. რაც მთავარია, ხელის მოწერა იყო ისეთი, რომ მოხუცი ქვრივის გულს კი არა, ქვასაც გახეთქდა: „ანარქისტ-სინდიკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“. კვაკიმ ამ სიტყვების მნიშვნელობაც კი არ იცოდა, მაგრამ ის კი კარგად ესმოდა. თუ რა გავლენას მოახდენდა ეს სიტყვები სამსხვერპლოზე.

ამრიგად, ამ ვითარებაში, საზოგადოებრივი მღელვარების პირობებში, როცა პატიოსანი მშრომელი ადამიანები მეფის ტახტს აზანზარებდნენ, უტევდნენ არსებული წყობილების ბასტიონებს და მას დანგრევით ემუქრებოდნენ, აზნაურისშვილი კვაკი კვაჭანტირაძე შორის იყო ამ ადამიანთა გრძნობა — ზრახვათაგან და მხოლოდ თავისი მსუნაგობის, სიხარბის, მოხვეჭის ჟინის დაკმაყოფილებაზე ფიქრობდა.

ამ ვითარებაში იწყება კვაკის ხასიათის ჩამოყალიბება, მისი მორალური სახის გამოკვეთა. ამ ისტორიულ გარემოში იწყებს კვაკი კვაჭანტირაძე თავის „მოღვაწეობას“, რომელიც შემდგომ ფართო მასშტაბისა და გაქანების ხდება. ასეთია ამ გმირის მოქმედების სათავე.

ყოველ დიდ საქმეს, ყოველ ისტორიულ ეპოქას ჰყავს თავისი ხორცმეტეები, რომელნიც ალღოს უღებენ შექმნილ ვითარებას და თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად იყენებენ ყოველ შესაძლო მომენტს. ეს გაიძვერები ხელს ითბობენ, მდიდრდებიან, აღვირახსნილ უნამუსობებს ჩადიან და თანაც თავი ისე უქირავთ,

თითქოს მათზე პატიოსანი არავინ იყოს. 1905 წლის რევოლუციასაც და მომდევნო ისტორიულ ამბებსაც მიეტკივნენ მსგავსი აღამიანები და პარაზიტებივით დაიწყეს საზოგადოების სისხლის წოვა თავიანთი უძღვები, მსუნაგი, ხარბი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთია კვაჭი და მისი ამხანაგები. რომანში ბლომად არიან ნაჩვენები ასეთი პერსონაჟები, რომელთაგან ზოგი დიდი სახელმწიფო მოხელეა, ზოგი ვაჭარი და ზოგი კიდევ ვინ... კვაჭი ერთეული როდია. კვაჭები რომანში ბლომად არიან და, საერთოდ, მწერალი იმ აზრს ატარებს, რომ ძირმომპალი ცარიზმის პირობებში კვაჭები სოკოებივით იზადებიან, ეს პირობები წარმოშობს მსგავს ნაძირალებს.

ჩუსეთის პირველი რევოლუციის მიერ შერყეული და შისუსტებული მეფის ხელისუფლება ღებება და იხრწნება, ხოლო ეს ღობის პროცესი მრავალ სენს აჩენს. ერთ-ერთი სენია არამზადების მომრავლება, საზოგადოების ხორცმეტების გაჩენა. სხვათა შორის, ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ამ საკითხს მ. ჭავჭავაძის მარტო „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ როდი გვისურათხატებს.

მწერალი ისტორიულ მონაკვეთს თავისებურად აშუქებს: ძირითადი ამბავი უკან არის გადაწეული, ხოლო ავანსცენაზე გამოყავს ნეგატური ტიპები, ხორცმეტები, რომლებიც საზოგადოებას მიტმანნიან, ფეხის ხმას აყოლიან, მაგრამ არა საზოგადოების ინტერესებისათვის იღწვიან, არამედ თავასი ეგოისტური, გაიძვერული ზრახვების აღსრულებისათვის.

ჩვენი ფიქრით, ეს ხერხი, უარყოფითი მხარეების წინ წამოწევა, ხოლო დიდი და მთავარი მოვლენების მხოლოდ ფონად გამოყენება, რომელიც არა მარტო „კვაჭიში“, არამედ „ჩაყოს ხიზნებშიც“, „დამპატიყვეშიც“ და სხვაგანაც ასევეა და, მაშასადამე, მ. ჭავჭავაძის ერთგვარ სისტემად და სტილად შეიძლება მივიჩნიოთ, გარკვეულ, გამოკვეთილ მიზანს ემსახურება. ამ მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ მოვლენათა უფრო მკაფიო გამოკვეთის სურვილი, დასამახსოვრებელი ხასიათების დახატვა და ა. შ. შესაძლოა, ეს სტილი თუ სისტემა ემყარებოდეს იმ ვარაუდს, თითქოს უარყოფითის დახატვა ხელს უწყობდეს მეხსიერებიდან წარუშლელი ხასიათების გამოკვეთას. შესაძლოა მწერალს სხვა მოსაზრებაც ასაზრდოებდა. ამაზე პასუხის გაცემა ქვემოთ თანდათან მოხერხდება.

ახლა კი გავყვეთ ჩვენს მსჯელობას. ისტორიული ეპოქის მომდევნო ნაკვეთად რომანში ნაჩვენებია რეაქციის მომძლავრება. ამ ისტორიულად არსებულ დიდ პოლიტიკურ მოვლენას რომანში ავტორი გვიჩვენებს იმ თავებში, სადაც მოთხრობილია კვაჭის ქუთანი-

სიდან ოდესაში გამგზავრება, ოდესაში გატარებული წლები, თავგადასავლები. ამ თავებში რეაქციის სუსხზე კარგად მოგვანიშნებს ისაკა იდელოსონის დაპატიმრება პოლიტიკური მოტივით, ხელისუფლებისადმი ღალატისა და „არეულობაში“ მონაწილეობის ბრალდებით.

ისაკა იდელოსონის ლამაზი ცოლი რებეკა კვაკის ბათუმიდან ოდესისაკენ მიმავალ გემზე შეხვდა. ეს იყო საქართველოდან კვაკის პირველი გამგზავრება. ოდესაში ჩასულმა კვაკიმ რებეკასთან სასიყვარულო კავშირი გააბა — მოსწონდა მისი გარეგნობა და მასზე უფრო მეტად — მდიდარი ჯიბე. კვაკი რებეკასაგან ორმაგ სიამოვნებას იღებდა. მდიდარი ებრაელი ქალი პატიმარი ქმრის განთავისუფლებაზე მაინც დაჟინებით ზრუნავდა და ეს საქმე მან მოხერხებულ, გველივით მის უბეში ჩამძვრალ კვაკის მიანდო. კვაკი არ დაიბნა... ის კავშირს აბამს ჟანდარმ პავლოვთან, რომელსაც ისაკას საქმე ებარა.

ეს ეპიზოდი ავტორს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „კვაკმა ფრთხილი და ოსტატური თამაში დაიწყო. პავლოვი მართლა ხელახლა გაიცნო ოდესელ ბოქაულის დვალიშვილის შემწეობით, მერმე ერთხელ-ორჯერ დაპატიჟა და გაკვირით უთხრა ქეიფის დროს:

— მართლა, როგორ არის იდელოსონის საქმე? რას აბრალდებთ?

— პარტიის წევრობას და დახმარებას.

— რა მოელის?

— თუ დაუმტკიცდა — კატორღა, თუ არა და — უბრალო გადასახლება“¹.

ეს ამონაწერი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ პარტიის წევრებს და მის დამხმარე პირებს მეფის ხელისუფლება განუკითხავად აპატიმრებს და სჯის. დანაშაული, რომც არ დაუმტკიცდეს, მაინც გადაასახლებს და, თუ დაუმტკიცდება, მაშინ კატორღა არ ასცდება. ცხადია, ეს არის რეაქციის მძვინვარება, რაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ კვაკი აქაც შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს: მოისყიდის ჟანდარმ პავლოვს და ისაკა იდელოსონს ჩვეულებრივ გადასახლებას შეუტყვის საზღვარგარეთ გადასახლებით. ეს კი იდელოსონებისა და მათი ნათესავებისათვის დიდი წყალობაა. ამას მოჰყვა კვაკის „ღვაწლის“ გულუხვი დაფასება — ძვირფასი საჩუქრები და აუარება ფულები...

თუ ქუთაისში კვაკი რევოლუციას იყენებდა, ოდესაში მან რეა-

¹ გვ. 59.

ქცია გამოიყენა თავისი ქვენა გრძნობებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ოდესიდან კვაჭი მოკლე ხნით თბილისში ჩამოდის, რათა „პატარა“ საქმე „გააიმასქნოს“ — დამზღვევ საზოგადოებას ცბიერებითა და ყალთაბანდობით ფული წაგლიჯოს. თბილისიდან პეტერბურგში მიმავალი კვაჭი როსტოვში ბანკიდან ორბელიანის პასპორტით დიდძალ ფულს ჩაიჩიბავს და გაუჩინარდება. ამიერიდან იწყება კვაჭის უფრო ფართო მასშტაბის „მოღვაწეობა“. იგი ექცევა იმპერიის პოლიტიკური და ფინანსურ-სამხედრო ცხოვრების ცენტრში. აქ მისი „ნიჭი“ უფრო ფართო ასპარეზს პოვებს. ყოველივე ეს რომანში ნაჩვენებია ისტორიული ფაქტების ფონზე, ზოგჯერ ზუსტი თარიღების მითითებითაც კი. ამიტომ მომდევნო თავები კიდევ უფრო მკაფიოდ ამტკიცებს ჩვენს დებულებას. რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ისტორიული რომანია.

მივყვეთ რომანში ნაჩვენებ მოვლენებს.

რეაქციის მძინვარება „კვაჭი კვაჭანტირაძის“ კიდევ რამდენიმე ეპიზოდისა ჩანს.

პეტერბურგში კვაჭი დაუახლოვდა ერთ მეტად გავლენიან ქალს. რომლის ტიტულიც ასეთი იყო: „სტატს-დამა და კავალერი მრავალთა ორდენთა“ — ანასტასია პროზოროვისა. ამ ქალს მეფის კარზე დიდი ძალა მოუპოვებია. ამიტომ მისკენ მიიღტვოდა მრავალი პიროვნება. რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების კიბისთავზე მოქცევას ლამობდნენ. ამ ქვრივთან მრავალი გვაში იკრიბებოდა. მაგალითად. ერთ-ერთ საღაძოს. როცა კვაჭიმ თან ელენეც წაიყვანა, პროზოროვის ქვრივის ბინაზე შეკრებილიყვნენ: „მათი ყოვლად უსამღვდელოესობა მეფის მოძღვარი და სასულიერო აკადემიის ინსპექტორი... მათი მაღალღირსება ცარიცინის მონასტრის ბერმონაზონი ილიოდორი... სარატოვის ეპისკოპოსი ჰერმოგენი... გენერალ ლობტინის ქვრივი... უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი ლუკიანოვი... მათი თანაშემწე საბლერი... სამხედრო მინისტრი გენერალი სუხოძლინოვი... სტატს-დამა კურაქინისა... ბარონესა ნოდენი... შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი...“¹

ამ „კრებულისა“ ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ მასში ორი მინისტრია — სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრები. რომლებიც ისტორიული პირები არიან.

მთავარი ისაა, რომ ეს „კრებული“ მოელის „მოძღვარსა და მხსნელს“ გრიშკა რასპუტინს, რომელსაც აქ პირველად შეხვდება

¹ გვ. 115.

კვაკიკო. მაგრამ, სანამ „სულაერი მამა“ მოვიდოდეს, შეკრებილთა შორის საუბარი გაიმართება. იგი შეეხება ქვეყნის ამბებს, „ურები-სა და ურწმუნოთა“ თავაშეებულებას, როგორც ისინი რევოლუციონერებს უწოდებდნენ. კვაკიმ ენა აიღესა და მოყვა ტრაბახს, თუ როგორ გამოიღო მან თავი მეფის ძალა-უფლების დასაცავად კავკასიაში. ის ამხნევეს შეკრებილთ, ნუ შეშინდებით, კავკასიაშიც მოხდა ამბები, მაგრამ დავთრგუნეთო.

მაკაროვმა ყური რომ მოჰკრა კვაკის ნათქვამს, ჰკითხა: — კავკასიელი ბრძანდებითო? კვაკი პათეტურად უპასუხებს:

„ — დიად, იქაური გახლავართ და იქედან გეახლებით. იქაც წაიბილწა და წაირყვნა წმინდა სახელი ჩვენი წმინდა რუსეთისა. რაც რუსეთმა ას წელიწადში ააშენა, უძღურმა და ჩერჩეტმა ვარანცოვ-დაშოკოვმა ორიოდ წელიწადში დაანგრია. დროა მოვიშოროთ ის ჩუმი მასონი. სწორედ ამბობენ ჩვენში: კავკასიაში ორი ვარანცოვია: ერთი მუდამ ზეზეა, მეორე კი — ლოგინშიო. მაგრამ მწოლიარეც არ ისვენებს და ნელ-ნელა ანგრევს რუსეთის საქმეს კავკასიაში...“¹

კვაკიმ ენა კიდევ უფრო აიღესა და უფრო გატაცებით განაგრძო: — მადლობა უფალსა! იმ უძღური საიღუმლო მასონის გარდა ჩვენს სათაყვანებელ მეფეს მრავლად კიდევ ჰყავს ჩვენში ერთგული მოსამსახურე: ალიხანოვი, ვოსტორგოვი, ტოლმაჩოვი, მარტინოვი, გრიაზნოვი და ათასი სხვანი რევოლუციის ვეშაპს შეერთებულ ძალით მოვქერიოთ თავი. ესლა გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, არხეინად მოისვენეთ“² (ხაზი ჩემია—ტ. კ.).

ამ ამონაწერიდან ბევრი რამ ხდება ნათელი. ჯერ ერთი, აქ ისეთი გვარებია ჩამოთვლილი — ალიხანოვი, ვოსტორგოვი, გრიაზნოვი და სხვები, რომელთა გახსენება ყოველ ჩვენთაგანში სრულიად გარკვეულ აზრებს აღძრავს მათი „საგმირო“ საქმეების გამო. მეორეც, აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ რევოლუცია კავკასიაში დავამარცხეთო. ჩვენ ხაზი გავუსვით კვაკის ნათქვამს: რომ ბრძანა — „რევოლუციის ვეშაპს შეერთებულ ძალით მოვქერიოთ თავი“. მართალია, კვაკი აქ არაფერ შუაშია. იგი სხვის საქმეს იჩემებს და, როგორც ყოველთვის, მოვლენებს თავის სასარგებლოდ იყენებს, მაგრამ ერთი კი ცხადია — აქ რომ ლაპარაკია უკვე მომხდარ ამბავზე, ესე იგი რეაქცია უკვე მძვინვარებს, ხოლო კავკასიაში ალიხანოვების, გრიაზნოვების, ვოსტორგოვების მიერ ჩადენილი სისხლიანი თარეში უკვე წარსულ დროშია მოხსენებული.

როგორც ამ ამონაწერებიდან, ისე პროზოროვასთან შეკრებილ-

¹ გვ. 118—119.

² გვ. 119.

თა შორის იმ საღამოს გამართული საუბრიდან ნათელი ხდება. რომ მთელ რუსეთში რეაქცია მძვინვარებს, სისხლიანი თარეში დაწყებულია, რაც მაღალ სფეროებში თავისებურად აღიქმება...

ლოხტინის ქვრივის ბინაზე შეკრებილთ გრიშკა რასპუტინი შემოუერთდა და ატყდა ერთი ხვევნა-კოცნა, თაყვანისცემა და სხვა მანქვა-გრება. „მოძღვარმა“ თავისი ყურადღება ბოლოს კვაკისაკ დაუთმო... რასპუტინთან შეხვედრა და მასთან გაცნობა-დაახლოება კვაკის ოცნება იყო. დრო იხელთა და კვაკუნი ენად იქცა: ისეთი საუბარი გაუბა რასპუტინს, რომ „სულიერი მამა“ კმაყოფილი დარჩა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მალე კვაკი რასპუტინის მდივანი გახდა.

რასპუტინთან კვაკის საუბრიდან კიდევ უფრო აშკარა ხდება ქვეყნის შინაური მდგომარეობის სურათი — რომ მძვინვარებდა ისტორიაში კარგად ცნობილი სტოლიპინის რეაქცია. სხვათა შორის, სტოლიპინს კვაკი პირდაპირ ასახელებს: „ — სტოლიპინი და შჩეგლოვიტოვი ორი უდიდესი ღერძია წმინდა რუსეთისა... „კრამოლა“ ჭერ სავსებით არ არის აღმოუხვრილი, მისი ფესვები ჭერ არ არის ამოგლეჯილი... უწმინდურების ვეშაპი ჭერ კიდევ ჰფეთქავს! აღრევის გველი ჭერ კიდევ იკლანება!...¹ რომანის ეს ეპიზოდი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოგვანიშნებს, რომ ისტორიული ამბები, ნამდვილად მომხდარი მოვლენები ნაწარმოებში პირდაპირ არის მითითებული.

რომანიდან კიდევ ერთ ეპიზოდს დავიმოწმებთ იმის საილუსტრაციოდ. რომ რეაქცია. როგორც ისტორიული ფაქტი, მასში ასე ნამდვილად არის გაშუქებული. როცა რასპუტინმა კვაკი სასახლეში წაიყვანა და მეფე-ღედოფალი გააცნო, მეფესა და კვაკის შორის საუბარი გაიბა. მეფემ კავკასიის ამბები იკითხა. კვაკი ტრაბახს მოყვა და მეფეს გადაუშალა, თუ როგორი რღვევა და არეულობა იყო იქ, მაგრამ შენი ერთგული მონები და ყმები არ შევშინდით, შევებით, ვაჯობეთ და ეხოცეთო. ვინც გადარჩა, ისინი ჭურღმულებში ჩაყვართო.

ამის გამო მეფემ კვაკის მადლობა გადაუხადა და მინც ჰკითხა: „ეხლა მიბრძანეთ, თქვენი აზრით, კავკასია უკვე დამშვიდდა?“ კვაკი მიუგებს: „ — სავსებით არა, მაგრამ... შიში ნულარა გაქვთ, მეფევ, ნუ შედრკება შენი გული, დიდო ხელმწიფევ.“²

როგორც კვაკის მკვებარა მონაყოლიდან, ისე მეფესა და მას

¹ გვ. 123.

² გვ. 148.

შორის გამართული დიალოგიდან ცხადია, რომ რუსეთში რეაქცია მძვინვარებს, რევოლუცია უკვე ჩახშობილია.

რომანის მომდევნო ეპიზოდებში ისევ ისტორიული ფაქტები და მოვლენებია ნაჩვენები, მათში, როგორც წინაში, მონაწილეობენ ისტორიულად არსებული პირები.

დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათაგან, რომლებიც რომანის მომდევნო თავებშია ასახული, პირველად უნდა მივუთითოთ 1914 წლის მსოფლო-იმპერიალისტური ომის დაწყებაზე.

პირველი მსოფლიო ომის უშუალო მოახლოებას კვაჭი და მისი ამხანაგები გერმანიაში ყოფნისას ასე იგრძნობენ:

„ — კვაჭი, როგორა გგონია, ვინცა პრინცმა რომე ავსტრიის ერცჰერცოგი მოჰკლა, ამიზა ომი იქნება? — იკითხა ბესომ.

— მეც მაიზა ვფიქრობ თელი დღე, თუ ერთმანეთს გამოესარჩლენ, ეირევა თელი ქვეყანა.

— ა, გაზეთი წეიკითხე. სერბიას რუსეთი ესარჩლება. ავსტრიას — გერმანია...“¹

ამ საუბრიდან მკითხველი იგებს, რომ პირველი მსოფლიო ომი სადაცაა უნდა დაიწყოს. ამ დროს კვაჭი და მისი მეგობრები ბერლინში არიან.

კვაჭი ბერლინის ქუჩებში დარბის ბრბოსთან ერთად და გაიძახის „ნახ პარი! ნახ მოსკაუ!“ შემდეგ პარიზში გადავა და იქ უერთდება ალტკინებულ მასებს და გერმანიის წინააღმდეგ აქეზებს მათ: „ა ბერლინ! ა ბერლინ! ბერლინისაკენ!“ და ა. შ.

მალე ომიც დაიწყო. ამ ისტორიულ ამბავს მწერალი ასე მარტივად, მაგრამ ნათლად აგვიწერს:

„კიდევ გავიდა ხანი. სადღაც სარაევოში ერთი კაცისაგან გამოკვესილი ნაპერწკალი მთელს ქვეყანას აგუზგუზებულ ცეცხლად მოედო. ვინმე პრინცის ტყვიამ ქვეყნის ყოველ კუთხეში ისეთი გრგვინვა და გრიალი ასტეხა, რომ იგი ქუხილი ცას მისწვდა. ერთი წვეთი სისხლი ჯერ მდინარედ გადაიქცა, მერმე თვალუწვდენელ ზღვად გადაიშალა. ოცი თუ ოცდაათი მილიონი დაგეშილი მეომარი გააფთრებით და გაშმაგებით ეკვეთა ერთმანეთს. დანარჩენებმაც ყველაფერს თავი მიანებეს, რამდენიმე ათას ვერსზე გაჭიმულ მეომრებს ზურგში ამოუდგნენ და ხელი მიჰყვეს სისხლიან მარხის სამსახურს. თან ყველანი გაკაპასებით და სასოებით ჰყვიროდნენ:

— ჩვენთან არს ღმერთი!

¹ გვ · 245.

თან პირველად იწერდნენ სისხლიანი თითებით და სულიერ მე-
უფეს სამხედრო კავშირის შექმნას ეხეწებოდნენ...

სულდამხუთავმა ჯერ კოქებადღე დაისველა ფეხი ხალხის სის-
ხლში. მერმე მუხლამდღე შესტოპა, შემდეგ იგი წითელ გუბეში შევი-
და წელამდღე და ბოლოს უძირო მორევში შეტურდა და შიგ ხუთი
წელიწადი იყუპალადა¹.

კვაკის ომი მოგებისა და გამდიდრებისათვის უნდა და არა მასში
მონაწილეობისათვის. ის აქციებს იძენს, ჰყიდის, ყიდულობს და მო-
გებას იჭიბავს. მაგრამ ფრანგული კანონი მასაც თავზე დაადგა და
უთხრა — „კვაკი, ჯარში წამობრძანდით!“ კვაკი ინგლისში გადაიხვე-
წა. მალე იქაც გააგონეს: „ქულზე კაცი, ყველანი ჯარში!“ კვაკი ბე-
სოს ეუბნება. რომ „აქანეც გაგიყებულანო“. ძმაკაცები იტალიაში
გადავლენ, მაგრამ იქაც იგივე ისმის: „ქულზე კაცი, ყველანი ჯარ-
ში!“ მეტი გზა არ არის, ენევენს უნდა შეაფარონ თავი, რადგან ის
ქვეყანა „სამშვიდობო კუნძულად“ მოჩანდა.

მთავარი გმირის და მისი ამხანაგების ქვეყნიდან ქვეყანაში გა-
დასვლით მწერალმა გვიჩვენა აღნიშნული ქვეყნების საომარი მდგო-
მარეობაც, დაგვანახვა, რომ ომი მსოფლიო მასშტაბისა იყო, მას
პრავალი სახელმწიფო ჩაეთრია... ცხადია, აქ კვაკის ბუნებაც არის
ნაჩვენები: „კვაკი ჯარში? კვაკი ომში? ვერდენში ან არდენის მთებ-
ში? ხომ არ გაგიყებულან! ვისთვის ან რისთვის? ფრანგებისათვის?
გერმანელებმა რაღა დაუშავეს? რით სჯობია პარიზი ვენას ან ბერ-
ლინს?..“ ამ სიტყვებს მთელი არსებით იმეორებს რომანის მთავარი
გმირი და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეძებს მყუდროებას, მაგრამ
ყველგან აშლილან. შვეიცარიაში ძლივს ამოისუნთქა. მაგრამ აქ
გრიშკა რასპუტინის წერილი მოუვიდა, მფარველი მას რუსეთში
იწვევდა. კვაკი მყისვე გაეშურა მისკენ.

რასპუტინთან დაბრუნებით გამოწვეული სიხარული კვაკიმ და
მისმა მფარველმა ორიოდ დღეს მოლხენით გამოხატეს. მერე კი
კვაკი საქმეს შეუდგა. როსეთი მსოფლიო ომშია ჩაბმული. ფრონ-
ტებზე აუაოება ჯარისკაცი იბრძვის, იჭრება, იღუპება. კვაკის „პატ-
რიოტული“ მოვალეობაა ფრონტს „დახმარება“ გაუწიოს. და აი, პე-
ტერბურგში, ნევის პროსპექტზე იგი აარსებს „კეთილი სამართი-
ლის“ საზოგადოებას, რომლის „წმინდა მოვალეობაა“ ომში დაჭრილ-
დახოცილთა დახმარება. კვაკი თავის ძველ ამხანაგებს შემოიკრებს.
საქმეს დაატრიალებს და ისე წარმართავს, რომ აუარება მოგება აღი-
ღებულ მდინარესავით მიედინება მის ანგარიშზე. „კვაკი მოგებით

გაიბერა. მის მიმდინარე ანგარიშებს ხშირად ემატებოდა თითო ნო-
ლი. დღისით მუშაობდა, საღამოებს კი გრიშკას, მზეთუნახავებსა და
წარჩინებულებს ანდომებდა¹. იმპერიალისტური ომიც კვავიმ თავის
სასარგებლოდ გამოიყენა.

მსოფლიო ომის გუგუნი ისმის აგრეთვე გრიშკა რასპუტინის
გულახდილ საუბარში კვავისთან. როცა კვავიმ „მესიას“ მოწყენი-
ლობა და დაღონება შეატყო, მიზეზი ჰკითხა. რასპუტინმა თავის
ერთგულ „აპოლონჩიკს“ გაანდო ხეაშიადი:

„ — ძმავ აპოლონჩიკ! გული ავს რამეს მეუბნება ღმერთს არ
უნდა ამ ომის კურთხევა. წავაგებთ, დავიღუპებით, დავინგრევით.
ღმერთო, გვიხსენ ეშმაკისაგან! ღმერთო, შეგვინდე შეცოდებანი
ჩვენნი აპოლონჩიკ! ილოცე, შენც ილოცე! მთელმა რუსეთმა უნდა
ილოცოს... ომი რომ იწყებოდა, მეფეს მუხლებში ჩაუვყარდი, გავაფ-
რთხილე და ცემლით შევევედრე: «Николаша, не воюй!...» ჩვენი
ჯარი მარცხდება. დამარცხებას კი საშინელი ამბები მოჰყვება: რე-
ვოლუცია, ანარქია, ხოცვა-ჟლეტა, შიმშილი, რუსეთის რღვევა და
ტახტის დანგრევა...“².

ომს გრიგოლ რასპუტინი ასე დაუღონებია და მისთვის იმედი
დაუკარგვინებია.

მთელი ისტორიული ეპოქა, პირველი მსოფლიო ომი და მასში
რუსეთის მონაწილეობა რომანში ძალზე ხელშესახებად არის ნაჩვენე-
ბი. მწერალი აქ იყენებს ისტორიულ დოკუმენტებსაც კი, რაც ნაწარ-
მოებს უცილობლად ისტორიულ რომანად ხდის. ასეთია, მაგალითად,
რასპუტინის მიერ საფრანგეთის ელჩისადმი გაგზავნილი წე-
რილი.

ცნობილია, რომ საფრანგეთი და რუსეთი პირველ მსოფლიო
ომში მოკავშირეები იყვნენ. ომის საქმე ცუდად რომ მიდიოდა რუ-
სეთისათვის, რასპუტინს მისი შეწყვეტა და გათავება უნდოდა. მო-
კავშირე საფრანგეთს ეს გაუგია და განაწყენებულა. და აი, რასპუ-
ტინი ცდილობს დაამშვიდოს „ხტრანცია“. იგი ამ მიზნით კვავის ხე-
ლით საფრანგეთის ელჩს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის: «Да-
вай бох по примеру жить рassi оне укоризной страны на-
пример нестожества сей минуты свит бох евление силу уви-
дите рать силу небес победа свами и вас распутин»³.
მართალია, ამ წერილის შინაარსი ვერც კვავიმ გაიგო, ვერც საფრან-

¹ გვ. 251.

² გვ. 252.

³ გვ. 254.

გეთის ელჩმა და ჩვენთვისაც გაუგებარია, მაგრამ ჩვენ ახლა ეს არ გვაინტერესებს. ჩვენთვის მთავარი შემდეგია: სქოლიოში მწერალი შენიშვნას აკეთებს, რომ ეს დოკუმენტი ისტორიულია. თუმცა ჩვენ არ შეგვიღარებია. მაგრამ ავტორს სრულ ნდობას ვუცხადებთ და გვჯერა, რომ იგი ნამდვილად არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შენიშვნები სქოლიოებში მწერალს ამ რომანში რამდენიმეჯერ აქვს გაკეთებული.

ეს მომენტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ ისტორიული ამბები ზოგჯერ დოკუმენტური სიზუსტითაც კი არის ასახული.

მომდევნო ისტორიულ მოვლენათაგან რუსეთში ყველაზე მნიშვნელოვანია ომში დამარცხებული იმპერიის დანგრევა, მეფის ტახტის დამხობა და თებერვლის რევოლუცია დროებითი მთავრობის შექმნით...

ეს მოვლენები „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ სხარტად, მოქნილად, ისტორიული სიზუსტით, ეპოქის მთავარი მაჩისცემისა და დამახასიათებელი ფაქტების მართალი ჩვენებით გამოირჩევა. ამ უდიდესი მოვლენების ფონზე, უფრო სწორედ, მის შუაგულში მოქმედებენ რომანის მთავარი გმირები. რომელთაგან ზოგი ისტორიული პირია, ზოგი შეთხზული, მაგრამ ყველა ორგანულად დაკავშირებული ერთმანეთთან.

აღნიშნული ისტორიული ფაქტები და მოვლენები იმდენად ცნობილია, რომ ჩვენ ზედმეტად მივიჩნევთ ისტორიული წყაროების დამოწმებასა და მათ გვერდით, შედარების მიზნით, რომანის სათანადო ადგილების მოტანას. ჩვენ მხოლოდ ნაწარმოების ზოგიერთ ადგილს შევახსენებთ მკითხველს. ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის დასანახად, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ჩვენებას ასე დიდი ადგილი უკავია.

გავიდა წლები. ომი გრძელდება. ომში რუსეთი მარცხდება. სუხომლინოვი კვაჭის წაეკიდა: შენი ნაყიდი ყუმბარების იმედით დიდი ბრძოლა წამოვიწყეთ, მაგრამ წავაგეთ, რადგან ყუმბარები სხვა ყალიბისა გამოდგაო. რასპუტინიც უძლური აღმოჩნდა, რომ კვაჭისათვის ეშველა. მას სამხედრო პროკურატურაშიც იბარებენ — სტოკჰოლმში საიღუმლო სამხედრო საბუთები მტერს გადაეცეო... კვაჭის საქმე ცუდად მიდის, საფრთხე ელის.

ამ ვითარებაში ელენე ერთ საღამოს კვაჭის გააცნობს პურიშკევიჩს... ამდენად იგი შეთქმულთა ჯგუფში აღმოჩნდება: „მეორე დღეს პურიშკევიჩმა კვაჭი დიდ მთავარს დიმიტრის, თავადს ფელიქს იუსუპოვს, კაპიტანს სუხოტინს და ექიმ ლაზოვერტს გააცნო.

ვახშამმა და ჭურჩულმა რიყრაქამდე გასტანა. ყველაფერზე შეთანხმდნენ. გეგმა შეიმუშავეს. ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და დაიშალნენ¹.

ამ ჭგუფს ნიკოლოზის გადაყენება ეწადა, მაგრამ კვაკის წინა დადებით პირველად „სახელმწიფოს დედაბოძი“ — გრიშკა რასპუტინი უნდა წაექციათ. ასეც გადაწყვიტეს და სისრულეშიც მოიყვანეს.

აღნიშნულ ამბებს რომ მოგვითხრობს. მწერალი ერთგან კვაკის პირით მოვლენათა მიმდინარეობის ზუსტ თარიღსაც გვაცნობს — ეს ხდება ათას ცხრაას თექვსმეტი წლის ოცდაშვიდ დეკემბერს... ე. ი 1917 წელი კარზეა მომდგარი. კვაკი მიმართავს თავის ამხანაგებს: „ — ამხანაგებო! ჩემი სიტყვა დეიხსომეთ და თუ აღრე დევილუბე. მთელს ქვეყანას და ისტორიას გადაეცით, რომ მე, კვაკი სილიბისტროს ძე კვაკანტირაძე ათას ცხრაას თექვსმეტ წელს ოცდაშვიდ დეკემბერს ვამბობ. ათას ცხრაას თოთხმეტ წელს თოთხმეტ ივლისს დღევანდელმა რუსეთმა, მსოფლიო ომის გრიგალში რომ ჩაერია. თვითონვე გამეიჭრა ყელი“² (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ფაქტიურად აქ ორი თარიღია დასახელებული: ერთია პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და მეორე კი — თებერვლის რევოლუციის წინა დღეებისა, რაც რომანში რასპუტინის მოკვლით არის დაწყებული...

ამ მომენტზე ყურადღების გამახვილებას ის აზრი აქვს, რომ რომანში ხელშესახებად დავინახოთ ისტორიული ამბების სიზუსტეც კი.

ზემოაღნიშნულ შეთქმულებაში, რომელსაც მეფის გადაყენება და მის მაგიერ ტახტზე მიხეილ რომანოვის დასმა ჰქონდა განზრახული, მწერალი ისტორიულ ამბებს გვიჩვენებს. ცნობილია, რომ მეფის რუსეთი ომში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. 1916 წლისათვის გერმანელებმა დაიპყრეს პოლონეთი და ბალტიისპირეთის ნაწილი. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია ხალხში. მან გააძლიერა ზიზღი და სიძულვილი მეფის ხელისუფლებისადმი და რევოლუციის გზაზე დააყენა მილიონობით მშრომელი ადამიანი. ეს იგრძნო ბურჟუაზიამაც, რომელიც უკმაყოფილო იყო მეფის კარით, სადაც რასპუტინი და მისი მსგავსნი ბატონობდნენ. ბურჟუაზია გრძნობდა, რომ მოსალოდნელი იყო რასპუტინისა და მეფეს გერმანიასთან სეპარატული ზავი დაედოთ, რადგან

¹ გვ. 277.

² გვ. 278.

მათ ომის გაგრძელების თავი არ ქონდათ. ბურჟუაზიას კი ომის გაგრძელება აძლევდა ხელს. ამიტომ მან გადაწყვიტა სასახლის შიგნით გადატრიალება მოეხდინა და ნიკოლოზ II-ის ნაცვლად მიხეილ რომანოვი გაემეფებინა. ამით რუსეთის ბურჟუაზია ორი კურდღლის დაქერას ლამობდა: თავიდან აიცილებდა კარზე მომდგარ რევოლუციას და ამასთან ერთად ხელთ იგდებდა ხელისუფლებას, რადგან მიხეილ რომანოვი ბურჟუაზიისადმი კეთილად იყო განწყობილი.

რომანში მითითებული შეთქმულება, რომელშიც პურიშკევიჩმა კვაჭიციანი გარია, სწორედ ამ ისტორიულ ამბებს გულისხმობს.

თვით თებერვლის რევოლუცია მწერალმა ასე დაგვიხატა: რას-პუტინის მკვლელებმა თავი აქეთ-იქით მყუდრო ადგილებს შეაფარეს. კვაჭიციანი მამასთან იმალებოდა. ყველაფერი ისე მოაწყო, რომ კვაჭიციანი არავის აედო, მაგრამ ერთხელ საიდუმლო პოლიციის აგენტ ბეკერევს მაინც ჩაუვარდა ხელთ, თუმც მალე თავისი მოხერხებითა და ბესოს დახმარებით ხელიდან გაუსხლტა. მაგრამ ნათქვამია, კოკა წყლის გზაზე გატყდებო. კვაჭიციანი ხაფანგში ხელახლა გაება. კვაჭიციანი ისევ ბეკერევმა შეიპყრო. სანამ იგი პოლიციის განყოფილებაში მოიყვანდა, მათ უანდარში პავლოვი გადაეყარათ და ორივემ კვაჭიციანი საპყრობილეში მიიყვანა. პავლოვმა დაკითხვა მოუწყო, კვაჭიციანი უპასუხებდა „მორიგებულები“, ძველ „ნაცობს“ პავლოვს ფულიც შესთავაზა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. პავლოვმა მას იდეისონები — ისაკა და რებეკა — დაუპირისპირა. ყველაფერი გაირკვა. კვაჭის და იდეისონებს, როგორც ჯაშუშებს, ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

კვაჭიციანი საქანში ზის, განაჩენის სისრულეში. მოყვანის დღეც დადგა. ღამე კვაჭიციანი მოტყუებით კლავს საქანის მოხუც მცველს, რომელიც მასთან ოქროს კბილის ამოსაძრობად შევიდა საქანში. კბილში კი კვაჭიციანი მას მოსატყუებლად ერთი პაპიროსი და სილიბისტროსთან წერილის წაღება სთხოვა. მოკლული დარაჯის ტანსაცმელში გამოწყობილი კვაჭიციანი ციხიდან გაიპარება და თავის ამხანაგებთან მივა, როგორც ქონდათ დათქმული...

მწერალი ამ ეპიზოდს ასე აგვიწერს:

„ეს ამბავი 1917 წლის 26 თებერვალს მოხდა.

აუსტერლიცის დილა იყო.

ორი მარადიული მტერი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს...

იმ დღეს დახვესებულს, დამპალს და ფუტურო იმპერიას თავს დაატყდა უმაგალიტო რისხვა და მეხი.

ის უზარმაზარი შენობა, რომელსაც ათას წელიწადს ათასი მილიონი კაცი ოფლით და სისხლით აშენებდა, უცებ შეიკრა, საზარე-

ლი ქვე-ქუხილით ჩამოინგრა და მისი მობინადრეები. მცველნი და დარაჯნი ქვეშ მოიყოლა“¹.

აქ მითითებული თარიღი — 1917 წლის 26 თებერვალი, ყველა-სათვის ცნობილია რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობისა და თებერვლის რევოლუციის გამარჯვების თარიღად. ეს ვეებერთელა ისტორიული ფაქტი ორიოდ სიტყვით ასე სხარტად და მოხდენი-ლად დაგვიხატა მ. ჯავახიშვილმა.

მართალია, მას არ უჩვენებია მშრომელთა გაფიცვები და დემონ-სტრაციები, პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა დაძმობილება, ქუ-ჩის შეტაკებანი და ძალა-უფლების ხელში აღების დეტალები, მაგ-რამ ამის გარეშეც შესანიშნავად იგრძნობა რევოლუციის ქარიშხალი, მისი გუგუნე.

მწერალი მომდევნო თავს სწორედ ასეთი სტრიქონით იწყებს: „27 თებერვალს დილით კვაკი სავარძელში ჩაჭდა და ტელეფონს დასწვდა“² ეს არის თებერვლის რევოლუციის მეორე დღე.

ისტორიული სიმართლე მოვლენათა ასეთი ჩვენებით სრულიად დაცულია: თებერვლის რევოლუციის წყალობით სახელმწიფოს სა-თავეში მოექცნენ არა ჭეშმარიტი რევოლუციონერები, რომლებმაც თავის ზურგზე გადაიტანეს რევოლუციის სიმძიმე და რომელთა უმეტესობა მაშინ საპყრობილებებში იჭდა ან გადასახლებული იყო. არამედ შემთხვევითი ადამიანები, კერენსკიმა და მისმა მსგავსმა გაიძვერებმა, რომლებმაც ხალხის მონაპოვარი მოტყუებით მისა-კუთრეს და მინისტრების სავარძლებში მოიკალათეს, ხოლო მშრო-მელთა მასები ხახამშრალი დატოვეს. ნაცვლად ზავისა, პურისა, მი-წისა, თავისუფლებისა. ხალხს ბურჟუაზიის ბატონობის ახალი უღე-ლი დაადგეს.

ამიტომ კვაკის სავარძელში ჩაჭდომა და ტელეფონით განკარგუ-ლებების გაცემის დაწყება სწორედ მოხდენილად მიუზღავს მედრო-ვეებს. ღროებითი მთავრობის მესვეურთ, რომლებმაც სხვის მიერ ძოპოვებული ძალა-უფლება მიისაკუთრეს.

თებერვლის რევოლუცია ერთი ხელის დაკვრით ხომ არ მომხ-დარა, მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევს მას. პეტრო-გრადის ქუჩებში ბრძოლებია... კვაკი და მისი ამხანაგები კი მოვლე-ნათა მსვლელობას მხოლოდ ფანჯრიდან უყურებენ, ზვერავენ, ყნო-სავენ და მომენტს უცდიან, რათა იქითკენ გადაიხარონ და ის ორი-ენტაცია აიღონ, რომელიც ხელსაყრელი იქნება... მთელ ამ ამბებს — ქუჩის ბობოქრობას, რევოლუციის დუღილს და ამასთანავე მედრო-

¹ გვ. 299.

² გვ. 300.

ვითა „ფსიქოლოგიას“ მწერალი ასე სხარტად და მარტივად აგვიწერს:

„კიბურტანიძე წამდაუწუმ კვაკთან შევიარდებოდა ქუდმოგლეჯილი და თმების გლეჯით ჰკიოდა:

— დევილუპეთი თავს უშველეთ!

ბესო ღიმილით შემოვიდოდა და ღინჯად იტყოდა:

— ნუ ცხარობ, კიბი! ყოლიფერი კარგად მიდის.

ჯალილა ფანჯარას არ შორდებოდა და ზოგჯერ კვაკს ეტყოდა:

— ზალიან ბევრი ჯარი მოდის. ხველანი ისინიან, ალბათ ფადიშაპის საქმე სულათ არის.

— ვაა, აღარ გათავდა? — გული მისდიოდა სედრაქას:

— მე კი ჩემი დამემართა და! აფსუს ახლა, ჩემო სიღნაღო!

მესამე დღეს ბესომ თავი ჩაპლუნა, ნახევარი ქალაქი მოირბინა, მერმე დაბრუნდა და კვაკის მოახსენა:

— ყოლიფერი გათავდა

კვაკმა ორი დღის ნასაზრი გეგმა უამბო ამხანაგებს და ახლად მოქსოვილი ბადე გადაუშალა, მერმე წამოდგა და თქვა: აჰა, აწი ჩვენ დევიწყოთ. მომყევით!“.

და დაიწყეს ახალი ყალთაბანდობა: აღელვებულ ხალხში გაერივნენ, დემონსტრანტებს შეუერთდნენ და დაიწყეს ყვირილი: „ძირს ტირანია და მონობა!“ რევოლუციურ ლოზუნგებს ისე ყელის ჩაბლენამდე ყვიროდნენ, თითქოს მართლა რევოლუციონერები ყოფილიყვნენ. მწერალი მახვილად შენიშნავს, რომ კვაკიმ და მისმა ამხანაგებმა დემონსტრანტებში ბეკარევიც შენიშნეს, ისიც ლოზუნგებს გაიძახოდა. გუშინდელი მეფის პოლიციის აგენტი, რომელიც ადამიანებს სახრჩობელაზე აგზავნიდა, გარემოებათა შეცვლისთანავე კანს იცვლის, რათა არ გაისრისოს.

კვაკი რევოლუციიდანაც ხეირს გამოელის. არც დაუყოვნებია ქუჩიდან იგი მალე მოქმედებაზე გადავიდა: დააარსა — ახალი დაწესებულება „რევოლუციის დამკველთა და დამხმარეთა საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე კვაკი ერთ-ერთ კაბინეტში გამოიჭიმა, მისი ამხანაგები კი სხვებში. „სედრაქა სალაროს მიუჯდა, კიბურტანიძემ საზვერავე თანამდებობა იკისრა, ჩიკინჯილაძემ მდივნობა დაიჩიმა, გაბო ჩხუბიშვილმა საწყობის გამგეობა აირჩია, ხოლო თოფით, რევოლვერით და ხანჭლით შეიარაღებული ჯალილა კვაკის კაბინეტის შესავალში გაიჭიმა. ბეკერევემა ჯერ პაწაწინა საქმე იკმარა: პარ-

ტიის მაგიდას მიუჭდა და წვერების ჩაწერა ითავა“¹ და ყოველივე ამით ამ აფერისტებმა ხალხის ფტქენა და მსხვილი კომბინაციები „გაიმასქნეს“, იპარპაშეს, სანამ ნამდვილმა რევოლუციამ მათ ლაგამი არ ამოსდო და ნიღაბი არ ჩამოგლიჯა მათ მგლურ სახეს...

ასე გვიჩვენებს მწერალი თებერვლის რევოლუციის არსს, მის ხასიათს და თავისი თხრობით გვარწმუნებს იმაში, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, საჭირო იყო მომხდარიყო ნამდვილი რევოლუცია, რომელიც ხალხს დაპირებულს შეუსრულებდა, იმედს გაუმართლებდა..

და რომანში ასეთი რევოლუციაც, ოქტომბრის რევოლუციაც არის ნაჩვენები. იგი წმენდს საზოგადოებას, ყოველგვარ სიბინძურეს ჩამოაქლის მას, საღი იმარჯვებს...

რევოლუციისადმი კვაკის დამოკიდებულების მთელი „ფილოსოფია“ მწერალმა ისევ კვაკის პირით გადმოგვცა. ამ „ბრძნულ“ ქადაგებაში გახსნილია ტიპის ძირითადი ხასიათი. კვაკი თავის ამხანაგებს სერიოზულად ეუბნება: „პოლიტიკა ძლიერ წააგავს ძროხას. ზოგნი მას აძოვებენ, ზოგნი კი წველიან და რძეს და კარაქს მიირთმევენ. ჰკვიანი კაცი არც სისხლს გაიმეტებს და არც ოფლს დაღვრის ძროხის დეენაში. დეე, გიჟებმა სდიონ მას და აძოვონ, მოუარონ, ჩვენ კი იგი უნდა მოვწველოთ და მისი კარაქით გავსუჭედეთ... ნურც ძროხის ფერს იკითხავთ: თუნდ შავი იყოს, თუნდ თეთრი, თუნდ წითელი... თვალი უნდა გეკვიროთ, რომე დროზე გადახვიდეთ გამარჯვებულის მხარეზე. დროზე მიაფურთხით დაძლეულს და მძლეველსაც დროზე მიულოცოთ...“²

ამ სიტყვებში განზოგადებულად არის გადმოცემული ყველა იმ ჭურის ადამიანთა მოქმედების დევიზი, რომლებიც ყველაფერში და ყველგან მხოლოდ მოგებას ეძებენ, რომელთაც პრინციპები კი არ ამოქმედებთ, არამედ ხეირი... მოწველე, მიითვისე, გამდიდრდი, გასუჭედი, წაქეულს უბიძგე, გამარჯვებულს მიულოცე — აი, კვაკების „ფილოსოფია“.

მედროვეთა ასეთი უხამსობა, მათი ქამლეონობა კიდევ უფრო მოხდენილად გამოააშკარავა მწერალმა ერთ ეპიზოდში. თებერვლის რევოლუციამ უანდარმი პავლოვი ციხეში ჩასვა. კვაკიმ იცოდა, რომ ადრე მისი დამაპატიმრებელი პავლოვი თვითონ მოხვდა პეტრე-პავლეს ციხეში, როცა მეფე დაამხეს. მაგრამ, აი, გავიდა დრო და კვაკი გაოცებული დარჩა, რომ ეს პავლოვი ევროპულ ტანსაცმელში გამო-

¹ გვ. 301.

² გვ. 311.

წყობილი დახვდა ელენეს ბინაში, როცა კვაჭი ამ ქალს ეწვია. „გაოცებულმა კვაჭმა თავის დამლუპველი ჩაათვალიერა, მერე უნებურად გაუწოდა ხელი და ჰკითხა:

— ვინ გამოგიშვათ საპყრობილიდან?

— რევოლუციამ, ჩემო მეგობარო. აი, ხომ ჰხედავთ, ევროპულად მაცვია, მაგრამ ისევ იქვე ვმუშაობ.

— განა თებერვლის რევოლუციამ მხოლოდ ტანისამოსი გამოუცვალა ძველ რეჟიმს? — გაიღიმა კვაჭმა.

— ძველ რეჟიმს და შენც! — დაუმატა ელენემ.

— კისერიც მოუტეხიათ თებერვალსაც და მარტსაც... სთქვა პავლოვმა.¹

თებერვლის რევოლუციამ ძველ რეჟიმს, ე. ი. მეფის ხელისუფლებას მხოლოდ ტანსაცმელი გამოუცვალა. ეს ძალზე მოხდენილი და ამომწურავი შეფასებაა!

მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია უკვე მოახლოებულია. ამას სხვებთან ერთად კარგად გრძნობენ კვაჭიც და პავლოვიც. ამიტომ ისინი, ერთის მხრივ, მთელ ქონებას თვალ-მარგალიტზე ცვლიან და „შავი ღლისათვის“ ემზადებიან, მეორეს მხრივ, წითლებთან კავშირს სდებენ, ხილს იმზადებენ, ეგებ მომავალში გამოგვადგესო. ამიტომ იყო, რომ პავლოვმა სმოლნის ინსტიტუტში ამხ. ივანოვთან კვაჭის პირით საიდუმლო ამბავი შეთვალა — ხვალ 12 ბოლშევიკს აპატიმრებენ, მათი საიდუმლო ბინები ვიცი, გააფრთხილეთო. ეს იყო პირველი ნაბიჯი ბოლშევიკებთან კავშირის დამყარების ცდისა, რაც იმიტომ გადაიდგა, რომ იგრძნეს — ხვალ ბოლშევიკები აიღებდნენ ძალა-უფლებას... ასეთია კვაჭისნაირ გაქნილთა ფილოსოფია: გამარჯვებულს, ძლიერს მიემხრე, მიეფერე, ხოლო დამარცხებულსა და სუსტს უგანე, ზურგი შეაქციეო.

და აი კვაჭი მოქმედებს... ჯერ ივანოვთან მივიდა, ერთგულება დაუმტკიცა: ბოლშევიკებს მოსალოდნელი დაპატიმრება ააცილა, მერე საიდუმლო კრებაზე წავიდა და ყელის ჩახლეჩვამდე გაიძახოდა რევოლუციურ სიტყვებს. ახლა კვაჭი ბოლშევიკის სახეს იღებს და ისე იქცევა, თითქოს თავიდანვე ამ პარტიის ერთგული ყოფილიყო. ამავე დროს კი სილიბისტროს აფრთხილებს: დღეს ან ხვალ აქ (პეტროგრადში) ისეთი ჯოჯობებით დატრიალდება, რომ ეშმაკიც თავს ველარ გააღწევს, ამიტომ საჩქაროდ საქართველოში გადაბარგდითო. ოჯახი გააშორა იქაურობას, სამშობლოში გაისტუმრა.

ოქტომბერიც მოვიდა. მან მოიტანა მსოფლიოში არნახული,

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები, მან მოიტანა სოციალისტური რევოლუცია. ყველაფერი ეს რომანში აგრეთვე თავისებურად აისახა და ამით ამ ნაწარმოებმა კიდევ უფრო მეტი ისტორიული ხასიათი მიიღო.

როგორც კი ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, კვაჭიმ დროის შესაფერი ახალი ორგანიზაცია დააარსა. ეს არის „წითელი რევოლუციის დამცველთა საზოგადოება“. პირველ ხანებში, როცა „ახალ ხელისუფალთ მისი გასაჩხრეკი დრო არ ჰქონდათ“, კვაჭის ბუნაგში ყველაფერი ძველებურად ხდებოდა: იხვეკდნენ, მდიდრდებოდნენ. ითვისებდნენ... მაგრამ მალე კვაჭობას ბოლო უნდა მოეღოს. ეს იგრძნეს კვაჭიმ და მისმა ამხანაგებმა და სიფრთხილეს უმატეს. ახალი მთავრობა მოსკოვში გადადის, კვაჭისაც სურს მასთან. ერთად წასვლა, მაგრამ სულმა წასძლია, ორივრდე საქმე ჰქონდა „გასაიძმას-ქნებელი“ და დაავიანა...

მეხმა მაშინ იქექა კვაჭის თავზე, როცა სადამოს გაზეთი გადაშალეს და წაიკითხეს: „რევოლუციას აგრეთვე თავადი კვაჭანტირაძე მიეკრო, რასპუტინის მეგობარი და მეფის ერთგული მსახური, რომელმაც...“¹ ეს მოასწავებდა კვაჭობის დასასრულს, კვაჭის აქ აღარ ედგომება... უნდა გაიქცეს. მოსყიდვით ორვაგონიან მატარებელს იშოვიან, შიგ ძვირფასეულობას ჩააწყობენ და „წითელი რევოლუციის დამხმარეთა და დამცველთა საზოგადოების გამგეობის“ მანდატებით აღჭურვილნი, ცხრანივე შიგ ჩაბრძანდებიან, ვითომ დაეალებული აქვთ „რევოლუციური სალდათების მატარებელთა მოძრაობის მოწესრიგება...“ და გზას გაუდგებიან.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციას თავისი კანონები და წესები მოაქვს. იგი კისერს უგრეხს ყოველგვარ გაიძვერულსა და მრუდს... კვაჭისა და მის მეგობრებს ერთ-ერთ სადგურზე თავს დაესხმიან ჯარისკაცები, რომელთაც მატარებელი პურივით სჭირდებოდათ და მათ ძირს გადმოყრიან. მთელი სიმდიდრე, ღვინო, კონიაკები და ათასი ძვირფასი სასმელი ვაგონებში დარჩა. კვაჭი და მისი ამხანაგები დაემსგავსნენ წყლიდან ხმელეთზე ამოყრილ თევზებს და უმწეო ფართხალი დაიწყეს. მართალია, კვაჭი კიდევ დაძაბავს თავის კვაჭურ გონებას, შემთხვევით გადარჩენილი შტამპებითა და ყალბი ბეჭდებით კიდევ დაიწყებს მაქინაციებს და სიმდიდრესა და ბევრ ქონებას კიდევ „გააიძმასქნებს“, მაგრამ ყოველივე ეს უკვე განწირულის ფართხალია. კვაჭის „ქკვიანი“ მეგობარი ბესო ამას აშკარად გრძნობდა და აფრთხილებს კიდევ თავის შეფს, მაგრამ ამაოდ საბჭოთა ხელის-

¹ გვ 317.

უფლება, რომელიც შინაგანი და საგარეო საქმეებით ყელამდე იყო დატვირთული, მაინც იცლის კვაკებისთვისაც და მათ გასაქანს არ აძლევს, დევნის, ლაგმავს...

მართალია, კვაკიმ ყალბი საბუთებით საქმე ისე მოაწყო, რომ ვითომ თვითონ სხვა იყო და ჩეკას დავალებით დასაქვრად დასდევდა კვაკი კვაკანტირაძეს, მაგრამ მას ჩეკა მართლა დასდევს და ერთ ადგილს აკი მოამწყვდევს კიდევ, როცა კვაკი წითლების ფრონტის ხაზში გაძრომას და თეთრებთან გადასვლას ლამობდა, რათა მერე განძით დაბრუნებულიყო სამშობლოში. აქ ცხარე შეტაკება მოხდა. კვაკის ხუთი ამხანაგი მოუკლეს. „ბელადიც“ ვერ აცდებოდა დაქვრას, იქ თეთრების დიდი რაზმი რომ არ გამოჩენილიყო, რამაც მდევარი აიძულა დროებით იქაურობას გასცლოდა.

კვაკის დევნის ამ ამბებში მთელი სისრულით იგრძნობა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების რთული და მღელვარე მოვლეები. აქაა სამოქალაქო ომის გუგუნი, აქაა ჩეკა, აქაა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ნგრევა, შიმშილი, კლასობრივი ბრძოლების მწვევე ხასიათი, აქაა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები, რათა სამართლიანობასა და პატიოსნებას გაემარჯვა და ხალხს ნორმალური, ადამიანური ცხოვრება დაეწყო.

კვაკი თეთრებთან მალე დაამყარებს კავშირს და მათ სარდალს არწმუნებს, რომ მენშევიკურ საქართველოს და თეთრებს საერთო მტერი ყავთ — წითლები. ამიტომ ისინი ბუნებრივი მოკავშირეები არიან. თეთრებს ნავთი სჭირდებათ, საქართველოს ფქვილი და ა. შ. კვაკი თუმც არავის წარმომადგენელი არ იყო, მაგრამ მომავალზე ფიქრმა გადაადგმევინა ასეთი ნაბიჯი.

ოდესაში განაევარდების შემდეგ კვაკი საქართველოში იმავე გემით „პუშკინით“ ბრუნდება, რომლითაც იგი თორმეტი წლის წინათ სამშობლოდან პირველად გამოემგზავრა... კვაკის თან მოყავს ბესო და ჯალილა, აგრეთვე მოაქვს გვაში თავისი ხელით დამხრჩვალნი ყოფილი მეგობრის კიპისა, რომელმაც შეტაკებაში უღალატა, ბრძოლის დროს გაიპარა და განძი გაიტაცა.

კვაკი „დამოუკიდებელი“ საქართველოს მიწაზეა. ბათუმში მას მწარე ფიქრები აეშლება თავის წარსულზე, გაფლანგულ დროსა და ენერგიაზე, ფუჭად გატარებულ ცხოვრებაზე. სამშობლოსათვის გამოუსადეგ სიცოცხლეზე, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი სევდაა. ის საქართველოს მიწაზე წარმოთქმულ პირველ სიტყვას სიყალბესა და ტყუილზე ააგებს—თავისი ხელით მოკლულ კიპის ხულიგნების მსხვერპლად გამოაცხადებს, ხოლო მის ავანაქურ ცხოვრებას სამშობლოს

ბელნიერებისათვის თავგანწირულად მონათლავს. კვაჭის განა შეეძლო მართალი სიტყვა ან საქმე?

და, აი, კვაჭი მალე თბილისში ამოყოფს თავს.

ამის შემდეგ მწერალი გვიჩვენებს ახალ ისტორიულ მოვლენას — „დამოუკიდებელი“ საქართველოს არსებობას მენშევიკური მთავრობის ხელში.

რომანის იმ თავში, რომელსაც მწერალმა უწოდა ამბავი საკუთარ მიწაზე განავარდებისა“, ნაჩვენებია მთელი ისტორიული პერიოდი, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში მყარდება მენშევიკური ხელისუფლება, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ჩამოაშორა რუსეთში მიმდინარე ვეებერთელა ამბებს და საქართველო დროებით თავისებური გზით წაიყვანა. ქვეყნის მესვეურნი ამას უწოდებდნენ დამოუკიდებლობას. თუმცა ფაქტურად ამ სიტყვას შინაარსი ძალზე შელანძღული ჰქონდა.

„დამოუკიდებელ“ საქართველოში ჩამოსული კვაჭი მყისვე იღებს საჭირო ორიენტაციას და წარამარა, საჭიროა თუ არა, გაიძახის „ქართველსა“ და „საქართველოს“. ახლად გაახსენდა კვაჭანტირაძეს თავისი სამშობლოს სილამაზეც, მისი ადამიანების ახოვანებაც ქვეყნის წარსულიც და მომავალიც. ეს მეტამორფოზა, ცხადია, მოჩვენებითია, ყველაფერი ეს კვაჭის ისევ თავის სახეიროდ სჭირდება.

მარჯვე ბესო შიქია მალე გაზეთებს დაირბენს და გადაიბირებს: კვაჭის შესახებ ისეთი მასალები დაისტამბება, მას ისეთ გუნდრუქს უკმევენ, რომ სულ რამდენიმე დღეში კვაჭიზე მთელი თბილისი და მასთან ერთად მთელი საქართველო ალაპარაკდება: ის გმირია, ის ვაჟკაცია, გენიალური ფინანსისტი, დიდი სახელმწიფო მოღვაწეა და ათასი რამ სხვა. მისი წყალობით მალე მთავრობის ვალები გასტუმრებული იქნება, ბონები განმტკიცდება, ხალხს თეთრი პური გაუჩნდება და ა. შ.

კვაჭი მენშევიკთა მინისტრებსაც გაეცნობა, მთავრობაში მისთვის კარი გაიხსნება და საერთოდ იგი მალე მოექცევა ცხოვრების მაღალ სფეროში...

კვაჭი მთავრობისა და ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანის ნდობას მოხერხებულად იყენებს და ერთ ინგლისელთან ერთად მალე აარსებს „სიბუნიონ ლიმიტედ კომპანიას“, რომელმაც ხელში ჩაიგდო მატყლითა და სხვა ძვირფასი საქონლით ვაჭრობა და საქმე დაატრიალა. აგრეთვე მათვე დააარსეს „ინგლის-კავკასიონის ბანკი“, რომელიც კვაჭის დიდ მოგებას აძლევდა.

ინგლისელთა პარპაში „დამოუკიდებელ“ საქართველოში რომანის ამ თავებში ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები.

ყველაფერი ეს მაშინ ხდება, როცა „ხარბი, უგუნური. ბრმათეთრი ბულა დენიკინი საქართველოსაკენ მოტრიალდა და აფხაზეთში შემოიჭრა“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.). ამავე დროს მოსკოვიდან წითელი ხმა ისმის: „ქართველებო! მხარი მოგვეცი! შემოგვიერთდი! ერთად დავკრათ თეთრ გენერალს და შავ ზღვაში გადავავლოთ! აბა, დაიწყეთ!.. დაჰკარით!..“¹

მოვლენებმა სწრაფად იწყეს განვითარება, საჭიროა გარკვეული გზის პოვნა. კვაკი მერყეობს: თეთრებს მიემხროს თუ წითლებს? წითლებს ის ვერ დაენახებება, ზურგზე ბევრი ცოდვა აწევს... კვაკის მერყევი პოზიცია, დაბნევა, პოლიტიკური ალღოს დაკარგვა ოსტატურად აქვს დახატული. აქ გამოყენებულა ავტორსა და კვაკის შორის ერთგვარი დიალოგის ხერხი. ამ დიალოგებიდან ჩვენთვის იმდენად არა ისაა საინტერესო, თუ რომანის მთავარი გმირი ახალ სიტუაციაში რას იმოქმედებს, არამედ უფრო ის, რომ აქ აღებული პერიოდი შესანიშნავი ოსტატობით ზედმიწევნითი სიზუსტით არის დახასიათებული და გვაცნობს იმ დროის ისტორიულად რთულ, დახლართულ ამბებს, რომლებიც მოვლენათა ახალ განვითარებას ედება საფუძვლად. აქ მწერალი ისევ ისტორიული რომანისთვის დამახასიათებელ თხრობას და ჩვენებას მიმართავს.

როცა კვაკი გამწარებით გაიძახის „თეთრები ვუის მოგვიტანენ, წითლები ვაის შეგვეკრიანო“, მწერალი კითხვებს უსვამს: „ეს არის შენი გადაწყვეტილება? მაშ რა გინდა? ვისთან აპირებ თავის შეხიზნებას? ალბიონთან?“ კვაკი ჭიუტად იძახის: — არც აქეთ, არც იქით, მე განზე ვდგევარო... ამაზე მწერალი წარმოთქვამს მთელ მონოლოგს, რომელიც ბევრ რამეზე მიუთითებს: „კვაკი, რა დაგემართა? რამ დაგიხშო სახელგანთქმული ყნოსვა? ვინ მოგიკლა უტყუარი ალღო? ვინ ან რომელმა საბედისწერო მაჭლაჭუნამ დაგაჭერა, ვითომ არც შენ გერჩის ვინმე, თუ შენ არავის ერჩოლე?! ვინ გაგაბრძოვა, ვინ დაგაწერინა შარა გზაზე, სადაც არხეინად გაწოლილხარ, ასეთი ბავშვური ტიკტიკი: „აქ სძინავს უიარაღო კრავს, გთხოვთ არ შეაწუხოთ. ამ გზაზე სიარული აკრძალულია. გადაუხვიეთ“. მერე, რომ არ გადაუხვიონ? ხელი რომ წაგკრას ვინმემ ან თავზე რომ გადაგაბიჯოს და სახლში შემოგვივარდეს? დაიყვირებ, განა! აკივლდები და საქვეყნოდ განგაშს ასტეხავ, განა! მერე ვინ მოგეშველება? დემოკრატია? იმას ხომ ერთი დამბაჩაც არა აქვს და ერთი ჭარისკაციც არა ჰყავს? მაშ დემოკრატიული ყვირილისა და ყაყანის იმედი გაქვს? კეთილი და პატიოსანი, მაგრამ აქამდის როგორ ვერ გაიგე, რომ თუნდაც

¹ გვ. 341.

ათიოდე მილიონ ყანყრატოს ყვაეებისა და კაქკაქების დაფროხო-
ბის მეტი არაფერი შეუძლიან?!“¹

მწერალი აქ საცინლად იგდებს არა მარტო კვაქის დაბნეულობას.
უსუსურობას და უმწურობას, არამედ პოლიტიკურ სიბეცესაც, რომე-
ლიც მარტო კვაქის კი არ სჭირდა, არამედ მენშევიკურ მთავრობა-
საც, როცა იგი მთელ ვარაუდებს აგებდა არა საკუთარ ძალებზე,
არამედ ე. წ. დემოკრატიულ უბედობაზე. დასავლეთის „დემოკრა-
ტიაზე“.

შექმნილი პოლიტიკური ვითარება უფრო ფართო ასპექტში
დახასიათებულია რომანში იმ ადგილას, სადაც მწერალი კვაქის შემ-
დეგი სიტყვებით მიმართავს: „გაიხედე ახლა აღმოსავლეთისაკენ
გაიხედე და დააკვირდი: ხედავ მეგობრულ ხელებს, რომელნიც გა-
უშვირეს ერთმანეთს მოსკოვმა, ანგოლამ, თეირანმა და ქაბულმა?
გესმის, როგორ შეაწყვეს ინტერნაციონალი. შაქასტა და ბაიათი?
ცეცხლის სალტა გერტყმის გარსშემო, კვაქი! წითელი ღრუბლები
იკრიბებიან შენს თავზე. კვაქანტირაძე! უკვე მოისმის შორეული
ქუხილი, უკვე ელავს წითელი ელვა. უკვე იგრიხება ალის გრიგალი
და ღღეს ან ხვალ დაიქვექებს!“²

თუ წინა ამონაწერიდან მკაფიოდ ჩანდა საქართველოს იმდრო-
ინდელი ძირითადი პოლიტიკური სიტუაცია. ახლა მოტანილი ამონა-
წერიდან შესანიშნავად ვგრძნობთ იმ ისტორიული პერიოდის საერ-
თაშორისო ვითარებას, როცა მოსკოვის გზას მრავალი ქვეყანა მიყვე-
ბოდა, რუსი მუშების გუგუნს მრავალი ხალხის მშრომელებ უწ-
ყობდნენ ხმებს...

ბაქო და ერევანი გაწითლდა. საქართველოც ფეხმძიმედაა წი-
თელ პირმშოზე... კვაქი ახლა კი გამოერკვა. მას დიდძალი ქონება
აქვს, რომელსაც მოელა უნდა. ამიტომ ის ჭერ თავის ინგლისელ
კომპანიონს ჯონ რაულინსონს მოელაპარაკა, რომელმაც „ოლ
რაიტ...“ უპასუხა და თანაც ფარულად გასაქცევად მოემზადა. ამავე
დროს კვაქი არწმუნებს მთავრობას, რომ საჭიროა ინგლისთან და
საფრანგეთთან მკიდრო კავშირი. თუ გსურთ ხელისუფლების შე-
ნარჩუნებაო.

მენშევიკური მთავრობის არსებობის ბოლო დღეები მწერალს
მძაფრად და დაუნდობლად აქვს გადმოცემული რომანის ერთ ეპი-
ზოდში, რომელიც ჩვენ გვინდა მოვიტანოთ: კვაქი ხმის დაუზოგა-
ვად გააკვივის:

¹ გვ. 342.

² გვ. 343.

„ — გამიგონეთ, დამიჯერეთ, მეგობრებო, თორემ ინანებთ. რაც აქამდის ვთქვი ყველაფერი გამართლდა. ეხლაც ვამბობ: ჩვენი დამოუკიდებლობა ზღაპარია. ჩვენი კაკულის და რაუდენას შვილები სახელმწიფოს ვერ შექმნიან. ხალხი უპატრონოდ არის. კანონი ჩვენ არ გვაქვს და ფული. ჩვენს გარშემო ისეთი ძალები იყრიან თავს, რომ ჩვენ მათს წიკპურტსაც ვერ გავუძლებთ. საქართველოს ისე გაყოფენ, როგორც ქრისტეს კვერთხი გაიყვეს. თუ ვრეკლე ძეფემ მოიხადა ხალხის გულისათვის გვირგვინი, რატომ არ უნდა მოიგლიჯონ თავიდან ჩალის საფრთხობელა ლანჩხუთელმა და ჩოხატაურელმა კუდაბზიკა აზნაურებმა? ¹“

აქ აშკარადაა მხილებული მენშევიკური მთავრობის უმწეობა უნიათობა, უეარგისობა და დანახულია მისი აღსასრულიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ამას ამბობს კვაკი, რომელიც საქართველოში ჩამოსვლისთანავე მისი პარტიის წევრი და მასთან დაახლოებული პიროვნება იყო და თუ თავის პარტიას კვაკი ასე „ამკობს“, ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ რა თვალით უყურებდა მას მშრომელი ხალხი.

კვაკის მომდევნო მსჯელობაში აგრეთვე გახსნილია მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის ერთი მხარე, როცა კვაკის ეუბნებიან — თქვი რაც სათქმელი გაქვსო, კვაკიც ამბობს: ევროპას უნდა შევაფაროთ თავიო.

„სთქვი პირდაპირ, კვაკი, სთქვი! ვის ან როგორ უნდა შევაფაროთ თავი?“

— ან ინგლისს, ან საფრანგეთს მფარველობა უნდა ვსთხოვოთ პროტექტორატი? ვასალი? თუნდ ეგეც იყოს! კვაკმა ჩიქორთული სიტყვები არ იცის, ერთი სიტყვით, ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ საქართველო ევროპის ჯარმა დაიცვას, ან... თუ ეს არ მოხერხდება...

— თუ არ მოხერხდა, ისევე ის სჯობია, რომ წითლებს მოვურიგდეთ.

— როგორ მოვურიგდეთ? რას ჰგულისხმობ, კვაკი? გაანებე თავი ნართაულ ლაპარაკს! ნათლად და მკაფიოდ გამოსთქვი შენი სათქმელი.

— კეთილი, ვიტყვი... თუმცა... ადვილი არ არის ამის თქმა, მარა... რაკი სხვა გზა არ არის, მოგახსენებთ: სასახლეზე უნდა წითელი დროშა ავუშვათ და... ხელისუფლებაც უნდა წითლებს გადავცეთ ².

¹ გვ. 344.

² გვ. 346.

ამ დასკვნას კვაჭი სიამოვნებით როდი აკეთებს. ეს არის შექმნილი ვითარების ალლოიან შეფასებაზე აღმოცენებული დასკვნა. ჩვენ ამჟამად სწორედ ეს გვიანტერესებს, რადგან აქ ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული მოვლენები ისე მართალი თვალითაა დანახული და სწორად გადმოცემული, როგორც კი ეს მაღალ მხატვრულ ნაწარმოებში უნდა იყოს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალის ჩვენება. ეს შეეხება ბათუმიდან ინგლისელთა წასვლის ფაქტს. მწერალი ამაზე შემდეგს წერს: „იმ დღეს, როცა ინგლისელთა უკანასკნელი ჯარი ბათუმიდან უნდა გასულიყო, კვაჭი და ბესოც იქ იყვნენ. მუნჯი, უგულო და უსულო ბრიტები დინჯად აღიოდნენ გემებზე. სიხარულით აღტაცებული და აფორიაქებული ქართველთა ჯარი და ხელისუფლება ზეიმით. ყიყინით და ზათქით შედიოდნენ თავიანთ ნაქალაქევეში. ბოლოს, დიდი ინგლისის დროშაც დინჯად, წყნარად და ნაბიჯით ჩამოცურდა მაღალ ძელიდან, ხოლო იმავე წამს იმავე ძელზე სამფეოროვანი ქართული აფრიალდა, — ისიც ყიყინით, ზათქით, სიხარულით და ხტუნაობით“¹

ეს ისტორიული ფაქტია. თანაც იმდენად ცნობილი, რომ საჭიროდ არ მიგვაჩნია სათანადო დოკუმენტების მოშველიება; არანაკლები სიმართლითა და ისტორიული სიზუსტით გვიჩვენებს მ. ჯავახიშვილი საქართველოდან მენშევიკური მთავრობის წასვლის ფაქტს კოჭორთან ერთი-ორი გასროლის შემდეგ მენშევიკური არმია დაიშალა, წითელი ჯარისთვის წინააღმდეგობა არც კი გაუწევიათ. მოხდა პროლეტარიატის აჯანყება, მუშათა კლასი იარაღით ხელში იბრძვის მენშევიკური ბატონობის დამხობისათვის. კვაჭიმაც ერთი-ორჯერ გაისროლა თოფი, მაგრამ მეტი არაფერი. და როცა ერთ ღამეს კვაჭის ეძინა, 25 თებერვალიც მობრძანდა. ერთ-ერთ ქვეთავს მ. ჯავახიშვილი სწორედ ასე ასათურებს: „ამბავი 25 თებერვლისა და კვაჭის ხელმეორედ გაწითლებისა“. სწორედ აქ ძალზე სადად და ამავდროს მკაფიოდ არის აღწერილი თბილისიდან მენშევიკური მთავრობის წასვლისა და მათ ნაცვლად წითელი ჯარის შემოსვლის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბავი.

„კვაჭო, ნუ გძინავს! ნუთუ არ გესმის თავჩალუნული ჯარის ბაკაბუკი, ცხენების თქარა-თქური, ავტომობილების გუგუნნი და ურმების ქრაქუნნი? კვაჭო, გაიღვიძე! დედაქალაქი იცვლება. ყველანი მილიან.“

დიღმისა და ავქალის გზები გატენილია. მატარებელი მატარე-

ბელს მისდევს. ბავშვები და დედაკაცებიც დამფრთხალან, ზურგზე ბოხჩები აუკიდიათ, ილღიაში ძონძები ამოუჩრიათ და თოვლქყაპში ძლივს მიძუნძულებენ...

მთელი ქალაქი ფეხზეა. ერთმანეთს აღვიძებენ, ურაკუნებენ ფანჯრებს და სამგზავროდ უძახიან... უკვე გათენდა. ცხრა დარეკა ათიც... საცაა ტფილისში წითელი ჯარი შემოვა!

და როცა დაუძახეს: კვაკო, ადექო, ხოლო მან კითხა — რა ამბავია, რა მოხდაო, პასუხიც არ დაუყოვნებიათ:

„ — ის მოხდა, რომ ჩვენი მთავრობა და ჯარი ქალაქიდან გასულან“¹

ამით ყველაფერი ითქვა. ეს ეპიზოდი მოხდენილად და უკიდურესი ლაკონურობით გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის ერთ ფურცელს, რომელიც თავისი მნიშვნელობით უდიდესია და რომელმაც ასე შეცვალა ქვეყნის შემდგომი ბედი, მისი მსვლელობა.

რომანის მომდევნო ქვეთავები ასახავს საქართველოში ახალი ცხოვრების დამყარების ამბებს. აქ არა მარტო ტექსტში, არამედ სტრიქონებს შორისაც იგრძნობა ის გუგუნი, ის მოძრაობა, ის გარდაქმნები, ადამიანთა ფუსფუსი, ცხოვრების ახალ კალაპოტში მოქცევა, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოყვა.

როცა დაგვიანებულმა კვაქიმ და მისმა ამხანაგებმა თბილისიდან გაქცევა სცადეს, არ გამოუვიდათ: ყველა გზა უკვე წითლების მიერ იყო მოჭრილი. იძულებით შინ მობრუნებულთ დანა პირს აღარ უხსნიდათ. ბოლოს კვაქმა ისევ თაღლითობა არჩია, ეგებ ტყავი შევიწარჩუნოო. წითელი საბნის პირი გამოჰკიდა თავისი სახლის ფასადზე, როგორც ახალი დროშა. ნავთულში ხალხი გაიყოლია და წითელი ჯარის ნაწილებს შეხვედრა მოუწყო, ვითომ პურ-მარილით გეგებებით ახალ ხელისუფლებსო, სიტყვაც წარმოთქვა და ენაც აიქავლა, ყველაფერი სცადა, რომ ბოლშევიკებისათვის თავი ერთგულად მოეჩვენებინა, მაგრამ ყველაფერი ამოუგამოღგა... ახალი ხელისუფლება მალე მკვიდრდება, მტკიცდება, თავის წესებს ამყარებს და თავისი კანონები შემოაქვს, რაც კვაქებს ვერ მოითმენს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში მწერალი თბილისის მაგალითზე ასე გვიჩვენებს:

„ორიოდე დღეში ქალაქის იერი და მაჯისცემა გამოიცვალა. მუშები ხან მუშაობდნენ, ხან წითელი დროშებით დადიოდნენ: მოლაპარაკენი ლაპარაკობდნენ, მეეზოვენო: ქუჩებს ჰკვიდნენ, მეეტლეები ეტლებს დააგრილებდნენ, შოფრები გიჟებივით დაჰქროდნენ...

ასიოდე სახლი ახალი კანცელარიებით გაიტენა. ტფილისი ახალ მოსულებით გაჰლა და ყელამდე გაივსო. ქალაქი უზარმაზარ აშლილ სკას დაემსგავსა...

ყველგან ახალი ხალხი გაჩნდა. სარდაფიონი ზევით მიცოცავდა, ხოლო ზემოთური ქვეით ჩადიოდნენ. რაც ქალაქში ლუქი მოიპოვებოდა, მალაზიების, საწყობებისა და გაქცეულთა ბინების კარებებზე დაიხარჯა. აქაქები ახალი შტამპებისა და ბეჭდების გაკეთებით დაილიენენ. მეკურტნენი, ცხენები და ხარ-კაპეჩებიც ბინებიდან ბინებში ავეჭეულობის ზიდვით დაიქანცნენ. უთვალავი ამწერი და გადამწერი საწყობებსა და მალაზიებში დაფუსფუსებდა და ცრემლმორეულ პატრონის თვალწინ მის საქონელს თვლავდა და იბარებდა. დიდი სახლები ქალაქის და მუშების ხელში გადადიოდნენ. აღრიცხვას დასასრული აღარა ჰქონდა...¹

უფრო კონკრეტულად საბჭოთა ხელისუფლებას ძალას მ. ჯავახიშვილი კვაკის მავალითზე გვიჩვენებს: მასთან მუშათა კომიტეტი მივიდა, ბინა აუზომა და შევიწროვდითო უბრძანა — ცხრა ოთახის ნაცვლად სამი დაუტოვეს. მერე ამ ბინიდანაც გამოაგდეს და ძაღლის ხევში ერთ ოთახში შეაგდეს. დუშეთში მატყელი რომ ჰქონდათ დაგროვილი, რომელიც გაუყიდავი დარჩათ მომხდარი პოლიტიკური ცვლილების გამო, ისიც ჩამოართვეს. თბილისში „წითელ საქართველოს მეგობართა კავშირი“ რომ ჰქონდა კვაკიკოს დაარსებული და ხორცს რომ ჰყიდოდნენ. იქაც სიყალბეზე გამოიჭირეს და ჩეკაში წააბრძანეს... ერთი სიტყვით, კვაკისა და მისი ამხანაგების ფეხთა ქვეშ, ისე როგორც სხვა ხორცმეტა ფეხთა ქვეშ. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მიწა იწვის... სწორედ ამიტომ დარწმუნდება კვაკი, რომ მას აქ აღარ ედგომება. თავს უნდა უშველოს, სანამ ძველ ცოდვებსაც არ გაუგებენ და უარესს არ დამართებენ.

მაგრამ მწერალი კიდევ ერთ ისტორიულ ეტაპსაც გვიჩვენებს — ესაა ნეპის მოსვლა. ამან ერთგვარი შეღავათი და ამოსუნთქვის საშუალება მისცა შევიწროებულ და სასოწარკვეთამდე მისულ კვაკის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთი მომენტი საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, როგორცაა ნეპი, მწერალმა აგრეთვე დამახასიათებელი შტრიხებით გვიჩვენა და ეპოქის მთავარი მაჩისცემაც გვაგრძნობინა. საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მწერალი მოგვითხრობს რომანის იმ თავში, რომელსაც ჰქვია: „ამბავი კვაკის ერთგული სამსახურისა და ქალბატონ ნეპის მოშველებისა“.

¹ გვ. 358.

როცა კვაჭის ხან ერთი სამსახურიდან ითხოვდნენ და ხან მეორედან, როცა მისთვის თითქმის ყველა გზა მოკრილი იყო და ის იყო ყულფში თავის გასაყოფად უნდა მომზადებულიყო, რადგან ყველგან ერთი და იგივე ესმოდა: „—გააგდეთ!.. დაითხოვეთ!.. ახლოს აღარ მიიკაროთ!..“, სწორედ მაშინ მოუსწრო ნეპმა, რომელსაც კვაჭანტირაძე აღფრთოვანებით მიეგება: „გამარჯვება, ქალბატონო ნეპ! მშვიდობაში შენი მოსვლა! კურთხეულ იყოს შენი დაბადების დღე და მარჯვენა შენი მომგონისა! ძლივს არ განიბნა შავი წყვილიაღი! ძლივს არ გამოიდარა და გამოანათა! დაბრძანდით, ქალბატონო ნეპ! გააღეთ მალაზიები! დაამტკრიეთ ღუქნების დარაბები! ისეირნეთ დილით დილაშდუ და იქეიფეთ სალამოთ-სალამომდე! დაატრიალეთ რულეტი, გაშალეთ ცხრა და ბანჩოკი! იყიდეთ!.. გაჰყიდეთ!.. წააგეთ!.. მოიგეთ!.. დალოეთ, სქამეთ! იცოცხლეთ და სხვაც აცოცხლეთ!“¹

ასე მიიღო კვაჭიმ ნეპი, შეკრიბა თავისი ძველი დამქაშები, ისინიც დაატრიალა და საქმეებიც.

მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა: „ერთხელ საღდაც რაღაც შეიცვალა. კვაჭის კანტორას მოულოდნელად მიადგნენ, გაჩხრიკეს და უამრავი ვალუტა წაიღეს“. და ასე რამდენჯერმე განმეორდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნეპი დამთავრდა და კვაჭების პარპაშის აღსასრულიც მოვიდა... თუმცა კვაჭი ცოტას კიდევ იპარპაშებს — ირემადებს და მის ქალიშვილს გააბრიყვებს და მთელ ქონებასა და პატიოსნებას გაუძარცვავს, ვინმე რახილსა და სხვა მისთანებსაც გაფუტკენის, მაგრამ კვაჭის მალე მეტეხის ციხე ელის. ახლა კი კვაჭის დახვრეტა არ ასცდება. ერთი ჩეკისტი მას მთელ თავის ცხოვრებასა და „ნაღვანს“ წინ გადაუშლის, მის „საქმეში“ ყველაფერი ისე დაწვრილებით არის გამოჩხრეკილ-გამოძებნილი, რომ კვაჭი გაოცებულიც კი წამოიძახებს: დღიური რომ მეწერა, ასე დაწვრილებით მაინც ვერ ავწერდი ჩემს თავგადასავალს...

მხოლოდ სასწაულით მოხდა მეტეხიდან კვაჭის გაპარვა.

კვაჭის პარპაში დამთავრდა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღარც კომბინაციები, აღარც თაღლითობა, აღარც „გაიმასქნება“ აღარ ხერხდება, უამისოდ კი კვაჭი რას ივარგებს. კვაჭის ბნელი წარსულიც სინათლეზე გამოიტანა საბჭოთა წყობილებამ, მას დახვრეტა მოეღის. სხვა გზა არ არის: ან უნდა დარჩეს და მართლმსაჯულების განაჩენს დაელოდოს, ან უცხოეთში გადაიხვეწოს. კვაჭი ამ ბოლო გზას ირჩევს და იგი თავის ამფსონებთან — ბესოსთან და ჭალილასთან ერთად უცხოეთში, თურქეთში გადადის, რათა გაწა-

¹ გვ. 365.

მებული სიცოცხლე მაინც გადაარჩინოს. თურქეთში ჩასვლის შემდეგ ერთადერთი გზა აღმოაჩინდა საარსებოდ—სააროსკიპოს მსუქან პატრონს, ხანშიშესულ დედაკაცს დაუდგა ულაყად, სამაგიეროდ გასამრჩელო იშოვა და აღვირახსნილი ცხოვრების პირობები შეექმნა.

ასეთია ისტორიული ფაქტები და მოვლენები, რომელსაც ახლო წარსულში სინამდვილეში ჰქონდა ადგილი და რომელიც რომანში ასე თანმიმდევრულად, ქრონოლოგიური სიზუსტითა და ყოველი მოვლენის ძირითადი ხასიათის მართალი ჩვენებით გამოიჩინება.

ჩვენ შევეცადეთ, გაკვირთ მაინც გვეჩვენებინა რომანში ასახული ისტორიული ფაქტები და მოვლენები. ეს არასრული სურათიც კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ ნაწარმოებში რა დიდი ადგილი აქვს დათმობილი სინამდვილეს. მართალია, ყველა ამ მოვლენის მონაწილე არის რომანის მთავარი გმირი — კვაკი კვაქანტირაძე, მაგრამ სრულიადაც არ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისტორიული ფაქტები და მოვლენები აქ ფონის როლს ასრულებდეს, მთავარი კი კვაკის თავგადასავალი იყოს.

ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ: მთავარი კვაკის ავანტიურა რომ იყოს, მწერლის მიზანი ამ ტიპის თავგადასავლის თხრობა და ამით მკითხველის შექცევა რომ იყოს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა ასეთი მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტების, მოვლენების, თარიღების. ისტორიული პირების ჩვენება? განა ნაწარმოების გმირის ავანტიურისტული თავგადასავლის საჩვენებლად არ იქმარებდა გამოგონილი ფონი და სიტუაციები? განა ეს უფრო იოლი და ნაკლებ საპასუხისმგებლო არ იქნებოდა? ცხადია, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა გაჭირდება.

მაშ რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ ჩვენი აზრით, რომანის მთავარი აზრი და დანიშნულებაა ახლო წარსულის მეტად დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ჩვენება. ამავე დროს მწერალი ამ მოვლენებს გვიჩვენებს თავისებური კუთხით. ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დაგვანახოს ამ მოვლენებთან მიტმანსნილი, მომხვეჭი და წამგლეჯი ადამიანები, რომელთა წარმოშობის საუკეთესო ამინდს და პირობებს ქმნიდა მეფის ხელისუფლება, რეაქციის პარპაში, თებერვლის რევოლუციის ბატონობის არეული პერიოდი. აქვე სრულიად

გარკვეულად არის გატარებული ის აზრი, რომ ოქტომბრის რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ პირისაგან მიწისა აღგავა ყველა პარაზიტი და წურბელა, მათ შორის ისეთი გაიძვერები და გაქნილები, როგორც კვაჭი, მისი ამხანაგები და მათი მსგავსი ბევრი წამგლეჯი იყო. ახალი ცხოვრების პირობებში მათ პარაზის ბოლო ეღება, მათ ფეხქვეშ მიწა იწვის და ისინი იღუპებიან.

აი, რატომ მიგვაჩნია, რომ მართებული არ იქნებოდა „კვაჭი კვაქანტირაძისათვის“ ავანტურისტული რომანი გვეწოდებინა.

მაგრამ, მიუხედავად ჩვენს მიერ წამოყენებული დებულებისა, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ რომანის ტრადიციულ გაგებას აქვს გარკვეული საფუძველი. საქმე ისაა, რომ ამ რომანში კვაჭის თავგადასავალს, მისი მოხერხებულობის, უზნეობის, ქსელის ხლართვის, აღამიანთა მოტყუებისა და მათგან ყველაფრის გამოძალვის ჩვენებას დიდი ადგილი უკავია. ეს გარემოება ჰქონდათ მხედველობაში იმათ, ვინც რომანს ავანტურისტული უწოდა.

ეს გარემოებანი ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ამ რომანში, ისე, როგორც სხვა ბევრი მწერლის რომანებშიც, ადგილი აქვს რომანის სახეთა შერწყმას. ისე, როგორც „დონ-კიხოტი“ არის რაინდულიც, სათავგადასავლოც და ამავე დროს სატირული რომანიც, „კვაჭი კვაქანტირაძეც“ შერწყმდა ისტორიულ, სოციალურ, სატირულ და სათავგადასავლო სახეებისა.

ცხადია, არ შეიძლება საუბარი მხოლოდ იმით შემოვფარგლოთ, რომ დავკმაყოფილდეთ რომანის სიუჟეტური ქარგის გარკვევით. მთავარი ეს როდია. ჩვენი ფიქრით, მთავარია ის დედააზრი, რომელიც ამ ნაწარმოებს უდევს საფუძველად.

მ. ჭავჭავაძის მიხედვით, იმის გამო, რომ იგი ყოველთვის რეალიზმის ერთგული იყო და იმიტომაც, რომ ორგანულად სძულდა რუსეთის ცარიზმი ყველა თავისი ინსტიტუტით, რომანში ამჟღავნებს მომაკვდავი წარსულისადმი ზიზღსა და მტრობას, ამავე დროს ახალს, რევოლუციურს მეგობრულად ხვდება.

სხვანაირად არ შეიძლება ავხსნათ რომანის ის ეპიზოდები, რომლებშიც მეფე და დედოფალი თითქმის ყვეყჩებად, მერყევი ხასიათის, ბევ პოლიტიკოსებად არიან ნაჩვენები. ამავე დროს ისინი ზნეობრივადაც გარყვნილები არიან, განსაკუთრებით დედოფალი. მეფე მშინშარა და მხდალია, მას გრიშკა რასპუტინი და დედოფალი ძალით, მუქარით ტოვებენ ტახტზე, რომლის დათმობაც შიშით შეპყრობილ თვითმპყრობელს რამდენჯერმე გადაუწყვეტია.

გრიშკა რასპუტინის გარყვნილი, მეძვიე ბუნების გაშიშვლება მისი ბინძური ხორცისა და სულის ასეთად წარმოდგენა ლახვარს

სცემს თვითმპყრობელობას, მის სახელს. მკითხველი ადვილად მიდის შემდეგ დასკვნამდე: თუ მეფესა და დედოფალზე, მინისტრებზე და მთელ სახელმწიფოზე უდიდეს გავლენას ახდენდა ისეთი ზნედაცემული პირუტყვი, როგორც რასპუტინი იყო, რაღა ვილაპარაკოთ ასეთ ხელისუფლებაზე. ასეთ სახელმწიფოზე, ასეთ წესწყობილებაზეო. ეს არის ცარიზმისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.

მაგრამ განა მარტო მეფე და დედოფალი და მათი მესია, სულიერი მამა გრიშკა არიან ასეთი? მთელი სახელმწიფო აპარატი გადაგვარებულია. სამხედრო მინისტრ სუხომლინოვიდან დაწყებული და სხვა დანარჩენი მოხელეებით გათავებული ყველანი მლიქვნელნი. გამყიდველნი. ლაქუცები, ფარისევლები და უზნეონი არიან. ეს მდგომარეობა მწერალმა კარგად გააშიშვლა როგორც სამეფო კარზე კვაქისა და გრიშკას სტუმრობის ეპიზოდში, როცა დარბაზში თავმოყრილი მოხელენი ასე ორად იკაცებოიან წელში, კისრებს იგრძელებენ და ცდილობენ როგორმე გამოჩნდნენ. რათა ეგებ წყალობა მიიღონ და ცოტათი მაინც ზემოთ აიწიონ სამსახურებრივ კიბეზე. ისე სხვა ეპიზოდებშიც, მაგალითად, რასპუტინის საყვარელი ქერივის ოჯახში მოწყობილი თავყრილობისას, როცა გრიშკას თვალების ბრიალითა და ბნელიანი ლულულის წყალობით ზოგი მინისტრი იხსნება. ზოგი ინიშნება და ა. შ.

რა სახელმწიფოა ეს, რა საზოგადოებრივი წყობილებაა ეს, სადაც ქვეყანას ასეთი ადამიანები განაგებენ?

მ. ჭავჭავიძელმა არ დაინდო სასულიერო წოდებაც, რომელიც ცარიზმის ერთ-ერთი ბურჯთაგანი იყო. რომანში ეს წოდება გამათრახებულია არა მარტო მისი მამამთავრის — რასპუტინის ესოდენ პირუტყვად გამოყვანით, არამედ სინოდის სხვა წარმომადგენლების, ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტების გაიძვერა, ხარბი, გაუმაძღარი და მრუში სახეების დახატვითაც. მათ ქრისტეს რწმენა მხოლოდ ნიღბად და საფარად გაუხდიათ, რათა თავიანთი კარიერისტული, ბატონკაცური, უძღები სურვილები დაიკმაყოფილონ.

მარტო სასტუმრო „არკადიის“ დარბაზში გაღეშილი რასპუტინის ზომაგადასული გარყვნილება, მეძავ ქალებთან აღვირახსნილობა, პირუტყვის დონემდე დასული უზნეობა, ადამიანისთვის წარმოუდგენელი უტიფარი, ამაზრზენი ქცევა რომ გავიხსენოთ, ესეც კმარა იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ გვიჩვენებს მწერალი სასულიერო წოდებას, მის მამამთავარს, რუსეთში ქრისტეს მოადგილეს... ეს არის მწერლის იდეური პოზიციის მაჩვენებელი, რომელიც მკითხველისათვის სრულიად ნათელი და გასაგებია.

მწერალი თავის რომანში აშიშვლებს იმ საზოგადოებრივ მო-

რალსაც, რომელიც ცარიზმის პირობებში იყო გაბატონებული. ამ საზოგადოებაში ადამიანს ადამიანი მხოლოდ მაშინ უნდა, როცა მას აქვს ქონება და ძალა-უფლება, როცა მას ხელისუფალნი წყალობის თვალთ უყურებენ. როგორც კი ადამიანს საქმე ოდნავ გაუმრუდება, ყველა ზურგს აქცევს, ყველა უეკრავს თავისი სახლის კარს... გავიხსენოთ კვაკის დროებითი მარცხი პეტერბურგში. მას ზურგი შეუქციეს მინისტრებმაც, მოხელეებმაც, ვაჭრებმაც და ქალებმაც კი. აგრეთვე გავიხსენოთ რომანის ის ეპიზოდები, სადაც მეფე და რასპუტინი კვაკის სწყალობენ და ის მლიქვნელობა, ლაქუცი, რომლითაც კვაკის მაშინ ხვდებიან მინისტრებიც, ვაჭრებიც, მოხელენიც, ქალებიც... ჩვენ ვხედავთ, რომ იმ საზოგადოებაში ადამიანს კი არა აქვს ღირებულება, არამედ მის ფულს, მის ძალას... თვითონ ადამიანი კი ჩალის ფასადაც აღარ ღირს, როცა ყველაფერ ამას მოაკლდება.

მკითხველი ამის გამოც იმსკვალება ზიზღითა და ანტიპატიით ასეთი საზოგადოების მიმართ. ესეც მწერლის იდეურ პოზიციაზე მიგვითითებს. მ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, მისი გაბედული რევოლუციური შემართება რუსეთის პირველ რევოლუციაში უკვალოდ არ წამლილა. მწერალს მეფის ხელისუფლებასთან საკუთარი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი. სწორედ მეფის ხელისუფლება იყო, რომ პირადად მას ორჯერ ციხე მიუსაჯა, სწორედ მეფის ხელისუფლება იყო, რომ მწერალი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გაქცეულიყო. რათა სიცოცხლე ეხსნა, სწორედ მეფის ხელისუფლება იყო, რომ მწერლის მშობელ ხალხს ავიწროვებდა და სულს უხუთავდა და ამ ანგარიშების გასწორება იყო საჭირო. მ. ჭავჭავაძის იდეა არ აყოვნებს: მეფის ხელისუფლების დამხობიდან სულ რამოდენიმე წლის შემდეგ, 1924 წელს წერს ამ რომანს და მასში სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს საძულველი ცარიზმის წინააღმდეგ. იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ რეჟიმს.

ყოველივე ეს მიხ. ჭავჭავაძის ახასიათებს, როგორც პროგრესულ, რევოლუციურ პოზიციაზე მდგარ მწერალს, რომელიც ახლო ისტორიული წარსულისადმი ესოდენ სწორ და ჩვენი დროის შესაფერ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამის შეუმჩნეველობა და შეუფასებლობა შეუძლებელია.

მეფის ხელისუფლების, მისი რეჟიმის, მისი ყველა რგოლის ასეთი გარყვნილი, დაცემული და საძულველი ჩვენების გვერდით მწერალი რომანში გვიხატავს რევოლუციურ ძალებს, რომელიც არყვეს მეფის ტახტს, რომლისაც ეშინია მეფის ხელისუფლებას და რომლის წინააღმდეგაც წარმართავს ბრძოლის ყველა საშუალებას.

რომანში რევოლუციური ძალები, მათი ზრდა და დავაჟკაცება ნაჩვენებია ისტორიული სიმართლით. თუ ერთის მხრივ ნაჩვენებია 1905 წლის მღელვარე რევოლუციური დღეები, რამაც მეფის ხელისუფლებას ფერი აცვლევინა, იქვე ვგრძნობთ, რომ რევოლუცია ჭერ იმდენად ძლიერი როდია, რომ დაამხოს არსებული წყობილება. მოვლენების ასეთი დახატვა კი სრულიად შეესაბამება ისტორიულ სიმართლეს, რაც ჩვენ პარტიის ისტორიიდან თუ სხვა მასალებიდან ვიცით, და ამიტომ წყაროების დამოწმებისაგან თავს ვიკავებთ.

რომანში ასევე ისტორიული სიმართლით, კონკრეტული ფაქტების მოშველიებით თუ მინიშნებებით ნაჩვენებია რეაქციის მძვინვარება — სტოლიპინი და მისი დამქაშები. ეს ცნობილი რეაქციონერი კონკრეტულადაც არის დახატული.

პირველი მსოფლიო ომი რომანში ნაჩვენებია ნამდვილად მსოფლიო მასშტაბით. ამის გვერდით გახსნილია რევოლუციის დამოკიდებულება ამ ომისადმი.

ასევე სრულადაა მოცემული თებერვლის რევოლუციის ამბები და პარტიათა შორის დაპირისპირება, ორხელისუფლებიანობა, დროებითი მთავრობის მიერ მშრომელთა მასების მოტყუილების ისტორიული ფაქტი, პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა უკმაყოფილება, დროებითი მთავრობის მაქინაციები, რასაც შემდეგ აღშფოთება და რისხვა, დროებითი მთავრობის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოყვა.

ყოველ ამ ფაქტსა და მოვლენაში სიმპათიით მოჩანს მუშათა კლასი, ჯარისკაცთა მასები, გლეხობა, მათი რევოლუციური ავანგარდი, რომელიც ამ მასების მოძრაობას წარმართავს. სმოლნის ამბები, აქ მომუშავე ბოლშევიკ მუშათა სახეები, სმოლნის შედარება ფუტკარის სკასთან და სხვა მრავალი შტრიხი და დეტალი, ააშკარავებ მწერლის სიმპათიას რევოლუციისადმი, მისი ნების, ურყევი ძალისა და განუხრელი წინსვლის, გამარჯვების ისტორიული ფაქტისადმი.

ასევე დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს მ. ჯავახიშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიულ ამბავს, მუშათა კლასის გუგუნს, დიდ ცვლილებებს ქვეყნის ცხოვრებაში. ძალთა გადაადგილებაში, ახალი ცხოვრების დაწყებაში. და ყველგან აეტორი ახლის მხარეზეა, მისი მთელი სიმპათია იმისკენ არის მიმართული.

ყოველივე ეს აგრეთვე ნათლად მეტყველებს მწერლის იდეურ ხაზზე, ჩანაფიქრზე, სხვაანაირად არც შეიძლება — ვინც ასე ამართავებს და არცხვენს მეფის ხელისუფლებას და მის ავანჩავანს, არ შეიძლება ის სიხარულით არ ხედებოდეს მის შემცველ ახალ

ცხოვრებას, რომელმაც ძველზე გაიმარჯვა. ეს ლოგიკურიცაა და ნამდვილიც.

ამიტომ არის, რომ მწერალი კვაპის პარპაშს ბოლოს სწორედ მაშინ უღებს, როცა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მყარ ნიადაგზე დადგა, საბოლოოდ გაიმარჯვა.

რომანის დედააზრის მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ კვაპიც უნდა დაღუპულიყო, ფიზიკურადაც უნდა მომკვდარიყო, ნაწარმოების სიუჟეტის ლოგიკური მიმართულება ისეთია, რომ ასეთი დასასრული სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. მაგრამ განა არ დაიღუპა კვაპი? რაღაა მისი სიცოცხლე, რაღას წარმოადგენს ის? ბედმა მას წილად ისღა არგუნა, რომ კასრივით დამრგვალებულ ლიზა ხანუმს ხორციელი ჟინი დაუოკოს, რისთვისაც იგი გასამრჩელოს იღებს... ამაზე უფრო დაცემა, ამაზე უფრო დაქვეითება, შერცხვენა და მწარე ხვედრი რაღა შეიძლება მოიძებნოს. კვაპი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის საქმეებს აკვარახტინებდა, რომელმაც მეფის კარზეც კი ასე ინავარდა, რომელსაც არც ლამაზები და არც მილონები, არც სახელი და არც სილამაზე არ აკლდა, ახლა ვილაც ლიზა ხანუმის საყვარელია.

ამრიგად, მწერალმა გაცილებით მწარე განაჩენი გამოუტანა თავისი რომანის მთავარ გმირს, ვიდრე ის იქნებოდა, რომ ის ბოლშევიკებს დაეხვრიტათ, ან ციხეში ჩაეღობათ. თვითონ კვაპიც გრძნობს თავის სავალალო მდგომარეობას და ცხვირჩამოშვებული დადის, „დაბორიალებს და გულში იღრინება“, „ზოგჯერ გულის დარდს ბესოს გადაუშლის და ქვრივი დედაბერივით აწუწუნდება, ზოგჯერ კი ქურდულად კუთხეში მიიმალება, აკვნესდება და ჩუმად აცრემლდება“¹.

დამახასიათებელია რომანის ბოლო სტრიქონები, რომლებშიც მწერალი თითქოს კითხვებით მიმართავს კვაპის: რა გატირებს, რად გიკვნესის ეგ ჭრელი გული, რად გებურება ეს მჭრელი თვალები, რად გეკმუნებნება ეგ გაშლილი შუბლიო. მწერალი იქვე ერთხელ კიდევ ამხელს კვაპის ბუნებას: შენც არ იცი, რა გინდაო...

რომანის ბოლო სტრიქონები ცალ-ცალკე ცოტა ძნელი გასაგები ხდება, მაგრამ მათი საერთო აზრი, ჩვენი ფიქრით, ასეთია: ადამიანი. რომელსაც არც სამშობლოს სიყვარული და მისი ინტერესები ამოძრავებს, არც მეგობრობა და ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარული გააჩნია, არც კეთილშობილება და საზოგადოებისადმი მოვალეობის გრძნობა გააჩნია, ადამიანი, რომელიც ყველას და ყველაფერს ყოველთვის თავის სასარგებლოდ, სარფის მიზნით, პირადი

სიამოვნებისა და კაპრიზების დასაკმაყოფილებლად იყენებს, ღირსი არაა არც შებრალებისა, არც თანაგრძნობისა. ასეთი ადამიანი არც იმის ღირსია, რომ სამშობლოში დარჩეს, მისი მიწა ტყეპნოს. კიდეც მეტი, ასეთი ადამიანი იმის ღირსიც კი არაა, რომ მშობლიური მიწა დაეყაროს მას. ეს კი ყველაზე მწარე გამეტებაა, ყველაზე დაუნდობელი გულიდან მოგლეჯაა. კვაჭი ამის ღირსი იყო და, რასაც იმსახურებდა, ის მიეზლო კიდეც. ეს საერთოდ კვაჭობის დაგმობა და მხილებაცაა.

ასე გვესმის ჩვენ რომანის დამაგვირგვინებელი სტრიქონები და მიგვაჩნია, რომ ეს ფინალი ბუნებრივი და ლოგიკურია, რადგან მთელი რომანი ამ დასკვნის გაკეთებისთვის ამზადებდა ნიადაგს.

ასეთ მძაფრ ფერებში, ისტორიული სიმართლით ასახა მ. ჭავჭავიძემ დიდი საზოგადოებრივი ძერები, რომლებიც „კვაჭი კვაჭანტირაძის“ დაწერის საფუძველი გახდა.

„ჯაყოს ხიზნები“

მის. ჭავჭავიძელის რომანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მიმზიდველი და მრავალი საკითხის აღმძვრელია „ჯაყოს ხიზნები“ მისადმი ინტერესი იზრდება არა მარტო იმიტომ, რომ მასში საოცარი ოსტატობით არიან გამოკვეთილი ტიპები, გამოძერწილია ხასიათები და საერთოდ უბადლო ხელოვნებით არის ნაქანდაკევი ყოველი ეპიზოდი თუ ფრაზა, არამედ იმიტაც, რომ მასში დასმულია და თავისებურადაა გადაჭრილი რთული, მტკივნეული, იმ დროისათვის დამახასიათებელი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა მიმართ ინტერესი დღესაც არ შენელებულა.

შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მ. ჭავჭავიძელის „ჯაყოს ხიზნები“ ზოგ რამეში შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანს“. აქ პარალელი უპირველესად გაივლება როგორც შესაბამისი ეპოქების ყველაზე საჭირბოროტო საკითხების გაშუქებით, ისე იმ დიდი რეაქციით, რაც ამ ორივე ნაწარმოების გამოქვეყნებას მოყვა თავ-თავის დროზე.

რომანში მოვლენები ვითარდება ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისის ფონზე. მწერალი თავის თანამედროვეობას გვიჩვენებს ისე, რომ ასახული მოვლენები ჭერ კიდეც ცოცხლობენ; ისინი ისტორიის კუთვნილება ჭერ კიდეც არ გამხდარა. ამიტაც იყო გამოწვეული, რომ იმდროინდელმა მკითხველმა ნაწარმოებში დაინახა მისი დღევანდელი, ამაღლევებელი და გულთან ახლოს მისატანი ამბები. სწორედ ამანვე განაპირობა რომანით დიდი დაინტერესება

როგორც ლიტერატურული კრიტიკისა, ასევე მთელი საზოგადოებისა. ამას მოყვა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, ხშირად ერთმანეთის საპირისპირო, უკიდურესად საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმა. ეს მოსაზრებები ზოგჯერ ალტაცებას გამოხატავდა, ზოგჯერ კი ლანძღვასაც არ ერიდებოდა. ეს არც გასაკვირია, რადგან ბევრ დიდ ნაწარმოებს ასეთი ხედრი სდევს.

აქ არ განვიხილავთ ყველა იმ მოსაზრებას, რაც რომანის გამოსვლისთანავე გამოითქვა ლიტერატურულ კრიტიკაში და საერთოდ პრესის ფურცლებზე, რადგან საერთო მიმოხილვა ცალკე თავში გვაქვს. შევეცდებით ჩვენი დამოკიდებულება და თვალსაზრისი ჩამოვყალიბოთ განსახილველი ნაწარმოების ირგვლივ.

რომანში ასახული პერიოდი ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში ერთი უმნიშვნელოვანესია. იგი აღსავსეა დიდი ისტორიული მოვლენებით, გარდაქმნებით, სოციალურ-პოლიტიკური ძვრებით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებულია, მშრომელებს ძალა-უფლება თავიანთ ხელში აუღიათ. ყოფილი გაბატონებული კლასები წყლიდან ამოყრილ თევზებს დამსგავსებიან. ზოგი მათგანი უკვე დაღუპულია, ზოგიც განწირულია... ამ გარდაქმნელ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს თან ახლავს ე. წ. „გვერდითი მოვლენებიც“. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მედროვეობა ზოგიერთი გაქნილი ადამიანისა, რომლებიც მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ჩქარობენ, სარგებლობენ არეულობით და უპატიოსნო გზით ძალა-უფლებასა და ქონებას იხვეჭენ. ასეთია ჭაყო.

რომანში ნაჩვენებია, რომ საქართველოში ცხოვრება ძირფესვიანად იცვლება. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი ახლებურად მოაწყო. ყოფილი ყმები, დატაკი გლეხები მიწას იღებენ და საკუთარ ცხოვრებას იწყებენ, ხოლო ყოფილი მებატონე თეიმურაზ ხევისთავი ისე დაცემულა, რომ თავისი ნამოურავის ხიზანი ხდება, რათა თვითონ და მისმა ცოლმა მარგომ ლუკმა იშოვონ. საზოგადოების ამ ორ უკიდურესად საწინააღმდეგო ფენას შორის ჩამდგარა გაიძვერა ჭაყო, რომელიც გლეხებსაც ატყუებს და თავადსაც, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების მოტყუილებაც მოინდომა და დროებით მოახერხა კიდევ, მაგრამ საბოლოოდ იგი მშრომელთა და მათი ხელისუფლების რისხვას ვერ ასცდა, რადგან ნიღაბი ჩამოგლიჯეს და მისი ნამდვილი სახე გააშიშვლეს.

დაცემულთა, დამარცხებულთა, ყოფილთა კლასის წარმომადგენლები რომანში არიან თეიმურაზ ხევისთავი და მისი მეუღლე მარგო.

ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელნი, მისი ერთგულნი და ცხოვრების მთელი ტვირთის საკუთარ ზურგზე მატარებლები რო-

მანში არიან ნინია, თედო და სხვა გლეხები. რომელნიც პატიოსანი შრომითა და ხალასი გულთ ხასიათდებიან.

მსუნავი, ხარბი, თაღლითი, თეთრებილა და შავგულა, უპატიოსნო და წამგლეჭი ადამიანის ტიპია ჩაყო ჭივანჭილი, რომელსაც პირუტყვეული მოთხოვნილების გარდა არაფერი არ გააჩნია. იგი ორ ფეხზე მოსიარულე ნადირია, რომელიც საზოგადოებას მტაცებლად მოვლენია.

ნაწარმოების გმირთა გალერეა ამ სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დავყოთ. მათი ცალ-ცალკე დახასიათება უფრო ნათლად წარმოგვიდგენს საქმის მთელ არსს.

თეიმურაზ ხევისთავი სახელგანთქმულ მებატონეთა უკანასკნელი ნაშეირია. მისი წინაპრები საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ. მათი სახელი ქუხდა და ხმიანებდა. ქართლის უძლიერესი და გავლენიანი გვარი იყო ხევისთავების გვარი.

თეიმურაზმა მემკვიდრეობით დიდი ქონება, ადგილ-მამული, სასახლე და კოშკი მიიღო. მას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო განათლება და ასეც მოხდა. განათლებული, მდიდარი, გავლენიანი თეიმურაზი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმულა. მას კალამიც უჭირდა. ცოდნაც ხელს უწყობდა და ქონებაც, რათა ქვეყანას გამოსდგომოდა, მაგრამ უხერხემლობა, პოლიტიკური სიბეცე, უნებისყოფობა და უბადრუკობა, წიგნის ჩრჩილად გადაქცევა მას თანდათანობით აკნინებს და აბეჩავებს. მას არც პოლიტიკაში უმართლებს, რადგან მოვლენებს ალღო ვერ აუღო; ვერც საკუთარი ქონების მოვლა და დაცვა შეძლო; ვერც სამშობლოს გამოადგა და არგო რამე; ვერც ცოლი დაიცვა პირუტყვი ჩაყოსაგან, რომელმაც მარგო ჯერ ხასად დაისვა. მერე ცოლადაც გაიხადა და შემდეგ აუტანელი ჯაფის უღელში შეაბა.

რომანის პირველი სტრიქონებიდანვე ვეცნობით მთავარ გმირს მწერალი თავიდანვე ხმარობს ისეთ ფერებს თ. ხევისთავის დასახასიათებლად და მისი პორტრეტის დასახატავად, რომ ნათელი ხდება. რა ადამიანთან გვექნება საქმე. რომანის მთელ მანძილზე ყოველი ახალი სიტუაცია, რომელშიაც ხევისთავია ჩაყენებული, და ამ სიტუაციების მიმართ გმირის რეაგირება-მოქმედება თანდათან ასრულებს გმირის ხასიათს, ყოველ ახალ ეპიზოდში ახალს ვიგებთ მის შესახებ, რაც ერთმანეთს ემატება და სრულყოფილად აქანდაკებს მის სახეს.

თეიმურაზი რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია. მას მიყავს ნაწარმოების მთავარი სიუჟეტური ხაზი.

რომანის პირველივე სტრიქონიდან ვეცნობით თეიმურაზს. იგი ესალმება ჯაყოს, რომელიც თბილისის ქუჩაში შეხვდა. მწერალი ამ გმირს იმთავითვე, სულ რამდენიმე სტრიქონში ასე გვიხატავს. ნაბატონევი თეიმურაზ ხევისთავი ენას უკიდებს: „გამ...მმარჯვებდა ჯაყო!“, „-საჟ...კკვეირველია!.. საოც...ცუარია!..“ მწერლისავე თქმით, ნაბატონევი თეიმურაზს ჰქონდა „დამდნარი, დონდლო და უძვლო ხელები“, იგი „ბუმბულზე გაზრდილი და წიგნებით შექმნილი იყო“.

მწერლის თქმით, თეიმურაზ ხევისთავი იყო „ახალგაზრდა მოხუცი“, „ნათავადარი, ნამამულევი, ნამოდვაწარი და ნავექილარი“. აქ ყველგან წინდებული „ნა“ არის ნახმარი, რაც მის ნამყოფობაზე მიუთითებს. ხევისთავს სოფელ ნაშინდარში ლიახვის ნაპირას ერთ დროს ჰქონდა პაპისეული ციხე-დარბაზი, ქვითკირის ბოსელი, მუხის ბელელი, თავმონგრეული კოშკი, მარანი, ხუთიოდე დღიური ბაღვენახი, კაკლის დიდი ქალა და სამიოდე ათასი დღიური სახნავი. ამას გარდა ლიახვის სათავეში, როკის ხეობაში მასვე ეკუთვნოდა ოთხი ათასი დღიური ნაძენარი.

ეს უზომო ქონება და მამული თეიმურაზს დაუტოვა მამამისმა ავთანდილმა, რომელიც მამულსაც და ტყესაც დიდი გულმოდგინებით უვლიდა. მაგრამ მოკვდა ავთანდილი, მას მიჰყვა მეთუღლეც და მემკვიდრე თეიმურაზმა თავისი სამკვიდროს უაზრო განიავება დაიწყო: ჯერ იყო და მოურავს — პეტრე დევედარიშვილს დაავალა, ხალხს თავი დაანებე, ღალას ნულარ გამოართმევო, რადგან ტყეც და სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნისო. ერთი შეხედვით, ეს დემოკრატიული განწყობილება კიდევაც უნდა მოგვწონდეს, მაგრამ აქ საქმე სხვაგვარად არის. თეიმურაზი ამას აკეთებს პოლიტიკური მტრების შიშით, რომ არ გალანძლონ გაზეთებში. თეიმურაზი ამას სჩადის არა ხალხისადმი სიყვარულით, არამედ საკუთარი სიმხდალისა და უსუსურობის გამო. ამიტომაც, რომ ჰქვიანი მოურავი პეტრე მიხვდება თეიმურაზის უნიათობას და მას თავს ანებებს, ხოლო ახალი მოურავი ჯაყო ჭივაშვილი მოტყუებით, თაღლითობით თეიმურაზის ქონებას ხელთ იგდებს, ეპატრონება და გლუხებს ორმაგ ტყავს აძრობს ზურგზე. ასეთ ვითარებაში თეიმურაზისადმი სიმპათიაზე ლაპარაკი ზედმეტია. მისი მცონარობა და უსუსურობა მხოლოდ სიბრალულსა და ზიზღს იწვევს.

თეიმურაზს არა თუ თვითონ არ შესწევს უნარი მოუაროს შთამომავლობით მიღებულ დოვლათს და დაიცვას ისეთი მტაცებლისაგან როგორც ჯაყოა. არამედ სხვის ნათქვამზეც ვერ ახდენს რეაგი-

რებას. როცა ნაშინდრის მღვდელმა ივანემ თეიმურაზი გააფრთხილა — ჭაყო გატყუებსო, შენი მამული ჭაყომ ბრინკას კი არ მიყიდა, არამედ თვითონ იყიდა, ის ბრინკა კი ჭაყოს ბიძაშვილია, ტუტუცი და ლოთი, რომელსაც არაფერი შეუძლიაო; შენგან მუქთად ნაყიდი მამული ჭაყომ მეორე დღესვე ვინმე ფარასტაშვილს ექვსი ათას მანეთად მიჰყიდაო, ჭაყო რომ გეუბნება, შენს როკის ქალაში ბუჩქიც არაა — სინამდვილეში იქ ასი ათასი უზარმაზარი ნაძვი, ფიჭვი და სოკი დგასო,.. ყოველივე ეს თეიმურაზმა ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა. იმდენი უნარი და ხალისი არ აღმოაჩნდა, რომ ნათქვამი შეემოწმებინა და ზომები მიეღო. რატომ? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, იგი ფიზიკურადაც უსუსური იყო, ცხენზე ვერ ჯდებოდა და თავისი ძვირფასი ნაძვნარის სანახავად არასოდეს ასულა; მეორეც, — „სწორედ იმ დროს თავისი სახლის ქერის თავზე სამი ყუთი აღმოაჩინა დამპალ და ჩრჩილ-ნაქამ გუჯრებით და ძველი წიგნებით გავსებული. თეიმურაზმა ამ გუჯრებსა და წიგნებში ისე ღრმად ჩაჰყო ცხვირი და ისეთი გულმოდგინებით ჰქექდა იმ ნაგავს. რომ კინალამ თვითონაც დალპა, გაჩრჩილდა და გაქიავდა“.

ამ ეპიზოდით მწერალმა პირუთენელი სიმართლე გვითხრა, რომლის აზრიც შემდეგია: ვინც მხოლოდ ძველით სულდგმულობს. მხოლოდ უკან იხედება, მხოლოდ წარსულს ქექავს და დღეს კი არაფერს ქმნის, აკეთებს, ის განწირულია დასაღუბად, იგი ცხოვრებას არ გამოადგება, ასევე — მას არ გამოადგება ცხოვრება. მართლაც, ვილაც ჭაყო — უმეცარი და ხეპრე, უსწავლელი რეგენი ნასწავლ, განათლებულ ხევისთავს საცხოვრებელს ხელიდან აცლის და მშრალზე სვამს, ამ დროს კი ხევისთავი ძველ გუჯრებს ქექავს... განა ეს კაცური საქციელია?! განა თეიმურაზის წინაპრებმა ეს მამულები, ტყე, სახლ-კარი და ბაღ-ვენახი, მარანი და კოშკი ძველი წიგნების ქექვით მოიპოვეს? განა ისინი თავისი დროის შესაბამისად არ ირჩებოდნენ? განა ისინი თავიანთი ეპოქის შესატყვისად არ მოქმედებდნენ? თეიმურაზს კი სწორედ მოქმედების, საქმის კეთების უნარი აკლია, იგი უფხო და უხერხემლო არსებაა. მას ოცნების მეტი. წარსულზე ოხერისა და უნიადაგო წადილების მეტი არაფერი შეუძლია. ესაა თეიმურაზის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი.

თეიმურაზი ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა მისი კლასი თავს კარგად გრძნობდა, როცა მას შეეძლო ხელსაყრელი გარემო პირობებით ესარგებლა და თავისი საქმეები მოეწესრიგებინა, ხელიდან უშვებს ამ შესაძლებლობას. ის არც არსებულ წყობილებას ეერთგულება და ამით იმ ტოტს ქრის, რომელზეც თვითონვე ზის, და ვერც ხალხს არგებს რამეს. პირიქით, თავისი უსუსურობითა და უნიათო-

ბით ხელს უწყობს „ტყვიდან გამოვარდნილი დათვის“ — ჭაყოს გამდიდრებას, რასაც შედეგად მოჰყვება მშრომელების დაწიოკება და შევიწროება. საბოლოო ანგარიშში ნებისთ თუ უნებლიედ, თეიმურაზი მშრომელთა ჩაგვრის ხელშემწყობად გამოდის და სხვა არაფერი. ასე რომ, მისი „დემოკრატიული“ იდეალები სიტყვით სხვაა, ხოლო საქმითა და პრაქტიკული შედეგით კი სხვა გამოდის.

თეიმურაზი ნაშინდარში ზაფხულობით აღიოდა, ისიც ცოტა ხნით ჩერდებოდა, მალე თბილისისაკენ გამორბოდა, სადაც საცხოვრებელი ბინა კარგი ჰქონდა. მწერლის თქმით, თეიმურაზს „თბილისში მოუთმენლად ელოდებოდნენ მკვლე გაზეთი, კოტრი კოოპერატივი, ძიღმორეული კულტურული საზოგადოება, სახალხო სახლი, უფასო კურსები და ათასი უთავბოლო ჩხირკედლობა, ფუსფუსი, ჩურჩული, ლაყბობა და ენის მოსაფხანნი ამბავი“. ასეთია ხევისთავის „საქმიანობა“ თბილისში.

რომანის ავტორი გვიამბობს, რომ თეიმურაზი „რწმენით“ უკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი იყო“. მართალია, იგი არ ეწეოდა მუდმივ პოლიტიკურ მუშაობას, მაგრამ ერთ ჯგუფში მაინც ყოფილა გარეული და ზოგჯერ სახიფათო საქმეშიც „ოდნავ თითსაც ურევდა“. ხევისთავი უნიჭო კაცი როდი ყოფილა, მას „კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საგნის ცოდნა — ღრმა და ფესვიანი...“ მწერალი აცხადებს, რომ თეიმურაზს მთელი თბილისი იცნობდაო. ის ყოფილა „ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამკვეთი საზოგადო მოღვაწე. თუმცა ლაპარაკში ოდნავ ენას უკიდებდა, მაგრამ ბორძიკი არაფერს არ ჰენებდა, ზოგის თქმით. კი — უხდებოდა კიდევაც“.

ხევისთავს ერთნაირი ხალისით შეეძლო ეკამათა მრავალ საკითხზე. ავტორი ამ საკითხებს ასე ჩამოთვლის: სუდანის ირიგაციოზეო, ინგლისის პოლიტიკაზე, ეშმაკის კუნძულზე, გერმანელების დამკვიდრებაზე აფრიკაში, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალებაზე, ჩარტისტულ მოძრაობაზე, ახალზელანდიელი ქალების საარჩევნო უფლებებზე, მეცნიერულ გამოკვლევებზე, კომბის ან ლოიდ ჯორჯის გეზზე, ვინმე პოლიტიკური მოღვაწის სიტყვაზე და ასე გაუთავებლად, რაზეც გნებავთ... მაგრამ ამ „ყოვლისმცოდნე კაცს“ არ შეეძლო რეალურად შეეფასებინა მის ცხვირწინ მომხდარი ამბები და, ცხადია, მით უმეტეს არ შეეძლო რაიმე ემოქმედა პრაქტიკულად.

თავისი ახალი მოურავის, ჭაყოსადმი, იგი შეგონებებს მიმართავდა, გაუბედავად ურჩევდა, რომ გლეხებს ლმობიერად მოქცეო-

და, მაგრამ ჯაყო ხეპრულ პასუხს როდი აგვიანებდა. აქ ასეთი დიალოგი შეიძლება მოვიშველიოთ:

„—ჯ...ჯაყო, რამდენჯერ მითქვამს შენთვის — გლეხებს ლბილად მოექეცი მეთქი.

— ლბილად კი არა, ახლა იმ ტურტლიანებს გაკოცებ კიდევცა!“
ხოლო, როცა თეიმურაზი ჯაყოს ურჩევს ასე ნუ იქცევი, თორემ ჩემი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გაზეთებში დამწერენო, ჯაყო მარილიან რჩევას აძლევს თავის ბატონს:

— „რა პასუხი? ჯაყო გითხრამს: ასე დასწერებდე შენ გაზეთში: წადი, თქვენი დედა და მამა... თქო!“

ნაწარმოების არა ერთი და ორი ეპიზოდიდან ვერწმუნდებით, რომ ჯაყო თავის ბატონს რევოლუციამდეც კადნიერად და ხეპრულად ექცეოდა, ბევრს უბედავდა. ეს კი იმიტომ, რომ ამ ბანჯგვლიანმა დათვმა ადრე იგრძნო თეიმურაზის სისუსტე და თავისი უპირატესობა, რაც ძლიერ ორგანიზმსა და ღონეში, ამასთანავე ცხოვრებისეულ „ვირეშმაკობაში“ გამოიხატებოდა.

თეიმურაზი პოლიტიკის და მსოფლიოს ამბებს ეპოტინებოდა, სხვათა საქმეების მოგვარება-მოწესრიგებას ლამობდა, როცა თავისი საკუთარი საქმეების გაძლოლაც კი არ შეეძლო. მას ყოველ ნაბიჯზე თვალს უხვევდა და ატყუილებდა ჯაყო: ხან მოსავალი არ მოვიდაო, ხან გლეხებმა ღალა არ მომცესო, ხან ყაჩაღები დაგვეცხენო და ასე და ასე. ყველა ეს მოჩმანული ამბავი სჯეროდა ხევისთავს. მთელი მისი ქონება და ავლადიდება, საგვარეულო განძიც კი ჯაყომ ჩაივლო ხელში, თეიმურაზი კი ბრმა იყო და ვერაფერს ხედავდა.

თეიმურაზის ქონებრივ გადატაკებას უკვე რევოლუციამდე დაედო სათავე და ამის მიზეზი იყო არა გარემო, პოლიტიკური წყობილება, არამედ საკუთარი უნიათობა და დაჩიაეება, ფიზიკური უძლურება და ცხოვრებისეული ალღოს უქონლობა, პრაქტიკული მოქმედების უნარის უქონლობა, დაქიაეება, ენადგაკრეფა და ათასნაირი უსაფუძვლო გატაცება, რომელიც არც ხალხს, არც თავად მას არაფერს აძლევდა წაგებისა და ზარალის მეტს. ასე, რომ ხევისთავის დაცემის, დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზიმის პიროვნებაში, სუბიექტურ მიზეზებშიც უნდა ვეძებოთ. ცხადია, შემდეგში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება და თეიმურაზის დასაღუპად ობიექტური მიზეზებიც მზალდება, მაგრამ ეს შემდგომ ხდება. ამაზე ქვემოთ.

არანაკლებ საინტერესოა გავიხსენოთ თეიმურაზის, როგორც მამაკაცის, ქმრის სახე. ეს შეავსებს ჩვენს წარმოდგენას მის პიროვნებაზე, დაგვანახებს მის სისუსტესა და უძლურებას, რომელიც ჩვენ ამ გმირის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მივიჩნიეთ.

ჯერ იყო და, ვითომ საზოგადოებრივი საქმეებით გატაცებულს— ცოლის შერთვა არც კი გახსენებია, სანამ სხვებმა არ ურჩიეს და მანაც გულში არ ჩაიგდო ეს აზრი. მხოლოდ სხვისი ნათქვამის შემდეგ დაუსვა თავის თავს კითხვა „— მართლა, რატომ ც...ცოლს არ შევირთავ?“ ეს ფაქტი უკვე ბევრს ამბობს თეიმურაზზე. სულ მალე იგი შემთხვევით შეხვდა მარგო ყაფლანიშვილს, რომელიც თეიმურაზით ობოლი და დიდი გვარის ჩამომავალი იყო. უცეცხლო, მხდალმა თეიმურაზმა ძლივს გაუბედა მარგოს, რომ სასიყვარულო სიტყვა ეთქვა. ამას მოყვა ქორწილი, მერე ნაშინდარში ასვლა და იქ დიდი ქეიფები. მარგოს ნაშინდარი მოეწონა, იქ დიდხანს დარჩენა სურდა, მაგრამ თეიმურაზი საქმეებს მოიმიზნებებს და მალე თბილისში ბრუნდებოდა.

როცა ახალგაზრდა ქალი, ცოლი ქმრისაგან ალერსს მოელოდა, თეიმურაზი გაზეთებში ცხვირჩაყოფალი იქდა. „დაღლილი მარგო თეიმურაზს ეხვეოდა, თეიმურაზი კი უნინან ბავშვივით ისევ თავისას გაიძახოდა: „—მარგო, მომეცი მეთქი ჩემი გაზეთი.. მარგო, გეყო ჩემი წვალება!.. მომაწოდე გაზეთი და დამშვიდდი!..“ გასაგებია, თუ ვინ ვის აწვალებდა, ისიც გასაგებია, რომ სიცოცხლით სავსე ქალი სიტყვებით ვერ დამშვიდდებოდა... მაგრამ უსიცოცხლო თეიმურაზი ამას ვერ ხვდებოდა. მწერალი თვითონ გვეუბნება, რომ: „მუდამ დინჯმა, ცივმა და ქვეყნის ბედით გატაცებულმა წიგნის კიამ თანდათან გადააჩვია მარგო მუსიკას, სიმღერას, ცეკვას, ანცობას, თავის მოგიჟიანებას, სიყვარულის სიცილსა და სიცოცხლის ლაღობას“

მწერალი საგანგებოდ უსვამს ხაზს თეიმურაზის მამაკაცურ სისუსტეს და სწორადაც იქცევა. ამას შემდგომში თავისი გამართლებაც ეძლევა, როცა მარგო ჭაყოსთან კავშირს უპირატესობასაც კი აძლევს. ხევისთავი და მარგო ჯერ კიდევ ახლად დაქორწინებულნი იყვნენ, მაგრამ ცოლისადმი სიცივე მაშინვე შეემჩნა თეიმურაზს. ამაზე ავტორი წერს: „თეიმურაზს ძარღვებიც სისხლის მაგივრად თითქოს გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გატენილი... იმის დაშრეტილ და დონდლო სისხლში ვნების ქარიშხალი არაოდეს არ ატეხილა; და მისი გული, — ისიც მჩაბტე გაზეთივით დაქმუქნილი და გაჩვარებული — ღვთაებრივ ხანძრით არ ანთებულა“. ხევისთავის ამ სისუსტის მწარე მხილებს მიზნით მწერალი არ ერიდება სარეცელის საიდუმლოებაზე ლაპარაკსაც და წერს: „როცა თეიმურაზი იშვიათად მიუწევებოდა მარგოს და ცხარე ალერსის მაგივრად მოდუნებული ხელებით უგემურად ცოდვილობდა და ილოღნებოდა, ამავე ეპოს თავი სკასავით გატენილი ჰქონდა უთვალავი ფუტყარით და საზრუ-

ნავით... ეს კი შემდეგში იყო: ფიქრები ზანზიბარზე, მაროკოზე, მონღოლეთზე... ცოლთან ალერსის ნაცვლად თეიმურაზი ლოგინშიც კი „ცხარედ ეკამათებოდა გუჩკოვს, ლოიდ-ჯორჯს, კლემანსოს. წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს, სამეურნეო ბანკის დირექტორს...“ თეიმურაზ ხევისთავი „სთვლიდა, სწონიდა და ზრუნავდა ყველაფერსა და ყველაფერზე, გარდა მარგოს ალერსისა და ქმრის ვალის შესრულებასა წინაშე თავის ცოლისა, რომელსაც ასეთ დროს თეიმურაზის დაჩვიებულ მკლავებში ზან ძლიერი ძილი ერეოდა, ხან კიდევ ჩაუქრებოდა ვნებით გაავეებული ბრაზი და გაკაპასებული ანჩხლობა ხერხადა“. ასეთი იყო თეიმურაზი -- ქმარი.

ჩვენ ვხედავთ, რომ თეიმურაზ ხევისთავი ჯერ კიდევ რევოლუციამდე, როცა ახალგაზრდა იყო და ენერგიით სავსე უნდა ყოფილიყო, აშკარაა მრავალმხრივ სისუსტეს: ის არც მემამულედ ვარგა — ჯაყოს ლუკმა ხდება, არც საზოგადო მოღვაწედ — მხოლოდ ენის ქაეილი შეუძლია და არავითარი მოქმედება, არც ქმრად გამოადგა სილამაზითა და სიცოცხლით სავსე მარგოს — ალერსისა და ცეცხლის ნაცვლად ჩვარი და ყინვა აღმოჩნდა.

ნურვინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ მთელი ყურადღება გადაგვექონდეს თეიმურაზის ფიზიკურ ნაკლზე ან სისუსტეზე. არა, რასაკვირველია, მაგრამ ეს გარემოებაც რომ განსაზღვრავს ადამიანის ბედსა და მის მდგომარეობას საზოგადოებაში, რომ პიროვნების ინდივიდუალური უნარი და შესაძლებლობა — ფიზიკური იქნება ის თუ გონებრივი და სულიერი — კაცის საქმეებს და წარმატებებს განაპირობებს, ეს კი სადავო სულაც არ არის.

მაგრამ საკითხავი მეორე გარემოებაა. რატომ წარმოგვიდგინა ხევისთავი მწერალმა ასეთად? რატომაა იგი ასე უხერხემლო. უფხო, უნებისყოფო, მკლე, ცვედანი, ჩიტივით მფრთხალი და დაჩიანებული? განა იგი სახელგანთქმული ხევისთავების შთამომავალი არ იყო? განა მისი წინაპრები ომახიანად, შემართებით არ მოქმედებდნენ და ხმლითა და ფარით არ მოპოვებდნენ თავიანთ უფლებებსა და გაბატონებულ მდგომარეობას? დიახ, ყველაფერი ეს იყო. მაგრამ ეს იყო ადრე, წინათ, როცა ისტორია ამ კლასის მხარეზე გახლდათ. ახლა კი ხევისთავთა ბედის ზარმა ჩამოჰკრა, ისტორიამ მათ ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა. ამის შედეგი ის იყო, რომ ავთანდილ ხევისთავმა, თეიმურაზის მამამ, ძალითა და დიდი გარჯით კვლავ შეინარჩუნა სიძლიერე და ერთი მემკვიდრე მაინც მიეცა მას, მაგრამ ეს მაინც მე-19 საუკუნე იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე კი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება ისეთი კალაპოტით წავიდა, მა-

სების გაღვიძება და რევოლუციური აზვირთება ისე ძლიერი იყო, რომ მემამულეთა ისტორიის ფურცელი საბოლოოდ უნდა დახურულიყო. ამის შედეგია, რომ თეიმურაზი ასეთი მომაკვდავია, ნახევრად ცოცხალია და ცხოვრებისეული მასში ძალიან მცირე შემორჩა. ამისივე შედეგია, რომ თეიმურაზი, სხვა უბედურებასთან ერთად, უშვილოცაა. იგი მარგოსთან ერთად დიდხანს წუხდა და განიცდიდა, რომ ხვეისთავთა გვარს მემკვიდრე აღარ უჩნდებოდა, რომ ყაფლანიშვილების უკანასკნელი შთამომავალი მარგოც გვარის გაგრძელებას ვეღარ ახერხებდა... მაგრამ წუხილი რას უშველიდათ, მათ ასეთი განაჩენი ისტორიამ გამოუტანა და მწერალმა ეს მხოლოდ გვიჩვენა, ეს მხოლოდ დაგვიხატა.

ჩვენი ფიქრით, შეიძლებოდა ანალოგიისთვის ისევე მიგვემართა ილიას „კაცია ადამიანისათვის“. როგორც ლუარსაბ თათქარიძეა განწირული, რომ გადაეგოს უშვილძიროდ, თუმც თელეთშიც ლოცულობს და დღედაღამ ღმერთს ეხვეწება — ერთი შვილი მაჩუქეო, როგორც ილიამ ლუარსაბს არ აღირსა ამ დიდი სურვილის ახდენა და თავისი გმირი უშვილოდ სიკვდილისათვის გაიმეტა, ასევე მ. ჯავახიშვილმა თეიმურაზ ხვეისთავს შვილი არ აღირსა და სრულიად გააზრებულად მოიქცა. ამით გვაგრძობინა, რომ ხვეისთავების ბედის დასასრული მოვიდა, მათ მომავალში აღარაფერი ესაქმებათ, უნდა გადაშენდნენ, რადგან ისტორიამ მათი განაჩენი ასე დაწერა. თუ თეიმურაზი კიდევ რაღაცას ჩაღიწობს, თუ ის კიდევ დაათრევს სულს, ეს მხოლოდ ძველიდან გადმოყოლილი „ფუფუნებაა“, რომელიც თეიმურაზის ფიზიკური სიკვდილისთანავე დამთავრდება.

ამ მოვლენების, ისტორიული ფაქტების, ცხოვრების მსვლელობის გეზის სწორი ანალიზის საფუძველზე, პერსპექტივის გათვალისწინებით, მ. ჯავახიშვილმა დახატა თ. ხვეისთავი ასეთ სუსტ. მომჩვენებულ ტიპად, ხოლო ასეთს, ცხადია, მხოლოდ ის შეეძლო, რასაც „აკეთებდა“.

ასეთია თეიმურაზ ხვეისთავის პიროვნება რევოლუციამდე. ასეთი ხედება ის რევოლუციას.

ახლა ვნახოთ, როგორ შეხვდა თეიმურაზი რევოლუციას, რა სიხარულით შეეგება მას და სულ მალე როგორ შეიცვალა მისი განწყობილება და მდგომარეობა, რასაც მისი განაცხრება მოჰყვა.

მწერალი მოგვითხრობს: „თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარები გაეღო. დღე და ღამე ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაიარას იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა:

— თავისუფლებას გ...გგაუმარჯოს!.. ვაშა! რევოლუციას გაუმარჯოს!.. ძ...ძძირს მეფე და ძძალადობა!“

გავიხსენოთ, რომ ასეთივე პათოსი ჰქონდა სტეპანიდასაც — გივი შადურის ბიძაშვილის შევარდენიძე-სოკოლოვის ცოლსაც. რომელიც დიდი მემამულე იყო, მაგრამ რევოლუციამ გააგიჟა და. „თავისუფლებას გაუმარჯოსო“, ყვიროდა. მაგრამ ისიც გავიხსენოთ. თუ რით დამთავრდა სტეპანიდას სიხარული. თეიმურაზ ხევისთავის სიხარულიც როდი იყო ხანგრძლივი.

თეიმურაზმა თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა და რას აკეთებდა, რატომ ახარებდა რევოლუციას, რომელიც მისი კლასის მოსასპობად მოხდა. თეიმურაზი ბრმა და ბეცი იყო, იგი ფეხის ხმას აპყროლოდა და თავისი დაღუპვის მრახლოებას კი ვერ გრძნობდა. მაგრამ ცხოვრება ისე წარიმართა, რომ გრძნობა აღარ ესაჭიროებოდა თეიმურაზს. რადგან ახალმა ცხოვრებამ მას მალე ხელი ისე ღონიერად ჩასჭიდა და შეანჯღრია, რომ გრძნობის გარეშეც მიხვდებოდა ცხადსა და ნამდვილს. მიხვდა და ემწარა კიდევ. ფერისცვალებაც მალე შეეტყო ამ პერსონას.

მ. ჯავახიშვილი მშვენიერი ფსიქოლოგიური დაკვირვებითა და ზუსტი, უტყუარი საშუალებებით აგვიწერს გმირის ამ ფერისცვალებას. მწერალი გვეუბნება, რომ თეიმურაზი ჯერ გაჩუმდა, მერე გატერინდა და აიძრინა: „გაუმარჯოსო“ აღარ იძახდა და აღარც წითელ ღროშას იქნევდა.

მისი შეცვლა მალე უფრო შესამჩნევი და ღრმა გახდა: წითელ ფერს გაურბოდა, წითელ ღროშებს სწვავდა, შიშისაგან კანკალებდა, მალე ზურგი მიიბრუნა, სასოწარკვეთით დაიწყო კივილი: გვიშველეთ, დავიღუპეთო. სულ მალე ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა შეიძულეს ერთმანეთი და „თეიმურაზს თავისი სიციოცხლე კისერზე ისე ჩამოევიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში“...

თეიმურაზს, ცხადია, ახალ საზოგადოებაში ადგილი აღარ აქვს, ის არავის სპირდება. ამიტომ იძულებულია ლუკმაპურზე იზრუნოს. რადგან არსებობა უნდოდა მასაც და მის მარგოსაც. მამულების გაყიდვა ადრევე დაიწყო, გასაყიდი თითქმის აღარაფერი ჰქონდა, რადგან სახლ-კარი და სკივრში ჩაქედილი საგვარეულო განძილა შერჩა ნაშინდარში. როცა თეიმურაზმა ეს განძი თბილისში გამოითხოვა, ჯაყომ სცენა გაითამაშა: ტირილითა და მოჩვენებითი შეწუხებით უამბო, რომ ყაჩაღებმა გაიტაცეს ის განძიო. თეიმურაზმა ჯაყომ იქით დაუწყო დამშვიდება, ისე სწუხდი, მეგონა ცოლი ან შვილი დაგელუპაო. მაგრამ ამ მარგოს მოთმინების ფიალა აივსო და ქმარს ისეთი მხამი მიანთხია, რასაც დიდი ხანია უსიტყვოდ ატარებდა

გულში. იმედგადაწყვეტილი და გამწარებული ცოლი თეიმურაზს ეტყვის: „...შენ, როგორც გატყობ, არც კი გესმის დანაკარგის ფასი. ყოველთვის ბედოვლათი იყავი და შემდეგშიც დარჩები.

— მ...მმარგო!

— ნაცარქექიავ! — და გამწარებულმა მარგომ კარები გაიხურა:

მანამდე მორჩილი და მდგომარეობას შერიგებული მარგო, რომელიც თეიმურაზის მცონარობასაც და ცვედანობასაც, წიგნის ჩრჩილობასაც და ყინულოვან სხეულსაც იტანდა, ახლა საარსებო სახსარდაკარგული და შიმშილის საფრთხის წინაშე პირისპირ დამდგარი. კარგავს მოთმინების უნარს და მწარე სიმართლეს ეტყვის თეიმურაზს — ბედოვლათო და ნაცარქექიავო! ზუსტად ნათქვამი კი გამოუვიდა.

დრო გადიოდა, ცხოვრება უფრო და უფრო გაუქირდათ ყოფილ ადამიანებს — ხევისთავებს. თეიმურაზმა მარგოს სამკაულები და ნიშნობის ბუკდებიც კი პურზე გასცვალა. მერე ოჯახის ნგრევას მიჰყო ხელი და ნელ-ნელა ბაზარზე გაიტანა ხალიჩები, როიალი, რბილი ავეჯი, თეთრეული, ფაიფური, ბროლი. ბოლოს კი, როცა თეიმურაზი ცხოვრებამ მთლად მოღუნა და მოკეცა, შვილივით საყვარელი წიგნებიც ბუკინისტებთან მიდის ჩალის ფასად. აცახცახებული ხელებით წიგნები რომ გაჰქონდა ოჯახიდან, ხევისთავი გულში მიფერფლილ იმედს ატარებდა — დრო შეიცვლება და ყველაფერს უკანვე დავიბრუნებო, მაგრამ ეს განწირულის იმედი იყო: ცხოვრება უკან არ დატრიალდებოდა და არც დატრიალებულა.

რომანში არის ერთი ეპიზოდი, რომლითაც ვიგებთ, რომ მარტო ხევისთავი არ იყო ამ დღეში. იგივე ბედი ეწვია მთელ მის კლასს, ყველა ყოფილს. „...მაღაზიებში თეიმურაზი დიდის დაკვირვებით და გულის კენესით ათვალეირებდა ათას უცნობ ოჯახიდან გასაყიდად გამოტანილ ნივთებს. მაღაზიების ვიტრინებსა და თაროებზე ხევისთავი ცხადად ჰხედავდა და ჰკითხულობდა საკუთარ ცხოვრებისა და ბედის წიგნს“. როგორ გგონიათ, რა ოჯახებიდან იყო გამოტანილი ეს ნივთები? ცხადია, არა მშრომელთა ოჯახებიდან, არამედ ყოფილი პრივილეგირებული კლასების ოჯახებიდან, რომლებმაც პოლიტიკური ბატონობის დაკარგვასთან ერთად დაკარგეს ცხოვრების ეკონომიური სახსარიც და კუჭის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკომისიო და ანტიკვარული მაღაზიების ხშირი სტუმრები გახდნენ, რათა იქ გაეყიდათ თავიანთი ძვირფასეულობა. რომელსაც მწერალი ასე გვიხატავს: „ყოველ ნივთს — ბეჭედსა და საყურეს, სამაჯურსა და კოხტა სარკეს, ვერცხლის სათუთუნეს, ქალის ნაქსოვ ხელის ქისას, ფარჩის კორსეტსა და ქარვის კრიალოსანს,

სპილოს ძელის სათამაშოს და ბრინჯაოს ქანდაკს, ფაიფურის ვაზას და მოქარგულ ოქრონემსულს, ფერუმარილის ქურქელსა და ატლასის სათამაშო ქალაღდს, საქორწილო თეთრ კაბასა და აბრეშუმის წინდებს — უკლებლივ ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანი და წარსული, სიხარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უენო თავგადასავალი, იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული“.

ცხადია, ყველაფერი ეს ყოფილ მდიდრებს ეკუთვნოდა და არა მშრომელებს, რომელნიც რევოლუციის მიერ დამხოვილი ცხოვრების წესებისას ფუფუნების საგნებზე ვერც კი იფიქრებდნენ. ეს რომ ასეა, ვკითხულობთ თვით რომანშივე. თეიმურაზი მალაზიებში რომ დადიოდა, რათა იქ დატოვებული ნივთების საფასური აეღო და ლუკმა ეშოვა, ხანდახან ნაცნობთა სამკაულსა და ნივთებსაც წააწყდებოდა ხოლმე. მაგალითად, „მან იცნო კნენა ახატელის განთქმული სპილოს ძელის მარაო — დიდი მთავრის ნაჩუქარი... იცნო აგრეთვე კნენა არაგველის უძველესი ქართული ქათიბი... იცნო თავადი გიგო სურამელის საგვარეულო რახტიც. კნენა ელენეს ჭილაც, კნენა ქეთევანის მანიაკიც და თავად ელიზბარის ქულაჯაც“.

როგორც ვხედავთ, აქ ყველა კნენა და თავადია. ეს ასეც იყო. აქ უტყუარი სიმართლით არის ნაჩვენები იმ ეპოქის ეს თავისებურება. მაშასადამე, დაეცნენ და დაკნინდნენ. ოჯახიდან ნივთების გატანა და ბაზარზე გაყიდვა დასპირდათ ხევისთავეებს, არაგველებს და სხვა ყოფილთ. ეს ამ კლასის საერთო ხედრი იყო. აქ ხევისთავი გამონაკლისი როდია. მან თავისი კლასის ბედი გაიზიარა.

სხვებს თავი დავანებოთ და მივყევთ რომანის მთავარი გმირის ხევისთავის ბედს, რადგან მისი განსჯა მთელი კლასის ბედსაც თვალწინ დაგვიყენებს.

მწერალი მოხდენილად გვეუბნება, რომ თეიმურაზი კვნესოდა, გულამომჯდარი ჩიოდა, რადგან საკუთარი თვალით ხედავდა. თვალწინ დატრიალებულ და საკუთარ თავზე დატეხილ ახალ ისტორიას, „რომლის წყალობით ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს ჰყიდდნენ, ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ“.

თეიმურაზის საქმე სულ თავქვე მიდიოდა: მალე მის ექვსოთახიან ბინაში მუშები და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მოვლენ და ეტყვიან: „—ამხანაგო, შემოკლდით!“ ხევისთავეები „მოკლდებიან“ და სამ ოთახში ბინავდებიან... ერთი ხანი გავიდა და კიდევ მოსთხოვეს „შემოკლება“: — ამხანაგო, ცოტა კიდევ შემოკლდითო. თეიმურაზი და მარგო ერთ პატარა ოთახში მიიჭუჭუკებან.

მაგრამ ერთხელ კიდევ მიაღგნენ ხევისთავეს და ამ ოთახიდანაც აბარგეს. ისინი ერთ პატარა უხეირო ოთახში გადაბარგდნენ.

თეიმურაზმა სამსახურიც სცადა. სამეურნეო დარგშიც სინჯა მუშაობა. ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა, მაგრამ ზოგან თეიმურაზს იწუნებდნენ, ზოგს კი თეიმურაზი იწუნებდა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ თეიმურაზი მოედნის ბირჟაზე გავიდა, დალალობდას მიჰყო ხელი და ნაცნობებს სთავაზობდა თავის სამსახურს — გასაყიდი ან დასახურდავებელი თუ გაქვთ რაიმე, დაგეხმარებითო... როცა გასაყიდიც და დასახურდავებელიც გამოილია, თეიმურაზი მთელი დღეები უსაქმოდ ქუჩაში დადიოდა და ნაცნობ-ნათესაეებს ყურში ჩასჩურჩულებდა: „—ორი მანეთი მ...მმასესხე ხ...ხხვალამ-ლიო“. ასეთ ყოფაში ჩაეარდნის თეიმურაზი „ზოგჯერ ილღიაში ამოჩრილ პურსა და იაფ სანოვაგეს ბედნიერი ღიმილით მოათრევდა. ზოგჯერ კი, პირქუში და თვალცრემლიანი, თავის ბნელ ოთახში შეიძურწებოდა და მუდმივ დაღვრემილ მარგოს თართოლვით და კანკალით ძლივს შეჰქანავლებდა:

— დღეს ვ...ვერაფერი ვერ მოვახერხე, და-დაწყევლილი დღეა. უნდა მ...მოვითმინოთ“.

საინტერესოა მწერლის ინტერპრეტაცია, გმირის ამ ბედის ახსნა, რომელსაც ის დამაჯერებლად, მომხდარი დიდი ძვრების მხატვრის თვალთ შეფასების საფუძველზე გვაძლევს.

მ. ჭავჭავაძის გეგმებზე, რომ „ახალმა ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთისა ვერაფერი გაიგეს, ერთმანეთს გული და სული ვერ შეუგუეს, ვერ მოახვედრეს, ორივენი თითქოს სხვადასხვა ქვეყნისა და ეამის სულითა და ხასიათით იყვნენ გაუღენთილნი. ამიტომ იყო, რომ ერთის „ღვთის წყალობა“ მეორეს „ღვთის რისხვად“ ელანდებოდა, ხოლო მეორეს მადლი პირველს მატლად მიიჩნდა. ამ ანდაზების მოშველიებით ავტორი მსუბუქი ტონით გვიამბობს მძიმე ამბავს და გრძელ სათხრობს უცებ ხდის ნათელს.

მწერალს ბოლომდე სურს დაგვანახოს თეიმურაზის დაცემა. ის მიატოვებს მეგობრებმა და ნათესაეებმა: „ქუჩაში მიმავალ დაღვრემილ ნაკაცარს ისე ერიდებოდნენ, თითქო მათი მოკეთე და მადლოს დამთესავი ხევისთავი გაცოფებულყო“. აქ ავტორმა თეიმურაზი უკვე ნაკაცარად მოიხსენია, ამიერიდან იგი მართლაც ნაკაცარია და ამას ქვემო მსჯელობაში დავინახავთ.

ხევისთავს ცოლიც მალე დაუპირისპირდება. ზემოთ უკვე ვთქვით. რომ მარგომ ქმარს „ნაცარქექია“ უწოდა. ეს დასაწყისი იყო. შემდეგ მათ შორის დამოკიდებულება გამწვავდა და ზიზღშიც გადაიზარდა. მარგოს გაცრუებულ იმედებზე და სიყვარულზე ქმარის

მიმართ, მისდა უნებურად, ნელ-ნელა ლენცოფა, ზიზლი და ფიზიკური მძულვარება აღმოცენდა. ამ ვითარებას კარგად გვიხატავს ერთი დი-
ალოგი, რომელიც ცოლ-ქმარს შორის გაიმართა:

„—მარგო, მეტისმეტად გაგვიჭირდა, — ეტყოდა ზოგჯერ თეი-
მურაზი დამუნჯებულ მეუღლეს ბაასის გასაბმელად.

— აკი ვითმენ ამ გაჭირვებას, მეტი რა გინდა? — უპასუხებდა
პირგაყინული მარგო.

— ითმენ, მაგრამ ვაი მაგ მოთმენას!

— შენ შენს თავს მოუარე, ჩემზე ნუ ზრუნავ.

— ისე მელაპარაკები, თითქოს უცხონი ვიყოთ ერთმანეთისა-
თვის.

— როცა გელაპარაკებოდი, შენ სდუმდი. ჩემი თავი გაზეთებს
ანაცვალე. დუმილი. მასწავლე, ბაასს შენ გადაამჩვიე. ან რა გვაქვს
სალაპარაკო! როცა მოსაცემი გქონდა, არაფერი არ მომეცი, როცა
ყველაფერი გამოგელია, ცარიელ ბაასს მთავაზობ“.

ცხადია, ეს საუბარი მოსიყვარულე ცოლ-ქმარსას არაფრით
ჰგავს. აქ დაგუბებული ზიზლი უფრო მოჩანს. მართლაც, რაც დრო
გადიოდა, გაჭირვება მატულობდა, ამის კვალობაზე მარგოს გულში
ბაღდაძის გროვდებოდა. ამას მარგო ერთხანს მდუმარების ხუფით
ფარავდა, მაგრამ „ბოლოს, ხუფიც ამოვარდა: გამწარებულმა დედა-
კაცმა ერთხელ თავის უბედო და უნდილ მეუღლეს ერთი წვეთი
გესლი შეასხა. როგორ ან როდის გამოეცალა ხევისთავის უღუღაბო
ციხეს პირველი აგური, არც თეიმურაზს ახსოვდა, არც მარგოს“
პირველ აგურს მომდევნო მოჰყვა და ცოლ-ქმარული ერთობა დაიშ-
და. ამის გამო „ისე დღე არ გავიდოდა, რომ თეიმურაზის მოშლილ
ბუდეში ზიზლის ნიაღვარი არ შევარდნილიყო; მძულვარების შად-
რევანს არ ამოეხეთქა და ისედაც მორღვეულ ციხე-ოჯახში კიდევ
ერთი კედელი არ ჩამონგრეთლიყო“.

შიმშილისა და განუწყვეტელი ნგრევის გამო ცოლ-ქმარს შეს-
ძულდათ საკუთარი თავიც და ერთმანეთიც. თეიმურაზმა კი ბრძო-
ლაც შეწყვიტა, თავი ცხოვრების დინებას მიანდო, დანებდა და და-
სასრულს ელოდებოდა.

ასეთ ვითარებაში იყო ხევისთავის ოჯახი, ასე უფსკრულის პი-
რას, დასალუპად განწირულნი იყვნენ თეიმურაზიცა და მარგოც,
როცა მათ მოევლინებათ „მხსნელი“ — ყოფილი მოჯამაგირე და
მოურავი ჭაყო ჭივამვილი, რომელიც თეიმურაზს თბილისის ქუჩაში
შეხვდა და შინ წამოიყვანა, რითაც ეს რომანი იწყება.

ამ საბედისწერო შეხვედრის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო
სწრაფი ტემპით ვითარდება. ოღონდ ეს არის ლოგიკური გაგრძე-

ლებს და დასასრული იმისა, რაც კარგა ხანია დაწყებული იყო და რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ .

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ორი წინა მომენტის ნათელ წარმოდგენას და მართალ გაგებას: 1) რანი იყენენ რევოლუციამდე თეიმურაზი და მარგო, რას წარმოდგენდნენ ოინი, რით სულდგმულობდნენ, საზოგადოების რომელ ნაწილს ეკუთვნოდნენ, რა გატაცებები და მისწრაფებები გააჩნდათ, როგორი იყო მათი საქმიანობა და მოღვაწეობა, 2) რა ბედი ეწიათ მათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რა გეზი მიიღო მათმა ცხოვრებამ, როგორ დაკნინდნენ, დაქვეითდნენ, როგორ გაირიყნენ ახალი საზოგადოებისაგან და დაეშენენ დალუპვის გზაზე მანამ, სანამ მათთან ჯაყო მივიდოდა და ბიზნობას შესთავაზებდა.

ამის შემდეგ იწყება რომანის გადამწყვეტი ნაწილი, ამ მთავარ გმირთა ბედის დასასრულის ჩვენება. ჩვენს მსჯელობასაც ამ გეზით წარემართავთ.

ხევისთავის ტრაგედიის ბოლო აქტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწყება მათ ოჯახში ჯაყოს ბოლო სტუმრობით. ვაი-ვაგლახით თეიმურაზმა და მარგომ სადილი მოამზადეს და ღვინოც იყიდეს. რათა ნამოჯამაგირალთან და ნამოურავალთან არ შერცხვენილიყვნენ. ჯაყო რომ გემრიელად გამოძღა და ბოთლს ბოთლზე ამრობდა, გუნებაზე დადგა და „კინაზსა“ და „კენინას“ ხეპრული ოხუნჯობა დაუწყო. ბოლოს, სანამ გამოძინებას მოითხოვდა, მასპინძლებს შესთავაზა: აქ რას იხოცებით ამ მყრალ ოთახში, წამოდით ნაშინდარში. ჩემი სტუმრები იყავითო. უფრო სწორად, მარგოს მიმართა ამ თხოვნით: „კენინაჯან, ამ ოხერ ქალაქში რას აკეთებდე? მოდი, ჩემთან სტუმრად წამოხვიდოდდე, დმერთმანი! ჯაყო ისე შეინახავდე ნათლებსა, როგორც ბატკნებსა, მაშა!“

თეიმურაზმა შეთავაზებულ მიწვევაზე მადლობა გადაუხადა და მოვიფიქრებთო, დაატანა მისთვის ჩვეულისიტყვა. აქ ჯაყოს არ დაუყოვნებია თავისებური პასუხი: „—რაღა ფიქრი გინდოდეს! „ქიორტლ“ ფიქრები! მაგ ფიქრებმა გაგაფუწვე და დაგაბერე! „ქიორტლ!“ მერე სტუმარი იძინებს, ხოლო მასპინძლები აივანზე გადიან მოსათათბირებლად — მიიღონ თუ არა შეთავაზებული მიწვევა. თეიმურაზისა და მარგოს ეს საუბარი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მომდევნო ამბების უკეთ გასაგებად, ამიტომ ამაზე ღირს ყურადღების გამახვილება.

ქმარი ცოლს ეკითხება: „—რ...არას იტყვი, მარგო?“

ცოლი უპასუხებს: „—ჩემთვის სულ ერთია მეთქი. როგორც გერჩივნოს, ისე გადასწყვიტე“.

თეიმურაზი წასვლის ჟომხრეა, ჭაყოსთან სტუმრობა კეუაში უჭდება კიდევ. ამას იგი მარგოს უსაბუთებდა; ქალაქში აღარ გვეცხოვრება, ყელამდე ვალებში ჩავეფალით და ლუქძასაც ველარ ვმოულობთო. თუმცე ჭაყოსთან სამადლოდ მივიდივართ, მაგრამ ეს არაფერია — მან ხომ ჩემი ქონება მიითვისაო; გარდა ამისა, ეგებ იქ საქმეც ვიშოვო და ჩვენი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართოსო; ეგებ სოფელში ფეხი მოვიკიდოთ, აქ კი შიმშილით დავიხოცებითო. ასეთ „საბუთიანობაზე“ მარგოს შხამიანი ღიმილით დაედრიჭა სახე. ქალი წინააღმდეგია ჭაყოსთან წასვლისა. მას არ მოსწონს ქმრის ეს გადაწყვეტილება. ის თეიმურაზს უცხადებს: „არც თანახმა ვარ, არც უარს ვამბობ. შენვე გადასჭერი, მე გემორჩილები, მაგრამ თუ შენი საქმე უარესად წავიდეს, მე ნულარაფერს ნუ დამაბრალებო“.

ცოლ-ქმარს შორის ამ საკითხზე საუბარი თანდათან უსიამოვნო ხასიათს იღებს და მწვეავდება. მარგო კვენესით შესჩივის ღმერთს — ნუთუ ჩვენივე ნასახლარში ჩვენივე ნამოჯამაგირალის ხიზნები უნდა გავხდეთო. თეიმურაზი თითქოს ამშვიდებს, მაგრამ ამით უფრო აღიზიანებს, როცა ბედისადმი დამორჩილებას უქადაგებს სასოწარკვეთილ ცოლს. აქაც მარგო შეუტევს ქმარს და ძალზე მოსწრებულად მიახლდა პირში:

„—შენ მუდამ მორჩილება გაკერია პირზე: აღარ მესმის რომელია ჩემი ქმარი, უხილავი ბედი თუ ხილული თეიმურაზ ხევისთავი“

ცოლ-ქმრის დიალოგი თანდათან უფრო მწვეავდება: მარგო ქმარს უსაყვედურებს, შენ ყოველთვის ბედოვლათი იყავიო, მორჩილი და სუსტიო. „შენ ბრძოლისათვის და თავისუფალ მოქმედებისთვის არა ხარ შექმნილი, თეიმურაზ!!“ თუ აქამდე რაიმეს წარმოადგენდი, ნაშინდარი გაძლევდაო, შენმა გაზეთებმა და პოლიტიკოსობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ შენმა გადმოგდებულმა წყალმა ჩვენვე წაგვიღოო. შემდეგ ცოლი ქმრისაგან მოიხიხოვს, რომ ახალ მთავრობას ლოიალობა გამოუცხადოს და ერთგულად ემსახუროს. თეიმურაზს ეს აბრაზებს, რადგან ასეთი ნაბიჯი პოლიტიკურ თვითმკვლელობად მიაჩნია. იგი ცოლს საყვედურობს — ასეთ რჩევას როგორ მაძლევ, ამას როგორ მიბედავო. მარგოს აზრით კი ეს რჩევა ემყარება იმას, რომ იგი თეიმურაზის ერთგული მეგობარი და მეუღლეა. მარგო პირში ეუბნება თეიმურაზს, შენ თითქაც ვერ გაანძრევ და ჩიტსაც ვერ მოჰკლავ — ეს ქვეყანამ იცისო: შენი არავის ეშინია, შენ მხოლოდ ყბედი და ენაქარტალა ხარო. კიდევ გირჩევ: გამოაცხადე ლოიალობა, პირზე კლიტე დაიდე და დადუმდიო. თეიმურაზი ჭიუტობს და გაიძახის „არ შ...შემეძლია“. ეს მწარე და საბედისწერო ბაასი, ბჭობა იმით დამთავრდა, რომ მარგომ საბო-

ლოდ გამოაცხადა: „—მე ჩემი ვთქვი, ეხლა შენ იცი. თუ ჩვენი საქმე კარგად ვერ წავილდეს, ისევ შენს თავს დააბრალე“.

ჩვენ დაწვრილებით განგებ შეეჩერდი მეუღლეების ამ საუბარზე, რადგან აქ ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს თეიმურაზისა და მარგოს ხასიათები. თეიმურაზმა აქაც თავისი სისუსტე გამოამჟღავნა: როგორც კი ჭაყომ მიიწვია, მაშინვე მზადაა დათანხმდეს ხიზნობაზე, რადგან მას ბრძოლა აღარ შეეძლო, მას მეტი მოქმედების უნარი აღარ შესწევდა არა მარტო რაიმე საზოგადოებრივი მოქმედებისათვის, არამედ უბრალოდ ლუკმის საშოვნელადაც. და აი, როგორც კი საკითხის იოლი გადაჭრის შესაძლებლობა გამოჩნდა, მაშინვე მზადაა დათმოს პრინციპებიც, თავმოყვარეობაც, „ოღელეებიც“ და ნაშინდარში დაბრუნდეს არა როგორც მეპატრონე და ამაცი ხევისთავი, არამედ... როგორც ლუკმის მამებარი და ისიც ვისთან... ჭაყო ჭივაშვილთან, რომელიც მისი ნამოქაამაგირალი და ნამოურავალაა. განა თეიმურაზმა არ იცის ვინაა და როგორია ჭაყო, კანა მას გულს არ ურევს მისი როხროხი, გაზეთილი სახე და უზრდელი ბოყინი? თეიმურაზი ჭაყოს ძალზე კარგად იცნობს, მაგრამ ამას აღარ დაგიდევთ, ოღონდ კი იოლად იშოვოს ლუკმა, ოღონდ მას ლუკმის საშოვნელად მოქმედება აღარ დასკირდეს... აქაც, ამ მომენტშიაც თეიმურაზი ერთხელ კიდევ თვალწინ დაგვიყენა მწერალმა, როგორც უსუსური, უმოქმედო, სულით გატეხილი. ძაბუნი ადამიანი.

ზემოთ აღნიშნული საუბრიდან ჩანს, რომ მარგო წინააღმდეგია ჭაყოსთან სტუმრობისა. იგი ქმარს ურჩევს, თბილისში დაერჩეთ. მთავრობას შეუტრიადი და რაიმე საქმეს მოკიდე ხელით. მარგო ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ იგი საზადლოდ უნდა შეეკედლოს ვინმეს. მარგო თითქოს ავს რასმე გრძნობს, იგი თეიმურაზს გადაჭრით ეუბნება: მე კი დაგემორჩილები, როგორც ცოლი და წამოგყვები, მაგრამ თუ უარესი დაგვემართა, შენ იყავი პასუხისმგებელი. რას ემყარებოდა მარგოს ასეთი შიში და მოლოდინი — ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ მარგოს ნაშინდარში ჭაყოს ხიზნად წასვლა არ უნდა. ეგებ მარგო ქალური ინსტინქტით მიუხედა ჭაყოს მუხანათურ განზრახვას, ეგებ მან შეზარხოშებული ჭაყოს გამოხედვაში შეამჩნია ავი სურვილი. ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია რომ მარგოს ნაშინდარში წასვლა ღირსების შელახვად მიაჩნია და ქმარს არ ურჩევს ამ ნაბიჯის გადადგმას.

მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო: ჭაყომ გაიღვიძა და „ნათლიებს“ ჰკითხა: რა გადაწყვეტეთო. თეიმურაზმა თანხმობა გამოუცხადა. ჭაყომ პასუხი მოუწონა, ნაშინდარში კარგ ცხოვრებას დაჰპირდა „და

ოყრაცი ნამოურავალი ხარხარით, რახრახით და ჭიხვინით ძლივს გაძვრა ოთახიდან...“ მეორე დილით თეიმურაზი გაემგზავრა ნაშინდარში, რათა იქ ჭერ თვითონ ენახა რა მდგომარეობა იყო. ერთი კვირის შემდეგ მარგომ ქმრის წერილი მიიღო, რომლითაც ცოლს თავისთან იწვევდა. მარგო მატარებლით გაემგზავრა.

აქედან იწყება სირცხვილთა და დამცირების, გაუგონარი უტიფრობისა და ძალადობის, ლაჩრობისა და უღირსობის ბევრი ამბავი. რომელიც ხევისთავეს გადახდათ.

მარგოს დასახვედრად სადგურზე ჯაყო მოვიდა ურმით, რითაც ნაშინდარში უნდა აიყვანოს. ქალმა ქმარი იკითხა, მაგრამ ის სოფელში დარჩენილიყო. მარგოს მოყვანა ჯაყოსთვის მიუხდვია ბედოვლათ ქმარს. მოჩარდახული ურმით მარგოს ეს მგზავრობა. და ჯაყოს მიერ ძალით ნამუსის ახდა პირველი აქტია, რომლითაც საბოლოოდ ინგრევა ხევისთავების „ციხე-ოჯახი“. მანამდე პოლიტიკურად და ქონებრივად დაცემული ხევისთავები ამიერიდან მორალურად დაცემულნი და განადგურებულნიც ხდებიან. ყაფლანიშვილის ქალიშვილსა და ხევისთავების რძალს საქმე ისე წაუვიდა, რომ ჯაყო ჭივამვილი მოტყუებით ტყეში შეიყვანს, ღამეს იქ გაატარებს და ძალას იხმარს — დაიმორჩილებს, პატივს აპყრის... ყოფილი მოჯამაგირე ყოფილ ქალბატონს დაეუფლება და იმ ღამეს, ლიახვის პირას, ურემზე მარგო სამჯერ გაუძლებს მასთან ურმის ქვემოდან ამოცოცებულ დათვის რომელიც მას ისე გასთელავს, ისე შემოახევეს ტანსაცმელს და დაკბენს გულ-მკერდსა თუ მკლავებზე, რომ მართლაც დათვის ტორებში მოხვედრილი მსხვერპლი გეგონებათ...

თეიმურაზი კი ამ დროს ნაშინდარში ბრძანდებოდა და უცდიდა, როდის მოგვრიდა ჯაყო მას ცოლს. ხევისთავი იმდენად არაკაცი და ლაჩარი, ბეცი და საპყარია, რომ მეორე დილით ტანსაცმელ-შემოფხრეწილი მარგო რომ მიუყვანეს, არც კი დაეკვდა — ეს რა მომხდარაო.

ჯაყოს, რაკი ერთხელ შეანგრია ციხის კარები, მერე ბრძოლა აღარ გასძნელებია... მან მეორე ღამესაც, როცა „ქნიაზის“ მოსვლის აღსანიშნავად ქეიფი გადაიხადა, იმდენი კადნიერება და თავხედობა გამოიჩინა, რომ მთვრალი, გაღუმილი თეიმურაზის გვერდში მწილ მარგოს კიდევ დაეუფლა. ეს სცენა ადამიანურ აღშფოთებას იწვევს, ერთის მხრივ, გავერანებული, პირუტყვი ჯაყოს მიმართ, მეორეს მხრივ კი, ზიზლსა და აღშფოთებას საზღვარი არ აქვს ნაკაცარი, დაცემული, დალაჩრებულნი თეიმურაზის მიმართ. ეს ორი უკიდურესად საწინააღმდეგო პოლუსია, მაგრამ ორივე საძულველი.

ნაშინდარში ასე სამადლოდ ასულ ხევისთავებს კიდევ უფრო დიდი დამცილება და შეურაცხყოფა მოეღიო. ნათავადრებს თავიანთი სახლ-კარი გაპარტახებული და გავერანებული დახვდათ. თეიმურაზის მამის მშვენიერი სურათი, რომელიც მოთქროვილ ჩარჩოში იყო ჩასმული, ხონჩად გამოყენებინათ, ყველაფერი წაებილწათ, ირგვლივ ქუქყი და ნგრევა იყო. მწერალი ზედმიწევნით მიმნიშნებლად და ზუსტად გვიხატავს ხევისთავთა დღევანდელ ბედს რომანის ერთ ეპიზოდში, რომელსაც ჩვენ სიტყვა-სიტყვით მოვიტანთ: „ბოსტანის კუთხეში ერთ საფრთხობელას წააწყდნენ. დაბალ ბოძზე ჯვარით გაკრულია გადატეხილი სიათის თოფი. ამ ბოძზე და თოფის ხარხაზე ჩამოუცვიათ რკინის აბჯარ-ჯაფშანი, თვალმრგვალი ჯაჭვი, სამკლაურები, შუბი და საბარკულები. დასკლინტელ რკინის შუზარადზე, რომელსაც უუძველესი წარწერა ჰქონდა — „აღლაპ ილაღლაპ“ — კაქკაქი ჩხავის“.

ეს თოფი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი — როგორც მკითხველი მიხვდებოდა — ძველად ხევისთავებს ეკუთვნოდათ. ისინი ამ იარაღით გმირულად იბრძოდნენ და მტერზე იმარჯვებდნენ... ამას ადასტურებს წარწერა, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ხევისთავებს იგი ურჯულო დამპყრობლებისათვის წაურთმევიათ, როცა ისინი დაუმარცხებიათ. მაგრამ ახლა სადღაა ხევისთავების დიდება? საფრთხობელად ქვეულა ყოველივე ეს და ბოსტანში ჯაყოს მიერ გაკეთებული ეს საფრთხობელა სიმბოლურად მიუთითებს ხევისთავთა დღევანდელ ბედზე... თეიმურაზი ამას ხედება და თავის ცოლს ეუბნება: „—საკ...კვირველია! ეს საფ...ფფრთხობელა ნამდვილი ემბლემაა ჩვენი ბედისა“.

უკვე ჯაყოს ხიზანი თეიმურაზი კიდევ გამოამზეურებს თავის დაკნინება-დალაჩრებას, როცა ქათამსაც კი ვერ დაკლავს. მწერალს ეს ეპიზოდი აგრეთვე სრულიად მოსწრებულად შემოაქვს, ერთის ჰხრივ, ჯაყოსა და მის შორის კონტრასტის გასატარებლად, მეორეს მხრივ კი — თვით თეიმურაზის მთელი ავლა-დიდების გამოსამზეურებლად, მისი ხასიათის უფრო სრული გახსნის მიზნით. როგორც აღვნიშნეთ, ჯაყომ ქეიფი გადაიხადა. საკლავებიც დახოცეს და ფრინველიც. ჯაყომ თეიმურაზს დაუძახა და ასე მიმართა:

„—აბა, კნიაზ. ერთი ქათამი შენც დაგვალი. შენი დაკლული ქათამი ამ ოჯახს უფრო შეგეწევა.

თეიმურაზი შედრკა:

— არ შ...შეშვიძლია, ჯაყო!

ჯაყომ სიცილი დააყარა:

— მაშ რა ვაუკაცი იქნებოდე? ერთი ქათამიც ვერ დაკლავდე? ჰაი, შე ქალაჩუნავ, შენა აბა, უყურებდე ჯაყოსა!”

ჯაყო იცინოდა, თეიმურაზს მასხარად იგდებდა. მარგოც აივნოდან არცხვენდა თეიმურაზს: „— შეჩვევა რა შუაშია? მამაკაცის გული რომ გქონდეს, სისხლის დანახვა ეგრე არ გაგაფითრებდა. სირცხვილია, თემურ!“ მართლაც სირცხვილია: ხევისთავი ჯაყოს და მარგოს დასაციინი გახდა. მაგრამ მან ეს დაიმსახურა. აბა რა პოლიტიკას ეპოტინებოდა, რა ენის ქავილი ჰქონდა ატეხილი, რისი გამკეთებელი იყო ეს ლაჩარი, რომელიც ქათმის დაკვლახეც კი ცახცახებს და ფერი მისდის?

არანაკლებ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ეპიზოდი. ქეიფის დროს ჯაყომ თავისი ჯალაბიც გამოშალა. აღმოჩნდა, რომ მას ცხრა შვილი ჰყოლია და ერთი ამდენის ყოლას კიდევ აპირებს: აი, ამ დროს შეზარხოშებული ჯაყო ეკითხება თეიმურაზს:

„— შენა, ნათლია? რატომ ერთი ბიწი მაინც არ გეყოლებოდეს? თეიმურაზმა ამოიოხრა.

— რა ვიცი, ჯაყო. ღმერთს ასე სურს.

— ღმერთმა რა ვიცის შენი საქმე? შენ იქნებოდე ქალაბიწა. ღმერთს ნუ დააბრალებდე“.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჯაყო თეიმურაზს თანდათანობით აგდებულად და უფროსის ტონით ელაპარაკება, მას არცხვენს, ამცირებს, მარგოს თვალში ფასს უკარგავს: ხან ქალაჩუნას ეძახის, ხან „ქალაბიწას“ და ყოველივე ამას უსაბუთებს კიდევ, რათა მარგოც დაარწმუნოს თავისი ქმრის უვარგისობაში, როგორც ეს ჯაყოს ესმოდა. აქ როლები უკვე შეცვლილია — ჯაყო ბატონია, თეიმურაზი კი მის ლუკმაზე მყოფი ხიზანი. აღსანიშნავია, რომ ამ ქეიფში ჯაყო სწორედ ბატონივით ირჩება, მან „აივნის ჩრდილში ხევისთავთა საგვარეულო სითიკანი დაიდგა, ზედ ჩამოჯდა“ და გვერდით სტუმრები მოსევა. ეს სითიკანი, რომელიც საბას განმარტებით მამამთავართ საჯდომ ადგილს ნიშნავს, ახლა ჯაყოს მდგომარეობის შესაფერი საგანია და ისიც მოკრძალების გარეშე იყენებს მას.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჯაყომ იმ დღიდან თეიმურაზს „ბრინჯა“ შეარქვა. ბრინჯა კი ჯაყოს ნათესავი იყო — დავერდომილი, გონჯი, საბრალო, რომელსაც ჯაყო მსახურად იყენებდა, აბუჩად იგდებდა და შინაყმად ყავდა. აი, ამ ბრინჯას სახელი დაარქვა ჯაყომ თეიმურაზს და ისიც ამ დამცირებას ლაჩრულად იტანს.

აღნიშნულ ღზინს ესწრებოდნენ გლეხებიც და მათ შორის ძველი ნამოურავალი პეტრე დევდარიშვილი, რომელიც ავთანდილ ხევისთავის ერთგული მსახური იყო, მერე კი თეიმურაზს გაუდგა,

როცა მან ქონების განიყვება იწყო. იქვე გახლდათ გაკრეპილი მღვდელი ივანე, რომელიც აგრეთვე ადრე ხევისთავების ერთგული იყო. ორივენი გულისტვიცილით შესცქერიან ხევისთავს და სადღეგრძელოებში მწარე სიმართლესაც ეუბნებიან. მაგალითად, ივანემ სადღეგრძელოში თქვა ის, რაც ნამდვილად მოხდა და რაც ხევისთავს მათრახებს არტყამდა:

„წინათ თავად-აზნაურები გლეხებს უღელში აბამდნენ, ეხლა კი ბედი პირუტყლმა მოტრიალდა... წინანდელი ჩვენი თავადი კი... ჩვენი აზნაურები წყალწასაღებნი იყვნენ და აკი ჩაპბარდნენ კიდევაც მიმავალ დროსა!“ ამას ამბობს ყოფილი მღვდელი. აწ გაკრეპილი და გლეხად ქცეული ივანე, რომელსაც არც დაკვირვება აკლია. არც ქვე-გონება და არც პატიოსნება, რაც შემდეგში არა ერთხელ დაამტყიცა თეიმურაზთან ურთიერთობაში. ეს იყო სიმართლის პირში თქმა!

საყურადღებოა, რომ ამავე სუფრაზე ივანემ ჭაყო ახალ თავადად მოიხსენია, რომელსაც გამჟვრიახობა აქვს, ქონებაც და გავლენაც. ამაზე ჭაყო გაიბადრა და კინაღამ წამოიძახა თავის „მამ, მამ! მაგრამ ახალგაზრდა გლეხებმა შეუბღვირეს ივანესაც და „ახალ თავდასაც“, მერე კი ერთხმად წამოიძახეს: „ძირს აზნაურები! ძირს. არ გვინდა!“ ამას კი მიწვევ-მოწვევაც მოყვა, რაც ძლივს დაამოშმინეს. ჭაყომ უკან დაიხია — მე რომელი კნიაზი ვარო. გავიძებული განთავისუფლებული გლეხების ახალი ძალა აქ ნათლად ჩანს.

საცოდავმა თეიმურაზმა ამ სუფრაზე გრძელი სიტყვა წარმოთქვა: დაიცავით ძმობა, მშვიდობა და ამხანაგობა! დ...დღანარჩენი თვითონვე დალაგდებოდ, ღმერთმა ყველას მშვიდობა მოგცეთო და მისთანები. ამ სიტყვებში ერთხელ კიდევ გამოჩნდა თეიმურაზი, როგორც „ღვთის მონა“.

აღნიშნულ ეპიზოდებში, როგორც დავინახეთ, ნათლად მოჩანს თეიმურაზის კიდევ უფრო მეტი დაცემა, დამცირება და დაჩაჩანაკება. ბოსტანში გაკეთებული საფრთხობელა ხევისთავების ბედზე ერთხელ კიდევ მიგვივითხებს, ქათმის დაკვლისას დანახული სისხლი თეიმურაზს ფერს რომ აკარგვინებს — მის „გმირობაზე“ მეტყველებს, ჭაყო რომ დასცინის და ბრინჯად მონათლავს, ესეც საბოლოოდ აფორმებს მის ყოფილობას. მას სახელიც გამოუცვალეს — იგი ბრინჯად იქცა და ეს სწორიც არის, რადგან ყოველ საგანს შესაფერისი სახელი უნდა ვუწოდოთ.

რალა თეიმურაზი? იგი მხოლოდ ნაკაცარია, მას ყველაფერი წარსულში დარჩა, ახლა იგი ყველაფრისაგან გაძარცვულია და, რაკი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დაკარგვას ადამიანური

ღირსების შეგინებაც მოჰყოლია და ისე დაგლახაკებულა, რომ ჭაყოსაგან ყველაფერს იტანს, ოღონდ ლუკმა ჰქონდეს, მამ კაცის სახელიც მას აღარ უნდა შევეუნარჩუნოთ, იგი ნაკაცარია.

ნაკაცარს კი მომდევნო დღეებიც უკეთესს როდი უმზადებს, იგი განწირულია და უნდა დამთავრდეს მისი არსებობა. როცა თეიმურაზის საქმე ისე წავა, რომ მის საწოლ ოთახში მარგოსთან ყოველ ღამე ჭაყო ღივივინებს, ხოლო ნაბატონარი ნამოჯამაგირალის მიერ სოფლის გარეთ გახსნილ ღუქანში ნოქრად ჩალიჩობს და დამესაც იქ ათევეს ახალი მბრძანებლის — ჭაყოს დავალებით, ხევისთავი დარწმუნდება, რომ მის არსებობას მიზანი აღარ აქვს... უკანასკნელი იმედი და გულის შუქი მას მარგო ეგონა, იგი მიაჩნდა სიყვარულად, მეგობრად, იმედად, ის კი ჭაყოს მკერდზე ნებივრობს, ის მოლაღატეა, უზნეოა, გამყიდველია... ეს მწარე რეალობა თეიმურაზს გადააწყვეტინებს, რომ სჯობს დაამთავროს სიცოცხლე, რომელიც მას „მკვდარი ძაღლის ლეშივით“ ჩამოჰკიდებია და ყოფას უწაპლავს... ის მიდის მდინარესთან, რათა თავი დაიღრჩოს, სძლევს მერყეობას და შევა წყალში, მაგრამ ნებისყოფა უმტყუნებს და ყვირილს იწყებს — შევლას ითხოვს...

ხევისთავი გადაარჩინეს, მოაბრუნეს, სიცოცხლე შეუნარჩუნეს. რისთვისღაა ეს საჭირო? ნუთუ იმისათვის, რომ კიდევ გაგრძელდეს მისი ტანჯვა და წვალება? ნუთუ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად შეურაცხყონ და დაამცირონ? განა არ ეყო, რაც იწვალა? ნუთუ კიდევ მეტის ატანა შეუძლია ადამიანს?..

თეიმურაზი დაღრჩობას გადაარჩინეს გლეხებმა, იმათ, ვისაც ხევისთავეები ადრე მონობაში ამყოფებდნენ. მაგრამ გლეხი, მშრომელი ადამიანი სიკეთით სავსეა და გაჭირვებაში ჩავარდნილს ის ყურადღების გარეშე არ დატოვებს. ეს სიმბოლურად შეიძლება წავიკითხოთ ამ ეპიზოდში.

მიმკვდარებულ თეიმურაზთან გათენებისას ნინიკას საბჭელში მარგო და ჭაყოც მოიბრუნენ. თეიმურაზი პირიდან ღიახევის წყალს აღებინებს და თანდათან თვალს ახელს. აი, აქ გამოიჩინა მან წუთიერი გაბედულება და მარგოც და ჭაყოც გალანძლა და გაყარა. მაგრამ ეს განწირულის გაბედულება იყო და არა გმირისა, რადგან გმირობა და თეიმურაზი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ეს რომ ასეა. ხევისთავის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯიდან ჩანს. თუნდაც ამ „გმირობის“ შედეგიც. განა ისევე თვითონ თეიმურაზი, მოკუნტული და მოკაქული, არ ცდილობს მარგოს შემოარიგებას და ყველაფრის პატიებას? ცოლმა ბანჯგვლიან მხეცში გაცვალა, ქმრის სარეცელი შებღალა, მძინარე ქმრის გვერდით დანებდა ძლიერ სხეულს... თეი-

მურაზმა ყოველივე ეს იცოდა, გამოიძია, დარწმუნდა და, მიუხედავად ამისა, ვერ იბოვა თავისთავში იმდენი ძალა და უნარი, რომ შეეძლებინა მარგო, შეეზიზღებინა და გასცლოდა, გვარი მაინც წაერთმია თავისი და რამეთი მაინც შეენარჩუნებინა კაცური ღირსება... მაგრამ ის ხომ ნაკაცარია, მას არავითარი ღირსება არ გააჩნია.

ავიღოთ თუნდაც ის ეპიზოდი, როცა დაექვებული თეიმურაზი დუქნიდან ჩუმად მიიპარება თავისავე სახლში, საწოლ ოთახში შევა და ნახავს, რომ მის სარეცელზე მარგოს და ჯაყოს ერთად სძინავთ და ყველაფრიდან ჩანს, რომ მათი სხეულები დიდი ხანია ერთმანეთს შეჭკუებიან, ერთად მიღებულნი ხორციელი ტკბობა მათთვის დიდი ხნის ჩვეულებად ქცეულა. რას მოიმოქმედებს თეიმურაზი? იქვე კედელზე იარაღია — დამბაჩა, ხმალი, ხანჯალიც. ეს ეპიზოდი ისეა შემზადებული, რომ მკითხველი მოელის — აი, ახლა მაინც გაიღვიძებს თეიმურაზში მამაკაცი და კაცურ ღირსებას დაიცავს იარაღით. შერაცხვენას არ აპატიებს არც მარგოს და არც თავხედ ნამოურავალს... მაგრამ... თეიმურაზს ხანჯალი ხელიდან უვარდება — ჯაყო აღამიანია და როგორ უნდა მოვკლავ. სამაგიეროდ, ჯაყომ როდი დააყოვნა თეიმურაზის გარეთ გამოთრევა და კიბეებიდან დაგორება, პანდურით გამოგდება. და ძალით უარის თქმევენება იმაზე, რაც კანონით ხევისთავს ეკუთვნოდა თეიმურაზი აქაც ისეთი უმწეო და ლაჩარია, ისეთი უსუსური და მხდალი, რომ ზიზღს იმსახურებს.

თავისი უფლების დასაცავად მას არც კანონისთვის მიუმართავს, არც თვითონ გაუნძრევია თითი და ისე ურიგდება ყოველივე. ამას, თითქოს მას არ ეხებოდეს. და ასეთ ქალთან მაინც მიდის დახრჩობას გადარჩენილი და იქით სთხოვს პატიებას — შეურაცხყოფა მოვაყენე და შემინდეო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ხევისთავი კანონს, ახალ ხელისუფლებას არ სცნობს, იგი კანონიერ ხელისუფლებად არ მიაჩნია და ამიტომ, პროტესტის ნიშნად, არ მიმართა მას დახმარებისათვის, არ მიმართა კანონს. დაეუშვათ, რომ ეს ასეა, მაშინ თვითონ მაინც შეეცდებოდა დაეცვა თავისი ღირსება თუნდაც სიცოცხლის ფასად. იქნებ ვინმემ იფიქროს, ფიზიკურად სუსტ თეიმურაზს რა შეეძლო გაეწყო ნადირივით ძლიერ ჯაყოსთანო, მაგრამ ფიზიკური სისუსტე აქ არაფერ შუაშია! გავიხსენოთ სპირიდონ მცირიშვილი, რომელმაც ძალგულოვანი და დიდი ფიზიკური ძალის მქონე მკლავაძე ერთი გასროლით გამოასალმა წუთისოფელს და ამით დაიცვა ცოლისა და საკუთარი ღირსება. განა სპირიდონი თეიმურაზზე ღონიერი იყო ფიზიკურად? ან იქნებ ვინმემ თქვას — თეიმურაზი ინტელიგენტი იყო და პირად ანგარიშსწორებას ხომ არ დაიწყებდაო. სასაცილოა!

განა მცირიშვილი ვინმეს გაუმტყუნებია იმისათვის, რომ თვითონვე გაუსწორდა მკლავაძეს?

თეიმურაზს ვერაფრით გავამართლებთ. მთავარი ისაა, რომ ის არა მარტო ფიზიკურადაა ჭიანჭყამი, არამედ სულიერადაც დაცემული და მკვდარია, ის ყოველმხრივ ძალაწართმეული და გაძარცულია. ნაკაცარია!

მაგრამ იქნებ მარტო პირად ცხოვრებაშია თეიმურაზი ასეთი სუსტი და უმწეო, იქნებ სხვა ისეთი თვისებები გააჩნია, რომელიც მის მიმართ ჩვენში ნაწილობრივ სიმპათიას მაინც გამოიწვევს? იქნებ სამშობლოსა და მშობლიური ერისათვის შესტყვივა გული და ყველაფერს მხოლოდ იმისთვის ითმენს და იტანს, რომ მას ანაცვალოს თავი და მასზე ზრუნვაში გაიღოს მსხვერპლი? არა და არა ერისა და ქვეყნის მიმართ მის დამოკიდებულებაში თეიმურაზი კიდევ უფრო მცდარი და საძულველია.

მშობლიურ ხალხზე თეიმურაზი ისეთ ავადმყოფურ ნაბოღვარს გამოთქვამს, რომ ჩვენ არც კი შეგვიძლია მას აზრები ვუწოდოთ. ამ მხრივ საგულისხმოა თეიმურაზისა და ივანეს საუბარი, რომელშიც ნილაბჩამოგლეჯილია ხევისთავის სულიერი ავლადიდება, „იდეური მრწამსი“, მეორეს მხრივ კი გამომზეურებულია გლეხის, მშრომელი ადამიანის სიყვარული თავისი ერისადმი, ერთგულება ქვეყნისადმი და იმედი უკეთესი მომავლისა. აღნიშნულ საუბარში ერთმანეთს უპირისპირდება ორი უკიდურესად საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგარი ადამიანი. ერთს ყველაფერი გაუთავებია, მისთვის ყველაფერი დამთავრებულია და „მარხავენ“, მეორესთვის კი ყველაფერი ცუდი და ბნელი უკან დარჩა, მისთვის ეხლა განათდა სამყარო და ყველაფერ კარგს მომავალში მოელის. ერთი დაცემული პესიმისტია, რომელსაც წუწუნისა და მოთქმის მეტი არაფერი დარჩენია, მეორე კი — მხნე ოპტიმისტი, რომელიც წელში გაშლილა და ბედნიერებას ეგებება...

ამ ორი ადამიანის უკან დგანან მათი კლასები. თეიმურაზის უკან დგას მისი კლასი, რომელსაც სასიკვდილო სენი დიდი ხანია შეეპარა, მაგრამ მხოლოდ ახლახანს მოელო ბოლო და ახლა ის უკვე ლეშია. თვითონ თეიმურაზი მოსწრებულად შენიშნავს: „—ჰმ! ს...საოცარი! ს...საკვირველი! ჩვენივე დასაფლავება ჩვენივე თვალწინ ხდება. ანდერძს გვიგებენ და ჩვენვე ვესწრებით ჩვენს ქ...ქქელეს“. თეიმურაზი არა მარტო ამჩნევს, რომ მისი კლასი მოკვდა და მას მარხავენ, არამედ მას მიაჩნია, რომ ეს საქმე თავიანთ თავს თვითონ დაშართეს ამ კლასის წარმომადგენლებმა ძნელია იმის გაგება, თუ რას გულისხმობს ამაში ხევისთავი. ყოველ შემთხვევაში.

რევოლუცია მათ არ მოუხდენიათ! იქნებ ის იგულისხმება, რომ ვერ მოუარეს ვაბატონებულ მდგომარეობას და ხელიდან გაუშვეს იგი? ანდა იქნებ იმას ფიქრობს ხევისთავი, მეც დემოკრატი ვიყავი და რევოლუციის გამარჯვება დავაჩქარეო? ასეა თუ ისე, ერთი ცხადია. რომ თეიმურაზი აცხადებს: „გაგიგონია, რომ გონიერი ადამიანი თვითონვე ითხრიდეს სამარე...? არ გაგიგონია. განა! მაშ ახლა გაიგონე: მე ვარ მაგისტანა გიჟი, მე! ჩვენ თვითონვე გავითხარეთ საფლავი, ახია მეტი ჩვენს თავზე, ახი!“

აქ საინტერესოა მწერლის რეპლიკა, რომელიც ხევისთავის ამ „აზრების“ პასუხიკაა: მწერალი დასძენს — როცა თეიმურაზი ამას ამბობდა, „აბოღებული ნაკაარი ფეხით მიწას ტყეპნიდა, თითქოს თავისსავე საფლავს მიწას აყრიდაო“. აქედან აშკარა ხდება მწერლის პოზიცია: ხევისთავი მას მიაჩნია ნაკაარი, ხოლო მისი ნაღაპრაკევი — ნაბოღვრად.

არანაკლებ საინტერესოა ივანეს რეპლიკაც. როცა თეიმურაზი მიმავალთა სადღეგრძელოს იტყვის, ივანე შეუსწორებს — ადღეგრძელოს კი არა, განუსვენოს, განუსვენოს! ივანეს მომაკვდავი თუ უკვე მკვდარი ხევისთავეები და მისი ჯურისანი კი არ ებრალებიან და. მით უმეტეს, მათი დღეგრძელობა კი არ სურს, არამედ ისინი დამარხულად მიაჩნია და განსვენებას უსურვებს მათ.

ამ განწირულების ცხადად შეგრძნება ხევისთავში იწვევს გაბოროტებას, რის გამოც მას ალარაფერი სწამს, მათ შორის მშობლიური ერისაც. თეიმურაზი ჩვენს ხალხზე გამოთქვას რამდენიმე ისეთ „მოსაზრებას“, რომელიც მოსასმენადაც კი აუტანელია. ეს „სიბრძნე“ მის მთქმელს ახასიათებს, როგორც დაცემულსა და ავადმყოფობით შეპყრობილს, ხოლო ამ დაავადების განკურნება შეუძლებელია...

თეიმურაზი ივანეს ეუბნება: „...ქართველი ხალხი საშინელ ძალას ატანს და ამახინჯებს თავის თავს. ერთი გამაგებიანე, როგორ მოხდა ასეთი უცნაური სასწაული: ზნე-ჩვეულებით, სულითა და სისხლით არისტოკრატმა ქართველმა როგორ მოახერხა დამყარება უდემოკრატიულეს რესპუბლიკისა? ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევძარით რიხიანი ყვირილითა და ბაქიობით: მოდიოთ, გვენახეთ და ჩვენგან ისწავლეთ ნამდვილი დ...დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგიო?! შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ხა-ხა! სასაცილოა. მაგრამ სატირალიც არის ეს ამბავი, ჩემო ივანე. იგი ცხადად ამტკიცებს ჩვენს ფლიდურს, ორპირსა და ორგულ ბუნებას. ეს იყო ყირაშალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა.

ჩვენ ჩვენს თავსაც ვატყუებდით და ქ...ქვეყანასაც. ესეც ჩვენი კულაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ. ბოლოს და ბოლოს. საქ...ქართველოს ეს მაიმუნობა დაღუპავს, თუ დროზე არ ვუშველეთ ჩვენს თავს. წამბაძველობის ნიჭი, ჩემო ივანე, უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააქარბა: ქკუა დაგვავლო და წაბაძვის ნიჭი ნაქ...ქარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს...”

როგორც ვხედავთ, თეიმურაზის რწმენით, ქართველი ხალხი „ფლიდი, ორპირი და ორგული ბუნებისაა“, იგი წამბაძველია, საკუთარი ნიჭი არ გააჩნია და მაიმუნივით სხვას ბაძავს. ეს მართლაც ნაბოღვარია, იგი შეურაცხყოფა და ლანძღეაა ერისა, ეს გამწარებული და გაბოროტებული კაცის გესლი და შხამია, რომელიც ნიადაგამოცლილ და ლეშადქცეულ, გახრწნილ არსებას შეიძლება გააჩნდეს და სხვას არავის... მშობლიური ერის ასე შეურაცხყოფა, მისი სახელოვანი ისტორიული წარსულის ასე დავიწყება და გათელვა, მისი სახელისათვის ესოდენი ჩირქის მოცხება მხოლოდ გიჟის ნაბოღვარად შეიძლება მივიჩნიოთ...

მწერალი სწორად იქცევა, როცა თეიმურაზის თანამოსაუბრეა ივანეს, ყოფილი ბატონისთვის ათქვევინებს: „—ვიამე, ჩემო თემურ, — გააწყვეტინა ივანემ, — შენ ამ ქვეყნისა აღარ ჰყოფილხარ...“ როცა ივანე თეიმურაზის შეგონებას ლამობს და ეუბნება, რომ ქართველი ხალხი შრომობს, დღედაღამ მუშაობს და როცა შენ ლოგინში ნებევრობ, ის უკვე ველ-მინდვრებსა და ვენახებში ოფლს აქცევსო. თეიმურაზი მწარედ უპასუხებს, შრომა ახალი დროის სარწმუნოებააო. თუმცა თეიმურაზს მიაჩნია, რომ შრომა აუცილებელია. მაგრამ იგი ისევ იმ აზრისაა, რომ ქართველ ხალხს აკლია სწორედ შრომის უნარი და ნებისყოფა, ე. ი. კულტურა... მერე გადასწვდება გ. ერისთავს, ზ. ანტონოვს და სხვა მწერლებს, რომლებმაც ვაჭრები ზიზღით დახატეს და ამას უცნაურად ხსნის: ადამიანს სძულს, რაც მას თვითონ არ ეხერხებაო, ე. ი. მას ეზიზღება საკუთარი ჩამორჩენა, უმწეობა და უძლურება და სწორედ ამიტომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირისპირეთ „ჩვენი აზნაურული ფარი—დენდობა და რაინდობა, ე. ი. ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კულაბზიკობა, ნებამოშლილი ადამიანის უძლური აშპარტავნობა და ლატაკის ჭექა-ჭუხილი“. ამ თვისებებს თეიმურაზი მთელ ერს, მთელს ჩვენს ხალხს რომ არ მიაწერდეს და იგი მხოლოდ ქართველი თავად-აზნაურობის თვისებად მიაჩნდეს, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებოდით, მაგრამ ხევისთავს თვალეები არ უჭრის, მხედველობა ძალზე დაქვეითებული აქვს და ამიტომ ვერ

დაუნახავს, რომ ქართველი ხალხი და მისი ერთი მცირე ნაწილი — თავად-აზნაურობა ერთი და იგივე არ არის...

ივანე ისევ თავისას ადგას და თეიმურაზს მკვახედ, მაგრამ მოსწრებულად უპასუხებს: ჩვენც მანდა ვართ და სწორედ მაგას ვებრძვი: აღარ გვინდა ფუქსავეტები, მფლანგველები, ყოყორები. კუდაბზიკები და ამპარტავენები. ვინც მუშაობს, იმას არც კუდაბზიკობისათვის სცალიან, არც ქეიფისათვის““. ივანეს ეს სიტყვები ზუსტად ურტყამს მიზანში და ხევისთავს აგრძობაინებს, რომ ის ეკუთვნოდა ასეთთა წრეს და ამიტომ ზედმეტია. აღსანიშნავია, რომ ივანეს ამ სიტყვებს ძალა დღესაც არ დაუკარგავს.

განწირული თეიმურაზი თავს ესხმის აგრეთვე ქართველ ინტელიგენციას, ხელალებით ლაპარაკობს მასზე და ვერ გამოყოფს ინტელიგენციის საღ და ერის მოჭირნახულე ნაწილს იმ ნაწილისაგან, რომელსაც ენის ქაველისა და წუწუნის, კორიკანობისა და უხერხემლობის მეტი არაფერი გააჩნია... როცა ივანე თეიმურაზს შეახსენებს ინტელიგენციის მოვალეობას, რომ მან უნდა დაიცივას ხალხი სენისა და უმეცრებისაგან, თეიმურაზი წამოიძახებს:

„—ნუ გამახსენებ ქართველ ინტელიგენციას, ნუ!.. თუ რამ ავი დაგვემართა, ისევ ინტელიგენციის წყალობით გვერავო. თევი თავიდან აყროლდებო, — ასე დაგვემართა ჩვენც. ვისაც მეტი ერავო, მეტიც მოეთხოვება. ჩვენ სათავეში მოვექეციო ხალხს. ლხინში წინ მივუძლოდით, ჭირში კი კუდში ძლივს მივდედით““.

ჩვენ აქაც ის უნდა გავიმეოროთ, რომ თეიმურაზი ძირშივე ცდება. თუ მას თავის თავი ჰყავდა მხედველობაში, ანდა თავისმაგვარი ინტელიგენტები, რომელთაც ფუქი გული და ჭიანჭამი სულის მეტი არაფერი გააჩნიათ, მაშინ ზემოაღნიშნული შეფასება სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ თეიმურაზი ხომ მთელ ქართველ ინტელიგენციაზე ლაპარაკობს ასეთი ღვარძლით! ეს მიუტყეველო შეცდომა და დიდი ცოდვააააა განა ერთის მესვეური ინტელიგენტები — ილია, აკაკი, ვაჟა და მრავალი სხვა დიდი წარმომადგენელი ჩვენი ეროვნული ინტელიგენციისა იმის ღირსია, რომ ნაკაცარმა დაცემულმა, გაბოროტებულმა თეიმურაზმა ასე აუგად მოიხსენიოს?! ჩვენ ისევ ვიმეორებთ, რომ თეიმურაზს სრული საფუძველი ჰქონდა თავის თავზე ელაპარაკა ასე, რადგან ის და მისი მსგავსნი, რაც მცირე ნაწილი იყო ქართველი ინტელიგენციისა, სწორედ ანალოგიურ შეფასებას იმსახურებენ.

წინა მსჯელობიდან ჩვენ ცხადვყავით, რომ ხევისთავი ზიზლით ექვით, სიძულვილით უყურებს ქართველ ხალხს, მის წარსულს, მის ხასიათს, მის ინტელიგენციას... მწერალი ამით თვალწინ გადაგვიშ-

ლის ხევისთავის სულიერ ავლადიდებას და ერთხელ კიდევ შეავსებს მის შესახებ ჩვენს წარმოდგენას, რაც ამ გმირს კიდევ უფრო გვაძულებს. მწერალი ახერხებს ჩაგვახედოს ხევისთავის სულიერი „სამყაროს“ ყველა კუნძულში და დაგვანახოს ის სრულად, ამომწურავად.

რა გამოდის? გამოდის, რომ ფიზიკურადაც, მორალითაც, კაცური თვისებებითაც, იდეურადაც, ზოგადი შეხედულებებითაც — ყველაფრით ზიზღის ღირსია თეიმურაზი. იგი უნდა გაირიყოს და აკი გაირიყა კიდევ: მას ახალი საზოგადოება არ იცნობს, მისთვის ყველა კარი დახურულია, არც ერთ დაწესებულებაში, არსად მისთვის ადგილი არაა. და თუ თეიმურაზს ადრე ეგონა, რომ მას არ იცნობდნენ და იმიტომ უხურავდნენ კარს, ის მალე დარწმუნდება, რომ პირიქითაა — ძალიან კარგად იცნობენ და ამიტომ არავის სურს...

თეიმურაზი ივანეს ეუბნება, რომ „ჩემი განკურნება ძნელია. თვალებზე — შავი ბინდი, გულში შავი ნაღველი და სულშიც — შავი ბურუსი, აი დღევანდელი თეიმურაზ ხევისთავი“ და როცა ის ამოიოხრებს და ინატრებს, როდის დამიბრუნდება სულიერი სიხარული და სიმშვიდეო, ივანე მისთვის ჩვეული ჭკუით პასუხობს:

— მაშინ დაგიბრუნდება, როცა შენც ჩემსავით დაუბრუნდები ხალხს და ეზიარები იმას სულითა და გულით, იმის ჰირითა და სიხარულითო, მაგრამ თეიმურაზი ჭიუტად დგას თავის ბნელ აზრებზე, ხალხს მისი არ ესმის, მას კი ხალხისა, ისინი სხვადასხვა ნაპირზე არიან და მათ შორის ხიდი არც არსებობს და არც გაიდება... ანდა როგორ შეიძლება მიიღოს ის ხალხმა, როცა იმდენად უღირსია, რომ ყურით გაუგონარს ამბობს: „...ჩემი უუდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ...ქართველოში დავიბადე... ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ... რრთველად გამაჩინა...“ აბა რაღა ვთქვათ, განა ამას განმარტება კიდევ ესაჭიროება? ამის პასუხად ისევ ივანეს სიტყვებს ვოვიშველიებთ:

„— თქვენი მოდგმა დიდი ხანია მოკვდა, თემურ, გვიან გასაფლავებენ“. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამაზე თეიმურაზის პასუხიც გასაზიარებლად მიგვაჩნია:

„— იმიტომ ავყროლდით, ივანე, რომ გვიან გვმარხავენ“.

ვიმეორებთ, ამაში კი ვეთანხმებით ბატონ ხევისთავს...

აღსანიშნავია, რომ მ. ჭავჭავაძის საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ფიზიკურ ძლიერებას და ბევრგან გვაგრძნობინებს, რომ კაცი ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცე უნდა იყოს, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ კაცური საქმე-

ების გაკეთება. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ „თეთრი საყელო“, რომელშიც სწორედ რკინისებური ჯანმრთელობისა და გაუზნარავი სულის ადამიანებს გვიხატავს, გამარჯვებას მათ მოაპოვებინებს.

თეიმურაზ ხევისთავის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად, სხვა მიზეზებთან ერთად, მ. ჯავახიშვილი მის ფიზიკურ სიძაბუნესაც თვლის. ეს ძალზე გამოკვეთილად რომანის იმ ეპიზოდში იგრძნობა, სადაც მარგოსა და ჯაყოს ჯვარისწერაა აღწერილი. ეკლესიაში ხევისთავიც მივიდა და ცოლის გათხოვების მოწმე გახდა. თეიმურაზი მწარედ განიცდის ამას და მძიმე ფიქრებით შეპყრობილი თავის ორეულს ესაუბრება. სწორედ ეს ორეული ეუბნება ძაბუნ ხევისთავს:

„ — ეზიზღები (მარგოს — ტ. კ.), რადგან ქალაჩუნა ხარ!“

თეიმურაზი ეთანხმება, მართალი ხარო. ორეული განაგრძობს: „—მამაშენი და შენი წინაპრები სულითაც და ხორცილთაც ფოლადისაგან იყვნენ ჩამოსხმულნი. შენ კი გაქალდი და გაფუვდი, წყალსაც ძლივს ყლაპავ და ბუმბულიც მძიმე ლოდად მიგაჩნია, არც კბილები გაქვს საგლეჯად, არც მკლავი მოსაქნევეად, არც ხმა შესატევეად. საგულეს გულის ნაცვლად დამპალი ძონძი ჩაგიგდია, სასულეს სულის ნაცვლად სიმყრალე დაგიგუბებია, ხოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის ღუბელა ჩაგისხამს, ისე დაკნინდი და დაილიე, რომ ვაჟკაცობისა აღარაფერი არ გაცხია“.

ეგვეც მართალიაო — უდასტურებს თეიმურაზი.

ჩვენ ვხედავთ, რომ მწერალს ეს სიტყვები უბრალოდ არ დაუხარჯავს და მკითხველი სავსებით იჭერებს ნათქვამს.

აი, ვინ არის თეიმურაზ ხევისთავი, თავისი კლასის ტიპური წარმომადგენელი, ადრე დაღუპული და გვიან დამარხული, რამაც მისი აყროლება გამოიწვია... ხევისთავი ყოველგვარ უბედურებას მოესწრო: მშობლების დაკარგვასაც, სახლ-კარისაც, უფლებებისაც, ლუკმა-პურისაც... იგი ყოფილი მოჩამაგირჩის — ჯაყოს ხიზანი გახდა. თეიმურაზს ცოლიც გაუდგა, ჯერ უნებურად, მაგრამ მერე და მერე ნებითა და სურვილითაც კი იგი ჯაყოს ხასა და ღამის დამატკობელი არსება ხდება, ქმრის გვერდით, მისსავე სარეცელში ატკობს ჯან-ღონით სავსე ჯაყოს. მერე თეიმურაზი თვითონ ესწრება თავისი ცოლის ჯვარისწერას ჯაყოსთან და ნოქრად უდგება ყოფილ მოჩამაგირჩეს, აწ კი კულაკს — ჯაყოს. იგი დამცირებული, გაღატაკებული, შეურაცხყოფილი და დაღატაკებულია. ძნელია წარმოვიდგინოთ სხვა ადამიანი, რომელსაც ასე ყველაფერი დაეკარგოს — ქონებაც და სახელიც, პატივიც და სიამაყეც, თავმოყვარეობაც და

ოჯახიც, ვაჟკაცობაც და იდეალებიც, პოლიტიკაც და ეკონომიკაც და იტანდეს ყოველივეს, მაინც ცოცხლობდეს!..

მწერალი არ კლავს თეიმურაზს, იგი ფიზიკურად ცოცხალი რჩება, მაგრამ არა იმიტომ რომ ის ამის ღირსია, არამედ იმისათვის, რომ კიდევ იწვალოს, კიდევ მრავალი სიმწარე ნახოს, რადგან მას ეს დამსახურებული აქვს, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ... მწერალი არ კლავს თეიმურაზს იმიტომაც, რომ სადღაც იმედი აქვს — ეგებ მივიდეს ახალ ცხოვრებასთან, რომელიც მას შეუენდობს. აპატიებს, თუკი ხალხის სამსახურში ჩადგება და ნამღვდელარ ივანესავეთ პატიოსნად იწრომებს, მთელი გულით გაიზიარებს ხალხის ბედ-იღბალს...

სხვათა შორის, ეს საინტერესო საკითხია: მ. ჯავახიშვილი ბევრ ყოფილს, ბევრ ნაკაცარს მთელ რიგ ნაწარმოებებში ცოცხალს ტოვებს. მაგალითად, ასეა „კვაჭი კვაჭანტირაძეში“, ასეა „გივი შადურში“. ამ ნაწარმოებთა ის პერსონაჟები, რომელთაც უშუალოდ თავიანთი ხელით არ დაუხოცავთ მშრომელი ადამიანები, ვისაც იარაღით ხელში რევოლუციის წინააღმდეგ არ უბრძოლიათ და მებრძოლი კლასების შვილების სისხლი არ დაუღვრიათ, ცოცხალი რჩებიან. ამ ფაქტში ჩვენ ვხედავთ, ერთის მხრივ, მწერლის ჰუმანიზმს და, მეორეს მხრივ, იმის სურვილს, რომ გზასაცდენილებმა და დაბნეულებმა სწორი გზა გამოიხონ, ჩადგნენ თავისი ხალხის მწყობრში და ახალ ცხოვრებას მხარში ამოუდგნენ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულიად შეესატყვისებოდა იმ პერიოდის სინამდვილეს, როცა პარტია და მთავრობა დამარცხებულ კლასთა წარმომადგენლებს მოუწოდებდა მიეღოთ საბჭოთა წყობილება, მოენანიებინათ და დაეგმოთ თავიანთი ძველი ცოდვები და შეხედულებები და ჩამდგარიყვნენ ახალი ცხოვრების სამსახურში. თუ თვალს გადავაყვლებთ 1921, 1922, 1923 წლების გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებს, ზემოაღნიშნული აზრის დამადასტურებელ ბევრ მასალას ვნახავთ.

თეიმურაზი ფიზიკურად ცოცხალი რჩება, თუმცა იგი ყოველმხრივ მკვდარია. ჭაყოს განკულაეებისა და მისი პარპაშის დასასრულის შემდეგ, რაც სოფლის გლეხებმა და საბჭოთა ხელისუფლებმა განახორციელეს და რაც ასე ცოცხლად არის დახატული რომანის ერთ თავში, თეიმურაზის სასახლეში კოოპერატივი და სკოლა იხსნება. კოოპერატავში თეიმურაზმა ნოქრობა და ბუღალტერია ჩაიბარა, ზოგჯერ კი სოფლის ბავშვებსაც ამეცადინებს. თავის ნასახლარში სოფელი მას ერთ ოთახს დაუთმობს, საკმელსაც მისცემს, ლოგინსაც გაუწყობენ და ხევისთავი თავისუფალ დროს ფანჯრიდან გასქერის ძველ კოშკს, რომლის ძირა სართულში ჭაყო შეხიზნულა

და ეზოში ხანდახან მარგოც გაილასლასებს — ტვირთაკიდებულა, გამხდარი, წელში გაღუნული და გასაცოდავებული... თეიმურაზი ოხრავს, წუხს მარგოს გამო და ელანდება, რომ ის დაუბრუნდება...

ხევისთავს ბოლო ხანებში ორი ახირებული სურვილი აეკვიტა — ესაა სახარების კითხვა და სასოებით მორჩილებისა და მოთმინების მოხმობა და მეორე, მარგოს დაბრუნების სურვილი და იმედი, რაც ზოგჯერ ზმანებაშიც გადადის ხოლმე.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანის ბოლო სტრიქონებს რაღაც ოპტიმიზმის ელფერი გადაჰკრავს. თეიმურაზს რაღაც იმედი ეძლევა... იქნებ იმიტომ, რომ ის არ გაწირეს და სოფლის მშრომელებმა მისადმი ზრუნვა გამოიჩინეს? იქნებ იმიტომ, რომ ჯაყოს განკითხვის დღეც დადგა? იქნებ იმიტომ, რომ თუმც მცირეს, მაგრამ მაინც რაღაც საქმეს აკეთებს — კოოპერატივის ნაქარი და ბუღალტერია, სკოლაშიც ბავშვებს ასწავლის? თუ გავიხსენებთ, რომ წინა დღეებში და თვეებში თეიმურაზის მდგომარეობა გაცილებით უარესი და განწირული იყო, დავრწმუნდებით, რომ ეს მუშაობა მისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია.

შესაძლოა მწერალი ამ ფინალით გვაჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების, ახალი წყობილების, მშრომელი ხალხის ჰუმანურობას, გულმორწყალებას და კაცთმოყვარეობას, რომ მოქცეული ადამიანი, თუნდაც იგი ადრე მტერი ყოფილიყო, თუკი ყველაფერს შეიგნებს და ხალხის მწყობრში ჩადგება, გულწრფელად მონანიებს შეცდომებს და გამოიცვლება, დანდობასა და თანაგრძნობას დაიმსახურებს... განა ნამღვდლევი ივანეც ხალხს არ დაუბრუნდა და ეერთგულა?

ჩვენ ვფიქრობთ, ბოლო სტრიქონების ოპტიმიზმი ამ გარემოებითაა გაპირობებული. მხოლოდ ამას შეეძლო ეკარნახა მწერლისათვის, რომ ბოლო სტრიქონები ასე ჩამოეყალიბებინა:

„— ისევ მობრუნდება თეიმურაზ ხევისთავი და გულშეგებით გაილიმებს:

აღარსად ჩანან ძაღლის მძორები.

აღარც მათი სუნი მოსდის იმედნაკრავ ნაკაცარს.

ისევ ელის ნაქმრვეი ნაცოლარს.

ისევ დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“.

ჩვენ განგებ საკმაოდ ვრცლად დავახასიათებთ თეიმურაზ ხევისთავი, რადგან რომანის მთავარი გმირი და ერთ-ერთი მთავარი საკითხის წამყვანი ისაა. მასთან დაკავშირებით ზოგჯერ გაკვირით მარგოც მოვიხსენიებთ, მაგრამ, რაკი ამ გმირის საქციელის გამო აღ-

რე მითქმა-მოთქმა იყო და მწერალს უსაყვედურებდნენ, რომ ქართველი ქალი ასეთად არ უნდა დაეხატაო, საჭიროდ მიგვაჩნია ამაზე ცოტაოდენი კიდევ ვილაპარაკოთ.

მარგო ყათლანიშვილი, ისე როგორც მისი ქმარი თეიმურაზ ხევისთავი, თავისი კლასის შვილია. თუ ჩვენ ამას ხაზგასმით არ აღვნიშნავთ და მარგოს მივიჩნევთ ქართველი ქალის განზოგადებულ სახედ, ცხადია, მაშინ მდგომარეობა არასასურველად შეიცვლება. მაგრამ განა რომანში არსებობს თუნდაც მცირე საბაბი იმისა, რომ მარგო განწირული კლასის, გარდასული, ისტორიის მიერ გარიყული კლასის, უკვე დამარხული კლასის შვილად და ტიპიურ წარმომადგენლად არ მივიჩნიოთ? პირიქით, ავტორი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს, გვიჩვენებს, გვიხატავს, რომ მარგო თავისი კლასის პირმშოა, ეს ყველაფერში და ყველაფრიდან მოჩანს.

სანამ რომანის სათანადო ადგილების მოშველიებით ამ დებულებას დავამტკიცებდეთ, გვინდა მწერალს „მოვხსნათ“ ის ბრალდება“, რომელსაც მას ადრე უყენებდნენ, ხოლო ჩუმ-ჩუმად, პირად საუბრებში ზოგი ახლაც იმეორებს — თითქოს მ. ჭავჭავაძის ქართველი ქალის ღირსება შეელახოს, თითქოს მწერალი უარყოფითი აზრისაა საერთოდ ქალზეც კი. ეს იმდენად უგუნური „ბრალდებაა“, რომ შეიძლებოდა ამაზე არც კი მოგვეხდინა რაიმე რეაგირება. ვრცელ მსჯელობას არც ახლა ვაპირებთ, მაგრამ მცირე პასუხის გაცემა კი საჭიროდ მიგვაჩნია. მწერალი მართლაც რომ იმ თვალსაზრისზე იდგეს, როგორსაც მას მიაწერენ, განა იგი დახატავდა ისეთი შარავანდედით მოსილ ქალებს, რომლებიც მან არა ერთ ნაწარმოებში მოგვცა? ერთ ადრინდელ მოთხრობაში მან დახატა მოკლული რევოლუციონერი მუშის დედის მშვენიერი სახე, რომელიც წყევლა-კრულვას უგზავნის მეფის ხელისუფლებას და მის დაქირავებულ მკვლელებს. ეს დედა სიამაყით და მრისხანებით უკან მიახლის ოქროს თუმნიანს იმ ჭარისკაცს, რომელსაც მისი შვილი შემოაკვდა... ქალს მარჩენალი შვილი მოუკლეს, უჭირს, შია, მაგრამ ოქროს თუმნანს უკან ესვრის გზაბნეულ ჭარისკაცს! ეს ღირსების დაცვაა, თავმოყვარეობის შეუღლებლობა, დედის გულის გამომზეურებაცაა, ყველაფერი კარგია! („ჩილდო“).

ეს დედა მიხ. ჭავჭავაძის შვილია დახატა.

პირვანდელ მოთხრობებშივე დახატულია ეკა, რომელიც უკულმართი ცხოვრების გამო ბატონიშვილის ძალადობას ვერ ასცდა, მაგრამ ეს მოხდა მისი სურვილის წინააღმდეგ; ამასთანავე, ეკა არ ტყდება, ის არ დაცემულა, ინარჩუნებს ქალურ ღირსებას, ქმნის ოჯახს, რომლის ერთგულიც ბოლომდე რჩება.

ეს ქალიც მიხ. ჭავჭავიძე იღობა დახატა.

„არსენა მარაბდეღში“ მწერალმა დაგვიხატა შესანიშნავი ქართველი ქალები, რომლებიც ვაეკაცებთან ერთად, მათ მხარდამხარ იბრძვიან თავისუფლებისათვის, ადამიანის ღირსებისათვის. ესენი არიან მაგდა, ფიქრია, მარინე. ეს ქალები აღიდეგენ ქართველი ქალის სახელს, დიდების შარავანდედით მოსავენ მას თავიანთი გარეგნობით, სულიერი სიმტკიცით, მხნეობით, სისპეტაკით, გაბედულებით, სიყვარულში ერთგულებით, თავგანწირვით.

ეს ქალებიც მიხ. ჭავჭავიძე იღობა დახატა.

„ქალის ტვირთში“ მწერალმა დაგვიხატა თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლის, რევოლუციონერი მებრძოლი ქალის — მართას სახე, რომელიც გვერდში ამოუდგება პელაგია ნილოვნასაც და სხვა მრავალ რევოლუციონერ ქალს, რომელიც კი სადმე რევოლუციის თემაზე დაწერილ ნაწარმოებში დაუხატავეთ.

ეს სახეც მ. ჭავჭავიძე იღობა დაგვიხატა.

კიდევ შეიძლება და სხვათა ჩამოთვლა, მაგრამ, ვფიქრობთ, კმა-რა.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ უსაფუძვლოდ და წინასწარ განზრახულ, ახირებულ აზრად მიგვაჩნია, რომ მ. ჭავჭავიძის ცილი დაეწამოთ, თითქოს ის ქართველი ქალის ღირსებას არ უფრთხილდებოდეს.

მაგრამ, თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა დადებითი ქალის სახე მშრომელთა კლასის წარმომადგენელია. ყველგან აშკარა ხდება, რომ ისინი მშრომელთა წრიდან არიან გამოსული და თან გამოყოლიათ თავიანთი კლასის საუკეთესო თვისებები — შრომისმოყვარეობა, ამტანობა, ნამუსი, ბრძოლის უნარი, თავისუფლებისმოყვარეობა, ერთგულება სიყვარულში, პატრიოტული გრძნობები. გამოდის, რომ მ. ჭავჭავიძელი ყოველთვის კლასობრივ მიდგომას იყენებს და არასოდეს არავინ გამოუყვანია საერთოდ ქართველი ხალხის სახის წარმომსახველად. აღნიშნულიდან ისიც გამოდის, რომ მწერლის სიმპათია მშრომელთა მხარეზეა.

მარგო კი თავადაზნაურობის წარმომადგენელია, ისიც თავისი კლასის შვილია, ხოლო ეს კლასი მცირერიცხოვანია; მისი გაიგივება მთელ ხალხთან შეუძლებელია.

აბა ახლა ვნახოთ, თუ ვინ იყო მარგო, რატომ ჩავარდა იმ დღეში, შეიძლება თუ არა მას მოემოქმედა ის, რაც რომანშია ნაჩვენები და რამდენად დამაჯერებელია მისი საქციელი. ამ

კითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემა ნათელს მოფენს დასმულ საკითხს.

მარგო წარმოშობით დიდი გვარის — ყაფლანიშვილის უკანასკნელი წარმომადგენელია. იგი დაობლებულა და საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა. საქველმოქმედო წარმოდგენის ბილეთების გასაღების დროს იგი თეიმურაზ ხევისთავს შეხვდება. აქ ისინი ერთმანეთს გაიცნობენ და მალე მარგო დათანხმდება თეიმურაზის წინადადებას, ისინი შეუღლდებიან.

ჭერ ამ შეუღლებაზე. რატომ წაყუა მარგო ცოლად თეიმურაზს? უყვარდა? არა, არ უყვარდა, არც მოუხიბლავს თეიმურაზს მარგო. პირიქით, მწერალი გვეუბნება, რომ თეიმურაზმა ძლივს გააგებინა მარგოს თავისი გულის ნადები: „—ერთს... სსიტყვით... თუ თქვენც მ...მმოგწონვართ... მე მომწონხართ... მ...მმიყვარხართ. — მთრთოლვარე ხელი ჩამოართვა და დაუმატა: — მ...მმოიფიქრეთ... ნუ აჩქარდებით“.

ცხადია, სიყვარულის ასეთი გამოცხადება ვერ მოხიბლავდა მარგოს, მაგრამ ის დათანხმდა. რატომ? იმიტომ, რომ თეიმურაზი ხევისთავი იყო, იმ დროს კი, რევოლუციამდე, ეს გვარი რამეს ნიშნავდა. მას ჰქონდა მამული, სახელი, იცნობდა საზოგადოება და ა. შ. გამოდის, რომ მარგო გაჰყვა მდგომარეობას და არა მამაკაც თეიმურაზს, რომელიც ამ მხრივ ქალს ვერ მოხიბლავდა... მარგოს ეს ნაბიჯი თავიდანვე მიგვანიშნებს მის ხასიათზე.

მარგო სიცოცხლისმოყვარე ქალი იყო — უყვარდა მუსიკა, სიმღერა, გავლა, ანცობა, დროსტარება. თეიმურაზმა კი ქორწილის დღეებში და ნაშინდარში აყვანისას მხოლოდ რამოდენიმე დღე დაუთმო ახალგაზრდა ცოლს, მალე გაზეთებში ჩაყო ცხვირი და ცოლი არც კი ახსენდებოდა. ამის კვალობაზე დიდი ცვლილებები მოხდა მარგოს ხასიათშიც: პირველ ხანებში თეიმურაზის მეუღლეობის სახელით კმაყოფილდებოდა და მუდამ თვალებში შესციცინებდა. მაგრამ არ აღმოჩნდა ეს საკმარისი მარგოს ბედნიერებისათვის. დრო გავიდა და მარგომ „ქმრის ხატზე ლოცვას უკლო“, იცვამდა, ჭამასმას არ იკლებდა, დადიოდა და ერთობოდა. კიდევ გავიდა დრო და მარგოს ყველაფერი მობეზრდა: „უხალისო სიცოცხლეც, უცეცხლო თეიმურაზიც, მისი მჩატე ნააზრვეიც“.

მარგოს და თეიმურაზის ცოლ-ქმრული ურთიერთობის წარმოსადგენად დიდად დაგვეხმარება რომანის შემდეგი ეპიზოდი.

„— თემურ, გეყო ამდენი კითხვა. აბა, გამოფხიზლდი და შე მომხედე, განა მე შენს გაზეთებს არ ვკობივარ? აბა ერთმანეთს შეაღარე ცოცხალი ქალი და მკვდარი ქალადი. მე ლაპარაკი შემომი-

ლიან, ქალაღდი კი მუნჯია, მე ვიცინი, ვიმღერებ და დავდივარ, ქალაღდი კი უსულო საგანია. მე სიმღერაც ვიცი. გინდა გიმღერო?

— არა, მარგო, სიმღერისათვის არ მცალიან. გეყო ხუმრობა, მომაწოდე ჩემი გაზეთები“.

ასეთი სცენა და დიალოგი მათ შორის ხშირად იმართებოდა: მარგოს სიცოცხლე სწყუროდა ყველა სიტკბოთი და სიხარულით, თეიმურაზი კი გაზეთებში იყო ჩაფლული. ისინი ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათისანი იყვნენ. ჩვენ, ცხადია, იმის მომხრე არა ვართ, რომ თეიმურაზს სულ ცოლის გართობაზე ეზრუნა და მას აპყოლოდა ყველაფერში, ჩვენ თეიმურაზს ვერ მოვთხოვთ, რომ თავისი იდეალებისათვის (როგორც არ უნდა იყოს ჩვენი გაგებით ისინი) ეღალატა, თავისი ბუნება მთლად შეეცვალა და ხელოვნურად დამგვანებოდა მარგოს, მაგრამ ვერც მარგოს გავამტყუნებთ იმაში, რომ ქმრისაგან ალერსსა და ყურადღებას მოითხოვდა. მარგოს მხოლოდ იმაში ვამტყუნებთ, რომ მან ვერ გაიგო თეიმურაზის ბუნება, რომ, თუ თვითონ ცეკვა-თამაში უნდოდა დღენიადაგ, თეიმურაზს გაზეთი და წიგნი ერჩია. აქ მარგოს მსუბუქი ხასიათი უკვე იჩენს თავს. და შემდეგ ეს გადაიზრდება მის დაუკმაყოფილებლობაში, გულისგატეხაში, გაბრაზებასა და გაბორბლებაში, ხოლო მერე და მერე ისეთ მოქმედებაში, რის გამოხატვასაც უფრო და უფრო მუქი საღებავები სკირდება.

თეიმურაზი, როგორც მამაკაცი, როგორც ქმარი მარგოს არ აკმაყოფილებს, რადგან მას „დაშრეტილი და დონდლო სისხლი ჰქონდა“, რადგან „უგემურად ცოდვილობდა“... ამის გამო მარგოს „თეიმურაზის დაჩვარებულ ხელებში ხან ძლიერი ძილი ერეოდა, ხან კიდევ ჩაუქრებოდა ვნებით გაავებული ბრაზი და გაკაპანებული ანჩხლობა ხერხავდა“.

ჩვენ ვხედავთ, რომ თეიმურაზი და მარგო ერთმანეთის ცალებო არ არიან. ისინი შეუფერებელი წყვილია. ნაწილობრივ აქ იმალება სათავე მათი მომავალი დაცილებისა. მაგრამ მარგო ნამუსიანი ქალი იყო. მიუხედავად დაუკმაყოფილებლობისა, ის მდგომარეობას შეურიგდა, თუმც გულში ჩაიკლა ბევრი სურვილი, რაც ზოგჯერ ისევ წამოპყოფდა ხოლმე თავს. „ნამდვილი სიყვარულის უნახავმა მარგომ, ბოლოს თავისი თავი დააჭერა, ვითომ ასეთი მჩატე სიყვარული და ასეთი უსისხლო ცოლ-ქმრობა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო... დააჭერა მარგომ თავისი თავი და ძლივს გააყუჩა მოუსვენარი გული, რომელიც ხანდახან ისევ უცნაურად ჰკენესოდა და გაუგებარს ჰბოდავდა...“

მარგო შეურიგდა უიღბლო ცოლობას, მაგრამ გული, ბუნება

თავისას მოითხოვს, კენესის და გოდებს. ცხადია, რომ ეს კენესა, ეს დაუოკებელი სურვილი როდისმე თავისას გაიტანს და ცივი გონება როდესმე დამარცხდება მხურვალე გრძნობასთან და სურვილთან ჰილილში...

მარგოს სურვილებში არაფერია საჩოთირო და უწესო, ეს ბუნებრივი სურვილებია ჯანსაღი ქალისა, საერთოდ ადამიანისა. განა ფაქტი არაა, რომ მამაკაცის უძლურება ხშირად და სრულიად კანონიერად ოჯახის დაშლის საფუძველი ხდება ხოლმე? ასე რომ. ამაში მარგოს ვერაფერს ვაძიებ, პირიქით, ის ცდილობდა კიდევ, რომ თავი შეეკავებინა, ქმრის ერთგული დარჩენილიყო, არ ეღალატა. და ამას მარგო დიდი ხნის მანძილზე ახერხებდა კიდევ...

ამ ტანჯვა-წამებიდან ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში გადიოდა წლები და მარგოს დაუკმაყოფილებლობა უფრო აუტანელი ხდებოდა. მერე მოხდა ყველაფრის შემარყვეველი ძვრები, მათი ოჯახი დაეცა, დაქვეითდა და ბოლოს ლუკმის საშოვნელად ყველაფერს ყიდოან. შემდეგ კი ჯაყოს კლანჭებში ჩაცვივდებიან. ჩვენ ამაზე ზემოთ შევიჩერდით. ახლა სხვა კუთხით გვაინტერესებს საკითხი: თეიმურაზმა დაკარგა ყველაფერი, რაც გააჩნდა და რისთვისაც მარგო ჯერ ცოლად გაყვა, მაგრამ მარგო ქმარს უთმენდა, რადგან ანგარიშს უწევდა მის მდგომარეობასაც, თავის მდგომარეობასაც და კიდევ იმას, რასაც ქალის ნამუსი ჰქვია.

მაგრამ, როცა მათ ყველაფერი დაკარგეს, როცა მარგოს თვალში თეიმურაზი უკვე არარაობად იქცა როგორც მოქალაქე და ოცნებადამსხვრეული „მოღვაწე“, რომელსაც ყველაფერი ფუჭად უკეთებია, ქვიშაზე უშენებია, მარგოს შიში შეეპარა, შიში პერსპექტივის წინაშე, შიში შიმშილით სიკვდილის წინაშეც კი... მარგო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც მას წონასწორობა დააკარგვინა, ქმარი შეაზიზლა და აკი მას ბედოვლათი და ნაცარქექია უწოდა. ეს იყო სასოწარკვეთილი ქალის გულიდან ამონახეთქი მწარე სიტყვები, რომელთაც წლების მანძილზე დაგროვილი ბოღმა და შხამი თან ამოყვა.

მაგრამ მარგოს სინდისი არ შეუბღალავს, ის ჯაყოსთან ხიზნად წასვლის წინააღმდეგეცაა, თეიმურაზს ურჩევს — ნუ წავალთო, თითქოს რაღაც საშინელს გრძნობდა გუმანით. მაგრამ აქაც თეიმურაზი ხდება უბედურების მიზეზი.

და აი, ერთ სადგურზე ჯაყო მარგოს ურმით ხვდება და მიყავს ნაშინდარში, სადაც თეიმურაზი რამოდენიმე დღით აღრე ავიდა. აქედან იწყება მარგოს უბედურება და მისი დაცემა.

მოტყუილებით მარგო ლიახვის პირას ჯაყოსთან პირისპირ.

.რჩება მარგოს ეს აშინებს, რალაც უბედურებას გრძნობს და ძრწის მას როდი უხარია, ან როდი სიამოვნებს მოსალოდნელი ინციდენტი, პირიქით, ზიზღსა და შიშს გრძნობს. ურემზე ამოცოცებულ მხეცს — ჯაყოს მარგო წინააღმდეგობას უწევს, კივის, ეზიზღება ჯაყო, მხეცს უწოდებს, შველას თხოულობს, მაგრამ ჯაყო ძალას ხმარობს, ემუქრება გაჩუმდითო. თანაც: „ერთი თათით მარგოს მთელი პირისახე დაუფარა და მისი ყელი და კისერი ჩაბლუჯა“. ჯაყომ იმძლავრა, დაჯაბნა და უნაიცი მოიკლა. მერე ყბედობას მოყვა, თითქოს ამშვიდებდა და ეალერსებოდა ყოფილ ქალბატონს. მარგო მომხდარმა შეაძრწუნა. მისი რეაქცია მწერალს ასე აქვს დახატული: „მარგო კი — ნაცემი, ნაბეგვი, დაძალებული და გაკუჭყიანებული მარგარიტა ხევისთავე — ახდომილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრეხილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლითა ჰგლოვობდა, მოწამლულივით ბორგავდა, სიმწარისაგან იკლავებოდა და გულში იმუქრებოდა...“

როგორც ვხედავთ, მარგო ზიზღით შეხვდა მძლავრ, ძალ-ღონით სავსე და ძლიერი ჯაყოს ძალადობას.

როცა ჯაყო იმავე დამეს მეორედ ესტუმრა, მარგო აღარ წიოდა, აღარ კიოდა, აღარ იბრძოდა, რადგან ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა, ის მხოლოდ ბავშვივით სლუკუნებდა და ლუღლუღებდა.

მაგრამ როცა რიყრაჟზე ჯაყო ერთხელ კიდევ აბობლდა ურემზე და მარგოსთან მესამედ დაიკმაყოფილა უნაიცი, „ჩარდახიდან კივილისა და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა“.

რა მოხდა? პირველად მარგოს თავმოყვარეობა იყო შელახული, ძალადობის მსხვერპლად და შეურაცხყოფილად, დამცირებულად მიიჩნია თავი ხევისთავის ცოლმა თავისი ყოფილი მოჯამაგირისაგან და ამ რისხვა-წინააღმდეგობაში ეს იყო მარგოს მამოძრავებელი, ხოლო მერე მარგოს რისხვა შეუნელდება, მას სქესი აჯობებს და ვნება, რომელიც წლების მანძილზე დაუკმაყოფილებელი ჰქონდა, ახლა იღვიძებს. პირველი აქტისას მშრალი გონება კარნახობდა მარგოს, მერე კი ქვეგრძნობები იღვიძებენ და სჯაბნიან მარგოს გონებას...

სრულიად ბუნებრივად და დამაჯერებლად მოჩანს მწერლის ინტერპრეტაცია, რომელსაც ასე გვისურათხატებს: „იმ ჰალაში, ლიახვის პირზე, როცა ცამ თვალი მოიფშენიდა და ფერი იცვალა, მიძინებულმა მარგომაც პირველად გამოიღვიძა. გაკვირვებით თვალი გაახილა და დასწვდა ცხოვრების ერთ საუნჯეს, რომელიც ამ ქვეყნად არც კი ეგულებოდა. რაც უნდომი და ჰიანაჰამმა თეი-

მურაზმა თავის უმის ვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა, — ჩაკირულმა ჯაყომ — აა წუთში აუღღლა და აუჩქროლა“. აქ მთელი აქცენტი ვნებაზეა გადატანილი, წინ სექსუალური მომენტია წამოწეული, შექმნილ ვითარებაში ისაა აღნიშნული, რაც მარგოს, როგორც უძღური ქმრის ცოლს, აკლდა. მარგო ფიზიკურად ჯანმრთელი ქალი იყო და მისი ბუნებრივი მოთხოვნილება უჩვეულოდ არ უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია რომანის ერთი ეპიზოდი, რომელიც მარგოს ხასიათის სიმსუბუქეს გვიმჟღავნებს. მხედველობაში გვაქვს მოჩარდახული ურმით მგზავრობა, ამ ღამის ამბავს წინ რომ უსწრებს და ის ლაღი, მსუბუქი ლაპარაკი, რომელიც მარგომ ჯაყოს გაუბა.

ჯაყო ურმის კოფოზე ზის და ხანდახან უკან გადმოიხედავს, რათა მარგო თავისებურად ხეპრულად გაართოს. ის ეუბნება მარგოს, თეიმურაზმა შენი ყადრი არ იცის, თორემ არ გახდებოდიო. მარგო მხიარულად კისკისებს და უპასუხებს: მე რომ გამხდარი ვიყო, თეიმურაზის რა ბრალიაო. ჯაყომ იცის, რომ კარგი ვაჟაკის ხელში დედაკაცი გასუქდებაო, როხროხებს ჯაყო, შენ კარგი ჭამა და სმა გინდა, ბინაც არ გივარგა, ჩაცმაც კარგი გინდაო. ამაზე მარგო ხითხითებს. ჯაყოს მარგოს გამხიარულება მოსწონს.

შემდეგ მარგო ჩვენდა მოულოდნელად და გასაკვირად ასეთ შეკითხვას აძლევს ჯაყოს:

„— ჯაყო, მაშ შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი...

— ჩემი ცოლი?! შენ რომ ჯაყოს ცოლი იქნებოდე?!

— ჰო, მე რომ შენი ცოლი ვყოფილიყავ, როგორ შემინახავდი? აბა, მიამბე, ჯაყო! — სიცილით ჰკითხა მარგომ, მერე წამოჭდა და გაბადრული პირისახე გაბადრულ ჯაყოს შეუბრუნა, — აბა მიამბე ჯაყო, როგორ შემინახავდი?“.

ჯაყო გაიბადრა, კბილები გამოაჩინა და დაიწყო: სულ გაქმევდი ხინკალსა და ღუმასა, მაწონსა და ერბოსო, წვადიც გექნება, კატლეტიც, ხაბიზგინიც, თეთრი პურიცო. კიდეც მრავალი რამ ჩამოთვალა ჯაყომ. ჩიტის რძეც გექნება, გოჭიც, ინდაურიც, ღღეში ხუთი ქათამიცო. მარგო კიდეც უფრო იწვევს ჯაყოს: როგორ ჩამაცმევდიო, მზარეულს თუ დამიქირავებდიო, პირფარეში ქალები თუ მეყოლებოდიო. და როცა ჯაყო ბევრ დაპირებას იძლევა, მარგო ამოიძახებს:

„— ვერცხლის ქამარი! ნეტა მართლა შენი ცოლი ვყოფილიყავი, ჯაყო! ჰა-ჰა-ჰა! ჰი-ჰი-ჰი! (ტ. 2, გვ. 280).

რა არის ეს? რატომ გამოიწვია მარგომ ჯაყო ასეთ საუბარში,

რატომ მისცა ასეთი შეკითხვა — შენი ცოლი რომ ვყოფილიყავი, როგორ მომივლიდიო? და ბოლოს რატომ ამოიკვნესა — ნეტა მართლა შენი ცოლი ვყოფილიყავიო? ან ხომ არ უბიძგა ჭაყოს შემდგომი მოქმედებისაკენ, რითაც უკანონო ცოლად აქცია ეს მოკისკისე ქალი? ხომ შეიძლებოდა ასეთ მსუბუქ ლაპარაკზე ჭაყოს ძალზე პრაქტიკული და ცხოველური მოქმედებით ეპასუხა? აქ მარგო კარგად ვერ მოჩანს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამბობთ, რომ მარგოს იმ დამეს ურემზე ჭაყოსთან სექსუალური კავშირის დამყარებაზე არც უფიქრია. პირიქით იბრძოდა კიდევ მის წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ ათი წლის ნამალი და ნათემნი გრძნობა ველარ დაიმორჩილა და მის ნებას დაჰყვა. ამიტომ ზემოთ მოტანილი ციტატი, სადაც მწერლის ინტერპრეტაციაა ამ აქტის გამო, ჩვენ ლოგიკურად მიგვაჩნია.

ეს რომ ასეა, ამას მეორე დამის ამბავიც ამტკიცებს.

მარგომ გადაწყვიტა, თეიმურაზისათვის ეამბნა ყველაფერი. რაც მოხდა. და ამით ცოდვა ჩამოებანა, მაგრამ ვერ გაბედა. მეორე დღეს ჭაყომ ხიზნების პატივსაცემად ლხინი გამართა, სადაც მარგომ ისე მოილხინა, ისეთ გუნებაზე დადგა, ისე აცეკვდა და გაიბადრა, რომ „მხრებიდან უცებ თხუთმეტი წელიწადი ჩამოიგდო, გულიდან ლოდი ჩამოიხსნა, პირიდან ქუში ჩამოირეცხა და უამის უანვიც ჩამოფხიკა. გაჭაბუკდა, გალალდა, გაიფურჩქნა და ანაზღეულად დაიბრუნა დროის მიერ შექმული სიმკვირცხლე, მოქნილობა. სიფიცხე, უდარდებლობის იერი და ახალგაზრდობის ცეცხლი“. ეს თეიმურაზს უხარია, რადგან არ იცის — რა მოხდა, ხოლო ჭაყო თავისებურად იძახდა — მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჭაყომაო. ხოლო ქეიფის შემდეგ, შუალამისას, როცა ჭაყო მარგოსთან მეორედ შეიპარა. „მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშენიერი ჭაყო ძალუმიად ჩაიხუტა“.

ეს ფაქტი ერთი შეხედვით დაუჭერებელია, მაგრამ თუ მოვლენების მსვლელობას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ამისათვის ნიადაგი დიდი ხანია მზადდებოდა. მარგო ველარ უძლებს ცთუნებას, თუმცა გონება სხვას კარანახობს.

ვნებადამცხრალი მარგო ჭაყოს წასვლის შემდეგ მთელი დამეწუხს — ერთმანეთს ადარებს ჭაყოსა და თეიმურაზს და აკეთებს დასკვნებს, რომ თეიმურაზმა თითქმის ყველაფერი იცოდა, მაგრამ არაფერი არ შეეძლო, ჭაყომ კი არაფერი იცოდა, სამაგიეროდ ბევრი რამის შემძლე იყო. ამ ორ მამაკაცს შორის მარგო პარალელს ავლებს და ყველაფერში კონტრასტს ხედავს. მარგო წუხს, რომ ეს ამბავი შეემთხვა, რადგან აშდენი წლის განმავლობაში სძლევდა ცთუნებას, ლაგმავდა ბუნებას, ახლა კი ასე ტუტუცურად ჩავარდა დათვის.

ტორებში. ეს მწარე ფიქრი მარგოს არ ასვენებს: „მერე როგორ! იქვე, თეიმურაზის გვერდით! ოოპ, ღმერთო მაღალო! შენ ხარ მოწმე, რომ მარგოს აზრად არ ჰქონია ქმრის ღალატი, რომ, რაც მოხდა, თავისთავად მოხდა, რომ მარგო ფიცის გატეხვაში უბრალოა. ან რა უნდა ექმნა დათვის მკლავებში ჩავარდნილ უმწუო დედაკაცს!? მეორე დღესვე ყველაფერი ეამბნა თეიმურაზისათვის? ამას მოკყვებოდა საშინელი დრამა, საქვეყნოდ თავის მოკრა მარგოსათვის და სირცხვილი თეიმურაზისათვის. თეიმურაზი და მარგო სხვაფრივად რომ კეთილად გადარჩენილიყვნენ, უმაღლ ტფილისშივე უნდა დაბრუნებულყვნენ, სადაც ხევისთავეები თავს ვერავის შეათარებდნენ“.

ჩვენ ვხედავთ. რომ მარგო ცდილობს საკუთარ თავთან მაინც იმართლოს თავი. ამისთვის იგი მიზეზს ეძებს და ორ გარემოებას ეყრდნობა: ჭაყოს მხეცობის გამხელას ხევისთავისთვის თავის მოკრა მოყვებოდა და ესეც რომ არ მომხდარიყო — თბილისში უნდა დაბრუნებულყვნენ, სადაც შიმშილი ელოდათ. ცხადია, ეს ორივე საბაბი სუსტია.

ფიქრში წასული მარგო ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი თეიმურაზის ბრალია და ახიცი არის მასზე, თეიმურაზზე, რადგან ის ჩვარი და არაკაცია, გვერდში ცოლი უწევს და სხვას ატკობს, მაგრამ მარგოს ნამუსი? განა ქმრის დანაშაული ქალს ხელფებს უხსნის უპატიოსნო საქციელისათვის? აქ ეს მომენტი მარგოს ფიქრებს გარეთ რჩება.

მარგოს ფიქრები ჭრელი, აბნეული და მერყევია. ის აზრით კიდევ ურიგდება ჭაყოს ხელდებულებას, ხასობას, ოღონდ არავინ გაიგოს. მარგოს ასეთი ფიქრიც კი გაუელეებს: „რომ გაიგონ კიდევ... ვინ იცის, იქნება სჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩე ჭაყოს... ჭაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულის ცეცხლს; კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჭან-ლონეს და... დღევანდელზე უკეთეს მომავალს... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივი, საჭურისის ცოდნა და... ზანზიბარი! დაანებე თავი თეიმურაზს!“ თუმც მარგო ამ ფიქრის განდევნას მაშინვე ეცადა, რადგან თეიმურაზი ებრალებდა, მაგრამ იღუმალი ძალა მაინც საწინააღმდეგოს კარნახობს. ერთი კია — მარგოს თეიმურაზი არც ყვარებია, არც უყვარს, მას იგი ეზიზღება კიდევ, როგორც უძლური, და თუ რაიმე გრძნობა კიდევ აქვს მისდამი, ეს სიბრაღულია, რაც ცოლ-ქმრული კავშირის საფუძვლად ვერ გამოდგება.

ჩვენ ვთქვით, რომ მარგო თეიმურაზზე გათხოვდა მდგომარეობის გამო: თეიმურაზმა ყველაფერი დაკარგა და მას მარგო ზურგს

აქცევს. მარგოს ეხლა ის ფიქრი უტრიალებს, რომ იქნებ ჯობდეს — ჯაყოსი გახდეს სამუდამოდ. ამ ფიქრის სათავე ისაა, რომ ამჟამად ჯაყოს უკეთესი მდგომარეობა აქვს — ქონება და ფულები, სოფელში გავლენა. მას შეუძლია ჩააცვას და აქამოს, ფუფუნებაში ამყოფოს მარგო. ჯაყო ფიზიკურადაც ძლიერია.

მაშასადამე, მარგო შექმნილი მდგომარეობის საფუძველზე მოქმედებს, მისთვის სიყვარული და სპეტაკი გრძნობები არაფერია, იგი ანგარიშის ქალია! ურმით მოგზაურობისას მარგოსა და ჯაყოს ლაღობა და მჩატე საუბარი იმაზე, თუ როგორ მოუვლიდა ჯაყო, მარგო მისი ცოლი რომ ყოფილიყო, მარგოს გულში ნოყიერ ნიადაგს პოულობს და მარცვალი ღვივდება. ამან ბიძგი მისცა მარგოს შემდგომ ფიქრს — ეგებ ჯობდეს კიდევ სამუდამოდ ჯაყოსი ვახდლო...

ასე თანდათანობითა მარგოს ევოლუცია, ასე მიზეზ-შედეგობრივია ყოველი ახალი სულელური და უკადრისი ნაბიჯი. რომელსაც მარგო დგამს...

როგორც მკითხველმა იცის. მოვლენები შემდეგ ისი ვითარდება, რომ მარგო მოურიდებლად ჯერ ხასა და საყვარელი ხდება ჯაყოსი, შემდეგ კი ცოლიც, ეკლესიაში ჯვარდაწერილი ცოლი. ეს და მრავალი სხვა ეპიზოდი მარგოს მკითხველის თვალში ამდაბლებს და უღირსად აქცევს. ეს ფაქტია, მაგრამ საკითხავია ორი რამ: 1. იყო თუ არა მარგოსაგან ეს მოსალოდნელი და დამაჯერებელია მარგოს ეს საქციელი? და 2. რა პოზიციაზე დგას მწერალი — მოსწონს მარგოს გადაგვარება თუ ასეთად მას მხოლოდ დაგმობის მიზნით ხატავს? პირველ კითხვაზე ჩვენ პასუხის გაცემა უკვე ვცადეთ და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მარგოს ღაცემა, თუმცა იგი არ მომდინარეობდა მისი განზრახვიდან, თუმცა პირველად იგი ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მისთვის მაინც ბუნებრივი იყო, რადგან, ჯერ ერთი, ხასათით, ბუნებით ყოველთვის სიცოცხლისმოყვარე, ცხელისხლიანი და ვნებაშლილი იყო, რასაც თეიმურაზი ვერ უკმაყოფილებდა, მეორეც, მოვლენები ისე განვითარდა, რომ მარგოს გონებით ნაკარნახევი მოთმენა ადგილს უთმობს დატყვევებულ გრძნობებს, მესამე, და რაც მთავარია, მარგო თავისი კლასის შვილი იყო და ყოველთვის უნდოდა უზრუნველი მდგომარეობა ჰქონოდა, ამას მაღალ იდეალად მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით წაყვა ცოლად თეიმურაზს, ამავე მიზეზით არ თავილობს ჯერ ჯაყოს ხასობას, შემდეგ კი — ცოლობას.

ეს დასკვნები გამომდინარეობს მარგოს ევოლუციის პროცესზე პირუთენელი დაკვირვებიდან.

რაც შეეხება მწერლის პოზიციას, როგორც მოსალოდნელიც

იყო, მწერალი მშვიდად და გულგრილად კი არ აგვიწერს მარგოს დაქვეითების ფაქტს, არამედ ყოველთვის იგრძნობა მისი შეფარული გულისტკივილი, მაგრამ, როგორც დიდ მხატვარს შეეფერება, ჭავჭავიშვილი საგანგებოდ არსად უსვამს ხაზს თავის გულისტკივილს. სამაგიეროდ მწერალმა მარგოს ბედს ისეთი დასასრული მისცა, ისე დასჯილად წარმოგვიდგინა მარგო რომანის ბოლოს, რომ ამგვარი გადაწყვეტით ჩვენთვის საინტერესო საკითხი სრულიად ნათელი ხდება: ჭაყოს ბატონკაცური მდგომარეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ფუფუნება მათაც წაართვეს, ხოლო ჭაყო მარგოს ისეთივე უღელს აღგამს, როგორც წინა ცოლებს — ამუშავენს, საფქვეს აზიდვინებს. ტანჯავს, პირუტყვივით ექცევა. მარგო ძლივსღა დალასლასებს, აჩრდილს დაემსგავსა და გამწვარებულ სულს ძლივსღა დაათრევს.

ფუფუნების; ფარჩების, მზარეულების, პირფარეშების, ნუგბარი საქმელების და ათასი დაპირების ნაცვლად, რასაც ჭაყო ასე გულუხვად იძლეოდა, — მარგოს შერჩა ცემა და ჭაფა, დამცილება და წამება.

მარგოს ბედის ასეთი დასასრული აშკარას ხდის მ. ჭავჭავიშვილის დამოკიდებულებას მარგოსადმი: იგი გმობს იმ ქალის სიმსუბუქესაც, უპრინციობასაც, ქარაფშუტობასაც, და ამ უღირს საქციელს, რაც მან ჩაიდინა.

მართალია, მარგო მხოლოდ თავისი კლასის დაცემული ნაწილის წარმომადგენელია, მართალია, იგი ნაკაცარის ნაცოლარი და თვითონაც „ნაქალარია“, მაგრამ მ. ჭავჭავიშვილის აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, ეს სრულიად არ ამართლებს მის დაცემას. მ. ჭავჭავიშვილი გმობს მარგოს საქციელს და სამაგიეროს იმით მიუზღვევს, რომ სასტიკად სჯის. ეს არის საკითხის ლოგიკური გადაწყვეტა, ეს არის ისეთი ადამიანების ხვედრი, როგორიც მარგო იყო.

თეიმურაზ ხევისთავი და მარგო ყაფლანიშვილ-ხევისთავისა „ჭაყოს ხიზნების“ მთავარი გმირები არიან. ისინი ყოფილი გბატონებული კლასის — თავადაზნაურთა უკანასკნელი ნაშთები არიან. ისტორიული ქართველებით დაღუპული, დაცემული და განწირულები. ამ ადამიანებმა დაკარგეს ყველაფერი — როგორც საზოგადოებრივი მდგომარეობა, უფლებები, პრივილეგიები, ქონება და სიმდიდრე, ასევე და ამასთან ერთად — სულიერი და ზნეობრივი თვისებები. ისინი გაიხრწნენ და დაეცნენ. მათ გვიან მარხავენ' და ამიტომ „აყროლდნენ“.

რომანში მოვლენების განვითარება და აღნიშნულ მთავარ გმირთა ბედის უფრო და უფრო გაუუქლმართება ისეთი ფერებითა და საღებავებით არის ნაჩვენები, რომ მკითხველს ლოგიკურად. ბუ-

ბუნებრივად და სამართლიანად მიაჩნია მათი ხვედრი. მკითხველს არა თუ არ ებრალება და ენანება ხვეისთავეები. არამედ მათ მიმართ ზიზღითა და სიძულვილით იმსკვალება კიდევ, რადგან ისტორიულად ამ კლასს დამსახურებული ჰქონდა დაღუპვაცა და გაბრწყნაც რაც ახლა ემართება, დიდი ხნის წინ უნდა დამართოდა, ეხლანდელი ამბავი ლოგიკური და სამართლიანი დასასრულია ადრე დაწყებული პროცესებისა.

ამრიგად, მ. ჭავჭავაძემ სევისთავეების თავგადასავლით გვიჩვენა მათი კლასის საბოლოო ბედი. გვიჩვენა, რომ დიდ ისტორიულ ძვრებს, რევოლუციას რომ მოყვა, თან უნდა მოყოლოდა ყოფილ მხაგვრელთა, უქნარათა და მუქთახორათა საბოლოო დაღუპვა. ასეთი იყო ისტორიის ლოგიკა, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები. ეს დიდი ძვრები ამ თვალსაზრისით მ. ჭავჭავაძე მხატვრული დამაჭერებლობით და დიდი ოსტატობით გვიჩვენა კოლქმარი ხვეისთავეების მაგალითზე და ამავე დროს იმის მინიმუმებით, რომ მათ უკან დგას მთელი მათი კლასი, რომელსაც გვიან მარხავენ.

მაგრამ აღნიშნულ ისტორიულ ძვრებს, რასაც ჩვენს საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა რომანში ასახულ პერიოდში. თან ახლდა გვერდითი მოვლენები. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად მწერალს მიაჩნია დიდ ამბებთან მიტმანსილი ელემენტების შემგუებლური მოქნილობა და მაქინაიები, რომელთა მეშვეობითაც ისინი ხელს ითბობენ, სხვისას ისაკუთრებენ, იხვეპენ და მდიდრდებიან. ისინი ლოზუნგებს ამოფარებულნი და ნილაბაფარებული მგლები და მელეები არიან, რომელთა მიზანი მიტაცება და წაგლეჯაა. ასეთი ადამიანები არც რევოლუციას და მშრომელებს ეკუთვნიან, არც ისტორიის მიერ სანაგვეზე გადაყრილ კლასებს. ისინი შუათანა როლს კისრულობენ და მოჩვენებითად იქით იხრებიან. საიდანაც სარგებელს გამოეღიან.

ადამიანთა ასეთი კატეგორიის ტიპური წარმომადგენელია ჯაყო ჭივაშვილი, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი მაღალი პრინციპი და მორალი, არაფერი ადამიანური გაგება, არავითარი პრწამსი. მისი ერთადერთი პრინციპი და იდეალია — მოატყუოს, ითვალთმაქცოს, წაგლიჯოს, იხარბოს, დაისაკუთროს, ე. ი. ყველა ის ინსტიტუტი, რომელიც მტაცებელ ცხოველებს გააჩნია.

ვინ არის ჯაყო, რას წარმოდგენს იგი, საიდან მოვიდა და საით მიდის? მწერალი მას ისე რელიეფურად და ოსტატურად გვიხატავს რომ მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება. ეს კი იმისათვისაა საჭირო, რომ პატიოსანი ადამიანები ფრთხილად იყენებენ. უფრთხილ-

დნენ ჭაყობს, რომლებიც შეიძლება მხოლოდ გვეზიზღებოდნენ, რადგან საშიშნი არიან საზოგადოებისათვის, ადამიანებისათვის.

ჭაყოსადმი მწერალი ზიზღითა და მძულვარებით არის გამსკვალული. ეს მწერალს არასოდეს უთქვამს, მაგრამ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მკითხველი თავისთავად მისულიყო აღნიშნულ დასკვნამდე. მკითხველსაც გადაეღება მწერლის ეს განცდა და ჭაყოს იძულებს, როგორც ბოროტებას.

დავიწყით გმირის გარეგნობით.

გარეგნობა: „ჭაყომ ცალის ხელით დონჩი შემოიყარა, ცხენის კბილები გააეღვა და დაიკიხვინა“. „ჭაყო ჭივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედა-ბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს...“ „რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილის ჭაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჭაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზზარმაზარი ზღარბი აცოცებულაო“. „შავი ჭაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჭაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ წამოყრილ ცხენის კბილებს და აქყლეტილ ცხვირს ამოეყო თავი“

„ერთი მტკაველის სიგრძე უღვაშები გადმობრუნებულ ჭამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჭამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ.“

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა: ცხვირი — მოკლე და აქყლეტილი: თვალები — მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცუდლუტი, მოელვარე და მოუსვენარი: თვალებს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბების ლარი, რომელიც მალალსა და წინწამოვარდნილ კვინიხზე შუაზე გადატეხილიყო“.

მწერალი ჭაყოს ლაპარაკის გამოსახატავად ხშირად ხმარობს ზმნებს: „აყვირდა“, „აყროყინდა“, „ხარხარებდა“, „რახრაახებდა“. ანდა ასე: „ჭაყო... ლოჯის კბილებს გააეღვებდა და უმიზეზოდ დაიხვიხვინებდა“. ჭაყომ ...ზრდილობიანად ამოაბოყინა, ცხენის მთქნარებით დაამთქნარა, განივრად გაიზმორა...“ (ეს ხდება სუფრასთან, თეიმურაზისა და მარგოს თვალწინ — სადილზე), „...ოყრაცი ნამოურავალი ხარხარით, რახრახით და ჭიხვინით ძლივს გაძვრა ოთახიდან...“

ცხადია, ყველაფრის ამოწერა შეუძლებელია და არც საჭიროა. ეს ამონაწერებიც სრულიად დამთავრებულ წარმოდგენას გვაძლევს ჭაყოზე. მწერალი ისეთ ნიშნებზე ამახვილებს ყურადღებას, რომ

მკათიო წარმოდგენა შეგვიქმნას ჭაყოს დაბალი განვითარების დონესა და მის გონებაშეზღუდულობაზე, (დაბალი შუბლი...) ამავე დროს გვაჩვენოს მისი სიახლოვე დათვთან, ცხენთან, ხართან, ზღარბთან, რაც ამ ცხოველთათვის დამახასიათებელი ნიშნების ასოციაციას გვიქმნის. ჭაყოს ცუდლუტი თვალების დახატვით მწერალი ამთავითვე მიგვანიშნებს ჭაყოს ხასიათზე — მის ვერაგობაზე და ცუდლუტობაზე.

ბუნებრივია, რომ ამ გარეგნობისა და ასეთი ნიშნებით დამშვენებული არსებისაგან მოსალოდნელია მხოლოდ ავი და ცუდი, რასაც ჭაყო ასე სრულყოფილად ავლენს კიდევ.

როკის მთებიდან „ჩამოვარდნილი“ ჭაყო ხევისთავეს მიჰკედლებია, ჭერ კიდევ მაშინ, როცა ხევისთავეები ხევისთავობდნენ. მაშინ ჭაყო თავს ისაწყლებდა — ჩემს სოფელში არავინა მყავს — არც დედა, არც და-ძმები და ნათესავებიო, არც არაფერი გამაჩნია — ღარიბი და საწყალი ვარო. ეს „უთვისტომო“ ადამიანი ხევისთავებთან მოჭამაგირედ დამდგარა და მარჯვედაც მოქცეულა: თავისი ეშმაკობითა და მოხერხებულობით მალე ბატონების ყურადღება დაუშსახურებია და მოურავობაც მიუღია. ეს თანამდებობა ჭაყომ თავის სახეიროდ გამოიყენა. მან ისარგებლა თეიმურაზის სისუსტით და ხელში ჩაიგდო ტყეც, მამულებიც, რომლებიც მუქთად იყიდა, ვითომ თავისი ბიძაშვილის — ბრინკასათვის. ნაწილი მაშინვე ცეცხლის ფასად ვინმე ფარასტაშვილს მიჰყიდა.

ჭაყოს მორალი ძალზე მარტივია: მოატყუე, წაგლიჯე. იცრუე, თუ საჭირო იქნეს — ითვალთმაქცე, თუნდაც დამცირდე, არაფერია, როგორც ვინმეს რაიმე წაპგლიჯო. ჭაყოს მოქმედებას თავისებური წესები აქვს — ძლიერთან თავი მოისაწყლოს, სუსტებზე იბატონოს. მის თავხედობას და ძალადობას საზღვარი არ აქვს, როცა საქმე ეხება გლეხებთან ურთიერთობას: იგი მათ ტყავს აძრობს, მამასისხლად მიჰყიდის ანდა დიდი სარგებლით ასესხებს გაჭირვებულებს, მაგრამ, როცა მთავრობაში მიდის, სამად მოიკაცვება ეს ვეებერთელა დევი, იჭლანება, იხვეწება და, ვითომდა გლეხებზე ზრუნვით შეწუხებული, სოფლისთვის შეღავათს ითხოვს, თუმც ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებს.

ჭაყო გაქანებული ქურდია. იგი არა მარტო ბატონს პარავს, არამედ გლეხებსაც. მან უტიფრად იცრუა, როცა ხევისთავეს საგვარეულო განძიც კი მოპარა და გადაძალა. ასევე უტიფრად იგი მერე ძალაუფლებაწარმეულ, დაცემულ თეიმურაზთან ნელ-ნელა აჩენს განძეულობას და მარგოს რთავს და კაზმავს. მას არც კი რცხვენია ამ ნივთების გამოჩენა მათს ყოფილ პატრონებთან, რადგან შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვს.

ჩაყო მრისხანე ბატონია თავის ოჯახშიც: აგი როკის მთებიდან ჩამოყვანილ ნათესაებს — ბრინკას, ქეშელას და სხვებს მონებად დაიყენებს და იმდენს ამუშავეს, რომ პირუტყვთაც გაუქირდებოდა. ის ნამდვილი ბატონია და შინაური და გარეული მისთვის სულ ერთია, ოღონდ რაც შეიძლება ბევრი მოიხვეჭოს.

ჩაყო ცოლების მიმართ მხეცურ დამოკიდებულებას იჩენს: მან ჩაფითა და წამებით, ცემითა და მუშაობით სული ამოხადა რამდენიმე ცოლს. ერთი მათგანი — ნინა, რომელიც ლანდივით დალასლასებდა და ქმრის უსიტყვოდ მორჩილი იყო, ჩაყომ სახლიდან გააგდო, რადგან მარგოს შერთვა გადაწყვიტა. ჩაყომ მარგოც უღელში გააბა, როგორც კი იმას მიაღწია, რომ „კანონიერ“ ცოლად გაიხადა. მარგოც ჩაყოს მორიგი ცოლი გახდა: ისიც პირუტყვივით შრომობს, წისქვილში ზურგით საფქვეავი დააქვს. ამის შედეგი იყო, რომ ხევისთავების ყოფილი რძალი „გაძვალდა“, აჩრდილს დაემსგავსა და მონად იქცა ტლანქი და პირუტყვი ჩაყოს ხელში.

ჩაყო სუსტებთან თავხედი და დაუნდობელია. მან თეიმურაზ ხევისთავი აბუჩად აიგდო: ჭერ ბრინკად მონათლა, მერე ამცირებდა და ამასხარებდა, მერე შინაურ საქმეებს ავალებდა, როგორც მოახლეს, მერე ნოქრად დააყენა თავის დუქანში და ღამეც იქ დარჩენა უბრძანა, მაშინ როდესაც თვითონ მის ცოლთან მისსავე საწოლ ოთახში ტკებებოდა. ჩაყოს თავხედობა განუზომელია, როცა ის თეიმურაზის გვერდში მწოლ მარგოსთან, ქმრის გვერდში მყოფ ცოლთან პირუტყვეულად იცხოვრებს და ამით გადალახავს არაადამიანობის ყოველგვარ საზღვრებსაც კი.

ჩაყო ყოველთვის იქითკენ იხრება, საიდანაც სარგებელს მოეღოს: ნიკოლოზი რომ გადმოაგდეს და საქართველოში ჟორდანიას მთავრობა გამეფდა, მან არეულობით ისარგებლა, მთებიდან ნათესაების მთელი რაზმი ჩამოიყვანა, შეაიარაღა და გლეხებს მუქარით დაერია: მიწები ჩემია, ჩემიაო. ჩაყომ ამავე დროს ძალას და მუქარას ეშმაკობით გატენილი „კეთილი გულიც“ დაატანა: მთელი სოფელი ბევრჯერ დაჰპატიჟა, გლეხების გული მოინადირა, შემოიირიგა და თავისი ძალა გაამაგრა.

ჩაყო მთელი ძალით გაჰკიოდა: „— გაუმარჯოს ჟორდანიას მთავრობასა!“ „გაგიმარჯოს, საწყალი ხალხი მიწა მოგეცი ჟორდანიამა!“ მერე იმდენი ქნა, რომ სოფლის თავობა და მთავრობასთან შუაჯაცობა მან ჩაიგდო ხელში. ამას კი თავის სახეიროდ იყენებდა: ხალხსაც ატყუილებდა და ძარცვავდა, მთავრობასაც ატყუილებდა და შეღავათებს სცინცლავდა.

როცა მენშევიკების მთავრობა დაემხო და საქართველოში საბ-

კოთა ხელისუფლება დამყარდა, ჯაყომ ერთხელ კიდევ გაიხადა გველის პერანგი და ბოლშევიკებთან თავი რევოლუციონერად გაასაღა. ახლა ახლებურად შეეცადა სარგებლის გამოჩენას: „— ჩვენი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია, შენი წირიმე, მუდამ მზათა ხართ თოფი გესროლოთ მტრებსა და ყაჩაღებსა... ჩვენ, შენი წირიმე, არაფერი არ გინდა ბალშენიკებისაგან. მარტო ნალოგი ნუ წაიღებდე“. ასე თვალთმაქცობს ჯაყო ახალ ხელისუფლებთანაც. მას არაფერი არ უნდა, ოღონდ „ნალოგს“ ნუ გამოართმევენ, მას ეს აწუხებს, დანარჩენი ყველაფერი განადღებული აქვს — მიწები, მამულები, ხევისთავთა სასახლე, სიმდიდრე და ა. შ. ცხადია, ისღა უნდა, რომ გადასახადიც არ გადაახდევინონ.

მთავრობაში რომ ითვალთმაქცებდა და შელავათს დასტყუებდა, სოფელში დაბრუნდებოდა და ცხვირიდან წამოადენდა გლეხებს: მე თქვენი საქმე იქ მოვაგვარე და ახლა მომეციოთ სამაგაიროო:

„— ჯაყო სოფელს გიშველა... ჯაყო ნალოგი გააპატიე... ჯაყო ყველაფერი გაგიკეთე... მოგეცი ჯაყოს ვალი...“ და ჯაყოს ოჯახს ემატებოდა ხორბალი, ლობიო, მატყლი, კარაქი, ერბო, ფრინველი და ცხოველი. ამ დალას რომ აპკრეფდა, ჯაყო კარგ გუნებაზე დგებოდა და ახალ ჰანგზე მღეროდა:

„— ღმერთმა გაკურთხოს ბოლშევიკების მთავრობაი, რომელმაცა საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ეორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაძის მთავრობაი, აღარა!“.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეს კულაკი და თვალთმაქცი, რომელმაც თვითონ მიიტაცა ბევრი რამ და კანონით კი არავის მიუცია, დროებითი წარმატებებით გათავხედებულია და თეიმურაზ ხევისთავს აკი ეუბნება კიდევც, მე ვწერ კანონებსაო, მაგრამ ჯაყო თუ აღრე ეორდანიას აქებდა და მერე კანი იცვალა, ვითომ ბოლშევიკების მოსვლა გახარებოდეს, მალე ისევ იცვლის კანს, როცა ახალი ცხოვრება მის ინტერესებს შეეხება და კულაკის მიერ ვერაგობით მიტაცებულ მამულებსა და სასახლეს ჩამორთმევას დაუპირებს. ჯაყო გამწარებითა და აღშფოთებით ლაპარაკობს ახალგაზრდა გლეხ ნინიკაზე, რადგან იგი ახალი ყოფის ნამდვილი წარმომადგენელია და ბოლშევიკური სამართლიანობის დამყარებას ცდილობს თავის სოფელში. ჯაყო ამბობს: „— არც გინდა გახსოვდეს იმისთანა აბეზარი ბიწი! — ჯაყო უნდა გადაგასახლოს და ჩემ დეარეცში კაპრატივი გახსნა?! კჩორტუ. კჩორტუ კაპრატივი! არ გინდა ჯაყოს კაპრატივი, არ გინდა ჯაყოს კაპრატივი, არა მეტქი!“ ცხადია, კოპერატივი არ უნდა ჯაყოს, რადგან თავის კერ-

ძო ღუქანში ხალხს ტყავს ველარ გააძრობს, მოგებას ველარ ჩაიჭიბავს... ე. ი. მას არ უნდა ახალი ცხოვრება, რადგან ის მისი მტერია, ნაძარცვს წაართმევს.

ჯაყოს თვალთმაქცობა იქამდე მიდის, რომ კოოპერატივზე უარის თქმას „ასაბუთებს“ ხალხზე ზრუნვით, ვითომდა კოოპერატივი ხალხს ტყავს გააძრობს, და ჯაყოს სურს დაიხსნას ხალხი ამ „ტყავის გაძრობისაგან...“ „ქჩორტუ კაპრატივი! არ გინდა კაპრატივი ნაშინდარსა! ვიცის ჯაყომა, რათ გინდა აქ კაპრატივი, ვიცის! ხალხი ტყავი გინდა გააძრო, განა! ვიცის ჯაყომა, ვიცის!“ აი „ხალხის მხსნელი რაინდი“, რომელიც სულ იმაზე ზრუნავს, რომ ხალხს უბედურება ააცილოს... ჯაყოს თვალთმაქცობა არა მხოლოდ კერძო ადამიანებთან ურთიერთობაში ვლინდება, არამედ მთავრობასთან ურთიერთობაშიც და ყველგან, სადაც კი იგი რაიმეს გამოძალავს მოელის.

ამრიგად, ჯაყო ახალ, საბჭოურ ცხოვრებასაც ამრეზილად უყუარებს, რადგან იგრძნო, რომ მისი პარპაშის დასასრული ახლოვდება. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზი რომანის ერთუპიზოდში მკაფიოდ გამოხატავს ჯაყოსა და რევოლუციის ურთიერთობას, უფრო სწორად, რომ ჯაყო მიტმასნილია რევოლუციასთან, რომ მას იგი მღვრიე წყლად მიუჩნევია თევზის უკეთ დასაქერად, რომ ჯაყო რევოლუციას არ სცნობს, ხოლო რევოლუცია არ ცნობს თვით ჯაყოს. რომანის ეს ადგილი ზუსტად გამოხატავს ჯაყოს პოლიტიკურ ფიზიონომიას. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატს იმ ადგილიდან, სადაც ჯაყო თეიმურაზს ყვირილით უმტკიცებს, რომ ნაფუძრებიც, ტყეც, მამულებიც, ვენახიც, სასახლეც, რომლებიც ხევისთავებს ეკუთვნოდა, რევოლუციამ მას მისცა, რაზეც თეიმურაზი უპასუხებს:

„— ჯაყო, დაანებე თავი რევოლუციას! თქვენ ერთმანეთს არც კი იცნობთ. რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, მეწველი ფურია. შენ კი, შენ რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ, მისი ტკიპი, მისი ბალღინჯო და ტილი!“

მართლაც, ამაზე უფრო ზუსტად ძნელია დაახასიათო ჯაყო ჯივაშვილი, რომელიც რევოლუციის ტკიპი, წურბელა და მუნი იყო. ცხადია რევოლუცია ვერ მოითმენდა ასეთ სენს და აკი მალე დგება ჯაყოს აღსასრულიც!

ჩვენს მიერ წამოყენებული დებულება, რომ მ. ჯავახიშვილმა ჯაყო ჯივაშვილის სახით და მისი საქმეების ჩვენებით დაგვიხატა რევოლუციასთან მიტმასნილი, ხელის მომთბობი და წამგლეჯი ადამიანის ტიპი, ვფიქრობთ ზემო მსჯელობით ნათელი ხდება.

ახლა დაგვრჩა რომანის მესამე ხაზის ჩვენება. ესაა მშრომელი

ადამიანების მონაწილეობა დიდ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ძვრებში და მათ მიერ საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და საბოლოო განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილი.

აღსანიშნავია, რომ მწერალი თავის რომანში წინა პლანზე გვიჩვენებს მიმავალი კლასების წარმომადგენლებს, მათ უბედურ თავგადასაყვას, აგრეთვე მათზე არანაკლებ საძაგელ ქლესა და მტაცებელ ჭაყობებს. რაც შეეხება მოვლენების პოზიტიურ მხარეს და დადებით ადამიანებს ისინი წარმოდგენილნი არიან მასად, რომელთაგანაც ზოგი სახე მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი ერთი მთლიანი ძალაა, ხალხი გაერთიანებულად მოქმედებს და იმარჯვებს. ერთი შეხედვით, თითქოს არც კი ჩანს ეს ძალა. თადგან მთავარ გმირებად თეიმურაზი, მარგო და ჭაყო წარმოგვიდგება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა. უნდა ითქვას, რომ ეს არის მ. ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი ხერხი, რომელსაც ანალოგიურ თემებზე დაწერილ ნაწარმოებებში: „გივი შადურში“ და „კვაკვი კვაქანტირაძეშიც“ იყენებს. სინამდვილეში მშრომელთა მასა ყველგან და ყველგან იგრძნობა და იგი ჰქმნის მოვლენებს, რომელთა შედეგია ხვეისთავეებისა და ჭაყობების დაცემა, ნინიკებისა და მისთანების გამარჯვება.

„ჭაყოს ხიზნებში“ მშრომელი გლეხობა წარმოდგენილია ნაშინდარის მცხოვრებთა სახით. ეს ადამიანები, რომლებიც პატრონად შრომობდნენ, დღედაღამ შრომის ოფლს ღვრიდნენ, ჭერ ხვეისთავეების და შემდეგ ჭაყობების მიერ ულუქმაპუროდ რჩებოდნენ გლეხთა უკმაყოფილება, რასაც ადგილი ჰქონდა რევოლუციამდე, მწერალმა თავის რომანში არაერთხელ გვიჩვენა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ის ეპიზოდები, როცა რევოლუციამდე თეიმურაზი ნაშინდარში აღიოდა, მის სახლთან თავს იყრიდნენ აღელვებული გლეხები, მოითხოვდნენ გადასახადისა და ღალის შემციობას და ხვეისთავი იძულებული იყო დაეთმო ხოლმე მათთვის. ასეთი ფაქტი რომანში რამდენჯერმეა მინიშნებული. მართალია, რომანში არაა დახატული თვით რევოლუციის ქრონიკები, როცა იარაღით ხელში გლეხი იბრძოდა უფლებებისათვის, მაგრამ მწერლის წინაშე ეს ამოცანა არც იდგა. იგი ისტორიულ ძვრებს გვიჩვენებს შედეგების მიხედვით: რა დაემართათ ყოფილ ადამიანებს, როგორ დასრულდა ტყიპებისა და წურბელების პარპაში და როგორი ბედნიერება ხვდა მშრომელებს.

და. აი, საბჭოთა ხელისუფლება ძალას იკრებს. მან სოფელ ნაშინდარშიც შეაბიჯა მთელი ძალით და სამართლის დამყარება გა-

დაწყვიტა. ხევისთავები უკვე პოლიტიკური ლეშები არიან, მათთან ბრძოლა აღარც კი არის საჭირო, რადგან ისინი რევოლუციამ მოსპო, როგორც კლასი. ახლა გაბობოლებული ჯაყო და მისი მსგავსნი არიან მოსათოკნი, რათა სისრულეში მოვიდეს რევოლუციის მაღალი იდეალები — ძმობა, ერთობა, თანასწორობა. და ნაშინდარში ეს დღევ გათენდა. მწერალი დიდი ოსტატობით და ცოცხლად გვიხატავს იმ სცენას, როცა სოფლის მშრომელები ხევისთავის ეზოში შეკრებილან და ჯაყოსათვის თავიანთი განაჩენი გამოაქვთ, მის პარპაშს ბოლოს უღებენ. აქ მოსულა სიმართლის ღმერთი და თავისი სასწორი მოუტანია... ჯაყო ფართხალებს, ხან იმუქრება, ხან იხვეწება, იკუნტება და თავს ისაწყლებს, თვალთმაქცობს და ოინბაზობს, რათა ცოტა კიდევ დასტყუოს გლეხობას, მაგრამ ნინიკა და მისი ამხანაგები იმდენად არიან მის მიმართ ზიზლით სავე, იმდენი ბოლმა დაგუბებით, რომ თავს აღარავის მოატყუილებინებენ...

„ხევისთავისათვის ნასახლარი პატარა ტბასავით აიფუთნა.

ეზო სავსეა გლეხური თავებით, მოძრავი ხელებით და ყაყანიით.

— ხალხო, სამართალი სადა ხარ! — ჭიხვინებს ჯაყო აივანზე — ადა ხართ მეტეი სამართალი?!

— აქ არის, აქა! — სკექავს მოაჩირთან მოვარდნილი ნინიკა და ქვის მუშტს რვალის მკერდზე ირახუნებს — აქ არის სამართალი, აქა!

— აგრეა! მაგრეა! — უბეჭდავენ იქვე მდგომი ილა და თედო.

— მანდ არის, მანდა!

— აგრე, გენაცვალოს პავლეი, აგრე!

— აქ არის, აქა! — შესძახებენ ქვევიდან პირტიტველა ჭაბუკები!#

აი, აბობოქრებული ხალხი, რომელიც სამართლის დასამყარებლად მოსულა. მწერლის სიმპათია ამ ხალხის მხარეზეა და მასაც ამ ხალხივით სძულს ჯაყო. ავტორი თავის დამოკიდებულებას მშვენივრად გამოხატავს იმ სიტყვებით, რომელთაც არჩევს თითოეული მათგანის დასახასიათებლად: თუ ჯაყო „ჭიხვინებს“, სამაგიეროდ ნინიკა „სკექს“ და აგრეთვე მას „რვალის მკერდი“ აქვს. ამით მწერალი მშვენივრად მიგვანიშნებს, თუ ვინ რას წარმოადგენს.

დამფრთხალი ჯაყო სიტყვას თხოულობს, ხალხმა ათქმევინა სიტყვა, მაგრამ ჯაყომ აქაც გამოამეღავნა თავისი მუხანათობა, ამიტომ ხალხის რისხვას იმსახურებს. როცა ჯაყო ამბობს „რევალციამ ყველას მიწა და სამართალი მისცა, ხალხი აწყვეტინებს — „მე სამი დღიუი და შენ ასი?“ ეს განა რევოლუციამ მისცა ჯაყოს? არა, ეს იცის ხალხმა და აქ სწორედ იმიტომ მოსულა, რომ მართალი სამარ-

თალი დაამყაროს. ხალხი პირში მიახლის ჯაყოს, შენ არასოდეს მუშაობდი, შენ წურბელა იყავი, გვატყუილებდი და ა. შ. ჯაყომ გაიხსენა ანდაზა: „მგელი რომ მოგესევა, ერთი ბატკანი მიუგდე, თუ გინდა მთელი ფარა გადაარჩინო“, და ხაფანგში გაბმულმა თვითონ მგელმა წამოროშა — „რას ჩაგაცივდი ამ მიწასა, ნახევარი წაიღეო და ჩახეთქეთ“. მაგრამ ხალხი მედგრად ღვას: ნახევარსაც წავიღებთ და მთელსაცო. ხალხის მრისხანე გადაწყვეტილებას კვლავ აშკარად ხედავს ჯაყო და „დათმობაზე მიდის“ — სულ მიჩუქებიანო. ამ სიტყვებზე ხალხი ახარხარდა — უჩუქებიანო, და დაცინვით მადლობას უხდის. ჯაყო მართლა ხაფანგში გაბმულ მგელს ჰგავს, წრიალებს, ღმურს და აქეთ-იქით ეხეთქება. მან ერთხელ კიდეც სცადა გათამაშება და თითქოს ყველაფერი მორჩაო, წასვლა დააპირა, მაგრამ ნინიკა კისერში სწვდა და გააჩერა — ჯერ არ დაგვიმთავრებიანო. ჯაყომ ფერი დაკარგა და „ვიღუპებიო“ გაიფიქრა. ნინიკა ხალხს მიუბრუნდა: „...ამ სასახლეში რა უნდა ჯაყოს? ვინ მისცა ამოდენა შენობები ამ წურბელას!“ პასუხად ხალხმა ერთხმად დაიქუხა: „— არავეინ! დაიჩემა! ძალით წაიღო! წაართვით! გააგდეთ!“ ნინიკა მუშტით ეკითხება — ვინ მოგცაო, ჯაყო უპასუხებს — რევოლუციამო. ხალხი კვლავ ახარხარდება და ამ სიცილით კლავს და ანადგურებს ჯაყოს.

ნინიკამ გამოაცხადა, აქ სკოლა იქნებაო, ქვემოთ კი კოოპერატივი, აქვე იქნება აღმასკომიცო. ჯაყო ან თავის ღუქანში გადასახლდეს, ანდა იმ ძველ კოოპში შებრძანდესო. ხალხი კვერს უკრავს, ნინიკას ყველაფერში ეთანხმებიან. ჯაყო კვლავ „აჩუქებს“ ამ შენობას, რადგან ფიქრობს „ერთი ბატკანი კიდეც მიუგდე მგელს, თუ გინდა ფარა გადაარჩინო“, მაგრამ ნინიკა რიხით აცხადებს, ჯერ არ გამოთავრებიანო. ჯაყო ცახცახებს — რალა გინდათო. ნინიკა აცხადებს: „ამ კაცს სახნავ ნორმას დაეუტოვებთ, სამაგიეროდ ეს დიდი ბალ-ვენახი სკოლას უნდა დაულოცოს“. ხალხი ამასაც იწონებს. ჯაყო გმინავს, თანაც ცდილობს ხალხის რწმენა შეარყიოს და შხამი ჩააწვეთოს: „ღღეს მე გართმევენ, ხვალ შენ წაგართმევენ“, მაგრამ მის ანკესზე არავეინ ეგება. ჯაყო იმუქრება — ქალაქში წავალ და სამართალს იქ ვიპოვიო. ხალხი დასცინის — იქ ეგ ჩოხაც არ გაგხადონო. ჯაყო წასვლას აპირებს, ნინიკა ისევ დაადებს მუშტს და აჩერებს: ჩვენი ნაბატონევი რომ გაქურდე, მრავალი ავეჯი და სიმდიდრე რომ მიითვისე და გადაშალე, აქ მოიტანეო. ავეჯი, რაც ჩვენთვის — სკოლისათვის და აღმასკომისათვის გამოსადეგია აქ დარჩეს, დანარჩენი კი — განძი და ხაზინა ქალაქში ჩავიტანოთ, მთავრობას მივცეთო. ხალხი მოწონების ყიჟინით ხვდება ამ წინადადე-

ბას, ჯაყო კი ჰქუას კარგავს. ის აქეთ-იქით აწყდება. მოუხმობს თავის ძმებსა და ბიძაშვილებს — ქეშელას, გიბას, ბრინკას და სხვებს — იარალი აისხით და მომეშველეთო... თვითონაც დატრიალდა და წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ გვიანდა იყო: ლომებითა და წერაქვებით ხალხმა უკვე დაიწყო იმ კედლის სამალავის შენგრევა, სადაც ჯაყოს განძი ჰქონდა გადაშალული.

გამწარებული ჯაყო ნინიკას ეცა, თითქოს ამით გადაარჩენდა თავის სიმდიდრეს. და აი, აქ, ამ შეტაკებაში, ამ ორთაბრძოლაში სიმბოლურად მოჩანს განწირული კულაკის, ხალხის სისხლის მწოველის უკანასკნელი გაბრძოლება თავისი ბატონკაცური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, მაგრამ რაღა დროს წინააღმდეგობაზე ფიქრია: ჯაყოების წუთისოფელი დათვლილია, ისინიც ისპობიან, როგორც ცოტა ადრე ხევისთავეებს დაემართა. ეს შეტაკება დიდ აზრს იტევს. მასში მხატვრულად გახსნილია ამ საკითხის მთელი არსი და ჩვენც ამიტომ გვინდა ეს სხარტად დაწერილი ეპიზოდი ამოვწეროთ: ჯაყოს „თვალეები სისხლით ჰქონდა სავსე, ლოჯები დაკრეჭილი, მკლავები მომართული და ისე პარვით მიდიოდა, როგორც მონადირე მხეცი ეპარება ხოლმე სანადიროს.

— ნინიკა, ფრთხილად!

და იმავე წამს ჯაყომაც ისკუპა და ნინიკამაც მოიხედა. მოიხედა და ერთი ნაბიჯით გვერდზე გასხლტა. მოქნეულმა ტორმა მხარზე გაჰკრა, თვითონ ჯაყო კი ბოძს დაეტაკა და იმავე წამს ყურის ძირში ნინიკას მუჭტი იგრძნო, თითქოს ის რკინა, მუხის კარს რომ სცემდნენ, ჯაყოს მოხვდაო. თავმა კივილი გაიღო, თვალთ დაუბნელდა, წატორტმანდა, მაგრამ გასწორდა და მიწაზე სახრე დაინახა. დასწვდა მოტრიალდა, ჰაერი შეაზუილა და ნინიკას ბეჭებზე გადაუჭირა. ნინიკა შეიკლაცნა და — დასწყევლოს ღმერთმა! ვინ მიაჩეჩა ასე უცბად კომბალი. ან აქ სად იპოვა! — და თავგახეთქილი ჯაყო ბოძის ძირთან დაეცა...”

აქ სიმბოლურად არის დახატული ეს ცოცხალი და ამავე დროს მრავლის მთქმელი სცენა. ნინიკამ დასცა ჯაყო, ის თავგახეთქილი გდია. ამ ეპიზოდში ხაზგასმულია მშრომელთა საბოლოო გამარჯვება უწმინდურებაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე სახეს იცვლიდა და სხვადასხვა ფორმით მათ სიცოცხლეს უმწარებდა. ეს შერკინება წააგავს წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის ძლევას, რაც ქართველი ხალხის რწმენაში დიდ აზრს ატარებდა. გამარჯვებული ნინიკა მთელი ხალხია, რომელიც იმარჯვებს, დაცემული ჯაყო კი ყველა სახის მუქთახორა და წურბელაა, რომელიც ხალხის სხეულიდან სისხლს სწოვს. მაგრამ დამთავრდა ეს ბრძოლა, ხალხმა მოიშორა წურბე-

ლები, ამიერიდან შრომის ნაყოფი თვით მას მოხმარდება... „ხოლო ნინია მთავარსარდალივით დადის დარბაზებში და ილას, თედოს და თანდილას ეუბნება: — ეს მიეცით... ეს დარჩეს... ეს გაიტანეთ... ეს არ მისცეთ...“ აი ვის ხელში გადავიდა ძალაუფლება, ვინ გახდა მთავარსარდალი! ესენი არიან ნინიკები, ილები, თანდილები, თედობი—ჩვენი მშრომელი გლეხობა, ვინც თავისი მარჯვენით ქმნიდა და ქმნის დოვლათსა და სიმდიდრეს და ვინც კანონიერი პატრონი უნდა გამხდარიყო ყველაფრისა.

ეს ასეც მოხდა აღნიშნულ ეპიზოდში ეს აზრი დიდი მხატვრული დამაჯერებლობითა და სრულყოფით არის დახატული და მასში მელანდრება მწერლის ტენდენციაც, მისი იდეაც და გახსნილია რომანის მთელი არსიც!

მოხდა დიდი ძვრები. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. დამარცხდნენ, გაირიყნენ და დასაფლავდნენ ძველი ბატონები, მათ მიჰყვნენ მოვლენებთან მიტმასნილი ელემენტები და წურბელები, გაიმარჯვა მშრომელმა ადამიანმა, იგი ყოველმხრივ ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა პოლიტიკურადაც, ეკონომიურადაც. ეს დიდი ისტორიული მოვლენები მხატვრული სიმართლით გვიჩვენა მ. ჯავახიშვილმა თავის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ და ამით თვალი გაუსწორა თავის თანამედროვეობას, რომელიც რეალისტურად, ოსტატურად და პირუთვნელად დაგვიხატა.

ამ თვალსაზრისით და ყოველი თვალსაზრისითაც „ჯაყოს ხიზნები“ მეოცე საუკუნის ქართული პროზის ბრწყინვალე ნიმუშად ჩაითვლება. იგი ყოველთვის ამადლელებლად და დამაჯერებლად გაუცოცხლებს მომავალ თაობებსაც და თვალწინ დაუყენებს ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისის დიდ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში.

„გივი შადური“

1928 წელს ქვეყნდება მ. ჯავახიშვილის კიდევ ერთი რომანი, რომელსაც „გივი შადური“ ეწოდება. ნაწარმოების მთავარი გმირი მწერალს თვითონ სთავაზობს ამ სათაურს, როგორც თავის გვარსა და სახელს. აღსანიშნავია, რომ რომანი აგებულია ისე, თითქოს მისი ავტორი გივი შადურს მართლა ხედება, მას ესაუბრება, გმირი და ავტორი ერთმანეთს იცნობენ, გმირი ასახელებს მწერალს და მიმართავს სახელით — ბატონო მიხეილო. მწერალი ისმენს გმირის ნაუბარს, მეტიც — მთელი რომანი მოთხრობილია მთავარი გმირის — გივი შადურის მიერ, ზოგჯერ პირველ პირში, მწერალი კი

თითქოს ჩამწერის როლში გამოდის. ცხადია, ეს არის ლიტერატურული ხერხი, რომელსაც თავისებური გამართლება აქვს.

ამ ნაწარმოებში, ისე როგორც „კვაჭი კვაჭანტირაძეშიც“, რომანის ავტორის შესვლა პერსონაჟად, თუმცა აქ მხოლოდ მსმენელად და ჩამწერად, რომელსაც მთავარი გმირი მიმართავს, ესაუბრება და ასახელებს კიდევ, ემსახურება ერთ მიზანს. რომელიც, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს: მწერალი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ რომანში მის მიერ ასახული ამბავი ცხოვრებისეულია. იგი სინამდვილიდან არის აღებული. ჩვენ ეს მოსაზრება „კვაჭი კვაჭანტირაძის“ განხილვის დროსაც გამოვთქვით. აქ კი მხოლოდ გაეიმეორეთ.

ეს აზრი გამომდინარეობს არა მარტო აღნიშნული ხერხის გააზრებიდან, არამედ ნაწარმოების ანალიზიდანაც. მთელი რომანი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომ ის, მკითხველი. თითქოს მართლაც თავისი თვლით ხედავს იმ ცხოვრებისეულ ფაქტებს, აღამიანებს, მათ თავგადასავალს, რაც აქ არის დახატული და ნაჩვენები. ცხადია, მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ, რომ რომანში კონკრეტული ისტორიული ეპოქა, პერიოდი არის ნაჩვენები და მთავარი გმირის თუ რომანის იდეურ-შინაარსობლივი შეფასებისას ამოსავლად უნდა გავიხადოთ ის კონკრეტული გარემო, რომელშიაც ამბავი მიმდინარეობს. ამის გარეშე შემფასებელიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და მწერალსაც ვერ ჩააყენებდა უკეთეს მდგომარეობაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანი პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს, ე. ი. იგი დაწერილია ამ თარიღზე უფრო ადრე. ეს კი გახლავთ ჩვენი საუკუნის ოციანი წლები. რომელიც მთელს ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ საქართველოში მრავალი თავისებურებით არის აღსავსე. ეს ის დროა, როცა საქართველოში ის ის იყო დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, როცა აღამიანთა მეხსიერებაში ჭერ კიდევ ცოცხალია წინა წყობილების სურათები, რომლებიც მშრომელთა დიდი მასებისათვის წყველა-კრულვით მოსახსენებელია, მაგრამ გაბატონებული კლასების ცოცხლად დარჩენილი ნაშთებისათვის, ინტელიგენციის ერთი ნაწილისათვის — ძნელად დასავიწყებელი...

აღნიშნულ პერიოდში კლასთა ბრძოლა ჭერ კიდევ მწვავედ მიმდინარეობს. რევოლუციამ შეიარაღებული აჯანყებით შედარებით ერთბაშად მოიპოვა ძალა-უფლება, აღამიანთა შეგნების გარდაქმნა კი მარქსიზმის კლასიკოსთა აღიარებით, გაცილებით ხანგრძლივი პროცესია. ცხადია, ეს პროცესი, განსახილველი რომანის დაწერის დროსაც გრძელდებოდა და არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ძალზე

მწვავედაც მიმდინარეობდა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილი გაბატონებული კლასების ნაშთებმა და მათი ინტერესების გამომხატველი ინტელიგენციის ნაწილმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ოვაციებით შეხვედრა როდი მოუწყვეს. ისინი მტრულად შეხედნენ ქვეყნის ამ გარდაქმნას, რადგან ახალმა წყობილებამ მათ ბატონობისა და განცხრომის საფუძველი გამოაცალა. ისინი ცხოვრების ზემო სართულებიდან სარდაფებში მოექცნენ. როგორც თვითონ მწერალი ამბობს, ზემოურნი ქვემოთ დაეშვნენ, ხოლო ქვემოურებმა ზემოთ აიწიეს. ასეთმა ვითარებამ აღნიშნული კატეგორიის ადამიანები სხვადასხვანაირად განაწყობ: ზოგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა მტრულ მოქმედებაზე გადავიდა, ზოგი შეეგუა გარდაქმნებს და იმას დასჯერდა, რაც დაუტოვეს, ზოგი დაქვეითდა და წუმბეში ჩაიხრჩო, ზოგი ნაკაცრად იქცა და წუწუნისა და ლოთობის, ძველზე ოხვრისა და ღღევანდელის კრულვის მეტს ვერაფერს ახერხებდა.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის რომანის მთავარი გმირი — გივი შადური.

ვინ არის გივი შადური?

ამ კითხვაზე ჩვენ შეგვეძლო მოკლე პასუხი გაგვეცა: იგი ნაკაცარია! მაგრამ მოვუსმინოთ თვითონ მას. ის არ მალავს თავის ვინაობას და ნაწარმოების რამდენიმე ადგილას თავის აღსარებას თუ თავგადასავალს გულახდილად უყვება ქართველ მწერლებს, რომელთა სუფრაზეც იგი ხშირი სტუმარია.

რომანის პირველი თავის მეორე სტრიქონშივე გივი შადური ამბობს: „გთხოვთ მიცნობდეთ: ნაკაცარი გახლავართ, ვინმე გივი შადური“. ჩვენ ქვემოთ აღარ მივუთითებთ სტრიქონს თუ გვერდს, ისე მოვიტანთ გივის აზრებს საკუთარ თავზე და აგრეთვე მის ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც ამ პერსონაჟის სულიერ ავლადიდებას, განწყობილებას, იმედგაცრუებას და დაცემულობას გამოხატავს. ეს კი მთელ ნაწარმოებს გასდევს, როგორც მთავარი ხაზი.

„ყველა გზები და ბილიკები იმედების ნანგრევებზე იყრის თავს“. „დავბრძანდე? ეს სიტყვა მეხამუშა, გადავიჩვიე. ახლა იტყვიან ხოლმე: დაეგდე, ან გაეთრიე...“ „ეჰ, დავანებოთ თავი ჩემს ახლანდელს: იგი შავია, ვითარცა ჩემი მომავალი, და მძიმეა, როგორც ჩემივე სული“. „გივი შადური გახლავართ მეთქი — კაცი უქმი და ტაბარუჯი“. „მე უკვე ნაკაცარი ვარ. წარსულმა მომატყუა, აწყყობს მანვალებს, მომავალი მაშინებს და ისე დავდივარ ამ ქვეყნად,

როგორც ქვრივი სასაფლაოზე და, რადგან მიმავალი ვარ, ამიტომ ქროლას სირბილი მიჩვენია, სირბილს — სიარული, სიარულს — დგომა, დგომას — წოლა, წოლას ძილი, ძილს კი — სიკვდილი“.

ვფიქრობთ, იკმარებს. ეს ამონაწერები, რომლებშიც თვით შადურის აზრია საკუთარ თავზე, სავსებით ახასიათებს მის მდგომარეობას, ყოფას, ვინაობას, პიროვნებას, მის ახლანდელ სახეს.

აბა სხვა რა დახასიათება შეიძლება მიუყენო ისეთ ადამიანს, რომელსაც აღარც სახლ-კარი გააჩნია, აღარც ცოლ-შვილი, აღარც რაიმე მდგომარეობა ახალ საზოგადოებაში, არც ვინმეს სჭირდება და ანსოვს და იძულებულია ერთ ბოხჩაში გამოკრული თავისი ავლადილებით, დაკონკილი ტანისამოსით, გაძარცვული სულითა და დაძაბუნებული სხეულით თავი შეაფაროს სასაფლაოზე ერთი აკლდამის კედლებს... რაღა დარჩენია მას? არაფერის ის ლანდია, ნაკაცარია, იგი წარსულისაა, დღევანდლობა მას არ იცნობს და დღევანდლობას იგი არ იცნობს. მისი საქმე გათავებულია, ის ამას აღიარებს და ჩვენც ვეთანხმებით.

მაგრამ რამ გამოიწვია ყოველივე ეს, რამ მიიყვანა ეს კაცი ამ ყოფამდე, ნაკაცრობამდე?

რომანის იმ თავში, რომელსაც „ესპანური სისხლი“ ეწოდება, შადური თითქოს თვითონ იძლევა პასუხს დასმულ კითხვაზე. მისი აზრით, თითქოს იგი ამ ყოფამდე შემდეგმა გარემოებამ მიიყვანა: ყავდა დედა, ცოლი, ერთი შვილი, ე. ი. ჰქონდა ოჯახი, ჰქონდა სამსახური და ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ ერთმა გამოძიებელმა — გვარად აფთარიძემ — გააუბედურა გივი, დაანგრია მისი ოჯახი. აფთარიძეს მოსწონებია გივის ცოლი რუსიკო, მშვენიერი გარეგნობის ქალი; სხვა რომ ვერაფერი გაუწყვია, აფთარიძეს შადურისათვის შარი მოუდვია, თითქოს სხვისი სალარო გაეძარცვოს და ამ ბრალდებით ციხეში ჩაუსვამს. შადური თვითონ ასე ყვება: „სამი თვეა საზარელ ბრალდებას რკინის მარგილივით მივათრევ ნამუსის კისრით: ვითომ ვითაღლითე, ვიჭიბვირე, სხვის სალაროში ჩავეყავი ხელი. ახლა კი ეს ხელი, ჩემი მარჯვენა, ვითომ შერაცხენილ-შეთხუპნული, ანტონ აფთარიძეს უჭირავს მარწუხით და მოკვეთას უპირებს“¹.

აფთარიძე განგებ ართულებს საქმეს, განგებ აქიანურებს ძიებას, რათა პატიმრის ცოლი რუსიკო ხშირად მივიდეს მასთან. მერე ამ ქალს ჩააწვეთებენ, რომ აფთარიძესთან მხოლოდ ორი რამ გასკრისო: ან ფული, ან ლამაზი ქალი. და რადგან რუსიკოს ფული არ

¹ მ. ჭავჭავიძე, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. III, 1960 წ. გვ. 428. შემდეგში ყველგან მივეუთითებთ ამავე წიგნის მხოლოდ გვერდებს.

გააჩნდა, თვითონ სთხოვა ბინაზე მიმიღო. აფთარიძესაც ეს უნდოდა... და რუსიკომ მას რამდენიმე ღამე აჩუქა...

მალე გივი შადურს ციხიდან ათავისუფლებენ, როგორც სრულიად უდანაშაულოს. შინ დაბრუნებული გივი ყველაფერს გაიგებს, ცოლი ყველაფერს უამბობს და არწმუნებს ქმარს, ყველაფერი შენი გულისთვის ჩავიდინეო. გივი აღშფოთდება, ცოლს კინალამ ახრჩობს, მერე გარბის აფთარიძესთან შურის საძიებლად, მაგრამ დაასწრეს: ახალი გამომძიებელი ატყობინებს, რომ აფთარიძე „გათავეს“, ე .ი. დახვრიტეს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. გივი ადგილს ველარ პოულობს — შურისძიება ვერ მოახერხა, ცოლთან ველარ ჩერდება, ოჯახიდან გარბის... დედა ძმასთან გადავა, ცოლი და შვილი ნათესავეებთან, ხოლო გივი მაწანწალად იქცევა. „ნელ-ნელა თავდაღმა დავეშვი. ახლა რაც ვარ, თქვენცა მხედავთ“... ამბობს გივი შადური. შემდგომში მას რამდენჯერმე უცდია შინ დაბრუნება, მაგრამ ვერ მოუხერხებია, რადგან შეურაცხყოფას ვერ იფიწყებს: „მას აქეთ სამი წელიწადი გავიდა. რამდენჯერმე ვცადე: თავს დავლუნავ, თვალს დავხუჭავ და ჩემს ოჯახს მივადგები ხოლმე. მსურს შევიდე, დავიფიწყო და ხელახლა დავიბადო მაგრამ კარებთან „იმის“ ლანდი მეტრუზება. აწეული ხელი ძირს მივარდება, მოდრეკილი კისერი მისწორდება, თვალებიც მეხილება და წყველა-კრულით უკანვე მივრბივარ“¹.

თავის ამ სიამაყეს, უტეხობას და სიჭიუტეს გივი შადური ხსნის სისხლით. მწერლებთან სუფრაზე ყოფნისას, როცა ამ თავგანდასავალს ყვება, გივი შადური თანამოსაუბრეებს ასე უხსნის თავის დაქვეითების მიზეზს: „ყმაწვილებო, ესპანურმა სისხლმა დამლუპა: ქედფიცხელი, თავგოროზა, ამპარტაენი, ცამდის ალესილი — აი თქვენი გივი შადური. სხვა ჩემს ნაცვლად ყველაფერს მოინელებდა... ავი სიამაყე ჩემი ბინის კიბიდან უკანვე მაბრუნებდა. გოროზობამ ჩამიშალა ოჯახიც დამეც ჩამძირა...“² (ხაზი ჩემია, ტ. კ.).

როგორც დავინახეთ, გივი შადურის დაცემა, დაქვეითება და ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნა, დაგლახაკავება და ნაკაცარად ქცევა აქ ახსნილია თვით შადურის სუბიექტური, ინდივიდუალური ადამიანური თვისებებით — ქედფიცხელობით და გოროზობით. ზედმეტი სიამაყითა და „ესპანური სისხლით“.

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ შადური აფთარიძემ დაღუპა, ხოლო აფთარიძე ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, ე. ი. გი-

¹ გვ. 444.

² იქვე

ვიც ხელისუფლებამ დალუპა. ეს არც სწორი იქნებოდა და არც ნაწარმოებიდან გამომდინარე აზრია. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ აფთარიძე თვით ხელისუფლებამ გამოასალმა სიცოცხლეს, როგორც ძალა-უფლების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამომყენებელი. აფთარიძის ადგილზე დანიშნულმა ახალმა გამომძიებელმა გაანთავისუფლა უდანაშაულო ადამიანი, ე. ი. ხელისუფლება თვითონ ებრძვის აფთარიძეებსა და უკანონობას. ამრიგად, აფთარიძე არა თუ არ გამოხატავს ხელისუფლებას, არამედ იგი მისი მტერიც კი ყოფილა. ამიტომ ხელისუფლებისა და აფთარიძის გაიგივება გაუგებრობა იქნებოდა.

ამ მსჯელობიდან ერთადერთი სწორი დასკვნა გამოდის, რომ თვით აფთარიძე ძველის ნაშთია, რომელიც რაღაც მანქანებით შემძვრალა საბჭოთა სახელმწიფო აპარატში და ბოროტებას ჩადის. მას საბჭოთა ხელისუფლება გაუგებს და გაუსწორდება კიდევ.

მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რას ასახელებს თავის დალუპვის მიზეზად გმირი, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ შადურის დალუპვის მიზეზები გაცილებით ღრმა და სერიოზულია.

დასმულ საკითხში უკეთ გარკვევისათვის საჭიროა გმირის წარსულის გამორკვევა. მისი შესწავლა. ვინ იყო ადრე გივი, რას აკეთებდა, რა წრეში ტრიალებდა, რა დაემართა მის წრეს და მახლობლებს და რა უნდა დამართოდა გივისაც, როგორც იმ წრის წევრს? საკითხის სწორ გარკვევაში, იმის დადგენაში, თუ რას გვიჩვენებს ნაწარმოები, რა ძირითად საკითხს სვამს და წყვეტს იგი, საჭიროა გავითვალისწინოთ სხვა პერსონაჟთა თავგადასავალი, მათი ხედრი. მათი ბედი. ასეთები კი ნაწარმოებში არა ნაკლებ მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ. მაგალითად, პეტრე შევარდენიძე-სოკოლოვი, მარიეტა, მარადო და მათთან დაკავშირებული ადამიანები ნაწარმოების მთავარი გმირები არიან, რომანის იდეის გარკვევაში მათ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე თვით გივი შადურს. ამიტომ აჭობებს ჭერ ეს საკითხები გამოვარკვეოთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება. რომანის პირველ თავში მოთხრობილი ამბავი ფაქტიურად არის გივი შადურის ცხოვრების ბოლო დღეები. გმირი თვითონვე აღნიშნავს, რომ, მართალია. მოთხრობის წესს ვარღვევ, ამბავს ბოლოდან ვიწყებ, მაგრამ ასე მირჩევნიაო. ის მიმართავს მოქეიფე მწერლებს: „გნებავთ ჩემი ვინაობა გაიგოთ? მესმის. თქვენ ნამდვილად სხვა რამ გინდათ შეიტყოთ: — «Как дошел ты до жизни такой...» მოთხრობის წესს უნდა ვუღალატო. ჩემი ცხოვრების დასასრულიდან უნდა დავიწყო“¹ და სწორედ თავის ბოლო დღეებზე ყვება...

¹ გვ. 427.

მაგრამ ადრე ვინ იყო გივი? რევოლუციამდე გივის მდგომარეობა სულ სხვაგვარი ყოფილა. თავის შეძლებულ ბიძაშვილებთან — პეტრე და დათიკო შევარდენიძეებთან ერთად გივი შადურს ოდესის უნივერსიტეტში უსწავლია. მანამდე კი გიმნაზია კავკავში დაუსრულებია, 18 წლისა რომ გამხდარა. ის ყოფილა თავმოქმონე, შეძლებული, ლამაზი და ამაყი, საზოგადოებაში მიღებული ახალგაზრდა, რომელსაც ყველა შენატროდა: „მეგობრებო, ოდესღაც, ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ, მე, გივი შადური, არავის არ დაგივარდებოდით, — მიმართავს გივი ქართველ მწერლებს, — ვაჟი ვიყავ გულხვადი, რვალისგან ჩამოსხმული, მაჰალივით ამაყი, ფოცხვერივით მარდი, კატასავით მოქნილი, მგელივით შეუპოვარი და თავიც ისე დამქონდა, თითქო შიგ ქვეყნის ბედი მდებოდა“. ერთ ქორწილში, მაგალითად, შადური ასეთად გახლდათ:

„სარდიონ თუმანიშვილს ქალი მივათხოვეთ და მაყრად გავყევი. ლურჯა რაში; ლეკური ჩოხა, აბრეშუმის ახალუხი, ყალმუხის ქუდი, ოქრო-ვერცხლით შექედილი იარაღი და ისეთი თვალწარბი, ისეთი უღვაშები და კბილ-ტუჩი მქონდა, რომ ჩემს დანახვაზე არაგველ ქალებს ციებ-ციხლება ემართებოდათ“¹.

ჩვენ ვხედავთ, რომ ცხრაასიანი წლების დასაწყისში, ე. ი. ამბის მოყოლიდან 20—25 წლით ადრე, გივი შადური ღარიბთა წრეს როდი ეკუთვნოდა. ის ტრიალებდა მდიდრებში, ოქრო-ვერცხლით შექედილი იარაღი ესხა, ქეიფობდა, ლალობდა...

თუმცა ის არასად არ ამბობს, რომ პრივილეგირებულთა ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს ეს. მაგალითად, მისი ბიძაშვილი პეტრე შევარდენიძე ცოლად ირთავს მდიდარ რუსის ქალს. რომლის ოჯახსაც მამულები და აგარაკები აქვს ყირიმშიც, ურალშიც. ისინი ფუფუნებით ცხოვრობენ — ზაფხულში — ყირიმში, ზამთრობით — პეტერბურგში. ეს ოჯახი და პეტრეც უმაღლეს არისტოკრატიულ საზოგადოებაში ტრიალებენ, თვით მეფის კართან და მინისტრებთან არიან დაახლოვებულნი და მათთან ერთად ესწრებიან ბალებს, სეირნობებს. ცხადია, რომ პეტრე შევარდენიძე ჩამომავლობითაც, გვართაც მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ე. ი. მისი ბიძაშვილი გივი შადურიც არ იყო მშრომელთა წრის წარმომადგენელი.

მართალია, გივის შოფრობა დაუწყია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის ყოფილ მდგომარეობას, პირიქით: გიმნაზია დამთავრებულ-

¹ გვ. 530.

მა, ნასტუდენტარმა ახალ საზოგადოებაში სხვა ადგილი რომ ვერ იპოვა და შოფრობა დაიწყო, ესეც ხაზს უსვამს მის წარსულს.

და კიდევ ერთი გარემოება: რომანის ყველა თავს წამძღვარებული აქვს ერთგვარი დასაწყისი. აქ გივი შადური მიმართავს მწერლებს, ესაუბრება მათ მწერლობის დანიშნულებაზე, ხელოვნებაზე. ისტორიაზე, ძველზე და ახალზე და ყველგან ამქლავნებს დიდ განათლებას, განსწავლულობას და ერუდიციას. ამასთანავე მის საუბარს დაჰკრავს არქაული იერი, რის გამოც გივი ხანდახან ბოდიშსაც იხდის ხოლმე: მომიტევეთ. მე ძველი ვარ და ეს კილო გადამძლევს ხოლმეო. გივის ტირადები, მისი შეგონებები, მისი მოსაზრებები უმეტესად ისეთი ჰანგებით ხასიათდება, მათ ისეთი ინტონაციები აქვთ, რომ იგრძნობა ძველისადმი, წარსულისადმი ტრფიალი და გატირება... ამ ფაქტიდანაც ნათელი ხდება გივის ძველი სახე, მისი ადრინდელი მდგომარეობა: რომ ის პრივილეგირებულთა წრეს ეკუთვნოდა, რომ მათი ცხოვრება დაინგრა ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარების გამო. რომ მათ ყველაფერი დაკარგეს და ფიზიკურად თულა არსებობენ, თორემ სოციალური საფუძველი გამოცლილი აქვთ, კლასობრივად ისინი უკვე ლეშები არიან.

ამ მსჯელობის შემდეგ ჩვენ ის აზრი გვინდა განვაფიქროთ, რომ გივი შადური მაინც უნდა დაღუპულიყო. იგი ნაკაცრად მაინც უნდა გადაქეუულიყო. აფთარიძე სულაც რომ არ შეხვედროდა მას. აფთარიძე საბაბია, ბიძგია გივის დასალუბად, ხოლო მიზეზი ის დიდი საზოგადოებრივი ძვრებია, როგორც იყო ოქტომბრის რევოლუცია და შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რამაც მრავალი ძარეული ცვლილება მოახდინა საზოგადოებაში.

ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს სხვა პერსონაჟთა ბედის გაჩხრეკვაც, მათი თავგადასავლის გააზრებაც. მაგალითისთვის ავიღოთ გივის ბიძაშვილი პეტრე შევარდენიძე-სოკოლოვი და დავაკვირდეთ მის ცხოვრებას.

ჩვენ უკვე ვთქვით. რომ პეტრემ ოდესის უნივერსიტეტი დაასრულა, მდიდარი მემამულის ქალიშვილი შეირთო, ყირიმში დასახლდა ცოლთან და სიღვდრთან ერთად და ფუფუნებაში ცხოვრობდა. პეტრე ისე გააბრუა სიმდიდრემ, რომ ყოველგვარი ადამიანური გრძნობა დაავიწყა. მან ძმაც გულცივად მიიღო, დანიშნული მაროხომ სამუდამოდ გადაივიწყა. იგი სამშობლოზეც აგდებულად ლაპარაკობს: სადაც კარგად ვიცხოვრებ, ჩემი სამშობლოც ის არისო, საქართველოზე წუწუნი ჩამორჩენილობააო და ა. შ. ზემოურთა გარემოში პეტრე შევარდენიძე პეტრე სოკოლოვად იქცა, მშობლიური

ენა დაივიწყა და დედ-მამა, ძმა, ნათესავეები, მშობლიური მიწა — აღარაფერი გახსენებია...

მაგრამ მოხდა რევოლუცია და პეტრესთვის ყველაფერი უკუღმა გადატრიალდა: ყველაფერი ჩამოართვეს, ზოგიც დაიწვა, ცოლი გაუგებდა, ოჯახი დაენგრა. როცა ყველაფერი დაკარგა, ის იძულებულია სინანულით აღსავსე წერილი მოსწეროს დედას, მიმიღეთ თქვენი უბედური შვილიო. წერილს მალე თვითონაც მოჰყვება და, რაკი დედა ცოცხალი აღარ არის, თავის ძმას — დავითს შეეკედლება. აქ პეტრეს ახალი გარემოება ხვდება: მის მიერ უნუგეშოდ მიტოვებული საცოლე მარო დავითს შეურთავს, მათ ოთხი შვილიც ჰყავთ: ასე რომ, ოჯახში ყოფილი საცოლე რძლად დახვდება.

დაბრუნებული პეტრე მოკუნტულია; გატრეცილია, თავი გასთეთრებია, კბილები ჩასცვენია, ტანსაცმელი შემოლანძღვია და ასე დაჩიავებული დაწანწალებს, სამსახურს ეძებს და ვერ შოულობს, რადგან ახალი დროებისთვის ის არსად ვარგა. მწერალი ძალზე მახვილად უსვამს ხაზს ნაკაცართა ფსიქოლოგიასა და მდგომარეობის ერთ დეტალს: „საოცარია, როგორ მალე ჰპოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერლევნი და ნაკაცარნი. სხედან, თბებიან, ჩურჩულებენ და მავალებს ათვალთვარებენ“¹. პეტრე სოკოლოვი, რომელიც დაბრუნების შემდეგ ისევ შევარდენიძედ იქცა, სწორედ ასეთ ხალხში დადის, მათთან აქვს საერთო. ეს ნაკაცარნი ეძებენ სამსახურს, მაგრამ ახალი საზოგადოება მათთვის უცხოა, ისინი კი მისთვის არიან უცხონი. ამიტომ გადის დღეები, თვეები, მაგრამ დაპირებების მეტი მათ ვერაფერი უშოვიათ.

გივი შადური საკმაო სიცხადით ახასიათებს პეტრეს ასეთ ყოფას: „პეტრე კი ისევ იმედს დაათრევს და დაპირებით იკვებება. მე კი ხშირად შეეცქერი ბიძაშვილის ნაადრევ ჭაღარას, გაცვეთილ სახეს, მოზნეკილ ზურგს, გახუნებულ ძონძებს, და მაგონდება კობტა ბალი და ზღვისპირი, მოქარგული მწვანე ფარდაგები და ქოლგა — ფიჭვი, შეკრეკილი დაფნა და ნაბღიანი ნაძვი, ხშირი მწვანეული და შიგ თეთრი ვეფხვი-ვაჟაკი (ასეთ გარემოში და ასეთი იყო პეტრე ადრე, როცა ყირიმში ბატონკაცობდა. უმდიდრეს ოჯახს დაესიძა... ტ. კ.), ეხლა კი ის ვეფხვი ქეციან ტურად გადაიქცა, რომელიც სხვათა ჯოგში შეერია და აღარ იცის, ვის მიეკედლოს, როგორ იმღეროს, რას მიუღვეს“².

რა ძლიერია ეს ბოლო სტრიქონები! რა მკაფიოდ ახასიათებს.

¹ გვ. 460.

² გვ. 461.

ის პეტრეს ახლანდელ მდგომარეობას! „ვეფხი ქეციან ტურად გადაიქცა“ — აი ნაკაცარი პეტრე. ეს ტურა სხვათა ჯოგში შესულა: დიდი მამულებისა და შეძლების მქონე სოკოლოვი, ფუფუნებაში მყოფი და ცხოვრებით განებივრებული მემამულე ხელგაწვდილი დადის და სულ სამსახურის ძებნაშია, ეგებ ლუკმაპური შრომით მოვიპოვო. იგი ცხოვრებისათვის ზედმეტია, რადგან არ იცის „ვის მიეკედლოს, როგორ იმღეროს, რას მიუდგეს“. კიდევაც რომ დაიწყოს ახალი სიმღერა, იგი მისთვის უცხო და ხელოვნური იქნება, ხოლო ცხოვრებაში სხვის ჰანგზე სიმღერა ადამიანისათვის ტრაგედიაა, ე. ი. პეტრე ტრაგედიას თავიდან ვერ აიცილებს.

პეტრეს უბედურება და დაცემა მარტო იმით როდი შემოიფარგლება, რომ ქუჩაში გამვლელთ იგი მათხოვარი ჰგონიათ. მისი უბედობა კიდევ უფრო საშინელია: საგიყეთიდან გამოქცეული მისი ცოლი თუ ნაცოლარი სტეპანიდა მას კვალდაკვალ დასდევს და აკვიტებული გადაწყვეტილება თან დააქვს — პეტრე უნდა მოეკლო. რომანში რამდენიმე ისეთი ეპიზოდია, რომელიც გვიხატავს გამეხებულ სტეპანიდას — ტლანქსა და ხეპრეს, სისხლმოწყურებულსა და თავხედს, რომელიც დარბის და როგორც ნადირი, ისე ეძებს თავის სამსხვერპლოს... და ეს სამსხვერპლო მისი ყოფილი ქმარი — პეტრე შევარდენიძე-სოკოლოვია. პეტრე ხან რას მოიგონებს, ხან რას და ნაცოლარს უსხლტება ხოლმე ხელიდან. სამშობლოში დაბრუნებაჲდე ასეთი სცენები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიც ყოფილა გამართული. ახლა კი სტეპანიდამ თბილისშიც მოაგნო. ბოლოს გზა-აბნეული და შეღონებული, წამხდარი და დაჩივებული პეტრე მტკვარში თავის დახრჩობის სცენას გაითამაშებს, რათა სტეპანიდას საწუღამოდ აურიოს კვალი, თვითონ კი ჩუმად მატარებელში ჯდება და თბილისიდან გაპარვას აპირებს, მაგრამ მარო, დათა და გივი შეადური დროზე მიუსწრებენ და ატირებულ, საბრალო მოხუცს სახლში წამოიყვანენ... აი, ყოფილი სოკოლოვის დღევანდელი დღე!

კაცი, რომელიც თვითონვე ამბობს, ჩემი სიცოცხლის პირველმა ნახევარმა, ბედნიერმა ცხოვრებამ ისარივით გამისრილა თვალწინო, კაცი, რომელიც იხსენიებს: სიდედრი ჩემს. თავს მუდამ ხელში სჩრიდა კარისკაცებს. ვიტტე, ერმოლოვი, ნარიშკინი, კუროპატკინი და ოციოდე დიდებული გამაცნო და დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო სამსახურში შევსულიყავი და ოჯახი პეტერბურგში გადმომეყვანაო, ადამიანი, რომელიც „ზაფხულ-შემოდგომას ყირიმში ცხოვრობდა, ზამთარ-გაზაფხულს კი პეტერბურგში ატარებდა“ მდიდარ ოჯახთან ერთად, ახლა იძულებულია თვითონვე თქვას, ჩემი

ცხოვრების მეორე ნახევარი მატლოვით მიიზღაზნებო. ეს ადამიანი ახლა მაწანწალა, დაგლახავებული და ნაკაცარი გამხდარა.

რამ გამოიწვია ამ ადამიანის, მისი ოჯახის, მისი კლასის ასეთი დეგენერაცია? ამ კითხვაზე პასუხი მთელ რომანში ნათლად იგრძნობა. კერძოდ კი შეიძლება კონკრეტული ადგილი მოგვეშველებინა: „ასე გავიდა ოცი წელი. დიდი ომი მოვიდა. შემდეგ დიდი რევოლუციაც მოხდა. ცხოვრება მეტად აიფურთნა, აიშალა“...¹ ამას ამბობს თვითონ პეტრე, ასე ესმის მას თავისი დაცემის მიზეზი და ჩვენ მას ვეთანხმებით, რადგან ნაწარმოებში განვითარებული მოვლენები სწორედ ამის სასარგებლოდ მეტყველებენ.

მთელი ამ მსჯელობიდან მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: დიდმა საზოგადოებრივმა ძვრებმა დაამხო ძველად გაბატონებული კლასების ბატონობა და მათი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ეს არის რევოლუციის შედეგი. ამ მოვლენებს გვიხატავს მწერალი

ანალოგიურია მარადო თვალაძის, მისი გენერალი მამის, ყარამან ჭიქურაულის, სეხნია ლაჩიშვილის ბედი და თავდადასავალი, რომელიც რომანის ერთ თავში „ბედი მღევარშია“ დახატული.

წითელი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ყარამან ჭიქურაული, რომელიც სამოქალაქო ომში თეთრების მხარეზე იყო და წითლების სისხლს ღვრიდა, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისი ძველი ცოდვებისათვის დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას სიკვდილი მოელის. დასჯის წინა ღამეს იგი იგონებს თავის ბნელ წარსულს და უყვება იმავე საკანში მჯდომ გივი შადურს. ამ მონაყოლით თვალწინ დაგვიდგება სისხლისმსმელი ყარამანის მხეცობა, ავკაცობა.

მეფის რუსეთში ყარამანი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, რადგან აზნაური იყო და გაბატონებულთა კლასს ეკუთვნოდა. ყარამანი ამბობს: „სამსახურის კიბეზე ციყვივით ავრბოდი და უკვე ღენერლის საბეჭურებს ვებლაუქებოდი, მაგრამ... ქვეყანა შებრუნდა, დაირღვა და უცნაურად შეიცვალა. ერთი ომი დასრულდა, სამაგიეროდ შინაური დაიწყო — პირველზე ასჯერ უფრო კაპასი, მწარე და სასტიკი, რომელმაც ჩვენი ძველი ქვეყანა ბუმბულივით ააბორიალა, სისხლით წალეკა და ჩალურივით გაჰფანტა“² ეს ქნა რევოლუციამ, რომელსაც ყარამანი მტრულად შეხვდა.

რევოლუციას მოყვა სამოქალაქო ომი, რომელშიც ყარამანი რე-

¹ გვ. 469.

² გვ. 464—565

ვოლუციის მოსისხლე მტრად გადაეშვა: „თითქო მონაპოვრის შენარჩუნება მწადდა, თითქოს ჯვრების, საბეჭურების, აზნაურობისა და ჯამაგირისათვის ვიბრძოდი, მაგრამ ამას გარდა, ამავე დროს კიდევ რაღაც-იღუმალი ძალა მიჩათრევდა, მახელებდა, მამხეცებდა. ამბობენ წარჩინებულთა კლასის ბანაკში ვიყავი და ის იღუმალი ძალა იმ ბანაკის ძალა იყო“¹. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს ყარამანის წარსული და მისი მხეცური საქმეები. აქვე თითქოს ახსნილია მისი მოქმედებაც, თუ რამ აქცია იგი რევოლუციის მოსისხლე მტრად, რომელიც რუსეთის მინდვრებზე იმდენ რევოლუციონერსა და მშრომელ პატიოსან ადამიანს ხვრეტდა, რომ აღარც კი ახსოვს მათი რიცხვი. თვითონვე ამბობს ყარამანი: „ასე ვიყავით გამგელებული და მგლებივით ვეუშობდით: სოფელს თუ ქალაქს ფარეხსავეთ შევესეოდით, ავიკლებდით და უმაღვე მეორე ფარეხს ვეტანებოდით.

სისხლი, ცრემლი, ცეცხლი, კვნესა, ურვა და ვალალი — ამაზე მეტი მე იმ შავი დროისა აღარაფერი მახსოვს...“²

სიკვდილის წინა ღამეს, როცა ყარამანი განაჩენის სისრულეში მოყვანას ყოველ წუთში ელის, მისსავე საკანში მყოფ გივი შადურს. თითქოს აღსარებას ეუბნებაო, უამბობს ამ შავ-ბნელ წარსულს, უჩვენებს მრავალი ადამიანის სისხლში მოსერილ ხელებს და არც კი ნანობს.

ყარამანზე უკეთესი როდია მისი განუყოფელი მეგობარი სეხნია ლაჩიშვილი, რომელმაც მას მხოლოდ ბოლო დღეებში უღალატა შურის ნიადაგზე, როცა მარადო თვალაძე ყარამანს ერგო ცოლად და არა სეხნიას.

ცოდებით ისედაც დამძიმებულ სეხნია ლაჩიშვილის სულს კიდევ უფრო ამძიმებს მეგობრის გაცემის ცოდვა. ის ყველგან ყარამანის გვერდში იყო, ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის მეფეს. ისიც გააბოროტა რევოლუციამ, ისიც თეთრგვარდიელებთან ერთად დაერია მშრომელებს — ელეტდა, ანგრევდა, ანადგურებდა.

თითქოს საბედისწეროდ, სეხნიასაც, ყარამანთან ერთად, შეუყვარდა გენერლის ქალიშვილი მარადო, ორივენი შეტრფოდნენ ამ ღამეზე ქალს, რომელიც რევოლუციამ აგრეთვე საღდაც როსტოვის ოლქში გადააგდო და ფუფუნების ნაცვლად შიმშილსა და გაჭირვებაში ჩააგდო. სწორედ ამ გარემოში ხედებიან მას მომავალი რაყიფნი, მერე ერთად დაადწევენ თავს „წითელ ჯოჯოხეთს“, როგორც იქნება, საქართველოში ჩამოვლენ, აქ სიცოცხლის შენარჩუნებას ძვე-

¹ გვ. 565.

² გვ. 567.

ლის მიჩქმალვითა და შენიღბვით ცდილობენ, მაგრამ, როცა მარადო და ყარამანი შეუღლებიან, შურით გაბოროტებული სეხნაა აბეზლებს თავის ძველ განუყრელ მეგობარს, რის გამოც ორივენი საბჭოთა მართლმსაჯულების ხელში ჩავარდებიან... გაცემის ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ნახს უსვამს მათ მორალურ ავლადიდებას, კიდევ უფრო აშავეებს მათ ლაფში ამოსვრილ სახეებს.

ისინი სიკვდილით დაისჯებიან. ეს გარდაუვალია. მკითხველი ამას არც ნაღვლობს, პირიქით, გულცივად ხვდება მათ აღსასრულს, რადგან არ შეიძლება გებრალეზობდეს ადამიანთა მოდგმის მტრები.

არანაკლებ კონტრასტულია მარადო თვალადის წარსული — ძველი წყობილების დროს მისი განებივრებული ცხოვრების პირობები და აწმყო — ახალი ცხოვრების დროს მისი დაცემული მდგომარეობა.

რუსეთის მეფის გენერალი თვალაძე ამაყი და ცარიზმის მიერ მიღებული კაცი ყოფილა. მის ქალიშვილს მარადოს მამის გოროზობა და გულზვიადობა.. შთამომავლობით გადმოსცემა. ცხოვრებით გათამამებულ. გალღებულ მარადოს ეს თვისებები კიდევ უფრო განვითარებია, იგი ისე დადიოდა, თავი ისე ექირა, რომ ახლომყოფნი მისადმი მორიდებითა და შიშით განეწყობოდნენ, მისგან ყინულის სიო ჰბერავდა... ამ ქალის მაშინდელი ხასიათის ნათელსაყოფად მწერალი ასეთ ეპიზოდს გვიხატავს: ერთხელ მას დაუვარდა ძვირფასი ცხვირსახოცი, როცა ახალგაზრდამ იგი მიაწოდა, მარადომ ზვიადად გადმოხედა და არ ჩამოართვა — ჩემი არ არისო: არც ძირს დაგდებულის ალება ინდომა და არც იმ ყმაწვილს გაუყადრა თავი...

სამოქალაქო ომის დროს, როცა მარადოს მამა მოკლეს და ოჯახი დაუწიოკებიათ, მარადო შიმშილითა და სიცივით დაოსებული და ჩამოკონკილი ძლივს ახერხებს სულის გადარჩენას. მას თითქოს ბედზე წააწყდებიან ყარამანი და სეხნია, ზრუნვას არ აკლებენ და ერთად ბრუნდებიან საქართველოში. თითქოს თავი სამშვიდობოს ეგულებათ, მაგრამ ამაოდ.

ყარამანისა და სეხნიას ზემოაღნიშნული აღსასრულის შემდეგ გივი შადური ხვდება მარადოს კვლავ დაცემულს, დაქვეითებულს; ის გაცრეცილი ტანსაცმელით და უფრო გაცრეცილი სახით, გატეხილი სხეულით და დაცემული სულით ქუჩაში დადის და გივის თავის უბადრუკ ოთახში მიიპატიჟებს, რათა სხეულის გაყიდვით სარჩო იშოვოს. აი სადამდე მივიდა მარადო.

ასეთია ყოფილ ადამიანთა, ნაკაცართა და ნაქალაქთა გაღურება „გივი შადურში“. ასეთია მათი დაკარგული ღირება და სავალალო აწმყო.

„გივი შადურის“ გმირთა ეს გალერეა — გივი, პეტრე, ყარამანი, სეხნია. მარადო — ნაკაცართა მწკრივია, რომელიც ყოფილთა ნათელ დემონსტრაციას იძლევა. მთელი რომანის მანძილზე, მართალია, სხვადასხვა ხერხითა და სხვადასხვა ადამიანის ბედის ჩვენებით. მწერალი ტექსტიტაც და ქვეტექსტებითაც სრულყოფილად გვიჩვენებს ძველი საზოგადოების ნგრევას, დიდ საზოგადოებრივ ძვრებს, მის შედეგებს, რამაც ყოფილი პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელთა კლასობრივ-უფლებრივი, ეკონომიური, სულიერი და ბოლოს, ფიზიკური დაცემა გამოიწვია.

ამიტომ, თუ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ ჩვენს ზემოაღნიშნულ მსჯელობასა და მტკიცებას, შეიძლება მხოლოდ ერთი დებულება მივიჩნიოთ სარწმუნოდ: „გივი შადურში“ ასახულია დიდი საზოგადოებრივი ძვრები, მისი გავლენა „ყოფილთა“ ბედზე, რაც მათ დაცემასა და ნაკაცრებად ქცევაში გამოიხატება.

მაგრამ როგორია მწერლის ტენდენცია? ვისკენაა მისი სიმპათია და თანაგრძნობა? — ძველისა და მისი წარმომადგენლებისაკენ თუ ახლისაკენ?

ცხადია, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

რეალისტურ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ტენდენცია ყოველთვისაა, მაგრამ მით უკეთესი მხატვრული ნაწარმოებისათვის. თუ მასში ეს ტენდენცია კი არ ყვირის, არამედ თავისთავად გამომდინარეობს ნაწარმოებიდან. ენგელსისეული ამ დებულების მომარჩევა ჩვენ დიდად ზვეხმარება „გივი შადურში“ მწერლის ტენდენციის გარკვევისათვისაც.

მიუბრუნდეთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას — როგორია მწერლის ტენდენცია „გივი შადურში“?

მწერალი მ. ჯავახიშვილი ყოფილ, წარმავალ კლასთა წარმომადგენლებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ამით სავსებით მისაღებ სწორ პოზიციაზე დგას. იმისდა მიხედვით, თუ რანაირი არიან თვითონ ისინი, მათდამი მწერალს სამგვარი განაჩენი გამოაქვს:

1. ვინც ახალ საზოგადოებას წინააღმდეგობას უწევს, ებრძვის მას, ცდილობს ახალის დათრგუნვას და ძველის აღდგენას, ვინც იარაღით ხელში ებრძვის რევოლუციას და ღვრის მშრომელთა სისხლს — მათ მიმართ მწერალი მკაცრი და შეუბრალებელია. გენერალი თვალაძე, ყარამან ჩიქურაული, სეხნია ლაჩიშვილი და მათზე არანაკლებ საზიზღარი ანტონ აფთარიძე — ილუპებიან, იხოცებიან და

თანაც ამას მწერალი ისე გვიხატავს, რომ მკითხველი ოდნავ სიბრაულულსაც არა გრძნობს მათ მიმართ.

ამ მხეცთა, ნაკაცართა სიცოცხლის ასეთი დასასრული აშკარად მეტყველებს მათ მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზეც, მწერლის ტენდენციებზეც.

2. ნაკაცართა ნაწილი ბოლოს ცოცხალი რჩება. ისინი იმდენად „უწყინარნი“ და უნიათონი არიან, რომ არავითარ საშიშროებას ახალი ცხოვრებისათვის არ წარმოადგენენ. გივი შადური, პეტრე, მარადო ცოცხალი რჩებიან, მაგრამ ვაი იმათ სიცოცხლეს — გივი სასაფლაოდან ავტორს თვითონ მიყავს შესაკედლებლად, ხოლო შემდეგ რიგრიგობით სხვა მწერლები პატიუბენ. ე. ი. მან კარდაკარ სამადლოდ უნდა იაროს, რათა ლუკმა და თავშესაფარი იშოვოს. პეტრესაც ნათესავეები წაიყვანენ და მოსალოდნელია, რომ თავშესაფარს მისცემენ. მარადოს გივი ვილაც ხნიერ უცოლო კაცს შეახვედრებს და გაათხოვებს... ე. ი. ყველანი ცოცხლები არიან. თუმცა ცხოვრებაში ადგილი დაკარგული აქვთ.

ვისაც მწერალმა ასეთი სიცოცხლე შეუნარჩუნა, ისინი ადრეც არ გამოირჩეოდნენ მშრომელთა წინააღმდეგ რაიმე აქტიური მტრული მოქმედებით. რომანის ცალკეული თავების ფინალებში ამ პერსონაჟთა ასეთი ხვედრი მწერალმა განგებ დახატა ასეთად, ისინი სასიკვდილოდ არ გაიშეშა, რადგან მათ არავისთვის მიუტანიათ უშუალოდ ზიანი, ისინი მხოლოდ გარემოს პროდუქტები იყვნენ. ამისათვის ისინიც მკაცრად დაისაჯნენ — ნაკაცრებად იქცნენ, მაგრამ სასიკვდილოდ მწერალს ისინი არ გაუმეტებია.

3. ძველად პრივილეგირებულ კლასთა ერთი წარმომადგენლისათვის — პეტრეს ძმისათვის დავითისათვის მწერალმა სულ სხვაგვარი მომავალი განსაზღვრა: ის ახალ საზოგადოებას შერჩა საზოგადოების ღირსეულ წევრად — მსახურობს, აქვს ოჯახი, ყავს ცოლ-შვილი, არავის შეუფიწროებია, მისი ღირსება არავის შეუღალავს.

ჩვენი ფიქრით, ეს იმიტომ, რომ დავითი ძველდაც გამოირჩეოდა თავისი წრის წარმომადგენლებისაგან, მას ადრეც მოწინავე განწყობილებები ჰქონდა — პეტრეს უპირისპირდებოდა. იყო სპეციაკი, ალალი, სამშობლოსა და ოჯახის ერთგული, გაჭირვებაში მყოფთა ნუგეშისმცემელი. ერთი სიტყვით, დავითი თავისი კლასისათვის ტიპური არასოდეს ყოფილა. მან პროტესტის ხმა აიმაღლა თავისი ძმის უკაცური საქციელის გამოც კი...

დავითი არა მარტო ცოცხალი რჩება, არამედ იგი ახალი საზოგადოების მიერ მიღებული და საჭირო კაცია. იგი ახალ საზოგადო-

ებაში ბედნიერად გრძნობს თავს, რადგან შრომობს და ქვეყანას ემსახურება.

ასეთია სამგვარი დამოკიდებულება, რომელსაც მწერალი თავისი რომანის გმირების მიმართ ამქლავნებს იმისდა მიხედვით, თუ რისი ღირსნი არიან ისინი, რა დაიმსახურეს მათ თავიანთი წარსულით, მოქმედებით, საქმეებით.

ცხადია, ჩვენ ეს საუბარი სრულიად შეგნებულად წარვმართეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ აქ ვლინდება მწერლის ტენდენცია. რომელიც ნაწარმოების გმირთა ბედის, მოვლენათა განვითარების დასასრულის მიხედვით მედავნდება.

მ. ჯავახიშვილი ამ რომანში პირუთვნელად და ობიექტურად გვიხატავს ძველ საზოგადოებას, მის მხეცურ ბუნებას. მრავალ უკუღმართობას და უსამართლობას, რომელიც მას ახასიათებდა.

მთელი რომანის მანძილზე მწერალი მხატვრული დამაჯერებლობით გვარწმუნებს, რომ გარდაუვალი იყო ძველი საზოგადოების ნგრევა და მის მაგიერ ახლის შექმნა, აუცილებელი იყო ძირეული საზოგადოებრივი ძვრების მოხდენა.

ყველა იმათ მიმართ, ვინც ძველის მსახური და ერთგული იყო. ვინც თავის ბედნიერებას და განცხრომას სხვათა ტანჯვის და ჩაგვრის საფუძველზე აგებდა, მწერალი დაუნდობელია, მას მათ მიმართ მკაცრი, განაჩენი გამოაქვს და ამით ის თავის ტენდენციასაც ნათელს ხდის.

ჩვენი ფიქრით. ასეთია „ვივი შადურის“ იდეური ხაზი.

„დამპატიყე“

განხილული რომანების გვერდით შეიძლება გავარჩიოთ მ. ჯავახიშვილის ერთი მოთხრობა, რომელსაც „დამპატიყე“ ჰქვია. ეს სათაური მოდის ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის — ოქროპირის ზედმეტსახელიდან, რაც ამ პიროვნების ბუნებას შეესიტყვება. ეს ნაწარმოებიც 1928 წელს დაიწერა.

ქალაქის განაპირას ცხოვრობს მებღე თევდორე, რომელსაც ყავს ერთგული და გამრჩე ცოლი მაკრინე და ერთი ქალიშვილი — ბაბაღე. თევდორე შრომისმოყვარე კაცია, ის დღედაღამ ბარს. თოხს და სხვა იარაღებს ატრიალებს. ის ემსახურება ბატონს, ოფლს მისთვის ღვრის.

მაგრამ „საღლაც რაღაც მოხდა“ და ბატონი გაიქცა. ახალმა ღრომ ნაბატონარის ორსართულიანი სახლი და ბაღი თევდორეს გადასცა—

შენი ოფლით არის მორწყული და შენვე მოიხმარეო. მაკრინე და თევდორე სიხარულით ცას ეწევიან და უფრო მხნედ შრომობენ.

მაგრამ ეს სიხარული მალე შეეცვალათ: ვილაცეები მოვიდნენ და ერთი აყლაყუდა, ცულლუტი ახალგაზრდა მოიყვანეს — ეს შენი ამხანაგი იქნება, სახლშიც ბინა მიეცი და ბაღშიც შეიამხანაგეო. ეს არის სწორედ ოქროპირი. თევდორემ სახელი რომ ჰკითხა, მან ოხუნჯით მიუგო — დამპატიეე მქვიაო.

დამპატიეე უქნარაა, ზარმაცი, ცულლუტია. მას საღდაც ვილაც კყავს. „ის კაცი“ დამპატიეეს ნათესავია, თევდორე ნუ ებუზღუნება. თორემ „ის კაცი“ მიწას წაართმევს. თევდორეს ნუ ეშინია — თუ საქმე გაჭირდება, „ის კაცი“ მიეხმარება...

თევდორე შრომობს, დამპატიეე კი „გოქოს დუქანში“ ქეიფობს დღენიდაც და თავის საყვარელ სიმღერას — „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი...“ მღერის განუწყვეტლივ. დამპატიეე მარტო ქეიფსა და თევდორეს ნაოფლარის მითვისებას როდი სჯერდება, ის ამ პატიოსანი მშრომელის ქალიშვილსაც შეაცდენს და დააორსულებს.

თევდორე გამწარებულაა, დამპატიეეს ემუქრება. ამ უსიტყვო მებაღემ ხმა ამოიღო. ის „იმ კაცთან“ მიდის, რათა ყველაფერი პირში უთხრას, მაგრამ „ის კაცი“ დაუქერიათ. თევდორე შინ ბრუნდება გახარებული, მაგრამ მალე დამპატიეე მათი სიძე ხდება, მიწის ნაკვეთიც მის სახელზე ფორმდება და ვილაც ახალი ძმაკაცი, რომელიც „იმ კაცის“ მაგიერ დაუნისწავთ, ისევე დამპატიეეს ეხმარება.

დამპატიეეს ბავშვიც შეეძინა. ბაბაღე და დამპატიეე ბავშვს ათამაშებენ, ნებივრობენ, ხელს არ ანძრევენ. თევდორე კი შრომობს და ოფლს ღვრის, იმაზე ფიქრობს, თუ როდის მოაშორებენ ამ ბაღლინჯოს, როდის გააჩუმებენ დამპატიეეს.

გამწარებული მოხუცი ელოდება ამ დღეს და თანაც ფიქრობს: „ოთხფეხს ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე ცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა აღამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“ ეს ფიქრი აწუხებს თევდორეს, თუმც მასზე პასუხი ვერ უპოვია.

რა გვითხრა ამ მოთხრობით მწერალმა?

ერთი ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რამაც ბატონი გააქცია და ყოფილ მოჯამაგირეს — თევდორეს მისცა მიწა და სახლი. მოთხრობაში ეს ნაჩვენებია, როგორც დადებითი ფაქტი, რადგან მშრომელს სიხარული მოუტანა.

მაგრამ ვინ არიან „ის კაცი“ ან დამპატიეე? ესენი არიან თაღლითები, რომლებიც მშრომელ თევდორეს ატყუებენ, რადგან მან

საჩივარი და კანონები ჯერ არ იცის. ეს გაიძვერები სარგებლობენ ტევდორეს უცოდინარობით და ხან სურსათს ართმევენ, ხან ძალით აქეიფებინებენ თავს, რაც თევდორეს ძვირად უჯდება.

მაგრამ „ის კაცი“ დაიჭირეს. მოსალოდნელი იყო, რომ მოთხრობა აქ დამთავრდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მას გაუგო ყალთაბანდობა და პასუხისგებაში მისცა. ეს სრულიად გასაგები და ბუნებრივიც არის. საკითხს აძნელებს მეორე გარემოება: „იმ კაცის“ ნაცვლად სხვა მოვიდა, მაგრამ დამპატიყე ისევე პარპაშებს. „ის კაცი“ „ზემატდელში“ მუშაობდა, მუქთახორა დამპატიყეს ემხრობოდა პატიოსანი მშრომელის საზიანოდ, მაგრამ ახალიც რომ ასე იქცევა? სწორედ ეს გარემოება აფიქრებინებს თევდორეს იმ მწარე აზრებს. რითაც მოთხრობა მთავრდება.

მაგრამ რაკი ერთი ყალთაბანდი — „ის კაცი“ — მოხსნეს და დააპატიმრეს, ხომ შეიძლება, მეორეც ზედ მიაყოლონ. სადღაც ქვეშეცნეულად მკითხველს ეს აზრი შეიძლება დაებალოს და ეს სწორიც იქნება.

ამ მოთხრობაში მ. ჯავახიშვილმა ამხილა ახალი ტიპის კვაჭები. „ის კაცი“ და მისი დამქაში დამპატიყე, რომლებიც თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ახალ დროს, ატყუილებენ უცოდინარ კაცს და მის ნაოფლარს მიირომევენ. ესენი სახეშეცვლილი ბატონები ბრძანდებიან, მუქთახორები და თაღლითები, რომლებიც თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ახალი ხელისუფლების სახელს და დროებით პარპაშებენ. ეს ადამიანები არავის არ წარმოადგენენ. ისინი არ არიან საბჭოთა ხელისუფლების ხაზის გამტარებელნი, პირიქით, ისინი მისი მტრები და სახელის გამტეხნი არიან.

თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სინამდვილეში ზოგი არამზადა ცდლობდა ნიღაბაფარებულხ შემძკვრალიყო საბჭოთა აპარატში და იქიდან ძირი გამოეთხარა ახალი ცხოვრებისთვის, დავრწმუნდებით, რომ მწერალმა აღნიშნული მოთხრობით სწორედ მათი მსგავსნი ამხილა.

თუმც თევდორეს ბოლომდე ვერ გაუტრკვევია, რომ ახლა პარაზიტების დრო არ არის, ამიტომ მოთხრობის ბოლოს მას მწვევე ფიქრები აწუხებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თევდორე უსწავლელი კაცია, მისთვის ძველი დროება იმდენად იყო გამჭდარი ძვალსა და რბილში, რომ ახლის გაგებას და გაბედულად ხმის ამოღებას ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს.

სამაგიეროდ მწერალი მკითხველს საკმაოდ გასაგებად მიანიშ-

ნებს, რომ ყალთაბანდებს ისეთივე დღე მოელით, როგორც „იმ კაცს“.

თავის დროზე „დამპატიყეს“ გამო ლიტერატურული კრიტიკა თავს დაესხა მის ავტორს. ისიც იძულებული იყო ერთ თავის გამოსვლაში ელიარებინა, შეეცადიო. როგორც კრიტიკა, ისე მწერალიც მაშინ გარემოს შესატყვისად, შესაძლოა, სწორადაც იქცეოდნენ, მაგრამ დღეს, როცა ჩვენ კრიტიკულად ვუყურებთ წარსულს და ჯანსაღად ვამჩნევთ ზოგიერთ ნაკლს, შეგვიძლია ამ მოთხრობას ისეთი ახსნა მოვუძებნოთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

კაცმა რომ თქვას, კ. ლორთქიფანიძემაც უარყოფითად დახატა საბჭოს თავმჯდომარე ტუჩა დაშინანი თავის რომან „კოლხეთის ცისკარში“, მაგრამ განა ეს საბჭოთა ხელისუფლების გალანძღვა? განა ნაკლოვანებათა მხილება, მანკიერების გამოაშკარავება, ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მოვალეობა არ არის? განა ამ გზით ლიტერატურა არ ეხმარება პარტიასა და ხალხს წინსვლასა და განვითარებაში? ვფიქრობთ, ეს ასეა და ასევე უნდა გვესმოდეს.

მიუხედავად ასეთი მსჯელობისა, ჩვენ მაინც უნდა დავძინოთ, რომ ამ მოთხრობაში მწერალმა მკაფიოდ ვერ გამოთქვა თავისი აზრი. ბოლომდე გამართულად ვერ თქვა, რომ დამპატიყეები მედროვეები არიან, ისინი წაილეკებიან ახალი ცხოვრების მიერ, ხალხის მიერ, რადგან ისინი ხორცმეტები არიან და მათ ახალი ცხოვრება ვერ მოითმენს. ეს ბოლომდე ნათლად რომ ყოფილიყო ნათქვამი, ცხადია, აჯობებდა. ამიტომ საყვედური ნაწილობრივ, შესაძლოა, მწერალს დღესაც ეკუთვნოდეს.

ერთი კია, მწერალმა „დამპატიყეშიც“ დავგანახა, რომ კვაჭი: ჯაყო, დამპატიყე, „ის კაცი“ და სხვები ერთმანეთის ნათესავეები არიან და ისინი უნდა გვძულდეს, გვეზიზღებოდეს.

„დამპატიყეს“ ფინალს შემდეგში მწერალიც ვერ დაუკმაყოფილებია და ამიტომ ეს ნაწარმოები ავტორს გადაუკეთებია და მისთვის „რკინის საცერი“ უწოდებია!

„რკინის საცერში“ მთავარი ისაა, რომ პარტიის ხაზის ყველა დამმახინჯებელი და ცუდლუტი რკინის საცერში გაივლის, ცხოვრება იწმინდება, პარტიის იდეები იმარჯვებს და ზეიმობს.

ნაწარმოებში ვკითხულობთ, რომ თევდორეს სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა „იჰედი“. დამპატიყე და მისი ავან-ჩავანები პარტიის ხაზის გამტარებლებად ასაღებენ თავს, სინამდვილეში კი ამახინჯებენ პარტიის მიერ შემუშავებულ ნებაყოფლობით პრინ-

¹ იხ. გაზეთ კოლექტივიზაციის“ 1935 წლის იანვრის ნორმები.

ციხს და ძალდატანებას მიმართავენ. ყოფილი მოჯამაგირე თევდორე კულაკად გამოაცხადეს, მას ყველაფერი ჩამოართვეს და გასახლებითაც ემუქრებიან. მაგრამ მალე გამოვიდა პარტიის ცეკას დადგენილება, რომელშიც დაგმობილია ძალდატანების მეთოდი. ამ დადგენილების საფუძველზე ისჯება დამპატიყე და მისი მფარველი, ხოლო თევდორე კოლმეურნეობაში შედის, ბრიგადირი ხდება და ბედნიერ ცხოვრებას იწყებს.

როგორც ვხედავთ, რაც „დამპატიყეში“ ბოლომდე გამართულად ვერ იყო ნათქვამი. „რკინის საცერში“ ნათლად და სწორად არის გაშუქებული.

მ. ჯავახიშვილს შესანიშნავად აქვს შეთვისებული მხატვრული შემოქმედების ბუნება, მისი კანონები. რომელთაც იგი პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობისას იყენებს და ახორციელებს. ამის საფუძველზე არის დაფუძნებული განხილული ნაწარმოებების მთავარი იდეის გადაჭრის საკითხი. მწერლის პოზიცია და მისი იდეური ჩანაფიქრი განხილულ ნაწარმოებში ერთ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება—იმისდა მიხედვით, თუ რა ძალები მარცხდებიან, მწერალი უარყოფითად ეკიდება იმ ძალებს, გმობს და მათ მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. იმისდა მიხედვით, თუ საბოლოოდ რა ძალები იმარჯვებენ, მწერალი თავისი შეგნებით. მსოფლგაგებით, იდეებით ამ ძალების მხარეზეა, მათ უჭერს მხარს. მათ გამარჯვებას ქადაგებს.

ამ კანონზომიერებას ჩვენ შევამჩნევთ მ. ჯავახიშვილის თითქმის ყველა თხზულების გააზრებისას, მაგრამ ჩვენ ახლა „კვაჭის“, „გივი შადურის“, „ჯაყოს ხიზნებისა“ და „დამპატიყეს“ მივუყენებთ ამ დებულებას. ყველა აქ დასახელებულ ნაწარმოებში მარცხდებიან ბნელი ძალები, ძველი დროისთვის დამახასიათებელი მოქმედებანი, ჩვევები, ადათები, მათი მატარებელი ადამიანები თავიანთი ბნელი და საძაგელი საქმეებით. ყველა ამ ნაწარმოებში, საბოლოო ანგარიშში იმარჯვებს ახალი, კარგი, პროგრესული, რომელსაც ხვალინდელი დღე გააჩნია და რაც ადამიანთა საკეთილდღეოდ არის გამიზნული. ძველისა და ახლის შეპირისპირება და მოვლენათა ისეთი განვითარება, რომ საბოლოოდ მარცხდება ძველი, ხოლო იმარჯვებს ახალი, განხილულ ნაწარმოებთა საერთო თავისებურებაა.

რატომ იქცევა მწერალი ასე? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სრულიადაც არ გაჭირდება, თუ მხატვრული შემოქმედების

იმ ძირითად კანონს გაეიხსენებთ, რომლის ძალითაც შემოქმედი ამარჯვებინებს იმას, რასაც თვითონ უჭერს მხარს. რუსთაველი ქაღალდებს სიკეთის გამარჯვებას ბოროტზე და მისი პოემის დასასრულიც ისეთია, რომ სიკეთე იმარჯვებს. შექსპირი დაუსჯელად არ ტოვებს ბოროტებას, ააშკარავებს მას და სასტიკად მიუზღავს ბოროტ ადამიანებს. თუმცა ზოგჯერ ბოროტების მსხვერპლიც მწარედ განიცდიან დიდ ზარალს:.. ტოლსტოი, შილერი და სხვა დიდი შემოქმედნი განუხრელად იზიარებენ და ასრულებენ ხელოვნების ზემოდასახელებულ კანონს. მ. ჯავახიშვილიც ერთგულია ამ კანონისა, ამიტომაც, რომ განხილულ ნაწარმოებებში საბოლოოდ ყველგან ახალი იმარჯვებს.

„კვაჭი კვაჭანტირაძეში“ მარცხდება ბოროტების ბურჯი — მეფის ხელისუფლება. რომელიც ათასჯვარ საძაგლობას წარმოშობდა; მარცხდება დროებითი მთავრობაც. რომელიც თავისი „საქმეებით“ მეფის ხელისუფლებას როდი ჩამოუფარდებოდა; მარცხდება კვაჭობა, ნიადაგი ეცლება მას, რადგან ახალ ვითარებაში მას გასაქანი აღარ ექნება; იმარჯვებს სიმართლე და სამართლიანობა, რაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას თან მოჰყვა, როგორც მისი ბუნებისათვის ორგანულად დამახასიათებელი თავისებურება.

„გივი შადურში“ მარცხდებიან ყველა ისინი, ვინც ძველს, უკანონობაზე დამყარებულ ძალა-უფლებას ემსახურებოდა და ერთგულებოდა, ვინც თვითონაც უსამართლობას ჩადიოდა, ვინც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კიდევ აღსაესე იყო ძველისადმი ტრფილით და ახლისადმი მტრობით. ასეთი ადამიანები მარცხდებიან, ისჯებიან, ხოლო ახალი ძალა — საბჭოთა სინამდვილე ტრიუმფით იმარჯვებს.

„ჯაყოს ხიზნებში“ მარცხდება ძველი ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი ყოფა და ძალები, მარცხდებიან ხევისთავეები და მისი მსგავსნი, საბოლოოდ მარცხდება გაიძვერა და თვითმარქვია, ახალი დროის კვაჭი — ჯაყო. იმარჯვებს საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელთა ძალა-უფლება, მყარდება კაცური, სამართლიანობაზე დაფუძნებული ცხოვრება.

„დამპატიყვეში“ თვით დამპატიყვე თუმცა დროებით პარპაშებს და ხელს ითბობს სხვის ქონებაზე, ახალ ცხოვრებას მეწველ ფურად იხდის, მაგრამ ეს დროებითია, საბოლოოდ ისიც მარცხდება, ისჯება და გაპანდურებული რჩება; გაიმარჯვებს სიმართლე, რაც ახალი ცხოვრების ნიშანთვისებაა.

ასეთია განხილულ ნაწარმოებთა ფინალებში გამოხატული პოზიცია მათი ავტორისა, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მ. ჯა-

ვახიშვილი ყოველთვის ახალს და სამართლიანს. მოწინავეს და ადამიანურს უჭერს მხარს.

ამ ნაწარმოებებში მწერალმა დაგვიხატა არა მხოლოდ ერთი კვაკი, არამედ სხვადასხვა სიტუაციაში აღმოცენებული სხვადასხვა ჭურისა და მასშტაბის კვაკები — ჭაყო, დამპატიყე, რომლებიც უსინდისოდ ითბობენ ხელს შექმნილ ვითარებაში და დროებით პარპაშობენ, მაგრამ მათი თვითნებობის დღე მოკლეა, ისინი ისჯებიან. მარცხდებიან...

მაგრამ რატომაა, რომ მწერალი თავის ამ ნაწარმოებებში, რომლებშიც ესოდენ დიდი საზოგადოებრივი ძვრები ასახა და დახატა. ასე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს უარყოფითი ძალების, კვაკების. გაქნილების და მათი მსგავსი სუბრექტების ჩვენებას?

ვინც საკითხს ასე დააყენებს, მან პირველ რიგში თვითონვე უნდა გაარკვიოს, თუ რისი თქმა სურს ამით, ხომ არ ფიქრობს, რომ მ. ჭავჭავიშვილი უარყოფითს ქადაგებს? ვინც ასე ფიქრობს, იგი. სულ ერთია, ვერასოდეს მივა იმ სწორ დასკვნამდე, როგორც ჩვენ ზემოთ ჩამოვყალიბეთ. მაგრამ ვისაც შემოქმედებითად აინტერესებს დასმული კითხვა, ჩვენ მათ პირველ რიგში კითხვითვე მივმართავდით: რატომაა, რომ შექსპირი თავის „ოტელოში“, თუმც მთლიანად და სავსებით დეზდემონას, ოტელოს, კასიოს მიმართ არის სიმპატიით აღსავსე, მაგრამ მაინც ამდენი პარპაშის საშუალებას და ასპარეზს უფობს იაგოს? რატომაა, რომ გენიალური შექსპირი. თუმც მთლიანად და სავსებით დანიელი პრინცის მხარესაა, მაგრამ ამდენს აპარპაშებს მის ბოროტ ბიძას? ეს საინტერესო საკითხია ჩვენ ამაში მხოლოდ შექსპირის შემოქმედებითი სტილის თავისებურებას ვხედავთ — რაც უფრო მეტი იქნება კონფლიქტი, მოწინააღმდეგის ძალა და მოქმედება, მით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება მასთან ბრძოლაში ჩაბმული დადებითიც და, ამდენად, ეს დადებითი უფრო რელიეფურად გამოჩნდება.

ცხოვრებაშიც ხომ ასეა — რაც უფრო ძლიერ მოწინააღმდეგებს ებრძვი და ამარცხებ, მით უფრო ძლიერი ხარ თვითონაც.

ჩვენი ფიქრით, მ. ჭავჭავიშვილი უარყოფითთათვის დიდი ადგილის დათმობით, მისი ასეთი ფართო ჩვენებით რაპდენიმე მიზანს აღწევს. იგი ხაზს უსვამს, რომ:

1. ძველი საზოგადოება ესოდენ მრავალრიცხოვნად წარმოშობდა ცუდს, უარყოფითს. ცარიზმი და მისი ეპოქა ნიადაგს ქმნიდა და ანაყოფიერებდა ამ ნიადაგს იმისათვის, რომ კვაკები და ათასი ბინძური სულისა და საქმის პიროვნება გაჩენილიყო, ე. ი. ძველი ზიზლისა და სიძულვილის ღირსია.

2. დიდ სოციალურ ძვრებს, რომელიც განხილულ ნაწარმოებებშია ასახული, ყოველთვის თან ახლდა ახლისა და ძველის დაპირისპირება — ბრძოლა, რომ ახალს ყოველთვის უხდებოდა იმ დაბრკოლებათა და სიძნელეთა გადალახვა, რომლებსაც ძველის ნაშთები უქმნიდნენ მას, ე. ი. მწერალი დიალექტიკის პოზიციაზე დგას.

3. თუ ახალმა მაინც გაიმარჯვა ასე მრავალრიცხოვანი ბტრის, ძველის ნაშთების, დაბრკოლებათა და წინააღმდეგობათა მიუხედავად, მაშასადამე, ეს ახალი თავისი ბუნებითა და არსით უფრო ძლიერი და გამარჯვების ღირსი ყოფილა, ე. ი. ახალი მოსაწონია, სიყვარულისა და მხარდაჭერის ღირსია.

ამ დასკვნების შემდეგ თუ გავიმეორებთ ჩვენს დებულებას, რომ განხილულ ნაწარმოებთა ფინალები აშკარას ხდის მათი ავტორის იდეურ ჩანაფიქრს, რაც ამარცხებს ცუდს და ამარჯვებინებს დადებითს, მაშინ სავსებით გასაგები იქნება მ. ჭავჭავაძის პოზიციაც და ტენდენციაც.

სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ჭავჭავაძის ნაწერებში საერთოდ, და აქ განხილულ ნაწარმოებებში კერძოდ, ტენდენცია არასოდეს არ ყვირის. ის ყოველთვის თავისთავად გამომდინარეობს მხატვრული ნაწარმოების შინაარსიდან, მხატვრული საშუალებების უკან არის აპოფარებული. ეს კი, ცხადია, მეტყველებს იმაზე, რომ მწერალი მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ქმნის და არა იდეათა და დებულებათა სქემებს, როცა ტენდენცია მკითხველს თვალში ხვდება, შიშვლად ჩანს, ხმამალა ყვირის.

ასე გვესმის ჩვენ განხილულ ნაწარმოებთა თავისებურებანი, რაც მ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი სტილის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ასეთია ჩვენი დიდი მწერლის დამოკიდებულება საზოგადოებაში მომხდარი მნიშვნელოვანი, ეპოქალური ძვრების მიმართ და მათი ასახვა იმ ოთხ ნაწარმოებში, რომლებიც ჩვენ ამ თავში განვიხილეთ. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ განხილულ ნაწარმოებებში მ. ჭავჭავაძელმა დიდი მგზნებარებით, საკითხთა ღრმა ცოდნით. საბჭოთა მოქალაქის პოზიციიდან ასახა ახლო წარსულისა და მისი თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალური საკითხები, უდიდესი ძვრები, რომლებიც რუსეთსა და საქართველოში ხდებოდა პირველი რევოლუციის პერიოდის დაწყებული — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება-განმტკიცებამდე განვიღო პერიოდში და გვიჩვენა საზოგადოების სხვადა-

სხვა კლასისა და ფენის სახე, მოქმედება და ხვედრი, აღებული მოვლენების განვითარების კვალდაკვალ.

ეს კი იმაზე მიუთითებს. რომ მ. ჯავახიშვილი ყოველთვის ახლოს იყო საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, დაინტერესებული იყო ხალხის ცხოვრებით, განზე არასოდეს გამდგარა ხალხის ყოფისაგან და გულგრილ მეთვალყურედ არასოდეს გაუხდია თავისი თავი. მწერალი ყოველთვის ხალხის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, აინტერესებდა მისი ცხოვრების პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო თუ სხვა მხარეები, რომლებიც ხალხის მდგომარეობაზე, მის ბედზე გავლენას ახდენდნენ. ესაა მ. ჯავახიშვილის მწერლური პიროვნების დამახასიათებელი თავისებურება.

განხილული ოთხი ნაწარმოების დაკვირვებული და ობიექტური ანალიზის შედეგად შეიძლება დაუეჭვებლად ითქვას, რომ მათში ასახულია დიდი საზოგადოებრივი ძვრები, რომელიც მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან ოციანი წლების თითქმის დასასრულამდე განკლილ პერიოდში მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ცივილიზაციასთან დამოკიდებულების საკითხი

1926 წელს მიხეილ ჭავჭავიძემ გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა „თეთრი საყელო“. ლიტერატურული კრიტიკის ერთი ნაწილი საკმაოდ მძაფრი ტონით გამოეხმაურა ამ ნაწარმოებს. ამის მთავარი მიზეზი იყო მოთხრობის იდეის თავისებური გაგება, თითქოს ავტორი ქადაგებს ცივილიზაციიდან, თანამედროვე ცხოვრებიდან გაქცევას და პრიმიტიული ცხოვრებისაკენ დაბრუნებას.

სამწუხაროდ, ამ აზრს ზოგი კრიტიკოსი დღესაც იზიარებს.

ბუნებრივია, რომ ლიტერატურული კრიტიკა დაუნდობელი იქნებოდა ასეთი იდეის ქადაგების მიმართ, მაგრამ საკითხავია, მართლა ამ იდეას ქადაგებს თუ არა ავტორი „თეთრ საყელოში“, მართლა ცდილობს მიხეილ ჭავჭავიძე, რომ მისი მკითხველები დაუბრუნდნენ შუასაუკუნოებრივ ცხოვრებას, ჩაფხუტსა და აბჯარმუზარადს, სალოცავეებსა და ცრურწმენებს?.

თავდაპირველად, მიმოვიხილოთ, დღეს როგორ ესპით ეს კითხვა, რა მოსაზრებაა გამოთქმული ამის ირგვლივ.

პროფ. შ. რადიანი თავის წიგნში „მიხეილ ჭავჭავიძე, ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელიც „საბჭოთა მწერალმა“ 1957 წელს გამოსცა, განიხილავს „თეთრ საყელოსაც“ და აცხადებს, რომ ამ ნაწარმოებში „მ. ჭავჭავიძემ ასახა წინააღმდეგობა ცივილიზაციასა და პატრიარქალურ-პრიმიტიულ ყოფას შორის“. შემდეგ მსჯელობას მოსდევს განცხადება იმის შესახებ, რომ „თეთრი საყელოს“ მთავარი გმირი ელიზბარი (ვაჟიკა), რომელიც დაიღალა ქალაქში ცხოვრებით, გარბის ხევსურეთში“ (აღნიშნული წიგნი, გვ. 28-ე).

შემდეგ ხევსურეთიდან უკან, ქალაქში ვაჟიკას დაბრუნება ახსნილია არა მწერლის ჩანაფიქრის გადაწყვეტის თვალსაზრისით, არამედ პერსონაჟის ინდივიდუალისტური ბუნებით. აი, რას წერს შ. რადიანი: „გადის დრო და ელიზბარს მობეზრდება ეგზოტიკური ცხოვრება. ეს გასაგებია. ასეთ ინდივიდუალისტებს მართლაც მალე ბეზრდებათ ყოველივე. მას კვლავ ეძახის ქალაქი, თეთრი საყელო. იგი მიისწრაფის ბარისაკენ, კომფორტისაკენ. ელიზბარი მარცხდება თავის გატაცებებში“.

ავტორი ამჩნევს ელიზბარის უკან დაბრუნების ფაქტს, მაგრამ არასწორად ხსნის, ანგარიშს არ უწევს იმ კეშმარტებას, რომ პერსონაჟის ყოველი საქციელი მწერლის განზრახვიდან გამომდინარეობს. ხოლო თუ ავტორი ასეთ სიტუაციაში აყენებს გმირს, ასე წარმართავს პერსონაჟის მოქმედებას და ბედს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამით რაღაცის თქმა უნდოდა და გვეუბნება კიდევ. სახელდობრ რას, ამას ქვემოთ დავინახავთ.

1957 წელს „საბლიტგამის“ მიერ გამოცემულ მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობათა კრებულს წამძღვარებულნი აქვს პროფ. გ. ჯიბლაძის ნარკვევი, რომელშიც ზოგადად მიმოხილულია მიხ. ჯავახიშვილის ნაწარმოებები, მათ შორის „თეთრი საყელოც“. ავტორი წერს, რომ „ძველისა და ახლის შეპირისპირებას მიუძღვნა მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი მოზრდილი მოთხრობაც „თეთრი საყელო“. შემდეგ განაგრძობს მსჯელობას და წერს: „თეთრ საყელოში“ გვაქვს პატრიარქალური მთის ბნელი ჩვევების, საუკუნოებრივი ტრადიციების იდეალიზირებული წარმოდგენა, ხოლო ცივილიზაციისა და კულტურის რუსოსებური უარყოფის ელემენტებიც“.

ამ აზრის გამოთქმის შემდეგ მკვლევარი ერთმანეთს უპირისპირებს ცივილიზებულსა და პრიმიტიულ პერსონაჟებს. პერსონაჟთა ამ დაპირისპირებითა და შეფასებით ამართლებს მის მიერ წამოყენებულ დებულებას, მოთხრობის საერთო შეფასებას რომ ეხება და ჩვენ ზემოთ რომ მოვიტანეთ.

აი, რას წერს პროფ. გ. ჯიბლაძე:

„ერთის მხრივ დგანან ჩამორჩენილობის, უკულტურობის, ბნელი ადათების უბიწო შვილები ხათუთა და ჭურხა. მაგრამ სულით მაღალი, ძლიერი ადამიანები, რომლებსაც მტკიცე ნებისყოფა გააჩნიათ, მათი გონებაც სალი და ბევრის დამტეგია, ხოლო სული ფოლადივით კრიალაა. მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ მორალურად ზნედაცემულ, ფიზიკური ენერჯიისა და ჯანსაღი სულისაგან დაცლილ ცუცქიას, უნებისყოფო, გონებადასურულ და შინაგანად ცარიელ თეიმურაზს (უნდა იყოს ელიზბარს — ტ. კ.), რომელსაც ბევრი წაუკითხავს, ბევრი შეუსწავლია. მაგრამ პრაქტიკულად არაფერი შერჩენია“.

შემდეგ ელიზბარსა და თეიმურაზს, („ჯაყოს ხიზნები“) შორის პროფ. გ. ჯიბლაძე იგივეობის ნიშანს სვამს და წერს: „ჩვენის აზრით, ეს ტიპი იგივეა, რაც თეიმურაზ ხევისთავი, „ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი მთავარი გმირი, მხოლოდ სულ სხვა სიტუაციაში მოხვედრილი“.

აღსანიშნავია, რომ პროფ. გ. ჯიბლაძეს იგივე აზრები „თეთრი საყელოს“ შესახებ განმეორებული აქვს თავის მომდევნო წიგნში, რომელიც 1959 წელს, ე. ი. ზემოთ მითითებული წიგნის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ, გამოვიდა. ესაა კრიტიკული ეტიუდების მესამე ტომი¹. აღნიშნულ წიგნში მკვლევარი ისევ იმეორებს, რომ ძველისა და ახლის შეპირისპირებას მიუძღვნა მ. ჭავჭავიძელმა თავისი „თეთრი საყელო“, რომ ეს მოთხრობა იშლება პატრიარქალური მთისა და ცივილიზებული ქალაქის შეპირისპირები¹ ფონზე. მაგრამ ავტორმა ვერ დაიცვა ის ზომიერება, რომელიც საბჭოთა მწერალს მოეთხოვებოდა. ამის შემდეგ მკვლევარი მიდის იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ „თეთრ საყელოში“ გვაქვს პატრიარქალური მთის ბნელი ჩვევების საუკუნოებრივი ტრადიციების იდეალიზირებული წარმოდგენა, ხოლო ცივილიზაციისა და კულტურის რუსოსებური უარყოფის ელემენტებიც“.

ამ წიგნშიც, ისევე როგორც 1957 წელს გამოცემულში გ. ჯიბლაძე იგივეობის ნიშანს სვამს ელიზბარსა და „ჩაყოს ხიზნების“ მთავარ გმირს თეიმურაზ ხვეისთავს შორის. აქ გამოთქმული თვალსაზრისი სიტყვა-სიტყვით გამეორებაა ზემოთ მოტანილი ციტატისა, ამიტომ მის მიხედვით ვიმსჯელებთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ელიზბარის ისეთი გალანძღვა უმართებულოდ და დაუმსახურებლად მიგვაჩნია, რადგან იგი არც „უნების-ყოფთა“, არც „გონებადახურული“. არც „შინაგანად ცარიელი“.

როგორია ელიზბარი ნაწარმოების მიხედვით? იგი გეოლოგია, ზრუნავს სამშობლოზე, მას გადაუწყვეტია ალაზნის სათავეებში ეძიოს და აღმოაჩინოს სპილენძი, რათა სამშობლო გაამდიდროს. წავიკითხოთ ნაწარმოების პირველივე სტრიქონები და ამაში დავრწმუნდებით: „საქართველოს სპილენძი აღარ აქვს, — ეთქვი და გადავწყვიტე. — უნდა ვიპოვნო“. (თეთრი საყელო“, გვ. 5) და მართლაც მიდის საძიებლად. მკითხველია იმის მოწმე, რომ ელიზბარი მეგზურთან ერთად ბევრს დაეხეტებოდა კახეთის უღრან ტყეებში, მთებში და აქი გზაც აებნათ. ამ მოგზაურობის დაწყებამდე ელიზბარი თბილისში მსახურობს, ოჯახს არჩენს. სამსახურში კარგი რეპუტაცია აქვს. ადრე ელიზბარმა გიმნაზია დაამთავრა, უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა და მიიღო კიდეც. კეთილი და კაცთმოყვარეა ელიზბარი; ჭურხასთან პირველი შეხვედრა თბილისში. მასზე ზრუნვა, მის განათლებაზე შრომის დახარჯვა — ყოველი-

¹ გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. 3. გამ-ბა „ცოდნა“, 1959 წ., გვ. 336—337

ვე ეს ელიზბარს კარგ კაცად გვისახავს. ჯურხასკარში ელიზბარის მოსვლა, თავგადასავლები, იარაღის ხმარების შესწავლა, დათვის მოკვლა, უშიშრობა, ფიზიკური ძალოვნება, რითაც ზოგჯერ ჯურხასაც კი ჯაბნიდა ვარჯიშის დროს — ყოველივე ეს ელიზბარს გვიხატავს როგორც ფიზიკური ძალის მქონე, მტკიცე სულისა და მოხერხებულ ადამიანს. დაბოლოს, ელიზბარის გამოპარვა, ჯურხასკარიდან, ტყეში და ღრეში თავგანწირული ხეტიალი გზის გასაკვლევად, შიმშილი, შეუდრეკელობა, უშიშრობა, ამტანობა, ქალაქში ჩამოსვლა და ნამდვილი თანამედროვე ცხოვრების განგრძობა, ხათუთას შინაგანი და გარეგანი გაკეთილშობილება-გამშვენიერებისათვის ზრუნვა — ყოველივე ეს ელიზბარს გვიხატავს, როგორც მოწინავე, გაბედულ, ამტან, ფხიან, კეთილშობილ ადამიანს.

მაშ რალა საბუთი გვაქვს ელიზბარს ვუწოდოთ „უნებისყოფო“, „გონებადაზურული“, „შინაგანად ცარიელი“ ადამიანი? ვფიქრობ. ამის საბაბიც არ გავვაჩნია.

სულ სხვაა ცუცქია. ეს დედაკაცი აცუნცრუებული და უნამუსო, ქარაფშუტა და თავგასული, მეშჩანი და ჩამორჩენილი, ფეხის ხმას აყოლილი, მაგრამ ნამდვილად ვერაფრის გამგები, ცულლუტი და არაქალაია. მის მიმართ შეიძლება ყოველგვარი სალანძღავი სიტყვის ხმარება. აქ შეიძლებოდა მუტი „ეპითეტის“ გამოყენება. მაგრამ ელიზბართან მისი გაიგივება, ერთ ტაფაში მათი მოთავსება — უმართებულოა. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ნაწარმოებოს მიხედვით, ისინი თვითონ გრძნობენ ამას, ვერ ეგუებებიან ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი, სძულთ ერთმანეთი და აკი დასცილდებიან კიდევ.

ახლა შევადაროთ თეიმურაზ ხევისთავი („ჯაყოს ხიზნები“) და ელიზბარი („თეთრი საყელო“), ავწონ-დავწონოთ თვითეული ცალცალკე და ვნახოთ, შეიძლება თუ არა მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა, როგორც ამას პროფ. გ. ჯიბლაძე ფიქრობს.

თეიმურაზ ხევისთავი ცხოვრებას მოწყვეტილი, უნიათო, უქნარა, უხერხემლო, უმოქმედო, მცონარა, ფუჭი მეოცნებე, ქალაჩუნა. დაქვეითებული, დამდაბლებული ადამიანია. გავიხსენოთ როგორ მცონარობდა, როგორ ვერ იპოვა მან ადგილი საზოგადოებაში, როგორ დადიოდა უსამსახურო, როგორ შიმშილობდა და ცოლსაც აშიმშილებდა, როგორ უბიძგებდა მას მარგო, რომ სამსახური, საარსებო წყარო ეშოვა, მაგრამ ამაოდ... გავიხსენოთ, როგორი სისუსტე გამოიჩინა მან ჯაყოს წინაშე. — დაწყებული მარგოს პირველი გაგზავნიდან ჯაყოსთან, შემდეგ ჯაყოს ოჯახში დატრიალებულ უსინდისო ამბებამდე; როგორ ხედავდა თავისი ცოლის ღალატს,

ჩაყოს ძალადობას და ხმას კი ვერ იღებდა, მეტიც, ცოლის გათხოვებას თვითონვე უწყობს ხელს და გაუგონარ არაკაცობას იჩენს ამ ზომენტში. არ მოიძებნება უფრო დამამცირებელი სიტყვა მამაკაცის გასალანძლად, რომელიც თეიმურაზ ხევისთავს არ დაემსახურებინოს. ეს ქალაჩუნა, გათელილი ნაკაცარი ზიზლსა და სიძულელილს იწვევს მკითხველში.

აბა შევადაროთ მას ელიზბარი. ეს გმირი თეიმურაზს ერთი შტრიხითაც არ ჰგავს: მას საზოგადოებაში თავისი ადგილი აქვს (მსახურობს, წიაღისეულ სიმდიდრეებს ეძებს სამშობლოს გასამდიდრებლად), ცოლთანაც პრინციპულ სიმაღლეზეა, ჭურხასკარშიც იმდენ ვაჟკაცობას გამოამჟღავნებს. რომ „გაწიკლაურდა“ იარაღს კარგად ხმარობს და მეტოქესაც კლავს, ძლიერი სიყვარული დაეუფლა ხათუთას მიმართ. შეუძლია მტკიცე გადაწყვეტილებების ჰაღება (თბილისიდან წასვლა სპილენძის საძებნელად, „ჭურხასკარიდან“ სამუდამოდ დაბრუნება, ცუცქიას მოშორება), მას შეუძლია არ დაერიდოს წინააღმდეგობებს, სიძნელეებს, ოღონდ თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანოს; მას შეუძლია კარგ ადამიანებთან ნამდვილი ადამიანური დამოკიდებულების დამყარება... ერთი სიტყვით, ელიზბარი საზოგადოების აქტიური წევრი და სრულფასოვანი მოქალაქეა.

არც ნაწარმოების დასაწყისში, არც აშბის განვითარების პროცესში, მით უმეტეს, გმირის თავგდასავლის დასასრულს თეიმურაზი და ელიზბარი ერთმანეთს არ გვანან. თეიმურაზი განწირულია და იღუპება, ელიზბარი მოქმედია და იმარჯვებს.

ახლა გადავიდეთ მთავარი საკითხის გარკვევაზე — ნაწარმოების იდეის გაგებაზე.

ჩვენი აზრით, „თეთრი საყელოს“ მთავარი იდეა ცივილიზაციიდან, მოწინავე თანამედროვე ცხოვრებიდან ბუნებაში, ჩამორჩენილი. მარტივი ცხოვრებისაკენ გაქცევის ქადაგება კი არ არის, არამედ სწორედ ამის საწინააღმდეგოა.

სანამ ამ დებულების სისწორესა და სიმართლეს „თეთრი საყელოს“ მიხედვით დავამტკიცებდეთ, გვინდა მკითხველს შევახსენოთ ერთი გარემოება. ხომ არ შეხებია მიხეილ ჭავჭავაძის იდეა ამ პრობლემას სხვა რომელიმე ადრინდელ ნაწარმოებში, და თუ შეეხო. როგორ გადაწყვიტა?

გ. ჭიბლაძის აზრით, (რომელსაც ჩვენ სავსებით ვინიარებთ) მოთხრობა „მდევარი“, რომელშიც 13 წლის კანკა ბიჭი სირბილში ეჭიბრება სოფელში პირველად შესულ ავტომობილს და მარცხდება

(კვდება), ალეგორიულად შეჯიბრია ძველს, პრიმიტივისა და ცივილიზაციას შორის. ამ შეჯიბრში ცივილიზაცია იმარჯვებს.

გ. ჭიბლაძე წერს: „ასე ტრაგიკულად დასრულდა ეს გულუბრაცვილო, უცნაური შეჯიბრება ადამიანსა და მანქანას შორის, სულიერსა და უსულოს შორის. მანქანამ გაიმარჯვა, დამარცხდა ძლიერი ადამიანი, მაგრამ ეს ადამიანის დამარცხება კი არ არის, ისიც უთანასწორო ბრძოლაში, არამედ უაზრობის დამარცხებაა, შეუძლებლის დამტკიცება და ეჭვი არ გვეპარება, მოცემული სურათით ავტორმა მხოლოდ ის გვითხრა, რომ ახალი შეუჩერებელი იმარჯვებს ძველზე, პრიმიტივი მარცხდება, ცივილიზაციასა და კულტურას ვერ გაუძლებენ წარსულის, ძველის ყველაზე საუკეთესო მონაცემებიც“¹.

ფიქრობთ. მკითხველმა თვალნათლივ დაინახა, რომ მიხეილ ჭავჭავიძემ თავის აღრინდელ მოთხრობაში „მღვეარში“ დააყენა ეს საკითხი და გადაჭრა პროგრესულის, ცივილიზაციის სასარგებლოდ.

მ. ჭავჭავიძე ილი რუსოსებურად ცივილიზაციიდან ბუნებაში გაქცევას რომ არ ქადაგებს, ეს კიდევ მტკიცდება ერთი აღრინდელი მოთხრობით. გავისხენოთ „ტყის კაცი“. ამ მოთხრობის მთავარი გმირი პავლე ცოლის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტს სოფლიდან ტყეში გადასახლდეს. ამ გადაწყვეტილებას იგი სისრულეში მოიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ ის ტყე, სადაც პავლე დასახლდა თავისი ორი ვაჟიშვილით, მომხიბვლელია. პავლე მაინც მარცხდება— ეღუპება ორი ვაჟი. თვითონ კვუიდან იშლება.

როგორ გავიგოთ ამ ნაწარმოების დედააზრი? ტყეში პავლეს გაქცევა განა რუსოს იდეის ქადაგებაა? პირიქით! თუ ავტორი ტყეში დასახლებულ პავლეს ცხოვრებას აყვავებდა, თუ მკითხველს აჩვენებდა, რომ სოფელში (საზოგადოებაში) ცხოვრება უარესი იყო ხოლო ბუნების წიაღში სამოთხედ იქცა, მაშინ მწერლის მრწამსი რუსოსებური იქნებოდა. ახლა კი, პავლეს ცხოვრების ასეთი ტრადიკული დასასრულით, ამ გმირის მწარე დამარცხებით მწერალმა საწინააღმდეგო გვიჩვენა და იქადაგა.

ასეთი იყო მწერლის გაგება ამ საკითხებში. სანამ „თეთრ საყლოს“ დაწერდა.

მ. ჭავჭავიძის არც „თეთრ საყელოში“ უღალატია თავისი შეხედულებებისათვის და ამ ნაწარმოებში უფრო სრულად გამოთქვა და გამოხატა ეს იდეა.

¹ მ. ჭავჭავიძე ილი, მოთხრობები, თბილისი, 1957 წ., გვ. XIII.

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში მწერლის იდეა და ტენდენცია გამოვლინდება იმის მიხედვით, თუ რა ძალები იმარჯვებენ აღებულ ნაწარმოებში. ზოგჯერ ეს დებულება კონკრეტულ პერსონაჟზე არ ვრცელდება, მაგრამ საერთო სულისკვეთება თხზულებისა, გამო-
ნაკლისის გარეშე, ემორჩილება ამ ცნობილ დებულებას. როგორაა საქმე „თეთრ საყელოში“? არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმ გარემოებას. რომ ელიზბარი ქალაქურ ცხოვრებას, ცივილიზაციას არ გაქცევია. იგი კი არ გარბის, არამედ საქმეზე მიდის (მადნის აღ-
მოსაჩენად). თუ გეოლოგების ველად ხეტიალს ცივილიზაციიდან გაქცევას ვუწოდებთ, მაშინ ჩვენ დღეს ძალზე ბევრი „რუსოისტი“ გამოვკვია. მაშ. ასე: ელიზბარი შემთხვევით. გზის აბნევის გამო აღ-
მოჩნდა ჭურხასკარში.

ულრან ტყეში, მიუვალ, გარესამყაროსაგან მოწყვეტილ ადგილ-
ზე ელიზბარს პატარა სოფელი დახვდა. აქაური მცხოვრებნი შუა-
საუკუნოებრივ, ჩამორჩენილ, პრიმიტიულ, მარტივ ცხოვრებას ეწე-
ვიან. ისინი განგებ წყვეტენ კავშირს გარესამყაროსთან, რათა იქაუ-
რი წესები აქაც არ გავრცელდეს. ამ ერთ მუქა ხალხს ყავს თავისი
ბელადი — ჭურხა, დეკანოზი და იმავე დროს ხევისბერი, აქვს სამ-
ლოცველო. რომელშიაც თავიანთი დროშა უსვენიათ, აქვს დღეო-
ბები და ძველზე ძველი ტრადიციები და ადათ-წესები.

როგორ მიიღო ყოველივე ეს ელიზბარმა? სანამ ამ კითხვაზე
პასუხს ვავეცემდეთ. გვინდა შევნიშნოთ, რომ ძნელი საფიქრებელია,
ელიზბარი. ისეთი როგორიც ის იყო იქ მისვლამდე, ამ სოფელში
დარჩენილიყო. იქ თავისი ძმადნაფიცი ჭურხა რომ არ დახვედროდა,
ამ კაცს ამდენი რომ არ ეხვეწნა და ემუდარა. ამას ჩვენ არ ვამტი-
ყებთ. მაგრამ მაინც აღვნიშნავთ. რადგან ნაწარმოებში ეს იკრძნო-
ბა.

ფაქტი ისაა, რომ მეგზური გაუმეგეს, ელიზბარი კი ჭურხას-
კარში დარჩა. ე. ი. მან ეს ცხოვრება. ნებსით თუ უხებლიედ, მიიღო.
მაგრამ ელიზბარმა იქაური ცხოვრება მიიღო არა მთლიანად, არა-
მედ ნაწილობრივ — მიიღო ამ ცხოვრების მხოლოდ მოსაწონი და
პისაღები მხარე. მიიღო ის, რაც რომანტიკულად. ამაღლეებლად
ჩათვალა: ძმადნაფიცის ერთგულება. იქაური ადამიანების გაურყე-
ნელი სული, სტუმართმოყვარეობა. ლაპაზი ხათუთა, მშვენიერი ბუ-
ნება და სუფთა, ჭანსალი ჰაერი. სამაგიეროდ ელიზბარს იმთავითვე
გულს ურევდა იქაურ მკვიდრთა ქუჭყი და სუნი, ათასი ცრურწმე-
ნა და ეშმა, კარჩაკეტილობა და გაუნათლებლობა. საგულისხმოა,
რომ ჭურხაც და ხათუთაც, რომლებსაც ასე დაუკავშირდა ელიზბარი.
ქალაქში ნამყოფნი არიან. ჭურხა ევროპაშიც კი იყო. მართალია.

ჯურხას არაფერში არ ეტყობა ქალაქისა და ცივილიზაციის არაერთარი ნიშანწყალი და ებლაუქება ყოველივე ძველს, მაგრამ ჯურხამ მაინც განსხვავდება თავისი თანასოფლელებისაგან.

მთავარი ეს როდია. მთავარია, თუ საბოლოოდ როგორ განვითარდება ამბავი: ელიზბარზე გაიმარჯვებს ჯურხასკარის ცხოვრების წესები, თუ ელიზბარი გაიმარჯვებს მასზე.

ის ბზარი, რომელიც თავიდანვე შეინიშნება ელიზბარის პიროვნებასა და ან ნახევრად პირველყოფილ ცხოვრებას შორის, თანდათან ფართოვდება, იზრდება და ბოლოს უფსკრულად იქცევა. ელიზბარს აქ ვეღარ აკავებს ვერც ჯურხასადმი უსაზღვრო ერთგულება, პატივისცემა და სიყვარული, ვერც სათაყვანებელი ხათუთას სიყვარული და სიბო, ვერც პირმო ნოდარი, რომელიც ელიზბარს სულს ურჩევნია. ელიზბარს ეძახის ქალაქი, მოვალეობა. სამშობლოს წინაშე, მას ეძახის თანამედროვე ცხოვრება, ცივილიზაცია და ამ ძახილისადმი იგი ყურს ვერ დაიხშობს; სტოვებს ძვირფას ადამიანებს და უკანმოუხედავად გამორბის ჯურხასკარიდან, ჩამოდის თბილისში, ქმნის ახალ ოჯახს ხათუთასთან ერთად. ზრდის ნოდარს, ებმება ახალი ცხოვრების ფერხულში.

მწერალი ნაწარმოების ასეთი დასასრულით აღარ გვიტოვებს იოტისოდენა ეპქსაც მისი მთავარი იდეისადმი, მისი მრწამსისადმი. ცივილიზაცია, ახალი ცხოვრება იმარჯვებს ძველზე.

თუ ჩვენ არ დავივიწყებთ მხატვრული ლიტერატურის ძირითად კანონს, რომ ნაწარმოების მთავარი იდეა გამომდინარეობს ნაწარმოებიდან თავისთავად, მასზე საგანგებო განცხადებისა და ღია მითითების გარეშე, რომ მწერლის იდეა ნაწარმოებში შიშვლად კი არ ცხადდება, არამედ მოვლენების განვითარებით, გმირთა მოქმედებით გადაეცემა მკითხველს, რომ მხატვრული ნაწარმოებისათვის მით უკეთესია, რაც უფრო არ ყვირის იდეა, რაც უფრო მიმაღულია იგი მხატვრული საშუალებების უკან, მაშინ უფრო სწორად შევაფასებთ ელიზბარის უკან დაბრუნების ფაქტს და ვალიარებთ, რომ მწერლის ტენდენცია სწორედ აქ მეღავნდება. სადაც გმირი უფრო ძლიერია და იმარჯვებს, სადაც მოვლენები ასე სრულდება.

ამ იდეის საქადაგებლად მწერალი მარტო ელიზბარის „მოქცევას“ როდი ჯერდება. თვით ჯურხასკარის მცხოვრებნიც მარცხდებიან, მათ შიშის ზარი იპყრობს, როცა სოფლის თავზე თვითმფრინავი გამოჩნდება, როცა პირველად დინამიტის აფეთქების ხმას გაიგონებენ. გავიხსენოთ ეს სცენა და დაუუკვირდეთ ხევსურთა განცდას, იმ ულონობას და უძლურებას. რომელსაც ისინი იგრძნობენ ცი-

ვილიზაციის ამ სიმბოლური გამომხატველის — თვითმფრინავის წინაშე.

მათი თოფი და ხმალი, აბჯარი და ფარი არარაობად იქცა, ამის შეგრძნებამ ხევსურები დააღონა, დააეჭვა თავიანთ თავში, ახლის სიძლიერე ცხადად დაანახვა.

რისთვის შემოიტანა ეს ეპიზოდი ავტორმა ნაწარმოებში? ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს ამის მიხვედრა. ჭურხასკარელი ხევსურები თავიანთ სოფელთან მისასვლელ ყოველ გზას სჭრიან, — ელიზბარის მეგზური თვალახვეული გააბრუნეს, რათა სხვისთვის არ ეჩვენებინა მათი სამყოფელი, ელიზბარის საძებნელად მოსული მილიციელები დახოცეს, რომ მათ არ გაეგებინებინათ სხვებისთვის ამ სოფლის ადგილმდებარეობა, მაგრამ ცხოვრება თავისას შერება, ამ კარჩაკეტილობის დღეები, ამ მოწყვეტისა და განდგომის დღეები დათვლილია და ისტორიას ჰბარდება.

მაშ, ასე: ერთის მხრივ, ელიზბარის მიერ საბოლოოდ მიტოვება ჭურხასკარისა, ცივილიზაციის გამარჯვება ამ პრიმიტიულ ცხოვრებაზე, მეორეს მხრივ, თვით ჭურხასკარის მკვიდრთა ასეთი ჩვენება, რწმენის რღვევა და საკუთარი უძღურების შეგრძნება, — თვითმფრინავის გამოჩენამ რომ გამოიწვია, — ყოველივე ეს მხოლოდ ერთ მიზანში ხედება: თანამედროვე ცხოვრება, პროგრესი, ცივილიზაცია იმარჯვებს ძველზე, ჩამორჩენილობაზე, მიმავალზე და ამ პროცესს ვერავითარი ხელოვნური ბარიერი ვერ შეაჩერებს.

ასე გვესმის ჩვენ მიხეილ ჭავახიშვილის „თეთრი საყელოს“ მთავარი იდეა.

ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება არ ვახსენოთ ორი ისეთი წერილი, რომელიც გვეხმარება დასმული კითხვის სწორად გაგებაში.

1958 წელს გამომცემლობა „ცოდნამ“ გამოსცა მხცოვანი კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავას კრიტიკული წერილების კრებულის ტომი, რომელშიც შესულია ადრე (1928 წ.) ცალკე წიგნად გამოცემული გამოკვლევა მიხეილ ჭავახიშვილის შემოქმედების შესახებ. ამ საკმაოდ ვრცელ წერილში კრიტიკოსი მ. ჭავახიშვილის სხვა ნაწარმოებების გვერდით განიხილავს „თეთრ საყელოსაც“ და საყურადღებო, თავისებურ აზრსაც ავითარებს.

იპ. ვართაგავა განსახილველ მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირებს ქალაქურსა და ჩამორჩენილ სოფლურ ცხოვრებას, შენიშნავს ორივე ამ ყოფისათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს, ხედავს, როგორც ერთის, ისე მეორის ნაკლოვანება-ღირსებებს, უდარებს მათ ერთმანეთს, სასწორზე წონის მათ და იკეთებს შესაფე-

რის დასკვნებს. ეს დასკვნები ასეთია: „მოთხრობა „თეთრი საყულო-ში“ უხვად გაბნეულ კრიტიკულ აღწერა-დასურათებაში ნათლად მოჩანს, საითკენ არის გადახრილი ავტორის სიმპათია. მას ხიბლავს ურყევი და მედგარი სული, რკინასავით ნაგები სხეული ძველი ქართველისა, რომელიც შეურყვნელად. პირველყოფილის სიშიშვლით დღემდის შენახულია მთაში...

მაგრამ ამავე დროს მწერალი ნათლად ხედავს მთიელთა საშინელ უკულტურობას და კულტურისადმი პირდაპირ ორგანულ სიძულვილს, მათი გონების სიღარიბეს, უმეცრობას და უმეცრობაზე აგებულ სიმკაცრეს და მხეცური ინსტინქტების თავაშვებულ თარეშს; ხედავს ისეთ კარჩაკეტილობას ყოველივე ახლისადმი, ცხოვრების ყოველივე ახალი ფორმისადმი, კერძოდ ქალაქისადმი ისეთ სიძულვილს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ისტორიულ ხალხს“¹.

მოთხრობაში, იბ. ვართაგავას აზრით, სოფლის ამ ჩამორჩენილობას და გაქვავებულ პრიმიტიულ ფორმებს უპირისპირდება ქალაქის აბობოქრებული, ძლევამოსილი, ინტენსიური, მრავალფეროვანი კულტურა — ცივილიზაციის მიღწევებით მოქარგულ-მოკაზმული კოცხალი ცხოვრება.

მაგრამ ქალაქი თავისი ცივილიზაციითა და ცხოვრების დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და თვისებებით ხელაღებით არის თუ არა მისაღები მ. ჭავჭავიშვილისათვის? არა, არ არის. როგორც სოფელში, ავტორს მხოლოდ ურყევი სულისა და უტეხი ნებისყოფის. სხეულით ძლიერი ადამიანები იზიდავს, ხოლო მათ უკულტურობასა და კარჩაკეტილობას გმობს, ისე ქალაქშიც მ. ჭავჭავიშვილი ხედავს ისეთს, რაც მისაღები და კარგია, პროგრესული და სასარგებლოა. და ისეთსაც, რაც მიუღებელი და უარსაყოფია. იბ. ვართაგავა წერს: „ამ კულტურის სფეროშიაც აშკარად ხედავს დიდ ნაკლს, რომელიც უმთავრესად პიროვნების გაბზარვა-გაორებაში, ენერჯის მოღუნებაში, ტვინის, ხორცის დაუძლურებაში, ფუქსაეატ, ბევრ შემთხვევაში თვალთმაქცურ მოღვაწეობაში გამოიხატება“².

ამ მსჯელობის შემდეგ კრიტიკოსი ხედავს, რომ მწერალი გორბეული კი არ არის და კი არ მერყეობს სოფელსა და ქალაქს, ცივილიზაციასა და უკულტურობას შორის, არამედ მას გარკვეული მრწამსი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს სინთეზი, შერწყმა ორივე ამ მხარის დადებითი საწყისებისა, რათა მივიღოთ კულ

¹ იბ. ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, „კრიტიკული წერილები“, ტ. I, 1958 წ., გვ. 286—287.

² იქვე.

ტურული ადამიანები, ცივილიზებული პიროვნებები, გამოკვებილი ქალაქის ცივილიზაციის ყველა სიკეთით, მაგრამ ისეთი, რომელთაც ამასთანავე ერთად ექნებათ ძლიერი სხეული და ურყევი, გაურყვნიელი და შეუბღალავი, მონოლითური სული და უტეხი ნებისყოფა. როგორც ჭურხასკარელებს. აი, ესაა მიხეილ ჭავჭავაძისა და „თეთრი საყელოს“ იდეალი.

ი. ვართაგავა იქვე წერს: „მაგრამ მწერალი უპირატესობას მაინც ქალაქს. ე. ი. კულტურას, ცივილიზაციას აკუთვნებს, მხოლოდ ერთი აუცილებელი დამატება-მოთხოვნით: კულტურულ ცხოვრებაში უნდა აღდგენილი იქნეს პრიმატი ჭანსაღი სხეულისა და გაუბზარავი სულისა“ (იქვე).

ამ ბოლო ამონაწერიდან ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო ისაა. რომ ი. ვართაგავა გადაჭრით ხედავს შემდეგს: „მწერალი უპირატესობას მაინც ქალაქს, ე. ი. კულტურას, ცივილიზაციას აკუთვნებს“. მართალია, ეს მხოლოდ განცხადების სახით არის გამოთქმული, მას არ მოსდევს დასაბუთება, მაგრამ მაინც აზრი მკაფიოა.

დაბოლოს, თვით მიხ. ჭავჭავაძის უნდა მივმართოთ, რადგან მას თავის დროზე მოუხდა აზრის გამოთქმა დასმულ კითხვაზე.

1926 წ. ვალია ბახტაძეს („მნათობის“ ფაქტიური რედაქტორი იყო) მიხ. ჭავჭავაძისათვის მიუწერია კერძო წერილი, რომელშიც ნაუცბათევედ (თვით ვ. ბახტაძე ასე ამბობს) გამოთქმულია შენიშვნები „თეთრი საყელოს“ ირგვლივ. წერილის ავტორი მწერალს წერს: „მოთხრობის დედააზრის თანახმა, ცხადია, არა ვარ. საერთოდ იდეის განვითარების მხრივ ნაწარმოები ჩემთვის, როგორც რევოლუციონერისათვის მისაღები არ არისო“. შემდეგ განაგრძობს: „არც საინტერესო საკითხებია დასმული ნაწარმოებში — აზა ვის აინტერესებს ახლა — ტილები თუ რადიო?“

წერილში საერთოდ ასეთი აზრია განვითარებული.

ამ წერილზე მ. ჭავჭავაძის წერილითვე უპასუხნია მაშინვე. მწერალი წერს: „მეტისმეტად ნუ გავამარტივებთ პრობლემას. ჰე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივისა და კულტურისა, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობისა და დღევანდელი კარლიობისა, განდევნილობისა და ქალაქისა და სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა“.

შემდეგ მ. ჭავჭავაძის პასუხს იძლევა ვ. ბახტაძის წერილში გამოთქმულ სხვა მოსაზრებებზეც, მაგალითად, რომ დღეს ეს საკითხი აღარ დგას, მწერალი უპასუხებს: „ნუ იტყვი, ასეთი პრობლემა არ არსებობსო. ვინ დასთვლის, რამდენი ქალაქელი გაქცევია ქალაქურ კულტურას... ჩვენი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი რამდენ-

ნიმე წლის წინათ „გაწიკლაურებას“ ოცნებობდა და ჩემი გაბრი-
ყვებაც კი მოინდომეს. რა თქმა უნდა, ყველანი დამარცხდნენ „ვა-
ჟიკასავით“, ე. ი. ისევ ქალაქს დაუბრუნდნენ“.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ წერილის ბოლო აბ-
ზაცი, რომელშიც მწერალი თვითონ იძლევა იმის გასაღებს, თუ
როგორ უნდა გვესმოდეს ამ ნაწარმოების მთავარი იდეა.

აი რას წერს მიხ. ჭავჭავაძე: „თემატიკურად“ „თეთრ საყე-
ლოში“ ახალი არაფერია. ეს თემა — ქალაქიდან გაქცევა და პრიმი-
ტივისა და კულტურის დაპირისპირება — რუსოს, ჰამსუნს, კელერ-
მანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე ი მ ი თ გ ა ნ ე ს ხ ვ ა ვ-
დ ე ბ ი მ ა თ გ ა ნ , რ ო მ გ მ ი რ ი ი ს ე ვ ქ ა ლ ა ქ შ ი დ ა ვ ა ბ რ უ-
ნ ე , ე . ი . კ ა რ ჩ ა კ ე ტ ი ლ ო ბ ა დ ა ვ გ მ ე დ ა გ ა მ ა რ ჭ ვ ე ბ ა
კ უ ლ ტ უ რ ა ს მ ი ვ ა კ უ თ ე ნ ე“¹ (ხაზი ჩემია — ტ. კ.).

ფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს გაპქვირვალე აზრი
იოტისოდენა საფუძველსაც აღარ ტოვებს სხვა დასკვნის გამოსატა-
ნად. მწერალს ყველაზე კარგად ესმის თავისი ჩანაფიქრი და იდეა,
აშბობს ამ იდეის შესახებ ზემოაღნიშნულ კერძო წერილში და ნა-
თელს ჰყენს დასმულ საკითხს.

დასასრულ, ჩვენ ისევ გავიმეორებთ ზემოთ თქმულს, რომ
„თეთრ საყელოში“ მიხეილ ჭავჭავაძე ი აყენებს ცივილიზაციისა
და პრიმიტივის დაპირისპირების საკითხს, მაგრამ მას ცივილიზაციის
სასარგებლოდ წყვეტს. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ეს არის მწერ-
ლის მრწამსი, რომელსაც ის არა მარტო „თეთრ საყელოში“, არა-
მედ საერთოდ ყველა ნაწარმოებში ქადაგებს, სადაც კი ეს საკითხი
დაუყენებია.

¹ იხ. „მნათობი“ № 11—12, 1934 წ., ვ. ბახტაძისა და მ. ჭავჭავაძის მი-
მოწერა.

ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“

მსოფლიო ლიტერატურას თვალი რომ გადავაგლოთ, ერთ თავისებურებას შევამჩნევთ: ყოველ დიდ მწერალს, რამდენი კარგი ნაწარმოების ავტორიც არ უნდა იყოს ის, დაწერილი აქვს ერთი ისეთი თხზულება, რომელიც ამ მწერლის სახეს ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს და მისი შემოქმედებითი ნიჭის ყველაზე სრულყოფილი გამოსახვაა. ლ. ტოლსტოის გენია „ომსა და შვეიდობაში“ ვლინდება. გოეთესი — „ფაუსტში“, შექსპირის — „ჰამლეტში“, ბარათაშვილისა — „მერანში“ და ა. შ. ჩვენი ფიქრით, მიხილვით ჩავახიშვილისათვის ასეთი ნაწარმოები „არსენა მარაბდელია“.

ეს რომანი მონუმენტური ნაწარმოებია. ამას განაპირობებს არა მარტო და არა იმდენად მისი მოცულობა, არამედ მასში დასმული და მხატვრულად გადაჭრილი საკითხების მნიშვნელობა პერსონაჟთა სიმრავლე, მათი მოქმედების არის სიფართოვე, მოვლენათა ზრახვების, ფიქრების, იდეების სიდიადე ხასიათთა გამოკვეთილობა, მხატვრული ოსტატობა და სრულყოფა.

მ. ჯივახიშვილი თავის ისტორიულ რომანში გვიხატავს მე-19 საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც მრავალი მნიშვნელოვანი მრვლენით გამოირჩევა. ამ ეპოქას ახასიათებს ერის მომავლის განმსაზღვრელი პოლიტიკური და სოციალური საკითხების ერთობლიობა, რაც შადლიან მასალას იძლევა ისტორიული რომანისათვის.

საქართველოსათვის, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების მქონე მისი ხალხისათვის მეცხრამეტე საუკუნე ძალზე თავისებურ ვითარებაში დაიწყო. ეს იყო ახალი ისტორიული ეპოქა, რომელსაც მოყვა უჩვეულო ამბები. საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც თითოეული ადამიანის მიერ თავისებურად იქნა აღქმული და შეფასებული. დამოუკიდებლობის დაკარგვამ ქართველ ხალხში დიდი გულისტკივილი და უკმაყოფილება გამოიწვია. ცარიზმის მოხელენი ქართველი მშრომელებისაგან სულ უფრო მეტ ბეგარას და გადასახადს მოითხოვდნენ, რადგან ამას საჭიროებდა ომი, რომელსაც რუსე-

თი აწარმოებდა დალესტანთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა შეგუბებული ბოღმა, რომელიც გლეხობას ისედაც არ აკლდა. 1804, 1812 წლების და სხვა აჯანყებები შედეგი იყო ხალხის მოთმინების ფიალის ავსებისა.

ეროვნულ ჩაგვრას, რაც ცარიზმის ბატონობის დამყარებას მოყვა საქართველოში, ზედ ემატებოდა ორმაგი სოციალური ჩაგვრა ბატონყმობისა და ცარიზმის მოხელეთა უძღვები მადის დაჯანყყოფილებლად.

რომანის ერთ-ერთ თავს მწერალმა წაუძღვარა ამონაწერი 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილეთა საჩივრიდან. ეს დოკუმენტი მკაცრად ამხელს იმ ჩაგვრას და ყველაფერს, რასაც ხალხი იმ დროს განიცდიდა. კახელები თავიანთ საჩივარში აღშფოთებით წერდნენ: „რაც რამ გვებადა, ეგზეკუციებით და ხიშტებით მიგქონდათ, შიმშილით გვხოცავდით და ნუგეშად გვეუბნებოდით, ბალახი სძოვეთო. არა, ქორთა ბავშვმა ბალახი როგორ უნდა სძოვოს, სად გაგონილა!“ მშვენიერად უთქვამთ კახელებს. მაგრამ ამ სიტყვების უკან რამდენი საშინელება, ყვლეფა, დამცირება და უბედურება იმალება!

მე-19 საუკუნის ოციანი წლების ბოლოს საქართველოში კიდევ უფრო განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა: რუსული მმართველობის წესის უკმაყოფილონი გახდნენ გლეხებიცა და მემამულეებიც თუმც ამ ორი საწინააღმდეგო კლასის უკმაყოფილება და მისი მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ორივე კლასი მოიცვა მღელვარებამ.

გლეხთა უკმაყოფილების ზრდა სოციალური ჩაგვრის, ბეგარა-გადასახადების აუტანლობის პარალელურად იმანაც გამოიწვია, რომ ახალმა მმართველობამ განიზრახა სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღება. ეს კი ქართველებისათვის უჩვეულო და მიუღებელი იყო. 1829 წელს ამის გამო (უფრო სწორად, ამ საბაბით) მოხდა გლეხთა ცნობილი გამოსვლა, რომელიც თავადაზნაურობის წინამძღოლის მუხრან-ბატონის დახმარებით „დააწყნარეს“.

თავადაზნაურობის უკმაყოფილებას იწვევდა დაკარგული პოლიტიკური უფლებების კიდევ უფრო გაუარესება, რაც გამოწვეული იყო რუსული კანონმდებლობის გატარებით. ქართველი მეფეების სამართლის კოდექსები მებატონეებს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდათ. ახლა კი ეს უფლებები ნაწილობრივ მაინც იკვეცებოდა. გახშირდა ბატონის კლანჭებიდან გლეხთა „განთავისუფლება“, რადგან ბევრ თავადს ყმაზე ბატონობის, მასზე საკუთრების უფლების სათანადო საბუთი არ გააჩნდა. ამას რუსული სასამართლო დიდ მნი-

შენელობას ანიჭებდა, რის გამოც საბატონო გლეხთა დიდი ნაწილი საბაზინო გლეხებად იქცეოდნენ. ამას გარდა, ბატონი კარგავდა ზოგიერთი გადასახადისა და ღალის აღების უფლებას, ან ეზღუდებოდათ ეს უფლებები¹.

უფლებების შეზღუდვით უკმაყოფილო თავადაზნაურობამ 1832 წელს აკი სცადა შეთქმულების მოწყობა, რომელიც მარცხით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ეს შეთქმულება თავადაზნაურული ხასიათისა იყო, ამიტომ იგი რეაქციულ მიზნებს ისახავდა. ეს საკითხი მართებულად არის გაშუქებული თანამედროვე ისტორიკოსთა წიგნებში, ამიტომ მასზე მსჯელობა ჩვენთვის ზედმეტად მიგვაჩნია.

„არსენა მარაბდელში“ მხატვრული და ამავ დროს მართალი ასახვა ჰპოვა ყველა მნიშვნელოვანმა მოვლენამ. რომელიც გასული საუკუნის პირველი მესამედის საქართველოსათვის არის დამახასიათებელი. რომანში მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები გლეხთა მოძრაობაც, თავადაზნაურული შეთქმულებაც, ახალციხის ომიც, სპარსეთთან რუსეთის ომის გამოძახილიც, ეროვნული ჩაგვრაც, სოციალური უკუღმართობაცა და ამის საფუძველზე გამწვავებული კლასობრივი დაპირისპირებაც.

მწერალს აღნიშნული ეპოქა დიდი კეთილსინდისიერებითა და სიზუსტით შეუსწავლია. იგი იცნობს არა მარტო დიდ მოვლენებსა და ამბებს, ცნობილ პიროვნებებსა და მათ საქმეებს, არამედ წვრილმანებსაც, ისტორიისათვის ერთი შეხედვით ნაკლებმნიშვნელოვან ფაქტებსაც, რაც მწერალს ცოცხალი ტიპებისა და მათი მოქმედების გარემოს გაცოცხლებისათვის დიდ სამსახურს უწევს.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმისი გახსენება, თუ თვითონ ავტორი რას წერდა ისტორიული ფაქტებისა და გარემოს შესწავლაზე. ამ რომანის წერა მ. ჭავჭავიძემ 1925 წელს დაიწყო. 1926 წელს „მნათობში“ რომანის ერთი თავი გამოაქვეყნა კიდეც. მაგრამ მუშაობა მალე შეწყვიტა, რადგან მასალა არ იყო. ამ დროისთვის ჩვენში ჯერ კიდევ შეუსწავლელი და დიუმუშავებელი იყო მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორია. ამიტომ პირველწყაროებზე მწერალს თვითონ მოუხდა მუშაობა. ამან დიდი დრო მოითხოვა. ასე რომ არ ყოფილიყო, უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალს ამ რომანის დაწერაზე შვიდიოდე წელი არ დასჭირდებოდა და ამ დროის განმავლობაში იგი მრავალ სხვა ნაწარმოებს შექმნიდა. ამას მწერლის ნაყოფიერება უდგას თავდებად.

¹ აბელ კიკვიძე, „საქართველოს ისტორია“ (XIX საუკუნე), თ. ს. უ. გამომცემლობა, 1954 წ.

მწერალი წერს: „...მე-19 საუკუნის ისტორია სულაც არ დაწერილა. ამიტომ იძულებული ვაგხდი, მე თვითონვე შემესრულებინა ჩემთვის ეს უქადური შრომა. ვსწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმობას, ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ გმირთა ბიოგრაფიას, გენეალოგიას, იმ ეპოქის საერთო სტილს და ამგვარ წვრილმანსა და მსხვილმანსაც...“

...ამისათვის საჭირო იყო მრავალი დაბეჭდილი მასალის წაკითხვის გარდა მუზეუმებისა და ხელნაწერების გაჩხრეკა, ზოგიერთ სოფელში მისვლა, კორსეპონდენტების შოვნა და ზეპირგადმოცემათა მოგროვება...“¹

დღევანდელი მწერალი, რომელსაც ისტორიული თემა იზიდავს და მასზე ნაწარმოების დაწერა სწადია, ბედნიერია იმით, რომ ამდენი ჩხრეკისათვის დროის დახარჯვა აღარ სჭირია, რადგან ჩვენი ერის ისტორია, თვით მე-20 საუკუნის ჩათვლით, შესწავლილია კვალიფიციურად.

აღებული ეპოქის ღრმა შესწავლამ მ. ჯავახიშვილს შეაძლებინა სწორად ეჩვენებინა ყველა ძირითადი მოვლენა თუ ფაქტი, რაზეც რომანში არის თხრობა. შეიძლება ზოგ მაგალითზე მივუთითოთ.

მწერალს სწორად აქვს გაგებული მტრობა და ბრძოლა ბატონებსა და ყმებს შორის. კლასთა ბრძოლის სწორი გაგება მ. ჯავახიშვილს დიდ დახმარებას უწევს ეპოქის ამ ერთ-ერთი მთავარი საკითხის სწორ ასახვაში. რომანის იმ თავში, რომელსაც „სისხლიანი ნადიმი“ ეწოდება, ძალზე სრულად, დამაჯერებლად და ამავე დროს შემაძრწუნებლად არის ნაჩვენები ის მხეცობა, ძალადობა და საშინელება, რომელსაც ზაალ ბარათაშვილი და მისი ინტერესების დაცვისათვის ჩამოყენებული ეგზეკუცია ჩაიდენს მაიორ არლოვის მეტაურობით. აღნიშნულ თავში და რომანის სხვა თავებშიც ჩვენ ვრწმუნდებით, რომ გლეხობა და ბატონები ერთმანეთის მტრები არიან, მათ შორის მორიგება არ იქნება, იარაღმა უნდა გადაჰკრას ეს დავა... არსენას და მისი თანასოფლელების, თანამომქმეთა ტყეში გავარდნა, იარაღის ხელში აღება, რათა იბრძოლონ ადამიანური ცხოვრების უფლების მოპოვებისათვის, შემდგომი ბრძოლები ამავე მიზნით, იმას გვეუბნება, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც შეიძლებოდა იმდროინდელი მებრძოლი გლეხი დასდგომოდა.

¹ მ. ჯავახიშვილი, როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, დროშა, 1933 წ., № 9.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში მწერალს ზოგი კრიტიკოსი უსაყვედურებდა, თითქოს რომანში ნაჩვენები არ იყოს კლასთა ბრძოლა. ეს საყვედური უსაფუძვლოა. ამის თაობაზე მწერალი ერთ-ერთ დისკუსიაზე ამბობდა: 10—15 წლის წინათ რომ დამეწერა, ეს რომანი სხვანაირი გამოვიდოდაო. ახლა კი მე თანამედროვე, საბჭოთა მწერალი ვარ და ზოგი რამ ისე დავხატე, რომ საღებავები ზოგჯერ ოდნავ კიდევ გავამუქეო. შემდეგ ასახელებდა ბატონებსა და ყმებს შორის გამწვავებულ ბრძოლას. მწერლის ეს განმარტება ჩვენ საესეებით სამართლიანად მიგვაჩნია. მ. ჭავჭავაძის ისტორია გაგებული აქვს საბჭოურად, ე. ი. კლასთა შორის მუდმივ შეურიგებელ ბრძოლად. ეს გაგება შემოქმედებითად არის გამოყენებული განსახილველ რომანში.

სხვაგვარად ვერ შევაფასებთ რომანის იმ ადგილებს, სადაც შეიარღობული ყმები ბატონთა მხეცობის საპასუხოდ სწვავენ მებატონეთა სახლ-კარს (ბარათაშვილებისას), ხოცავენ მათ (სუმბათაშვილებს), უღელშიაც აბამენ, რათა მოაშლევინონ ყმის უღელში შებმის ველური ჩვევა... ვფიქრობთ, კლასთა შორის ბრძოლა აქ საესებით გაშიშვლებულია.

ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები რომანში აგრეთვე 1829 წლის გლეხთა მღელვარება, რაზეც ზემოთ შევნიშნეთ. ამ მღელვარების მიზეზიც (სამხედრო ბეგარა) და მღელვარების „დაწყნარებაც“ მუხრან-ბატონის მეთაურობით რომანში სწორად, ეპოქის სულისკვეთების შესატყვისად და ფაქტობრივი სიზუსტით არის გაშუქებული.

მ. ჭავჭავაძის ისტორიული სიმართლით აქვს გაგებული 1832 წლის შეთქმულების მიზანი და ხასიათი. მწერალი გვარწმუნებს, რომ ეს შეთქმულება ემსახურებოდა მხოლოდ თავადაზნაურთა ინტერესებს, მას საერთო არაფერი ჰქონდა გლეხთა მისწრაფებების დაკმაყოფილებასთან. ეს დიდი ისტორიული ფაქტი ავტორს მკაფიოდ, ცოცხალი სურათებით აქვს დახატული. გავიხსენოთ ორთაქალის ბაღში შალვა ბარათაშვილის შეხვედრა არსენასთან, რომელიც გლეხთა მოძრაობის ბელადად არის გამოყვანილი, და ის საუბარი, რომელიც ამ ორ პერსონაჟს შორის გაიპართა. შალვა არსენას წინადადებას სთავაზობს, რუსთა განდევნაში გლეხობა მოგვახმარეო.. უკვირანი არსენა ამ წინადადებაზე შეკითხვით უპასუხებს: მერე, რუსებს რომ გასდევნით, მერე რა იქნებაო, ე. ი. გლეხების მდგომარეობა რით და როგორ შეიცვლებაო. შალვა მიუგებს: როგორც ძველად იყო, ისევე ისე იქნებაო... ამაზე არსენა შალვას არ ეთანხმება, იგი უარით ისტუმრებს შეთქმულთა ამ მოციქულს და ეს ჩვენთვის

სავსებით გასაგებიც არის. მწერალმა ამით ხაზი იმ გარემოებას გაუსვა, რომ შეთქმულება თავადაზნაურული ინტერესების გამომხატველი იყო, მშრომელთა ინტერესებს ის არ ითვალისწინებდა. ამიტომ გლეხობა მას არ გაჰყევებოდა.

ეს არის სწორი და მართალი პასუხი დასმულ მნიშვნელოვან კითხვაზე.

აღნიშნული შეთქმულება მ. ჭავჭავაძის მიერ სწორად გვიჩვენა დეტალების თვალსაზრისითაც. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ შეთქმულთა სია, ის პირები, რომლებიც შეთქმულებაში მონაწილეობდნენ. აქ მწერალი იჩენს სიზუსტეს და გვიხატავს მონაწილეთა ნიშანდობლივ თვისებებს, პორტრეტებს. ბერი ფილადელფოს კიკნაძე თავისი „აქტი გონიურით“, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი და სხვანი მრავალნი მწერალს დახატული ყავს თვითელი მათგანისათვის დამახასიათებელი განწყობილების, აზრის, მდგომარეობის. ხასიათის კვალობაზე და შესატყვისად. ამ მხრივაც ეს რომანი საგანგებო შეფასების ღირსია.

არანაკლებ საინტერესოა მწერლის ინტერპრეტაცია შეთქმულების გაცემისა და ჩახშობის თაობაზე. მწერალი წერს¹, მე მუდამ მიაოცებდა ია ფალავანდიშვილის ღალატით, რისთვის, რის გულისათვის უნდა ეღალატაო მას. ამ დაქვეებით არის გამოწვეული, რომ მ. ჭავჭავაძის თვალში სცემია ალ. ორბელიანის რვეულებში ჩაწერილი ასეთი სიტყვები: „ნიკო ფალავანდოვმა დაგვლუპაო“. ამ სიტყვებისათვის მწერალს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია და რომანში შეთქმულების გაცემის ფაქტი აქი იას ძმასთან, ნიკოსთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, მწერალმა ეს ვარაუდი დაუდო საფუძვლად თავის ინტერპრეტაციას. შემდეგ მწერალს „მნათობში“ ჭყონიას მოგონებათა დასაწყისი წაუკითხავს, იქაც ყოფილა ნათქვამი, „მამაჩემმა გვიამბო, გროდნოში გადმოსახლებულ გიორგი ერისთავს (ღრამატურგს) შევხვდი და მან მითხრა, რომ შეთქმულნი ნიკო ფალავანდიშვილმა გასცაო“. ამ ცნობის საფუძველზეც მართლდება მწერლის ვარაუდი, რომ ია ფალავანდიშვილი თავის ძმას ნიკოს უნდა გაებრიყვებინა, რადგან სწორედ ეს ნიკო ფალავანდიშვილი ცარიზმის ერთგული მსახური იყო და მაშინ მონაწილეობდა პოსტიც ეკავა — თბილისის გუბერნატორი ბრძანდებოდა.

ისტორიული სიმართლით, ბატალური სცენების სწორუბოვარი დახატვით, მოვლენის ძირითადი ნიშანთვისებების სწორი ჩვენებით

¹ იხ. დასახელებული წერილი „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი““.

გამორჩევა აგრეთვე ახალციხის ომის ამსახველი ადგილები რომანში. მარტო გრ. ორბელიანის მიერ ნამგალა ნახევარმთვარის ჩამოგდების ეპიზოდი რად ღირს! რა ამაღლებებელი ძმათა შორის სისხლისღვრა — ქართველთა რაზმებისა და აქარელ-ლაზთა რაზმების შეტაკებები. ქალთა რაზმის თავგანწირული ბრძოლა და ა. შ. რამდენი ფიქრი აეშლება მკითხველს ყველა ამ ეპიზოდის წაკითხვისას!

რომანში არა მარტო კონკრეტული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ჩვენება მართებული, არამედ, საერთოდ, ეპოქის ძირითადი მაჯისცემაც. შეიძლება ითქვას. რომ მწერალს მკითხველი შეეყავს იმ ეპოქაში და მეგზურივით დაატარებს. ეს კი მიღწეულია ფაქტების, მოვლენების, გარემოს, ადამიანების, ადათწესების. მმართველობის, ეთნოგრაფიის, მეტყველების და სხვა მრავალი ატრიბუტის ერთობლიობაში. იმ დროისათვის დამახასიათებელი ჩვენებით. ეს იმდენად დამაჯერებლადაა შესრულებული, რომ მკითხველი არასოდეს ეჭვდება, რომ სხვაგვარადაც შეიძლებოდა.

მწერალი უჩვეულო სიცხადით გვიხატავს იმ გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც რომანის გმირები მოქმედებენ. ამაში მას ხელს უწყობს ორი გარემოება: ჯერ ერთი, ბავშვობა მან სწორედ ამ მიდამოებში — საბარათიანოში — გაატარა და ყოველ ბილიც იცნობდა; მეორეც, რომანზე მუშაობისას კიდევ ერთხელ საგანგებოდ დაიარა ეს ადგილები და დაწვრილებით შეისწავლა ყოველი სოფელი. გზა, მდინარე, ტყე თუ მთა და ბარი. ეს ხელს უწყობს გმირთა მოქმედების ადგილის ცოცხლად დახატვას.

„არსენა მარაბდელის“ ავტორი ამჟღავნებს და შემოქმედებითად ანაღდებს ვ. ი. ლენინის იმ დებულების ცოდნას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ერში არის ორი ერი: ერის მოწინავე, პროგრესული ნაწილი და ერის ჩამორჩენილი, რეაქციული ნაწილის ამ დებულების გამომხატველია ორი რუსეთისა და ორი საქართველოს ჩვენება ამ რომანში. ჩვენ აქ ვხედავთ არლოვის რუსეთს, ცარიზმის მძიმე ქუსლის მქონე რუსეთს და იქვე ვხედავთ კარპიჩას რუსეთს, რომელიც თვითონაც იბრძვის არლოვების წინააღმდეგ... აქვე ნაჩვენებია ორი საქართველო — ზაალ ბარათაშვილისა და არსენა ოძელაშვილის საქართველო. ისინიც ერთმანეთის წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულან... ასეთი შიდგომა, ასეთი თვალსაზრისი და პოზიცია მწერალს დიდად უწყობს ხელს მოვლენათა სწორ გაგებაში. ამიტომ აქაც მწერალი მაღალ შეფასებას იმსახურებს.

აღნიშნული დებულების გაგება და გაზიარება მწერალს საშუალებას აძლევს, რომ ნაწარმოებში გვიჩვენოს ინტერნაციონალიზმი. რომელიც სხვადასხვა ერის დაჩაგრულ შვილთა დამოზღვრებაში გამოიხატება. არსენას და სხვა ქართველ მებრძოლებს მხარში ამოსდგომიან და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულან რუსი კარპიჩა, უკრაინელი ოსტაპი, ოსი მეშთა, სომეხი ბალო, თათარი დალი ჰასანი და ა. შ. მათ გაერთიანებაში ეროვნული სხვადასხვაობა როდი უშლით ხელს. ისინი ერთ ბედში არიან, ერთ ტვირთს ეზიდებიან, ამიტომ ბრძოლაშიც ერთად უნდა იყვნენ... და ეს ასეც ხდება. განა კარპიჩა ტყუილად გაიძახის, თქვენ პუგაჩოვი გინდათო; განა რუსეთში იგივე რუსი ნასაღდათარი მწვერებში არ გაცვალეს? მამ რატომ არ უნდა ამოუდგეს ის მხარში ქართველ მებრძოლებს, რომლებიც ქართველ ბატონებს აუწიოკებიან? ბატონი რუსეთშიც ბატონია და საქართველოშიც. ხოლო ყმა იქაც და აქაც გაძალღებულ ცხოვრებას მიათრევს. საერთო ინტერესები აკავშირებს სხვადასხვა ერის შვილებს და ერთიან ძალად ჰკრავს მათ. ეს იდეა, რომელიც რომანიდან გამომდინარეობს, მწერლის დიდ წინდახედულობასა და სისწორეზე მეტყველებს.

ნაწარმოებში წინა პლანზე გვსდგება რევოლუციის წამოწევა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა იმაზე მიუთითებს, რომ ავტორს შესანიშნავად ესმის სოციალისტური რეალიზმის არსი, სახელდობრ, ის დებულება, რომ ისტორიული წარსულიდანაც კი საბჭოთა მწერალი ასახვის ობიექტად ისეთ თემებსა და მოვლენებს უნდა ისახავდეს და მათ ისეთი კუთხით უნდა აშუქებდეს, რაც ხელს შეუწყობს მასების სწორ აღზრდას. ასახული ისტორიული წარსული რაიმე ნიშნით თუ კუთხით ჩვენს თანამედროვეობას უნდა ეხმიანებოდეს. რომანში ეს პრინციპი შემოქმედებითად არის განხორციელებული, რადგან გვსდგება მოძრაობის დამფუძნებელი ყველაზე მეტად სწორედ ჩვენი ეპოქაა.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ საკითხს, თუ საიდან იღებდა მწერალი რომანის ასე მრავალ ტიპს. ავტორი თვითონვე გვეუბნება. რომ ტიპების უმრავლესობის დასახატად მას გამოუყენებია პროტოტიპები: არსენას პროტოტიპად თავისი ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე აუღია, ლეთისავარისა — თავისი პაპა ანდრო ბურნაძე, დალი ჰასანი ბავშვობაში უნახავს, მაგდაც ერთი მახლობლისათვის მიუმსგავსებია, ზაალი ბორჩალოელი თავადი ივანე შელიქიშვილი ყოფილა, მისი მზარეული სანდრო კი — სევასტი ლაცაბიძე. როსტომისათვის, სულხანისათვის და ზოგი სხვა ტიპისათვის კონკრეტული პროტოტიპები შეურჩევია და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს. რომ მ. ჭავჭავაძის

არ ღალატობს თავის პრინციპს. შემოქმედებითი მუშაობის სტილს და „არსენა მარაბდელშიც“ პროტოტიპს იყენებს ცოცხალი, ხორც-შესხმული ტიპის დასახატად.

არანაკლებ საინტერესოა რომანის ტიპაჟის მწერლისეული და ყოფა ისტორიულ და გამოგონილ პირებად. მწერალი ისტორიულ პიროვნებად ასახელებს: არსენას, მარინეს, მეშთას, სიმონას, როსტომს, სევასტის, ღამბაშიძეს, ზაალს, მის შვილს დავითს. ჯორჯია-შვილს, ორბელიანებს, ალ. ჭავჭავაძეს, საერთოდ შეთქმულთ, სუმბათაშვილს, კუჭატნელს (სეთისკვერაძეს), მოხელეებს და თავადაზნაურობას. გამოგონილ პერსონაჟებად მწერალი ჩამოთვლის: ღეთისა-ვარს, ერეკლეს, მაგდას, ზურას, კარპიჩას, ბარნაველს, ფიქრიას, სულხანს, გიგოლას და არლოვს. ავტორი იქვე დასძენს რომ „სავესებით ისტორიულია იმდროინდელი ომი, ახალციხის აღება, შეთქმულება, სოციალური არე, 1829 წელს მომხდარი გლეხთა აჯანყება, „არსენას ლექსში“ მოთხრობილი მისი თავგადასავალი და მრავალი წვრილმანიც...“¹

ამრიგად, მწერალი ძვირფას ცნობებს თვითონვე გვაწვდის და გვიადვილებს რომანის სწორ ანალიზს. ზემოთ ჩვენ გამოვთქვით რამდენიმე მოსაზრება, რომ ნაწარმოებში ბევრი ფაქტი და მოვლენა ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები. შედარებისათვის მოვიშველიეთ პროფ. ა. კიკვიძის წიგნიც. მწერლის წერილიდან მოღანილი ციტატი ნათელს ქვენს ამ საკითხს და ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, რომ რომანში ისტორიული სინამდვილე ზედმიწევნითი სიმართლით და ამავე დროს მხატვრული სიმართლითაც არის ასახული.

საკმაოდ საინტერესოა იმისი გარკვევა, თუ რატომ აირჩია მ. ჯავახიშვილმა არსენას თემა. ამაზე პასუხს აგრეთვე თვითონ ავტორი გვაძლევს. მის წინაშე ასეთი საკითხი დასმულა: ყაჩაღად ბევრი გავარდნილა, მაგრამ მათი სახელი მალე დავიწყებას მისცემია. მაშ რა მიზეზია, რომ არსენა ოძელაშვილის სახელი ასე დიდხანს ცოცხლობს? ნუთუ ამისი მიზეზი „არსენას ლექსია“? მწერალს ეს ნაკლებდამაჯერებლად მიაჩნია და იქვე დასძენს: „ცხადია, რომ არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის წყალობით მოიპოვა სახელი... მას სისხლით არ მოუპოვებია ვაჟკაცობა... ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება — აი რამ მომცა ოძელაშვილის ხასიათის გასაღები... მეორეს მხრივ, არსენას დროშაზე პრიმიტიული და უძლიერესი სოციალური სიმართლე ეწერა — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა!“ ამ ორ ბურჯზე წარმოიშ-

¹ როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“.

ვა და დამკვიდრდა ოძელაშვილის უკვდავება და აჰანვე გამოჰკვეთა მისი ტიპიცი“¹,

არსენაში მწერალს მოეწონა კეთილშობილება და სამართლიანობისათვის მისი ბრძოლა! ეს მ. ჭავჭავიძის სულისათვის ძალზე ახლობელი და ნათესაური განცდაა.

ამრიგად, არსენა ოძელაშვილის უკვდავებაზე ჯერ ხალხმა იბრუნა, როცა შექმნა მშვენიერი „არსენას ლექსი“, მერე დიდმა ილიამაც არ დაივიწყა ჩვენი არსენა, როცა „კაცო ყაჩაღში“ იგი სანატრელ და მისაბამი გმირად დაასახელა; საბოლოოდ უკვდავების ძეგლი ამ ქართველ ვაჟკაცს, მართლაც რაინდსა და კეთილშობილ ადამიანს, მ. ჭავჭავიძელმა დაუდგა. ეს კი ისეთი ძეგლია. რომელიც არასდროს დაიმსხვრევა...

მიხეილ ჭავჭავიძელმა „არსენა მარაბდელში“ დახატა ჩვენი მშობლიური ქართველი ხალხი, მისი ბრძოლა და შრომა, მისი ღვინი და ჭირი, მისი ქალები და ვაჟკაცები, მისი ბერი პაპები და ახლად უღვაშაბიბინებული ჭაბუკები. მისი გლეხობა და ინტელიგენცია. მწერალმა გამოამზეურა ავიც და კარგიც და თბრობა ისე წარმართა. რომ ავი შეგვაძულა, ხოლო კარგის მიმართ სიმპათიითა და სიყვარულით განგვაწყო. მწერალმა ამ რომანში გვიჩვენა ქართველი ხალხის „ეროვნული სული“.

„არსენა მარაბდელი“ უკვდავია. მისი ეს უკვდავება მხოლოდ შინაარსიდან, იდეიდან, სიუჟეტიდან, მასში ასახული მოვლენებიდან და ფაქტებიდან როდი მოდის. რომანის დღეგრძელობას განაპირობებს აგრეთვე ის მხატვრული ხერხები, ის ოსტატობა და ჯადოქრული პოეტურობა, რომელსაც მისი ავტორი ასე სრულყოფილად ავლენს თავის ამ დიდებულ ნაწარმოებში. ამიტომ ქვემოთ საუბარი გვექნება მხატვრული აზროვნების იმ ხერხებზე, სტილისა და ენობრივ თავისებურებებზე, რომლის საფუძველზედაც შექმნილია ეს რომანი.

ცნობილია, რომ ყოველგვარი საქმის დაწყება, მათ შორის რომანის დაწყებაც, სიძნელეებთან არის დაკავშირებული. იგივე უნდა ვთქვათ ნაწარმოების დასასრულის შესახებაც.

„არსენა მარაბდელის“ ავტორს ზედმიწევნით კარგად ესმის ეს გარემოება და რომანის საექსპოზიციო ნაწილის ყოველ სიტყვას თუ ფრაზას ზომავს და არჩევს. ექსპოზიციის მიხეილ ჭავჭავიძელი შემდეგ მიზნებს ისახავს:

1. გვაძლევს რომანის ძირითადი კვანძების გასაღებს. აქაა

¹ როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“.

გლუხკაცობის უღვთო ჩაგვრა ბატონებისაგან, აქაა მეფის მოხელეთა სისხლიანი სახის ჩვენება. აქვეა ეროვნული საკითხის მინიშნება — მეწინავე დროშის ამბავთან დაკავშირებით.

2. შემოპყავს პერსონაჟთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი მთავარი გმირი.

პერსონაჟთა შემოყვანა ხდება უეჭველად რაიმე დატვირთვით: ზაალი ბრაზობს, რომ ბიჭები წაუტყევეს; ორბელიანები და ბარათაანი კინკლაობენ; ხალხი დრტივინავს, რადგან ვერ შერიგებია ფალავნების გალახვას; არსენა მოვა და იჭიდავებს...

3. ექსპოზიციაში შემოყვანილ პერსონაჟთა ხასიათების კონტურები აქვე მოიხაზება. ნიმუშად არსენას შევხებით. არსენას ელიან გულისფანცქალით. მთელი იმედი მასზეა. კუპატნელს მხოლოდ ის თუ წააქცევს და მარაბდელებს სირცხვილისაგან იხსნის. ელის ზაალ ბარათაშვილიც. არსენა გამოჩნდა. წესით ყმას საპატრიო ადგილზე უნდა შეეყუენებინა ცხენი და ბატონს თავმოდრეკილი ხლებოდა ფეხით. არსენა ამ წესს არღვევს. იგი ცხენს ახლოს მიადგედებს. ზაალი მას შეუბღვერს და მოვალეობას შეახსენებს. არსენა თავაწეული, მხრებგაშლილი მიეახლა. ბატონი გაწყრა. თუმცა არსენა ახლა ძალიან სჭირდება. რა ჩანს ამ სცენიდან? არსენას ხასიათი. იგი ამაყი, ქედმოუხრელი უნდა იყოს — ამას გაიფიქრებს მკითხველი იმთავითვე. აქვე ჩანს ზაალის ხასიათის ერთი შტრიხიც — იგი გოროზი, პატივმოყვარე და მრისხანია.

ამავე ექსპოზიციაში გაიელვებს არსენას ხასიათის კიდევ რამდენიმე შტრიხი: კეთილია (არ უნდა კუპატნელს შეეძას, გულში ჩაიხვევსო), უყვარს ბავშვები (მაგ. ტატო ბარათაშვილი, ფიზიკურად ძლიერია და ა. შ).

4. ექსპოზიციაში მიხეილ ჯავახიშვილი ჩათესავს სიუჟეტისათვის საჭირო მარცვლებს, რომლებიც შემდეგ გაღვივდება და აღმოცენდება. ასე, მაგალითად, დაძაბული ურთიერთობის გაჩენა არსენასა და მათორ არლოვს შორის, არსენასა და ზაალ ბარათაშვილს შორის და ა. შ. მკითხველმა იცის, ეს რა კოლიზიებს ქმნის სიუჟეტის განვითარებაში.

ასე დატვირთულია, საესეა „არსენა მარაბდელის“ საექსპოზიცია ნაწილი. იგი ძალიან უწყობს ხელს რომანში განვითარებული ამბების გაგებას, ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მათ შორის.

მიხეილ ჯავახიშვილი თხრობის ოსტატია. მისი წაკითხვა ყოველთვის მიმზიდველია. მკითხველი შეუწინაღებელი ინტერესით ადევნებს თვალს სტრიქონებს.

ეს შედეგი მიღწეულია მწერლის მიერ ლიტერატურულ თავისებურებათა ვირტუოზული გამოყენებით. აი. ეს თავისებურებანი:

1. მწერლის თხრობა,
2. პერსონაჟის მოქმედება.
3. პერსონაჟის თვალთ დანახულის გადმოცემა.
4. პერსონაჟის ფიქრთა გადმოცემა.
5. დიალოგები პერსონაჟთა შორის.

ეს თავისებურებანი ერთმანეთს სცვლიან, რასაკვირველია, არა ყოველთვის ერთნაირი თანმიმდევრობით, ანდა კანონზომიერებით. მაგრამ ცვალებადობა კი უქვევლად ხდება.

მაგალითად, ავიღოთ ასეთი ვარიანტი: მწერალი თვითონ გვიყვება რალაცაზე. მკითხველს რომ ეს არ მობეზრდეს და ინტერესი არ შენეღდეს, მწერალი ამოქმედებს გმირს და ამით აღწევს დინამიურობას.

ჩვენი აზრით, ამ მონაცვლეობის მიზანია:

1. თხრობის სიმძიმის შენელება,
2. ფაქტის ხელშესახები ჩვენება,
3. ემოციების აღძვრა,
4. მკითხველში ინტერესის შეუნელებლობა,
5. სათქმელის სრულად დაყვანა მკითხველამდე,
6. სრულყოფილი სურათების დახატვა.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ჭიდაობის სცენა. ზაალი, განრისხებული მისი ფალავნების წაქცევით, დგას და ცოფებს ყრის. მეშვიდე გვერღზე იწყება დიალოგი წაქცეულ ოს მეშთასა და ზაალს შორის, გადაღის მერვე გვერღზე (სულ რამდენიმე სტრიქონია). მას მოსდევს ზაალის ხმამაღალი საყვეღურები ორბელიანების მიმართ, რომელთა მიერ მოყვანილი კუქატნელი ზედიზედ ამარცხებს მარაბღელებს. შემდეგ რძალი ტასო მამამთილ ზაალს შეახსენებს, რომ ხალხი სტუმრებს მოაშოროს, რათა უსიამოვნება არ მოხღდეს. შემდეგ იწყება მწერლის რემარკები, რომ ზაალმა, როცა „კუჩრკა მელექსეზე“ ძვირს ამბობდა, იქვე მღგარი მისი დაი ეფემია შენიშნა და ენაზე იკბინა. მწერალი აგვიწერს აგრეთვე, თუ როგორ დაერევა ხალხს დავით ბარათაშვილი ორმოციოდე აზნაურიტა და მსახურიტ და ამყარებს წესრიგს. შემდეგ აღწერილია კარვები და საერთოდ ბანაკი. იწყება ზაალის ფიქრები: „არა, ზაალი ათას ბრძოლაში ნაწრტობი დროშის შეგინებას და მოღალატის ლიპარიტ ორბელიანის მემკვიდრეთა გამარჯვებას ვერ მოინელებს..“ ამ ფიქრებს მოსდევს ზაალისავე მოგონებები. ისევ ფიქრები ძველ ამბებზე, გუშინდელ დაეაზე ორბელიანებისა და ბარათაანთ დანსახურების შესახებ და იქვე იწყე-

ბა დიალოგი ზაალსა და მოურავს შორის არსენას შესახებ. დიალოგს სცვლის მოქმედება: ტატო ბარათაშვილი და მისი ბიძა ილია ორბელიანი გაიქცევიან კადარზე ასასვლელად, რათა გზა დაზვერონ, არსენა ხომ არ მოდისო. ამან გამოიწვია ეფემიას წამოძახილი, ბავშვებს არაფერი დაუშავდეთო. ამას ცვლის ზაალის ფიქრი, მე რე მწერლის თხრობა ელიზბარ მაღალაშვილის თვისებებზე, ყეენობაზე, სანოვაგის მოგროვებაზე და საარჩევანო მზადებაზე. აქვე იწყება ისევ დიალოგი ზაალსა და მოურავს შორის არსენას მოსვლის თაობაზე. საუბარში ჩაერევა გზირი, ერთნანეთს აღარ აცლიან გზირები და მოურავები¹.

ეს მაგალითი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ მონაცვლეობს თხრობის, ჩვენების, დიალოგის, მოქმედების მომენტები და ამით როგორ იქმნება საერთო სურათი, საინტერესო და მიმზიდველი, ინტერესშეუწებლად რომ ვკითხულობთ.

მსგავსი მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიტანოთ.

მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მხატვრის, ოსტატობა ის არის რომ იგი ყველა გმირს. პერსონაჟს მოუძებნის ინდივიდუალურ, სწორედ მისთვის დამახასიათებელ ნიშანს და ამ თვისებაზე აწახვილებს მკითხველის ყურადღებას, ამ ნიშნის მიხედვით ეს პერსონაჟი დასამახსოვრებელი, დაუფიქსარი ხდება. სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ ამ გმირის შესახებ და მართო ამ ნიშანს მოვკრათ თვალი, მაინც ვიცნობთ, რომ სწორედ ეს პერსონაჟია და არა სხვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ეს მიგნებული ნიშანი გარეგნულია — ან კაცის შესახებადობას შეეხება, ან აკვიტებულ სიტყვებს, ან რაღაც სხვას. მივეუთითებთ ზოგიერთ მათგანზე.

როცა არსენა ოძელაშვილი რამეზე ფიქრობს და გადაწყვეტილების მიღება სურს, ან გაღიზიანებულია რაიმე საწყენით, მას მარჯვენა წარბი უთამაშებს. ეს არსენასათვის ისევე განუყრელი თვისებაა, როგორც დღისათვის მზე, ხოლო ღამისათვის მთვარე. მკითხველი ამ წარბის თამაშით ხვდება, რომ არსენას რაღაც აწუხებს, ახლა რაღაც მოხდება. ხომ სრულყოფილად და ხატული არსენა ამ რომანში, რამდენ სიტუაციაშია, რამდენ მდგომარეობაში მოქმედებს ეს გმირი და მათ კვალობაზე, გზადაგზა ვეცნობით არსენას ისე, რომ იგი წარუშლელად რჩება ჩვენს გონებასა და გულში, მაგრამ ამ წარბის თამაშს შეაქვს რაღაც თავისებური ელფერი არსენას პორტრეტში.

¹ ყველგან ვიყენებთ სახელგამის მიერ 1955 წელს გამოცემულ ტექსტს

ეს იერხი ძალიან უწყობს ხელს პერსონაჟის ინდივიდუალური სახის გამოკვეთას, გამოძერწვას.

ავიღოთ ზაალ ბარათაშვილი. ამ პერსონაჟს თავისი, „ზაალისებური“ ნიშანთვისება ახასიათებს. ესაა აკვიატებული წინადადებები. „მეტი რაღა გინდა, ვეყო?“, ანდა — „ვეყო, ასეთი ამბავი გაგონილა? ბუნტია, მაშ რა ჯანდაბა!“ ამ სიტყვებს ზაალი როყოფდ წამოიძახებს ზოგჯერ უადგილოდ, რის გამოც დამსწრეთ ღიმილი მოადგება ბაგებზე.

ჩამოვთვლით რამდენიმე პერსონაჟის ასეთ ნიშნებს: სევასტი ლაცაბიძეს თეთრი ეშვი ჩამოეშვება ხოლმე; ღვთისაგარი ცალთვალად ევია, ცალ თვალს ჩაარკობს ხოლმე მოსაუბრეს; რუსი ნასაღდათარი კოჭლი კარაჩიხა ან „ცალი ფეხით კბარავს“ ან „მზეუქვრეტას აწყაპუნებს“; მეჩინიბე მეშთა ოსურად უქცევს „მე წაგაქციეს, სენი წირი მე“, „სენი წირი მე არსენ, მეც მოგეცი ეგ ზარი“; ოსტაპი თავის გრძელ უღვაშებს ებრძვის, სურს ზევით აიწიოს, მაგრამ სულ ქვევით უცვივს; მაიორ არლოვს თევზისებური თვალეები და სტაფილოს ფერი სახე აქვს; დათო ბარანაველი „სულერთიაა“, გარინდებული, მერყევი; ივანიჩა აქლემია და ა. შ.

აქ ჩამოვთვლილ მაგალითებზე დაკვირვებას მხოლოდ ერთ დისკვნამდე მივყავართ: მიხეილ ჯავახიშვილი თვითთული პერსონაჟისათვის პოულობს ინდივიდუალურ, დამახასიათებელ, სხვებისაგან განსხვავებულ ნიშან-თვისებას, მიაკუთვნებს ამ თვისებას რომელიმე პირს და ამით ორ შედეგს აღწევს: ეს პერსონაჟი დანარჩენი სხვა მრავალი პერსონაჟისაგან სრულიად განსხვავებული და დასამახსოვრებელია.

ეს ხერხი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული აზროვნების განუყოფელი ნაწილია, სისტემაა და არა შემთხვევითი რამ, იგი ძალზე დიდ ეფექტს ქმნის, ძალზე ხელსაყრელია.

„არსენა მარაბდელის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მასში ყველა პერსონაჟი მოქმედებს. თუმც პერსონაჟთა რიცხვი ოცდაათზე მეტია, მათ შორის ზოგი პირველხარისხოვანია, ზოგი კი ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომანში არ გვხვდება არც ერთი პერსონაჟი, რომლის სახეც მოხაზული არ იყოს, არა აღწერით, არამედ მოქმედებაში ჩვენებით. მკითხველის განცვიფრებას იწვევს, თუ როგორ ახერხებს ავტორი, მოუაროს ამდენ პერსონაჟს, მიუჩინოს უოველ შათვანს საკუთარი ადგილი, დატვირთოს საქმეებით, გვიჩვენოს ნაირფეროვან სიტუაციებში, დაუკავშიროს ერთმანეთს, გამოძერწოს და დასამახსოვრებელი გახადოს მათი სახეები.

რომანის მთავარი გმირი არსენა მარაბდელი სადაც კი გამოჩნდება, ყოველთვის მოქმედებს. მივუთითებთ ზოგ ძირითად მომენტზე: რომანში პირველი გამოჩენისთანავე იგი დინამიურია — მოაქუნებს ცხენს, მიეახლა ბატონს, იჭიდავა, ჭიდაობიდან შინ ბრუნდებიან და მეწინავე დროშა იხსნა შერცხვენისაგან, რასაც მას არლოვი უმზადებდა. მერე სცენა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა საფლავებთან, გაქცევა გომურიდან, ზაალისათვის დროშისა და ნაპოვნი განძის წართმევის სცენა, დალი პასანთან გადაყრისა და ტყვედ ჩავარდნის, იქიდან საკუთარი თავისა და ოსტაპის დახსნის სცენა, ლოპიანას დუქანში ყაზახებთან ბრძოლისა და პატიმარ ნათესავეთა განთავისუფლების სცენა, ყაჩაღთან შებმისა და გაძარცული ხალხის განთავისუფლების სცენა, ხანძრიდან ზაალის ჯალაბობის გამოყვანის სცენა და ა. შ.

ჩვენ მხოლოდ ზოგი ეპიზოდი მივუთითეთ, მაგრამ ყველა მათგანი ცალკე დამოუკიდებელ ნაწარმოებად ღირს, რადგან ერთ მშვენიერ ამბავს გამოხატავს. ყოველ ამ სცენაში იმდენი დინამიკაა, რომ ისინი წარუშლელია მკითხველის მეხსიერებაში.

შედარებით მეორეხარისხოვანი გმირიც რომ ავიღოთ, ასეთივე სურათს დავინახავთ. მივუთითებდით ზურას მაგალითზე. ზურა შესანიშნავი ჭაბუკია. პაპამისი ალექსანდრე ბატონიშვილის მიმდევარია და სამშობლოდან გადახვეწილი, მამამისიც დაკარგულია, დედა მაგდანა უტეხი ქვრივია — სიმართლისათვის მებრძოლი. ზურას გამოჰყოლია წინაპართა დადებითი თვისებები — იგი უშიშარი, სიმართლისმოყვარე, მებრძოლი სულის ჭაბუკია, მისი სიტყვა და საქმე ერთია. ზურას ბიოგრაფიიდან რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენოთ: ზურა ეზოში გალახავს ზაალის ერთგულ გიგოლას, ზურა დახოცავს სალდათებს, რომლებმაც დედამისს ნამუსის ახლა დაუპირეს, ზურა იბრძვის ტყის ძმებთან ერთად მაიორ არლოვისა და დავით ბარათაშვილის ჯარის წინააღმდეგ, სადაც დაიჭრება და ა. შ. ყველა ამ ეპიზოდში ზურას სახე, როგორც ნაწარმოების გმირის სახე, გამოკვეთილი, დასრულებული და სრულყოფილია. ზურას თითქოს ვხედავთ ხორცმესხმულს, ვიცნობთ, მიგვაჩნია ძალზე ახლობლად, საყვარელ და სასახლო ჭაბუკად. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ახლო, უშუალო განცდა გმირის მოქმედებაში ჩვენებამ გამოიწვია.

მედუქნე ლოპიანას ხომ რომანის სიუჟეტის განვითარებაში დიდი ადგილი არ უკავია, მაგრამ ისიც კი მოქმედებაშია ნაჩვენები და თანაც ისე, რომ ხასიათი გამოიკვეთოს. ამ პერსონაჟს სულ რამოდენიმეჯერ შევხვდებით, მაგრამ ყოველთვის იგრძნობა, რომ იგი დაჩაგრულთა მხარეზეა, არსენას ერთგულია. თუმც თავის ბიძაშვილ

ბალოს კიცხავს, რომ არსენას რაზმში შეუფარებია თავი, მაგრამ თვითონაც ნაკლებ დახმარებას როდი უწევს ამ „თავზე ხელაღებულს“.

ამ ასპექტში იმდენი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა, რამდენიც პერსონაჟია რომანში, ამიტომ არ განვაგრძობთ. ერთი კი ცხადია, რომ პერსონაჟთა ჩვენება მოქმედებაში ავტორს ეხმარება მათი ხასიათების გამოკვლევაში და ინდივიდუალური თვისებების გამონატვაში, გმირის ხორცშესხმულად გამოსახვაში.

„არსენა მარაბდელში“ ხშირად გვხვდება ადგილები, როცა მძიმე სურათებს შორის გაივლებს კომიკური ელემენტი, რომელსაც სხივი შეაქვს, ამსუბუქებს ატმოსფეროს. ეს მომენტი მკითხველს ამოასუნთქებს, შვებას მოგვრის, ასეთი ხერხი ადამიანის (მკითხველის) ფსიქიკის ზუსტ ცოდნას ემყარება.

ჯერ მაგალითზე მივუთითებთ: არსენას ბანაკში შემოიპარებიან ჰასანა, ბალო და სულხანი. ბანაკი დაფაცურდა, გუშაგებს როგორ გამოეპარა სამი კაციო. არსენა გაბრაზდა. მოსულებს შეკითხვას შეკითხვაზე აყრიან. ისინიც პასუხობენ, თუ რატომ მოვიდნენ, ან აქ მოსვლამდე რა შეემთხვათ. როცა დალი ჰასანი ყვება საშინელ ამბებს, თუ როგორ დახოცა ხალხი, როგორ გადაარცვა ისინი, როგორ მოკლა ივანიჩა აქლემი და ერთი ოფიცერი, აქ, სრულიად მოულოდნელად, წაიხუმრა: „—ყარდაშ არსენ, — განაგრძო ჰასანამ. — შენ გორულის კოშკში მითხარი, როცა ჩემთან სამოხვალ, საბუთი სამოილეო. იმ აფიცარს და აქლემს შევეხვეს, ერთი ბარათი დამისერეთ, რომ მე მოგკალით მეთქი, მაგრამ არ დასწერეს.“

სიცილი რომ შეწყდა, თათარმა ჯიბიდან ორი მარჯვენა ყური ამოიღო და დაასრულა:

— საბუთი მაინც სამოვილე, აი, ინებე, — და ბელადს მუხლზე დამკვნიარი ყურები დაუგდო“.

ანდა გავიხსენოთ სცენა, რომ განრისხებულ ზაალს მეშთა მეჯინიბე ოსურად მოუქცევს და ეუბნება წაგაქციესო, რაც ზაალს უფრო განარისხებს, მაგრამ დამსწრეთა შორის ღიმილი გადაირბენს.

ეს ორი შემთხვევა გამონაკლისი როდია. ამ ხერხს მ. ჯაეახიშვილი ხშირად ხმარობს, რაც ისევე მოქმედებს ადამიანზე, როგორც ქუფრ ღრუბელში მზის გამონათება. როგორც ზევით აღვნიშნავდით, ამით მწერალი მკითხველის განწყობილებას ცვლის, მას თავის ნებას უმორჩილებს, წარმართავს როგორც ავტორს სურს.

მ. ჯაეახიშვილი ხშირად რომელიმე პერსონაჟის ნაფიქრალს

წინწკლებში სვამს და ასე გადმოგვცემს. ეს ხერხი ავტორს საშუალებას აძლევს გადმოგვცეს გმირის სულიერი სიმების ყოველ რხევას.

აქვე უნდა დაეძინოთ, რომ ფიქრებს მარტო წინწკლებით არ გადმოგვცემს ავტორი, ხშირად თვითონ გვიყვება, თავის რემარკებს ჩაურთავს ხოლმე. მარტო კუპატნელისა და არსენას ჰილაოხის მომენტში ნაფიქრის წინწკლებში ჩასმის ხერხი რამდენჯერმე არის გამოყენებული. აი, მაგალითები: „ვერა, კუპატნელო, — გაიფიქრა არსენა-ბიკმა, — ვერ შემაშინებ, ვიცი შენი ხერხი. მაგით ნირს ვერ ამირევ“. „ხუთი ნახტომილა დარჩა კუპატნელს. — ითელის არსენა, ოთხი... სამი... ორი... ერთიც და — ღმერთო მიშველე!“, „მოდის დაეჯაბნე! მუხლებში ძაბუნი ჩავუღვარე!“ „...შენთვის მომირთმევი, ჩემო ყველავ, შენთვის“ და. ა. შ. როგორც ვხედავთ, ეს ხერხი საკმაოდ ეფექტიანია.

მიხეილ ჭავჭავაძის ზოგჯერ იყენებს თხრობის თავისებურ მანერას, რომლითაც ნათქვამს ახალი ელფერი ეძლევა. ეს მანერა იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი რომელიმე სიტყვას (უბეჭტესად მოქმედების აღმნიშვნელს — ზმნას) იქვე იმეორებს, რითაც ბუნებრივი ხაზგასმა გამოდის ამ სიტყვაზე.

აი, მაგალითები: „...მაიორის აღვირს გაუშვა ხელი და ადლიან ხანჯალზე დაიღო. დაიღო და სალი თვალი ბასილას ჩაურკო თვალებში“... „...პასკევიჩი და აბას მირზა ერთმანეთს განჯაში დაეტაკენ. დაეტაკენ და...“ „...ხელები რქებში ჩასკიდა, ჩასკიდა და დაითრია, დაითრია და ისე მოსწია...“

სიტყვები „დაიღო“, „დაეტაკენ“, „ჩასკიდა“, „დაითრია“: იქვე მეორდება, მეორდება და მახვილიც მასზე გადააქვს მკითხველს. ჩვენ ვიტყვით, რომ ამ ფანდით მწერალი თხრობას რაღაც ომახიან, ვაჟკაცურ ელფერსაც კმატებს. ამ ხერხის დანიშნულება სწორედ ეს ორი რამ უნდა იყოს.

თხრობის დროს მ. ჭავჭავაძის ზოგჯერ იყენებს ფრჩხილს, რომელსაც გარკვეულ დატვირთვას აკისრებს. ფრჩხილში ჩასმული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი მწერლის ნათხრობს მოხდენილად განმარტავს, უფრო სწორად, ავსებს, სრულყოფილს ხდის. აი, ეს მაგალითი: „...იასე ფალაგანდიშვილი არხანგელსკში მომკედარიყო (არაგის დაენანა), სოლომონ დოდაშვილი ქლექისაგან დამდნარიყო ვიატკაში და რვა წლის წინათ გარდაცვლილიყო (ყველას შერცხვა, რადგან ქიზიყელი რიტორი ბრწყინვალე წოდებას არ ეკუთვნოდა და ამიტომ არც არაფერს გამოსარჩლებოდა), ხოლო სოლომონ რაზმაძე...“

მიხეილ ჭავჭავიძევილი ქართველი ხალხის ადათ-წესებს და ზნეს გვიჩვენებს კონკრეტული მაგალითების გზით. ამ მიზნით ავტორი პერსონაჟს ჩაადენინებს ან ათქმევინებს ისეთ რამეს, რომ მკითხველმა თვითონ გააყეთოს დასკვნა.

მაგალითად, რომანიდან ვიგებთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გლეხკაცი ტყუილს ვერ იტყოდა, შეიძლება ეთქვა, მაგრამ ეს საქციელი დასაგმობად მიაჩნდა. ამ მომენტზე მწერალი შემდეგნაირად მიგვითითებს: როცა ზაალის ეზოში გლეხები შეიკრიბნენ და ღვინოს სვამდნენ, ბატონებისა და მეფის გინება არ დაუკლიათ. ამ დროს მამუზდარა გიგოლა შეიპარა და მოისმინა ყოველივე. გველძუას რომ გზა-კვალი აურიოს, ღვთისაგან გიგოლას ხელს ჩასჭიდებს და მუქარით მიმართავს, თანაც თანამეინახეებს დაიმოწმებს — ხომ დავლიეთო მეფისა და ბატონების სადღეგრძელოო. აი ეს გადაეციო შენს ბატონს, მიმართავს გიგოლას. მერე კი ნანობს, ტყუილი როგორ ვთქვიო:

„დაიცა, — შეაჩერა ცალთვალამ, — ჯერ დაგვლოცე, — და სავსე ჭამი მიაწოდა.

გიგოლამ გრძლად და სხაპუნით დალოცა, ჭამი დასცალა, ღვთისაგან დაუბრუნა და გარეთ გავარდა.

ღვთისაგანმა ცალი თვალი გააყოლა, მერმე ხელში ნაჭერ ჭამს ჩააშტერდა. მცირე ხანს იყურა, შემდეგ ის ჭამი მოიქნია და ყუმბარასავით სთხლიშა კედელს, თანაც დააყოლა:

— ფუჰ, შენს დამლევს ნაბიჭვარსაც და მის შემქნელ ბატონსა! არა, უღვაშებიც რომ დაიფიცა! წუწკი ღორი სხვებსაც გასვრისო: ამოდენა ხალხში თავი მომჭრა და ტყუილი მათქმევინა, — და კარებისაკენ გაალაჯა“.

მაგრამ მარტო ღვთისაგანი კი არაა ისეთი, რომელსაც ტყუილი სძაგს, ან ცოდვად მიაჩნია, ასეთია ყველა იქ მჯდომი გლეხი, რომლებმაც „ნუგეში სცეს და ასე დაარიგეს“.

— სანთელი დაანთე, ღვთისაგარ, სანთელი.

— ეგ ხელი აკურთხებიინე, თორე დაგიდუნდება.

— აიაზმით მოიბანე, თორე ძალა დაგელევა“ (გვ. 83).

ამ კონკრეტული სცენით მხოლოდ ერთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს მკითხველი — ხალხს ტყუილი ცოდვად მიაჩნია, ქართველი ხალხის მორალით ტყუილი დაგმობილია.

ანდა ავიღოთ სხვა შემთხვევა, როცა მწერალს სურს გვითხრას, თუ მისალმების როგორი წესი იყო თრიალეთში, იგი კი არ აგვიხსნის, არამედ პერსონაჟების მოქმედებით გვიჩვენებს ამას.

აი, ღვთისაგარი მიწურიდან გამოვიდა და როსტომ ჯორჯიაშვილს შეხვდა. როსტომი მაშინვე წამოიძახებს:

— „გამარჯობა, ღვთისაგარ!

— გაგიმარჯოს როსტომ! როგორ გყავს საქონელი და დედ-მამა?

— კარგად. შენი საქონელი და ჯალაბობა რაღასა იქს?“

ამ ამონაწერიდან ნათელი გახდება, რომ საქონლისა და ჯალაბობის მოკითხვის წესი ყოფილა თრიალეთის მხარეში (იგივე წესი მთის სხვა კუთხეებში დღესაც არის). ეთნოგრაფი ამას მოგვიტყობდა აღწერით, მიხეილ ჯავახიშვილი კი ცოცხალი სურათების დახატვით გვიჩვენებს იგივეს

„არსენა მარაბდელის“ ავტორი ერთი პერსონაჟის დასახასიათებლად იყენებს მეორე პერსონაჟს ან პერსონაჟებს. მწერალი ამ ხერხს იყენებს სხვა ძირითადი ხერხების გვერდით (ძირითადია პერსონაჟის ჩვენება მოქმედებაში და მწერლისეული დახასიათება პერსონაჟისა). მაგალითად, როცა ავტორს სურს ღვთისაგარი უფრო მკაფიოდ და სრულად შევიცნოთ, იგი თვითონ ხომ ლაპარაკობს გამირზე და გვიჩვენებს მოქმედებაში, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება — სხვა პერსონაჟებსაც ალაპარაკებს მის შესახებ:

„მთელი თრიალეთი, კახეთი და არაგვიც კი მღეროდა არსენას მამაზე:

„ცალი თვალი აქვს ღვთისაგარს,
ორით ნეტა რას იქმოდა?!
ეშმაკსა ხარკი მიჰქონდა,
ღვეი დამფრთხალი მირბოდა“ (გვ. 78)

ანდა მოქმედებაში გვიჩვენებს, თუ როგორ პატივს სცემენ მას სხვა ადამიანები: „ხორცი უკვე გაცივდა, მაგრამ თავკაცები ღვთისაგარის მოლოდინში არიან და ჯერ ტაბლას არ მისხდომიან. ბოლოს ხანდაზმული ცალთვალაც მოვიდა, ბოდიში მოიხადა, მცირე სუფრა აკურთხა...“

ასეთ ხერხს — სხვათა მეშვეობით რომ ხასიათდებოდეს პერსონაჟი — მ. ჯავახიშვილი ხშირად იყენებს.

„არსენა მარაბდელის“ ავტორის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელია ლექსების გამოყენება ტექსტში. ეს ლექსები ზოგი რომელიმე პოეტს ეკუთვნის, ზოგიც ხალხურია. ორივე შემთხვევაში მათ განსაზღვრული ფუნქცია აკისრიათ: გახაზონ ძირითადი სათქმელი, რომელიც რომანის იმ ნაწილში აქვს ავტორს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზაალ ბარათაშვი-

ლის ეზოში ორი, ერთმანეთისათვის საწინააღმდეგო ბანაკის ჩვენება, სანამ საეგზეკუციო ჯარი გამოჩნდება. აქ თავადები ცალკე არიან და ერთობიან — დავით ბარათაშვილი და სხვა თავადები მღერიან მუხამბაზებს და ბაიათებს, რომლებშიც განებივრებული კლასის შესაფერისი შინაარსია. მეორე მხარეზეა ღვთისაგარი და გლეხები, რომლებიც სახელდახელო სუფრას შემოსხლომიან და აგრეთვე მღერიან, მაგრამ ამ სიმღერების შინაარსია ბატონების კრულვა და ყმების ლოცვა...

შევადაროთ ისინი ერთმანეთს.

აი, დავით ბარათაშვილი, ბედისაგან განებივრებული, განცხრომაში მყოფი კაცი მღერის:

„ახალ აღნაგო სულოდა,
ელემში ამოსულოდა,
ჩემს ეტლზე დანერგულოდა,
სიციოხლეს შენგან მოველი.
უკვდავება ხარ ცხოველი“

ამ სიმღერის მომსმენი თავადები ან „ჯან-ჯაანს“ გაიძახიან, ანდა „ბულბულია-მეთქი, ბულბული...“

გლეხების სუფრაზე კი აი რა ხდება:

„გლეხებმა თითო ჯამი კიდევ მოიყუდეს და სწორედ იმ დროს, როცა ჭადრის ქვეშ „ბულბულ-ვარდი, ბადრი მთვარე“ ჩიფჩიფებდა, მიწურიდან ღვთისაგარის ქუხილი ამოვარდა:

„შენ ბიკო გუდარე-ეხელო-ო!“

და ეს შეძახილი უმალვე ოციოდე გლეხმა მოიტაცა და მძლავრი გუგუნით გაჰყვა ბელადს, რომელმაც ფოლად-ვერცხლის ზარივით ჩამოსძახა:

„შენ ბიკო გუდარეხელო
შენი ხმა ჩამოდიოდა,
შენი ნახოცი ლეკები
ალგეთში ჩამოდიოდა“.

როგორც ვხედავთ, ავტორი ამ ლექსებით უპირისპირებს ორ საწინააღმდეგო ბანაკს და ხსნის მათ ხასიათს; ერთნი თავს იქცევენ, მეორენი კი სუფრაზეც საქმეებზე ფიქრობენ, ბრძოლაზე, მოქმედებაზე, მათი სიმღერაც კი ასეთია!

როცა გლეხები სუფრაზე სიმღერას რიგრიგობით აიტაცებენ ხოლმე და ერთგვარი შეჭიბრიც კია — ვინ კარგს წამოიწყებსო, სიმ-

დერების შინაარსი აღმავალი ხაზით მიდის, ჰიდის და გლეხების გულისნადები უფრო და უფრო იკვლევს გზას:

„შენი კირიმე, გუთანო,
გათლილო წმინდა ხისაო;
შენ აჰმევე პურსა გლეხაკისა,
დამმარხეელი ხარ მკედრისაო“.

შემდეგ:

„მუცელი აზნაურისა
ადლი და ნახეარია,
საწყალი გლეხი კაცისა
არც მისი ნახეარია-ა-ა“.

შემდეგ:

„ღმერთო, ნუ მოშლი გლეხისთვიან
ლხინსა და გახარებასა,
ქალების გათხოვებასა,
ვაჟების გამრავლებასა,
ბატონის სახლში — კუბოსა,
ცრემლსა და მწუხარებასა“ (გვ. 76—80).

და ასე გადადიოდა ხელიდან ხელში ეს სიმღერები, რომლებშიც ყველა დამსწრე მონაწილეობს და ისმის გამრჩე ვაჟკაცების ომახიანი გუგუნით...

მწერალი თვითონ ამჟღავნებს ერთ ადგილას თავის გულისნადებს, თუ რატომ გვიჩვენა ორი ბანაკი — ორნაირი სიმღერები:

„თავადების სუფრაზე სამ ხმაზე აღარ მღერიან: სამხმოვანი სიმღერა გლეხურია, მდაბიური, ქართული, ხოლო ერთხმოვანი სპარსულ-ოსმალური გაფი და მუხამბაზი, შიქასტა და ძუსტაზადი, ბაიათი და ყველა „ყაიდა“ დიდებულთა, სამღერალია, რადგან გადაგვარებული სულის მონაჯონია“.

ეს ზუსტი დახასიათება ამავე დროს მწარე დაცინვაც არის, გადაგვარებული კლასის მხილება. ავტორის სიმპათია გლეხების მხარეზეა და ეს მკითხველსაც გადაეძება. სწორედ ამ მიზნით დაგვიხატა ავტორმა ეს სცენა, სწორედ ამ მიზნით შემოიტანა რომანში ეს სიმღერები... და მიზანიც მიღწეულია!

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ რომანში ხალხური „არსენას ლექსის“ გამოყენება. ზოგჯერ „არსენას ლექსის“ ტექსტიც კი არის გამოყენებული, ოღონდ პროზის სახით. ეს ფაქტი სრულიადაც არ აღძრავს ეჭვს, თითქოს ავტორს არ შეეძლო თავისი თხრობით შეეცვალა ეს ადგილები. ჩვენი დაკვირვებით, ავტორი ასე იქცევა განზრახ. ლექსიდან იგი იყენებს მხოლოდ მოხდენილ, დინამიურ

ადგილებს, თანაც დიალოგიანს (როგორც ჩანს, ავტორს ეს ადგილები მოსწონდა ხალხური ლექსიდან), ოღონდ უნდა შევნიშნოთ. რომ თავისებური რედაქციით იყენებს ამ წყაროს. ანდა ზოგჯერ ერთ პერსონაჟს ლექსიდან ათქმევინებს, მეორეს კი იმავე ყაიდაზე. ოღონდ თავისი სიტყვებით.

აი მაგალითი. როცა ლოპიანას ღუქანში პატიმარი ნათესავები გამოიხსნა არსენამ, მას ყაზახ რუსებთან მოუხდა შეტაკება. შეტაკებამდე ასეთი დიალოგი გაიმართა მათ შორის:

— „ზღრასტი რუსი. — გამარჯობა!“

— „ზღრასტი გრუზო, — გაგიმარჯოს.“

— „კუდა იდიოშ, — საითკენა?“

— „ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად ჰქვიან არსენა, თუ ვინმეს გაგვეგონოს, გვინდა იმისი დაჭერა.“

— არსენ ვის არ გაუგია, მაგრამ ყველას წაუგია.

უგემნია აუგია, ვისაც მახე დაუგია (აქედან იწყება ლექსებით ანალოგიური დიალოგი).

— სამოც თუმანს დაგვპირდიან, ერთი კაცი სად წაგვივა! მივესევით და შევბოქავთ, თითო ლუკმა ძლივს მოგვივა.

— მაშ არსენა არ გცნობიათ, თქვენ ქარს დასდევთ მინდორშია. ცოლი, შვილი შეიბრალებთ, ნუ ჩადგებით ცოდვაშია“.

და ასე მიდის კარგა ხანს. ამას მოსდევს შებრძოლების სცენა, რაც არსენას ვაჟკაცობას ერთი შტრიხით კიდევ ასურათხატებს.

ყოველივე ამით ეგებ მწერალს სურდა ჩვენთვის მიენიშნებინა, რომ რომანის ერთ-ერთ წყაროდ ხალხური არსენაა გამოყენებული.

იგივე ხერხი ავტორს გამოყენებული აქვს ფარსადან ბოდბის ხვევლისა და არსენას ურთიერთობის ჩვენების დროსაც. აქ ხალხური ლექსი სამ გვერდზეა მოტანილი (504, 505, 506).

მ. ჯავახიშვილი იყენებს ხალხურ ანდაზურ თქმებს და ამით ამლიდრებს არა მარტო ლექსიკას, არამედ შინაარსსაც. ეს გამოყენება ხდება ზედმიწევნით ოსტატურად, ისე, რომ ხშირდ პერსონაჟის ბუნებრივი მეტყველებისაგან ვერც კი გააჩვენებ.

მაგალითი. — „მაშ ივანიჩას უნდა მიათხოვონ ფიქრია?“

იმ აქლემს? — ჩაიცინა არსენამ.

— ჰო, აქლემს.

— მაგრე რიგად ფამოელიათ პირის წყალი? მერე, მერე?

— პატარა ბატონი მე არ მიმეტებს.

— რა თქმა უნდა! ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“... შარინესა და არსენას ამ მოკლე დიალოგში არსენამ ორ-

ჭერ გამოიყენა ანდაზური თქმები, რომელსაც ჩვენ ხაზი გავუსვით.

კიდევ ერთი მაგალითი. ღვთისავარის გამოსვლა ხერხეულიძეთა საფლავებთან შეყრილი ხალხის წინაშე შეიცავს რამდენიმე ანდაზურ თქმას — „მარაბდლებო, არ გაგიედეთ, კჳუა არ წააგოთ, თორემ ამ სოფლის ხსენებაც კი აღარ დარჩება. თავს სინანული სჯობია ბოლოჯამს დანანებასა. ისეთ დღეს დაგვაყრიან, რომ საფლავშიც კი არ დაგვაიწყდეს. მიეცი კეისრისა კეისარსა, უთქომს ჩვენს მაცხოვარსა და „ვეფხისტყაოსანშიც“ სწერია: წესი არის მამაცთაგან მოქირეება, ჳირთა თმენა; არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა. ჩვენც ასე მოვიქცეთ და სოფელი გადავარჩინოთ, თორემ ლაუბობის დრო აღარ არის. ამ საქმის მოვლაც ისევ თავკაცებს მივანდოთ, ჩვენ კი ისევ ჩვენს ქოხებს მივხედოთ. თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობია სიჩქარე ქებულსაო. უნდა მოვითმინოთ, თორემ — თუკაცო ჳირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია! კარგი იქნებოდა, რომ ეს დღე არ გაგვთენებოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, როცა ჳოხი არ გაქვს, ძალსა ლუქმა მიუგდეთ“.

ამ ეპიზოდში ექვსი ანდაზური თქმა გამოყენებული. მართალია, მათი წყარო სხვადასხვანაირია, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ისინი ბოლოს ხალხისათვის ყოველდღიურ ხმარებაში გამოყენებულ ფრთიან სიტყვებად არიან ქცეული. ჩვენი მსჯელობისათვის მთავარი ისაა, რომ შევნიშნოთ ავტორის ეს ხერხი და მივუთითოთ მის დიდ ღირსებაზე: ანდაზური თქმების გამოყენება მიხეილ ჭავჭავიძის „არსენა მარაბდელში“ ნაწარმოებს ჳმატებს ლაზათსა და შნოს, მეტყველებას ხდის მოხდენილს, შინაარს ამლიდრებს, მკითხველზე ჳეგავლენას აძლიერებს.

ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვე ამ რომანში სხვა მხრივაც შეინიშნება: იგი იყენებს აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ჩვეულებას — ადამიანებისათვის შერქმეული სახელების ხმარებას. ეს ხერხი თავისებურ ელფერს ქმნის.

განსახილველ რომანში ჩვენს ყურადღებას იპყრობს თავების დასათაურება. უნდა ითქვას, რომ ასეთი შესატყვისი და ჳუსტად მიმნიშნებელი სათაურების გამოძებნა მხოლოდ დიდოსტატს შეუძლია. ჩვენს თავს ნებას მივცემთ, ჩამოვთვალოთ რომანის თავების სათაურები: „მეწინავე დროშა“, „მარაბდელის სადარდელი“, „ცალთვალა დევი“, „სისხლიანი ნადიმი“, „გატეხილი ვალია“, „არსენას ბუნაგი“, „ფიცი ტყეში“, „შავი ჳვრივი“, „აშვებული ლომები“

„კრანანას ბუდე“, „ჩამოგდებული ნამგალა მთვარე“, „უსისხლო სახელი“, „განკვეთილი კვანძები“.

ეს სათაურები ძალზე პოეტურად უღერს. გარდა ამისა, რაც მთავარია, სათაურს მისდევს ხოლმე ისეთი თხრობა, რომლის დედა-აზრი ამ სათაურშია გამოხატული. შეგვიძლია ნებისმიერი სათაური ავიღოთ და გავიხეხოთ, თუ რა მოსდევს მას ტექსტში. მაგალითად, თავი მეორე არის „მარაბდელის სადარდელი“. მოსალოდნელია, რომ აქ არსენას რაღაც დარდი აწუხებს და მასზე იქნება ლაპარაკი. სინამდვილეშიც სწორედ ასეა: ფიქრიას (არსენას და) და მარინეს (არსენას საბედო), რომლებიც ზაალის მოახლეები არიან, ბატონები გათხოვებან უპირებენ, არსენა კი მტკიცედ გადაწყვეტს, არავის დააჩაგვრინოს ეს გოგოები, თუნდაც ბატონების ლუქმა-ლუქმად აკუწვა გახდეს საქირო...

ყოველ თავის სათაურს ასე პასუხობს თავისი შინაარსი. რომანში ვერ ვნახავთ ამ წესის დარღვევის ვერც ერთ შემთხვევას.

არანაკლებ საინტერესოა ავტორის ერთი ხერხიც. ყოველი თავის სათაურს მოსდევს ეპიგრაფი. რომელიც აგრეთვე ერთგვარად ხსნის მომდევნო თხრობას, იგი გასაღებია ამ თავისა.

მაგალითად, იგივე მეორე თავს, სადაც ქალის გამო არსენას სადარდელზეა ლაპარაკი, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური თქმა: „ლამაზი ქალის პატრონსა უნდა ჰქონდეს თვალი მჭრელი“. მესამე თავში, სადაც ღვთისაყვარის ვაჟეკაცობაზეა ლაპარაკი. ეპიგრაფად გამოყენებულია ხალხური თქმა: „ვაჟეკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“; თავს „სისხლიანი ნადიმი“, სადაც აღწერილია, თუ როგორ ააწიოკეს მარაბდელეები ყაზახ-რუსებმა მაიორ არლოვის ბრძანებით, წამძღვარებული აქვს ამონაწერი აჯანყებულ კახელ გლეხთა საჩივრიდან: „რაც რამ გვებადა, ეგზეკუციებით და ხიშტებით მიგქონდათ, შიმშილით გვხოცავდით და ნუგეშად გვეუბნებოდით, ბალახი ძოვეთო. არა, ქორთუა ბავშვებმა ბალახი როგორ უნდა ძოვონ, სად გაგონილა!“

რომანშიც ცამეტი თავია და მეთოთხმეტე კი ეპილოგი. ამთავან ყოველ მათგანს აქვს წამძღვარებული ეპიგრაფი, რომელიც, გამო-ნაკლისის გარეშე, წარმოადგენს გასაღებს რომანის ამ თავისთვის. ზოგ თავს ერთზე მეტი ეპიგრაფიც კი აქვს წამძღვარებული.

მოხდენილი სათაურები და ზუსტად შერჩეული ეპიგრაფები კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის ამ რომანს, და ავტორისადმი კმაყოფილების გრძნობას განაცდევინებს მკითხველს.

„არსენა მარაბდელის“ ავტორის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ წარმატებად მიგვაჩნია რომანში გამოყენებული მკაფიო და

ზუსტად მიმნიშნებელი შედარებები. მხატვრული შედარების გარეშე წარმოუდგენელია ქეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები სადავო არაა მათი დანიშნულება და საკიროება. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მიხეილ ჭავჭავიძე ამ შედარებებს იყენებს ისე ბუნებრივად და სადად, რომ მკითხველი ვერც კი გრძნობს, რომ აქ შედარება არის გამოყენებული. ამავე დროს მიზანში ისე ხედება ეს შედარება, რომ შედეგი მოსალოდნელზე მეტია.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ მაგალითების მოტანაში სიძუნწეს ვიჩინთ, რადგან არ შეგვიძლია მათ მეტი ადგილი დაეთმოთ. მივუთითებთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

ეგზეკუცია ჩააყენეს მარაბდაში. სალდათებმა და მათმა უფროსებმა ცოდვის დღე დაატრიალეს: სახლები გადაწვეს, ხალხს ცემა-ტყევა აუტეხეს, სურსათი წაგლიჯეს. საქონელი დახოცეს, ქალებს ნაშუსი ახადეს...

მიხეილ ჭავჭავიძე ამ სცენას ლაკონურად და მოხდენილი შედარებებით გვიჩვენებს: „სოფელი დღესავით განათდა, თონესავით გახურდა და სასაკლაოსავით აბლავლდა“ (გვ. 185). მარტო ამ ერთი მაგალითითაც შეიძლება ვიმსჯელოთ მწერლის დიდ მხატვრულ ალღოზე და ნიჭზე.

ზოგიერთი მწერლისაგან განსხვავებით, მიხეილ ჭავჭავიძელთან შედარების ხმარება მანერულობაში კი არ გადადის, არამედ მას სადად და უბრალოდ იყენებს და მკაცრ დატვირთვას, სურათების გამოძერწვას, ემოციის აღძვრას, აზრის გაძლიერებას აკისრებს.

„არსენა მარაბდელი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ძლიერია იმის გამოც, რომ თავებსა და ეპიზოდებს შორის არის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. აქ იქმნება ერთგვარი წრე. წინ არის მომდევნოს მიზეზი, მომდევნო არის შედეგი, ხოლო ეს კი მერმინდელი მომდევნოს მიზეზი შეიძლება იყოს და ა. შ. ყოველივე ეს კი დასმული იდეის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა.

მაგალითისათვის მოვიტანოთ შემდეგი ადგილი: მეფის მჩაგვრელურ პოლიტიკას და ადგილობრივ ბატონთა სიზარბეს შედეგად მოჰყვება ეგზეკუცია, ეგზეკუციამ ააწიოკა სოფელი, სოფლის აწიოკებამ გამოიწვია არსენასა და მისი ამხანაგების ტყეში გავარდნა, ზაალის აწიოკება და ა. შ. რომანის მთელი შინაარსის კვალდაკვალ. ასეთი მიზეზ-შედეგობრივი რკალები რომანში ბევრი შეიძლება დაიძებნოს.

მიხეილ ჭავჭავიძელს რომანში შემოყვანილი ჰყავს ცხოველები. ლურჯა და ყურშა არსენასათვის განუყრელი და ჭირში მიმშველბელი მეგობრები არიან. ამ ცხოველებს გარკვეული ფუნქცია აქვთ

დაკისრებული სიუჟეტის განვითარებაში, ისინი მოქმედებენ. გავიხსენოთ, როგორ იზოვა ყურშამ ცოცხლად დამარხული არსენა და როგორ ამოთხარა იგი ახალციხის მიწიდან. ეს რომ არ მომხდარიყო, რომანი აქ უნდა დამთავრებულიყო — მთავარი გმირი კვდებოდა.

ეს „პერსონაჟები“ გონივრები და მგრძობიარენი არიან. ამის დასადასტურებლად გამოდგება შემდეგი ადგილი. ბატონებზე გამეხებული არსენა სახლში მივიდა. თავისი ბოღმა არ უნდა შესჩივლოს პაპას, მამას და დედას. სახლიდან გამოვიდა და სათივისაკენ წავიდა აქ კი აი რა ხდება.

„სათივის ქვეშ ლურჯა დაინახა და იქით წავიდა. მიწიდან ყურშამ ამოხტა და გაგიჟდა: ჰყეფს, ხტის, ებობლება, ჰბენს და ლოკავს, მაგრამ, რადგან არსენას უგუნებობას ატყობს, მისი სიხარულიც თანდათან კლებულობს და თვალეში რაღაც დარდი და სევდა ეხატება.

ლურჯა მხიარულად ჰიხვინებს; თოქს სკიმავეს, მოიწევს, თავს უკრავს და წინა ტორებით ჰბულრაობს. მაგრამ უცებ ხვდება და გაოცებული ეკითხება პატრონს: „რა დაგემართა? თუ გიჭირს რამე, მითხარი და მეც აქა ვარო“.

არსენა ბაგაზე ჩამოჯდა და რადგან ცხენსა და ძაღლს არ მიუალერსა, მისმა მეგობრებმა თვითონვე დასუნეს პატრონი, თავები მუხლებზე დაუდეს და ცხენურ-ძაღლური თვალეები დარდით სავსე თვალეებში ჩაუყარეს.

ოძელაშვილმა ერთი მკლავი ლურჯას მოხვია, მეორე კი ყურშას შემოაჭდო და მდულარე ჩურჩულით შესჩივლა:

— „ეჰ, მეგობრებო, რომ იცოდეთ რა ამბავი ხდება ამ ქვეყანაზე...“

მკითხველი ერთი წუთით ივიწყებს, რომ არსენას აქეთ-იქიდან ცხენი და ძაღლი ამოდგომიან, ადამიანებად მიგვაჩნია ისინი, რადგან არსენას მწუხარებაც ესმით და თანაუგრძობენ მას, არსენასაც შეუძლია მათთან ისაუბროს და თავისი ვარამი გაანდოს.

გავიხსენოთ ლურჯას მოქმედება, როცა არსენა კვდება...

რაკი „არსენა მარაბდელს“ თავიდან ბოლომდე გასდევს სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთება, რაკი ამ ნაწარმოების დედაზრი სიმართლისათვის, უკულმართობის წინააღმდეგ ბრძოლაა, ამიტომ ავტორს შერჩეული აქვს საბრძოლო დევიზიც. უფრო სწორად, ბრძოლის ჰიმნი, რომელსაც აჯანყებული რაზმელები დროდადრო მღერაინ:

-კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი;
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი...“

ეს სიმღერა ძმადნაფიცებს ყოველთვის თავიანთ მოვალეობას შეახსენებს, მოუწოდებს შურისძიებისაკენ, ბრძოლისაკენ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვახსენდება ჯეკ ლონდონის რომანი „ოთხთა გული“, რომელშიც ასეთივე მომწოდებელი, ოპტიმისტური სიმღერა არის გამოყენებული, როგორც მოქმედების დევიზი, რომელსაც მორგანი დროდადრო იხსენებს და ომანხიანად მღერის.

ეს ხერხი მიმნიშნებელია ნაწარმოების ლეიტმოტივზე.

მიხეილ ჯავახიშვილი ეპილოგს დიდ დატვირთვას აკისრებს. აქ, რომანის ამ ნაწილში, ავტორი იძლევა მთავარი საკითხების გასსნას და მათ პერსპექტივაში ჩვენებს. ამ რომანის ეპილოგში ორ კითხვაზე გაცემული პასუხი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში შეკრებილი თავადობა, რომელთა უმეტესობაც გადასახლებიდან დაბრუნებული შეთქმულების წევრი იყო, მსჯელობს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე და იძლევა ამ ისტორიული ფაქტის შეფასებას. აქ ისევ ორი აზრი იბრძვის, რომელთაგან ერთი ამ ფაქტში სიკეთეს ხედავს, ხოლო მეორე მხოლოდ უბედურებას. აქვეა მესამე ძალაც, რომელსაც შეუძლია სიკეთისა და ბოროტების აწონ-დაწონის შედეგად მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ეს მოვლენა საქართველოსთვის საბოლოო ანგარიშში სასიკეთო იყო.

ამ მხრივ დამახასიათებელია ზაალ ბარათაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბებუთაშვილის, ანდრონიკაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის საუბარი.

მეორე მხრივ, ეპილოგში გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რა ბედი ეწია არსენას მიერ წამოწყებულ გლეხთა მოძრაობას. აქ ავტორის განწყობილება ოპტიმისტურია, მას სჯერა, რომ ახალი თაობა, რომელიც ძალას იკრებს, არსენას საქმეს განაგრძობს. ამას გვეუბნება მარაბდაში მოგროვილი და ოძელაანთას თავმოყრილი ნათესაობა, რომელთაგან ზოგი არსენას თანამებრძოლი იყო, ზოგი კი ახლა ვაჟაკედება და საბრძოლო სულისკვეთებას ამჟღავნებს ამთავითვე. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრს გვეუბნება არსენას ვაჟის დათუნას საქციელი, რომელიც სულხანს მოსთხოვს მამისეულ დროშას...

ერთადერთი რამ ამ ნაწარმოებებში, რაც ჩვენს დაუკმაყოფი-

ლებლობას იწვევს, ესაა ის, რომ ავტორი ბოლო თავებში აჩქარებულობას იჩენს და ზოგიერთი პერსონაჟის მოქმედებაში ჩვენების ნაცვლად მხოლოდ აგვიწერს ან ჩამოთვლის მათ საქმეებს, რაც ნაწარმოების ამ ადგილებს სქემატურობის დასს ასვაძს. ამას ჩვენ გულისტკივილით აღვნიშნავთ.

„არსენა მარაბდელში“ მიხეილ ჭავჭავიძე იყენებს ბევრ საშუალებას, რომლითაც ახერხებს შექმნას დიდებული ნაწარმოები, ცოცხალი სურათებით დაგვიხატოს ის მდიდარი, რთული და მძიმე ამბები, რომელიც რომანის თხრობის ობიექტი ხდება.

მხატვრული აზროვნების ამ მრავალ საშუალებათა გამოყენება ჩვენში იწვევს ისეთ ასოციაციას, რომ მას ვადარებთ ნიჭიერი მხედართმთავრის მიერ ომში გამოყენებულ მრავალ ფანდსა და მანევრს, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი დანიშნულება აქვთ — ომის მოგება.

როგორც მხედართმთავარი ბრძოლის სხვადასხვა ფანდებს იყენებს ომის მოსაგებად, ისე მიხეილ ჭავჭავიძე იყენებს მხატვრული აზროვნების მრავალ ხერხსა და მანერას. ამით კი ყოველთვის ერთ მიზანს ისახავს — შექმნას დიდებული მხატვრული ნაწარმოები. ჩვენ სიამოვნებით ვასკენით, რომ ეს მიზანი მ. ჭავჭავიძის მიერ წარმატებით არის მიღწეული.

პირველი რევოლუციის ასახვა „ქალის ტვირთში“

ამ თემას ქართულ მწერლობაში დიდი ადგილი უკავია. ჩვენმა დიდმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა, აგრეთვე დრამატურგებმაც მონდომებითა და მრავალფეროვნად გააშუქეს პირველი ქარიშხლების ზათქითა და ქუხილით აღსავსე ამბები. იროდიონ ევლოშვილმა, ლეო ქიაჩელმა, შალვა დადიანმა და მრავალმა სხვა ქართველმა მწერალმა სხვადასხვა კუთხით და სტილით, სხვადასხვა ფორმითა და ენარით გაგვიცოცხლეს და თვალწინ დაგვიყენეს იმ ბობოქარი დროის ადამიანები და მათი საგმირო საქმეები. ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ადგილი მ. ჭავჭავაძის უკავია.

მ. ჭავჭავაძის მიერ, რუსეთის პირველი რევოლუციის მომსწრემ და მონაწილემ, ამ დიდ ისტორიულ მოვლენას მიუძღვნა არა მარტო ცეცხლოვანი პუბლიცისტური წერილები და კორესპონდენციები, არამედ რამდენიმე ნაწარმოებიც. ზოგი მათგანი თვით რევოლუციის დღეებშივე დაიწერა („ბაზარი“, „ოჯახი“, „ჩილდო“). ხოლო მწერლის უკანასკნელი რომანი — „ქალის ტვირთი“ გამოქვეყნდა 1936 წელს, როცა იმ მოვლენებიდან სამმა ათეულმა წელმა განვლო.

ცხრაასხუთისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები ჩვეა განხილული გვაქვს ნაშრომის იმ თავში, რომელსაც „ადრინდელი პუბლიცისტიკა“ ეწოდება, იქვეა საუბარი „ბაზარზე“ და „ოჯახზე“, ხოლო მოთხრობა „ჩილდო“ განვიხილეთ მწერლის პირველ მოთხრობებთან ერთად, ამიტომ მათ შესახებ განმეორებითი საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და ამ თავში დავჭერდებით „ქალის ტვირთის“ განხილვას, მით უმეტეს, რომ ეს რომანი უფრო ვრცლად და ამომწურავად აშუქებს დასახელებულ თემას.

რომანში ნაჩვენებია მოქმედება მიმდინარეობს საქართველო დედაქალაქ თბილისში. ყველა გმირი აქ მოქმედებს, ცხოვრობს, მოღვაწეობს, იბრძვის. მოქმედების დრო ზუსტად არის მინიშნებული რამდენიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტის ჩვენებით. ესაა 1905 წელი.

„ქალის ტვირთი“ ისტორიული რომანია. ეს აზრი ემყარება არა

მარტო იმ ფაქტს, რომ მასში დიდი ისტორიული მოვლენაა ასახული, დახატულია ცხრაასხუთის უდიდესი ამბები საქართველოსა და რუსეთში, არამედ იმასაც, რომ ნაწარმოებში მრავალი კონკრეტული ფაქტი, მოვლენა და ამბავი ისტორიული სიზუსტით არის ასახული და ამასთანავე მწერალს აქ გამოყავს რამდენიმე რეალური პირი, რომლებიც სინამდვილეში არსებობდნენ, მაშინ მოღვაწეობდნენ და რომლებიც გამოგონილ, მწერლის მიერ შეთხზულ პერსონაჟებთან ერთად მონაწილეობენ რომანის სიუჟეტის განვითარებაში. ნაწარმოების თემად ისტორიული სინამდვილის აღება, მისი ისე ასახვა, რომ ზოგჯერ დოკუმენტურობის სიზუსტეც კი შეიმჩნეოდეს. აღებული ეპოქის საერთო სულისკვეთების მართალი ჩვენება, კონკრეტული ეპიზოდების სინამდვილიდან აღება და მათი რეალისტური გადმოცემა — ყოველივე ეს „ქალის ტვირთს“ ისტორიულ რომანად ხდის. მასში ასახულია თუმც ახლო წარსულის მოვლენები, მაგრამ ისეთი, რომლებიც უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

„იმ დღეს ცაც კი აჯანყდა: უცებ ამღვრა, აფორიაქდა, ქექა-ქუხილით ჩამოსრიალდა მთაწმინდიდან და გაწეწილ-გაშმაგებული აღქაჭივით მიაწყდა ანდრო ახატნელის სამსართულიან სახლს....“¹ ამ სიტყვებით იწყება მ. ჭავჭავიძის რომანი „ქალის ტვირთი“ და ცისა და ბუნების ეს აჯანყება-აფორიაქება ნიშანდობლივ მიგვანიშნებს იმ შფოთსა და ჭანყზე, რომელიც ბუნებასთან ერთად საზოგადოებასაც მოსდებია და რაზეც რომანის მთელ სივრცეზე არის მოთხრობილი. მწერალი ასეთი შესავალით მკითხველს ამზადებს მომდევნო შფოთიანი ამბებისა და დღეების გასაცნობად. ეს აზრი რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს და ამიტომ პირველი სტრიქონები ლეიტმოტივის როლს ასრულებს.

იმ შფოთიან დღეს პირველად შეირყა და მერე ძირფესვიანად შეიცვალა რომანის მთავარი გმირის ქეთო ახატნელის ცხოვრება. რომელსაც მანამდე ნებივრობისა და უზრუნველობის მეტი არაფერი ენახა. ამოვარდნილი ქარი ქეთოს ოთახის ფანჯრებს მიაწყდა, შიგაც შეიქრა, ქაღალდები აუწეწა და მოსტაცა, ქეთო შეაშფოთა. ბუნების ეს მოძალეობაც ქეთოს წინააღმდეგ თითქოს სიმბოლურად მიგვანიშნებს გმირის მომავალ ბედზე, რომელიც საზოგადოებრივმა ქარიშხალმა განსაზღვრა...

¹ მ. ჭავჭავიძე, ტ. V, გვ. 7.

ასევე მიმნიშნებელი და სიმბოლურია რომანის პირველივე გვერდზე მწერლის მიერ დახატული ბუნების სხვა სურათიც, რომელიც გვაგულისხმებინებს ქეთოს მომავალ უბედურებას, დალუპვას: „ცაში კვლავ შფოთი იდგა. ღრუბლებს თითქოს დოღი გაემართათ: ნადირის მიერ დამფრთხალი ნახირივით მორბოდნენ, გამალებით მოერეკებოდნენ ერთმანეთს, ერთუროს მუჯღუგუნს უშენდნენ, მუსრავდნენ, ფხრეწდნენ, აფეთქებდნენ. აგერ განმარტობით თეთრი მარმარილოს კოშკი მისცურავს. კოშკის თავზე ყელმოღერებული თეთრი გედი წამომჯდარა... უკან პირდაღებული შავი ურჩხული მოსდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა, კიდეც დაეწია... კოშკი დაანგრია, გედიც ჩაჰყლაპა და თვითონაც ჩაიფუშა“¹.

ამ სურათის პირველი ნაწილით მწერალმა თვალწინ დაგვიყენა ცხრაასხუთის საზოგადოება, რომლის წევრებიც ერთმანეთს „მუჯღუგუნს უშენდნენ“, ერთმანეთს ზოცავდნენ. ხოლო ამავე სურათის მეორე ნაწილი, სადაც გედის დალუპვაზეა ლაპარაკი, ქეთოს ბედზე მიგვანიშნებს. ქეთოს ხომ გედს ეძახდა პოეტი ელიზბარ შუქურაული, თუმც შავ გედს, შაგრამ შაინც გედს, რომელიც ბოლოს დაილუპა.

და აი, ბუნების ამ ორომტრიალში, რომელიც ქეთოს ბინასაც მისწვდა, მწერალს რომანში შემოჰყავს მთავარი გმირი ქეთო ახატნელი, რომელსაც რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მრავალ სხვა ქალთან ერთად დიდი ტვირთის ზიდვა შეხვდა.

ნაწარმოების სათაურიც და რომანის მთელი განვითარებაც იმაზე მიუთითებს, რომ მწერალს ამ რომანში სწორედ ეს საკითხი აინტერესებდა — გაერკვია ქალის როლი, მისი ხვედრი, მისი ტვირთი იმ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ-პოლიტიკურ ამბებში, რომელსაც პირველი რევოლუცია ჰქვია.

აღსანიშნავია, რომ მწერალი რომანის დასაწყისში გმირს გვიჩვენებს სარკეში: ქეთო სარკეში იხედება, თავის ორეულს უყურებს და მკითხველიც ამ ორეულიდან ხედავს, რომ მას აქვს ხორბლისფერი მოგრძო სახე, სისხლით გატენილი წითელი ტუჩები, შიგნით მწკრივად ჩაწყობილი კბილები, მომხიბვლელი ღიმილი, ხშირი წაშწამებით დაბურული დიდრონი თვალები, მერცხლის ფრთებივით გაშლილი წარბები, ოდნავ კეხიანი თხელი ცხვირი, შავი უღრანი თმა, რომელსაც თეთრი ქათქათა ნასთიც ამშვენებს. ეს დეტალიც რომ სარკეში დანახულ ორეულს ვეცნობით და არა მის დედანს, მწერლის გარკვეული ხერხი გვგონია. ამით ავტორი კვლავ მინიშნე-

¹ მ. ჭავჭავაძის, ტ. V, გვ. 9.

ბას აკეთებს და გვაფიქრებინებს, რომ ქეთოს მონაწილეობა რევოლუციაში მისი გაორებითაა გამოწვეული, თვით ქეთო კი მაინც ახატნელად, ე. ი. თავისი კლასის პირმშოდ რჩება, რაც მას ლუპავს კიდევ...

ყველაფრით შემკობილ ქეთო ახატნელს, რომელსაც იმ დღეს ოცი წელი შეუსრულდა და დღეობის მოლოდინში იყო, არა მარტო ამოვარდნილი ქარი შეაშფოთებს, არამედ თოფის სროლის ხმაც და ბადრავს გამოქცეული ტუსალიც, რომელიც სამალავს ითხოვს. რომანტიკულად განწყობილი ქალი გაქცეულს თავის ოთახში მალავს, მდევარი ბინას გაჩხრეკავს და გადააქოთებს, მაგრამ დამალულს „ვერ პოულობენ“ მხოლოდ იმის წყალობით, რომ მდევრის უფროსი სანდრო კლიმიაშვილი იხსნის ქეთოს, რომლის მიმართაც სიმპათიითა და თბილი გრძნობებით არის განწყობილი...

ხელმეორედ პატიმრობას და ტუსალობას გადაარჩენილი ახალგაზრდა ვაჟკაცი ყოფილა ცნობილი რევოლუციონერი ზურაბ გურგენიძე, ზედმეტ სახელად ჭიჭი, რომელიც მეტეხში იჯდა და ახლა, დასაკითხად რომ მიჰყავდათ, მცველებს გაექცა. ასე შემოდის ნაწარმოებში მეორე მთავარი გმირი — ზურაბ გურგენიძე, რომელიც გამოჩენისთანავე ჩვენს თვალწინ აღსვეტება გმირად, ვაჟკაცად, გაბედულად, უშიშრად, ჭკვიანად, მოსაზრებულად, უებრო რევოლუციონერად.

როგორც ვხედავთ, მწერალმა რომანის ორივე მთავარი გმირი — ქეთო და ზურაბი — თვითეულისათვის შესაფერისი და შესატყვისი საქმეებითა და ფორმით შემოიყვანა ნაწარმოებში. ქეთო სარკეში იტკირება, თავისი სილამაზით ტკბება, დღეობისათვის ემზადება; ზურაბი კი პატიმრობას თავს აღწევს, გმირულად და უშიშრად გარბის ტყვეობიდან, მისთვის შესაფერ გარემოშია, თავის სტიქიაშია.

მოვლენების მომდევნო მსვლელობა და სიუჟეტის განვითარება მთლიანად ამ ორ გმირთან არის დაკავშირებული და იმ გარემოსთან, რომელშიც მათ უხდებოდა მოქმედება. ჩვენ ჯერ ამ ორ გმირს დავახასიათებთ, ხოლო ამის შემდეგ შევხებით სხვა საკითხებს.

ქეთო ახატნელი წარმოშობით თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნის. მისი ოჯახი თბილისში საკმაოდ ცნობილია შეძლებითაც და მდგომარეობითაც. ქეთოს მამა — ანდრო ახატნელი მემამულეა. სოფელში მას მამულები და ბალ-ვენახები იმუამადაც ბლომად გააჩნდა. თბილისში სამსართულიანი საკუთარი სახლი ჰქონდათ მდიდრულად მოწყობილი და გამართული. ანდრო საზოგადო მოღვაწეცაა, ჟურნალისტიცა. ის ადრე ილია ჭავჭავაძესთან ახლო მდგარა,

მერე ჩამოშორებია და სხვა ჯგუფს მიჰკედლებია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ საზოგადოებაში ცნობილი და რეაქციული შეხედულებებით. ქეთოს ოჯახური წარმოშობა არა მარტო მამით არის საინტერესო, არამედ ოჯახის სხვა წევრებითაც. ქეთოს დედა მარიამი ადრე საზოგადოებრივი საქმეებით გატაცებული ქალი ყოფილა, სხვადასხვა კლუბებსა და საზოგადოებებში ენერგიულად მონაწილეობდა და, დემოკრატიულად განწყობილი, ხალხისთვის საინტერესო საქმეებს აკეთებდა. არანაკლებ საინტერესოა ქეთოს ძმების დახასიათებაც: აკაკი პირწავარდნილი მენშევიკია, სტუდენტი ნიკო ბოლშევიკებთან ერთად იბრძვის თვითმპყრობელობის დასანგრევად, ხოლო ილიკო ახალი დროის იერემია წარბად გვევლინება — ლოთი-შფოთი, ავარა და ფუქსავატია. ამათ უნდა დავუმატოთ ქეთოს ბიძაშვილებიც — დიმიტრი და გრიგოლი, რომლებიც მათსავე სახლში ცხოვრობენ, ისინიც სხვადასხვა პარტიებს ეკუთვნიან, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები აქვთ და საზოგადოებრივი წყობის შეცვლის თვითნებური გეგმების განხორციელებას ცდილობენ.

ასეთ გარემოში აღიზარდა რომანის მთავარი გმირი — ქეთო ახატნელი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ანდრო ახატნელის ოჯახთან ადრე ახლო ურთიერთობაში იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე (ანდრომ მათ მოანათელიანა სამივე ვაჟი და მათი სახელები უწოდა იმის იმედით, რომ შვილები ნათლებს დაემსგავსებოდნენ), იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე, რომელნიც, ცხადია, გარკვეულ გავლენას მოახდენდნენ ახალგაზრდა ქეთოზე და ხელს შეუწყობდნენ მასში დემოკრატიული განწყობილებების გაღვივებას.

ქეთოს სულიერი განწყობილებების გეზზე ნაკლები გავლენა არ მოუხდენია აგრეთვე მისი ჰავშვობის ამხანაგსა და თანშეზრდილს, მეზობლის ქალიშვილს მართას, რომელიც მუშათა კლასის წრიდან იყო გამოსული და შემდეგში აქტიურ რევოლუციურ ბრძოლაში ჩაება. მართას ზეგავლენა ქეთოზე საკმაოდ ხელშეშეშებად მოჩანს მთელი რომანის მანძილზე, ამიტომ ამ მომენტის უყურადღებოდ დატოვება არ ივარგებდა.

როგორც ვხედავთ, ქეთოს შეგნებაზე თავთავის დროზე და გარკვეული ოდენობით გავლენას ახდენდა ოჯახი და თავად-აზნაურული გარემო, რაც ქეთოს თავადიშვილთა შთამომავალ და ფუფუნების მოყვარე ქალად ზრდიდა; მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც ქეთოს დემოკრატიულ განწყობილებებს უღვივებდა და სუ-

ლიერ საზრდოს აწვდიდა; მართა და მისი ამხანაგები, რომლებიც ქეთოს მუშათა კლასის ტკივილებს უმკლავებდნენ, რევოლუციისაკენ იზიდავდნენ და უსამართლობაზე დაფუძნებულ წყობილებას აძლევდნენ. ეს სამი წყარო ჩაედინებოდა ქეთოს გონებრივსა და სულიერ კურკელში, ავსებდა მას და ერთგვარ ნარევს ქმნიდა მასში...

ამ წინამძღვრებმა განაპირობეს ქეთოს ის რომანტიკული, გაბედული და რისკთან დაკავშირებული მოქმედება, რაც მან ჩაიდინა იმ დღეს, როცა ზურაბ გურგენიძემ მის ბინაში შეაფარა თავი და მღვერის ბორკილებს გადაურჩა. ეს დღე ქეთოს ცხოვრებაში მობრუნების, დიდი გარდატეხის მომენტიცაა, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, ქეთოში წინა ამბებს, ჩვენს მიერ დასახელებულ სამ წყაროს რომ არ მოეხდინა თანდათანობითი გარდაქმნები, რამაც თავადიშვილი დემოკრატიად და მერე რევოლუციის თანამგრძობ ადამიანად აქცია.

ისტორიულად ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დაუახლოვდა და მიეკედლა ინტელ გენციის საგრძნობი ნაწილი, განურჩევლად მისი გვაროვნული წარმოშობისა. ისიც ცნობილია, რომ უმრავლესობა რევოლუციას მამინევე ჩამოსცილდა, როგორც კი რეაქციის სუსხმა დაუბერა და მათი გასათუთებელი ორგანიზმი დაზრა. მცირე იყო იმათი რიცხვი, ვინც რევოლუციას ბოლომდე გაჰყვა და გამარჯვების საამაყო განცდა იგემა. ქეთო ეკუთვნის თავად-აზნაურული ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც დემოკრატიულმა განწყობილებებმა რევოლუციასთან მიიყვანა და ჩააბა ამ დიდ მოძრაობაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქეთო რევოლუციასთან არ მისულა წინასწარ შეგნებული გადაწყვეტილებით. ისე მოხდა, რომ იგი რევოლუციასთან შემთხვევით მივიდა. მართალია, იღუმალი ლტოლვა, ქვეშეცნული სურვილი და რომანტიკული — საგმირო საქმეებით ქალიშვილური გატაცება მასში უკვე თავს იჩენდა ხოლმე. მაგრამ რევოლუციასთან საქმით ქეთო მაინც იმ შემთხვევამ მიიყვანა, რომელიც უკვე აღვნიშნეთ — ზურაბთან შეხვედრის შემთხვევამ. ამას ხაზგასმით იმიტომ შევნიშნავთ, რომ ვფიქრობთ, მწერალიც განგებ იქცევა ასე, მიგვანიშნებს ამ შემთხვევითობას და გვაგრძნობინებს, რომ ქეთოს ეს ნაბიჯი მაინცდამაინც ბუნებრივი და წინასწარ ბოლომდე გააზრებული არ ყოფილა.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შემდეგში რევოლუციასთან ქეთოს დაახლოება ზურაბისადმი გაჩენილ სათუთ გრძნობასთანაც არის დაკავშირებული. ქეთო

მოიხიბლა ზურაბის ვაჟკაცობითა და სიძლიერით, სიმტკიცითა და გმირობით, შეიყვარა ეს ახალგაზრდა მებრძოლი და ამ გრძობამ შემდეგ ქეთოს მოსვენება აღარ მისცა. ზურაბისადმი ღრულვ მასში ბუნებრივად გადაიზარდა რევოლუციისადმი ღრულვაში, რადგან, ქეთოს გაგებით; ზურაბი და რევოლუცია განუყოფელი იყვნენ და, თუ ზურაბის ყურადღების დამსახურება უნდოდა ვინმეს, იგი ამის ღირსიც უნდა ყოფილიყო, ღირსი კი რევოლუციური თავდადებით შეიძლებოდა გამხდარიყო. ქეთოს ეს ვარაუდი მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. ეს მტკიცდება მოვლენების მომდევნო განვითარებითაც, როცა ზურაბი უპირატესობას მართას ანიჭებს. რადგან ის არის უფრო მტკიცე მებრძოლი და ნამდვილი რევოლუციონერი ქალი. ქეთოს ესმის ეს გარემოება და ხშირად გაბედულ ნაბიჯს უფრო ზურაბისთვის დგამს, ვიდრე რევოლუციური რწმენის საფუძველზე.

აღნიშნულმა გარემოებებმა ქეთო თანდათან იმ აზრამდე მიიყვანა, რომ მას შეუძლია გასწიოს დეკაბრისტების ცოლების ქაპანი, ანდა ივდითობა იკისროს. ამ ორში არჩევანი იმისდა მიხედვით გაკეთდებოდა, თუ მოვლენები როგორ განვითარდებოდა. და როცა ქეთო რწმუნდება, რომ ზურაბს მართა უყვარს, თვითონ კი ზედმეტია, იმ გადაწყვეტილებას იღებს, რომ ცოლად გაყვეს ეანდარმთა ოფიცერს ავშაროვს და აქედან ფარულად დაეხმაროს რევოლუციას და ზურაბს, ე. ი. ივდითობა ირჩიოს. ჩვენ შემდგომში დავინახავთ, რომ ივდითობასაც გმირობა სჭირდებოდა, რაც ქეთოს ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ქეთოს მერყეობას, რაც მისი კლასობრივი წარმოშობით, აღზრდით, გარემოთი და ამ ნიადაგზე ჩამოყალიბებული ხასიათით არის განპირობებული, მწერალი დროდადრო მიგვანიშნებს ხან თვითონ, ხან კი სხვა პერსონაჟების საშუალებით. მაგალითად, როცა ზურაბი თავის ამხანაგებს უამბობს, ქეთომ დღეს მადლი დამდო (რომ დამალა), ქეთოს ძმა ნიკოც კი ასე ამბობს: „ვიცი, გვიამბო, — გააწყვეტინა ზურაბს ნიკომ, — ქეთო შეგნებით ჩვენსკენ მოიწივეს, მაგრამ ორივე ფეხი ისევ თავის კლასში რჩება“. ვფიქრობთ, ზუსტი დახასიათებაა ქეთოს გაორებული ბუნებისა. ამავე აზრის დასამტკიცებლად შეიძლებოდა მეორე პერსონაჟის ნათქვამიც გამოგვეყენებინა: როცა ქეთო თავის დღეობაში მართას ეპატივება, ეს უკანასკნელი მოხდენილად უპასუხებს: „მჯერა, რომ თავმდაბალი ქალი ხარ და მკადრულობ. იმას კი აღარ ჰფიქრობ, რომ მე და შენო სტუმრები ერთ სუფრას ვერ მივუსხდებით. ხვალ ან ზეგ მათი ბანაკი უნდა ავაფეთქოთ, შენ კი გასურს ერთად გვაქეიფო“ ეს

ბოლო სიტყვები, სადაც მართას შეურიგებელი პოზიცია ჩანს, ამავე დროს ქეთოს გაორებულ ბუნებაზეც მიუთითებს.

ქეთოს ბუნებაზე, ახლანდელ განწყობილებაზე და მომავლის პერსპექტივაზე საკმაოდ ნიშანდობლივად თქვა პოეტმა ელიზბარ შუქურაულმა, რომელიც ქეთოს დღეობაზე თამადა იყო და ქეთოს ვრცელი სიტყვით მიმართა: „შენ შავი გედევით ზიხარ ბროლის ციხეში და გირჩევ ასეთ დროში გარეთ არ გამოხვიდე, თორემ ლაფში ფეხს გაისვრი და ველარ გაისუფთავებ, სული დაგიმდაბლდება და ველარ განიკურნები“. ეს გონებაარეული პოეტი თითქოს ყვავევით დასჩხავის ქეთო ახატუნელს, რომელსაც ენიშნა კიდევ ელიზბარის სიტყვები, რადგან თვითონაც იმ დღეს ღრუბლებში სწორედ გედი დაინახა, მაღალ კოშკში რომ იჯდა. ქეთო გაოცებულიცაა — ელიზბარს როგორ მოელანდა იგივე სურათით...

ელიზბარი განაგრძობს ქეთოსადმი მიმართვას, არიგებს მას და ჰკუხსაც ასწავლის: — „ეგ ზამბახი მკაცრ ქვიშაში ვერ იხვირებს. შენც მაგ ყვაველივით მაშინვე გახმები და გვიანდა იქნება ცრემლთა დენანი“. როცა მართამ და ნიკომ ამ სიტყვებზე გაიციინეს და ერთმანეთს გადახედეს, ელიზბარი მათ საპასუხოდ ამბობს: — „ვიცი, რატომ იცინით, შავი გედი კოშკის ქვემო სართულში ჩამოვიდა, უკვე კარებში დგას, გარეთ გამოსვლას აპირებს და ის კი არ იცის, რომ ფრთებსაც მოსტეხენ და მოღერებულ კისერსაც მოუგრეხენ. ბატონებო, მე პოეტი ვარ და მიწისძვრის შორეული გუგუნის მესმის. ღმერთო, იმ კოშკს ნუ დაგვინგრევე! ღმერთო, ქეთევანს იმ კოშკიდან ნუ გამოიყვან! ახლა ქეთოს ბრძოლის კიჟინა ესმის და ვაჟკაცივით უძგერს გული“.

ელიზბარის ეს გაფრთხილება, კოშკიდან გარეთ ნუ გამოხვალო, ე. ი. შენს წრეში იყავი, შენს ოჯახს უერთგულე და რევოლუციას ნუ აპყვებიო, ცხადია, იმას ემყარება, რომ ელიზბარი კარგად იცნობდა ქეთოს გენეალოგიასაც და პირადად მასაც, მაგრამ ელიზბარი თვითონ იყო გზადაბნეული, ყოველდღე ბინას იცვლიდა, თუმც. არავინ სდევნიდა, ამაზე უანდარამებიც კი იცინოდნენ და პოეტის ნაცნობ-მეგობრებიც. აბა ქეთო ასეთ კაცს რას დაუჯერებდა. ქეთო დასციინის კიდევ მას თავისი დღეობის სუფრაზე. როცა ნიკო ელიზბარს ენამწარედ ეკითხება, საიდან წარმოდგება სიტყვა ფუტურისტიო, ქეთო დაასწრებს და წამოიძახებს — ფუტუროლანო. ეს ელიზბარის დაცივნა იყო და იმის მინიშნება, რომ ფუტურო ხარო. სწორედ ამან ათქმევინა ელიზბარს, ახლა მჯერა, ბროლის კოშკიდან გამოსულხართ და ტლაპოში შეგიტოპიათო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ქეთოს ბუნება გაორებულია. ის ოცნებე-

ბით უფრო მივიდა რევოლუციასთან, ვიდრე რწმენით და შეგნებით. ეს ფაქტი კი თავის დაღს ასვამს ქეთოს ცხოვრების მომდევნო მსვლელობას. ქეთოს მერყევი ბუნება არა მარტო საზოგადოებრივი საკითხების მიმართ დამოკიდებულებაში იჩენს თავს, არამედ ინტიმურ, სასიყვარულო საკითხებშიც მელაგნდება: ის ამჩნევს, რომ მას ეტრფიან ეანდარში ავშაროვი, ოფიცერი კლიმიაშვილი, ვაჭარი წვერაძე, პოეტი შუქურაული და ხშირად აქვს ხოლმე ისეთი მომენტები, როცა არ იცის, ვის მისცეს უპირატესობა, რომელი მათგანი აირჩიოს. სიყვარულითაც ის ყოველთვის მერყეობდა ავშაროვსა და გურგენიძეს შორის, როცა მან ავშაროვს თანხმობა განუცხადა, ამაში მარტო იედითობის განზრახვა არ ყოფილა: მართასთან საუბარში მან აღიარა, არტემი მგონი მიყვარს კიდევო. ამავე დროს ის მართაზეც ექვიანობს, ზურაბი რად უყვარსო, მასში მეტოქეს ხედავს, თუმცა ზურაბისადმი სიყვარული ქეთოს ხელს არ უშლის, ზოგჯერ თავში ასეთი ფიქრიც მოუვიდეს: „ვინ მე და ვინ თავზე-ხელაღებული უსახლკარო გურგენიძე, რომელსაც საცაა დაიჭერენ და ციმბირში დააღობენ“.

ამ მერყეობის მიუხედავად ქეთომ შემდგომში ზოგჯერ ისეთი რამეც ჩაიდინა, რაც მას სახელს არ შემატებს. ოლონდ კი ზურაბი ნახოს, მას შეხედოს, მასთან განიცადოს ხორციელი ტკობა და ქეთოს სხვას არას დაგიდევს. ცხადია, ეს ხდება მერე და მერე, როცა ქეთოსთვის ზურაბი უსაზღვროდ საყვარელი მამაკაცი გახდა, ქეთო მისდა უნებურად, ძალზე დახლართულ და ძნელ გარემოში, კანონიერ ქმართან შეუღლების მეორე დღესვე, როცა ავშაროვის ცოლი ჯერ არც კი გამხდარიყო, ზურაბს ჩააბარებს თავის სისპეტაკეს...

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქეთო რევოლუციასთან მივიდა არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმითაც. ის მიიღობის ბობოქარ ქუჩებში, სადაც დემონსტრაციები ეწყობა და შეტაკებები ხდება. ქეთო ესწრება დაღუპული მუშის დასაფლავებას, რაც ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა რევოლუციონერ მუშებსა და პოლიციას შორის. ქეთო აქ რევოლუციონერებს — ნიკოსა და მართას ეხმარება, ზურაბის სიტყვითა და საქმით იხიბლება. ქეთო მოწმე ხდება იმ ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე მოხდა დემონსტრანტებსა და კაზაკებს შორის და ამ სისხლიანი ამბების შემდეგ კიდევ უფრო დიდი სიძულვილით განმსკვალდება მეფის ხელისუფლების მიმართ. შემდეგში ქეთო ასრულებს კომიტეტის დავალებებს და ბევრ საიდუმლოს მოპარავს ავშაროვს, რათა რევოლუციონერებს შეატყობინოს. ქეთო დიდ დახმარებას უწევს რევოლუციონერებს, წინასწარ აფრთხილებს მოსა-

ლოდნელი საფრთხის შესახებ, რითაც ბევრი მათგანი გადაარჩინა დაპატიმრებას. მანვე გადაარჩინა იარაღის საწყობიც.

რომანში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ, თუმცა ქეთო შემთხვევით მიეტმანა რევოლუციას, ისე რომ ცალი ფეხი მაინც თავისი კლასის ნიადაგზე უდგას და ვერ თმობს ფუფუნებასა და განცხრომით ცხოვრებას, მაინც ცდილობს მთელი არსებით ემსახუროს იმ ბობოქარ მოძრაობას, რომელსაც ზურაბ გურგენიძე, მართა, ლევანი, ნიკო, რაქდენი, თედო და სხვა მრავალი გაბედული მებრძოლი წარმართავს.

ქეთოს ბევრჯერ პქონია შემთხვევა, რომ საკუთარი თვალით დაენახა ამ მებრძოლთა გმირობა და მით მოხიბლულიყო. ჯერ კიდევ სასაფლაოზე გამართულ დემონსტრაციაზე, რომელიც მოკლული მუშის დასაფლავებაზე გაიმართა, ქეთომ დაინახა მუშათა შეკავშირება, მათი უშიშრობა იმ საფრთხის წინაშე, რაც იქვე ჩასაფრებული პოლიციისა და ჯარის ნაწილებისაგან იყო მოსალოდნელი. დაინახა აგრეთვე მუშათა ხელმძღვანელების — გურგენიძის და მისი ამხანაგების განსაცვიფრებელი მამაცობა, სიმართლე და იგრძნო მათი სიტყვის ძალა. ყოველივე ამან თავადის ასული ქეთევანი მებრძოლთა მიმართ კიდევ უფრო დიდი სიმპათიით განაწყობა.

ქეთო ხედავს და გრძნობს, რომ საზოგადოებაში დიდი ძვრები ხდება, რომ ინგრევა მეფის ტახტი და ხალხი სისხლს ღვრის, რათა თვითმპყრობელობის დაქვევა დააჩქაროს. ქეთო ხედავს, რომ ამ ბრძოლაში ჩაბმულან პატიოსანი ადამიანები, რომელთაც მკერდში გმირების გულები უძგერთ და ყოველივე ეს მასში გარდატეხას იწვევს. მერყეობა და ორჭოფობა, რომელიც მას მუდამ გააჩნდა, თანდათან ადგილს უთმობს რევოლუციურ მოძრაობაში მთელი არსებით გადაშვების სურვილს და დგება მომენტი, როცა ეს სურვილი სისრულეში მოყავს. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო ფაქტია ქეთოს გასვლა ქუჩაში, სადაც ბრძოლაა გაჩაღებული და საკუთარი თვალით ხილვა იმისა, თუ მანიფესტით მოტყუებულ ხალხს როგორ უსწორდებიან „პატრიოტები“ და კაზაკები, ჟანდარმები და სალდათები, რომლებმაც გოლოვინის პროსპექტი სისხლით შეღებეს. ქეთომ თავისი თვალთ ნახა ყოველივე ეს, მან ნახა, როგორ დახოცეს ქუჩაში მისი მეგობრები. ის აბიჯებდა გვამებზე, დასცქეროდა ერთმანეთში არეულ სისხლსა და ტვინს იმ ადამიანებისას, რომელთაც არაფერი დაუშავებიათ, რომლებიც იბრძოდნენ სიმართლისათვის ან უბრალოდ ქუჩაში გამოსულიყვნენ, რათა ამ დიდი მოვლენის მოწმე გამხდარიყვნენ.

ამ ხოცვა-ჟლეტას ქეთო ძლივს გადაურჩა. იგი ზურაბმა გადა-

არჩინა და სასტუმროს სარდაფს შეაფარა. ქეთოს არსება სულ სხვა გახდა ნანახისა და განცდილის შედეგად. იგი სიძულვილითა და ზიზლით აივსო მეფის ხელისუფლებისა და მისი დამქაშების მიმართ, სამაგიეროდ კიდეც უფრო შეიყვარა ამ ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი.

მართალია, სწორედ ამ სარდაფის ჯურღმულში ხდება გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი რამ, მაგრამ ამას თავისი ახსნა სჭირდება... მღვერებს გამოქცეულმა ქეთომ და ზურაბმა სარდაფის ყველაზე ბნელ კუთხეში ლეიბებს შეაფარეს თავი. მათ ხიშტებით ეძებდნენ მტრები, ისინი კი იწვნენ სამალავში სუნთქვაშეკრული. მტრის უკან გაბრუნების შემდეგ ქეთომ ზურაბს ჩააბარა თავისი სიქალწულე, რადგან იგი უყვარდა. ამ წყვილს შორის ნაზი გრძნობები და ურთიერთლტოლვა აღრევე ჩაისახა, მაგრამ მომხდარი ფაქტი, რასაკვირველია, სულაც არ ყოფილა წინასწარ განზრახული. ეს იყო საფრთხის აცილებითა და ერთმანეთთან ასე ახლოს ყოფნით გამოწვეული უსაზღვრო სიხარულის მოზღვაებისა და ახალგაზრდული ცეცხლის შედეგი.

რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ ეს არ მომხდარიყო, მაგრამ, რაც მოხდა, ისიც ბუნებრივია.

ერთადერთი, რაც ჩვენ ამ ეპიზოდიდან არ მოგვწონს, ეს ის საუბარია, რაც დამცხრალ წყვილს შორის გაიმართა. ქეთომ ზურაბის აღრე ნათქვამი გაიხსენა, რომ ყოველგვარ ხილს გეახლებით. რომელსაც შევხვდებითო, ზოგჯერ დამპალსაცო. ეს ნათქვამი არც აღრე ვარგოდა და არც ამ მომენტში, რადგან ძალზე უხამსად ეღერს, რაც ზურაბს არც ეკადრება და არც შვენის.

ქეთოსა და ზურაბს შორის ხორციელი კავშირის დამყარების შემდეგ ქეთო მეტი ძალით მიილტვის ვაჟისაკენ. მას ყავს კანონიერი ქმარი, მაგრამ მას ზურაბის ნახვა სურვილად გადაქცევია. ზურაბი კონსპირატულად ცხოვრობს, მასთან შეხვედრა ყველას აკრძალული აქვს, გარდა ერთ-ორი ამხანაგისა, მაგრამ ქეთოში ისე დიდია ზურაბის ნახვის სურვილი, რომ ის მალულად შიშველს ზურაბის სამყოფს, ნახავს, საყვედურებით აავსებს. კოცნის და კისერზე ეხვევა, მერე კი ყველაფერი თავისთავად ხდება... ქეთომ იცის, რომ ზურაბს მართა უყვარს. ის ამაში დარწმუნდა კიდეც, მაგრამ ზურაბისადმი ლტოლვა მასში დაუძლეველია. მას თავშეკავების უნარი სრულიად წაერთვა, რამაც დიდი ზიანიც მოიტანა: ქეთო ვერ ერევა პირად გრძნობას — ზურაბთან შეხვედრის სურვილს და მის იმ სადგომში, სადაც არალეგალური სტამბაც იყო მოთავსებუ-

ლი, კვლავ მივა საყვარელთან. მის კვალს მიყოლილი პოლიცია ზურაბსაც დააპატიმრებს და სტამბასაც ხელში ჩაიგდებს. ეს გამოიწვია ქეთოს ეინმა, პირადი სურვილის მაღლა დაყენებამ რევოლუციურ დისციპლინაზეც კი...

მოხდა უბედურება, რისი საბაბიც ქეთო გახდა. ყოველივე ეს ქეთომ მწარედ განიცადა. მასაც ძვირად დაუჯდა ეს ამბავი, რადგან ქმრის განრისხება გამოიწვია, რასაც ქალის დაპატიმრების განზრახვა მოყვა. როცა ავშაროვს თავისი საკუთარი ცოლი — ქეთო დასაპატიმრებლად მიჰყავდა, ეტლს ლევანი და ნიკო გადაუდგნენ, ავშაროვს ესროლეს და მოკლეს, მისმა მცველმა კი ლევანი და ნიკო. ქეთოს თვალწინ დახოცა და ასე დატრიალდა საშინელი ტრაგედია...

ქეთომ ვერც ივლითობა გასწია, რადგან ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე არ ეყო თავისი გაორებული ბუნების წყალობით, ვერც რევოლუციას გაუწია სამსახური ბოლომდე და, პირიქით, ზიანიც კი მიაყენა.

ანდრო ახატნელის ქალიშვილი მერეც ვერ იჩენს ნებისყოფას ავადმყოფობის გამოვლის შემდეგ ზურაბს საპატიმროში წერილებს უგზავნის. ეს არის მორწუნუნე ადამიანის წერილები, რომელიც პატივებს ითხოვს და რომელსაც არაფერი შეუძლია, გარდა ცრემლთა დენისა... ქეთო ზურაბს წერს, რომ ფეხმძიმედაა, მისი შვილის მამა. ზურაბია და არა ავშაროვი, რომ ბავშვს გაზრდის ზურაბის საყვარლისად და ა. შ.

როცა ზურაბს კატორღაში აგზავნიან და მართა მას მისდევს. კანონიერ ცოლად, რადგან ციხეში იქორწინეს, ქეთოს დეკაბრისტების ცოლების მაგალითი აგონდება და აღიარებს, რომ ამას თვითონ ვერ იზამდა, რადგან ძალ-ღონე არ ეყოფოდა. მართა კი მშვიდად და მტკიცე გადაწყვეტილებით მიყვება ზურაბს, რადგან იგი მისი ტოლია, მისი ცოლია.

ქეთოს ხასიათის მერყეობა ერთხელ კიდევ გამოჩნდა, როცა მან გააცილა ზურაბი და მართა და მარტო დარჩა თბილისის ვაგზლის ბაქანზე: ის ცდილობს კლიმიაშვილი მაინც დაიბრუნოს, მაგრამ მას ზურაგს შეაქცევინ. მერე ცდილობს შუქურაულის ყურადღება მაინც დაიმსახუროს. მაგრამ არც ეს გამოდის. მთავარი ის კი არაა, რომ ქეთოს ყველა ზურაგს შეაქცევს, რადგან დაინახეს, როგორ ჰკოცნიდა იგი ზურაბს გაცილებისას და ისიც იცინა, რა ურთიერთობა იყო აღრე მათ შორის, არამედ მთავარია ქეთოს განზრახვა — დაიბრუნოს რომელიმე ძველი თაყვანისმცემელი, რაკი ზურაბი წავიდა და მასზე იმედის დამყარება აღარ შეიძლება. ეს გადა-

წყვეტილება ამცირებს ქეთოს და ჩრდილს აყენებს მას. ცხადია, ეს ფაქტი მის ბუნებაზე მიუთითებს.

დაბოლოს, რაც მთავარია, ქეთო მტკვარში იხრჩობს თავს არა იმიტომ, რომ ზურაბი კატორღაში გაგზავნეს, არა იმიტომ, რომ ძმა მოუკლეს და ოჯახი ენგრევათ, არა იმიტომ, რომ თვითონ გახდა მრავალი უბედურების მიზეზი, არამედ ეფექტის გამო, რაც იმან გამოიწვია, რომ მისი თავმოყვარეობა შეილახა, როცა კლიმიაშვილებმა კარი მიუხურეს და სახლში არ შეუშვეს. გარდა ამისა, იმასაც მიხვდა, რომ ზურაბს ქეთოს წერილი მართასთვის უჩვენებია, რითაც მართა ყველაფერს გაიგებდა, გაიგებდა რომ ქეთოს შვილი არა ავშაროვისაგან შეეძინებოდა, არამედ ზურაბისაგან. ქეთომ საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და ამის შემდეგ „ქეთომ თვითონაც არ იცოდა, რად და როგორ გაჩნდა მტკვრის ნაპირას“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითმკვლელობის ფაქტი. რაც ქეთომ ჩაიდინა, მის უნებისყოფობაზე მიგვითითებს. რევოლუციონერის საკადრისი ქმედობა როდია თავის დახრჩობა.

ქეთოს ტრაგედია ის არის, რომ იგი რევოლუციონისათვის გარედან მისული სტუმარი იყო და არა საკუთარი წევრი, როგორც მართა დოვლათაშვილი. მისი თავადიშვილური წარმოშობა, აღზრდა და ხასიათისა თუ თვალთახედვის ჩამოყალიბება იყო იმის მიზეზი, რომ ქეთომ ვერ შეძლო რევოლუციის მძიმე ტვირთის ზიდვა, როგორც ეს მშრომელთა კლასიდან გამოსულმა მართამ შეძლო.

ქეთოს ხვედრი იმ ადამიანების ხვედრია, რომელთა მსგავსნი 1905 წლის რევოლუციაში მრავლად იყვნენ და რომელნიც რევოლუციის აღმავლობისას აყვნენ ფეხის ხმას, მაგრამ როგორც კი სუსხი იგრძნეს, უკან დაიხიეს, რევოლუციას გაუდგნენ ან ჩამოსცილდნენ, ანდა დაილუპნენ. ამ კატეგორიის ადამიანები უმეტესად თავად-აზნაურული ინტელიგენციის წრიდან იყვნენ გამოსულნი ისევე, როგორც ქეთო ახატნელი.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ ქეთო თავად-აზნაურული წარმოშობისაა. ეს წარმომავლობა განსაზღვრავს მის სისუსტეს. მერყევ და გაორებულ ბუნება-ხასიათს. ასეთი ხასიათი რევოლუციონისათვის შეუფერებელია. ქეთო რევოლუციას მიეკედლა და არკი შეეთვისა. ქეთომ ვერ ზიდა ის ტვირთი, რომლის წამოკიდებაც სცადა, რადგან ეს მისთვის არაბუნებრივი იყო. ქეთო ილუპება, მძიმე ტვირთის ქვეშ ისრისება. ეს კი ლოგიკური დასასრულია და, ამდენად, მწერალმა სრული სიმართლით და დამაჯერებლად დაგვიხატა ამ გმირის ბედი და თავგადასავალი.

ქეთოს საპირისპირო, მონოლითური და გაუბზარავი ხასიათის

ქალია მართა დოვლათაშვილი, რომელიც მშრომელთა წრიდან გამო-
სული, შრომისმოყვარე, პატიოსანი, ამტანი, მტკიცე, ერთგული და
გმირული სულის ადამიანია. მართას ტვირთი უფრო მძიმე იყო,
ვიდრე ქეთოსი, მაგრამ მას არსად ამოუკენესია, არ დაუგმინია და
წელში არ გაღუნულა.

მართას ერთადერთი ძმა ყავს — ლევანი, რომელიც მთელი არ-
სებით რევოლუციას ემსახურება და ზურაბ გურგენიძის ყველა გან-
ზრახვისა და ჩანაფიქრის განმახორციელებელია. ლევანის ღირსეუ-
ლი და მართა მხარში ამოსდგომია მებრძოლ ვაჟკაცებს და ზოგჯერ
იმდენ მხნეობას, მოსაზრებულობას და მოქნილობას იჩენს, რომ მა-
მაკაცებსაც შეშურდებათ.

მართა მომხიბვლელი გარეგნობის ქალიშვილია. მას უყვარს
ოჯახური კოპწიაობა, მის ბინაში ყველაფერს ქათქათი გაუდის. მარ-
თა ქარგავს, კერავს, მუშაობს, სხვებსაც ასწავლის ხელაქმეს და
ამავე დროს დაუღალავად იბრძვის ქვეყანაზე სამართლის დამყარე-
ბისათვის.

სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც მუშებისა და პოლიციელებ-
ის შეტაკებით დამთავრდა, პოლიციელებმა მართას ბეჭებზე მათ-
რახები დაუშინეს, კაბა გაუხიეს. ნაცემი ადგილებიდან ქალს სისხ-
ლი გადმოდინდა, მართა გამხეცებულ პოლიციელს, რომელიც ცხენ-
ზე იჯდა და იქიდან უშენდა მათრახს, ზიზლით უყურებდა, მტრული
თვალებით ბურღავდა, მაგრამ კენესა კი არ დასცდენია, რადგან არ
უნდოდა მტერს მისი სისუსტე დაენახა. მართა შინაგანი სულიერი
ძალების დაძაბვით იკავებს თავს და ცრემლს არ აჩვენებს გამხეცე-
ბულ მტერს. ეს ამბავი ქეთოში გაოცებას იწვევს. ის სავსებით შე-
იცივნობს მართას და თავის თავს რომ აღარებს, რწმუნდება მართას
უპირატესობაში.

მართა მთლიანი ბუნებისა და მტკიცეა არა მარტო ბრძოლაში,
არამედ სიყვარულშიც. მას რამდენჯერმე აგრძნობინა ნიკომ, რომ
უყვარს, ქეთოც მიუგზავნა, მაგრამ მართა თავაზიან უარს ეუბნება
რადგან მას ერთი უყვარს, იმ ერთს ეკუთვნის, იმ ერთისათვის
უცემს გული და სიცოცხლეს მისთვის აქვს განკუთვნილი. ეს ერთია
ღირსეული რაინდი ზურაბ გურგენიძე.

მართამ საქმით დაამტკიცა თავისი ერთგულება ზურაბისადმი
არა მარტო იმით, რომ უხმოდ იტანდა და უშფოთველად ხვდებოდა
ზურაბის დროებით გატაცებას, ქეთოთი, რასაც იგი ქალური გუმან-
ით და თვალთ ამჩნევდა, არამედ უფრო მეტი თავგანწირვით —
მეტეხში მჯდომ ზურაბს, როცა ის უკვე კატორლაში წასაყვანად

იყო გამზადებული, მართა მხარში ამოუდგა, ტუსაღზე დაიწერა ჯვარი და გადასახლებაშიც თახ წაყვა.

მწერალი მართას გვიხატავს ისეთი მშვიდი და აუღელვებელი თვისებების მქონედ, ისეთ გამპკრიახად, ისეთ მოზომილად, ისეთ ვაჟაკურად, რომ მკითხველს სჯერა მართასი, სჯერა, რომ იგი გადასახლებაშიც გმირულად მოიქცევა. ზურაბს ხვედრს შეუშსუბუქებს. ისინი იქაც არ ისხდებიან გულხელდაკრეფილნი და რევოლუციურ ბრძოლას განაგრძობენ.

რომანის სახელწოდება „ქალის ტვირთი“ არა მარტო ქეთოს ტვირთზე მიუთითებს, უფრო სწორად, არა იმდენად ქეთოს ტვირთზე მიუთითებს, რამდენადაც მართას ტვირთზე. და როდესაც ჩვენ ამ ორ ქალს ერთმანეთს ვადარებთ, მათ შორის დიდ სხვაობას და კონტრასტს ვხედავთ. ჩვენი ფიქრით, მწერალი სწორედ იმიტომ ხატავს ამ ორ, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ქალის ტიპს, რომ შედარების საშუალება მოგვცეს და ამის საფუძველზე სათანადო დასკვნაც გამოგვატანინოს.

ეს დასკვნა კი შემდეგია: მშრომელი ადამიანები, მათი წრიდან გამოსული ქალები იყენენ რევოლუციის ერთგული ჯარისკაცები. სწორედ ისინი არყევდნენ თვითმპყრობელობის ბურჯებს. სწორედ ისინი იბრძოდნენ უშიშრად, იტანდნენ რეაქციის მხეტურ ძალადობას და წელში არ იღუნებოდნენ, ისინი იტანდნენ საპატიმროებსა და კატორღების არაადამიანურ პირობებს და მაინც სულით არ ეცემოდნენ. რაც შეეხება ქეთო ახატნელს და მის მსგავს უხერხემლო ინტელიგენტებს, ისინი მალე შეუშინდნენ რეაქციის სუსხს. ვერ გაუძლეს მას და დაეცნენ...

ამ ორი ქალის დაპირისპირებით მწერალმა მშრომელთა კლასების უპირატესობა დაგვანახა, გვიჩვენა მათი ხასიათის მონოლითურობა, ამტანობა, ერთგულება და თავდადება.

ცხადია, როცა „ქალის ტვირთზე“ ვლაპარაკობთ, ის აზრი გვიპყრობს, რომ მართამ ბოლომდე ერთგულად და წელში გაუხრელად ზიდა თავისი დიდი ტვირთი, ის არის გმირი, ისაა მტკიცე ხასიათის, მებრძოლი სულის ქართველი ქალი, ისაა ქების და დიდების ღირსი, ის არის შარავანდედით მოსილი ქალი, რომელშიც თავმოყრილია ქართველი დედის მრავალი საუკეთესო თვისება, რომლებიც ქართველის დედებს გააჩნდათ.

მართა შესანიშნავი სახეა მათ შორის, რომლებიც ქართულმა ლიტერატურამ შექმნა მე-20 საუკუნეში. ის გვერდში უდგას ძველი და ახალი ქართული მწერლობის მიერ შექმნილ ქართველ ქალთა

მომხიბლავ სახეებს და აგრეთვე რევოლუციის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში გამოკვეთილ მებრძოლ ქალთა სახეებს.

თუმცა რომანის პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე სიუჟეტის განვითარების ხაზი ქეთო ახატნელს მისდევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში ასახული მთავარი მოვლენების აქტიური მონაწილე, სული და გული ზურაბ გურგენიძეა, რომელიც აქ დახატულია მგზნებარე ბოლშევიკად.

მწერალი ზურაბ გურგენიძეს გვიხატავს ისეთი თვისებებით შემკობილს, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში იგი ისე მოქმედებს. რომ მკითხველი ამ გმირის მიმართ თავიდანვე სიმპათიით იმსკვამლება და იყვარებს მას.

გავიხსენოთ მისი პირველი გამოჩენა. იგი მეტეხის ციხიდან დასაკითხავად მიჰყავდათ და მცველებს გაქცევა ვაჟკაცურად იგერიებდა მდევარს, რომელიც ესროდა და რომელსაც თვითონაც სროლით უკუაქცევდა. ხოლო მაშინ, როცა მეზობელ ოთახში სალდათები მას იარაღმომარჩევბული დაეძებენ და მისი სიცოცხლე ბეწვზე კიდია. ქეთოს ოთახში თავშეფარებული მაგიდაზე გადაშლილ შელლის წიგნს ათვალეირებს. რა გმირული სული, რა ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე უნდა ჰქონოდა ზურაბს, რომ ასე მოქცეულიყო. რომ ასეთ მომენტში სიმშვიდე, თავმოყვარეობა და ღირსება შეენარჩუნებინა! როცა მდევარი წავიდა და ქეთომ გაოცება გამოთქვა, ზურაბმა მშვიდად უპასუხა: რომ ვენახეთ, იმას მაინც ვერ იტყოდნენ, რომ ქალის კაბებში იმალებოდაო.

აღებულ სიტუაციაში, აღებულ გარემოში ამაზე ფიქრი მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, ვისაც ღირსება და სიმამაცე არასოდეს არ ტოვებს.

იმვე დაძაბულ ვითარებაში, როდესაც საშიშროება ჯერ კიდევ მთლიანად არ გამქრალიყო, ზურაბი ქეთოსთან საუბარში ამჟღავნებს ნაკითხობას, ლიტერატურისადმი სიყვარულს, რაც აგრეთვე მას დადებითად ახასიათებს. აქვე ზურაბმა მოახერხა, რომ წიგნში. რომელიც ალბათ მის შემოჭრამდე ქეთოს ეჭირა ხელში და რომლის წაკითხვასაც ქალი ალბათ მიუბრუნდებოდა, ჩაედო ბარათი, რომელშიც მართასადმი დავალება იყო, რომ ვაშლები ლპება (ე. ი) ყუმბარებს საფრთხე მოელის) და სხვა ადგილას შეინახეთო. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, იმ რთულ ვითარებაში აუღელვებლად და მოფიქრებულად ჩადენილი. ზურაბს ჩვენს თვალში ამადლებს და გმირად აქცევს.

ზურაბი მწერალს დახატული ყავს როგორც უშიშარი რაინდი რევოლუციისა, შეუპოვარი და თავდადებული მებრძოლი. ის მტრე-

ბის მიმართ დაუნდობელია, მეგობრისადმი სათუთი გრძნობებითაა გამსჭვალული, იცის როდის როგორი ტაქტით მოიქცეს, როგორ „გააცუროს“ გამოძიებელი ან ჯაშუში, რომელიც მას დასდევს, ხან კი როგორ გადავიდეს შეტევაზე და როგორ დაახვეწინოს უკან მოწინააღმდეგეს.

გავიხსენოთ, როგორ უპასუხებდა იგი ავშაროვს დაკითხვაზე. როგორ აღვილად ხედებოდა ავშაროვის ყოველ ხრიკს, რომელიც მისთვის მახის დასაგებად იყო გამიზნული, როგორ ჩაუშალა ავშაროვს ყველა განზრახვა და პირიქით შეუტია, რადგან გამოძიებელს სუსტი ადგილები მოუსინჯა და ბევრ რამეში დაიჭირა.

ზურაბი უშიშარია იარაღით ხელში მის წინააღმდეგ მოსული მტრის წინაშეც. დაუფიწყარი და მომხიბლავია ის სცენა, როცა მიტინგზე ზურაბი მგზნებარედ, დამაჭერებლად, ყუმბარასავით მგრვეინავი ხმით ლაპარაკობს და პროლეტარიატს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. იქვე ცხენოსანი პოლიცია და კახაკთა რაზმი უტევს მიტინგის მონაწილეებს, მაგრამ ზურაბი უშიშრად განაგრძობს სიტყვას. მეგობრებმა ის ძლივს გააცილეს იქაურობას.

ქეთოს ახსენდება ადრინდელი ზურაბიც, როცა დროშით ხელში დემოსტრაციაზე უშიშრად მიაბიჯებდა და, თუმც საფრთხე ელოდა, დროშა ხელიდან მანაც არ გაუგდია და ლომივით იბრძოდა ქუჩის ბრძოლაში ჯალათების წინააღმდეგ.

გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ სისხლისღვრაშიც ზურაბი უშიშარი და მამაცი მებრძოლია, მან არ იცის უკან დახევა, ის მუდამ ხალხთანაა, მზადაა სიცოცხლეც გასწიროს, თუ რევოლუცია ამას მოითხოვს.

ზურაბი შეურიგებელი და პრინციპულია პარტიულ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაშიც. არა ერთი კრება და სხდომაა რომანში ნაჩვენები, სადაც მენშევიკები და სხვა ჯგუფები ბოლშევიკების თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოდიან, მაგრამ ზურაბი ყოველთვის თანმიმდევრულად იცავს ბოლშევიკების თვალსაზრისს, მისი სიტყვა დამაჭერებელია, დასაბუთება, რაც მოვლენების სწორ ანალიზს ემყარება, უტყუარი და ლოგიკურია.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის გამო გამართულ მიტინგზე, რაც გოლოვინის პროსპექტზე მოხდა — ოპერის აივნიდან პარტიული ლიდერები ხალხს მიმართავენ. მენშევიკები, აკაკი ახატნელი, ხალხს გამარჯვებას ულოცავენ და ბრძოლის შეწყვეტსაკენ მოუწოდებენ. ზურაბი კი ამ ტრიბუნიდან მჭექარედ და დიდი დამაჭერებლობით განუმარტავს ხალხს, რომ ეს ბრძოლის მხოლოდ

დასაწყისია, რომ ეს მცირე დათმობა მეფეს და თვითმპყრობელობას ხალხმა ძალითა და ბრძოლით წაგლიჯა, რომ მომავალში უნდა მოხდეს შეტევა, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

ზურაბის ეს სიტყვა სავსებით სწორად გამოხატავდა ბოლშევიკთა თვალსაზრისსა და პოზიციას.

ზურაბი მიმზიდველი ორატორია. მას არ ახასიათებს ცრუ ორატორთა ყალბი პათოსი და მანქვა-გრეხა. მისი სიტყვის ძალა სიმართლეშია, უბრალოებასა და სისადავეშია ქალთა საკითხზე გაკეთებულ მოხსენებაში ზურაბმა მოხიბლა არა მარტო ქეთო, რომელიც იმ კრებას დაესწრო, არამედ ყველა დამსწრე — ისე ნათლად განმარტა საკითხი, ისე ღრმად ჩაახედა მსმენელები მის არსში. როცა ქეთო ზურაბის ამ სიტყვას ადარებს სხვაგან მოსმენილ ლექციებსა თუ მოხსენებებს, რწმუნდება, რომ სხვა ორატორები წარმატების გამარჯვების მოპოვებას გარეგნული საშუალებებით ლამობდნენ. ზურაბმა კი წარმატება საკითხის ღრმა ცოდნით, სადა და მოზომილი ტონითა და სტილით, სიმართლითა და შინაგანი რწმენით მოიპოვა. ეს დიდი ღირსებაა.

ზურაბი თავისი საქმის ერთგულია, თავდადებული მებრძოლია. მისთვის არ არსებობს სხვა მიზანი, გარდა რევოლუციის გამარჯვებისა, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისა, სიმართლის გამარჯვებისა. ზურაბს თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე ზვარაკად მიუტანია რევოლუციისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის, თვითმპყრობელობის დამხობის საქმისათვის...

ზურაბი ნიჭიერი ორგანიზატორია. იგი თავის გარშემო იკრებს ერთგულ და თავდადებულ მებრძოლებს, როგორცაა რაქდენი, ლევანი, თედო, ნიკო და სხვა მრავალი. მათ აძლევს დავალებებს, ამუშავენს და თვითონაც თავდაუზოგავად მუშაობს დღე და ღამე. მან არ იცის ძილი და შიმშილი, დარი და ავდარი, დასვენება და საკუთარ თავზე ფიქრი.

ხალხის შეიარაღება, სტამბის ორგანიზაცია, პროკლამაციების ბეჭდვა, ცეცხლოვანი სიტყვების წერა და რევოლუციის გამარჯვებისათვის სხვა მრავალი წვრილმანი თუ სხვილმანი საქმის გაკეთება ზურაბს ახასიათებს რიგორც შესანიშნავ მებრძოლსა და ხელმძღვანელს.

თბილისში მომხდარი რევოლუციური ამბების ყველა ძაფი ზურაბთან მიდის, ის წარმართავს რევოლუციის ძალებს, ის ასრულებს ბოლშევიკთა კომიტეტის დავალებებს, ის არის კომიტეტის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად გატარების ორგანიზატორი, დეტალების დამზუსტებელი, დავალებათა გამანაწილებელი, შესრუ-

ლების სულისჩამდგმელი, მებრძოლთა აღმაფრთოვანებელი, ახალი გეგმების დამსახველი და ყველაფრის თავი და ბოლო.

ბორჯომელი მუშის შვილი ზურაბ გურგენიძე მთელი არსებით რევოლუციას და მშრომელთა კლასებს ეკუთვნის. მისი ინტიმური ცხოვრება იმით ამოიწურება, რომ უყვარს მართა, რომელსაც ზურაბი მთელ ქვეყანას უჩრჩევნია. ზურაბი იშვიათად პოულობს დროს და მოკლას, რომ საყვარელი და უძვირფასესი ადამიანი ნახოს. მასთან ორიოდე წუთი დაჰყოს. მართალია, ზურაბს ერთ ხანს ქეთოს მიმართაც შეეპარა სიყვარულის გრძნობა და იყო მომენტები, როცა ის ამ ორ ქალს ერთმანეთს ადარებდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ქეთომ მისგან მეტი მოითხოვა, ზურაბი გამოერკვევა და საკმაოდ მკვახედ და მტკიცედ აგრძნობინებს, რომ მართა სულ სხვაა, მხოლოდ ისაა ზურაბის სულის სწორი. მართასა და ზურაბს შორის ბზარი ნიკოს მიერ მოწყობილმა ინტრიგამაც ვერ გააჩინა, თუმცა ამ უკანასკნელმა ვერაგულად დააყენა მართა თავს. როცა ზურაბი და ქეთო ერთად იყვნენ... ზურაბი მართას შეუუღლებდა და გადასახლებაშიც ერთად მიდიან. ზურაბმა მართასაგან ეს მსხვერპლი იმიტომ მიიღო, რომ იგი მიაჩნდა თანაზიარად, თანამებრძოლად, მეუღლედ და ყველაზე ახლობელ ადამიანად.

არც ციხეში, არც მოსალოდნელი სიკვდილის წინაშე, არც გადასახლებაში გაგზავნისას ზურაბს სიმხნევე და იმედი არ ტოვებს. ის არასოდეს არ წუწუნებს და არ მოთქვამს და, როცა თითქოს ყველაფერი დამთავრებულად უნდა მიეჩნია, მაშინაც კი ხელ-ფეხზე ბორკილდადებული მომავალი მოქმედების გეგმას ადგენს.

კატორღაში მიმავალი ზურაბი მის სანუგეშებლად მოსულ ქეთოს პირიქით ამშვიდებს და დარწმუნებით ამბობს, მე იქ დამდგომი არა ვარ, ისევ მალე გნახავთო. ამ გაცილების მომენტიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი ასეთი დეტალი: ქეთომ ზურაბს თეთრი აბი გაუწოდა და უთხრა, გქონდეს, ვინ იცის, რა დროს დაგვირდესო.

„ზურაბმა დახედა და გაოცებულმა ჰკითხა:

— ქინაქინი ხომ არ არის?

— არა, ის არის... დარიშხანია. იქნებ დაგვირდეს-მეთქი.

ზურაბმა ჩაიცინა, აბი დაფშვნა, ვაგონის ქვეშ ჩააბნია და ქეთოს უსაყვედურა:

— აკი ვითხარი; ჩვენი ჭიშისა არა ხარ მეთქი. შხამი მტრისას იყოს. რა ჩვენი საქმეა ვინც თავს იკლავს, ის ჩვენი ოჯახისა არ ყოფილა“ (გვ. 335).

ზურაბი სალი კლდისგანაა ნაგები, მან არ იცის სისუსტე, მას არასოდეს ლალატობს ნებისყოფა და ქეთოს მიერ შემოთავაზებული

საშუალება (ვითომ ტანჯვისაგან თავის დასაღწევი) მას სასაცილოდ მიაჩნია.

მართალია, ზურაბის მრავალი ამხანაგი ბრძოლაში დაეცა, მართალია, რევოლუციის საქმეც უკან წავიდა და რეაქციის ძალებმა შემოტევა იწყეს, მართალია, ზურაბიც ბორკილგაყრილი გაუყენეს კატორღის შორეულსა და მძიმე გზას, მაგრამ მკითხველს გადაედო რწმენა, რომელიც ამ გმირს არასოდეს არ ტოვებს, რწმენა, რომ ის დაბრუნდება, მართაც მასთან ერთად იქნება, კვლავ შეუტევენ თვითმპყრობელობას და დაამხოვენ მას. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, მკითხველის რწმენით, სწორედ ზურაბებმა და მართებმა, მათმა მსგავსმა ვაჟაკებმა და ქალებმა მოიზოვეს. რომანში ეს გმირი ისეა დახატული, რომ მკითხველს შეუძლია მომავალში იგი წარმოიდგინოს ოქტომბრის ბარიკადებზე, სმოლნში, პეტერბურგში. მოსკოვში, თბილისში წითელი დროით. მასების ბრძოლისა და შრომის სათავეში.

რომანის მთელ მანძილზე მწერალმა ზურაბ გურგენიძე და მისი მეზობელი ამხანაგები ისე დაგვიხატა, რომ განგვაცდევინა ბრძოლის მიზანი, მისი სიდიადე და რომანტიკა. მწერალმა გვიჩვენა, რომ პირველი რევოლუციით მოპოვებული წარმატებების სულისჩამდგმენი და საკუთარ მხრებზე გადაბრუნებული იყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც მუშათა კლასს უდგნენ სათავეში და რომელთაც მიყვებოდა ეს კლასი.

რომანში მთავარ გმირთა გვერდით მწერალს გამოყავს რევოლუციურად განწყობილი მასა, რომელიც, მთლიანად აღებული, შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების უმთავრეს გმირად, რადგან მისი მღელვარება და მოქმედება, ბრძოლა და შრომა ავსებს რომანის შინაარსს. ეს მასა ნაწარმოებში ფონს კი არ ქმნის, უსახო და უფორმო კი არ არის, არამედ ცოცხალი და ხელშესახებია. ამ რევოლუციურად განწყობილი მშრომელების ცოცხალი და სახელოვანი წარმომადგენლები ისე გამოკვეთილად და ხორცშესხმულად არიან დახატული, რომ ისინი დაუფიქსარნი რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. ესენი არიან სტუდენტი ნიკო, ასოთაშეყოფი რაჟდენი, ხელოსანი ლევანი, მუშა თედო და სხვები, რომლებიც იმ ბოზოქარი მასის დაწინაურებულ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი მხარში უდგანან ზურაბ გურგენიძეს, ე. ი. ბოლშევიკთა კომიტეტის ნება-სურვილს ასრულებენ. ისინი სიცოცხლის საფრთხეში ჩადგების რისკით უსწორდებიან რეაქციის ძალებს, ისინი აფრიალებენ წითელ დროშებს, ისინი იარაღით ხელში იბრძვიან და სისხლს ღვრიან. ისინი ბექდავენ პროკლამაციებს, ისინი გუშაგობენ მუშათა უბნებს, ისინი-

ნი მიდიან დემონსტრანტთა სათავეში, ისინი იბრძვიან სიცოცხლის დაუზოგავად.

მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის თეორიით შეიარაღებულ მწერალს, რომელიც ამავე დროს აღქურვილი იყო ასასახი სინამდვილის ღრმა და ზედმიწევნითი ცოდნით, შეეძლო ასე მართლად და ხელშესახებად ეჩვენებინა ის დიდი მოვლენები, მათგან გამოცალკევებინა მთავარი და დამაბასიათებელი და თხრობა თუ ჩვენება ისე წარემართა, რომ ეპოქის მაგისტრალური ხაზი, მისი მთავარი მაჯისცემა სწორად შეეგრძნო მკითხველს.

რომანის ისტორიულობას, მასში ასახულ მოვლენათა რეალურობის, ცხოვრებასთან მათი სიახლოვის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს და ამტკიცებს მწერლის მიერ ნაწარმოებში კონკრეტული ისტორიული ფაქტების შემოტანა და ისტორიული, სინამდვილეში არსებული კონკრეტული პირების შემოყვანა.

ისტორიული მოვლენების რომანში შემოტანის თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი: რუსეთ-იაპონიის ომი, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი, ქუჩის ბრძოლები, დემონსტრაციები თბილისში, დემონსტრანტების დახვრეტა გოლოვინის პროსპექტზე და ქალაქის მმართველობის შენობაში, „პატრიოტებისა“ და „ქემმარიტი რუსების“ გამოხდომები და სხვა მრავალი, რასაც იმდროინდელ თბილისში ჰქონდა ადგილი.

ავიღოთ ზოგი მათგანი და განვიხილოთ ცალ-ცალკე.

აი, როგორ აღწერს მწერალი თბილისურ პირველშისობას, რომელიც ქეთო ახატნელს გაახსენდა ზურაბთან პირველად შეხვედრისას: „...თითქმის ცარიელი ქუჩა თხუთმეტ წუთში უცნაური ხალხით გაივსო. ყველანი ისე დადიოდნენ, თითქოს სეირნობდნენ და თანაც ერთმანეთს ჩურჩულოთ თითო-ოროლა სიტყვას ესროდნენ და თვალებით რაღაცას ანიშნებდნენ. უცებ ერთი ჯგუფი ქუჩაში გავარდა. იმავე წუთს დროშაც აფრიალდა, მარსელური აგუგუნდა და ათასიოდდე ქალ-ვაჟმა იხუვლა და იმ ჯგუფს სალტესავით შემოეკრა...“

იქვე ეზოებიდან და ვიწრო ქუჩებიდან პოლიციელები, მეეზოვეები, ცხენოსანი ჟანდარმები და ყაზახები გამოცვივდნენ და ატყა-და ცემა-ტყევა, კომბლების ჩახა-ჩუხი და მათარახების სივილი.

ბაირალი ირხეოდა, ვარდებოდა, მაგრამ ხელახლა სწორდებოდა და წინ მიიწევდა. მისი გულისათვის მძაფრი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა...“¹.

¹ მ. ჯავახიშვილი, ტ. V, გვ. 17.

რუსეთ-იაპონიის ომი რომანში რამდენჯერმეა ნახსენები. ჯერ ის იხსენიება, როგორც მიმდინარე მოვლენა, მერე კი — როგორც მარცხით დამთავრებული ისტორიული ფაქტი.

რომანის მე-6 თავის ბოლოში ანდრო ახატნელი თავის სტუმრებს, რომელნიც ქეთოს დღეობაზე მოვიდნენ, ასე ეუბნება: „...რუსის ჯარი მალე დაამარცხებს იაპონელებს, ტახტიც მალე მომაგრდება და რუსეთი უცებ მოიგლეჯს წითელ აჩრდილს“¹. ეს რეაქციონერი შემამულე ისე მსჯელობს, როგორც შავრაზმელს შეეფერება. მაგრამ ახლა ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობს. აქედან ისიც ჩანს, რომ ომის დამთავრებას რუსეთის გაბატონებული კლასები უკავშირებენ „წითელი აჩრდილის“ მოშორებას, ე. ი. რევოლუციის დამარცხებას. ეს 1904 წელია.

მე-9 თავში კი მწერალი ასეთ ეპოზიდს გვთავაზობს: თბილისის ქუჩები გამოცოცხლებულია. ხალხი ბლომადაა ქუჩაში. ქალაქში პირველი ავტომობილი მოდის. მასში დრაგუნთა პოლკოვნიკი პრინცი ნაპოლეონი ზის. ავტო თუხთუხებს და აღმართში ამოსვლა უჭირს, მერე სულაც ჩერდება. პოლკოვნიკი ფეხით განაგრძობს გზას, შოფერი კი ჩხირკედლობას უწყებს მანქანას. და აი, ხალხი როგორ დასცინის ტახტს, ნიკოლოზს, იმპერიას: „სანამ შოფერი ავტომობილთან წვალობდა, ვილაკამ უპატრონო ძაღლი დაიჭირა, ავტოს თუნუქი მოხსნა და ძაღლს მიაბა, მერმე გაუშვეს და ღრიალით დააფრთხეს:

- ეს ნიკოა, ეს კი მისი ტახტია, — განმარტა ვილაკამ.
- ჰარიჭა, მაკაკი მოვიდა!
- გაიქე, თორემ იაპოშკა დაგეწევა!“².

ამ ეპიზოდისა და აშკარად ჩანს ხალხის, განწყობილება. ძაღლს შეადარეს ნიკოლოზი, რომლის ტახტიც ინგრევა რევოლუციისა და იაპონიასთან ომის გამო. შეძახილები — „გაიქე, თორემ იაპოშკა დაგეწევა“, აშკარა დაცინვაა, რაც იაპონიასთან რუსეთის ჯარის სამარცხვინო დამარცხების გამო დაიმსახურა ნიკოლოზის ტახტმა.

მოტანილი ორი ეპიზოდიდან ჩვენ დავინახეთ, რომ იაპონიარუსეთის ომი რომანში ასახულ მოვლენებთან ორგანულ კავშირშია განხილული და ასახული. აქაც თავი იჩინა მწერლის მართალმა მიდგომამ ისტორიული წარსულის მიმართ, აქაც გამოვლინდა მისი უტყუარი ალღო და სწორი თვალთახედვა. მწერალმა ამ ეპიზოდებს

¹ მ. ჯავახიშვილი, ტ. V, გვ. 81.

² იქვე, გვ. 120.

ისეთი უღერადობა მისცა, რომ ნათლად დაანახვა მკითხველს ცარიზმის სიღამპლე, რაც რუსეთ-იაპონიის ომში კიდეც უფრო აშკარა გახდა, დაანახვა მასების მზარდი სიძულვილი ნიკოლოზისა და მისი ტახტის მიმართ. ყოველივე ეს კი აღებული ისტორიული ეპოქის ობიექტური და სწორი შეფასებაა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი აგრეთვე სწორი პოზიციიდან აშუქებს რუსეთ-იაპონიის ომის შედეგების გავლენას რევოლუციის აღმავლობაზე. თუ მეფეს და მის მინისტრებს უნდოდათ ომით ჩაეხრჩოთ რევოლუცია, მათ საწინააღმდეგო შედეგს მიაღწიეს — ომმა კიდეც უფრო ხელი შეუწყო რევოლუციის გაძლიერებას. რომანში ასახული მომდევნო ამბები — ქუჩის ბრძოლები, შეტაკებები, ყუმბარების გრგვინვა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში და რევოლუციისათვის დამახასიათებელი სხვა მრავალი მომენტი სწორედ ზემოაღნიშნული დებულების სასარგებლოდ მეტყველებენ. ფაქტების ასეთი გაშუქება, ისტორიული სიმართლით მათი გაცოცხლება მწერლის სასარგებლოდ მეტყველებს.

რომანში აგრეთვე ცოცხლად, თითქოს ჩვენს თვალწინ ხდებოდა ისეა დახატული რევოლუციის ხანძარში გახვეული თბილისი, ქალაქის რევოლუციური სუნთქვა, რომელიც დევგმირის სუნთქვას ჰგავს, ხალხის დახვრეტა ქალაქის მმართველობის შენობაში და ქუჩის შეტაკებები.

ქეთო ეტლით მიდიოდა. ერევის მოედანი გადასერა და განოვის ქუჩისკენ შეუხვია, მაგრამ პოლიცია და ყაზახები გადაეღობნენ. არ გაუშვეს, ქეთოს უკან გაბრუნება სთხოვეს. მერე კი, აი, რა მოხდა: „ანაზღად იქვე შენობიდან ყრუ გრილი მოისმა თოფისა, მან მეორე, მეოცე და მესამე მოჰყვა. მეეტლემ ცხენებს შოლტი დაუშინა, გამოაბრუნა და ჰენებით წამოიყვანა. ყოველ მხარეს დაფეთებული ხალხი მოჩანდა. უთავბოლოდ მორბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, აქცევდნენ და ზედ გადარბოდნენ. ახლა სროლა მკაფიოდ ისმოდა. ეტყობოდა, რომ ყაზახებს, გარეთაც აეტეხათ სროლა. ქეთოს ეტლი პუშკინის ქუჩით მიჭროდა!..¹ შიშგამოვლილი ქეთო, რომელსაც ტყვიის ზუზუნნი უკან მისდევდა და რომელმაც დახოცილები და სისხლში ამოვლებული გვამები საკუთარი თვალთ ნახა, ჯერ იქაურობას გასცილდა, მაგრამ მერე გოლოვინის პროსპექტზე ავიდა. აქ ხალხი შეთხელებულიყო, უმეტესობა სირბილით მიდიოდა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ რა მოხდა. ქეთომ მხოლოდ ის შეიტყო, რომ

¹ მ. ჯავახიშვილი, ტ. V, გვ. 85.

„დარბაზში თავმოყრილ უიარაღო ხალხს ყაზახებმა თოფი დაუშინეს და უამრავი ქალი და ვაჟი გაჟლიტეს“¹.

ეს ისტორიული ფაქტი ნამდვილად მოხდა თბილისში 1905 წლის 29 აგვისტოს. ქალაქის საბჭოს შენობასთან ვინც ჩაივლის, ნახავს შენობის ფასადზე მიმაგრებულ მემორიალურ დაფას, რომელზეც შემდეგი წერია: „ამ შენობაში 1905 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) პოლიციამ და კაზაკებმა სისხლში ჩაახრჩვეს მშრომელთა კრება“. რომანში სწორედ ეს ფაქტია აღწერილი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამავე ფაქტზე მ. ჭავჭავაძის თავის დროზე, როცა ეს ჯერ კიდევ ცხელ-ცხელი ამბავი იყო, წერდა თავის ერთ კორესპონდენციაშიც. როგორც ჩანს, მ. ჭავჭავაძის მახსიერებაში ამ ფაქტმა, რომლის მომსწრე თვითონვე იყო, ღრმა კვალი დააჩინა. ამიტომ მან იგი ჯერ გამოიყენა საგაზეთო მასალაში, ხოლო შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ — თავის რომანში.

1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში დატრიალებულ სისხლიან ამბავზე მ. ჭავჭავაძის თავის კორესპონდენციაში, რომლის სათაურითაცაა „რეაქციის საქმენი საგმირონი“, წერს: „ან რაღა შორს წავიდეთ! აჰ, ჩვენ თვალწინ, 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს სრულიად უმიზეზოდ ჩვენი ძმები, შეილები, ნათესავები და ნაცნობები დახოცეს და დამნაშავეთა აღმოჩენა და დასჯაც არ მოიხურვეს. ერევნის მოედნის „გმირს“, გენ. იაკევიჩს, ერევნის გენ. გუბერნატორობა მისცეს, ხოლო გოლოვინის პროსპექტისა, პირველ გიმნაზიისა და მანთაშევის სახლის იერიშით ამლებნი დღესაც თავ-თავიანთ ადგილზე არიან“².

მოტანილი ადგილი აღსავსეა ავტორის პროტესტით ერევნის მოედნის „გმირისა“ და იმ მთავრობის მიმართ, ვინც ამ ხოცვა-ჟლეტას აქეზებდა და მკვლელთ აწინაურებდა. რომანის შესაბამისი ადგილი და კორესპონდენციის ეს ადგილი ავტორის აღშფოთებას ერთნაირად გამოხატავს, ორივეგან მოჩანს პროგრესისტი მწერალი, რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულა.

მ. ჭავჭავაძის აღნიშნულ ფაქტზე აღშფოთებით და მრისხანედ წერს აგრეთვე სხვა წერილშიც, რომლის სათაურითაცაა „ერთი ათასთაგანი“. აი, შესაბამისი ადგილი: „რამდენჯერმე გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ქურდ-ბაცაცებსა და მარადიორებს მფარველობს. მკვლევებსა და ავაზა-

¹ მ. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. V, გვ. 86.

² „ივერია“ № 201, 1905 წ., 9 ნოემბერი.

კებს ხელს აფარებს და ისეთ კადნიერებაშიდაც კი მიდის, რომ მკვლელობას ამართლებს; აქებს და აჯილდოვებს კიდეც. შორს წასვლა საჭირო არ არის. გაიხსენეთ თუნდ 29 აგვისტოს „ბრძოლის“ მთავარსარდალი გენ. იაცკევიჩი, რომელმაც უფრო დიდი თანამდებობა მიიღო...“¹.

ჩვენ დავინახეთ, რომ მ. ჯავახიშვილი ამ ფაქტს ორჯერ შეეხო კორესპონდენციაში, მერე კი რომანში შეიტანა და ამით სასტიკად გაუსწორდა თვითმპყრობელობის ველურობას. ეს მომენტი იმ მხრივაც არის აღნიშვნის ღირსი, რომ ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იყენებს ნამდვილ ამბებს მწერალი რომანისათვის.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა რომანში სხვა ისტორიული ფაქტის გაშუქებაც. ერთ-ერთი მათგანია 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც მეფემ მასების მოტყუებისა და რევოლუციური მოძრაობის მოღუწების მიზნით გამოსცა. რომანში ვკითხულობთ: „— წაიკითხეთ, წაიკითხეთ მეტქი მეფის მანიფესტია. მანდ ყველაფერი სწერია: თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, შეკავშირებისა და ხელუხლებლობა პიროვნებისა. გაუმარჯოს!“²“. ამ სიტყვებს სიხარულით ამბობს ქეთო, რომელიც მრავალ სხვა მოქალაქესთან ერთად ქუჩაში გამოსულა და „გაუმარჯოს!“ იძახის. პოლიცია და პატრული დაიბნა. პატრულის მეთაური კლიმიაშვილი გაოგნებული გაბრუნდა უკან. შემდეგ აღწერილია გოლოვინის პროსპექტზე ხალხის ჯერ გაუბედავი გამოსვლა, მაგრამ მერე და მერე, როცა რწმუნდება, რომ არავინ უშლის, სიხარული და შეძახილები, რასაც შემდეგ მიტინგი მოყვა ოპერის წინ. ხალხის ეს მეტამორფოზა მწერალს ასე აქვს აღწერილი: „დრომ ნაბიჯს უმატა. ხალხი თანდათან ფხიზლდება, თამამდება და წელანდელი ჩურჩულის ნაცვლად ახლა ნელი გუგუნი და ხმამაღალი სიცილი გაისმის. ყველგან ხშირდება და უკვე თვალსა სჭრის წითელი ფერი: წითელ ბაფთი, წითელი ყელსაბამი, ყელსახვევი, ცხვირსახოცი, კაბა, ხალათი და მრავალნაირი წითელი ნიშანი გამარჯვებული ერთობისა“.

მოვლენები სწრაფად ვითარდება. ეწყობა სახელდახელო მიტინგი. ოპერის აივანზე ორატორები გამოდიან და სიტყვებით მიმართავენ მოზღვავებულ ხალხს. აქ თავი იჩინა სხვადასხვა პარტიისა და დაჯგუფების სხვადასხვა პოზიციამ და შეფასებამ მანიფესტისა მაგალითად, მენშევიკ აკაკი ახატუნელს ჰგონია, რომ ეს სრული გა-

¹ „ივერია“, № 208, 1905 წ., 17 ნომბერი.

² მ. ჯავახიშვილი. ტ. V. გვ. 206.

მარჯვებაა, ბოლშევიკ ზურაბ გურგენიძის აზრით კი — ეს მხოლოდ დასაწყისია გამარჯვებისა.

რევოლუციის ინტერნაციონალურ ხასიათზე და ხალხის დიდ სიხარულზე, რაც თვითმპყრობელობაზე ამ მცირე გამარჯვებით იყო გამოწვეული, შესანიშნავად ამბობს მწერალი, როცა ამ მიტინგს აგვიწერს: „ამ დროს აივანზე გამოსულმა საოპერო ორკესტრმა ისე მძლავრად დაიწყო მარსელური, რომ მთელი ქუჩა შეკრთა. ხალხმა იხუვლა და თეატრის ირგვლივ შეგროვდა. მალე ის ნაწილი ქუჩისა პირთამდე აივსო და მახლობელ ქუჩებშიც გადავიდა, ქუდმოხდილი ხალხი სასოებით ისმენდა აკრძალულ ჰიმნს და თვითონაც შთაგონებულად მღეროდა — ზოგი ქართულად, ზოგი რუსულად და ზოგიც ფრანგულად. მღეროდა ყველა — დიდი, პატარა, ქალი და ვაჟი, რუსიც და ქართველიც, სომეხიც და თურქიც“¹.

და, აი, აქ მოგროვილი აუარება ხალხი უსმენს სხვადასხვა ორატორს, რომლებიც აივანზე ერთმანეთს ცვლიან. ილაპარაკეს მენშევიკებმა, ესერმა, ფედერალისტმა. მათ ნალაპარაკეს მწერალი ასე აფასებს: „ყველა ორატორს სასიხარულო ფორიაქი ახრჩობდა და ამიტომ მათი ნათქვამი მხოლოდ გამარჯვებულთა აფრთვანებით იყო გაჟღენთილი და ხვალინდელობასაც მხოლოდ რამდენიმე ზოგადი სიტყვა გამოსახავდა...“² მხოლოდ ბოლშევიკთა წარმომადგენელმა ზურაბ გურგენიძემ შეაფასა ეს ფაქტი სწორად და უტყუარად. მან მანიფესტის გამოცემის მიზეზებიც განჭკრიტა და მომავლის გზაც დასახა. ზურაბის სიტყვაში გატარებული აზრი ჩვენი პარტიის შეფასებას საესებით სწორად გამოსახავს. ზურაბის სიტყვა ხალხმა დიდი ინტერესითა და მოწონების შეძახილებით მოისმინა. ორატორი ამბობს: „—ამხანაგებო! ამ უდიდეს გამარჯვებას მეც მოგილოცავთ, მაგრამ ტყუილად გითხრეს ზოგიერთებმა, თითქოს იგი ზემოურებს ებოძებინოს თქვენთვის. მუშისთვის და გლეხისთვის მათ ტყვიისა და მათრახის მეტი არაფერიც არ უბოძებიათ... ეს გამარჯვება ნიკოლოზს დასისხლიანებული ხელებითა და კბილებით გამოვგლიჯეთ. გაიხარეთ მეთქი, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ დღევანდელი დღე მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი გამარჯვებისა და მიზნისა. რომელსაც კიდევ ზღვა სისხლი და ცრემლი შეეწირება!“³.

¹ მ. ქაჯახიშვილი, ტ. V, გვ. 211.

² იქვე, გვ. 212.

³ იქვე, გვ. 213.

ზურაბის სიტყვებს ხალხი მოწონებით ხვდება, მხოლოდ მფრთხალნი ეძებენ სოროებს იმის შიშით, აქ არაფერი მოხდესო. ორატორი კი აფრთხილებს ხალხს, რომ მონაპოვრის შენარჩუნება ბრძოლას გამოიწვევს, ქვესქნელის ბნელი ძალები ახლავე თავს მოიყრიან და ამ კულმოცვეთილ თავისუფლებასაც შემოუტყვენ, მშრომელთა ინტერესების ნამდვილი გამომხატველი და დამცველი ერთადერთი პარტია—სოციალ-დემოკრატიული პარტიაა, ნამდვილი მებრძოლი კლასი პროლეტარიატია, რომელიც ნაძალადევისა თავმოყრილი. ჩვენც სწორედ ნაძალადევისაკენ გაეწიოთო, მოუწოდებს ზურაბი ხალხს.

ხალხი მას გაჰყვა და 10 ათასამდე ადამიანი წითელი დროშებით ნაძალადევისაკენ გაემართა, მათ წინ მიუძღოდნენ ზურაბი, მართა. თედო, რაქდენი და სხვა ბოლშევიკები.

რომანის მომდევნო ფურცლებზე აღწერილია ნაძალადევის დიდი მიტინგი, რომელიც დიდი მღელვარებით ტარდებოდა: „ნაძალადევის ვეება მინდორი ხალხით იყო გაქედლილი. აქა-იქ წითელი ბაი-რალეები ფრიალებდა. შუაში საჩქაროდ მოტანილი მაგიდა იდგა და ალბათ მეათე ორატორი ლაპარაკობდა. ახლადმოსულ გაღმელებს სასიხარულო ყრიაშულით დაუხვდნენ... „ამ მიტინგზე გამოდის კობაც, რომელიც ცნობილ სიტყვას წარმოთქვამს: „... თქვენ ერთი უვარგისი ჩვეულება გჭირთ და პირდაპირ უნდა გითხრათ. ვინც უნდა გამოვიდეს და რაც უნდა თქვას, თქვენ სიხარულითა და ტაშით ეგებებით...“ მწერალი კომენტარს უკეთებს ამ სიტყვას და დასძენს: „და ოთხჯერ განმეორებული „იარალი“ ისე იყო ნათქვამი, რომ იგი ოთხი ლურსმანივით ჩაეჭედა თავში“¹.

როგორც დავინახეთ, მწერალი ამ შემთხვევაშიც მიმართავს და იყენებს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. ზემოთ აღწერილი ამბები თბილისში ნამდვილად მოხდა ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის დღეებში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზეც, ავტორს ადრე, ფაქტის მიმდინარეობის დღეებში, აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს საგაზეთო მასალები. შეიძლება დავასახელოთ ორი ასეთი მასალა. ერთა „რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღევანდლამდე“ („ივერია“, № 1, 1906 წ., 5 მარტი) და მეორეა უკვე დასახელებული „რეაქციის საქმენი საგმირონი“ („ივერია“, № 201, 1905 წ. 9 ნოემბერი). ორივე ამ კორესპონდენციაში მ. ჭავჭავაძის მიერ ლაგმის აწყვეტაზე მოგვითხრობს.

პირველ კორესპონდენციაში ავტორი წერს: „პირველი თავი

¹ მ. ჭავჭავაძის შვილი. ტ. V, გვ. 219.

რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისა დასრულდა 17 ოქტომბერს; მეორე თავი იმავე დღეს დაიწყო, ხოლო როდის დასრულდება, ამის თქმა ძნელია“. შემდეგ განაგრძობს: „საზოგადოდ დეკემბრის საერთო გაფიცვა და კერძოდ მოსკოვის აჯანყება ლოდიკური დასკვნა იყო იმ შავნელი რეაქციისა, რომელმაც მანიფესტის გამოცხადების მეორე დღესვე წამოპყო თავი. ამ რეაქციამ ჯერ ოქტომბერშივე გადაიხადა სისხლის ქელები და მთელი რუსეთი — არხანგელსკიდან ტფილისამდის და ტომსკიდან ვარშავამდის — სისხლით მორწყო, მაგრამ ესეც არ იქმარა და დეკემბერში ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა 17 ოქტომბრის მანიფესტის ნაშთი!“¹

1905 წლის 22 ოქტომბერს თბილისის ქუჩებში, გოლოვინის პროსპექტზე დატრიალებული სისხლიანი ამბები, რაც ისტორიულად მოხდა და რომანშიც არის ასახული, ამ კორესპონდენციის სულისკვეთებას სავსებით სწორად შეესაბამება.

მეორე კორესპონდენციაში („რეაქციის საქმენი საგმირონი“) მ. ჯავახიშვილი წერდა: „რევოლუციონერთა გამარჯვების პირველი დღე — 17 ოქტომბერი — კონტრრევოლუციისა და რეაქციის დაწყების დღე იყო. მოედო თუ არა მთელ რუსეთს გამარჯვების ამბავი, რეაქციის გველესამაც ხერელიდან თავი გამოყო და სისინი დაიწყო. შეიკრიბნენ გუბერნატორები, გოროდნაჩაღნიკები, პოლიცმეისტერები, პოლიციელები, მოუწოდეს საზოგადოების ნაძირალებს, ხულიგნებს, შეიმუშავეს კონტრრევოლუციის გეგმა და ებრაელებსა და ინტელიგენციას მიესივნენ. რამდენიმე დღეს მთელ რუსეთში სისხლის ღვარი იდგა. კონტრრევოლუციის გრიგალმა რამდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა და ასორმოცი მილიონი ადამიანი ანარქიას ჩაუგდო კლანჭებში. სისხლის ღვრა რომ წინდაწინვე იყო მომზადებული და ადმინისტრაციაც ხელს უწყობდა. ეს თვითონ ვიტტემაც აღიარა“². ამ კორესპონდენციაში ჩამოთვლილი და განხილულია — ვარშავაში, თბილისში და სხვა ქალაქებში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის რამდენიმე აღმაშფოთებელი ფაქტი.

კორესპონდენციის სულისკვეთება გადატანილია რომანის სათანადო ადგილას, სადაც მოთხრობილია 1905 წლის 22 ოქტომბერს თბილისში მომხდარი საზარელი ამბავი, რაც უიარაღო ადამიანების ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა. „მეფის-ნაცვლის სასახლეს სამოცდაათი ათასი კაცი მოადგა წითელი დროშებით და მოითხოვეს, რომ პოლიტიკური პატიმრები გამოეშვათ, სოფლებიდან ეგზეკუცია გა-

¹ „ივერია“, № 1, 1906 წ.

² „ივერია“, № 201, 1905 წ., 9 ნოემბერი.

მოყვანათ და სამხედრო წესიც გაეუქმებინათ. მეფის ნაცვალს შემოეთვალნა: ეგზეკუციას მაშინ გამოვიყვან და სამხედრო წესებსაც მაშინ გავაუქმებ, როცა ხალხი დამშვიდდება, ხოლო პატიმართაგან სამოცდათორმეტ კაცს დღესვე გამოუშვებ, დანარჩენს კი როცა პეტერბურგი მიბრძანებსო...“ „... მანიფესტს „მიქელ ანგელოზის კავშირი“ ფეხზე დაეყენებინა. თურმე მისიონერთა ეკლესიაში მღვდლის გოროდცევის მეთაურობით ყველა ნაძირალი და ქეშმარიტი რუსი“ იყრიდა თავს და შფოთავდა: ებრაელებმა და „ტუშმეცებმა“ ჩვენს მეფეს მანიფესტი მოტყუებით გამოჰგლიჯეს, ყველა ვიგინდარა კისერზე დაგვჯადება, რუსეთს უკვე იყოფენ, სამშობლო გველუბება და იარალით და სისხლით უნდა ვიხსნათო, თანაც თურმე სალოსურად ჰკიოდნენ: „მართლმადიდებელნო, წამოღექით! თქვენი მეფე მოგიწოდებთ...“

ხულიგნები და კაცისმკვლელები, რომლებიც თავიანთ თავს „პატრიოტებს“ და „ქეშმარიტ რუსებს“ უწოდებდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც გამოვიდნენ ქუჩებში და მანიფესტაცია მოაწყვეს. სწორედ ეს მანიფესტაცია გახდა იმისი საბაბი. რომ გოლოვინის პროსპექტზე სისხლიანი ამბები დატრიალებულიყო და მანიფესტის გამოცემის სულ რამდენიმე დღის შემდეგ ამ ფარატინა ქალაღის ძირითადი მუხლები ფეხქვეშ გაეთელათ. მოვიტანთ მოკლე-მოკლე ნაწყვეტებს რომანიდან და ნათელი გახდება ის შემზარავი ფაქტი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ: „ნაპირ-ნაპირ მოდენილი „პატრიოტები“ ხალხს ქუღის მოხდას უბრძანებდნენ, უშვერი სიტყვებით აგინებდნენ და საცემრადაც კი ეტანებოდნენ...“ „უცებ პროცესიიდან ვიღაც მოხელე გამოვარდა, ამირეჯიბს თავში გაჰკრა მუშტი, ქუღი გადმოაგდებინა და ხრინწიანი ხმით მიაძახა: — ქუღი მოიხადე, საძაგელო, მეფის ორგულო!

თავმოყვარე ჭაბუკმა მეფის ერთგული მოხელე მეტისმეტი სიმკაცრით დასაჯა: რევოლვერი იშიშვლა. ჩინოსანს ქუღში დაუმიზნა და ესროლა. მოხელემ ხელები აიჭნია და გულაღმა დაეცა მიწაზე...“ „ხალხით გაქედნილი ქუჩა რამდენიმე წამში ბრძოლის ველად იქცა. ბალიდან სალდათები გამოცვივდნენ, იქვე გაიშალნენ და ტყვია ააზუზუნეს. კაზაკებმა და დრაგუნებმა ცხენები მოატრიალეს, ხმალი იშიშვლეს და იერიშით წამოვიდნენ...“ „...ირგვლივ სრესა, ელეტა, კივილი და ზარი იდგა. უკანიდან ხმლის ჩხარუნი და თოფ-რევოლვერის ჭახუნი მოისმოდა. ქეთომ ორ გვამს გადაალაჯა...“

თუ კორესპონდენციიდან მოტანილ ამონაწერს შევადარებთ რომანიდან მოტანილ ამონაწერს, დავინახავთ, რომ ისინი ყველაფრით: — ფაქტობრივადაც სულისკვეთებითაც, ტენდენციითაც ერთმანეთის

შსგავსია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ერთი ავტორისაა. კორესპონდენ-
ციაში განხილული ფაქტები მ. ჭავჭავაძის თავისი თვალთ ჰქონდა
ნანახი და უშუალოდ განცდილი, რადგან იგი თვითონ ტრიალებდა
ამ ამბების შუაგულში. მასალა ცხოვრების შუაგულიდან არის აღე-
ბული და ამიტომ რომანში ასახული ეპოქა ასე ცოცხალი და ხელ-
შესახებია.

ეს მნიშვნელოვანი მომენტია „ქალის ტვირთის“ განხილვა-შეფა-
სების დროს.

„ქალის ტვირთში“ ასახულ ამ ფაქტზე, 17 ოქტომბრის მანიფესტ-
ზე და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ამბებზე როცა ვლაპარა-
კობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება და საჭიროდაც მიგვაჩნია პა-
რალელი გავაგლოთ პარტიის ისტორიაში ამ ფაქტის შეფასებასთან.
მ. ჭავჭავაძის აღნიშნულ ფაქტს და მასთან დაკავშირებულ ამბებს
იგივე სიმართლით აშუქებს, როგორც ეს ჩვენი პარტიის ისტორიაში
არის გაშუქებული.

პარტიის ისტორიაში ნათქვამია, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი
იყო ხალხის მასების მოტყუილება, მეფის ხრიკი, რაც მას შესვენე-
ბისა და ძალთა მოკრებისათვის სჭირდებოდა, რადგან ოქტომბრის
საყოველთაო გაფიცვამ მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა ქალაქებ-
ში ხელისუფლება აიძულა დათმობაზე წასულიყო მბეჭდავ მუშებ-
თან, რკინიგზელებთან, ტელეგრაფსა და მრავალ ადგილას. მანიფესტ-
ტი რომ ხალხის მოტყუილება და ყალბი დაპირება იყო, ეს სულ მა-
ლე აშკარა გახდა: დაპირებული ამნისტის ნაცვლად, 21 ოქტომბერს
ამნისტია მიეცა პოლიტიკურ პატიმართა მცირე ნაწილს, მთავრობამ
მოწყობა ებრაელთა დარბევები, რამაც მრავალი სიცოცხლე შეიწირა,
რევოლუციის ჩასახშობად მოეწყობა ბანდიტური პოლიციური ორგა-
ნიზაციები — „რუსი ხალხის კავშირი“, „მიხეილ მთავარანგელოზის
კავშირი“ და ა. შ. ამათში შედიოდნენ მემამულეები, ვაჭრები, ხუ-
ცები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, მაწანწალები. ხალხმა მათ
„შავი რაზმი“ უწოდა. ისინი პოლიციის დახმარებით მოქმედებდნენ
და სცემდნენ და ხოცავდნენ მოწინავე მუშებს, ინტელიგენტ-რევო-
ლუციონერებს, სტუდენტებს, არბევდნენ კრებებს, მიტინგებს. ასე-
თი იყო მეფის მანიფესტის შედეგი.

პარტიის ისტორიის ეს შეფასება სავსებით მართებულად გადა-
ტანილია რომანში და მხატვრული დამაჯერებლობით მასში გაცოც-
ხლებულია სინამდვილეში თბილისში მომხდარი ამბები, რასაც მწე-
რალი მხატვრული სიმართლით გვიხატავს და გვიჩვენებს. ეს მწერ-
ლის დიდი დამსახურებაა.

გარდა ისტორიული ფაქტების შემოტანისა. „ქალის ტვირთი“ იმ

მხრევეც არის საინტერესო, რომ მასში მწერალს შემოყავს ისტორიული პირები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის დროს თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ამ მხრივ ბევრის დასახელება შეიძლება. ესენი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხევიძე. კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც რომანში ასახულ ამბებში და მოვლენებში მონაწილეობენ ან ეპიზოდურად შემოყავს მწერალს ნაწარმოების რომელიმე ადგილას. ამით ის შთაბეჭდილება იქმნება, რომ, რაკი ეს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები ასახულ მოვლენებთან კავშირში არიან, რაკი მათ საერთო აქვთ ნაჩვენებ ამბებთან, მაშასადამე, ეს მოვლენები, ეს ფაქტები სინამდვილეში ხდებოდა. ცხადია, რომ მკითხველი ისედაც არ დაეკვივებულა 1905 წლის რევოლუციის ნამდვილობაში, მაგრამ ამ ისტორიულ პირთა ასე ცოცხლად დაკავშირება ასახულ ამბებთან უფრო ნამდვილს ხდის, უფრო გვარწმუნებს, რომ ყველაფერი ეს მართლაც ასე მოხდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ხერხით მწერალი ზოგჯერ ისეთი ამბების სისწორეში გვარწმუნებს, რომლებიც, შესაძლოა, სინამდვილეში არც მომხდარა, რომლებიც მწერლის გამონაგონად შეიძლება მიგვაჩნდეს. მაგალითად, ქეთო ახატნელი ხომ გამოგონილი პერსონაჟია, ის ხომ ისტორიული პირი არაა, მაგრამ როცა ის ქუჩაში ხვდება აკაკი წერეთელს ან იაკობ გოგებაშვილს და მათ გამოელაპარაკება კიდეც, ჩვენ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ქეთოც სინამდვილეში არსებობდა. ანალოგიური ეპიზოდები რომანში კიდეც შეიძლებოდა დაგვესახელებინა.

ახლა ვნახოთ, რომელი ისტორიული პირი როგორ შემოყავს მწერალს და რაკეთხით გვიჩვენებს მას. ეს საინტერესო საკითხია და ღირს ამაზე სიტყვის გაგრძელება.

მწერალი დიდი სიყვარულით, სიცხადით და სიმართლით ხატავს ილია ჭავჭავაძეს. გარდა იმისა, რომ ნაწარმოების სხვა პერსონაჟები ლაპარაკობენ ილიაზე, განიხილავენ მის შემოქმედებას, აფასებენ ამა თუ იმ ნაწარმოებს და მსჯელობენ მათზე, მ. ჭავჭავაძის ილია დახატული ყავს მოქმედებაშიც და თანაც შარავანდელით მოსილ მოღვაწედ გვიჩვენებს მას.

რომანის ერთ ადგილას უნდადამი ავშაროვი ცოლთან საუბრისას გაბრაზებით ასე ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს: „—თევზი თავიდან აყროლდებაო,—განაგრძო არტემმა, — ერთ დროს ილია ჭავჭავაძე საქართველოს უგვირგვინო მეფედ ითვლებოდა. მერმე მეფობა სოციალ-დემოკრატიამ ჩამოართვა. ჩვენ მაინც გვეგონა, თავად-აზნაურობამ და ინტელიგენციამ გონიერება მაინც შეინარჩუნაო. თურმე

მოვტყუვდით. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ქვეკვაძეს ხმა ამოუღია და იცი რა უთქვამს?

— არ ვიცი.

— თუ მთავრობამ გურიაში ჯარი გაგზავნა, მთელი საქართველო უნდა ავშალოთ და აჯანყებულთა სათავეში მეც ჩავდგებიო“.

ამ ამონაწერიდან სულ ცოტა ორი რამ არის საინტერესო: 1. როგორ აფასებს ენდარმერია ილიას. რა აზრი ჰქონიათ ოფიციალური ხელისუფალთ ილიაზე (თევზი თავიდან აყროლდებაო). ამას ამბობს მეფის მოხელე ჩვენს დიდებაზე. აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება, რომ მკითხველმა აზრი განაგრძოს: ცხადია, ანეთ არასასურველ ადამიანს მთავრობა მოიშორებდა... და 1907 წელს ხომ მოიშორა კიდეც. მწერალი სწორად წარმართავს მკითხველის აზრის მსვლელობას, რაც ისტორიულ მოვლენათა სწორ გაგებას უწყობს ხელს. 2. აქ ლაკონურად, მაგრამ სრულად არის გამოხატული ილიას მიერ ამ საკითხზე წარმოთქმული ისტორიული სიტყვის დედააზრი, რის შედეგად ჩვენს თვალწინ წარმოდგება ცოცხალი ილია, რომელმაც ეს გაბედული და ხელისუფლების საწინააღმდეგო სიტყვები მართლა თქვა.

ამ მოკლე ფრაგმენტიდანაც ნათლად ცოცხლდება ილიას ისედაც ნათელი სახე.

მაგრამ მ. ჯავახიშვილი ამას როდი სჯერდება. იგი ილიას დიდებულ შესანიშნავ ადამიანად გვიხატავს ნაწარმოების სხვა ადგილას. აქ ილია მოქმედებს, სიტყვას ამბობს. მის სიტყვას დარბაზში შეკრებილნი დიდი გულსყურით ისმენენ, გაისმის მოწონებისა და აღტაცების შეძახილები, მოწინააღმდეგენი კი ხმას ჩაიწყვეტენ. ილიას სიტყვის ლოგიკა, ძალა, დამაჯერებლობა განაჩენივით გაისმის, ყველაფერი ილიას სასარგებლოდ დაღადებს...

თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზი ხალხითაა სავსე. აქ თავი მოუყრიათ მალაჩინოსან გენერლებს, თავად-აზნაურობას. აქ არის გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი, რომელიც ოქროს ხმალს დაყრდნობია და ხალხს ქორივით გადაჰყურებს. მის გვერდით მსხდომი გენერლები და პოლკოვნიკებიც თვალებს აბრიალებენ. დარბაზში არის ინტელიგენცია და ხალხის წარმომადგენლებიც. დარბაზში ატლასაკრული კედლებიდან იმპერატორები იცქირებიან, მაგიდას წითელი მაუდი აქვს გადაფარებული, აქ არის ძალაუფლებისა და სასჯელის ნიშნები — სამეფო გვირგვინი, ორთავიანი არწივი, კანონთა კრებული, როზგების კონა.

აქვე არიან შავი რაზმის მეთაურები — აბღუშელიშვილი და თავადი გიორგი ამილახვარი. ეს სხდომა მათი თაოსნობით არის მოწვეული. შავ რაზმს წინ წითული რაზმი უდგას. ეს ორი ძალა დღე-

ის იქით ერთად ველარ იარსებებს, ან შავი უნდა იყოს, ან წითელი-
შავი რაზმი შეველასა და დახმარებას მოითხოვს, მას იარაღი და ფუ-
ლი სჭირდება. ეს სხდომაც ამ საკითხს ეძღვნება. იარაღითა და ფუ-
ლით დახმარებისაკენ თავად-აზნაურობას მოუწოდებს ანდრო ახატ-
ნელი, რომელსაც ეს შავი მისია უკისრია. აი, რას ამბობს ის:

„ბატონებო, რუსეთშიაც და საქართველოშიც ორი ძალა ებრ-
ძვის გაშმაგებით ერთმანეთს: მშვიდობა და ძალმომრეობა. კანონი
და თვითნებობა, კერძო საკუთრება და სოციალიზმი. ხელისუფლება
თითქმის გამარტოვდა. რა თქმა უნდა, თავადაზნაურობაც პირნათლად
ასრულებს თავის მოვალეობას წინაშე „უსაყვარლესი მეფისა“, მაგ-
რამ დადგა დრო, როდესაც ის ბრძოლის ასპარეზზე იარაღით უნდა
გავიდეს და საკუთარი თავი, საკუთარი ოქახი და საკუთარი მამულ-
დედულიც დაიცვას.

— ღმერთია მოწამე, ეს საზარელი კლასობრივი ომის თეორია
ჩვენ არ მოგვიგონია“.

ახატნელი რევოლუციას ძალმომრეობას, თვითნებობას უწო-
დებს, ხოლო მეფის ხელისუფლება მას კანონად მიაჩნია. ამიტომ
იგი თავად-აზნაურობას იარაღისაკენ მოუწოდებს, რათა „მოდალდე-
ნი“, ე. ი. რევოლუციური მასები ძალით, იარაღით დათრგუნონ.

დარბაზში ანდრო ახატნელის ეს შევრახმული სიტყვები გაისმო-
და, როცა იქ ილია შევიდა. ილიას მობრძანებას მ. ჭავჭავაძის შვილი ასე
დიდებულად ხატავს: „ორატორს (ა. ახატნელს — ტ. კ.) უცებ ხმა
ჩაუწყდა. ფეხზე მდგომი ხალხი შუაზე გაიპო და დარბაზში ილია
ქვეკავაძე გამოჩნდა. მთელი დარბაზი შეირხა და ყველანი ახალმო-
სულს მიაჩერდნენ“. მერე მწერალი აღწერს ილიას პორტრეტსა და
ორიოდე სიტყვით მის დამსახურებასა და ხასიათს გვიხატავს: „თით-
ქმის დაბალი, მაგრამ სრული, თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი
შუა გარდევულ ხალხში დინჯად მიდიოდა და თან მიჰქონდა თავისი
სანაქებო დარბაისლობა, ჟამთა ცვლილებაში უკვე მინელებული დი-
დება, ნახევარი საუკუნე მესვეურება ერისა და უთვალავი სულიერი
ჭრილობანი, რომელიც მას ამ უღვეველ გზაზე ორივე მხრიდან —
მარჯვენა და მარცხენა მხრიდანაც მიაყენეს. კარგა ხანია, რაც ეს
კბილგაცვეთილი ბებერი ლომი თითქო სამუდამოდ შეიხიზნა ბუნაგ-
ში. აღარც მისი ბუხუნი ისმოდა, აღარც მისი კლანჭი ჩანდა. მხოლოდ
ერთხელ კიდევ დაიბუხუნა მან ამას წინათ. გურიის ასაკლებად
მძვინვარე ალიხანოვს გზავნიდნენ. ჭარი უკვე სადგურზე იყო გასუ-
ლი. მაშინ განაცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნა-
ზე ხელი უნდა ავადებინოთო, თუ არა და — ყველამ თავი უნდა დავ-
დოთო“.

ილიას ამ ბიოგრაფიული მომენტის გადმოცემის შემდეგ მ. ჭავჭავაძის იქვე დასძენს მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის გამო-
ნათქვამს ილიას ამ გამოსვლის გამო: თუ ჭავჭავაძეც აჯანყებით გვე-
მუქრება, მაშ მართლა საერთო აჯანყება მოგველისო, და ჭარი უკანვე
დაუბრუნებია.

ილიას ბიოგრაფიიდან ეს მომენტი ცნობილია. ისიც ნათელია.
რომ ჭავჭავაძის ასეთ გმირულ, გაბედულ და კეთილშობილურ გამოს-
ვლას, რაც ქართველი ხალხის დარბევისაგან გადასარჩენად იყო გა-
მიზნული, მ. ჭავჭავაძის მოწონებით, აღფრთოვანებით აფასებს.
მაგრამ ჩვენი მწერალი აქ როდი ჩერდება. ეს მხოლოდ შესავალია
იმისა, რაც მერე უნდა მოხდეს.

დარბაზში შემოსული ილია დაჯდა. ხელები მკერდზე დაიკრია და
და ახატნელს მიაჩერდა. ახატნელი უკან დასახევე გზას ეძებდა, მაგ-
რამ გზა თვითონვე ნოქრა. ილიას მოსვლამ კრების თავმჯდომარე
კამერიუნკერი ბაგრატიონიც შეაკრთო. ახატნელმა რაღაც კიდევ წაი-
ლულულა და დაჯდა. თავმჯდომარემ იკითხა—სიტყვა ვის სურსო.
მაგრამ ადრე ჩაწერილებმაც უარი განაცხადეს: „ანდრიას მომხრეთ
არ უნდოდათ ილიას მძიმე უროს ქვეშ მოქცეულიყვნენ, სხვები კი
პირველ სიტყვას ილიას უთმობდნენ“. ილიამ ერთ ხანს იყუჩა და
თითი ასწია. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა. ილია წითელ მაგიდასთან
კავიდა და წყნარად მოავლო თვალი დარბაზს. სუფთა ბოხი ხმით.
რომელშიც ბეწვისოდენა ბზარიც კი არ ისმოდა, ილიამ დინჯად, მკა-
ფიოდ დაიწყო ლაპარაკი. მან განმარტა მეფის კანონიც, მანიფესტის
არსიც, ქვეყანაში შექმნილი ვითარებაც და მსჯელობის საფუძველზე
გააკეთა ასეთი დასკვნა: „ბატონმა ახატნელმა წამლის მაგიერ შხამი
მოგვაწოდაო“. ილია ამბობს: „მთავრობა ფულსა და იარაღს გვაწე-
დის. ასე მიაწვდიან ხოლმე მახვილსაც და ოქროსაც იმ ავაზაკს, ვინც
ღვიძლი ძმის მოკვლას კისრულობს“. როგორც ზემოთ ნათქვამ დას-
კვნაზე. ისე ამ უკანასკნელზეც დარბაზში მყოფი უბრალო ადამიანე-
ბი მოწონების შეძახილებით აზანზარებენ იქაურობას: „— აგრეა!
მართალია!“ — იხუვლა დარბაზმა.

ილიამ დამაჯერებლად განმარტა მებატონეთა ლაშქრის შედგე-
ნისა და ხალხის დასარბევად მისი გაგზავნის მავნებლობა. ...ბატონ
ახატნელს გულწრფელად ჰკონია, სურნელოვან ყვავილს ვთესავო.
ის კი არ იცის, რა სისხლიანი ეკალნარი ამოუვა. აბა ერთი თაბაუთი
გაეწიოთ და ამთავოთვე ვაკითხოთ, რას გააკეთებს მემამულეთა ლაშ-
ქარი? მეტი რა საქმე ექნება: გლეხობას დაერევა, აიკლებს, შემუ-
ხრავს და ზღვა სისხლსა და ცრემლს დაღვრის. მერმე რაღას იქმს?
მერმე დაიშლება და ყველა მოლაშქრე თავთავის სოფელს დაუ-

ბრუნდება. იქ პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს ხელსისხლიანი მოძალადე და მისი მსხვერპლი — ქვრივი, ობოლი, ნაცემი და დაკოდილი გლეხები. რას ეტყვიან ისინი ბატონს? რა პასუხს გასცემს ბატონი იმ გაავებულსა და უბედურ ხალხს? რაღა პირით უნდა შეხედონ ერთმანეთს? მათ სიკვდილამდე უნდა იცხოვრონ მეზობლად და ისევ ურთიერთი უნდა სკამონ და ხოცონ... მაშ ეგ იარაღი რომ აგისხიათ, რა ოხრად გინდათ? ახალი კი არა, ძველიც თავში ახალეთ იმას, ვინც დაგირივიათ. სისხლის დაღვრა არ გაბედოთ მეთქი. თორემ მწარედ ინანებთ და გვიანდა იქნება თითზე კბენანი“.

ეს მგზნებარე სიტყვა, შემტევი და გამაფრთხილებელი გამოსვლა ილიასი ისე გაისმოდა, როგორც მართლა ლომის ბუხუნი. ყოველი სიტყვა და აზრი დამსწრეთ თავში ლურსმანივით ეკვებებოდა. ყველა დამსწრე სუნთქვაშეკრული უსმენდა ილიას და მოწინააღმდეგენიც კი მალე დარწმუნდნენ ილიას სიმართლეში, დაუჭერეს მას... და როცა ილიამ თავისი გამოსვლის დასასრულს ზარივით დარეკა: „გეუბნებით მტერი შხამს გაწვდით მეთქი“, დარბაზში ჰაერიც კი სმენად იყო გადაქცეული.

მ. ჭავჭავიძე ილიას მოხდენილად აგვირგვინებს ილიას გამოსვლას და ერთხელ კიდევ ხაზგასმით გეუბნება იმ შთაბეჭდილებაზე, რაც მისმა სიტყვამ მოახდინა დამსწრეებზე. აგრეთვე გვიჩვენებს ილიას სიტყვის ძალას: „ილიამ სიტყვა დაასრულა და დინჯი ნაბიჯითვე გაემართა კარებისაკენ იმ მსაჯულივით, რომელიც განაჩენს გამოიტანს და მაშინვე თავის ოთახისკენ გაბრუნდება ხოლმე“. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად მოჩანს მწერლის განცხადება, რომ კენჭისყრა აღარ ყოფილა, კრება მაშინვე დაიშალაო, რადგან სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. რა მოხდა? რამ დაადუმა ის გენერლები, პოლკოვნიკები, თავადები და სხვა ძლიერნი ამა ქვეყნისა, რომლებიც თვალების ბრიალით უცქეროდნენ დარბაზში შეკრებილთ, რომლებიც უკვე იარაღს აედარუნებდნენ და მოძმეთა სისხლის დასაღვრელად მიილტვოდნენ? ილიას დიდმა ჭკუამ, დასაბუთების ძალამ, სიმართლემ, მშობლიური ხალხისადმი სიყვარულმა განაიარაღა ის აბჯარასხმული მხედრიონი და ძალადობის მადა დაუეკარგა მათ.

ასე დაგვიხატა მ. ჭავჭავიძე ილია 1905 წლის რევოლუციის ამბებთან კავშირში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მწერალი ილიასადმი ყოველთვის დიდი სიმპათიითა და პატივისცემით გამოირჩევა. გავიხსენოთ მ. ჭავჭავიძე ილიას დალუპვის გამო და ამაში ადვილად დავრწმუნდებით. აქ ამაზე სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, რადგან სათანადო ადგილას უკვე გვქონდა ამაზე საუბარი. მ. ჭავჭავიძე ილიას პერსონაჟე-

ბიც სწორად მსჯელობენ ილიაზე და მის შემოქმედებაზე. ეს გვხვდება მთელ რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი „ქალის ტვირთში“. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი ჩვენს საკითხს მივუბრუნდეთ.

მ. ჭავჭავიძის „ქალის ტვირთში“ შემოყავს ისტორიული პირობები, რათა რომანში ასახული ამბები უფრო ნამდვილად მიიჩნიოს მკითხველმა. კაცმა რომ თქვას, მწერალი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა: რაკი ისტორიულ სინამდვილეს გვიჩვენებს, ცხადია იმ სინამდვილეში მოქმედ ისტორიულ პირობასაც გვერდს ვერ აუვლიდა.

ილიას გარდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა ისტორიული პირობებიც მოქმედებენ რომანში. მაგალითად, აკაკი წერეთელი და ანტონ ფურცელაძე ქუჩაში დასეირნობენ და საუბრობენ. ისინი ქეთოსაც გამოელაპარაკებიან:

ქეთო და ავშაროვი, სანამ იქორწინებდნენ, ქუჩაში ერთად დასეირნობდნენ. როცა საქმრო ქეთოს გასცილდა, ქეთომ „ორი მხცოვანი ტანადი კაცი შენიშნა. ერთი მათგანი წვერაგაპარსული იყო. ხშირი მოგრძო თეთრი უღვაშები ჰქონდა, სქელ ჯოხზე ეყრდნობოდა და კოკლობით მოდიოდა. მეორე კი იმაზე უფრო ხნეირი, უფრო მოსული იყო და პატრიარქს ჰგავდა. თოვლივით თეთრი წვერი განიერ მკერდზე ხშირად და განივრად ეყარა. ხშირთმიანი გათეთრებული თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული და დიდრონ თვალებს ოდნავ სჭუტავდა“. აქ დახატულია ორი ცოცხალი პორტრეტი. პირველია ანტონ ფურცელაძე, მეორე კი — აკაკი წერეთელი. ეს უკანასკნელი ძალზე დამახასიათებელი ნიშნებით (თავის გადაწევა, თვალის ოდნავი მოჭუტვა, თეთრი წვერი, პატრიარქის მიმსგავსება) არის შემკობილი. ვისაც აკაკიზე რაიმე წუქითხავს, ძალიან ახლო მსგავსებას იგრძნობს მ. ჭავჭავიძის მიერ დახატულ აკაკისა და ნამდვილ აკაკის შორის.

მაგრამ მართო ამ პორტრეტების დახატვას როდი სჯერდება მ. ჭავჭავიძელი, იგი მათ სულისკვეთებასა და ხასიათსაც გამოავლენს, როცა ქეთოს გამოელაპარაკებიან: „ფურცელაძემ ქეთოს ხელი ჩამოართვა, ხოლო აკაკიმ ორივე ლოყა დაუქოცნა და თავისი ნელი ტკბილი ხმით ჰკითხა:

— ერთი მითხარი, ეს ქანდარში ვინ არის, ხელზე რომ გკოცნიდა?“

როცა ქეთომ უპასუხა, ჩემი დანიშნულიაო, აკაკიმ იკითხა — ანდრომ და მარიამმა (მშობლებმა — ტ. კ.) თანხმობა თუ მოგვცესო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, აკაკიმ იწყინა:

„— გლახები ყოფილხართ. წყენით სთქვა აკაკიმ. — თან ხელი ჩაიქნია და მოშორდა.

— სამწუხარო ამბავია, ძლიერ სამწუხარო ამბავია, — დაუმატა ანტონმა და კოკლობით აკაკის გაჰყვა“¹.

ამ ბოლო სიტყვებში აკაკიმაც და ფურცელაძემაც თავიანთი პოზიცია გაამკლავნეს: „ქართველი ქალი ჟანდარმს როგორ მიყვები ცოლადო. ჟანდარმი კი 1905 წელში ხალხის სისხლის მსმელს ნიშნავდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მ. ჭავჭავაძის ამ ორ მოღვაწეს გვიცოცხლებს ამ სტრიქონებში. გვიხატავს მათ პორტრეტსაც და ხასიათსაც. ისინი ხვდებიან მთავარ გმირს — ქეთოს, ესაუბრებიან და უსაყვედურებენ, მაშასადამე მას დიდი ხანია იცნობენ. მკითხველს სჭერა, რომ ყველაფერი ეს მართლა ხდებოდა.

ამავე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ რომანის ეს ეპიზოდი, რომელშიც მწერალი გვესაუბრება ცნობილ ქართველ მსახიობებზე ისეთი ხერხით, რომ ნაწარმოების გმირები—ახატნელები ესწრებიან სპექტაკლებს, რომლებიც 1905 წელს თბილისში მართლა იდგმებოდა და რომლებშიც ცნობილი ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ:

„ამას წინათ ახატნელები თეატრში იყვნენ და იბსენის „ხალხის მტერი“ ნახეს. ყველამ აღიარა, რომ დიდმა არტისტმა ლადო მესხიშვილმა, მიუხედავად სიბერისა, შტოკმანის როლშიც თავისი უდიდესი კულტურა, შინაგანი ტემპერამენტი და კლასიკური პლასტიურობა გამოიჩინა.

მერმე სხვა ახალი პიესებიც გაიხსენეს, რომელიც ერთობამ გააჩინა და აღფრთოვანებით მოიხსენიეს მუდამ ახალგაზრდა ვასო აბაშიძე, მისი ნაცოლარი სმენადაზიანებული, მაგრამ მაინც უბერებელი მაკო, მათი გიჟმაჟი ქალი ტასო და უბადლო ხანუმა ნატო გაბუნია“² (ხაზი ყველგან ჩემია — ტ. კ.).

აქ მოცემულია დასახელებულ მსახიობთა მოკლე, მაგრამ სხარტი დახასიათებაც და დასახელებულია კონკრეტული პიესა, რომლის დადგმაზე ადრე მ. ჭავჭავაძის რეცენზიაც ჰქონდა დაწერილი. ესაა იბსენის „ხალხის მტერი“. რომანში კონკრეტული სპექტაკლია მითითებული და ამ პიესის მთავარი როლის კონკრეტული შემსრულებელი — ლადო მესხიშვილი. ცხადია, ამ კონკრეტიზაციით გვექმნება შთაბეჭდილება თითქოს ახატნელებიც ნამდვილად არსებობდნენ. ისინი სინამდვილიდან აღებულნი არიან.

¹ მ. ჭავჭავაძის შვილი, ტ. V, გვ. 198-199.

² იქვე, გვ. 61.

რომანში მოხსენიებულია კოტე მესხიცი. იგი შანტანში მუშაობს და ილიკოსა და ავშაროვის მიერ იქ ძალით მიყვანილი ქეთო გაიკვირებს, როცა მესხს იქ დაინახავს:

„ — კოტე მესხს აქ რა უნდა?

„სამხატვრო ნაწილის გამგეა. არ იცოდი? — უპასუხა ილიკომ... მას გული დასწყდა იმის გამო, რომ მთარგმნელი და გამოჩენილი არტისტი მესხი მაგრე რიგად დახურდავებულიყო...“

— ქართული თეატრი გაკოტრებულია და მაშ რა ქნას? — თქვა ილიკომ“.

მართალია, მოტანილი ეპიზოდებიდან ჩვენ ბევრს ვიგებთ ამ ცნობილ პიროვნებებზე და, რაც მთავარია, ეპოქის ნამდვილ სუნთქვას შევიგრძნობთ, მაგრამ, რაკი ისინი მანც ეპიზოდურად არიან გამოყვანილნი, ჩვენც მათზე ასე მოკლე თქმას ვიკმარებთ.

აქვე უნდა დაეძინოთ, რომ რომანში ოფიციალური პირებიც არიან ნაჩვენები და დასახელებული. მაგალითად, ვორონცოვ-დაშკოვი და სხვანი მრავალნი, რომელთაც იმ პერიოდში თბილისში უხდებოდათ „მოღვაწეობა“.

ამრიგად, მ. ჭავჭავაძის „ქალის ტვირთში“ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გვერდით გვიხატავს ისტორიულ პირებსაც. ეს კი ხელს უწყობს რომანში ასახული მოვლენების ფაქტიურობაში მკითხველის ღრმა დარწმუნებას და დაჯერებას.

განცალკევებით უნდა განვიხილოთ ვ. ი. ლენინისეული გაზეთების „პროლეტარისა“ და „ვპერიოდის“ საქართველოში შემოზიდვასთან დაკავშირებული ეპიზოდები რომანში, აგრეთვე ბელადის წერილების ჩართვა სიუჟეტის განვითარებაში.

რომანის მე-12 თავში აღწერილია ფაქტი, როცა ბოლშევიკებმა ლევანმა, თედომ, მართამ და ნიკომ თბილისის რკინიგზის საბარგო სადგურში კონსპირაციულად მიიღეს ლენინური გაზეთები. ლაიპციგიდან წვერაძის სახელზე გამოწერილი საქონელი — მწერლების, გენერლების, სახელოვანი მეცნიერების სურათები მიიღო ნიკომ. რომელიც ნოქრის სამოსში გამოწყობილი მიადგა რკინიგზის მოხელეს. მოხელემ შეფუთული საქონელი გასინჯა, დარწმუნდა, რომ შიგ სურათებია, და წაღების ნებაც მისცა. ნიკომ და მისმა ამხანაგებმა საქონელი წაიღეს. სურათებს შორის ჩამალული იყო „პროლეტარისა“ და „ვპერიოდის“ ეგზემპლარები. ამ გზით მიიღეს თბილისელმა ბოლშევიკებმა ლენინური გაზეთები.

რომანის მომდევნო გვერდებზე ვკითხულობთ, რომ ზემოთ დასახელებულმა ამხანაგებმა ზურაბი წაიყვანეს არალეგალურ სტამბაში, რომლის გამართვა ზურაბის მიერ ნიკოს, რაჟდენს და ლევანს

ჰკონდათ დავალებული. როცა მათ ზურაბს სტამბა დაათვალიერებენ, ნიკომ გურგენიძეს უთხრა:

„ — ნათქვამია, ჩაროზს ბოლოს მიაერთმევენო... ეს საჩუქარი ბოლოსთვის შეგინახე. აჰა, დატკბი.

— ბიკოს, ესეც მოასწარით? — წამოიძახა ზურაბმა და ხარბად დასტაცა ხელი უცხოეთიდან მოსულს გაზეთ „პროლეტარს“. ზურაბი კიბეს ეცა, ზევით ოთახში აცოცდა, ლამფა აანთო და თავდაპირველად ცეცხლით დაწერილს ლენინის წერილს დაეწაფა. ხარბად კითხულობდა და თვითონაც ცეცხლი ეკიდებოდა¹. აქვე აღწერილია. თუ როგორ ხსნიდნენ შეკრულ საქონელს, რომელიც ცოტა ხნის წინ სადგურიდან მოიტანეს, და იქიდან როგორ ალაგებდნენ „პროლეტარის“ ცალებს.

როცა რაეღენმა და მისმა ამხანაგებმა პროკლამაციების ბეჭდვა დაამთავრეს და სტამბიდან ხვრელით ზედა ოთახში აძვრანენ, იქ ზურაბი გატაცებით კითხულობდა ლენინის წერილს. ზურაბმა მათ ლენინის წერილი გადაუთარგმნა და ამხანაგებს განუმარტა. „ლენინი ნათლად და გადაქრით მოითხოვდა, რომ ძლიერი აგიტაცია გაეწიათ ბულიგინის სათათბიროს წინააღმდეგ, რომ ამ აგიტაციას საფუძვლად დასდებოდა ასეთი ლოზუნგები: შეიარაღებული აჯანყება, რევოლუციური ჭარი, სარევოლუციო მთავრობა, გავრცელება ამ მთავრობის პროგრამისა: რომ ამ აგიტაციისა და შეიარაღებული ბრძოლის ირგვლივ მხოლოდ ის ელემენტები შემოეკრიბნათ, ვინც ამ ლოზუნგებს იზიარებდა, და რომ დაუნდობლივ გაეშვიშებინათ და დაედანნათ ბურჟუაზიული თეორია შესახებ შეთანხმებისა, და მუშათა კლასიც სათანადოდ გაეფრთხილებინათ“².

მ. ჭავჭავიძე იქვე დასძენს, რომ მეგობრები სულგანაბულნი უსმენდნენ ზურაბს და დროგამოშვებით წამოიძახებდნენ:

„ — აგრეა. მართალია!

— ისე ნათლად ვხედავ მაგ გეზს, თითქოს ხელის გულზე მედოს.

— ნამდვილი საბრძოლო ლოზუნგებია.

— კალამში ვენაცვალე მაგის დამწერს“.

ცხადია, მწერალი ამას თვითონ ამბობს და თავის პოზიციას გამოხატავს ლენინის დედააზრის მიმართ, თორემ არავითარი დათო და ლევანი სინამდვილეში არ არსებულან. ამ შეძახილებით მწერალი გვიჩვენებს, თუ მშრომელი ადამიანები როგორ იღებდნენ, იწონებ-

¹ ტ. V, გვ. 126

² იქვე, გვ. 189.

დნენ ლენინის აზრებს. ამით კი ავტორის ტენდენცია მქლავნდება.

ლენინის წერილიდან მწერალს მოაქვს მთავარი აზრი და არა ამონაწერი, მაგრამ დეკლარაციულად კი არა, არამედ უშუალოდ, ზურაბი კითხულობს, მისი ამხანაგები ისმენენ და შეძახილებით ხვდებიან. ცხადია, მასალის ასეთი მიწოდება მშვენიერია, რადგან ორგანულად ზის სიუჟეტის განვითარებაში.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ შევნიშნავთ, რომ მ. ჯავახიშვილის თხზულებათა მეხუთე ტომის რედაქცია აღნიშნულ ადგილას აკეთებს ასეთ შენიშვნას: „ავტორი გულისხმობს ლენინის წერილს „მონარქისტული ბურჟუაზიის კულში ჩანჩალი თუ რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მეთაურობა?“, რომელიც ბოლშევიკური „პროლეტარის“ მე-15 ნომერში დაიბეჭდა (1905 წ. 5 სექტემბერს)“. რედაქციის ეს შენიშვნა სწორ ცნობას გვაწვდის ლენინის აღნიშნულ წერილზე. ჩვენ შევუდარეთ ეს ადგილი დასახელებულ წერილს და დავრწმუნდით რედაქციის ცნობის სისწორეში: წერილი დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემის მე-9 ტომში.

ჩვენ დავინახეთ, რომ მ. ჯავახიშვილი „ქალის ტვირთში“ იყენებს ეპოქისათვის დამახასიათებელ ისეთ აუცილებელ მასალებს. როგორც არის ლენინური გაზეთები და ლენინის წერილი. ამით ავტორი მკითხველს მიანიშნებს. რომ საქართველოში რევოლუციურ მოძრაობაზე დიდ გავლენას ახდენდა ლენინი, ბოლშევიკური პრესა და რომ საქართველოს რევოლუციური მოძრაობა ორგანული და განუყოფელი ნაწილი იყო საერთოდ რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა. მოვლენების ასეთი ინტერპრეტაცია კი, ცხადია, სავსებით სწორია.

ნაწარმოებში თბილისში მომხდარი რევოლუციური ამბების გვერდით რამდენჯერმე მინიშნებულია სოფლად მომხდარი რევოლუციური ამბებიც. მაგალითად, გურიის ამბების გამოძახილი, ქართლის სოფლებში გლეხების მიერ მემამულეთა შევიწროება, რის გამოც სოფლებიდან მემამულეები ქალაქად გამოიბიან, და ა. შ. როგორც ისტორიიდან ვიცით, ყოველივე ამას 1905 წლის რევოლუციის დღეებში მართლაც ჰქონდა ადგილი.

გურიის ამბების შესახებ ჩვენ აღნიშნეთ იმ ადგილას, სადაც ილიაზე გვქონდა საუბარი, ამიტომ აღარ გავიმეორებთ. რაც შეეხება სოფლებში მომხდარ გლეხთა მღელვარებისა და მთავრობის მიერ მათი აწიოკების ფაქტს, ამაზე რომანში შემდეგს ვკითხულობთ: „ამას წინათ ანდროს სოფელში „მისდა დაუკითხავად“ ასი ყაზახი ასულიყო, იქაურობა აეკლოთ, ორი გლეხი დაეპირათ, ერთი მოეკ-

ლათ, თორმეტი თავიკაცი დაეპატიმრებინათ, ანდროს „უთვნილი“ ლალა აეკრიფათ, „სრული წესრიგი დაემყარებინათ“ და მეორე სოფელში გადასულიყვნენ. ამის გამო ანდრო არა სწუხდა. არც სიხარულს ამჟღავნებდა, მხოლოდ ამბობდა: ვინც კანონი დაარღვია, პასუხიც იმან აგოს, მორჩა და გათავდაო. მაგრამ ბობოქარ ერთობას ფიქრადაც არ მოსვლოდა გათავებულაყო. ყოველგვარი „თავისუფლება“ ჩვიდმეტ ოქტომბერს გამოაგლეჯილი, მან ძირფესვიანად გამოიყენა, რათა ძალ-ღონე მოემრავლებინა და საბოლოო იერიშისათვის მომზადებულიყო“¹.

მოტანილი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, თუ რა მდგომარეობაა სოფელში: იქ გლეხები მღელვარებენ. „კანონს არღვევენ“, რის გამოც ყაზახები „სრულ წესრიგს ამყარებენ“... თუმც „ქალის ტვირთში“ მოქმედება მთლიანად თბილისში მიმდინარეობს, მაგრამ სოფლების გამოძახილი ქალაქამდეც კარგად აღწევს. მოტანილი ამონაწერი ამის საილუსტრაციოდ გამოდგება.

რაც შეეხება მემამულეთა სოფლიდან გაქცევის ფაქტს, როცა ისინი ფეხზე დამდგარი გლეხების რისხვას გაურბიან, ეს რომანში რამდენიმე ადგილზეა ნახსენები. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ანდრო ახატნელის ძმისშვილი გრიგოლი თავისი ცოლით ხომ სოფლიდან გამოქცეულები არიან.

ყოველივე ეს ხელს უწყობს მოვლენების კიდევ უფრო სრულ და მთლიანობაში ჩვენებას, ეპოქის საერთო დამახასიათებელი თვისებების გამომზეურებას.

საზოგადოებაში მოქმედებს სხვადასხვა ძალა — შავრაზმელები, მენშევიკები, ფედერალისტები, ბოლშევიკები და ა. შ. აღარაფერს ვამბობთ ოფიციალურ ხელისუფლებაზე, რომელიც თავის სახეს, სიტუაციის კვალობაზე, სხვადასხვაგვარად გვიჩვენებს. საზოგადოების ასეთი ძალთა მრავალფეროვნება და სიჭრელე მიკრო მასშტაბით ოჯახშიაც გაჩენილა. თავად ანდრო შავრაზმელია, მისი ვაჟი აკაკი მენშევიკია, მეორე ვაჟი ნიკო ბოლშევიკია, ქალიშვილი ქეთო ბოლშევიკებისკენაა, ძმისშვილი გრიგოლი — ფედერალისტია, დიმიტრი მერყევია, ილიკოსთვის არავითარი მრწამსი არ არსებობს, გარდა უწესობისა და პოტენციურად იგი ანარქისტებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ანდროს ცოლი მარიამი კი ყველას შუაში ჩამდგარა, თუმც ვერავის არიგებს და ეს არც შეიძლებოდა.

საზოგადოებაში დატრიალებულ არეულობას ოჯახშიც მოუკა-

¹ მ. ჯავახიშვილი, ტ. V, გვ. 267.

ლათებია, ოჯახის წევრები აუშლია, ერთმანეთისთვის დაუპირისპირებია და საცაა უნდა დაირღვეს, დაეცეს კიდეც.

ოჯახის წევრთა შორის თითქმის ყოველთვის დავა და დაპირისპირებაა, ისინი სხვადასხვა პოზიციაზე დგანან, ერთმანეთს უმტკიცებენ თავიანთი თვალსაზრისის უპირატესობას, ამ დავაში ზოგჯერ ისე გაცხარდებიან, რომ ლამის მუშტი-კრივზე გადავიდნენ. ერთი ასეთი შეხლა-შემოხლის შემდეგ ანდროს ძმისშვილი გრიგოლი აკი მწარედ წამოიძახებს კიდეც:

„ — როგორ იშლება ეს ოჯახი, მარქსიცი ამბობს: რაც ოჯახია, სახელმწიფოც ის არისო. ახლა ყველა ოჯახი იშლება და მასთან ერთად სახელმწიფოც ირღვევა...“¹ თუმცა გრიგოლის დამოწმება ჩვენთვის საერთოდ ავტორიტეტული არაა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში მოხდენილად ნათქვამი გამოუვიდა.

ანალოგიური აზრი იმავე გრიგოლმა რომანის სხვა ადგილასაც გაიმეორა. ანდროს ვალები აუღია, მოვალენი ყელში ხელს უჭერენ ახატნელი იძულებულია ოჯახის წევრები შეკრიბოს და მათ მოეთათბიროს, რა გეზს დაადგენ, რა იმოქმედონ; შვილები და ძმისშვილები ანდროს აშკარად უსაყვედურებენ, რა გვიქენი, რატომ დაგვლუპეო. ამ საგანზე უთანხმოება ძალზე მძვინვარე სახეს იღებს, როცა უფროს-უმცროსებს ერთმანეთის რიდი და პატივისცემა ავიწყლებათ. ამ ვითარებაში გრიგოლი კვლავ გულისტკივილით ამბობს:

„ — ყველაფერი ინგრევა: სახელმწიფოც, საზოგადოებაც, ოჯახიც და გვარიც, — მწუხარებით ჩაილაპარაკა გრიგოლმა, — შეიდ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენს მამულ-დედულს თავს ვეველებით. ამ ხანში მას ათასი სული ახატნელი მაინც გამოუზრდია, ახლა კი ანდრო ახატნელის ხელში უნდა გაიყიდოს?! არ შეიძლება! ვერ დავიჯერებ!“²

კიდეც უფრო აშკარა და ნათელია ოჯახის ნგრევის პროცესი, როცა ოჯახის წევრები, სახელდობრ, უმცროსი ვაჟი ნიკო, მისი ძმები და ბიძაშვილები მამას და ბიძას — ანდრო ახატნელს ოჯახურ სასამართლოს უწყობენ და მისთვის ბოიკოტის გამოცხადებას აპირებენ. ეს სცენა გამოირჩევა დრამატიზმითა და დამაბულობით. ანდროს ისლა დარჩენია, რომ მოთმინებით, მაგრამ მოზღვავებული ბოღმით მოისმინოს ოჯახური პროტესტი. ამას გულის შეტევა მოყვება, რის გამოც ცოლსა და ქალიშვილს იგი შეებრალებათ და მეორე ოთახში გაიყვანენ, თანაც დაშვიდებებს დაუწყებენ.

¹ ტ. V, გვ. 65.

² იქვე, გვ. 270.

როგორც ვხედავთ, რომანში ოჯახის რღვევის პროცესი დაკავშირებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების რღვევის პროცესთან ურთიერთობაში, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ხაზს ავლებს ავტორი. ამდენად, მ. ჯავახიშვილი ამ შემთხვევაშიც სწორად სკვერეტს და აფასებს იმ მოვლენების შინაარსს, რაც ცხრას ხუთის რთულ პროცესებთან იყო დაკავშირებული.

აღებულ ეპოქას, რომელიც საზოგადოებას ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკად ყოფდა, ახასიათებდა ბევრი ისეთი რამ, რაც თავისებურ ატრიბუტად მოჩანს ამ ეპოქისათვის. რევოლუციის წინააღმდეგ აღმართულიყო არსებული ხელისუფლება მისი ყველა აპარატითა და ხრახნით. დაწყებული მეფიდან და გათავებული უკანასკნელი ჯაშუშითა და პოლიციელით, მწერალს ყველა რგოლის წარმომადგენელი ყავს ნაჩვენები ფრაგმენტულად მაინც. ესენი არიან მინისტრები, მეფისნაცვალი, გენერლები, დრაგუნები, ყაზახები, მათი ოფიცრები, ჟანდარმები, ბოქაულები, პოლიციელები, ჯაშუშები, სამღვდლოება და სხვა მრავალი. ყველა ესენი გაერთიანებული არიან ერთ ბლოკად, რომელიც რევოლუციის მოხრჩობას ლამობს. აღსანიშნავია, რომ პატარა შტრიხებით თუ უფრო მუქი საღებავებით ყველა ისინი, მწერალს უარყოფითად, საძაგელი თვისების მქონე, მკითხველში ზიზღის მომგვრელ ადამიანებად ყავს წარმოდგენილი. ეს გასაგებია.

მეფის ყველა ერთგული ან გარყვნილია, ან ლოთია, ან მექრთამეა, ან უსინდისო და ზნედაცემულია, ანდა რაიმე სხვა, დაბალი, უკაცური თვისების მქონეა. ამ დებულების საილუსტრაციოდ ორი მათგანის დახასიათებაც იკმარებს. ესენი არიან ჟანდარმი არტემ ავშაროვი და მისი ქერა ჯაშუში, რომელსაც ადამიანური არაფერი გააჩნია.

ავშაროვი წარმოშობით მემამულეა. მას რუსეთში აქვს დიდძალი მამული, რომელსაც არტემის დედა თავს დასტრიალებს, რათა თავის ერთადერთ შვილს მეტი ქონება დაუგროვოს, მეტი ფული უგზავნოს. ეს ვაჟბატონი ჯერ დრაგუნთა ოფიცერი ყოფილა, მაგრამ იქ ბნელი საქმეები ჩაუდენია, ხაზინის ფული გაუფლანგავს, დრო გარყვნილებაში უტარებია და ყველაფერ ამის გამო მისი სამსახურებრივი წარმატება საფრთხეში აღმოჩენილა. გავლენიან ნათესავებს არტემი ჟანდარმთა ნაწილში შეუპარებიათ და მუნდირში გამოუწყევიათ. მაგრამ მგელი მგლობას რას მოიშლის... არტემი ისევ ძველს მისდევს: უზნეო ქალებში და საექვო ადამიანებში ატარებს ცხოვრებას, თუმცა გარეგნულად კრავს მოგავონებთ.

ქეთო მოტყუვდა, მას რომ წაყვა ცოლად, მაგრამ გვიანდა იყო

სინანული. ქეთომ ქმრის მაგიდის უჯრებში ნახა მრავალი წერილი რომლებშიაც არტემის მიერ გაუბედურებული ქალების ცრემლი, კვნესა და წყევლა ისმოდა. აქვე მოჩანდნენ გარყვნილი, შანტანის ზნედაცემული ქალები, როგორიც ადელი იყო. ქეთოსთან ქორწინების შემდეგაც არტემი თურმე კიდევ ეწეოდა ზნედაცემულ ცხოვრებას, რისი გაგებაც ქეთოს უდიდესი მძულვარებით ავსებს ქმრის მიმართ.

არტემი ნამდვილი გაიძვერაა. იგი საკუთარ ცოლსაც კი მახეს უგებს. რათა სადმე გააბას. ამავე დროს, არც იმას თაკილობს, რომ იგივე ცოლი, რომელსაც სიყვარულს ეფიცებოდა. მზვერავად და ჯაშუშად გამოიყენოს, მაგრამ ამას ის ვერ აღწევს.

ავშაროვის სულიერი განძარცულობა. სიმდაბლე და უღირსობა მრავალი ფაქტიდან და მოქმედებიდან ჩანს. ამიტომ იგი სძულთ ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებიც არსებული ხელისუფლების ერთგულნი არიან. დაბოლოს, ავშაროვის სულიერი ავლადიდება მისი ბოლო მოქმედებით კიდევ უფრო აშკარა ხდება: მას საკუთარი ცოლი დასაპატიმრებლად მიყავდა, თუმც არ დასცალდა.

კიდევ უფრო საძაგელი და ამაზრზენია არტემის ქერა ჯაშუში, რომელიც აქა-იქ ლანდივით გამოჩნდება და რევოლუციონერებს უსაფრდება ხოლმე. ის გამოჩნდა სასაფლაოს მახლობლადაც, როცა დაღუპულ მუშას ასაფლავებდნენ, ის გამოჩნდა გოლოვინის პროსპექტზეც, როცა ქეთო და ზურაბი სასტუმროს სარდაფში დაიმაღნენ, და, რაც მთავარია, ის მივიდა ქეთოსთან ბინაზეც, რათა ამ სულმდაბალს ეს ქალი დაგმინებინა და ფულები გამოეძალა. ის გველივით იკლავება ქეთოს წინაშე, ხან თავს აბრალებს, ხან ემუქრება რითაც ბლომად ფულსა და ბეჭედსაც დასტყუებს. მერე ირკვევა, რომ ის აქაც არტემის დავალებით მოქმედებდა.

ამ უარყოფითი პერსონაჟების — მეფის ხელისუფლების დამქაშთა მოქმედება მათი პატრონების საკადრისი და შესაფერია. ამაზე იტყვიან, „როგორიც ერი, ისეთი ბერია“. ამ უარყოფითი ადამიანების დახატვით მწერალი იმას აღწევს, რომ მკითხველს კიდევ უფრო აძულებს მეფის ხელისუფლებას, მის აპარატს, მოხელეებს, ყველაფერ იმას, რასაც რევოლუცია დანგრევას უპირებდა.

„ქალის ტვირთში“ ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები პირველი რევოლუციის ორი პერიოდი — აღმავლობის პერიოდი, რა საც შემდეგ დაღმავლობა და მარცხი, რეაქცია მოჰყვა. ნაწარმოების პირველი სტრიქონებიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის მომდევნო ამბებამდე რევოლუცია აღმავლობის გზით მიდის: მეფის ხელისუფლება დამფრთხალია, იგი უკან იხევს, მისი მოქმედება შიშნარევი და

მფრთხალია, რევოლუციონერები უტყვენ, იმარჯვენენ, მეფეს ხელი-
დან სტაცებენ დათმობებს, რაც მანიფესტითაც დაგვირგვინდა.

მაგრამ შემდეგ, რაც მანიფესტით ხალხის მოტყუილების შედე-
გად მეფის ხელისუფლებამ სული მოითქვა და ძალები მოიკრიბა, იგი
შეტევაზე გადავიდა, ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას მიმართა,
რათა რევოლუცია სისხლში ჩაეხრჩო, რასაც მიაღწია კიდევ. რო-
მანში ასახული ხალხის ელექტა, სტამბის დარბევა, ბოლშევიკების და-
პატიმრება, მათი გადასახლება კატორღაში — ყოველივე ეს ხელი-
სუფალთა გამარჯვებისა და რევოლუციის ძალების შესუსტების, შემ-
დეგ კი მარცხის მაჩვენებელია.

ისტორიულადაც რევოლუციას ეს ორი პერიოდი ახასიათებდა.
მ. ჭავჭავაძემ სწორად და ობიექტურად, პირუთვნელად გვიჩვენა
რევოლუციის ეს ორი პერიოდი.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით არსებულ ჯგუფებსა
და სხვადასხვა პარტიათა შორის არსებულ წინააღმდეგობასა და და-
ვას, დაპირისპირებას და ბრძოლას მწერალი სათანადო ადგილს
უთმობს თავის რომანში და ეს საკითხი ყოველთვის გაშუქებულია
ისტორიული სიმართლით. ნაწარმოებში სხვადასხვა ადგილას მენ-
შევიკები გამოყვანილნი არიან როგორც მოღალატენი და ორჭოფნი,
ფედერალისტები და ანარქისტები. ყოველ მათგანს გააჩნდა თავ-თა-
ვიანთი მრუდე პოზიცია, ამიტომ რომანში დახატული ბოლშევიკები,
ისე როგორც სინამდვილეშიც, ყოველ მათგანს საკადრისად მიუზღა-
ვენ — ებრძვიან. ამხელენ და სწორ თვალსაზრისს განუმარტავენ,
როგორც მათ, ასევე სხვებსაც. ერთადერთია ბოლშევიკების პარტია,
რომელსაც რევოლუციური მშრომელი მასები მიყავთ სწორი გზით.
ასეთია რომანის სულისკვეთება.

აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენ-
ნოთ ის ეპიზოდი, რომელშიც ნაჩვენებია მიტინგი ოპერის წინ.
აივანზე გადმომდგარი ორატორები, სხვადასხვა პარტიების წარმო-
მადგენლები სხვადასხვაგვარად განმარტავენ მანიფესტის აზრსა და
მნიშვნელობას, მაგრამ ყველა მათგანისათვის საერთო ისაა, რომ
ისინი ყველანი ცდებიან. მხოლოდ ზურაბ გურჯენიძემ, ბოლშევიკ-
თა წარმომადგენელმა ახსნა და სწორად განმარტა მისი აზრი და
მნიშვნელობა, აგრეთვე სწორად დასახა მომავალი მოქმედების
გზებიც.

პარტიათა შორის დაპირისპირება რომანის სხვა ეპიზოდებშიც
ნათლად ჩანს. ახატუნელების ოჯახში ნიკოს, აკაკის, გრიგოლის,
დინიტრისა და ელიზბარს შორის ატეხილი დავა სხვა არაფერია,
თუ არა პარტიული დავა. რადგან თითქმის ყველა მათგანი სხვადა-

სხვა პარტიას ეკუთვნის. ანალოგიური დაპირისპირება და დაუზოგავი, დაუნდობელი შეტაკება მოხდა აგრეთვე კომიტეტშიც, სადაც აკაკი ახატუნელმა აშკარად გამოიჩინა თავისი ორჭოფული, მერყევი და მხდალი მენშევიკური სახე.

რაკი ეპოქისათვის ასე დამახასიათებელი იყო ეს პარტიული ბრძოლები, რაკი ამ ბრძოლების-გარემოსა და ვითარებაში ხდებოდა მთელი ამბები, რაც რომანის ასახვის საგანია, ცხადია, მწერალი ამ საკითხსაც გვერდს ვერ აუვლიდა და არც აუარა. ამითაც იგი ისტორიული სიმართლის ერთგული დარჩა.

ასეთია ის სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემო, მოვლენები, ფაქტები. პიროვნებები და მათი საქმეები, რომელთა მხატვრულ ასახვასაც მიუძღვნა მ. ჭავჭავიძემ თავისი რომანი „ქალის ტვირთი“.

საერთოდ რომანი სიყვარულის გარეშე ძნელი წარმოსადგენია და, ცხადია, „ქალის ტვირთშიც“, რაკი ის რომანია, სიყვარული ერთ-ერთი მთავარი საკითხია. მწერალი ამ საკითხში საკმაოდ რთულ კოლიზიებს ქნის. ქეთოს უყვარს ზურაბი, ზურაბს უყვარს მართა, მართას უყვარს ზურაბი, ნიკოს უყვარს მართა. ამრიგად, მართა უყვარს ორ ვაჟს — ზურაბს და ნიკოს, მაგრამ მართას მხოლოდ ზურაბი უყვარს. ამავე დროს ზურაბიც უყვარს ორ ქალს — ქეთოს და მართას, მაგრამ ზურაბსაც ნამდვილი სიყვარულით ამთვან მხოლოდ ერთი — მართა უყვარს.

ამ რთულ ვითარებაში, ცხადია, გარკვეულობა უნდა მომხდარიყო, საიდუმლო კვანძი უნდა გახსნილიყო, მთელი რიგი მიხვეულ-მოხვეული ბილიკები გაერთიანებულიყო. ასეც მოხდა: ზურაბი და მართა სამუდამოდ შეუერთდნენ ერთმანეთს, მათი სიყვარული შეუღლებით დამთავრდა. ზურაბს ჩამოსცილდა ქეთო, მართას — ნიკო. ქეთო და ნიკო სიყვარულში დამარცხდნენ. რატომ გადაწყვიტა ეს რთული საკითხი მწერალმა ასე? ჩვენი ფიქრით, ამ საკითხს შეიძლება ასეთი ახსნა მოვუძებნოთ. ქეთო ზურაბთან სიყვარულში მარცხდება იმიტომ, რომ იგი როგორც პოლიტიკურად, ე. ი. კლასობრივად, ისე სიყვარულშიც მერყევი ხასიათისაა. ის თავიდანვე მერყეობდა ზურაბსა და ავშაროვს შორის. უფრო მეტიც, ის ავშაროვს რომ ცოლად გაჰყვა, მართას ეუბნებოდა — თითქმის მიყვარსო. ასე რომ, მართა ივდიუობისათვის არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი მართალია, ქეთოს ზურაბიც შეუყვარდა, მაგრამ ეს რა სიყვარულია. როცა ქალიშვილი ორ მამაკაცს შორის მერყეობს? მერე საქმე ისე წარიმართა, რომ ზურაბმა სარდაფში ფაქტიურად პირველი ქმრობა გაუწია ქეთოს. ამას მოჰყვა ზურაბისადმი ქეთოს თავშეუკავებელი

და ძლიერი ლტოლვა, რასაც შემდეგ უბედურება მოჰყვა. მაგრამ ზურაბი ყოველთვის აგრძნობინებდა ქეთოს, რომ მას სხვა უყვარდა და თუ მასთანაც ახლო იყო, ეს სიყვარულს არ ნიშნავდა. ქეთო მოსწონდა, რადგან იგი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ სიყვარულით სხვას ეკუთვნოდა. ეს სხვა კი მართა იყო.

გავიხსენოთ იგივე მომენტი სარდაფში. როცა ზურაბმა და ქეთომ ხორციელი კავშირი დაამყარეს. დამცხრალი ქეთო და ზურაბი ერთ ხანს გაჩუმებულნი იყვნენ. მერე ქეთო მიუბრუნდა ზურაბს და უსაყვედურა — რას გაჩუმებულხარ, ერთხელ მაინც მითხარი, მიყვარხართქო. ზურაბს ამ სიტყვის თქმა გაუჭირდა, ძალდატანებით ამოღერდა ის და ქეთო მიხვდა, რომ ეს არ იყო გულით ნათქვამი: „რამდენიმე წუთის შემდეგ ქეთო კვლავ ეკვროდა დამცხრალ ზურაბს, კვლავ ჰკოცნიდა და ეუბნებოდა:

— მიყვარხარ, ზურაბ, გაგიყვებით მიყვარხარ... რას გაჩუმებულხარ, მითხარი რამე, მითხარი მეც მიყვარხართქო.

— მეც მიყვარხარ, — ძლივს ამოიღო ხმა ზურაბმა.

ქეთომ მას კისერზე ხელები მოუშვა. ის მიხვდა, რომ ზურაბს აპის თქმა ეძნელებოდა, ეძნელებოდა ეთქვა ის თილისმური სიტყვა, რომელიც მხოლოდ მართასთვის ემეტებოდა ხოლმე, რომელსაც მხოლოდ მართასთვის ინახავდა¹.

მომდევნო შეხვედრებიც ქეთოსა და ზურაბს შორის უფრო ცალმხრივი ლტოლვაა ქეთოსი ზურაბისადმი. ქეთოს ზურაბი ერიდება, არ ხვდება, მაგრამ ქალი ათასგვარ ხრიკს ხმარობს, რომ ვაჟს შეხედეს, ნახოს, მოეხვიოს. ზურაბიც იძულებულია ერთგვარად, მამაკაცურად უპასუხოს ქალის ამ თავშეუკავებელ სურვილებს, თუმცა ყოველთვის აგრძნობინებს, რომ ეს შეხვედრები არ უნდა ხდებოდეს. ქეთო თუმცა დარწმუნდა, რომ ზურაბს მართა უყვარს, მხოლოდ მას ეკუთვნის სავსებით, მთელი არსებით, მაგრამ მაინც მიილტვის ამ ვაჟკაცისაკენ, ურიგდება საყვარლის მდგომარეობას. ეს კი სიყვარული არაა. ეს ზორციელი გატაცებაა.

ბუნებრივია, რომ ქეთოსნაირი სიყვარული არ შეიძლებოდა სამარადისო ყოფილიყო და მას გაემარჯვა. ამიტომ ქეთო სიყვარულშიც მარცხდება.

სხვაგვარი. მაგრამ აგრეთვე სუსტ საფუძველზეა დამყარებული ნიკოს სიყვარული მართასადმი. მართას ნიკო არ უყვარს. მაგრამ ნიკოს უყვარს მართა. იმის მაგივრად, რომ ამ ვაჟმა მართას ყურადღება სხვა გზით, ნამდვილი და კეთილშობილური საშუალებებით

¹ ტ. V, 33 248.

მიიპყროს, იგი მიმართავს უსუსურ და ზოგჯერ უტაქტო, ხანაც უკადრის საშუალებას. ნიკომ ვერ შეძლო მართასთვის გულწრფელად ეთქვა თავისი გრძნობის შესახებ და მან თავისი და მიაგზავნა მართასთან. მართა თავშეკავებული, თავაზიანი უარით ისტუმრებს შუამავალს. ნიკო მუქარაზეც გადავიდა: ან ახლა მეტყვი თანხმობას, ან არადა მერე გვიან იქნებაო. მართამ სწორად გაიგო ნიკოს ხასიათი: ის მემუქრება, მერე ჩემი იმედი აღარ გქონდესო, მას ნამდვილად რომ ვუყვარდე, ასე აღარ მეტყოდით. ეს რა სიყვარულიაო. ამასთან ნიკომ მიმართა ვერაგულ ხერხებსაც, მან მართა მოტყუებით წაიყვანა ზურაბის ოთახში. როცა ამ უკანასკნელთან ქეთო იყო. ნიკოს იმედი ჰქონდა, რომ მართა ზურაბს შეიძულებდა, მაგრამ იგი მოტყუდა, მართასა და ზურაბის სიყვარული სპეტაკი და ძლიერი იყო. გარდა ამისა, მართა ყოველთვის გრძნობდა ნიკოს კლასობრივ წარმოშობას და ამ საფუძველზე დიდ ზღვარს მათ შორის.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ ერთ ეპიზოდზე რომანიდან: პოლიციელებისაგან მთრახვით ნაცემ მართას ბეჭებიდან სისხლი სდიოდა. ნიკომ მას ბინაზე წამალი მიუტანა და სთხოვა შეგიხვევო. მართა უარზე იყო, მაგრამ ნიკომ დაარწმუნა — ამხანაგები არა ვართ, ნუ გერიდებო. როცა შიშველ ბეჭებზე ნიკო წამალს ადებდა, მართას მიეტანა და კოცნა დაუწყო, მართა გაუწყრა და გაერიდა. ნიკომ მუდარა დაუწყო — მიყვარხარო. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„— დამშვიდდი და ყური დამიგდე. მე კარგა ხანია შეგატყე. რომ შენ სხვაგვარად დამიწყე ცქერა. შეგატყე და გერიდებოდი.

— ალბათ იმიტომ მერიდებოდი, რომ შენი ღირსი არ ვიყავი, — უკბინა ნიკომ.

— აი, ხომ ხედავ: ახლაც იგესლები, ახლაც ამპარტავნობ. იწენ ამხანაგობაც, პარტიაც და სიყვარულიც ამპარტავნობას დაუზორჩილე. წელან ჩვენი ცოლ-ქმრობა ასხენე. მე ხუმრობა მეგონა. ახლა კი მართლა ვხედავ, რომ ზოგჯერ თავდაბლობა ამპარტავნობაზე უარესი ყოფილა. სად ახატნელი და სად ანტონა ხელოსნის შვილი, რომელიც თითქმის სამადლოდ გაიზარდა თქვენს კარზე“¹. როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია: მართა ხაზს უსვამს სწორედ კლასობრივ ზღვარს მასა და ნიკოს შორის. ესაა მთავარი.

როცა მართასა და ნიკოს შორის საუბარი ნიკოს სასარგებლოდ არ წარიმართა, გაბრაზებულმა ნიკომ მართას უთხრა — ზურაბი

¹ ტ. V, გვ. 137-138.

ქეთოს დასდევსო, დღესაც ქალთა კრებაზე ერთად მიდიანო, შენ კი არაფერი იციო, მერე გვიანი იქნება, ჩემი იმედი ნულარ გექნებაო. ნიკოს ამ უხეშობაზე მართამ გაიფიქრა: „მაგრამ გვიანლა იქნებაო, ე. ი. ჩემი იმედი ნულარ გექნებაო. აი კიდევ ერთი ნიშუში ნიკოს ამპარტავნობისა და მისი ცუდმედიდური სიყვარულისა—გაიფიქრა გაშეშებულმა მართამ. — დამშხამ და წავიდა“¹. მართლაც, ნიკომ მართა დაშხამა. კარები გაიჭახუნა და წავიდა.

როგორც დავინახეთ. მართას არ სჯერა ნიკოს სიყვარულისა ეს გრძნობა ნიკოში ამპარტავნობით წარმოშობილად მიაჩნია. მართა კლასობრივ ზღვარს. უფსკრულს ხედავს მასა და ნიკოს შორის. ამიტომ უარით უპასუხებს ამ ვაჟს. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მას მთელი არსებით უყვარს ზურაბი, რომელიც ისე ავსებს მართას სიცოცხლეს, რომ სხვისთვის ადგილი აღარა რჩება. მარცხდება დამა — ქეთო და ნიკო. ისინი კი ორივენი თავადთა წრეს ეკუთვნიან. ამ კლასობრივი წარმოშობით არის გამოწვეული ქეთოს თავისებური გაგება სიყვარულისა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, აგრეთვე კლასობრივი წარმოშობის შედეგია ნიკოს ამპარტავნობა და სიყვარულის არასწორი გაგება. მარცხდებიან ქეთო და ნიკო. რატომ მოხდა ასე? მწერალი ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ფეოდალური კლასი ისე გადაგვარდა და გაიხრწნა, რომ მისი წარმომადგენლები, თუნდაც ისინი თავიანთ კლასს ებრძოდნენ, მაინც უძლურნი არიან, მათ არ შეუძლიათ წმინდა, სპეტაკი სიყვარული? ანდა მწერალს იმის თქმა ხომ არ სურს, რომ კლასობრივი საკითხი სიყვარულშიც იჩენს თავს: შეუძლებელია ნავთისა და წყლის ერთმანეთში არევა, ე. ი. შეუძლებელია არისტოკრატი ქეთოსა და მუშა ზურაბის საბოლოო შეერთება თანაც სპეტაკი სიყვარულის საფუძველზე, ისე, როგორც შეუძლებელია არისტოკრატი ნიკოსა და მუშა მართას შეერთებაც? ეს კითხვები მით უფრო მკაფიოდ დგება, როცა რომანში ვხედავთ რომ მართა და ზურაბი — ორივე მუშა, ორივე ერთი კლასის შვილი — სიყვარულის უდიდესი ძალით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ძლიერმა სიყვარულმა მათ ციხის კედლებში ჭვარი დააწერინა, ამავე გრძნობამ აიძულა მართა გაყოლოდა ზურაბს შორეულ კატორღაში, ძნელსა და სატანჯველ ადგილში.

ცხადია, ჩვენ ამ საკითხებს მხოლოდ ვაყენებთ და არ შეგვიძლია მათი კატეგორიული მტკიცება.

ნაშრომის იმ ადგილას, სადაც 1905 წელს თბილისში მომხდარ სისხლიან ამბებზე ვსაუბრობდით, შევნიშნეთ, რომ მ. ჭავჭავიძის რომანში გაშუქებული ამ საკითხების თაობაზე აღრე, რევოლუცი-

¹ ტ. V, გვ. 138.

ისავე დღეებში. დაწერილი ჰქონდა საგაზეთო კორესპონდენციები. ჩვენ სათანადო ადგილას დავიმოწმეთ კიდევ იმ წერილებიდან საკირო ამონაწერები. მაგრამ ახლა გვინდა უფრო მკაფიოდ გამოვყოთ ერთი საკითხი, გვინდა შევნიშნოთ, რომ „ქალის ტვირთში“ წამოკრილ მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც რომანში მნატერულადაა ასახული, მწერალს აღრევე, რევოლუციის პერიოდშივე, დაწერილი და პრესაში გამოქვეყნებული ჰქონდა მთელი რიგი საგაზეთო წერილი და კორესპონდენცია, რომლებშიც ეპოქის საკირბოროტო, საინტერესო საკითხებს აშუქებდა. ესენია: რევოლუციის ირგვლივ მსჯელობა და თვითმპყრობელობისა და მისი მოხელეების სისხლიანი ამბების აღწერა. პარტიული საკითხების, ავტონომიისა და ეროვნული საკითხების დასმა და თავისებური გადაწყვეტა, მსჯელობა ლიტერატურაზე, ენაზე და ა. შ.

აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი მ. ჭავჭავაძის აღრინდელი წერილები ჩვენ განხილული გვაქვს სათანადო ადგილას ამიტომ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სწორედ ეს საკითხები რომანშიც იჩენს თავს, ამდენად ამაზე შეჩერება ღირს.

ჯერ დავინტერესდეთ, რატომ იქცევა მწერალი ასე? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეპოქა, რომელიც რომანში არის გაშუქებული, ასახული, თვითონ აყენებდა ამ საკითხებს. ამიტომ მწერალი მათ რომანშიც ვერ აუვლიდა გვერდს. გარდა ამისა, ავტორს აღნიშნულ საკითხებზე თავის დროზეც ჰქონდა წერილები. ე. ი. კარგად იცნობდა იმას, რაზეც სწერდა. ბუნებრივია, რომ ამ ცოდნას, ამ მასალებს რომანშიც გამოიყენებდა, მით უმეტეს, რომ ყველაფერი ეს ასე ორგანულად და განუყრელად დაკავშირებულია იმ ეპოქასთან, რომელიც რომანშია ასახული.

მაგალითად, რომანის ერთ ადგილას ორი პერსონაჟი — ნიკო და პოეტი ელიზბარი ერთმანეთს ედავებიან ენის საკითხზე. ნიკო ელიზბარს უკიჟინებს არქაიზმების გამო. ვალში არც ელიზბარი რჩება და ნიკოს ბარბარიზმებზე მიუთითებს. ასე რომ. ორივე სცოდავს — ერთი ძველი სიტყვების ხმარებით, მეორე უცხოურის კარბად ხმარებით. ნიკო ელიზბარზე ამბობს: „ — ნეკის სიგრძე ლექსიც კი ვერ უთქვამს ახალი ქართულით და თითებზე ჩაპოთვალა: — ამბოკარი, ცისკარი, ურვა, ავაზაკი, შემიწყალე, ცხონდები, იესო, სათნო მყავ, აზატი. სულ რვა სტრიქონში ცხრა მკვდარი სიტყვა გაურია“. ამაზე ელიზბარმა ნიკოს შეუღრინა: „მე ხუთას სიტყვაში ხუთ უცხო სიტყვასაც არ ვურევო“ და მერე მანაც ჩამო-

თვალა: „პროლეტარიატი ბოიკოტს, საბოტაჟს, მანიფესტაციას. დემონსტრაციას და რევოლუციას მოახდენს. კაპიტალის, ლატიფუნდიების, ფაბრიკების, რენტისა და ბანკების სოციალიზაციას, მუნიციპალიზაციას, ნაციონალიზაციას გამოაცხადებს და მექანიზაციას, ტელეფონიზაციას, სისტემატიზაციას. სტატისტიკაციას. მობილიზაციას განახორციელებს“.¹

ცხადია, აქ ორივე პერსონაჟი თანაბრად ცდება: არც ნიკოს მიერ ჩამოთვლილი ყველა სიტყვაა მოძველებული და ენიდან განსადევნი და არც ელიზბარის მიერ ხელოვნურად შედგენილი წინადადებები. ცალ-ცალკე, სათანადო კონტექსტში, ყველა ამ უცხო სიტყვის ხმარება შეიძლება, ოღონდ საჭიროებისამებრ.

ჩვენ დავინახეთ, რომ რომანში მწერალი პერსონაჟების პირით გმობს როგორც არქაიზმებს, ისე ბარბარიზმებს. ამავე საკითხებს უძღვნა მწერალმა ის წერილები, რომლებშიც ენის საკითხებია განხილული. ესენია: „როგორ ვმუშაობ“ (მნათობი № 10, 1933 წ.). „ისევ ქართული ენის შესახებ“ (გაზეთი „ქართული სიტყვა“, 25. V. 1924 წ.), „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის.“ (მნათობი № 11-12, 1928 წ. და № 1, 1929 წ.) და „სალიტერატურო ქართულისათვის“ („კომუნისტი“, 28 აპრილი, 1934 წ.). ამ წერილებში მ. ჭავჭავიძე იღობს არა მარტო არქაიზმებსა და ბარბარიზმებს ეხება, არამედ პროვინციალიზმსაც, ნეოლოგიზმსაც და ენის მრავალ სხვა საკითხსაც.

ანალოგიურად შეიძლება დავასახელოთ მაგალითები სხვა საკითხებზეც — როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ესენია: ეროვნული საკითხი, ავტონომია, ლიტერატურის საკითხები და ა. შ. მაგრამ მთავარია არა ყველას ჩამოთვლა და მწერლის სათანადო წერილებისა და რომანის სათანადო ადგილების შედარება, არამედ ამათ საფუძველზე დასკვნის გაკეთება. დასკვნა კი, ჩვენი ფიქრით, ორია: 1. ადრინდელ წერილებში, რომელიც პირველი რევოლუციის წლებში გამოქვეყნდა, მ. ჭავჭავიძე იყენებდა მწვავე საკითხებს, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ რევოლუციასთან. ეს საკითხები მწერალს, მაშინ ჟურნალისტს, თავის წერილებში ნათლად და მახვილად ჰქონდა გაშუქებული. რაკი 1936 წელს დაწერილ რომანში იგივე ეპოქა და მისთვის დამახასიათებელი საკითხები გაგვიშუქა, ბუნებრივია, თავისი ცოდნა, თავისი დაკვირვებები, ადრე წერილებში გამოხატული, რომანში გამოიყენა და სწორადაც მოიქცა. 2. მოგვიანებით დაწერილ წერილებში დასმულ საკითხებს რო-

¹ მ. ჭავჭავიძე, ტ. V, გვ. 200-201.

მანშიც რომ შეეხოს, ამით თავისი თვალსაზრისი პერსონაჟების მეშვეობით გადასცა მკითხველებს. ეს ხერხი კი არაიშვიათად არის გამოყენებული ლიტერატურაში.

ჩვენ ასე გვესმის დასმული საკითხი და მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ორივე დასკვნა რეალურ საფუძველს ემყარება.

ზოგი რამ მხატვრულ სტილზე და ენაზე.

მწერალი „ქალის ტვირთში“ იყენებს სადა, გამჭვირვალე სტილს. ყველა ფრაზა და აზრი ნათელი და გასაგებია. არ არის არც ერთი ეპიზოდი, რომლის გაგებისათვის თავს ძალის დატანება გვჭირდებოდეს. არ გვხვდება ბუნდოვანება ან ამღვრეული სტილი. ეს მიღწეულია როგორც სიუჟეტის განვითარების სწორხაზობრიობით, ისე მწერლის ენის მოქნილობით. რომანში მრავლადაა გამოყენებული ხალხური ანდაზა-გამოთქმები. ქართველ მწერალთა აფორიზმები.

ზოგიერთი დაკვირვება.

მ. ჯავახიშვილი სშირად მიმართავს შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს. რომელთა ციტირებასაც ახდენენ რომანის პერსონაჟები ან თვით ავტორი. ამით საუბარი უფრო ხალისიანი და ლამაზი ხდება.

მაგალითად, ზურაბ გურგენიძე თავის ამსანაგებთან საუბრისას ერთ აბზაცში იშველიებს ილიასა (თუშკ ოდნავ შეცვლილი სახით) და რუსთაველს: „—ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს და თეთრი ზღვიდან ერევენამდის ერთ ფიქრსა ფიქრობს... თავისუფლებავ, შენ ხარ ხალხთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“. მართალია, პოეტი ამ გუნდრუკს ეროვნულ თავისუფლებას უკმევდა, მაგრამ იგი ჩვენც გამოგვადგება. მე კატორღას დავაღწე თავი და ისე მიხაროიან, რომ ლამის ქანდარმებს მივეუყარდე და მიველოცო. მაგრამ... „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“¹.

აღსანიშნავია, რომ ზურაბს იქვე ქართული ხალხური ანდაზაც აქვს გამოყენებული — „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“². ე. ი. პატიმრობას გამოვექეცი და შიმშილი კი მკლავსო.

ანალოგიური მაგალითების ჩამოთვლას ადარ გავაგრძელებთ. ვიტყვი, რომ მსგავსი ადგილები რომანში საკმაოდ ბევრია. მარტო ელიზბარ შუქურაულის მაგალითი იკმარებს: ის ხომ სულ ლექსებით ლაპარაკობს. ამათგან ზოგი ექსპრომტია, ზოგიც ადრე დაწე-

¹ ტ. V, გვ. 39.

² იქვე.

რილი საკუთარი ლექსი, ზოგი კი სხვა პოეტებისა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მ. ჭავჭავაძის პოეტურ ციტატებსა და ხალხურ ანდაზებს ერთნაირ დატვირთვას აძლევს: რომ უფრო მოხდენილად და გამომხატველად ითქვას სათქმელი. ეს რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს. მთავარი გმირის — ქეთო ახატნელის დასახასიათებლად მწერალი ასეთ ხერხსაც მიმართავს: ქეთოს გათხოვების შემდეგ ავშაროვს ბინაზე საჩუქრად გამოუგზავნეს გაწვრთნილი თუთიყუში, რომელიც დროდადრო ერთსა და იმავე წინადადებას გაიძახის: „ქეთო სულელო!“ მწერალი თუთიყუშს ისეთ მომენტში „გამოიყვანს ხოლმე სცენაზე“, როცა ქეთოს მოქმედება მართლა სულელურია და ამის მიხვედრა არცთუ ძნელია. ასეთ ვითარებაში თუთიყუშის დაჩხავლება — „ქეთო სულელო!“ მკითხველს უსმის, როგორც საკუთარი გულისხმადები, რაც სხვადასხვა დაადასტურა.

მაგალითისათვის შეიძლება რომანის ასეთი ადგილი გავიხსენოთ: ქეთო ავშაროვის ქაღალდებს ქექავს. მათში მრავალი სისაძაგლე ამოიკითხა. ქმარს ცოლისთვის მახის დასაგებად ზოგი ქაღალდი განგებ დაედო, რომ ქეთოს წაეკითხა. ქეთომ სულის ამაფორიაქებელი ბევრი რამ ამოიკითხა ამ ქაღალდებში. იქ სხვა საქმეებთან ერთად ისიც გამოდიოდა, თითქოს ზურაბიც მოლაღატე იყო. ავშაროვს ეს ანკესი იმიტომ უსერია, რომ ქეთო დაეკვებულყო ზურაბში, ამ ექვს ქეთო ძმას და მის ამხანაგებს გაუზიარებდა და ამას შეიძლებოდა საზიზღარი შედეგი მოჰყოლოდა. ქეთო მართლა დაეკვდა და აფორიაქდა: სანამ ეკა დაბრუნდებოდეს, ქეთო ქაღალდებს თავის ალაგას აწყობს, უჯრებს ჰკეტავს, სწრაფად იცვამს და ცარიელ ოთახებში დიდხანს დადის ამღვრეული, მოწამლული, ფერწასული. ეკა რომ ბრუნდება, ქეთო რაღაც დარიგებას აძლევს მას და საჩქაროდ გადის შინიდან.

„ქეთო, სულელო! ქეთო სულელო! — მისდევს მას უკნიდან თუთიყუშის ყრანტალი“¹. ცხადია, ზურაბის ღალატში დაეკვება მართლაც დიდი სისულელე იყო. ქეთო სხვა სისულელებსაც სჩადის და თუთიყუშიც არა ერთხელ დასძახებს „ქეთო სულელო!“

მ. ჭავჭავაძის „ქალის ტვირთში“ მთავარ გმირთა თავგადასავალს რომანის ბოლო სტრიქონებამდე გვიყვება, მაგრამ მეორეხარისხოვან გმირთა თავგადასავალი რომ დასრულებულად გვითხრას ან მიგვანიშნოს, მკითხველს შოკლე ცნობა მაინც რომ მოაწოდოს მათ შესახებ, მწერალი მიმართავს ერთ ხერხს. ესაა ზურაბისა

¹ იქვე ტ. V, გვ. 267.

დმი ქეთოს მიერ გაგზავნილი წერილი, რომლითაც ქეთო ზურაბს ციხეში ატყობინებს მრავალ ამბავს, მათ შორის მეორეხარისხოვან პერსონაჟთა ბედსა და მდგომარეობას.

მართალია, ეს წერილი ძალზე გრძელია, მასში მოჩანს ნააეღმყოფარი ქეთოს გრძნობამორეული განწყობილება და მისუსტებული ნებისყოფა, რის გამოც წერილს სენტიმენტალიზმის ელფერი გადაჰკრავს, მაგრამ ეს ერთგვარად გამართლებულიცაა: ფიზიკურად და სულიერად დასუსტებულ ქეთოს არ შეეძლო ოპტიმისტური წერილი დაეწერა. ამ საკითხებს ჩვენ არ გამოვეყიდეით. ვიტყვით, რომ აჯობებდა ეს წერილი მოკლე ყოფილიყო. მიუხედავად ამ შენიშვნისა, უნდა ითქვას, რომ თვით ხერხმა, წერილის საშუალებით მრავალი პერსონაჟის შესახებ ცნობების მოწოდების ხერხმა უდავოდ შეასრულა თავისი დანიშნულება: იგი მწერალს დაეხმარა სიუჟეტის დასრულებაში.

ფაქტიურად ამ წერილით მწერალმა პასუხი გასცა მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც მკითხველს უეჭველად აინტერესებდა.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს ადგილი „არსენა მარაბდელში“. რომანის მთელი რიგი პერსონაჟის ბედს ვიგებთ ალ ჭავჭავაძის ოჯახში მოწყობილ შეკრებაზე, სადაც პერსონაჟები იგონებენ თავგადახდილ ამბებს და ამავე დროს ლაპარაკობენ სხვა პერსონაჟებზეც, რომლებიც იქ არ არიან და რომელთა ბედიც მკითხველს აინტერესებს.

„ქალის ტვირთში“ წერილს, ხოლო „არსენა მარაბდელში“ აღნიშნულ შეკრებას -- ორივეს ერთნაირი დანიშნულება აქვს, ორივე მწერლის ხერხია.

მ. ჭავჭავაძის „ქალის ტვირთში“ იყენებს მრავალ საშუალებას, რათა სიტუაცია უფრო გამძაფრდეს და ამის საფუძველზე გმირთა მოქმედება თუ საკითხი. რომელზეც აღებულ ეპიზოდში მწერალი ამახვილებს ყურადღებას, უფრო გამოიკვეთოს, უფრო რელიეფური გახდეს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მრავალ ფაქტთა შორის დავასახელებთ ერთ მათგანს. ესაა ზურაბისა და მართას ჭვარისწერა მეტეხის ციხეში. ეს ფაქტი უფრო დაძაბული რომ გახდეს, მ. ჭავჭავაძის ციხის ეკლესიაში მოპხდარ ამ უჩვეულო ჭვარისწერას დრამატიზმით აღსავსეს ხდის. ამ მიზნის მისაღწევად რომანის ერთ გვერდზე მწერალი სამჯერ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას წმინდანებზე, რომლებიც ეკლესიის კედლებიდან გადმოსცქერიან ნეფე-დედოფალს.

მწერალი ჯერ წერს: „გაოცებულ-ნაღვლიანი წმინდანებიც ისე გამოსცქერიან ცოლ-ქმარს, თითქო ისინიც ელოდებიან, ეხლა რა-

ლა მოხდებოა“. მოხდა ის, რომ ზედამხედველმა ეურბამ ტუსად ზურაბს ოქროს ბეჭედი თითიდან წაგლიჯა და მართას გადასცა, რადგან პატიმარს ოქროს ნამცეციც არ შეიძლებოდა ჰქონოდა. როცა ახლადჯვარდაწერილნი ერთმანეთს გადაეხვივნენ „ზოგი ტუსალი ცრემლს იხოცავდა, დანარჩენნი მკმუნვარედ შეჰყურებდნენ წმინდანებს. ისინიც ისევე აქეთ იცქირებოდნენ და კვლავ ელოდნენ, ეხლა რაღა მოხდებოა“ (ხაზი ჩემია — ტ. კ.). შემდეგ კი იმავე ეურბამ ატირებული მართა ზურაბს მოაცილა და გარეთ გაიყვანა. ახლა კი „წმინდანები... გაცუებით შესტკეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ეკითხებოდნენ: გახსოვთ, რომ ჩვენს ღროში ასეთი ამბავი მომხდარიყო?“¹

აღწერილი ამბის მიმართ (ჯვრისწერა) წმინდანების განწყობის, ამ ამბით აღძრული მათი ემოციების გადმოცემა ამ დრამატულ ქორწინებას უფრო მძაფრად და ძლიერად განაცდევინებს მკითხველს. ამით მწერალი დიდ ეფექტს აღწევს. ანალოგიური შემთხვევები რომანში მრავლადაა.

საკმაოდ ვრცელი განხილვიდან, რომელიც ჩვენ „ქალის ტვირთს“ მივუძღვევით, შეიძლება ზოგიერთი საერთო დასკვნა გამოვიტანოთ.

პირველ ყოვლისა, საგანგებო ხაზგასმის ღირსია ის ფაქტი, რომ მ. ჯავახიშვილმა თავის რომანში იშვიათი სიცხადით, სრულყოფით, სიმართლითა და დამაჯერებლობით ასახა 1905 წლის რევოლუციის ისტორიული ფაქტები და მოვლენები საერთოდ საქართველოში, კერძოდ და განსაკუთრებით კი — თბილისში. რევოლუციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი თუ მოვლენა რომანში გაცოცხლებულია უჩვეულოდ ხორცშესხმულად, თითქოს მკითხველი თვითონ ესწრებოდეს ასახულ მოვლენებს, თითქოს ყოველივე ეს მის თვალწინ მომხდარიყოს.

ასახული მოვლენების — ქუჩის ბრძოლები, დემონსტრაციები, მიტინგები, პოლიციისა და ჯაშუშების მოქმედება და ა. შ. — ხორცშესხმულად ჩვენებას მწერალი ახერხებს დასახელებული ამბების კონკრეტული ჩვენებით, ისე როგორც ეს სინამდვილეში ხდებოდა და ისტორიიდან არის ცნობილი. ფაქტების გაცოცხლებაში მწერალს ისიც უწყობს ხელს, რომ ის მათი უშუალო მონაწილეა.

¹ სამივე ნაწყვეტი მოტანილია ერთი და იმავე გვერდიდან — ტ. V, გვ. 314.

მ. ჯავახიშვილი დიდი ცოდნით და უნარით გვიჩვენებს იმ პარტიულ ბრძოლებს, აზრთა სხვადასხვაობას და დაპირისპირებას, რასაც ადგილი ჰქონდა ცხრაას ხუთის პერიოდში, რევოლუციის მსვლელობის პროცესში. მწერალი ამხელს მენშევიკთა და სხვა ჯურის შემთანხმებელთა მაქინაციებს, მათს ღალატს მშრომელთა ინტერესებისადმი და იმ გამყიდველ პოზიციას, რომელსაც ისინი დაადგნენ პირველი რევოლუციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

მწერლის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ იგი გვიხატავს ბოლშევიკთა სწორ, თანმიმდევრულ და მართალ პოლიტიკურ ხაზს, რაც მათ აღებული ჰქონდათ მუშათა კლასისა და გლეხობის ძალთა სწორი წარმართვისათვის, რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის, მუშათა და საერთოდ მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. მწერალი გვიხატავს ბოლშევიკთა მიმზიდველ სახეებს, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ ბოლშევიკური პარტიის მიზნებს, ტაქტიკას, მიზანდასახულობებს. ასეთები არიან ზურაბ გურგენიძე და მისი მეზობელი ამხანაგები, რომლებიც მკითხველის დიდ სიმპათიასა და სიყვარულს იმსახურებენ.

მწერალმა ისტორიული სიმართლით გვიჩვენა, რომ საქართველოს ბოლშევიკთა მოქმედება და მოღვაწეობა უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთის ორგანიზაციებთან, რომ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ორგანული ნაწილი იყო რუსეთის ბოლშევიკთა ორგანიზაციისა, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. რომანში ნაჩვენებია, რომ თბილისელი ბოლშევიკები კითხულობენ ლენინის წერილებს, ლენინურ გაზეთებს: „კვერიოდს“ და „პროლეტარს“, რომლებიც აქ არალეგალურად შემოაქვთ. ლენინის წერილები თბილისელ ბოლშევიკებს აღაფრთოვანებს, გზას უნათებს, სწორ გეზს აძლევს, რთული მოვლენებიდან სწორი დასკვნების გამოტანაში ეხმარება. ამ მოვლენათა ასეთი გაშუქება. ერთის მხრივ, ისტორიული სიმართლისადმი ერთგულებაა, მეორეს მხრივ კი, იგი ამჟღავნებს მწერლის კომუნისტურ პოზიციას.

შეუნიშნავი არ გვინდა დარჩეს ერთი გარემოება. ლეო ქიაჩელმა მონუმენტურად და რომანტიკული შეფერადებით შესანიშნავად დაგვიხატა ქართული სოფელი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. მან „ტარიელ გოლუაში“ გვიჩვენა გლეხთა მოძრაობა და ამით გაგვიცოცხლა ქართული სოფლის ცხოვრება იმ ბობოქარ დღეებში. მიხ. ჯავახიშვილმა კი ასახა ქალაქი იმავე პერიოდში, რომელიც დუღდა და ზანზარებდა იმ დიდ ისტორიულ ქარტეხილებისას. ქალაქის რთული ცხოვრება, მისი მრავალმხრივობა ამბავთა და ფაქტთა სიმრავლე, მოვლენათა დახლართულობა, მოქმედების სიმძაფრე,

პარტიათა დაპირისპირება, ხელისუფალთა მოქმედება და სხვა მრავალი გარემოება ქალაქის ცხოვრების ჩვენებას გაცილებით ძნელს. რთულსა და შრომატევადს ხდიდა. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ამ სიძნელეს მ. ჯავახიშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი და შექმნა რეალისტური რომანი, რომელშიც ეს მრავალფეროვანი ამბები ხელშესახებად დაგვიხატა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს ორი მშვენიერი რომანი: „ტარიელ გოლუა“ და „ქალის ტვირთი“, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ იმით, რომ სრულად გვიჩვენებენ 1905 წლის საქართველოს — სოფლად და ქალაქად. ამ რომანებს მკითხველი გადაყავთ იმ მღელვარე დროში, აცნობენ მას იმ დროის საქართველოს სოფელსა და ქალაქს, გლახობასა და პროლეტარიატს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან მეფის ხელისუფლების, მისი უკუღმართობის დასამხობად. თავისუფლებისა და კაცური ცხოვრების მოსაპოვებლად.

მ. ჯავახიშვილმა „ქალის ტვირთში“ ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად დააყენა მეტად საინტერესო საკითხი — რა ადგილი ეკავა ქალს საზოგადოების იმ დროის, პირველი რევოლუციის, მეტად თავსატეხ ამბებში, როგორი, რა მნიშვნელობის იყო იმ მოვლენებში ქალის მოქმედება, ქალის როლი, ქალის მხრებზე წამოყიდებული ტვირთი — აი, საკითხები, რომელთა გარკვევაც დაისახა მიზნად მწერალმა ამ რომანში. ამისათვის მწერალს რომანში შემოყავს ორი გმირი ქალი — ქეთო და მართა. პირველი არისტოკრატიული წრიდან, ინტელიგენციის ბანაკიდან შეუერთდა რევოლუციას, მაგრამ ბოლომდე ვერ გაყვა მას, რადგან ვერ გაუძლო მძიმე ტვირთს, იგი ამ სიმძიმის ქვეშ მოიხარა, დაეცა, დაიღუპა. მეორე კი — მართა — მშრომელთა რიგებიდანაა გამოსული, თვითონაც მუშა ქალია, მას რევოლუციამ მძიმე მოვალეობა და ტვირთი დააკისრა, მაგრამ მართა უდრტვინველად და წარბშეუხრელად, მოთმინებით და გმირულად იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, ბოლომდე განუხრელი და სულით მტკიცე რჩება. იგი კატორღამისჯილ ზურაბ გურგენიძეს შეუუღლდება და ქმარს თან მიჰყვება გადასახლებაში.

ტვირთი, რომელიც საზოგადოებამ ქალს დააკისრა 1905 წლის რევოლუციაში, მეტად მძიმე იყო, მაგრამ მართამ — მუშა ქალმა იგი ბოლომდე ვაჟკაცურად ზიდა, მაშინ. როდესაც ქეთო დაეცა.

მწერალმა ამ ორი გმირი ქალის ასეთი ჩვენებით მიგვანიშნა, რომ მშრომელთა კლასებმა ზიდეს და ბოლომდე მიიტანეს რევოლუციის მძიმე საქმე — საქმე გამარჯვებისა. ინტელიგენციის წრიდან გამოსულნი კი მხოლოდ ლამაზი, რომანტიკული ამბებით გატაცებულნი მივიდნენ რევოლუციასთან, ხოლო როცა სუსხი იგრძნეს,

ჩამოშორდნენ მას. ცხადია, იყო გამონაკლისებიც, ძირითადადში კი ეს ისტორიული სიმართლეა და ჩვენი მწერალი ამ საკითხსაც მართებულად გვიშუქებს.

მარტოდენ ფაქტებისა და მოვლენების სწორი ჩვენებით, მართალ პოზიციაზე დგომით მწერალი ვერასოდეს შექმნის საინტერესო და მიმზიდველ ნაწარმოებს. „ქალის ტვირთიც“ მკითხველს ვერ მიიზიდავდა, მასში მარტო სიმართლე რომ იყოს. მ. ჯავახიშვილი თავის რომანში ოსტატურად იყენებს მრავალ მხატვრულ ხერხსა და საშუალებას, რათა საინტერესო ამბები და მოვლენები შესატყვისი და შესაფერი ფორმით, ენით, სტილით, მხატვრული ხერხებით იყოს დახატული, ნაჩვენები, გაცოცხლებული. ამაშია მწერლის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოება. ამიტომაც, რომ „ქალის ტვირთს“ დიდი ადგილი უნდა დავუთმოთ არა მარტო მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიც.

მ ო თ ხ რ ო ზ ე ზ ი

მ. ჯავახიშვილის რამდენიმე მოთხრობა ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოთ, მაგრამ მწერალს იმათ გარდა კიდევ აქვს მრავალი სხვა ბრწყინვალე მოთხრობა.

მწერლის მოთხრობები არაერთგზის არის განხილული მრავალი კრიტიკოსის მიერ. უკანასკნელ წლებში კი მათი კვალიფიციური შეფასება მოხდა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ წიგნებში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკის მიერ მათი გაგება არ აღინიშნება აზრთა დიდი სხვაობით. ამიტომ ჩვენ მათ შედარებით მოკლედ განვიხილავთ.

ზემოთ განხილული მოთხრობების (მათი რიცხვი თერთმეტია) გარდა, მწერალს კიდევ აქვს თვრამეტი მოთხრობა, რომლებიც დაწერილია 1923—1935 წლებში. ამთგან ერთის გარდა („ცოფიანი“) შესულია ამ ბოლოს გამოცემულ ტომებში. აღნიშნული მოთხრობები შეიძლება დაჯგუფდეს თემატურ-პრობლემატური ნიშნის მიხედვით. ჩვენც მათ ამის კვალობაზე განვიხილავთ.

პატრიოტული მოთხრობები

ამ თემაზე დაწერილ მოთხრობებს შორის პირველ რიგში შეიძლება განვიხილოთ ორი მოთხრობა: „მიწის ყვილი“ და „ფინჯანი“ ამ ორ ნაწარმოებში ნაჩვენებია სამშობლოს გარეთ, ემიგრაციაში მყოფი ქართველების დიდი ღტოლვა მამულისაკენ, მისი დიდი სიყვარული.

სამშობლოსაგან განშორებული ადამიანის განცდები, უკან დაბრუნების უდიდესი სურვილი, კაეშანი და სეედა სამშობლოზე. რაც უცხოეთში გარდახვეწას მოუტანია ქართველი კაცისათვის, დიდი მღელვარებით, ემოციურად, სულის შემძრავად არის დახატული მ. ჯავახიშვილის „მიწის ყვილში“ (1928 წ.).

ოთხმოც წელს გადაცილებული ქართველი კაცი — კაშორი — კაიშაური, უკვე დაუძღურებული და არაფრის შემძლე, მწარედ განიცდის საქართველოსთან განშორებით გამოწვეულ გულის ტკი-

ვილს. მას უცხო ქვეყანაში გაუტარებია თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი, იქ უმოღვაწია, იქ დაუხარჯავს ძალა და ღონე. საქართველოს კეთილდღეობისათვის მას თითო თითზეც არ დაუკარებია. მაგრამ ახლა, სიბერეში, მის ერთადერთ მიზანს ის წარმოადგენს, რომ დაბრუნდეს საქართველოში, დაიმარხოს ანანურში, სადაც მისი მამა-პაპათა ძვლები მარხია. ეს სურვილი ანდრო კაიშაურისათვის კიდევ უფრო დაუძლეველი გახდება, როცა მას საფრანგეთში ქართველი კაცი შეხვდება და ქართულს გაიგონებს.

ოთხმოცდარვა წლის ანდრო კაიშაური ქართველ სტუდენტს ემუდარება წერილი მისწეროს საქართველოს მთავრობას, რათა მას შინ დაბრუნების ნება მისცენ. დაუვიწყარი და გულში ჩამწვდომია მოხუცის მიერ ნაკარნახევი სიტყვები:

„—განაგრძე, შვილო: ნადირი სანადიროდ გაეა, ფრინველო საკვებისათვის, ადამიანი — საბრძოლველად და სამუშაოდ. მერე ყველანი ბრუნდებიან: მხეცი ისევ ბუნაგში შეეა, ფრინველი ბუდეს მიაშურებს, ადამიანი კი ქოხს. მე კი წამოვედი და ველარ დავბრუნდი... მაინც რაც უნდა მოხდეს, მსურს დავბრუნდე და ჩემი უკანასკნელი მუდარაც, ერთადერთი ჯილდოც და ანდერძიც ეს არის: დამაბრუნეთ... წამიყვანეთ... მაჩვენეთ...“

დარჩენილი დღეები ანდრო კაიშაურს მხოლოდ იმით ასულდგმულებს, რომ წერილის პასუხს, სამშობლოში დაბრუნების ნებართვას ელის... ამასობაში ის იხსენებს დავიწყებულ ქართულს და ივიწყებს ფრანგულს... შიშვე განცდა, უდიდესი თანაგრძნობისა და სიბრაღის გრძნობა იპყრობს მკითხველს ამ მოხუცის მიმართ და ამავე დროს ღრმად უფიქრდება სამშობლოდან გადაკარგული კაცის ხვედრს, კიდევ უფრო ძალუმაღ იგრძნობს თავისი მიწისა და მშობელი ხალხის სიყვარულს. მკითხველი კიდევ უფრო მტკიცედ ეჭაჰვება თავის სამშობლო მიწას, ეთაყვანება მის მთა-გორებს, ველებსა და მდინარეებს, კამკამა წყაროებსა და ლაყვარდ ცას, ქვეყნის წარსულსა და დღევანდელს... მას უჩნდება უფრო ძლიერი სურვილი — იყოს სამშობლოს ღირსეული შვილი, მასზე მზრუნველი, მისი ნაწილი.

ამავე ასპექტში უნდა განვიხილოთ „ფინჯანიც“ (1928 წ.). საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების ერთ-ერთი წარმომადგენელია ნოდარ შუბიძე — მოთხრობის მთავარი გმირი. მას მოგზავნიან ემიგრანტ ლიდერთა უსაქმო და ქორებზე აგებული პოლიტიკური ლაყობა. ნოდარს აღარ სჯერა მათი დაპირებები, მას დაუკარგავს იმედი და თანდათან დაეკვებულა თავისი ნაბიჯის სისწორეში. მერე ნოდარი ხვდება, რომ შეცდა, როცა სამშობლო მია-

ტოვა და მენშევიკებს წაყვა ემიგრაციაში. ის ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ არწმუნებენ. რომ „წითელ ჯოჯოხეთში“ მას ტანჯვა მოელის.

ნოდარი კერამიკოსია. ის სევრის ქარხნებში მუშაობს. მან შექმნა თიხის ისეთი ნაზავი, რომელიც მტკიცეა ფოლადივით, მისგან დამზადებული ჭურჭელი ძნელად გატყდება. მისგან შეიძლება სახლების კედლების მოპირკეთება და ა. შ. ამ თიხის საიდუმლოს ნოდარი არავის უმხელს, მისგან დამზადებს ერთ ფინჯანს და სამშობლოში გამოიპარება, თან მოაქვს ეს ფინჯანიც, როგორც საქართველოს გამდიდრების საშუალება.

უპასპორტო და უვიზო ნოდარი იძულებულია თურქეთზე გავლით სამშობლოში ჩუმად შემოიპაროს კონტრაბანდისტებთან ერთად.

სწორედ საზღვარზე ნოდარს ხვდება სარდიონი, მისი ძველი მეგობარი, რომელიც საქართველოდან უცხოეთში გარბის. ამ ორ ადამიანს შორის გაიმართება მწვავე კამათი: სარდიონი ნოდარს ურჩევს საქართველოში ნუ ბრუნდები, დაილუპებიო, სამაგიეროდ ნოდარი თვალს უხელს სარდიონს, უცხოეთში ნუ გარბიხარ, იქ არაფერია სახარბიელო, დარჩი სამშობლოში და მის ბედნიერებას ემსახურეო. ეს კამათი, რომელიც ორი სამყაროს მიჯნაზე ხდება, ძალზე ნიშანდობლივი და სიმბოლურია. იმარჯვებს ნოდარი, რომლის ლოგიკამაც სარდიონი დაარწმუნა და დააჭერა. ისინი ორივენი თბილისში ჩამოდიან.

მწერალი ქმნის კოლიზიებს, რომ ნოდარ შუბიძის რწმენა უფრო გამოკვეთილი და დამაჯერებელი გახადოს. მას დედა მკვდარი დახვდება, ცოლი გათხოვილი, ხოლო პატარა გაიოზი, რომელიც ოთხი წლისა დატოვა და ახლა კი თორმეტისა გამხდარა, მამას ვერ იცნობს. იქმნება დაძაბული ვითარება, ნოდარის სულიერი გამოცდა. სამი დღე ოთახში ჩაკეტილი ნოდარი ინელებდა ამ მწარე სამსალას და დასძლია კიდევ.

ნოდარ შუბიძე ცხადდება სათანადო დაწესებულებაში, ამცნობს თავის დაბრუნებას, აცხადებს ფინჯანისა და თიხის საიდუმლოს, ხატავს მრეწველობის განვითარების პერსპექტივას, რასაც საქართველოს აყვავება, ხალხის კეთილდღეობა უნდა მოყვეს.

ნოდარ შუბიძე სიხარულით აღიქვამს იმ ახალს, რასაც რვა წლის უნახავ თბილისში ამჩნევს. ამავე დროს მას გულს ტკენს ჭერ კიდევ გადაულახავი სიძნელები და იმსჭვალება სურვილით, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამშობლოს საკეთილდღეო გარდაქმნებში.

ნოდარ შუბიძე, ანდრო კაიშაურისაგან განსხვავებით, ქვეყნის ბედნიერებისათვის აქტიური მებრძოლი ხდება. მას საქართველოს სიყვარული, პატრიოტიზმი პასიურ გრძნობად კი არ წარმოუდგენია, მხოლოდ ბუნების მშვენიერებისადმი სიყვარულში კი არ ხედავს პატრიოტიზმს, არამედ აქტიურ მოქმედებაშიც, რასაც ხალხისა და სამშობლოს კიდევ უფრო მეტი ბედნიერება და კეთილდღეობა უნდა მოყვეს.

ასეთია „ფინჯანში“ გამოხატული პატრიოტიზმი.

ჩვენი ფიქრით, ორივე ამ მოთხრობის დაწერას ერთი აქტიული პოლიტიკური გარემოებაც უნდა დასდებოდა საფუძვლად: ორივე ეს ნაწარმოები 1928 წელსაა დაწერილი. ამ პერიოდში საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების ჯგუფი გარკვეულ ძალას წარმოადგენდა. მათი გადმობირება, მათში საბჭოური რწმენის ვადვივება და სამშობლოში მათი დაბრუნება პოლიტიკური თვალსაზრისით გარკვეული გამარჯვება იქნებოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ „ფინჯანცა“ და „მიწის ყივილიც“ ამ კონკრეტულ მიზანსაც ისახავდა. ცხადია. ესეც პატრიოტული საქმეა.

მ. ჯავახიშვილის სხვადასხვა ნაწარმოებებში გამოსკვივის პატრიოტიზმი და ზოგჯერ საგრძნობლადაც, მაგრამ აქ მხოლოდ ეს ორი მოთხრობა განვიხილეთ, რადგან საგანგებოდ ამ თემაზე დაწერილად ისინი მიგვაჩნია.

მორალისტური მოთხრობები

მ. ჯავახიშვილის მოთხრობათა ერთი წყება ეხება ადამიანის მორალს, ზნეობას. ამიტომ მათ შეიძლება პირობითად ვუწოდოთ მორალისტური მოთხრობები და ერთად განვიხილოთ. ამ სახის მოთხრობებში მ. ჯავახიშვილი გვიხატავს ადამიანის ზნეობას, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს წმინდა სექსუალურ საკითხებშიც, სინხარბეში, გულქვაობაში, სიყვარულის რთულ საკითხებშიც და ა. შ. ყველა ამ მოთხრობისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი ის არის, რომ ავტორი მოითხოვს მაღალ ზნეობას. სპეტაკ მორალს. რაც ყველა ნამდვილ ადამიანს უნდა გააჩნდეს.

აეალოთ მოთხრობა „ცხრა ქალწული“. მასში მწერალი გმობს დონეუანობას, ქალთა მოტყუებას, გასართობად და ტკობის საგნად ქალის მიჩნევას და ქადაგებს ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებულ ურთიერთობას ქალსა და მამაკაცს შორის.

მოთხრობის გმირი ანტონი გადაგვარებული. უზნეო კაცია. მან რვა ქალწულს აურა გონება. მოხიბლა თავისი დაპირებებით, ლამა-

ზი ტუჩ-კბილით, ელვარე თვალებითა და მხურვალე სუნთქვით. რვა ქალწული შეერთო და მიატოვა, რადგან ქალი ოჯახის დიასახლისად, შვილების დედად კი არ წარმოუდგენია, არამედ მოკლე დროით ტკბობის მომნიჭებლად, გართობის საგნად.

მეცხრედ ანტონს აურჩევია წესიერი და ლამაზი, განათლებული და მშვენიერი ოჯახიდან გამოსული ქალიშვილი ელენე. რომელსაც ყავს ქვრივი დედა მართა და იწყინერი ძმა ზურაბი. ანტონმა ელენეს ისე აურია გონება, რომ შინაურების დაუყოთხავად, ძმის მივლინებაში ყოფნის დროს, შეეუღლება მას. მართაც წინააღმდეგია, მაგრამ მათ პატარა ვახშაშსაც გაუმართავს, რადგან ელენე დედას დაემუქრა ჭვრისწერიდან პირდაპირ მის ბინაზე წავალო. მხოლოდ ათი დღე შესძლო ანტონმა ელენესთან ყოფნა, მერე ისიც მობეზრდა და ჩუმად გაეპარა, მიატოვა.

სპეტაკი ელენესათვის ეს იყო დიდი ტრაგედია. იგი ლოგინად ჩავარდა. ქალი სადაცაა გადაყვება ამ სულიერ ტრავმას. მოსკოვიდან დეპეშით სასწრაფოდ გამოძახებული ზურაბი თბილისში ბრუნდება და ყველაფერს შეიტყო. ძვირფასი დის მწუხარებით თავზარდაცემული ზურაბი მოძებნის ანტონს, თითქოს დაუახლოვდება კიდევ, რათა ყველაფერი მისი პირიდან მოისმინოს. ისინი რესტორანში განმარტოებით სხედან და სვამენ: ანტონი თავის თავგადასავალს ყვება ამ მონაყოლით ჩვენს თვალწინ გადაიშლება ცხრა გაუბედურებული და სულიერად დასახიჩრებული ქალწულის ტრაგედია, რომლის მიზეზიც ანტონის ავხორცობა და უზნეობაა.

მკითხველი ზურაბთან ერთად აღშფოთებით ისმენს ანტონის უზნეო აღსარებას. ხოლო, როცა მოთმინებადაკარგული ზურაბი ანტონს ჩანგლით ლამაზ ტუჩს აახვეს, რათა შეათეც არ გააუბედუროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დასჯის საკმაროდ ბარბაროსული მეთოდია, მკითხველში ანტონის მიმართ იოტისოდენა სიბრაულის გრძნობაც კი არ აღიძვრება. მკითხველი გმობს ანტონის უზნეობას, ცხოველურ ინსტინქტებს, რომლებიც ადამიანობისაგან ძლიერ დაშორებულია. ესაა მოთხრობის დანიშნულება და მიზანიც.

ამავე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ 1926 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი მოთხრობა „ცოფიანი“, რომელიც მ. ჭავჭავიძის კალამს ეკუთვნის (ეს ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებია).

ხირჩლა გომბორზე ცხოვრობს. მას ბევრი საქონელი ყავს და შეძლებულ გლეხად ითვლება, მაგრამ წუხს, რომ ცოლი ადრე მოუკვდა. სახლში ბებერი დედა სანდუა ტრიალებს. ხირჩლას ჰყავს ქა-

ლიწვილი კამარა და ვაჟი ძაღლიკა. შვილები წამოიზარდნენ. ძაღლიკამ ჯარიც მოიარა და შინ დაბრუნდა, დაბრუნდა სულ მოლად შეცვლილი — აღარც ხატი სწამს, აღარც ხევისბერი. იგი ქალებს ურცხვად ებღღარძუნება. ხალხი მამას ურჩევს, რომ ვაჟს ცოლი შერთოს. ხირჩლა ერთ საღამოს ძაღლიკას ბუხართან დაისვამს და ეტყვის: დროა კამარაც გავათხოვოთ და შენც ცოლი შეგერთოთ. ვაჟი აღელდა, კამარას არავის დავანებებო. ხირჩლამ გონება დაკარგა — ვის გაუგონია დაძმის ცოლ-ქმრობაო. ხირჩლამ ვაჟიშვილი მოკლა, დედა, ქალიშვილი და ოჯახი სოფელს ჩააბარა და თვითონ კლდიდან გადაიჩნება. შვილის მოკვლის მიზეზი კი სწორად არ თქვა: ძაღლიკა გაყოფდა და იმიტომ მოკვალის. მოთხრობის სათაურიც აქედან მოდის.

ძაღლიკა არღვევს მორალურ წესს, ის ანომალიამდე მიდის, იყვარებს საკუთარ დას. ეს საშინელი დანაშაულია, ხალხის ადათის, ქცევის ნორმების, მორალის დარღვევაა. მამა ამას არ აბატეებს ერთადერთ ვაჟს და ჰკლავს, მაგრამ მოკლულის დანაშაული იმდენად მძიმედ მიაჩნია, რომ არც კი ახელს, რათა ხალხმა არ გაიგოს. ეს საბჭოელადაც ძნელია, ამიტომ მას ცოფიანად გამოაცხადებს. და განა ცოფზე უარესი სენი არ შეყრია ძაღლიკას?

ხირჩლა მორალის მტკიცე დამცველია, მაგრამ ის ხომ მაინც შვილის მკვლელი გახდა და ამიტომ თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. მკითხველისთვის გაურკვეველი იქნებოდა ხირჩლასადმი დამოკიდებულების გრძნობა, მისი სიცოცხლე ასე რომ არ დასრულებულიყო. ახლა კი, როცა ის კლდიდან გადაიჩნებდა, მისდამი სიმპათია მას ორმაგად უძლიერდება როგორც მორალის დამცველისადმი და როგორც მამისადმი, რომელმაც ვერ აიტანა შვილის დაკარგვის ტრაგედია.

ესაა მოთხრობიდან მომდინარე მორალიც.

სიხარბე, მომხვეჭელობა, გამდიდრების ველური სურვილები ადამიანს ამახინჯებს, ასახინჩრებს და. ლუბავს. ამ დასაგმობი თვისებების წინააღმდეგ ბევრ დიდ მწერალს აუმაღლებია თავისი ხმა ეზოზე, სულხან-საბა და სხვა მრავალი ამხელენ და გმობენ ამ თვისებებს. ეს საძულველი თვისებები დაგმობილი აქვს მ. ჯავახიშვილსაც. ამისი დამამტკიცებელია მოთხრობა „ორი შვილი“.

სოფლის განაპირას ერთი მეღუქნე ცხოვრობს. ზაქრო ბოროტი და ხარბია. მას ბევრი მოუტყუებია; ფულის ხელში ჩაგდების მიზნით ბევრიც მოუკლავს, მაგრამ იმდენად გაიძვერაა, რომ შერჩა, ვერ გაუგეს. ბოლოს კი მას უბედურება ერთად დაატყდა თავს. მისი ცოლი ნატოც ქმარს არ ჩამოუვარდებოდა ბოროტებასა და ფულისად-

მი ტრფილში. ზაქრომ მოკლა გლეხი თევდორე, რომლისგანაც ის იყო ცხენი იყიდა და ფული ჩაუთვალა, ძერე მის ბიქს დაედევნა მოსაკლავად. ბიქი სოფლისკენ გამოიქცა და ისე მოხდა, რომ ზაქროს გაუსწრო. სიბნელესა და გაუგებრობაში თევდორეს ბიქის ნაცვლად ზაქრო კლავს საკუთარ შვილს, ხოლო ნატო კლავს ფულიან სირაქს, რომელიც მის დუქანში შემოვიდა, დალია და დასაძინებლად დაწვა. ეს კაცი კი ომში დაკარგული მისი შვილი აღმოჩნდება. მამამ მოკლა უმცროსი ვაჟი, დედამ — უფროსი. თევდორეს ბიქი გომურიდან გაპარულა, სოფელი შეუყრია და ბოროტებს თავს დააყენა. ცოლ-ქმარი გვამებს მარხავდა, რათა ბოროტების კვალი წაეშალათ. როცა ხალხმა გვამები გადმოაბრუნა, მამხალის შუქზე ცოლ-ქმარმა შვილები იცნო...

ამაზე უფრო სასტიკი დასჯა წარმოუდგენელია. ადამიანები ფულის გულისთვის ადამიანებს ხოცავდნენ, ამას სჩადიოდა ქალიც კი, მაგრამ მათ ძალზე მწარედ მიეზლოთ სამაგიერო — საკუთარი შვილების მკვლელები გახდნენ. ამ ტრაგიკული დასასრულით მწერალი ამძაფრებს მკითხველის განწყობილებას. აღშფოთებას აღძრავს მასში ბოროტების, სიხარბისა და მომხვეჭელობის მიმართ. ექვი არ გვეპარება, რომ ყველა დაგვეთანხმება — ავტორი ამ მოთხრობით მიზანს ზედმიწევნით კარგად აღწევს. ბოროტება დასაგმობია, მისი ჩამდენი საბოლოოდ მარცხდება და სასტიკად ისჯება. ესაა მოთხრობის მორალი.

მტკიცე ზნეობის ზეიმი და გამარჯვება, მაცდუნებელი და მომხიბვლელი სურვილების დათრგუნვა მორალური ძალის მეშვეობით მწერალმა გვიჩვენა მოთხრობაში „ყბაჩამ დაიგვიანა“.

თვრამეტი წლის ტანადი და ლამაზი თინა ბრძაა. ის რკინიგზის სადარაჯო ქოხში მარტო ცხოვრობს დატყე მამასთან ერთად, რომელსაც თომა ჰქვია. მოწიფულ გოგონას სიყვარული ესტუმრა. მისთვის. ერუანტელის მომგვრელი ბედნიერებაა მეზობლის ვაჟთან ყბაჩასთან ყოფნა. მაგრამ ყბაჩა დიდი ხნით გადაიკარგა. ის მოჯამაგირედ წასულა სურამში. თომას ქოხში ახალი სტუმარი მოვიდა. ეს არის ქალაქელი კაცი სოლო, რომელსაც დანგრეული ფეხები, საშინელი სახე და გარეგნობა აქვს. თინა ვერაფერს ხედავს. სოლო მას შეაცდენს და ცოლადაც ირთავს. მაგრამ სოლო ქალაქში უხდა წავიდეს ფულის მოსატანად. იქ ის ავად ხდება. თინას თავისი დანიშნული სოლო უყვარს, ამიტომ გარბის ქალაქში, რათა სოლო ნახოს. საავადმყოფოში სოლოს სანახავად მისულ თინას თვალს აუხელებს, სინათლეს დაუბრუნებენ.

ქალაქში თინას სანახავად მამა და ყბაჩაც ჩამოვლენ. განკურნე-

ბული თინა ხედავს ქაბუეი ყბაჩას წარმოსადგე გარეგნობასა და ადარებს ხანში შესული სოლოს სიმახინჯეს, მის საშინელ შესახედაობას. თინა რწმუნდება ყბაჩას უპირატესობაში, მაგრამ მას მაინც მტკიცე უარს ეუბნება: „შენ ვერ წაჰოგყვები, მე სოლოს ცოლი ვარ, მან დამიბრუნა თვალის სინათლეო. ყბაჩას მუდარას თინა ცივი უარით ხედება. ქმრისადმი მოვალეობა, მორალური სისპეტაკე თინამ ყბაჩას მაკლუნებელ გარეგნობასა და ახალგაზრდობაზე ზალა დააყენა. თინამ გრძნობა ჩაიკლა და მოვალეობას, მორალს არ უღალატა. თინას სულიერი სისპეტაკე და მოვალეობის მაღალი შეგნება უდლოდ წარუშლელ კვალს სტოვებს მკითხველის მეხსიერებაში.

როგორც ვხედავთ, განხილული მოთხრობების თემა და დედააზრი მორალური სიწმინდის დაცვაა. მწერალი გმობს და კიცხავს ამორალიზმს, რა სახითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი. ამავე დროს მ. ჭავჭავიშვილი მკითხველს უნერგავს იმ შეგნებას, რომ ადამიანს მაღალი ზნეობა და წმინდა მორალი ამშვენებს, უმისოდ იგი კარგავს კაცურ სახეს.

ძველის ნამსხვრევები

(ანუ ზოგი ყოფილის ზედი)

მ. ჭავჭავიშვილმა თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო ნაკაცართა, ძველი პრივილეგირებული კლასების წარმომადგენელთა დაცემული ყოფის ჩვენებას ახალი ცხოვრების პირობებში. „ჯაყოს ხიზნებში“, „იგივი შადურში“ და სხვა ნაწარმოებებში მწერალმა ნათლად გვიჩვენა ყოფილთა დაცემა, დაქვეითება და დაღუპვა. ეს საკითხი ჩვენ ნაშრომის სათანადო ადგილებზე საკმაოდ ვრცლად განვიხილეთ. აქ ჩვენი მიზანია განვიხილოთ ამავე თემაზე დაწერილი მოთხრობები, რომელთა გმირებიც ძველის ნამსხვრევებად გადმოცევილან ახალ დროში, ისინი ცოცხალნი გადარჩენილან, ახალს შეჰკუებინან და ასე თუ ისე რალაცას ჩალიჩობენ. ჩვენი აზრით, ამ საკითხების გაშუქებისადმია მიძღვნილი „ხუთის ამბავი“ და „ქურდი“.

ორიგინალურად არის შედგენილი მოთხრობა „ხუთის ამბავი“. იგი შედგება ხუთი თავისაგან. ყოველ თავში მოთხრობილია თითო გმირის თავგადასავალი ანუ ამბავი. აი ეს თავებიც: „ამბავი ალვა ჭავრიძისა“, „ამბავი მუხებათუნასი“, „ამბავი ლექსოსი“, „ამბავი რაისტომ რეტრიანისა“ და „ამბავი მირიან ბორინთელისა“. ამ თავების ჩამოთვლის შემდეგ მოთხრობის გმირთა დასახელება აღარ დაგვჭირ-

დება, რადგან სწორედ ესენი არიან გმირები. თითოეული პერსონაჟი თვითონვე ყვება თავის ამბავს ალვა ჭავჭავიძის ოჯახში, სადაც ისინი შეკრებილან.

ვინ არიან ისინი? ლექსოს გარდა, ყველა ისინი არიან ყოფილი აღამიანები, რომელთაც ძველი რეჟიმის პირობებში გარკვეული მდგომარეობა ეკავათ, იყვნენ ოფიცრები, ჰქონდათ ბრჭყეიალა სამხრეთელები და მკერდი კი ჩინ-მედლებით ჰქონდათ შემკობილი. მზენათუნა კი ალვა ჭავჭავიძის ქალიშვილია. ეს გმირები სწორედ იმას ყვებიან, თუ როგორ მსახურობდნენ მეფის არმიაში, როგორ მიიწვედნენ მაღლა და მაღლა, მაგრამ როგორ მოვიდა რევოლუცია. ყველაფერი დაამსხვრია, ისინი სამოქალაქო ომში წააბა და სამშობლოში სული ძლივს ჩამოიტანეს დიდი ხეტიალისა და მრავალი თავდასავლის შემდეგ.

მთავარია, თუ ამჟამად რას წარმოადგენენ ისინი. ახალ ცხოვრებას ისინი ლოიალობას უცხადებენ. მათ ხელი აუღიათ წინააღმდეგობაზე, შერიგებიან ახალს და იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ სამშობლოში ცხოვრების საშუალებას არავენ უსპობს. უფრო მეტიც, ერთ-ერთი გმირი — ალვა ჭავჭავიძე რევოლუციას აქებს კიდევ, იგი მასში ბევრ სიკეთეს ხედავს. ალვა აცხადებს: ხომ ყველაფერი მქონდა და აღარაფერი შემრჩა, მაგრამ რევოლუციის მაინც მადლობელი ვარო; სხვა რომ არაფერი, სწორედ მან გადაარჩინა ქართველი ხალხი ეროვნული მოსპობისაგან, რასაც მას რუსეთის იმპერია — ეს გველეშაპი უპირებდაო.

მართალია, ახალ ცხოვრებას ამ ყოფილი მდიდრებისათვის მამულიც ჩამოურთმევია, ქონებაც და სიმდიდრეც, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ლოიალურნი არიან და შეგნებულად ხვდებიან საზოგადოებრივ გარდაქმნებს, ამის საპასუხოდ ახალი საზოგადოება მათ როდი რიყავს.

„ქჷრდის“ მთავარი გმირი სტეფანე ჩირაძეც ნაკაცარია. ძველი რეჟიმის დროს მასაც ყველაფერი ჰქონდა: იურისტის ატესტატი, თანამდებობა, უფლებები, ჭამაგირი. ის ხან თელავში, ხან კი თბილისში სასამართლოს თავმჯდომარეც კი იყო და გულქვაობისა და სიმკაცრისათვის მგელიც კი შეარქვეს.

მოხდა გადატრიალება, დადგა ახალი დრო. სტეფანეს მელიაობაც შესძლებია. ამის წყალობით ერთ ხანს კიდევ შეინარჩუნა მდგომარეობა, მაგრამ მალე წარსული გაუხსენეს და მოხსნეს. საკომისიო მაღაზიაში გატანილი ავეჯი და ნივთები მის ოჯახს ორიოდ თვეს ეყო. მალე დაიწყო სიცივე. შიმშილი და გაჭირვება. ჩირაძეს ცოლი და შვილიც დაუავადმყოფდა. კაცმა არ იცის. საით წავიდეს, რა წყალში ჩავარდეს.

გათომილი და დამშეული სტეფანე ფეხებმა თავისით მიიყვანა ერთ-ერთ მალაზიაში. იქ ბევრი სანოვაგეა, ცოლ-შვილს კი შია. სტეფანეს ჯიბეში კაპიკი არ მოეძევება. ამ დროს სალაროს რიგში სტეფანე ხედავს გასუქებულ კაცს, რომელმაც ორი თუმნიანი ამოიღო. ერთი ხელში დაიჭირა და მეორე უკანვე ჯიბეში ჩაიდო. ჩირაძის ხელები, თვალები, ფეხები ცალ-ცალკე მოქმედებს, ისინი გონებას აღარ ემორჩილებიან. აი, სტეფანეს მარჯვენა ხელი თავისით ჩადის იმ კაცის ჯიბეში, მაგრამ პატრონი მას იჭერს...

ყოფილ მოსამართლეს საბრალდებო სკამზე ვხედავთ. მას ასამართლებენ ქურდობისათვის. სტეფანე აღელვებულია, მწარედ განიცდის თავის საშინელ მდგომარეობას, მოელის დიდ სასჯელს. დარბაზში მის ძველ ნაცნობებს მოუყრია თავი, სტეფანე თვალს ვერ უსწორებს მათ... პროცესი იწყება. სასამართლოს თავმჯდომარე ჩირაძეს სადღაც უნახავს, ვინ უნდა იყოს?

ჩირაძეს ათავისუფლებენ. მასთან მიიღებენ ცოლი და შვილი. რომელთაც სამსახური უშოვიათ, სტეფანესაც ამხნევებენ, შენც მალე იშოვნი სამსახურსა.

განთავისუფლებულ სტეფანეს დერეფანში ხედება მოსამართლე, რომელიც მას მადლობას უხდის. სტეფანე გაიოცებს—რისთვისო. იმისთვის, რომ ძველი რეჟიმის დროს შენ მე უსაფუძვლოდ დამსაჯე, სამუდამო გადასახლება მომისაჯე, მე კი იქ კაცად ვიქეციო. მე კურდღელაურელი თედო ვარ, რომელიც ეგებ სოფლელ ტეტიად დავრჩენილიყავი, შენ რომ არ გადაგესახლებინეო. ეს კიდევ ერთი სილა იყო ყოფილი „მგლისათვის“.

მართალია, ეს ფინალი ცოტა მოულოდნელი და ეგებ არალოგიკურიცაა, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ ახალი ცხოვრება თავის ჰუმანურობას ამქლავნებს იმ ყოფილთა მიმართ. რომლებიც ახლა აღარ მტრობენ ახალს, ისინი საშიშნი აღარ არიან.

სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება, რომ „ხუთის ამბავში“ და „ქურდში“ დახატული პერსონაჟები კლასობრივ მტრობას აღარ უწყევენ საბჭოთა წყობილებას, მათ ყოფნას, მათ არსებობას შესაძლებელს ხდის, ისინი არ იდევნებიან, არ ისჯებიან. ამ მხრივ ეს პერსონაჟები განსხვავდებიან „კვაჰის“, „გივი შადურის“, „ჩაყოს ხიზნების“ ზოგიერთი გამოუსწორებელი პერსონაჟისაგან, რომლებსაც ახალი ცხოვრება ანადგურებს, როგორც მტერს. ამ განსხვავებით არის გამართლებული ამ ორი მოთხრობის ცალკე განხილვაც

„ქურდისა“ და „ხუთის ამბავის“ პერსონაჟები ახალი ცხოვრებისათვის ძველ ნაპრილობებში შემორჩენილი ნამსხვრევივით უვნებელნი გამხდარან.

ჰუმანისტური მოთხოვნები

ფაქიზი ადამიანური გრძნობები და განცდები, მაღალი ჰუმანიზმი იქადაგა მ. ჭავჭავაძის თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, მაგრამ ამ თვალსაზრისით შეიძლება საგანგებოდ გამოვეყოთ რამდენიმე მოთხოვნა. ესენია „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“, „პაპა დიმო“ და სხვ.

თათარი აბდულაჰ ალალი კაცია. მას დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. უზომოდ უყვარს თავისი დედა, ცოლი და პატარა შვილი. აბდულაჰ პატიოსნად შრომობს, არჩენს ოჯახს და უფრთხილდება თავის პატიოსან სახელს. მაგრამ ბოროტი ბიძაშვილი მუსტაფა აბდულაჰს მახეს უგებს: თვითონ გაძარცვავს მალაქნებს, ზოგსაც დახოცავს, კვალს განზრახ აბდულაჰის სახლისკენ მიიტანს და ნაძარცვი საქონლის ნაწილსაც მის ეზოში დატოვებს...

გაუგებრობის შედეგად აბდულაჰს აპატიმრებენ. მალაქნებიც გამოძიების დროს ხელს მას ადებენ, ეს იყო. ეს კი იმიტომ. რომ ბიძაშვილები გარეგნობით ერთმანეთს ძლიერ გვანან.

აბდულაჰს ისლა დარჩენია, რომ იფიცოს, ალაჰიც მოიშველიოს. მაგრამ სასამართლო ლიტონ სიტყვებს ვერ დაიჭრებს. მას 10 წელი მიუსაჯეს. სულისშემძრავად არის დახატული დედასთან, ცოლთან და შვილთან აბდულაჰის დაშორებისა და დამშვიდობების სცენა. აბდულაჰ მართალია, მაგრამ ის ციხეში ზის, და მწარედ განიცდის ამ სინამდვილეს. პატიმრებსაც ებრალებათ ის, თანაუგრძობენ და ამშვიდებენ. მართალი აბდულაჰ ფანჯრებს აწყდება, დაჭრილი ლომივით ბრდღვინავს, იტანჯება, მაგრამ საკნის ოთხი კედელი არსად უშვებს მას. პატიმარი შაქრო აბდულაჰს დაუმეგობრდება და ისინი ერთად იყოფენ პატიმრის მწარე ბედს.

ორჯერ სამ-სამი წლით შეუმცირეს აბდულაჰს პატიმრობის ვადა, მაგრამ ოთხიოდე წლის ტუსალობა მას მაინც საუკუნო ჯრჯოხეთად ეჩვენება. ბოლო ხანებში აბდულაჰ უფრო წუხს, რადგან სახლიდან ამბები არ მოსდის, მნახველიც აღარავინ მოსულა მასთან. პატიმრობის ვადის გათავებას სამი თვეა აკლდა, როცა აბდულაჰ ავქალის შრომითს კოლონიაში გადაიყვანეს. ის თითქმის თავისუფლად დიდის, შრომობს, ავტორიტეტით სარგებლობს.

სწორედ აქ გაიგებს აბდულაჰ თავისი ოჯახის დაღუპვის ამბავს. დედა მომკვდარა, ცოლი გათხოვილა, ოჯახი დანგრევია... აბდულაჰ გაიპარა, ჩავიდა თავის სოფელში, მუსტაფა და მისი ოჯახი ამოწყვეტა და უკან, ციხეში დაბრუნდა. აბდულაჰ აცხადებს თავის დანაშაულს და დასჯას მოითხოვს. სასამართლო ხელმეორედ განიხილავს მის საქმეს და ციხიდან ათავისუფლებს, რადგან გაირკვა, რომ აღრუ

ტყუილად მჭდარა. ახლა კი ნამდვილი ბოროტმოქმედი მუსტაფა მოუკლავს...

მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს ჰუმანიზმის გრძნობა. აბდულაჰისადმი თანაგრძნობით და სიყვარულით იმსჯელებიან მკითხველიც, პატიმრებიც. ჰუმანურია სასამართლოს ბოლო განაჩენიც. მთავარი კი ისაა, რომ მოთხრობა აღგვიძრავს შართალი კაცი-სადმი, გაუგებრობის მსხვერპლისადმი ისეთ ძლიერ თანაგრძნობას, სიბრალულსა და სიყვარულს, რომ შეუძლებელია საერთოდ გულგრილი დავრჩეთ სსვისი ჭირისადმი...

ეს გრძნობები, ეს განწყობილებები, რომლებსაც მოთხრობა მკითხველში აღძრავს, სხვა არაფერია, თუ არა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის ქადაგება. სწორედ ეს იღეა და მწერლის ოსტატობის ძალა აყენებს ამ ნაწარმოებს საუკეთესოთა რიგებში.

პაპა დიმიტრისა და შისი ავადმყოფი შვილიშვილის დარეჯანის გაჭირვებული მდგომარეობაა დახატული „პაპა დიმოში“.

პაპა დიმიტრის, რომელსაც დარეჯანმა დიმო შეარქვა, ორმოც წელიწადს უცხოვრია არმავირსა და როსტოვში, ღვინით უვაჭრია და ბევრი ფულიც გაუკეთებია. მაგრამ მოვიდა ახალი დროება და დიმიტრის ყველაფერი დაუკარგავს — ქონებაც, ცოლიც, შვილიც, რძალიც (დაეხოცნენ). დიმიტრიმ თბილისში ძლივს ჩამოაღწია და თან ჩამოიყვანა ერთადერთი ახლობელი — დარეჯანი, რომელსაც თვითონ ალურსით რეჯანს ეძახის.

ისინი ბნელსა და უხეირო ოთახში ცხოვრობენ. დარეჯანი დაავადდა. დიმო ყველაფერს ყიდის, რათა ექიმის და წამლის ფული იშოვოს. ის ყიდის პაპიროსის მარაგსაც, რომლითაც წვრილმანად ვაჭრობდა, ყიდის ავეჯს, ლოგინს, ქურკს, წიგნებს — ყველაფერს, ყველაფერს და თვითონ იატაკზე წვება დასაძინებლად. მაგრამ დარეჯანს კიდევ სჭირდება ექიმიც, წაშალიც, კვებაც. შვილიშვილის მოსიყვარულე პაპას ისღა დარჩენია, რომ კბილის ექიმთან მივიდეს, ოქროს ექვსი კბილი რომ აქვს, დაიძროს, გაყიდოს და აღებული ფულით ისევ რეჯანს მოუტანოს წამლები და საკვები. ასეც იქცევა. თავისთვის კი ბურღულის ყიდვაც ავიწყდება, თუმც ამიერიდან დიმიტრის საკვები ისღა იქნება.

მკითხველში თანაგრძნობას იწვევს ის, რომ დიმიტრის აქვს უნაზესი გრძნობები ავადმყოფი შვილიშვილისადმი. ის ყველაფერს აკეთებს, რათა ბავშვი ფეხზე წამოაყენოს. ეს თავგანწირული სიყვარული პაპისა შვილიშვილისადმი მკითხველის მოწონებას და სიმპათიას იმსახურებს. შისი კაცური სული, მოსიყვარულე და ნაზი გული მკითხველს აყვარებს დიმიტრის და, რაც მთავარია, აღძ-

რავს მასში ჰუმანიზმის გრძნობას, კეთილშობილებას, კაცთმოყვარეობას.

ამიტომ მიგვაჩნია „პაპა დიმო“ ჰუმანისტურ მოთხრობად და არა ნაკაცართა ამსახველად, ძველის ნამსხვრევების დამხატვად.

ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება და მათ შორის ჭიდილი მწერალმა ცოცხალი სახეებით გვიჩვენა ერთ მშვენიერ მოთხრობაში, რომელსაც „ლამბალო და ყაშა“ ეწოდება. ამ ნაწარმოებში იმარჯვებს სიკეთე, ადამიანურობა, ჰუმანიზმი.

ცნობილია, რომ მ. ჭავჭავაძის პირველი მსოფლიო ომის წლებში მრავალ ქვეყანაში მოუხდა ყოფნა. ის იყო ირანშიც, თურქეთშიც. ამის შესახებ ვ. სიღამონიძე ერთ თავის წერილში „მოგონებათა ერთი ფურცელი“, წერს: „როგორც ცნობილია, 1914—1916 წლებში მ. ჭავჭავაძის იმყოფებოდა მოქმედ არმიასი და წითელი ჯვრის საზოგადოებაში მუშაობდა.

წითელი ჯვრის საზოგადოების ეს განყოფილება ჯერ თურქეთში, შემდეგ კი ჩრდილოეთ ირანში იმყოფებოდა. ცოცხალი არიან ადამიანები, რომლებიც შეხვედრიან მ. ჭავჭავაძის და კარგად ახსოვთ მისი მოღვაწეობის ამბები. მათ რიცხვს ეკუთვნის თბილისის მკვიდრი სამსონ წერეთელი“.

შემდეგ სიღამონიძე გადმოგვცემს ს. წერეთლის ნააპობს: „—მიხეილ ჭავჭავაძის პირველად შეხვდით ჩრდილოეთ ირანის ქალაქ ხოიში, ურმიიდან ჩამოსულიყო და ქარვასლას ათვალთქობდა... მთავრობა, რომ მუშაობდა ურმიის წითელი ჯვრის საავადმყოფოში, იცნობდა ქურთების ტომის ერთ-ერთ ბელადს, როგორც მახსოვს, ისმაილ ალა სიმკოს, რომელთანაც სახლშიც კი ყოფილა მიწვეული...“¹

„ლამბალოსა და ყაშაში“ მოთხრობილი ამბები სწორედ ურმიასა და მის მიდამოებში ხდება. ჩანს, იქ ყოფნის დროს მწერალს ბევრი შთაბეჭდილება დაუტოვებდა, რადგან მოქმედ არმიასი ბევრი ნახა და განიცადა. ეგებ უბის წიგნაკშიც ბევრი ჰქონდა ჩანიშნული ამ განცდილმა, ნანახმა, გადატანილმა მოგვიანებით წამოყო თავი მწერლის მეხსიერებაში და 1925 წელს დააწერინა მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“, რომელშიც ნაჩვენებია რუსეთის არმიის მოქმედება ურმიის მიდამოებში, ირანელთა აპზავი, ქურთთა ტომის აჯანყება, თათრებისა და ასურელთა შეხლა-შემოხლა დ. ა. შ.

თხრობა მიდის პირველ პირში. ყვება ქართველი ექიმი, რომელიც წითელი ჯვრის ხაზით თბილისიდან ურმიასი გაუგზავნიათ მოქ-

¹ გაზ. „თბილისი“, 6 ივლისი, 1963 წ., ვ. სიღამონიძე „მოგონებათა ერთი ფურცელი“.

მედი არმიის ერთ-ერთი სამკურნალოს გამგედ. ყველაფერში იგრძნობა, რომ ეს ექიმი თვითონ ავტორია.

მოთხრობა საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით. მასში გამოვლინებულია მწერლის დიდი ერუდიცია, აღმოსავლეთის ქვეყნების ძველი ისტორიის ცოდნა. სხარტად და შთამბეჭდავად არის მოთხრობილი მაკედონელისა და სხვა დამპყრობთა თარეშზე ასურელთა, მიდიელთა, ბაბილონელთა და სხვათა წარსული და ა. შ., აქვე მშვენივრად არის გარკვეული მწერლის იქ ყოფნის დროინდელი პოლიტიკური და სამხედრო სიტუაცია: იმ ადგილებისადმი რუსეთის, ირანის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა ინტერესების შეჭახება. მწერალი დაწვრილებით გვაცნობს ქვეყნის გეოგრაფიას. მკვიდრთა ბედ-იღბალს, ტომობრივი ინტერესების დაპირისპირებას, იქაურ სოციალურ, სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ვითარებას და ა. შ.

მწერალმა ამ მოთხრობაშიც მაქსიმალურად გამოავლინა დიდი მხატვრის ნიჭი. ბუნება და გარემო მომაჯადოებელი საღებავებით არის დახატული, ისე, რომ უშუალო ხილვის შთაბეჭდილება იქმნება.

ყველაზე მთავარი მაინც მოთხრობაში ისაა, რომ დიდი ოსტატობითაა გამოძეწილი პერსონაჟთა სახეები, რომლებიც ჩვენს წინ ცოცხლებივით მოქმედებენ, იბრძვიან, ცხოვრობენ, იხოცებიან...

მოთხრობის ძირითადი იდეა ბოროტებისა და სიკეთეს შორის, კაცთმოყვარეობასა და კაცთმოძულებას შორის, უსამართლობასა და სამართლიანობას შორის ბრძოლაა. და ეს იდეა ვითარდება არა ზოგადი, აბსტრაქტული მსჯელობით, არამედ კონკრეტული სიტუაციებით, კონკრეტული პირების მოქმედებით. ამას ემყარება მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაც.

სიკეთისა და ადამიანობის, ჰუმანიზმის გამომხატველნი მოთხრობაში არიან თვითონ ქართველი ექიმი, ლამბალო, მამამისი და სხვა უბრალო ადამიანები, ურმიის მკვიდრნი. ბოროტების, გველადობის, სიყალბისა და კაცთმოძულების გამომხატველნი არიან ანაფორაში გამოწყობილი ყაშა და მისი მფარველი და ქომაგი, მისი ბოროტების წაპქეზებელი ეპისკოპოსი პავლე, აგრეთვე უხეში ძალადობისა და ძალმომრეობის პოლიტიკის გამტარებელი რუსთა ჯარის სარდალი ჩერნოზუბოვი და მისი ზოგიერთი ხელქვეითი.

ეს ორი ძალა ერთმანეთს უპირისპირდება.

კეთილი ლამბალოს დაუძინებელი მტერია ბოროტი ყაშა. მრავალ სიტუაციაში ისინი ერთმანეთს ეჭახებიან. ყაშამ შეძლო ლამბალოს მოშორება, როცა მასა და თხუთმეტ გაშიშვლებულ სპარსელს ჯალათის ხელით ჯონით ამოხადა სული, მაგრამ ეს იყო ყაშას

დროებითი გამარჯვება. ბოროტი ყაშა უფრო საშინელი სიკვდილით
კვდება: ლამბალოს მამა ბინაზე გველებს შეუსევს. მათი შხამით და-
გესლილი ყაშა საშინელი სიკვდილით კვდება, რაც მან სავეებოთ
დაიმსახურა.

არანაკლები დღე დაადგა გაიძვერა ეპისკოპოსს პავლეს. რო-
პელიც დიდმპყრობელური რუსეთის ყველაზე შავი და ველური ძა-
ლადობის მჭადაგებელი იყო. მისი „თეორიით“, სადაც კი რუსი
საღდათის სისხლი დაიღვრება, უკვე რუსეთია. ამიტომ პავლე სპარ-
სეთშიც ისე მძვინვარებს და ბატონობს, როგორც ამას შუა რუსეთ-
ში იზამდა. დასუსტებულ სპარსეთს და მის მკვიდრთ პავლე და სხვა
ამგვარივე ვაჟბატონები მძიმე მდგომარეობაში აყენებენ, მაგრამ
ბოლოს პავლეს აღსასრულის დღეც დადგა: თავისი რეზიდენციის
ეზოში მას ხანჭლით განგმირავენ, როცა მეფის რუსეთი დაემხო და
ახალი, წითელი რუსეთი დაიბადა. პავლე თითქოს თან წაიყვანა იმ
ძველმა. გზაც იქით ჰქონიათ — ფიქრობს მკითხველი, როცა ეს ანა-
ფორიანი მხეცი ხანჭლით გამოასალმეს წუთისოფელს, როცა თავის
ბოროტებას, კაცთმოძულებას, შავბნელ საქმეებს ზედ დააკლეს.

მოთხრობაში მარცხდებიან არა მარტო ბოროტი ადამიანები —
ყაშა და პავლე ეპისკოპოსი, არამედ მარცხდება საერთოდ ბორო-
ტება, მისი ძალები. ეს კი იყო თვითმპყრობელობა, მისი უხეში ძა-
ლადობა, რომელიც თავის ქუსლქვეშ თელავდა პატარა ხალხებს,
ყველაფერ ადამიანურს და კარგს. „ბედი მდევარი სხვებსაც ურმით
დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ქინელაზე დასწვდა:

გენერალ ჩერნოზუბოვს უღმობელმა ბელმა კავკავში ჩასჭიდა
ბასრი კლანკები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერტოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი
ვოლგაში დაიხრჩო“. ასე გვიყვება მათ დასასრულს მწერალი.

აქ ჩამოთვლილი ვაჟბატონები სწორედ ისინი არიან, ვინც ურ-
მიაში ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს ფეხქვეშ სთელავდნენ
და მცირედი წინააღმდეგობისათვის, ეპისკოპოს პავლეს მსგავსად,
ჯობქვეშ ხდიდნენ სულს უმწეო ადამიანებს, სწვავდნენ და ანადგუ-
რებდნენ სოფლებს, მარადიორობდნენ და იკლებდნენ იქაურობას...

მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი — სიკეთისა და ჰუმან-
ნიზმის გამომხატველი, მათი განსახიერება არის ქართველი ექიმი.
რომელიც გვიყვება თავგადასავალს, საკუთარი თვალთ ნანახს და
განცდილს. მას ებრალება გაჭირვებაში მყოფნი. მან შეიყვარა საწ-
ყალი ახალგაზრდა სპარსელი ლამბალო, რომელსაც ყაშა სჩაგრა-
და. ექიმმა ლამბალო ჭალათებისაგან ბევრჯერ იხსნა. ბოლოს, როცა

ჯობის ცემით კლავდნენ, მაშინაც სცადა საკუთარი სხეულით დაეფარა ლამბალო, მაგრამ ძალამ აჯობა. სათნო და კეთილი ექიმი უყვართ ხელქვეითებს, სპარს მოსახლეობასაც, ისინი მას სიყვარულით ხვდებიან. სამაგიეროდ, ყაშა, ეპისკოპოსი პავლე, გენერალი ჩერნოზუბოვი ავიწროებენ მას, ბოლოს, ყაშას დაბეზღებით, თანამდებობა-დანაც ხსნიან, მაგრამ მას ეს არ აშინებს.

ექიმი გულმართალი, გაკვირვებულის ქომაგი, სიმართლის დამცველი, ეროვნული შეგნების მქონე კაცია, რომელიც მზადაა არ შეუშინდეს საფრთხეს და იამაყოს თავისი ქართველობით, როცა საზიზღარი ეპისკოპოსი მას ქართველობას ნაკლად უთვლის... ეს კაცი თავადაც სიკეთეა და ირგვლივაც სიკეთეს სთესავს. მან ბევრი გადაიიტანა, მაგრამ თავის მართალ პრინციპებს არ უღალატა.

მოთხრობის ბევრ სტრიქონში და უფრო ხშირად სტრიქონებს შორის მხილებულია ცარიზმის ძალმომრეობა, უხეში და ტლანქი ძალადობა, მისი ერთგული ადამიანების სისაძაგლე, ბოროტება და მთელი სახელმწიფო აპარატის გადაგვარება. ამიტომაც, რომ ცარიზმის დამხობის ფაქტს მოთხრობის ბოლო სტრიქონებში ავტორი გვატყობინებს სიხარულით, ნიშნისმოგებით. ეს მიხეილ ჯავახიშვილისათვის ბუნებრივიცაა, რადგან ჯერ კიდევ ცარიზმის ძლიერების წლებში უშიშრად ამხელდა მას და 1925 წელს წინ რაღა დაუდგებოდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოთხრობის მხატვრული ძლიერება. თხრობა გამკვირვალე, ანკარა, სადა და მიმზიდველია. ბუნება უჩვეულო ფერებითაა დახატული. პერსონაჟთა ხასიათები ძალზე მოზომილად და მკაფიოდაა გამოძერწილი, ადგილმდებარეობა ზუსტი შტრიხებით არის მოხაზული, ბრძოლის სცენები გადმოცემულია ცოცხლად და ხელშესახებად, ადამიანთა მოქმედება იმდენად დაჰაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ მკითხველი მათ თვალითაც კი ხედავს.

„ლამბალო და ყაშა“ ბოროტებასა და კაცთმოძულეობაზე სიმართლის, სიკეთისა და ჰუმანიზმის ზეიმია. ამიტომ ეს მოთხრობა დაუვიწყარი და ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარი ნაწარმოებია, რომელიც მუდამ დაამშვენებს XX საუკუნის ქართულ პროზას.

უოფითი მოთხრობები

უოფითი თემები და საკითხები, როგორცაა ოჯახური ურთიერთობა, დამოკიდებულება ცოლ-ქმარს შორის, ლალატი და შურისგება, მამაკაცისა და ქალის გრძნობები და ა. შ., მწერალმა დააყენა და გადაჭრა რამდენიმე მოთხრობაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება

დავასახელოთ და განვიხილოთ „პატარა დედაკაცი“, „მესამე“ „შურის მაძიებელი“, „ორი განაჩენი“, „მუსუსი“ და „ოქროს კბილი“ ყველა ამ მოთხრობას საფუძვლად უდევს ყოფის საკითხები, რაც ადამიანისათვის ისევე ჩვეულებრივი და ბუნებრივია, როგორც სხვა ყველაფერი ადამიანური.

დასახელებულ მოთხრობებში მწერალი ქადაგებს ჯანსაღ ადამიანურ ყოფას, რომელიც დაფუძნებული იქნება სიყვარულზე, ურთიერთგაგებაზე, ადამიანის ბიოლოგიური და სულიერი მოთხოვნილებების სწორ, ჯანსაღ გაგებაზე.

ავიღოთ „პატარა დედაკაცი“. რა გააშუქა მასში მწერალმა?

სიცოცხლით სავსე სტუდენტი ქალიშვილის სოფიოს ქმარი ექიმი ამირან რიმანიძე უძლური მამაკაცი გამოდგა. ის თვითონაც იტანჯება, ნერვიულობს, გამაღიზიანებელ წაპლებს სვამს. რათა ცოლს მამაკაცობა დაუმტკიცოს და ცოლსაც აწამებს. ამირანის მეგობარი ექიმი სპირიდონი სოფიოს ცეცხლზე ნავთს ასხამს: აშინებს — დაიღუპებო, ფარულად ქმარს უღალატე და მოთხოვნილება დაიკმაყოფილეო. სოფიო უარზეა, სინდისს არ ღალატობს. სპირიდონი მას შეაცდენს და ქალს მისგან შვილიც შეეძინება. ამირანი ბავშვს იცნობს, რადგან ძლიერ წააგავს სპირიდონს. ამირანი საზღვარგარეთ გაიპარება სამკურნალოდ, ხოლო სოფიოს სპირიდონი ცოლად შეირთავს. ისინი ექიმები არიან და ერთ საავადმყოფოში მუშაობენ.

განკურნებული და სახელმოხვეჭილი დოსტაქარი ამირან რიმანიძე საქართველოში დაბრუნდა და იგი იმავე სამკურნალოში დანიშნეს ქირურგად, სადაც მუშაობენ სპირიდონი და სოფიო, რომელსაც ამ დაწესებულების გამგე სოლომონ ბარავიძე პატარა დედაკაცს ეძახის. სოფიო და ამირანი ერთმანეთს ხედებიან. ქალის ნაქმრევი სრულიად გამოცვლილია — სადღაა გამხდარი, ნერვიული, აშლილი და დუნე ამირანი! ახლა ის მშვიდი, სავსე, დაჭერებული, სახელოვანი ადამიანია. სპირიდონი შურით ივსება ამირანისადმი. ის ბოლოს გაგიჟდება კიდევ, რადგან ამირანის სახელი მას ჩრდილავს. ეს „მიწის მგელი“ ეჭვიანობს და ჟინიანობს. მას ავადმყოფები ეხოცება, ამირანს კი ოქროს ხელი აქვს.

ბოლოს სპირიდონი კვდება. სოფიო და ამირანი კვლავ ერთმანეთს უერთდებიან.

ამ მოთხრობაში არის ბიოლოგიური საკითხიც, ცოლ-ქმრის ურთიერთობაც, მეგობრის ღალატი და ბოროტებაც. სიყვარულისა და ერთგულების გამარჯვება. ყველაფერი ეს კი ყოფითი საკითხებია. მოთხრობა მკითხველს უნერგავს იმ აზრსა და რწმენას, რომ ნამ-

ღვილი სიყვარული გაიმარჯვებს, ბოროტება და შური მარცხდება, ძლიერი დულაბით ჩაკირულ ოჯახს ვერაფერი დაანგრევს, თუნდ დროებით სპირიდონის მსგავსი მიწის მგლებიც მიეისიონ და არიონ...

ერთი ქართველი ქალის — ირინეს ბედზე და ოჯახურ ამბებზე გვიყვება მწერალი თავის მოთხრობაში, რომელსაც „მესამე“ ეწოდება. თვრამეტი წლის ირინე გიმნაზიის უკანასკნელ კლასში იყო, როცა მოსწავლეები ალავერდის მალარობებში ექსკურსიაზე წაიყვანეს. ირინე ლამაზი, შეძლებული ოჯახის შვილია. ალავერდში ის შეხვდა ფრანგ ინჟინერს, რომელიც მოხდენილი გარეგნობისა და ენაწყლიანი ყმაწვილი იყო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ მალე ეან შოვერი თბილისში ჩამოდის და ირინეს მშობლებს ქალიშვილის ხელს სთხოვს. ისინი დაქორწინდებიან, ბედნიერად და ტყბილად ცხოვრობენ, ვაჟიც შეეძინათ.

ეან შოვერს გასაზრდელად აყვანილი ყავს ქართველი ჭაბუკი სანდრო, რომელსაც გამზრდელი ძმასავით და მამასავით უყვარს, მისი უზომო ერთგულია. სანდროსაც მოეწონა ირინე, მაგრამ გამზრდელის ხათრით თავს იკავებს, გრძნობას გულში იკლავს.

ირინე ბავშვობიდანვე დანიშნული იყო შალვა შურმანიძეზე, მაგრამ, რაკი ის დონდლო ახალგაზრდა იყო, ირინემ მას ზურგი შეაქცია.

დაიწყო მსოფლიო ომი. ეან შოვერი სამშობლოში წავიდა ომში მონაწილეობისათვის. წლები გადის და ირინეს ქმრის დაღუპვის ამბავი მოსდის. ორ წელს კიდევ იგლოვს და მერე შალვას მიყვება ცოლად. ბავშვი უჩნდებათ. შემდეგ ირინეს ეანის წერილი მოსდის — ცოცხალი ვარ, შვილი წამოიყვანე და წამოდიო. ამ დროისათვის მათი შვილი ეყენი უკვე 12 წლისაა. ირინე გაიპარება და პარიზში ჩადის, მაგრამ კაცის ნაცვლად იქ კუნძი დახვდება — არც ხელ-ფეხი, აღარც სხვა რამ კაცური ეან შოვერს აღარ გააჩნია. მისი დანახვა შემზარავია, საშინელი... ირინე და ეყენი გამოპარვას აპირებენ, მაგრამ მათ იჭერენ. ეყენს ძალით სტოვებენ პარიზში, როგორც ფრანგი მამაკაცის შვილს, ირინე კი თბილისში ბრუნდება. აქ შალვას სხვა ქალი, ირინეს ბიძაშვილი ელო შეურთავს ცოლად. ეს ქალი ირინეს ბინაში აღარ უშვებს...

მოთხრობის ბოლოში მწერალი გვაცნობს ირინესა და სანდროს მიწერ-მოწერას, საიდანაც ვიგებთ, რომ ისინი ერთმანეთს დაუკავშირდებიან, შეერთდებიან. სანდრო მესამეა. ესაა მოთხრობის მთელი ამბავი, რომელიც ირინეს ტანჯულ თავგადასავალს გვამცნობს.

რატომაა ირინე უბედური, რატომ გადახდა მას ამდენი? ნუთუ

იმიტომ დაისაჯა, რომ ბავშვობიდანვე დანიშნულს ზურგი შეაქცია? მწერალი ამას ვერ იქადაგებდა. ნუთუ იმიტომ, რომ უცხოელს, ლამაზ და შეძლებულ ფრანგს წაყვა ცოლად, ხოლო ღარიბი სანდროს გრძნობები დროზე ვერ შეამჩნია? არც ეს იქნებოდა მართალი, რადგან ირინე ქანს სიყვარულით, გატაცებით წაყვა. მაშ რაშია საქმე, რა გვითხრა მწერალმა? ჩვენი ფიქრით, აქ ჩვეულებრივი ყოფითი ამბები ალწერილი, რაც ცხოვრებაში ათასი შეიძლება მოხდეს.

ამ მოთხრობასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ მწერალმა მასში კარგად გამოიყენა თავისი ცხოვრებისეული დაკვირვება და ცოდნა, რაც მან ალავერდის მალაროებში ერთი წლის მუშაობისას დააგროვა და შეიძინა. ამიტომ მალაროების მდებარეობა, მადნის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესები, მუშები და ინჟინრები, მათი ყოფა — ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად და ცოდნით არის აღწერილი ამ მოთხრობაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ალავერდის მალაროების შესახებ მწერალს 1904 წელს გამოქვეყნებული აქვს მშვენიერი და ვრცელი რეპორტაჟი, რომელშიც ცოცხლად არის ნაჩვენები მუშათა ყოფაც, მადნის მოპოვების პროცესებიც და სპილენძის მოპოვების ისტორიაც.

ერთი ძველი, რევოლუციამდელი ამბავი გადმოგვცა მ. ჯავახიშვილმა 1924 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში, რომელსაც „შურის მაძიებელი“ უწოდა.

ლევან ნარიშვილმა თავისი კომპანიონი ქაიხოსრო ღართიშვილი გააკოტრა. ეს უქანასკნელი და მისი ცოლი მაიკო გადაწყვეტენ ლევანის მოკვლას. მოსყიდული მკვლელები აპას ვერ ახერხებენ. ბოლოს მაიკომ იკისრა ლევანის მოკვლა, მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდება. ლევანი მაიკოს დაარწმუნებს, ქაიხოსრო გლალატობს, სხვაში გცვლისო. ლევანი და მაიკო დაახლოვდებიან, ბოლოს მტრობის ნაცვლად ქალის გულში სიყვარული ჩაბუდებს. მაიკო ლევანს მის მოსაკლავად შეძენილ ხანჯალს აჩუქებს წარწერით: „ზოგჯერ თუბრე ხანჯალი სიყვარულის ხიდი ყოფილა“. მაიკომ შური ლევანზე კი არ იძია, არამედ კმარზე, ქაიხოსროზე, რომლის დღაღატში დარწმუნებული ცოლი თვითონაც სამაგიეროს უხდის და დღაღატობს, ლევანს უკავშირდება...

ვერ ვიტყვით, რომ აქედან სწორი მორალი გამოდიოდეს. განა ქმრის დღაღატი ცოლსაც დღაღატისკენ უნდა უბიძგებდეს? მას ხომ თავისი სინდისი და სახელი უნდა გააჩნდეს. მოღალატე ქმრისადმი კი სხვა უფრო სწორი და გამართლებული მოქმედებაც შეიძლება. მაგრამ არა გვგონია, რომ მწერალს ის ექადაგოს, თითქოს ცოლ-

მაც ასევე უნდა უპასუხოსო. ჩვენი ფიქრით, აქ ავტორმა უბრალოდ ყოფითი თემა აიღო და ცოტა მოპასიანებურად დაამუშავა. მით უმეტეს, რომ მოქმედება ძველ დროშია გადატანილი. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მოთხრობაში მეწარმეთა, კომერსანტთა მორალია მხილებული, რადგან ლევანიც, ქაიხოსროც და მაიკოც აღნიშნულ წრეს ეკუთვნიან.

ერთგვარი ანომალია, უჩვეულო და ერთი შეხედვით დაუჭერებელი ამბავია მოთხრობილი „ოქროს კბილში“. მოთხრობის ორივე პერსონაჟი — თომა და თამარი როგორღაც ანომალიურნი არიან. მათი გრძნობები, განცდები, მოქმედება, სექსუალური გატაცებები სცილდება ნორმალური ადამიანისათვის დამახასიათებელ ფარგლებს. მაგრამ მათს ურთიერთლტოლვაში არის რაღაც ძლიერი და მიზიდველი, რასაც მკითხველი ლამაზ ოცნებაში გადაჰყავს.

თომას განდგომას, ბერულ ცხოვრებას, დაყუდებულობას, ქალებისადმი შიშს; რაც მისი ნაცნობებისათვის სალაპარაკო და საჭორო საგანი გახდა, თურმე თავისი გამომწვევი მიზეზი ჰქონია... ბავშვობაში ერთ გოგონასთან ანცობისათვის ჰაბუკი თომა იმ გოგონას მამას მაგრად უცემნია და ისე შეუშინებია, რომ ეს შიში ჰაბუკს მერე ფსიქიურ დეფექტად გადაქცევია. ქალი მას აშინებდა, ყოველთვის ის დასჯა ახსენდებოდა და მთელი ორგანიზმით განიცდიდა. შიშს... თომა ჯანმრთელი კაცია, მას ყველაფერი ნორმალურად აქვს განვითარებული, დიდი ღონისა და ენერჯისი კაცია, ყოველგვარი ბუნებრივი მოთხოვნილებაც ნორმალურად აქვს გამოხატული, მაგრამ შიში... ამან თომა რამდენჯერმე უხერხულ და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა, როცა ქალისადმი სწრაფვამ წამით დაძლია შიში და დათვივით ბლარძენი დაუწყო მას. ერთხელ კი ერთი ექიმის მოახლესთან ღამე რომ დარჩა ოთახში, ფანჯრიდან იმ მოახლის საყვარელმა გადმოალაჯა და თომა ამის გამო საბოლოოდ წახდა. მას ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ქალისკენ აღარც აპირებდა გახედვას, თუმცა უკვე 27 წლისა ხდებოდა.

როგორც დავინახეთ, თომას განდგომას აქვს თავისი მიზეზი, რაც მწერალმა ფსიქოლოგიურად დაგვისაბუთა და რაშიც დაგვარწმუნა კიდევ.

თომას დაუბეზებული, დაუხარჯავი ენერჯია მაშინვე უჩვეულო ძალით ამოქმედდა, როცა ერთხელ, მთაწმინდიდან ტრამავით ჩამოსვლისას ზურგთან ლამაზი ქალის მხურვალე მკერდი იგრძნო... თომას უჩვეულო განცდა იპყრობს, სხეულში ელდენი უვლის, ბურანში ეხვევა... თვითონაც მიილტვის მისკენ, ხან კი აღზუნებინთ შეჰყურებს და თვალებით ბურღავს იმ ქალიშვილს, მისგანაც სამაგიერო თვალთა-

კვესას იღებს და ეს იდუმალი, უხმო, მაგრამ მძლეთამძლე გრძნობა ორივეს თანგავს, იპყრობს და ატყვევებს.

დიდი ხნის ნამარხულეე თომას სიყვარული მართლა ისე დაე-
ჯახა, „როგორც ხმალი ტამერლანისა“... და როცა ვაეს თამარი იმა-
ვე ღამეს ისე დაეკარგა, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრეს
ერთმანეთისათვის, თომა მის ძებნად, მასზე ოცნებად და მასზე ფიქ-
რად გადაიქცა. მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს თომას ამ
აფორიაქებულ განცდებს. თომამ ქალიშვილის სახელიც კი არ იცის,
ოცნებით მას თამარი უწოდა და ირკვევა, რომ მართლა თამარი
რქმევია. თომა თამარს სიზმარში ნახულობს და ირკვევა, რომ თამა-
რიც სწორედ იმავე დროს ისეთსავე სიზმარს ხედავს... ესა და სხვა
მრავალი დეტალი ქალ-ვაეს შორის უძლიერეს სიყვარულზე მიგვი-
თითებს...

არანაკლებ საინტერესოა თვითონ თამარიც. ქლეკით შეპყრო-
ბილი თამარი მოახლოებული სიყვდილის სუნთქვას გრძნობს, ყვე-
ლაფერზე ხელი ჩაუქნევია — მოქმედების შემზღუდველი მორალი
მაჭლაჭუნად გამოუცხადებია და აბასთუმნიდან დისადში მოწერილ
წერილებში სიცოცხლით ტკობაზე, სიყვარულის თუნდ ერთი
დლით ტკობაზე ავხორცულად ლაპარაკობს, რაც დის მხრიდან სა-
ყვედურს და დარიგებას იწვევს. ოქროსკბილიანი ლამაზი თამარი
ცხოველურ მოთხოვნილებებზე წერილებში გაშიშვლებით ლაპარა-
კობს, რაც მკითხველში უხერხულ გრძნობებს, მაგრამ მისადში სიბ-
რალულსაც აღძრავს, რადგან სიყვარულისათვის გაზრდილი ლამაზი
ქალიშვილი მიწაში ჩასალაობად არის განწირული და ეს შავი დღე
შორს არაა.

„ოქროს კბილს“ ანომალია რომ ჩამოვაშოროთ, ხელში შეგერ-
ჩება ქალ-ვაეს შორის უძლიერესი და უსპეტაქესი სიყვარულის სიმ-
ღერა, რომელსაც ტრაგიკული დასასრული აქვს. თომამ თავისი თა-
მარი სიცოცხლეში ხომ ვეღარ ნახა, თუმცა ტარიელივით ეძებდა
სატრფოს. მან ის მხოლოდ მაშინ დალანდა, როცა ასაფლავებდნენ...
თანაც ვერც იცნო, რომ ის იყო. ამას თომა შემდეგში შეიტყობს ამ-
ხანაგთან საუბარში.

ჩვენი ფიქრით, მწერლის განზრახვა ის არის, რომ „ოქროს
კბილის“ მკითხველს უჩვენოს ცხოვრების სწორი გზა, დაარწმუნოს
ძლიერი სიყვარულის სიმაღლესა და ძალაში და ამით სულიერად
ამაღლოს თვითონ მკითხველი.

ტრაგიკული ამბავი აქვს გადმოცემული მ. ჭავჭავაძის „ორ
განაჩენშიც“. საგურამოელთ ბაჩილას (იგივე ლაზარე ჩიჩილაშვილის)
თვითმკვლელობით მთავრდება ეს მოთხრობა. მენახშირე ძმები ბა-

ჩილა და მათე ზედაზენზე ნახშირს წვავდნენ და ქალაქში ყიდდნენ. ამ მოვალეობას ჯერ ლაზარე ასრულებდა: ის თბილისის ქუჩებში ურმით ნახშირს დაატარებდა და „ხაოშ უგლეევი“! გაიძახოდა. ქალაქში მას ქერათმიანი და წყლისფერთვალემა მაშა გაუცენია. დამეს მასთან ათევედა, სამაგიეროდ ჯიბე უცარიელდებოდა. შინ დაბრუნებულს ფულს რომ მოსთხოვდნენ, ლაზარე იმიზეზებდა. ნახშირი გაიაფდაო. ძმების მამამ ანდრომ ექვი აიღო და ლაზარეს ნაცვლად ქალაქში მათე გაავზავნა. ერთ ხანს ასე გრძელდებოდა. მათესაც მიაკლდა ფულები. ახლა ლაზარე დაექვდა. ის ჩუმად გამოიპარება ქალაქში და ღამით თავის ძმას მამასთან ნახავს. ლაზარეს ძმა შემოაკვდებოდა. მას აპატიმრებენ. მერე სასამართლო პროცესიც შედგა. ლაზარე გაამართლეს, მაგრამ პროცესზე მყოფმა მშობლებმა შვილს ზედაც არ შეხედეს. იმავე საღამოს ციხიდან გამოსული ბაჩილა ჯერ მტკვარში თავის დახრჩობას აპირებს, მაგრამ რაღაცა ძალა მას საგურამოსაკენ, შინისკენ ეწევა. მას ყურში იცნობს. ბაჩილა ტაბიკებიდან აპეურებს გამოხსნის და თავს ჩამოიხრჩობს.

ასეთია ის ორი განაჩენი, რომელთაგან ერთი სასამართლომ გამოუტანა ბაჩილას, მეორე კი თვითონ მიუსაჯა საკუთარ თავს.

ის ძმის მკვლეელია, მაშას გამო ბაჩილამ ძმას ისე ძლიერ დაარტყა კეტი, რომ იქვე მოკლა. მშობლები ბაჩილას ზედაც არ უყურებენ. მათ საღამომდე არ დაუცადეს შვილს, რომ შინ ერთად წასულიყვნენ, ე. ი. ის აღარ უნდათ... რაღა დარჩენია ბაჩილას? სამუდამო დარდი და ნალველი, სინდისის ქენჯნა იმაზე, რომ ვიღაც გოგოს გულისათვის ღვიძლი ძმა მოკლა, საკუთარი მშობლების ცრემლიანი და საყვედურით სავსე თვალების ცქერა, ადამიანების მიერ გაკიცხვა და შეჩვენება? ვინ მოუწონებს ბაჩილას საქციელს, ვინ აპატიებს ძმის მკვლელობას? ვინ იქნება მასთან კარგი გულით? არავინ! მაშ, რაღად უნდა გამწარებული და შეჩვენებული სიცოცხლე ძმის მკვლელს? რაღა მოასვენებს მის გულს, როგორ შეხედავს შეზობლებს, ახლობლებს... და ბაჩილას განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისათვის, იგი თავს იხრჩობს იმ აპეურებით, რომელშიც აღრე მისი ხარები იყვნენ გაბმულნი.

ეს მოთხრობა მორალისტურიც არის იმ თვალსაზრისით, რომ მასში უწესობა დაგმობილია. მაგრამ ყოფითი მომენტი მასში ჰარბობს, რადგან მამასთან ურთიერთობის დამყარება, უწესო ქალთან კავშირი, რომლისთვისაც სულ ერთია ვინ მისცემს მას გასამრჯელოს ღამის სიამოვნებისათვის, წმინდა ყოფითი საკითხია. მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ ადამიანთა ყოფა სუფთაა, წმინდა უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეიძლება მოყვეს ისეთი ტრაგედია,

რაც ლაზარესა და მათეს შეხვდათ. ორი მშრომელი ადამიანი, ორი ღვიძლი ძმა იმიტომ იღუპება, რომ უზნეობას ჩადიან, უწესო ცხოვრებას ეზიარებიან. მწერალი ქადაგებს ისეთ ყოფას, რომელიც კაცის ღირსებას არ შებღალავს.

ორი ახალგაზრდის ურთიერთტრფიალი, ძლიერი სიყვარული და მისი უძლეველობა დაგვიხატა მ. ჭავჭავაძის „მუსუსში“.

ჭარიდან დაბრუნებული მიხა, რომელსაც ზედმეტსახელად მისმა თანატოლებმა მუსუსი შეარქვეს, სოფლის ახალგაზრდობის მიერ გამართულ ღვინვით თავის შეყვარებულ ფეფელოს ნახავს. მას ახლა კიდე უფრო მეტად მოსწონს ეს ქალიშვილი, რომელიც დამშვენებულია და გალამაზებულია.

ფეფელო მდიდარი გლეხის პეტრეს შვილია, მიხა კი მისი დარიბი მეზობელია. პეტრეს სურს თავისი ფეფელო მდიდარ, მაგრამ დონდლო სიკოზე გაათხოვოს. ქალიშვილს მიხა უყვარს, სხვისი სახელის გაგონებაც არ უნდა.

ფეფელო და მიხა ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. მათი ტრფილი სუფთა და უმწიკვლოა. პეტრემ უხეშ და ხეპრულ ხერხებს მიმართა, რათა მიხა მოეშორებინა.

მიხა ფეფელოს მოელაპარაკა, ამხანაგები მოიშველია და საცოლოს გატაცება გადაწყვიტა. პეტრე ამას შეიტყობს, სასიძო სიკოს და მის ნათესაებს ჩაუსაფრებს და ქალ-ვაჟს ყველა გზას უჭირის.

ფეფელო და მიხა იძულებული არიან საბძელს შეაფარონ თავი და შიგნიდან კარი ჩაიკეტონ. გარედან პეტრე, სიკო და მისი ნათესაები და სოფლელები უტყვენ, საცაა კარი უნდა შემოამტკრიონ და შეყვარებულები სამუდამოდ დააშორონ ერთმანეთს. ეს კი მათთვის დიდი უბედურებაა, დაღუპვაა, სიცოცხლის დასასრულია. მიხა ერთი წუთით თითქოს ურიგდება მდგომარეობას, რადგან გამოსავალი აღარსად არის, კარის ერთი ფიცარი გატყდა კიდეც, მალე შემოცვივიან და მიხას ფეფელოს წაართმევენ... და ამ დროს მიხას გაბედული და ამავე დროს უჩვეულო აზრი გაუელვებს თავში...

მიხა ფეფელოს მიუბრუნდება და შეეხვეწება, ემუდარება, რომ აქვე, ახლავე, ამავე წუთში დანებდეს... სხვა გამოსავალი არაა, ხსნა მხოლოდ ამაშია... შეცბუნებული და მოულოდნელობისაგან გაოგნებული ფეფელო ოდნავ უარზეა, მაგრამ იქვე ბზეზე გადაწეწეწილი ქალიშვილი თავის ძვირფას მიხას დანებდება...

გარედან ამას ხედავენ, ისინიც ჩქარობენ, მაგრამ მიხამ დაასწრო... სასიძო სიკო და მისი ნათესაები გაწბილებულნი მიდიან, პეტრე კი მდგომარეობას ურიგდება...

ეს მომენტი მართლაც უჩვეულოა. ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, რასაკვირველია, დაუჭერებლადაც მოგვეჩვენება, ფსიქოლოგიურად შეუძლებლადაც, მორალის თვალსაზრისითაც დასაგმობად. მაგრამ, თუ ზოგად მსჯელობას ზურგს შევაქცევთ და მოთხრობაში განვითარებულ აზრს კვალდაკვალ მივყევით, მაშინ იგი დამაჭერებელი და გამართლებელიც ხდება. საშუალებას ამართლებს შედეგი. მხოლოდ ამ საშუალებით მოხერხდა შეყვარებულთა განშორების თავიდან აშორება. ეს იყო წუთის საქმე, ეს იყო რაღაც აზრის გაღვება და მყისვე მისი შესრულება, რამაც ისინი იხსნა კიდევ. სხვა არაფერმა გასჭრა ჭიუტ პეტრეზე, სხვა ვერაფრით დაიყოლია მუსუსმა სატრფოს გაეკრებოდა მამა, თუმც ბევრი სცადა, და ახლა საბედელში მომწყვდელმა, როცა ყველაფერი ილუპებოდა, ესღა მოისაზრა. თუმც ძნელია მორალურად გაამართლო მიხას საქციელი. მაგრამ მოთხრობაში ეს დამაჭერებლად არის გამართლებული.

სიყვარული იმარჯვებს, ანგარებიანი და ანგარიშიანი აზრები მარცხდება. პეტრეს მდიდარი სასიძო უნდოდა, მაგრამ მიხას და ფეფელს უდიდესი ძალით უყვარდათ ერთმანეთი. მათი დაშორება დანაშაული იყო, ცოდო იყო და მწერალი ამარჯვებინებს ამ უძლიერეს გრძნობას, თუმც აჯობებდა გამარჯვება სხვა გზით მომხდარიყო.

ჩვენი აზრით, „მუსუსის“ ფინალშიც თავი იჩინა ფრანგული და საერთოდ ევროპული მწერლობის კვალმა.

ასეთია მ. ჭავჭავაძის იმ მოთხრობების იდეა და დედააზრი, რომლებშიც საყოფაცხოვრებო საკითხები და თემები არის გაშუქებული. ყველა ამ მოთხრობაში მწერალი ჭადაგებს ნორმალურ, წესიერ ცხოვრებას, რაც ადამიანს ამშვენებს და აკეთილშობილებს: ამავე დროს გმობს უწესო, მახინჯ და არასწორ საფუძველზე დაფუძნებულ ურთიერთობას, რაც ადამიანებს ასახიჩრებს, ამახინჯებს, ზოგჯერ ღუპავს კიდევ.

ფსიქოლოგიური მოთხრობა

ფსიქოლოგიური დაკვირვების დიდი უნარი, ადამიანის სულში ჩაწვდომის, მის სიღრმეში მომხდარი ძვრების შემჩნევისა და ოსტატურად გადმოცემის ნიჭი მ. ჭავჭავაძელმა სრულად გამოავლინა თავის ერთ ვრცელ მოთხრობაში, რომელსაც „კურდღელი“ (1927 წ.) ეწოდება. მოთხრობაში აღწერილი ამბავი მწერლისთვის უამბნია ცნობილ მეცნიერს პროფ. მ. ასათიანს, რომელსაც ეძღვნება ეს ნაწარმოები. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი — პროფესორი ფრიდონ დორაშვილი მ. ასათიანი უნდა

იყოს, უფრო სწორად, მ. ასათიანი პროტოტიპია ფრიდონ ღორაშვილისა.

მოთხრობაში ნაჩვენებია მთავარი გმირი ქალის — სიდონიას ღრმა და ფსიქიური აშლილობა, რომელიც სულიერი ტრავმის შედეგად მიიღო.

სიდონიამ წალვერში აგარაკზე ყოფნის დროს გამდელის ხელში მიატოვა ხუთი წლის ავადმყოფი შვილი ჭუნაშერი და მასზე პატარა კატო, თვითონ კი საყვარელთან ერთად ბაკურიანში წავიდა. აქ ქალმა ქმარს უღალატა — სამი დღე-ღამე გაატარა სტუდენტ ბიძინა მარგიშვილთან. წალვერში დაბრუნებულ სიდონიას ბიჭი ხუნაგით გათანგული, სიკვდილის პირად მისული დახვდა. ცუხუნება საბედისწერო გამოდგა: მკურნალობა დაგვიანებული იყო. სიდონიამ ყველაფერი გააკეთა, რომ თბილისში სწრაფად ჩამოეყვანა ავადმყოფი შვილი, მაგრამ ბავშვს ვერაფრით უშველა, ის დაიღუპა. შვილის დაღუპვის მიზეზი სიდონიას გატაცება გახდა. სიდონიამ ქმარსაც უღალატა და შვილიც იმსხვერპლა. სიდონია მძიმე სულიერ ტანჯვას განიცდის. მას უნდა თავისი თავიცა და სხვებიც დააჭეროს, რომ ეს მისი ბრალი არაა. ის ქმნის ილუზიას, რომ ბავშვი კი არ მოჰყვდარა, არამედ მეორე ოთახშია და ძინავს... პასუხისმგებლობის გრძნობა და სინდისის ქენჯნა იმდენად ძლიერია, რომ ქალი ჭკუაზე ცდება.

სიდონია სარკეში თავის ორეულს სალომეს შეარქმევს. შვილი მას, სალომეს მოუყვდება... სიდონიას თეთრი კაბა აცვია, ხელში კი ის სათამაშო თეთრი კურდღელი უჭირავს, რომელიც ბავშვს წალვერში „იმან“ მოუტანა. ამ თეთრ კურდღელს სიდონია არ იშორებს... ის ხან იცინის, ხან მღერის... სიდონიამ თავისი პატარა გოგონა — კატო შეიძულა, ახლოს არ იყარებს. დედა და ქმარი რწმუნდებიან, რომ სიდონია ჭკუიდან შეიშალა. ედიშერს პროფესორი ფრიდონ ღორაშვილი მოყავს. აქედან იწყება ფსიქიატრისა და ავადმყოფის „ბრძოლა“. პროფესორი ცდილობს ქალს შთააგონოს, რომ მისი შვილი მკვდარია. ამ გზით ექიმს უნდა ავადმყოფი სინამდვილეს დაუბრუნოს. ბევრჯერ მიიყვანა პროფესორმა სიდონია სინამდვილის ზღვარამდე, მაგრამ ავადმყოფი ისევ შეუტნობელ საწყაოროში გადადის, ექიმის ღონისძიებებს არ ეპორჩილება.

ფსიქიატრისა და ავადმყოფის „ჭიდილი“, ექიმის მიერ ქალის ჩაგონება, დარწმუნება, კითხვების მიცემა, მიდგომა ისეთი მრავალფეროვანი, საინტერესო, შთამბეჭდავი, დამაჭერებელი და თავისებური, რომ მკითხველი სულმოუთქმელად მიყვება სტრიქონებს.

ავადმყოფი ქალის განცდები, შემლილობის სცენები, აღსარე-

ბები გულყრისას, რითაც ექიმი და ქმარი ყველაფერს გაიგებენ და სხვა მრავალი სულიერი მომენტი ისე ფაქიზად, სულში ჩამწვდომად და ღრმად, ფსიქოლოგიური დაკვირვების საფუძველზე არის გადმოცემული, რომ მკითხველი გაცეცხული რჩება.

მარტო ასეთი ეპიზოდი რად ღირს: გაჯიუტებულ ავადმყოფთან პროფესორი უკანასკნელ ხერხს სცდის. საჭიროა სიდონია რაღაც ძლიერმა განცდამ შეაჩლრიოს, რომ ცნობიერებას დაუბრუნდეს. და აი ექიმი ასეთ ხერხს მიმართავს: სიდონიას ეუბნება, შენმა საყვარელმა ბიძინამ შენს საქციელზე ყველგან ილაპარაკაო, სახელი გაგიტეხაო, ბიძინა საძაგელიაო. სიდონია ზიზღით აღივსება ბიძინას მიმართ, ის ტირის და ექიმთან ერთად იმეორებს, რომ ის საძაგელია. ასე შეარყია ქალის სული, ააფორიაქა და მაშინვე უთხრა ექიმმა ავადმყოფს: ბიძინა მოკლესო, აი გაზეთი წაიკითხეო. ეს კი შურისძიებას გავდა. ახლა ამ გრძნობამ მოიცვა სიდონია და ისე გარდაქმნა, რომ სინამდვილეს დაუბრუნა. მან შვილის სიკვდილიც იგრძნო და განიცადა, კატოც დაიბრუნა, ქმარიც და დედაც. სიდონია განიკურნა. მისთვის სინამდვილის შეცნობა მძიმე და მტანჯველი იყო, მაგრამ ეს გახდა სწორედ მისი განკურნების მიზეზიც.

ძნელია ჩვენში დავასახელოთ მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც ადამიანის ფსიქიკის ასე ღრმა ცოდნით, დაკვირვების ასეთი უჩვეულო უნარით, სულის ყოველი სიმის რხევის, განცდების სრულყოფილი გადმოცემით გვიხატავდეს ადამიანის შინაგან სამყაროს. როგორც ეს მ. ჭავჭავაძის „კურდღელში“ დაგვიხატა. ამ მოთხრობაში ავტორი არა მარტო დიდ ფსიქოლოგად მოგვევლინა, არამედ ფსიქიატრადაც. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ძალზე საინტერესო ტიპი — პროფესორი ფრიდონ დორაშვილი.

აქ განხილული მოთხრობების თემატიკა და პრობლემატიკა, როგორც დავინახეთ, მრავალფეროვანი და საინტერესოა. მწერლის ინტერესები ფართოა და ემყარება ავტორის მრავალმხრივსა და დიდ ცოდნას, მის ერუდიციას. პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, მორალი, ძველი საზოგადოების ნგრევის ნამსხვრევები, ადამიანური ყოფა, ფსიქოლოგია და სხვა მრავალი — აი, რა აინტერესებს, რაზე წერს მ. ჭავჭავაძე თავის შესანიშნავ მოთხრობებში.

მწერალი საინტერესო თემებსა და პრობლემებს აშუქებს დიდი მხატვრული ოსტატობით. ამის გამო იყო, რომ „მართალი აბდულაჰ“ თავის დროზე პრემიით დააჯილდოვეს. მაღალმა მხატვრულმა ოსტა-

ტობამ ნეაყვარა „ლამბალო და ყაშა“ არა მარტო ქართველ მკითხველებს, არამედ რუსებსაც, უკრაინელებსაც, რომელთა ენებზე თარგმნილმა მოთხრობამ აღიარება ჰპოვა. „მიწის ყივილში“ და მრავალ სხვა მოთხრობაში მარტო თემა და იდეა როდი გვიზიდავს. არანაქლებ მომჭადოებელი და მომხიბლავია მათი ფორმა, ჯადოქრული საღებავები, რომელსაც მწერალი იყენებს.

ყოველი მოთხრობის არა მარტო მთავარი პერსონაჟები, არამედ ეპიზოდურიც კი გამოძერწილია ცოცხალივით, გამოკვეთილია მათი ხასიათები, დასრულებულია მათი პორტრეტები, ერთნაირი ძალით არის დახატული პერსონაჟთა გარეგნობაც და მათი შინაგანი სამყაროც. აბდულაჰ, ყაშა, ლამბალო, კაიშაური, მუსუსი, ნოდარ შუბიძე, სიღონია, თომა და მრავალი სხვა პერსონაჟი სრულიად განსხვავებული ხასიათისანი არიან და ყოველი მათგანისათვის მწერალს მოუძებნია ხასიათის შესატყვისი ნიშანდობლივი თვისებები.

მიუხედავად თემატური მრავალფეროვნებისა, მ. ჭავჭავაძის მოთხრობებისთვის საერთოა ჰუმანიზმი, კაცური კაცობა, მაღალი მორალი, სამშობლოს ძლიერი სიყვარული და ყოველივე ის, რაც ნამდვილ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. ამიტომაც, რომ ეს მოთხრობები მკითხველს ამაღლებს, აფაქიზებს და კარგისაკენ მოუწოდებს.

თემატური, სტილისტური და ენობრივი თავისებურებანი

მ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების განხილვის შემდეგ საშუალება გვეძლევა ერთგვარად შევაჯამოთ ჩვენი მოსაზრებები და გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ. ახლა უკვე შეიძლება მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ის თავისებურებანი, რომლებიც მ. ჭავჭავაძის შემოქმედებისთვის არის დამახასიათებელი.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მწერლის შემოქმედების თემატიკა. ამ თვალსაზრისით მ. ჭავჭავაძის მდიდარი, მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედება. მისი თემატიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი ყოველთვის ცხოვრებისეულია, მხარდამხარ მისდევს საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას, არჩევს აქტუალურ და საჭირობოროტო თემებს, დიდ საკითხებს, რომლებიც ადებულ ეტაპზე ყველაზე უფრო სრულად გვიჩვენებენ ცხოვრების მაჯისცემას.

მწერალმა თავის პირველ მოთხრობებში გვიჩვენა ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანების დატანჯული, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი ყოფა.

დიდი საზოგადოებრივი ძვრებია დახატული „კვაჭი კვაჭანტირაძეში“, „გივი შადურში“, „ჩაყოს ხიზნებში“ და სხვა ნაწარმოებში, რომლებითაც მკითხველის თვალწინ ცოცხალ სურათებად გაივლის რუსეთის პირველი რევოლუციის დღეები, რეაქციის სუსხიანი წლები, პირველი მსოფლიო ომი, თებურელის რევოლუცია, დიდი ოქტომბრის მღელვარე დღეები, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში, ამ ხელისუფლების განმტკიცება და საბოლოო გამარჯვება, რაც ძველის ნგრევისა და ლიკვიდაციის საფუძველზე ხდება...

ცივილიზაციასთან დამოკიდებულების პრობლემა მ. ჭავჭავაძის დიალოგში დააყენა და პროგრესული პოზიციიდან გადაჭრა „თეთრ საყულოში“, „მდეარსა“ და „ტყის კაცში“. მათმა ავტორმა საბოლოოდ დაგმო ჩამორჩენილობა და გაამარჯვებინა ყოველივე მოწინავეს. პროგრესულსა და ცივილიზაციას.

გლებთა რევოლუციური მოძრაობა, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, მ. ჭავჭავაძის მღელვარედ და მიმზიდველად დახატა თავის ისტორიულ რომანში „არსენა მარაბდელოში“. ამავე რომანში მწერალმა გვიჩვენა ქართველი მშრომელი ხალხის ბრძოლა ნაციონალური და სოციალური სამართლიანობისათვის. ეს თემები აგრეთვე ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას, რომელმაც ყოველგვარი უკუღმართობა მოსპო და სამართლიანად გადაწყვიტა ორივე მწვავე საკითხი.

ცხრაას ხუთის მღელვარე ამბებს, მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობას მიუძღვნა მწერალმა თავისი რამდენიმე ნაწარმოები. მათგან პირველ რიგში უნდა დავსახელოთ მოთხრობა „ჩილდო“ და რომანი „ქალის ტვირთი“, სადაც ისტორიული სიზუსტითა და სიმართლით, კონკრეტული მოვლენებისა და ფაქტების ცოცხალი და მართალი ჩვენებით დიდებული ჰიმნი უმღერა იმ ისტორიულ მოვლენას, რომელიც დიდი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია“ იყო.

საკმაოდ მრავალრიცხოვან მოთხრობებში, რომლებიც მ. ჭავჭავაძის მღელვარე 1923 წლის შემდეგ დაწერა, გაშუქებულია პატრიოტიზმი, ადამიანის მორალი და ზნეობა, ძველი საზოგადოების პირობებში პრივილეგირებულ ადამიანთა ყოფა ახალ დროებაში, მათი ხვედრი და ყოფა საბჭოთა სინამდვილეში, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, გარდატეხები ადამიანის ფსიქოლოგიაში გარემო პირობებთან დაკავშირებით. ყველა ეს თემა და საკითხი მწერალს გაშუქებული აქვს ჰუმანიზტის პოზიციიდან.

თემების ეს მოკლე ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა აინტერესებდა მ. ჭავჭავაძის, რა აწუხებდა, როგორი იყო მისი დამოკიდებულება საზოგადოებისა და ადამიანებისადმი, როგორ უყურებდა და აფასებდა ის ჩვენი ხალხის წარსულს და დღევანდლობას, საით, რისკენ მოუწოდებდა იგი ადამიანებს. მწერალი ჩვენს წინ მთელი სიმაღლით აღიმართება, როგორც ჰუმანიზტი, სიმართლისათვის მებრძოლი, რევოლუციური შემართებისა და მებრძოლი სულის მოქალაქე, რომელსაც სძულს ყოველგვარი ჩამორჩენილობა, უსამართლობა, ჩაგვრა და დამცირება, შეპხარის კაცურ კაცობას, პროგრესს, ადამიანის მაღალ ზნეობას და ფაქიზ, წმინდა სულს. მწერალი ქადაგებს ქვეყნის უანგარო და უსაზღვრო სამსახურისათვის მზადყოფნასა და თავდადებას. მ. ჭავჭავაძის თავისი ხალხის ცხოვრების, მისი ბედის დიდი მოჭირნახულე და მოამაგეა. მწერლის მიერ ყველა თემა პროგრესული პოზიციიდანაა გაშუქებული.

თემატური მრავალფეროვნების გვერდით მ. ჭავჭავაძის შე-
მოქმედებაში დიდ ყურადღებას იქცევს მისი ნაწარმოებების პერ-
სონაჟთა მოქმედების ფართო გეოგრაფიული არე. ამ მხრივ, შეიძ-
ლება ითქვას, მ. ჭავჭავაძის ქართულ მწერლობაში თითქმის გან-
საკუთრებული მოვლენაა. მართალია, კ. გამსახურდიას შემოქმედ-
ებაშიც ეს საკითხი აგრეთვე იქცევს მკითხველის ყურადღებას, მაგ-
რამ პირველობა, ჩვენი ფიქრით, მ. ჭავჭავაძის ეკუთვნის. მისი გმი-
რები მოქმედებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ჩრდილო კავ-
კასიაში, როსტოვში, ყირიმში, ოდესაში, უკრაინაში, მოსკოვში, პე-
ტერბურგში, პოლონეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტა-
ლიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ინგლისში, ამერიკაში. სომხეთში.
აზერბაიჯანში, ირანში. თურქეთში და ვიეტნამშიც კი (მაგ. ჟან შო-
ვერი „მესამედან“).

მ. ჭავჭავაძის გმირების მოქმედების არე ვრცელდება მსოფ-
ლიოს თითქმის ნახევარზე: ამერიკა, ევროპა. ახლო აღმოსავლეთი.
აზია — აი, ის დიდი სივრცეები, რომლებსაც სერაფენ არა მარტო
მოხეტიალე კვაკი და მისი ამხანაგები, არამედ სხვებიც — ლამბალო.
ქართველი ექიმი, ჟან შოვერი და მისი ცოლი ირინე. შევარდენიძე-
სოკოლოვი, მარადო, ნოდარ შუბიძე, ანდრო კაიშაური და სხვანი
მრავალნი.

აღსანიშნავია ის, რომ ამ ქვეყნებს, ქალაქებს, კუთხეებს მწერა-
ლი ყოველთვის გვიჩვენებს გამომსახველად, კონკრეტულად და არა
„საერთო ხაზებში“. ამაში მწერალს, ერთის მხრივ, ხელი შეუწყო
ბევრმა მოგზაურობამ, რომელიც მას შეხვდა, ხოლო მეორეს მხრივ.
დაულალავმა მუშაობამ, რომლის მიზანიც ის იყო, რომ კონ-
კრეტულად შეესწავლა, შეეთვისებინა და პირველ რიგში თვითონ
წარმოედგინა რაზეც წერდა.

ახლა მწერლის სტილის, მისი მხატვრული აზროვნებისა და
ხერხების შესახებ.

გმირის ხასიათის გამოძერწვა მ. ჭავჭავაძის ოსტატობის ერთ-
ერთი მთავარი თვისებაა. რით აღწევს მწერალი ტიპის ესოდენ ცოც-
ხალ ხატვას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მწერლის წერის რამ-
დენიმე თავისებურების განხილვა მოგვიხდება.

1. მწერალი ტიპის შექმნისას, როგორც წესი, იყენებს ცოცხალ
პროტოტიპს, რომლისგანაც, როგორც მხატვარი ნატურიდან. ხა-
ტავს ტიპს. ამ არცთუ საიდუმლო ხერხს მწერალი რამდენჯერმე
აღნიშნავს თავის წერილებში. თუმცა ამაზე უკვე ითქვა ზემოთ და
ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

2. დასამახსოვრებელი თვისებებით ტიპის აღჭურვა მწერლის

ერთ-ერთი თავისებურებაა. ამ თვალსაზრისით ორი მომენტი იქცევა ყურადღებას: ა) მწერალი ტიპს მიაწერს აკვიატებულ გამოთქმებს; ბ) უძებნის მას რაიმე გარეგნულ, შესახედაობით თავისებურებას, რაც მას სხვებისაგან განასხვავებს.

ჯერ აკვიატებულ გამოთქმებზე. ეს ხერხი მ. ჯავახიშვილს ბევრ ნაწარმოებში და ბევრი ტიპისთვის აქვს დაძებნილი. „არსენა მარაბდელში“ ზაალ ბარათაშვილი წამდაუწუმ გაიძახის: „ვეუო, ამაზე მეტი გაგონილა... ბუნტია, მაშ რა ჯანაბაა!“, „ჩაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავის „საყვარელი გამოთქმაა: „—ს... სსაოცარია, საკ... კკვირველია!“ ანდა „მმ...მოვიფიქროთ, მმ...მოვითმინოთ...“ და ერთ-თავად ენას უკიდებს. ჩაყო კი როყოოდ წამოიძახებს ხოლმე: „მაშა, მაშა, ასე ვიცის ჩაყომა!“... „ხუთის ამბავის“ ერთ-ერთი გმირი როსტომ რეტციანი ხშირად უადგილოდ ჩაურთავს აკვიატებულ სიტყვას: „საკრამენტო“. თუმც მისი აზრი არც თვითონ ესმის. „ლამბალო და ყაშაში“ დადებითი გმირის ზედმეტსახელი — ლამბალო — მისი საყვარელი აკვიატებული სიტყვიდან — „ლამბალოდან“ მოდის. ეს ახალგაზრდა ხშირად იძახის „ლამბალოო!“, რაც, მისი გაგებით, ყველაფერ კარგს ნიშნავს. ასევეა კარბიჩა, რომელსაც ყოველთვის პირზე აკერია: „თქვენ პუგაჩოვი გინდატ, პუგაჩოვი!“

გარეგნული თავისებურებების შერჩევა. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ არსენა ოძელაშვილის წარბის თამაში, კარპიჩას კოჭლობა, ლაცაბიძის წვერის „ფარცხვა“, ალვა ჯავრიძის სიმალლე (ბოძივით), თამარის ოქროს კბილი და ხალი თვალის ქუთუთოზე, ღვთისაყარის ცალთვალობა, ჩაყოს ბანჯგვლიანობა, თინას სიბრმავე და სოლოს სიგონჯე („ყბაჩამ დაიგვიანა“), ქეთო ახატნელის თეთრი ნასთი და ა. შ. ყველაფერი ეს სწორედ აღნიშნული ტიპის კუთვნილებაა. ამით ისინი სავსებით განსხვავდებიან სხვებისაგან.

აღნიშნული ხერხების ოსტატური გამოყენებით მ. ჯავახიშვილს კმნის გამოკვეთილ, ცოცხალ დასამახსოვრებელ ტიპებს, ძერწავს მათ ხასიათებს.

მ. ჯავახიშვილის მხატვრული აზროვნების, მხატვრული სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა უცხო ენაზე მოლაპარაკე გმირის ამეტყველება მის მშობლიურ ენაზე, ისე რომ, იქვე მოგვეცეს სხარტი განმარტება თუ თარგმანი, რათა მკითხველს არ დაჭირდეს თავის ტებვა, ლექსიკონების ძებნა, ან სქოლიოში განმარტებების თვალიერება. ეს ისე სხარტად, მოხდენილად და მოკლედ ხდება, რომ ვერც კი ეგრძნობთ, თუ თარგმანთან გვაქვს საქმე. ამ თვალსაზრისით შეიძლება მრავალი მაგალითი დავასახელოთ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებიდან. მწერალი უმეტესად იყენებს ფრანგულს და თათრულს, რომელთა შესატყვისებს იქვე ქართულად იძლევა.

მაგალითები: „მესამეში“ ჟან შოვერი ფრანგულად მეტყველებს. ამის მისანიშნებლად მწერალი ხანდახან გამოურევს მის ფრაზგულს, რასაც იქვე განმარტავს. „უცებ ვაგონში უცხო მამაკაცი შემოვიდა, თითქმის შემოვარდა: — მადმუაზელ! — და ისე დაბლა დაგვიკრა თავი, თითქო მეფეს ესალმებოდა, — მადმუაზელ, მილპარდონ — ათასი ბოდიში...“, „—აქა ვართ... მოვდივართ, მიუგო და წამიყვანა, თანაც ჩამჩურჩულა: — ჟე ვუზემ, ჟე ვუზემ დეჟა, მაირენ — მიყვარხარ, უკვე მიყვარხარ, ჩემოირინე“. „მწიის ყივილში“ ასეთი ადგილები უხვად გვხვდება: „—ასსეიე ვუ, მესიე — დაბრძახდით, ბატონო“... „პარდონ, მესიე — ბოდიშს ვიხდო“... „სეტეტონან. სელა — საკვირველია, საოცარია!“ „—ვუალა, ჟე დიდეჟა! — აი, უკვე გითხარით“. ახლა ჩავიხედოთ „ლამბალო და ყაშაში. აქაც ანალოგიური ამბავია „—საბახ ხეიროლსუნა — დილამშვიდობისა, აღა“, „—ნეჯასიზ? ქეიფინ, პალინ? — როგორ ბრძანდებით, ქეიფზე როგორა ხართ, როგორ გეძინათ?“ ამავე მოთხრობაში გამონაკლისის სახით რუსულის განმარტებაც გვხვდება: „—Ай, ай-ай! Вот строгий то доктор — ვაა, რა მკაცრი ექიმი ყოფილა“ ცხადია, მარტო ეს მაგალითი არაა, სხვაც გვხვდება ასეთი.

აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში მწერალი რუსულის განმარტებას არ იძლევა. ჩვენი ფიქრით, ეს იმიტომ, რომ რუსული ქართველისთვის ნაცნობი ენაა. მაგალითად, „კვაკი კვაქანტირაძეში“ რუსული ბევრჯერ გვხვდება, განსაკუთრებით კვაქის „მოღვაწეობის“ პეტერბურგის პერიოდში, მაგრამ ყოველთვის განმარტების გარეშე. ასევეა „ჩანჩურაში“, როცა პოლიციელი პეტროვი თავის საყვარელ გამოთქმებს ხმარობს. ვიმეორებთ, ეს იმიტომ უნდა აიხსნებოდეს, რომ მწერალი ვარაუდობს, ქართველმა მკითხველმა რუსული ისედაც იცის, ისედაც გაიგებსო.

არაქართულ ენაზე მოლაპარაკე პერსონაჟების ალაპარაკება მშობლიურ ენაზე გარკვეულ კოლორიტს ქმნის.

მ. ჭავჭავაძის მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ისეთი სიტუაციის შექმნა, რომ ზოგჯერ გმირის საერთოდ ნაკლებდამაჯერებელი მოქმედებაც კი ამ სიტუაციაში დამაჯერებელი ხდება. ამის საილუსტრაციოდ აუარება მაგალითის მოტანა შეიძლება მწერლის სხვადასხვა ნაწარმოებიდან. დავჯერდებით რამდენიმეს: „მუსუსში“ ფეფელოსა და მიხას ინტიმური შეკავშირება ჩაკეტილ გომურში, როცა გარედან ხალხი კარს მოსდგომია და შემომტკრევას ლამობს. საერთოდ თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ეს შე-

უძლებელია, დაუჭერებელია, მაგრამ მწერალმა მოვლენების განვითარება ისე წარმართა, ისე შეამზადა ნიადაგი, სიტუაცია ისეთი შექმნა, რომ ამ ვითარებაში ის უნდა მომხდარიყო, რადგან ეს იყო ხსნის უკანასკნელი საშუალება. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობაზე მთვრალი თეიმურაზის გვერდით... საერთოდ ასეთი რამ წარმოუდგენელიც შეიძლება მოგვეჩვენოს, მწერალმა კი ამ მოქმედებისათვის სიტუაცია ისე შეამზადა და დახატა, რომ მკითხველს იგი სჭერა.

სიტუაციების ასეთი დახატვა, რომ ერთი შეხედვით დაუჭერებელიც კი დამაჭერებელი გახადოს, მწერლის ოსტატობის გამოვლენაა. ყოველი პერსონაჟი გარკვეულ კონკრეტულ გარემოში ცხოვრობს და მოქმედებს. თუ მწერალი გმირის მოქმედების შესატყვის გარემოს დახატავს, მოქმედებაც დამაჭერებელია, ანდა პირიქით. აქ მთელი ძალით იჩენს თავს ენგელსისეული დებულება ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში ჩვენების შესახებ, რაც რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთი ფუნქციონალური დებულებაა. და თუ მ. ჯავახიშვილმა სიტუაციების ხატვის ისეთი ოსტატია, რომ დაუჭერებელსაც კი გვაჭერებს, მაშინ, მით უმეტეს, ჩვეულებრივ ამბებს უფრო დამაჭერებლად და მეხსიერებაში წარუშლელად გვიხატავს. ეს ასეც არის.

მწერლის მხატვრული სტილის თავისებურებათა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ კიდევ ერთი ხერხი. ზოგჯერ ავტორი მიმართავს ნაწარმოების გმირს, ელაპარაკება, ურჩევს, აჭერებს: ან მოუწოდებს რაიმე საქმისაკენ, ან ცდილობს ხელი ააღებინოს რომელიმე განზრახვაზე. მწერლის ასეთი ჩარევა ორგანულად არის ჩართული მოვლენის განვითარებაში, მაგრამ ამავე დროს ის ერთგვარად უჩვეულო შთაბეჭდილებასაც ქმნის. მკითხველს ეუფლება განწყობილება. თითქოს გმირიცა და მწერალიც მკითხველის წინაშე დგანან და მწერალი ესაუბრება თავის გმირს, თვითონ მკითხველი კი ესწრება მათს ამ შეხვედრას. ეს შთაბეჭდილება ხელს უწყობს მოქმედების გაცოცხლებას.

მწერალი გმირის მოქმედებაში გამონაკლის შემთხვევაში ერევა. როცა გმირს რაღაც განსაცდელი ელის, როცა რაღაც მნიშვნელოვანი ხდება და ავტორი ცდილობს თავის გმირს ააცილოს განსაცდელი. თითქოს მწერალი-მოქალაქე ვედარ ითმენს დარჩეს გულგრილი მთხრობელი, წიგნის ცხოვრებაში შედის ერთ-ერთ პერსონაჟად.

აღნიშნული დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მაგალითები: „ჩქარა, აბდულ, ჩქარა! დაბალ ლობეზე ვეფხვივით გადახტი, გაოხრებული ბაღჩა გაირბინე, გომურს მოუ-

რე და“... („მართალი აბდულაჰ“); „—ნუ, ბაჩილა ბიჭო, თავს ნუ გაიმეტებ! აგრე ადვილად ნუ დასთმობ ჭაბუჯობას. ჭერ გაღმა გადი. ქალაქს შეერიე, თვალი გაახილე და ხელი გაანძრიე, იქნება ბელი გელის სადმე...“ („ორი განაჩენი“); „კანკა-ბიჭო, ხელი აიღე! ნუ ეჭიბრები უსულო ქალაქს. მყარალი ნავთიცი ხომ სულია — უფრო მძლავრი, უფრო გამძლე, უფრო ზვიადი და თავმოყვარე. ვიდრე შენი სისხლი, შენი სული და შენი კანკები.

ხელი აიღე, სოფლის ბიჭო!“ („მდევარი“).

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მწერალი უშუალოდ მიმართავს გმირს და ესაუბრება.

ეს ძალზე საინტერესო ხერხია.

რამდენიმე ნაწარმოებში მ. ჭავჭავაძის გვიცოცხლებს მნიშვნელოვან ისტორიულ პირებს, რომელთა მიმართ მკითხველის ინტერესი ყოველთვის დიდია. ამ პირებს მწერალი ხატავს შათთვის დამახასიათებელი თვისებებით, მათი მოღვაწეობისა და ხალხის წარმოდგენაში. მათზე არსებული გაგების შესაბამისად. „არსენა მარაბდელში“ დახატულია სამივე ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, პატარა ტატო. სოლომონ დოდაშვილი და სხვები. „ქალის ტვირთში“ მწერალი გვიჩვენებს ილია ჭავჭავაძეს. აკაკი წერეთელს, ანტონ ფურცელაძეს, იაკობ გოგებაშვილს და ა. შ.

იშვიათად თუ შეგვხვდება ქართველი მწერალი, რომელსაც თავის ნაწარმოებში ასე ხშირად შემოყავდეს მწერლები და საერთოდ ლაპარაკი ჰქონდეს ლიტერატურაზე. მ. ჭავჭავაძისთვის კი ეს დამახასიათებელი ხერხია. გავიხსენოთ „გივი შადური“, რომლის მთავარი გმირიც ასე ხშირად ხვდება მწერლებს, ესაუბრება, გამოთქვამს თავის ლიტერატურულ მოსაზრებებს, ქართველი პოეტები და მწერლები მასთან ერთად ქეიფობენ. მსჯელობენ და ა. შ. ამ მხრივ ნაკლებ საინტერესო არც „ქალის ტვირთი“, რომელშიც გამოყვანილია პოეტი ელიზბარი, მისთვის დამახასიათებელი ახირებული ხასიათითა და არანაკლებ ახირებული ლექსებით. მისი შეხედულებები ლიტერატურაზე და სხვა საკითხებზე რომანში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ლიტერატურაზე, ცალკეულ მწერლებზე, ენაზე და ა. შ. მსჯელობენ აგრეთვე ზურაბი, ახატნელები და ზოგი სხვა პერსონაჟიც.

მწერლების შემოყვანა ნაწარმოებში და ასე ხშირი მსჯელობა ლიტერატურის საკითხებზე მ. ჭავჭავაძის მხატვრული სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა. უნდა ითქვას, რომ ხშირად ამ მსჯელობისას მ. ჭავჭავაძის ქადაგებს იმ ლიტერატურულ აზრებს, რომლებზეც სხვა დროს თვითონვე დაუწერია სპეციალური წერილები.

ეს შესაძრწვევი გარემოებაა. გამოდის, რომ მ. ჯავახიშვილი თავის ლიტერატურულ შეხედულებებს ქადაგებს არა მარტო წერილებით. არამედ მხატვრული ნაწარმოებებითაც. სანიჰუმოლ შეიძლება დაე-სახელოთ ასეთი ფაქტი: იმ შეხედულებებს ილიაზე, რომლებსაც მ. ჯავახიშვილი თავის წერილებში გამოთქვამს, „ქალის ტვირთშიაც“ იმეორებს. ასევე შეიძლება ითქვას იბსენზე, მოპასანზე, რეალიზმ-ზე საერთოდ და ა. შ.

მ. ჯავახიშვილს ერთნაირი სიძლიერით ემარჯვება სრულიად განსხ-ვავებული ხასიათის მქონე პერსონაჟთა დახატვა რა ეროვნებასაც და რა სოციალურ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. ეს საგანგებო ბო აღნიშვნის ღირსია, რადგან იშვიათი როდია, როცა რომელიმე მწე-რალს სოფლის ხატვა უფრო ემარჯვება; ვიდრე ქალაქისა, და ა. შ. მ. ჯავახიშვილისათვის ასეთი საზღვრები არ არსებობს, იგი უნივერსა-ლურ შესაძლებლობებს ფლობს და ამიტომ ასე მრავალფეროვანია მისი პერსონაჟების გაღერვა. ამის მიზეზად პირველ რიგში ჩვენ მი-გვაჩნია მწერლის დიდი განსწავლულობა, ცხოვრებისა და ადამიანთა ცოდნა და ამასთანავე მხატვრული ნიჭიერება.

მ. ჯავახიშვილის მხატვრული სტილის თავისებურებაა თემის, სა-კითხის ბუნებისა და ხასიათის შესატყვისი თხრობის ტონისა და ინ-ტონაციის შერჩევა. როცა თხრობა ინტიმურ საკითხებზეა — იქ მწერლის ენა ინტიმური ღირიზმით აღსავესა, ხოლო როცა თხრობა შეეხება მძაფრ სოციალურ, პოლიტიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან, ამაღლევებელ საკითხებს, აქ მწერალი ომახიან რეალისტად გვევ-ლინება, ზოგჯერ პუბლიცისტური ელემენტების გარევეითაც. ეს კი აძლიერებს აღწერილი ამბების ემოციურ აღქმას.

მ. ჯავახიშვილის შეხედულებები ენაზე, რაც მის წერილებში გვხვდება, ჩვენ ზემოთ მიჰოვიხილეთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეს დიდი მწერალი თავის მხატვრულ პროზაში კატეგორიულად და პრინციპულად იცავს თავის შეხედულებებს და შემოქმედებითად ახორციელებს თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში.

ენობრივი თვალსაზრისით მ. ჯავახიშვილი იმდენად საყურად-ღებოა, რომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით: მასზე საგან-გებო ლინგვისტური გამოკვლევა უნდა დაიწეროს, როგორც, მაგა-ლითად, რუსეთში შექმნილია საგანგებო შრომები ცალკეული მწერ-ლის ენის შესახებ (მაგ. „პუშკინის ენა“ და ა. შ.). ჩვენი ღრმა რწმე-ნით, მომავალში ეს გაკეთდება, რადგან ამას იმსახურებს მ. ჯავახი-შვილის ენა, ამას მოითხოვს ქართული ენის ინტერესები.

ახლა კი შეიძლება რამდენიმე მომენტზე გავამახვილოთ მკითხ-ველის ყურადღება.

1. მწერლის თხრობა, გამონაკლისის გარეშე, ყოველთვის სალიტერატურო ქართულით არის შესრულებული.

2. ყველა დადებითი პერსონაჟი მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებში ყოველთვის სალიტერატურო ქართულით მეტყველებს.

3. „კვაჭი კვაჭანტირაძის“ უარყოფითი ტიპები — კვაჭი, მისი ამხანაგები — დასავლელნიც და აღმოსავლელნიც, კვაჭის მამა და მისი ოჯახის წევრები თავიანთ დიალექტს იყენებენ.

4. არაქართულნი მეტყველებენ თავიანთ ენაზე ან ქართულად, რათა თხრობა უცხოურით არ გადაიტვირთოს.

მ. ჯავახიშვილის ენა ლექსიკურად ძალზე მდიდარია. მას ქართული ხალხური მეტყველებიდან, ძველი მწერლობის ძეგლებიდან, ქართლის სოფლების მეტყველებიდან შეუგროვებია, ამოუკრებია და გამოუყენებია აუარება მადლიანი ქართული სიტყვა, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ასე ლაღად გადმოგვცემს ადამიანის სულის მღელვარებას, მის ფაქიზ ნიუანსებს, ყოფით, ბრძოლის, შრომის და ა. შ. შესატყვის ტერმინს თუ ცნებას. მწერალი არსად არ გრძნობს სიტყვათა ნაკლებობას, მას არ ჭირდება მომჭირნეობა. მისი ქართული ლაღია, მონუხჩუხეა, ძარღვიანია, გამომსახველია, მდიდარია.

„არსენა მარაბდელის“ განხილვისას შევნიშნეთ და აქაც გვინდა აღვნიშნოთ ქართული ზმნის ჯავახიშვილისეული ხმარება. ერთსა და იმავე ადგილას მწერალი ერთსა და იგივე ზმნას ზოგჯერ რამდენჯერმე ხმარობს. ეს არ არის ის ტავტალოგია, რაც სტილს აგონჯებს. ეს არის განზრახ ხმარება ზმნისა, რომლის მეშვეობითაც მწერალი მკითხველის ყურადღების გამახვილებას სწორედ ამ მოქმედებაზე ახდენს. როცა მ. ჯავახიშვილი წერს: „გლეხები აპყარეს და დისციპლინის მონა ლენერალი მხოლოდ ამის შემდეგ გამობრუნდა. გამობრუნდა და სუფრას რომ მიუჯდა“... (ხაზი ჩემია—ტ. კ.); აქ გამობრუნდა ზედიზედ ორჯერაა ნახმარი და სრულიად შეგნებულადაც. საქმე ისაა, რომ გენ. ტორმასოვმა თავადთა და გლეხთა სუფრა ერთად გაშლილი რომ ნახა ძველი ქართული წესისამებრ, გაწყრა და სასახლეში შებრუნდა. როცა გლეხები გაპყარეს, მხოლოდ მაშინ გამობრუნდა სუფრაზე. აქ სწორედ გამობრუნებაა მთავარი და მწერალიც ამაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას აღნიშნული ზმნის ორჯერ ზედიზედ ხმარებით. ანალოგიური მაგალითები უხვადაა. ზოგი მათგანი „არსენა მარაბდელის“ განხილვისას მოვიშველიეთ.

ჩვენს მწერალს აქვს ერთი გადახვევა თანამედროვე ქართულის ნორმიდან. ეს შეეხება აღმატებთი ხარისხის წარმოებას. დღევანდელი ქართულით აღმატებით ხარისხს ჩვენ ვაწარმოებთ ეოთი უთი

(დიდი — უდიდესი), მ.ჭავჭავაძის შვილი კი ერთის ნაცვლად ხშირად ხმარობს ორ უ-ს. მაგალითად, მწერალი წერს: „...თითქოს ჭაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უუზარმაზარი ზღარბი აცოცებულყო“ (ტ. II, გვ. 234) აქ „უზარმაზარის“ ნაცვლად ნახმარია „უუზარმაზარი“. ანალოგიური მაგალითები გვხვდება „არსენა მარაბდელში“ და სხვაგანაც. ასე რომ, იგი გამონაკლისი როდია. ჩვენ ამ ფაქტს ასე ვხსნით: მწერალი ორ უ-ს ერთდაგვარი ჰიპერბოლიზაციის მიზნით ხმარობს. ცხადია, ჩვენ ამ პრაქტიკას არ ვამართლებთ, რადგან ამ დანიშნულებას ერთი უ-ც მშვენივრად ასრულებს.

მწერლის ენა იმ მხრივაც იყვრება ჩვენს ყურადღებას, რომ მისი სინტაქსი ნათელი, გამკვირვალე და გამართულია.

მწერლის ისედაც ლამაზ ენას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ხალხური ანდაზური გამოთქმებისა და გამოჩენილი მწერლების აფორიზმების ჩართვა პერსონაჟთა მეტყველებაში. ეს ხერხი მეტყველებას ახალისებს, სათქმელს ლაკონურად გამოკვეთს და აზრს ხატოვნად წარმოგვიდგენს. ამაზე ჩვენ ვილაპარაკეთ „არსენა მარაბდელის“ განხილვისას და სათანადო მაგალითებიც მოვიშველიეთ. აქ გვინდა განვაცხადოთ, რომ მწერალი მხოლოდ დასახელებულ რომანში როდი იყენებს ამ შესანიშნავ საშუალებას. ეს გვხვდება თითქმის ყველა რომანსა და მოთხრობაში.

მ. ჭავჭავაძის ენის, მეტყველების, თხრობის ერთ-ერთი თავისებურებაა დინამიურობა. მწერალი ისე ტემპიანად გვიყვება, ისე სწრაფად ავითარებს მოვლენებს, ისე სულმოუთქმელად მიდის თხრობა, რომ კინემატოგრაფიული ჩვენების შთაბეჭდილება იქმნება. თხრობის ასეთ სტილს უწოდებენ ე. წ. რეპორტაჟულ სტილს, რომელმაც არ იცის და ვერც იტანს მდორე, ზღაზნია თხრობას. მოქმედება, დინამიკა, ტემპი, სისწრაფე — აი, რა ახასიათებს მ. ჭავჭავაძის თხრობას. ეს რომ განახორციელოს, მწერალი წინადადებასაც ისე აგებს, რომ ტემპი მივიღოთ. ამ მიზნით მწერალი იყენებს დიალოგს და მოკლე წინადადებებს, რაც ხელს უწყობს თხრობის დინამიურობას. დავძენთ, რომ ასეთი სტილი, რეპორტაჟული სტილი, ჩვენი საუკუნის მკითხველისათვის ზედმიწევნით მისაღებია.

აი ზოგი რამ, რაც მწერლის ენაზე გვინდოდა გვეთქვა. ცხადია, ჩვენ მიზნად არ დავგვისახავს მ. ჭავჭავაძის ენის სრული გამოკვლევა და ანალიზი, ჩვენ ამის პრეტენზია არცა გვქონია. ამ საქმეს, როგორც უკვე ვთქვით, მომავალი მკვლევარი სჭირდება, რომელსაც დიდი ლინგვისტური ნაშრომის შექმნა მოუხდება. პირველი

ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ზოგი მკვლევარის წიგნში, მაგრამ ეს მაინც ფრაგმენტებია იმასთან შედარებით, რაც მომავალში უნდა გაკეთდეს.

ჩვენ მხოლოდ ძირითადი და მთავარი ვთქვით, იმის შესახებ. რაც მ. ჭავჭავიძის შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი თემატური, სტილისტური და ენობრივი თავისებურებების თვალსაზრისით. ცხადია. შეიძლება ყოველი ამ საკითხის კიდევ უფრო მეტად გაშლა და დაწვრილებით განხილვა, მაგრამ რაც ითქვა, ჩვენი ფიქრით. ისიც საკმარისად წარმოგვიდგენს მიხეილ ჭავჭავიძის შემოქმედებით სახეს.

დიდი მწერლის სამი ხელნაწერი

ყველა ადამიანს ცხოვრების საკუთარი გზა აქვს, ზოგს სწორი და ფართო, ზოგს კი აღმართ-დაღმართიანი და მიხვეულ-მოხვეული. მწერალიც ასეა. მიხეილ ჭავჭავიძემ ბედმა მეორე არგუნა. ამიტომ არის, რომ მისი ხელნაწერების უმეტესობა, თუმცა მწერლის ცხოვრება შორეულ წარსულს არ ეკუთვნის, მაინც დაიკარგა, გაქრა. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ინტერესს მისი ხელიდან გამოსული ყველა ნაწერისადმი.

გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმში დაცულია მ. ჭავჭავიძელის სამი ხელნაწერი, რომლებიც სხვადასხვა ფონდში მოხვედრილა.

ერთი მათგანია შავი მელნით (ტუშით) დაწერილი ავტობიოგრაფია¹, რომელიც შეიცავს ოთხ ფურცელზე დაწერილ სამნახევარ გვერდს. მეოთხე ფურცელი შუას ქვემოთ მოხებულია. თხრობა წარმოებს მესამე პირში. ჩანს, რომ ეს არის შავად ნაწერი, რადგან შიგვეა ნასწორები. ამის მიუხედავად, ხელი მკაფიოა და ადვილად იკითხება. პირველი გვერდის მარცხენა არეზე გარდი-გარდმო წითელი მელნით წაწერილია: „ტიციან! ხუთიოდე ცალი გადააბეჭდვინე, ერთი შენ აიღე, დანარჩენი მე მომეცი. მ. ჯ.“. ტექსტი მწერლის ხელით არის დაწერილი.

დასახელებული ხელნაწერის მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგან აქ მწერალი თვით მოგვითხრობს საკუთარ თავზე. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. როცა მწერლის ბიოგრაფია ცნობილია, მაშინ ასეთ დოკუმენტს, შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდეს. ამ შემთხვევაში კი დოკუმენტის მნიშვნელობას ზრდის ზოგი ისეთი ცნობა, რაც საყოველთაოდ არ არის ცნობილი ან სადავოა.

მაგალითად, მწერალი წერს: „მიხეილ ჭავჭავიძელი (ადამაშვილი) დაიბადა 1880 წ. ბორჩალოში, ს. ზემო წერაქვში, რომელიც ერთადერთი ქართული სოფელი იყო მდინარე ხრამის გაღმა“, აქვე აზუსტებს მამის ვინაობას და სადაურობას: „მამამისი მამა ს-

1 საქ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება, № 22431.

ბამ, ქიზიყიდან გადმოსულმა გლეხმა, შემდგომში მოახერხა და შულავერის მახლობლად ახალი სოფელი სიონი გააშენა და თვითონაც აქ გადმოვიდა“ (ხაზი ჩვენია — ტ. კ.). აქ დაზუსტებულია, რომ მწერლის მამა ქიზიყიდან გადმოსული გლეხი ყოფილა.

ამავე დოკუმენტში გვხვდება ერთი ადგილი, რომელიც შუქს ჰფენს ერთ სადავოდ გამხდარ საკითხს. მეორე გვერდზე ვკითხულობთ, რომ იგი „გ. ყიფშიძის დროს ერთხანს ფაქტიურ რედაქტორად იყო ჯერ „ივერიის“, შემდეგ „გლეხის“. სამართალში მისცეს. ევროპაში გაიქცა (1906—1910)...“ ამონაწერში ყურადღებას იქცევს ორი სიტყვა: „ფაქტიურ რედაქტორად“, რომელიც კონტექსტის მიხედვით ეხება არა მარტო „ივერიას“, არამედ „გლეხსაც“. თუ ეს ასეა, მაშინ დავა, რომელიც ბოლო წლებში წარმოებდა, თითქოს „გლეხის“ რედაქტორი სხვა იყო და არა მ. ჭავჭავაძე. უფრო სწორად, თითქოს მ. ჭავჭავაძე არ იყო „გლეხის“ ფაქტიური რედაქტორი, დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სიტყვა „ფაქტიური“ ამ დოკუმენტში აშკარად ადასტურებს მის რედაქტორობას.

ხელნაწერში ავტორი საყურადღებო ცნობას გვაწვდის იმაზეც, თუ მისი მშობლების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ როგორ დაიწყო სამსახური ალავერდის ქარხნებში, „თანაც უაპრავეს წერდა და ხევედა, რადგან სხვების გაღლენას ჰგონობდა“. მერე: „1903 წ. სამსახურს თავი დანება და ბედის საძებნელად ტფილისში ჩამოვიდა. იგემა ხეტიალი და გაქირვება. ისევ სწერდა და სწევდა. ბოლოს ერთ დამეში „ჩანჩურა“ დაწერა, „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაბეჭდეს და მაშინვე ამავე გაზეთის რედაქციაში მიიწვიეს...“ მწერლის ბიოგრაფიის ეს მომენტები თუმცა ცნობილია, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედთათვის მისი კვლავ შეხსენება ზედმეტად არ მივიჩნევთ.

ხელნაწერს თარიღი არ უზის, მაგრამ ტექსტის მიხედვით შეიძლება მიახლოებით ითქვას, რომ იგი დაწერილია ოციანი წლების ბოლოს, როცა უკვე არსებობს „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“ და „მნათობში“ იბეჭდება „არსენა მარაბდელი“, აგრეთვე უკვე არსებობს მწერლის ოცდაათამდე მოზრდილი მოთხრობა. ყველაფერი ეს მითითებულია თვითონ დოკუმენტში. აქ ვკითხულობთ: „მწერლობის დასაწყისში სამ წელიწადში (ე. ი. 1903—1906 წწ. — ტ. კ.) ერთი პატარა ტომი დაწერა, ხოლო უკანასკნელ ექვს წელიწადში (ე. ი. 1923 წლიდან, როცა იგი მწერლობას კვლავ დაუბრუნდა — ტ. კ.) — 8 ტომი“.

1923 წლიდან კი „უკანასკნელი 6 წელიწადი“ იქნება გასული 1929 ან 1930 წელს. გამოდის, რომ ეს დოკუმენტი ამ წლებშია დაწერილი.

გამოსარკვევი რჩება, თუ რატომ სთხოვა მწერალმა ტიცინა ტაბიძეს ამ დოკუმენტის გადაბეჭდვა, რა კავშირი ჰქონდა ამ ბიოგრაფიულ საბუთს პოეტთან. მომავალში ალბათ ესეც გაირკვევა.

• • •

საინტერესო შინაარსისაა ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მ. ჭავჭავიძის მეორე ხელნაწერი¹, რომელიც შ. დადიანისადმი თბილისიდან მოსკოვში გაგზავნილ პირად წერილს წარმოადგენს. იგი შეიცავს საყურადღებო ცნობებს ჩვენი დროის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაზე. მ. ჭავჭავიძის ამ წერილის წერა დაუწყია 1926 წლის პირველ იანვარს, მერე შეუწყვეტია, მხოლოდ 10 თებერვალს დაუსრულებია და გაუგზავნია ადრესატისათვის. წერილით ირკვევა, რომ მ. ჭავჭავიძისა და შ. დადიანს შემოქმედებითი თანამეგობრობა ჰქონდათ, რომ შ. დადიანს განუზრახავს „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პიესად გადაკეთება. ამას გარდა, წერილი გვაწვდის მრავალ საყურადღებო ცნობას, მასში მოხსენიებულია იმ უროის რამდენიმე ცნობილი პირი და მათი დამოკიდებულება მ. ჭავჭავიძის ზოგი ნაწერისადმი. საინტერესოა აგრეთვე თვით მ. ჭავჭავიძის მოსაზრებები „ჩაყოს ხიზნების“ პირველ ვარიანტზე, მის ნაკლსა და სრულყოფის გეგმებზე.

წერილი მოგვაქვს შემოკლებით:

„ტფილისი, I/I — 1926 წ.

ძმაო შალვა!

ზაფხულშივე გავიგე გაზეთებიდან და ელოსაგანაც, რომ „კვაჭიზე“ მუშაობთ. ჩემი აზრი მაშინვე დავაბარე ელოს. ეხლაც გავიმეორებ: პიესის ტექნიკაც კარგად იცით და ნიჭიც შეგწევთ. ამიტომ დარწმუნებულნი ვარ, „კვაჭის“ ნელდ მასალას შესაფერისად გარდაქმნით და ამოსწურავთ. საქმეს ის აძნელებს, რომ „კვაჭი“

¹ საქ. ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება, საქმე № 25424 (მ. ჭავჭავიძის წერილი შ. დადიანისადმი).

ქრონოლოგიური წესით — ქრონიკის ფორმით არის დაწერილი. სრული სიმართლეა ისიც, რომ ესეთი პიესა კონსტრუქციული ფორმით უნდა დაიდგას. მთლიანი კვანძის უქონლობა დინამიკამ უნდა აანაზღაუროს. ხეალ ვნახავ კანდელაკს და მოველაპარაკებო. წუწუნავა თუ მანდ არის, მოელაპარაკეთ. გეკოდინებათ „კვაჰის“ სცენარის ამბავი. დამიბარეს, დამიკვეთეს, ერთხმად მოიწონეს: მერე დაიწუნეს, ორი თვის ნამუშევარი დამაკარგვინეს. წუწუნავას უნდა დაედგა, მაგრამ მერე უკან გადგა. გაიგეთ, ეხლაც ხომ უკან არ დაიხევეს?

ეხლა ჭაყოზე. არ გირჩევთ დროს დაკარგვას. ჭერ ერთი იმიტომ, რომ ოთხი მოქმედისაგან პიესა არ გამოვა. მეორე: რომანი არც სრულია, არც დასრულებული, აკლია რამდენიმე მომქმედი (თეიმურაზის ანტიპოდი და სხვ.) და მეოთხე ნაწილი. მეორე ვიარიანტი თავში თავიდანვე მქონდა დაწერილი, მაგრამ, ხომ იცით აგვისტო-სექტემბერში ეწერდი 1924 წ. ისე არ მოვეკვდები, რომ სრული „ჭაყო“ არ დავწერო. დარწმუნებული ვარ, ა. წ. შემოდგომას უკვე წაიკითხავთ ნამდვილს და სრულს. დასასრული სულ სხვანაირი იქნება... ნინია მარგოს წაართმევს, ხოლო ჭაყოს საქართველოდან გადაასახლებენ. რაც დიდმა ილიამ ვერ გაჰბედა — და ვერც გაჰბედა — მე უხდა გავბედო და თავად-გლებთა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გავამთელო. აბა, მაშინ გექნებათ თქვენ სადრამო მასალა, მანამდე კი უნდა მოითმინოთ.

თქვენც მოინდომეთ ჩემი „გაბრიყვება“: მირჩევთ, პიესა დაწერეთ. ბევრნი მირჩევენ და მეც ვაპირებ, მაგრამ ჭერ ის უნდა მოვიშორო, რაც სულს მიხუთავს და ჭერში დგას. ჭერში კი მრავალნი არიან: რომანები „წითელი ჭავეზანი“, „არსენა“, „აჭანყება მონასტერში“ და სხვ. პირველი ორი რომანი უკვე დაწყებული მაქვს. ზაფხულამდე უნდა გავათავო, ზაფხულში კი „ჭაყოს“ დავასრულებ და ... შეიძლება დრამაც ვსცადო. თუ მოვერიე, ასლს გამოგიგზავნი“.

აქ მთავრდება პირველ იანვარს დაწერილი ტექსტი, რასაც უშუალოდ მოსდევს 10 თებერვალს გაგრძელებული:

„მხოლოდ დღეს, 10/II ვათავებ ამ წერილს: კანდელაკმა წუწუნავს ჩამოსვლამდე პასუხი ვერ მომცა. მეც ვუცდიდი...“.

წერილის დანარჩენ ნაწილს სხვა დროს გამოვაქვეყნებთ. ახლა კი ორიოდ კომენტარს მოგახსენებთ.

შემოქმედებითი თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა წერილის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია „კვაჰის“ პიესად გადაკეთებაზე შ. დლიანის მიერ. ყურადღებას იქცევს მ. ჭავჭავაძის მოსაზრება

იმაზე, რომ ეს რომანი ქრონიკის ფორმით არის დაწერილი, რაც გააძნელებს პიესად მის გარდაქმნას. აქვე გამოთქმულია ზუსტი რჩევა: „მთლიანი კვანძის უქონლობა დინამიკამ უნდა აანაზღაუროსო“.

სამაგალითოა მწერლის თავმდაბლობა, როცა საკუთარ რომანს ავტორი „ნელ მასალად“ მიიჩნევს.

წერილი გვაწოდის ცნობას იმის თაობაზე, რომ მ. ჭავჭავიძის დაუწერია სცენარი „კვაკის“ მიხედვით, იგი ჭერ მოუწონებიათ, მაგრამ მერე უარი უთქვამთ დადგმაზე. ამ ფაქტს მ. ჭავჭავიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სრულად წარმოდგენისათვის უდავოდ მნიშვნელობა აქვს.

ასევე ფრიად საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ მ. ჭავჭავიძის შვილი თურმე წერდა რომანებს „წითელი ჭავჭავიძის“ და „აჭანყება მონასტერში“. ერთი მათგანი უკვე დაწყებული მაქვსო. ცნობილია, რომ ამ სათაურებით მწერლის ნაწარმოებები არსად გამოქვეყნებულა. მაშასადამე, გასარკვევია მათი ბედი.

მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის გარკვევის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა წერილის ის ადგილი, სადაც მ. ჭავჭავიძის ლაპარაკობს „ჩაყობზე“, მისი პირველი ვარიანტის ნაკლებად, მეორე ვარიანტში სხვაგვარ ფინალზე, თეიმურაზის ანტიპოდის გამოყვანაზე და ა. შ.

ადრეც გვითქვამს, რომ მ. ჭავჭავიძის თავისი „ჩაყობის ხიზნებით“ ახალ ვითარებაში იგივე თქვა, რაც ილიამ ადრე „კაცია-აღამიანში“. ამ თვალსაზრისის დოკუმენტურ დადასტურებას შეიცავს წერილის ის ადგილი, სადაც ილია არის ნახსენები. „რაც დიდმა ილიამ ვერ გაბედა — და ვერც გაპბედავდა — მე უნდა გავბედო და თავად-გლებთა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გავამთვლო“. ცხადია, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ეს სიტყვები თავისებურად ჟღერს და მასში არ იგულისხმება ე. წ. „კლასთა შერიგება“. ჩვენი ფიქრით, აქ ნავარაუდევია სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა შორის კლასობრივი ჭებირის გარღვევა, რაც ახალმა სინამდვილემ იმ დროისთვის უკვე ფაქტად აქცია. ყოფილი თავადის (მარგო) და გლების (ნინიკა) შეერთება უკვე სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. ილიას დროს კი ეს გამორიცხული იყო. ცხოვრებაში მომხდარი ეს გარდაქმნა მ. ჭავჭავიძის შეეძლო გადმოეტანა ლიტერატურაში. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. მთავარია განგაშის ზარების რეკვა, მკითხველის გამოფხიზლება და იმის ჩაგონება, რომ, თეიმურაზისნაირნი თუ ვიქნებით, ყველაფერს დავლუპავთ,

დავკარგავთ და ჩვენც დავიღუპებითო. ილიამაც ადრე ძირითადად იგივე თქვა ლუარსაბის დახატვით.

ამ წერილში საინტერესოა ის ადგილიც, სადაც ლაპარაკია მ. ჭავჭავიძის განზრახვაზე, რომ პიესა დაეწერა, შეიძლება დრამაც ვცადო. შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით კი ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილი: „...მაგრამ ჯერ ის უნდა მოვიფიქრო, რაც სულს მიხუთავს და ჯერში დგას“... მსგავსი აზრი მწერალს სხვა წერილშიც აქვს გამოთქმული. საკითხი იმას ეხება, რომ მწერალს, შემოქმედს აწუხებს თემები, პრობლემები და ისინი არ ასვენებენ მანამდე, სანამ ნაწარმოებში არ გადავა, რასაც შემოქმედის განმუხტვა მოყვება. მანამდე კი არ ასვენებს, სულ თან დასდევს და აწუხებს...

როგორც დავინახეთ, მოტანილი და განხილული წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში დიდმა მწერალმა ბევრი საინტერესო გაანდო თავის კოლეგას — შ. დადიანს და ახლა კი ჩვენც. აქ კარგად ჩანს ორი მწერლის მეგობრული ურთიერთობაცა და ნდობაც, რის გარეშეც ეს სტრიქონები არ დაიწერებოდა.



ლიტერატურული მუზეუმის გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცულია მ. ჭავჭავიძის ერთი წერილი, რომლის ადრესატია გალაკტიონი. წერილი დაწერილია 3/IV—1927 წელს, თბილისში¹. მასში გამოსკვივის ქეშმარიტად ძმური სიყვარული და უსაზღვრო სიბოძო, რასაც მ. ჭავჭავიძელი ავლენს გალაკტიონისადმი. აქ იგრძნობა, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა მწერალი პოეტს, როგორ ანგარიშს უწევდა მას, აღიარებდა და მიაჩნდა ავტორიტეტად.

წერილის შინაარსი მკითხველთა ფართო მასებისათვის უფრო გასაგები რომ იყოს, შევახსენებთ, რომ ამ წერილში საქმე ეხება ლიტერატურული ჯგუფის „არიფიონის“ შექმნის წინასწარ საორგანიზაციო მუშაობას. ცნობილია, რომ ეს ჯგუფი შეიქმნა 1927—1928 წლებში, მან გამოსცა ალმანახი „არიფიონი“; იმ დროს საქართველოში, როგორც ცნობილია, არსებობდა მრავალი ლიტერატურული ჯგუფი, რომელთაც საკუთარი ბექდუერი ორგანოები ჰქონდათ.

წერილიდან ირკვევა, რომ „არიფიონელთა“ ჯგუფის ერთ-ერთი ინიციატორ-ორგანიზატორი მ. ჭავჭავიძელი იყო. ნათელი ხდება,

¹ საქ. ლიტ. მუზეუმი, გალაკტიონის არქივი, ა — 395.

რომ გალაკტიონის შესვლა ამ ჭგუფში მისი წევრებისათვის სასურველი ყოფილა.

მოგვაქვს წერილის ტექსტი:

„ტფილისი, 3/IV—1927 წ.

ძმაო გალაკტიონ!

მოულოდნელად წახვედი ტფილისიდან, ვეღარ მოვასწარი შენთან დაწვრილებით მოლაპარაკება, აქამდე ვიყავით დაუსრულებელ რჩევა-ბაასში. შენც დაგვპირდი, მაგრამ უკვე წასულიყავი. ახალა გავათავეთ, გვაკლია მხოლოდ წესდება და შენი პასუხი. მერე წარვსდგებით, სადაც ჯერ არს, და ძალიან გვსურს, რომ იმ დღისათვის შენგან მოგვივიდეს თანხმობა. გიგზავნი დეკლარაციას. ეს არის საბოლოო ტექსტი. შენიანად 14 ვიქნებით, ყველას გვიცნობ: მე, გერონტი, სანდრო, ლეო, შალვა დადიანი, კაპანელი, ჭიჭინაძე, მეტრეველი, მოსაშვილი, გორგაძე, ჭავთარაძე, ტატიშვილი და სულიაშვილი. ჯერ ოფიციალურად არ გამოვჩენილვართ, მაგრამ გახმაურებამ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია მწერლობაში, საზოგადოებაც ძალიან დაინტერესდა. უმთავრესი დულაბიც — ძმობა და პატივისცემა მრავლად დაგვიგროვდა. მუშაობის გეგმას დაწვრილებით მერე გაცნობებთ, როცა დაბრუნდები. პირველ რიგში მოდის ალმანახის გამოცემა. მასალებს უკვე ვაგროვებთ. იმედია, შენც დაიჭექებ ძველებურად. ველით მოულოდნელად ორიოდ ლექსს — მყივარსა და მქუხარს. თუნდაც ლირიკა იყოს — შენი სახელი და ოსტატური ხელი ყოველივეს მოერევა. მაშ ასე: ჯერ საჩქაროდ დააბრუნე ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელსაც გიგზავნი. ეს არის ჩვენი უკანასკნელი სიტყვა. მერე ჩაუჭექი წერილს და მალე გამოგზავნე. ალბათ დაწერილიც გექნება — გამოაყოლე. ოღონდ გთხოვთ ყველანი, ეს დეკლარაცია არ ავიწყოს. პირველად ალმანახში გამოვა. დარწმუნება აღარ გინდა. ცხადია, შენც გაიგე საბოლოოდ, რომ განზე სიარული დავიწყებთ უდრის. ერთმანეთი უნდა გავიტანოთ ყველგან და ყველაფრით, თორემ... მეტი გზა არ არის, ეპოქის ნაბიჯს უნდა ავყვეთ.

კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ქალაქი ვერ დაიტევს. დაბრუნდები და გაიგებ. ისე არ შევხვდებით ერთმანეთს არიფები, რომ შენც არ გაგიხსენოთ. ამბობდი თურმე, ორ კვირაში დაგბრუნდებიო: ორი თვეც გადის, ამბავიც არ გვესმის. ერთი წერილი

მინც მოგვეწერე ამ მისამართით: ელბაქიდის ქუჩა (ვერის დაღმართი) № 21. მიხ. ჟავ-ლს (დაკვეთით).

აბა, კარგად იყავი, დაბრუნდი განკურნებულნი. ყველანი გითვლით არიფულ სალამს და აქედან გიწვდით ძმურ ხელს.

შენი ძმა და მეგობარი
მიხ. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

სამწუხაროდ, არქივში ეს წერილი უკონვერტოდ არის შენახული, თორემ გავიგებდით, თუ სად იყო მაშინ გალაკტიონი. ერთი ცხადია: პოეტი თბილისში არ ყოფილა, თანაც მთელი ორი თვე გასულა მისი წასვლიდან. ჩანს, სამკურნალოდ უნდა ყოფილიყო, რადგან წერილში გამოჩანმრთელების სურვილი არის გამოთქმული.

საკითხზე, თუ 1927 წლის 3 აპრილს სად იყო გალაკტიონი, მიახლოებით პასუხს მივიღებთ ი. ლორთქიფანიძის წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, რომლის 154-ე, 156-ე და 157-ე გვერდებზე მითითებულია, რომ 1927 წ. პოეტი ყოფილა აფხაზეთში, ქუთაისში, ბორჯომში. 154-ე გვერდზე წერია: „...ხოლო ეს ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“ აღრინდელია, იგი დაწერილია 1927 წელს, აფხაზეთში ყოფნის დროს“ (თვე არაა მითითებული — ტ. კ.), 156-ე გვერდზე ვკითხულობთ: „1927 წლის ზაფხულში გალაკტიონი ბორჯომში ისვენებს“. 157-ე გვერდზე კი ზუსტად მითითებულია, რომ 1927 წლის მაისში გალ. ტაბიძე „სავარდო და სამაისო“ ქუთაისს ეწვია. მაგრამ სად იყო გალაკტიონი 3 აპრილს, როცა მ. ჟავახიშვილმა ეს წერილი მისწერა?

ი. ლორთქიფანიძე გვაწვდის აგრეთვე ცნობებს „არიფიონთან“ გალაკტიონის დამოკიდებულებაზე. ფიქრობთ, მწერლის ამ წერილის მთავარი აზრის გაგებაში ეს ცნობები დახმარებას გაგვიწევს.

„1927 წელს ქართულ მწერლობაში შეიქმნა ახალი ლიტერატურული გაერთიანება — „არიფიონი“. ამ ჯგუფის აქტიური წევრი იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ხელი მოაწერა ამ ლიტერატურული კორპორაციის მანიფესტს (1927 წ. 16 მარტი).

„არიფიონის“ ჯგუფი, — წერს გალაკტიონი, — შედგება უკვე სწავლადამთავრებულ, ცხოვრებაში გამოსულ ხელოვანთაგან: ექიმი, ინჟინერი, ვექილი, საბჭოთა მოსამსახურე. ამ მასალის დაგროვება და შესწავლა მოგვეცემს საინტერესო შედეგს: ახსნის ერთმანეთშორის დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, სოციალური ყოფის პირობებისა და მეორე მხრივ, მწერალთა განვითარების თვალსაზრისით...“ (მითითებულია გალაკტიონის არქივი — ტ. კ.).

„აოლიგონია“ გალაქტიონის მიაჩნია იმ დროს არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის („აკადემიური ჯგუფი“, „ისტუმრი ყანწები“, „ფუტურისტები“, „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“) ყველაზე „ინტელექტუალური წარმომადგენლებისაგან“ შემდგარ ჯგუფად. მის ჩახაწერებში მოცემულია დახასიათება ამ გაერთიანების წევრებისა ცალ-ცალკე (მ. ჭავჭავაძე, გ. ქიქოძე, კაპანელი და სხვ.). გალაქტიონი დღიურებსაც კი აწარმოებდა: „შევიკრიბეთ: მიხეილ ჭავჭავაძე, ლევან მეტრეველი, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, პეტრე ჭავჭავაძე, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი, გერონტი ქიქოძე, ვასო გორგაძე, გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი“. დასახელებულ წიგნში ამონაწერი გრძელდება და დაწერილებით ვიკვებთ გალაქტიონის დამოკიდებულებას „არიფიონთან“, მის წევრებთან და ა. შ.

ვფიქრობთ, ამ ამონაწერებმა ნათელი მოჰფინა მ. ჭავჭავაძის წერილში დასმულ საკითხებს.

განსახილველი წერილის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ ამით ირკვევა მ. ჭავჭავაძისა და გალაქტიონ ტაბიძის მეგობრული და ძმური ურთიერთობა, თვალსაზრისთა ერთიანობა და პატივისცემა, არამედ ისიც, რომ ეს წერილი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ოციანი წლების საქართველოს ერთ-ერთი ლიტერატურული ჯგუფის („არიფიონის“) შექმნის ისტორიაზე. ამრიგად, წერილის ლიტერატურული ღირებულება, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული საკითხების დადგენაში მისი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

ასეთია ის სამი ხელნაწერი, რომლებიც დაწერილია მ. ჭავჭავაძის ხელით, დაცულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის სხვადასხვა ფონდში და მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ჩვენი დიდი მწერლების ცხოვრებაზე, მათს ურთიერთობაზე, აგრეთვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მთელ რიგ ფრიად საინტერესო საკითხებზე.

ამ ხელნაწერების გაცნობა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ მათგანს, რა აუცილებელია მწერალთა ხელნაწერების შეგროვება და დაცვა, შესწავლა და ანალიზი.

პირთა საძიებელი

- აბაშიძე ე. 447
 აბაშიძე კ. 20—23, 26, 30
 აბუკაძე ი. 164
 აღმაშენილი იხ. ქაეახიშვილი მ.
 ანტონოვი ზ. 16, 320
 არაგვისპირელი შ. 17
 არსენიშვილი ა. 30, 31
 ასათიანი მ. 157, 492, 493
 ახოსპირელი 120

 ბალზაკი 128, 168, 170, 172
 ბარნოვი ე. 17, 22
 ბაქრაძე ე. 108, 110
 ბახტაძე ვ. 138, 145, 149, 381
 ბებელი 87
 ბელი ა. 146
 ბენაშვილი დ. 51, 53, 213, 214, 215
 ბერგსონი ა. 142
 ბერიძე 187
 ბერშტეინი 87
 ბისმარკი 86
 ბოშარშე 13
 ბორკჰაიმი 86, 96
 ბუაჩიძე ბ. 50

 გაბაშვილი 182, 185, 187
 გაბუნია ნ. 447
 გამსახურდია კ. 30, 48, 172—175, 199, 498
 გაჩეჩილაძე გ. 154
 გიზო 89
 გოგებაშვილი ი. 415, 441, 502
 გოგოლი 45, 170
 გოეთე 136, 168, 383
 გომარათელი ივ. 24—28, 31, 36—39, 47

 გორგაძე ე. 513, 515
 გორკი მ. 33, 176, 178, 202—206, 208, 209, 216—218, 245

 დადიანი შ. 157, 411, 509, 510, 512, 513, 515
 დარჯინი 162
 დოდაშვილი ს. 388, 502

 ევლოშვილი ირ. 120, 240, 241, 411
 ეერიძე 167, 188
 ენგელსი ფრ. 218
 ერეკლე II 78
 ერენბურგი ი. 29
 ერისთავი გ. 16, 320
 ერისთავი დ. 16
 ერისთავი რ. 16
 ესქილე 167, 188

 ვართაგავა იბ. 43—48, 379—381
 ვაჟა-ფშაველას 44, 153, 321
 ვიტტე 73, 75, 438
 ვლადიმეროვი 64

 ზოლა 149, 168, 171
 ზუღერმანი 12

 თოიძე 181, 185
 თომაშვილი დ. 120

 იაკობ ზუცესი 196
 იაშვილი პ. 30, 157
 იაკვევიჩი 74, 434, 435
 იბსენი პ. 12, 151, 152, 167, 168, 170, 188, 447, 503

იგნატიევი ა. 258
იმედაშვილი ი. 28, 29, 31, 35, 36, 54
იმედაშვილი კ. 210, 211—213
ისტრატი 151

ქანდელაჯი პ. 510
კანტი 168
კაპანელი კ. 513, 515
კაუცი 87, 100
კახიანი შ. 49
კელერმანი 145, 382
კიკვიძე ა. 285, 391
კინწურაშვილი შ. 31, 32
კლდიაშვილი დ. 145
კლდიაშვილი ს. 30
კუპრინი 33

ღამარკი 168
ლაპლასი 168
ლასალი 87
ლასხიშვილი გ. 10, 17
ლენინი 144, 389, 448—450, 464
ლეონიძე გ. 507
ლიბკნეხტი 87
ლონგე ე. 86, 94
ლონდონი ჟ. 409
ლორთქიფანიძე ი. 514
ლორთქიფანიძე ნ. 30, 32, 33, 365
ლუბიმოვი ლ. 257, 258

შაიაკოვსკი ე. 140
შალაქიაშვილი 23
შარქსი კ. 94
შარტოვი 204
შაჩაბელი 154
შესხი კ. 448
შესხიშვილი ლ. 441, 447
შეგრელი დ. 120
შეტრევედი ლ. 513, 515
შოლიერაი 13, 170
შოპანანი 149, 151, 167, 170, 202, 207,
208, 503
შოსაშვილი ი. 513, 515
შრეელიშვილი 181

წაიდენოვი 151
ნაკაშიძე ნ. 17

ნაპოლეონი 89
ნატროშვილი გ. 51
ნეკრასოვი 140
ნიკოლაძე ნ. 182, 185, 415
ნინოშვილი ე. 30, 135, 145, 259

ოიამა 76
ორახელაშვილი შ. 40
ორბელიანი ალ. 388
ორბელიანი გრ. 22
ორბელიანი ს. 77, 154, 175
ორლენიევი 188
ოჩიაური ა. 42, 43

პანფეროვი 196
პილნიაკი 29
პლევე 65
პუშკინი ა. 140

ფორდანი 340
ფორესი 94
ფლენტი ბ. 31, 33, 34, 35, 40, 51

ჩაბლე 170
ჩალიანი შ. 51, 52, 209, 371
ჩამიშვილი ი. 95
ჩაქველიშვილი ქ. 31—33
ჩუსთაველი შ. 162—166, 172, 367, 462
ჩუსო 40, 145, 382
ჩხილაძე გრ. 17—19

ხეიღამეტოვი დ. 249, 251, 252
ხენკევიჩი 151
ხერაფიმოვიჩი 196
ხერვანტესი 136, 166
ხიღამონიძე ვ. 481
ხოფოლე 167, 188
ხტანდბერგი 151
ხტენდალი 77, 177
ხულიაშვილი დ. 513, 515

ტაბიძე გ. 153, 512—515
ტაბიძე ტ. 48, 197, 509
ტატიშვილი გრ. 110
ტატიშვილი ი. 513, 515
ტიერი 89
ტოლსტოვი ლ. 41, 170, 177, 367, 382

ტრეპოვი 75
ტურგენევი 170

ფლობერი გ. 28, 168, 202, 207
ფოგელი 181
ფრანსი ან. 143
ფურცელაძე ანტ. 47, 446, 502
ფუჩიკი ი. 47

ქავთარაძე პ. 513, 515
ქიაჩელი ლ. 30, 48, 411, 466, 513, 515
ქიქოძე გ. 513, 515
ქიქოძე პ. 48, 49
ქუჩუკაშვილი შ. 23

უაზბეგი ალ. 22, 175
ყიფიანი კ. 441
ყიფიანი ს. 41, 42
ყიფშიძე გ. 508

შანშიაშვილი ს. 48, 157, 513, 515
შენგელაია დ. 30
შერვაშიძე 16
შექსპირი 136, 168, 170, 172, 188, 368,
383

შილერი 168, 367
შინატეხელი გ. 120
შლიაპნიკოვი ნ. 249, 251, 252
შპენგლერი 40
შტაიგერი ე. 129

ჩეხოვი ა. 151
ჩიტაძე შ. 124
ჩხეიძე არჩ. 251

ცაგარელი ა. 16, 189
ცენტრაძე ვრ. 120
ცხველაძე ნ. 441

წერეთელი აკ. 10, 13, 15—17, 44, 258,
321, 415, 441, 446, 502
წერეთელი ს. 481

წინამძღვრიშვილი ი. 28
წულუკიძე ალ. 30
წუწუნავა ალ. 510

ჭავჭავაძე ალ. 22, 388, 464, 502
ჭავჭავაძე ილ. 22, 39, 44, 46, 48, 77,
130, 131, 142—145, 150, 164, 167, 175,
294, 303, 321, 414, 415, 441—446,
462, 502, 503, 510, 511

ქანტურიშვილი ს. 41, 42, 47
კილაია ს. 52, 53, 217, 218
კიკინაძე კ. 162—164, 166
კყონია აკ. 198—200

ხახანაშვილი ალ. 23
ხიზანიშვილი ნ. 10—12, 14, 15, 17

ჭავჭავიშვილი მიხ. 2—33, 35—67, 69—
76, 78, 82—95, 97—105, 107, 110,
113—115, 126—138, 140—169, 171—
202, 206, 208—211, 213, 215—219,
221, 225, 227, 229, 233, 236—250,
257, 260, 263, 274, 284, 286, 289—
292, 294, 303, 304, 307, 323, 326,
327, 336, 337, 347, 360, 362, 364,
366—370, 372—376, 379—383, 386—
388, 390—393, 395, 398, 399, 401,
404, 405, 407, 409—413, 431—
438, 440—450, 453, 455, 456,
459—469, 472—474, 476, 481, 484,
487, 489, 491, 492, 494—512, 514,
515

ჭავჭავიშვილი ქ. 35, 82
ჭაჭანაშვილი არჩ. 30
ჭიბლაძე გ. 53, 207, 208, 215, 216, 235,
236, 372—376

ბაშუნდ კ. 145, 382
პაუტმანი 151
პეგელი 168
პიუგო ე. 34
პომეროსი 172

შ ი ნ ა ა რ ს ი

მეორე გამოცემისათვის	3
ა ე ტ ო რ ი ს ა გ ა ნ	5
მ. ჭავჭავიძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში	9
მ. ჭავჭავიძელის მებრძოლი პუბლიცისტიკა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში	57
რუსეთის ცხოვრების გამშუქებელი წერილები	58
თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული წერილები	69
მ. ჭავჭავიძელის ერთი რეპორტაჟი	76
ფელეტონები და მცირე ფორმის ღრამატული ნაწარმოებები	82
წერილები უცხოეთის შესახებ	85
მ. ჭავჭავიძელი ომისა და მილიტარიზაციის წინააღმდეგ	104
მ. ჭავჭავიძელის გაზეთი „გლეხი“	105
„გლეხის“ კორესპონდენციები	123
შეხედულებანი ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და ენაზე	128
ლიტერატურის ხალხურობა	128
თანამედროვეობა და წარსული	132
მეთოდი და მსოფლმხედველობა	139
ფორმისა და შინაარსის შესახებ	146
თარგმანის შესახებ	150
შემოქმედების ფსიქოლოგია და წერის ტექნიკური მხარე	154
დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი	161
ფორმალისმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ	170
მწერლის მიერ მასალის დაუფლება	173
შეხვედრები მ. გორკისთან	176
შეხედულებანი ხელოვნებაზე	179
შეხედულებანი ენაზე	189
დაჩაგრულთა და გარიყულთა ყოფის ასახვა პირველ მოთხრობებში	201
ორი ლექსი და ორი ეტიუდი	241
დიდი საზოგადოებრივი ძვრების თავისებური ასახვა	246
„კვაჭი კვაკვანტირაძე“	247
„ჩაყოს ბიზნები“	294
„გივი შადური“	347
„დამპატიყვე“	362
ცივილიზაციასთან დამოკიდებულების საკითხი	371
ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“	383
პირველი რევოლუციის ასახვა „ქალის ტვირთში“	411
მოთხრობები	469
პატრიოტული მოთხრობები	469

შორალისტური მოთხრობები	472
ძველის ნამსხვრევი (ანუ ზოგი ყოფილის ბედი)*	476
პუმანისტური მოთხრობები	479
ყოფითი მოთხრობები	484
ფსიქოლოგიური მოთხრობა	492
თემატური, სტილისტური და ენობრივი თავისებურებანი	496
დიდი მწერლის სამი ხელნაწერი	507
პირთა საძიებელი	516

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჭაჭანაშვილი.
კორექტორი ნ. ელიზბარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14:.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

Кванчиашвили Тарнел Соломонович

ТВОРЧЕСТВО МИХАИЛА ДЖАВАХИШВИЛИ

(на грузинском языке)

**Издательство Тбилисского университета
Тбилиси**

სბ 1197

გადაეცა წარმოებას 12.03.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.02.85.

საბეჭდო ქაღალდი 60×90. პირობითი ნაბეჭდო თაბახი 32,5.

სააღრ.-საგამომც. თაბახი 28,83.

ტარაჟი 10 000. შეკვეთის № 850.

ფასი 3 მან. 20 კაპ.

